პოეტები საქართველოსი

ტომი III

თბილისი
2023

კრებულის პასუხისმგებელი რედაქტორი და შემდგენელი:

მანანა სამყურაშვილი – კავშირ „პოეტები საქართველოსი“-ს დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, საქართველოს მწერალთა, შემოქმედთა კავშირის წევრი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი, ტაო-კლარჯეთის სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, მარიკა ბარათაშვილის პრემიის მფლობელი, ასევე მიღებული აქვს სამშობლოს ერთგულებისთვის და პატრიორული ლექსებისთვის პირველი ხარისხის ოქროს მედალი, სამეცნიერო საქმიანობისთვის – დავით აღმაშენებლის ოქროს მედალი, შ პ ს „სალიტოს“ დირექტორი, შ პ ს „გომავანის“ პარტნიორი, ოთხი საკუთარი და ოცდათვრამეტი საერთო კრებულის თანაავტორი, სამართალმცოდნე, პედაგოგი.

თანარედაქტორი: **თენგიზ ფანცულაია** – კავშირ „პოეტები საქართველოსი“-ს სწავლული მდივანი; ჯუმბერ ლეჟავას სახელობის სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი;

ტექსტის კორექტორი: **მანანა შიოშვილი** – ჯუმბერ ლეჟავას სახელობის სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი;

© ავტორთა ჯგუფი, 2023

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2023**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-344-6 (ყველა ტომისათვის)
ISBN 978-9941-33-527-3 (III ტომისათვის)

დავდგეთ იქ სადაც ქართველია
და სიმღერიანი დედა ანგელოზი,
ახალ ეროვალეს ვწიოთავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!..

ეალაჟიონი

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს გ ა ნ

“პოეტები საქართველოსი” – ღვთის ხელშევლებული,

ღვთისგან დალოცვილი კრებულია. უფალი შემოუძღვა თავის შვილებს, რჩეულ მამაოებს, მქუხარე, ბრძნული სიტყვის გადმოსაცემად. მათი დიდი ლოცვა–კურთხევის შედეგია,

რომ კრებულის ფურცლებზე უწყვეტ ნაკადად იშლება გამორჩეული პოეტების პოეზია, ვით მაისის სურნელოვანი ვარდი.

თითოეული პოეტის ლექსი სულის სალბუნად ედება მკითხველს. ეს კრებული არის ღვთის ედემი, სადაც სახლობენ პოეზიის რაინდები, მთის პოეტები და მთის არწივები, აწგანსვენებული ამაგდარი პოეტები და ნორჩი პოეტები, პოეზიის მზედ ქცეული ქალბატონები, რომელთაც

სხივთა შარავანდედი მოუსხამთ, რათა განაბრწყინონ სრულიად საქართველო.

აიღებ კრებულს და სული სიამით გევსება. რა ძალამ შექმნა, თუ არა ღმერთის ძალისხმევამ და დახმარებამ.

კრებულის თანამონაწილე ავტორთა გული სავსეა ჭეშმარიტი სიყვარულით. ერთმანეთი-სადმი მეგობრობის ხელგამოწვდილ პოეტებს ძალუძთ ერის გამთლიანება, ერის სიჯანსაღე და სიმშვიდე.

ნებისმიერი პოეტი ცდილობს, ფეხთ გაუშალოს მომავალ თაობას გონით შექმნილი მარ-გალიტები და სულის საზრდოდ და საარსებოდ გადასცეს სიბრძნის მარცვლები.

ეს ღვთივკურთხეული შარბათი, რომელიც გონის მათრობელა სურიდან მოედინება, აგამღერებს სამშობლოს სიყვარულზე, მეგობრობაზე, კაცთმოყვარეობაზე.

სამშობლო ღვთისგან კურთხეული, დალოცვილი საჩუქარია თითოეული ადამიანისადმი, რომელსაც ღირსეული შვილები ვერ გაცვლიან და ვერ გაყიდიან; უფალმა ამოუწურავი საარსებო რესურსი მოგვმადლა ადამიანებს და შეგვაგონა: "მოუარე, ვითა თავი შენი და შეიყვარენ, ვითარცა დედა მშობელი; ეყმე და ეთაყვანე, განბანე ვარამისაგან და განიბანე სული ცოდვისგან".

ასეთი რწმენითაა განმსჭვალული კრებულის თითოეული თანაავტორი პოეტი. მათი ღაღადისი ზეციურ ლაჟვარდებამდე ასულა და მზის მცხუნვარე სხივზე მეტად ათბობს და ალღობს გაყინულ სივრცეს. პოეტის გული მზესავით თბილია; მას ძალუძს უკვდავების თესლის გაღვივება და აღმოცენება. პოეტის გონება აპურებს მარადიულ სიცოცხლეს ორივე სოფელსა შინა.

დაე, მარადიულად ბრწინავდეს ჩვენი პოეტების მზედანთებული გული.

მანანა სამყურაშვილი

მივყვეთ,
სახელოვან წინაპრთა
წმინდა ნაკვალევს!

ნაძენ წინაპრთა
ლოცვით ქმნილა და დღეგრძე
მოსულა ეს, დალოცვილი
დედა საქართველო!

ბორენა (დედოფალი)

რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი

ღვთისმშობლისადმი

რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი,
ჰრქვ რაჲ გაბრიელს: "ვარ უფლისა მჴევალი,
მე, შენ სასტუვრე, ქკეყნად მავალი", –
დაემჴო ძალი, პირველ სისხლთა მთრვალი,
ქალწულო, მიჴსენ ბორენა ჭირმრავალი!



არსენ იყალთოელი

დავით აღმაშენებლის ეპიტაფია

ვის *ნაჭარმაგევს მეფენი*
შვიდნივე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი
საზღვარსა გარე გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან
იმერთა წყალთა *შთამესხნეს,*
აწე ამათსა მოქმედსა *ხელნი*
გულზედა დამესხნეს.

დავით აღმაშენებელი

გალობანი სინანულისანი

უგალობდითსა

1. რომლისაცა წინაშე
ქედ-დადრეკილ არს ყოველი,
მუჴლი ყოველი მოდრკების და ენაჲ ყოველი შენსა
ჴმობს აღსარებასა,
მეცა, სიტყუაო,
აღმსარებელსა მომხედენ!

2. ხატსა თჳსსა მამსგავსე
და საკრველად გრძნობადისა
და გონიერისა მყოფობისად დამაწესე შენებრ
არსთა სიტყუებისა
ჩემ შორისცა შეკრებითა,
ხოლო მე უმადლო გექმენ.

3. ბუნებითი რაჲ ძალნი
არა სჯულთაებრ ვიჴუმიენ
მსგავსებისაგან დავაკლდი და დავჰბადე ბოროტი,
ხოლო
ხილულთა-მიერსა
გემოვნებასა
ვრცელად განუხუენ გრძნობანი.

4. ქალწულო, ბრალეულთა
თავმსდებო, რომელმან სიტყუაჲ
განაზრქე ჴორცითა და კარვითა
მიწისაჲთა,
სიზრქე
უსასოებისაჲ
განმძარცუე, რაჲთა
მონანული შეგივრდე შენ!



თამარიანი

ქება მეფისა თამარისი

[შესავალი]

1. 1. მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო,
თამარს ვაქებდეთ გულისჴმიერსა!
2. დიონოსითგან, ვით ენოსითგან
სრულნი ქებანი ამძლეთ ძლიერსა!
3. სოგრატ სიბრძნითა, სარამა გრძნითა
ვიყვნეთ, ვერა ვიქმთ საწადიერსა;
4. უმიროს, პლატონ სიტყვა დამატონ,
თვით ვერა მიჰხვდენ შესატყვიერსა.
2. 5. არისტოტელო, ბრძენთა ტომელო,
თუ არა შესძლებ ენა-ძლიერსა,
6. ათინას თქმულა, სიღრმით დანთქმულა:
ვერავინ სრულ-ჰყოფს მას მეცნიერსა.
7. გულისჴმის-ყოფად, გონება-ყოფად
მისთანისათვის მაძებნიერსა;
8. ვინ გული ესე სიბრძნითა სთესე,
ანუ ვის ძალ-უძს შენგან მიერსა?
3. 9. ჴელ-ვჰყოფ კადრებად, ქებად დარებად,
მჭვრეტთა ვაუწყო გონებიერსა:
10. ღაწვი მწყაზარი – ა, მულღაზარი,
უგავს ელობა კრონოს ციერსა.
11. ნაელვებითა, მზისა ვნებითა
ცისკროვნად ვხედავ შუქ-მოსიერსა.
12. აჰა, მზიანად, მიზეზიანად
მთვარესა გაჰჴდი უნათლიერსა.

ვეფხისტყაოსანი

ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისაგან

ნაწყვეტი

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა,
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა, მდუღრად ანატირსა.

მას ტანსა კაბა ემოსა, გარე-თმა ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა,
ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უსხოსი მკლავისა;
ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა.

ტანო ტატანო

ტანო, ტატანო, გულწამტანო,
უცხოდ მარებო!
ზილფო, კავებო, მომკლავებო,
ვერსაკარებო,
წარბ-წამწამ-თვალნო, მისათვალნო,
შემაზარებო,
ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო,
სულთწამარებო,
პირო მთვარეო, მომიგონე
მზისა დარებო!
თვალთა ნარგისი, დამდაგისი,
შეგშვენის მწველად,
ყელსა ბროლისა, უტოლებსა,
გველი გყვა მცველად,
გეხსნეს ხალები, მაკრძალები,
ამარტის ველად,
ნარინჯნი ორნი, ტოლნი, სწორნი,
მიქმოდენ ხელად,
მიწვევენ შენად შესამკობლად,
დამამწარებო!
ალვაო, გესხნეს ორნი ნორჩნი
მოსარხეველნი,
მკლავნი მომკლავნი, თითნი თლილნი
მოსახვეველნი,
ზარიფსა წელსა დაეკვირნეს
ქვეყანად მვლელნი,
ოდეს გნახვიდი, შევიმატნი
ათასნი წელნი.
აწ დამლევიან ყოვლნი დღენი,
უცხო ვარებო.
ბაგემდუმრიად გიალერსებ,
ბაგეო ვარდო!
თვალთა სურიან ხილვა შენი,
კეკელა მარდო!
გულსა სწყურიან დამაშვრალსა
რას შეგაფარდო?
თუცა შენ დაგთმო, ვინღა ვპოვო,
სად გავიზარდო?
უშენოდ ხილვა არვისი მსურს,
შევიზარებო.
შენმა გონებამ მიმამსგავსა
მილეულს მთავრეს,
სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი
სიკვდილსა მწარეს.
მოდით, მიჯნურნო, შემიბრალეთ,
მოვლეთ ჩემს არეს,
მკვდარი მიჯნური დამიტირეთ,
დამფალთ სამარეს!
ვაჰ, სიცოცხლეო უკუღმართო,
დანაცარებო!

სიყვარულო, ძალსა შენსა!

სიყვარულო, ძალსა, შენსა, ვინ არს, რომე არ ჰმონებდეს?...
ვინ არს, რომე გულსა ტახტად, ოხრვას ხარკად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს
და ბულბულსა რად ეზრახვის, რომ შენ გამო ვარდს შეჰყეფდეს!

სიყვარულო, ძალსა, შენსა, ყოველი გრძნობს, არსებს რაცა,
სჯულსა, შენსა, ყველა ერჩის: ბერი, ერი, მეფე, ყმაცა;
ხელმწიფე ხარ, თვითმპყრობელი, ტახტი მზა გაქვს, ჰგიებ საცა,
გულები გყავს ქვეშევრდომად, ამას მეც ვგრძნობ და თვით სხვაცა.

შენის უღლისგან გამოსვლა ნეტა უნდოდეს რადმე ვის!
თუ შენ ხარ ვნების მიზეზი, ლხენაც შენგან არ გვეძლევის?
ნამდვილ კეთილ არს განცხრომა, იგი ნუმც-ოდეს გველევის,
მაშა ცუდია, თუ მაში სიბნელეც არსით ერევის!

ილია ჭავჭავაძე

აჩრდილი

ნაწყვეტი

დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა ...

დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!

რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამაპაპური სული, გული, მოჰმადლე შვილსა.

ძლიერო ღმერთო, შენთვის ბრძოდნენ ქართვლისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან, რა არს მშვიდობა,
იკმარე საღმრთოდ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.

მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!..



გიორგი ქუჩიშვილი

ჩემი მხარე

ვინც ეწვევა საქართველოს
საოცნებო სერებს,
სიმღერაც რომ არ იცოდეს,
მაინც დაიმღერებს.

ვინც მისწვდება ჩვენი ქვეყნის
მწვერვალებს და ღრუბლებს,
ისიც მგოსნად გადიქცევა,
მზესთან ისაუბრებს!

საარაკო სილამაზე,
ხალხიც სასახელო,
მტერსაც კი მოინადირებს
ტურფა საქართველო!

პაწია მერცხალი

მე პაწია მერცხალი ვარ,
მოჭიკჭიკე მოალერსე;
ნეტავი რა დაგიშავე,
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!

სიყვარულით, სიხარულით,
მთები, ზღვები გადმოვლესე,
სანამ შენთან მოვიდოდი,
ერთხელაც არ დავიკვნესე.

შორით თვალებს გიკოცნიდი,
ცის ლაჟვარდში ვსრიალებდი,
ვჭიკჭიკობდი, შეგამკობდი,
სულ შენ შემოგტრფიალებდი.

ცხრა მთა გზიდან მომავალი,
მოქანცული, მოღალული
დაბლა-დაბლა ვეშვებოდი,
შენ გეძებდა ჩემი გული.

აი, მოველ, დაგინახე,
გულში ია-ვარდი ვთესე,
ავჭიკჭიკდი უფრო ტკბილად,
ხმები გავიუკეთესე.

გეფიცები და-ძმობასა,
მხოლოდ ახლა დავიკვნესე,
არ გრცხვენია, უმიზეზოდ
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!

ტერენტი გრანელი

გაზაფხულის საღამო

გაზაფხულის საღამოა, მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

სული საზღვარს გადასცდება ფრენით,
ახლაც მახსოვს მისამართი შენი.

ცამდე სწვდება ღამეების სიგრძე,
რაღაც დიდი სიხარული ვიგრძენ.

წინ მეშლება მე ოცნების არე,
მიწის ცქერით დაიღალა მთვარე.

გაზაფხულის საღამოა, მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.



მორის ფოცხიშვილი

ალსარება

ხომ შეიძლება სხვა იცინოდეს,
შენ კი არადა არ გაგეცინოს,
ხომ შეიძლება დაგღალოს დღემ და
ლოგინზე მაინც არ დაგეძინოს.

ხომ შეიძლება გარდასულ დროთა,
გარდასულ დღეთა სხივზეც იღელვო,
სულ ერთი ჭიქა დალიო მაგრამ
დათვრე და დარდი ამოიმღერო?

ხომ შეიძლება გზა ვერ გაიგნო,
წყალში ჩადგე და მაინც იწვოდე,
ხომ შეიძლება მრუდედ ჩათვალონ
შენი ცხოვრების ყველა სისწორე?

თქმულს მკითხველები ვეღარ მიგიხვდნენ,
ცამდის მართალმა ვერ იმართალო,
სიბრძნის კოშკამდე ისე ახვიდე,
რომ უმეცრებმა გიჟად ჩაგთვალონ.

ხომ შეიძლება ლოცვას ისმენდე
და გულმა უფრო წყევლად ისურვოს,
ხომ შეიძლება სძულდე ვინმეს და
შენ ის ვერაფრით ვერ შეიძულო?

ხომ შეიძლება მთვარეს უცქირო,
სულში მზესავით ბრწყინავდეს ნისლი,
ხომ შეიძლება გიყვარდეს ვინმე,
მაგრამ არასდროს არ იყო მისი.

ხომ შეიძლება ვარსკვლავი ჩანდეს,
მერე უბრალო შუქი გამოდგეს,
ხომ შეიძლება ლექსს გიბეჭდავდნენ,
გიხაროდეს და არ გიხაროდეს.

მაგრამ რატომღაც გულშივე ვმალავთ
გულიდან ცივად დაძრულ წყაროებს,
მერე ეჭვები არ გვასვენებენ
და ცხელ ცრემლებად მოწანწკარობენ.

და მიდის ასე ცხოვრების ეტლი,
გრძნობ ამ ტაატში ყველა მგზავრია,
ჩვენს უკანასკნელ სადგურებს ველტვით,
გვიხარია და არ გვიხარია..

ხომ შეიძლება ეტრფოდე იებს
და ენძელებიც იქცნენ იებად,
გძულდეს და მაინც გიყვარდეს ძლიერ...
ეს ყველაფერი, ხომ შეიძლება?!

ჩვენი ფოთლის ეთნოლური პოეზია



ამირან ამირანაშვილი

ადამიანო

ადამიანო, გენიოსო, სამყაროს მეფევ,
უფლისგანა გაქვს ნაბოძები ნიჭი, გონება,
მაგრამ სატანას ყოველთვის შურს შენი მეფობა,
ყოველ წუთს ცდილობს, რომ დაგიხშოს ზეშთაგონება.

თუ სულს მიჰყიდი, მაშინ მონა გახდები მისი,
ეგ სულერთია ადამი ხარ, თუ მშვიდი ევა,
გაგათამამებს საცდურებით, ოქროთი, ვერცხლით,
ჯერ გაგამდიდრებას და მერე კი მთლად მოგერევა.

გაიძულებს რომ შეასრულო მიზნები მისი,
შენი ცხოვრების გაგრძელება გაგიჭირდება.
დაგცემს და გათრევს, გამოგაცლის ძალას, გონებას,
...და სამუდამოთ შთაინთქება შენი დიდება...

ბომჟად იქცევი, გალოთდები, გარდაიქმნები...
ვისაც ეტრფოდი, ის კი ამგვარს ვერ შეგიცოდებს,
ყველა ზურგს გაქცევს, ვინც გაქებდა, ვინც გადიდებდა,
ეშმაკის დევნა და ლოთობა გადაგიყოლებს.

დარჩები ასე, უპატრონოდ, ჭირის მძევალი,
უდაბნოს ხმელ ხეს ემსგავსები, ქარში მყოფელი.
სამწუხაროა, ვერ მოირგე შენი ცხოვრება,
ეშმაკის დევნით ვერ შეიგრძენ წუთისოფელი.

* * *

მზემ გამაოცა აღმოსავლეთში,
უზარმაზარმა გიზგიზა დისკომ.
ამოდიოდა სიცოცხლის წყარო
და სამყაროსთვის მოჰქონდა სითბო.

უპირველესად თბება ჰაერი,
პირველი კვებავს ცოცხალ არსებას,
და თბილი მიწა იძლევა საზრდოს,
ხალხი მადლს ვწირავთ ღვთიურ განგებას!

მზეს უმღერიან დილით მერცხლები,
ღამით ბულბული უგალობს სატრფოს,
დაათენდება ვარდის ტოტებში,
ღამენათევი შეხვდება მნათობს.

მშვიდი საღამო მიყვარს ზღვის პირას,
ცეცხლივით მზე რომ ჩაწვება ზღვაში.
გრილი ნიავი ყურს ჩაგჩურჩულებს
და დედის ნანას შეიგრძნობ ხმაში.

დალოცვილია მზე და სიცოცხლე,
მარადიულად ამოდის, ჩადის,
ეს ხომ მითია, ჩვენ გვეჩვენება,
ის დგას... სამყარო მის ირგვლივ დადის.

სიტყვა

სიტყვა ზოგჯერ არის სეტყვა,
ანადგურებს რასაც ხვდება.
შხამიანი სიტყვით ხშირად,
უამრავი კაცი კვდება.
მაგალითად სიტყვა „ცეცხლი“
აფეთქებს და ანადგურებს,
წვავს ყველაფერს რაც შეხვდება,
რასაც ამოითვალწუნებს.
ცეცხლს ჰგონია, არ ჰყავს მტერი,
მისი მტერი არის წყალი.
თავს ესხმის და მყისვე აქრობს
აღარ რჩება ცეცხლის კვალი.
ეხლა ვნახოთ წყალის მტერი,
ეს ხომ მზეა ცხელი, მწველი,
ამოაშრობს წყაროს, ღელეს,
უწყლოდ რჩება მთა და ველი...
მზეს ყინვები და თოვლი მტრობს,
ცდილობს, მაგრამ ვეღარ გვათბობს,
ღრუბლებიდან იჭყიტება,
სიდიადეს ვეღარა თმობს.
ზამთრისა და ყინვის მტერი,
ისევ მზეა, ცეცხლისფერი.
გაზაფხულზე აენთება,
ყინვას სცვივა სევდის ცრემლი.
მზე სიცოცხლის მომტანია,
მას შეჰხარის მთა და ველი,
ყველა სულდგმულს გაახარებს,
მისი სითბო, ოქროსფერი.

მადლობა, ღმერთო!

უფლის საფლავზე ვილოცე გულით,
ცეცხლის გამოსვლაც გავიზიარე...
ჩემი ქვეყანა ღმერთს შევავედრე
ღმერთო, სამშობლო გამიმთლიანე!

ახლა სავსე ვარ უფლის წყალობით,
ღვთისმშობლითა და წმინდა ნინოთი,
მეფე დავითი, მეფე თამარი,
მათი მადლით და მათი მირონით.

გამთეთრებია თმები ლოცვაში,
ვლოცულობ გულით, სრული არსებით,
ვემსახურები უთბილეს ქრისტეს
დაუზოგავი თავგამოდებით.

სამოცდათხუთმეტს გადავაბიჯე,
კვლავაც გუგუნებს ჩემი წირვები,
ჩხარელი ბაბუ მედგრად დავდივარ
და ჩემ სიბერეს ჯერ არ ვნებდები.

მადლობა, გულო, უბერებელო,
მადლობა, სულო, გაუტეხელო,
მადლობა, ჩემო ორთავ ხელებო,
სიკეთისა და მადლის მთესველო!

ადამის ძენო!

ადამის ძენო, თუ შეძლებთ,
სძლიოთ სამყაროს ვნებები,
უფალს მიენდოთ მთლიანად
და იხმოთ უფლის მცნებები.
ვეღარ გაცდუნებთ სატანა.
იქნებით მადლშემოსილნი,
საცდურს დაუხშეთ კარები,
გახდებით უფლის მორჩილნი...
სატანას თუკი განაგდებთ,
ზნეობით ცად ამაღლდებით.
წმინდათა ლოცვაც დაგიცავთ,
მუდამ,,მუსტანგად“ დარჩებით.
ეს ყველაფერი ძნელია,
დაეხსნა გარყვნილ სამყაროს,
დათმო ტახტი და დიდება,
ხორცს რომ მცირედი აკმარო...
თუკი გაუძლებ საცდურებს,
მოუსმენ ციურ გალობას,
მაშინ გწამდეს და ელოდე,
ზეციდან უფლის წყალობას.

ბერდიაკონი ნეოფიტე
გარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტერი
29 ნოემბერი, 2022 წელი.

ბიძაშვილები

მაინცდამაინც ზამთარში,
ქარში, ყინვაში, ავდარში,
ავშარდით ბიძაშვილები
ვერ გავიყავით წილები.

თავზე დაგვადგა პატრული,
თავისი გაკვეთილებით,
ბოდიშის მოხდით კარცერში
შეგვყარეს თავდახრილები.

კარი ჩაკეტეს რკინებით,
წესის გათვალისწინებით,
რა უნდა გვექნა, გავერთეთ
ჟანგების ჩამოცილებით.

ლოლუებს ვითვლით სარკმლიდან,
ვტკბებით ამინდის ცვლილებით,
ყინავს, ტკაცუნით სკდებიან
ფეხის თითების ფრჩხილები.

ვაი, იმ სუნთქვას, რომ ვსუნთქავთ,
ლოდებად გარდაქმნილების
და ისევ დავცხეთ ერთმანეთს
არცერთს არ შეგვრჩა კბილები.

ვიღაც მუტრუკი მოვიდა,
უფლების გადაცილებით,
რომ გადავურჩით, ხათრისთვის,
ჩამოგვირიგეს მწნილები.

ვერ გვაშინებენ ჩინებით,
არავის ვემორჩილებით,
თავს ვინუგეშებთ ცალ-ცალკე
მშველელის გამოჩინებით.

გაგვანაწილეს ცალ-ცალკე
წესების განაწილებით,
და მხოლოდ კედლებს ვუყურებთ,
არავის არ ვეცილებით.

ძლივს ადვოკატმა გვიშველა,
თავისი გამოცდილებით,
ჩამოვიბანეთ ტილები,
შევრგიდით დავარცხნილები.



მარგალიტის წვეთები

პაპაჩემის პაპას მივემსგავსე:
მე დავცალე ყანწი ღვინით სავსე
და წვეთები, მარგალიტის მსგავსი,
არამსმელებს დავაწუწე თავზე.

რაც წერია ბარაქაზე, ხვავზე,
შავით თეთრზე, ზოგი თეთრად შავზე,
ძველშავაზე, ხაშმის საფერავზე,
ხელის გულზე ერთად მოვათავსე.

ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს თასი,
ოჯალეშს და ჩხავერს შეუთავსე
და ხვანჭკარა ნუ გგონიათ კვასი,
თან რომ დაგაქვთ ბანკეტზე და ზღვაზე.

ვინც ხართ გოგრის ქერქის კმაყოფაზე,
ვარსკვლავები დაითვალეთ ცაზე,
ვინც არ იცის ოჩხამურის ფასი,
წავშალე და წითლად გადავხაზე.

სტუმარი მყავს, ვერ ვიცანი ხმაზე,
არ დალია, რა არ შევთავაზე,
მოუარე ისე და ხან ასე,
უსახელაურის თაობაზე.

ჩამოასხი, ნუ ხარ გაქცევაზე,
ახლოსაა ხელის გაწვდენაზე,
ციცქა, ხიხვი, ჭარაქი, თუ ქისი
და მანავის მწვანე შემიფასე.

სად იყავი, რომელ ორბიტაზე?
უკვე მარნის კარი გადავრაზე,
ღვინოს ვინც სვამთ ისე და ხან ასე,
ჭიქით ხელში, რომ დამდგარხართ გზაზე.

გადაჰკარით არ გაუშვათ შანსი,
უძრაობით მოგედებათ ხავსი,
გირჩევნიათ, რომ გატეხოთ ნავსი,
მე კრახუნა ოქროს ტახტზე დავსვი.

პაპაჩემის პაპას მივემსგავსე:
მე დავცალე ყანწი, ღვინით სავსე
და წვეთები, მარგალიტის მსგავსი,
არამსმელებს დავაწუწე თავზე...

გადარეული გურული

გადარეული გურული
მართლაც რომ უსაქმურია,
მისდღემჩი დგას და გაჰყვირის
„აჭიჭი ხომ არ გწყურია?"

აქეთ მელექედურია,
ზეით ჩოხატაურია,
ბახმარო ყველას დაჰყურებს,
ცხოვრება საამურია.

ქარშიც, წვიმაშიც რომ დგახარ,
მართლაც, რომ შესაშურია,
ჩამოდი კაც, გაერიე,
თუ ღვინო დაგიწურია.

მარცხნივ ალადასტურია,
მარჯვნივ ჩხაველის ჭურია,
ჩამოდი პწკალას მოგაწვდით,
ჩვენთან ყველი და პურია.

არ ეყურება, გაჰყვირის,
განა მამაპაპურია,
საერთოდ სიდოურია,
ვინ არის, ვისი მდგმურია.

რამდენიც გინდა, იყვირე,
ეგ შენი სამსახურია,
გაშობილაზე რომ დგეხარ,
ვიცით, რომ ჭკვიანურია.

ე, ბიჭო, ღამით გაჩუმდი,
დაღლილებს ძილი გვწყურია,
ჩვენ ნატვაპია კვერცხს ვესვრით,
ვინც ცოტა არკაცურია.

ჩვენ დასიცხულებს ვერ ვგუობთ,
სუფრასთან უგემურია,
არ გვესმის სიტყვებს ვერ ვიგებთ,
ნახევრად ქაოსურია.

რას სჩხავი, სად მოგვიწოდებ,
მაგან ხომ არ აურია?
თუ აურია, მაგისი
წამალი ან ყურია.

ქვა ხარ, თუ ქანდაკება ხარ,
რამ შეგაყვარა გურია,
და მაინც ვის უყვირიხარ,
გამაგებინე ზურია.

არქიმანდრიტი სერაფიმე (გოგი) ფილია
მღვდელთმსახური, არქიმანდრიტი.

მიხვდი, რომ ამქვეყნად მხოლოდ მისთვის მოხველ?...

თუ კი არ გინახავს დაჭრილი არწივი,
ანდა სიცოცხლით აღსავსე მისი მართვე,
მაშინ ერთს გეტყვი დანამდვილებით,
უნდა წახვიდე და მაგრად დათვრე.

უნდა წავიდე და ქვეყანას განუცხადო,
გულში დაფარული საიდუმლო გავცე,
ღმერთო, შემიწყალე მე, ცოდვილი,
გთხოვთ, თქვენც ნუ მიყურებთ ასე.

უნდა წავიდე და ახლიდან დავიბადო,
და ისევ ახლიდან დავთვრე,
მაცდური ვნებების, ფიქრების, გრძნობების,
სასმისი ხელთა მაქვს სავსე.

დავცლი! ...და ისევ კვლავ შევავსებ,
კიდევ ერთ საიდუმლოს გავცემ,
ღმერთო, შემიწყალე მე, ცოდვილი,
ბოლოდან პირველობა მამცნე.

ნუთუ არ გინახავს დაჭრილი არწივი?
მამის სიკვდილთან მებრძოლი მისი მართვე?
მივხვდი, რომ ამ ქვეყნად მხოლოდ მისთვის მოხველ,
რომ კვლავ დაეცე და ადგე?

გამომეცხადა გალაკტიონი

....(სიზმარი)

უძირო სულის ფსკერის ძებნაში
შემომათენდა და ალიონი
მეჯიბრებოდა გულის ძგერაში,
როგორც სიშლეგით მთვრალი რიონი.

ღამე, შიშველი მთვარის დევნაში,
შემოვატყავე ცის ამბიონი
და ანგელზის ხვთიურ სქემაში,
გამომეცხადა გალაკტიონი.

გაოგნებული შევკრთი ზეცაში,
თუმცა მიცავდა ცის მხედრიონი,
ფსკერი გამოჩნდა სულის მექაში,
ზარი ჩამოკრა მნათემ სიონში.

შემომაღამდა ლექსის წერაში,
მთვარემ დაიპყრო მზის ბასტიონი,
და მასთან ფარულ ჯვარისწერაში,
მარტო მტოვებდა მწირს მაყრიონი.

* * *

ისევ მყვირალა სიჩუმე,
და ხულიგანი ფიქრები,
მზეო, ამოდი ამაღამ!
მზეო, ამაღამ მჭირდები!

არაფრისმთქმელი სიმართლე
და გაყინული სიზმრები,
ღმერთო, მიშველე ამაღამ,
ამაღამ კვლავ წავიქცევი.

სიყვარულით მთვრალ ღამის მზეს,
მოვეფერები ფიქრებით,
ჯვარზე გამოკრულ სიმშვიდეს,
ღმერთო, ვერაფერს გპირდები!

როგორ მინდა, ვთქვა თუ რა მჭირს,
მაგრამ არ მყოფნის სიტყვები,
თუმცა არასდროს ლექსის თქმის,
არ დამიკარგავს იმედი.

როგორც დილიდან სიმთვრალე,
სევდად ქცეული ნისლები,
ისე დნებიან კალმის ქვეშ,
ყინულისფერი რითმები.

ისევ მყვირალა სიჩუმე,
და ხულიგანი ფიქრები,
ამაღამ ჩემთან გიგულე,
და გულში ნადებს გიყვები.

მზეო, ამოდი ამაღამ!
ამაღამ ნუ გამიწყრები,
შეგნატრი, ვსტირი, ვქვითინებ
და მაინც ლექსად ვიღვრები.

კალმით ფურცელზე სიურჩე,
ალბათ, რას ნიშნავს მიხვდები,
შენს საიდუმლო სიტურფეს,
რითმების მიღმა მივწვდები.

მზეო, ამოდი ამაღამ!
მზეო, ამაღამ მჭირდები!
ისევ მყვირალა სიჩუმე
და ხულიგანი ფიქრები.

ძალას, რომელიც აღმართებს არ ხნავს!

აპრილის დილის ხუჭუჭა ლაჟვარდს,
გაზაფხულის მზის სურნელი ახლავს,
და კვლავ გვიყვება თითქოსდა ზღაპარს,
თუმცა სიცხადეს მაინც ვერ მალავს.

კალამი ისევ თეთრ ფურცელს ხლართავს,
სიტყვას ბგერებით რითმებში ქარგავს,
რითმა ლექსებით მოგიძღვნით სალამს,
და მიუყვება ფიქრების აღმართს.

აღმართს, რომელიც ბევრ რამეს მალავს,
გუშინ ღირებულს ჩუმად რომ ფანტავს,
და ვერ ივიწყებს წართმეულ ნადავლს,
როგორც აპრილი განდევნილ ზამთარს.

ღმერთო! ნუ დალევ ამქვეყნად სამკალს,
და ძიებაში გადაღლილ მაშვრალს,
ჯერ მიუგნებელ სამყაროს სამარხს,
თავისუფლებას, სანატრელ ნანატრს.

სიტყვას, რომელიც იბრძვის და არ კლავს,
ძალას, რომელიც აღმართებს არ ხნავს,
სიცოცხლეს, სიკვდილს რომელიც მარხავს,
სიყვარულს, რომლის მწამს და თან არ მწამს.

აპრილის დილის ხუჭუჭა ლაჟვარდს,
გაზაფხულის მზის სურნელი ახლავს,
და კვლავ გვიყვება თითქოსდა ზღაპარს,
თუმცა სიცხადეს მაინც ვერ კრალავს.

თავისუფალი არჩევანი

დაგვიანებით,
მაგრამ მაინც იყოფა გზები,
ცხოვრების ტკბობით მთვრალი,
გზაჯვარედინზე ხვდები.
მარცხნივ ფართოა ველი,
მარჯვნივ ვიწროა ხევი,
“საით წავიდე?” – ისმის,
და მარტოდმარტო რჩები.
ღმერთო, მომეცი ძალა,
აზრთა და ფიქრთა ძლევის!
ვნებათა საშიშ ღელვის,
გველის, ქველის და ბრძენის,
პატივისმოყვარების,
ვითომდა ჩემი ხვედრის,
ღმერთო, მომეცი ძალა,
შენი დიდების ხედვის.
ყველა სიმართლე, ქვეყნად,
მხოლოდ სიყვარულს ერწყმის,
სიყვარულია ზეცა,
მიწა, სამშობლო, ჩვენი,
სიყვარულია, ყველას
ერთად იმედის ხედი,
ელის ამ დიად ზეცას,
მთელი ერიც და ბერიც,
მაგრამ რატომღაც მაინც,
ვთვრებით და კიდევ ვთვრებით.
მოგებულია ბრძოლა,
როდესაც მართლა ხვდები,
თუ როგორ იძირება,
ფიქრთა და აზრთა გემი,
გრძნობ, ისევ მარტო რჩები,
მაგრამ სულაც არ კვდები.
ღმერთი, მომეცი კიბე,
რომ ამოვიდე ზევით!
დავტკბე კიდევ და კიდევ
ჭეშმარიტების ცქერით,
იქნება მითხრას ვინმემ,
რომ გამოვჭერი ყელი?
ვერ მოვასწარი, მეთქვა,
ვრცელი სათქმელი, ჩემი.
მხოლოდ ერთსა გთხოვ, ღმერთო,
გამომიწოდე ხელი!
შენდობასა და შველას,
მე მხოლოდ შენგან ველი.
დაგვიანებით, მაგრამ
მაინც იყოფა გზები,
ცხოვრების ტრფობით მთვრალი,
გზაჯვარედინზე ხვდები,
მარცხნივ ფართოა ველი,
მარჯვნივ ვიწროა ხევი,
“საით წავიდე ?”– ისმის
და მარტოდმარტო რჩები.

ოცდამეერთე საუკუნის ჟამი იდგა

ოცდამეერთე საუკუნის ჟამი იდგა,
ქედმაღალი და თან მყვირალი,
პოსტმოდერნს გულის ცემა ჰქონდა,
არითმიით მრავალხმიანი.
რელატივიზმი სულს ღაფავდა,
უტოპიურ ცაში მზირალი,
ბოლოს კი მაინც ტყეში გადაბარგდა,
სამუდამოდ სულით ფირალი.
ფსევდოლიბერალს გულში ღმერთი,
საფიცარი და მარგინალი,
ისევ ტროცკი ჰყავს ერთადერთი,
ხატქმნილი და მირონმდინარი.
ოცდამეერთე საუკუნის ჟამი იდგა,
ქედმაღალი და თან მყვირალი,
არავინ იცის, თუ რა ღირდა,
ისევ სანთლით საძებარი ადამიანი.

ღმერთის გჯერა?

ღმერთის გჯერა?
არა,მე ის არ მინახავს,
ბავშვობაში სიზმარშიც კი
არასოდეს დამინახავს,
გაგონილა?
გჯეროდეს და გწამდეს, ვინც კი
არ გინახავს,
არა მჯერა, ვამბობ მართალს.
ერთხელ მაინც,
სადღაც, ცაში, შემთხვევით რომ
დამენახოს,
ვიწამებდი, თუ გინდ მერე სამუდამოდ
დამეკარგოს,
თუ გინდ მერე,
არასოდეს აღარავის დაენახოს,
სიცოცხლესაც შევწირავდი,
ისიც კი რომ დამეძრახოს.
ასეთია ჩვენი არსი, თვისებები და ბუნება,
რაც არ გინდა, მას ვერ ხედავ, არ გსურს მისი გაგონება,
ასე ხდება ვნებით, გრძნობით, თვით გონების დამონება,
სიმართლის და სინამდვილის სადღაც ცაში აორთქლება,
არსებობა მხოლოდ ყოფით და ცხოვრების გაორება.
გული, თუნდაც მოყვარული, როცა მას არ ემონება,
სანახავად მას ვერ წვდება, ვერც ფიქრი და ვერც გონება.
საიდან და სად იწყება სიცოცხლე და სად ყოვნდება?
თუ გინახავს, ღამე რისთვის ტოვებს ზეცას და თენდება,
სიყვარული როგორ ჩნდება ჩვენს გულებში და მეფდება,
როგორ ხდება, რომ უყვარხარ, შენც გიყვარს და არ გბეზრდება?
როცა გული სატრფოს კარგავს, სუნთქვა როგორ შენელდება,
არსებობა მის გარეშე არც გინდა და არც ხერხდება.
არ გინახავს?
მაშ მითხარი, რომ არავინ გეყვარება,
ანდა იქნებ შენს სიტყვებში ოდნავ ეჭვი გეპარება,
იქნებ ეხლა აქ იწყება უარყოფის შენანება,

ჯვარზე ჩვენთვის შეწირულის დანახვა და შეყვარება,
გჯერა, ვინც კი არ გინახავს? მჯერა მწამს და მეყვარება,
ვფიცავ დედას, დღეს დაიწყო სიყვარულის შეყვარება.

თავისუფლებით შეწუხებული

უკიდეგანო სამყაროს გზები,
სადღაც ყოველთვის იკვეთებოდა,
ვდგევარ წვიმაში და არ ვსველდები,
აზროვნება კი არ მნებდებოდა.
მზე ყოველ დილას ცისკრის გალობას,
მთვარესთან ტრფობით ემალებოდა,
განთიადი კი ჩემს ლექსთა თხრობას,
დილის ნამივით ელოდებოდა.
ასეც ხდებოდა, მთვარე ვარსკვლავებს
ღამის საფარქვეშ ვეღარ წვდებოდა,
სული სიცოცხლით გაუმაძღარ დღეს,
დრო და სივრცეში ეპრანჭებოდა.
სადღაც ვიღაც კვლავ იბადებოდა,
სადღაც ვიღაც კვლავ ისევ კვდებოდა,
სიყვარულის ცეცხლს, ასეც ხდებოდა,
ვიღაც შორიდან
ეფიცხებოდა.
სულის სირღმეში ხმელი
წიფელი
მიწას ფესვებით
ეფერებოდა,
ჯვარზე გაკრულის ბოლო
სიტყვები
იმედად გულზე
მეფინებოდა.
თავისუფლებით
შეწუხებული,
გონება,s თითქოს აღარ
ცხრებოდა,
ცნობიერების მიღმა
ცხებულის,
უკვდავ წიაღში იკარგებოდა.
უკიდეგანო სამყაროს გზები,
სადღაც ყოველთვის
იკვეთებოდა,
ვდგევარ წვიმაში და არ
ვსველდები,
აზროვნება კი არ
მნებდებოდა.

სიმართლეს რა უშნო სახე ჰქონია

ლამაზი ქალები....
ბანკის ვალები,
ძვირფასი თამბაქო, ჰაშიშ ნარევი,
რეალობას რომ იცი, აცდები,
მაგრამ სულ მთვრალი დაიარები.
ლამაზი თვალები...
ვილები ბარები,
სვეცკი პარები და ისევ ვალები,
კვლავ კოკტეილი კოკაინ ნარევი,
რატომღაც მგონია ხაფანგში გავები.
რატომღაც მგონია რომ ერბო ქონია,
სიმართლეს რა უშნო სახე ჰქონია,
ვღრიალებ: "მიშველეთ,
სადა ხარ, ბროლია?"
(მომხედეთ მწოლიარს),
ერბო ერბოა, ქონი ქონია.
უეცრად ვხვდები, რომ მშობლები მყოლია,
არ გაგიკვირდეთ, სამშობლო მქონია,
უსაფუარო სიცოცხლე ცომია,
ღმერთო მიშველე! ღმერთიც მყოლია.
მოვკვდი მგონია... მოვკვდი მგონია,
სიმართლეს რა უშნო სახე ჰქონია,
ლეკვი ლომისაც არასწორია,
თუკი ჰგონია, რომ ერბო ქონია.
წუთები მიჰქრიან ხვალიდან ხვალამდე,
მერწმუნეთ, არც ისე ძალიან შორია,
როდესაც იმეფებ სიკვდილის კარამდე
და მერე მეფობა უბრალოდ ჭორია.
სიმართლეს რა უშნო სახე ჰქონია,
ვხვდები მგონია, ვხვდები მგონია,
კარგ მთქმელსაც კარგი გამგები ჰყოლია,
ოდესღაც სადაღაც გამიგონია.

ვერ დაივიწყებ ვერასდროს ამ დღეს.

(აღსარება)

და მერე, როცა სულში დამალულს,
კვლავ ტყვედ შეიპყრობს გონება სათქმელს,
გული ატეხავს უწყვეტ ბაგაბუგს
და სინამდვილე სიყალბეს ამხელს.
(ცნობიერება ყოფიერს ამხელს)
უმალ შეიგრძნობ რაღაც არნახულს,
აქამდე უცნობ, საამურ წამებს,
და გადამალულ სულში საგანძურს,
ძღვენად მიართმევ სამყაროს გამჩენს.
გამოღვიძებულ სულში გაზაფხულს,
მიიღებ, როგორც სანატრელ სასჯელს,
და გადაიხდი უმალ საფასურს,
ვერ დაივიწყებ ვერასდროს ამ დღეს.
ამ დღეს, როდესაც სხვისი აღარ გშურს,
თუმცა ცხოვრება სიცოცხლეს არ წყვეტს,
ჯვარცმულს, მოკლულს და ზეცად
აღმართულს,
რომელიც ყველა ბორკილებს ამტვრევს,
და მერე, როცა სულში დამალულს,
კვლავ ტყვედ შეიპყრობს გონება სათქმელს,
გული ატეხავს უწყვეტ ბაგაბუგს,
და სინამდვილე სიყალბეს ამხელს.

დრო მიდის

დრო მიდის, სათქმელს ვერ ვამბობ ლექსად,
ვერც ყველა კამონს მივიღებ წესად,
ყველა ბრძოლის ველს ვუყურებ ცერად,
როცა სიყვარულს მიიჩნევ შველად.
დრო მიდის, ფიქრი გაურბის ქცევას,
მორალი ზნესთან კოცნას და ხვევნას,
გონება ვითომ გმირების ძერწვას,
ოცდაათ ვერცხლად გაყიდულ ღმერთკაცს.
დრო მიდის, ფიქრი სცილდება ზეცას,
იმედი სულის სიღრმეში ელავს,
მარტოობაში სისავსე წრეს კრავს,
და ვემსგავსები ცხოვრების მძევალს.

დედმამიშვილობა

დედმამიშვილობა, დარჩენილი ეულად,
დამსგავსებია წისქვილს,
უთქმელ ფიქრებს ეს ცხოვრება გრძნეულად
ცრემლად მიფქვავს მოგონებას, იმ დღის.
დედმამიშვილობა მარტოობად ქცეულა,
სიტყვის გარითმვა მიმძიმს,
პარალელებს ვავლებ მაგრამ შვეულად,
ვეკამათები სიკვდილს.
დედმამიშვილობა შენს გარეშე, სნეულად,
დამსგავსებია ტკივილს,
ცხრაგრამიან ტყვიამ ასე ველურად,
გაგიმეტა..... უშენობა მიჭირს.
დედმამიშვილიბა ჩემი შენთან ხვეულად,
დამსგავსებია იმ გმირს,
წუთისოფელს რომ დარჩება რჩეულად,
სიყვარულში ჩამარხული სიტყვის.

კვლავ შეგახსენებთ ერთ კარგ თქმულებას

კვლავ შეგახსენებთ
ერთ კარგ თქმულებას,
ყურს ნუ დაუგდებთ ხალხნო
ცთუნებას,
დიდების, ვეღარ გავნებს, ცრუ ნება,
თუ შეიყვარებ თავისუფლებას.
წუთისოფელში მუდამ ტყუვდება,
ყოფიერი რომ გტანჯავს ბუნება,
ცნობიერიც კი გადახუნდება,
როცა არჩევანს არ აქვს უფლება.
სული დაიწყებს გულის მხილებას,
სამართალს ძებნა რომ დასჭირდება,
მთავრდება იქ, სადაც კი იწყება,
ეს აღუქმელი
ჭეშმარიტება.

შიშველი სევდის აბრაკადაბრა

მახსოვს, სიზმარში მომიყვა ერთმა,
როგორ დატოვა იღბალი ბედმა,
გონების გულთან შეხვედრა შესდგა,
ასე ინება უფალმა ღმერთმა.
წუთისოფელი თუ როგორ შეცბა,
შიშველი როცა იხილა სევდა,
ღამე დაწერილს წვავდა და ხევდა,
და მერე ისევ ახლიდან წერდა.
დრო და სივრცეში მომინდა შეჭრა,
სინამდვილესთან სიზმარში შერწყმა,
გამოღვიძებულს რატომღაც შემრცხვა,
შიშველი სევდა გვერდით რომ მეწვა.
ლექსმა ბორკილებს დაუწყო მტვრევა,
გულმა კი ისევ სიყვარულს – ძებნა,
ისევ ატეხეს ფიქრებმა ჭრელმა,
შიშველ სევდასთან კოცნა და ხვევნა.

ბალზაკისეულ პროზით თრობაში

მარტი წვიმებით მალავს საფიქრალს,
ჩუმი ყინვების გულისწყრომაში,
და კვლავ გვიყვება ღამის თეთრ სიზმარს,
დილა მშვიდობით უწყვეტ თხრობაში.
თუმცა ვერ აღწერს გულით საფიცარს,
ვერანაირი სიტყვა წვდომაში,
თავისუფლება როცა არ გიცავს,
სრულყოფილების მუდმივ ხმობაში.
გადაინაცვლებს გული ყოფიდან,
უძირო სულის ფსკერის პოვნაში,
ქარიშხალი (სიყვარული) კი ლექსთა
წყობიდან,
ბალზაკისეულ პროზით თრობაში.
მაინც ველოდი უთქმელ გარიჟრაჟს,
თვალზე შემშრალი ცრემლის პოზაში,
ვიცი მოვა და ჩუმად გამიყვანს,
სცენიდან სცენის მიღმა ლოჟაში.

ყოფიერებას გამოქცეული

ყოფიერებას გამოქცეული,
ორად იყოფა ჩემი ბუნება,
თავისუფლებით ალმოდებული,
მინგრევს გონებას ყოფის ცდუნება.
ბევრჯერ განცდილი და შესწავლილი,
სადღაც რატომღაც მაინც რთულდება,
სულის აბრაგად ტყეში გაჭრილის,
ძნელია მუდამ გადარწმუნება.
როცა, სამყაროს, ღიაა კარი,
გულის ჭიშკარი კი იხურება,
არყოფნამ ყოფნას დაადგა თვალი,
და არჩევანიც თითქოს უქმდება
(და მიწევს მისი ცრემლით სხურება)
წუთი სოფელის ცნობიერებით,
მაშინ სხვაგვარად იწყებ ყურებას,
და ვერ გაძღები მისი ფერებით,
უძღები შვილი რომ დაბრუნდება.
მიუღწეველი გონით დიდება
მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ვლინდება, ,
როცა ვერ წვდები ჭეშმარიტებას,
სული კი ძებნით აღარ იღლება.
ყოფიერებას გამოქცეული,
ორად იყოფა ჩემი ბუნება,
თავისუფლებით ალმოდებული,
მინგრევს გონებას ყოფის ცდუნება.

შიშველი მეფე

(Король та не настоящий)

სიამაყის ეშხით ვნებულს,
ვეღარ გიხსნის გზამკვლევი,
მახინჯს სულს და დაბრმავებულს
შიშველს გხედავს მნახველი.
ცრუ ვნებებით გაღმერთებულს,
არ გასვენებს გამჩენი,
გაშიშვლებულ-გამხეცებულს,
გეწოდება კაცთმკვლელი.

შემოდგომაზე დათვლი წიწილებს

ჩემს სულს არასდროს არ აქვს სიმშვიდე,
ვიღაცას ეძებს სული ყოველთვის,
ჯვარზე გაკრულა სრული სიწმინდე,
სულის ფსკერიდან მიხმობს რომელიც.
რომ გაზაფხულიც მალე მოვიდეს,
და გამოაღოს გული მთხოვნელის,
კმაყოფილი რომ დარჩეს ორივე,
დამკარგველი და თუნდაც მპოვნელი.
მაშინ სიკვდილსაც უმალ ივიწყებ,
თუმცა არ იცი, თუ რა მოგელის,
ლექსის წერაში რომ დაიძინებ,
და გეღვიძება ლექსის მორევში.
სული გონებას რომ გაუღიმებს,
თავისუფლების შემაცნობელი,
შემოდგომაზე დათვლი წიწილებს,
სრულყოფილებას როცა მოელი.
ჩემს სულს არასდროს არ აქვს სიმშვიდე,
ვიღაცას ეძებს სული ყოველთვის,
ჯვარზე გაკრულა სრული სიწმინდე,
სულის ფსკერიდან მიხმობს რომელიც.

რწმენა იმედი და სრული სიყვარული

მოვა გაზაფხული, რწმენა გამართლდება,
თუნდაც დაცლილი და პატივშელახული,
გულში გაიღვიძებს, მაინც ამაღლდება,
ჯვარზე გამოკრული, თვალით არნახული.
ისევ გათენდება და კვლავ იავარდებს
რწმენა იმედი და სრული სიყვარული,
და ამ უგუნური, ვითომ სიამაყეს,
მაინც ჩაანაცვლებს სიბრძნის სინანული.
ვინმეს არ ეგონოს, ასე დამთავრდება,
წუთის ამ სოფელში ლხინი, გამართული,
კაცი სიყვარულში ვეღარ განათლდება,
ხელში გალესილი მახვილაღმართული.

ცოდვათა ვალში.

შუაღამეა, მთვარე ჩუმად,
ნაზად იწვის სიბნელის ალში,
უძილო ღამე კვლავ იმარჯვებს,
მარტო ვრჩები ფიქრების ზღვაში.
გული გონებას სამართალს თხოვს,
ვნებებს ბრალს დებს ღალატის ცდაში,
სული კი ცდილობს, რომ გაიქცეს,
აგვიანდება თითქოსდა სახლში.
დრო თითქოს სივრცეს ემიჯნება,
მთვარე არ თმობს პირველობას და ღვინის სმაში,
ნუთუ ეს ღამეც ასე გავა,
სევდიანი წუთების თვლაში.
შუაღამეა მთვარე ჩუმად, ნაზად
იწვის სიბნელის ალში,
უძილო ღამე კვლავ იმარჯვებს,
მარტო ვრჩები ფიქრების ზღვაში.

ფიქრი და გონება

ფიქრი და გონება ყოველთვის რატომღაც,
არ ცხრება გაურბის ცხოვრების სარკოფაგს,
და მერე ყოველთვის საყვედურს გამოთქვამს,
როდესაც არ მიგყავს კოსმოსთან საომრად.
მყარ სუბსტანციაში ყოფას და რაობას,
ფენომენალური სამყაროს მთავრობას,
გონება ყველაფრის აღმქმელი უარყოფა,
ვერ ითმენს და ეძებს ყოველთვის სხვაობას.
სული კი ამ ფსევდოშინაარსს არ ცნობდა,
სამყაროს საზღვრების გარღვევას ლამობდა,
სრულყოფილ სიყვარულს არაფრით არ თმობდა,
და ისევ ჯვარცმულის სიცხადე ათრობდა.
ფიქრი და გონება ყოველთვის რატომღაც,
არ ცხრება გაურბის ცხოვრების სარკოფაგს,
და მერე ყოველთვის საყვედურს გამოთქვამს,
როდესაც არ მიგყავს კოსმოსთან საომრად.

ცხოვრების მარხილი
(რექვიემი)

როცა ცხოვრების მარხილი
ყოფით ხვედრს არ აიოლებს,
თავისუფლების აჩრდილით
ბევრი ვაჟკაცი იომებს.
სული, გრძნობებით გზახსნილი,
აღარ დაითვლის ჭრილობებს,
თუმცა, ტკივილით განცდილი,
ცრემლი თან ახლავს გმირობებს.
როცა ცხოვრების მარხილი,
აღარ დაეძებს იოლ გზებს,
სიყვარულისგან გზავნილი,
სიკვდილს სიკვდილით იოკებს.
გული, ბუნებით მარტვილი,
გვერდს ვერ აუვლის ჭიუხებს,
სინდის-სნამუსის სამხილი,
დროსა და სივრცეს იმონებს.

გაზაფხულის მოტივაცია

მინდა გაჩუქოთ ეს დილა,
ჩუმად მყვირალა ფიქრებით,
გადახსნილი მაქვს მაჯები,
სისხლად მაინც არ ვიცლები.
მინდა გაჩუქოთ ეს ზეცა,
მზე ღრუბლები და ნისლები,
მარტმა ლაგამად ამომდო,
აფეთქებული კვირტები.
მინდა გაჩუქოთ ეს გული,
დაჭრილი, შურისძიებით,
ფიქრი, ჩანჩქერად მჩქეფარე
და სიყვარული იებით.
მინდა გაჩუქოთ ეს მთვარე,
ვარსკვლავთა ღამის ციებით,
მარტი, დაღლილი აპრილთან,
მუდამ ალერსის ძიებით.
მინდა გაჩუქოთ ეს დილა,
ჩუმად, მყვირალა ფიქრებით,
გადახსნილი მაქვს მაჯები,
სისხლად მაინც არ ვიცლები.

მიტოვებული პატარძალი

(უკრაინის ომი. შეშლილი, შეშლილი სამყარო)

დაწანწალებდა ტყვია მაკე,
და მშიერი ქუჩის ძაღლივით,
წუთისოფელი მიღიმოდა მწარე,
შუბლზეძარღვგამწყდარი მამაძაღლივით.
წუთისოფელი, ვნებით სავსე,
კმაყოფილი, მეძავ ქალივით,
მეფერებოდა, როგორც მავნე,
მიმზიდველი ამორძალივით.
კაენი აბელს, როგორც ადრე,
ყელს გაჭრის და სიზმარივით,
ვნებად დაჭკნება ვიცი მალე,
მოწყვეტილი სველი ვარდივით.
ჯვარზე გაკრული დავინახე,
განწირული ჩვენგან, კრავივით,
გულში ტკივილი დავიმარხე,
გონიერი ავაზაკივით.
დაღონებული ვნახე მთვარე,
შეუვალი ეკალ-ბარდივით,
გულჩათხრობილი ტირის ღამე,
მიტოვებულ პატარძალივით.
დაწანწალებდა ტყვია მაკე,
და მშიერი ქუჩის ძაღლივით,
წუთისოფელი მიღიმოდა მწარე,
შუბლზეძარღვგამწყდარი მამაძაღლივით.

დედას

თითქოს და გამწყრალან მდუმარედ,
ზეცას აწოწილან ფიჭვები,
ობლად დარჩენილი მწუხარედ,
ძველ ნაცნობ ტროტუარს მივყვები.
შენ ისევ ჩემთან ხარ და ისევ,
ჩურჩულით იმ ზღაპარს მიყვები,
ცრემლიანს ალერსით მამშვიდებ,
თუმცაღა ხანდახან მიწყრები.
იღვრება ფურცელზე ლექსებად,
ცრემლით გაჟღენთილი სიტყვები,
ლექსებში მიგაგნე რითმებად,
გამიგებ და ალბად მიხვდები.
თითქოს და გამწყრალან მდუმარედ,
ზეცას აწოწილან ფიჭვები,
ფიქრებში ჩემთან ხარ მუდამდღე,
თუმც მაინც უშენოდ ვიზრდები.
სიცოცხლის სულ ბოლო წუთამდე,
წინსწრებით, ო, როგორ მჭირდები!
სიკვდილსაც შევხვდები, უდარდელს
და მერე სულ შენთან ვიქნები.
შევხვდები განთიადს სულ მალე,
(ტირილსაც შევწყვიტავ სულ მალე)
აღარ დამცინებენ ბიჭები,
შენს სიყვარულში ყურამდე
ჩაფლული ვქრები და ვინთები.

ტერენტი

სიყვარულს ლექსი ალერსად ერწყმის,
და არ მგონია, იყოს ზედმეტი,
როცა ცრემლიან თვალებით მღერის,
სადღაც სტრიქონებს მიღმა ტერენტი.
შიშველ ღამეზე შიშველი ცრემლი,
არც ნაკლებია, მაგრამ არც მეტი,
როცა სიკვდილის მზადდება გრდემლი,
და შესრულდება ღამის თერთმეტი.
წუთი სოფელში დამეძებს მელის
ფიქრი, ყოველთვის, როგორც ხორცმეტი,
ანგელოზია, ლექსში რომ კვნესის?
არა, ძმობილო, კვდება პოეტი!
ყოფნა-არყოფნით ვერაფერს შეცვლის,
სიკვდილ-სიცოცხლე, ხელში ბერკეტით,
ლექსად გარდაცვლილს ლექსადვე ელის,
სულად ქცეული ლექსში ტერენტი.

წუთი სოფელს როგორ მისდევს.
(სიყვარულზე შეყვარებულს)

ვერის აღმართს მივუყვები
გულის ძგერით, ღია ცის ქვეშ,
მთვარესაც კი ვერ ვუყვები
უთქმელობით ნატანჯ ფიქრებს.
ფიქრებს, გულში შემონახულს,
სევდანარევ სულის სიზმრებს,
გულში ჯვარზე სიტყვად გაკრულს,
და გამომკრთალ მასში სიბრძნეს.
ვერის აღმართს მივუყვები,
და ვიხსენებ ისევ იმ დღეს,
ხან ვაქებ და ხან ვუწყრები,
შეუპოვარ დროს და სივრცეს.
თან ჭაღარაშემოპარულს,
ვგრძნობ, სიბერე როგორ მიჭერს,
სიყვარულზე შეყვარებულს,
სულს სამყარო ვეღარ იტევს.
ვერის აღმართს მივუყვები,
და ცხოვრების ჟღერად სიმებს
ვაკვირდები და ვრწმუნდები,
წუთს სოფელი როგორ მისდევს.
ალბათ დიდხანს მოვუნდები,
მივაღწიო მე იმ სიღრმეს,
მაგრამ როცა დავბრუნდები,
ვიცი შევცვლი ამ თეთრ რითმებს.
ვერის აღმართს მივუყვები,
გულის ძგერით ღია ცის ქვეშ,
მთვარესაც კი ვერ ვუყვები,
უთქმელობით ნატანჯ ფიქრებს.

მაშინ დადგები უმალ ყირაზე

ხანდახან როცა ავხედავ ზეცას,
ასე მგონია, დახატულია,
ფიქრი მონობის საკეტებს ლეწავს,
თავისუფლება როცა გწყურია.
როცა ვერ იჭერს ფიქრებს გონება,
გული ვნებებით დახუნძლულია,
ამაო ხდება თითქოს ცხოვრება,
და სინამდვილე არასრულია.
ვიღაც გაწუხებს, ვიღაც გეძახის,
ვიღაც უცნობი თითქოს სრულიად,
ზღაპარს გიყვება, თანაც საძრახისს,
რაც დიდიხნის წინ ბევრჯერ თქმულია.
თითქოს ვიღაცას ქვეცნობიერით,
სულის წიაღში ღრმად გაუვლია,
და შეგახსენებს, რომ არჩევანით,
თავისუფლება განწირულია.
შეცდომებს ისევ შეცდომა მოსდევს,
გამარჯვებების სიაც სრულია,
გონება დროში ჩამარხულ შორეთს
ალერსით ამცნობს, რომ წარსულია.
მაშინ რა არის ეს სინამდვილე,
რომლის გაგება ასე რთულია?
სიყვარულია! თუმცა სამიზნე,
მიუღწეველი და ფარულია.
და ბოლოს ხვდები, რომ ქვეყანაზე,
ადამიანი მარტო სულია,
მაშინ დადგები უმალ ყირაზე,
და შენს გარშემო გაზაფხულია.

მაყვალა გონაშვილი – პოეტი
მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

სიყვარულის მასწავლებელი

მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ ბედი ქართლისა,
ლოცვით და ცრემლით აგივსიათ სიბრძნის სალარო,
რადგან თქვენ მყავხართ, მზის ნათელი ადგას ჩემს მამულს,
სამოციქულო ეკლესიის მამამთავარო.
როდესაც ერი ირწეოდა, ვითარც ლერწამი,
თქვენ გვაფრთხილებდით, ნუ აჰყვებით შეშლილ ქარებსო,
ერის ტკივილის ბეჭედი ხარ, სიწმინდის მცველი,
ბრძენო კეთილო, უწმინდესო, უნეტარესო.
მეც ბევრჯერ მსაჯეს, თვალში ბეწვიც არ შემარჩინეს,
ბევრჯერ ეს გული, ნაწამები, სევდით ამევსო,
მადლობელი ვარ ნუგეშისთვის, მწყემსო კეთილო,
ღირსო მამაო, უწმინდესო, უნეტარესო.
ჟამს სიძულვილის თქვენ სიკეთის გვასწავლით ანბანს,
გიყვარდეთ მტერი, ნუგეში ეც მგლოვიარესო,
შენს გზას მივყვებით, სიყვარულის მასწავლებელო,
ერის მოძღვარო, უწმინდესო, უნეტარესო.

ქალი სახელით

მითხრეს:
„გრცხვენოდეს, როგორ გხურავს თავზე ჰიჯაბი,
პატივს არ სცემო წინაპართა წესებს, ადათებს“,
მითხრეს:
„მორჩილი უნდა იყო“,
დამაჭრეს ფრთები.
მითხრეს:
„ამაყად ნუ გვიმზერო“!
ჩინი წამართვეს.
მითხრეს:
„ლამაზო, სამკაული მოგიხდებაო”,
სისხლის ვარდებით მომიჩითეს მთელი სხეული.
ზნეობის მცველი – ქონდაქარი მიმზერდა ავად,
„კიდევ დაჰკარით“, – გაჰკიოდა ჟინმორეული.
სექტემბრის ზეცა გადაფარეს თითქოს ყორნებმა,
წამერთო ძალი, მომერია თვალებზე რული,
„გეყოფათ-მეთქი“, – კვნესად დასცდა გამშრალ ბაგეებს,
ვთხოვდი: – „გაჩერდით“, არ გაჩერდნენ,
გაჩერდა გული.
ღრუბლის ჰიჯაბი მოისროლა მზემ და ატირდა,
სილურჯე ღამემ მთვარის ცელით შავად მოცელა,
მერე სითეთრემ გადაშალა ის მრუმე ფერიც,
თეთრმა – საწყისმა ყოვლისა და ყოვლისმომცველმა.
გაჩერდა გული, თუმცა მისი ნება-ძახილი,
ისე, ვით ექო, გადავიდა ქალიდან ქალში
და დედამზემაც მოიკვეცა ოქროს დალალი,
როგორც ალამი, მწუხარების, გაფინა ქარში.
გახსოვდეთ, მახრა ამინია ჩემი სახელი,
რაც იწერება სისხლით, იმას ვერავინ წაშლის.

დიდებას ეძებ

სიმშვიდის მკერდზე თავმიდებულს
ვინღა შემრისხავს?
ხალხის ყაყანმა გადაფარა,
ღმერთო, შენი ხმა.
დღეს არვინ ესვრის დაღლილ პოეტს
დაფნას ან ტყვიას,
ერის ღირსებას და სიწმინდეს
ღრმა ძილით სძინავს.
ერთ თეთრად ფასობს თავდადება,
რწმენა, მორალი...
...და მაღალ ტახტზე თავს იწონებს
მეფე – დოლარი.
იცვლება ჟამი,
არ იცვლება ქვეყნად არცა – რა,
დიდებას ეძებ?
უნდა იყო ცოტა ცანცარა.
არჩევნებიდან არჩევნების
ვცხოვრობთ ლოდინით,
სიტყვა “სანამდის?”
გულზე გვაწევს, მძიმე ლოდივით,
როს ერის მამას ლაზღანდარა
დააყრის სიცილს,
მე როგორ ვიყო შუაკაცი
ცისა და მიწის?
უდაბნოს შინა მღაღადებლად
დარჩა ჩემი ხმა.
ყრუ სამყაროში ვინ განმკიცხავს,
ვინღა შემრისხავს?!

ათასმეორე ღამე

სამსალანარევს რად სვამ შარბათს ყოფის ჯამიდან,
მის ფსკერზე როდი ილექება ჩვენი წარსული,
მუდამ თან დაგვდევს, როგორც სისხლის ჯადო-შელოცვა
თვალის უპეზე ნემსის წვერით ამოკაწრული.
ქალს ეძებდი და ჩამოგემსხვრა ნეკნი, მრავალი,
მარცვლე ამაოდ ვარსკვლავების კრიალოსანი,
ყური დამიგდე, დავამღერებ ისეთ ბეითებს,
რომ გაოცდება დუნიაზე ყველა მგოსანი.
რით განუგეშო? ხომ გაკმიე სიტყვების საბრი?
შენთვის ვაკვნესე, ავატირე უდი და ჩანგი
და როგორც ღამის ფარფალია, თუმც შიშით ვკრთოდი,
სანთლების შუქზე, ფრთებგაშლილი, თამამი ვჩანდი.
მომენდე გულით, საუკუნო როდია ჭმუნვა,
წარმავალია მწუხარებაც სიხარულივით,
მე კი მრავალი ღამე სიტყვის გასვი ბადაგი,
მუცლით მეზღაპრედ გადავიქეც შენი გულისთვის.
ზეცის ზეწარი გავშალე და მოგესურვილე
და წუთით მაინც დაგავიწყე წუთისოფელი,
იქნებ მომენდო და დამინდო და დამებედო,
რადგან ცხოვრება იფრითია დაუნდობელი.
რომ არ მოგეკალ, წყაროსავით გიკლავდი წყურვილს,
ღამე წიგნივით ვფურცლე, ვფურცლე და არ გათავდა,
მე კი გავთავდი, დავილიე, როგორც სანთელი,
სანამ მზე ზეცის ლურჯ მინდორზე ამოთავთავდა.
გაქრა შიში და ტანჯვის გზებით მეწვია სიბრძნე: –
გრძნეული ქალი ააცეკვებ ავსულს, შეითანს,
თუკი იპოვე ცხოვრებაში შენივე თავი,
თუკი შესძელი, თავი შენი თავად შეიცან...
თუმც ყველა ქალი როდი არის ღირსი დანდობის,
თუმც ყველა კაცი ერთგულების როდია ღირსი,

რად უნდა ქება ბრძენს, ისედაც არის ქებული,
ბოროტს სასჯელად ბოროტებაც ეყოფა თვისი.
სხვა რაღა გითხრა, ისეც ბევრი სიტყვა დავხარჯე,
კმაყოფილი ხარ ათასერთი ღამით ძლეული.
სიტყვის პერანგი ჩაგაცვი და სიტყვით მოგნუსხე,
ჩემი ხარ მთელი სულითა და მთელი სხეულით.
მე კი კვლავ მაკრთობს ათასერთი ღამე – გიშერი,
ცაზე ხმალივით კრთოდა მთვარე, ვერ ვიძინებდი,
უკვე მომენდე და ალაჰიც ვეღარ გიშველის...
ათასმეორე ღამე დადგა შურისძიების!

მოშაირე – ფინთი გოგია

სულ მოსაჩვენად ვმღეროდი,
ვითომ ვილხენდი, ვლაღობდი,
ცრუ წუთისოფლის თონეში
კუტი პურივით შავღონდი.

ჩვენი მთავრობის ცვლილება
ჰგავს კახურ შაირს თუ არა,
რამდენი ვირიც ვიყიდე,
ყველა გამოდგა კუანა.

მღეროდა ფინთი გოგია,
ფანდურს ჟღრიალი გაჰქონდა,
ვინ რა ჩინ-მედლებს აჰყრიდა,
ან დასაკარგი რა ჰქონდა?

ქიზიყში ობლად გაზრდილი,
იყო უტეხთა გორისა
და ცაზე, როგორც მტევანი,
მწიფდა მზე, შემოდგომისა.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი და ჟურნალ,,ათინათის“ მთავარი რედაქტორი.

სულის წალკოტი

თქვენ არ გეტკინოთ
გული არავის,
მე ისეც ვიცი, არ მომირჩება.
დავრჩებიასე,სევდისკარავი,
სანამ სიცოცხლე,
გადამირჩება.
გააცამტვერეთ, უიმედობა,
გაიზაფხულეთ,
სულ რომ ციოდეს,
ყველამ შეირგეთ,
ტკბილი დედობა,
სახლიდან
კვამლი ამოდიოდეს.
სიმდიდრე
მხოლოდ შვილებია და...
შვილიშვილები,
სულის წალკოტი...
სიხარულია მამიშვილები,
ფეხშიშველა
რომ ერთად დარბოდით.
თუ გადავრჩები,
უკვე არ ვიცი,
ვცდილობ, ვაჯობო
დროის ვამპირებს...
ფიქრით კვლავ
ჭრელი კაბა ჩავიცვი
და ბედთან ბრძოლას,
ისევ ვაპირებ!!!

სხვა გაზა არც დამრჩა

სხვა გზა არც დამრჩა, ღრუბლებს გავსერავ,
მზეს მივწვდები და სხივს ჩამოვიწევ...
ასე მწადია, ახლა, ამჯერად,
რომ იმედები სულ არ გამიწყრეს.

ჩემი ცრემლებით ია ამოვა,
იით იწყება, თვე, გაზაფხულის,
ტყეთა კვირტები ერთად გამოვა
და თავისთავად მოვა ზაფხული.

მერე?... ისევე ჩავირთვლიანებ
და არ მოვწყდები ხის ფოთოლივით,
ყველა სხივს ერთად გავამთლიანებ,
გზებს არ მოვტკეპნი, მწირ-ობოლივით.

ბოლოს?... ვიქცევი ნაძვის ხის ფესვად,
ჩემით ისუნთქეთ სუფთა ჟანგბადი,
ჩემს სადღეგრძელოს, მტერო, შენც შესვამ,
მე ზედაშე ვარ, სუფთა ბადაგის!

კვირტდაცვენილი

გაუშლელ კვირტებს სევდის ფერი გადანაცვრიათ,
ვაზი ატირდა იანვარის მწუხრის ცრემლებით,
ხალხს სისხლიანი სამოსელი ტანზე აცვია,
საქართველოა გლოვის ცელით მონაცელები.

გარდაცვლილთათვის ნათლისღების კარი გაიღო,
მათ სამოთხეში დაიმკვიდრებს მარადისობა,
მკვლელმა ცოდვები, სამწუხაროდ, ბევრი წაიღო,
მის სულს ზეცაში მოსვენება არ ეღირსება.

კვირტდაცვენილო საქართველოვ, მოგისამძიმრე,
ტირიხარ, ჩემო, როგორ ვიყო პირმომცინარე,
ო, იმ შეშლით დედამიწაც დამძიმდება და
დავდარდიანდი ამ ამბიდან გამომდინარე!

მოვალ საშველად

დედაბუნებამ დამამადლა სიკეთის თესვა,
ენას სულ ვეტრფი, მამული მიყვარს ზღვა
ლურჯი ფერით,
"მრავალჟამიერ" უნდა ვთქვა და სასმისი შევსვა,
მე სიყვარული შემიძლია სხვა არაფერი.

მე შემიძლია გულდაჭრილის გაჯანმრთელება,
შეგეხმიანოთ, თქვენი გული თუ არ მაისობს,
ოღონდ შვილს დედა ნუ იტირებს, ნუ იცრემლება,
წუხს დედამიწაც, ვეღარ იტევს, გვამით გაივსო.

დედამ სიკეთე ჩამილაგა ჩუმად უბეში,
თეთრ ტიტებივით გაიზარდა სულის სამშვენად,
დღე და ღამ ვფიქრობ, მოგეფეროთ,
გითხრათ ნუგეში,
თუ გაგიჭირდათ, დამიძახეთ, მოვალ საშველად.

ჩემი ვალია

არსად შემცდარხარ, რატომ გგონია,
ანდა მოლიე წუთისოფელი,
ცხოვრება დიდი ბრძოლის ველია,
ცა და მიწაა განუყოფელი.

რატომ გგონია ზეცა შენია,
მნათობს დაარქვი შენი სახელი,
აქ ეს ცხოვრება განაჩენია
და ნუ გგონია ნაპირს გახვედი.

ჩემი ვალია, რომ შეგახსენო,
კაცურკაცობის ერთი მისია:
გარდაცვლილები უნდა ახსენო
და ვინც წავიდა, განა სხვისია.

მყარად რომ დგახარ, პაპის ფესვია,
ნაკადულები დედის ცრემლია,
როცა შენს მამულს გულში ესვრიან,
შენნაირები მაშინ შველიან.

სხვისი შიმშილი უნდა გტკიოდეს
გალაქტიკაში როცა დაცურავ,
ბეწვის ხიდზეც რომ გადადიოდე,
სხვაც გაიყვანე მამაკაცურად.

* *

ვმდუმარებ ისე, ვით წყალში თევზი,
არ ვიცი ვინ ხარ, უფლის ხატებავ,
დიაცი გავხარ იმ მამალ ვეზირს,
მეფეს რომ ჭკუით აღემატება

ჩემი გულის ოთახში ჩასახლებული ნატვრა

ბარაქა და სიყვარული ყველა ოჯახს,
გაასმაგდეს, ერთგულება ქართველებში,
მე გაჩუქებთ ჩემი გულის ყველა ოთახს,
გამტანობა იყოს ისევ კახელებში!
სიცოცხლეა, სულ თითებზე დასათვლელი,
გაივლიან შეუმჩნევლად ყოფნის წლები,
გათვლილია, კიბეები ასავლელი,
ძველებურად მასპინძლობდნენ იმერლები!
ან რა არის გასაყოფი, ვის რა მიაქვს,
რას ღრინავენ, მიკვირს, ბევრჯერ მურიები,
ყური უგდეთ, მოჩურჩულე ლამაზ ნიავს,
ნუ ფიცხობენ, ერთმანეთთან გურულები!
რა იქნება, გავიტანოთ ერთმანეთი,
გულს მიჯიჯგნის მწარე ბედით ისეც წლები,
ასს ჯობნიდა, ქართულ გენის ვაჟი ერთი,
,,დიდოვ ნანას,, ღუღუნებდა მეგრელები!
რა იქნება, დაიჯეროთ, ერთხელ მაინც,
ფულს არა გთხოვთ,
მხოლოდ ერის ერთგულებას,
ველოდებ ფაცაფუცით ლამაზ მაისს,
არ იტირონ ჩემი ფიქრის გუგულებმა!

გული და უფალი

გულში ხარ, უფალო, არსადაც არ გეძებ,
სანთელიც ჩემს გულში ინთება სიწმინდით,
შენს იქით სიცოცხლეს, უფალო, ვერ შევძლებ,
გთხოვდი და ყოველთვის ლუკმას შენ მიწვდიდი.

მიყვარხარ, უფალო, იმედით შეგცქერი,
იმდენი მომეცი, სულს რომ არ შიოდეს,
გათენდეს, დაღამდეს, დღე-ღამე ზღვისფერი,
ჩემს გავლილ ბილიკებს, მადლი რომ სდიოდეს.

დედის ლოცვა

სიყვარულით დღის აისებს შეხვდით,
გულის ტკივილს მხოლოდ გრძნობა შველის,
ერთგულებით ერთურთს შეაბერდით,
გაიშლება მარადმწვანე ველი.

მიგასწავლით ჩემს გაკვალულ ბილიკს,
მე გავკაფე გზები, ეკლიანი,
თქვენ ამ გზაზე თუ სიწმინდით, ივლით,
წინ შეგხვდებათ ტყე, სულ წიფლიანი.

მომავლისთვის რა არ გადვიტანე,
რომ სწორი გზით მიაღწიოთ მიზანს,
სიბერის დროს წყალი მომიტანეთ,
ჯერ მხნედ ვარ და...
ტვირთსაც ჩემით ვზიდავ!

ლოცვა დედისა სანდოა

დილით მზე ნაბიჯებს მოზომავს,
სხივებით მიწას ეკვრება,
დადგება ნიკოლოზობა,
მზეც გზაზე გადაგეყრებათ.

გულში აანთეთ სანთელი,
და გრძნობა ააგალობეთ,
ბილიკს არ გაყვეთ გათელილს,
ქალი რომ ისევ ქალობდეს.

ნიკოლოზობას დაგლოცავთ,
ლოცვა ეს სულის საზრდოა,
სხვამ თუ ქარივით გამოგცრათ,
ლოცვა დედისა სანდოა.

შენი ხატი

ათინათის ყველა ნომერს შენი
ხატი იცავს, ვითარც ღვიძლი შვილი,
ყველა ნომერს ისე ნაზად შვენის,
თითქოს გულზე არის ამოსული.

მზედ ბრწყინდება ხატით ათინათი,
ეფერება განურჩევლად ყველას,
მე დავუთმე გულში დიდი ფართი
და ამ რწმენამ დარდი შემინელა.

ნინოობას მივულოცავ ყველას,
საქართველოს, ჩემს ქრისტიან შვილებს,
არც ვიკადრებ მტრისთვის შურს და წყევლას,
გულის სითბოს ერთად ვანაწილებ.

ხვალ უწმინდესს იუბილეს ვუხდი,
ხატის ძალას შევავედრებ წმინდანს,
მომეც ძალა ღმერთო, ბრძოლის მუხტი,
რადგან გულში თოვდა, ხანაც წვიმდა.

ცაში წასულ ნინოების სულნო,
იზეიმეთ სათნოების სახლში,
აქ იებად, ვარდათ ამოსულნო,
ახლობლები რად დატოვეთ დარდში.

ნინოებო, ნინოს მადლმა თქვენში,
დაივანოს სამუდამო რწმენით,
არ გენახოთ დარდი თავის დღეში,
და არ შეგხვდეთ (მწუხრი) განაჩენით!

იღბალი

გაგიკვირდებათ, მაგრამ ასეა,
განსხვავებული იღბალით ვცხოვრობ.
თვალები გლოვით, ცრემლით სავსეა,
არადა დღისით, ღამითაც ვშრომობ.
დავრგავ ვარდებს და ისევ მე მჩხვლიტავს,
პურს დავთესავ და იქცევა ეკლად,
ვითმენ, რას ვიზამ, ყველაფერს ვიტან...
სხვებს ჩემნაირი არ მოხვდეს ელდა...
ბევრი ბარტყებიც დავაფრთიანე,
დედა ვარ, უფლის მავედრებელი...
სიტყვით არავინ დავაზიანე,
გული გავხადე რკინის კედელი.
ვერ გავიმეტე მტერიც ცუდისთვის,
მე ვერ ვიკადრე უკადრებელი,
არ გავბოროტდი ფულის გულისთვის,
კვლავ ღმერთს შევთხოვე სავედრებელი!
მტკივა, მეტკინა ყველა ტკივილი,
მაინც სიკეთის, ღვთის გზა ვირჩიე,
არ დამიწყია სხვებთან ტირილი,
სიცოცხლე ჩემით გადავირჩინე.
ჰქონდეთ ქონება, მილიონები,
მე კი ჩემს ლუკმას გავყოფ ნაწილად,
არაფერს, სხვისგან, არ ველოდები,
მგელი, გლეჯია, არ ვარ ნამდვილად.
მზად ვარ, გავუძლო, ამას, ყველაფერს,
ოღონდ იბარტყე პურის ჯეჯილო,
დროს ველოდები, ჩემთვის შესაფერს,
მტერი არ მინდა გავაჯეჯილო!

სულის წყურვილი

როცა უფალის გწამს, ისე გჯერა,
როგორც იცით, რომ დღე რომ დღე არის,
უიმედობამ თუ გაგაჯერათ,
მაშინ დარეკეთ სამრეკლოს ზარი.

დღეს შობა არის და ჩაიფიქრეთ,
აგისრულდებათ ყველა სურვილი,
აუგი სიტყვა გადაიფიქრეთ,
დაგიამდებათ სულის წყურვილი!

დროის გამოცდა

ღირდა სიცოცხლე იმ დღის წუთისთვის,
ზამთრის ყინვებო, აპრილდებოდი;
...და თუნდაც ერთი ამოსუნთქვისთვის,
ყველას სიყვარულს დავპირდებოდი.

თვალს ვადევნებდი დროის გამოცდას,
აზვირთებული ბედისწრის ღელვას,
ფიქრმა დარდები სულმთლად გამოცრა,
ცამ ცისარტყელად აქცია ელვა.

განირჩეოდნენ, ვით დღე და ღამე,
გული მღეროდა გრძნობის არიას...
ღმერთო, რა თბილი დღე დამიღამე,
დიდი-პატარა ერთად არიან!

მთამ ჩასძახა

მთის გორაზე მთვარე ზლაზვნით ამოგორდა,
გააშუქა ღელეები მისევდილი...
ძირულა კი გაშმაგებით გამორბოდა,
თითქოს იყო, უცხო მხრიდან მოდევნილი.

მთამ ჩასძახა: "ასე ჩქარა სად გარბიხარ,
დამშვიდდი და დააწყნარე ეგ ტალღები,
შენ კი, მზეო, მწვერვალებზე რად დადიხარ,
შენი ასე მცხუნვარებით, მეც გავხმები."

მთვარემ ოდნავ გაუღიმა მიწიერებს,
ხმის ჩურჩულით, სულ სიმშვიდით რჩევაც მისცა.
ნახეთ გლეხი, ფესვებს როგორ აფხვიერებს,
უშეცდომოდ ერთგულებაც დაამტკიცა.

მაშ სად გარბის ეს ძირულა გაშმაგებით,
ემატება სიძულვილის ნაკადები,
მიწიერნო, რწმენის გზას თუ დაადგებით,
წმინდა სულით, უფალს შვილად ჩაბარდებით!!!

არ უღალატოთ

თუკი გინდათ, რომ სული გიცხონდეთ,
ნუ გაუსინჯავთ სხვის თაფლს გემოსა,
ახლა ზამთარი ამოიცოხნებს,
ბუნებას თეთრი კაბით შემოსავს.
ზამთარსაც მინდა გაზაფხულივით,
ლურჯი კამკამა ქოლგა ეხუროს,
ღრუბელმა ახალ დანიშნულივით,
გულის მინები აღარ შემუროს.
გიყვარდეთ ის, ვინც ამის ღირსია,
გულს სიყვარულის ცეცხლი დაანთეთ,
თქვენ შეასრულეთ ერთი მისია,
ცოლი ალერსით, კოცნით დაათვრეთ.
თუ ქალს უყვარხარ არის წყალობა,
გაგაფუფუნა ღმერთმა სიმდიდრით,
სიამაყეა ამორძალობა,
რომც მოინდომო, ვერსად იყიდი.
მამაკაცებო, ვინც გინდა იყოთ,
თბილ- ტკბილ კერიას რამდენი ნატრობს,
ცრუპენტელებმა არ გაგაბრიყვოსთ,
შვილების დედას არ უღალატოთ.
მინდვრის ყვავილი გზად წამოკრიფე,
კრძალვით მიართვი ერთგულ მეუღლეს,
რით გაახარო, მუდამ იფიქრე,
საყვარლისათვის ცოლს ნუ შეუღრენ!

*. *. * *
როცა მიყვარს ჩემი მუხა, რკო მოსხმული,
როცა ასფალტს მირჩევნია მიწა,
რად მაქვს გული ბედისწერით გამოხრული,
დარდი სხეულს ნეტავ რატომ მიწვავს!

არ დამიშალო

იმედს დავეძებ, საით გაქრა, სად მიმალულა,
დღე არ გავა, რომ არ მახსოვდე გულის არაკო,
ახლაც ფიქრები, შვილო, შენთან გამოპარულა,
არ დამიშალო ლექსებით რომ გელაპარაკო!

დედა გულნაზი

ვფიქრობ, ისევე იმ გზას მივსდიო,
სადაც სურნელი ასდის ბუნებას,
თვალიდან, ცრემლო, აღარ იდინო,
თორემ ურემი გასდაბრუდება.

დედა გულნაზი არ შეიცვლება,
და არც გავხდები სხვისი ლაქია,
სული კი ერთ დროს გარდაიცვლება,
ვერავინ იტყვის ჩემზე, ახია.

მეცოდებიან, ვინც ვერა ხვდება,
რომ სიყვარული რა ძვირფასია,
წაიქცევა და კვლავ ფეხზე დგება,
ტანს გამძლეობის კაბა აცვია.

პოეტის ფესვი

ვიცი ცაში იზეიმებ ბეჟან,
გიორგობა რა ლამაზად ჟღერს,
მითხარ, ძმაო, ზეზე ხარ თუ წევხარ,
შენი ბიჭის დაბადების დღეს.

ოცდარვა წლის დააქვრივე ნელი,
ღრმა პოეტმა დაგვიტოვე ფესვი,
ლაშა მამას ბავშობიდან ელის,
ლაშას მამავ, თვითონ იყავ ლექსი.

მივულოცე გიორგობა ლაშას,
შენგან ობლად დანატოვარ ფესვსს...
დღეს არ ვტირი, ცრემლი თვალში გაშრა,
შენი ვაჟის დაბადების დღეს.

დაბადებას მოგილოცავ ლაშა,
მოგილოცავ გიორგობის დღეს,
სამი შვილით გული აკაშკაშდა,
შენ აცოვხლებ პოეტ მამის ფესვსს.

მე მჯერა შენი

ვახტანგს სხირტლაძეს

იცხოვრე ისე, რომ სიყვარულით,
გააცისკროვნო მთელი სამყარო,
სილამაზით ხარ დახატული და...
შენი მამიკოს ფუძის ნაყარო.

რაგბი – ეგ შენი სულის კრედოა,
ცეკვას შერწყმია, ვით წყალი თევზებს,
გული კამკამა, საიმედოა,
მუდამ სიკეთის ბილიკებს ეძებს.

შენი მამიკო დამოგზაურობს,
უფალმა იხმო მხნე და ძლიერი,
და თუ ეს ბედი აურზაურობს,
მე შენი ნიჭით ვარ ბედნიერი!

ბალბის ყვავილო

ყვავილო, დუმ და მითხარ , რა გინდა,
დაქალებივით ვდარაჯობთ ღამეს,
სიჩუმის ვარსკვლავს ვესტუმრეთ შინ და...
არ დაგათენდეთ, ცა გვითვლის წამებს.

ბალბის ყვავილო, დაგრგე, გაგზარდე,
მაგრამ ვარდივით ნუ იბდღვრიალებ...
შენი ყვავილი გაშლილა ადრე,
ძირს დასაცვენად უკვე წრიალებს.

რატომ სულსწრაფობ, გაზაფხულდება,
შენც სხვებთან ერთად გადაბდღვრიალდი,
თორემ ურემი გადაბრუნდება,
და სამუდამოდ ჩაგფლავს წყვდიადი.

მაშინ არავის გაახსენდები,
არადა ყინვით ბევრჯერ გაცივდი ...
დაბეჩავდები, შემიშინდები,
რომ ვერ გიშველო, ამას განვიცდი!

ო, რა მკაცრი ვარ ზოგჯერ!

იშვიათია, თუმცა
ო, რა მკაცრი ვარ ზოგჯერ,
ბედს ვაქცევ ნაცარტუტად,
სულ სახრით გამოვროზგე.
მე სანთლის ალიც მათბობს,
რწმენასთან ერთად მძინავს,
ვხათრობ და ისიც მხათრობს,
ვიცი, რომ არ გამყინავს.
ხალხში ბოროტი სჭარბობს,
სიკეთეს ფეხით თელავს,
მე მუდამ სხვებზე ვდარდობ,
და არც ვიკადრებ წყევლას.
მტკივა, რაც ყველას გტკივათ,
არა ვარ დარდიმანდი...
შევკრავ თქვენ დარდსაც ტივად,
თუ ფეხი არ დამადგით!

ტანს კვირტად გამოაყარა

ფიქრი ფიფქებია ფარფატა,
ფიქრი ზღვაზე დიდი ცრემლია,
ფიქრებს აბა როგორ დახატავ,
როცა არსად აღარ გელიან.
კარზე გაზაფხული ჩამოდგა,
ფიქრით გამოვუღე კარები,
ისიც სევდიანი გამოდგა,
მეგონა, გავახარებდი.
ხან ლექსი მივუძღვენი და...
ხათრით ღიმილიც კი ვაჩუქე,
ბედი დადიოდა ღრენით და...
აჯობებს, ისევე გავჩუმდე.
გაზაფხულს იმედი ვაპკურე...
თვალი ფოთლებივით დახარა
დარდისგან სულ ვერ განვკურნე,
ტანს კვირტად გამოაყარა.

ბედისწერავ

გელოდები, ისე როგორც დილის ცისკარს,
დამიმშვიდე შფოთიანი დაზამთრება,
მე ხომ ყველას შვილებივით გულში ვიკრავ,
ეს სიკეთე რატომ მხვდება წარმართებად.
გელოდები, ნუთუ ერთხელ არ მეკუთვნის,
ბედისწერავ, რომ მეწვიო სახლში სტუმრად ...
თუ სხვის ტკივილს მოვარჩენ და გულს შევფუთნი,
ამიხსენი, შენ რატომ ხარ ჩემთან უბრად.
გელოდები, ბედისწერავ, გამახარე,
ჯვარს გაკრული ჩემნაირად არვინ არის,
ქარი დაძრწის, ძველებურად დახარხარებს,
საიმედოთ შემომიღე დილით კარი!

ღამემ დამცინა

ღამე მითვლიდა უძილო წამებს
მთვრალი კაცივით ამაბარბაცა,
მეგონა, ახლა დავწერდი რამეს
განსხვავებულ აზრს, სიბრძნით რაღაცას.
ბილოს ვიფიქრე, ვილოცებ ისე,
რომ დარდმა აღარ გამაცამტვეროს,
ღმერთმა მათხოვარს იმდენი მისცეს,
სიმდიდრით ძმა რომ არ გადიმტეროს,
მივედ-მოვედე ალთას და ბალთას,
მაინც არაფრით არ დამეძინა,
გადავიღალე ძალიან, მართლა,
რად არ გძინავსო ღამემ დამცინა.

არ მცალია

*

არ მცალია, ფიქრის დროსაც დავისვენო,
ვფრთხილობ, წლები წელში რომ არ გადამიტყდეს...
ჩემს მომავალს დავითობა გავახსენო,
რომ მამული არასოდეს დაავიწყდეთ!!!.

განა ტყუილს გიყვებით

განა რამეს ვამატებ,
განა ტყუილს გიყვებით,
ნეტავ ხელი არ მომტყდეს,
მოხტუნავე ციყვებით.
თუ შემხვდება ჭინკები,
სევდიანი ზამთარით,
ჩემი გოგო- ბიჭებ
დასაცავად მზად არის.
ამ ჩემს შექმნილ კარავში,
მზე და სიყვარულია
მჭადიც ცხვება, ლავაშიც,
შოთი სულ კახურია.
იჟღურტულეთ, ჩიტებო,
მოღუღუნე მტრედებთან,
ქართვლის გოგო-ბიჭებო,
თქვენს მთებსა და ხედებთან.
ვლოცავ ერის მოყვარულთ,
სამშობლოს რომ იცავენ,
დავგმობ იმ გულს, სატანურს,
მართალს როცა კიცხავენ.
ამ ჩემს ხელში გავლილებს,
მტერი ვერ ეკარება...
ჩემს მკვლავებზე დაღლილებს,
დედა მიეფერებათ!

ლომისის ხატთან

უიმედობის წვიმის ძანძარში
კოვიდმა მოკლა ძმა, როგორც დევი...
კეთილ მამაომ ლამაზ ტაძარში
მიმიღო წმინდა დაძმური კდემით.
საგვარეულოს ხატთან მაკურთხა,
ლოცვა-ვედრებით აუწყა უფალს,
დააო ჩემი, უფალს უთხრა და...
წამს სიხარულით შემეკრა სუნთქვა.
ხუთი ძმის ნაცვლად მიხმო მამაომ,
მაკურთხა დად და მომეცა ძალა,
ასე დაღამდა ტკბილი საღამო,
უიმედობას მე უკვე ვკრძალავ!

მიყვარს... ვუყვარვარ...

მახსოვს, ჰო, მახსოვს, რწმენით მოვედი,
მამა გაბრიელ, შევეხე საფლავს,
მადლშემოსილი უკან მოვბრუნდი,
ღვთით, ასე მოხდა რწმენით და მართლა.
ამამეტყველე ლექსების ენით,
იჩეკებიან გონის ბუდეში,
მამა გაბრიელ, ეს ხდება შენით,
ლექსია ჩემი დარდის ნუგეში.
მას შემდეგ ვცხოვრობ რწმენის იმ სახლში,
სადაც სიმდიდრე მხოლოდ ლექსია,
ჩავიფუფქები გრძნობების ალში,
პატარძალივით, როგორც წესია.
მიყვარს... ვუყვარვარ
ლექსს, უფლის გზავნილს,
არ ვღალატობ და არც ის მღალატობს,
ამ დიდ სიმდიდრეს შენ მე მიგზავნი,
ამაზე მეტი რაღა ვინატრო.
გარდამეცვალნენ ძმები და შვილი,
ყველაზე ადრე მეუღლე, დედა,
ლექსია ჩემთვის შვილივით ტკბილი,
გულის ტკივილებს ლექსებით ვკვებავ.
ლექსით ვიძინებ, ლექსით ვიღვიძებ
და ლექსით ვხვდები დილის ალიონს,
ლექსების გრძნობით გული ძიგძიგებს,
ლექსებთან მინდა სული დავლიო!

დედა შვილობა

რა უნდა დაწერო, ან რა უნდა თქვა,
ასეთ დიდ გრძნობას ვერ არქმევ სახელს,
პატარა როცა აღუს წარმოთქვამსს,
პატარა როცა თვალებს გაახელს!

ირაკლი ნადარეიშვილი – სამართლის
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
დაბადების ადგილი – ქ. თბილისი

ანანია

მზეს ვერ დაინახავ მხოლოდ მიწის ცქერით,
თავი წამოსწიე მაღლა, ანანია!
ვარსკვლავს ვერ იხილავ ცაში მოკიაფეს,
რადგან ოცნებები მთვარეს აბარია.

ღიმილს ვერ იპოვი ასე, თავდახრილი,
აჩრდილთ ძიებაში, მენდე, არა ყრია,
სხვისთვის ცოდვა-მადლის მუდამ მოკითხვაში
სულს ვერ გაილაღებ, ჩემო ანანია.

დროს ვერ გაუსწრებ და არ ღირს მისი ათვლა,
შრომა უნაყოფო, ფუჭი, არამია
მიწა მხოლოდ მაშინ, ალბათ, თანაგიგრძნობს,
როცა ჩაგიხუტებს გულში, ანანია.

ცოდვა საკუთარ თავს უნდა მიუტევო,
კმარა, რაც აქამდე უტყვად გინანია,
თავი წამოსწიე, ზეცას გაუღიმე,
სხივი აირეკლე თვალში, ანანია.

ღრუბელს დაურახტე უზანგ-უნაგირი,
ოხრად დარჩეს ყველა, რაც კი სანანია,
იღბლის მაწყევარი, მენდე, დამიჯერე,
ღმერთსაც ეზარება, ჩემო ანანია.

მზეს ვერ დაინახავ მუდამ მიწის ცქერით,
მტვერში ოცნებები არსად არა ყრია,
შვებას ვერ იპოვი დარდში თავჩახრილი,
ფრთები წამოსწიე, ფრთები, ანანია!

ახლა სულერთია

მწყინდა, განვიცდიდი, ბოლოს მივეჩვიე,
ახლა სულერთია, ზურგს თუ შემაქცევენ,
ახლა სულერთია, ფეხს თუ დამიდებენ,
ახლა აღარ ვნაღვლობ, როდის წამაქცევენ.

ახლა ამერია უკვე სათვალავი,
აღარ ვიმახსოვრებ რიცხვებს ღალატისას,
ახლა აღარ მიკვირს ქვეყნად არაფერი,
ახლა გემებს ვაწყობ, ოღონდ ქაღალდისას.

სევდის ოკეანე უნდა გადავსერო,
იალქნებად ვშალო თეთრი თაბახები,
ახლა სიმარტოვე უნდა გავაღმერთო,
უნდა მოვილოცო აზრთა სანახები.

ახლა ჩემი ჯერი დადგა შებრუნების,
ახლა მოუთმენლად ზურგის ქარი მელის,
მინდა აბორდაჟზე მუზა ავიყვანო
და კაპიტნად რითმა – ჩემი ყინულმჭრელის.

უნდა დავეწაფო სიტყვას გაუფილტრავს,
უნდა დავამსხვრიო ეჭვის ფიალები,
ამღვრეული ვნების ტალღებს განვერიდო,
უნდა დავუკემსო ნერვებს იარები...

უნდა შევაქციო ზურგი მთელ სამყაროს,
რადგან იგი მხოლოდ გესლის ნაერთია,
მწყინდა, განვიცდიდი, ბოლოს მივეჩვიე,
ახლა ვინ რას ფიქრობთ, ჩემთვის სულერთია.

დ უ მ ი ლ ი

მოვა დრო, პასუხად დუმილი მექნება,
დუმილი ყვირილზე ხმამაღლა მგრგვინავი...
და, თუკი სიტყვებმა დღეს ფასი დაკარგა,
დუმილით გახდება ეს გული მგმინავი.

დუმილით შევანგრევ აღმართულ ზღუდეებს,
დუმილით შევხვდები ცხოვრების ღვარცოფებს,
დღეს, როგორც არასდროს, სიტყვები მარისხებს
დღეს, როგორც არასდროს ბგერები მაცოფებს!

და, თუკი სიტყვებით ვერავის ვარწმუნებთ,
სიტყვები სუსხავენ გულსა და გონებას
სიტყვები ძარღვებში სისხლს როცა ამღვრევენ,
მე დუმილისაკენ ავირჩევ სწორებას!

დუმილით შევხვდები ბოდიშს და მადლობას,
დუმილში ჩავკარგავ წყენას და იარებს,
და, თუკი სიტყვებმა კვლავ დაიგვიანა,
ვიცი, რომ დუმილი არ დაიგვიანებს.

დაკარგეს თვისება ამაო სიტყვებმა,
ფიცმაც კი სიტყვებით დაკარგა ხარისხი,
ნუ მკითხავ ნურაფერს, ნუ მეტყვი,,გაამოს!“
ეგ ღვინო უჩუმრად, დუმილით დამისხი

დუმილით დავლოცავ ჩემ წილად დასალოცს,
დუმილით შევხვდები წყევლას და გინებებს,
სიტყვები დღეს როცა გულ მუცელს წამლავენ
და ვიღაც სიტყვებით სისინსაც ინებებს...

მე მხოლოდ დუმილი მექნება პასუხად,
დუმილი ღრიალზე ხმამაღლა მყვირალი,
დუმილით შევაღებ მე სულის დარაბას,
დუმილით ვიქნები ზეცაში მზირალი!

სიტყვებმა ფასი დღეს იმდენად დაკარგა,
იმდენად დაეცა დღეს სიტყვის ხარისხი,
არ მინდა ბოდიში და აღარც მადლობა...
ეგ ღვინო უჩუმრად ერთხელაც დამისხით.

მე – მეს

ყველა მიზეზი მაქვს, შეგიძულო,
მაგრამ ახლა უფრო მებრალები,
ასჯერ სათქმელით და ვერ ნათქვამით,
დილით სარკეში რომ მემალები.

ყველა მიზეზი მაქვს, გაგემიჯნო,
ნიღაბმორგებული მეზარები...
ახი კი იქნება, მიგატოვო,
მაგრამ საღალატოდ მენანები.

ყველა მიზეზი მაქვს, განგერიდო,
დარჩე სადარდებლად ყოფიერის,
აზრის – ,,დავარცხნილის“ ანაბარა,
სიტყვის – გაფილტრულის, ზომიერის.

ყველა მიზეზი მაქვს გასაქცევად,
დამრჩე უჩემობით ნახელები,
რადგან არ დაარქვი ყველას მისი
რაც კი ეგებოდათ სახელები.

ყველა მიზეზი მაქვს გაგერიყო,
დროის დინებაში თანგაყოლილს,
შეშის ნაჭერივით მოტივტივეს,
ამა ქვეყნისადმი გადაყოლილს.

ყველა მიზეზი მაქვს შეგიზიზღო,
ფრთები აგიჩეხო, ნაფერები,
ყველა ემოცია გაგიშეშო,
რაც კი დაგრჩენია საფერები.

ყველა მიზეზი მაქვს შეგიძულო,
მაგრამ უჩემობით მებრალები,
ასჯერ სათქმელით და ვერ ნათქვამით,
დილით სარკეში რომ მემალები...

რატომ და რისთვის

სიყვარულს – რატომ? არ დაესმის, სამშობლოს-რისთვის?
ღალატს – იმიტომ! არ ამართლებს ჩემთვის, თუ სხვისთვის,
არც მოწყალება იწყალობებს, თუ,,მაგრამ“ ერთვის,
დანაყვედრები მოწყალებაც ცოდვაა, ჩემთვის.

თუკი სიმართლეს სიცრუესთან დააფენთ ფერხთით
და თუ სიბილწეს, ერთხელ მაინც, ტაშისკვრით შეხვდით,
რაც მოგადგებათ ენაზე და უზნეოდ გეთქმით,
თავისუფლება თუ ღირსების გადავლად გესმით.

ორიოდ სიტყვა, მომიტევეთ, ალბათ, მეც მეთქმის
და ნუ შემაწყენთ თავს ხსენებით კაცის და ღმერთის,
ვერ შევიცვლები, ასე მწამს და მე ასე მესმის,
ბოროტებასთან რევერანსიც ცოდვაა ჩემთვის.

სისხლის სუნს დრო და ხელის წმენდა ვერასდროს წაშლის,
გულში ჩარჩენილ ნაიარევს სიტყვები არ შლის,
არც სისასტიკე ირეცხება წვიმით და სეტყვით,
არ დაუჯეროთ „ესეც გაივლის“– თუ ვინმე გეტყვით.

თუ ყარს სხეული, ვერ დაფარავთ სუნამოს მოსხმით,
ენის ტარტალით, მჯიღის ცემით, ან ფუნჯის მოსმით,
ეკალი ვარდად ვერ იქცევა ყვავილის მოსხმით
და ვერც ჭაობი ილივლივებს ტალახის მოხსნით.

წყლის ამღვრევაც კი უმიზეზოდ უცხოა ზღვისთვის,
მუდამ მაჭრობა, ვერ მიღწევა ღვინობის ხნისთვის,
ვერ გამიგია, რად ვისჯებით, როდემდე, რისთვის?
ალბათ, ჯვარია ესეც ჩვენთვის და არა სხვისთვის.

ყველაფერს თავის კვალი რჩება სამყაროს წრისთვის,
ზოგი ფესვია, ზოგიც მხოლოდ ფოთოლი – ხისთვის,
სიყვარულს – რატომ? არ დაესმის, სიკეთეს – რისთვის,
რა ვქნა ასე მწამს და ნუ მკითხავთ – რატომ? და რისთვის?..

თბილისი „სითი”

ყარაჩოხელთა ნაშიერნო, ხართ კიდევ სადმე?
მაშ, წინაპართა ფაფახები მოძებნეთ სხვენში,
ვერცხლის ქამრებზე ბაირაღი გამოინასკვეთ,
ჩოხის კალთები აკეცეთ და გასწორდით მხრებში.

განთიადისას, თუკი ვინმე სადმე შემორჩით,
რიყეზე გელით, რომ ბოლოჯერ გაცოცხლდეს მითი,
მეტეხის ხიდზე ამ ჩვენს ქალაქს ავუგოთ წესი,
რამეთუ ხვალე გაიღვიძებს თბილისი „სითი”.

რამეთუ ხვალე, წარბამოქნილ კოხტა ბიჭები,
მაღალქუსლიან ფეხსაცმელით ატეხენ როკვას,
რამეთუ ხვალე, ეს ქალაქი საკუთარ ნებით,
ბოლომდე შესვამს ფრუჟერებით სოდომის ცოდვას.

რამეთუ ხვალე გაიღვიძებს მხოლოდ აჩრდილი
და შუშის ხიდი მეტეხის ხიდს დაუწყებს მტრობას,
რამეთუ ხვალე გათენდება ბოლო აისი,
და ამ ქალაქში ტრადიცია დაიწყებს კვდომას.

ყარაჩოხელთა ნაშიერნო, შემორჩით სადმე?
უკანასკნელად დაამშვენეთ შავი ჩოხებით,
თქვენი ქალაქის, შესანდობარს გაწვდით ფიალით,
რას ვიფიქრებდი უბრძოლველად დაიჩოქებდით.

სუფრა გაშალეთ, ისე, როგორც, უწინდებურად:
ცოტა მწვანილი, ცოტაც ყველი და თუნგით ღვინო,
თუ რამ მოგრჩებათ, როგორც სახელი, მტკვარს გაატანეთ,
მაგრამ იცოდეთ, რომ დღეს არავინ წაიღიღინოს.

დუმილით შეხვდით მარცხს, საკუთარ უსუსურობის
დუმილის გამო შემოგენგრათ ქალაქი მითი,
ყარაჩოხელნო, დაამსხვრიეთ ყველა ფიალა,
ხვალ ფუჟერებით იბადება თბილისი „სითი“.

გვირგვინოსანი

მაშინ, როდესაც სამყარო უარწივობას ჩიოდა,
ჟამი მუხთალი სუფევდა, ცხოვრებაც თავქვე დიოდა...
როცა ზეცაში ვერავინ შეკრა ერთობის კამარა,
და ცის ქვეშეთში მცხოვრებნი დარჩნენ იღბალის ამარა.

კარავი დასცეს თათბირად ყვავ-ყორნებმა და ძერათა
კაჭკაჭმა სიტყვა ითხოვა, ჩხავილი იწყო ბგერათა,
მოძმენო, დადგა ჩვენი დრო! არწივი არ გვყავს მხარეში,
გვეყოფა მძორ-ნასუფრალი, დროა დავიწყოთ თარეში.

წინ ვერვინ გადაგვიდგება, რიცხვით ვართ სხვაზე მრავალი
ქორ –შევარდენი მცირეა... გვერდით არც სხვა ჰყავთ მავანი.
სვავნი კი, მოგეხსენებათ, ბუნება მათი ასეა,
ყველა დროებას ჰგუობენ, როცა სტომაქი სავსეა.

ჰოდა, სანამდის ცის კიდეს არ სწვდება მეფის კივილი,
ვერც სხვა გაბედავს ურჩობით ატეხოს ჟივილ-ხივილი...
ყორანს დავადგათ გვირგვინი, გავხადოთ ქვეყნის მმართველი
მისმა ყრანტალმა დე, ამცნოს სამყაროს ჩვენი სათქმელი.

ჩვენ კი ვილხინოთ, ვილაღოთ, ვიყოთ მრჩევლები კარზედა,
კარგი ვსვათ, კარგი ვჭამოთ და კვლავ ვინარნაროთ ცაზედა.
იქვე, შემთხვევით, ამ ამბავს შეესწრო ჩიტი –ნიბლია
მიხვდა, ამბოხის განზრახვა – ძალაუფლების ხიბლია.

ჰოდა, არც დაფიქრებულა, მთებისკენ გაჰკრა კამარა,
ჭყივილით ამცნო ხეობებს ვრჩებითო ყორნის ამარა...
ქორ-შევარდენნო იფხიზლეთ! ყორანს გასვამენ თავზედო,
შეწყვიტეთ კენტად ირაო და ნუ გადგებით განზედო.

თქვენი ცალ-ცალკე ყოფა და თქვენი ცალ-ცალკე ხმოსნობა
ხვალ გამოიწვევს ბოგანო ყორანის გვირგვინოსნობას.
ქორმა თქვა: ვიცი, ნიბლიავ, მათი განზრახვა ცხადია,
კარგა ხანია მათ ვებრძვი, შენ რომ დღეს შეგიცხადია.

გავწირე თავი, ოჯახი და ჩემი კეთილდღეობა,
მაგრამ მცირედნი გამომყვნენ, მრავალს არ ეყო ზნეობა...
გახსოვს? რა აღარ დამწამეს რა აღარ მომიგონესო,
ზოგმა –,,ტახტისთვის იბრძვისო და არ იშურებს ღონესო“...

ტალახის სროლა მივიღე ღირსებისათვის ბრძოლისთვის,
არწივობა კი მძიმეა, თუნდაც ძლიერი ქორისთვის.
ვიბრძოლე, როგორც შემეძლო და ჟინი კვლავაც ბრიალებს,
მაგრამ დავმარცხდი და დღემდე მარტო ვიშუშებ იარებს.

გაფრინდი, ჩემო ნიბლია! თხოვნით აფრინე ალალი,
გადაიაროს მთა-ბარი, ზღვები, კლდეები, ტრამალი...
და იქნებ სადმე წააწყდეს არწივთა ბოლო ბუდობას,
ვინც არასოდეს დაუთმობს ყორანს ღირსების ქურდობას.

ამცნე, რომ კვლავაც მზადა ვართ ქორ-შევარდენთა გუნდები,
კვლავაც გვისარდლონ, ვიბრძოლებთ, სანამ არ გადავხუნდებით.
ოღონდ აცნობე ნიბლიავ, ზეცას არ უყვარს ბატონი ...
მეფე იმეფებს, თუ იგი გახდება ყველას პატრონი.

მზე სექტემბრისა

სევდას ირეკლავს ნასექტემბრალ სხივთა ციალი,
ვაზის და მტევნის განშორებას მწუხრისას ატანს,
ვით ფოთოლცვენის სარეცელზე მისვენებული,
ღონემიხდილი ქალწულივით ნებდება ზამთარს.

მშვენიერია მცხუნვარება მინაზებული,
შემოდგომის მზის ღრუბელ-ღრუბელ გამოვლინება,
მკერდშემოხეთქილ, ჩათქვირული ბროწეულების,
ლალმოდებული, ვნებააშლილი შემოღიმება...

საოცარია ალაზნის და ჭალის დუდუნში,
ნავენახრიდან მამალ ხოხბის ამოფრინება,
მშვენიერია, ნასექტემბრალ სხივთან თამაშში,
სუსხგადაკრული მაჭრის შხეფის გადმოდინება.

სურომოდებულ ვერხვის ხეზე ქედნის ღუღუნი,
შემოდგომის მზეს მოკითხვას რომ მაისთან ატანს
და ისიც, ბოლო გაბრძოლების სხივთა ციალით,
ღონემიხდილი ქალწულივით ნებდება ზამთარს.

ბაღათერ არაბული
პოეტი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

არეულია კეთილ-ბოროტი,
გაუტანლობით, შურით, ღ ა ლ ა ტ ი თ,
ვეღარ ვიცხოვრებთ, როგორც ვცხოვრობდით,
ვეღარ დავმალავთ, რასაც ვმალავდით...

დღევანდელ დღისთვის პასუხს ვინ აგებს?
ან ვინ განაგებს შენს ბედს, ცხოვრების?
მტრის ალყაშია ციხე–სიმაგრე
და ციხის მცველი მეციხოვნენიც...

არც გამკითხავი და არც გამგები,
არც ხმლის ამლესი არავინ არ ჩანს;
შენი კოშკები ბროლით ნაგები
გზად მოთარეშე ყაჩაღებს დარჩათ...

უელავს ღამეს მთვარის ნისკარტი,
ცა გადაშლილა ულურჯეს მინდვრად,
მე კვლავ მიყვარხარ, როგორც მიყვარდი,
ასე დიადი და ასე წმინდა...

არეულია კეთილ-ბოროტი,
გაუტანლობით, შურით, ღ ა ლ ა ტ ი თ,
ვეღარ ვიცხოვრებთ, როგორც ვცხოვრობდით,
ვეღარ დავმალავთ, რასაც ვმალავდით...

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

ამ სამყაროში ჩვენ ერთმანეთს ვეძებდით ოდით,
გზებზე ეფინა მოყვავილე ფერი არეთა;
მე თქვენ მიყვარდით, არ შემეძლო, არ მყვარებოდით,
რადგან ჩემსავით სხვა ვერავინ შეგიყვარებდათ...

გამოვაღწიეთ რამდენ ტკივილს და ღალატს, რამდენს,
ამ სიყვარულმა ერთგულების ნერგი იყარა;
მე თქვენ მიყვარხართ და არ ძალმიძს, რომ არ მიყვარდეთ,
რადგან თქვენსავით მეც ვერავინ ვერ შემიყვარა...

ძილუა და ქისტები

ლექს-ანდრეზები
ციკლიდან: „ხევსურეთს ამბად ნათქვამი“

...ჩუმად დაგვესხნეს იმ წელს ქისტები -
ერთ დღეს მთლიანად დაანგრიეს ამღა და ჭიმღა,
სოფლად ადინეს სისხლის ღვარები...
არვინ დაინდეს, –
არც მოხუცი, არც ქალ-დიაცი,
ბალღბულღებიც ცეცხლში ჩაბუგეს,
მარტო გაბურებ სამ ძმა მაკლეს, –
ერთმანეთზე მჯობნი ვაჟები,
ოჯახებით სუ ამასწყვიტეს...
იმათგან მხოლოდ
ხირჩლაის ცოლ, ძილუა გადარჩ –
ბალღასთან ერთად წყემსობაში ყოფილიყვ წასულ...
ამ ამბის მნახველ სუ შაიშალა,
თმან გაიშალნა,
მძივნ ჩაიშალნა,
ბედ-იღბალიც მწარედ დასწყევლა,
თემ-სოფელი ტირილით შასძრა...
– რას სჩადივ, რასავ?
თავის მაკვლით რაღას უშველავ,
ჩვენაც მაგნაირ დღეში ვართავ, –
უთხრეს ქალებმა...
– მამშორდითავ, არა მითხრათავ,
თქვენ ნაუბარ არა მამდისავ,
არავის ნახვა აღარ მინდავ,
ეეს ბალღიც რად არ მაკლესავ!..
– რას ამბობავ, ხვარ აირიევ,
ამა ყმაწვილს რაღას ერჩივ,
ღმერთ უშველავ,
გადაგირჩინავ!..
– მაგის ყოფას რა აზრი აქვავ,
არც ბიძანივ, არც ბიძაშვილნივ –
აღარვინ ჰყვანავ...
ხვალ ქისტებს უნდა წაუყვანავ,
იმათ მივუგდავ,
მამ-ბიძათავით ეგიც მაკლანავ,
იქნებ გაძღანავ ჩვენის სისხლითავ...

არ დაიშალა ძილამ ნათქვამი,
თავისი მაინც გაიტანა,
მეზობლებსაც არა უსმინა
და ბალღიანად ქისტეთ ჩავიდა...
– ეეს დაგჩათავ მასაკლავივ,
მაგიყვანეთავ,
გულიც რასაც კი გიბრძანებსთავ,
ის უყავითავ!..

...გამოხდა ხანი...
ოცჯერ აენთო გაზაფხული
და ოცჯერ ჩაქრა,
ოცჯერ ზამთარმა გაანათა არხოტის მთები...
არც ძილუკა,
არც იმის ბალღი არ ახსოვდა უკვე არავის...
მხოლოდ ზოგჯერ
ამვლელ-ჩამვლელი თვალს მოჰკრავდა
ჭერხოს კართან მჯდომარე დიაცს
თვალცრემლიანი რო გასცქეროდა
ქისტეთის მხარეს...
– ადექივ, ქალო, შინ შაედივ,
მაგ ყინვაში რას უზიხარავ, –
შეუძახებდნენ მეზობლები...
– ჯოჯოხეთში ვარ შასასვლელივ,
სახლში რა მინდავ,
მე, ცოდვიანმავ, შვილ დავჰკარგევ,
მასაკლავად ქისტებს მივუგდივ, –
მწარე ცრემლით მოსთქვამდა ქალი...

***

ერთ დღესაც სოფლად ხმა გავარდა:
მთაზეით ქისტებ თეთრ დროშაით ჩამადიანავ,
თან ცხვარ-ძროხაიც მაუდისავ არხოტისკესავ...

***

ოცდამეერთე გაზაფხულზე გამაჩნდეს ქისტებ,
ცხენებით ჭალას ჩამაეფინნეს,
გაზრდილი შვილი სამი ვაჟით
და ქისტი ცოლით,
თავის ცხვარ-ძროხით დედას მაჰგვარეს –
მოსისხლეებ მძახლებად იქცნეს...

***

მტრობაც, მოყვრობაც
გამორჩეულ იცოდეს ქისტებმ...
– – – – – – – – – – – – – – –

გახსენება

...დიდი ხნის მერე გეძახი, გეძებ,
როცა არაგვის ჭალებს ჩავივლი
და კვლავ შრიალებს მაწმაოს მთებზე
ზეცა – ძალიან ლურჯი ყვავილი...

მაშინაც მარტი ჟინჟლავდა ისევ,
ჩვენ ვბრუნდებოდით თეთრი ცხენებით,
შენს ხელებს ჰქონდა სითეთრე ნისლის
და ნისლს – სითეთრე შენი ხელების...

ახლა სადა ხარ? გეძახი, გეძებ,
უკან არაგვი მომდევს ბღავილით
და კვლავ შრიალებს მაწმაოს მთებზე
ზეცა – ძალიან ლურჯი ყვავილი..

მ დ ი ნ ა რ ე

რისთვის ხმაურობ, მდინარის წყალო?
ან ჩქერალებით რისთვის ირთვები?
მაგ სილამაზის დღეებიც წავლენ,
შენც ჩახვალ ბარში და დამშვიდდები...

თავკომბალებით და ბაყაყებით
ამოივსება შენი ნაპირიც,
ან გაილევი ან დამყაყდები,
ან ზღვა ჩაგყლაპავს გველეშაპივით...

და დაინთქმება შენი ჩქერების
ხმა და გუგუნი მთების მზარავი,
რადგან ბოლომდე ბედნიერება
ჯერ არ რგებია ქვეყნად არავის...

ხ ე ვ ს უ რ ე თ შ ი

(გახსენება)

N-ს
თოვლის ცრემლებით ტიროდა მარტი,
გაბეზრებული ქარებით, ცივით
და ღრუბელივით დაბინდულ შატილს
კოშკებში ეჯდა ვარსკვლავთა სხივი...

ჩვენ კი ვიდექით, ვით შორეული
და შეუცნობი ქვეყნის მგზავრები,
მონუსხულები მისი სხეულით
და დარეკილი მწუხრის ზარებით...

ჩვენი ცხოვრებით, იმედით, დარდით,
იმ კოშკებისთვის ვიყავით უცხო;
თოვლის ცრემლებით ტიროდა მარტი
და მთვარესავით ელავდა მუცო...

ო, გაყიდულო საქართველოვ, რა გეშველება?!.

... უცხო ბურუსით ი ბ უ რ ე ბ ა ირგვლივ მთა– ველი
და გვითრევს ყველას დაუნდობლად ცოდვის მორევი;
არის ღ ა ლ ა ტ ი, არის მტრობა, გაუთავები,
სულწარწყმედილი გ ა მ ყ ი დ ვ ლ ე ბ ი ს,
მუცლის მონების...

ჩამომხობილა მთაწმინდაზე ცა, მეწამული
და მზის სხივებში წინაპართა სისხლი მოწვეთავს;
დღეს ვიღას ახსოვს დაგლეჯილი დედულ-მამული
ანდა წუხილი გაწამებულ თანამოძმეთა...

ვხედავ, ოდითგან საამაყოს, ჩვენთვის ესოდენ,
საზღვრებს მორღვეულს და
ზნეობის სამანებს მოშლილს,
ახალ "გმირებად" გვაჩეჩებენ ბესო–კესოებს,
ამ უზნეოთა პოდიუმზე, ულმობელ დროში...

ვხედავ ლიბერასტ მედროვეთა დამცინავ ღიმილს,
ელგებეტელთა ერთმანეთთან ვნებით ფერებას;
ყოველი მხრიდან თავს გვესევა ათასი მ ღ ი ლ ი,
ო, გაყიდულო საქართველოვ, რა გეშველება?!.

უფლის ტაძარში ჩვენზე ლოცვით სანთელი იწვის,
რომ აგვაშოროს გეენას და მერმისს, უარესს;
დღეს დარჩათ ერი სათარეშოდ დიაცებს, სიძვის,
ამ მოძალადე გეებსა და ტრანსსექსუალებს...

კრწანისის თავზე ცა საავდროდ კვლავ იქუფრება,
აქვთ ზარ–ზეიმი სოდომური, თავს გასულ ხლისტებს;
მათ რომ შეეძლოთ, ანდა მივცეთ ამის უფლება,
ჯვარზე მეორედ გააკრავდნენ
ნ ა წ ა მ ე ბ ქ რ ი ს ტ ე ს!..

* * *

მთაწმინდაზე ყვავიან ალუჩები,
ღიმილით მომყვება თაია..
– მაგწონსა ქალავ ქალაქის ქუჩები?
– ძალიან, ძალიან კაია..
– აქაურ ვაჟებს შენ ვერ გადურჩები!
– ნუ ამბობ, თუ მიხოლ, გაია!
მთაწმინდაზე ყვავიან ალუჩები,
ღიმილით მომყვება თაია...

==========

ე ლ ე ნ

ექსპრომტად ჩემი ახალი წიგნის მხატვარს ელენე გამგონიძეს...

– – – – – –

ნელად გადის ზამთარი,
ნისლი აწევს ველებს,
ნეტავ ახლა სადა ხარ?
ვის უყვარხარ, ელენ?..

მარტის ცივ ღამეებში
ვისთვის გაიელვებ,
ვის დღეებს ალამაზებ,
ვის ალაღებ, ელენ?..

თვითონ ჰგავხარ შენს ნახატს,
შენს მშვენიერ ფერებს;
მოდი ჩემთან, გედისებრ
ყელი მოიღერე...

დაფდაფები უკრავენ
და ჩანგები ჟღერენ,
ჟღერენ ციურ ჰანგებით,
მხოლოდ შენთვის, ელენ...

პოეტები გეტრფიან,
ჩუმად ლექსებს წერენ,
მინდვრის თეთრო ყვავილო,
მშვენიერო ელენ...

ნ ა დ ა რ ბ ა ზ ე ვ ი

ეტიუდი

ივსება სივრცე მთვარის სხივთა
მკრთალი ხაზებით,
ბინდის დარბაზებს შერაზვია ნადარბაზევი...

იძინებს ქართლი,
ახლა ქართლში არ სძინავთ ქარებს
და ქართლის ქარი დასავლისკენ
ნისლს მიაქანებს...

ქსნის ქედებიდან მარტოდმარტო
მოფრინავს წერო,
რომ წეროვანში შეეფაროს ღამეულ ჩეროს...

.....
ივსება სივრცე მთვარის სხივთა მკრთალი ხაზებით,
ბინდის დარბაზებს შერაზვია ნადარბაზევი...
– – – – – – – – – – – –

* * *

ქართლის ქედებო, ვინ ჩაგაცვათ თოვლის სამოსი?
ან ვინ დაგხურათ დაღლილ მხრებზე ნისლი იმედად?
ვინ გაგიმეტათ სუსხით ავსილ ამ საღამოსთვის?
ამ ქარბუქიან ღამისათვის ვინ გაგიმეტათ?!

ვინ მიგატოვათ, უღრანებო, თოვლში და ქარში?
ან ვინ დაგკიდათ ლოლუები ტანზე ზარებად?
დაჰნათის მთვარე, თეთრად, მდუმარ სივრცეებს, გაშლილს,
ვით იდუმალი ღამის ფიქრი და აღსარება...

ვინ მიგატოვათ თქვენც, სერებო, ზეცის ტატნობზე?
შეცივნულ ქედზე ვინ აგინთოთ ფიფქი ფთილებად?
ეს ვარსკვლავები ვერასოდეს ვერ გაგათბობენ
და მზის სინათლეც სითბოდ აღარ დაგეფინებათ.

ქართლის ქედებო, ვინ ჩაგაცვათ თოვლის სამოსი?
ან ვინ დაგხურათ დაღლილ მხრებზე ნისლი იმედად?
ვინ გაგიმეტათ სუსხით ავსილ ამ საღამოსთვის?
ამ ქარბუქიან ღამისათვის ვინ გაგიმეტათ?

ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი

„სიკვდილის მემრ (მერე) ჩვენი
სულები
ვარსკვლავებად
იქცევიან”...

ხევსურული ანდრეზებიდან
„მოვა სიკვდილი უჩინო,
ერთ წამში აგვყრის იარაღს,
ჩვენ რას წავიღებთ იმ ქვეყნად,
სხვას არა წაუღია რა”!..
ხალხური

ვტოვებთ... სხეულებს და თანდათან
ჩვენც ცისკენ... ვიხევთ,
სადაც გველიან სივრცეები, შავი ფერებით
და სადაც ზეცას, ლურჯ სხივებით ნაშენებ ციხეს,
აბჯარაყრილნი სამუდამოდ შევეფარებით...

ჩვენ იქ ვიცხოვრებთ, იმ ციერში,
უხმლოდ, უფაროდ,
სადაც არავინ აღარ დრტვინავს, აღარ ხმაურობს,
ყოველ საღამოს ჩამოგვივლის ჩვენი უფალი
და ვარსკვლავებზე გაგვიძღვება სამოგზაუროდ...

დავანთებთ მთვარეს ღამისა და დღის გასაყარზე,
მოვრთავთ ცისქვეშეთს იდუმალი შუქის ჩქერებით
და ამ საწუთროს, ამ ცოდვებით ავსილ სამყაროს,
ჩვენ მოციმციმე ვარსკვლავებად მოვეჩვენებით...

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ე ტ ი უ დ ე ბ ი დ ა ნ

ცაზე ილევა მთვარე – იელი
და გარიჟრაჟი გვეშლება თავზე,
შენ ასე ნაზი და მშვენიერი
ამ ზამთრის დღეებს სინათლით ავსებ...

მთაზე ზის თეთრი ფრინველი, თოვლის
და ნისლის ფრთებით იფარავს სახეს;
ქარს მოყოლილი შენ ხარ ფოთოლი
და ფოთოლივით თრთი და ცახცახებ...

ჩამოაქვთ ზეცა თებერვლის ავდრებს
და სუსხიანი ქარები ქრიან;
ან მე მოვედი ამ ქვეყნად ადრე,
ანდა შენ გაჩნდი ძალიან გვიან...

უკვე ილევა მთვარე, იელი,
და გარიჟრაჟი გვეშლება თავზე,
შენ ასე ნაზი და მშვენიერი
ამ ზამთრის დღეებს სინათლით ავსებ...

ნინო უძილაური – მშენებელ-ინჟინერ-პედაგოგი;
პოეტი, მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი;
დაბადების ადგილი – ყვარელი.

შენ ხარ მსოფლიო

შენ ხარ მსოფლიო, ჩატეული უფლის წამწამში,
მზის ათინათში შემჩნეული ალმასი, ლალი,
შენ ხარ ჰაერი, სიყვარულით გაჯერებული,
ბედნიერებავ, დღესაც შენით დავდივარ მთვრალი.

შენ ხარ მსოფლიო, ჩემი გული, ჩემი ფიქრები,
ხარ უსასრულო ნეტარება ყოველი დილის
და თუ ოდესმე მე შენ გვერდით აღარ ვიქნები,
სიცოცხლის ფერი დაგიმშვენებს უხილავ ბილიკს.

თითქოს

თითქოს ყველამ მიმატოვა,
თითქოს ყველას დავავიწყდი,
სამყაროც ხომ სულ მარტოა,
გავფრინდები, არ დაგიცდი.

მერე უფალს აღსარებად,
შემოვახვევ ცრემლის კაბას,
რაც მახსოვს და რაც არ მახსოვს,
მომიტევებს, არ დამკარგავს.

თუ შევძელი, ვითხოვ, დამრჩეს
მოგონებად შენი სახე,
უმოწყალოდ რომ გამწირე
და დამიგე სულის მახე.

რადგან ყველამ მიმატოვა,
რადგან ყველას დავავიწყდი,
აღარ ვდარდობ, რომ მარტო ვარ,
ღმერთს მივენდე...იქ დაგიცდი.

თოვლს უხდება

თოვლს უხდება ჩემი ფიქრი,
თოვლმა იგრძნო ჩემი დაღლა,
ეს ცხოვრება სწრაფად მიქრის,
ნაბიჯ-ნაბიჯ მივსდევ მაღლა.
უმოწყალო საწუთროში
გულზე მრჩება ბედის დამღა,
მეფობს ფლიდი, მეფობს მრუში,
გზებს დავყვები აღმა-დაღმა.
წრფელი გრძნობა, მეგობრობა,
საძებარი რომ გამხდარა.

ამ დროს, თოვლის ფანტელები,
მიყვებიან ზეცის ამბავს
და ეს ტკბილი არაკები
აქ მოსმენილ ზღაპრებს არ ჰგავს.
გათოშილი ეს ხელები
თოვლზე ღმერთის სახეს ხატავს.
სიმშვიდე და სიხარული
მეუფლება ამ წუთს, ამ წამს,
ამაოა ყოველივე,
რადგან მხოლოდ უფლის გზა მწამს.

სახეს თეთრად მიფერავენ,
ამ დაღლასაც ფიფქი მალავს,
ვეტრფი სპეტაკ, მართალ გრძნობას,
სიყვარულის ურყევ ძალას,
ამიტომაც მიყვარს თოვლი,
თოვლში ვეძებ ფიქრთა წამალს,
დაღლილი და დაქანცული,
გზას მივყვები, როგორც ზღაპარს,
ციდან თეთრი ფანტელები,
დაჰფენია ღამის ლამპარს.

ღიმილის მიღმა

ყოველ ალიონს, ყოველ ცისმარეს,
ვუსმენ წარსულის ბედნიერ ჰანგებს,
მომეღიმილე ახლაც, ამ მხარეს,
შენზე ფიქრები ოცნებებს აგებს.

დილის მზის სხივი ფერმკრთალ სახეზე,
ღამის ნაკვალევს ფერად მძივს აბნევს,
რაც უნდა იყოს და რაც ყოფილა,
სამყაროს წიგნში ვკითხულობ ამბებს.

სიმშვიდით ვხატავ სტრიქონებს ფერში,
ღიმილის მიღმა მაგ თვალებს ვხედავ,
გული, რომელიც შენ გიძგერს მკერდში,
ჩემად ვიგულე და კოცნას ვბედავ.

დამთავრდა როლი

მოულოდნელად მთავრდება როლი,
სცენაზე მძიმედ ეშვება ფარდა,
იმსხვრევა წლობით ნაფერი ბროლი,
ქრება ყოველი წარსულის გარდა.

მიჰქრის სიცოცხლე, ვით ლურჯა ცხენი,
მძიმე ფლოქვების მრისხანე ხმებით,
თავბრუდამხვევი გარბიან დღენი
და უნებლიედ თანდათან ხვდები.

რომ წუთი წამით განაწამები,
ყოფიერების ზმანება, ავი,
ცვდება დროში და მადლით, სამების,
იშლება ცოდვის დღეები შავი.

მოულოდნელად მთავრდება როლი,
მაგრამ მსუბუქად ეშვება ფარდა,
მიწიდან ცისკენ აფრინდა გნოლი,
აფრინდა... მერე აღარსად ჩანდა.

მე მაპატიე

მახათას გამოვეშურე,
შენც მოუყვები აღმართს,
მე მაპატიე ცრემლები,
რომ გისველებენ მაგ თვალს.
შემინდე, რომ ვარ დაღლილი
და შევეფარე ამ მთას,
დღეს გავაჩერე სამყარო,
საყვედური რომ არ თქვას.
მე მაპატიე ცრემლები,
რომ გისველებენ მაგ თვალს.

* * * * *

შიში სიცოცხლის,
შიში სიკვდილის,
შიში დაკარგვის რწმენის,
ვიწრო ბილიკზე,
ვიწრო სავალზე,
გონებით ფიქრი მელის...
თმენა ტკივილის,
თმენა სიყალბის,
ვალდებულება თმენის,
ღმერთო, მაღალო,
ღმერთო, ძლიერო,
გამაძლებინე ბევრის.

აღმართს

ამოვუყვები აღმართს,
ვეძებ მტყუანს და მართალს,
მხოლოდ ღმერთია, რაც მწამს,
ხან ფხიზელსა და ხან მთვრალს.

გულს მაწევს დარდის ლოდი,
შემოვეფარე ბრმა წამს,
თუ გეცოდები, მოდი,
ოღონდ ნუ მკითხავ, რად მწამს.

ტკივილის განცდა

უცნაურია ეს გზა, ულევი.
გულდაწყვეტილი გავყურებ შარას,
ცხოვრება მიდის, როგორც ურემი,
მიჭრიალებს და თანდათან მზარავს.

მივყვები ბედის ნატერფალ ბილიკს,
ხან თამამი და ხანაც ბეჩავი,
თავისუფლება ემსხვერპლა ქილიკს,
ისევ ღამდება, ისევ მზე ჩადის.

აღარ თავდება გლოვა, წყეული,
აღარც სხივები ცეკვავენ ნამზე,
ცრემლის გუბეა; მიწა, სნეული,
ახალ სიცოცხლეს დაიწვენს მკლავზე...

დამძიმდა ჩემი დარდის ფიალა,
მოწვეთავს ჩუმი ტკივილის განცდა,
ცრემლად ვიღვრები, ლხინად კი არა,
სიკვდილი ყველა ჩარჩოებს გასცდა.

შენ, პატრიარქო!

ერის და ბერის დიდო მოძღვარო,
ქართველთა რწმენის ქვითკირო, მტკიცევ,
დიდება უფალს, შენი ლოცვით რომ
ჩვენში კვლავ რწმენა დაბრუნდა ისევ.

ზემადლით ღვთისგან გაბრწყინებულო,
მოძღვარო, მამავ, ნათელო ბნელის,
„კირიე ელეისონ“... შენ, მგალობელო,
მწყემსო, მართალო, ცად ღმერთი გელის.

ჩვენო იმედო, შენ, პატრიარქო,
ლოცვით ნაგები ხიდი ხარ ზეცის,
ცის ბინადარო, მიწის სტუმარო,
ვაი, რომ ყველას გულისთქმა გესმის.

შენს სპეტაკ გულს და შენს ნათელ სახეს,
მხოლოდ ქართველთა ერთობა შვენის,
ღმერთი ინებებს, ღმერთი ინებებს,
გამთლიანდება სამშობლო, ჩვენი.

სიყვარულის ზღაპარი

ღამე წარსულს ჩამოახევს ვნების ფურცელს,
ალიონმა რომ მოხატოს სახე შენი,
მოგონება ახალ გრძნობებს აკვანს ურწევს,
ალიონზე მზის სხივებად ამ გულს შვენის.

ვერ დავცალე მოგონების მძიმე თასი,
ვერ ვივიწყებ სიყვარულის იმ ძველ ზღაპარს,
ვარსკვლავები ჩურჩულებენ და, ხალასი,
მთვარე მღერის, ტრფობით მთვრალი უმზერს მთა-ბარს.

ვერ გივიწყებ, ვერც გულიდან წასული ხარ,
მზის ქორწილში კვლავ მიხილავ თეთრ მანდილში,
ბნელ ღამეში ღალატი და წარსული ხარ,
დაკარგული, ხან დროსა და ხან მანძილში.

ღამე წარსულს ჩამოახევს ვნების ფურცელს,
და წარსულიც ემონება ნეტარ აწმყოს,
მზე ალიონს სიყვარულის სხივებს უფენს,
გარიჟრაჟი საპატარძლო კაბას აწყობს.

ნუ

ფეხქვეშ დაგეგები,
შენში დავმკვიდრდები,
სანთლად აგენთები ტაძრად.
ფარად დაგიდგები,
გრძნობად დავიღვრები,
გულსაც თან გაგატან საგზლად.
ოღონდ შემიბრალე
და ნუ დამშორდები,
მიწას ნუ მომაყრი ბარად.
კენტად ნუ დამტოვებ
და ნუ გამიქრები,
გულში ჩარჩენილო მარად.

ბათუმს

ბათუმს ჩამოველ ალერსად,
ზღვას რომ შევახო თითები,
მუზა მოვიხმო და ლექსად
ავათამაშო თითები.

ჩამოვუკოცნო მზეს სხივი,
ნაპირს დავთვალო კენჭები,
ყელზე მოვირგო ეგ მძივი
და გადავნისლო ეჭვები.

ბათუმო, მოგესალმები!
ბათუმო, გულში ჩამიკარ!
გადმოაფინეთ ალმები!
სიცოცხლევ, ისეც წამი ხარ...

დედა

დედის ალერსი, დედის სურნელი,
მზისდარი სითბო, ზღვისდარი ღელვა,
მარად და ყველგან დედას სულ ველი
და თვალებს სწყდება სიცოცხლის ელვა.

ბაგეთა ტკბილი ამბორი დედის,
ხმა სანუკვარი, სიმშვიდის ბგერა,
ვმადლობ ჩემს ღმერთს და ვიწამე ბედის
და იავნანას ტკბილი სიმღერა.

ადგილის დედავ, დედა ბუნებავ,
ღმერთო, ძლიერო, დედაოს ღვთისა,
გამიძლიერე დედასამშობლო,
დედა მიცოცხლე, სადარი მზისა.

ღვთის კაცი

ღმერთივით გამოჩნდა ღვთის კაცი მიწაზე,
ყველაზე სუფთა და ყველაზე მართალი,
ხურჯინით დაჰქონდა სიტყვების სინაზე,
სახეზე ეფინა ღიმილი ალალი.

სიცოცხლე ფიანდაზს უფენდა სხივებით,
სიყვარულს აფრქვევდა სიამის მარცვლებად,
სამყაროს ქარგავდა ფერადი მძივებით,
გალობდა, სიკეთეს ჰყვებოდა ზღაპრებად.

ღმერთკაცი, ღვთისკაცი, ზეკაცი მიწაზე,
სიკვდილის ბგერები უსიტყვოდ დადუმდა,
სიცოცხლის მუსიკა აჟღერდა იმ მთაზე,
იმედს რომ სიცოცხლე არასდროს არ სურდა.

ღმერთივით გამოჩნდა ღვთის კაცი მიწაზე,
სპეტაკი, გულღია, სუფთა და ალალი,
ხურჯინით დაჰქონდა სიტყვების სინაზე,
კაცი დადიოდა ღმერთივით მაღალი.

მე და ბატები

ნამიან ბილიკს მივყვები მარტო,
მარტო კი არა, მე და ბატები,
სიმშვიდეს ვარღვევ ჩუმი ფეხის ხმით,
წვიმის წვეთების ციდან მატებით.

ჰოდა, ბატები ჩვეულ ყიყინით,
დააბიჯებენ, არც აქვთ ნაღველი,
ხან ტბიდან, ხანაც ნაპირის იქით,
ექოს აძლევენ მთა, ტყე და ველი.

ბუნებას ნეტავ რომელი ტანჯავს,
გზის შარიშური თუ ეს ყიყინი,
მე კი ფეხის ხმას ფოთლებში ვკარგავ,
და ბედისწერას მწარედ დავცინი.

ფშავლებს

(ექსპრონტი უძილაურებს)

მოხდენით დგახართ, ვაჟნო, მთის ჯიშის,
თვალნი ამხელენ მზერას და ძალას,
ბაგეს ღიმილი შვენის, ვით გიშრის,
მძივი თეთრ ყელზე მოხდენილ ქალას.

ჯიში, ჯილაგი, შერწყმული გენში,
აღვივებს ფესვებს, ქართული მიწის,
მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე
ვაჟკაცობა და ფშავლური ფიცი.

დაგლოცოთ დიდმა კოპალას ხატმა,
ლაშარისა და თამარის ჯვარმა,
სანთლად ავენთე, დაგენაცვლებით,
იმრავლოს თქვენმა ჯიშმა და გვარმა.

ბარბარობა დღეს

შუა ქალაქში, ბარბარობა დღეს,
მუხლზე დამხობილს შევხვდი მათხოვარს,
გამვლელს ცრემლებით უჩრდილავდა მზეს,
გამვლელი მზერით კლავდა მის თხოვნას.

ჰყიდდნენ ვაჭრები ბრჭყვიალა ნივთებს,
სრულიად მცირეს, სრულად უსახოს,
ითვლიდნენ ციფრებს, ახშობდნენ სივრცეს,
არ ადარდებდათ ქალი უსახლო.

გამვლელი ვაჭრებს ფულს უყრის ხელში,
პატივმოყვარის საფეხურიდან,
სინდისს სიტყვები უჭერდა ყელში,
როცა ითხოვდნენ ხურდას ხურდიდან.

არც ერთი გროში თანაგრძნობისთვის,
არ დავარდნია მათხოვარს მხარზე
და, გაოგნებულს, უგრძნობ გრძნობისთვის,
ცრემლი მოადგა მომზირალ თვალზე.

დამძიმებულმა და თავდახრილმა,
ვყლაპე ცრემლები ბეჩავად ყოფნის,
ვისთან მაქვს კითხვა, ვის ვემართლები,
ჩემი ცოდვები მე თავად მყოფნის.

ფიქრთა ფიალა

ჩემს დაკოდილ გულს რა ეშველება,
როცა დარდები ამღვრევს ფიქრთა ნისლს,
როცა გულს სევდა აღარ ეშვება,
როცა სიცოცხლეც უკვე აღარ ღირს.

ჩამქრალა ცაზე ცისკრის ვარსკვლავი,
დარდის ბუხარი კვამლით ივსება,
მომიახლოვდა ჟამი მზაკვარი,
კვლავ ჩამოთოვა სევდის ნისლებმა.

რა გაამთელებს ჩემსს დაკოდილ გულს,
რა გაათენებს სევდიან ღამეს,
ფიქრებს წარსული უკვე აღარ სურს,
აღარც მომავალს დავუთმობ სათქმელს.

რადგან ცხოვრება ფუჭი მითია,
რადგან სიკვდილი სამარეს ავსებს,
სიცოცხლე ალბათ არის მისია,
წყალწაღებული ეჭიდოს ხავსებს.

ისევ ფიქრები მივსებს ფიალას,
ისევ დარდები აღებენ სარკმელს,
რით გავამთელებ ამდენ იარას,
თუ ალიონიც ვერ ტოვებს სათქმელს.

თემურ გოგსაძე – პოეტი

ეს ფოტო და ლექსი, თანატოლები არიან! ღვთის სიყვარულით, ვიტყვი -კაცხის სვეტზე ასვლის ჟამსაა დაწერილი! უცნაურად დაიკარგა და ახლახანს ვიპოვე?!

ავტოპორტრეტი

მიყვარს ჩემში, დედა-მიწის სურნელება!..
მაგრამ მაინც, მთავარია, უფლის ნება!
ჰუმორები, ქცევის რიტმებს, თუ განაგებს,
რწმენის არსი მარადიულს გვიქადაგებს!
ხშირად ვიცვლი, ემოცია, გრძნობა-აღქმას!...
არ ვღალატობ, სულში, სიყვარულის აღთქმას!...
მე დუმილის მეტყველება უფრო მიყვარს –
ღირსებიდან, არასდროს არ გადამიყვანს!...
ვეთხოვები ცოდნას, რაც მხდის უცოდინარს!..
ვეძებ სიბრძნეს, სიკვდილ-სიცოცხლიდან მდინარს!...
სიგიჟეა, ანდა, იქნებ, უფრო მეტიც –
გარდასახვა, ძებნა სულ სხვა ინტელექტის!...
ეპიფიზშიც ვერ ეტევა ჩემი სული,
პლანეტების გონის თხემში გარდასული!
აზრთა დოღი შეუცნობელ ძალას იძენს,
სადღაც ქრება დაბრკოლება, დრო და სიგრძე!
წარმოსახვა უსასრულო წყებად მოდის,
თუმცა მახსოვს გარდასული დროის კოდიც!...
თავისუფლად მონავარდე-ცნობიერი,
ვერ იქნება ვერცერთ დროში ზომიერი!...
გონი, ჩემი, უსასრულო ზღვარსაც გასცდა...
ჭეშმარიტი ნეტარების, მხიბლავს, განცდა!...
ჯოჯოხეთს თუ სამოთხის გზას კი არ ვარჩევ,
მარადიულ წრე-ბრუნვაში მინდა დავრჩე!...
ასეთია გარდამოსვლის სრული არსი!
აღმასვლებით იზომება დროის ფასი!
იფანტება წუთისოფლის სევდა-ჯავრი,
თუ გონება ხდება ღმერთის თანამგზავრი!

ჰუმორები – ადამიანის სხეულში, სითხედ გარდაქმნილი სინერგია, რომელიც ქცევებს განაგებს
ეპიფიზი – ტვინის ჯირკვალი, სადაც, მეცნიერების აზრით, სულია მოთავსებული

სიყვარულის დრო

...არავინ იცის, მზის კაბადონზე,
ან სამყაროში, დრო თუა მართლა?!
მარადისობა გავცვალეთ დროზე
და დავადგინეთ წამების ათვლა?!
...შემოგვეპარა ამგვარად ბზარი...
ვერაფერს გეტყვით ღვთის სამსჯავროზე!
უნდა დავბრუნდეთ, თორმეტი კარი
იხსნება მხოლოდ ,,ამორეს დროზე"!
სამყარო არსობს, ფერისცვალებით!
ერთადერთია, რაც დროშიც მკვიდრობს,
მართლაც, ყველაფერს სანაცვალები,
სიყვარულის დრო, სიყვარულის დრო!
ის ყველა ტკივილს, უმალ უკურნებს!
უფრო დიდია, რაც გვიწამია!
წამი მოიცავს, მთელს საუკუნეს
და საუკუნეც, ერთი წამია!

...სიყვარულია ხსნა და ნუგეში!
მისი სათავე, ითქვა: ღმერთია!
ასე, სხვადასხვა დროს და სივრცეში,
ყველგან, ყოველთვის ეს დრო ერთია!
... არც დასაბამი! არც დასასრული!
მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულის დრო!
ამაზე გალობს ზეცად ასული
,,სვეტიცხოველი" თუ ,,სან პიეტრო"!
სამსჯავრო ყველას გადაგვაფასებს?!
წელთაღრიცხვებში ქრება საწუთრო?!
მარადისობის სინაზით გვავსებს
მხოლოდ და მხოლოდ, სიყვარულის დრო!
... მეც შენთვის, მხოლოდ ეს უნდა მეთქვა:
მამაზეციერს ერთხმად ვევედროთ,ს
არ შეგვიჩეროს ამ გულთა ფეთქვა,
არ შეგვიჩეროს სიყვარულის დრო!

მე ვარ, ქართველი!

იბერთ მიწაზე მოვლინებით!..
გენით და გონით!..
რწმენით და ნებით!
მე ვარ ქართველი!
ქვეყნის ბედ-იღბალს
სხვის სასწორზე
არასდროს ვწონი!...
სიყვარულს სხვაგან
ვერსად ვპოვებ,
რასაც, აქ ველი!..
შევტრფი მომავალს,
ამიტომაც ხატია-ძველი!..

უფლის ანდერძით,
ეს მიწა მაქვს
მე დასაცველი!..
მე ვარ ქართველი
და ამისთვის
ბევრჯერ ჯვარცმული!...
მაგრამ არასდროს დაცემული,
რადგან, ჩემს რტოებს
დასაბამიდან ასაზრდოებს
პლანეტარული სიყვარული,
ყოვლისმომცველი!
თ. გ. ,,ლომისობა"

* * *

...მიზიდავს, მხიბლავს, რაც
სამყაროში
ცოტა, მარტივი და უბრალოა?!
წუთისოფელში,
დროის მადლს – დროში,
არ ვფლანგავ, რადგან სავალალოა!

არ მინდა ბევრი,
ცოტას ვჯერდები!
რადგან ამქვეყნად,
კარგი ცოტაა?!
ბოროტთან ვიცი, ვერ შევჯერდები!
ბევრში კი, რადგან, ბევრი – ცოდვაა!

აღტაცებულის
ცრემლით მასველებს
გარშემო, რაც კი ბუნებრივია!
მარტივი, რადგან
სიბრძნით მეტყველებს!
უბრალო, რადგან
ღვთაებრივია!

და ღმერთიც
მერე მარტივად მოვა?!
უბრალო, იმ დროს,
ცოტა ვიქნებით?!

ანტიქრისტესგან
მოვლენილ გლოვას,
განვეშორებით,
უფლის მიგნებით!
თ. გ. ,, სუეტი დიდისა კაცხისა”.

მის უწმინდესობას,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ
ამბროსი ხელაიას!

,,ზეკაცო და ღირსეულო,
უწმინდესო პატრიარქო!
მოგვიტევე!..
მოგვიტევე!..
დღეს, სამშობლო, რომ არ გვაქო?!

მაინც, თქვენი შემყურე ვართ
და წმინდანთა,
ყველა დასმა
ლოცვა უნდა შეგვაშველოთ!..
ე რ თ ო ბ ი ს ა –
გთხოვთ, ხელდასმას!
ერთად ვიხსნათ,
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!”
ამ ფრაზებით, გილოცავთ, ბზობას!

რ წ მ ე ნ ა

რწმენა – მზის სხივებს, ჩაექარგება,
კოსმიურ ელვას აედევნება!..
ღვთისკენ სავალი გზა იკარგება,
რწმენა თუ ეჭვის ჯვარზე ევნება?!

ეჭვი უფალთან ყოფნას არ გაცლის?!
ხდები ცოდვილი და უსახური?!
ასე, თანდათან, იქმნება კაცი,
ეშმაკისა და ღმერთის მსახური?!

რიტუალებში გავცვალეთ არსი?!
აღარ ვართ, რწმენით თავისუფალი?!
ღვთის მსახურებაც, შეიქმნა ფარსი?!
მხოლოდ შიშის დროს გვახსოვს უფალი?!

სიყვარულისგან სრულად დაცლილი
ვართ ელემენტთა უცხო ნაერთი?!
ამპარტავნულად ხელებგაწვდილის,
როგორ შეისმენს, ჩვენს ლოცვას, ღმერთი?!

ცოდვის ბორბალზე სანამ ვიბრუნებთ,
არ გაიხსნება ლურჯი თაღები!
ვიდრე სიყვარულს არ დავიბრუნებთ,
ვიდრე რწმენით არ დავიდაღებით!

კოსმიურ ნისლებს რწმენის კომეტა,
გაარღვევს, გახსნის, მეხსიერებას,
მალე, ცოდვისგან დახსნილ პლანეტას
უფალი ცრემლითს მოეფერება!
(ჟამი დიდ მარხვისა.)

ეთერ ჭელიძე – ფინანსისტ-ეკონომისტი;
ამჟამად მუშაობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში;
დაბადების ადგილი – მესტიის რაიონი, სოფელი უშგული.

მე მშვიდობა მინდა!

არ მიცდია მტრის ნაკვალევში
ნაფეხურის არევა.
ქრისტეს სჯულის ჯვარს ვატარებ,
არ მჭირს სისხლის აღრევა...
ისევ უყეფს სიავკაცე,
იუდას ლეშს ამჯერად...
სწვავს სიბრაზის ისტერია
გულს, დატეხილს ნამსხვრევად!
გადაჯეგა კბოდე მუმლმა,
მუმლმა, ღალატს ნაჩვევმა,
ისევ ,,გესლის გეში" ვიგრძენ,
კვლავ ვიტოვებ არჩევანს...
ქართულ ფესვებს შეზრდილი ვარ,
მერგო ქრისტეს შვილობა.
ჩემი ხმალი ჯვარია და
ჩემი ფარი – მშვიდობა!
დიდ ომებში ნაწრთობი ვარ,
გაუტეხელ სახელით.
მეგრელი ვარ, იმერელი,
სვანი ვარ თუ კახელი, –
არ უნახავს ჩაუქობა
ჩემი მოდგმის არავის!
ერთი ვიყავ, ურჯულონი
მოდიოდნენ ქარავნით,
ქრისტეს კარზე ჭიხვინებდნენ,
მარტყოფის თუ მარაბდის...
სისხლმდინარედ დიდდებოდა
მტკვარიცა და არაგვიც,
ვაჟკაცურად გაჰკიოდა,
ფშაველი თუ ხევსური,
ცეცხლის ნაპერწკლებით დუღდა
ფერხული და ლეკური!
ვერც შაჰმა და ვერც ოსმალომ,
სისხლისმსმელმა ომებმა,
ვერ დადრიკა ქართველობა,
კაცნი დარჩნენ ლომებად!
გზას მიკვალავს ისტორია
წინაპართა გმირობის,
ერთგულებაც ნამდვილია,
ჩემი ხატის მირონიც!
. . . . . .
ქართულ ფესვებს შეზრდილი ვარ,
მერგო ქრისტეს შვილობა,
ჩემი ხმალი ჯვარია და
ჩემი ლოცვა – მშვიდობა!

მხოლოდ ქართველობის ნიშნად!

9 აპრილი

ჩემო ნატირალო აპრილო და
ჩემო ნაგმირალო ცხრაო,
ჩემი ანგელოსთა დასი მოდის
თალხით შეიმოსე ცაო

ისევ გუგუნებენ ქვემეხები,
იები დაჭორფლეს სისხლით.
ძარღვი გატყიურდა, ნამუსი გამეხდა,
თვალი გაუსწორეს სირცხვილს.

უღმერთოდ მოცელილი ნედლი ბალახი,
დაოსებული ხედვა.

ისევ დარბეული თბილისქალაქი და
ატირებული დედა...

ისევ ჩამომხრჩვალი თავისუფლება და
ნიჩბით აჩეხილი ზვრები,
ისევ უსულგულო თავგასულობაო,
შინა და გარეშე მტრების...

რად არ მავიწყდები, ჩემო აპრილო,
ტკივილო, გაყრილო ისრად,
გმირი მოგიმრავლდა საგმირონი,
მხოლოდ ქართველობის ნიშნად!

დაღლილი დილა

ვხვდები განთიადს და ვატოლებ ჩემს
გულს დიდ ღრუბელს...
ნისლებს კი ჩემივ სავარცხელით
ვუვარცხნი ფაფარს...
ერთად ვათენეთ, სადარდელი
დავითბეთ წუხელ,
და მაინც მოჰგავს ჩვენი დღენი
ცის შავ-თეთრ დაფას!

სადაც არასდროს იკითხება,
არც იწერება,
ან ყველაფერი ემსგავსება
შეუცნობ დრამას.
შენ კი ღრუბელთან ერთად
ცხოვრობ მთელი ცხოვრება,
ეთამაშები მზის და წვიმის
დაშვებულ ფარდას!

და როგორ მინდა, გამითენდეს
ო, ისე მზისფერს,
შემოერკალოს სივრცეს, სადაც
ვიღამებ ახლა.
ქართა ნამსხვრევში მომაგნებდე
ტიალსა, ვიდრე...
ვიდრე ცივ სხეულს შემოგახვევ
სუდარას, ვაგლახ!

*

დაშრება სული უიმედოდ შთენილი,
რადგან
თუ არ ირწყვება ფესვი, კაცთა
დაღლილ რწმენისა,
ღმერთო, შეფოთლე მუხა, რადგან
მუხის ტოტებ ქვეშ,
ხელმოცარული და დაღლილი
ჩემი ერი დგას...

გაბედე!

გაბედე,
მზე ახლა ნისლებში მთვლემარე,
დამშრალ სულს მოუკლავს ვიდრემდე წყურვილებს,
მიანდე ეგ შენი ლოცვები, მღელვარე,
მერწმუნე, მზე თავად შენ მოგისურვილებს!

გაბედე,
გულში რომ თუხთუხებს სათქმელი,
სანამდე ღრუბელი შენს მკერდში იძინებს,
და მერე ეგ შენი ტკივილის ნამქერი
სინდისის აკვანში ერთბაშად იყუჩებს!

გაბედე,
მიზნისთვის ბრძოლის ველს გაყევი,
თუ ტყვიას მოგიშვერს საწუთრო ტიალი,
რომ ისე ლაღად და თამამად ამღერდე,
თვით ზეცის ღილები დაეშვას ბზრიალით...

გაბედე,
არ მოკლა უფალთან სათქმელი,
გატეხე ნავსი და ვერთქმულიც გაბედე!
გახსოვდეს, რომ შენ ხარ ის ერთი ქართველი,
და შიში, შენში რომ ბინადრობს, განდევნე...

გაბედე,
საკუთარ სამშობლოს დაცვა რომ
საკუთარ ღირსების სიმბოლოდ ამღერდე,
რომ გული, ერისა, ნაპრალად ქცეული,
ვით ჰიმნი, დიდების, ქართულად აძგერდეს!

გაბედე,
ქართული ღირსების დაცვა და,
ხმას, მამა-პაპათა, ტოლსწორად დაენდე,
სანამდე მუმლისგან მამული დაცალდა,
გაყიდულ მიწა-წყალს სანთლებად აენთე!
გაბედე!

დილა

ფეხს ითრევ... მოგდევს უცნობი ლანდი,
შენ გეზარება ხორშაკზე გავლა
და იღლიაში ამოჩრილ დარდით
იმედის წარაფს მიჰყვები მაღლა!
შემოგელევა გზადაგზა მდელო
და ფეხისგულებს დაგიწვავს ქვები,
შენც, მტვერადენილს გაჰყვები ბექობს
და წმინდანივით დამთმენი ხდები...
ვერამოწვერილ მზეს გინდა უთხრა;
გწვავს მისი მზერა, ვითარცა დენთი;
აქ, ახლად გაშლილ მკათათვის სუფრას
გზადაკარგული მიირთმევს ბერი...
შეხვდები მგოსნებს იადონს,..ბულბულს,
მჩხავანა ყვავებს, ქორსა თუ ძერას
შენ არც კი იცი, მიდიხარ საით,
მზის მოტრფიალეს ყველაფრის გჯერა...
და მაინც ისე თენდები უმალ...
ღამდები ისე, ვერ ასწრებ მთავარს,
შენც ეფიცხები დარდს, როგორც ქურას
და ვერ გაღებულ ჭიშკართან დგახარ...
ფეხს ითრევ, მაგრამ მიდიხარ მაინც...
და, არც კი იცი მზე საით წავა
თუ ბედისწერის იდუმალ ღიმილს
აედევნება უცნობი ლავა!..

* * *

განგების გაწვრთნილი ტკივილი მაწუხებს.
დაგსეტყვავს ნორჩების უცნობი გაფრენა,
ოხერი სიკვდილი მოგიჭერს მარწუხებს
და ეს სიყმაწვილეც უეცრად გაქრება.

ვდაობთ და ვკინკლაობთ, სასრული არა ჩანს,
შეფაკლულ ღაწვებზე ზღვა ცრემლი დინდება,
სიცოცხლის ხელყოფა წყლულებად დააჩნდა,
ნაპრალად ჩაჩეხილ აისის კირთებას.

დილის ნატვრა!

შემოუთბილე, მზევ, ამ უდაბურ,
ამ უსინათლო დღეებს დარდიანს.
გამომიწალდე ღრუბლის ნამქერი,
შემომითენე შენფერ განთიადს!
შემომიფოთლე ღამე მთოვარი,
გზას ამარიდე ბეცს და თალხიანს.
ოღონდ მიმრავლე კარგის მსტოვარი,
გავიღებ ქვეყნად რაც მაბადია...
შემომითბილე, რომ გაზაფხული
კვირტობის თქეშით ავახმიანო.
გაიღოს ყველა ტაძრის კარები,
სამყარო შენით ავამზიანო!
შემოუთბილე, მზევ, ამ სამყაროს!

იყო პოეტი...

სიტყვამ თქვას სიტყვა ჯობია,
რომ პოეტი ხარ ნამდვილი,
იყო პოეტი, მგონია,
არ არის ასე ადვილი!
სიტყვა და მუზა ერთგვარად
უნდა ანთებდეს ნაკვერჩხალს,
თუ სულის ქოხის კარებთან
ლექსი გრიგალებს ატეხავს;
შეგეყრება და ქარაშოტს
შენც დაგიყენებს, ცეცხლისა,
და მუზებს, რითმით განაშოლტს,
მგრგვინავ ტალღებად შეგყრისა!
თუ პოეზიის ვულკანი
სულში რითმებად ფეთქდება,
მზის მოვარვარე ველივით
სამყაროს გულს უერთდება!

,,ადამიანო“

ნუ მიბრაზდები, ,,ადამიანო”,
იქნება მიხვდე, რომ ყველა წუთი
ჩვენ კი არა, უფალს ეკუთვნის...
ყველა ქმედება: ცუდიც და კარგიც,
ჩვენივე სულის ანარეკლია.
დაოკდე იქნებ, ადამიანო!
ნუ ახმოვანებ ბოღმას, შენივთულ
,,ბედნიერება“- ს...
ნუ მიეცემი სასოწარკვეთას,
თუ ვინმე მზაობს თავისივე
ყოფიერებით...
იცოდე, დასთეს რასაც კი სხვისთვის,
ეს ყველაფერი უფლისაგან მოსამკელია...
ნუ მიეცემი ადამიანო,
სხვათა განკითხვით სულის განცხრომას.
ვინ? ვისთვის? რატომ? –
თუკი მხოლოდ ამისთვის ცხოვრობ,
არვინ ჩაგითვლის ბავშვურ ანცობად!
უცოდველობას ნუ იჩემებ
თოთო კრავივით.
ვწუხვარ, არ ძალგიძს
უფლის მცნებებს
დაემორჩილო!
ფული რა არის,
სიტყვა, მშრალი, ანდა ქონება?
თუ ენა უძვლო ავსიტყვაობს,
სული ცოდვილობს...
იქნებ ეცადო, ადამიანო,
ჭრელი სამოსი დაგესლილი
შემოიცალო!
გონება შენი, უსიერ ბინდს
შეხორცებული,
ან განიწმინდოს,
ანდა იქნებ სულ შეიცვალო!
ნუ გეწყინება ჩემი ნებით
მოვედი შენთან,
შენს გადარჩენას
ვცდილობ და ვლამობ...
სანამ ერთბაშად წაგლეკავდეს
შური და ბოღმა,
შენთვის ვლოცულობ,
შენც ილოცე, ადამიანო!

დილის ნატვრა!

შემოუთბილე მზევ, ამ უდაბურ,
ამ უსინათლო დღეებს დარდიანს.
გამომიწალდე ღრუბლის ნამქერი,
შემომითენე შენფერ განთიადს!
შემომიფოთლე ღამე მთოვარი,
გზას ამარიდე ბეცს და თალხიანს.
ოღონდ მიმრავლე კარგის მსტოვარი,
გავიღებ, ქვეყნად რაც მაბადია...
შემომითბილე, რომ გაზაფხული,
კვირტობის თქეშით ავახმიანო.
გაიღოს ყველა ტაძრის კარები,
სამყარო შენით ავამზიანო!
შემოუთბილე მზევ, ამ სამყაროს!

,,ადამიანო“

ნუ მიბრაზდები,,ადამიანო“,
იქნება მიხვდე, რომ ყველა წუთი
ჩვენ კი არა, უფალს ეკუთვნის...
ყველა ქმედება: ცუდიც და კარგიც,
ჩვენივე სულის ანარეკლია.
დაოკდე იქნებ, ადამიანო!
ნუ ახმოვანებ ბოღმას, შენივთულ
,,ბედნიერება“-ს...
ნუ მიეცემი სასოწარკვეთას,
თუ ვინმე მზაობს თავისივე
ყოფიერებით...
იცოდე დასთეს რასაც კი სხვისთვის,
ეს ყველაფერი უფლისაგან მოსამკელია...
ნუ მიეცემი ადამიანო,
სხვათა განკითხვით სულის განცხრომას.
ვინ? ვისთვის? რატომ? –
თუკი მხოლოდ ამისთვის ცხოვრობ,
არვინ ჩაგითვლის ბავშვურ ანცობად!
უცოდველობას ნუ იჩემებ
თოთო კრავივით.
ვწუხვარ, არ ძალგიძს
უფლის მცნებებს
დაემორჩილო!
ფული რა არის,
სიტყვა მშრალი, ანდა ქონება?
თუ ენა უძვლო ავსიტყვაობს,
სული ცოდვილობს...
იქნებ ეცადო, ადამიანო,
ჭრელი სამოსი დაგესლილი
შემოიცალო!
გონება შენი, უსიერ ბინდს
შეხორცებული,
ან განიწმინდოს,
ანდა იქნებ სულ შეიცვალო!
ნუ გეწყინება ჩემი ნებით
მოვედი შენთან,
შენს გადარჩენას
ვცდილობ და ვლამობ...
სანამ ერთბაშად წაგლეკავდეს
შური და ბოღმა,
შენთვის ვლოცულობ,
შენც ილოცე, ადამიანო!

მანანა სამყურაშვილი – სამართალმცოდნე;
დაბადების ადგილი – ყვარელი.

ისე დასცლიდა

რად დამაშორე, საწუთროვ,
დედის უბეს და კალთასა,
მე ხომ ძირს არ დავუშვებდი,
მის რჩევას, ტკბილად ნათქვამსა.

ცად ღრუბლის ქულას ვწურავდი,
ოღონდ მისსა გულს ელხინა,
მზის გულზე ჩადრად ვეფარე,
სიცხისგან არ მოეწყინა.

ცეცხლის პირს ზღაპარს ვამბობდი,
ტკაცუნი იდგა შეშისა,
მას ძლიერ სწამდა წინაპრის
ჯიშის, მოდგმის და ფესვისა...

უყვარდა სურნელი მთისა,
სუფრაზე ატამ-ნესვისა,
არ აშინებდა არასდროს,
ავბედითის ხმა, გესლისა...

შაამღერებდა ტიალსა,
ხმას არ დასძრავდა ხვეწნისად.
თავს რისხვად დაადგებიდა,
ხმას გავდა ჭექა-ელვისას.

ისე დასცლიდა ფიალას,
ძირს წვეთი არა რჩებოდა,
ათას კაცს შენაბრძოლები,
გამარჯვებული ჩნდებიდა...

საქართველო...

პატარა და დიდზე დიდი ქვეყანაა,
ღმერთს ბაღნარად უქცევია სრულად.
ანგელოსნი უგალობენ დილის საარს,
მარიამი სიცოცხლის ძაფს ურთავს.

საქართველო! – სათბილობლად მოქსოვა და
მისთვის არის სალოცავი ხატი!
მისივ ხელით მიმოქარგულ ხალიჩას,
შვენის უფლის მონაძერწი ტახტი!

არ გეგონოთ, აქ გამვლელი მწყურვალია,
ედემის ბაღს არ ელევა ხილი:
ზოგი ყვავის, ზოგს ასხია, ზოგი მწიფობს,
ღვთის ედემში, ხარობს ტკბილი ხილი...

საქართველო, ხვთით ნაქარგი ბაღნარია,
ქარვის მტევანს ხელზე იხვევს ნინო!
ვაზის ჯვარი, მისი თმებით შეკონილი,
გამცნობს, მხოლოდ ლოცვით მოილხინო!..

ამ კურთხეულ, ხვთით ნაბოძებ ბაღნარში,
ილხინე და ერიც მოალხინე...
თუ რაიმე დაბრკოლება გზად შემოგხვდა,
თხოვნითა და ლოცვით მოითმინე...

ათი მცნება უფლის ბაგით წარმოთქმული
შეისწავლე, გონით შეისმინე...
ნახშირის კვერს, თუ შენს ბედადაა ქმნილი,
შეექეცი, ტკბილად მოილხინე...

ბებიას დარდები

საღამოს ბინდი ზეცის კარს
შავი ხალივით ეყარა.
დედულეთს, ჩემსას, ავბედითს,
შავი საბანი ეფარა...
სიკვდილი დათარეშობდა,
ნაცელი მიცვალებული -
სიკვდილს ფეხებთან ეყარა...
ბებია იდგა მუხლმოყრით,
მხრებზე დალალი ეყარა,
შავი ტრაული სახიდან,
გულამდე ჩამოეფარა...
მის შემხედვარეს პატარას,
გულზე ცრემლები მცვიოდა.
ბებიას მოფერება შვილს,
მშიერ მგელივით მშიოდა...
მაგრამ ვატყობდი, გული მას
სხვაზე ასმაგად სტკიოდა...
აუნიოკდა სული და
სამყაროს გადასნიოდა...
მის გულის დარდებს ცრემლები,
სულ ვერაფრითა სწამლობდა...
არცა ღმერთი და საწუთრო,
მას ვერაფრითა სწყალობდა.
სიკვდილი ეზოს კართან კი
შავი შაშვივით გალობდა...
მის ფარ-აბჯარში ჩასმული
ბებიას სული წვალობდა...
წაჰკიდებოდა გულს ცეცხლი,
ღვიოდა კი არ ქრებოდა,
მისი მდუღარე ცრემლები
კუბოს ფიცარზე ცვიოდა.
ჭირისუფალი, არც ერთი,
ცოდვისგან არა ჯდებოდა,
მის გულს რომ ცეცხლი ეკიდა,
ყველა უხმოდა, ხვდებოდა.
გულის გულიდან ამოსულს
პატარა გულიც ხვდებოდა,
რა განცდა იყო ასეთი, ყველა
ცრემლის ღვრით წყდებოდა.
მდინარედ იდგა ცრემლები,
თვალს წვეთი არა სწყდებიდა.
ოცდაჩვიდმეტი წლის შვილი
მის გულის ნოხზე ესვენა,
ბებია, გულგახეთქილი,
სხვის მკლავზე გადაესვენა...
შემოეხვია მოკეთის,
ჭირისუფალთა ჯარია,
ყურ-ყბაზე ხელი დაარტყეს,
ამოსკდა ბოღმის ქარია...
რას მერჩით, რას მემართლებით,
ჩემს შვილთან ყოფნა მწყურია,
ორივე ხელი ჩაბღუჯა,
გულს დარდი გაუწურია...

აფერუმ, შენსა ქალობას,
მის მერე განვლე წლებია,
ბევრჯერაც სიხარულისგან
პირზე ღიმილი გხლებია.
დალალებჩაწნულ ვაზებთან
მინდიას მოგილხენია,
საგალობელი სიტყვები
ღიღინით ამოგხდენია...
შვილიშვილების ქორწილში,
ხელი არ დაგიკრეფია,
წყალი მიგქონდა საცერით,
ერთი არ დაგიკვნესია...
მის მერე აკვანს ეჯექი
შვილთაშვილს მღერდი ნანასა,
გვერდებში ნაზად უფენდი
შენს ხელით ნაკერ საბანსა,
არ დააკლებდი ჩვილის პირს
თბილი წყლით ღვრეჭა, ბანასა.
ძილისპირულად უმღერდი,
ტბილი ხმით, ბებო, ნანასა,
გეხვივნენ შვილთა შვილები,
ჰფენდი თბილ უბე-კალთასა.

გულნატკენს ბევრჯერ გითქვია

ამ ჭირისუფალს, ავზნიანს
თმა - დალალს გულზე მაწყობენ,
როგორც ჟანგიან რკინასა,
ისე მადნობენ, მაწრთობენ...
ცხრაპირი ტყავი ამაძრეს,
ფეხთ ქალამნისთვის იწნავენ...
საკუთარ მამა-პაპის ძვლებს,
ალბათ, კბილებით დახრავენ...
ეშმას რძით გამოზრდილები,
მალე მის ზვრებსაც გასხლავენ...
ტუჩ -კბილებიდან მოყვარეს,
უხვად შხამს და გესლს მასხამენ...
რომ არა ჩემი სიძენი,
ალბათ მეც ძვლისებრ დამხრავდნენ...

დედა სამშობლოვ!

როდესაც მოვედი ამ ქვეყანაზე,
მწველი მზის სხივი შანთავდა მდელოს.
რას ვიფიქრებდი, ამ საწუთროში,
მეც გავიტანდი ლამაზ გოლს, ლელოს.

რას ვიფიქრებდი, სხივებს, ცვენისას,
ჩამოჰყვებოდა ოქროს კალამი,
მუზა მეტყოდა, წამოზრდილს უკვე,
ააგუგუნე, მესმას სალამი!

მას მერე ვდგევარ – ბინდისფერ დღეებს
ცისარტყელების შვიდფერით ვფერავ,
მას მერე ვდგევარ ~ ცის ოქროს სარტყელს,
ოქროს ძაფებით ვქარგავ და ვკერავ.

ხან, გულდარდიანს, ამემღერება,
ხანაც სიმწარის ცრემლები მცვივა!
ო, რომ იცოდე ჩემო სამშობლოვ,
მე შენზე გულში როგორა მცივა!

ო, რომ იცოდე, შენი ტკივილი,
შენებრადაც და უფროდაც მტკივა!
გჯეროდეთ შვილის, გამზრდელი დედის
დაჭრილი გული მწარედა სტკივა!..

ვხედავ, კალთები შემოგაფლითეს,
კვნესის, მტრის ხელით დაჭრილი გული,
არც მშველელი გყავს და არც მოწყალე,
სამშობლოვ, ჩემო, ხარ დაჩაგრული!..

დედა სამშობლოვ, დაჩოქილს, მტრისგან,
ვერ მოგიქსოვე რკინის აბჯარი!..
მავთულხლართებით ნახევ კალთებზე
ჩამოგდის ცრემლი, გულშესაზარი!..

დედა სამშობლოვ, წლებით ტანჯული
ხარ, ვითა ძე, დედა მარიამისა!
შვილთა კი არა! მოყმის კი არა!
კალთა გიფარავს მარიამისა!..

შენზე ფიქრებში, ორგულო!

შენ არ გინახავს ტაძარი,
სადაც სანთელი მჭერია.
შენი მლოცველი ვიყავი,
თვალს ცრემლი ჩამომდენია.

გულს ია, აყვავებული
შენთვის ვერ დამიკრეფია,
ვაჰმე, საწუთროვ, ხელები
ჩემს გულზე დაგიკრეფია!...

შენ არ გინახავს, მთვარეულს,
ცის უბე ფეხით მივლია,
მთელი სამყარო წამებში
სიზმარ–ცხად შემომივლია...

ორი ცურვილი, ზვრებისა,
ხელებზე გადამდენია,
წვეთი მყოფნია, ღვინისა,
სუფრაზე დამძინებია.

აშლილა ყვავი, ყორანი,
შველად არწივი მხლებია,
მტკვარს, გაწითლებულ ბორანზე,
ჩემი სისხლიცა ხლებია.

გზა ვერ გავიგნე, უკუნი,
ხევ–ღელეს დამთენებია.
შენზე ფიქრებში, ორგულო,
ხან თეთრად მითენებია.

ფუტკარო

ფუტკარო, რად დამზუზუნებ,
ჩემგან ნუ ელი ღალასა,
წადი ყვავილებს ეახლე,
ნაზსა და ტურფათვალასა.

ჩაჰკოცნე, ჩამოუწუწნე
გულს, თვალთნადენი ცრემლია,
შენსა სტუმრობას იცოდე,
ყვავილნი ტრფობით ელიან.

შეიმკე ფეხთა ფლოქვები,
ჭეო წაიღე გულუხვად,
ყვავილთა ტკბილი ცრემლები
ჩიჩახვს ჩაასხი უხვადა.

მე მას ვერ შევძლებ, ავიღო,
გულს არ დავამჩნევ შურადა,
მე, თაფლით სავსე ფიალა,
მომართვი დილით, ძმურადა.

ფუტკარო, სიტყვა მიიღე,
ბრძანებად, არა თხოვნადა,
შენი ნაკბენი არ დამრჩეს,
გულის დარდად და გლოვადა.

ფუტკარო, ნუ დამზუზუნებ,
საშოვარს გასწი შორადა,
გამეცა, უნდა წახვიდე,
გზას მიგასწავლი სწორადა:

წადი, ცაცხვების ყვავილებს,
ცრემლით ევსებათ თვალები,
ჩაუმღერ-ჩაუზუზუნდი,
ამოუკოცნე თვალები.

ისე ჰკიდიათ ყვავილნი,
როგორც ცისკრისა ზარები.
სულ არ გჭირდება მათ ძებნით
არც დრო და არცა თვალები.

სიზმარი

შენ თუ გინახავს სიზმარი,
ღამეს მთვარე რომ გაუწყრა,
ღამემან საიდუმლონი
მთვარეს მრავალი აუწყა...
ჩამოწყდებ-ჩაიშლებიან
თეთრ დალალებად ზვავები,
მთის ფერდს ლეშად დაჰკორტნის
მშიერ-მწყურვალი სვავები.
ჩამოჰკრავს ფანდურს, აამღერს,
შენამცა შაგრჩეს მარჯვენა,
ხვრელიდან გარს გამოსულმა
მსმენელმა ღმერთი ახსენა.
ჩამოჰკარ, აახმიანე,
ჯანღი აჰყარე ხევებსა,
ეგება გამოჩნდებოდეს,
თეთრი არწივი ქედებსა.
განაღა ეგრე გავქრებით,
ბანს გვეტყვის კავკასიონი.
ჯანღი ვერაფერს დაგვაკლებს,
თუ ზეცით გვლოცავს სიონი.

ვაჟას

შენ, მთის არწივო, ფშაველო!
ბედად გერგუნა მთანიო!
ძლიერი ექო გამოსდექ,
სამყაროს მისწვდა ხმანიო!..,
დასჭექე, შეაზრიალე,
არწივს ჩამოსტყდა ფრთანიო!
ზეცით გაიღო ბერმუხავ,
პოეზიისა კარიო!...
სტუმარმასპინძლად ივარგე,
ლექსის ზრიალებს ჯარიო!
ღმერთმა უბოძა სამშობლოს
შენი ლექსების ფარიო!...
დასჭექე, შეაზრიალე,
სამყაროს სწვდება ხმანიო!...
მთას ყური უგდე, ამაყობს,
დიაცი, შენნი ძმანნიო!
ღმერთად გიჩნიეს მთიელო!
სალოცავი ხარ, ვაჟაო!
დრო დროს მიჰყვება ტიალი
კალამი ვერ დაჟანგაო!..

აბა მითხარით

უფალო, გმადლობთ! –კახეთის მქვია
შვილი და აქ, დაარწიე ჩემი აკვანი.
გმადლობთ, სიტყვები მესმა უფლისა,
ვიხილე უფლის სამწყსოს ზე კარი!..

არ მივიჩნიე გულის სადარად,
სხვის ბაღის ხილი, ნაქარ კაკალი,
სიტყვანი სწორად მასმინე, ღმერთო!
და არა როგორც ქათმის კაკანი!..

მაგრამ ერთი მაქვს დღეს საწუხარი,
რად მაძებნინე ადამიანი!...
დიოგენივით კვარი ავანთე! –
სულს თუ ჩაუქრე,
როგორ ვიპოვო ადამიანი?!

ილიას ხმები ჩაესმის მამულს,
ყვარლის მთებია მისით მზიანი!...
მან ხომ ოდესღაც არწმუნა იბერთ:
მხოლოდ კაცია ადამიანი!...

კახელი გლეხი დაკოჟრილ ხელით,
ვაზის მინდია, გულით მზიანი!...
ზეცით ფენია ნაქარგი სხივთა,
ეს არის ნეტავ ადამიანი?!

ქალი ფარით და მახვილით,
ხელში უელავს ხმალი, ფხიანი!...
ცრა ძის აკვანს რომ დამღერის
დედა, ნეტავ, ეს არის ადამიანი?!

კაცი, მლოცველი დღითა და ღამით,
ხელაბყრობილი, თვალებწყლიანი,
მივედი ახლოს, ვუსმინე დიდხანს,
ვკითხულობ, ნეტავ მასშია ადამიანი?!

არადა არა! ვერა და ვერა! ვერ ვპოვე
დღემდე, რომელ კაცშია ადამიანი!...
მკაცრად ჩამძახის ილიას ხმები:
“მხოლოდ კაცია ადამიანი!...”

ისიც გადმომცეს, რომ კაცთა მოდგმამ
უარყვეს კაცი, ადამიანი!
ზეცად ასულა, იქიდან გვლოცავს...ის არის,
ილიას სიბრძნით ის არის კაცი, ადამიანი!

აბა მითხარით! გისმენთ და გელით!
ქრისტეს მსგავსი, ვის გინახით ადამიანი!!!
მისებრ წმინდა და მისებრ სპეტაკი,
რომელ კაცშია ადამიანი!

განგებას ძალუძს, ერთადერთს..

წინ გზა მერგუნა ფრენით სავალი,
ღაწვითა ვხოკავ ცრემლიან მიწას.
ვარ დიდი შოთას შთამომავალი
და პოეზიას კევრითა ვლეწავ!..

იშლება სულ სხვა ცხოვრების წიგნი,
წინ სულ სხვა გზაა, სულ სხვა ტომები,
თეთრ-მთვარისფერი მხედარი მომდევს,
თეთრ ცხენზე ამხედრებული...

მას ძალუძს, მხოლოდ ერთადერთს,
მიმძლავროს მამულ-დედული...
თუ კი ისურვებს, მან მომცეს
ძლიერი სულის კრებული..

არ ვიყო მიტოვებული,
არ ვიყო მიწად გდებული,
განგებას ძალუძს, ერთადერთს,
ვიყო ბრძენთათვის ქებული...

რატომ ღრიალებს...

მე ფიალა ვარ თიხის, ნაძერწი,
მასში ჩასხმული ღვინო, ბადაგი,
თქვი და დალიე, ბოლომდე შესვი,
იქნებ გაცოცხლდეს გული ნადაგი.

მივაბიჯებ და მივდივარ ჩემთვის,
გზად მიმავალს ნუ ამედევნები.
მე ჩემი გზა მაქვს ნარგუნი ბედად,
თვალი მარიდეთ ცრემლნადენები.

სულის მტრედები დაეშვებიან,
ლხენად მექცევა დღე ალბათ ერთი,
ანგელოსები შემმოსენ თეთრად
პირჯვარს გადამწერს, მიმავალს, ღმერთი.

დარდიან გულში სევდა იქუხებს,
მზეს ჩამოსცვივა ჩემს გულზე ცრემლი,
შენკენ სამზერი თვალიც დადგება,
მშვიდად იყავი, უკან მომელი?!

მე იქ მივდივარ, ცად ანგელოსებს,
რომ აქვთ სუფრადა ხასხასა მოლი,
რძის მდინარესთან პეშვებს შევავსებ,
გულს მოვიბრუნებ მშიერ-მწყურვალი.

ჩამოვისვენებ ედემის ბაღში, ეგებ
აჩქეფდეს სისხლი კვლავ ძარღვში,
გასავლელია კიდევ ცხრა კარი,
პირი არ დამცეს ნაგაზმა მკლავში.

იქ შევისვენებ, სადაც დედაჩემს
დედა უშუშებს ნატკენ იარებს...
რა დავაშავე, ღმერთო, ძლიერო!
მიწაზე სული რატომ ღრიალებს?!

მომკალ და გამაქრე

ვუმზერი შენს სახეს, ვით სანთლით ჩამოქნილს,
ასეთი მშვენება მე არსად მინახავს!
მკერდში ჩაგიხუტებ, მინდა რომ ჩაგათბო,
ჩამხედე ამ გულში, შენს ტკივილს ინახავს!

დაგმალავ უბეში, დარდი რომ გამანდო,
ღამეგატეხილი გულები გავათბოთ.
ისე დაგატკბოთ, ისე გამოგათრობთ,
სიყვარულის ცეცხლი ვერავინ ჩააქროს!..

ოცნება ცის თაღზე მთვარესთან ავაგდოთ,
უბეში დილის მზე სხივებით დავბადოთ.
სიყვარულით ვძერწოთ ოცნების ტაძარი,
მასში სიყვარული, კელაპტრად ავანთოთ!

ქარებს გავატანოთ მქროლავი დარდები,
ერთხელაც გამიხსენ მაგ გულის კარები!...
ვიპოვოთ ერთურთის ლამაზი დარები,
ვერას დაგვაკლებენ გარს მყოფი ქარები!..

დაგმალავ უბეში, შემიკარ საკინძე,
სასთუმალს, იანებს, პლედებად გაგიშლი.
ჩემს გულის ბაღებში ვარდები აკინძე,
ყვავილთა სურნელი საღერღელს აგიშლის.

ქალაუ, ჩამოჯექ, დაიწან დალალი,
ქარს არ აქვს უფლებ, ის ვეღარ დაგიშლის.
გაზაფხულს მოვიხმობ, ვარდებს ის გაგიშლის,
წამწამთა ჩეროში ცრემლებსაც დაგითვლის.

გულში ვერ ჩავაქრე ღვიარებს ღადარი,
მოედო სხეულში ძლიერი ხანძარი.
ეს გული უტყვია, შენია ნაკრძალი,
მომკალ და გამაქრე, ჩაქრება ხანძარი...

ჟამს ნუ გაატან ამ წმინდა ზღაპარს...

მომეცი ხელი, შენი სითბო ახლა მჭირდება...
წლები მძვინვარებს, სიყვარული, ხედავ, ძვირდება!..
ამაზე მეტი რა ვიდარდო წარსულის შემდეგ,
როცა გულებში ბოროტება, ვხედავ, ხშირდება.

წლები მიჰქრიან, გული დნება შემოძარცვული,
შემომცვეთია გულის პერანგი, ვდგავარ სნეული.
ვიღას ვჭირდები, სნეული და ხელმოცარული,
ტაძრის გზას ვპოვეებ?უფალს მივადგე ასე ეული?!

მომეცი ხელი, ფეხთ ნუ გამითელე ყველა სიკეთე!..
ხედავ, სულის ტკივილი აელვარდა ორივე თვალში.
შენი გულიდან ანთებული მუგუზალი გამოიკეთე,
პეშვი აავსე მწყურვალისთვის, არ დარჩე ვალში!..

მომეცი ხელი, არ გამკიცხო, თხოვნასა ვბედავ...
რადგან ვატყობ მე, სიყვარულს შენს თვალში ვხედავ.
მზის ამოსვლამდე ბევრი დროა, დამიდე ზავი,
მთვარეს უბიდან არ წამოსკდეს ცრემლების ზვავი.

მომეცი ხელი, მზემ ცის კიდეზე სხივები შალოს,
რომ აელვარდეს და აენთოს გულის ლამპარი!
კიდით-კიდეზე სიყვარულის ფრთები გავშალო,
ქვეყანას ვამცნო ზეციურ მადლად ქმნილი ზღაპარი!..

მომეცი ხელი, აბესალომი ეთერის ეტრფის...
ტრისტანს ცრემლები დასცვენია იზოლდას გულზე...
დიდი მგოსნის კალამი მეფეთ მეფე თამარს ეტრფის,
შოთას ცრემლები მე გადმომდის გულიდან გულზე...

მომეცი ხელი, ჟამს ნუ გაატან ამ წმინდა ზღაპარს!
მჯერა და ვიცი, სიყვარულის ფიალა არ უნდა დაშრეს!..
და თუ ოდესმე სიყვარული აანთებს ლამპარს,
ეს წმინდა გრძნობა გულში გენთოს, არ უნდა ჩაქრეს!..

მომეცი ხელი! გულში ყვავილობს ძლიერი გრძნობა!
ჩვენ შორის ვერვინ ჩადგება, მურმანი მოვკალ!..
ჯვრის დასაწერად ზეციურ ტაძრად თუ ამომყვები,
აქ სიყვარული რატომ ჩააქრე და რატომ მოჰკალ?!...

ნეტავი სიტყვა გამეტეხა და

სწორი მეგონა, შენზე ფიქრებით
კენტად, მალულად უნდა გამევლო,
ერთხელ გითხარ და ჰა, შევასრულე,
შენს ნავალ ბილიკზე არ გადამევლო.
ნეტავ რად გითხარ, ქალავ, ჩინარო!
არ დაგიხვდები სადმე მალულად,
სპეტაკ სულში არ შემოვიჭრები,
გული იქნება ვეღარ ააწყო
ჩემი დარდებით ჩამონაჭრები.
მინდვრად წავალ და დასავიწყებლად
სევდის მდინარედ ავწანწკარდებდი,
დარდისთვის, ჩემო თვალის ჩინარო,
გწამდეს, აროდეს გაგიმეტებდი.
ოცნების კოშკებს არ დაგილეწავ,
ცად აჭრილს ნიბლიად შემიფერებდი,
ფრთამოხატული, ჩიტი, პატარა,
შენს სიყვარულზე ვიჭიკჭიკებდი.
წვიმად მოსული ციდან ციალით
შენს ფანჯრის მინას დავადნებოდი.
ერთ ხანობას კი შენდა სალხენად
სულის მტრედივით ვიღუღუნებდი.
რა ვქნა რომ, ჩემი ოცნების მტრედო,
დასავიწყებლად არ გიმეტებდი.
იქნებ სასთუმალს სიზმრად შემოვრჩე,
არ მინდა, სული აგიწიოკო
და, ტალღასავით გადავლილს, გულზე,
სევდის ბოხჩად წამოგეკიდო.
და თუ ოდესმე, კენტად დარჩენილს,
მოგენატრები, ვით წყარო, წმინდა,
მაშინ გვიანი იქნება, ჩემო,
თვალზენადენი ცრემლის მოწმენდა.
ნეტავი ძალა მომეკრიბა და
მეც დაგხვედროდი სადმე, მალულად,
იქნებ გულს დარდი არა ჰქონოდა,
ვით ია, ბუჩქში გადამალულად.
ან ერთხელ სიტყვა გამეტეხა და
გულს მოგდებოდი ცეცხლის ალმურად.

დაგეძებ ვარდში

მთათა შუბლიდან ჩამოიმსხვრა ყინულის ქუდი,
აპრილმა გახსნა ოცნების და ფერების გუდა.
ყვავილთ გულიდან ამოსულა ფერია ნაზად
სწორედ მე შენი მშვენება მისებრა მსურდა.

ეს გაზაფხული, ნორჩ კვირტებიდან აფეთქებული,
გადმოიშლება საოცნებო ათას ფერებად.
ეს გაზაფხული შენს ტრფობაში არ დამთავრდება
და ეს მშვენება, იცოდე, რომ მეშენფერება.

მეშენფერება ყვავილების წითელი ტუჩი,
მისი თვალიდან გადმოშლილი ცრემლის კურცხალი,
შენი ხმა მესმის მოჭიკჭიკე შავჩოხიანის –
ერდოზე რომ მღერს, ფრთებხატულა, შავი მერცხალი.

მეშენფერება ვარდისფერი ყაყაჩოს სახე,
ქართან ცეკვისას რომ ერხევა შავი წამწამი,
მეშენფერება გვირილების თეთრი ბაბთები
და მათ ტრფობაში ნათენები ყოველი წამი.

შენ ჩემი მზე ხარ, ჩემი თვალთა ათინათი ხარ,
ყვავილში გეძებ, ათქვირებულ ჩაკოკრილ ვარდში.
გზადმიმავალს ვერ შეგადარებ, ვერ ვპოულობ
შენს ლამაზ სახეს, მილიონ ქალში.

ერთი რამ გწამდეს, შენ ყვავილთა ხარ შესადარი,
გადრი ზეციურ ქალღმერთს და ვარდთა დედოფალს,
ვით ქულა, ბამბის, და თეთრი ღრუბლის დომფალი,
აშოლტილი ლერწმის ღერო, ბროლის გამონათალი.

დღეს გაზაფხული

ღამე ჩამოჯდა სარეცელზე, დღეს ეთხოვება.
ვის უნახია დღის წუწუნი ამბორში ათევს,
მზის სხივთა ცვენით, ათინათის სიკაშკაშეთი,
გულის კუთხეში მიმალულ ბნელეთში აღწევს.

აპრილის თქეში ჩამოიქცა ცათა თვალიდან,
სულში ჩაღვრილმა წვიმამ არ გადაგღალოს,
დღეს გაზაფხული მთების გულში აფეთქებულა
და ამ სიტურფემ როგორ მინდა შენ გაგახაროს.

გულს მალამოდ ედება

მშიერ გულზე ლექსი მყოფნის
საკვებად და საგზლადაც,
ლექსი არის ჩემი ბინა,
ლექსი მყოფნის საბნადაც...

ორმა თვალმა ლექსის გამო
ბევრჯერ კორდი დანამა,
ხან სიმები ააჟღერა
გულს სიმღერად ეამა.

ხან გიჟდება, როგორც ხარი,
არეს იკლებს ბღავილით,
ხან ინთება ნაპერწკლებად
ცივი ქვიდან ტალივით.

ხან მზის სხივად იბრიალა,
სხივი ანთო კოცონად,
ხან ბავშვივით ალერსი სურს,
ყვავილებს ჰკრავს კონებად.

ნეტარია გული მისგან,
გულს მალამოდ ედება.
ტკივილი და მწველი წყლული
ჩერდება და ნელდება.

საჩუქარია...

ვარ ინჟინერი ლექსთა კელიის,
მისი ქონგურის ხელის შემვლები,
ჩემი სიცოცხლის ბრიალა სანთელს,
ფრთაჩამომწვარი ვეღარ ვეცლები.

ჭირისმთმენი და ბევრის შემსწრები,
ვავდები ისე, ვით ამორძალი,
მაგრამ როდესაც მუზა მეწვევა
სათნო ვარ ისე, ვით პატარძალი.

თაიგული მაქვს, ლექსის, შეკრული,
მორცხვად ვისროლო მინდა ხელიდან,
სიმი მოვზიდე საფერებელი,
ტუჩის და თვალის საცეცებიდან.

ვერ მოველ შენთან საამბორებლად,
იცი, სიყალბე არა მჩვევია.
გამოვატანე ჰაერს კოცნები,
დილას, ადრიანს, ხელთ შერჩენია...

მიდი და იქნებ მიიღო ის, რაც
დილას კოცნები გულზე ვაბნიე,
საჩუქარია, ხვთისგან ბოძებულს
მოეფერე და გულს შეიბნიე...

ვეკისკასები სამყაროს ხან და...

არ მინანია არც ერთი წუთი,
სიცოცხლესა აქვს ძლიერი აზრი!..
ვეკისკასები სამყაროს ხან და
ხან თვალი მწარე ცრემლებსა ბარდნის...

წუთისოფელი მინთია სანთლად,
მზის ჩირაღდანი ზეციდან მათბობს,
სამყარო დროთა სილუეტს ხატავს,
არამიწიერ ფერებით ამკობს!..

მოხატულია ცაზე შვიდფერად,
ანარეკლები მთვარისა და მზისა!..

ჩემი სიცოცხლე, არსი ყოველდღის,
მადლია მხოლოდ ზენაარ ხვთისა!..

მისით შევიგრძენ მე ეს სამყარო!...
მთის სურნელი და ბარის სინაზე.
განა ყოველი უნდა იწამო,
ვინც დააბიჯებს ურცხცად მიწაზე?...

ის გიღალატებს, ვინც გეფიცება,
ვისთვისაცა ხარ დაზე უტკბესი,
ვინაც ათასი პატივის შემდეგ,
არ მოვიდა და არ გცა ნუგეში...

ნატვრა

წუთისოფელო, რადა მსჯი,
წერა მწადია დარდისა,
მსურდა, საწუთროვ, ბინდისფერ
სოფლად მაფენდე მადლის თვალს.
ძნელი ყოფილა ძლევაი,
ყოფა, ამდენი დარდისა,
აწიოკებულ-ნაჩეჩი, დღენი
აშარი ქარისა...
ნეტავ ერთხელ მქნა ყვავილი,
ან სატრფო ვიქნე მთვარისა,
გულს აღარ დააჩნდებოდა
კვალი სევდის და ჯავრისა!...
შვილად მქმენ, ნეტავ უფალო,
ვიგრძნო ძალა და დიდება
შენი მფარველი კალთისა!
ეს არის ჩემი სიტყვები,
ნაძერწი შენივ კალმისა!...
მე მზისად ყოფნა მწადია,
სითბო ვაფრქვიო სხივისა,
ერთხელ მქმენ, ღმერთო,
მის ნაცვლად,
მფლობელი, ოქროს მძივისა!..
ერთხელ მქმენ ნეტავ ცისნამი,
ყვავილთ გულს მძივად ყოფნისა,
შევიქმნებოდი რამდენჯერს,
სატრფოს ცრემლისა კონისა.
დილის სიო მქნა ნარნარით,
ბალახს წავგლეჯდი მძივებსა,
ამოუშრობდი წამწამებს
ცაზე დაკიდულ სხივებსა.
ერთხელ მქნა ნეტავ ყაყაჩო,
დედოფლად ვიქმნე ყანისა,
ანდა გვირილა მთის ქედის,
მაბრწყინებელი თვალისა.
ერთხელ ელვა მქნა ნეტავი,
მტრის ამომყრელი ჯავრისა!...
მთვარედაც ყოფნა მწადია
ღამით მომცემი გეზისა,
მანათობელი, შუქურად,
ციდან შავ-ბნელი გზებისა...
მაგრამ ვაი, რომ ვყოფილვარ
უშნო მყოფელი ნატვრისა,
უფრო წავაგავ მთის ქედზე,
მწოლარე ბებერ ნადირსა -
მუხის ჩრდილებში მთვარესთან
რომ შეექცევა ნადიმსა!...
ღამით ბუს ვგავარ, მიკიოტს,
უშნო ხმით, ავად მყვირალსა!..
ღმერთო, ამას გთხოვ, როს
სადმე შემყრიდე ადამიანსა!...
ვისი ცხოვრებაც ლხენას გავს
და არა სულდარდიანსა!...
დარდის მოსმენა აღარ მსურს,
უშველე სულს, წყლულიანსა!...

* ** *

თამაშ-თამაშ არ მივყვები,
არც დროს და არც ნაბიჯებს.
ისიც არად მიმაჩნია, ვინც
სხვის ნავალს აბიჯებს.
საკუთარით გაიკაფე
გზა, ვიწრო, ეკლიანი,
გზის დასასრულს ჰპოვებ
ოქროს, არ იქნები სევდიანი.

თენგიზ ფანცულაია – ხერგილელი ოქროპირი.
სამართალმცოდნე; პოლიციის პოლკოვნიკი;
შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი;
დაბადების ადგილი – სამტრედია, დაბა კულაში.

აღარ დაიმძიმოთ სული

უფრო მძიმე არის სული,
ვიდრე კაცს დააქვს სხეული,
და ამიტომ ერთისათვის
ტარებაა მეტად რთული.

ეს ცხოვრება, ყველამ იცით,
რარიგ არის დაძაბული,
ინტრიგებით დაბლანდული,
ცოდვებით დამძიმებული.

ცუდი ქცევით შებღალული,
ბნელი სენით გათანგული,
ბევრია საქმის ორგული,
ან ეშმას მახეს გაბმული.

მოღალატე და ორგული,
ბინძურ ვნებით მომართული,
ამიტომაც კაცის სული,
მეტად არის დატვირთული.

ხოდა, სანამ ცოცხლები ვართ,
სანამ პირში გვიდგას სული,
დავეხმაროთ და ვატაროთ,
ყველამ ერთმანეთის სული.

თქვენ ჩემი და მე კი თქვენი,
მე სხვისი და იმ სხვამ სხვისი,
შევუმსუბუქოთ ერთმანეთს,
სული - ნაბოძები ღვთისი.

როცა გულს გვტკენს მეგობარი,
გარდაცვლილი და წასული,
ამის შემდეგ რომ არ დავრჩეთ
ობოლი და მარტოსული.

მოუხშირეთ მოფერებას,
რასაც შველის თბილი გული,
გავამხნევოთ წაქცეული,
და გავხადოთ გაბედული.

თანამოძმის შეშველებას
არ უჩანდეს დასასრული,
თქვენს გულებში დამენახოს,
მუდამ თბილი გაზაფხული.

განიშორეთ სიძულვილი,
დაგამძიმებთ ბოღმა-შური,
მეტი აფრქვიეთ ღიმილი,
გადნეს გული - გაყინული
პ.ს.
ამიტომაც სითბო თესეთ,
აღარ დაიმძიმოთ სული,
გვარიგებდა ჩვენ მწერალი,
დიდ გურულად წოდებული.

ჩემებურად, ლექსად ვცადე,
მეთქვა, რა მძიმეა სული,
თქვენ განსაჯეთ მეგობრებო,
სწორად თუ მაქვს გაგებული.

სამშობლოს სახელს ვბუტბუტებ

„სამშობლოს სახელს ვბუტბუტებ“
სიზმარშია თუ ცხადშია,
მწარედ გულსა მტკენს, რაც ხდება,
დავალ ცრემლების ღვრაშია.

ჩვენი დაქცევის მოსურნე,
მტერი, მომდგარა კარშია,
სულ გადაგვკიდეს ერთმანეთს,
გაგვხვიეს მწარე შარშია.

სენიც მოგვადგა, ბოროტი,
ვართ წასულების თვლაშია,
გაგვაწამა და გვატირებს,
ბევრი დაგვიდის თალხშია,

დედაბოძები გავრეკეთ,
აზია-ევროპაშია,
და მათი გამოგზავნილი,
ბევრია მწვანეს თვლაშია.

ფარისევლები დადიან
ეკლესია და ხატშია,
ინდულგენციით მოირგო
მკვლელმა მოწამის არშია.

არვის არ უნდა მსახური,
საზღვრის დამცველად, ჯარშია,
ქლესა გვიჩაგრავს მეომარს,
ჩაწყობა-მარიფათშია.

თხოვნა მაქვს: „ძოპიროსები“
არ შემოუშვათ კარშია,
არაფრით არ დააყენოთ,
ქვეყნის დამცველთა თავშია.

სამშობლოსათვის იბრძოლე,
ავდარშია თუ დარშია,
ძალა არ გამოგლეოდეს,
მუხლსა და კიდევ მკლავშია.

პატივი ეცით მშრომელებს,
ცნობილებს ოფლის ღვრაშია,
ხალისიანი მენახოს,
ქართველი მარნის კარშია.

არ დაეჩაგროს არავის,
ქართველი ჭკვა და ხმალშია,
კაცი იბრძოდეს, დიაცი -
ერთგულად ჰყავდეს მხარშია.

მოძმეთა დასახმარებლად,
ერთურთს ვასწრებდეთ გზაშია,
გამრავლებული მენახოთ,
ქართველნო ფუძე-გვარშია.

გამოიღვიძეთ, გეყოფათ,
გამოიხედეთ თვალშია,
გადავშენდებით იცოდეთ,
სხვის ყურება და ცდაშია.

მოდით ერთმანეთს ალალად,
დავუდგეთ ძმებო მხარშია,
კატარღით გავისეირნოთ,
რიწის უცივეს ტბაშია.

არ დავივიწყოთ ყელის ტბა,
ევროპის, რომ დგას თავშია,
მასაც ვესტუმროთ ლაშქრობით,
წმინდა ქსნის ხეობაშია.

მუდამ შენს სახელს ვბუტბუტებ,
სიზმარში ვარ თუ ცხადშია,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
გაბრწყინდეს მომავალშია.

პ.ს.
ლექსად ვბუტბუტებ, გაფხიზლებთ,
ჩავარდნილი ვარ ფიქრშია,
თქვენ კი სანამდე იქნებით
კოტრიალსა და ძილშია.

ჩვენი ცხოვრება მშვენიერია, თუკი სამშობლო ბედნიერია!

თვალი წავკარი, ამოვიკითხე,
„ცხოვრება, ჩვენი, მშვენიერია“,
მუზა უმალვე ჩემთან მოფრინდა,
თემა ვნახე და დასაწერია.

როცა გლეხკაცი ღონიერია
და მოსავალი ხვავრიელია,
სოფელში ბოლავს ბუხარ-კერია,
და მაგიდაზე არ დევს მტვერია.

როცა ორგული გვყავს სამხელია,
მოღალატე კი დასასჯელია,
როცა მომხვდური გასადენია,
დამარცხებული რომ გვყავს მტერია.

როცა მმართველი გონიერია,
მამულის მცველი კი ძლიერია,
ქართველის გული უდრეკელია
და მუხლი მისი ჩაუხრელია.

როცა შვილები – განათლებული,
ზრდილობით სავსე, ნიჭიერია,
როცა უფროსი – დაფასებული,
მშობელი შვილის მადლიერია.

როცა იზრდება ახალგაზრდები,
მშენებელი თუ ინჟინერია,
მოდის თაობა საქმიანი და
მათ ასახელონ უნდა ერია.

როცა სატრფოსკენ მიგირბის გული,
და პაემანზე წასასვლელია,
როცა იფეთქებს გულს სიყვარული,
იცით, ცხოვრება მშვენიერია.

როცა ოჯახში მუდამ გელიან,
და გამართული არის კერია,
როცა მშრომელი მიღებული და
პატივში არის მეცნიერია.

როცა საზღვარი ურყეველია,
აღდგენილი და უკვე მთელია,
როცა ჩაკრულოს ლაღად მღერიან,
მაშინ ცხოვრება მშვენიერია.

როცა ოჯახი შესაქმნელია,
როცა ქორწილში მოსალხენია,
განწყობა მაშინ შესაფერია,
და პატარძალი მოსაფერია.

თუ გაიძეძგა წელს ბეღელია,
ბარაქიანი დადგა რთველია,
ვიყოთ უფალის მადლიერია,
ერთად შევძახოთ: „დელი დელია“.

როცა ფასდება წესიერია,
არ გვეყოლება ჩვენ მშიერია,
როცა მორალი სულიერია,
იქ სიყვარული მუდამ წრფელია.

ღმერთო, გვაშორე მანკიერია,
ქართველის ქცევა, უდიერია,
ძალა მომეცი, შემოვიკრიბო,
მეინახენი სანატრელია.

როცა მმართველი გონიერია,
როცა სოფელი ღონიერია,
როცა ერთი გვყავს ძმებო, მტერია,
მაშინ ქართველი უძლეველია.

ღმერთო ისმინე ჩემი ვედრება
და ამიყვავე ქართველთ ერია,
ჩვენი ცხოვრება მშვენიერია,
როცა სამშობლო ბედნიერია.

პ.ს.
დღეს მაპატიეთ ეს მისტერია,
უფრო ცუდებიც დამიწერია,
უბრალოდ, მართლა ბედნიერია,
თუ ერთად დადგა მთელი ერია.

ქალი როგორც ნატვრისთვალი

ქალი არის ნატვრისთვალი
და ლამაზი ნახევარი,
ხან მაღალი, ხან დაბალი
ხან მსუქანი, ხან გამხდარი.

ზოგი სულაც ანგეშია,
მოხდენილი დააქვს ტანი,
ხან უხეშად დაბაჯბაჯებს,
ხან გოგმანებს ტანკენარი.

ხან თბილი და ხან აშარი,
ტკბილი და ხან ენამყრალი,
სიყვარულის ბანგით მთვრალი,
ხან დედა და ხან კი რძალი.

ხან მიჯნური, სახვეწარი,
მოსატაცებ-სათხოვარი,
ზოგი ქვრივი, მადლიანი,
ზოგიც კიდევ მუდამ შარი.

ზოგი კი განათხოვარი,
ბევრი კი ოჯახის თვალი,
ქმრის ერთგული, მისი ფარი,
დაცული აქვს სახლის კარი.

უყვარს ოჯახი და ქმარი,
გვერდში მდგომი მეგობარი,
მასთან ლაღია სტუმარი,
კერის დედაბოძი არი.

ზოგს ქცევაზე დაეტყობა,
რომ ოჯახშია გაზრდილი,
ზოგი საუბარში გხიბლავს,
ალალი და გულახდილი.

ზოგი გულით საფიცარი,
ზოგის მაცდურია თვალი,
დღეს რატომღაც კაი ქალი,
სანთლითაა საძებარი.

ზოგი უცხოეთს გაგზავნეს,
გაუჩინეს საშოვარი,
მთავარია გამოგზავნოს,
ფუნტი, ევრო ან დოლარი.

ზოგი ძიძა გახადეს და
ზოგი მომვლელი, მხევალი,
შვილს, შვილიშვილს
დაუკარგეს,
იავნანას მომღერალი.

ზოგი სათნო, გულიანი,
ქცევით კიდევ თავმდაბალი,
ზოგსაც უჭრის კალამი და
ზოგიც გენიოსი არი.

ზოგი ხეობას ამაგრებს,
მტერის ხელში ჯერ რომ არი,
დარჩენილთა იმედია,
და აწუხებს სატკივარი.

მას მტკიცე აქვს სული,
მხარი,
გაუმრავლებია გვარი,
მტერი ჩაუჩეხია და
თავში უხეთქია ხმალი.

ზოგი სულით ღარიბია,
თუმცა ფულიანი არი,
ზოგი უკმეხი და ავი,
ზოგი ქცევით - დედოფალი.

თითქოს კარგად გაიცანი,
გვერდში მყოფი კოხტა ქალი,
ბოლომდე მას ვერ ჩაწვდები,
მაინც რჩება იდუმალი.

სადაც რამე იბადება,
სათავეში არის ქალი,
იგი არის, ღმერთისაგან,
მშვენიერი საჩუქარი.

დღეს ბევრია კაი ქალი
და მზესთან დასაფიცარი,
მოსაწონი-საქებარი,
მშრომელი და გვერდში
მდგარი.

მრავლადა გვყავს სასახელო,
ენით ტკბილად მოუბარი,
ქცევით ზრდილი და სპეტაკი,
ქართულ ოჯახების თვალი.

ბედნიერი არის ქმარი,
თუკი შეხვდა შესადარი,
ნაზი, თბილი, კოხტა, წყნარი,
ქალი მართლა
ნატვრისთვალი.

პ.ს.
თუკი რამე მე გამომრჩა,
სიტყვა, კაი საქებარი,
თქვენი აზრი მომაწოდეთ,
ჩემზე იყოს კალმისტარი.

მეგობრების სადღეგრძელო

მეგობარი ცხოვრებაში ჰაერივით მჭირდება,
გვერდში დგომა, მოფერება, მუდამ გულით მინდება,
მათთან ტკბილი საუბარი, არასდროს მომწყინდება,
საქციელი შეეშალა? – მაშინ გული მტკივდება.

მეგობრობის გრძნობა მგონი ბავშვობიდან იწყება,
როცა სოფლის გზა-შარაზე ძმაკაცები გიჩნდება,
როცა მათთან თამაში და ცელქობები გინდება,
საღამოს კი სახლში წასვლა სულ გადაგავიწყდება.

მეგობრების რიცხვი უკვე იმ სკოლიდან იზრდება,
სადაც მერხზე იმას არჩევ, გვერდში ვინ მოგიჯდება,
დრო გადის და კლასელები შენ არ დაგავიწყდება,
წარმატებულს დაინახავ? – გული დაგიმშვიდდება.

შემდეგ მოდის უმაღლესი, შეგნება რომ იზრდება,
თანაკურსელს რა სჯობია, გულში რომ ჩაგიჯდება,
ჩაიჯენ და ლაღად სუნთქავ, განა გული მძიმდება,
მათთან ერთად ძლიერდები, წინ ვერავინ გიდგება.

რაც დრო გადის, მეგობრობა მაჭარივით ღვინდება,
ცხოვრებაში ღვინოსავით, ნელა დაიწმინდება,
ბევრი გამოცდას ვერ უძლებს და ქცევებში იჭრება,
მოღალატე გაგირბის და შენს გულს არ უფრთხილდება.

მეგობრობა, ცხოვრებაში, ჭირში გამოიცდება,
ზემოთ მყოფს და მოქეიფეს ყველა სულში გიძვრება,
გაგიჭირდა-წაიჩოქე? – ახლოს აღარ გიჩნდება,
მოკითხვა და დახმარება, უკვე მას ავიწყდება.

ზოგი ცდუნებას ვერ უძლებს, ეშმა რომ შეუჩნდება,
რამე თუკი მოიპოვა, მისი გული ცივდება,
ორბიტიდან იკარგება და არედან გიქრება,
მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, რამე თუკი სჭირდება.

ზოგი არსად მიგატოვებს, გიძმობს, შეგეხიდება,
სანამ ფეხზე წამოდგები, გვერდში აღარ გცილდება,

მომილოცია ახალი წელი

გულმხურვალედ გევედრები,
აღმიპყრია ორთავ ხელი,
დიდო ღმერთო, ზენაარო,
შენთვის ავანთე სანთელი.

შენგან ხარობს ამა სოფლად
არსება და სულიერი,
უბრალო და ცოდვიანი,
შენგან დალოცვას მოველი.

სამყაროს შემოქმედი ხარ,
შენი ნებაა ყოველი,
გეაჯები, აგვაცილე,
ეს სენი და განსაცდელი.

მოაშორე ჩემს ქართველებს
შიშის გრძნობა, სატანჯველი,
მიეც ჯანი და სიმთელე,
კიდევ უკვდავება შენი.

ძველებურად, სტუმრის ხილვით,
გაახარე მასპინძელი,
ეზო ფრინველით გაავსე,
სიმინდ-ხორბალით ბეღელი.

ბოსელში კი გაგვიმრავლე
ჯიშიანი საქონელი,
მუდამ ხვავიანი იყოს,
შემოდგომის ყველა რთველი.

გთხოვ, შვილები გაგვეზარდოს
განათლებული-დამჯერი,
საზღვრის გარეთ გაგვიდენე
კარებზე მომდგარი მტერი.

დაგვისაჯე ქართველისთვის
ავისა და ცუდის მქნელი,
დასაჯე, არ გაახარო,
მოძმისა და კაცის მკვლელი.

ზოგის მხარს ვერ დაენდობი, უცებ ჩამოგისხლტება,
ზოგს გრიგალიც ვერ შეარყევს და ბოლომდე მიგყვება.

მეგობარის დანახვაზე გულში სითბო იღვრება,
მისი ხილვა გსიამოვნებს და ჭუკჭუკი გინდება,
საბაბი კი შეკრებისთვის უცებ მოგაფიქრდება,
საქეიფოდ ჩაჯდები და დრო უცებ გაფრინდება.

მეგობარის სადღეგრძელოს შესმა მუდამ მინდება,
მაშინ გული ხალისობს და სამყარო ბრწყინდება,
მათი ძალით გულმოცემულს, არვის შემეშინდება,
ცხრათავიან დევს წავაქცევ, აღარ გამიჭირდება.

მეგობარი ოჯახს განდობს და მირონიც გიხდება,
ამის შემდეგ იგი შენთვის ძალზე ძვირფასი ხდება,
ოჯახებით მეგობრობის უკვე წრე შეიკვრება,
უკვე ნამრავლი მეგობრობს, ამას თქმა არ სჭირდება.

მეგობარის სახე გულში სანთელივით ინთება,
შორს წავა და ჩახუტება უფრო მეტად გინდება,
დრო გადის და, სამწუხაროდ, გაცილებაც გვიხდება,
ამიტომაც მოვეფეროთ, სანამ გაგვიფრინდება.

პ.ს.
მეგობრობის სათუთ გრძნობას,
მოფრთხილება სჭირდება,
მინდობილ გულს მოეფერე,
თორემ გაგიცივდება.

მოღალატეს სირცხვილი და
ლაფი აღარ სცილდება,
მას სახელი, შადიმანის,
სამარემდე მიჰყვება.

მეგობრობის ფაქიზ გრძნობას
მოფერება სჭირდება,
ვინც ბოლომდე კაცი დარჩა,
პატივი და დიდება.

ახალ წლიდან მოგვიმრავლე
ხალხი, სიკეთის მთესველი,
ქართველ კაცის სახლის კიბეს,
აღარ დადებოდეს მტვერი.

მართალ კაცს არ დაუკარგო
სანთელი და საკმეველი,
ქართველები დამანახე,
ჯანმრთელები და დღეგრძელი.

ახალი წლის ღამეს, თოვლის,
აღარ მოგვაკლო ფანტელი,
ჩვენს პატარებს აუშალე,
გუნდაობის საღერღელი.

ჩემი ხალხი დამანახე,
ერთად მდგომი, ბედნიერი,
მუდამ შეგთხოვ, გამიხარე,
გამიმრავლე ჩემი ერი.

თენგო ვარ, ფანცულაია,
კოლხი-მეგრი, იმერელი,
ყველა კუთხის მოყვარული,
ერთი უბრალო ქართველი.

სხვებთან ერთად გევედრები,
არ აიღო ჩვენზე ხელი,
ბედნიერი გაგვითენე,
ეს და სხვა ახალი წელი.

რად გრიალებს შადიმანა

ჩემთვის ვზივარ, მუზამ ცოტა
საფიქრალი მომიტანა,
ფარისეველთ რატომ ვგუობთ,
რად გრიალებს შადიმანა.

რატომ დადგა უზნეობის,
გამყიდველთა დრო და ხანა
დამიჯერეთ ამ მიდგომით,
დნება, ქრება ეს ქვეყანა.

თემა, ასე მტკივნეული,
კი მომაწვა დილიდანა,
თუ ინებებს ზენაარი,
კი შევავსებ ხანდახანა.

ღმერთი ხომ ჩვენშია

ღმერთი ხომ ჩვენშია, თუ გიყვარს კაცს,
თუ აფრქვევ გარშემო, სიკეთეს, მადლს,
მეგობარს ანახებ გულს, კეთილს, ნაღდს,
ისიც არ მოგაკლებს მის ერთგულ მხარს..

ღმერთი ხომ ჩვენშია, რომ ეტრფი ქალს,
ლამაზს და მშვენიერს, ბუნებით წყნარს,
ცოლობას გაგიწევს, გაგითბობს სახლს,
გაგიჩენს შვილებს და გიმრავლებს გვარს.

ღმერთი ხომ ჩვენშია, თუ თესავ კარგს,
ეკალს თუ გაჩეხავ, ახარებ ვარდს,
რაც უნდა გაწვალონ, დაგესხან თავს,
ყოველთვის იყვირე: „სიკეთის მწამს!“

ღმერთი ხომ ჩვენშია, ყოველ წუთს, წამს,
ეშმაკს თუ განაგდებ, ცდუნების ჟამს,
გახსოვდეთ, იცოდეთ, რომ შური კლავს,
და აღარ დაადგეთ ღალატის გზას.

ღმერთი ხომ ჩვენშია, გვიმაგრებს მხარს,
ყველას და ყველაფერს აცილებს ავს,
ის ზურგში გვიყენებს დამცველად ფარს,
არასდროს განუდგეთ უფალს და ჯვარს.

ღმერთი ხომ ჩვენშია, თუ შრომის გწამს,
თუ უვლი ვენახს და აყვავებ ზვარს,
სოფლად არ ივიწყებ თოხსა და ბარს,
უფალი სულ მოგცემს მოსავალს, ხვავს.

ღმერთი ხომ ჩვენშია, გულებში გვყავს,
ყოველი ჩვენგანის ქცევაში ჩანს,
მიჰყვები ლამაზად წინაპრის კვალს,
სამშობლოს ანაცვლებ სიცოცხლეს, თავს.

ღმერთი ხომ ჩვენშია, თუ გრძნობა გაქვს,
დავარდნილს უმალ თუ აწოდებ წყალს,
ავადმყოფს აშველებ მალამოს, აბს,
ერთმანეთს საშველად თუ ვუწვდით მკლავს.

ღმერთი ხომ ჩვენშია, თუკი გრძნობ მას,
პატრონობ მიწა-წყალს და ლამაზ მთას,
დაიცავ სამშობლოს და შექმნი ჯარს,
მამულის გულისთვის იშიშვლებ ხმალს.

ღმერთი ხომ ჩვენშია, თუ სულის გვწამს,
ჩვენს რწმენას მივხედოთ, პატივს ვცემთ სხვას,
რაც უნდა მიგვაგდონ ხაფანგს და ფანდს,
უფალი ყოველთვის გაგვიხნის გზას.

პ.ს.
არ ვიცი, საიდან ვღებულობ აზრს,
პოეტი არა ვარ, სხვა მუზა მყავს,
ხო იცით, ვმსახურობ მე სულ სხვა დარგს,
ნამეტანს ნუ მომთხოვთ პოლკოვნიკ კაცს.

* * *
ამბობენ, რომ ეს ცხოვრება,
დანაღმული არის ველი,
ამიტომაც ცხოვრების გზა,
არის ძნელად გასავლელი.

გული, ღმერთის ბოძებული.

თუკი გინდა სახე გქონდეთ,
შუქის მფენი, გაბადრული,
სითბო-სიკეთით გაავსეთ,
გული, ღმერთის ბოძებული.

ამას ვამბობ, ცხოვრებაში
მეტნაკლებად ჩახედული,
კლინიკიდან გადღეგრძელებთ,
დაე, საღი გქონდეთ გული.

უფლის მადლით წამოვდგები,
თქვენთან ლაღობს ჩემი სული,
გთხოვთ, რომ აღარ გაანელოთ
დათესილი სიყვარული.

სიკვდილით შეწუხებული სიკვდილი

რატომ გინდებათ ერთურთს ესროლოთ
მკვლელი სიტყვები, ქვა და ტალახი?
სამოთხისაკენ მიმავალ გზაზე
გასათიბია უკვე ბალახი...

შემოგვითვალა თურმე სიკვდილმა,
მარტო მე ვარო ბოროტი, მკვლელი?
ვეღარ ხედავთო, ირგვლივ აღარ ჩანს,
მამულის, ენის და რწმენის მცველი!...

რად დაივიწყეთ ადამის მოდგმამ
ქვრივი, ობოლი და გვერდში მდგომი?
თქვენი ბინძური ზრახვებისათვის,
რად გააჩაღეთ ამდენი ომი...

რად გაგიცივდათ ადამიანებს,
ადრე თბილი და კეთილი გული?
რატომ არჩიეთ მოძმის ფერებას,
თქვენი სიხარბე, ვერცხლი და ფული?

თავად თქვენა ხართ სიკეთის ნაცვლად,
სიკვდილის თესვით დაკავებული!
რატომ არ გინდათ, გადაარჩინოთ,
მოშიმშილე და გაჭირვებული?

მჭედელს შესტირა, თურმე საწყალმა,
ყოფილა ძალზე შეწუხებული:
თავად თქვენა ხართ სისხლს და მკვლელობას,
სხვების დაღუპვას მოწყურებული...

მე, გაცილება, არა ვინმეს კვლა,
მქონდა უფლისგან დავალებული!
სამოთხის კართან რომ მიმეყვანა,
უფლისა ნებით მიცვალებული...

თავსაბურავი ჩამოვიფარე,
არ დამინახოთ ატირებული...
თეთრი სამოსი შავით შევცვალე,
სისხლი არ ნახოთ იქ მიცხებული...

აღარ ყოფილა მარტო სიკვდილი,
ადამიანის მტერი და მკვლელი,
თურმე სამოთხის გზის გასათიბად
სჭირდება ჩვენთვის ცნობილი ცელი!
პ.ს.
დღეს შემეცოდა ცოტა სიკვდილი,
ამეცრემლა და მგონია ვტირი...
ერთმანეთი რომ გადავარჩინოთ,
უბრალოდ ქცევა გვქონოდეს თბილი.

პოეტებმაც გავაჩაღოთ,
პოეზიის ლაღი რთველი,
ხალხს ბწკარები მივაწოდოთ,
მხოლოდ თბილი, მოსაფერი.

თანამოძმეს ავარიდოთ,
ტკვილი და მძიმე სენი,
ავაყვავოთ სამშობლო და
დრო დაგვიდგეს მოსალხენი.

ერთმანეთს არ შევუმოკლოთ,
უფლის ბოძებული დღენი,
იქნებ სიკვდილს არც დასჭირდეს,
დაუჟანგდეს მისი ცელი.

ლალი ორმოცაძეს

სულ სხვა მისია ჰქონია თურმე,
სიკვდილს უფლისგან დავალებული,
სამოთხის კართან მიიყვანოს და
თან შეაცილოს მიცვალებული.

დღეს ადამიანს რად გაუცივდა,
ერთ დროს თბილი და სათუთი გული,
გადაივიწყა, მხოლოდ ღმერთია,
ადამიანის ქცევის მსაჯული.

დღეს გაბოროტდა ადამის მოდგა,
გააბატონეს ბოღმა და შური,
თავად სიკვდილი რომ დაამწუხრეს,
სიმართლე გითხრათ, მეტკინა გული.

ოკუპირებული ფიფქი

ახალგორისკენ ცოტა მოთოვა,
მორიდებულად ცრის,
მგონი მოლოცვა მაგას უნდოდა,
ბედობის-ახალ წლის.

ფიფქი მოსული ახმაჯის მთიდან,
ედება ნაპირს წყლის,
ფიფქი უძალო, სუსტი და ნაზი,
მიწამდე დადის ძლივს.

ასე მგონია, ბუნებაც ტირის,
ფიფქებად ცრემლებს ყრის,
დარდობს, რომ ყველას ვერ ეფერება,
დაპყრობილ კუთხის შვილს.

ცდილობს და ვეღარ მიუღწევია,
ფანტელის ზომისთვის,
ასეთი თოვით ის ვერ დაფარავს,
დიდსა ხეობას, ქსნის,

მიწამდე თითქმის ვეღარა აღწევს,
გზაშივე იწყებს ძილს,
თოვის ხალისი მას აღარა აქვს,
უღელქვეშ გმინავს, მტრის.

ხალხია ცოტა დამწუხრებული,
ბრალი დაკეტილ გზის,
არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა,
არც წელს, არც სხვა დღეს, თვის.

...და არც იმათმა, თუკი ბრალშია,
ჩაბარებისთვის მის,
როდის მოუვა აზრი, ნათელი,
მომხვდური მტერის ტვინს.

უკან სახლისკენ იქნებ მიბრუნდეს,
გზას რომ დაადგეს, მტვრის,
ხეობა მაშინ ამოისუნთქებს,
ხალხის ვიხილავთ ლხინს.

წმინდა ხეობა დაიგუგუნებს:
"ჰაი დედასა, მტრის!"
მეუფე ლოცვას ტაძრად აღავლენს,
ლარგვისი-დორენთკრის.

მომლოცველთათვის გზა გაიხსნება,
იკორთის მონასტრის,
ლოცვა გაისმის დაბის ტაძარში,
მამა ანტონის ხმის.

ზოგს კი ღალატი მოეკითხება,
ლომისას ცრემლი სდის.
ორ სკამზე მჯდომებს რა ეშველება,
დღე რომ დადგება თქმის.

მეც შეპირებულ სუფრას ვიკისრებ,
ნაღდს იმერულს და ტკბილს,
ჩინებულ სუფრას ჩინურს ვაახლებ,
ჩაციებულს და გრილს.

მენიუ უკვე შედგენილი მაქვს,
ციკნებს ავადენ ღდინს.
გულმართალ კაცის ავტორს ვიახლებ,
ზოგსაც ვიმღერებთ სხვისს.

ახლა მთავარი საკითხი დარჩა,
საფიქრალ-განკითხვის,
როდის იქნება და გვეღირსება,
დაბრუნება ამ მხრის.

იქნებ შეიკრას ხალხი ერთ მუშტად,
სამშობლოს საქმისთვის,
იქნებ იფიქროს წმინდა მხარეზე,
ვინც თბილ ადგილზე ზის.

ვეღარ ეშვება დევნილი ხალხი,
საკუთარ სახლზე ფიქრს,
ბევრი მინახავს პოსტთან მოსული,
ცრემლებს ჩუმადა ღვრის.

გულმოკლული რომ უკან ბრუნდება,
მე ეს ტკივილსა მგვრის,
ვერ ეგუება იმ კოტეჯებში,
თუნდაც მდიდრულად ძილს.

სიზმარში მუდამ იმ გზის ხილვა აქვთ,
სახლისკენ მიმავლის,
ვისაც ეკუთვნის, სანამ აპირებთ,
ამ საკითხებზე ძილს.

ერთი გოგონა მგონი შემპირდა,
გახსნას ცხრაკლიტულ გზის,
გისრულდებაო ყველა ოცნება,
ფერების გაგხდი ღირსს.

მოპოეტო კაცს გაგახარებო,
დალალში გაგხვევ თმის,
მეც მუზას გულით მოვეფერები,
ფაქიზ ასულსა, მთის.

ახლა ნერვები არ დაიძაბონ,
ძიებით მაგისთვის,
მუზა და ქალი წარმოსახვაა,
ლამაზი წყობისთვის.

თუმცა ვინ იცის, რა იმალება
ამ ლექსში ნდობისთვის.
ვინ შემაყვარა წმინდა ხეობა,
ახალგორის და ქსნის.

...და რომ მოხდება სახლს დაბრუნება,
ლამაზი ხალხის, მთის,
მაშინ თოვლიც კი ხალისით მოვა,
ვერ შეადარებ ფიფქს.

მსხვილი ფანტელის ცვენა წამოვა,
ვერსად შეხვდები წვრილს,
დამბრუნებელთა რიგი დადგება
და გადატვირთვაც გზის.

ის ჩემი მუზაც, არ დაახანებს,
ბაგეს გამიხსნის თვისს,
მომეფერება, მოვეფერები,
ალერსს მაღირსებს ტკბილს.

მშვენიერ მკერდზე დავეკონები,
ტუჩებს დავკოცნი ტკბილს,
ნელა დავუთვლი დიაცს სანატრელს,
ლამაზ კულულებს, თმის.

მხარეს ვიბრუნებთ, ქეიფს ვკისრულობ,
ხალასი ხალხისთვის,
ხვალ ახალგორი ისევ იხილავს,
ნანატრ ფანტელს და ფიფქს.

ხალისიანი ისევ გახდება,
ზეიმი ახალ წლის,
დაბის სკვერში კი ისევ ვიხილავთ,
შეყვარებულთა წყვილს.

როდი იქნება ის შერიგება,
ქართველ და ოსი ძმის,
ისე ძმებს შორის შუღლის ჩამგდებებს,
დავუნაყავდი ცხვირს.

ღმერთო მაღალო, გთხოვ აგვაშორე,
ამდენ ვაი და ფიქრს,
ძალიან მალე, გთხოვ, დაგვანახე,
დაბრუნება ამ მხრის.

და მოგვასწარი ყველა ოჯახში,
ქორწილებსა და ლხინს,
არ მოგვიშალო ჟოვილ-ხივილი,
ბავშვების ლაღი ხმის.

ნელი საგინაძე – ფილოლოგი;
დაბადების ადგილი – თელავი.

მარტივით გადამრიე

მარტივით ამაბნიე, მარტივით გადამრიე,
ატმის ყვავილებივით სულ გზადაგზა მაბნიე,
შემთვრალი ალუბლების ცრემლებზე დამაფიცე,
ეს როგორ გამაკვირვე, ეს როგორ განმაცვიფრე!

იებით ამღერებულ კორდებზე გამაქციე
და მათი სურნელება სულ თმებზე დამაქციე,
ბუნების ახირების ეს რაღა ამინდია?!...
სიყვარულს გაზაფხულზე სცოდნია, გამიგია!!!

დედა

იის სურნელება მოგაბნიე
გულზე, სიყვარულთან ერთად,
თვალზე სევდის კვალი მოგაცილე
სულ რომ გეღიმოდეს, დედა!

ზღაპრად გადმოვსახლდი უცებ შენში,
მესმის შენი გულის ფეთქვა,
შენს ახალგაზრდობას თვალი შევაყოლე
ოი, რა ლამაზი მყევხარ!

ჩემი თვალების წინ ბუნდად ჩაქროლებულს,
ლანდად ჩემს ბავშვობას ვხედავ,
“ჩემო მარგალიტო,” “დედას სიცოცხლეო”,-
რამდენ ალერსს ვისმენ შენგან!

ჩემთვის ვარსკვლავებსაც ცაში ხელით კრეფდი,
ესეც როგორ შესძელ ნეტავ?
ისე გაგფრენია წლები ხელებიდან
ამას არც კი იმჩნევ დედა!

როცა მოვიზარდე, შენც დრო მოგრჩა ხელში
მაგრამ, მაინც ჩემთვის ფეთქავ,
ახლა შენი გული სანთლად დაგინთია
და ჩემთვის ლოცულობ ღმერთთან!

შეუფასებელი, დიდი რამ ყოფილა
დედის მზრუნველობა ქვეყნად,
ღმერთს მადლობას ვწირავ, ამხელა იმედი
ჩემს “დედიკონად” რომ მყევხარ!!!

ლაშარის გორაზე ლუხუმი წამოდგა

გაყუჩდა ამინდი,
ქარებიც ჩამდგარან,
თვალებზე ცრემლები
შემშრალა... მიდიან...
შეჩერდა საგულეს ეს გულიც, ტიალი,
ვიღაცა ღრიალებს,
სამშობლოს ჰყიდიან!

რამდენი ბრძოლები
და სისხლის წვეთები,
დაღლილა ბოლომდე
ქართველის სხეული,
არ უკვირთ არც კვნესა
და მტერი ხარბ თვალებს
შეფარვით აპარებს
აქ, ჩემკენ ჩვეული!

სადა ხართ, ძირძველნო...
მომხედეთ...
მზის შვილნო...
იახსარ, კოპალა, ხოგაის მინდია,
მიშველეთ...
იუდა კვლავ მობრუნებულა
და ისევ ვერცხლებად
ჩემს მიწას ჰყიდიან!

რამდენჯერ, უფალო...
ამ მიწას სხეული
უფლირთეს, უგლიჯეს, სულ ბოლო წამამდე.
სხვადასხვა ურდოთა
ცხენების ფლოქვებით
არ მინდა, ქრისტიანს
ამ ჩემს სულს ვწამლავდე!

აიხსენ...
ამირან, როგორმე ჯაჭვები,
მჭედლები წასულან
აქ აღარ არიან.
გაღუნე...
გაწყვიტე...
ეგ რკინა, ოხერი,
თორემ მტრის ქარები
მობრუნდნენ, დაჰქრიან!

იმედი არ მოკლათ
ამ სულში ბოლომდე,
რადგან აქ ღმერთია,
მომხედავს, ხომ ვიცი.
ღალატი უცხოა ქართველის გულისთვის
და სისხლის წვეთამდე ერთგული მის
ფიცის!

კვირია, თერგაულ, ბუქნია, გიორგი...
გამოსჩნდნენ ღვთის შვილნი
სულ ცეცხლის ალებით
და სწრაფად, წამებში, თვალუწვდნელ
ადგილას,
შორს... სადღაც ღრიალით
გარეკეს ქარები!

ნაბრძოლი დამშვიდდა, დაწყნარდა
სამყარო,
ამღვრეულ დღის ნისლში
მზის სხივი ჩამოდგა.
წამოდექ, სხეულო,
ღმერთმხრებშეჭენილი,
ლაშარის გორაზე
ლუხუმი წამოდგა!!!

სამშობლოს ვჭირდები

გამიშვით, რადგანაც სამშობლოს ვჭირდები,
გამიშვით, ამ ერის ვარ შვილი,
ქართული გვარ-ჯიშის, ნუ გაგიკვირდებათ,
დროშა რომ ვატარო, გაშლილი!

ამ ქართულ სიწმინდეს სულ ყველგან ავიტან,
დიდგორზე, შამქორზე, კრწანისზეც,
გამიშვით, მე არვის სულ არ მეშინია,
გამიშვით, ღმერთი არ გაგიწყრეთ!

რადგანაც გული მაქვს მთლად სუფთა, ალალი,
სიმართლეს ბოროტი ვერ უძლებს,
გამიშვით, მტერს უნდა ჩავხედო თვალებში,
მტერს შურით გულდაღრღნილს და უძღებს!

ნურვინ მედავებით ჩემს კოლხეთს, გურიას,
ჯავახეთს, კახეთს და აფხაზეთს,
ჩემმა წინაპრებმა ქართველის სავალი
გზები თავის სისხლით დახაზეს!

ნუ გაგიკვირდებათ, ალგეთზე ლეკვები
თუ იბადებიან, მგლისანი,
გორგასალს ვეთხოვე ძველი მუზარადი,
მიზანში სწორმტყორცნი ისარი!

რაკი ვერ მოსულა მტერი თავის გონზე,
ალბათ, მეც ჩემსას არ დავიშლი,
დედა ხომ დამბადე ჩემს საქართველოსთვის
ხოდა მას ვჭირდები – გ ა მ ი შ ვ ი!!!

ვინც გინდა იყავ

ვინც გინდა იყავ, ოღონდ მართალი,
გინდაც მდიდარი, გინდაც ღარიბი,
თუ ხარ სინდისის სულით მავალი,
ვხვდები, კაცი ხარ, უფლის ყარიბი!

ვინც გინდა იყავ, თუკი შეგატყე,
რომ ჩემი სულის ხარ ნათესავი,
შენს დასაცავად, კლდესაც გავანგრევ
ხელს არ დავიბან პილატესავით!!!

ქალი და აზრები

რა ვქნა, ეს ბეჩავ აზრები
რა ზურგზედ ამტორღიალდა,
დღისით არ მცალის, მოვიდნენ
ძილის წინ, ფიქრად, გვიანღა!

დავეჭვდი, გულ არ ვუჩვენე,
თვალნათლივ რად არ მოვიდნენ,
ბნელში რად იარებიან,
ღამით რაისთვის მპოვნიდნენ!

წავიდნენ, წატორღიალდნენ,
გულ არ გავუხსენ კარადა,
ქრისტე ღმერთი მყავს სალოცად,
მფარველადა და ფარადა!

ისეთ ქალაი არ მიყვარს,
თუ ეხიზნება ბნელსაო,
დიაცთ ვადიდებ იმგორებს,
ვინც სულში ისვამს მზესაო!!!

ქართული გენი

– იქნებდა მითხრათ, ვის გეძახიან ამ მიწის ზურგზე?!
რა გორისა ხართ, ვისი ჯიშის ჩამომავალნი?!
ასე ლამაზნი, გონიერნი, ბრგე, ახოვანნი,
თქვენი ფესვები რომელ ხის არს შთამომავალი?!

– იბერს მარქმევდნენ, ივერიელს, კიდეც ქალდეველს,
ამ სამყაროში, დღეს გვეძახიან ყველას, ქართველებს,
ჭირიც ბევრი გვაქვს მონათმენი, ნაზიდი მხრებით,
ლხინიც კი ბევრჯერ გვიტარებია უჩუმარ ცრემლით!

არ დაგიმალავთ, ჩვენი წინაპრის ბებერ ფესვებზე
ამოხეთქილი, უძირძველესი გვქვია მუხის ხე,
გაჩენის დღიდან ტანჯვაც და ლხინიც მეგზურად გვყვავდა
და ღმრთის იმედით ასე ვაღამეთ და ვათენეთ დღე!

– თქვენ როგორც ბრძანეთ, გამძლენიც ვართ,
ბრძენიც, ჭკვიანნიც,
ალბათ ნათლია ამირანივით გვყავდა ძლიერი,
წიგნი დავწერეთ, ვეფხის ტყავით ვიმოსეთ ტანი,
ჟამით-ჟამამდე სულ ბრძოლებით ვირჩინეთ თავი!

გული გვაქვს ლომის და ამ სულებს, არა აქვს ბზარი,
ჩვენ მნათე გვქვია, საქართველოს ტაძრების ზარის,
ხარის გუთნებით მიწა ვლეწეთ მტრისგან ტკეპნილი,
ამ მიწის გულზე დავიბადეთ, არ ვართ დევნილნი!

– რამდენი რამე შეგძლებიათ?! – მიკვირს ძალიან,
თქვენ ერთად დგომით დღედ გადააქცევთ
ღამეს, მთვარიანს.
– არა, ბატონო, თქვენი თვალის გასაკვირვად
ჩვენ არას ველით,
უბრალოდ, ღმერთმა ქართველობას დაგვანათლა
ძლიერი გენი!

– ვინა ვართ?! – ჩვენით სამყაროც კი გადაოცდება,
მოდგმა ვართ ძველი, ათა-პაპის ნატარი, ფიცით,
ჩვენი ტკივილის მწუხარება და გაცილება
იმ ქვეყნადაც კი ტაშითა და ცრემლებით ვიცით!!!

გაზაფხული

დღეს შევიტყვე, აპრილს კაბა
უთხოვია ტყემლებისგან,
გულისპირი მოუქარგავს
ალუბლების ცრემლებისგან!

გაზაფხულის ლამაზ ეტლში
ჩამჯდარიყო მედიდურად,
გზად შემომხვდარ ატმის რტოებს
ეალერსა, ედიდგულა!

თბილი სიო მაყრად სდევს და
ვარდის ფურცლებს აშლის გულზე
და ვირწმუნე, რომ აპრილი
დღეს ჯვარს იწერს გაზაფხულზე!

წვიმს

დილიდან რა მოუწყენლად წვიმს,
გადაეფარა სევდის ღრუბელი ზეცას,
მარტო ვარ და მივუჯექი ფიქრს,
სულის სიღრმეში ლოცვის ზარები
რეკავს!

თუ ცრემლებია ეს ღვთისმშობელის,
სჯობს, რომ გვაწვიმოს
წვიმის წვეთებმა ცოდვებისგან
იქნებ გაგვწმინდოს!

აღარ წვიმს...
ჩუმი ვედრებით გადაიწმინდა ცა
მის კაბადონზე ოქროს სხივების
ათინათები სჩანს!!!

წმინდა ბერი

ვუძღვნი მამა ნიკოლოზს

წმინდანების სულში მყოფი, ღმერთი მინდა დავინახო,
სულ არ ვჯავრობ ამისათვის ვინმესგან რომ გავილახო,
მათ დაკონკილ წმინდა კაბას, მინდა მუხლი მოვუყარო,
შავი თეთრისგან ვარჩიო, აზრებს თავი მოვუყარო!

მათ ნაფეხურს მინდა კრძალვით ავედევნო, აჩრდილივით,
მათთან სულ ცოტა ხნით ყოფნა დავუყენო სულს ჩრდილივით,
მე იქ მინდა ხალხისთვის, რომ უანგარო მადლი მადლობს,
ამ გარჩევის ნიჭს რომ მჩუქნი, ამისათვის, ღმერთო, გმადლობ!

მათი კარის ზღურბლთან მდგარი, დაინახავ სხვა სინათლეს,
და უდიდებ უკვე გვირგვინს, მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს,
არ დატოვა დედამიწა, ქრისტე ღმერთმა, ჩვენმა მცველმა,
"ქართველი თუ იზამს ამას," – სიტყვა თქვა სიმართლის მთქმელმა!

თქვენთანა ვარ მარადისო, – უფლის სიტყვა ყველა ახდა,
წმინდანს სულის კერიაში დაემოყვრა, შეესახლა,
მე იქ მინდა, სადაც უფლის მადლი, მართლის, მთლად ერთია,
ჯვარს, რომც მაცვან, მაინც ვიტყვი, წმინდანთან ქრისტე ღმერთია!!!

მოდი ჩამეკონე დედი

მოდი, გამახარე, მოდი, ჩამეხუტე,
ჩემო უბით სავსე სხივო,
დედა გენაცვალოს, სულში ჩამეკონე,
დედა, მიყვარხარო, – სთქვიო!

სხვას რას ვინატრებდი შენი სუნთქვის გარდა,
ცაში სიხარულით ვფრენდი,
ფეხის ასადგმელად შენს ნაბიჯების წინ
ჩემს გულს შენს ფეხებთან ვფენდი!

ოქროს სხივი მყავხარ, უფლის საჩუქარი,
ციდან ნაბოძვარი მტრედი,
მოდი, უკვე დიდო, მოდი, ჩამეხუტე,
მოდი ჩამეკონე დედი!!!

ნუ მიმატოვებ

სულშიც, გარეთაც, ისე ჩამოთბა,
ღიმილით ვკოცნი ყვავილთა რტოებს,
საქართველოში ვარდები ყვავის,
ნუ მიმატოვებ, ნუ მიმატოვებ!

ვარდობის თვეა და სიყვარულიც
ახლოს მეწვია, გულს მიყვავილებს,
ხელებგაშლილი გამოიქეცი,
თორემ ვარდები დაიყვავილებს!

აქ, ჩემს ეზოში, ფერად-ფერადი,
ფურცლები მრავლად მიმოფანტულა,
სულმოუთქმელად დაგელოდები,
ვარდის თვესავით, თვალებხატულა!!!

დამელოდე საქართველო, მოვდივარ

სული ძლიერ ფორიაქობს სხეულში
უცხო მიწის მოტრფიალე როდი ვარ,
მიწის ყივილს ვეღარ უძლებს ეს სისხლიც
დამელოდე საქართველოვ, მოვდივარ!

მონატრება გულს ყოველდღე მიბზარავს
და იმედით მიმაქვს დღე და წუთები,
რაც არ უნდა ოქრო-ვერცხლი მიყარონ
არც მინდა და უკვე ვეღარ ვცდუნდები!

უცხო მხარე ვერ გამიწევს დედობას,
თანაც ნაღდი, მისი შვილი როდი ვარ,
ვერასოდეს ვერავისზე ვერ გაგცვლი
დამელოდე საქართველოვ, მ ო ვ დ ი ვ ა რ!!!

არ მიყვარს

არ მიყვარს არასდროს, რაც ჩემი არ არის
არ მიყვარს სიყალბე, ქიშპობა, თამაში,
ცხოვრება სიმართლის თვალებით, რომ მიგაქვს
რა გიკვირს აქ, ცუდი რა არის ამაში!

კარგადაც ნათქვამი თუკი ვერ გაგიგეს,
პირჯვარი დასწერე, თავის გზით გაუშვი,
ამ ქვეყნად იმდენი საქმეა საკეთი
მიდი და შენ, შენი რაშები აუშვი!

არ მიყვარს მლიქვნელი ჩრდილს, რომ ეფარება,
როდესაც ამხელა მზით გზა გაქვს სავალი,
რა დროს ჭორებია, ან ბუტაფორია
ჩემთვის სიმართლეა ყველაზე მთავარი!

მომკალით, რა ვქნა და მე, არ შემიძლია,
ვერ ვიტყვი თეთრზე შავს, რომ თეთრი არ არის,
ვერ შევეხიზნები ვერასდროს სიცრუეს,
არ მიყვარს არასდროს, რაც ჩემი არ არის!!!

ალავერდი

ჩემო ქნარო, საფიცარო, დალოცვილო
სალოცავო,
ალავერდო, ჩემო მზე და მთვარე!
ქონგურებზე შემომსხდარი,ფრთანათელი,
მზენათელი,
ანგელოზთა ფრთები ვერ დავთვალე!

ცის ლაჟვადში ატყორცნილი,
შენი ჯვარი და გუმბათი,
მთელ კახეთს, რომ გადაჰყურებს ლოცვად,
წმინდა მამათა ლამპარო,
ჩაუქრობელო ტაძარო,
გულს გიბრწყინებს მზის სხივების კოცნა!

მზემოფენილ საკურთხეველს, სხივადმდგარო
ვედრებაში,
ქეთევანის ბოლო ლოცვა გეტკინა,
შენ დავითის "სინანულის" ცრემლის
საგალობელიც ხარ
სულნათელს, რომ გულს ცრემლები ედინა!

შუამთაში თინათინის აყვავებულა ტყემლები,
მისი რწმენა მიურქვიათ ფრესკებს,
იყალთოდან ზენონის და შოთას ჩანგით
დალოცვილი
მადლის სხივი გადმოღვრილა შენსკენ!

კავკასიონზე აისს და ცისკრის
ვარსკვლავს ეგებები,
ალაზნის ხმა ჩაგჩურჩულებს ყურში,
გრემის მთავარანგელოზი,
დალოცვილი სალოცავი
სიყვარულით ჩაგიკვრია გულში!
ჩემო ქნარო, საფიცარო,
დალოცვილო სალოცავო,
ალავერდო ჩემო მზე და მთვარე!!!

საქართველო

მე რომ ამქვეყნად ღმერთმა დამბადა
შენ, რას გაიგებ ნეტავ ვინა ვარ?!
თავისი სული შემომისახლა
და სამყაროში მისთვის წმინდა ვარ!

გადმოწერილი მატიანე ვარ,
დედამიწა ვარ თავის მზიანად,
ქრისტე უფალის რწმენის ლოდი ვარ
ოქროს საყდრისზე უფრო ბდღვრიალა!

მე იბერია მერქვა სახელად
ზოგი მეძახდა კოპტსა და პელაზგს,
უძირძველესი კაცთა მოდგმა ვარ
დიდედას, ჩემსას, ეძახდნენ ევას!

მგონი ადამსაც ვცნობდი ოდესღაც
და სოლომონის მქონდა მე სიბრძნე,
იმხელა ვიყავ კიდით-კიდემდე
ვერვინ მითვლიდა სიგანე-სიგრძეს!

ვცნობდი აბრაამს და დავითსაც კი
ივერს მეძახდნენ მე ძველად ერნი,
უწყვეტი ოქროს ჯაჭვით შემმოსეს
მას ხელით სწნავდნენ უკვდავნი ბერნი

ღვარძლიან გულით ყველა მძარცვავდა,
ჩემს ლამაზ სამოსს მხდიდნენ ტანიდან,
ყველა მპარავდა, ყველა მფარავდა
ლუკმას მაცლიდნენ ჩემი ჯამიდან!

მე ამირანის ძველი მითი ვარ
და კავკასია მხრებით ვატარე,
დიდმა სწავლულმა ქურუმთა ჯაჭვმა
ძველი დროიდან მარქვა "ლაზარე!"

აიეტიც ვარ, მედეიაც ვარ,
ჩემი ძირია ლომსია, ხეთა,
დღემდე სალოცავ დედა ადგილად
უფალმა მომცა ძველადვე მცხეთა!

სამი ანბანის მატეანე ვარ
დღემდე მოვედი მე, აი რითი! –
თევდორეც მე ვარ და სააკაძეც,
ბრწყინვალეც მე ვარ, დიდი დავითიც!

მე, ნუნისი ვარ, ძველი კოლხეთი
საჭრეთლით ვკვეთდი კლდეს, უფლის
ციხეს,
არა მჩვევია გულში ღალატი
მე ერთგულება ქრისტეს შევფიცე!

ვეფხისტყვაზე ვარ გადაწოლილი
და სახარება გულმკერდზე მაწევს,
იმ ქალ-ვაჟების გამომზრდელი ვარ,
უფლის ადათის აკვანს რომ არწევს!

მე სული მქონდა ისე ნათელი,
არავის შური გულში არ მქონდა,
კიდით-კიდემდე და დღე და ღამე
„აღთქმის კარავი" ზურგით დამქონდა!

ხარის ძალა ვარ, არწივის ფრენა,
ბრძოლის დროს გული არასდროს შედრკა,
ჭიგოს ნახვევი, მე ის ვაზი ვარ,
ჩემგან ნინომ რომ ჯვარი თმით შეკრა!

მე „გეორგიას" მეძახდნენ ასეც,
ბუნდად ვიგონებ ამ ჩემს ხსოვნაში,
ჩემი გუმანი მეხმარებოდა
მეგობრების და ღმერთის პოვნაში!

"დავითიანნი" მეწერა გულზე
და მისით ვაგე გრემი, გელათი...
უფლის წირვა დღეს „მზისას" ვეძახდი
და ვიწრთობოდი ასე, რწმენაში!

ათა-პაპიდან მოყოლებული
ათასწლეულებს კრძალვით გავდივარ,
მე ჩემი ქრისტეს ძმა ვარ-ლაზარე
და ღვთისმშობელის სიზმარ-ცხადი ვარ!

მზეს შეფიცული მარგალიტი ვარ,
ხუროთმოძღვარი, უმკლავო ლაზი,
მე, საფერავის ღვინის წვეთი ვარ
და ჩუქურთმაში ჩაწნული ვაზი!

ლოცვამ მომიხმო

ცის პირზე ღამე გადაწოლილა,
სძინავთ სიმდიდრეს და სიღარიბეს,
მთვარეც ღრუბლებში წამოწოლილა,
გარინდებულა და ხმას არ იღებს!

დარბაისლური სიჩუმეა ჩამოწოლილი
და დედამიწა მაინცა ფეთქავს,
ვარსკვლავებს ისე მშვიდი ძილით
მისძინებოდათ,
ვერვინ ვიპოვე, რომ ამ გულის სათქმელი
მეთქვა!

და სიჩუმეში ლოცვამ მომიხმო,
ვფრთხილობდი, ღამეს არ გაღვიძოდა ჩემი
ტირილით,
ღამის პირს გულზე ნელა-ნელა ათენდებოდა
და განთიადსაც მოხდენოდა მამლის ყივილი!!!

ვინა ვარ, დღემდე არავინ იცის,
ტანთგაუხდელი ისევ თორაში,
შავნაბადაზე, კრწანისზე, დიდგორს...
გამოჭედილი კარგად ბრძოლაში!

მე განდეგილი უფლის ბერიც ვარ,
ვიცი სიმართლე, კანონი, წესი,
გაგეცინებათ, იმასაც გეტყვით,
ამ დედამიწის, რომ მე ვარ მწყემსი!

გაჩენის დღიდან ყველა მე მებრძვის,
თავს აფარებენ ჩემს ჟამთა ჩეროს,
იცით ვინა ვარ?! – დაბადებიდან
ღმერთმა, რომ მარქვა მე საქართველო!!!

ღვთისფერი საქართველო

რაც კი ათინათი ციდან დაშვებულა,
ყველა საქართველოს გულზე დაჰფენია,
ხილვა მეგონა და ცხადში დამინახავს
დედა საქართველო, თურმე რა ფერია!

ყველა მთის მწვერვალზე კოშკი დავინახე,
მის გზად მიმავალი ლოცვას ვღიღინებდი,
კორდებს, ზურმუხტისფერს, თოვლად
დაჰფენოდა,
სადედოფლო კაბით თეთრი გვირილები!

ტაძრებს მივაშურე ლოცვად ცად აჭრილებს,
ჯვარი, მათი, გუმბათს, ვხედავ მზისფერია,
ყველამ დაუჩოქეთ ყველამ, გევედრებით,
ჩემი საქართველო, რადგან ღვთისფერია!!!

მანანა შიოშვილი – ჯუმბერ ლეჟავას
სახელობის სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი;
სერტიფიცირებული ფილოლოგი; მათემატიკოსი.
თესაუს კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი;
ფონდი "ახალი ქართული ერას" დირექტორი.
დაბადების ადგილი – თელავი

იასამნების ენთება დილა!

იასამნების ენთება დილა,
გაზაფხულია!
იდუმალი, ქარბუქობს ფიქრი!...
წვიმს!...
სასოებით, აღმართებზე მზის კვალად მივალ,
ცისარტყელების ნაფეხურებს ნისლებთან ვითვლი!
იასამნების ენთება დილა,
გაზაფხულია!...

გაზაფხულია, გამეტებით ცად
გული ილტვის,
გამიჯნურებულ იასამნებს
თვალთა შუქს ვწირავ,
აპრილია და, იდუმალი,
ქარბუქობს ფიქრი!...
...იასამნების ენთება დილა,
გაზაფხულია!

ახალი წელი მობრძანდება

ახალი წელი მობრძანდება ახალ იმედად,
ახალფერებად აენთება გული ამ ღამეს,
ახალ სიცოცხლეს, ახალ დილას, ახალ გაზაფხულს,
ახალ ქორწილებს, აღმაფრენებს, ველით ახალ წელს!
ახალი წელი მობრძანდება და ახლა დროა,
აღვმართოთ თასი ნუგეშით და იმედით სავსე!
დავლოცოთ ქვეყნად სიკეთე და ნამდვილი ძმობა,
არ დავიღალოთ მოფერებით ჯადოსნურ ღამეს!
ახალი წელი მობრძანდება, დაიწყო თოვაც,
ახალი ფიქრით აშუქებენ თვალები სხივებს,
ახალი წელი მობრძანდება! მშვიდობით ლოცვა
დაჰბედებოდეს საქართველოს – ღვთისმშობლის წილხვედრს!
ახალი წელი მობრძანდება და მუდამ მოვა
ახალი სიტყვა, აზრი, ნიჭი, სიბრძნე, სიკეთე!
ახალი ძალით შევიყვაროთ სწავლა და შრომა,
მთელი მსოფლიო განაცვიფროს ქართლის სიქველემ!
ახალი წელი მობრძანდება და ახლა დროა,
აღვმართოთ თასი ნუგეშით და იმედით სავსე!
დავლოცოთ ქვეყნად სიკეთე და ნამდვილი ძმობა,
არ დავიღალოთ მოფერებით ჯადოსნურ ღამეს!

თელავი

მთაზე – თოვლი,
ბარში ოქროს ტევრია!!!
სიყვარული, ოდეს,
თოვლში მწვევია!!!
შემიყვარდი
და შენ მინდა შეგაქო,
თოვლისფერად მოქათქათე
თელავო!
დამათენდა ქართულ
სიზმართღამეში,
დღეს მიღამებს
ტრფობის ალი, მგზნებარე,
თუ ვიცოცხლებ,
ლექსის სინარნარეში,
...და ულექსოდ
განა ვინმეს ვენახე?!...
მთაზე – თოვლი,
ბარში – ოქროს ტევრია!!!
სიყვარული გულის სუნთქვად მწვევია!!!

მივუყვები სანაპიროს

მივუყვები სანაპიროს,
ფეხაკრეფით მომდევს მთვარე,
ეს ტალღების წვეთებია,
თუ ცრემლი სდის ობოლ მთვარეს?...
ვარსკვლავები დამალულა,
დათალხულა არემარე,
მარტოდმარტო დარჩენილი
უსაშველოდ მოსთქვამს მთვარე...

გალაკტიონის პალიტრა

აქ არ მოსჩანს არც მეტეხი
და არც მტკვარი,
მაგრამ
მთვარის შუქი ხომ გვახსენებს
გალასეულ ზღაპარს...
და რაც უფრო შორს ხარ ჩემგან,
მეტეხო და მტკვარო,
უფრო ძლიერ მეტკბილება
ეს ცა, სალაჟვარდო!
... და აქაც რეკს საზანდარი!...
... ვუმზერ ცივ ხეთა ჯარს,
თუმც რამ სცვალოს ბეთაანიის
უვიწყარი საგა?...
თოვლი მივსებს სულს, ძვირფასო,
ხელთ დავიკრეფ, სანამ...
ლურჯა ცხენებს მტკვრის ნაპირთან
გულის ძახილს ვატან!

პირველი თოვლი კავკასიონზე

თოვს!
თოვს მთაკავკასიონზე!
ცეცხლი უკიდია ცას!
მზეც ბნდება თელავის ალიონზე,
მტრედები სალბუნობენ ცვარს!...
როგორ არ გიყვარდეს
სიცოცხლე,
როგორ არ გიყვარდეს ხმა –
განთიადს მოღუღუნე მტრედების,
ტაძრისკენ სავალი გზა!

საღამო თვლემს

საღამო თვლემს,
... და ვითვლით წლებს;
ვიხსენებთ ბევრს,
სულ ცოტას ვწერთ...

...და როგორც ზღაპარში –
სიკეთე სძლევს,
კვლავ მოვა მაისი,
აპრილი, მზე...

ბებო თებროლეს

კაბის კალთაზე ოცნებაში გესათუთები,
შენს ნაფეხურებს ღრმა ფიქრებში
თვალყურს ვადევნებ,
ბედნიერი ვარ,
ვიდრე ქვეყნად შენ მეგულები,
შენს დაღლილ მკლავებს,
შენს წმინდა გულს, უფალს ვავედრებ;
უძვირფასესი სამკაული გარგუნა ბედმა,
არც რა არის რა მისი ფასი,
სადარო ქვეყნად:
მანდილოსანი,
მადლმოსილი,
ღმერთს ემსახურე
და შენს ნათელ სულს
წმინდა სანთელს ვინ არ დაუნთებს?!
“ვინ იცის, კვლავაც რამდენ თაობას
დააფრთიანებს ჩემი აკვანი”, –
რწმენას ღაღადებ შენებრ, ამაყად,
თოვლი კი ბარდნის ვერცხლისფერ თმაში...
ეს მერამდენედ – მღერიხარ “ნანას”,
ეს მერამდენედ – არტახებს უჭერ,
ეს მერამდენედ – შვილებზე ლოცვით,
სალოცავებს რომ კელაპტრებს უნთებ...
არა არის რა ამ ქვეყანაზე,
რომ მაგ დაკოჟრილ ხელებს მერჩივნოს,
მე მაგ ხელებით, ასი წლის შემდეგ,
მსურს, მოფერება კვლავაც მეღირსოს...
მე მინდა, გერქვას დედათა შორის
ჭეშმარიტების დიდი მედროშე,
ქანცგაწვეტილო, აკვანთან შრომით,
ფესვებძლიერო, ბებო, თებროლე!

უსიყვარულოდ

იქნებ მითხრათ,
ეს ცხოვრება
რად ღირს უსიყვარულოდ,
რად მოსულხართ, თუ ისურვებთ,
ყოფნას – უსიყვარულოდ,
რად ღირს, როცა მოგოგმანობს
მთვარე, სასიყვარულოდ,
ჩურჩულებენ ვარსკვლავებიც,
ალბათ, სასიყვარულოდ...
რად დაგვნათის მზე, ცხოველი,
მითხარით, ღვთის გულისთვის,
რად მიმოღვრის ცაცხვი სურნელს,
იქნებ სიყვარულისთვის?
რად გვიქარგავს გაზაფხული
ენძელების ხალიჩას,
ერთი მუჭა ხალხი ქვეყნად
რა ძალამ დაგვარჩინა?
სიყვარულმა,
(არ გიამბობთ მითებს,
უქმად ნაამბობს),
მცხეთის სუეტიცხოველი
სიყვარულმა ააგო!
ყური უგდეთ
ჭადრის ჩურჩულს და
გომბორის ნატვრის ხეს,
გადახედეთ ალაზნის ველს,
სიყვარულით აღივსეთ,
დაუყევით, დაუყევით,
ჩვენი ქვეყნის მთა-გორებს...
იქნებ მითხრათ, ღვთის გულისთვის,
სიყვარულს არ გაგონებთ?
...მიპასუხეთ, ეს ცხოვრება
რად ღირს უსიყვარულოდ?!
რად მოსულხართ,
თუ ისურვებთ ყოფნას –
უსიყვარულოდ.

თელავის დილა!

ისე ლამაზად თენდება,
თითქოს
თელავში ღმერთი ახელდეს თვალებს!
სხვაგან რა არის ჭადრის სადარი?...
აბორგებული
სუნთქვით თვლემს
ღამე...
თელავში,
ღმერთის ფერებით – თეთრით,
იღვიძებს დილა,
ილევა ღამე!...
ისე ლამაზად თენდება,
თითქოს
თელავში ღმერთი ახელდეს თვალებს!

წინანდალს

არ უშინდები მგონი ჟამთა სვლას,
არც მიმოფანტვას ნედლი კვირტების,
მე შენს ბაღნარში რარიგ ვმშვიდდები...
შენი ალერსით დავიტვირთები!
რა შეგედრება ლექსის სამრეკლოს,
რა გაახუნებს ტატოს გულისთქმას,
რატომ მამზადებს სულის სამზეოდ
ძველ როიალთან ზეღვთიური ხმა?
გულდახურულთა უნჯად ღაღადებ,
აქ, სამიჯნუროდ, ყვავის ღიღილოც,
წინანდალს ქვეყნად რას შევადარებ,
არ ესვენება მარანში ღვინოს!
ტახტი მასპინძლობს მუზას მგოსნისას,
ეჩურჩულება სურო პარმაღებს,
...და უაღრესად თვით საზომისა,
გეტრფი, რამეთუ მზესთან გადარებ!

დე, გამშვენოს წინანდალმა!

თვალსაამოდ შეფენილი,
ცივგომბორის გადაღმა,
გადაშლილი, ედემივით,
ჩანს კახეთის ბადახშად!
ჩანს ამაყად მხარგაშლილი,
ალერსით მომზერალი,
თოვლისფერად მოქარგული,
მოკალმული თელავი!
რვა ასეული წელია,
უდარაჯებს ჭადარი,
მხცოვან ხეს ვერ შელევია
ბრძენკაცთა ნააკვნარი!
დე, გამშვენოს წინანდალმა,
შენი სულის მაქმანმა,
იდღეგრძელე,
ნურც მოგაკლოს
ზენაარმა
მანანა!

საქართველო

შემოდგომის ფოთოლივით ფეთქავ,
დაგშრეტია სიდიადე, მიწის,
მწარე ცრემლი გლოვობს წარსულ დღეთა,
ქართვლის დედა შენს ლოცვაში იწვის!...
ვინ გალესოს გორგასალის ხმალი,
ტატოსავით ვის აწყლულებს ბედი,
ვინ გვიბოძოს იმედები ხვალის,
ვინ შეგიკრა ზესავალი გზები...
ღვთისმშობელო, ერთადერთი ნატვრა
შეისმინე, წინაპართა ძვლების,
დაგვაფარე შენი ლოცვის კალთა,
მოუშუშე საქართველოს ფრთები.
1993წ.

ქალი

ქალი... ძლევამოსილი ქმნილება, ქალი!...
ქალი შობს, აგებს, ქალი ქმნის, ბადებს,
ქალი – სიკეთე, ქალი მოვლენა,
ქალი წყაროა პირველყოველთა!
ქალი – საწყისი, უსასრულობა,
ქალი ძალაა, ქალი ღონეა,
ქალია აზრი, სათუთი მზერა,
თვით ღვთისმშობელიც ქალია, დედა!
ქალი მზეა და ქალია ყველგან,
ქალი – მზრუნველი, ბურჯი და კლდეა,
ქალი – გვირგვინი, ქალი – ზმანება,
ქალი – ოცნება, ქალი – ღვთაება!
ქალია ძალა, ქალი – იმედი,
ქალი – შუქი და ქალი – ნუგეში,
ბალახზე – ცვარი, ცრემლია ქალის...
ავდარი, დარი – გრძნობაა ქალის!
ქალია, ზღვაზე, ტალღების სუნთქვა,
ქალია, ქალი, სიცოცხლის მუზა,
ქალი რწმენაა, ქალი ლხენაა,
გულის ფეთქვაა, აღმაფრენაა!
ქალია, სულში რომ სახლობს უფლად!
... ბუნებით ქალი ქალია მუდამ,
მუდამ და მუდამ... მუდამ და მუდამ...
... და რადგან ასე განგებას სურდა,
სიყვარულისთვის, სიყვარულისთვის,
სიყვარულისთვის სიცოცხლე უნდა!

ქალის ვედრება

დამბადებელო,
დედად დამბადე,
ვინძლო,
სიცოცხლე კვლავ დამაბედო,
დამბადებელო,
ლოცვად აღმანთე
და სიყვარულად
არ გამანელო!
უსიყვარულოდ
არც ეს სამყარო
და თვით სამოთხე
არ მომაჩვენო!

შენ ჩამიჩუმიც გატკბობს

არასდროს არ ხარ მარტო,
ეულს არ ჰგავდე სულაც,
შენ ჩამიჩუმიც გატკბობს,
შენ ერთადერთობ გულთან!
არასდროს არ თქვა: "ვნაღვლობ",
არასდროს განდგე შუქთან,
სანამ, სისხამზე, ნათოვლს,
შენს სახელს ქარგავს მუზა!
არასდროს არ ხარ მარტო,
ცის თენებივით, სათნო,
შენ, ერთადერთი ქალი,
მთელი სამყარო, ამდროს!...

ვიდრე ხარ

ერთი ლამაზი ლეგენდა,
ერთი ლამაზი ზღაპარი,
ერთი ლამაზი სიტყვა და
ერთი ლამაზი ამბავი –
უნდა დატოვო, ვიდრე ხარ,
ვიდრე ჰყოფ სოფლის საკანში,
ვიდრე სული და სუნთქვა ხარ,
ვიდრე პარპალებს ლამპარი!
ვიდრე გულს ფეთქვად უღირხარ,
ვიდრე ჩანაცრდი ღადარში,
უნდა დატოვო, ვიდრე ხარ,
ერთი ლამაზი ზღაპარი.

თუ "იავნანა" გეღიღინება

თუ გაიყოლე ნანატრი მზერა
და თუ ლომგულში კელაპტრად ბრწყინავ,
თუ ალიონზე თეთნულდი გიხმობს,
უშბა გიგზავნის კოცნების წვიმას...
თუ დაგოგმანობ ოქროს ქოშებით,
თუ ვარსკვლავეთის შუქი გაღვრია,
თუ რქაწითელი ჯიხვის რქას ათრობს,
რომ დაგელოცოს გული მადლიანს...
თუ მთვარის შუქი სიზმრებს ჩააქსოვს
თვალებს - თაფლისფერს, თვალებს - ნაღვლიანს,
ჭადრის ჩურჩული თუ გაგახსენებს
ბავშვობას, ლაღს და ნიავქარიანს,
თუ "იავნანა" გეღიღინება,
არღნიან ლხენის სინარნარი ხარ,
მაშ, როგორ არ ვთქვა,
სიყვარულისთვის
დაბადებული მინანქარი ხარ!

იბადებოდა მზე, ღვთისმშობელი

ამ დროს
ხარობდნენ
ბროწეულებიც,
როცა ხარობდა
ცა და ქვეყანა,
იბადებოდა მზე,
ღვთისმშობელი,
იბადებოდა
კაცთა ზეკალთად!
ცისკროვანობდნენ
ცისარტყელები,
ეგებებოდა
შობას ქვეყანა!

მე მდუმარება მიყვარს სითოვლის

მე მდუმარება მიყვარს
სითოვლის,
მე თოვლის ცრემლვა
სუსხს მიათასებს,
თოვლი, ყინულით გალაღებული,
გულზე შეყინულ
დღეებს მიდარებს;
... და შუაღამის ფერფვლა,
თოვლისა,
ჩაექსოვება რა
ჩემს სიზმარეთს,
ამახელინებს თვალებს,
ნაწვიმარს,
და ვხვდები ასე,
ლურჯფერ ცისკარებს...
მე მდუმარება მიყვარს სითოვლის,
მე თოვლის ცრემლვა
სუსხს მიათასებს!

მზე გათბა

თბილისის თოვამ
მზე გააოგნა,
გაოცდა ცაზე მზისფერი ხვამლიც,
ზღვამ თოვლის გუნდას ჩუმად აკოცა
და მზეს ჩაადნო
ალისფერ თვალში!
ნასროლი გუნდა მზემ ისალბუნა,
გადაექსოვა მიჯნურის ალში,
გათბა, განაზდა, აცეცხლდა ღიმად,
მზე გათბა ცისკრად
თბილისის ზამთრით!
თბილისის თოვამ მზე გააოგნა,
მზე გათბა ცისკრად
თბილისის ზამთრით!...

ლურჯი მონასტერი

ლურჯ მონასტერს მონატრება აწვიმდა
და ღვთიური ფერები ქარბუქობდნენ,
ჯვარცმის ხატთან ჯვარცმის წლები აზვირთდა
და გულები სიყვარულს მარხულობდნენ...
... გალობდნენ და ანექტრებდნენ ნამზირალს,
ლოცვად მდნარი,
სანთლები ალმურობდნენ,
"ნუთუ ღმერთი კვლავ საავდროდ გაგვწირავს?..."
– გზად მავალნი ჩურჩულით ფსალმუნობდნენ...
... და გზა იყო უსასრულო, ნამდვილად,
... და გზა იყო გზათა მეტი უფრორე!!!...
რამ დაგვღალოს, ბედისწერავ, არ გვინდა
დასასრული... სიყვარული სუფევდეს...
... ლურჯ მონასტერს მონატრება აწვიმდა...

ახლა გვიანია შემოდგომა

ახლა ასეთია შემოდგომა,
ტირის ბუნება და დარდიანობს,
მე რომ დავემხობი სასთუმალთან,
აი, სწორედ ისე ნაღვლიანობს!...
გულში მრავალ ფერთა მორევია,
მთებში ქარიშხალი დარდიმანდობს,
...და გზას მიუყვება ფოთოლცვენა,
რას არ, რაგვარ ზღაპრებს არ იამბობს!...
ახლა ასეთია შემოდგომა,
ვეღარ გვცნობილობს და დარდიანობს,
როგორ ვერაფერი მოგრევია,
სულო, ნაქარგო და ნაგრიგალო!...
ახლა გვიანია შემოდგომა,
ციდან იათ კდემა მომინანქრობს,
ახლა მზესაც ალტობს ფიქრთა დელგმა,
მზესაც ფანტელების სუნთქვა ათოვს.
ახლა გვიანია შემოდგომა!...

ქვის მტვერი

წვიმა ჩურჩულებს
ვაზის მტევნებთან,
ვარდისფერ ქოლგას
ვიფერებ მაღლივს...
ქოლგას ვინ ამჩნევს,
წვიმის თქეშია...
ან მე ვინ მხედავს –
სამეხად დაცდილს.
იწვიმოს,
დადნეს თვალზე ნისლები,
ღვარცოფმა სუნთქვა
ნატვრად მიქციოს,
ოღონდ მეხები ცად
მდუმარებდნენ,
ქოლგამ
დღე ქვის მტვრად
გადამიქციოს.

მთვარე და ნაძვისხე

მთვარე უამბობს ნაძვებს
დათოვლილ მთებზე ზღაპარს,
გადაიღამებს აქვე,
მზის ამოსვლამდე, ზმანად.
აფრქვევს ალერსს და ნათელს,
მთვარე, ნაძვისხის ნარნარს,
მანანას აქსოვს, არწევს,
ეამბორება ნაზად.
შუქმიბინდულა ღამე;
მათ სიყვარულის კვალად,
ხარობს სამყაროც, მათებრ,
ლოცვა აღმოხდა ჭადარს...
აქ, ჩემს სარკმელთან, მარტო,
დეკემბრის ღამის სადარს,
მთვარე უამბობს ნაძვებს
დათოვლილ მთებზე ზღაპარს!

ქარო, რას ჩურჩულებ ნეტავ?...

ქარო, რას ჩურჩულებ ნეტავ?...
მე დღესაც ვღიმილობ, მარტო,
ქარო, კვლავ ჩურჩულებს ბედავ?!...
მე ისევ აპრილით ვხარობ!
ისევ მიხარია "ხვალე",
ისევ ვეფერები ვარდს და
ისევ მელოდება მთვარე
ჩემი მზის და ზეცის კართან!
ქარო, დღესაც ბრწყინავს, დღესაც,
ჩემი გულისფერად მარტი,
მერე რა, თუ ზოგჯერ ფერფლავს
ფანტელისოდენა დარდი...
ქარო, რას ჩურჩელებ, ნეტავ?...
ლურჯთვალა იების მზარო,
ქარო, ამაზრზენო, ხეთა,
ქარო, ო, საბრალო ქარო!

მე დავიბადე მზით გამთბარ ქალად!

მე დავიბადე აგვისტოში,
ივნისშიც, მარტშიც,
მე დავიბადე სექტემბერში,
მაისშიც, ვარდთან;
მე დავიბადე დეკემბერში,
იანვრის ღამეს,
ოქტომბრის მზის ქვეშ დავიბადე,
ივლისის ზღვასთან!
მე დავიბადე ლურჯ
აპრილში,
წვიმის წვეთებად,
ყინვის ლოდებზეც დავიბადე
თებერვლის ქართან;
... მე ნოემბერში მოვევლინე
დედამიწაზე,
პირველთოვლობას,
პირველ თოვად,
მზით გამთბარ ქალად!

ქალს

ქალს ისე უყვარს სიცოცხლე,
სიცოცხლეს მრავლად ბადებს,
ქალს ისე უყვარს სიკეთე,
ყოველი დღისთვის გასცემს!
ქალს ისე უყვარს სინაზე,
დუმილს არასდროს არღვევს,
უყვართ სიმღერა ქალებს და
ლექსებს ღიღინით თხზავენ!
ესმის გულთძგერის ანბანიც
გულებთან მონიავქრეს...
ქალს მეტად უყვარს ღიმილი,
შუბლ-სახეს ამზიანებს!
სიყვარულითვე იბრაზებს,
სადაც შურს უქარგავენ!
ქალს მაინც უყვარს,
ქალს არ სძულს,
უყვართ და უყვართ ქალებს!

რა ლამაზად თოვდა

გახსოვთ, რა ლამაზად თოვდა?
გახსოვთ, ფანტელების ბრჭყვინვა?
გახსოვთ, ჩვენ და მთვარე
თრთოლად
როგორ გაგვიმეტა ყინვამ?
გახსოვთ, ვკანკალებდით როცა,
სულში მზის სხივები წვიმდა,
გახსოვთ, ვუყვებოდით თვალებს,
ფიქრებს, გულებში რომ სცრიდა;
გახსოვთ, გაბუტული ქარი,
სად არ დაგვეძებდა დიდხანს;
გახსოვთ, მომზირალი ხალხი,
გახსოვთ, ვარსკვლავების დრტვინვა?
გახსოვთ, იმხელობის დარი,
ამხელობას რომ კვლავ ბრწყინავს?
გულის გუმბათებში ზარი,
სიყვარულის ჰანგად გრგვინავს!

მიხეილ გელაძე – პოეტი, ფილოლოგი, პუბლიცისტი, მთარგმნელი;
დაბადების ადგილი – ხულო, სოფელი დანისპარაული.

ცხრა აპრილი

ვინ მოცელა რუსთაველზე ეს წითელი ვარდები,
ვინ დამიჭკნო გაზაფხულის ია – ყოჩივარდები?!
მტერო, იქით გაიწიე, არასდროს ჩაგბარდები,
საქართველოვ, დღეის იქით უფრო შემიყვარდები!

ვინ ადინა ქართველ ქალებს იმ დღეს ცხელი ცრემლები,
სისხლისფრად ვინ გადაღება ცხრა აპრილის ტყემლები?!
უფრო – უფრო განვმტკიცდებით, ვით ფოლადის გრდემლები,
საქართველოვ, მე ვერ დაგთმობ, ჯაჭვად შემოგევლები!

მიწაში ვერ ისვენებენ ჩვენი არაგველები,
მაშ, მათ რისთვის გაუსრისავთ მოსეული გველები?!
დიდგორელი, კრწანისელი, მარტყოფ – მარაბდელები,
ისევ მახვილშემართული მოდიან ქართველები.

მე ქართული სისხლი მიდუღს, მტერო, არ ჩაგბარდები,
ერთ წვეთ სისხლსაც არ შეგარჩენ, თუ შინ მომივარდები,
შენ ცხრა აპრილს მომიცელე რუსთაველზე ვარდები,
აფხაზეთში, ხურვალეთში ქსოვე ეკალ – ბარდები.

დავით მეფე ბორგავს გელათს, ეყო თბილისს დარდები,
იმ ორმოში, სხვას რომ უთხრი, მტერო, შენ ჩავარდები,
ცრემლად, სისხლად დამიწრიტე ჩემი კოკორ – ვარდები,
მავთულხლართი მომაცილე, ცოცხლად არ ჩაგბარდები!

ვინ მოცელა რუსთაველზე ცხრა აპრილის ვარდები,
ვინ დამიჭკნო გაზაფხულის ია – ყოჩივარდები?!
ქართველი ვარ, დაიხსომე, მე არ გადავგვარდები,
საქართველოვ, დღეის იქით უფრო შემიყვარდები!

ხიხანის არწივი

ხიხანიდან აფრენილო არწივო,
როგორ მინდა, სიხარული მაწვიმო,
როგორ მინდა, მიმოფანტო ღრუბლები,
საქართველოს მოაცილო წურბლები.

როგორ მინდა, მზეს ჩამოხსნა პირბადე,
მთის წყაროზე ვიდგე და პირს ვიბანდე,
როგორ მინდა, ფრთები ფართოდ გაშალო,
ბოროტების ყველა კვალი წაშალო.

როგორ მინდა, ტკივილი აღარ ზიდო,
საქართველო უფრო მაღლა აზიდო,
ქართული ცა შენ მართვეთი დაფარო,
ყველა ქართველს ფრთები გადააფარო.

ხიხანიდან აფრენილო არწივო,
ჩემო ხულოვ, ჩემო გულის ნაწილო,
როგორ მინდა, თბილისს შემოუფრინო,
მასზე მომხდურს წიქარათი ურქინო.

როგორ მინდა, დაიბრუნო მიწები,
მოიცილო მტრები, შენი, ბილწები,
როგორ მინდა, საქართველოს ხვითობა,
ახალი მზე, ახალი დავითობა.

როგორ მინდა, მწვანე ტბით იზურმუხტო,
მუხათგვერდზე დაფრინდე, დაიმუხტო,
იგონიო, იმცხეთო, იდმანისო,
იდიდგორო, იქუხო, იკრწანისო.

ხიხანიდან აფრენილო არწივო,
მინდა, ყველას სითბო გაუნაწილო,
მტრობით, შუღლით ბევრჯერ
გულდაჩაგრულო,
იხორუმო და იმღერო „ჩაკრულო“.

როგორ მინდა, ყველა კუთხით ერთობა,
საქართველოს ძველი ერთადერთობა,
„ოქროს აკვნად“ ისევ ბაზალეთობა,
ხურვალეთით ისევ კარალეთობა.

როგორ მინდა, ათას არაგველობა,
ერთად დადგეს თამარის ქართველობა,
ყველა ვაჟკაცს ეცვას ჯაჭვის პერანგი,
არ მოუშვას ახლოს მტერი, ვერაგი.

ხიხანიდან აფრენილო არწივო,
მინდა, თავი სამშობლოსთვის გაწირო,
როგორ მინდა, საქართველოს მთელობა,
ბედნიერი ცხოვრება, ჯანმრთელობა.

როგორ მინდა, სულ იმღერო „თბილისო“,
გიხაროდეს დაბადება შვილისო,
დაიბრუნო შენი რიწა, აფსუა,
ძმათა შორის არვინ ჩადგეს აწ შუა.

როგორ მინდა, იგუდან-იალგეთო,
იშინდისო, ისიმდო, იარგვეთო,
როგორ მინდა, საქართველოს ხვითობა,
ვახტანგობა, ახალი დავითობა.

ხიხანიდან აფრენილო არწივო,
მინდა, მხოლოდ სიხარული მაწვიმო,
მინდა, თავი არავისთან დახარო,
ქართულ დროშის ფრიალით გამახარო!

საქართველოს ისტორიის გადაწერის მოსურნეთ

(ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის „ახალ მემატიანეთ“ – ლევან ბერძენიშვილს, მიხეილ ღანიშაშვილს და „ძმანი მისნებს“, ვინც არ ცნობენ ივანე ჯავახიშვილის, ლევან სანიკიძის, მარიკა ლორთქიფანიძის, როინ მეტრეველის, ანდრია აფაქიძის, დავით მუსხელიშვილის და სხვა აკადემიკოსთა ავტორობით გამოცემულ საქართველოს ისტორიას, მათ, ვინც ერეკლე მეფეს (ერეკლე II, იგივე „პატარა კახი“) შეურაცხყოფას აყენებენ, მის ქართველთა მოღალატედ გამოცხადებას და ისტორიიდან ამოღებას ცდილობენ.)

ვაი, სირცხვილო, რას ვისმენ, მაგიერ ერთად დგომისა,
მეახლა „მემატიანე“ – ერეკლეს დიდ შეცდომისა,
ისე ბჭობს, მოგეჩვენება, ნიჭი აქვს საქმის წვდომისა,
მდგარიყოს კრწანისის ველზე – სურვილით გმირად კვდომისა.

ჰკითხეთ, რასა იქმს აქამდე, გარდა ყასიდად ჯდომისა,
ან ისტორიის რა ესმის, გარდა სხვის კუდში ძვრომისა,
რა გაეგება იმ დროის, „გმირთა ვარამით“ კრთომისა,
ვინ მისცა ნება მას გმობის ან წერის ახალ ტომისა?!

კატას, თაგვების თვალთვალში, ვინ რა არგუნა ლომისა,
იკითხოს, ასჯერ რომ იშვას, გახდება ,,კახის“ ზომისა?...
კაცის ჭორს განა არ უჯობს, ქალურ გარჩევა ღომისა?...
ან არაგველებს რად ერჩის, რა ესმის ბრძოლის მდომისა?...

ერეკლე მეფეს საფლავში აწ როგორ დაედგომისა?!
არაგველებო, მოსულა დრო თქვენი წამოდგომისა,
სვეტიცხოველში, მეფესთან, მოწვევის დიდი სხდომისა,
ციხის შიგნიდან გამტეხთა კვლავაც წინ გადადგომისა.

დამნაშავეთა დასჯისა, მათი ხმის სულ ჩაკვდომისა,
ვერ გამიგია რას ელის – საუკუნეთა მწვდომისა,
„კრწანისის ყაყაჩოების“ მოსრა – მოცელვის მდომისა,
იქნებ აძალებს სურვილი ქართველთა სულ გაწყდომისა?...

ან იქნებ განგებ არ ესმით არაგველების ომისა,
იქნება ვერცხლი ჩხრიალებს მტრის მხარეს გადახტომისა,
ვაი, საწუთროვ, ცხრა ძმისავ, ვის რა ეგების წყრომისა,
შავი და თეთრი არაგვის ერთად დინების მდომისა.

ქართველო, შეიბ მახვილი, დრო არ გაქვს უქმად დგომისა,
არ მისცე ახალ მედროვეთ, ჩვენს თავს ლაფის სხმა-სხდომისა,
დროზე ალაგმე ყოველი, დრო მოვა შემოდგომისა,
მისი არც რამე გინდოდეს, ბოღმიან გულზე მსკდომისა!

ძეგლად ჩამოვქნათ ერეკლე – მთელ საქართველოს წვდომისა,
ხელთ ეპყრას მას ჯავარდენი ,,მწყემსი კეთილის“ ზომისა,
ნარიყალასთან ვიგულოთ “ჟამთა მოწამედ” ომისა,
ქართველთა ერთად შეკრების, სიმბოლოდ ერთად დგომისა!

რ ა ქ ვ თ ა

(სხალთა-ხიხანის ხეობაში
მცხოვრები ჩემი მეგობრების
პატივსაცემად)

ხულოში თუ იყავ, თუ ნახე რაქვთა,
მითხარი, ხიხანმა და სხალთამ რა თქვა?
ორივემ სვე-ბედით მთის გულისწვა თქვა,
ღვთის ერთგულება და ღვთის ერთობა თქვა.

ხიხათში თუ იყავ, თუ ნახე რაქვთა,
ერისთავთ მემკვიდრემ – ტბელმა აქ რა თქვა?
ჭოგრიტით გახედა ცის ცარგვალს და თქვა:
„ვარსკვლავად ანთია ქართველი," – რა ვთქვა.

ბაკოში თუ იყავ, თუ ნახე რაქვთა,
ხიხანის არწივმა, სელიმმა, რა თქვა?
მას თავი მოჰკვეთეს... რა კაცი, რა მთა,
„ოსმალოს არ შერჩა," – ახდა, მან რაც თქვა.

„ქოჩახში" თუ იყავ, თუ ნახე რაქვთა,
მითხარი დევგმირმა შერიფმა რა თქვა?
ვიღაცამ სელიმის ამბავი გათქვა,
ამცნო მტერს ყოველი, მოუყვა, დაფქვა.

თხილვანას თუ იყავ, თუ ნახე რაქვთა,
„ერთვისმა" რა გითხრა, „ვარდციხემ" რა თქვა?
„ციხისყელს" ატყვია კვალი აბრაგთა,
უცხოტომელთა, სხვადასხვა რანგთა.

ფაჩხაში თუ იყავ, თუ ნახე რაქვთა,
„ქვათ იის წყარომ", ვერნებმა რა თქვა?
წისქვილმა იბრუნა, სიმინდი დაფქვა,
აქ ხალხმა ძმობა და ერთობა დათქვა.

წაბლანას თუ იყავ, თუ ნახე რაქვთა,
ძმაგულამ რა გითხრა, კალოთამ რა თქვა?
„ხულო ვარ, გული ვარ – საძვალე მთათა" –
ამაზე ძვირფასი რა ეთქვა – რა ვთქვა.

ხულოში თუ იყავ, თუ ნახე რაქვთა,
თუ ნახე ხიხანი, თუ ნახე სხალთა,
გინახავს სამოთხე – წალკოტი, მთათა,
იხარე ქართველო! – რა მეთქმის, რა ვთქვა?!

ბოძაურმა გულის კარი გამიხსნა

(სოფელ ბოძაურის საჯარო
სკოლამ არაჩვეულებრივი
პოეზიის საღამო მომიწყო)

ბოძაურმა გულის კარი გამიხსნა,
დამაფრქვია ცხრათვალა მზის სხივები,
ნაჭრისერზე ,,ძმაო ძმითა" ამიხსნა,
ამიკინძა ლექსად ბროლის მძივები.

ბოძაურმა შეძრა შემოგარენი,
ხელისგულზე ერბოკვერცხი შემიწვა,
შემიგროვა ხალხი – მომთაბარენი,
საქართველო უფრო გამიძველმიწა.

ბოძაურმა გამოაღო სარკმელი,
მასპინძლობით ცას ახადა თაღები,
მომიმღერა, მომაძახა სათქმელი,
მიბულბულა ვარდმაისის ბაღები.

ბოძაურმა ეს რა გამიჩალიჩა,
მომიქარგა კითხვით ჩემი ლექსები,
ნაჭრისერზე გამიფინა ხალიჩა,
მომეფერა, წამიკითხა ტექსტები.

ბოძაურმა ხულო შეაზანზარა,
დამაბერტყა სიყვარული, მთიური,
ლექსის წერა მისთვის რამ დამაზარა,
დამმუხტა და ძალა მომცა, ღვთიური.

ბოძაურო, ყველგან, კერე-კუჩხეში,
ქებათ-ქებას გიძღვნი, სადაც ვიქნები,
სადაც ვიყო, დედამიწის კუთხეში,
თქვენსას ვიტყვი,
თქვენიანად ვითვლები!

დიდაჭარა მიყვარს

დედას გამო დიდაჭარის ქვის კენჭიც კი მიყვარს,
მის ნატერფალ გზას მივყვები – შაილურში მიმყვანს,
გულისცემა მიხშირდება, მე ხომ ყველა იქ მყავს,
იქ დამხვდება ბიძაშვილი და სტუმრად წამიყვანს.
    დედას გამო დიდაჭარის ყველა გოჯა მიყვარს,
    მესალმება ფიჩხანწყალი – ყველა წყაროს წინ მყავს,
    მახსენდება საბადური, სად ვაფრთხობდი ჭილყვავს,
    პანტიძირი, სხალიძირი ისევ იქ დგას, იქ მყავს.
მიყვარს ყველა კარ-მიდამო, ყველა სახლი მიყვარს,
მზის ოქრომკერდმოქარგული – დიდაჭარა შინ მყავს,
სამორიწყაროს გავცქერი, გული გულთან მიმყავს,
ვანიგვერდი ბავშვობაში ზედა ღელით მირწყავს.
    დედას გამო დიდაჭარის ახოფერდი მიყვარს,
    მგონი მახლავს მისი სული – დათვაურას მიმყავს,
    ხვალ კვაცათას ვესტუმრები, წინაპრები იქ მყავს,
    ძერაწყაროს ჩამოვჯდები, თუ ვინმე წამიყვანს.
აქაური ბაღ-ბოსტანი, ყანა-ჭალა მიყვარს,
"რა მდიდარი სოფელია", – ვიღაც მხარზე მირტყამს,
ქობაური, ყვართივაკე უჟმურღელით მირწყავს,
მწვანე ფარჩებს და ხავერდებს იხვევს, წელზე ირტყამს.
    დედას გამო დიდაჭარის ოთხივე დრო მიყვარს,
    ბიძაჩემის „მეიდანოდა" – რა ჯალაბი იქ მყავს,
    ვერ ვეცლები ნათესავებს, ხოჩელასთან მიმყვანს,
    დედას მხარეს მათზე ახლო, მართლაც, არავინ მყავს.
ბოსტანათი, საბძელათი, სიზმარათი მიყვარს,
მახსოვს დედას ნაამბობი – თითქოს ისიც იქ მყავს,
მოგონებით ნაღომვარი ნაყორნალთან მიმყავს,
ნათესავთა ზღვა სამოთხე თითქოს ცოცხალი მყავს.
    დედას გამო დიდაჭარის მზის ამოსვლა მიყვარს,
    ამოსავალჭალა მიყვარს, ჩემიანი იქ მყავს,
    მწვანე ღელე მომენატრა, იქ ვინღა წამიყვანს,
    მომადგება მეგობარი მასთან გადამიყვანს.
დედას გამო დიდაჭარის ქვის კენჭიც კი მიყვარს,
ბოკელათი, ტყემალათი – დედა სიზმრად იქ მყავს,
მის ნატერფალ გზას მივყვები – შაილურში მიმყვანს,
იქ დამხვდება დედულეთი და მხრებზე ამიყვანს.

შ ა ვ წ ყ ა რ ო

შენ „მზის წყარო" უნდა გერქვას,
ვინ შეგარქვა „შავწყარო",
ვერ გადაგცვლი, თუნდ მაჩუქონ
შენში მთელი სამყარო.

შენ სამოთხის წალკოტი ხარ,
„აღდენა" გაქვს „თავწყარო",
რა ლამაზი ფერებით გრთავს,
შენი ცხრა მთა, ცხრა წყარო.

„ნაცელევის" და „ლეკნარის"
ექოვ, გულის ფანცქალო,
ყველა დროთი მომნუსხველო,
ყველა დროის მერცხალო.

სად ჰქონია წყაროს ფერი,
ვინ შეგარქვა,,შავწყარო",
მოჩუხჩუხევ ეზოებში
და არასდროს დამწყდარო.

მოქარგულო, მოხატულო,
ვინ შეგარქვა „შავწყარო",
მინდა, სულ ირაკრაკო და
მინდა, სულ იწანწკარო.

განა რამე შეგედრება –
ზღვის წყალი ან ჭის წყარო?!
მიტომ ვამბობ, უნდა გერქვას
„მთის წყარო" ან „მზის წყარო".

ბარხატები, ბაღ-ბოსტნები,
რა ზღაპრული შავწყარო,
შენს კალთაში ძილი მინდა,
მინდა, შენ დამაწყნარო.

შენ „მზის წყარო" უნდა გერქვას,
ვინ შეგარქვა ,,შავწყარო",
ვერ გადაგცვლი, თუნდ მაჩუქონ
შენში მთელი სამყარო.

ქედლები

სულ მაღლა, ცისკენ მიიწევს,
ამოჰყავს სახლის კედლები,
– რა სოფელია? – ჰკითხავენ,
დინჯად პასუხობს: – „ქედლები“.

საფილეთის ცას სერავენ,
არწივები და ქედნები,
მზის სარკედ გადაქცეული,
არგინეთს კოცნის ქედლები.

აქ აგიხდება ოცნება,
რასაც ღმერთს შეევედრები,
ხელებგაშლილი დაგხვდება,
გადაგეხვევა ქედლები.

გულმასპინძლობაც მან იცის,
იკვლება მამალ-დედლები,
სიმღერით ცეკვავს,,აჭარულს“
„ხულოს ზეიდან ქედლები“.

გულმკერდს მზექალი უქარგავს,
ტყეებს – წიფლები, კედრები,
ხულოს გვირგვინად თავს ადგას
სიცოცხლით სავსე ქედლები.

ნაილევწყაროდ ჩუხჩუხებს,
დალევ კაცი და ზედ დნები,
გულს გადაგიშლის, მოგნუსხავს,
მთის სილამაზით ქედლები.

კარათს მხარბეჭში უდგანან
ჭიუხები და ზეგნები,
„ბერმუხას“ ხორუმბუქნაში
ტოლს არვის უდებს ქედლები.

მის კალთას ვერ მოშორდები,
მიხვალ და მიეკედლები,
გულში ჩაგისვამს, გაგათბობს,
„ხულოს ცის კიბე“ – ქედლები.

ოთხი დრო, ოთხი სამოსი,
დაგჩრდილავს, თუ შეედრები,
ისევ ტკბილ სიზმრად ინატრებ,
გემახსოვრება ქედლები.

აქ ნაწილდება ზამთარში
ჯილდოდ თასი და მედლები,
ვით რძალი, გიმარიფათებს
და გიმასპინძლებს ქედლები.

დამუნჯებულან მის ხილვით,
მხატვრები, ოქრომჭედლები,
სამოთხეაო, ამბობენ –
„ხულოს ზეიდან ქედლები“.

მე ხულოს მთებმა ამწია ცამდე...

მე ხულოს მთებმა ამწია მაღლა,
სრულ საქართველო შემომატარა,
არვის ეგონოს შოთას სამშობლო
ცეროდენა ან ციცქნა, პატარა.

მე ჩემმა ხულომ შემასხა ფრთები,
ვით შევარდენი, მხრებით მატარა,
გულში ჩამისვა, მთების სურნელი,
თუ სადმე წაველ, იქ გამატანა.

მე ჩემმა ხულომ ამწია ცამდე,
ცის კაბადონი გადამატარა,
რა სიყვარულით მომეფერა და
თავს ლექს-ვარდები გადამაყარა.

ჩემით იწყება საქართველო...

(ვუძღვნი სოფელ ტაბახმელაში არასრული
საშუალო სკოლისა და ახალი
შენობის გახსნას)

მე თამარი ვარ, მე შოთა ვარ, მე – ქეთევანი,
მე თორნიკე ვარ, ფარნავაზი, მე – გედევანი,
ხმა მიაწვდინეთ ყველას,
ყველას – მაღალ ხევიდან,
ჩემით იწყება საქართველო – ტაბახმელიდან!

მე ვარ დემეტრე, მე ცოტნე ვარ, მე – ტარიელი,
მე აკაკი ვარ, მე ვაჟა ვარ, მე – დანიელი,
გკოცნით სუყველას,
გესალმებით მზის სარკმელიდან,
ჩემით იწყება საქართველო – ტაბახმელიდან!

მე ვარ მთის წყარო, მე ია ვარ,
მე – კლდის არწივი,
მე ვეფხვის ტყავზე გადაშლილი წიგნი, არქივი,
მე „სიტყვის კონა“ ჩავიბარე საბას ხელიდან,
ჩემით იწყება საქართველო – ტაბახმელიდან!

მე შუქურა ვარ, მე ტბელი ვარ, მე – მზის ხალიჩა,
მე მშობლიური დედაენა აქ გადამირჩა,
გამოიხედეთ ყველამ, ყველამ ჭალახმელიდან,
ჩემით იწყება საქართველო – ტაბახმელიდან!

მე სამასი წლის აკვანი ვარ, მე აჭარა ვარ,
მადლობა უფალს, სხვისი მონა მე აღარა ვარ,
შემხედეთ, რა არ გამომივა, აბა, ხელიდან,
ჩემით იწყება საქართველო – ტაბახმელიდან!

მე არტახი ვარ, ჯვარის ქედის, ბეღლის ხარო ვარ,
მე დიოკნისის დიაკვანთა სანთლის თარო ვარ,
არ ვარ მახმუდი, მე ხვიჩა ვარ – მცან სარკმელიდან,
ჩემით იწყება საქართველო – ტაბახმელიდან!

რ ი ყ ე თ ს

რიყეთო, შენი ფუძე მამაგრებს,
სოფელო, შენი ჭერი მამაღლებს,
ვუმზერ სამოთხეს, ვუცქერ მთაძარღვებს,
რაღა მიჭირს და რაღა მანაღვლებს.
    რიყეთო, შენი მთები მაცოცხლებს,
    სოფელო, შენი წინსვლა მაოცებს,
    ვიცი, შენი მზე სალამს გადმომცემს,
    შენს გულის კარზე წყარო მაკოცებს.
რიყეთო, შენი შრომა მახარებს,
ორღობეში რომ ვხედავ მაგ ხარებს,
თესავ ამ მხარეს, ცელავ იმ მხარეს,
თუ გაგიჭირდა, იხმობ დამხმარეს.
    რიყეთო, შენი სიმწვანე მამკობს,
    ხეზე შედგმული სკა ისევ რამკობს,
    სოფელო, შენი სურნელი მატკბობს,
    რა მდიდარი ხარ, ვუმზერ შენს ნამკობს,
რიყეთო, შენი სუნთქვა მალაღებს,
სოფელო, მზე გფენს ოქროს დალალებს,
როგორ იმშვენებ ადგილ-ალაგებს,
მიტომ შენს ქებას გული მავალებს.
    რიყეთო, ვისმენ შენზე არაკებს,
    მიგიგავს სახე მთის აგარაკებს,
    ყვავილნარით რთავ ვაზებს, ლარნაკებს,
    მიყვარხარ და ეს მალაპარაკებს.
რიყეთო, ყველა სალამს მაბარებს,
გადმოგცემ ყველას – დიდებს, პატარებს,
ყველა სამოთხეს მიტომ გადარებს,
შენ სახელს გულზე იწერს, ატარებს.
    რიყეთო, შენი ტყე-ღრე მამხნევებს,
    რა შეედრება შენ ტყის ძახველებს,
    რა უშრომია თურმე მაგ ხელებს,
    უმასპინძლდები სტუმრებს, მნახველებს,
რიყეთო, კაკლის ჩერო გამღერებს,
შენი ქალ-ვაჟი ჩონგურს აჟღერებს,
ექოდ დაივლი ყანებს, ბაღ-ველებს,
ბანის სათქმელად იხმობ გაღმელებს.
    რიყეთო, ვისმენ შენზე არაკებს,
    მიგიგავს სახე მთის აგარაკებს,
    ყვავილნარით რთავ ვაზებს, ლარნაკებს,
    მიყვარხარ და ეს მალაპარაკებს.

ც ი ვ წ ყ ა რ ო ზ ე გააჩერე, ძმობილო...

უტყისუბან, „ცივწყაროზე“, გააჩერე, ძმობილო,
არ მიწყინო, თანამგზავრო, სულ ახლად გაცნობილო,
როგორ მინდა, ტყის ჩიტები ვაჭიკჭიკო, ავშალო,
გადავხედო „ქვაბლიანს“ და გზაზე სუფრა გავშალო.

გახე ტყეებს, მთებს სარკმლიდან, მგზავრო კეთილშობილო,
გოდერძის და ლოდიძირის ფიქრებით შეპყრობილო,
მინდა უტყისუბნის წყარო ერთხელ კიდევ დავლიო,
ძინძეს ჭალებს მოვეფერო, გულში სევდა დავძლიო.

უტყისუბან, ცივწყაროზე, გააჩერე, ძმობილო,
გესალმები, ჩემო მიწავ, მტერზე არ დათმობილო,
მინდა ცივი ნაკადული ერთხელ კიდევ დავლიო,
გაქვავებული ხე ვნახო, სად გასვლია ყავლიო.

ნაძვებს, სოჭებს, ფიჭვებს, წიფლებს, გადახედე ძმობილო,
რა სიმდიდრის მფლობელი ხარ, შენ, ქართველად შობილო,
ამ მთა–ბარის სიყვარული, მითხარ, როგორ წავშალო,
მესხი შოთას „ოქროს წიგნი“ როგორ არ გადავშალო?!

მინდა, ფოტო გადავიღო, გააჩერე, ძმობილო,
ნახე, სად ძოვს სამი შველი, წიფლის ძირას, დობილო,
როგორ მინდა, კრაზანები დავკრიფო, არ დავშალო,
მათი წვენი ჩაიდანში ჩავწურო და ჩავშალო.

უტყისუბან, ცივწყაროზე, გააჩერე, ძმობილო,
გენაცვალე, ჩემო წყაროვ, არასდროს დაშრობილო,
მინდა, სოკოს მწვადი შევწვა, ცივი წყალი დავლიო,
მოვისმინო, დავინახო რაკრაკი და ჭავლიო.

უტყისუბან, ცივწყაროზე, გააჩერე, ძმობილო,
მოვისმინოთ, ტყე რას ჩივის – ვაჟას ენით ცნობილო,
„ფესვებიდან“ ამ,,მთის წყარო“ კიდევ ერთხელ დავლიო,
„კლდე რას მეტყვის“ – მოვისმინო და გზა ისე გავლიო.

უტყისუბან, ცივწყაროზე, გააჩერე, ძმობილო,
არ მიწყინო, თანამგზავრო, მეგობარო, დობილო,
მაღალ ხეზე დროშა მინდა, ავიტანო, გავშალო,
„საქართველო“ დავაწერო და არასდროს წავშალო.

სხვა საქართველოს ვერ ნახავთ ვერსად

გახსენით ყველა ცხრაკლიტური, ყოველმხრივ წადით,
დააშრეთ ყველა ოკეანე, ზღვის ფსკერზე ჩადით,
იმოგზაურეთ მზის გარშემო, მეცხრე ცას ადით,
„სხვა საქართველო“ მომიძებნეთ ხედით, ფასადით.

სხვა საქართველო, სხვა სამოთხე მოძებნეთ, წადით,
თუნდ დედამიწა მოიტევეთ, მთვარეზე ადით,
თუნდ “ოქროს თევზი“ ამოზიდეთ ანკესით, ბადით,
ვერ ნახავთ ვერსად, თუნდ ხანჯალი დაირტყათ ვადით.

სხვა საქართველო, სხვა სოფელი მოძებნეთ, წადით,
ვერსად იპოვით ასეთ ნახატს, თუნდ „ლუვრში“ ჩადით,
ვერ გამაკვირვებთ ვერც „ბაღდადით“, ვერც სოფელ „სმადით“,
ამ სილამაზეს ვერ დახატავთ მხატვართა ნადით.

სთხოვეთ აშუღებს, სთხოვეთ მგოსნებს, უმღერეთ, წადით,
ახადეთ თაღი ცის კაბადონს, ვარსკვლავეთს ადით,
ვენეციაში, „ერმიტაჟში“, პარიზში ჩადით,
თუნდ ფიროსმანი გააღვიძეთ გარკვეულ ვადით.

ამ პანორამით მონუსხული, გაფრინდით, წადით,
უცხო პლანეტებს მიაგენით, ბეწვის ხიდს გადით,
მისნებს, ჯადოსნებს მიაწვდინეთ, ცხრა მთას გადადით,
ღმერთს რჩეულთათვის რად უძღვნია განძი ღაღადით.

ხმა მიაწვდინეთ შიშკინს, ბასოვს, სავრასოვს, წადით,
ცა გვინდა, სტენდად გამოვფინოთ, – თქვენ დაბლა ჩადით,
გვაქვს საოცრება, გვაქვს ნახატი, მუხლებზე დადით,
თუნდ დაიხოცოთ, ვერ დაგითმობთ, ტკივილით, დარდით.

ამცნეთ მსოფლიოს ცნობილ მხატვრებს, ღორჯომში ჩადით,
„საყულაფერდზე“, ვით მყინვარზე მოლბერტით ადით,
„ლელის წყაროზე“ ჩამოსხედით ლავაშით, მწვადით,
ცხელი ხინკალი კარდალიდან მიირთვით მადით.

უთხარით ყველას, დაპატიჟეთ, მოდით, მობრძანდით,
გაზაფხულს, ზამთარს, ერთად ვქარგავთ ყასნაღით, ქარგით,
ჩვენ გიმასპინძლებთ, გეახლებით ჩონგურით, ჩანგით,
ჩვენ აქ ბუნების ქორწილს ვიხდით ზღაპრული თარგით.

მსგავსი სიტურფე, სილამაზე, მოძებნეთ, წადით,
ვერ ნახავთ ვერსად, თუნდ ცა-ქვესკნელს ადით და ჩადით,
„შვიდ საოცრებას“ მიუმატეთ, მერვემდე ადით,
ვინც ნახა უკვე, სიხარულის ცრემლები დასდით.

გვესტუმრეთ ყველა, ყველამ სუფრა ეზოში გავდგით,
ცეკვა,,ხორუმი“ და,,განდაგან“ ამ დღისთვის დავდგით,
„მთათა სამეფოდ“ მოიხსენეთ ღორჯომი ამ დღით,
და გიხაროდეთ, ამ წალკოტზე ფეხი თუ დადგით.

სხვა საქართველო, სხვა სოფელი მოძებნეთ, წადით,
ვერსად იპოვით ასეთ ნახატს, თუნდ „ლუვრში“ ჩადით,
ვერ გამაკვირვებთ ვერც „ბაღდადით“, ვერც სოფელ „სმადით“,
ამ სილამაზეს ვერ დახატავთ მხატვართა ნადით.

ზღვაო, რას მეჩურჩულები...

ზღვაო, რას მეჩურჩულები, რას მეტყვი კიდევ ახალსო,
ცას რომ ღრუბელი გაეკრა, მითხარ, შენ ხომ არ გახლავსო?!
რამდენი მდინარე გერთვის, რამდენი შლამი ახლავსო,
ზოგი იმდენად დიდდება, ცხენი ვერ გადალახავსო.
ზღვისფერს ზურმუხტი შეგიცვლის, ნაირფერს შენ მოგახმარსო,
მაგნოლიებით, პალმებით, ზღვით ხატავ ყველა სახლ-კარსო,
კლდიდან ხტებიან ბიჭები, იწყებენ სიცილ-ხარხარსო,
ზღვასთან მდგომ გონიოს ციხეს, მეასედ ვინ არ ნახავსო?...
კვარიათს კბოდეს უკოცნი, უღიმი, როგორც მძახალსო,
ვერცხლად გეფრქვევა ზვირთები, მყის განაცვიფრებ მნახავსო,
მახინჯაურში ლივლივებ, ნავით მეთევზე გახლავსო,
მწვანე კონცხს ქარგავ სიმწვანით, ყვავილებს აქსოვ ბალახსო.
კვლავ პეტრას ციხით გაჰყურებ თოვლიან მთების ფაფარსო,
ცის დასალიერს მზის დისკოს, რა სილამაზე ახლავსო,
ერთი მხრივ, ბათუმს შენც იცავ, მტერს ჩასცემ უმალ ლახვარსო,
არ მინდა, „შავი ზღვა“ გერქვას, სახელს გიძებნი ახალსო.
ზღვაო, რას მეჩურჩულები, რას მეტყვი კიდევ ახალსო,
ვიცი, დელფინთა ლაშქარი ბათუმს, ქობულეთს გახლავსო,
თოლიებს ქორწილობა აქვთ, მზე არემარეს თაფლავსო,
ამ სილამაზეს, მითხარით, კაცი კიდევ სად ნახავსო?...
აწი სულ მე მეჩურჩულე, ამბებს გავიგებ ახალსო,
ნაპირი არ გადარეცხო, ვინმე „ოქროს თევზს“ ნახავსო,
ბათუმი – „ზღვათა სამეფო“ – ახალ სიყვარულს ჩარხავსო,
შავ-თეთრ მარგალიტს, შენს ფსკერზე, ქართველი შეინახავსო.

თამარ ფიცხელაური – იურისტი;
თელავის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსი.

...ბუნიობაა...

დღე ღამეს უფრთხის, თან ბარდაბარ ჯიუტად მისდევს...
ბუნიობაა, მეც, ჩემს თავთან, ტოლობა დავსვი,
ბნელს ნათელი ცვლის, ნათელს – ბნელი... და მაინც, ბოლოს,
არ თანაბრდება არასოდეს წონა და ფასი!
ვიღაცამ მითხრა: ყველაფერი თანაბარია...
ვერ დავეთანხმე, ვერც უარვყავ და დღემდე მიკვირს...
ვიცი, ყველა გზა, ყველა შარა, ყველა ბილიკი,
ცალ-ცალკე, მაგრამ მაინც ბოლოს ერთისკენ მიდის!...
რაღაცნაირად დღე ღამესთან მაინც ზავდება,
ფრედ დამთავრდება უდროობის დროსთან ჭიდილიც...
იმან იდარდოს, ვინც მოიგო, ანდა წააგო,
ვერც სიხარული შეიგრძნო, ვერც გულისტკივილი.
...წაგებული და მოგებული პირისპირ დგანან...
მათ შორის ვდგავარ, თან ორივეს, ზურგი ვაქციე...
და მეჩვენება, თითქოს სახლობს ჩემში უფალი,
რომ მეც მასავით, წყალი ღვინოდ გადავაქციე!..
...ბუნიობაა, ეს ცხოვრებაც, ბუნიობაა...
წერტილის ნაცვლად კვლავ შეცდომით ტოლობა დავსვი...
შეცდომა იყო, ხათრით ვიყავ დიდთან – პატარა,
ტოლთან – ხათრითვე უსამართლოდ დასჯილი ბავშვი!..
...ფრედ არ მთავრდება ყველა ომი საკუთარ თავთან...
ვერც მთები დავძარ და ვერც ღამე დღედ ვერ ვაქციე,
ვკადნიერდები, ხან მგონია თავი იესო,
რომ მეც მასავით, წყალი ღვინოდ გადავაქციე!

...დ ა რ დ ი ა ნ ი ვ ა რ...

დარდიანი ვარ!... სიკვდილით ვარ დამძიმებული!...
უკვე რამდენი, რამდენჯერ და ამგვარი ვიშით?!..
ვაგლახ, რომ ასე მიგვაჩვია სიკვდილს განგებამ,
რომ სამწუხაროდ, აღარა გვაქვს სიკვდილის შიში!...
მსურს, დავადუმო მწუხარების რისხვის ზარები,
რომ აღარასდროს შეგვაწუხოს ამგვარ ხმაურმა;
...და სული ტირის, უსასო და მიუსაფარი,
სიკვდილის სუნი ასე რატომ გაშინაურდა?...
მრუმეში ვდგავარ... აჩრდილები თავანკარობენ...
გასაპყარებულს აღარ მინდა მათი დანახვა!...
ამდენი მსხვერპლი?! იქნებ მომკლა მსახვრალის ხელო,
ოღონდ ასეთი სასაკლაო აღარ მანახა!
...დარდიანი ვარ... სიკვდილით ვარ ყელამდე სავსე!...
მობორიალე ღამის ფერებს ნეტავ რა უნდა?
გვიხსენ, უფალო, დაიფარე ჩემი მამული,
სადაც სიკვდილი ასე ურცხვად გაშინაურდა.

სუსხიანი ნოემბერი

...სუსხით დაიწყო ეს ნოემბერი,
ის ოქტომბერიც სუსხით წავიდა...
თითქოს დამთავრდა ის მონატრებაც,
მერამდენედ რომ ვიწყებ თავიდან!...
სევდაც თან მოჰყვა ნოემბრის ქარებს,
სულ უკითხავად და თან შორიდან;
ის გაზაფხულიც სუსხმა გაყინა,
რომ გამოვძერწე უშენობიდან!...
...რა ვუყოთ, თუკი ირგვლივ ნისლია,
მე კი, მზიანი მსურდა ღრუბლები...
ჩამოვხსნი ზეცას მაგ სიმოწყენეს,
იმ აპრილიდან თუ დაბრუნდები!...
...და თუ ნოემბრის სუსხი დაიწყო...
და უშენობით, ისევ აცივდა...
ვიქნები შენი ნაზი ჟორჟ სანდი,
ან – ფიროსმანის ის მარგალიტა!..

გუშინ ერთგულად მიცემდა გული

თითქოს გულსგარეთ ცემს ჩემი გული...
მოწურულია გული მტევნებად...
მერე რაღაცით დაღლილი გული,
დაღლილ ძაღლივით ამედევნება;
არ ვიცი, რაზედ გამწყრალა გული,
რატომ კრთის, რატომ აღარ კიაფობს...
და გულისცემით დაღლილი გული
ჩემ მკერდში დადის, დაბორიალობს...
გუშინ ერთგულად მიცემდა გული,
დღეს დრტვინავს, ჩემგან წასვლით მაშინებს,
თუ ნაწყენი ხარ, მოგეკალ გუშინ,
გულო, ოღონდ დღეს გადამარჩინე!...
თუ შუბლის ძარღვი არ გაგწყვეტია...
ტკივილით არა, ხარხარით მამცნე,
ერთხელ ხომ უნდა მიგიღო სრულად,
მიგიღო, მაგრამ ბოლომდე გაგცე!..

...გული ბოლთას სცემს, გული ხმაურობს...
დაღლილ მაჯაზე პულსს არ დავითვლი...
გულო, ციმციმს და ყველა გულის რეჩხს,
მიუტევებელ ცოდვად ჩაგითვლი.
ბოლომდე ჩემი ერთგული დარჩი!..
და ერთად აღვდგეთ მკვდრეთით იებად,
ერთადერთი ხარ, ვისაც ღალატის
გულში გავლაც არ ეპატიება.
გუშინ თვით გულმა მომიკლა გული...
და დღეს, უგულოდ ყოფნა მაშინებს!..
გულს არ გავიტეხ, გულო, ოღონდაც,
არ მომკლა, ისე გადამარჩინე!
ხან ერთგული ხარ, ხან – მოღალატე!...
ხან მოკლული ვარ, ხან – ვარ ცოცხალი...
მე ვერ გიბრძანებ, გულო, გულით გთხოვ,
გულს ნუ მომიკლავ, თვითონ მომკალი!

მემატება და მაკლდება წლები

გადავითვალე წლები სამზეო,
გადაუთვლელნი რიგში არიან...
რა დრო გასულა?!... ამას ნუ მკითხავთ,
თითქმის ცხოვრების ნახევარია.
განვლილს მზის ჩრდილიც არ შეხებია,
აუგთან არის უწილნაყარო...
მთელი ცხოვრება სამყაროს ვქმნიდი,
ცხოვრება იყო ჩემი სამყარო...
ჩემს შარაგზაზე ლანდებს ვერ ნახავთ,
ეს გზა უჩრდილო და მთლად ჩემია...
სულგაყიდული მორალის ხარჯზე,
ღირსება არსად შემირცხვენია!...
წლები მაკლდება და მემატება...
სულს მათი ჩრდილი ნათლად აჩნია...
იმან იდარდოს, ვინც მის შარაგზას,
ბილიკის კვალიც ვერ დაამჩნია!
...და ასე, ჩუმად და ნაბიჯ-ნაბიჯ,
ჩემი ოცნების ეპოქას ვქმნიდი...
დადგება ჟამი დიდი ხმაურის,
ან უფრო ჩუმის და უფრო მშვიდის;
...ტრიალ მინდორზე ვდგავარ და... დავალ...
ვით მარტოსული, დაღლილი მგზავრი...
პირველხატივით სრულქმნილი ვიყო,
ვცდილობ და მაინც... არა ვარ მსგავსი...
წლები მსუბუქი სიმძიმით დამაქვს...
უფრო კარგს ბედი ვერ გაპოვნინებს...
ვარ უდიდესი პროვინციელი,
ფეხქვეშ რომ ვიგებ მეგაპოლისებს!...
აგვისტოს ეს დღეც, ვით უფლის ჯილდო
და ვით საჯელი, მემახსოვრება...
ვისთვის, სასჯელი ყოფილა ციხე,
ვისთვის, სასჯელი – თვითონ ცხოვრება.
...და ასე, მშვიდად და ნელა... ნელა...
ადგილს ვიცვლი და რაღაცას ველი...
...და დღემდე მაინც ვერ ამიხსნია,
ვისთვის ცოტა ვარ და ვისთვის - ბევრი
...ამ წერტილიდან იმ წერტილამდე,
მანძილს ვითვლი და...მშვიდად მივდივარ...
მემატება და მაკლდება წლები,
დღეს, ვიდრე გუშინ, უფრო დიდი ვარ!..

...არც დასაწყისი იყო ადვილი...

...არც დასაწყისი იყო ადვილი,
არც დასასრული იქნება მშვიდი...
კარებს შემოხსნის და გაიხურავს,
ვისაც ყველაზე ერთგულად ვთვლიდი...
არ ღირდეს იქნებ ამაზე ფიქრი...
არ ღირდეს, უფრო, ამისთვის დარდი;
ასე მიდიან... ასე მოდიან,
ჩემთან და ჩემგან დენდი და ლანდი;
ჩერო და სურო... დამშვიდდი, სულო,
სანამ დრო არის, დროს ხელი ჰკარი!...
როგორც იწყება, ისე მთავრდება,
იხურება და... იღება კარი...
...კარს მიღმა ისევ ვიღაცა იცდის...
კარს გამოღმა მე – ფერმკრთალი ვხვდები...
და ჩემგან ისე არავინ მიდის,
როგორც მიდიან სხვებისგან სხვები!..

თეოს...

...შეშლილი ღამე... მისტერია ყოფნა-
არყოფნის...
ნათელისა და ბნელის ურცხვი, ძუნწი თენება...
დასაბამის და დასასრულის მრავალწერტილი...
ნეტავ რა არის, სულის გვემა, თუ მოსვენება?...
წუხელ ცამეტჯერ მოღრუბლულა თურმე
ცარგვალი,
და ვარსკვლავები, ამდენივე, მოსწყდა ცის
კიდეს...
ანგელოზებმა დაგიხუჭეს, ალბათ, თვალები
და მერე, როგორც ანგელოზი,
გამოგიტირეს!...
წაგაფარფატეს, სადაც სდუმან სერაფიტები...
აქ კი ეს დილა ჩვენთვი როგორ ავად
გათენდა...
ანგელოზებო, გოგო მიგყავთ ვერსაკარები,
თვალხატულა და მართლა მარტის
ციცინათელა...
გაუსაძლისი ტკივილებით დაქანცულია...
სამოთხის კართან მიაცილეთ ნელი რონინით,
მანდ ყველა ნატვრა აუხდინეთ, რაც გულში
ჰქონდა
და ოცნებებიც – აქედან მანდ გამოყოლილი...
...ჩამოიტირებს მარტი ერთხელ მწარე
ცრემლებით...
...და უკვე ერთად გაყუჩდება ყველა ტკივილი,
იმ დილას თურმე შეეყინა ზეცას ცრემლებად,
სასომიხდილი, უნუგეშო დედის კივილი...
...ჩამოიჟამკრა... თეო, შენთვის ჩამოიჟამკრა...
ნუ გეშინია, სხვა სივრცეში შენთვის
გათენდა!...
ანგელოზებო, გოგო მიგყავთ ვერსაკარები,
თვალხატულა და მართლა მარტის
ციცინათელა!..

...მოდი და მითხარ...

...არ მითხრა ახლა, ვერ შეელიე,
ძნელი ყოფილა მარტოკაცობა,
წუხელის თითქოს თვალი მოჰკარი,
ვარსკვლავმა მთვარეს როგორ აკოცა...
...და შეგეშინდა, რომ მოწმე გახდი...
...და პასუხს მოგთხოვს მაგისთვის ზეცა...
რომ დაინახე მთვარის სიშიშვლე,
ვარსკვლავს ტანზე რომ შილიფად ეცვა...
...და მოგაგონდა... და გაგახსენდა...
შენ არ უყოფდი არვის სასთუმალს...
არც არასოდეს, პირისპირ, ვინმეს,
მეამბორეო, შენთვის არ უთქვამს...
...შენ მბრძანებლობდი შენს ეულ ეგოს,
არადა ბევრში მეფე იყავი...
არ უტყდებოდი ეჭვის დემონებს
სიმარტოვისგან გაურიყავი,
როგორ გიყვარდა, როგორ ელოდი,
რომ სადედოფლოს რთავდი სარეცელს...
მერე მოცვივდნენ რუხი მხედრები
და ყველა ნატვრა ისე დალეწეს,
რომ დღემდე გტკივა ის ნამსხვრევები,
ვით ქრისტეს, ვნებულს, ჯვარცმული ტანი...
სიმარტოვეში ეძებ აღდგომას
და მერე... შობა გაქვს ასატანი...
იმ სიმაღლეზე... იმ სიდაბლეზე,
მიწამ შეიგრძნოს, ზეცამ გაიგოს...
ჩამოიბერტყო ლურჯი მოწყენა
და ეგ სიკენტეც ქარმა წაიღოს,
ბედის მერანი სანამდის ირბენს,
სანამ გუმანი დაჰყვება ქარებს...
მერე მომიყვე, ტყუილ-მართალი,
გველეშაპი რომ დასდევდა მთვარეს...
...მოდი და მითხარ, რომ შეელიე,
რომ აღარა გსურს მარტოკაცობა,
რომ ერთხელ მართლა თვალი მოჰკარი,
ვარსკვლავმა მთვარეს როგორ აკოცა...

..მე რომ მინატრია...

მე რომ მინატრია, შენ რომ გინატრია,
ნატვრად დაგვრჩენია...
ნატვრას დანატრულებს, მართლაც,
სანატრელის,
ეჭვი გაგვჩენია,
მე რომ მიფიქრია, შენ რომ გიფიქრია,
სულსაც დამჩნევია,
იმედგაცრუება?... ჩემიცა და შენიც,
მართლაც, საწყენია,
ბრალი არ მიგვიძღვის, არცერთს, არც – შენ,
არც - მე,
მოწმე გამჩენია,
მე თუ ვერ შევძელი, შენ თუ ვერ შეძელი,
ბედის სარჩევია,
ჩემი ოცნებები, შენი ოცნებები,
სახტად დაგვრჩენია,
რადგან მოლოდინი, ჩვენი მოლოდინი,
მიზანს ასცდენია...
... იმედებს ვიტოვებ... სხვამ სხვისი იდარდოს,
ძნელი სათქმელია...
მჯერა, რომ როდესმე, ოდესმე შევხვდებით,
მსგავსი რამდენია?!...
იმედი, ოცნება, ფიქრი და ნუგეში,
უბრად დამრჩენია...
სულს ეიმედები, გულს აუხდენელის
დარდი გასჩენია...
დროსა და სივრცეში, ერთმანეთს თუ ავცდით,
თვალებს დამჩნევია!...
იმედებს გიბრუნებ... მე უკანმოხედვა
იცი, არ მჩვევია!..

სული სხეულში ვეღარ ეტევა

სული სხეულში ვეღარ ეტევა,
რისხვით ბობოქრობს, სპარტელ
ტყვესავით,
აჯანყებულა და ეს სხეულიც,
მარტო დაათრევს, სიზიფესავით...
მობეზრდა იქნებ ჩემი ტყვეობა...
ვნება არის თუ... ცეცხლთან თამაში?!...
მე შემოვიხსნი ციურ სამოსელს
და შენთან მოვალ ჩითის კაბაში;
იმ ოცნებების გაგიშლი ზეცას...
და ჩემი სულის დაგიგებ ფარჩას...
იმ ფრთებს გაჩუქებ, ფრენით დაუღლელს,
სასთუმალთან რომ სიზმრებში დამრჩა!...
თუკი ჩავმარცვლე ეს ნოემბერი...
ალბათ, უთქმელად ყოფნას ავიტან...
გამოგიტყდები, დარდის მეუფევ,
დეკემბერს, მართლა, ვერ გადავიტან!...
იქნებ გავბედო, კრძალვით მოგიყვე,
შემოგაგებო სევდაც სიცილით...
რა მადარდებს და ან რა მაწუხებს,
კარში მოყოლილ მტკივან თითივით...
როგორ გავურბი ფერგაცლილ სიზმრებს,
ვითომ არც მიჭირს ბევრის მოთმენა...
ალბათ, ერთხელაც, საზღვრებს დალეწავს
სული და... მართლა აბობოქრდება;
... და თუ ნოემბრის მაწუხებს დარდი...
დეკემბერს ვუფრთხი, თითქოს ტყვესავით,
მაშ, რაღად მინდა მხოლოდ ზმანება,
მარტო რომ ვზიდავ, სიზიფესავით?!.

...ნეტავ, იმ დროს...

შემოდგომა მიმქრალ ღაწვებს მოსდებია,
მალე მხრებზეც ჩამოწვება ზამთრის მწუხრი,
ჭრილობებიც ისე ვეღარ ხორცდებიან,
აღარ მიჭრის ძველებურად აღარც მუხლი...
ჩემ კერიას უშენობა დასტყობია,
ეკალ-ბარდმა გაიარა თითქოს გულში...
ვხედავ, ირგვლივ უკვე ცოტა ნაცნობია,
გალიიდან გამიფრინდა თუთიყუშიც...
...ნეტავ იმ დროს, ხალისისგან გადაღლილებს,
შეგვხაროდა უბანი და... შევხაროდით...
მზე გვიხსნიდა გულისპირზე დაყრილ ღილებს,
მოვრბოდი და მერე უკან გამოვრბოდი...
არ მინდოდა ყოფნა, სადაც შენ არ იყავ,
შორიდანვე გგრძობდი, მზერით თვალსა მჭრიდი...
ყველაფერი შენთან ერთად გაირიყა,
ახლა მართლა უსაშველოდ გამიჭირდი...
არც ის ქვები, ჩიტები და ბუდეები,
რომ ვმარხავდით, ცრემლითა და ვითომ მოთქმით,
ორღობე და ჩვენი სოფლის მრუდეები,
გადაგვილა დაუნდობელ დროის ცოცხით.
...ნეტავ იმ დროს... სიყმაწვილით გათანგულებს,
სუნი გვცემდა მარნისა და ძველი ოდის...
გელოდი და გიხატავდი ისევ გულებს,
მჯეროდა, რომ უსათუოდ მოხვიდოდი!..

ლალი ორმოცაძე – პედაგოგი, საქართველოს ხელოვანთა, მწერალთა კავშირის წევრი; პოეტი, ფაზისის საერო-სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი. დაბადების ადგილი – ბათუმი.

+ შეგვინდენ... +

+

ამ ღამით მთვარე შეშლილა,
სულზე ეკალი მაყარა
შავ-დისკო სალტით, ნამგალამ!
ცაზე რა იყო? რა არა?...
ვარსკვლავთ სხივები ეშალა,
ცეცხლისფერ ფრთების სადარა,
ღრუბელ-ღრუბელში გაშლილა,
ზე-არსს რა სურდა? რა არა?...
საკვირვლად ღამე აშლილა,
აღარ თენდების? აღარა?...
ღამისა ფიქრად თოვლილა
მგელთა ყმუილი ჯაგნარას,
ჭოტიც ჰკიოდა მწივილა,
გზა-კვალ არ ჩანდა, არც შარა...
ამ ღამით მთვარე შეშლილა,
სძინავს სამწყსოსა, ცხვრის ფარას,
დისკომ ფერები იცვალა,
მთვარე ატირდა სამძიმარ,
მზეო, ამოდი! იცი რა?
ვერცა მოკეთემ გიხილა,
იესო მოდის მწუხ-არა!
განირღვა ზეცა და დილა!
სამწყსოვ, ასისხლდა იარა!
ამ ღამეს მთვარე შეშლილა,
ღალატმა გაიცოდვილა!
სისხლთ შეიღება სუდარა,
ცა-ზედით მამამ იფხიზლა,
სამწყსომ? ათასგზის ვერ-არა...
შეგვინდენ... სისხლ დანთხეულა!
არარა არ განწმენდილა...
შეგვინდენ ქრისტეს იარა...
+

ქართველი იბადება!

* * *

აღსდექ, აღსდექ,
ქრისტე ღმერთო!
გელოდება
შენი მიწის,
შენი სიყრმის
დედულეთი!

*

იხსენ, იხსენ
ქართაველი!
გვჰყავ საშველი,

და გვიბოძე
ძველ დიდებით
ერი უშფოთველი...

*

მოდის მხსნელი,
შობას ელის
ქართაველთა ერი!
დასტურია ამ-ენით!

*

ცხრათვალა მზე ინთება,
ბეთლემის კაბადონზე
უკვდავება თენდება!
საქართველო ბრწყინდება!

*

დიადდება, მრავლდება,
გმირებად იკინძება,
მეომარი, ვაჟები!
ფუძის ბურჯი ქალები!
ციდან ცვივა უფლის ნებით
მზისთვალება ბალღები!

*

ქართაველთა მიწებზე
ხორუმს ცეკვავს მზეები,
ბორჯღალ-მირონებია,
ლომის ბოკვერებია,
ისევ გაბრწყინდებიან,
აუთვლელ მრავლდებიან!

*

შუმერების გენია!
ზეციური ცეცხლია!
ჰა, ქართველნო, დაჰკარით!
გამარჯვების ჟამია!

*

ჰაუუ! ეჰეიი!
ქართველი!
ქართველი იბადება!
ერის, ბერის დიდების
ზენა ტრიუმფებია!

+

მე და მეფე!

* * *

ვეალერსები მზეს,
ზღვის მოდარაჯე ტყეს,
თვალი წავკარი გემს,
ბურუსი დგება და
ელვა ასკდება მეხს,
ჰოი, დასერა ცა,
და აიზვირთა ზღვა.

*

ნისლში ჩანთქმულა ცის ჰორიზონტი
სადღაც დავლანდე გემი ,,დალანდი“,
ოჰ, ყინვებს ლეწავს კავკასიონიც,
ზღვაც ბობოქრობდა მღვრიე ატლასით,
ო, რა გრიალით, რა თავგანწირვით
ნაპირს აწყდება ,,ზღვა უდაბური“,
გემი მოარღვევს, მოარღვევს ტალღებს
სამშობლოსაკენ, დარდმორეული,
ო, რა ხმაურით, რა სატანჯველით
ნაპირს გაჰყურებს ნასიზმარევი,
დიდი ხელმწიფე, ცისა ლაჟვარდი,
ბეჭებს უმშვენებს თეთრი ოლარი,
ისევ მოაწყდა სული - გიჟმაჟი
დასარწყულებლად მიწის საწუთროს,
შორეულ ფიქრთა განაოცარი,
ქარს მოსძახოდა მოუსვენარი.

*

ჰა, შემოცურდა გემი ,,დალანდი“,
ხმელეთს ემთხვია ,,მტანჯველი ლანდი“,
რა ნეტარებით ჩაიჩურჩულა...
,,აჰა! მოვედი გედი, დაჭრილი, ოცნების
ბაღით!“...
ჰეე, საოცრებავ, არა გაქვს ზღვარი,
უფლისწული ხარ მზისფერი რაშით,
დღე-სასწაულია!
და მე დავტკბები ზეცის მგოსანით,

ღამენათევსა და ნამთვრალევსა
სულს დაგიამებ ნიკორწმინდაში,
,,როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი“...

*

გალაკტიონის მღელვარ გრძნობებით,
მქვია სნეული,
აღარ მასვენებს, ლანდებად დამდევს,
არ ვარ ეული,
ხან მიმაქროლებს ლურჯა ცხენებით,
ხანაც მივცურავთ გემი ,,დალანდით“,
რიონსაც ვუნთეთ მზის ჩირაღდნები...
ჩვენ შეშლილები
ვართ მთვარეულნი...
ჩვენ შეშლილები, გიჟურ ლტოლვებით,
ყოველი ცისკრის გარიჟრაჟებში
გადარეულნი...
აქაფებულა ზღვის გრიგალები,
გზააბნეულნი,
სწრაფად ვირწევი მე ლურჯ ტალღებში,
მიმაქანებენ ქარიშხალები
ფიქრმორეულნი...

*

ღამე, ზღვა, ცა და ჭყვიშის ვარსკვლავი
მირაჟული და მისტიურია,

გადმოიღვენთა ღვთის პოეზია,
და გაზვიადდა მეფურ თარეშით
კოლხური სისხლის წვიმები თქეშით,
სანცვიფრელია?
არა და არა!
აიეტ მეფის წილნაყარია,
იმერ–ამერის ჰქვია კამარა,
ცეცხლად ვინთები, მზე ვარ, თაკარა...
ჰო, ისევ ვიწვი ნაღვერდალივით
გალაკტიონის ყაყაჩოებში,
განცდა დიადით
ქრება წყვდიადი,
ო, მივთქარუნებ მეც ქარიშხლებში,
თუნდაც წამლეკოს, ვარ ბედნიერი...

*

ფიქრი ვუმხილე სანაპიროსთან ღამეს,
მხოლოდ ღამემ, იცის მხოლოდ ,,თეთრმა
ღამემ“,
ღამეული ანგელოსის საიდუმლო,
სულმწუხარე, უსასოო, თან მშფოთვარე,
გაფერმკრთალდა ცის გუმბათზე ნაზი მთვარე,
პერგამენტის ბარათებიც, მოელვარე,
ჩაინავლა ის გზნებებიც მოდაფთაფე...
ჰკვნესის მეფე ანგელოსთან მომტირალე,
გრალის თასში ბროლის ცრემლი
მიწანწკარებს...

*

გალაკტიონო!
ნუთუ ამაოდ გწერდი ეტრატებს?
დაგელოდები...
მე იფანი ვარ! ვერცხლისა ფერი,
შემოდგომაზე ოქროდ ვფითრდები,
ჰო, გელოდები,
ვიდრე ჩამოწვა წყვდიადი, ბნელი,
ღმერთების ენის ვარ საყუდარი,
მოდი გამანდე მარადისობით
ზეშეფარული ხმა იდუმალი...

*

აქარდა ქარი!
გამომეცხადა ის ჩემკენ მსწრაფი,
ფერხთ დამიფინა მუზის ხელმწიფემ
ცის კაბადონზე ნაზად ნაკრეფი
ოქროს შროშანი...
ჩვენ გადავეშვით ქარვის მორევში,
ანაქარები, მუზათა ალით...
*

თრთის დაისი...
ჩაცრეცილი ჰორიზონტი
გადაეწნა ცას მთვლემარეს,
მწუხრი წვება ქვეყანაზე,
ტირის ქარი, მონანავე!

ლერწამებში მოცახცახე,
შარიშურობს, საალერსოდ,
სათაყვანოდ, მონარნარე...

*

გვაყურადებს ქარი, ანცი,
უცნაურად იდუმალი...
გაოცდები, მცვარავს ნამით,
ჩამჩურჩულებს ,,ველთა ზღაპრებს”,
სულს მიჩქროლებს ცრემლთა ღვარით,
მეც შენსავით დავრჩი ობლად
და შენსავით რად ვეწამე?
ჩავიკარგე, ჩავიფერფლე,
მისტიური მირაჟების
ზურმუხტისფერ ლერწამებში...

*

ჰოი, ცა კეკლუცობს მოციალე,
უცნაურად მოკაშკაშე,
ცეცხლისფერი შემოენთო მთვარეს...
წმინდა ბარძიმს დაეწაფე?
არ ხარ ობლად, ნუ ცახცახებ,
გესმის? ფიქრი მოტრფიალე?
შენს სარკმელში
დამორცხვებულ იასამნის
კრძალვა-რიდი მოშრიალე?
და ამ ღამით? ოჰ, ამ ღამით
ჩვენ ერთად ვართ ჭყვიშის ველზე...
ლურჯა რაშით,
ცის მანანით,
პოეზიით ვეცვით ჯვარზე,
ბროლის ცრემლი ვერცხლად ვღვარეთ,
მნათობებით ნაქარგ ცაზე...

*

მიხმობს გალაკტიონი,
მითოსურ პანთიონში,
ლოტოსების ნილოსში,
ვართ საუფლო სიონში,
მე, პონტო და გიჟ-რიონი,
გალაქტიკის გენიოსი,
აგოლგოთდა უფლის ჯვარით,
ზეციური საქართველოს
სივრცეების თანამგზავრი,
შეშლილი და ნასევდარი,
გვირგვინოსან-ნაეკლარი,
ბორგავს სიტყვის ჯადოქარი,
ანაკურთხი მირონ-მადლით,
ცის ბჭეს უხსნის წინაპარნი,
ზეიმობენ
მოგრიალე სულთა ზარით...

*

აგრიგალდა
ლურჯა რაშთა მხედრიონი,
აილანდა,
გადაირწა,
აიზიდა
განაწვიმარ
ზურმუხტებში სამზიანოდ,
მღელვარების,
სიტყვის ღმერთი,
საარაკო ლეგენდაო,
ხელდასხმული სატრიუმფოდ,
კურთხეული საღვთიუროდ!
აჰა! აღჰკაზმე
მუზათა რემა, უფლის რაინდო!
არსით შობილო, არგაგონილო,
მარადიულად გამოუცნობო...

*

ზეშთაგონებავ, სულის აჩრდილო,
მუზის ჩანჩქერო, გალაკტიონო,
აჰა! იხილე,
ამობრწყინდა სიდიადით ალიონი,
შეიშალა, შეიშალა, მაყრიონი!
„წინ,მეეტლევ!
ეგ ცხენები გააქანე, გააქანე”....

*

,,აი ია“-ს ფესვო ძველო, იმერთ ჯიშო!
დაიოკე მღელვარება, მე მომენდე,
განგარიდო მძიმე ფიქრთა ოკეანეს,
გაზიარო საედემო სამოსახლოს,
შენ კი, ჩემო ხელმწიფეო,
ვით ცის ნება, იდუმალი მამცნო ენა,
მომახვიო ნაღვერდალი,
პოეტური აღმაფრენა!

*

გავჯირითდეთ! გიმასპინძლებ და ვიხილოთ
„საალერსოდ გაზაფხულის მთები, მწვანე“,
გურიელის სამთავროში მოვილხინოთ,
კოლხურ ქარით, უბიწობის ნიაღვარით,
ჩავიძიროთ დაუვიწყარ „ცეცხლის ტბაში“,
გაგაოგნებს ალვატანა ქალწულები,
ვაგუგუნოთ მოგუზგუზე ბუხრის ალში
ალავერდი, კრიმანჭული და ყანწები!

*

„მაშ, გარეკე ეგ ცხენები!...
წინ, მეეტლევ!...
გააქანე, გააქანე“...
სულის წარმტაც სამოთხეში,
მე და მეფე,
მე და მეფე

გაგვაქროლე!
გაგვაქროლე, გურიაში!!!
* * *

ვერცხლ-ნაფიცნო...

* * *

ორიონო! ხომლის ძმაო,
ვერცხლ-ნაფიცნო!
მზეჭაბუკნო,
ცის ქალწულნო!
საციურო ყამარებო,
მიჯაჭვულო ამირანნო!
ღამეულნო,
ცის ვარსკვლავნო!
სულით სულში
გულ-ჩაწნულნო!
ათინათო!
ედემელნო,
ტრფობის სარკევ,
ზეციურო მისტერიავ,
კოსმიურო სასწაულნო,
იდუმალი სიყვარულით,
ხვამლის მთაში შეფარულნო...

*

გოდოლელნო!
ქალდეველნო, შუმერელნო,
კიდობანო უფლისაო,
ფუტიეთის ფუტიელნო,
სვანეთელნო,
უშგულელნო გულ-ფიცარო,
ფშავ-ხევსურის არწივებო,
იმი ერის იმ-ერელო,
მარგალო და ცის გურულო,
რაჭა-ლეჩხუმ, ქართლ-კახეთო,
ფარ-აბჯარო სამესხეთო,
განუყრელო აფხაზეთო,
ნაწამებო აჭარელო,
მეომარნო კაც-დიაცნო,
უსაბამო სამყაროში,
მამა კავკასიონელის



უძველესო კოლხ-იბერნო,
საჯიშე და საჯილაგო,
დღეს მოსულნო,
აყლორტილო გმირთა-გმირნო,
გამარჯვებით წინმავალნო!
უძლეველი საქართველოს
ოქროს წყაროს
თესლ-ფესვებო!

* * *

დარღვეული ჰარმონია...

* * *

საწუთისოფლო, მძიმე ბურუსში,
ადამიანში შფოთავს და იღწვის
უამრავ „მე“-თა მოუსვენარი,
შეუცნობელი სულთა ლაშქარი,
უმეცრებაა ყოველი დილა
დაღამებამდე ნამოღვაწარი?
ერთი „მე“ ებრძვის სხვა დანარჩენებს,
დანარჩენებიც ამ ერთ „მე“-ს ერჩის.
სინამდვილე კი მიყუჩებულა
და ირონიით დაჰყურებს სივრცეს,
სივრცე ივსება მრავალ შეცდომით.
ჩვენ კი არ გვესმის, ვერ შევიმეცნეთ
მარადისობის ზეკანონები.
ბრმები, ყრუები, ხელის ცეცებით
დავეხეტებით ამ სამყაროში
ზნე და უზნობით, ურცხვი ღიმილით,
ან მრისხანებით შეპყრობილები...

*

რწმენის სიმტკიცე, ზნეის სიმაღლე,
სად ჩაგვიფურთავს? ვერ შევაგროვეთ...
მაშინ საიდან ვიცნობთ ცნობიერს?
უფლის სივრცეებს, თუნდაც ურთიერთს?
მრავალ სატანჯველს „მე“-ში ჩაფანტულს?
ერთი მიზანი, აზრის სიფხიზლე,
სუფთა გონება ვერ შევაქუჩეთ
რიარიების გზა-გრიგალებში...

*

ვათენ-ვაღამებთ მღელვარ განცდებით,
დრო კი კოსმიურ სიჩქარეს ითვლის,
სიცოცხლის ბოლოს თავს ვეკითხებით;
“რისთვის მოვსულვარ? რა გავაკეთე?”
გაოცებული წლებსაც ვერ ვითვლით,
სიცოცხლის ეკრანს მიჩერებულნი.
გაორებულნი, გაასებულნი,
უთვალავ „მე“-თა სულის ფუთფუთით
ამაოებას დამონებულნი,
ბოლო სუნთქვისას მოტყუებულნი.

*

ზეგზასაყარზე სახტად შთენილნი...
დაბნეულები...
აწ თვალხილულნი...
უზენაესის ყოფიერებით
უკვე ნათლად ჩანს ბედის ცინიზმი,
ნუ გეგონებათ ეს მისტიციზმი,
ამას დავარქვათ ზოგნი და ზოგნი,
ამ საწუთროში მკვდრად ვართ შობილნი...

ბერ-ბერებო!

* * *

ბერბერებო – იბერებო,
ხალიჩების ქსოვა-ქარგვაც
წაგიღიათ გულის ქარვად?...
დალოცვილი თქვენი ჭერიც
ხევსურულად გირანდიათ!
ანდა, კლდეში კოშკურებიც
რა მკლავძალით,
საქართულე ადა-ზნეით
აქვითკირეთ?
ზღუდიანი,
საძირკველი რვალიანი,
მამაცური ბანიანი?
ანდა, თუნდაც სამზადისი,
კვამლიანი...
სადიაცოს ვხედავ ტაბლას,
ვარცლით, გოდრით,
ჯამ-ჭურჭელით....
შუბლზე ჯვრებით!
ყირმიზნო და მწყაზარებო!
იბერიის მზის შვილებო!
არა! არა! შევიშლები!
თუ ვერ გნახავთ
გალაქტიკის სივრცეებში...

* * *

მზის ჰასაკის....

* * *

ბერბერებო! ვერ ვისვენებ თქვენზე ფიქრით,
უსასრულო ვრცელ სივრცეში გაფანტულნო,
ამედევნეთ ლაჟვარდისფრად, საოცრებით,
მოციმციმე ლურჯ თვალების სევდა-დარდით.
მზის-ფერებო, დიაცებო ტანკენარნო,
უფლისწულნო, წარბშეკრულნო მეომარნო!
ბერბერებო, იბერებო, თქვენ, ჩვენებო!
ოჰო! იბერთა სულნო, შემონახულნო, –
ყრმებო, მძლეთა მძლეველნო,
განსაცვიფრველნო!
სიცოცხლის ფესვი, აი, აქ გიდევთ,
კავკასიაში!
თერგის, ენგურის, მტკვარის, ალაზნის
ჩქერალ ტალღებში
ახლაც გაისმის თქვენი ყივილი,
არწივისგვარი!
გაოგნება? საოცრება?
თუ სიზმარი?
მოდის დროი!
არ გვეგონოს აჩრდილები!
იგრაგნება იბერიის
მატეანის ეტრატები!
აჰა! ქართა ქალ-ვაჟები,
ჩვენებურნი,
თვალხატულა, ჯიშიერნი!
სანცვიფრელნი!
სასწაულნი, ღვთისნიერნი!
დაფარულნი?!
აწ ხილულნი!
დამარხულნი და აღმდგარნი
ჩვენი სული, მიგნებული,
სადღაც, შორეთს სახლეულნი,
მრავლებულნი!
მარადიულ ძილ-ღვიძილში გათანგულნი
დაირწა და შარიშურობს დაქანცულნი,
თოთო ჩვილთა დაკარგულა მთის აკვანნი,
სამყაროში ტკბილსურნელით მოფრქვეულნი,
იავნანით ფრთებშესხმულნი ოქროს ყრმანნი,
მზის ჰასაკის, მზის ალაგზე ნაშობარნი,
ნალტოლვარნი, ჰელიოსის მემკვიდრენნი,
ვარსკვლავების საკადრისნი, შესადარნი!
ოჰ! სამყარო გაირინდა...
გალაქტიკის სუნთქვა წყდება...
დრო სივრცეში იფანტება...
ანდა იქნებ გესიზმრებათ
მწვერვალები იალბუზის?

მოდით! გელით!
რომ დაგიგოთ ფიანდაზად
მოქარგული, უფლის ხელით,
საზღაპარო ქართა ველის
სიდიადე, ძველ მშვენებით!
ეჰეი! თქვენ! იბერებო!
რად გიწოდეს ამაზაჰნი?
მებრძოლებო, მახვილ-მჭრელნო,
მშობლიური საქართველოს
დამცველებო!
დაგვიბრუნდით!
წინაპართა ხმები გიხმობთ!
შენი სამშობლოს ჩანჩქერებივით
ჩაითქარუნებს ეს საუკუნეც
უსაწიერო გალაქტიკისთვის!
ჟამში ჩაკარგულ ცისკრის მგზავრისთვის
დროი დამდგარა დაბრუნებისთვის.
ამოჰყეთ აისს, მზის ჩქერალებით!
ჰოდა იჩქარეთ, უკან დაბრუნდით!
შთანგვთქამდეს ვიდრე შავი უკუნე!
სწრაფად! ხორუმით, მკლავგადაჭდობით,
ერთურთს შემდგარნი, ძლიერ ბეჭებით,
ერთად დავიცავთ ქართულ სამანებს!
ისმინე მტერო! მხდალო, ვერაგო!
ბერბერების ნაფესვარზე,
კავკასიონზე
ირაოს შეჰკრავს თეთრი არწივი!
შეჰღმუვლებს ზეცას ფაფარაშლილი
ხელმწიფე ლომი!
ბორკილების ჯაჭვსაც გასწყევტს
გმირთა-გმირი ამირანი!
ჩვენი ჯილაგი კვლავ აღზევდება,
ჩვენ განვმრავლდებით! გავძლიერდებით!
ჩვენ გავბრწყინდებით უსასრულობით,
დარუბანდიდან ნიკოფსიამდე!
დაე, აღსრულდეს, უნეტარესო,
ლოცვა დიადი, საღრმთისმშობელო,
აღდსექ სამშობლოვ, საქრისტიანოვ!
დიდება შენდა უზენაესო!

ღვთაებრივო...

* * *

ო, რა თრთოლვით მოგიძღვენი...
ია-ვარდი, გვირილები,
ყაყაჩო და ლავანდები,
ვაჩუქურთმე ბარათები,
მოვაფრქვიე სევდით ცრემლი...
მოგიქარგე ზეგრძნობები
ნისლის სივრცის ბურუსებში
სატრფოვ ჩემო, იდუმალო,
მომხიბვლელო და ნარნარო...
სიყვარულის აღმაფრენით
სული მღერის ღვთაებრივი,
მელოდია, პოეზიის,
შემშლელია, თან მკურნალიც,
უკვდავებას მღერის ქარი,
გამაგიჟებს მე ეს ქალი...
ო, აზვავდა სულის ქარი,
სული შენი ნაქანდაკი,
სიფაქიზით გადმოღვრილი,
აცახცახდა ნაპერწკალი,
ფერმიმკრთალი, ჩაფერფლილი,
ისევ, ისევ ამანთე და
ავგუზგუზდი ნახანძრალი...
აჰა! იხმე თეთრი რაში,
ტანკენარი, შენი მსგავსი,
აისრულე ნაზღაპრალი,
ნასიზმრევი ოცნებები...
გადიქროლე ჩირაღდნებით
ელვა, ნისლი, სივრცეები...
იალბუზზე მე გიხილე
ცისკრის ფერი,
მზისა ფერიც,
სიამაყით სავსე ვარდი,
საოცარი დედოფალი,
ანგელოსის დარი...
არ დავიღლები,
არ დავიღლები.

წელი ათასი,
გეტყვი, ჩემი ხარ,
ძლიერ
მიყვარხართ!!!
ზეცას მოვტაცე მე უკვდავება,
ფერთა წერების ჰარმონიებით,
ფუნჯით მოგართვი ბედნიერება,
ჩაგბერე სული,
გაგილხვე სისხლი
სარკოფაგებში შედედებული...
მერე? ოო, მერე
ღმერთებს შესთხოვე შენ
სიყვარული და პოეზიის
ქნარი!
ცის სამრეკლოებს ააგალობებს
გრაალის ზარი,
და ათრთოლდება შენი სხეული
სარკოფაგიდან ამოზიდული
მზის ორლეანში გადაქარგული...
მე აგიტაცებ, მზესთან მიგიყვან,
მერე მთოვარის ფარდაგს დაგიგებ...
უსპეტაკესი, ელვარე სხივით
ჯვრისწერის სანთლებს
ლოცვით აგინთებ...
კვლავ დავიბრუნებთ იმიერ–ჟამის
ჩაფერფლილ იღბლის,
ბედნიერების
და უკვდავების საზეო
გვირგვინს...
ვიგრძენი სითბო...
შენ გელოდიო,
შენ, მიყვარხარო...
და გამაოცე წრფელი სინაზით...
ჩემი მითოსი მჯერა, შენა ხარ,
უფრო და მეტად ძლიერ
მიყვარხართ!!!
ვინა ვართ? რაი გვსურს?
საით მივდივართ?
ანდა საიდან მოვდივართ ნეტავ?
შეშლილები და დაბანგულები?
იქნებ?
ათასწლეულთა გარდიხსნა
ჟამი
და უკვდავების გავხდებით
წამი?
იქნებ
შენა ხარ ჟამიერების,
უსასრულობის, მიღმიერების
უკვდავი ყოფის ციური
ცვარი?
ო, უძლურია ყოველი ძალა
ჩვენ ირგვლივ მყოფი,
ვერ გადაგვთქერავს,
ვერ მოგვერევა
დროის მძვინვარე ქარაშოტები...
მე შენ გიპოვე...
შენც დამეძებდი?...
ჩოქვით და როკვით მოგვეახლება
ათასწლეულთა ნაოცნებარი,
ვერ დახარჯული ზღვა სიყვარული,
ღვთაებრივ ჟამით აღბრწყინებული...
კურთხევა უფლის,
ნიშნად ღირსების,
ბედნიერების,
წარუშლელობის
და უკვდავების,
მისტერიული პოეზიის,
მარადისობის დაგადგამს
ჩემო, ჩემო ღვთაებავ,
დედოფლის გვირგვინს...
დაუსაბამოდ,
და უსასრულოდ
ისევ ძლიერად,
ო, აღმაფრენით,
თავდავიწყებით
და შეშლილივით
ძლიერ
მიყვარხართ!!!

ოქროს ვერძო

* * *

სანატრელო, საფიცარო,
ერის სულის
გონ–სიბრძნეო,
დაქანცულო,
აღმა–დაღმა ნაპარავო,
ვერ განგძარცვეს
უმორჩილოვ,
ჰელიოსის ჯიშ–ჯილაგის,
სულის ნათლის
კიდობანო...
გელოდება შენი ერი!
დათრგუნული?
არა! არა!
კვლავ ხმალით
და მტკიცე აბჯრით!
დაქანცულო,
დაგასვენეთ ჟამთა დროის
იავნანით,
ახლა უკვე ნაპოვარო,
გონფხიზელო,
გზაო, ხსნისად მიგნებულო,
სანეტარო,
საოცნებო
ოქროს ვერძო,
გელოდებით,
აიეტის სიბრძნის წყაროვ!

* * *

სხვა ჟამში...

* * *

მე გადავეშვი, ჰო გადავეშვი წარსულ, სხვა ჟამში...
თეთრი მერანით არქაულში ვარ ნათქარუნები...
პონტოს სილურჯე მიხმობდა მისკენ უცხო ცდუნებით...
სულის ჩქერები ბინდ–ბუნდში მახვევს ანაჩქერები ...
ზმანებით მიპყრობს ბროლის ტალღები, ვით ჩანჩქერები,
ჩაძირულია წარსულის ლანდი მეტყველ ფერებში...
აუთვლელია ისტერიული, ცეცხლის გზნებებით,
მისტერიაა ამოუხსნელი, გამაოგნები...
შენთვის მოძღვნილი პოეზიის წმინდა ვნებებით,
მე გადავლახე ლაჟვარდოვანი ზეცის საზღვრები...
წინ მიმიძღვოდა სულიწმიდისა სპეტაკი მტრედი,
შემომცქეროდა ის სასოებით... განაოცები...
ჰოი! გალაქტიკებში ცხადად, ცხადად ვიხილე
გასაოცარი ოლიპმოს მთების ზენა ღმერთები...
ნეტავ ვინა ვარ? იქნებ ღვთაება, წყარო – მუზების,
ანდა იქნებ ვარ მოხეტიალე, ვინმე უბირი?
ო, ხან დედამიწას ვიპყრობ საუცნაურო ფიქრით
გაგიჟებული, ხანაც ვარსკვლავებს ვლაშქრავ ჯირითით...
ან როგორ იტევს სული ტიალი უვრცეს სივრცეებს,
სული მშფოთვარე, ლურჯი სიზმრებით ანაკინძები...
ჰოი! იოჰაან!
ათასწლეულის ისტერიული მოჰქუხს ჩრდილები!
შევიშალე, თუ გოეთესავით დამდევს ლანდები?...

~ ~ ~ ~ ~ ~ ~ ~ ~ ~ ~ ~ ~ ~ ~

პ.ს. მსურს შეგახსენოთ, გოეთეს მუსიკის ფონი
გახლავთ თანამედროვე, გერმანელი, ასევე ბუმბერაზი
კომპოზიტორის – ჰანს ზიმერის – შექმნილი მუსიკა.
(გოეთეს ხატება ჩემს კაბინეტში სახლობს და თვალებში
შემომყურებს... მიყვარხარ იოჰაან...)



ვერიკო პარწიკანაშვილი – მათემატიკოსი;
დაბადების ადგილი – თელავი;
საცხოვრებელი ადგილი – სიღნაღი.

ნუ მეტყვი

ნუ მეტყვი „მიყვარხარ",
არ არის საჭირო,
ამ სიტყვებს, თან ახლავს
ტანჯვა და ტკივილი,
იმდენად ყალბი და
იმდენად ცოტა ხარ,
მგონია, ყალბი
ეგ შენი ღიმილიც.
არ მითხრა, შენ ჩემი,
რომ გიყვარს ხელები,
რომ გიყვარს თმები და
თვალები ცრემლებით,
დავდივარ წვიმაში,
არც მცხელა, არც მცივა,
უკვე მერამდენედ,
ბოლომდე ვსველდები.
ნუ მეტყვი „მიყვარხარ",
არ არის საჭირო,
მიჯობს, მაგ სიყვარულს,
უთქმელად ვამჩნევდე
და თუ ყველაფერი,
ხვდები, რომ ყალბია,
ჯობია, შენ თვითონ,
წახვიდე, გაჩერდე.
მინაზე წვეთები,
ციმციმებს გვიანი,
დღეები წაიღებს,
ფოთლებს რია-რია,
არ მინდა,
ნუ მეტყვი ტყუილად,
„მიყვარხარ",
ისედაც ვიცი, რომ
უკვე გვიანია!

* * *

შენს თვალებში
ირეკლება სამყარო
და მე ამ დროს
უნაპიროდ ვხელდები.
გონებიდან გრძნობა
როგორ ავყარო,
ამ წვიმაში,
მერამდენედ ვსველდები!

შენს თვალებში
იღიმება ნიავი,
იფურჩქნება,
თვალხატულა აისი,
მაგ ღიმილის,
გავხდი თანაზიარი,
ღიმილია,
შენი ბაგის ხალისი!

მაგ თვალებში,
აკაცია ყვავილობს,
ეგ თვალები,
ულურჯესი ტბებია,
შენს ტუჩებზე
ალუბლები მწიფობენ,
ასეთი რამ, არცკი
დამსიზმრებია!

ნახვა, შენი,
უსასრულოდ მამშვიდებს,
წვიმებისგან,
იწრიტება სამყარო,
უპირობოდ,
უნაპიროდ მიყვარხარ,
ამ გულიდან,
როგორ გამოგაპარო!

ტანი - ალვა,
თმები - ლორთქო ბალახი,
სველი კაბა,
როგორ გშვენის მზე-ქალო!
ეგ ველური სილამაზე
დამღუპავს,
ნეტავ კიდევ,
არსად გადამეყარო!

* * *

თვალები თოვლისფერ
თითებზე თარეშობს.
ცრემლები ცახცახით
ცვივა და ცხელია.
ფიფქები ფეხებქვეშ
ფაქიზი ფართხალით,
წარსულზე წუხან და
სიკვდილს ვერ შველიან!

მიადგა მინარეთს
მთვარე – მინავლული.
გადაღმა გედები,
გუნდებად მღერიან.
ენძელებს ელფერი
ეცლებათ, ელვარე,
და დარდით ლარნაკში
უდროოდ კვდებიან!

ხელები კანკალით
სუსტ მხრებზე ცოცავს და
უკან დაბრუნებას
ვერავინ ჰპირდება.
გულმა და თვალებმა
უდავოდ იციან,
ყოფნა მის გარეშე
რომ გაუჭირდებათ!

და მაინც თვალები
ფითრისფერ თითებზე
თარეშობს,
ხელები მხრებზე იყინება.
შენს თმებში
სიცივეს მალავენ ფიფქები
და ისევ
იმედის ზღაპარი იწყება!

* * *

იქნება მართლაც შეგიყვარდეს,
ვინმე ოდესმე,
იქნებ, ოცნებით სამოთხეშიც
იმოგზაურო,
მაგრამ არავის ეყვარები
ჩემზე ძალიან,
ამ ლექსს კი ალბათ,
დაერქმევა უსათაურო!

ცაზე აშლილან
უცნაურად შავი ღრუბლები,
ქარმა კაბები, ხეებს
ტანზე შემოახია,
გარდაიცვალა სიყვარული,
მიდის უდროოდ,
ჩვენც ნიღბებს ვიცვლით
და „ვკლოუნობთ“,
ჩვენზედ „ახია“!

გარდაიცვლება სულიც მალე,
(სხეულს აღარ ვთვლი)
ვერ გამოვნახე დრო,
პეშვებით მზე რომ ვაპკურო
და ხის ქერქივით,
სიყვარულს თუ რამეს ავათლი,
იმ ნამცეცებსაც ვიმყოფინებ,
სალუკმაპუროდ!

ამ ლექსს ნამდვილად
დაერქმევა უსათაურო,
გარდაიცვალა სიყვარულიც,
ჩვენზედ „ახია“,
შენ კი არავის ეყვარები
ჩემზე ძალიან,
ქარმა ფოთლები,
ხეებს ტანზე შემოახია!

* * *

შენს თვალებში
ირეკლება სამყარო
და მე ამ დროს,
უნაპიროდ ვხელდები,
გონებიდან გრძნობა
როგორ ავყარო,
ამ წვიმაში,
მერამდენედ ვსველდები!

შენს თვალებში
იღიმება ნიავი,
იფურჩქნება
თვალხატულა აისი,
მაგ ღიმილის,
გავხდი თანაზიარი,
ღიმილია,
შენი ბაგის ხალისი!

მაგ თვალებში,
აკაცია ყვავილობს,
ეგ თვალები,
ულურჯესი ტბებია,
შენს ტუჩებზე
ალუბლები მწიფობენ,
ასეთი რამ, არც-კი
დამსიზმრებია!

ნახვა შენი,
უსასრულოდ მამშვიდებს,
წვიმებისგან,
იწრიტება სამყარო,
უპირობოდ,
უნაპიროდ მიყვარხარ,
ამ გულიდან,
როგორ გამოგაპარო!

ტანი - ალვა,
თმები - ლორთქო ბალახი,
სველი კაბა,
როგორ გშვენის მზე-ქალო,
ეგ ველური სილამაზე
დამღუპავს,
ნეტავ კიდევ,
არსად გადამეყარო!

„მთის ქალავ!“

მთის ქალავ, ალიონს
წვეთად მოწყვეტილო,
არხოტის კალოზე
იღვრები მზეებად.
სისხამზე, წყლის ნაპირს
ჩრდილად მიჰყვები,
წლებს თვეებად შლი,
თვეებს კი დღეებად!

დილის ლოცვასავით
ბაგეს ასხლეტილი,
სულის სიმშვიდე და
ვაჟკაცის ფიცი ხარ!
ქანდაკებასავით რომ
დგახარ კლდის ქიმზე,
ო, როგორ მაოცებ,
ო, როგორ მინდიხარ!

დაისის მზეები
გეღვრება უბეში,
მზის შარავანდედი
თავზე რომ გადგია!
შენ თუ არ გიგულებ
ჩემად და ჩემ გვერდით,
აბა ცხოვრებაში
უშენოდ რა ყრია!

შენს თმებს სურნელება
დაჰყვება ატმების,
ახლად მოკრეფილის,
სათუთად ამ დილის,
გიხდება ბავშვივით
ურჩი ხასიათი
და მხარს მოგდებული
ქათქათა მანდილი!

შენ ყოველ გაზაფხულს
თავიდან იწყები,
დღეებს მიფერადებ
ფერადო ფიქალო,
შენ ჩემი ცხოვრების
ღვთის საჩუქარი ხარ,
ნაწნავჩამოშლილო,
ლამაზო მთის ქალო!

ცას, ფორთოხლისფერი,
ეღვრება დაისი,
მთებიც ყალიონებს
ნელ-ნელა მართავენ
და შენი სურნელით
დაისს რომ მოჰყვება,
სიყვარულს ქსოვენ და
სიყვარულს ართავენ!

მთის ქალავ, აისზე
ლოცვად აღვლენილი,
სულის სიმშვიდე და
ვაჟკაცის ფიცი ხარ,
სიყვარულს ვერ ვმალავ,
მაკვირვებ, მაგიჟებ,
შენს სურნელს დავეძებ,
მსურხარ და მინდიხარ!

მე, ქართველი ვარ!

ზეცას შეხსნია ღილი,
გვიან დავიწყე ლოცვა,
მთელი არსება, ჩემი,
გულში გიტევს და გლოცავს!

თუმც პატარა ხარ, გული
გაქვს უსასყიდლოდ წმინდა,
დალოცვილია შენი
მიროცხებული მიწა!

მარგალიტები წვიმის,
ყანას ჰკიდია წვეთად,
მე ქართველი ვარ, – ღმერთმა
ასე მარგუნა ბედად!

ზეცაში შევყობ ხელებს
და მზის პასიანსს გავშლი,
გული დაიწყებს ლოცვას,
უწამლებს ნერვებს, აშლილს!

თეთრ ალიონზე, მზის სხივს,
ღრუბლის ავუბამ აფრას,
ჩავუსაფრდები მთვარეს,
მოვპარავ ცისკრის ვარსკვლავს!

მთელი არსება ჩემი,
გულში გიტევს და გლოცავს,
მიყვარხარ,რა ვქნა, თუკი
გვიან დავიწყე ლოცვა!

შენ, არწივი ხარ ურჩი,
საქართველო ხარ, მზე ხარ,
მე, ქართველობა მტკივა,
ასე მარგუნა ღმერთმა!

* * *

ლუკმა ყელში მეჩხირება,
აირია ამინდები,
ახლა რამეს თუ არ ვიტყვი,
უსათუოდ გავგიჟდები.

მოწამლულა ისევ სული,
მოძმე მოძმეს დარევია,
უკვე სული მეხუთება,
რანაირი ჰაერია.

მოწამლულა სული, გული,
სხეული და გაკვირდები,
ნეტავ ასე რამ შეშალათ,
რად არიეს ამინდები?

გული სევდით დამიმძიმდა,
თურმე არვინ გვყვარებია,
თურმე არვის ვებრალებით,
ცეცხლნარევი ქარებია!

სიცოცხლის ხე წაქცეულა,
მთებს სდის ცრემლის ღვარებია,
თურმე არვის ვყვარებივართ,
თურმე არვინ გვყვარებია!

ახლა რამეს თუ არ ვიტყვი,
უსათუოდ გავგიჟდები,
გევედრები, ღმერთო, ისევ
დაამშვიდე ამინდები!

ლუკმა ყელში მეჩხირება,
მოძმე ცეცხლს რომ ანავარდებს,
სიყვარული, ახლა მხოლოდ,
სიყვარული გადაგვარჩენს!

„საქართველოს!“

ცად აწვდილი
სიყვარულის ქნარი ხარ,
სიმღერა ხარ!
ოცნება ხარ!
ქარი ხარ!
მზის სადარი,
ქალღმერთს
შესადარი ხარ!
სადღეგრძელო,
ღვინით სავსე თასი ხარ!

„შავლეგოს“ და „ოროველას“
ბანი ხარ!
სიბერე და სიძველე
ხარ, მფეთქავი,
საქართველო,
ჩემი სალოცავი ხარ!

გულის ძარღვი,
კვიცი, გაუხედნავი!

გაზაფხულზე,
ტყემლის თოვლი მოგყვება,
ჩანჩქერობ და
მოქაფქაფებ მაცდურად,
ყველა გიყვარს,
სიყვარული გამღერებს,
ქვევრის პირზე
სტუმარს ხვდები „კაცურად“!

ასწევ ჭიქას,
ხმაც ხელს გიწყობს,
თამადობ,
ადღეგრძელებ,
იმერსა და ამიერს,

კიდევ მრავალ
საუკუნეს გაუძლებ,
საქართველო, ჩემო,
მრავალჟამიერ!

ცად აწვდილი
სიყვარულის ქნარი ხარ,
მირონი ხარ!
გალობა ხარ!
ვალი ხარ!
სიყვარულის ქალღმერთს
შესადარი ხარ!
საქართველო!
ჩემი სალოცავი ხარ!

* * *

შენ განძი ხარ,
ამ ცხოვრების ჩემი,
ხილვები და უჩუმარი ბოდვა,
ბნელ ღამეებს
მოჰყვებოდი ფეხით
და მოგქონდა
მთვარეული ცოდვა!

ჩურჩულებ და
ცაში ვცხოვრობ თითქოს,
ვისმენ სიცილს შენსას,
ტყუილს, მართალს,
რა ყოფილა
სიყვარული თურმე,

როგორც უნდა,
ზუსტად ისე გმართავს!

აფრებივით გაუშლია ფრთები
და გვაფარებს თბილ,
მისეულ კალთას,
ფანჯრის მიღმა
გაზაფხული დაჰქრის,
სიყვარული –
ჩვენი სახლის კართან!

შენ, სამყაროს სამყარო
ხარ ჩემი,
ბევრს ვფიქრობდი,

როგორ უნდა მეთქვა,
მე, სახელიც არ ვიცოდი შენი,
თურმე ჩემი
სიყვარული გერქვა!

ახლა წლებს რომ
მოუყრიათ თავი,
ისვენებენ გზა-გზა,
ჩვენთან ერთად,
აღარ მახსოვს,
რა მითხარი მაშინ,
არც ის მახსოვს,
რაც მე უნდა მეთქვა!

არ გინდათ ნიღბები!

ადამიანებო,
არ გინდათ ნიღაბი!
იცხოვრეთ ამქვეყნად,
ალალი მიზნებით.
ჩვენ ყველას ჩვენი გვაქვს
ჯვარი, საზიდარი,
ნუღარ გავირთულებთ
ცხოვრებას ნიღბებით!

არ გინდათ ნიღაბი,
მოირგეთ ბავშვობა,
შიშველი ფეხებით
ირბინეთ ყანაში,
იცეკვეთ წვიმასთან,
დაკრიფეთ იები,
ისევ წამოიწყეთ
ბავშვური თამაში!

დაანთეთ სანთელი,
ილოცეთ გულწრფელად,
დაფიქრდით ხალხის და
სამშობლოს ვარამზე,
გულში სიყვარული
შეუშვით, ალალი,
გყავდეთ იდუმალი,
თქვენ თქვენი ,,ხვარამზე"!

არ გინდათ ნიღაბი,
იყავით ნამდვილი,
სჯობს, სახე მოირთოთ
მარჯნების ფერებით,
ოქროს გვირილები
მოკრიფეთ მზის გულზე,
იცხოვრეთ ამქვეყნად,
კოცნით და ფერებით!

ასწიეთ სასმისი,
დალოცეთ
გულწრფელად,
მარანი, ოჯახი,
სახლი და კარობა,
ვაჟებს უდღეგრძელეთ
„ქუდები, ნამუსის",
გოგონებს უსურვეთ
„ნამდვილი ქალობა"!

მოირგეთ ყველაზე
ფერადი სათვალე,
უკან დახევაზე,
ფიქრიც არ გაბედოთ,
ოღონდაც
ნიღაბი არ გინდათ, იყავით
რაცა ხართ,
ეცადეთ, სიკეთე აკეთოთ!

არ გინდათ ნიღაბი,
ილოცეთ გულწრფელად,
დაფიქრდით, ხალხის და
სამშობლოს ვარამზე,
გულში, სიყვარული
შეუშვით მართალი,
გყავდეთ იდუმალი,
თქვენ თქვენი „ხვარამზე!"

* * *

წამი, ლოდინია – წამების,
წუთებით ივსება საწუთრო,
დღენი, უდღეურნი,
მაწვალებს,
კვირებს, კვირაძალებს
რა ვუყო!

საათის ისრები სათუთად,
დროს ჩუმად,
თითებზე ითვლიან,
მიდიან წუთები უშენოდ,
მიდიან, მიდიან, მიდიან!

თვეები ერთმანეთს
მისდევენ,
წლები – მეწლეული
მაშინებს,
დღე-ღამე
ერთმანეთს ეყრება
და წუთებს გვიტოვებს
საშინელს!

ცხოვრების წლები თუ
დავთვალე,
დავყავი წუთებად, წამებად,
არ გინდა,
ნუ მეტყვი საყვედურს,
მე ესეც მეყოფა წამებად!

წამი ლოდინია წამების,
წუთობით ივსება საწუთრო,
რა ვუყო
ამდენ ყალბ ღიმილებს,
ან დღეებს, უშენოდ,
რა ვუყო!

სინანული

ხანდახან, გვინდა თუ არ გვინდა,
დარდები გვეძებენ ფარული,
ხანდახან, გვინდა თუ არ გვინდა,
ცრემლები გვახრჩობენ მალული.

ხანდახან, გვინდა თუ არ გვინდა,
სიმღერას ვცდილობთ და ვერ ვმღერით,
ხანდახან თავდაუზოგავად
ვიბრძვით და მომაკვდავს ვერ ვშველით!

და ასე ილევა ცხოვრება ლოდინში,
შუღლსა და კამათში, ჩვენც ასე,
ჩვენდაუნებურად ვერთვებით
ცხოვრების თამაშში!

შემძვრალნი საკუთარ ნაჭუჭში,
ვცხოვრობთ ლოკოკინას ცხოვრებით
და ნიღაბს იმდენად ვეჩვევით,
ერთხელაც ყველაფერს მოვრჩებით!

და ასე, გვინდა თუ არ გვინდა,
ცხოვრების როლების თამაშით,
ურთიერთობების მაგივრად,
დრო გაგვყავს უაზრო კამათში.

წლები კი ერთმანეთს მისდევენ,
ნატვრის ხეს ფოთლები ეცლება,
დრო გვითვლის დღეებს და ღამეებს,
მერე ყველაფერი გვბეზრდება!

ნიღაბს თვითონ ვიხსნით სახიდან,
ვხვდებით, რომ ჩვენ ვეღარ ვფერადობთ
და ვნანობთ, დრო სიყვარულისთვის,
რომ ვერ გამოვნახეთ ვერასდროს!

სარკე

ჩემს სარკეს ვუყვარვარ ძალიან,
არასდროს მაბეზრებს კითხვებით,
ან კი საკითხავი რა არის,
ჩვენ თითქმის
ერთი ხნის ვიქნებით!

ის ადრე იღვიძებს ჩემსავით,
(იქნებ მთელი ღამე არც სძინავს)
ჩუმად მითვალთვალებს ბავშვივით,
ვიცი, რომ არასდროს გამწირავს!

თვალებთან ნაოჭს თუ შევნიშნავ,
ის კითხვებს არასდროს დამისვამს,
რად ტირი? რამდენი წლისა ხარ?
მან იცის, კითხვები არ მიყვარს!

თეთრად გათენებულ ღამეებს,
თითებზე ითვლის და ინახავს,
იცის, რომ თვითონაც მარტოა,
სხვა, აბა, ჩემს მეტი ვინა ჰყავს!

და ასე, ცხოვრების ჭიდილში,
ჩვენ, ორნი, დავითვლით ნაოჭებს,
და მოვა ერთხელაც აპრილი,
რომელიც ვეღარ გამაოცებს!

სარკე აირეკლავს მთვარის შუქს,
ცდილობს, ჩემს ფეხებთან გაშალოს,
როცა ვარსკვლავები კალთიდან
გადმოუცვივდება სამყაროს!

როცა ჩავიხედავ სარკეში
და მოვეფერები ფიქრებით,
მან იცის, ორივე ვბერდებით
და არც მე ვაწუხებ კითხვებით!

იცის, რომ მეც მიყვარს ძალიან,
მისთვის კი წვიმაც ვარ, მზეცა ვარ,
იცის, რომ არ მიყვარს კითხვები,
იცის, რომ რაცა ვარ, ესა ვარ!

* * *

ატმის სურნელი ენატრებათ
„ათონს“ და „რიწას“,
იმ სილამაზეს გამოვიხმობ,
გულში რომ ვეტრფი,
გადაუარა ცეცხლის ალმა
შლეგად და ურცხვად,
...და დაძაბული
ვებრძვი სათქმელს,
დღემდე რომ ვერ ვთქვი!

გადაიფრენენ არწივები
შავი ზღვის კიდეს,
„დიოსკურია“ თვალს აახელს
მშვიდობის მტრედად,
მოეძალებათ ტკივილები
მარტოსულ ფიქრებს,
ხიდზე თოლია,
მომაკვდავის,
ასრულებს ცეკვას!

ამ სილამაზეს
სიყვარული
ზოლივით გასდევს,
აქ სულ სხვაგვარად
იცრემლება
ზეცა ადრიან,
აქ ამზევებულ მიმოზებზე
ჯვარს იწერს მარტი
და თოლიები,
ზღვის ტალღებთან
ზღვარს გადადიან!

იმ საქართველოს დავუჩოქებ,
გულში რომ ცოცხლობს,
იმ სადღეგრძელოს
ვეტყვი ბევრჯერ,
ენას რომ უთქვამს,
რომ არ დაინდეს,
რომ აჩეხეს,
გაწირეს ურცხვად,
დენთის სურნელი
რომ შემორჩა და
მაინც სუნთქავს!

ატმის სურნელი შერჩენიათ
აწმყოს და მერმისს,
გადაუფრენენ არწივები
„ათონს“ და „რიწას“,
სულ არაფერი არ შეცვლილა,
მაოცებ ისევ,
მეც ისევ ისე მიყვარხარ და
რაც მწამდა, ის მწამს!

ანაბელ!

მინდა, რომ სიმღერა
გიმღერო,
თან მიკვირს,
გიბედავ ან ამდენს,
მე შენთვის ისევე
მოვკვდები,
ისე, როგორც უწინ, ანაბელ!

ოცნებამ კარი თუ ჩარაზა,
მზის სხივი
ცრემლებს თუ აგასხლეტს,
ოცნებებს
ნამდვილს თუ დაარქმევ,
იცოდე, შეცდები ანაბელ!

გზას ხელის ცეცებით
მივყვები,
ბილიკებს დავეძებ,
ასაფრენს,
ჩემი გულიდან თუ გაფრინდი,
ვეღარ დაბრუნდები, ანაბელ!

ზარის ხმა რომ გესმის
ტაძრიდან,
მეუფე იქ ლოცვას
აღავლენს,
ეს ლოცვა ორივეს გვეყოფა,
ოღონდ, ჩემთან დარჩი,
ანაბელ!

* * *

მე შენთვის ისევ ის
პატარა გოგო ვარ,
შენ ჩემთვის ისევ ის
მუდმივი კამათი,
სიცოცხლის გასაყარ
გზაზე თუ ავტირდი,
აი, ეს იქნება
„ქეში“ და „შამათი“!

მე შენთვის ისევ ის
მტირალა გოგო ვარ,
შენ ჩემთვის, გმირი და
მუდმივი „ტანდემი“,
ჩვენ ასე დავიწყეთ
წლების წინ ცხოვრება,
არ არის საჭირო
კითხვები ამდენი!

მოვდივართ და მოგვაქვს,
ხან კარგი, ხან ცუდი
და ამასობაში
წლები კი გავიდა,
მაგრამ სულ არ ვნანობ,
რომ შეიძლებოდეს,
ისევ დავიწყებდი
იგივეს თავიდან!

მე შენი მუდმივი
დარდი და ფიქრი ვარ,
შენ ჩემი სუნთქვა და
მუდმივი ბოდვები,
მე შენი აპრილის
წკაპუნა წვიმა ვარ,
შენ – პეშვი, რომელშიც
ვწვეთავ და ვგროვდები!

და ვფიქრობ, ეს წლები
თუ როგორ გასულა,
ჩვენი სიყვარული კი
ისევ „თავხედობს“
და შენი, ყორნისფერ
ქურთუკის ყელიდან,
კვლავ თვალს მჭრის
პერანგის,
ქათქათა საყელო!

სიყვარულის ქალაქი

მზესუმზირის ყვავილისფრად,
მთვარე ღრუბლებს ჰკიდია
და სიღნაღის მთების გულში
უჩვეულო ნისლია!

თეთრი ქაფი ქონგურებზე,
ნაზია და ხალასი,
საღამოა უცნაური,
უჩვეულოდ ლამაზი!

ფორთოხლისფრად დაეფინა,
ალაზნის ველს დაისი,
აბა, ერთი მომიყევით
სიყვარულზე რა იცით?

მეტი რაღა უნდა გითხრათ
უკეთესი არაკი,
დგას სულჩადგმულ საოცრებად,
სიყვარულის ქალაქი!

დგას სამყაროს სამკაულად,
უსაოცრეს მშვენებად,
ჩუქურთმებად, ქარაგმებად,
სიყვარულის ფერებად!

მზესუმზირის ყვავილისფრად,
მთვარეს შემოაღამდა,
ცის კიდურზე ვარსკვლავებიც
უცნაურად დალაგდა!

ჩამავალი მზის სხივები,
მზემ ჩაკეცა ქარქაშში,
სიყვარულის საღამოა,
სიყვარულის ქალაქში!

* * *

შენს თვალებში
ჩაგუბებულ სევდას,
მინდა, თბილი,
შევაშველო ხელი,
მინდა ისევ,
შენი სუნთქვა მწვავდეს,
მაგრამ ამ გულს
უკვე ვეღარ ვშველი!

მინდა გახსნა
დარდიანი შუბლი,
გაიღიმო ისე,
როგორც ოდეს,
მე გელოდე
გვირილებით ხელში,
შენს თვალებში
გაზაფხული თრთოდეს!

მზის სხივები
დაგირბოდნენ თმებში,
ენძელებად გიყვაოდეს ბაგე,
ღმერთს ათასჯერ,
მუხლმოდრეკით ვმადლობ,
რადგან მხოლოდ
ჩემთვის დაიბადე!

აყვავებულ პალიტრით და
ფუნჯით,
მინდა მხოლოდ,
ეგ თვალები ვხატო,
მოვდიოდი, რომ
მელოცა შენთვის,
ჩემო მზევ და
სალოცავო ხატო!

მოყვავილე,
ატმის ხე ხარ ჩემში,
ვარდის ჩრდილში
ბულბულების მღერა,
შენს თვალებში
ჩაგუბებულ სევდას,
მინდა, თბილი,
შევაშველო მზერა!

* * *

როგორ უჭირს,
სულის ზიდვა სხეულს,
ცის კიდურზე
ცისარტყელა გაქრა,
მიუყვება სული,
ბილიკს – ხვეულს
და ყვავილნი
მიჰყვებიან ამქრად!

გზა, დამღლელი,
არ სრულდება, არა,
დრო გზადაგზა,
თან უმატებს ცოდვებს,
ფეხაკრეფით მიდის
სული, ჩემი,
და დაღლილი
საზვერეებს უმზერს!

სულის ზიდვა
მართლა უჭირს სხეულს,
შორს
ნათელი წერტილივით ჩანხარ,
არ წახვიდე,
არ მსურს ყოფნა მარტო,
დამელოდე მანდ,
სამოთხის კართან!

* * *

დრო არასდროს
ებევრებათ არწივებს,
ცას შეხედე,
გაწვიმებას აპირებს,
ვეღარ ათბობს მზე,
გაყინულ ნაპირებს,
ვერც ბილიკებს,
მთვლემარეს და ნაწვიმებს!

დრო არავის
ეკითხება არაფერს,
ის არ ინდობს არც შვილს
და არც ნაშვილებს,
წუთისოფლის
უსასყიდლო ბილეთებს,
ქარი ისევ,
უხმოდ ჩამოარიგებს!



ეთერ ბერიშვილი – ეკონომისტი;
დაბადების ადგილი – ქუთაისი.

* * *

მოვალ ერთ დღეს ალიონზე შენს სარკმელთან,
რომც უარმყო, დარაბები მჭიდროდ ხურო,
ვიღიმი და ხშირად ვამბობ მე სარკესთან,
არ იფიქრო ერთხელაც კი თითქოს ვხუმრობ.

დღეს დღეები ემატება, ძვრა ვერ ვყავი,
ვერ ვასრულე საწადელი გულით მდომი,
შენ სადარი ყვავილები არსად ყვავის,
სურნელებით გატანჯულ გულს რომ მითბობდი.

მონატრება სიყვარულის ვიგრძენ მაშინ,
თუ რა ძლიერ მყვარებიხარ, ჩემო მხარევ,
ცრემლი როცა დაემჩნია მაჯის არშინს,
როცა ღამით მონატრების სევდა მანგრევს.

ახლა ისევ იმ ასაკით დავაბიჯებ,
ათი წლის წინ როცა ძლიერ მწარედ „შევცდი",
როცა სხვისი ჩემს მიწა-წყალს დავაჯიბრე,
თვითმფრინავში პირველად რომ ფეხი შევდგი.

ვერსად ვნახე შენისთანა სიყვარული,
არცა პური, არც ღვინო და მასპინძლობა,
ჭურის თავზე ძმათა ფიცის სიტყვა თქმული,
ჭაშნიკი და სიმღერების ხანგრძლივობა.

მოვალ ერთ დღეს, დღე იქნება, თუნდაც ღამე,
იმედს მაძლევს წელიწადის დრო ბრუნებით,
მშობელ მხარეს ჩავიხუტებ, რომ ვერ დავთმე,
თმაჭაღარა... „ბავშვი" როცა დავბრუნდები.

სადღეგრძელო

ამ ჭიქით შენ გაგიმარჯოს,
ღიმილით მზის სხივსადარო,
ეგ გიშრისფერი თვალები
არცერთ წამს არ აავდარო.

გულში სულ გაზაფხულებით
და ია-ვარდის ფერებით,
ძვირფასო, მრავალჟამიერ,
გეხაროს ბედნიერებით!

უფლის ლოცვა და დიდება,
ყოველ წამ-წუთში გწყალობდეს,
ცისკარზე ბულბულთან ერთად
ბედნიერებით გალობდე.

ღმერთის ბოძებულს ვერ შევცვლი,
სულ იყვავილე, ივარდე,
უყვარდე ქვეყნად მხოლოდ მას,
ვინც შენ ძალიან გიყვარდეს!

* * *

გზას ვიკვლევ ხელების ცეცებით
და მაინც სიყვარულს ვარიგებ,
არ მხიბლავს არც ოქრო, არც ვერცხლი,
ვინც მიცნობს, მხოლოდ ის გამიგებს.

გულისხმას, გულისყურს ყურს ვუგდებ,
გული მყავს გონების დარაჯად,
დღედაღამ სულ ღიად რომ მქონდეს,
ამქვეყნად სიკეთის ფანჯარა.

* * *

ჰაი ჰარალოდ ქარი არ ქრის, არცა ნიავი,
ხშირად რომ ნატრობ გათანგული
მზისგან ხუთვებში,
არ განურისხდე იანვარში, თოვაში, მარტში,
თორემ, გახსოვდეს, ზაფხულში ვერ ჩაეხუტები...

ისევ დედას

ტკივილებს ვებრძვი, მონატრების მაწამებს სევდა,
ო, როგორ მინდა გვერდით მყავდე დედიკო, დედა,
მკურნალიაო დროო – ხშირად ასე ვახსენებთ,
მე ვერ ვიპოვე ეს დრო, ვის გაქვთ, ვინმემ მასესხეთ...

დედა!

როგორ შემოგბედო, დედი, ლექსის წერა,
ქვეყნად ღმერთის სწორი შენ ხარ საოცრება,
ერთადერთი ხარ და ვერვინ გეცილება,
შვილის ერთგული და შვილში გაორება.

ცაზე მზე რა არის, მზეზე მეტად მათბობ,
შენი თავგანწირვით ფეთქავს ჩემი გული,
ფარად მეფარები, ჩემთვის სულსაც დათმობ,
შენით მისწავლია ქვეყნად სიყვარული.

მინდა დაგიკოცნო დაღარული სახე,
გული დაგიამო, წლებით გადაღლილი,
არასდროს შევარცხვენ დედი, მე შენს სახელს,
ვფიცავ, არ ვიცხოვრებ ზვავებგადავლილი...

დე, იებს დავკრეფ და კალათით მოგართმევ,
კვლავ ჩუმად გაგიმხელ, რა დარდიც მაწვალებს,
მითხარ, როგორ შევძლო, ფიქრში ღამეს ვათევ,
ამაგის გადახდა, დე, შენთვის, მასწავლე.

* * *

სახე გიცინის, მაგრამ არ ჰგავს სიცილი სიცილს,
ჰო, ეს სიცილი უხარისხო სპექტაკლს და ჯაზს ჰგავს,
რას დარდიანობ ნეტავ ასეთს, სახეს რომ იცვლი
და დაემსგავსე მოარული ცირკების ჯამბაზს.

სახე გიცინის, მაგრამ არ ჰგავს სიცილი სიცილს...

* * *

უმძიმესი ერთი წელი დედის გარდაცვალებიდან

დედი, შენს სუნთქვას ვეღარ ვგრძნობ,
კბილს კბილზე ვაჭერ თმენით,
ტკივილით გული რომ გოდებს,
აღუწერელი ენით.

სანთელს ცრემლი ედინება,
წვიმამ სული დატბორა,
წელიწადი გადის დე, რაც
შენმა სულმა დაგვტოვა.

გაიტეხა ღამე წელში,
ცრემლი თვალს ვერ ვაცილე,
არ მგონიხარ მაინც მკვდარი,
რადგან ვერ გაგაცილე.

მელოდები, ასე ვფიქრობ,
გადაღლილი თვალებით,
შენი ლოცვით გამათბობ და
ჩამიხუტებ მკლავებით.

მაგრამ ვაი, ფიქრი, დედი,
ვერ ვამხილე ვერცერთი,
რადგან ქვაზე შენს სურათს და
ქვითინს ვერ გავექეცი...

ახლა, დედი, გულის სევდა,
სტრიქონებად დავძერწე,
ღვთისმშობლის წინ სანთელს ვანთებ
და შენს სახეს დავეძებ.

* * *

ანდერძად გადმომცა დედის დედამ,
ჯერ კიდევ თოთოს და ყმაწვილს:
„მტერი თუ კარს მოგადგა,
გახსოვდეს,
შენ დახვდი პირსავსე ყანწით.“

* * *

აღარ მოგწერ-თქო, მაგრამ ვიცი, ელი გზავნილებს
და არც გწყინდება, მოისმინო ასჯერ ნათქვამი,
„აღარ მიყვარხარ", ნუღარ მელი, ნუღარ აზვირთებ,
რადგან ჩვენს გრძნობას შეპარული უკვე აქვს ნამი.

კვლავ არ მიჯერებ, ჯიუტობ და შენსას არ იშლი,
არც შანს არ მაძლევ, ცხოვრება რომ ვიწყო თავიდან,
ისევ რომ ვშალო ფრთები, ვიგრძნო სუნთქვა, აპრილის,
დღეები არა, წლები ბევრი უკვე გავიდა.

გსურს, გამოგიტყდე, ჩემი გული კვლავ შენ გეკუთვნის,
ხედავ, რადგანაც ლამპის შუქზე ცრემლი კიაფობს,
როცა ვერ გამჩნევ, საათს, წამებს ათასჯერ ვუთვლი
და გამყიდველი თვალებიდან ხვდები ვერ დაგთმობ.

ჰოდა, ახლა გწერ, გრძნობას გულში ვუხსნი ყველა ღვედს
და მაპატიე, გთხოვ, მაპატიე, ყველა უბრი დღე.

* * *

მინდოდა გეთქვა: – „დილა უშენოდ ბინდის ფერია,
რომ მზის სხივები მეფერება შენი მკლავებით,
ყოველ ალიონს შენი ნახვის ნატვრა ერია
და უშენობას ვერაფრით რომ ვერ ვუმკლავდები".

მინდოდა გეთქვა: – „ჩავიძირე, ზღვის ფსკერზე ვწევარ,
რომ მოგაშველო ჩემი სუნთქვა, ცეცხლის ალები,
რომ ვერასოდეს გაექცევი ამ ტრფობის წერას,
რომ ტყუიხარ და გამხელს მაინც შავი თვალები".

მინდოდა გეთქვა: – „ეს სამყარო მოდი, დავიპყროთ,
ჩვენ გვიღიმოდეს ცისარტყელას ყველა ფერები,
წყენა წარსულის გავატანოთ ქარებს, რაც იყო,
ჰოდა, გჯეროდეს, სულ ყველაფერს ჩვენ მოვერევით".

ველი, ჰო, ამ დღეს გამაღვიძონ შენმა ზარებმა,
შენთვის ლოდინი, ღმერთმა იცის, არ მეზარება.

ესა ვარ, ვინცა ვარ!

გულის ჩურჩულს ყურს ვუგდებ,
საამოდ რომ ფრიალებს,
სანამ შემწევს ჯან-ღონე,
მუდამ ავწევ ფიალებს.

თქვენთვის მუდამ მოვქარგავ
სიყვარულით ღიმილებს,
თუნდაც მოვკვდე, გულში სულ
სიყვარული იღვივებს.

ჩემს კალთაზე ბოროტი,
ხელსაც კი ვერ იხოცებს,
სანამ მიდგას სული და
სანამ შემწევს სიცოცხლე.

* * *

თვალები ჩუმი,
მაგრამ ამ დროს
ყველაფრის მთქმელი,

როდესაც გულს გრძნობ
და მზის სხივებს
ყველას გულს იკრავ,

გრძნობა - ლამაზი,
შეუცვლელი,
ცხოვრების მთლელი,

ჩუმი თვალებით
გათქმევინებს,
როდესაც გიყვარს.

* * *

გულში კვლავ ბობოქრობს ბავშვური ბუნება,
წლებია, თუმცაღა დავქალდით, დავკაცდით,
გულია, ყველაფერს თავად რომ უძღვება
და მაინც სიდინჯე ბავშვობას დაგვაცდის.

ჯერ ისევ ახლოა მერხი და ხის დაფა,
არ ქრება თვალთაგან ცარცებით თამაში,
გვიხდება გოგონებს წითელი ბაფთა და,
ბიჭებს კი წინ მერხზე რვეულში თვალთვალი.

ჰო, იყო პლიუსი, ამასო ეს უყვარს
და მერხებ შუაში სიცილით სირბილი,
არასდროს ამბობდა თვალები ცივ უარს,
უბრალოდ გვეგონა, ეს იყო "სირცხვილი"...

რა იყო ტკივილი, არავინ იცოდა,
შპარგალკა სულ ჰქონდა გვერდით მდგომ ამხანაგს,
ოთხები, ხუთები, ზეციდან ცვიოდა,
მჯერა ვერ ედრება წლების სვლა ამ ხანას....

დაგვჩაგრა ცხოვრებამ, ვიწვნიეთ ტკივილიც,
დარდისგან წამებში გაგვიჩნდა ჭაღარა,
ვანიკო?!... რას ამბობ?... ჩვენ გვერდით სულ "ივლის"
და მაინც სუყველას ცრემლი გვდის ღვარღვარა...

ვინახავთ გულებში იმ წლების სახსოვარს
და ვსწავლობთ ცხოვრებას შეუვალს და რა რთულს,
სიყვარულს ვიბიჯგებთ, ხელდახელ გადაგვაქვს
და გვჯერა, გადავდგამთ ნაბიჯებს გამართულს.

ვდინჯდებით გზადაგზა გოგო თუ ბიჭები,
ვისწრაფვით, რომ სჯობდეს დღევანდელს დამდეგი,
ჩავჭიდოთ ხელები, ერთმანეთს ვჭირდებით
და ვიყოთ მაგრები, ზეცას რომ წარვსდგებით.

სითბო და სიკეთე, ღიმილი - ალალი,
არ გვაკლდეს ერთურთში მოკითხვა: "რას შვები",
წელთა სვლით ვიდიდოთ და როგორც წამალი,
ასი წლისანებიც კვლავ ვიყოთ ბავშვები!

* * *

გგონია, ვეჩვევი უშენობას?!
გგონია, არ ვფიქრობ ისევ?!
სიყვარულს სცოდნია უთქმელობა,
იყვირო, არ გყოფნის სივრცე.
გგონია, ლექსებით გატყობინებ,
გრძნობას, გულით ნათქვამ კი-ოს,
ცრემლმა ლამისაა ზღვა ადიდოს,
უშენოდ როგორ ვძლებ ვკვირვობ.
არ დაიჯერო ბედს შევეგუე,
წასვლით უშენობას რომ ვძლებ,
სიომ არ გიამბო ჩემო ერთავ,
ყველგან სადაც დავალ გეძებ.
ღამის ოთხია... მე ბოკალს ვავსებ,
იმ მონატრების ბადაგით,
სადაც სამოცჯერ ყველა წუთებში,
შენ ხარ სიცოცხლის საბაბი.

როგორ გავუძლო ტკივილს?!

ბედნიერების კვალდაკვალ
გზას მიკვალავდი წლები,
ჩემი ღიმილი გიყვარდა,
თვალებით, დედი, მწველით.

ახლა კი ცრემლით, პირთამდე
ამევსო თითქმის ტივი,
რად არ მასწავლე, უშენოდ
როგორ გავუძლო ტკივილს?!

* * *

გული კვნესის, რომ ვერ უძლებს,
გაუსაძლის დღეთა რბოლას,
ვდგავარ მედგრად, თუმც მამჩნევენ,
ჩამონადენს, ცრემლებს ობლად.

გადავმალო?! როგორ შევძლო,
გულს ტკივილი გავიყარო,
სადაც მივალ, სულმა წმინდამ,
მინდა ცამდე ამიყვანოს.

წინაპრების საძვალეთის
სიყვარული ყველგან დამაქვს,
იმ ფესვის ვარ, ბრძოლის ველზე,
რომ ვერ გრძნობდა წამით დაღლას.

ბრძოლის ველზე დედა დროშას,
მორიგ შვილს რომ გადასცემდა,
ქართლის დედის ჯიშისა ვარ,
ჩვილს რომ ზრდიდა,
გრდემლსაც სცემდა.

ქართველების მზეობას რომ
თასით რიხით დღეგრძელობდა,
სიძულვილის ნაცვლად მტერზე,
სიყვარულის მზე მძლეობდა.

მაინც გვყიდეს ვერცხლის ფასად,
მაგრამ წამით ვერ გვაჩოქეს,
ოქრო-ვერცხლის დამხარბველი
შეიწყალეს, არც ჩაქოლეს.

ასეთია ჩვენი ჯიში,
სიყვარული გვიდუღს სისხლში,
ჩვენ ჩვენი გვსურს,
სხვის მზეს არ ვსდევთ,
და არც გვინდა კარი, სხვისი.

თუმც არ დრკება, თავს არა ხრის,
მტერი, ჩვენი, ორნაგული,
ჭიქა ღვინის ხელში ამწევ,
ქართულ სუფრის მოყვარული.

მაგრამ ვერა, ვერა სძლევენ,
დედაბოძი არ ირყევა,
ვაჟკაცების, რადგან ქვეყნად,
აკვანი დღეს კვლავ ირწევა.

* * *

განა რა არის სიყვარულზე მეტად ლამაზი,
ნაზი ღიმილით ბედნიერი თვალების ხილვა,
სიყვარულისგან მთებში ექოს გააქვს ზანზარი,
როდესაც გულში სიყვარულის ღადარი ღვივა.
სიყვარულია მზის სხივებით გამთბარი მდელო,
ლამაზი დილა ღიღინით და თვალებრწყინავით,
სიყვარულია მაშინ, როცა წამსაც არ ცრემლობ
და გრძნობა არის მომავალის გადამწყვიტავი.
ახლა დავფიქრდი, მერე უკვე რომ არ ვინანო,
უთქმელობისგან გული დარდმა რომ აღარ მიხრას,
ამქვეყანაზე არც რა ვიცი, სხვა რა ვინატრო,
როგორ მიყვარხარ, ჩემო ერთავ, შენ რომ არ გითხრა.

ბედობა

„ღამე სულ სხვაა მიჯნურთათვის" – ამბობდი, მახსოვს, –
მარტოდ დარჩენილს, ღამეშიც კი მას ნათლად ხედავს,
თვალდახუჭულიც უღიმის და ყოველწამს ხარობს,
თეთრად ნათენებ ღამეებს კი ვერცერთი ხვდება"...

გაკვირვებული გისმენდი და არც კი ვფიქრობდი,
რომ ჩვენც შევცურეთ მოცეკვავე გედების ტბაში,
ტრფობით მთვრალები მეცხრე ცაზე როცა მივქროდით,
აპლოდისმენტად ვარსკვლავების გვესმოდა ტაში.

ახლაც გულის პულსს ვუსმენთ ისევ სულგანაბულნი,
თვალდახუჭული ვიღიმით და გული კვლავ გვყვარობს,
ვერ მოერია ზამთრის სუსხი ჩვენს გაზაფხულებს,
ერთად ვართ, მაგრამ მაინც ისევ ერთმანეთს ვნატრობთ.

წლებმა დაგვფიფქა, თუმც ჭაღარა ჩვენ ვერ გვაშინებს,
გულანთაბულნი ტრფობას ისევ ვაშალაშინებთ.

* * *

წლები გადიან, ბინდის ფერი არ და ვერ ქრება,
თუმცა ათასჯერ ჩავუტარე ჩემს ლანდებს კრება.

როცა ცრემლებში იძირებოდა ალიონები,
თავსაც ვერ ვცნობდი, ჩაქრა ირგვლივ ლამპიონები.

დაუგეგმავად დრო მიჰქროდა, ვეღარ ვეწიე,
გული ლაღობდა, უცხოს ხიდად რომ შევეწიე.

ჰო, სულ ლაღობდა
სხვის თვალებში მზისსხივბრწყინებას,
მათი ღიმილი მეც არასდროს რომ არ მწყინდება.

სიკეთის გზები წრფელი გულით დაულოციათ,
სიხარულისგან ორივ ლოყაც დაუკოცნიათ.

მადლობის ნიშნად მეც ვლოცავდი უფლის დიდებით,
ჩვენ ერთმანეთის სიყვარულით,
სულ გავმდიდრდებით.

განა მოვითხოვ, გამიკვალეთ ოდეს მზით გზები,
მაშინ, როდესაც ჩემზე დიდი რომ გაიზრდებით...

თუკი შენიშნეთ ცაზე ელვა, მიწაზე წვიმდეს,
სითბო სითბოს წილ არასოდეს არ დაგავიწყდეთ.

* * *

შენი გულისთვის ცაზე ღრუბელს
უმალ გავყრიდი
და მზის ხალიჩას მოვაფენდი
გზებზე შენამდე,
ერთადერთი ხარ, ვისაც
დღემდე სულ ღმერთს
გადრიდი,
იმ სამყაროში, სადაც ვიყავთ
მხოლოდ შენ და მე...
შენი გულისთვის შევეჭიდები
მშფოთვარე ტალღებს,
მთაში ეულად დავიდგამდი მე
შენთან კარავს,
გული რადგანაც სიყვარულის
კარებს კვლავ აღებს,
ვერ შემაშინებს წლების სვლა და
თმაში ჭაღარა.
მახსოვს, წლების წინ დანამული
შენი თვალები,
ნაზი ამბორი... გულისცემა –
ზღვარგადასული,
როდესაც სუნთქვა უერთდებოდა
კოცონის ალებს
და ფიცით, ჩვენით,
იცოცხლებდა ეს გაზაფხული.

ახლა გიხსენებ მაგრავ ვფიცავ,
რომ არ ვიცრემლებ,
რადგანაც მჯერა, ხვალ ჩვენ
ერთად ისევ ვიცეკვებთ.

ლეილა ვადაჭკორია – პოეტი.

სიჩუმე

დე, სიჩუმე მტერს სიმშვიდედ ეჩვენოს,
განა სული მოსვენებას ფერობს,
სანამ ჩემი მთა და ბარი მომტირის
სანამ ცრემლი გაშრობია მდელოს.
სანამ თვალში ის კადრები მიჩანს
როგორ დაწვეს ჩემი ფუძე-ჭერი,
ცას წვდებოდა უმანკოთა ალი,
ცოდვილ ხელებს რომ ითბობდა მტერი.
სანამ ენგურს გული ჯავრით უცემს,
სანამ ფსოუს მონატრება ზარავს,
გულზე ხელებს ვინ დაიკრებს, შვილო,
ან სიმშვიდეს ვინ აღირსებს მავანს?!

მიპატიებია გენაცვალე

ვიცი, შეცდომის პატიება
ღვთისგან ბოძებული
მადლი არის,
თუკი დაგეუფლა სინანული
გულით თუ დადიხარ,
დარდიანით.
მიპატიებია გენაცვალე,
ღმერთი მაღალია,
გაიგონებს,
რიდით?!
შემოგევლოს ჩემი თავი,
შიშით?!
ვერავინ დამიმონებს...

გულში ჩაგისვამ

გუმანი დამყვა ბუნებით,
ავის და კარგის გარჩევის,
სიცივით ვერ შემაშინებ
ზამთრის სუსხსა ვარ ნაჩვევი.
შენ მხოლოდ შენი ფიქრების
გამხადე თანაზიარი,
გულში ჩაგისვამ, სათუთად,
ვერ მოგაყენონ ზიანი.
თუ გინდა, ზღვადაც ვიქცევი,
დაუცხრომელი, ვერანი,
ტალღებში ჩაგიკონებ და
ვერ შეგეხება ვერავინ.
მე თმენაც დამყვა იობის,
ოღონდაც შენ არ იდარდო...
რწმენას დაგინთებ სანთლებად,
ღრუბლები რომ გაგიფანტო.

***

ყველას თავისი აზრი აქვს,
ყველას თავისი თვალი,
რამდენი უნდა იფიქრო,
რომ არ გამოდგეს მცდარი.
რომელი გზაა სწორი და
რომელი უფრო მყარი?
ცდილობ, ოთხიდან არჩევას,
გზაჯვარედინზე მდგარი.

ახლი სიცოცხლე

ვარდის კოკორის
გაშლა მინახავს,
როგორ იშლება
ხეზე კვირტები,
წიწილი როგორ
ტოვებს ნაჭუჭს და
შობის წამებით,
დღევ, რომ ირთვები.
...და მიხარია
ახალ სიცოცხლის
თვალის ახელას
რომ შევესწარი,
მადლობელი ვარ,
ბედის ვარსკვლავო,
რომ, სიყვარულის,
მასვი ნექტარი.

ცა ზეიმობდა

ცა უთვალავი ვარსკვლავით
ვერცხლისფრად მოხატულიყო,
მთვარე, პირსავსე, ბრიალა,
ცის გუმბათს ამოსულიყო,
ვარსკვლავებ შორის ბილიკებს
მიუყვებოდა ნარნარით,
ცა ზეიმობდა, ხარობდა,
არ ჩანდა ღრუბლის ნამგვანიც.
ღვთისმშობლის კალთა
სამშობლოს
სიმშვიდის ფარად ეფინა,
რა ზღვარი ან რა სამანი,
საითაც გინდა გეფრინა.
უფალო ცხადად მიქციე
ეს ბედნიერი სიზმარი,
არადა ნისლში სიცხადეს
დამტოვე ისევ სიზმარში.

***

ძალას ვიკრებ, ცივ ზამთარში
შემეშველე ზურგის ქარო,
პეშვით სიყვარულებს ვაბნევ,
იქნებ დარდი გადიყაროთ.
გაზაფხულზე ნაზი სიო
ბალახებს რომ არხევს ისევ,
მიხარია, მინდორი რომ
უბეს ყვავილებით ივსებს.
სულს ვიამებ ჩუმი ლოცვით
თავზეც ბევრჯერ დამათენდა,
გზას კი, მარადისობისკენ
ბადრი მთავარე ანათებდა.

გაბრწყინებული მენახო!
არ ვნატრობ ბროლის სასახლეს,
დავეძებ კეთილ ფერიას,
წყაროს წყალს დავეწაფები,
მზე დამიკოცნის კერიას.
არ ვნატრობ დედაბუნებამ
თვალ-მარგალიტით ამავსოს,
მე მცირე ტაბლაც მეყოფა
ბევრი ეშმაკმაც დალახვროს.
იმძლავროს მუხის ფესვებმა
და ვღიღინებდეთ ვენახოს,
ჩემი პატარა სამშობლო
გაბრწყინებული მენახოს!

ნაკვალევი

ქარმა აწეწა თივის ზვინები,
თავზე დააცხრა თიბათვის კარავს
და ქარი ასე ცივი და მრუში
ახლა ჩემ სულის ლაბირინთს ატანს.
მეც ისე მწეწავს უნდობი ქარი,
მოლოდინს, ჩემსას, გაფანტავს ცაში,
არ დაბრუნების შემიპყრობს შიში
ვაი თუ ქარი ნაკვალევს წაშლის.

ფერშეუცვლელი

მზემ გაანათა არემარე
სხივთა კვეთებით,
ფოთლებზე ისევ ციმციმებენ
წვიმის წვეთები,
პურის ყანაში გოგმანობენ
მწყრები, ქედნები,
ასე მგონია არასოდეს
არ დავბერდები.
ოცნებას ფრთები დაუბერტყავს
გულუხვად, ჩემზე,
ჰოდა, დავფრინავ აღმა-დაღმა
მიუვალ გზებზეც,
ხან ევერესტის მწვერვალზე ვარ,
ხან ივრის ველზე,
ხანდახან მთელი დედამიწა
დამისვამს ხელზე.
გულში სულ ჩემი სამშობლო მყავს,
ფერშეუცვლელი,
ვერ გადავშალე უიმისოდ
ერთი ფურცელი.

აპრილი

რა ვქნა, თუ წლებით გაძარცვულს,
მარტმა ვერ მომცა ნუგეში?
არც შენგან ველი, აპრილო,
გარდასვლას სიჭაბუკეში.
ზამთარს თუ გადავაგორებ,
შენამდე მოვალ, აპრილო,
არ მაკანკალო სიცივით,
აპრილო, არ გამაწბილო.
მეც ჩითის კაბას ჩავიცვამ,
მოხატულს, ნაირფერებით,
გული რომ გავიხალისო,
დაღლილი რუხი ფერებით.

ბედნიერი აღსასრული

ჩემი ცხოვრების
ჩუქურთმავ და
მანათობელო,
ბედნიერი ვარ,
შენ შეგწირე
ბოლო წამები,
შენი სახე რომ
ჩამეხატა თვალებში
ხატად,
მიმაცილებენ
ბოლო გზაზე
ცრემლის ბწკარები.

***

თავს იმშვიდებ და
ღიმილით მალავ
სისუსტეს
რათა მტერს არ
ეამოს,
სიმშვიდე შენი
იარაღია,
თავაწეულმა უნდა
იარო.

***

არ გამირანდავს
ძალისძალ,
ცილს ნუ დამწამებ,
გთხოვ,
სულში წვიმს, წვიმაზე
ვწერ და
თოვლზე ვწერ,
როცა თოვს.

პეპელავ

გული არ დაგწყდეს,
პეპელავ,
ხანმოკლე თუ გაქვს
სიცოცხლე,
ნეტავი რა ბედენაა,
მე თუ ამდენხანს
ვიცოცხლე.
შენ არა დაგითმენია,
მე კი რამდენი ვითმინე,
შენ დაფრენ მთელი
ცხოვრება,
მე სულ რამდენჯერ
ვიფრინე?

* * *

მთის იქით
სოფელი იყო,
სოფლის თავში
ეკლესია,
მერე მიტოვებულ
სოფელს
ეშმაკები შეესია.
ვინც სოფელი
მოიძულა,
ის ვერც ქალაქს
შეეწია.

ორსახოვანი

ორსახოვანი არა მწამს
ღმერთიც,
და არც ვაპირებ
შენს უკან დევნას,
რადგან შენს ყოველ
ნაბიჯს, მეხივით,
დაუყოვნებლივ
მოჰყვება ელვა.

სინათლის სვეტი

ისე მწყურია ლაღი ღიმილი,
ბაგეს გიკოცნი ატმის ყვავილო,
მზეო, შენს სხივებს თხილის გულივით
დაუმადლებლად, ვიცი, გამიყოფ.
წყაროვ, დაგყვები შვეული გზებით,
მონატრებული, შენს ხმას, ანკარას,
დამღალა მღვრიე კაკაფონიამ
აღარ დავუგებ ჩიტებს კაკანათს.
იმაღლე სულში, სინათლის სვეტო,
წინ მედო წიგნი, გადასაშლელი,
ღვიოდეს გულში სიწრფელე, ერთობ,
აღარ მეჭიროს ხელში საშლელი.

სიყვარულის ზეიმი

მთის მორაკრაკე ნაკადულები
ბალღს რომ მაგონებს მცინარს,
აირეკლება ქვის წვეროებზე
მარგალიტების მძივად.
არწივი როგორ მიაპობს მაღლა
ცის უნაპირო სივრცეს,
ჩამოისვენებს მერე მთის წვერზე,
რა მედიდურად მიცქერს.
აქ ყველგან სითბო და სინათლეა
ბნელმა დატოვა არე,
ზეცას ახედე, რა სიმშვიდეა
რა ახლოს არის მთვარე.
მწვანე სამოსელს როგორ იხდენენ
მთები ბურჯებად მდგარი,
აქ სიყვარულის ზეიმია და
ჩვენც გადმოგვხსმოდეს წყალი.

ღმერთო, შემინდე!

ბევრი რამ კარგი ყოფილა,
ზოგს არაუშავს, რაც არი,
ცუდიც ვიპოვე, ღმერთმანი,
სულ გადავქექე ნაცარი.
უაზრობასაც წავაწყდი
ვგრიხე და ვგრიხე ბაწარი,
არც რწყილი, არც ჭიანჭველა,
ტყუილად შემრჩა წანწალი.
წარსულს ვერ შევცვლი, რას ვიზამ,
კარგიც და ცუდიც სკივრშია,
ღმერთო, შემინდე ცოდვილი,
გულზე თუ ტვირთი მკიდია.

დავძლიე მაინც

სევდამ გაშალა ისევ აფრები,
კვლავ მივაშურე ძველ სანაპიროს,
ზამთარი იყო დიდი, კოშმარი,
თუმცა აპრილიც ვეღარ აპრილობს.
გამოვექეცი წყეულ დემონებს,
სული ცახცახებს, სანთელი ქრება
ნუ დამაბრუნებ, ღმერთო, წარსულში,
იქნებ მერმისში ვიპოვო შვება.
ნუთუ სამყარო ისე გამწირავს,
ვერ დავიმკვიდრო სულის სიმშვიდე,
მე ჩემი ცოდვაც მეყოფა, ღმერთო,
და აღარ მინდა სხვისას ვიმკიდე.
გამოვექეცი წყეულ დემონებს,
შენკენ მოვილტვი, სულო, საშველად,
დავძლიე მაინც სიკვდილის შიში,
ზღვა სილამაზის გადასარჩენად.

სილუეტები

მოსაღამოვდა, სველი ტერფები
ტოვებენ ნაპირს,
აქა-იქ კრთიან სილუეტები
ღამის ჩრდილებად,
ტალღები ისევ გადაუვლის
კენჭებს, გულგრილად,
თითქოს ნახატი გადაჯღაბნეს
ბალღის თითებმა.

ყველას ვფიცავ

რომ შემეძლოს, ყველას ვფიცავ,
სულ მოვივლი დედამიწას,
მუხლს მოვიყრი წმინდა ალაგს,
თაყვანს ვცემდი ყველა წმინდანს.
იქნებ ხელი მომემართოს,
სამეგობროდ გავდებ ხიდებს,
უფლის მადლი არ მოაკლდეთ
არც პატარებს და არც დიდებს.
ნირს შევუცვლი ომის ღმერთებს
დავაფიქრებ, დავამშვიდებ
და მშვიდობას, ასე ძვირფასს,
კიდით-კიდე დავამკვიდრებ.
ავაშენებ, სიყვარულის,
ერთგულების, ძმობის სახლებს
და სუყველა ჯიშს და ჯილაგს
იმ სახლებში დავასახლებ.
რომ შემეძლოს, ყველას ვფიცავ,
ყინწვისს, გელათს, ნიკორწმინდას...
ომის ფესვებს ამოვძირკვავ,
დავასვენებ დედამიწას.

გაორება

ვერ გაგიმეტე დასავიწყებლად,
მიყვარხარ ისევ და მძულხარ კიდეც,
მინდვრად ყვავილებს შევავლე თვალი
და მერე შენთვის იები ვკრიფე.
ვერ გადაწონა ერთმა მეორე,
გაორებული გულის ხმას ვისმენ,
ცხადშიც, სიზმარშიც, ერთმანეთს ებრძვის
ორი არსება, ორი მე - ისევ.
შენ ხარ მიზეზი ამ გაორების,
არ ვიცი, რომელ დინებას ვერთვი,
ჯერ რომ სითბოთი ამივსებ გულს და
მერე შხამიან ისარს რომ მესვრი.

იკმარე ცოდვა

მე ამ პატარა მიწის შვილი ვარ,
უფლის განგებით გადარჩენილი,
გულს რატომ მაცლი, მკერდში რომ
ფეთქავს,
მერიდიანებს გადაწვდენილი.
რად გეცოტავა, უსაზღვრო სივრცე,
ან დედამიწა ასე რად ბორგავს,
აკმარე ჯვარცმულს სისხლი და ცრემლი
იკმარე ცოდვა, ადამის მოდგმავ.
დიდი ხანია გაორებული
ნდობა-არნდობის საკითს ვუნდები,
საით დაჰბერე, მშვიდობის ზენავ,
მაჯებზე რატომ მადევს ხუნდები.
ისევ შემიპყრობს ეიფორია,
ვიღაცა საცდურს დაუშვებს მაღლით
და მიკვირს, მთვარეს, ასე უმანკოს
გაავებული, რად უყეფს ძაღლი.
ნუთუ მშვიდობა ასე ძნელია,
ვინ ჩაურაზა სიმშვიდეს კარი,
დანაღმულ მინდორს მივწვდი, ლელიანს
და მერე ცისკენ გამექცა თვალი.

რას მერჩი

ხანდახან გიტარაც ტირის
ამინდიც ტირის ხანდახან,
შენი ტირილის მიზეზს კი
უაზროდ ვდიე კვალდაკვალ.
ვაზის ცრემლების გავიგე,
ღრუბლის ცრემლებად დენაცა,
შენი ცრემლების არ მესმის,
არ მესმის, რა ვქნა, გენაცვა.
ალბად კარგად გაქვს დაცდილი,
რას მერჩი, მაინც არ ვიცი,
ისიც მეყოფა, ამქვეყნად
რამდენ ნაღდ ცრემლებს განვიცდი.

გახსენი გული

გამომზეურდი, გაზაფხულის
დატკბი სურნელით,
ნახე, ნიბლია აფრენილა
დილით ბანიდან,
გახსენი გული, გაერიე
შენც მარაქაში,
თორემ ხომ ხედავ, ეს ზამთარიც
უმალ გავიდა.
ირწმუნე თავის და სიკეთეს გაუდგი
ფესვი,
დაარწყულე და გაამაგრე
ნერგი ნარგილით,
სიავე გულში არ გაივლო,
თორემ სამყარო,
იცოდე, უკან დაგიბრუნებს
ბუმერანგივით.

ცისკრის ვარსკვლავი

მინდოდა, რომ ვყოფილიყავ
ცისკრის ვარსკვლავი, მზეწვია,
რა ვქნა, თუ მაინც გზადაგზა
ღრუბელი წამომეწია.
ფიქრების კორიანტელში
ასჯერ გაზომვის ცდაში ვარ,
თოვლის ფიფქივით ქათქათა
აზრებით ცაში დავფრინავ.
მახვევს ჯადოსნურ ბადეში
მბზინავი, სუფთა, ანკარა,
ცუდი არც მახსოვს, ოდესღაც
გაცვთა და ჩრჩილმა დაფარა.
სიკეთე ფარად ვიფარე,
არ მიმატოვებს ღმერთი,
ერთი პატარა ქალი ვარ
სისხლის სულ ერთი წვეთი.

* * *

ეჰ, სიტყვები
შეანარცხეს კედელს,
არ დასცალდათ
დასრულება ფრაზის,
დაატყვევეს
სიტყვაცა და კაციც,
კედელს ვკითხო?
აქვს კი ამას აზრი?

ზაზა მედულაშვილი – სამართალმცოდნე,
პოლიციის მაიორი;
დაბადების ადგილი – გურჯაანი, სოფ. არაშენდა.

მ ე გ ო ბ რ ე ბ ს...

მუზა სტრიქონში გამექცა,
სტრიქონი ლექსად ვაქციე.
თქვენ გენაცვალეთ სუყველას,
ბედნიერ კაცად მაქციეთ.

იწყება ლექსთა თარეში,
რითმების კორიანტელი.
გრძნობების ყალყზე დადგომა,
სიტყვათა სროლა და მტვერი.

ავიღებ ჭიქას ვთამადობ,
ძმაკაცებს გულს ვეფინები.
სიკვდილო დამვიწყებიხარ,
სიცოცხლევ არ მეთმინები.

თქვენ რომ არ იყოთ ამქვეყნად,
ვის ან რას გავიხსენებდი.
ან სულიერი განცხრომით,
რარიგად დავისვენებდი.

თქვენა ხართ ჩემი სიცოცხლის,
ერთი პატარა ფურცელი.
ერთად ნავალი ცხოვრების,
მოგონებები უცვლელი.

უთქვენოდ ყოფნა ვინა თქვა,
სიმდიდრე კაცის გულისა.
გრძნობას, რომელსაც თავს უხრის,
მიწაზე, ყველა რჯულისა.

უთქვენოდ მზე არ ამოდის,
დღეს დღე არ მოსდევს ნაქები.
არ მენანება სიტყვები,
თქვენზე ნათქვამი საქები.

ამ მოკლე წუთისოფელში
უთქვენოდ გამიჭირდება.
ეს წმინდა ურთიერთობა
სულ ჰაერივით მჭირდება.

როცა თქვენთან ვარ, ყოველთვის,
თავი პატარა მგონია.
ამ სიყვარულით ვბერდები,
სხვა არც არასდროს მქონია.

მუზა სტრიქონში გამექცა,
რითმები მოდის დინებად.
თქვენს დანახვაზე მეწყება
თვალზე ცრემლჩამოდინება...

ძმაკაცებს...

გულს უხარია, კეთილი
ძმა როცა მივა ძმისასა.
დაილოცება, დაჯდება
კახური ღვინის სმისასა.

გადაგეხვევა კაცურად,
ხმა გაისმება ძვლისასა.
სიყვარულს მოწყურებული,
სხივს მაიპარავს მზისასა.

გულს ამოიღებს, გაჩუქებს,
არ დაგიფასებს ძვირსასა.
არ გაწყენინებს არაფერს,
ჯავრს არ შაგაჭმევს მტრისასა.

სუფრისა თავსა დაჯდება,
როგორც არწივი, კლდისასა.
არ გამოტოვებს არაფერს,
ბარისასა და მთისასა.

სითბოს გადმოჰყრის თვალთაგან,
ბუხრისა ნაკვერჩხლისასა.
ჩამაარიგებს აქიებს,
მონაყოლს, წინაპრისასა.

ფანდურზე ჩამაამღერებს,
ნაფოტისას და წყლისასა.
თავისი ენით გადმოგცემს,
სიტყვას არ იტყვის სხვისასა.

ადგება სუფრას გახედავს,
თვალითა, შევარდნისასა.
ალბათ, ბევრი აქვს სათქმელი,
კბილებს ილესავს, მგლისასა.

შემდეგ კი რიხით დაიწყებს,
ლექსებსა თამადისასა.

ჩაარაკრაკებს სტრიოქონებს,
იტყვის მიწის და ცისასა.

მემრე პატარებს უამბობს
ვაჟა ფშაველას შვლისასა.
სულხანის იგავს მოჰყვება,
მელიისას და თხისასა.

კვლავ გაიხსენებს ძველ ამბებს,
გადახდილს, დიდი ხნისასა,
მეგობარს მივა ალავერდს
და მხარს მიადებს მხრისასა.

ყანწებსაც ჩაეჭიდება,
ვით ვადას, ფრანგულისასა.
სიტყვა-პასუხით ედრება,
პაპის ხანჯლისა ფხისასა.

დიდხანს იმღერებს, ილექსებს,
ცეკვას დაუვლის, წრისასა.
თიხის ფიალით დალოცავს,
ოჯახის სარჩოს, წლისასა.

ანეგდოტებსაც მოჰყვება,
დედამთილის და რძლისასა.
გაცინებს, გამხიარულებს,
არ გააჩუმებს პირსასა.

ბოლოს კი სტუმრებს დალოცავს,
ყველას და ყველა გზისასა.
დიდ-პატარასაც უსურვებს,
სახლში მშვიდობით ძილსასა.

ჩვენს სალოცავებს ადიდებს,
ნაკურთხი წყლითა, ქვისასა.
მაღალი ღმერთი გფარავდეთ
და ძალა ვაზის ჯვრისასა...

ვახსენოთ ღმერთი მაღალი...

ბალახს სისველე დაეტყო,
ნამი აპკურა ცამაო.
ერთმანეთს ნაზად შერწყმია,
მთისა და ბარის ჰავაო.

ხან უძილობას ვუჩივი,
დროდადრო გამაწამაო.
ალბათ ტკივილიც იყუჩებს,
გაივლის მალე წავაო.

რაც იყო ნუღარ მისტირი,
აღარ დაიწყო დავაო.
რაც დარჩა წლები, გაივლის,
ისიც უჩუმრად გავაო.

მოვა სიბერე, შეგვატყობს,
მუხლებში თანდისთანაო.
ყინულის სახით დავდივართ,
დრო დადგა ამისთანაო.

ქართველმა უნდა იკაცოს,
უნდა იქალოს ქალმაო
და ვაჟკაცურად გავუძლოთ,
რომ არ შეგვჭამოს ვალმაო.

ავდრის ღრუბლები შეჰყარა,
ჯერ სიომ, შემდეგ ქარმაო.
მომავლის ფიქრმა დამძალა,
ეს გული შემიქანაო.

ვახსენოთ ღმერთი, მაღალი,
ნუთუ გაგვწირავს განაო.
არც მოღალატეს შერჩება,
ერთი დრო ძველი ხანაო.

კარგიც და ცუდიც მოკვდება,
ყველა მიწაში ჩავაო.
კარგს კარგად მოვიხსენიებთ,
ცუდს კი საერთოდ არაო.

ღმერთო, სუყველას
გვიმრავლე,
ვაზი და პურის ყანაო.
მტყუანს თვალებში ჩავხედოთ,
პირში არ დაგვრჩეს ჩალაო...

ღ მ ე რ თ ო მ ო მ ა ს წ ა რ...

ღმერთო, მომასწარ შვილების
ანგელოზ ფრთათა შვილებსა.
თუ ეს წუთები დამიდგა,
სიკვდილ ვერ შამაშინებსა.

ღმერთო, მომასწარ ამ დროში
ბოროტს კეთილით ძლევასა.
თუ ეს წუთები დამიდგა,
გული არ შეწყვეტს ძგერასა.

ღმერთო მომასწარ ამ ქვეყნის
გაჭირვებულთა შველასა.
თუ ეს წუთები დამიდგა,
ჯანღონით ვნახავ ყველასა.

ღმერთო მომასწარ თვალთაგან
კეთილ საქმეთა მზერასა.
თუ ეს წუთები დამიდგა,
ჟამს არ გავყვები კლებასა.

ღმერთო, მომასწარ სამშობლოს
ყველა მხრის აყვავებასა.
თუ ეს წუთები დამიდგა,
ვიგრძნობ სულიერ შვებასა.

ღმერთო, მომასწარ ქართველთა,
ყველა მტრის უკუგდებასა,
თუ ეს წუთებიც დამიდგა,
რა გააციებს კერასა...

შ ე მ ო დ გ ო მ ა

მიყვარს სიჩუმე ღამისა,
მთვარიან-ვარსკვლავიანი.
რიჟრაჟზე ნისლის ჩადგომა,
დილა კი ცვარნამიანი.

ტყეში ფრინველთა გალობა,
საამოდ ნაზი, ხმიანი.
სექტემბრის თბილი დღეები,
ზოგჯერ კაშკაშა, მზიანი.

სოფლის სუნთქვა და დუღილი,
გაჩაღებული რთვლიანი.
ვენახის თავს და ბოლოში,
ბალღები - ლამაზთვლიანი.

დაღლილ-დაქანცულ მარჯვენით,
ყურძნის საწურის ბზრიალი.
დედაკაცების ფუსფუსი,
სუფრის გარშემო ცქრიალი.

მაყალზე ცეცხლის ანთება,
დინჯად შამფურის ტრიალი.
ჰაერში მძაფრი სურნელი,
სუკის მწვადები, ცვრიანი.

კაკლის ხეს დაკიდებული,
მსუქანი ვაცი, რქიანი
და შემოდგომა კახეთში,
ხვავიანბარაქიანი.

მიყვარს სიჩუმე ღამისა,
ცაზე ვარსკვლავთა ციალი.
სულ სიკეთეში გავლიოთ,
სიცოცხლე - ოხერტიალი...

ი ს ე ვ ღ ვ ი ნ ო...

არც ოქრო და არც ბაჯაღლო,
ბრილიანტი, ძოწი, ლალი.
ღვინო არის დასალევი,
გავიწყდება ყველა ვალი.
არც ევრო და არც დოლარი,
არც ლარები ან სხვა ფული.
ღვინო არის ერთეული
და საზომი ერთეული.
არც წამალი, არც თრიაქი,
არც რაიმე მოსაწევი.
ღვინო სვი და არ მოგივა
საიქიოს მოსაწვევი.
არც დიდი და არც პატარა,
არც ახალი, აღარც ძველი.
ღვინო არის ქართველისთვის
სტუმარი და მასპინძელი.
არც სიკვდილი, არც სიცოცხლე,
არც აფრენა და არც გდება.
ზოგჯერ დიდი ოცნებები,
უღვინოდაც არა ხდება.
არც მუზები, არც რითმები,
მწერლები ან პოეტები.
ხშირად ღვინით დაწერილა,
ლექსები და პოემები.
არც ძეობა, არც ნათლობა,
იუბილე ან სხვა სუფრა.
ღვინო არის წმინდა სითხე,
დახვედრა კი გულით სუფთა.
არც ქორწილი, არც ქელეხი,
უღვინოდ ხომ არსად ხდება.
აქ მიწაზე ვაზისა და
მაღლა არის ღმერთის ნება.
ღვინითაა მოტანილი
ყველაფერი, რაც გვაქვს დღემდე.
ვენახ-ვენახ გაგვივლია,
კაკლის ხიდან მუხის ხემდე...

ვ ა ზ ი ს ტ ი რ ი ლ ი...

ვაზის ტირილის ხმას ვერ გაიგებ,
მაგრამ ხედავ რომ ცრემლად იღვრება.
ხან დაუჩოქებ, ხან თავს დაჰყურებ,
მუხლი და მკლავი ერთად იღლება.
უვლი საოცარ მცენარეს კაცი,
გული სიკეთის მადლით ივსება.
სადღეგრძელოც და შესანდობარიც,
ვაზის ნაჟური ღვინით ისმევა.
მთელი ცხოვრება მიწასთან ჭიდილს
შეუჩვევია კახელი გლეხი.
ხან გულმოსული ფიქრობ, დროდადრო,
ვენახისაკენ არ გადგა ფეხი.
მაგრამ რარიგად ეღალატება,
ჩვენი საქმეა ვაზი და რთველი.
რომც არაფერი გააჩნდეს სხვა რამ,
ღვინით ამაყობს მუდამ ქართველი.
იმატა სითბომ, დაიძრა კვირტი,
რტოთა ტირილმა გახსნა იარა.
ვაზს ვეფერები და თან ვღიღინებ,
ყველა ტკივილმა გადამიარა...

წ ა დ ი...

ღვინის დოქზე გამიშტერდა თვალი,
აზრებს ვმწყემსავ, როგორც ცხვრების ფარა.
სიტყვებს ვეღარ მოვუყარე თავი
და ახალმა ძველი გადაფარა.
ეს ახალიც დაძველდება ოდეს,
ასეთია ამ ცხოვრების რითმი.
ან იმედი რისი უნდა მქონდეს,
როცა დღეებს სულ თითებზე ვითვლი.
მე ყოველთვის მაწუხებდა ფიქრი,
როგორ ვზიდო ეს ცოდვები მარტომ.
შორი გზა მაქვს გასავლელი, მივქრი,
ამ მგზავრობის დასრულებას ვნატრობ.
სადაც არი ჩამოივლის წამი,
როცა გული დაამთავრებს ფეთქვას.
ვინმემ მითხრას რაღას უცდი, წადი,
დავმორჩილდე, ვერაფერი მეთქვას.
როგორც ღვინო, გამოცლილი დოქში,
თვალში ცრემლიც გამქრობია უკვე.
ვზივარ ახლა მიყრუებულ ქოხში,
გარდასულ წლებს ისევ გუნდრუკს ვუკმევ...

ჩ ვ ე ნ ი ჯ ვ ა რ ი...

ღმერთო სიკეთე მოგვეცი,
ჩვენს სახელ მამის გვარზედა.
სიმართლის გზაზე გვატარე,
ამ წუთისოფლის კარზედა.

მოგვეცი ძალა და ღონე,
გარჩევა მტერ-მოყვარისა.
ჭირთა თმენა და განჭვრეტა,
აწმყოს თუ მომავალისა.

არ დაგვავიწყო სიტყვები,
ილიას ნაქადაგარი.
ენა, რწმენა და მამული,
წინაპართ ნაამაგარი.

გულში თუ ბოღმა ჩავიდეთ,
შური ან სიტყვათ ბოდვები.
უფალო, ყველას შეგვინდე,
ამქვეყნიური ცოდვები.

დიდება, ღმერთო, შენს სახელს,
დაცლილო სისხლად, ოფლადა.
ჩვენ ჩვენი ჯვარი აგვკიდე,
სატარებელი, სოფლადა...

ნ უ უ ღ ა ლ ა ტ ე ბ...

ნუ უღალატებ შენს მეგობარს, მეზობელს, ძმაკაცს,
ნუ უღალატებ, თუ გაქვს ნამუსი, ანდა კაცობა.
ნუ უღალატებ შენს მეუღლეს, შვილებს, დედ-მამას,
ნუ დაამტკიცებ სამუდამო არაკაცობას.
ნუ უღალატებ სიტყვას, შენსას, ფიცით მიცემულს,
ნუ უღალატებ სახლ-კარსა და წინაპართ კერას.
ნუ უღალატებ ათი მცნებით დატვირთულ ფურცელს,
თორემ იმქვეყნად ვერ წაიღებ აქედან ვერას.
ნუ უღალატებ შენს ქვეყანას, ენას და მამულს,
ნუ უღალატებ სოფელსა და ამ სოფლად მცხოვრებს.
ნუ უღალატებ ქართულ მიწას და მაღლა ზეცას,
იქნებ იმქვეყნად შენი სული ადვილად ცხონდეს.
ნუ უღალატებ თუ ვინმესთან გატეხე ლუკმა,
ნუ უღალატებ თუ ამ ლუკმას ახლავს სათქმელი.
ღალატის ნაცვლად ერთხელ მაინც დაფიქრდი ცოტა,
რას დაგამსგავსებს ნაკეთები, შენი საქმენი.
ამიტომ... სანამ პრეტენზია თუ გაქვს სიმართლის
და თუ არ გინდა, რომ გახსენონ ოდეს კაცუნად.
სანამ შვილიშვილს კბილებს მოსჭრის შენი ტყემალი,
ეცადე, კვალი რომ დატოვო მართალკაცურად...

გამიხსენეთ...

თუკი ამქვეყნად აღარავის არ ვეხსომები,
ჩემი საფლავიც თუ წაშალოს გავლილმა წლებმა.
თუკი ძველთაძველ მოგონებებში კვლავ შემოგრჩებით,
მაშინ ლექსებით გამიხსენეთ ხანდახან ძმებმა.

არ დაივიწყოთ, რომ თქვენ გვერდით იდგა ის კაცი,
ვისაც უყვარდით, გაღმერთებდათ და პატივს გცემდათ.
აქ სიცოცხლეში, თქვენთან ვიყავ მუდამ ერთგული,
ალბათ დრო იყო, მიტომ წაველ, არა ღირს ცრემლად...

სიზმარი წუთისოფლისა.

მშვიდობით, ჩემო ცოლშვილო,
შორ გზას მივდივარ ზეცადა.
ბევრი ვიღონე ამქვეყნად,
სიცოცხლე კიდევ მეცადა.
მუხლმოდრეკილი ვიქეცი,
ხვეწნა-მუდარა-თხოვნადა.
მიქელგაბრიელს შეგირდი
გამოეგზავნა მსტოვრადა.
არ შეისმინა ვედრება,
რა აღარ ვთხოვე ,,ძმურადა,,
მიბრძანა: "თავი დახარე
და გამომყევი ჩუმადა.
დავნებდი, მივყევ დინებას,
სხვა რა გზა დამრჩა ან ჩარა.
დინების ძალით გამჭრელი,
უფრო ადვილად დამხრჩვალა.
მივდივარ, გზა არ მთავრდება,
კაცთაგან ვითხოვ შველასა.
თითქოს ჩამკვდარა სიცოცხლე,
ჩასძინებოდა ყველასა.
შევაღე კარი, შევედი,
მიმოვატარე თვალები.
მომჩერებიან ნაცნობნი
დამძიმებული თავებით.
გამომაბრუნეს ხელის კვრით,
სიტყვაუთქმელად მიწადა.
დამხვდა, ვინც ჩემი სიკვდილი
არ დაიჯერა, მიცადა.
მოვედი, ჩემო ცოლშვილო,
გზა არ დავკარგე სახლისა.
ბევრი მაქ საკეთებელი
თქვენთვის და ჩემი ხალხისა...

დ ე დ ა ს...

თუკი ყოველდღე ვუყურებთ დედას,
ყოველდღიურად თუ გვაქვს კონტაქტი.
მაშინ რად გვინდა კალენდარულად,
დაწესებული ეს სამი მარტი.
მივუალერსოთ საყვარელ მშობელს,
მას ხომ დედობა არგუნა ბედმა.
ნიშნად ამქვეყნად მოვლინებისთვის,
ყოველდღე ვუთხრათ: "მიყვარხარ დედა..."

თ ო ნ ე ზ ე...

მაყალზე ცეცხლი ავანთოთ,
შამფურზე შევწვათ მწვადია.
იცით, რომ თქვენთან ყოფნა და
კვლავ სიყვარული მწადია.
კახურად, მამაპაპურად,
თონეს შემოვდგათ ხელადა.
შემოვარიგოთ ფიალა,
როგორც ვიცოდით ძველადა.
ლექსებისა და სიმღერის,
სანამ კიდევ გვაქვს სურვილი.
ვიცეკვოთ, ვიმხიარულოთ,
ღვინით მოვიკლათ წყურვილი.
ვიყმაწვილკაცოთ ჯერ კიდევ,
სანამ ძვალს ყინვა გაატანს.
სხვა რა შეგვრჩება ამქვეყნად.
იმ ქვეყნად ვინ რას გაგვატანს.

სიყვარულს...

ჩვენი ხანმოკლე სიცოცხლე
უსიყვარულოდ რა არი.
სიცოცხლე ზღვაში წვეთია,
სიყვარული კი ზღვა არი.

დიდი, ზღვასავით ლამაზი,
ხანდახან მუდამ მღელვარე.
თვალუწვდენელი, ზღვასავით,
მზის შუქზე მუდამ მღელვარე.

ოცნება კვლავ სიყვარულზე,
ფიქრები მოზვავებული.
გულის სიღრმეში განცდილი,
გრძნობები, მოზღვავებული.

ადამიანი, რომელსაც
ეს ტრფობა არ განუცდია
და წმინდა გულით ნაპოვნი
ოქროზე არ გაუცვლია.

ის არი კაცი ამქვეყნად,
ის არი ქალი – ნამდვილი.
კაცისთვის ქუდი, ნამუსის,
ქალისთვის – წმინდა მანდილი.

ჩვენი ხანმოკლე სიცოცხლე,
უსიყვარულოდ რა არი.
სიცოცხლე ზღვაში წვეთია,
თვით სიყვარული ზღვა არი...

ნუ გგონიათ...

ნუ გგონიათ, ღვინით ვთვრები,
სიყვარული მათრობს მუდამ.
რადგან, ჩემდაუნებურად,
გულსაც ზუსტად ასე უნდა.
მივუყვები ვიწრო ბილიკს
და ტრიალებს ბედის ჩარხი.
ვცდილობ, ისევ არ ვირწმუნო
ვიღაცისგან მონაჩმახი.

ვცდილობ, თავი დავაღწიო
გაუგებარ ლაბირინთებს.
ვცდილობ, მივყვე მხიარულად
ამ ცხობრების ლამაზ რითმებს.
სიყვარული თუ მათრობდა,
ახლა ღვინოც მათრობს მუდამ.
მომავალშიც ეს მოხდება,
რადგან გულსაც ასე უნდა.

თ უ რ მ ე...

თურმე ცეცხლი, და კიარა...
მზემ გაახილა თვალები.
მთვარე ცის კიდეს გადასცდა,
ნაგოვარ-ნაბურთავები.
წამოეპარათ დღის შუქი,
გაქრა ვარსკვლავთა ციალი.
ქარი მთებს დაუჭერია,
ნუღარც მოსულა, ტიალი.
მინდორს მალამოდ ედება
დილის სიგრილე, ლაკბისა,
ცაში ტოროლას გალობ
ყურმა არც მოინაკლისა.
დაპურდა ურო, ბალახი,
მწყერმაც იქ გადაინაცვლა.
გამხმარი ძურწის თესლები
მუცელში გადაიმარცვლა.
შეჯგუფებულან მერცხლები,
ტკბილ ხმაზე ნაჭიკჭიკებნი.
მუხას შემოსხდნენ ქედნები
ჩიჩახვებგანატიკნები.
ოფოფნიც შეგროვებულან,
თავსავარცხელა ყრილობით.
ლამაზმა კვირიონებმა,
გადაიფრინეს ,,კვირობით",
ძველ ნაგზაურზე შევნიშნე,
გვრიტი აფრინდა ორ-ორი.
შორიდან ზვერავს საკბილოს,
ქორი, ძერა და ოლოლი.
ცას სერავს ჟივილხივილით
ნამგალას ნამგალკუდობა.
გამრავლდა, გაათასმაგდა
ფრინველთა ყველა ბუდობა.
სიცარიელე იგრძნობა,
როს ფეხი შევდგი ნამკალში.
რიგი თბილ ქვეყნად მიფრინავს,
რიგი აქ რჩება ზამთარში.
რთულია ემიგრანტობა,
წინ დიდი გზა აქვთ სავალი.
მრავალი მტერი სდარაჯობთ,
ზოგჯერ არ არის სამალი.
რას ვიზამთ, ასე ყოფილა,
ცხოვრება მრავალთვლიანი.
ყველა სულიერს ეკუთვნის,
სიცოცხლე სამართლიანი...

,,ლიკას ლექსი,, {შვილი}

სულ პატარა ყვავილი ვარ,
მინდორ ველზე ამოსული.
ირგვლივ სხვებიც მამშვენებენ,
არ გეგონოთ მარტოსული.
გაზაფხულის სურნელი ვარ,
ქუჩა-ქუჩა მოფენილი.
ამ მიწაწყლის მერცხალი ვარ,
მახარობლად მოფრენილი.
ერთი ცელქი გოგონა ვარ,
არ გეგონოთ მუდამ წყნარი.
მე დედ-მამის სიცოცხლე ვარ,
მათი უკვდავების წყალი...

თებერვალი.

ო, როგორ მიყვარ ყურება,
ალმოდებული თონისა.
ბაბო ამოსჭრის გუნდებსა,
დააწყობს შორიშორისა.

მერე ჩააკრავს, დაცხვება,
დედას შოთები, ბროლისა.
თებერვალია, დამდგარა,
დრო - ზენა ქარის ქროლვისა.

კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი

ბებერ ფესვებზე შემართულა კავკასიონი,
ნისლის გვირგვინი დაუდგია ჭაღარა თმებზე.
მეფის იერით გადაჰყურებს ბარის ცხოვრებას,
აინტერესებს, თუ რა ხდება ალაზნის ველზე.
მაგრმ რა ხდება თავად მთაზე, ნეტა ვინ იცის,
გარდა იქ მყოფი სულიერი ნადირ-ფრინველის.
ხანდახან ვინმე მონადირე თუ შეაწუხებს,
თავისი ნებით, დაპატიჟებულს არავის ელის.
ჩაფიქრებული, ხანდახან კი სევდანარევი,
თითქოს იხსენებს ქარტეხილებს თავზე გადავლილს.
მიესალმება ზაფხულის მზეს, სხივებს დასტყუებს,
თოვლიან კალთებს დაიფერთხავს
ზამთრისგან დაღლილს.
გათბება მისი ფერდობები, ყინვადამძრალი,
და კვლავ სიცოცხლეს უბრუნდება სუნთქვაშეკრული.
დეკის ყვავილის სურნელებით გაჯერებული,
ზურგზე გადიყრის ნორჩ ბალახებს ჯიხვი, ბედკრული.
აგერ შურთხები, ლამაზი მთის დამმშვენებლები,
შეჩვეულები საჯიხვეების უმკაცრეს ყოფას.
არ შორდებიან მთელი ცხოვრება, ძმადნაფიცივით
უკან დასდევენ, ანიშნებენ მტრის მათთან ყოფნას.
დათვიც გამოჩნდა, ორი ბელი მოსდევს ბურდღუნით,
ზვავთან ჩერდება, ყურადღებით ზვერავს გარემოს.
ქვევით იჩქარის, მიძუნძულებს, რათა დროულად,
რამე იპვოს, სასუსნავი დააგემოვნოს.
განა ცოტაა, ვისაც გული უწევს მთისაკენ,
აგერ, არწივი შემართულა მოსწყდეს სიმაღლეს.
გაჰკვეთავს ჰაერს, გააკეთებს ლამაზ ირაოს,
დაბადებიდან მიჩვეული ამგვარ სილაღეს.
ქართულ ფესვებზე შემართულა თავად ქართველი,
კავკასიონი დიადი და პირმშვენიერი.
ჩაფიქრებული ვუცქერ ჩუმად და იმით ვტკბები,
ამ დიდებულ მთას როგორ შვენის მეფის იერი.

მე თვითონ ვიტყვი.

მე თვითონ ვიტყვი, რაც მინდა,
სიტყვას არ ვართმევ სხვასაო.
მივდივარ, ჩემით გავიგნებ,
ცხოვრების მრუდე გზასაო.
ის, რაც არ მინდა, არ ვიზამ,
ვერ მომახვევენ თავსაო.
თავის ჭკუაზე ატარებს,
ტალღაცარიელ ნავსაო.
მობრძანდით, გეპატიჟებით,
ძალით ნუ მიმტვრევთ კარსაო.
მშვიდად ცხოვრება მაცადეთ,
ტყვილა ნუ მკიდებთ შარსაო.
თუ დამნაშავე არა ვარ,
მე ვერ ავიტან ბრალსაო.
არ მოგასვენებთ ცოდვები,
ძმა რომ წამკიდეთ ძმასაო.
ვიდრე არსებობს ბულბული,
მიკვირს რად აქებთ ყვავსაო.
ყველა ბატონი ნატრულობს
ყოველთვის მორჩილ ყმასაო.
როგორც შვილსა და შვილიშვილს,
მიყვარს და ვუვლი ვაზსაო.
გულით მწამს, გულით ვატარებ
ჩემს სატარებელ ჯვარსაო.
თუ რამე კარგი გავიგე,
ხელით მივწვდები ცასაო.
სამშობლოსათვის მოვკვდები,
გვერდზე გადავდგამ მთასაო.
მოკეთეს ტკბილად დავხვდები,
მტერთან არ დავდებ ზავსაო.
სადამდეც მამულს სჭირდება,
ვიბრძოლებ იმდენ ხანსაო.

ლ ო თ ი...

ლოთი არ არის ვისაც ღვინო უყვარს კაცურად,
ვინც დალევაში ეძებს მხოლოდ დიად სიყვარულს.
ლოთია ის, ვინც უქეიფოდ ღვინოს და არაყს
გადააყოლებს ცხოვრებას და ყველა სიხარულს.
ლოთი არ არის ის, ვინც ღვინოს აქებს, ადიდებს,
ვისაც სჯერა, რომ ღვინო მხოლოდ ქრისტეს სისხლია.
ლოთია ის, ვინც ღვინოს დალევს მხოლოდ სათრობად,
რის შედეგადაც მის თვალებში მხოლოდ ნისლია.
ვინც ღვინის ფასი გაუტოლა ჭეშმარიტებას,
ასეთ კაცს, ვფიქრობ, ჩემი აზრით, ლოთი არ ჰქვია.
ლოთია ის, ვინც ღვინო მხოლოდ შხამად შეირგო
და მისი მადლი საგინებელ ღვარძლად აფრქვია...

გზა წუთისოფლისა

ერთ დროს სიცოცხლე, მოგიზგიზე, როგორც კოცონი,
დაკარგავს ძალას, ბოლოს ნაცრად მიინავლება.
ჩავა მზე, ჩვენი დედამიწის სინათლის წყარო,
ღრუბლებში მთვარე მოკრძალებით მიიმალება.
და შეპარულად თუმცა მაინც სიბერის შიში,
სულს აღაშფოთებს, ახალგაზრდულ გულს დააღონებს.
თვალის სინათლეს დაგიჩრდილავს, მუხლს მოგიკვეთავს,
შემოგიჩნდება და წაგართმევს მკლავებში ღონეს.
როცა იქნება, სიკვდილის გზა ყველასთან მივა,
დავაკაკუნებთ იმქვეყნიური ცხოვრების კარზე.
არ შეეშლებათ ძველ ნაცნობებს სტუმრის დახვედრა,
შემდეგ წარვსდგებით წუთისოფლის სამსჯავრო სკამზე.
ამიტომ სანამ ერთმანეთის გვერდით ვიქნებით,
სანამ ჯერ კიდევ საქმემ კეთილმა ბოროტსა სძლია.
ახლა გავიგებთ წუთისოფლის უმოკლეს გზაზე,
ერთმანეთისთვის სიყვარული თუ შეგვიძლია.

მ ა ხ ს ო ვ ს.

მრავალი მახსოვს შავი დღე
და თეთრი ღამეც ბევრია.
ძვლებშიც შამყრია სიცივე,
ქარიშხლის მონაბერია.
მრავალი მახსოვს ლურჯი ცა,
ლაჟვარდოვანი მზიანი.
ბავშვობის უკიდეგანო,
დღეები ხალისიანი.
მრავალი მახსოვს ამ თავში,
ათასი აზრის ტრიალი.
მრავალიც გამომივლია,
უგზოო გზები მტვრიანი.
რას ვიზამთ, მუხანათური,
სიკვდილიც მოვა ტიალი.
სანამ წაგვიყვანს, დავძახოთ
სიმღერა, მრავალხმიანი.
მინდა რომ ყველას გვიყვარდეს,
სამშობლო, ზურმუხტთვლიანი.
ქართული საქმე ვაკეთოთ,
სანამ არ არის გვიანი.
მრავალი მახსოვს შავი დღე
და თეთრი ღამეც ბევრია.

გავვერთიანდეთ ქვეყნისთვის,
ყველა, ერი და ბერია.

შვილებს.

ლიკა, ჩემო სიცოცხლე,
გაზაფხულის ყვავილო.
მომავალი დედა ხარ,
უნდა დაიყვავილო.
ილო ჩემო ვაჟკაცო,
საქმით არვის დაზარდე.
თუ სამშობლოს დასჭირდი,
მის დამცველად გაგზარდე.



ირა სოფრომაძე – იურისტი, ისტორიკოსი, პედაგოგი; დაბადების ადგილი: ტყიბული – საწირე.

როდის?

სხეული ლამის სისველით წვეთავს,
ისე გაავდრდნენ სულში დარები.
შტორმში მოქცეულს ვადარებ ჩემს თავს,
ხან გამორიყულ თევზს ვედარები.

სიზმრად თარეშობს კვლავ მონატრება,
შენი ამბორიც ჩურჩულით მოდის.
მაგრამ ვიცი, რომ დრო მეპარება,
ვერ გაგიხსენებ და გკითხავ: "როდის?"

მაშინ წარსული ჩრდილებს აკრიბავს,
წიგნს ჩაეკვრება მოგონებები.
ქარი ჩურჩულით ყვება ჩვენს ამბავს,
შემოდგომა მაქვს, ნელა ვბერდები.

თუ წახვალ უნდა ღირდეს...

ისე გაავდნენ სულში ქარები,
მელანქოლიას მკლავებს ალეწენ.
და მე წარსულში ისევ ვვარდები,
სერაფიმები იქაც მარწევენ.

დროის ხელში ვარ და როგორც კენჭი,
საით მომისვრის, წამებს ავითვლი.
ჩანს, წუთისყოფავ, იმედებს ებრძვი
და მე აქ ყოფნის დღეებს დავითვლი.

გულსაც ღრუბელი ადევს შავ ლაქად,
წასვლა-დარჩენის სიებს წერს მგონი.
თუ წახვალ, უნდა ღირდეს ამ წასვლად,
არა სატირლად – დარჩენის დრონი.

ოხ, სიბერევ!

მარცხნივ სიბერე მომყვებოდა,
მარჯვნივ – სილამაზე დათენთილი.
გულზე მონატრება მომსკვდომოდა,
ჩემი გრძნობებივით აწეწილი.

ავჩქარდი და მაინც მომეწია,
ნისლში დაცურავენ შიკრიკები.
დროის საფქვავი დამელია
და შენც ბრაზმორევით იღრინები.

სიკვდილის მოციქულად ვინ დაგნიშნა,
ადრე რომ ჩამნიშნე მაგ უსტარში.
მინდოდა, შემოდგომა აღმენიშნა,
მაგრამ მომეწიე ზამთრით გზაში.

ვფიქრობ, შეგეშალა ადრესატი,
ვფიქრობ, შენც დაბერდი, სიბერევ.
წარსულს შენთებია უკვე ხვატი,
უკვე მზის ჩასვლისა ვიმღერე.

...ოხ, სიბერევ!

ენკენისთვე..

აღარ მხიბლავს კაბაკუბა ეს ჭრელები,
რადგან სული მაქვს ერთ ფერში დასუდრული,
არასწორი არჩევანით წარსულს ვრჩები,
მოთმინება ისე ბორგავს, როგორც ზღრული.

ენკენისთვე კვლავ ეძახის სადღაც შორს ფურს,
ხმელ ფოთლებში მეეზოვე დაშრიალებს,
მე მათსავით ნაადრევად წასვლა არ მსურს,
თუმც წარსულით ვეღარ ვხედავ სხვა იმედებს.

შემოდგომა გულს ჩაუდგა ამ სიყვარულს,
დაიღვენთა, შესაწირი, ის სანთელი,
დავიჯერო, რომ სანთელსაც აღარ ძალუმს?...
დავიღალე, აღარ დამრჩა მეც სათქმელი.

ენკენისთვე კვლავ ეძახის სადღაც შორს ფურს....
შემოდგომა ჩაგვიმწიფდა მას ასე სურს..

ისევ გაავდნენ სულში ქარები..

შემოიარე, აპრილია..

პირველი აპრილია, მაშინ ტყუილი გითხარ,
ახლა მონატრებას მწუხრის ფერი უდგას.
ტირიფებივით ატირებულს, დავმალავ დიდხანს
იმ ნაოჭებში ჩამოშვებულ იდუმალ სევდას.

ოხ, ეს ასაკი, ასკინკილით ჩამომირბინა,
წლები ამართვა, ვერ გაცვითა მოგონებები.
ისევ ისეთი გაზაფხული წარმოიდგინა
და ის ვარდისფრად შეფიფქული ატმის რტოები..

ახლაც გვირილას ფურცლებს ვაცლი ისევ ვთამაშობ,
“მოხვალ?...” “არ მოხვალ?...” “მოხვალ” – დამრჩა უკანასკნელი.
მოგონებებში გამპარვია მთელი სამყარო
და წარსულისგან სხვას არაფერს აღარ მოველი.

გუშინ, გუშინწინ, რაც იყავი, თუმცა აღარ ხარ,
გავყუჩულვარ და სინანულით დავყურებ ხელებს.
შემოიარე აპრილია, ისევ ბაღში ვარ,
მოგონებებით მოვერიოთ იქნებ სიბერეს.

შენ მოლოდინში

ვნების მორევში დავრჩი შიშველი,
შენი ხელების გიჟურ თარეშში.
თუ დაბრუნებით რამეს მიშველი,
გამათარანებ მე შენ მკლავებში.

დაიზმორება გრძნობა დამთვრალი,
ტუჩებით ლოკავს სიშიშვლის სიტკბოს.
წაკიდებია სარეცელს ალი,
შენთან შეხვედრას და ალერს ითხოვს.

ბუხრის წინ ღამე წამოწოლილა,
სიზმარი ვარცხნის თმებს მოგონებებს.
ქარი ეჭვებით ლამის შეშლილა,
ზამთრის ფლეიტას უბნევს აკორდებს.

როცა ჩამოკრავს საათი თორმეტს
და დაცლის სასმისს კვლავ მონატრება.
მაშინ ბედობა აითვლის წამებს,
არავინ იცის რა ელოდება.

თოვლის ფიფქები მეკვლედ მოდიან,
მთვარე ქათქათა თოვლში ბუქნაობს.
ფეხის ხმას უყეფს ჩემი ბროლია,
შენს მოლოდინში ჩანს ისიც ხარობს.

ნუ წახვალ

ნუ წახვალ, მობრუნდი, დავიწყოთ თავიდან,
ნუ მიმატოვებ და შეცდომებს გავექცეთ.
ხედავ? ღრუბლებიც წყვილ–წყვილად წავიდა,
ამ ლაბირინთებს ჩვენც იქნებ დავეხსნეთ.

თუ წახვალ, იცოდე, ძნელია დაბრუნება,
ამ წვიმას ნუ მივცემთ, გრძნობები დატბოროს.
თუ ჩვენს სიყვარულში მწუხრი დაბუდდება,
ვეღარ გავანათებთ ნაფერებ სამყაროს.

გთხოვ, კიდევ ერთხელ, მოხედე ჩემს ცრემლებს,
რაღაც რომ გბოჭავს და გაფიქრებს მეც ვხვდები.
მაგრამ განშორება შენ აღარ გაწამებს,
და ასე მარტივად იყრება ეს გზები..
..
ნუ წახვალ, მობრუნდი, დავიწყოთ თავიდან....
ნუ მიმატოვებ და შეცდომებს გავექცეთ..

ხელი ჩამჭიდე

ხელი ჩამჭიდე, მაგრად ჩამჭიდე, კვლავ
შენთან ვრჩები,
იქნებ შევძლო და გავარღვიო მოგონებები.
აცეკვებულან ქარის ფრთებზე ლაბირინთები,
რა მემართება, წავბორძიკდი და ვეღარ გწვდები.

წამომაყენე, მომეშველე, რატომ არ გჯერა,
მე უშენობით ვერ გავიკვლევ გზას, ისეც ბნელა.
ვიცი, დამტანჯავს, დაწერილი ეს ბედისწერა,
ჩემკენ ამ ნისლში რომ მოცურავს ტაატით, ნელა.

ხელი ჩამჭიდე, ჩამეკარი კვლავ სიყვარულით,
ვერ მოგვერიოს წარსული და აწმყო მტკნარი.
კვლავ ვიაპრილოთ სიყვარულის
ტკბილი წარსულით
წუთისოფელი ერთი მოკლე სიმღერა არი.

წვიმად მოვედი

ატირდა ღრუბელი ბიბლიურ წვეთებით,
სიმართლე აწვეთეს ზედ კაცობრიობას.
დასასრულს უთუოდ ჩვენ ისევ შევხვდებით.
მადლობას შევწირავთ უცნაურ განგებას.

ღრუბლებმა იწმინდეს წარსულის ცრემლები,
წვეთებმა დაიწყეს თამაში მისნური.
მოვდივარ წვიმებად, გკოცნი და ვერ ხვდები,
თავს რომ გევლებიან წვეთები, გიჟური,

ვცხოვრობ აფროდიტეს მითურ სამყაროში,
წარსული მონატრებას ისევ ელალება.
წვიმით გეფერები, მოვალ სისრულეში,
რადგან ვერ შევძელი შენი დავიწყება.

ფიფქებივით ვიფარფატეთ...

ფიფქებივით ვიფარფატეთ წლები,
ძირს დაშვება არ გვინდოდა არცერთს.
დრომ უაზროდ ჩაგვიარა, ვხვდები
და შიგ ჩავდნი, შევუერთდი ნამქერს.

როცა ქარი ისევ მაქცევს ბუქად,
იქ ჩემს თავსაც ვერ ვპოულობ დიდხანს.
იმ ფიფქებში ჩავხატულვარ ლურჯად
და შეხვედრის პირი აღარ გვიჩანს.

თუკი ქარი ისევ შემრევს ფიფქებს,
შენი თავი მინდა მაჩნდეს დამღად.
ეს ქარბუქი ისე მიხვევს თვალებს,
აღარ უნდა, რომ შევრიგდეთ ალბათ.

უშენოდ

ვეღარ ვხედავ შენი წასვლის ნაფეხურებს,
თოვლმა იგი წლების წინათ გადაფარა.
ბრაზმორევით ღამე სარკმელს მიჯაჯგუნებს,
ისევ ტირის განშორების სერენადა.

მონატრება დალასლასებს ცრემლგამშრალი,
შენზე დარდში სიბერეც კი შემპარვია.
გაიარა დავიწყების გზა-სავალი,
მაგრამ გული ისევ დარჩა შენთვის ღია.

ლოლოებად დაკიდულნი, ის ცრემლები.
შენი მოსვლით ელოდება დათბუნებას.
ჩიტებივით აბუზულან და დღეები,
გულნატკენი, კვლავ ფიქრობენ შერიგებას.

თოვს და თოვლმა ჩამოთოვა ნოსტალგია,
როგორც მაშინ, ისევ გხედავ, მენატრები.
მოგონებაც იმ წარსულის ნახატია
და მე ზამთარს უშენობით ისევ ვხვდები.

შენი სუნთქვა

ფეხშიშველი მივყვებოდი შარას,
მიყურებდი განშორების ცრემლით.
უიმედოს მზე მიკვლევდა სავალს
და ვნანობდი იმ დღეს როცა შევხვდით.

და ველოდი მობრუნებას მთხოვდი,
შენ კი იდექ და ტკბებოდი წასვლით.
ბედისწერით გზა აბნეულს ვგავდი,
ერთად მყოფნი რომ უცხონი გავხდით.

მზე მიცდიდა, მიმშრალებდა ცრემლებს
და ყველაფერს ადგა ფერი, სევდის.
გთხოვ, წაიღე, აღარ მინდა მწვავდეს,
შენი სუნთქვა, კვლავ ყურთან რომ მესმის.

ფეხშიშველი მივყვებოდი შარას....

თოვლის ფანტელი

გამოპარულან ციდან ფიფქები,
მარხილს ჟღარუნით მოჰყავს ზამთარი.
უბიწოების რკალში მოხვდები
ფერთა ატლასის სხივით გამთბარი.

ქალწულებივით თრთიან ფიფქები,
უმანკოება სარეცელს ირთავს.
დასასრულამდე მოკლდება გზები,
გრძნობ ღვთაებრივი ნათების მიზანს.

ყოველი წუთი აქ წარსულია,
სცენა ქათქათა ფიფქით გაივსო.
ყველა დაცემა დასასრულია,
ჩანს, წარმოდგენა უკვე დაიწყო.

დაბადება და აქვე სიკვდილი,
წუთისოფელში წუთად ითვლება.
ამ სამყაროსთვის დროში მისჯილი
სულ სხვა ყოფაში გარდაიქმნება.

გამოპარულან ციდან ფიფქები,
დასასრულამდე მოკლე აქვთ გზები.

დიდი ხანია...

როგორც ქარიშხალი, მთებზე შემომსკდარი,
ისე ის გრძნობებიც გულზე გადამივლის.
ისევ წამოვდგები სხვა გზა აღარ არის,
რადგან აღარ მჯერა აფროდიტეს მითის.

ფრესკად შემოვრჩები და თმებაწეწილს,
ტალღა სველ ქვიშაზე ისევ რომ მიმაგდებს.
მერე მიადგება ფუნჯი აკვარელს,
გულზე დამახატავს იმ ძველ მირაჟებს.

გრძნობააშვებული ვნებას ისევ ებრძვის,
რადგან სიყვარულმა შენმა სულ ამრია.
ცხოვრებამ სადღეგრძელო, ჩვენი დასასრულის,
დიდი ხანია, უკვე რომ დალია.

...მიტომ აღარ მჯერა აფროდიტეს მითის...



ნელი გიუნაშვილი – პედაგოგი;
დაბადების ადგილი – თბილისი.

უფლის საფლავის ტაძარი

სადაც ჯვართ აცვეს იესო ქრისტე,
იქ ააშენეს ტაძარი, წმინდა;
...და ამ ტაძარში, გოლგოთას მთაზე,
იმართებოდა ქართული წირვა.

მაგრამ ეგვიპტის სულთნის ბრძანებით
უფლის ტაძარი მსწრაფლ დაარბიეს,
ჰაქემის რისხვით, მტარვალთა მტრობით,
დააქციეს და მთლად დაანგრიეს.

მის აღდგენაში წვლილი მიუძღვით
საქართველოდან წასულ ქართველებს,
იმართებოდა ქართული წირვა,
იხსენიებდნენ წმინდა სახელებს.

წმინდა ბერებს და ტაძრის მლოცველებს
უფალი ხშირად ევლინებოდა,
სამყაროს შეცვლა სურდათ წარმართებს,
წმინდანებს მწარედ ეღიმებოდათ.

ვერავინ შეცვლის სამყაროს დღესაც,
დღეს არ არსებობს მსგავსი სულთანი,
ღმერთი სამყაროს შემოქმედია,
სამყაროს მხსნელი არის უფალი.

წ უ თ ი ს ო ფ ე ლ ი

მთლად აირია წუთისოფელი,
თითქოს ეცვლება სიცოცხლეს ფერი,
მე კი მინდოდა, სულ ყოფილიყო
მარად მწვანე და ხასხასა ტევრი.

დღეს მოიწყინა ჩემმა მთაწმინდამ,
ამდენ ბუტბუტმა მტკვარიც დაღალა,
სევდიანია დღეს ნარიყალაც,
ნამდვილად ისიც გადაიღალა.

ერთად შერწყმულა აწმყო-წარსულის
დრო - სევდიანი, ნაიარევი,
დღეს ორთაჭალას აღარ ამშვენებს
აშუღთა ტკბილი ბაიათები.

მინდა, მჯეროდეს მე ჩემი ქვეყნის,
მინდა, ვტკბებოდე ჩემი ქართულით,
ხარობდეს, მინდა, ჩემი მამული
და იყოს მუდამ ქარიზმატული.

მსურს, სიხარული ჩქეფდეს სულმუდამ,
მსურს, რომ სიცოცხლე არა ქრებოდეს,
ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა,
გაბრწყინებული მეგებებოდეს.

ღმერთო, მამული მიცოცხლე!

რა ვქნა, რომ სევდა მომაწვა!
ვარდივით ჭკნება სიცოცხლე,
მინდა, ხარობდე, მამულო!
იბრწყინე! მარად იცოცხლე!

რა ვქნა, რომ წლებმა წამართვა,
ღიმილი, სიყვარულისა,
მინდა, რომ რეკდნენ ზარები,
ზარები – სიხარულისა.

ალაზნის მიღმა, ჭალაში,
ვარდები გადაიშალოს,
ყელმოღერებით, ხოხობმა,
ამაყად ფრთები გაშალოს.

ფშავ-ხევსურეთის არაგვთა
გააფთრებული ტალღები
მოშხუიან და ცელქობენ,
როგორც პატარა ბალღები.

შენი მზე მათბობს, მახარებს,
მამულო, შემოგევლები!
მატირებს შენზე ფიქრები,
ვერასდროს ვერ შეგელევი.

სიცოცხლის წამებს მითვლიან,
ვინძლო ვერა ვთქვა სათქმელი,
ვილოცო, მინდა, მამულო!
დაგინთო წმინდა სანთელი.

ღმერთო, მამული მიცოცხლე,
არ ვიცი, როგორ ვუწამლო,
შენ შეეწიე ქვეყანას,
ჯავრს ნუ გამატან უფალო!!!

გ ა დ ა შ ე ნ დ ე ბ ა

სულ იძახოდნენ და სულ ამბობდნენ,
რომ საქართველო გადაშენდება,
ბევრი ეცადეს, ვერ წარიტაცეს,
ქართველი ხალხის მზე და მშვენება.
თითქოს მომავლის იმედს გვართმევენ,
ხმები ჩაგვძახის, – „გადაშენდება“!
მაგრამ მე მჯერა, რომ საქართველო,
გალამაზდება და დამშვენდება.
მუდამ ჰყოლია ჩვენს ქართულ მიწას
გამორჩეული გმირი კაცები,
ენამეტყველი, შორსმჭვრეტელები,
და კუნთმაგარი, მხნე ვაჟკაცები.
ქართველს ბრძოლის ჟინს რა გამოულევს,
სამშობლოსთვის ძგერს მათი გულები,
სამშობლოს ღალატს არ შეარჩენენ
ძმათნაფიცები და ერთგულები.
ერთი სისხლი ჩქეფს, ერთი სისხლი აქვთ,
ეამაყებათ მათ ქართველობა,
ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში
მუდამ იქნება ძმობა, ერთობა.

სახე, რომელიც იქცა ხატებად

შენს სულში მუდამ მზე რომ ანთია,
მზესავით ბრწყინავ, მისებრ ანათებ,
თუმც ღრუბლებია, ცაზე ნისლია,
შენ შენებურად მაინც მახარებ.
მასწავლე ფიქრი, ლაღი ოცნება,
ქვეყნად შენებრი განა ბევრია?
ძმის სიყვარული და მოთმინება,
ეგ მხოლოდ კარგო! ღირსთა ხვედრია.
შენ სიყვარულში ფერფლად იწვოდი
და გულში გენთო მუდამ ნათელი,
შენს სიახლოვეს ხშირად მიხმობდი,
იღვენთებოდი, როგორც სანთელი.
მორცხვად მჩუქნიდი მეწამულ ვარდებს,
ახლაც ნისლებში ვხედავ ლანდებად,
ნისლში ვიხილე ფერმკრთალი სახე,
სახე, რომელიც იქცა ხატებად.
ჩემთან მოდიხარ მხოლოდ ფიქრებად,
მოდიხარ სევდით, მდუმარე, მარტო,
შენ გაიფანტე ცაზე ნისლებად
და გული, ჩემი, ვიღასღა ვანდო.

სიკეთე ყველას ვალია

უფალმა შექმნა სამოთხე,
სამყარო – სიყვარულისთვის,
ვერ მოვუარეთ ქვეყანას,
რად გავჩნდით სინანულისთვის.

რატომ არ ვუსმენთ უფლის ხმას,
ბოღმა რად ღვივის ამ სულში?
მინდა, იბუდოს სიკეთემ,
ჩემი მამულის დიდ გულში.

ნუ განვიკითხავთ ერთმანეთს,
ნურც ფიქრით დაგმობთ სიკეთეს,
ხილული არის უფლისთვის,
ვერ დავუმალავთ სიბეცეს.

ამად არ გვარგებს დუხჭირი,
არ გვარგებს ფუჭი ფიქრები,
ლოცვით დავიხსნათ ქვეყანა,
ლოცვით დავიხსნათ შვილები.

ნუ დავიშურებთ სიკეთეს,
არვისთვის დასანანია,
სიყვარულს ვპოვებთ უფალში,
სიკეთე ყველას ვალია.

პ ა ტ ა რ ძ ე უ ლ ი

პატარძეული, ჩემი დედულეთი,
პატარძეული, ჩემი მამულეთი,
ჩემი მიწა-წყალი, ჩემი სიყვარული,
ჩემი საფიცარი, ჩემი სიხარული.

ფშატის სურნელი ისევ შენთან მიხმობს,
ისევ შენთან მიხმობს, შენი წყნარი სიო,
წმინდა ესტატეა ჩემი საფიცარი,
წმინდა გიორგი და ჩემი წმინდა შიო.

როგორ მომენატრა შენი კოდის წყალი,
როგორ მომენატრა შენი მზე და ქარი.
წყარო, ქვითკირისა, ცივი და ანკარა,
მინდვრის იები, რუს წყალი, პატარა.

შენში რომ ცოცხლობს, – ჩემი ფესვებია,
შენი ფიქრები, ჩემი ლექსებია,
პატარძეული ჩემი სოფელია,
ჩემი გამზრდელი და ჩემი მშობელია.

პატარძეული, ჩემი დედულეთი,
პატარძეული, ჩემი მამულეთი,
ჩემი მიწა-წყალი, ჩემი სიყვარული,
ჩემი საფიცარი, ჩემი სიხარული.

გაზაფხული შემოვიდა კრძალვით

გაზაფხული შემოვიდა კრძალვით,
აამღერა სიყვარულის ჰანგი,
გაიღვიძა ლურჯთვალება იამ,
გადიშალა მეწამული ვარდი.

ეს კოკრები როგორ შვენის რტოებს,
დახუნძლულა სულ სხვადასხვაფერად,
ღვთაებრივი სილამაზე მაკრთობს,
უმალ ვიქეც სილამაზის მსხვერპლად.

გაზაფხულმა მომიტანა სითბო,
იმედები, ხვალინდელი დღისა,
გადმოიფრქვა სიყვარული, უფლის,
სიხარული – მიწისა და ცისა.

რა საოცრად ამიჩქროლდა გული,
ჩემს გულს დარდი არ მოუვა ფიქრად,
გაზაფხულმა გამიღვივა ტრფობა,
სიყვარულმა ამამღერა ტკბილად.

შეხეთ, როვორ დასკდომია კვირტი,
ნუშისა და ტყემლის რტოებს ველად,
რა ლამაზად მოუქარგავთ ბაღი,
გადაშლილან ნაირ-ნაირ ფერად.

მ ა დ ლ ი უ ფ ლ ი ს ა

მონასტრის კართან, თავსაფრიანი,
იდგა გოგონა მკრთალი, მდუმარი,
ცრემლს დაეჩრდილა მისი თვალები,
ნორჩი ხატება, გაუხუნარი.

რა ანაღვლებდა და რას ფიქრობდა,
არვინ იცოდა წუხილი, მისი,
მაგრამ ჩანდა, რომ უსაზღვრო იყო,
დარდი, ტკივილი, სამყაროს შიში.

ლამაზ გოგონას ჩანდა, რომ ღმერთთან,
ჰქონდა სათქმელი და მოსაყოლი,
შემოეგება მონასტრის კართან
მტირალ გოგონას თვით მონაზონი.

უმალ გაიღო მონასტრის კარი
და მონაზონი წარუძღვა მტირალს,
გოგონამ თვალზე შეიშრო ცრემლი
და გულმხურვალედ ილოცა დიდხანს.

ლოცვამ გაფანტა შავი ღრუბელი,
რა უჩვეულოდ კაშკაშებს ზეცა,
და ბრწყინვალება, მადლი უფლისა,
გადაიშალა სამყაროს მხსნელად.

გ უ ლ ო

გულო, რამ აგაფრთხიალა?!
რა ხმები გესმა ზეციდან,
ვერ გაუძელი ვარამსა,
ამოფრენილხარ მკერდიდან.

გაყუჩდი გულო, გაყუჩდი,
შენ ხომ მებრძოლი გმირი ხარ,
ბევრ ბრძოლებს შეჭიდებულხარ,
ბევრის მომსწრე და მთქმელი ხარ.

გადაიღალე, ნამდვილად,
ერთ წუთს არ შეგისვენია,
ან როგორ იტევ ამდენ დარდს,
რამდენი რამე გსმენია.

ერთგულო, მესაიდუმლე,
დარდის და ცრემლის დამცველო,
ჭირის და ლხინის გამტანო,
შენ, სიყვარულის მფარველო.

მეგობარო და ძმობილო,
ცხოვრების თანაზიარო,
ამაყო, ბრძენო, ზვიადო,
გულო, წრფელო და დიადო!

ქ ა ლ ი

ქალი მზე და ქალი მთვარე,
ქალი – ცისკრის ვარსკვლავები,
ქალი დედა, ქალი გმირი,
ქალი ხშირად ნაწამები.

ხან ჯიუტი, მძვინვარეა,
ცრემლით სავსე სევდიანი,
ხან კი ნაზი, როგორც ია...
მომღიმარი და მზიანი.

ქალს სჭირდება მოფერება,
სათუთია, როგორც ბავშვი,
ჰგავს დაცვარულ ვარდის კოკორს,
გადაფურჩქნულს სევდის ბაღში.

ღიმილს უკან ხშირად წვიმს და...
იმალება მწუხარება,
ტკბილი სიტყვით დაამშვიდეთ,
ქალის სევდა, მდუმარება.

ქალი, სულით ძლიერია
და არ იმჩნევს დარდს და სევდას,
მაგრამ გული ფაქიზი აქვს,
ითხოვს სითბოს, ალერსს, ხვევნას.

ქალი, ცისკრის ვარსკვლავია,
ვარდისა და მზის სადარი,
უკვდავების წყარო, მთისა,
გაზაფხულის შესადარი.

ა შ უ ღ ი

წინათ აშუღთა ლექსები
ქვეყანას აზანზარებდა,
ტურფა ქალებს და ლამაზებს
ატკბობდა, გულს უხარებდა.

აშუღის ნათქვამი სიტყვა –
ამონადუღი გულისა,
ცრემლებს მოჰგვრიდა დიაცებს,
კვნესა ისმოდა სულისა.

ზურნა, დუდუკის ტკბილ ხმებში,
აშუღი ლექსებს ამბობდა,
ხან თუ რაღაცას დარდობდა,
ხანაც ვიღაცით ხარობდა.

...და საიათნოვა ტკბილი ხმით
ჩონგურზე ტკბილად მღეროდა,
ის საალერსო სიტყვებით
ქართველებს ეფერებოდა.

თუ ორთაჭალის დუქნებში
გულდარდიანი თვრებოდა,
საქართველო და მთაწმინდა,
არასდროს ავიწყდებოდა.

უსიყვარულოდ მოიღრუბლება

სიყვარულისთვის დრო მარად ჟამობს,
წინ ვერაფერი ვერ დაუდგება,
...და თუ დაინთო ხანძარი, ვნების,
ვერც ქარიშხალი ვერ აღუდგება.

ალმოდებული ტუჩების ჩურჩულს
თან მოჰყვებიან ბაგეთა თრთოლვა,
აიშლებიან თავდავიწყებით
ვნებათა ღელვის სიამით ქროლვა.

მაგრამ თუ დაცხრა ვნება, განცდების,
მაშინ იწყება ქარი და თოვა
და სიყვარულიც, მწუხრის ნისლებად,
მუდმივ შფოთვად და ბრძოლებად მოვა.

უსიყვარულოდ მოიღრუბლება,
ლამაზ სამყაროს მოიცავს სევდა,
მე ვერ გავუძლებ იდუმალ ნაღველს,
სევდას, რომელიც მუდამ თან მდევდა.

სიყვარულისთვის დრო მარად ჟამობს,
სულის წალკოტში გაშლილა ვარდი,
ჩვენ სიყვარულში გავჩნდით ამქვეყნად
სიყვარულითვე მოვისხათ მადლი.

დედის ღიმილი

დედის თვალებით ვხედავ სამყაროს,
ყინულის მთები მსურს, მზით გავალღო,
დედის ფიქრებით ვიფიქრო თქვენზე,
დედის გულივით მინდა გაგათბოთ.

ჯიქურ დავდგები ქარიშხლის წინაც,
ვით ამორძალი, დავჭექავ ხმაში,
მოვიგერიებ მტერს, გადამთიელს
და ვით არწივი, ვიქროლებ ცაში.

მოლიპულ გზებზე ვახარებ ჯეჯილს
და დავაპურებ დიდსა და ბავშვსა,
მე, ნარ-ეკლების ადგილას დავრგავ,
ვარდებს და იებს და წმინდა ბზასა.

მინდა გაჩუქოთ დედის ღიმილი,
არ დავეშვები არასდროს ფსკერზე,
მსურს სიხარულის ცრემლებს ვაფრქვევდე,
მსურს, დედასავით ვილოცო თქვენზე.

ევდოკია

ევდოკია, ტყის ფერია,
ძმასთან ერთად იზრდებოდა,
დონ სილვესტრე, თეთრი რაში,
მათ მეგობრად ითვლებოდა...

ერთხელ ტყეში სეირნობდნენ,
ჭექა-ქუხილს მოჰყვა ქარი,
სადღაც მეხი ჩამოვარდა,
შიშის გრძნობა იყო მძაფრი.

ჩამობნელდა, ჩამოღამდა,
ხილვა ჭირდა, გზის გაგნება,
ევდოკიამ ძმა დაკარგა,
ქარი ქროდა – ის თავნება.

გადიყარა ცამ ღრუბელი,
ქარი ჩადგა და ჩაწყნარდა,
მაგრამ ძმის კვალს ვერ მიაგნო,
ევდოკია ვერ დაწყნარდა.

ევდოკიამ და სილვესტრემ
გადიარეს ბევრი მთები,
ტყის ფერიამ ძმის ძებნაში
განვლო მეტად რთული გზები.

მოიარეს ტყის სამეფო,
ქალაქები, ლურჯი ზღვები,
სანტორინი და ბრიუგე,
დუბროვნიკი, რიფის მთები.

საბერძნეთში ინახულეს
მეტეორას მონასტრები,
ფიორდები დათოვლილი
და შამონის ლურჯი მთები.

სად არ ძებნეს, ვერსად ნახეს,
დაეღარათ შფოთვით სული,
გადეწურათ იმედები,
აუძგერდათ სევდით გული.

ხმამ, მჭექარემ, უსწრაფესად,
ცის ტატნობზე გაიქროლა,
ნუ მეძებო, დავბრუნდები,
თან დის ცრემლიც გაიყოლა.

...და მას შემდეგ, ძმის ლოდინში,
ევდოკია დგას ფერმკრთალი,
გაშლილ თმებზე ეფინება,
მთვარის შუქი, შუქი – მკრთალი.

შემოსულა გაზაფხული

მოჩუხჩუხე ნაკადულო,
მოკამკამე, მორაკრაკე,
ტყის წიაღში ჩაქარგულო,
მაღლა, მთებში, მონავარდე.

მზის სხივებო, იქროსთვალა,
ცის ნისლებში ჩაკარგულო!
მთის ყვავილო, იისთვალა,
მშვენიერო, დაკალმულო!

ჩემო მთებო! მინდორ-ველო!
ლამაზო და არნახულო!

ნაირ ფერში დახატულო,
მშვენიერო გაზაფხულო!

გაზაფხულმა ააჭრელა
ეს ბუნება ნაირფერად,
ბაღჩა ვარდით დაამშვენა,
გადაპენტა ათასფერად.

იღიმიან შროშანები,
გაიხარა იამ გული,
კისკისებენ სოსანები,
შემოსულა გაზაფხული.

ს ა ი თ გ ე ძ ე ბ ო

შენს მონატრებას ვეღარ გავუძლებ,
მახსოვს, დიდ თოვლში ჰკვალავდი ბილიკს,
გზას გიჩრდილავდა თეთრი ბურუსი,
ქარი ბრაზობდა, არ სთმობდა ქილიკს.

გაიშრიალა გიჟურმა ქარმა,
ურცხვად არხევდა ოქროსფერ თმებსაც,
მიწას აწვიმდა, სულსაც აწვიმდა,
ნისლი ჰფარავდა შენს დალალებსაც.

ალბათ ნისლები გადიყრებიან,
ალბათ ჩაცხრება შეშლილი ქარი,
მაგრამ ეს გული ვერ დამიცხრება,
რადგან დავკარგე ნანატრი ქალი.

კვლავ გამიღვივდა ტრფობის ხანძარი,
არ მეშვებიან შენზე ფიქრები,
სად გაგიტაცა ნისლმა და ქარმა,
საით გეძებო, ან სად იქნები.

დღეს ჩემი გული ისევ დაგეძებს,
ზღვასავით არის აღელვებული,
ქარებს მივყვები, ნისლში დაგეძებ,
წვიმებს დავყვები აცრემლებული.

ვერ დავიოკე შენზე ფიქრები,
მე არ მასვენებს ტრფობა ფარული,
იქნებ გამოჩნდე ოცნებავ, ჩემო!
კვლავ დამიბრუნო ეს სიყვარული.

პ ო ე ტ ი ს გ უ ლ ი

როცა პოეტი იბადებოდა,
მას დაანათლეს სიკეთე მძევლად,
ცრემლის ქარაფი და განსაცდელი,
სიყვარული და ფიქრები სევდად.

ბევრჯერ უფულო, ხშირად ღარიბი,
ბევრჯერ უძილო, არასდროს მხდალი,
სულით მდიდარი, გულით ხალასი,
სიყვარულისგან უგონოდ მთვრალი.

აბჯარასხმული, შეუპოვარი,
ხან დარდიმანდი, ხან ნაღვლიანი,
ღვთის მოშიში და ღვთის მოყვარული,
ტკბილსიტყვიანი და მადლიანი.

ძმისთვის მზად არის თავი გასწიროს,
საკუთარ თავზე არასდროს ფიქრობს,
და გასაჭირში მყოფი პოეტი
სხვისგან არასდროს არაფერს ითხოვს.

პოეტები ხომ სიყვარულისთვის,
სინანულისთვის იბადებიან,
მათ სიყვარული აცოცხლებთ მხოლოდ,
და სიყვარულში იფერფლებიან.

ფერფლს კი მიჰყვება მამულზე ფიქრი,
მწუხრი და დარდი მომავალისა,
პოეტს თან მიაქვს ერის ტკივილი,
ჯავრი ამ ქვეყნის წუთისოფლისა.

მდუმარე მთვარე

მთვარევ, ზვიადო, ღამის გვირგვინო,
შენი დუმილით მტანჯავ და მაკრთობ!
გიცქერ სიამით და მუდამ გიხმობ,
იდუმალი ხარ, არაფერს ამბობ.

იქნებ გამანდო შენი ფიქრები,
გაგიზიარებ მეც ფიქრებს ჩემსას,
იქნებ გეწვია ცივი ქარები,
მიხვდა იდუმალს, ჩანაფიქრს, შენსას.

დუმილი, ვიცი, ოქროს ფასია,
მაგრამ როდემდე გინდა, რომ სდუმდე,
ეს ყველაფერი იქნებ ფარსია,
ან იქნებ გინდა, მეც შენებრ ვდუმდე.

მე პოეტი ვარ, ვერ დავდუმდები,
“ ბრძნად მეტყველება ვერცხლია, წმინდა,”
მშვიდი არა ვარ, ვერ გავჩუმდები,
შენც საუბარი, გატყობ, რომ გინდა.

პოეტის გული, როგორც მაჭარი,
სულ მუდამ სევდით დუღს და არ ცხრება,
არასდროს არის სულით ვაჭარი,
ის თავის დარდში დნება და კვდება.

პოეტს თან ახლავს ქვეყნის წუხილი,
მოურჩენელი გულის იარა,
ერის ტკივილმა, ერის სიმძიმემ
პოეტის გულზე გადაიარა...

ვიცი, შენცა გაქვს ჩემთან სათქმელი,
უთუოდ შენც გრძნობ ტკივილებს გულში,
ან იქნებ გაკრთობს ვინმეს სახელი,
ვინც გამოგიტყდა წრფელ სიყვარულში.

შენ სადარაჯოდ ამოხველ ცაზე,
ბრწყინავ ტრფიალით სავსე თვალებში,
აირეკლება შენი სახება,
მიჯნურთა გულში, ლამაზ ღამეში.

შენც მიჯნური ხარ, როგორ ვერ მივხვდი,
გამოანათებ, როცა შენს ზღვაზე,
მზის ანარეკლებს დაეძებ ყველგან,
მზე კი მუდმივად ოცნებობს სხვაზე.

არაფერს ამბობ, არც რას მპირდები,
მაგრამ ვხვდები, რომ ვერ იტევ სევდას,
გარს გეხვევიან ღამის ლანდები,
დუმილში იკლავ ტანჯვას და წყენას.

დუმილი, ვიცი, ოქროს ფასია,
მაგრამ როდემდე გინდა, რომ სდუმდე,
ეს ყველაფერი იქნებ ფარსია,
ან იქნებ გინდა მეც შენებრ ვდუმდე.

წლებს არ ითვლიან

როცა გიყვარს და როცა უყვარხარ,
როცა ტრფობაში დრონი მიჰქრიან,
როცა გრძნობები თავბრუს გახვევენ,
ამ დროს, ნამდვილად, წლებს არ ითვლიან.

მე თუ ოდესმე ლექსად შეგამკე,
და ოცნებებში ცად მიფრენია,
ეს შენ ხარ, კარგო, ვისაც შევხარი,
ვისთვისაც გრძნობით მე მიმღერია.

ამ დიდ სამყაროს შენ მილამაზებ,
შენით თენდება, შენით ღამდება,
თუ სიყვარული გამინელდება,
ვიცი, ხვალ ისევ გამიახლდება.

მე ძლიერ მიყვარს შენი სურნელი,
ნაზი ალერსი, ნაზი ფერება,
შენ თუ წახვედი შორს, ჩემგან სხვაგან,
მომენატრება კვლავ მოფერება.

იმედით მინდა ვუმზირო ზეცას,
ეს სიყვარულიც ამ მზის დარია,
მინდა დავცალო გრძნობის ფიალა,
დღეს ეს სიგიჟეც ტრფობის ბრალია.

როცა გიყვარს და როცა უყვარხარ,
როცა ტრფობაში დრონი მიჰქრიან,
როცა გრძნობები თავბრუს გახვევენ,
ამ დროს ნამდვილად წლებს არ ითვლიან.

ცოდნის ტაძარში ესვენა წიგნი

სევდამ მოიცვა მთელი სამყარო,
ხე არ ხარობდა, კაცი კვდებოდა,
მზის მკრთალ სხივებში, სიცოცხლე, მკრთალი,
ბერდებოდა და დარდით ჭკნებოდა...

არავინ ვიცით, რა გველოდება,
ცხოვრების წიგნში რა ჩაიწერა,
ცოდნის ტაძარში ესვენა წიგნი,
უფლისგან ბევრი რამ დაიწერა.

აწმყოს ვხედავთ და მომავალს ვერა,
მომავლის ბედი ჩვენ გვაბარია,
...და თუ ერთმანეთს სითბოს ვაჩუქებთ,
ხალისს შევმატებთ, გასახარია.

ხალისი ყველას გვჩუქნის სიცოცხლეს,
ახალგაზრდობას და სილამაზეს,
ხალისი გვმატებს ბედნიერებას,
კეთილგანწყობას, დიდ სიმამაცეს.

თუ ყოველი დღე გაიხალისე,
თუ დაივიწყე შენი დარდები,
ლამაზ სიცოცხლეს შეგაგრძნობინებს,
აჟღერებული, ტკბილი ჰანგები.

მაშინ, ნამდვილად, ამობრწყინდება,
სიცოცხლე, ჩვენი, ლამაზ ფიქრებად
და ოქროს კალმით ცხოვრების წიგნში...
დაიწერება ოქროს რითმებად.

შ ე ვ ე გ ე ბ ო თ

რას გვაუწყებს დღეს უფალი,
რატომ გმინავს დედამიწა,
დასრულდება ტანჯვა, ჩვენი,
თუ რა გველის კიდევ წინა.

ამ სამყარომ ბევრი ურჩი,
თვინიერიც შეიწირა,
დღესდღეობით აღარ გვშველის,
აღარც გლოვა, აღარც წირვა.

აირია ეს ცხოვრება,
საით მივალთ, რომელ გზაზე...
მღერიან და დასტირიან,
წუთისოფელს სულ სხვა ხმაზე.

გული გულთან მივიტანოთ,
ახლოს ვიყოთ ერთმანეთთან,
სიყვარულით შევეგებოთ,
პირნათელი ვიყოთ ღმერთთან.

შევეგებოთ ქრისტეს მოსვლას,
თავმდაბალნი, თვინიერნი...
შევეგებოთ ალიონზე,
ზეციერსა, მიწიერნი.

მ ა მ უ ლ ო ჩ ე მ ო

მამულო ჩემო, სიცოცხლის დარო!
მზეს, მაცოცხლებელს, შენთვის ვთხოვ შველას,
ჩემო ტკივილო და საფიცარო!
მივსდიოთ უნდა ჩვენ უფლის რწმენას.

რწმენა მოგვიტანს უფლის დიდ ძალას,
მაცხოვნებელი, სიმდაბლ – ჩვენთა,
ჩვენ ხსნას მოგვიტანს კეთილი საქმე,
მიმტევებლობა, სიმშვიდე ერთა.

მრავლისმეტყველო, ცხოვრებავ, ჩვენო!
საით მიგყევართ, რა გველის ნეტა,
უფალო, ჩვენო! დიდება შენდა!
აღარ მოგვგვარო ცრემლი და სევდა.

მამულო, ჩემო! ხატებავ ჩემო!
მინდა, დავაშრო ცრემლები, შენი,
გახარო დღეის მზის სხივთა ფერით,
გადიდო უფლის მაღალი რწმენით.

თუ შენ იხარებ, გულსაც გაითბობ,
თუ შენ მზესავით მარად ინათებ,
მაშინ, ნამდვილად, მეც გავიხარებ
და მეც სიცოცხლეს ისევ ვინატრებ.



მალვინა ჭელიძე – მედდა;
დაბადების ადგილი – მესტია, უშგული.

სადაც სიკეთე...

უფლის სახლია, სადაც სიკეთის
და სიყვარულის კვალი ატყვია,
ლამაზ ფერებად მოქარგულ მდელოს,
ცისარტყელები გარს რომ არტყია.
უდაბნოს გზაზე, მგზავრის ლოდინში
პატარა ქოხი, მზემ რომ არწია,
მადლი, სინათლის, მოედინება
შიგ სიყვარულის კვარი ანთია!
ყველა სიკეთე, ნერგად დარგული,
გაშენებული დიდი ბაღია.
სიხარულის და შვების მომტანი
მხოლოდ და მხოლოდ
უფლის სახლია!

დუმილი მწველი ფიქრებით იწვის,
ყველა სარკმელი
მზის სხივით ბრწყინავს!
ნუ ჩაურაზავ სიკეთეს კარებს,
სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან,
სადაც ღმერთების არის საუფლო
და ბილიკები გიკვლევენ წყვდიადს,
და თუ მოარგებს ბედის გასაღებს,
მის სამყაროში დაიდებ ბინას.
სადაც სიკეთემ გაიდგა ფესვი,
იქ სიბოროტემ გაცლა არჩია...
მგზავრი, რომელიც რწმენის გზას ირჩევს
იქ ყველგან, ყველგან
უფლის სახლია!!!

თუ ვერ გაიგე

თუ ვერ გაიგე ქალისა,
მზის სხივის შესადარისა,
ბაღებში ვარდად გაშლილი
ხან მგზავრი არის ქარისა.
დადის, ვით მთვარის აჩრდილი,
დარდებით ღამეს დანისლავს,
და მაინც ძალზე დაღლილიც
იმედით უმზერს დაისსაც...
უმთვაროდ მოხეტიალე
ფოთლების კაბას ჩაიცვამს,

მარტის ქარებად ტრიალებს
და ჰყვავის ედელვისად.
ლამაზად აცეკვებული
მისი სიტურფე, ქარიზმა...
მკერდზე მზის სხივი უბრწყინავს
იავარდებად ჰყვავისა...
ქარებზე აცეკვებული
ლამის ზეცაში აიჭრას,
ბულბულად ამღერებული
უფალმაც ბევრჯერ დაიცვა.

დედის დღე

მუდამ იმედად, შვილის გულამდე,
ოქროს სიმებით გადაბმულია,
დაუვიწყარი, ტკბილი სიზმარი,
გრძნობით რომ იწვის, დედის გულია.

მზის სხივებს ეძებს შვილის თვალებში,
ღამენათევსაც ბევრჯერ უვლია,
მიუწვდომელი ლოცვის ნათელში
სითბოს დამტევი დედის გულია.

მუხლის ჩოქებზე ლოცვად დაღვრილი
შვილის ალერსში ჩაკარგულია...
შვილის ალერსში ღამენათევი
უკიდეგანო, დედის გულია.

მავედრებელი, დედის თვალები,
ვარდის ედემად გადაშლილია,
სიცოცხლეშიც და სიკვდილის მერეც
მცხუნვარე მზე და გაზაფხულია.

ერთი დღე რაა, ყოველი წამი,
დედის გარეშე ძალზე რთულია,
ტკივილები და ცრემლები, მისი,
ჩემს გულში დარდად დამარხულია...

ღამემ შეცურა ცრემლების ტბაში,
მოგონებები, გარს რომ უვლიან,
დედის გარეშე, ვით თოთო ბავშვი,
ყველა იმედი გაძარცულია.

ბედნიერების შეგრძნებით ვხარობ,
ხსოვნას შემორჩი, როგორც იგავი,
დედის გარეშე დარჩენილ წლებთან
გინდ იყავი და გინდ არ იყავი...

ირგვლივ დუმილი, აცრემლებული...
შენ სიახლოვეს ყოფნა მწყურია...
შენ ახლა თოვლის საბანქვეშ გძინავს,
ჩემთან იების გაზაფხულია!

ხვიჩა, ჩვენი ხარ!

ქართული მუხის ფესვებს შეზრდილო,
ქართული მოდგმის, ჯიშის, გენის ხარ,
ასი ათასი ქართველის გულის,
დაღლილი სულის, გადამრჩენი ხარ.

გასცდა არეალს შენი დიდება,
მადლობა უფალს, ქართველი გქვია,
ნაპოლის ცაზე იმედად ბრწყინავ
და სიყვარულით დაიდე ბინა.

სამყაროს ქარგავ ლამაზ ფერებში,
თითქოს გაფანტე ღრუბლები ცაზე,
გზები გაკვალე, გაუკვალავი,
დრო, დაბინდული, ააჩირაღდნე.

უფლის წიაღში დაბადებულმა
შენი ცხოვრება უფალს მიანდე,
სიამაყე ხარ, მზისგულა ბიჭო,
რამდენი დედა შვილად გინატრებს.

მზის სხივებს ისე აეთამაშე,
ქართულ ჰანგებზე იღვიძებ დილას,
იტალიაში, უფლის განგებით,
შენი ვარსკლავი კაშკაშებს, ბრწყინავს.

ზეცაც კი გრგვინავს, როცა ნაპოლი
ერთხმად გასძახის "კვარაცხელია..."
ჩვენ კი, ქართველი ემიგრანტები,
გულს ვიმშვიდებთ, რომ კვარა ჩვენია.

ქართული მუხის ფესვებს შეზრდილო,
ქართული მოდგმის, ჯიშის, გენი ხარ,
გათენება ხარ, ცისკარი – დილის,
ვამაყობთ შენით, დიახ, ჩვენი ხარ!!!

ემიგრანტის გზა!

უბრალოდ, წასვლა არის ადვილი,
არ კარგავ იმედს, სულის მხნეობას...
თუ არ გათვალე დრო და მანძილი,
დასაბრუნებლად დრო არ გეყოფა.
იმ გზაზე წასვლას თუ დააპირებ,
უცხო ღრუბლების ხელით შეხებას,
ნუ შეეცდები, ნურც გაიოცებ...
დარდად სამშობლოს მიწაც გეყოფა...
გაორებული მიჰყვები ნისლებს,
ტოვებ ყველაფერს, მას, რაც შენია...
უდაბნოს გზაზე ნაბიჯებს ითვლი,
იცი, რომ ეს გზაც დასათმენია...
აგედევნება უცხო აჩრდილი,
გადაეშვები, სადღაც, მორევში,
ეძებ სიმშვიდეს დარდმორეული,
და ვეღარ აგნებ სიმარტოვეში...
გაშლილა სივრცე, შენი სავალი,
მთავარი არის, მშვიდად იარო,
უფალს მოუხმე შენთან საშველად,
სხვისი სული არ დააზიანო.
არ არის დროსთან ბრძოლა ადვილი,
გვერდს ნუ ჩაუვლი ცივად მეგობარს,
თუ ყოვლისშემძლედ გაქცევს უფალი,
ნუღა დაიწყებ დროსთან მეფობას!
გათვალო უნდა დრო და მანძილი.
ადამიანში ბევრი მტერია,
ნდობა, რომელიც ძალზე ძნელია,
ოი, რა ძნელად გასარჩევია.
ცრემლი დამალე, დარდად დაღვრილი,
რომელიც ღამის ფიქრებს სჩვევია...
გულს ეფინება, როგორც მალამო,
ხშირად ღიმილსაც რომ დასდენია...
ნეტავი რაა ცხოვრება, ჩვენი,
უცხო მიწაზე ვეღარ ვმაისობთ,
ემიგრანტობის გაცრეცილ წლებთან,
სევდიან წლებთან, ვეღარ ვხალისობთ.
შეჩერდი, სანამ არ არის გვიან,
ნუ ჩაიბნელებ სიცოცხლეს მზიანს,
დრო შეგიტყუებს, წლებს ვერ დაითვლი,
ახალგაზრდობაც მიჰყვება ნიავს.
ამ გზაზე წასვლას თუ კი გადაწყვეტ,
თეთრი ღრუბლების ხელით შეხებას,
უნდა გათვალო დრო და მანძილი,
დროსთან ჭიდილში, დრო ვერ გეყოფა.!!!

იმედი

ცამ საკინძე შეიხსნა,
მზე სხივებად აფრქვია.
ზღვამ ყინულის ლოდები
თავსასთუმლად არჩია.

ჩაყვინთულმა, ფსკერამდე,
უცებ ამოანათა,
ეძებს ოდეს რაც ჰპოვა,
რასაც გულში მალავდა...

ცის სარკმელის კარიბჭე,
ნატვრისფრად რომ ინათებს,
ითვლის მდუმარ ნაბიჯებს,
დარდშემოსილ მინანქრებს.

დღე კი იმედმოსხმული,
ათბობს ღამის ბილიკებს...
ზღვის ტალღებსაც მოივლის,
მთებშიც გაიჯირითებს!..

ვარ ვინმე მესხი მელექსე...

ჩემი აწ სცანით ყოველმან,
მას ვაქებ ვინაც მიქია,

მერაბ ბერიძე
ახალციხისა და ასპინძის საპატიო მოქალაქე;
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დამფუძნებელი, პროფესორი.

მიყვარს და მორჩა!

რომ კითხულობენ, რატომ გიყვარსო,
უჭკუონი ეძებენ პასუხს,
იწყება ბჭობა და მტკიცება უმტკიცებელის,
მიეთ-მოეთი ინაღვლებს საწუხს,
თურმე უყვარსო და არ იცის მიზეზი სიყვარულის,
თურმე გაუჭირდა თქმა უთქმელის,
კითხვა, რომელიც დაუსვეს წუხელის,
დღესაც არის უპასუხო, პასუხგაუცემელი...
არა და უყვარს, რეტდასხმული იქცევა რადგან,
აედევნება ლანდადქცეული ქცეული დარდად,
აღრ დაგიდევს არც ვინმეს და აღარც რამის თქმას,
მხოლოდ ერთს ხედავს, ვერ ამჩნევს სხვას,
უყვარს, უყვარსო მიათითებენ -
ნახეთ, როგორია სიყვარული, შეყვარებულიო,
...და მაინც რატომ?
რატომ არის ასე რებული?
რატომ - ის და არა სხვა?
რამ შეაყვარა?
ვიღაცა არის ძალზე დიდი, ვიღაც - პატარა
და ავადმყოფი შეყვარებული!
ვიხსენებ დრო-ჟამს, ვიხსენებ წარსულს,
ვიხსენებ, ბევრმა რომ დამისვა კითხვები როცა,
სხვამ კი არა და საკუთარ თავს მეც ვკადრე კითხვა,
ახლა ნამდვილად საამისოდ დამდგარა დროცა,
ჩემს თავსაც ვუთხარ, სხვისთვისაც ითქვა,
დავიღრიალე: “მიყვარს და მორჩა!”

პოეტი და პროზაიკოსი

პოეტი „მეა“,
პროზაიკოსი – “ჩვენ“ და “ისინი“.
პოეტი ხედავს მხოლოდ იმას, რაც თავად უნდა,
მისთვის სულ დღეა
და ელოდება ღამის თავდასხმას.
მის სულს ქურა აწრთობს და აშრობს ირგვლივ გარემოს.
და ის იდეა,
რასაც ჰქვია ცენტრში დგომა,
ტანზე შემოხვევა დანარჩენი სამყაროსი,
სულ გაზაფხული; არ არსებობს შემოდგომა,
როგორ შეიძლება დასრულდეს პოეტის სული,
ბობოქარი და მხოლოდ მისი აწმყოც და წარსულიც,
პოეტი „მეა“, დანარჩენი – ამ „მეს“ მსახური.
პროზაიკოსი წრთობაა ცხოვრების,
ღელვაა, ბრძოლაა „ჩვენი“ და „მათი“,
იღწვიან „ისინი“, ზიდავენ სულებს და ყრიან სასულეთში.
თამაში, თამაში, წაგება – მოგების...
ირჩევა ოქრო და ირჩევა ალმასი,
გროვდება ჯართი.
პროზაიკოსი პოეტს ეწვია,
განსაჯეს ყოველი, აწონეს დაწონეს,
შეთანხმდნენ:
პოეტი თუნდაც „ერთი ლექსია“,
პროზაიკოსი იჩემებს სხვა დონეს,
მისთვის მთავარი არის სივრცე და ფართობი,
განსაკუთრებული და „საჩვენო“ რომ არი,
ამდენად: რომანი, ბევრი რომანი...

სახლდამწვარი

გაკვირვებული იდგა ადამიანი, კაცი
იდგა და უნდოდა ტირილი, ვერ ტიროდა,
შეიძლება არ ტიროდა,
თვალების მოძრაობა დაჩქარებოდა,
კითხვები გამოუკრთოდა,
რატომ?
რატომ დამეწვა სახლი?
მე ხომ მთელი ცხოვრება
ვშრომობდი მხოლოდ,
ასეთი მიზის დახლი...
ხომ ამბობენ, რაც მოგივაო,
ყველაფერი შენი თავითაო,
ხო და ჩემო ნიავო,
ნიავს გატანებულო ცხოვრებავ,
რა დაგიშავე?
ტიროდა კაცი, უკვე ტიროდა...
ნახშირის სიშავე,
ნახშირის სიშავე ისეთი მკვეთრი ყოფილა,
ისეთი მწვავე სუნი ჰქონია ნახშირს,
საშინელია,
რა უბედურები იყვნენ, ალბათ მენახშირენი,
მთელი ცხოვრება ნახშირს რომ ზურგით
დაატარებდნენ
და არ ტიროდნენ,
წვავდნენ ტყეს და უხაროდათ,
რომ ექნებოდათ ნახშირი
ის კი დასაჯა ღმერთმა, რომ
სძინავს ნახშირთან ერთად.
ასეთი რამე არ არის ხშირი,
რომ იქცეს ცხოვრება არაფრად,
დაგეწვას სახლი
და გულზე გაწვეს ნახშირი.
ცხოვრება იყო და ცხოვრება გავიდა,
ისიც, სახლდამწვარი, იწყებდა თავიდან,
ტიროდა, მაგრამ მაინც იწყებდა.
იწყებდა თავიდან.

ასპინძის წმინდაო გიორგი!

წმინდაო გიორგი, მებრძოლო და მოწყალეო,
მე შენი ძალა მაგრძნობინა ჩემმა ბავშობამ,
სკოლაში სწავლის დროს, როცა ყველა
ჩაგვჩიჩნებდა, რომ არის მხოლოდ
კომუნისტური ძმობა,

შენით ვიგრძენი, რომ ჩვენ გვინდა შველა,
რომ არ არის თრობა სიძულვილით
და ეს თრობა, ჩვენი, ჩამოგვცილდა ისევე,
როგორც მიიღეს მშობელთა, ჩვენთა.
წმინდაო გიორგი, მებრძოლო და მოწყალეო,
მქონდა ხილვები, მთელი ღამის მანძილზე
ვხედავდი ტაძარს, რომელსაც ვერ ვხედავდი
სიფხიზლის დროს ვერსად,
ძილი ძლიერი აღმოჩნდა ღვიძილზე
და მოვედი შენთან, მოვედი ჩემს ბავშობასთან,
დავკარი წერაქვი თანატოლებთან და
მოწაფეებთან ერთდ.
დავკარი წერაქვი და გაიხსნა, განათდა,
აღმოჩნდა ის ტაძარი, რომელსაც ვითრცა
თვალხილული
ვნახულობდი თვალდახუჭული,
ის საძირკველი, ის კედელი, ის ფერი – ქვათა.
ამის შესახებ არავისთვის მითქვამს,
არც მეგობრებისთვის და არც ძმათათვის,
გეუბნები შენ დღეს:
“მართლია, ვერ მივიყვანე ეს საქმე ბოლომდე
მაგრამ მიიყვანეს სხვებმა.”
ამით დასრულდა ღამეული ხილვანი ჩემი.
წმინდაო გიორგი, ასპინძისაო,
შენ შეეწიე ოჯახს – ჩემსას, შვილებს – ჩემსას,
შვილიშვილებს, მეუღლეს – ჩემსას!
წმინდაო გიორგი, შენ შეეწიე სიყვარულს
ჩემსას
და ეს სიყვარული არის მარადიული.

მუზა კვდება, გაუმარჯოს კოსმოსს!

ამ პროზაულ ცხოვრებას
ვუცქერ პოეტურად,
აბა, სად ვიპოვო უდაბნოში
ლირიკა და პოეზია?
მერე წინ დავილაგებ განსასჯელად აზრთა,
რა უფრო ლამაზია: ვარდის კვირტი,
მჭკნარი ვარდი თუ გაშლილი
კოკორი?
ესეც შესავალი, გნებავთ უვერტურა!
ანდა კაცობრიობის ბეცი ამნეზია.
ვუყურებ და მჯერა, განზე გადგა ღმერთი,
ღმერთსაც უყვარს მოკვდავთა
უკვდავების ილუზია,
არა ატომი და დენთი!
აი, ასეთია ჩვენი რუტინა და
შესაბამისი პოეზია,
ამიტომ კვდება მუზა მუზური
და ხელში გვრჩება პირდაპირი კავშირი
კოსმოსთან,
რეალურია გაფრენები მთვარეზე, მარსზე
და ხელი მიგვიწვდება,
გამარჯობის თქმა შეგვიძლია
უზენაესთან...
ისეთია დღევანდელობა!
იწყება კარებზე კაკუნი, მოდური,
საუბარია მასზე,
ოღონდ ვინ არის ეს ის,
ან ვინ მოგადგება ზღურბლთან,
ვერაფერს მიხვდები,
ინტრიგანებს აქვთ მცდელობა,
პროზაულ ცხოვრებას დაარქვან
სიყვარული,
რადგან აქვთ ფული, ფული,
ფული, ფული....
ფული პოეტური.
აქ იწყება და აქ მთავრდება ყველაფერი,
გაყოფა არის ძმური.

ტაძარი ერუშეთში

ვანის თავსა და ბუზმარეთის ბოლოს
დგას კედლები, ტაძრის,
დგას სიმბოლოდ ყოფნის, მხოლოდ ყოფნის
და მტკიცებად, აზრის,
რომ არავითარი კითხვა –
ვიყავით თუ არ ვიყავით,
რამდენჯერ ითქვა,
მაგრამ გამგონი არის ცოტა, ძალიან,
აქ, ბუზმარეთისა და ვანის
საზღვარზე,
ბარე, აგერ, ათი საუკუნეა დგანან და არიან
დარაჯად, სამშობლოსი,
მხოლოდ რამდენიმე ასო, ჩვენი
ანბანის!
გვამცნობენ ერთს – შეიწყალე, უფალო,
მშენებელი და პატრონი ამ ტაძრის,
მთავარი კითხვა უპასუხოა:
ვინ იყვნენ ისინი?
თავმდაბალი, ჩვენი წინაპრები? არაფერს
ამბობენ!
ხომ არის, ეს არის მთავარი,
დრო კი გარბის,
დარახტული ცხენივით გარბის, მაგრამ
ოთხიოდე ასო, ჩვენი ანბანის, აქ არის და
გვდარაჯობს,
თქვენზე ვლოცულობ, ვეფერები სულებს
სასულეთში,
ვეხვევი კედლებს, არ მეშინია ჭინჭრის და
ღვალოსი,
ასე არა სჯობს?
ვიცი, რომ ასე სჯობს: ჭინჭარმა დაფაროს,
ნარმა გადაუაროს,
ოღონდ აქ იყოს.
ვლოცულობ თქვენზე, დიდო ერუშელებო!
რომ დატოვეთ კვალი, უტყუარი.
რაც იქნება მუდამ ის, რაც იყო და რაც არის!

ეჭვი

მეწვია ჩემი მუდმივი სტუმარი,
ნაცნობი ძველი, სილაღის მტერი,
მეწვია, გააკრთო ძილი და ხალისი,
ვიცი, ვინც არის, რაც არის, თან არ ვიცი.
დამდევს და ჩამძახის: არ არის,
შენი არ არის!
და აქრობს ლამპრებს, ჩემგანვე დანთებულს,
იმედს რომ ვეძახი, ნდობას რომ ვეძახი,
აქრობს და კანკალებს, მეც ამაკანკალებს,
ნაბრძოლებს მჭირდება კვლავ ბრძოლის
დანთება,
მერე გამიღიმებს, მომიალერსებს
და ამდენ ნაბრძოლებს და ამდენ ნაწვალებს,
ის მასპინძელია, მე კი ვარ სტუმარი.
მეწვია, მეწვია ვერაგად მოსული.
შენ რომ გითხრა რამე, მრისხანეს,
ვერავინ გაიგებს, ისე ვითრგუნები,
ისე დამიდნება ყინულის ნაპირები,
შავად გამოჩნდება ზამთრის თეთრი თოვლი,
ჯურღმულთან მიმათრევს წითელი,
ამ ოხრის მეგზური.
ასე აჭრელდება სურვილი.
მიცქერს დაჟინებით, მითრევს დაჟინებით,
თვითონ კი, დიდოსტატი, ზურგიდან მივლის,
მე კი დახშობილი გონით, დასამზერით...
მიდის ეს ცხოვრება ყალბი და თავნება,
კალაპოტს აცდენილი ურჩხული ლავასავით.
განა მე მინდოდა, ასე ბრმად დანებება,
დავნებდი!
ზურგზე მოკიდებულს მივათრევ ჩემს ფიქრებს,
ვშორდები, ვეცლები, ის კიდევ ხელს მიქნევს,
მინდა იღლიაში ამოვიდო საკუთრი თავი, რომ
მან არ წამართვას და ისევ მე მქონდეს.

ქილდა

გინახავთ ნატყვიარი ეკლესია?
ეს არის ქილდა,
გინახავთ ნატყვიარი საფლავის ქვები?
ესეც ქილდაა,
საურმე, ორღობეების, ღობე ქვისა,
ნასახლარები, უადამიანო სახლები,
გამძაფრული შეგრძნება, ჯავახეთის,
სიცოცხლე რომ აღარ გინდა,
რომ ვერ უპატრონე, რომ შენი უგულობით
მოსპე წინაპარი, დაუკარგე
ძვალთშესალაგი,
რომ არც შენთვის და არც აღარავისთვის
არაფერი არ არის წმინდა,
და ირონიით მოსიარულე თითქმის
მომღიმარი
წინაპართა ლანდები
გაგირბიან, როგორც უცხოს და ველურს,
ვინც გაწყვიტა კავშირი წარსულთან.
გინდა თუ არა გინდა, ასეა და
გახსენდება მედლებით
მკერდდამშვენებული
კომუნისტი,
ვინც ქილდას ცლიდა,
ქართველისგან ათავისუფლებდა
ადგილებს,
ვიღაცას ასიამოვნებდა და თუ ვინმე
მორიდებით დაიცავდა ქილდას,
დაიცავდა
ქართველს,
კბილებში გამოსცრიდა:
– შენი დედაც და შენი ქილდაც!
ჭკუით იყავი, თორემ ციმბირს იქით
მიგავლენ სამუდამოდ!
ნატყვიარები (აშკარაა, რომ კალიბრი
დიდია!)
დათხრილი თვალებივით მეკითხებიან.
– რა გვჭირს, ან იმათ რა სჭირდათ
რომ მოსპეს ქილდა?!

ვნების ზარი

დილის ექვს საათზე შემოდის ერთი ზარი,
ზარი, როგორც ზარი, რა უნდა იყოს ისეთი,
ზარი არის ვნებიანი, საოცარი და მძიმე.
ვნება რა არის?
ვნებაა ის, რაც გვნებს, გიმღვრევს სულს და გულს,
გაფრთხობს,
მოკლედ, ის არის, რაც არის! ...და რაც არ უნდა იყოს, დილის ექვსზე?...
... და დავრჩი ნავნები, დამფრთხალი, დადაგული,
ჩემს შიშს არ ამკობს
არავითრი ვნება დილის სისხამზე.
რაა სავნები იმაში, რომ ახსენდები უდროოდ ვიღაცას?
პირიქით: იფიქრა, არ იფიქრა მოსასხამზე (არ ექვემდებარება მიბაძვას),
პირდაპირ შენთან მოინდომა დარეკვა,
თვით არის შეუვალი და უვნებელი,
მიზნობრივი, მოტივირებული, უნდა დაგირეკოს,
უნდა გაგიხეთქოს იქნებ გული, ან პირიქით –
ვნება გაგიზიაროს!
ასე სავნებლად ატეხილი მოდის ერთი ზარი,
გამოივლის მთებს, ქალაქებს, ზღვებსაც...
მოდის ერთი ზარი და ვითარცა სიკვდილ-სიცოცხლის ამქარი,
მოდის შავი ზარი, მოდის ფერადი, იქნებ ვნებიანი,
სახალისო გასახარელი,
მოდის შენი ზარი?
არ ჩანს გამომგზავნი, ნომრად ქცეული
ცხოვრება გიძვრება სულში
და შენც დანომრილი ამ ყველაფერს უერთდები,
როგორც ვიგინდარა, როგორც ეული,
ვისაც სული აქვს, ოღონდ არავინ იცის, როგორი,
პატრონი ჰყავს, არავინ იცის, ვინ,
ხვდება ორი ნომერი ერთმანეთს, რა არის ეს?
კატასტროფა თუ სიხარული?
გავახსენდი თუ გაახსენეს ჩემი თავი?
ხალათით რეკავს თუ შიშველს ვენატრები?
მე ვარ მეძავი თუ ის არის მეძავი,
იქნებ ორივე ვართ სანთელდასანთები?

რეკავს ტელეფონი და მზად ხარ აღსარებისათვის,
ოღონდ არ იყოს სავნები,
არ დაგადონ ბორკილი და არ გაგიყვანონ თბილი ლოგინიდან...
მოვიდა, მოვიდა და გაიხსნა ხაზი,

დასრულდა ბორგილი,
დასრულდა კითხვის ნიშანთა კოჰორტა,
ვიღაცას ზარი გამოექცა ისე, რომ არ იცის თავადაც,
მიდის თავისი ტანჯვით და წვალებით ამ დილაადრიან,
მიალაჯებს თავისი დიდი ნაბიჯებით
(ეს უკვე ისმის ჩემს ნომერში მისი ნომრიდან)
ისმის დაბეჯითებით,
რომ ეს არის სადღაც სოფელში,
ხმა არის შორიდან, რადგან ყივის მამალი,
ეს უკვე მამლის მეორე თუ მესამე ყივილია,
ზარგამოქცეულს დავუზოგავ თანხას,
იქნებ მიდის სადღაც წამალზე და არა აქვს წამალი,
იქნებ ავადმყოფისთვის ისწრაფის შველას,
გავთიშე ტელეფონი.

წავიდა

წავიდა, სულ რაღაც ხუთი წუთის წინ...
წავიდა ისე, თითქოს მშორდება სამუდამოდ,
თვალს მიეფარა თუ არა, გამძაფრდა ყოფა,
წავიდა და შეერია ქალაქს, სამყაროს,
ასე წასულა ბევრი მუდამ და მიწყივ,
არც შემიმჩნევია მათი წასვლა-მოსვლა,
ის კი წავიდა, ჯერ არც იქნებოდა
მისული ქუჩის კუთხეში და მომენატრა!
წავიდა, რა მოხდა, ხომ ვიცი, მოვა ისევ, როგორც წავიდა,
იქნებ სხვასთან მიდის, ან მივიდა უკვე,
ან იქნებ ვიღაც მისი სურნელით უკვე დათვრა,
ის კი წავიდა.
წავიდა, მაგრამ ვიცი, უნდა დავიწყო თავიდან,
სულ თავიდან, იქიდან, რომ ის ჩემთან არის,
არსად არ წასულა,
არა და წავიდა, ოღონდ არა ისე,
როგორც წავიდა მრავალი, ჩემთვის რომ იყო სულ ერთი.
ასეთი მკვეთრი, განსხვავებული, იმ
წასვლებსა და მას შორის, დღეს რომ არის,
არ ყოფილა, თავგზა ამებნა სრულად.
რაო? მივაკითხო უშუქო ფანჯარას?
იქნებ სანთელი, დანთებული, ჩემთვის უკვე ჩამწვარა?
ან იქნებ სულ არავის გახსენებია სანთლის დანთება.
ვინ დამიდგება დღეს მე ამ წასვლის თავდებად, რომ მოვა ისევ?!

შენ რატომ არა?

დღეს, როცა წისქვილის ყველა ქვა გაცვდა,
საკუთარ თავზე გამოვცადე დოლაბის ძალა,
როცა სიკეთემ ამოწურა მიზანი, ნება,
წყალმა წაიღო წასაღები, ქვიშანი დარჩა,
გამოვიარე, როგორც ყველამ, წელშიმომხრელი,
მძიმე სამსალა,
ფასი არა აქვს აბრეშუმს, ფარჩას,
აღარც სიმდიდრე არ მიზიდავს, რასაც ელტვიან,
ცხოვრების ეტლმა წასაღები სულ გამაცალა
და ვდგავარ ისე, როგორც დგომა რომ არ მინდოდა.
ამოსახსნელი ამოიხსნა განტოლებები,
გამარტივებულს, ვიხვევ ტანზე არესებულ ყოფას
და რომ ვიდოდა წელთა რიგი, მკაცრად ვიდოდა,
ახლა მსურს, გკითხო, კითხვა ერთი მზრალი და მშრალი:
“რად მომატყუა მეზობელმა, როდესაც მითხრა:
გაიზრდები და ყოველივეს თავად გაიგებ?
რატომ არ დარჩა ჩემ გარშემო კაცი თუ ქალი,
არ ეღალატა?
რატომ გაიქცა მეგობარი, ვითარცა ვირთხა,
როცა ეგონა,
რომ გამწირა არსთა გამრიგემ?
რატომ მეგონა, სიყვარული არის ულევი
და მოჩვენება რად აღმოჩნდა თვალით ნანახი?
ჩემს ფიქრებს რატომ შეეპარა ეჭვი და დარდი,
ნაუძლურევი,
ჰო, რატომ? – ისევ დატრიალებს უკუღმა ჯარა?
ეშმაკეულთა მოჩვენება რატომ არ კმარა?
ის თუ მტერია, ეს მოღალატე, ფიცის გამტეხი
გულში თუ მიზის, სხვა ხელს მიბიძგებს, კლდისკენ მაჩოჩებს
და ყველა თუ ასეა მოძმედ ამხედრებული,
შენ რაღას მერჩი, რად ყვავილობ, შენ რატომ არა?

რჩეულაშვილის ქალი

„ციხეს ვზი ეზო მაღალსა, თვალნი ძლივ შემომცდება,
გზა გვირაბითა შემოვლენ, მცველნი მაზედა დგებიან,
მაშიგან ორნი გუშაგნი ნაბადსა არ დაცდება,
მათსა შემბელსა დახოცენ ცეცხლურებრ მოედებიან,
ჩემო, ნუ მოხვალ ჩემზედა სხვათა მებრძოლთა წესითა,
ნურცა მე მომკლავ ჭირითა ამისგან უარესითა“.

ანა რჩეულაშვილის წარწერა
ვანის ქვაბთა მონასტრის კედელზე

ნელა შეუყვა ვანის ქვაბთა ვიწროებს,
გალავნის კარი მძიმედ გაუღეს,
ტალა-დარაჯებს თვალი დარჩათ მის
შემხედვარეთ,
ჯერ სამოსზე, მერე ტანზე, თმებზე, ბოლოს
თვალებზე.
გამოიგლოვებს ზურგსუკან დარჩენილ
ცხოვრებას,
უკვე ნამდვილად გამოიგლოვებს,
არა აქვს მნიშვნელობა, როგორს ჩაიცვამს
წუღებს,
ჩამოიშლის თუ არა თმას,
დაემალება თუ არა მსტოვრებს,
ყველაფერს ტოვებს ამქვეყნიურს, მძიმედ,
მაგრამ ტოვებს
და მაინც გაურბის ფიქრი:
„ხედავცა ჩემო?!
აი, ჩემი გარემო, მე სხვა გარემო
აღარ უნდა მეგარემოს,
ეს არის ჩემი გარემო.
„გზა გვირაბითა შემოდის“
განა ეს გზაა! ეს წვაა მხოლოდ,
არ არის გზა,
ცეცხლია, რომელიც მწვავს, ამატარებს გზას.
ავალ და ჩავქრები.
შენ აიღებდი თმოგვს, ხერთვისს,
შემოიხვევდი ქაჯეთს, აბჯრად, სამოსად,
მაგრამ დაიმსხვრევა ხმალი, შენი
ნაქები,
ვანის ქვაბთა წინაშე!
ასეა, ფიქრი, ჩემიც, მხოლოდ მტკვარს
ერთვის,
მხოლოდ მტკვარს ესმის
და წავა ასე...

რადგან გზა მხოლოდ გვირაბითა შემოდის,
მცველნი კი „მუნ ზედა დგებიან“,
მე კი, რჩეულაშვილთა ქალი,
სიყვარულისთვის დაბადებული,
შენთვის, ჩემო, დაბადებული,
ვითარაც მომხდელი დიდი ვალის,
დედაღვთის ტაძარს შემოკედლებული,
გვირაბის ბოლოს დავემხობი ლოცვად შენდა,
გარეთ კი იქროლებს ქარი და ფიქრი მწარე
დარჩება ფიქრად,
გამოგიგზავნი წერილს, რომელიც არ მოვა
შენამდე,
შენამდე მხოლოდ ფიქრი მოვა,
მე დავრჩები ჩაკეტილ კარს იქით,
დავიფერფლები,
წერილი დარჩება და ჩაბარდება ყველა ქალს,
ვისაც უყვარდა ან არ უყვარდა,
მეც მოვიხდი ვალს
და ვინც მოხდის ვალს, ის მივა ბოლომდე,
მოვალ შენამდე, როგორც ცეცხლით
ამოშანთული
სტრიქონი
და როცა მიპოვნი, თუნდაც საუკუნეთა
შემდეგ,
ვიცოცხლებ ისევე, როგორც ვცოცხლობ დღეს.
ასეა, ცხოვრებისა და სამყაროს დამდეგს
აქვს საწყისი;
თუ აღდგომაა, დაე, აღდგეს ჩემი სტიქიასთან
მებრძოლი სტრიქონი
და აღდგება.

მანძულაანთ გვეძახიან

მანძულაანთ ეძახიან პაპაჩემის მოდგმას,
მანძულა იყო დიდი პაპა პაპის,
პაპა მიწევს ასპინძაში, განისვენებს
მარადიული ღრმა ძილით,
ხოლო მოდგმის დამდების საფლავიც კი არ ვიცით.
ალბათ მიწვა ბერიების საფლავებზე,
იქნებ დადეშს განისვენებს ყოველგვარი ქვის გარეშე,
დაფიცებით ვერ დავიფიცებ, ან რა არის საფიცარი,
შეიძლება მტერს შეაკვდა, როცა ოჯახს იცავდა,
ან სიყვარულს გადეყარა, გადიკარგა, წავიდა,
რაც არ ვიცი, არ ვიცი, ვერ დავიწყებ თავიდან!
მანძულაანთ გვეძახიან, ეს კი ბევრის მთქმელია,
უღირსი რომ ყოფილიყო, სულ სხვა სახელს
გვეტყოდნენ.
ღალატიენთ, გამცემლიენთ, ჯადოქრიანთ
ურწმუნოანთ.....
კიდევ ბევრი – ანთი არის.
მას შემდეგ ხომ გასულია ძალზე ბევრი წელია,
სათქმელიც ხომ ნათქვამია, ანდა რა სათქმელია,
რომ ხნა, თესო, იმრავლო და ლუკმა ტეხო, ოფლითა,
მტერს მტრად დახვდე, მოყვარესთან სიკეთეზე იფიქრო,
მინდვრის ფერებს მიეფერო, ბუხარს სული უბერი,
მერე ისე გადახვიდე ამ ნანატრი სოფლითგან,
რომ ქვა, ქვაც კი ვერ დაიდო ცხოვრებისვე ნიშანი
და რადგანაც მოვლენილხარ ღვთივკურთხეულ არსებად,
ყველაფერი იკარგება, ყველაფერი ნულდება,
წასაღებს ხომ დრო წაიღებს,
სახელი კი დარჩება!



ბადრი თამაზაშვილი (ხიზაბავრელი) – პოეტი.

შობას გილოცავთ ქართველნო

მსოფლიო კაცობრიობის,
სულიერების ცენტრია,
კვართი, უფლისა, სადაც არს.
სვეტიცხოველი მცხეთისა.

მტკვარს სადაც ერთვის არაგვი,
დედა, სამყაროს ჭიპია,
ედემის ბაღიც აქ არის,
სამოთხის გალობს ჩიტია.

ჯვრის მონასტერი დაჰყურებს,
ზედაზენს რეკავს ზარები,
ცამეტ ასურელ მამათა
ისმის საამო ჰანგები.

შიომღვიმეში შეკრებილთ,
ღიად აქვთ გულის კარები.
ქალდეურ ენით გვლოცავენ,
იბერიელი მამები.

ექვსიათასი წმინდანის,
კვლავ ლოცვა ისმის ზეციდან.
გარეჯელ ბერთა სიმტკიცე
არ გასულიყვეს ქვეყნიდან.

სიონში მუდამ გაისმის,
მათ სადიდებლად ზარები.
ასი ათასი წმინდანის,
დღესაც ანთია სანთლები.

დღეს დიდებული დღე არის,
სამებას ისმის გალობა,
არ მოგვკლებოდეს არადროს,
უფალო, შენი წყალობა.

ორმოცდახუთი გავიდა
აღსაყდრებიდან მამისა,
ღმერთო, დიდ ხანსა გვიცოცხლე
შიოლაშვილთა გვარისა.

ილია, სულის სიმტკიცე,
ხვთის კაცი, ქვეყნის ძალაო,
რომელმაც ჩვენი გულისთვის
ბევრი წამება ნახაო.

შობას გილოცავთ, ქართველნო,
მართლმადიდებლებს, ყველასა,
ჩვენი სიცოცხლის სიცოცხლეს,
მშობელსა, ჩვენსა ქვეყანას.

ყველა – ეს ჩვენი წმინდანი,
ამბავს უფალთან მიიტანს,
ჩვენ გზას დვადგეთ, რომელიც
ყველას ტაძრამდე მიგვიყვანს.

წინაპრის არ დავიწყება

მე მხოლოდა ვწერ, გული მკარნახობს,
უფლის ნებაა, ეს ყველაფერი.
ერთი პატარა მესხი კაცი ვარ,
ქართველი ვარ და სხვა არაფერი.

და მე არ მინდა სხვაგან სიცოცხლე,
აქ მინდა მოვკვდე ამ ჩემს მიწაზე.
აქ გავატარე ჩემი ბავშვობა,
მაღალი ღმერთი მე აქ ვიწამე.

აქ წინაპრების ძვლები მარხია,
აქ მათი სისხლით, ხარობს ბაღნარი.
ეს ყველაფერი მათი ღვაწლია,
დღეს რომ ფეხზე დგას ჩვენი სახლ-კარი.

მას რუსთაველის სამშობლო ჰქვია,
მოდრეკილის და ჩახრუხელისა.
კვლავ ვარძიიდან თამარი გვლოცავს,
გალობა ისმის მთაწმინდელისა.

კუმურდოს რეკავს ისევ ზარები,
ჯავახეთს ისმის ლოცვა მამების.
მლოცველს ყოველთვის გულღიად ხვდება
თავკვეთულა და ვანის ქვაბები.

ხერთვისის ციხე კვლავ გადმოგვყურებს,
თმოგვს დარჩენია ღიად კარები.
ჯავახეთს უკვე დამწიფებულა
მოსამკელია პურის ყანები.

დილით ჩიტების ისმის ჟღურტული,
მერე მოისმის შაშვის გალობა.
ღმერთო, მაღალო არ მოუშალო,
ჩემს საქართველოს შენი წყალობა.

ჯერ კიდევ მოსაგებია

ჯერ კიდევ მოსაგებია,
ბასიანი და ასპინძა,
დიდგორიც მოსაგებია
დრო რა ხანია დამწიფდა.

წინ დიდი ბრძოლები გველის,
ახლა გვჭირდება დავითი,
გორგასალი და ერეკლე,
მტერი ჩვენ აღარ დაგვიცდის.

თამარის დროშა გავშალოთ,
შეკრბეს დიდუბეს ლაშქარი,
სააკაძემაც ტაშისკარს,
მტერს, დროა, დასცეს თავზარი.

გვეყოს მარაბდა, კრწანისი,
ბაზალეთი არ გვენახოს,
წიწამური და ხიბულა,
თავს არ გვანებებს, ვერა გვთმობს.

შევუნდოთ ერთურთს ყოველი,
რაც დრომ წაიღო, წავიდა,
ამოვირეცხოთ, განვდევნოთ,
ცუდი აზრები თავიდან.

ხვალინდელ დღეზე ვიფიქროთ,
მომავალ საქართველოზე,
ღვთიმშობლის წილხვედრ მიწაზე,
ქართველნი კვლავ დავმეგობრდეთ.

ქართული სულით ვიცხოვროთ,
ადათ-წესებით, რაცა გვაქვს,
მართლმადიდებელ ქრისტიანს,
კვლავ დაგვიფარავს, სადაც ვართ.

აქაც და იქაც იყავი,
შენი სამშობლოს ერთგული,
ჩაკრულო არ დავივიწყოთ,
აჭარული და ფერხული.

ფესვებს მივხედოთ, ქართველნო!

ფესვებს მივხედოთ, ქართველნო,
სოფელსა, მამა-პაპისას,
მამლის ყივილი არ ისმის,
ერდოზე ყეფვა, ძაღლისა.

გადახმა მინდორ-ველები,
მთაში ცხვრის ფარას ვერ ვხედავ,
ნახირიც არ ჩანს, სოფლისა,
ბოსლის კარებსაც ვერ ვკეტავ.

კრუხის კრიახი არ ისმის,
წიწილებს ვერ ზრდის დედაო,
ჭიშკრის გამღებიც არ არის,
დაკეტილია ყველგანო.

დაცარიელდა სახლები,
ბაშვები აღარ დარბიან,
აკვნის დამრწევი ვინც იყო,
საზღვარგარეთში გარბიან.

სულ დავივიწყეთ სამშობლო,
პატივს არა ვცემთ ღმერთსაო,
მარტო სანთელის დანთება,
არაფერს მოგვცემს ბევრსაო.

მიწა არ დავთმოთ, მამული,
ფესვები შვილებისაო,
კვირტს მოფერება სჭირდება,
ნაყოფი მოგვცეს ხისაო.

ისედაც ბევრი მტერი გვყავს,
შინაურს რაღა რჯისაო,
ვერ ვხედავთ ცოტანი დავრჩით,
ქართველნი, ქრისტეს გზისაო.

რით ვერ გავიძღეთ კუჭები,
როგორ არ გვყოფნის ძალაო,
ერთად გავწიოთ ჭაპანი,
მტრობა და შური კმარაო.

კვლავ სიყვარული ვიწამოთ,
უფლისა, ნათელ მზისაო,
სამშობლო - ჩვენი მშობელი
კვლავ ვამჯობინოთ სხვისასო.

სამშობლოს შველა სჭირდება,
მამული გასაჭირშია,
ქართული სიტყვა არ ისმის,
ჩვენივე ჩვენთან ჯიბრშია.

ფესვებს მივხედოთ, ქართველნო,
მიწასა, მამა-პაპისას,
მამლის ყივილი გვესმოდეს,
ერდოზე ყეფა - ძაღლისა.

სულს გავუფრთხილდეთ – სულიერ სიმდიდრეს!

ჩემი მიწა-წყლის ფუძე-ძირი ვარ,
ხიზაბავრელის მქვია სახელი,
ჩემი მესხეთის მკვიდრი შვილი ვარ,
ერთი პატარა, ვინმე, ქართველი.

წუთოსოფელის ერთი წუთი ვარ,
წამები არის ეს ყველაფერი,
სიცოცხლე დროის მეგობარია,
ცრემლი, ღიმილი და არაფერი.

დავდივარ, ჩუმად დავიარები,
გული მაწუხებს, ნაიარევი,
კაცობრიობა – უფლის საუნჯე,
გასაჭირშია ვერ ვეხმარები.

სიყვარულია ჩვენთვის მთავარი,
სულის სიმშვიდე, გულის წყალობა,
ვიყოთ ერთგულნი სამყაროსადმი,
უფალს ესმოდეს ჩვენი გალობა.

სასწაულია ეს ყველაფერი,
ბუნების სუნთქვა, ყოფა არ ყოფა,
თუ ყველაფერი არაფერია,
მაშინ რა არის ჩვენ აქ ყოფნა.

ანგელოზების გალობა მესმის,
საოცრებაა ჩემში რაც ხდება,
მე უფლის ძალა იმედსა მმატებს,
იმედი ჩემში ბოლოს არ კვდება.

რადგან სიკვდილის სულაც არ მჯერა,
გარდაცვალება აი, რაც არის,
სულს გავუკვლიოთ, ჩვენს, იქ გზა-კვალი.

საკუთარ თავთან გამარჯვება

ღმერთო, ადამიანები გამომაცნობინე,
რაც ყველაზე ძნელია ცხოვრებაში,
საკუთარ თავთან გამამარჯვებინე,
ცხადად თუ არა, ოცნებაში.

ჩიტისთვის ქვა არ მასროლინო,
ძაღლის ღირსვიყო მეგობარი,
სამშობლოს სიყვარული მომეც,
და ვიყო მისი მწიგნობარი.

ისტორიის გაკვეთილებს ვატარებდე,
წინაპარი არ დამავიწყებინო,
ქვეყნიდან გასული ქართველები
ისევ სამშობლოში დამაბრუნებინო.

მართლმადიდებელ, ქრისტიანულ
ფესვებს, არასოდეს არ მომწყვიტო,
წინ საუკუნე მძიმე მიდგას,
წმინდა მამებთან არ შემარცხვინო.

მაპატიე, რაც კი ვერ ვივარგე,
ჭაპანი ვერ გავწიე ზღაპრული,
ამით ყველაფერი მე დავიკელ,
მიწა-წყალი დავკარგე ქართული.

ვეღარ გავარჩიე ვინ, ვინ იყო,
ყველას ვენდე და მჯეროდა,
რას ვიფიქრებდი თავის დროზე,
გულში ტყვიას თუ მესროდა.

სულხანის საფლავს დღესაც ვეძებ,
სულ მესიზმრება ტანძია,
თამარის საფლავი სად არისო?
მესხ კაცს გადმომძახის ვარძია.

ქართველ ემიგრანტებს

ყველა ემიგრანტს მსურს, მოგეფეროთ,
კეთილი სიტყვა გითხრათ, ქართული,
არ დაივიწყოთ დედასამშობლო,
თუმც ბევრი ტანჯვა თქვენ გაქვთ ნახული.

ფესვებს არ მოსწყდეთ მამა-პაპისას,
ფიქრებით მუდამ სულ აქ იყავით,
ჟამკარარეულს გელოდებიან
თქვენი მიწა-წყლის არემარენი.

არ დაივიწყოთ ბავშვობის წლები,
თქვენი სახლი და ჭიშკრის კარები,
ბუხრისა ცეცხლი, თბილი კერია,
მამა-პაპური ოდა-მარნები.

იქ, სადაც დედას დაურწევია,
დაღლილ-დაქანცულს, თქვენი აკვნები,
ტკბილ ნანინაში ჩაგძინებიათ,
ასე გაზრდილხართ ცელქი ბავშვები.

დღეს გასაჭირი ყველას ხვედრია,
რა ქნას მამულმა, თუ ამ დღეშია,
უნდა დაბრუნდეთ, გვერდში დაუდგეთ,
თორემ სამშობლო განსაცდელშია.

ხიზაბავრელი ჰალებადრია

მზემ წვერის მთაზე თავი ამოყო,
გამოანათა სხივმა, ნათელმა,
წვერის წყარომაც თვალი ჩაუკრა,
ამოისნუთქა ღამენათევმა.

გამოიღვიძა დედაბუნებამ,
მთამ მთას გასძახა, მდელომ – მდელოსა,
დილის ცვარ-ნამმა მორწყო მიდამო,
თავი დაუკრა ნეგომ ნეგოსა.

სოსნებს, გვირილებს, შვენით ნარნარი,
მიხაკებს დილის სიო უგრძვნიათ,
კვლავ გადათეთრდა კორდი, პაპათი,
სოკოებს თავი ამოუყვიათ.

სანაქრეებში ფარა გაშლილა,
მწყემსავს სოფლელი ბიჭი, პატარა,
დღეს მამის ნაცვლად ის წამოსულა,
ამ მზის სხივებით ისიც გამთბარა.

ხიზაბავრაში მამალი ყივის,
ეს მერამდენე დილა გათენდა,
შემოიჭყიტა ერდოში სხივმა,
ბუხარშიც უკვე ცეცხლი აჟღერდა.

სიბერეშიაც არ მივიწყებენ,
ოცნებით მუდამ ჩემთან არიან,
ისევ გავრბივარ წვერის წყაროსკენ,
ხიზაბავრელი ჰალესბადრია.

ჩემი ბაშვობის დღეები

ეჰ, რა იქნება, ცხოვრება,
დაიწყოს ისევ თავიდან,
ჩემი ბავშვობის დღეები,
კვლავ განმეორდეს აკვნიდან.

დედიკომ ნანა მიმღეროს,
მამამ მირწიოს აკვანი,
მამლის ყივილი ისმოდეს,
ქათმების კრიახ-კაკანი.

ახლად ფეხადგმულს დამდევდეს
დედა, თამაზათ კალოზე,
მომდევდეს, ვერ დამიჭიროს,
მამა კი მასზე ბრაზობდეს.

მომხვიოს ხელი, გავუსხლტე,
მამას ჩავუჯდე კალთაში,
მერე მარანში შევიდე,
რომ დავიმალო ამბარში.

კოწახურის და მიატნის,
გავივსო უბე კამფეტით,
მერე ხმამაღლა შევძახო,
ბავშვებო, უკან მომყევით.

სიტკბო გავუყო მეგობრებს,
ჩაიტკბარუნონ პირები,
არ დავივიწყებ სიკეთეს,
სანამ ამქვეყნად ვიქნები.

დათათ სერს გადავლახავ და
საბურთლებშიაც ავირბენ,
წყალს დავლევ კოპინაში და
დედოფლეთებში ჩავირბენ.

ლარებს ვნახავ და ჭიას ქოხს,
ვანო ძიასგან აგებულს,
სოკოს მოვკრიფავ, ქამასა,
შავჩოხას - მასთან გარეულს.

იდაყვას ჩავალ წყაროზე,
ხარძლებსაც მოვინახულებ,
ბრაწნალში მარწყვსა მოვკრეფავ,
მერე ხიზებში ავირბენ.

ეკლესიასთაან მივალ და
მუხლს მოვიდრეკავ, ქართულად,
მართლმადიდებელ ქრისტიანს
რაც ევალება, კაცურად.

მადლობას ვეტყვი თედოთ ბიჭს,
რამაზის - კეთილს, მადლიანს,
რომელმაც ეს დიდი საქმე
საშვილიშვილოდ აქცია.

სანთელს დავუნთებ წინაპარს,
ცრემლს დავადინებ ბევრსაო,
დაუმარხავს და დაჩეხილს,
მამულიშვილთა ძვლებსაო.

საით წავიდა სიცოცხლე,
ნეტავ სად გაიპარაო,
ამქვეყნად ერთხელ მოსულსა,
ცხოვრება არა კმარაო.

შენს ეზოს შორს ნუ გასცდები

დედა სიცოცხლის წყაროა,
შვილები ნაკადულები,
არ მოგვკლებოდეს ქართველებს
ასეთი საგანძურები.

სიყვარულისა გარეშე
სიცოცხლე არაფერია,
ამიტომ ჩვენი ცხოვრება,
სულ მუდამ მრავალფერია.

წარსული მოგონებაა,
ესაა წუთისოფელი,
ყველა დღე სასწაულია,
სანამ ხარ მისი მფლობელი.

ყველა დილა და საღამო,
დროის წუთი და წამები,
მადლობა უთხარ ყველასა,
როდესაც დილით ადგები.

არ დაივიწყო სამშობლო,
ვენახები და ბაღები,
შენი წინაპრის ფესვები,
სოფელი, ძველი სახლები.

სადაც შობილხარ, გაზრდილხარ,
სად დარწეულა აკვნები,
სადაც რომ ფეხი აიდგი,
შენს ეზოს შორს ნუ გასცდები.

გიყვარდეს შენი ქვეყანა,
სამშობლოს ყველა მხარეო,
ის ხომ ერთია ზეცის ქვეშ,
მისი მზე, მისი მთვარეო.

უმადურებს

გულში რაცა მაქვს, ვერვინ წამართმევს,
და ვერც იყიდის ვერა სიმდიდრით,
ჩემი სამშობლო, ჩემი ფიცია,
რომელიც მხოლოდ უფალს ეკუთვნის.

პურის ყანაში სარეველა ხარ,
ვარდის კოკორის – მწარე ეკალი,
რად არ მანებებ თავს, შე უჯიშო,
რა დაგიშავე, მითხარ, ნეტავი.

მიგიღე ძმად და გულში ჩაგიკარ,
დაგასახლე და კერა მოგეცი,
სალოცავიც კი აგიგე წმინდა,
სამაგიეროდ შენ რა მომეცი.

მიწა-წყალს მართმევ, ჩემი არისო,
არ გყოფნის, რაც გაქვს უკვე ნაბოძი,
ენას მილანძღავ, ქართულს, მადლიანს,
ლამის გამხადო წმინდა სამოსი.

ვერ მოესწრები, ტყუილად ცდები,
სამი ათასი წელი გაგიძელ,
დე იხმაურე, თქვი გულში რაც გაქვს,
ამით, იცოდე, უფრო მაფხიზლებ.

მეყო, რაც ძილში ვიყავი დღემდე,
რას ვიფიქრებდი, თუ მღალატობდი,
ქართულ მიწაზე შობილს და გაზრდილს,
გადაშენებას ჩვენსას ნატრობდი.

სვეტიცხოველი ისევ დაგვიცავს,
ზარზმა, საფარა, მადლი – გელათის,
ასი ათასი წმინდანის სული,
თქვენთანა ვარო, – დღესაც გვეძახის.

წუთისოფლის ავარა

მეც უბრალო მოკვდავი ვარ,
წუთისოფლის ავარა,
დავდივარ, დავეხეტები,
ჩემი ბედის ამარა.

ცუდს გავურბი, კარგს დავეძებ,
ჩემი მტრების ჯინაზე,
რასაც ვთესავ, აღარ ვიმკი,
მიმინდვია სხვისაზე.

ნურაფერს ნუ გაიკვირვებ,
ამ დალოცვილ მიწაზე,
ნურასდროს ნუ გაიცინებ,
ნამოქმედარს, სხვისაზე.

ღმერთს მიენდე, ნუ იქნები
ეშმაკისა ამარა,
პირფერობას განერიდე,
კაცობისთვის არ კმარა.

თავაზიანი იყავი,
ყველაფრისა გარეშე,
ნურავის ნუ დაივიწყებ,
შენი მტრებიც დაგეშე.

მიუტევე და შეუნდე,
ყველას ცოდვა, კაცისა,
შენც ხომ ადამიანი ხარ,
შენც ხომ ვიღაც დაგცდისა.

რასაც თვალით ვერა ხედავ,
ენით ნუ მოიგონებ,
ენა ყველაფრის მთქმელია,
ეშმაკი დაგიმონებს.

გულკეთილი იყავ მუდამ,
ღვთით დალოცვილ მიწაზე,
სიყვარულით სავსე თუ ხარ,
თვალი ნუ გაქვს სხვისაზე.

შენც უბრალო მოკვდავი ხარ,
ჩემისთანა ავარა,
დადიხარ, დაეხეტები
შენი ბედის ამარა.

მუდამ კეთილი იყავი

თვალები სულის სარკეა,
გული კი სიყვარულისა,
ყურები – ამბის გამგონე,
მწუხრის და სიხარულისა.

გონება უფლის წყაროა,
აზრებად მოედინება,
ფიქრი კი დიდი სიბრძნეა,
რომელიც ყველას გვჭირდება.

დროს ვერ დაიჭერ ვერაფრით,
ვერ დაიბრუნებ წარსულსა,
ჯანმრთელობას ვერ ისესხებ,
სიყვარულს – შენგან წასულსა.

წამები, მერე წუთები,
მას საათები მოჰყვება,
დროს კი სულ წლებით ითვლიან,
ფეხდაფეხ ჩვენ რომ მოგვყვება.

საუკუნეებს გაუძლო –
ძნელია, ადამიანო!
... და სანამ ქვეყნად დადიხარ,
არასდროს დააგვიანო.

მუდამ კეთილი იყავი,
კვალში მისდიე ცხოვრებას
და არასოდეს არ ასცდე
ადამიანურ მოძღვრებას.

ქართველებს

ჩვენი სამცხე, ჯავახეთი,
ერთ დროს დიდი მესხეთი,
დიდებული და ქებული,
დღეს კი მივიწყებული.

გული მტკივა, როცა ვხედავ
ზარზმას, ასე მოწყენილს –
ხარაჩოებში ჩასმული,
დღესაც შვებას მოელის.

ჩემი საქართველო მტკივა,
ტანჯული ჩემი ერი,
ვერა და ვერ დავამარცხეთ,
ჩვენშივე ჩვენი მტერი.

სანამ პირში სული მიდგას,
და დავდივარ ამ ქვეყნად,
ჩემს მიწა-წყალს ვეფერები,
მე სხვის მიწა არ მინდა.

ჩემი სამცხე, ჯავახეთი,
ხიზაბავრა, ასპინძა,
საქართველოს ყველა მხარეს,
მადლს და იმედს აწვიმდა.

თმოგვის ციხე, ხერთვისისა,
სლესისა თუ აწყვერის,
დღესაც ისევ ამაყად დგას,
ცის კაბადონს გასცქერის.

ოქროს ციხე, წრიოხისა,
ვარძიის ქონგურები.
კლდეში ნაკვეთი ქალაქი,
ყველასთვის სასურველი.

რუსთაველის სამშობლოა,
თამარისა - სამეფო,
ძმები, ახალციხელების,
წმინდა სულის სამრეკლო.

საფარისა ეკლესია,
ჭულევის თუ ზარზმისა,
მუდამ ერის ლოცვაშია,
მისი მადლი გვფარვისა.

ობოლეთის, ხიზებისა,
ღარიბათ ეკლესია,
ხიზაბავრის მიწა-წყალის,
მფარველი და ფესვია.

სად არ ნახავ ხიზაბავრელს,
ქვეყნის ყველა მხარეში,
ბედნიერ მაცხოვრებელსა
იმერეთს თუ კახეთში.

ქართლშიცა ბევრნი არიან,
გურიაში, რაჭაში,
სამაჩაბლოს, სამეგრელოს,
იმ ჩვენს საინგილოში.

საქართველო, გენაცვალე,
გლოცავ აბულის მთიდან,
ჩემო ნაღდო ქართველებო,
არ ავცდეთ ერთმანეთს გზიდან.

საქართველოს მოვეფეროთ,
მის კუთხეებს - ყველასა,
ერთად ყოფნა გადაარჩენს,
ხვალინდელ დღეს, ჩვენსასა.

ვერ გავწიე ჭაპანი

ვაი, რა დრო გასულა,
აღარ ისმის ურმული,
ბაღში ვარდი დამჭკნარა,
გაფრენილა ბულბული.

აღარც გალობა გვესმის,
ტყიდან ლაღი შაშვისა,
მოიწყინა ბუნებამ,
კვნესა ისმის ნაძვისა.

ქართულს ვერსად შეხვდები,
ენატკბილსა საუბარს,
უცხო სიტყვებმა შთანთქა,
ვერ გაუგებ ნაუბარს.

ჩემო ტკბილო სამშობლო,
ლაღო მინდორ-ველებო,
მხრებგაშლილო მთებო და
გაჩეხილო ტყეებო.

თქვენი სუნთქვაც არ ისმის,
წიფლნარის და არყისა,
ასე როგორ აგჩეხა,
არ დაგინდო სახლისამ.

მტერს ასე არ უქნია,
თავის დროზე, დამპყრობელს,
მარტო ხარკის ამარა,
ამქვეყანას დაგვტოვეს.

ჩვენ კი რას არ ჩავდივართ,
არ დავინდეთ მამული,
უფლისგან ბოძებული,
მიწა-წყალი, ქართული.

ღვთისმშობელო, მარიამ,
ამ შენს წილხვედრ მიწაზე,
ვერ გავწიე ჭაპანი,
ვერაფერში ვივარგე.

რა ვქნა, არ შემწევს ძალა,
ბოროტება ნავარდობს,
როცა ხმა ამოვიღე,
ჩემიანმა დამახრჩო.



ვაჟა სამსონიძე (სამცხელი) – პოეტი;
დაბადების ადგილი – ქ. ახალციხე.

სარუსთაველოს

ჩემო მთაველო,
სარუსთაველო,
შენი მწვავს ტრფობა,
მე შენით ვიცი სიყვარული,
თრობა-დატკბობა;
მე შენით დამყვა ლექსთა მბობა,
მწვერვალთ დაპყრობა;
მე შენით მინდა ამ სიცოცხლის
ქება-შემკობა;
შევყურებ ახალს
და ვიგონებ ყოველ წინანდელს,
შენი დათმობა მე არ ძალმიძს
თვით სიკვდილამდე!
მე შენგნით თანმდევს სიჭაბუკე,
ზოგჯერ ბავშვობა;
მე შენგნით მიყვარს
ანგელოსურ ბაგეთა პობა,
მე შენგნით ვეტრფი
მშვენიერთა თვალ-წარბ-წამწამებს,
უსულგულობას,
გულგრილობას, ვერვინ დამწამებს,
ესა ვარ, რაც ვარ,
მცნოს ყოველ კაცმა,
ჩემო მთა-ველო,
სარუსთაველო!...

ხერთვისი

ბევრისმომცემი არის ჩემთვის ის –
თვალშეუდგამი, ჩემი ხერთვისი! –
ხმალთა ხევა და შუბთ ჩაქანება
შემორჩენია, როგორც ზმანება,
როგორ ჰგავს ხომალდს სიგრძით, განითაც,
ამაყად დაძრულს, არტაანიდან...
მკერდმაგარს, მხარგრძელს, მაღალს, ეშხიანს
მტკვარი შუაზე გაუხლეჩია;
შევყურებ კოშკებს, დიდ ნაქალაქარს,
ჩვენამდე მოსულს, ზღაპრად, არაკად,
ის სდარაჯობდა მესხეთს და სამცხეს,
ვინ არ ეკვეთა და ვერ დაამხეს!
ათასი სწვავდა, ცეცხლის კიდება,
მაგრამ თან სდევდა ყველგან დიდება;
ხერთვისი ჩემი, დიდი ხერთვისი, _
ბევრისმომცემი არის ჩემთვის ის!...

აწყურის ციხესთან

ზედ მტკვრის პირას, მაღალ კლდეზე
დგას აწყურის ციხე მყარად,
წარსულს ყვება, მდინარეზე,
მან ხომ ბევრი სისხლი ღვარა!
არ შეუდრკა ის მომხდურებს,
სარდალივით კვლავ თვალს ახელს
და ამაყად გადმოჰყურებს
საბაღეს და სავენახეს!..

საფარა

ომარ ჯაყელს,
ვით წიწვნარეთის საპატარძლოს,
ვხედავ საფარას,
წითელ სამოსზე ჩუქურთმები
უხვად დამსხდარან...
მან შემაყვარა დიდოსტატთა
ყველა ქმნილება,
გულის ძაფები გამიბია,
ყველგან სიმებად, –
მე ყველა ქვაზე მღელვარებით
ვიწყებ ლაპარაკს,
მაგრამ სხვა არის სილამაზით
მაინც საფარა!..

წნისი

სამცხის ბაღში რა ხილია, ვის უნახავს,
ვინ დამტკბარა მშვენიერი მხარის ცქერით;
ამ კლდეების, ამ ლამაზი მზის უნახავს
დარჩენია ლექსი, წმინდა, დაუწერი.
აწყვეტილა მთებში წმინდა ნაკადული,
მორბის, მოხტის, კოხტა ნაბიჯს აუჩქარა...
აქ მთვარეა ნესტანივით გაბადრული,
ვარსკვლავების ელვარება დაუფარავს!
მტკვარს ფოცხოვი ეხუტება ტრფიალებით,
გიჟმაჟ ტალღებს ჩემი ფიქრიც შერევია;
ეს მინდვრები, ეს ბაღები, ეს ჭალები –
ყველა ჩემი, ჩემი მოსაფერებია.
სამცხის ტრფობამ დამიჩრდილა ყველა ბინდი, –
უფრო ლამაზ, წრფელ სიმღერებს ვაპირებო,
ფრთა გაშალეთ, უფრო ლაღად აბიბინდით,
მტკვარ-ფოცხოვის საოცნებო ნაპირებო!...

აგარის მონასტერთან

აგარის მთავარი ეკლესია ერთი უდიდესი
ერთნავიანი ტაძართაგანია
საქართველოში.

აკად. ვახტანგ ბერიძე.

ვნახე და (სხვას ვინ გრძნობდა!)
ავივსე მონამზერით,
ცხრა სოფელს მასპინძლობდა
აგარის მონასტერი.
ურავლის ხეობაა,
ვიწრო, ტყით შებურვილი;
აქ აღარც დღეობაა,
ცხოვრების არც სურვილი.
გარს ბევრი ნასოფლარი
წიწვნარეთს შეთესია;
დგას მესხთა ნაოფლარი –
აგარის ეკლესია!
ათასი წლისააო,
ათასგზის გადამწვარი;
დროით თუ მტრითააო
ჩუქურთმაგადამცვდარი?!
მაინც თაღმაღალია,
კედლებზეატყორცნილი;
მკერდზე კი რა ლარია? –
მზის სხივებს აქვთ ქორწილი!
გულლაღობს, ხარობს თვალი
აქ, ფლორა-ფაუნისა;
აგარა – მესხთა კვალი,
ჟამს ვეღარ დაუნისლავს.
გასცლია მტერთა შური,
მხოლოდ ერთს დაუწუნებ:
გარემო – უკაცური,
მთვლემარე საუკუნე...

რომ გამებედა...

მოხველ...
მიდიხარ,
მიგაქვს ყოველი
და სულში თვალთა ციმციმს მიტოვებ...
ბაგე, ამდენი ეშხის მთოველი,
ვერსად ვერ ვნახე, ვერსად ვპოვე.
სიო თმებს გიშლის, ამ მთის, ამ გორის,
ჰგავს წამწამები ოქროს მარაოს,
რომ გამებედა მათი ამბორი,
ხომ არ მეტყოდი, არა, არაო?..

შემოდგომა სამცხეში

„მესხურია, სხვა ხილია!"
იოსებ ნონეშვილი

მთებში, ვით თეთრი მანდილი,
დაფარფატებენ ღრუბლები,
მოუწყენიათ, დამცხრალან
ერთურთთან გასაუბრებით.
შემოდგომაა... ჩაშავდნენ
ისეც მუქ-ლურჯი ტყეები;
თმააქოჩრილმა მუხნარმა
ამოაყვითლა ხევები.
შეოქროსფერდა ხეხილი,
აქარვისფერდნენ მტევნები;
გარემოცული - მე, ხილით -
ლექსზე ფიქრს ავედევნები:
კლდე, წნისი, მუსხი, აწყური,
სხვილისი და ურაველი...
ხილის სურნელით დავთვერი,
რომელ სოფელშიც აველი!
ბაღს ვუქებ წყორძას, ტატანისს,
ვალეს, წინუბანს, აგარას...
რა ნაყოფს აღარ იძლევა
წალკოტის მხარე, პატარა!
იმრავლოს მისმა სახელმა
ხვავის სიუხვით, ბარაქით;
დე, მაშინ მძრახონ, თუ მასზე
მომწყინდეს ლექსი, არაკი!..

შენ

მე გავარღვევ ყველა ჯებირს,
ყველა მტანჯველ მოკრძალებას,
გაიგონ, ვით გეაჯები,
ვით მჩვევია მოძალება.
მორჩა! დავთმე, დავამსხვრიე
კაცისა და ღმერთის შიში,
ეს შენ მსურხარ, ასე ძლიერ,
შენკენ ლტოლვას ვერ მოვიშლი!
შენ დამათვრე შოთას ლექსით,
ტატოს მერნით გამაქროლე,
შენ დამაძმე მიჯნურ ბესიკს,
ყაზბეგივით ამათრთოლე!
ვაჟასავით ამამქუხრე,
ვიდრე წვერმა დამათიოს,
სამუდამოდ დამამწუხრე,
თუ შემნიშნო ღალატიო!
იქნებ ცოტა დაიჯერე,
ყველაფერი არა თქვიო...
წრფელი გულით დაგიწერე
ეს პატარა ბარათიო...

ზარზმა

რა ლამაზია,
რა მშვენიერი,
ტყუპისცალივით მოჰგავს საფარას,
ახოვანებით,
ღვთიურ იერით,
შემონახულა ისიც ზღაპარად;
რა ჩუქურთმები,
ფრესკების ჯარი –
ენა ვით მოჰყვეს ქებას, ლაპარაკს?..
მარად გვენახოს
ასე, მხნედ მდგარი,
ჩვენი ზარზმა და ჩვენი საფარა!..

შენი აღმართი

მეუღლეს – ნინო ოქრომელიძეს.

აგერ, იმ მთაზე კისათიბია,
აი, ჩვენ ახლაც მივდივართ მაღლა;
მე შენთვის ხელი ჩამიკიდია
და აღარ ვიცი, რა არის დაღლა.
სიკეთე გრძნობას ნუ მოაკლდება,
მხიბლავ მორცხვობით და მოკრძალებით;
აღმართი მუდამ გამივაკდება
მაგ მოღიმარე შავი თვალებით...
ერთად ვიაროთ კვლავაც ყველგანა,
მთაში თუ ბარად, შინა თუ გარეთ;
ვაქოთ, ვადიდოთ, ჩვენი ქვეყანა,
ჩვენი ლამაზი სამშობლო მხარე...

მანანა თბილელს

შენი ღიმილით, ქართულით,
ვარ დღესდღეობით გართული,
წავალ და... ვერ მოვისვენებ
მე შენს ფიქრებში ჩართული.
ჩამრჩა მაგ თვალთა სინათლე,
ეშხი ვარდ-ფურცელ ბაგეთა,
სამცხეში ბევრჯერ გინატრებ,
წამოსვლას ვიტყვი აქეთა.
მაგრამ კი რა დროს ეს არის,
ოცნება სად არ მიგიყვანს!
მინდა ბრწყინავდე მზესავით,
იმისთვის, ჯერ შენ ვინც გიყვარს.
რაც ვთქვი, მიჯნურის წესით ვთქვი,
ნურც შენ დამძრახავ, მანანა, –
მე ვარ მეორე ბესიკი,
დამწვა მეორე ანამა!..

ტაო-კლარჯეთი

ფილმ ,,ტაო-კლარჯეთის" გადამღებ
გურამ პატარაიას ხსოვნას.

ტაო-კლარჯეთი...
ტაო-კლარჯეთი...
თითქოს დავღამდით, თითქოს გავჯერდით;
,,წუხილი მესხთა,
ძახილი მესხთა," –
არ მოასვენებს ქართველ კაცს ეს ხმა!
ბნელით მოცულა ტაძართა შუქი,
ვეღარ ვკითხულობ ქვებზე ასოებს;
ეს უღმერთობა, არვის რომ უკვირს,
ასე უღმერთოდ ვით შემატოვეს! –
არწივის ნაცვლად ჩხავის ყორანი,
დაუფლებიან ედემს სვავები;
აღარც ხიდი და აღარც ბორანი,
ზღვაზეც გამქრალა ფარა, ნავების!
გადაკეტილა ყველა კლდე-კარი,
,,იქით ბადელა, აქეთ – არალი"...
რას იზამ, ქვეყნის ბედიც ეგ არის,
უნდა ითმინო კიდევ მრავალი...
და იქნებ, იქნებ იმედით, ხვალის
დანისლულ სულმაც გაილამპაროს
და მზე მაღალი, ერთნაირ ძალით,
გადაეფინოს ორსავ სამყაროს!..

***

იშხანი და ხანძთა...
მძიმე არის განცდა,
ბევრი ცრემლი დამცდა,
ვერვინ დაითვალოს:
შატბერდს, ოშკს ან ხახულს,
თვალით ჯერ არნახულს,
ჩემთვის კარებდახშულს,
ვით რა შევუთვალო?!...

გიორგი ლეონიძის გახსენება

,,ვეღარ ვემთხვიე მესხეთის მიწას”...

გიორგი ლეონიძე,
ცამ ზესიამით ლოყა აიწვა,
თითქოს გამრთელდა ყველა ჭრილობა;
შინ დაბრუნებულ რუსთველს ამ მიწამ
შემოაგება მგოსანთ ყრილობა.
თითქოს გაცოცხლდნენ ძველი გმირები,
უჭკნობ გვირგვინად დაჯდა თამარი!
დაცხრნენ მესხები, მხარგაშლილები,
გადაივიწყეს სულის ტრამალი;
გულში ჩაიკლეს ძნელი წარსული,
სამასწლიანი დარდი-ნაღველი,
სამცხე გულლაღობს, ცამდე ასული,
მასპინძელია, დაუძრახველი!
ამერ-იმერით, მაშრიყ-მაღრიბით,
,,ჯარი გამრავლდა დიდებულ ხასის”...
თქვეს უკვდავება სისხლად დაღვრილის
და სადღეგრძელო - ასი ათასი!
იდგა მათ შორის გულით, ამაყით,
ახალ ივერთა მგოსნების კრება;
ირაკლიმ იწყო ლექსი-კამათი,
დაუვიწყარი გაშაირება!...
მაგრამ ამ ფერხულს მხნე, სასურველი,
აკლდა ხმა, დიდი ლეონიძისა,
ვერ მოეტანა ეშხი, სურნელი,
პატარძეულის ცხელი მიწისა!
ვეღარ მოვიდა, ვერ მოგვესხივა
სიტყვა – სალამით, ადრე დათქმულით;
ვეღარ ვისმინეთ მისი ,,მესხი ვარ!”
და ძარღვიანი ლექსი ქართული!
როგორ ელოდნენ მთა-ხევ-ბაღები,
გულდალაშქრულნი ძველ გაავდრებით;
როგორ ელოდნენ კარის გაღებით
,,მესხეთის მთებზე დიდი ტაძრები”!
,,დიდო მესხეთო, ძველო მესხეთო,
მადლო მესხურო, მზეო მესხურო,
ოცნებას უნდა, რომ ძველებურად
უკვდავი სხივით გადამესხურო!”
მაგრამ შორს იყო, ასე მლოცველი,
მთაწმინდის კალთას შეფარებული,
ჩვენ დაგვიტოვა გული, ოცნების,
სამშობლოს მზეზე შეყვარებული!

შინ

აუ, რამდენი წელიწადი გასულა უკვე,
რა დიდებული მაისია, მხნე, ფრთაშესხმული...
შორს დაგრჩენია ის აფნია, ის სიჭაბუკე,
მაღლით დაგნათის დღე - უღრუბლო, ზეცა - მესხური.
მდინარის პირას ეზო-ბაღი გადაგიშლია,
გიუხვებს წალკოტს მზე და წვიმა ციურ მილებით...
თავს დასტრიალებ განახლებულ ვენახს, ჯიშიანს,
შენი შვილებით, თვალჟუჟუნა შვილიშვილებით.
თუმცა მობერდი, თუმც თმა-წვერი შეგვერცხლებია, –
ისევ გულოვნობ, იბრძვი, შრომობ, ისევ ხმიანობ...
გულს რომ გილაღებს, სამშობლოა, ეგ მერცხლებია,
გამრავლებულან, რომ სიბერე გაგიმზიანონ!...

შაირის მეფეს

დიდი ხარ, რუსთველო,
მიუწვდომელი...
ღირსეულ ქებას
გეტყვის რომელი?
შენ გააოცე მაშრიყ-მაღრიბი
ქართული სიტყვით,
ლექსად დაღვრილით.
გულუხვო, ვრცელო, მხარმკლავგაშლილო,
მზეო, მაღალო,
მზეებრ ახალო,
მზის თანამგზავრო, ვერვინ დაგჩრდილოს!
გრძნობის მორევო,
აზრის სიწმინდევ,
შაირის მეფევ, სწორუპოვარო,
სხივთა მთოვარო...
ძმობის, მოყვრობის, თანასწორობის
დიდო მეხოტბევ, მღაღადებელო...
ჭაბუკთა გულის გამკაჟებელო,
შმაგთა გუშაგო,
მიჯნურთ იმედო,
შეყვარებულთა ამო სიმებო;
ტურფა ქალწულთა ტკბილო სიზმარო,
დაუვიწყარო...
დილის ცისკარო!
ადამიანურ სიცოცხლის კარო,
კაცურკაცობის წმინდა ლამპარო,
ო, სიყვარულის ანკარა წყაროვ!...
შენთან ერთი რამ მაქვს გასამხელი,
ჰანგებს და ფერებს გაჰყვა სამცხელიც,
მაგრამ ის შენთან მთლად ფერმკრთალია...
შეხე, დღეს ყველას შენთვის სცალია:
მოდის მსოფლიო შენს ტკბილ მხარეში,
თან მოაქვს სითბო, ღელვა, ალერსი!
მოდის მსოფლიო...
შენს ცას და მიწას,
მარად საკვირველს,
მარად საფიცარს,
თმოგვის არეებს... რუსთავს დალოცავს!
მტკვართან პატრაშენს, აწ მიწით აღგვილს,
შენს სამიჯნუროს იქნება ნამდვილს,
ნამდვილ სახატეს,
ყველა სალოცავს
ყველა დალოცავს!...

მესხებს

ჰეი, ჩემო მოდგმავ,
ტომო, ძველისძველო,
ამდენ მიწის პატრონს,
მითხარ, რაღა შეგრჩა?...
გაქრა ვაჟკაცობა,
ხმალი აღარ ქველობს,
ჟანგი მოეკიდა რაინდების ბეთქარს.
არწივებო, სად ხართ,
რად არ დანავარდობთ,
თქვენი ფრთების ჩრდილი აღარ
მოგვეახლა;
სიცხე-ქარბუქია,
ნერგი როგორ დავრგოთ,
წვიმა აღარ აწვიმს
ნაბაღარს და ნახნავს.
ნეტავ როგორ აღდგეს
ქვეყნის მესამედი,
ან ვით დავიწყნარო
ეს სურვილი-ნდომა?
ნუთუ დაეუფლა
სამუდამო რეტი
ამ ბობოქარ ზღვაში
უიალქნო ხომალდს!..

***

თეთრკაბაშემოცვეთილი
შემოგვპარვია აპრილი,
იღვიძებს, ლღვება მიწა-ცა,
ოცნება ველად გაჭრილა.
აფეთქდა ია, ენძელა,
გვამცნეს ბუნების ბალღობა;
ღიმილით გადმოიხედა
თეთრშუბლიანმა მაღლობმა.
სიო დაიძრა, ფარული,
შემოირბინა ტყე-ველი,
გამოაფხიზლა ხევხუვი,
მიმქრალი ღამის მთეველი.
მთებს მკვრივი მკერდი შეხსნია,
დის ნაკადული, ცვრიანი;
უღრუბლო ცაში ავარდა
არწივი, ლაღი, ფრთიანი.
ორთქლი ზემოიზლაზნება,
სუნთქვა ყანა-ბაღ-ზვარისა,
იშლება ფიანდაზებად
სიმწვანე მთა და ბარისა.
ხეხილს ასკდება კვირტები,
ძარღვში სიცოცხლე ატოკდა;
ბუნების ფერისცვალება
გახარებიათ მნათობთაც.
გლეხი კავით თუ ბარითა
შედის ბაღ-ბოსტან-ყანაში;
ახალი ეშხით ჩაღდება
მიწასთან ბრძოლა-თამაში.
ნიჭს, ძალას მიწას ვაქსოვდეთ,
ის ჩვენგან მოვლას მოელის;
,,მიწა არს ღმერთი!" – გვახსოვდეს,
მიწა არს ძირი ყოველის!!!

თბილისში – რუსთაველის ძეგლთან

> რუსთაველის 800 წლისთავზე
> ახალციხელები სპეციალური მატარებლით
> თბილისში გავემგზავრეთ...

მოგესალმებით, რუსთველო,
ვართ შენი შთამომავალნი;
მოვსულვართ ძველი სამცხიდან,
გვაქვს სურვილები, მრავალი.
აყვავებულხარ, თბილისო,
,,მზის და ვარდების მხარეო";
მთის კალთებს კოხტად შეზრდია
ეგ შენი არემარეო.
გამშვენებს სიონ-ქაშვეთი,
თავს გადგას ნარიყალაო;
,,დედა ქართვლისა" დაგყურებს,
ჩვენი ეშხი და ძალაო!
გვხიბლავ ხეივან-ქუჩებით,
უცხო ბაღ-წალკოტ-სკვერებით...
შენს მიწას ცხელი ტუჩებით
ვემთხვევით, ვეამბორებით.
მტკვარი წელს სარტყლად გარტყია,
მორთულხარ, ვით პატარძალი...
,,ვწერ ვინმე მესხი მელექსე", –
ლექსი არ ვწერო არ ძალმიძს!
იდიდეთ შენ და რუსთველმა,
ნუმც დაგლეოდეთ სტუმარი,
ჩვენი გული და თვალი ხართ,
სიცოცხლე – გაუხუნარი!...

რუსთაველი – 800

ბორჯომი

ლაჟვარდს შეზრდია მწვანე ქედები,
ზღაპრულ ხევხუვის მღერის სამყარო...
თუ საქართველო არის ედემი,
მაშინ ბორჯომი რას შევადარო?!...

მზე დაუვალი

შენ ისე აღსდექ,
ისე აცურდი ცის კამარაზე,
სხვა სიდიადის გზა-კარები ისე დარაზე,
შენთან ვერ მოვა სხვა სიმაღლე,
სხვა სილამაზე,
შენ მზე ხარ ერთი, დაუვალი ამქვეყანაზე!
რვაასი წლის ხარ,
კიდევ ბევრი რვაასი გავა,
შენი სახელი გაიზრდება, უფრო შორს წავა;
შენ შემოგჭვრეტენ,
როგორც ლექსის მეუფეს, მთავარს,
მანათობელო, პოეზიის უქრობ
ვარსკვლავად!...
ვისთვის მწველი ხარ სიყვარული დასაქადები,
ვისთვის ახლახან ისახები და იბადები,
მაგრამ ქვეყანა, ბედუკუღმართ ათაბაგების,
სხვაგვარ განგიცდის,
სულ სხვა გრძნობით, თავისდადებით.
უყვარხარ მესხებს,
ყველა ქართველს, სადმე თუ არის,
სჭირდები ყველას,
ვით ფარ-ხმალი, მჭრელ-უტყუარი!
შენ მწვერვალი ხარ,
უმაღლესი და მიუვალი,
შენ ერთადერთი მნათობი ხარ –
მზე, დაუვალი!...

***

არც მაღლა ზეცა მიზიდავს,
არც დაბლა - ქვესკნელ-ბნელეთი;
მე, მხოლოდ ღმერთის ვიზითა,
მოვსულვარ სტუმრად, ხმელეთის,
ღმერთმა ეს მიწა მიმზითვა,
აქ მომდის ელეთ-მელეთი...

***

გაზაფხულდა...
იღვიძებენ
ენძელები, იები...
ლექსი არ ვთქვა სამაისო,
როგორ მაპატიებდი?...
შორით ალერსს მიგზავნიან
მთები - ფაფარაყრილი,
მათაც იგრძნეს, რომ სწვევიათ
ველებს სითბო, აპრილის.
ორთქლი ასდის ყანა-ბაღებს,
დიან ნაკადულები...
მიყვარს, მიყვარს სამხრეთის მზე,
ღიმილი აქვს ულევი...
მხნე, აღსავსე სიკეკლუცით,
კიდევ ვის აქვს მთა-ბარი,
ან ეს ზეცა, უნაზესი,
ასე ლურჯი, სად არის?...
უმაისოდ მე ვით გავძლო,
კვლავ ფრთებს შლიან კვირტები...
საქართველოვ, საპატარძლოვ,
რა ლამაზად ირთვები!..

კაცი, რომელიც...

კაცი, რომელიც არასდროს მღერის,
კაცი, რომელიც არასდროს ცეკვავს,
არ წერს, არ ხატავს ლამაზი ხელით,
რა კაცი არის, მითხარით, ნეტავ?
მაგრამ რას იზამ, კაცი კაცია,
მე აღქმა უფრო იმ კაცის მიჭირს,
ვისაც საერთოდ არ გააჩნია
დანახვისა და მოსმენის ნიჭი!..

ელვარდ ზაზაძე

სამკვიდროვ, ჩემო აგარა...

უფლის ნებით და განგებით,
ამვსები ჩემივ საძვალის,
არცა ვარ თავი, ვაჭართა,
არცა ვარ მეფისნაცვალი...

ჩემს გზას მივყვები ნელ-ნელა,
ჯერ კიდევ დამრჩა სავალი,
ფიქრი დამყვება მეგზურად,
საგზლად - სიკეთის მარცვალი.

ერთი კაცი ვარ ,უბრალო,
მესხთა მზის სხივით გამთბარი,
აქაა ჩემი სამშობლო,
ლურჯი ცა, მწვანე მთა-ბარი.

აქ გავჩნდი, აქ გავიზარდე,
წლებმაც გული აქ დაღარა,
აქ დამათოვა მხრებზედა,
თმებში გამიჩნდა ჭაღარა.

ოხერმა წუთისოფელმა
ვაჰ, თუ მაცალოს აღარა,
შენს ცქერას დავეშურები,
სამკვიდროვ, ჩემო აგარავ!

გავცქერი შაორიდან

ფარავნის სიკამკამე
ზეცაში ასარკულა,
ტბა ხელის გულზე დევს
ბროლის ნატეხივით,
იქნებ შაორს ეტრფის,
ციხეს, მთათა შორის,
ქცეულს, ნანგრევებად,
ჟამთა ქარტეხილით.
ვერცხლისფერად აირეკლა მთის
წყალთა მდინარება,
მზის სხივთა კაშკაში ანათებს ცას,
გავცქერი შაორიდან...
ისე ლამაზია,
ვერაფერს ვინატრებ სხვას,
ქარი, მონაბერი,
არღვევს მდუმარებას,
ღელავს ყვავილების
ფერთა იდილია,
ვდგავარ მთის წვერზე და ფიქრი
არ მასვენებს,
„ჩვენი სიცოცხლეც ხომ
დროსთან ჭიდილია“

ღმერთო

გამომეღვიძა წუხელ,
ვერ დავიძინე, ვერა,
ფიქრით დავადექ განვლილ,
ნაცნობ ბილიკებს, ცერად.
ჯერ შევუდექი აღმართს,
მერე დავეშვი თავქვე,
ის, რაც შორს იყო თითქოს,
თურმე ყოფილა აქვე.
ოშკი, ოპიზა, ბანა...
უცებ დამიდგა თვალწინ,
ქართველთა სულის სადგომს,
ახლა ათოვს და აწვიმს.
ლორფინებაყრილ გუმბათებს
რომ გასჩენია ბზარები,
აქ აღარ უხმობს მლოცველებს
ტაძართა დედოზარები.
რომ აღარ ჟღერენ ქართულად
სალამური და სტვირი,
ის, რაც გვქონია დავკარგეთ,
მენანება და ვსტირი.
მუხლებს მოვიყრი ახლაც,
უფალს ვავედრებ ცრემლით,
ღმერთო, მომადლე ტაძრებს,
ნაგებს, წინაპართ ხელით.
ღმერთო, ნუ წაგვიშლი გზა-კვალს,
განვლილს, მამა-პაპის მიერ,
ღმერთო, ნუ შეგვიცვლი რწმენას,
მამულს, მხნეობას და იერს.
ღმერთო, ნუ წაგვართმევ ენას,
სულით ნუ დაგვტოვებ მშიერს,
ღმერთო, გაუმარჯვე ქართველს,
ყველგან, ამერსა და იმერს.

***

სხვის წინ სიარულს მაშინ აქვს ფასი,
უკან თუ გრჩება კვალი, ნათელი,
თუ მომავლისთვის ჩაიფერფლები,
როგორც ხატის წინ წმინდა სანთელი!
მხოლოდ სიმართლის გზებით სავალი,
კაცთა ცხოვრება ისე ძნელია,
ვფიქრობ, ხანდახან ამ გზაზე მავალს,
რა ვქნა, თუ ძალა გამომელია?
სადღაც ხომ მაინც წავიფორხილებ,
დავეცემი და ავდგები ისევ,
სადღაც ხომ მაინც გზაც გათავდება,
სადღაც ხომ მაინც სიკვდილი მიწევს...
სადამდეც ვივლი, ნატვირთი, ჯვარით,
საითაც მივდევ მიზანს და ფიქრებს...
...და ბოლოს მაინც თუ გოლგოთაა,
ჩემი გოლგოთაც იქ იყოს იქნებ?!
მამულის, ენის, სარწმუნოების,
ერსაც და ბერსაც ვალი გვდევს მარად.
თუ გვინდა, გვქონდეს იმედი, ხვალის,
ამ სამ სიწმინდეს დავუდგეთ ფარად!!!

***

გაზაფხულის მოლოდინში
ხეზე იჯდა ბეღურა,
ფეხზე არა ეცვა რა და
თავზეც არა ეხურა...
ღამით საკვამურთან იჯდა,
ბუხრის კვამლით თბებოდა,
დილით გამოფრინდებოდა
და მზეს ელოდებოდა.
არცა ჭამდა, არცა სვამდა,
ტანზეც ეცვა გლეხურად,
მაგრამ თითქოს ტოტზე იჯდა
ამაყად და მეფურად,
ფეხზე დედამიწა ეცვა
და თავზე ცა ეხურა!!!
გაზაფხულის მოლოდინში
ტოტზე იჯდა ბეღურა.

მაინც აღმა შევუყვები მდინარებას

რას დამაკლებს სიბერე და ხორცთა ჭკნობა
როცა სული ზეცისაკენ ილტვის მარად.
წუთისოფლის ამ ჭაობში ფსკერზე გდებას
არ ვიკადრებ მტრების გულის გასახარად.

მეც ამიტომ აღმა მივდევ მდინარებას,
ვით კალმახი, ჩანჩქერისთვის გაჩენილი,
მთის ანკარა ნაკადულთა მოტრფიალე,
თავთხელებში ბოლოს უწყლოდ დარჩენილი.

თუ გავხდები ყვავ-ყორანთა საზიარო
და დასრულდა ლურჯ ტალღებზე ჯირითობა.
სხვას დავუთმობ სიცოცხლეს და თეთრ ჩანჩქერებს.
ვით კალმახი, მორჩენილი ჯირითობას.

რადგან ვიცი, ბოლოს მაინც სიკვდილია
და საფლავი პირდაღებულ სამარხივით,
მაინც აღმა შევუყვები მდინარებას,
ჩანჩქერებზე შეფრენილი კალმახივით.

***

რარიგად მომნატრებია საღამოს სამი ტაძარი,
მიალერსებას ითხოვენ ქვები, კედლიდან ნაძარი,
ვუცქერ და მათ შემხედვარემ, ფიქრი ვერსაით დავძარი,
ტბის პირას ჩაველ, ჩავიქრე გულს მოდებული ხანძარი.
ტბა საღამოსფრად ლივლივებს, ირგვლივ ხასხასა მოლია,
აქეთ და იქით, ტბის პირებს სერები შემოსწოლიან,
მთის წვერზე თეთრად რომ მოჩანს, მზისგან ნაცემი თოვლია,
ხვალ ან ზეგ ისიც გაქრება, როგორც დროს ჩაუქროლია,
მთის კალთას ფარა ამშვენებს, ბილიკებს ამოჰყოლია...
ლაჟვარდს მერცხლები სერავენ, დაბლა ჰქრის თეთრი თოლია,
ჯეჯილში გარინდებული, კრუხობს მწყერი და გნოლია...
ფუტკრების ანცი ზუზუნი ნიავმა აიყოლია,
მათი ხმა ფანტავს ღრუბელსა, რაც გულზე შემომწოლია...
ვფიქრობ, ,,ამ ტურფა ყვავილებს, სატრფოც მზრუნველი ჰყოლია“...

***

,,მე ჯავახეთს რა მიშავდა,
 მთვარე მადგა მზესავითა,“
იქ ვარსკვლავთა სიახლოვით,
ღამეც იყო დღესავითა...
წყალსა ვსვამდი ფარავნისას,
მერგებოდა რძესავითა,
,,კალმახი და დოლის პური
წინ მეყარა ბზესავითა...
სახლი მქონდა, დარბაზული,
შესავალად ბჭესავითა,
ჯალაბს სიტურფე შვენოდა,
მთლად ვარდობის თვესავითა...
სამცხეს დედულეთი მქონდა,
ვაზი – ძირით ხესავითა,
დარდი, მისი სიშორისა,
შემეყარა ზნესავითა...
ქვევრში მედგა ასპინძური
დამაშვრალის მწესავითა,
მამა – ღმერთით დალოცვილი,
მკურნალი მის ძესავითა...
დღეს მტერთაგან ხიზნად ქმნილი,
აღარა ვარ მხნესავითა,
დამშეული ჯალაბობა
იარება მჭლესავითა...
„მე ჯავახეთს რა მიშავდა,
მთვარე მადგა მზესავითა,
კალმახი და დოლის პური
წინ მეყარა ბზესავითა’’.

ელბერდ ზაზაძე

გაზაფხული

თოვლი გადნა, მიწა გათბა,
ცას მოსცილდა ღრუბლის ფარდა,
მზემ თვალები გააჭყიტა,
მთა და ბარი გადამწვანდა.

თბილმა სიომ დაუქროლა
ხეებს ფერი შეეცვალა,
მთის ფერდობზე, თოვლის ნაცვლად,
ცხვარ-ბატკანი გაიფანტა.

,,ადამიანს შემოქმედებისთვის
თავისუფალი დრო სჭირდება,
დრო – აზროვნებისა, დრო – გრძნობების
ხატოვნად გადმოცემის.“

,,ნუ გგონია, რომ შენს ფერხთით
ენძელა თუ არ ამოვა,
ჯერ ზამთარი არ წასულა,
გაზაფხული ჯერ არ მოვა.“

ნატვრა

ერთი კი ნატვრად მქონია,
ღმერთს ვთხოვ ჩუმის ვედრებით,
ბოროტს გვაცილოს, სიკეთ ვქმნათ,
იქნება არც კი ვბერდებით.

ვინც მიცნობს, ყველას ვუყვარვარ –
ამ ჩემს გულს ასე სწადია!
... და იმის მერე განგებამ,
ისა ჰქმნას რაცა სწადია.

თუ გსურს ძმობილო, გაგაცნო
ეს გული განაწამია,
წუთისოფელი მწარეა,
სიცოცხლე განა წამია.

კაცმა კაცურად იცოცხლოს,
ზოგისთვის ნატვრაც ბრალია,
ნატვრა კი არა ძმობილო,
ღმერთის წინაშე ვალია.

„ცხოვრებაში იმას ვინატრებდი,
მხოლოდ სიყვარულის ვალით
წავიდეთ ამ ქვეყნიდან,
მაგრამ ყოველთვის ესე არ ხდება“.

***

ვფიცავ კალთუბნის ზეცას,
რომ ვნახე ჩემი თვალით,
დიდხანს ვუცქირე, ასე
ვიდექი, როგორც მთვრალი.

კალთუბნის ფერდობს შევყევი
ავლალე სოფლის ცხვარი.
მთებ შორის ღრუბელი დაწვა,
თეთრად შეივსო ბარი.

აქედან აბულის წვერი,
თითქოს სულ ახლო არის,
რა ლამაზია ზემოდან
ღრუბლის დანახვა წამით.

თითქოს ზღვა იდო მთებ შორის,
ტალღებს არხევდა ქარი,
ხეობამ კაბა ჩაიცვა,
თითქოს კაბაა, ქალის.

კალთა ეფარა ხეობას,
კალთა, იმ თეთრი კაბის,
ღვთისმშობლის კაბას რომ ჰგავდა,
სპეტაკს და წმინდას, ცამდის.

ასეთი არსად მინახავს,
არც მსიზმრებია ღამით,
ღვთისმშობლის კალთამ დაფარა
ჩემი ხეობა წამით.

***

ერთ წამში ნახავ ყველას,
არ გინდა ფეხით რბენა,
გაიღვიძებ და გაჰქრა,
გულში დაგრჩება წყენა.

სიზმრად ნანახი ხდება,
სად, ვისთვის, ანდა როდის?
ზამთარი თუ კი მიდის,
გაზაფხული ხომ მოდის.

***

თუ ეკალი არ ხარ
და სხვას არ ედები,
ჩათვალე, რომ არ არსებობ,
ეგრე დაბერდები.
თუ სიკეთე არ ხარ,
არვის არ სჭირდები,
ჩათვალე, რომ არ არსებობ,
ეგრე დაბერდები.
თუ არავინ გიცნობს,
ხარ შენ თავის მტერი,
გინდა იყო ღმერთი,
გინდა იყო მტვერი.

იმქვეყნად რომ წავალთ
შგვეცვლება ფერი,
მაშინ გაგვიხსენებს
მოყვარეც და მტერიც.
მოვა დრო და ისევ
დაგვივიწყებს ყველა,
იმიტომ რომ ჩვენგან
არვის უნდა შველა.

***

ყველა სიზმარი ხდება,
ვისთვის როგორ და როდის,
სუნი დადგება მიწის
გაზფხული რომ მოდის.

ერთრამედა ღირს მთაში,
ბღავილი, ცხვრის და ბატკნის,
ბარში – ბულბულის სტვენა
და ყვავილობა – ვარდის.
სილამაზეა ისიც,
წვიმა რომ იცის მარტში,
ყაყაჩოს ცეცხლი – მინდვრად,
ყანა რომ ღელავს ქარში.

რა ლამაზია ბაღში
„ყვავილთა თოვლი“ ხეზე,
ფუტკრის ბზუილი სკის წინ,
გამომღერება მზეზე.

მთაში ყმუილი მგლისა,
ცაში კივილი ქორის,
ციცინთელა – ღამის,
და წამოსული თქორი,

***

სწორედ წარსულის ტკივილი მტკივა,
ვერ მომიშუშდა ძველი იარა,
თუმცა კი ვიცი, რისი ბრალია,
ძალა არ შემწევს, არის გვიანა.

მხოლოდ მათ ვწყევლი, მეტი რაღა ვქმნა,
როცა მევსება ჯავრის ფიალა,
ვინც რომ დაგვჩაგრა ამ კუთხის შვილნი,
მიმოგვფანტა და დაგვანიავა.



ვასილ კვინცხაძე – პოეტი;
85 წლის სახალხო მთქმელი, ღირსებისორდენოსანი, პოეზიის ამაგდარი, ახალციხის საპატიო მოქალაქე, რესპუბლიკის საკავშირო და მსოფლიო ფესტივალების ლაურეატი, ახალციხის ჩოხოსანთა საზოგადოების წევრი.

სიმღერა მესხეთზე

დილას ცისკარი ამშვენებს,
სამშობლოს – მესხთა მთა-ბარი,
ახალციხეს კი სამრეკლო,
შალვას ტაძრის და რაბათის.
ზარზმა უმღერის ვარძიას,
ნინოს ჯვარს – ტბა-ფარავანი,
ბასიანისკენ მიმვალს,
ლაშქარს, დალოცავს თამარი.
აქ არის მისი ხატება,
რუსთველის ნატერფალები,
აქ ქმნიდა „ვეფხისტყაოსანს"
გაბრწყინებული თვალებით.
ისევ „ჰერიო ბიჭებო",
ისევე „მუმლი მუხასო",
დე, მუდამ კვამლი სდიოდეს
ჩვენს კერასა და ბუხარსო.
„მუხა წონწილებს, წონწილებს,
„მუმლი მუხასაო"...
„წონწილებს, არ წაიქცევა
მუმლი მუხასაო".

ფერეიდანელ ქართველებს

თქვენს ჩამოსვლას გაუმარჯოს!
აქ – მოძმეთა დახვედრას,
თქვენი ნაზი ოცნებების
დღეს ნამდვილად ახდენას!
მე ქრისტე მწამს, შენ – ალაჰი,
არცრა გასაკვირია!!!
შენი ფესვი, თქვენი ფესვი,
ერთი მუხის ძირია.
გაიხარონ ქართველებმა,
ვინც გვყავს დედამიწაზე!
ჩვენი ჯიში, ჩვენი მოდგმა,
ვინაც გულით იწამეს!
თქვენს ჩამოსვლას გაუმარჯოს!
აქ – მოძმეთა დახვედრას,
ჩვენი ნაზი ოცნებების
დღეს ნამდვილად ახდენას!

2019 წლის 21 სექტემბერს ფერეიდანელ ქართველებს, რომლებიც ჩვენამდე ფეხით ჩამოვიდნენ, შეხვედრა მოუწყვეს ახალციხეში (ციხის ტერიტორიაზე).

სიყვარული გზად და ხიდად

ქართვლის დედა თავის პირმშოს
აკვანში რომ ტკბილად ზრდიდა,
უგალობდა: „დაგყოლოდეს,
სიყვარული, გზად და ხიდად!"
მამა, როცა თავის შვილებს
ფარ-შიმშერში ხმალში წვრთნიდა,
თან დასძენდა: „გქონებოდეთ,
სიყვარული, გზად და ხიდად"!
ხუცესი თუ მღვდელმთავარი,
ბიბლიას რომ გვითარგმნიდა,
მას თან ჰქონდა დიდი რწმენა:
„სიყვარული - გზად და ხიდად!"
დიდი შოთა რუსთაველი
„ვეფხისტყაოსანს", რომ ქმნიდა,
თვალწინ ედგა თამარ მეფე,
სიყვარულის გზად და ხიდად!
დგას კოცონზე ქეთევანი,
ანთებული ქალი გმირად;
... და გიზგიზებს დედოფალი
სიყვარულის გზად და ხიდად!
რომ დაასკვნა მეფე კახმა:
„მფარველობა, დიახ, გვინდა!"
- გულში ჰქონდა დიდი რწმენა:
სიყვარული - გზად და ხიდად!
დღეს ვზეიმობთ თბილისობას,
ვუხმობთ მოძმეს ყველა მხრიდან,
გვქონდა, გვაქვს და კვლავ გვექნება
სიყვარული გზად და ხიდად!

ჩემო ანგელოზო

ჩემო ანგელოზო, ჩემო სალოცავო,
ჩემო ცისკარო და მოწმენდილო ცაო,
ჩემო ხატებავ და სიყვარულის ღმერთო,
ჩემო საოცნებო, ჩემო ერთადერთო!
იყავ ბედნიერი, ჩემო მშვენიერო,
ჩემი ლექსის მძივო, მრავალჟამიერო,
წელწერწეტა ქალო, ბეჭებგანიერო,
წყნარო, უნაზესო, ბრძენო, გონიერო!
მოლივლივე ზღვაო, მორაკრაკე წყაროვ,
მინდა ახლოს მყავდე, გული გაგიხარო,
ჩემო გაზაფხულო, ჩემო ია-ვარდო,
ჩემო სიხარულო ჩემო გულის დარდო!

დედას

დავფრთიანდით, გაგიფრინდით, დედა!
ჩვენზე ფიქრით თმები გაგითეთრდა,
თუმც გვაშორებს მთები, ბევრი მთები,
მაინც მე შენს მზრუნველ თვალებს ვხედავ.
მზე არის თუ ბნელი, ბნელი ღამე,
ბინდია თუ განთიადი დგება,
მიხარია, ხან წუხილი მიპყრობს,
როცა დედა, დედა მახსენდება!
გაგიფრინდით - ასე გვიხმობს, დედა,
სამშობლო და ჩვენი შემართება,
გკოცნით მშობლებს, ვიხდით თქვენს ვალს, დედა!
თქვენზე მეტად სხვა ვინ გვეყვარება?

ახალციხის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმის 50-ე წლისთავისათვის

რაც კი გაგვაჩნია, რამაც დაგვარჩინა,
იცან, თვალისჩინად, გულში მიეც ბინა,
დღეს ეს მუზეუმი თაობს ნათელ საქმეს,
შეკრბეს, შეაგროვეს, სადაც რამე ნახეს!
ცოდნით უბრუნებენ უპირველეს სახეს,
ამით აცვიფრებენ მობრძანებულ მნახველს!
ბევრი ნაყიდია, ზოგიც - ნაჩუქარი,
მოვლილ-გაწმენდილი, ყველა სათუთარი.
დედამ გვიანდერძა ერის სიყვარული,
სულში ჩაგვინერგა ვრდომილთ სინანული,
რწმენით ჩავისახეთ, რწმენით დავიბადეთ,
რწმენით დავფრთიანდით, რწმენით
დავიზარდეთ!
რწმენადაკარგულის რაღა სიცოცხლეა?!
ტოტებშემსხვრეული, ხმელი წიფელია.
ვერვინ შეგვაძულოს, ეს მიწა-მამული,
მტრისგან გაჩეხილი, მტრისგან დადაგული;
აღორძინებული ერი, დიდებული.
ედემბაღიანი, სიტყვამადლიანი,
ბეღელ-მარნიანი, დარბაზ-დარნიანი.
ჩვენი ციხეა თუ ჩვენი ნასოფლარი,
ჩვენი ზღუდეა თუ ჩვენი ნაფუძარი,
ჩვენი ჭურია თუ ცარიელი ძირი,
უქმად ჰკიდია თუ ისევ რეკავს ზარი,
ისევ მყარად დგას თუ გუმბათზე ჩანს ბზარი,
ჩვენი ფოცხოვია თუ კამკამა მტკვარი,
მონასტერია თუ ციხეების ჯარი,
იყო წინაპართა გულის სატკივარი.
დღეს კი ჩვენი რწმენის საფუძველი არის!
რაც კი გაგვაჩნია, ვინაც დაგვარჩინა,
იცან თვალისჩინად, გულში მიეც ბინა.

მთაში წამომყევ, ლამაზო!

ამ ჩვენს სიყვარულს ვერ წაშლის
ჟამთა სვლა, ვერცა სიბერე,
როგორც წარსულში, ძვირფასო,
მოვქარგავ შენზე სიმღერებს!
მთაში წამომყევ, ჩაგიწნავ,
გვირგვინს, გვირილის ფერებით,
სასთუმლად ვარდებს გაგიშლი,
ბავშვივით მოგეფერები!
იქ მხოლოდ ორნი ვიქნებით,
ვერც ვერვინ შეგვეცილება,
სიამით გაბრუებულებს
ჩემს მკერდზე ჩაგეძინება;
...და მერე, როცა ცისკარი,
განთიადს ამცნობს სამყაროს,
ისევ დაგიკრეფ ყვავილებს,
ტანზე რომ გადაგაყარო.
კრძალვით შეგიხსნი საკინძეს,
შიშველ სხეულზე გემთხვევი,
გალობით გამოგაღვიძებ,
გრძნეული გადაგეხვევი!
... და მერე ჩვენს სიყვარულზე
იჩურჩულებენ ვერხვები!...

დედა

დედამშობელი ერთია,
ლამაზი ქალი? - ათასი...
ათასი ვარდის სურნელს სჯობს
სურნელი - დედის კალთასი!

* * *

ერხელ გვეძლევა ქვეყნად სიცოცხლე,
დედაც, სამშობლოც ხომ არის ერთი,
დაჰკარგავ?... - ვერცერთს ვეღარ
იშოვი,
გინდ იყო ქრისტე, მაღალი ღმერთი!

ახალციხელი (რაბათელი) ბიჭის სიმღერა

ახალციხელი ბიჭი ვარ,
მესხეთის ლამაზ კუთხიდან,
ნაწრთობი, გამოკვეთილი,
ფესვებძლიერი მუხიდან!
როცა სამშობლოს უჭირდა,
მტერს ვეცემოდი მეხადა,
მაგარი ბიჭი ვიყავი,
არ ჩამითვალოთ კვეხნადა!
ფეხმოკვეთილი დავდივარ,
გული არ გამიტეხია,
მკლავჭიდში ბევრი
ბიჭისთვის
მაჯები დამიგრეხია;
მიყვარს რაბათის
მინდვრები,
დოლზე, დუდუკზე, ქეიფი
ფული ძმაკაცთან დახარჯე,
ფულს არ სჭირდება სეიფი!
გვამშვენებს ციხე-კოშკები,
სინაგოგა თუ მეჩეთი,
ეკლესიების ჩუქურთმა,
როგორც ბაჯაღლოს ბეჭედი!
ღმერთო, სამშობლო
მიცოცხლე,
ჩემი ლამაზი რაბათი!
ეს ლექსი იყოს სიცოცხლის
და სიყვარულის ბარათი!
ახალციხელი ბიჭები,
ფაფარაყრილი ლომები,
ისეთი ჯიშის, მოდგმის ხართ,
თქვენ მტერს არ
დაემონებით.
ჩემი სოფელი
ბორჯომიდან დგვარამდე,
გზა ფართოა და დიდია,
ჩემი კოხტა სოფელი,
მთის კალთაზე ჰკიდია!
ირგვლივ ნაძვნარ-
ფიჭვნარი,
წყაროები - ანკარა,
ზამთარში - დიდი თოვლი,
ზაფხულში - მზე, თაკარა.
გოგონების ნარნარი,
ჭაბუკების გიჟობა,
მერე შეყვარებულთა
ცეცხლისფერი ნიშნობა!
ხალხი - შრომისმოყვარე,
ენაკვიმატიანი,
სუფრაბარაქიანი
არაკვარაყიანი!
სუფრის თავში - თამადა
ყანწით, ორ ლიტრიანით,
ბუხარში და ფურნესთან -
დიდი ორომტრიალი.
ტაძრის თავზე დაჰყურებს,
საკირეს კი სახეში,
მიხვალ და გაებმები
მუზის გრძნეულ მახეში.
აქ დათვის მთა მოგხიბლავს,
კოდიანის კენწერო,
უნებურად ლექსს დაწერ,
სულ რომ არ დაგეწეროს.
გზა შარა და დიდია,
ჩემი კოხტა სოფელი,
სიყვარულის ხიდია.

ვილოცებ დედა ენაზე

თუ ლოცვის ნებას მომცემენ
და შევალ ეკლესიაში,
უპირველესი შენა ხარ,
ჩემი ხატების სიაში.
შენ, ცოდნის წყაროს სათავევ,
ათასჯერ მირონცხებულო,
შენ, საქართველოს გულიხარ,
ქართველში აყვავებულო.
თუ შევალ ეკლსიაში,
მაღლა, ღმერთების ნებაზე,
სანთელს ავანთებ თავს დავხრი,
ვილოცებ „დედაენაზე“.

ანზორ ერქომაიშვილს

ჩემო სიყრმის მეგობარო,
ანზორ ერქომაიშვილო,
,,ჩაკრულო“ ხარ საკოსმოსო,
ფურცელ–ფურცელ გადაშლილო.
სიმღერების ძიებაში გადის დრო
და გადის წლები,
მათ ფუძეს და წარმოშობას,
მართლაც, შეუცდომლად სწვდები,
სადაც წახვალთ, თან დაგყვებათ,
ღმერთის მადლი ანსამბლ „რუსთავს“
და ვინ მოთვლის მსოფლიოში
სამადლობო რამდენს უთქვამს.
გურულების გურული ხარ,
საქართველოს დიდი შვილი,
ამიტომაც შეგვიყვარდი
და დადიხარ მხრებგაშლილი.
უთვალავი სიმღერა გაქვს
დათაკრული, აწყობილი,
გვითხარ მესხურ–ჯავახურზე
როგორა ხარ, განწყობილი?
ღმერთმა ნიჭი დაგანათლა
და შრომაში – გამძლეობა,
ერთი ვაჟიც მოგვივლინე,
ის გეყოფა საძეოდა!
ყველა აღდგენილი ნოტი
ერს დარჩება სამზეოდა.
მგალობელო, ფოლკლორისტო,
ძმადნაფიცო, პატრიარქის.
მადლი შენ და შენვე შექმნილ
უნიკალურ, მდიდარ არქივს,
თვით განგების რჩეული ხარ,
სიმღერებთან ძმადნაფიცო.
მარტო საქართველო – არა
მთელი დედამიწა გიცნობს!
ჩემო სიყრმის მეგობარო,
ერქომაიშვილო, ანზორ,
ხალხისა და შენს სიყვარულს
ვერვინ მოუძებნის საზომს!

ჩემს შვილს – ხათუნა კვინცხაძეს დაბადებიდან 50 წლისთავისადმი

მზესავით ნათელო,
დედაო, ქართველო,
ოჯახის ბურჯო და
საკმეველ-სანთელო!
მოყვრისთვის მოყვარევ,
მტრებისთვის – ურჩო;
შენი ქმარ–შვილის
ოცნების ფუნჯო!
სიკეთის სიცხადევ –
ხათუნა კვინცხაძევ,
მზესავითნათელო,
დედაო, ქართველო!

ვინ ვარ

ერთი მესხი მელექსე ვარ,
ჩემთვის ვაჩხაკუნებ ფანდურს,
სიმინდისგან კარგად ვარჩევ
ცერცველას და მინდვრის დანდურს.
ოლიმპოზე არ მეძებოთ,
მესხეთში ვარ აბულ-მთაზე,
კარგად ვიცი, რომ მივდივარ
ტაძრისაკენ სავალ გზაზე.
ისიც ვიცი, რომ ვარსკვლავი,
ჩემი, არის ღმერთთან, ცაზე
და ამიტომ მუდამ ვცდილობ,
მადლი დავდო სადმე, ქვაზე,
ვინც ნახავს და ვინც აიღებს,
მართლა ალალ იყოს მასზე.
ერთი მესხი მელექსე ვარ,
ჩემთვის ვაჩხაკუნებ ფანდურს,
მუზას ღმერთი თვით დაგვიდგენს,
უკვდავების ლამაზ საგზურს!



ციური მესხიშვილი – პედაგოგი; პოეტი.

ასპინძის ბრძოლიდან 253 წელი გავიდა!

ასპინძის ომის ფრთოსნები

მაშინ, როცა აპრილის თვეს, იღვიძებდა მთა და ველი,
მზემ მდინარე შემიღება ლილისფერი აკვარელით!
მტკვარს ვენები დაებერა, დავით მეფის ცისფერ სისხლით,
დენთის სუნი დატრიალდა, დაიფარა ზეცა ნისლით...

გაზაფხულზე, იგრიკის თვეს, მზემ რომ მარსში გაიღვიძა,
მეფე ერეკლეს წინაშე, ტოტლებენი გაიბღინძა...
დედოფალი ოსმალებთან ბრძოლას ასე ავალებდა:
,,რუსულ სულით, ქართულ ხორცით," როგორც რუსეთს აამებდა!..

თუმც ე რ ე კ ლ ე მწყრალად იყო ტოტლებენის ღალატითა,
ტანს მაინც არ იმშვენებდა ხანის გრძელი ხალათითა.
მას პატარა კახი ერქვა, ქუხდა დიდის არაკითა,
პრუსიის და ფრანგთა მეფეს, არ რჩებოდა არაფრითა!...

სავსე იყო სიქველით და ნათელს ჰფენდა გზას გავლითა,
(გრაფისაგან განსხვავებით, არ ხარბობდა ნადავლითა!...)
ეტყობა, რომ ზეცაშივე მფარველობდა დიდი ზევსი,
უფლისწულად დაბადებულს, ძალა ჰქონდა ჰერაკლესი!...

მხარზე ანგელოზი ესვა, ხმალი ჰქონდა შიმშერისა,
ნადირ-შაჰის ნაჩუქარი, ვით ბეჭედი გიშერისა.
,,ხმალი წუნკლებს!"- რომ დასძახა და აღმართა ბაირაღად,
მორახტული ბედაურით, ბრძოლაში რომ გაილაღა...

ლოცვას სთხოვდა თამარ მეფეს, შემწეობას - დავით სოსლანს,
ხმლით ეკვეთა ურჯულოს და შეებრძოლა ლეკს და ოსმალს...
სულ თავბედი აწყევლინა ახალციხის გოლა ფაშას,
ჩალმით ყველა გამორჩეულს აფარებდა ქალის თავშალს!..

ბეგებიც წყალს გაატანა: ქურმუხ, არტან, შავშეთისა...
მხოლოდ ღმერთით თუ იცოდა განსხვავება შავ-თეთრისა!
კოხტა ბელადს რომ ეძახდნენ, დაღესტანში, მალაჩილას,
ერეკლესთან, ,,დავლურის" დროს, ისიც აღარ ღირდა ჩირად!..

მ ი-ბ რ ძ ა-ნ ე-ბ ი-ა!

სხვილოს ციხესთან გავიშლი,
ჩემს სადედოფლო კარავს,
საქმრო არა მყავს ქალიშვილს
და ქმრად შევირთავ არაგვს.

ხვალ, მეფის ლაშქარს მოვიხმობ,
შევფიცავთ წმინდა ალაგს
და თხოთის თავზე შემოვდებ
საღვთო წიგნების მარაგს...

ამირსპასალარს ვუბრძანე,
შეკრიბოს მონასაპანი,
რომ აღდგეს ქართლის ბაღები -
მტრებისაგან მონასპარი.

სწრაფად!
თეთრონი მომგვარეთ!
დაცვა უბრძანეთ ქეშიკს!...
შინდისთან ახლოს, გორგარეთ,
ლიახვის პირას, ქვეშში.*

დღეს მტერი აქ რომ ჯეჯილობს
და ხვალ ამოვა პურად,
ჰეი! შენ, დიდო ვეზირო,
გინდა, მაქციო მდგმურად?!..

ისევ გსურს გადამასახლო,
მეფედ დამისვა ჯაყო?!...
ღმერთო, შერისხე ის კაცი,
ვინც ეს მამული გაყო!...

ხვალ წინაპრების საფლავებს,
ვიღაც ყანისთვის დახნის

ღამით ხიდი ჩამოშალეს სვიმონ, აღაბაბ, ხუდიამ!...
თანაც ისე, მტრის ბანაკში ვერაფერი გაუგიათ...
მტკვარს მიჰქონდა ცოცხალ-მკვდარი წივილ-კივილ-ტირილითა,
მალაჩილას შავი რაშიც მიცურავდა ტივივითა!...

მეფე ერეკლეს ბრძანებით დაეწერა ჯვარი მზესა,
და გადასცეს მესხთა გმირებს: ნებაძეს და ჯვარიძესა!...
დიდი წვლილი მიუძღოდათ ღამით ხიდის ჩახერხვაში,
მთვარემაც ხელი შეუწყო, დაიმალა, როგორც ბავშვი...

,,მატყუარა მებადურებს" რა ბრალს დასდებთ, აბა, რაში?
დღეს, ლაჩრების საუკუნევ, შეეჯიბრე გმირობაში!...
თავის ცხენიც ხომ არ ჰყავდათ... ვერ დაჰქროდნენ თეთრი რაშით,
მაგრამ ქრისტეს სული ედგა ყველა ქართველს თავის ხმალში!...

ამ ბრძოლაში იღვრებოდა უფრო მეტად ძმათა სისხლი,
არემარეს აყრუებდა ,,ვ ა ი, დ ე დ ა ს !" ღაღადისი...
მზე და მთვარე დაეჭირა მეფეს ხელში დაფდაფებად,
თევზი აღარ დგაფუნობდა! ხიდთან წყალი ქაფქაფებდა!...

მაშინ როცა, აპრილის თვეს, იღვიძებდა მთა და ველი,
ასპინძასთან შეიღება მტკვარი წითელ აკვარელით!...
თვალზე ცრემლი მოსდიოდა ფუძეს მიკედლებულ მერცხალს,
მთვარეს ხმალი დაუვარდა და ლომთა მზეს ამის შერცხვა!...

უფლისჩიტა ჩაჰფრენოდა თეთრი არაბულას ფაფარს,
ჩიტბატონას უყვებოდა კახთა მეფის ახალ ამბავს:
ხერთვისთან რომ გაიმარჯვა და აფრინა მალემსრბოლი,
როგორ ჩამოაგდო ციდან, მთვარე - მშვილდისარის სროლით...

ნიშს უგებდა ახლა მეფე გრაფს, ოსმალთა ალაფითა,
(სურამში რომ დაბანაკდა თავის ურცხვი მარაქითა)...
პეტერბურგში გაუგზავნა ოცდახუთი(!)... თურქთა დროშა,
სამი ლეკიც მიაყოლა, ვინც უღირდა მეფეს გროშად!...

სწამდა მეფეს, ერთმორწმუნე მოუტანდა საქმეს, ,,ტკბილსა,''
რა იცოდა, მის შვილიშვილს რომ მოსჭრიდა მერე კბილსა?!...
მანაც სცადა გასწორება შეცდომის თუ იმ ნაკლისა...
კახთა მეფის მსგავსი მეფე, ერმა ბევრჯერ ინაკლისა...

ძველ სამცხეში ივერთ მეფეს უმზადებდა ნადიმს ქარი
და მზად იყო საზეიმოდ ნარიყალაც, ნადიკვარიც...
ძღვნად მიართვეს ჯავახებმა ფურირემი (მეწველი თან),
ქრისტეს დროშა აფრიალდა, ღვთისმშობელის შეწევნითა!...
...
ასპინძის მთებს ექოსავით ახლაც ესმით მოთქმა, მტრისა...
... და სევდიანი დუდუნი მრავალჭირნახული მტკვრისა!...
არც არავის ავიწყდება თქმა-წარწერა მეფის ხმლისა:
,,მე ვარ ავი მუსაიფი, კახთ ბატონის ირაკლისა!..''

და ჯვარი წამოეგება
ნახევარმთვარის სახნისს...

და, აი, მაშინ რაღა ვქნა,
რა ვუთხრა მამა-პაპას?!...
ბოლო რომ ვეღარ მოვუღე
მოღალატეთა პარპაშს...

სხვილოს ციხესთან დავდგები,
საბრძოლო კარავს გავშლი!...
თქვენ თუ ზარბაზნით მოდიხართ,
მე აქ დაგვხვდებით დაშნით!...

შუბიც მაქვს, ფარიც, ხანჯალიც,
ჰო, კარგად ვხმარობ აბჯარს
და ხვალვე წამოვაყენებ
დიდგორის ველზე ამ ჯარს.

ვინც რომ დავითის იწამა,
ვინც რომ მახვილი ლესა,
შინდისელები იმ წამმა
შემოგვინახა ლექსად!...

მერე? -
სულ თავებს ,,დავაჭრი"
იმ გადედლებულ მამრებს,
ვარიკებს რომ ვერ ამჩნევენ,
უკურკურებენ მამლებს...

ფუჰ, თქვენი!...
,,...დრონი წარვიდნენ..."
და დრო მოვიდა ფულის,
ვის ესმის ირმის ყვირილი,
ანდა ბღავილი ფურის?!...

სამშობლო გუშინ მომიკლეს,
გამოჭრილი მაქვს ყელი...
და მაინც,

მ ი ბ რ ძ ა ნ ე ბ ი ა!!!

სხვილოს
ციხესთან
გელოდ!!!...



ზურაბ ბერიძე – პედაგოგი, პოეტი.

სულო, ქართულო!

უკვე შემოჰკრა მზის სხივმა გორას,
სიბნელის აჩრდილს თან გაიყოლებს,
ქართველი კაცი თავის ამაყ სულს
ქართულ მიწაში თან ჩაიყოლებს.
ქართველ ვაჟკაც კაცს ვერავინ გასტეხს,
და მას ვერავინ ვერ დაიმონებს,
ქართველს სულში აქვს მძიმედ რაღაცა,
მის შვილს გადასცემს და გააყოლებს.
და მეც ქართული სულით დავდივარ,
წლებიც ამ ჟინით გამილევია,
ჩემს ქართველობით ყველგან ვამაყობ,
ქართულ სუფრაზეც დამილევია,
მე ფეხზემდგარი - ეს ქართველობა,
ამაყი სულით დამილოცია,
მეც ქართველი ვარ, ჩემშიც ჩქეფს სისხლი,
მეც არასოდეს დამიჩოქია,
არ მაქვს უფლება რომ დავიჩოქო,
არ დაუჩოქავს რადგან მამაჩემს,
სხვა რწმენის გოდოლს სულში უდგამდნენ!
არ დაუჩოქავს იმ დროს პაპაჩემს.
მე დაჩოქილი ქართველი არსად
არც მინახავს და გამიგონია,
მუხლს ვერ მოვიყრი მე მტრის წინაშე,
რადგან არასდროს დამიჩოქია.

საქართველო

ჩემო საცოდავო! ჩემო საქართველო!
მტრისთვის მსხვერპლად
მქცევლო, ჩემო სანაქებო,
ბევრი ეცადეს და მაინც ვერას გახდნენ,
შენ ვერ გადაგტეხეს, ჩემო საყვარელო,
ბევრი ეცადეს, რომ შენთვის წაერთმიათ
შენი კახეთი და შენი ჯავახეთი,
შენი გურია და მასთან სამეგრელო,
ჩვენი რაჭა და ჩვენი საინგილო,
შენი აჭარა და მცხეთა-მთიანეთი,
ომი გაგიჩაღეს ყველა გოჯ მიწაზე,
აოხრ-დააოხრეს ყველა მთიანეთი,
ბევრს კი გაუძელი, მაინც წაგვაგლიჯეს
ჩვენი ოსეთი და ჩვენი აფხაზეთი,
მაგრამ დაგიბრუნებთ, რადგან ვერ ჩაახშეს
ჩვენში ღირსება და დიდი ამბიცია,
სისხლში ჩვენ რომ გვიჩქეფს დიდი სიამაყე,
ვერც წარმოიდგენენ, ეს მათ არ იციან,
მაგრამ დრო დადგება,
ყველას ნათელს მოვფენთ,
გაერთიანდები, ჩემო სანაქებო,
მტრისკენ გავილაშქრებთ,
ჩვენსას წამოვიღებთ,
ფეხზედ წამოდგები ჩემო საქართველო.

ბუნების საიდუმლო

ბუნებამ ქალი დაარქვა
კაბაც შეუქმნა, აცვია,
თვალები, ციცქნა, მიაბა,
ყურები – კოხტა, პაწია,
უთხრა: „მიბაძე დედაშენს,
აკვანი რომ დაარწია”,
უთხრა: „გაიცან, გასთხოვდი,
ქალის თამასა, აწია!”
გული კურდღელის ჩააბა,
ტუჩებად მისცა მარწყვია,
რომ მოეხიბლა ვაჟკაცი,
ბრძანა: – გრძელითმაც! აწყვია,
სამყარო ფეხსქვეშ გაუგო,
მიწის დედოფლად აქცია,
ოღონდ ეშმაკმა ბუნებამ
მამაკაცს მისცა განძია;
უთხრა: „იზრუნე, გიყვარდეს,
დაიცავი, რომ ნაზია;
ცხენივით შემართება აქვს!
არ გაგიწყვიტოს ჯაჭვია!
თუკი მოკურცხლა, ჯაჭვს გაწყვეტს,
სამყაროს შესძრავს მხედარი,
თუ დასჭირდება მთვარეა,
და თუ დასჭირდა, მზე არის,
ბუნებამ მასეთ ეშხიანს,
უბოძა ბევრი მდევარი,
მდევარს ერთურთი აწყვიტა,
ერთს კი უბოძა მტევანი,
ქალის თვალს სხივი შეჰბერა,
მიტომ ანათებს მზესავით.
ამიტომ ყველა ვაჟკაცი
ანგელოზს დასდევს, ტყვესავით...

მიწიდან ამოძახილი

თავად მრცხვენია, მიტომ ვდუდუნებ,
გარემოცვასაც დიდი სირცხვილი!
ფულები მქონდა ტომარებით და
ვერ ამაცილეს მაინც სიკვდილი.

მთელი ცხოვრება ვინც ფეხქვეშ მეგო,
სულ ფულს რომ მთხოვდა,
ხელგამოწვდილი,
ისიც ჩემნაირ კუბოში ჩადეს,
ერთად გვეწვია, ხალხო, სიკვდილი.

ვყვიროდი ფუჭად: გამომარჩიეთ,
მე მდიდარი ვარ, არის სირცხვილი,
არ მომისმინეს ასე დამტოვეს,
მდიდარი კაცი – მიწამიყრილი.

დამრჩა ფულები ოხრად, აუგად,
ფული მანდ დამრჩა, მე არ მარგია,
მე რომ მმარხავდნენ, ის მათხოვრები
მკვდარს დამძახოდენ მაინც: ნაგლია.

ჭიები მჭამენ, ფულს ვერ ვთავაზობ,
არც მდიდარი ჭრის აღარც ნაგლია,
ერთი პიჯაკი თქვენ რომ ჩამაცვით,
ჭიამ შეჭამა, აღარც მაცვია,

უსუსური ვარ, ვწევარ საყდარში,
როგორც ჩამპალი ტყეში ნაძვია,
მე ბოდიშს ვუხდი ყველა ღარიბ კაცს,
ვინც მაგ ქვეყანას გამილანძღია.

ეს სახსოვარი

ჩემში ჩაკრთობილ გულთა ნაიარს,
სამყაროსავით მონაპოვარი,
სამყარო მისით ჩქარა ტრიალებს,
ჩვენ გვემატება მოსაგონარი.
ზოგს მოსაგონად ცრემლი აწვება,
ზოგს კი დაურღვეს ეს მყუდროებას,
ზოგს მოსაგონი შიშად უქცია,
ცდილობს, გაექცეს უბედურებას.
ვინ იცის, რამდენს, მოსაგონარი,
ცხოვრებამ დიდი იარა უტია,
ანდაც ვინ მოთვლის, რამდენს, ცხოვრებამ,
ბედნიერების გზა გაუკვლია,
დღეს ამაყია, წელგამართული,
იმ ბედნიერ წლებს ეამბორება,
კაცი იყო და კაცად მოკვდება.
ის წლები ბევრს ხომ ემახსოვრება.
გემუდარებით, ჩვენც უფალს ვთხოვოთ,
გინდ ახალგაზრდამ, თუ გინდ ხნოვანი,
ისე წავიდეთ იმქვეყნად, ხალხო,
სიკეთე დაგვრჩეს მოსაგონარი,

თეთრი ყვავილი

რა ლამაზი ხარ ქათქათა, თეთრი,
თბილი სურნელნიც შენგან მოდიან,
მე მიმიზიდა შენმა სისადემ,
ყლორტზე კოკორი ნაზად რომ ზიან.

მსურს, მომეწყვიტე, შეგეხე ხელით
და შენს ფოთლების სუნმა დამათრო
და მე, დამთვრალმა, ვერც კი შეგბედე,
ამ ყლორტს ყვავილი, ვთქვი, რად დავაკლო

შენმა სისადემ ძლიერ მომხიბლა,
შენზე ლექსების წერამ გამართო,
იცი, ძნელად ჭრის მთვრალი კალამი,
შენმა სურნელმა ისიც დაათრო.

ვიფიქრე, მოვწყვეტ სახლში წაგიყვან,
ლექსაც დავუწერ, როცა გავა დრო,
ჩემს თვალებიდან ამ სილამაზემ,
ეს თვალისჩინიც თითქოს გამაძრო.

შენს სისადემ და შენმა სუნმა,
თითქოს მციოდა და მე გამათბო,
თეთრი ყვავილი ხალხმა გიწოდა
და ამ ყვავილმა მე დღეს დამათრო.

***

არც კი იფიქროთ, ამ ქვეყანად რომ რამე შეგვრჩეს,
ფული, სიმდიდრე, წართმეული სხვისი ქონება,
დრო დაგვიდგება, ყველაფერზე პასუხს მოგვთხოვენ,
ის მოგვთხოვს პასუხს, ვინც მორჩილად რომ გვემონება,
ამქვეყანაზე ყველაფერი დროებითია,
სხვისი ქონება საკუთარი ნუ გვეგონება,
არ შერჩენია არაფერი არცერთ მომაკვდავს
და სამართალი ჩვენც კარებთან დაგველოდება.
დრო დაგვიდგება, ყველაფერი სხვაფერს მიიღებს,
ძალას დაკარგავს ჩვენი ჩოხა, ჩვენი წოდება,
სიმართლე ერთ დროს ჭეშმარიტ გზას მაინც იპოვის,
მე მჯერა, ერთ დროს ყველაფერი მოგვეთხოვება...

დედა

დიდხანს მოველოდი ამ დღეს,
შენთვის სიმართლე რომ მეთქვა,
ჩემი სამყარო ხარ, დედი,
მკერდში – ჩემი გულისფეთქვა;
ძლიერ გაბრაზებდი, დედა,
მაშინ, პატარა რომ მერქვა,
თურმე რა კარგი დრო იყო,
მზესაც სხვა სახელი ერქვა.
გაგაჭაღარავე, დედი,
ეხლა იმ წარსულის შემრცხვა,
როგორ მისრულებდი, მიკვირს,
რაც რომ მეთხოვა და მეთქვა.
მე იმ ბავშვობიდან მოვალ,
მშობლებს რომ ვერ ვთხოვდით „გალაქსს“,
აბა, შემასწავლე, დედა,
როგორ გადაგიხდი ამაგს?...

დედი, სამყარო ხარ, ჩემი!
სულიც შენი ძალით დამაქვს,
ჩემთვის იგონებდი, გახსოვს,? –
კოხტა მწერალივით ზღაპარს,
ეზოს ვაშურებდი გახსოვს?
პირშიც ვიტენიდი ტალახს,
მაინც ჩამკოცნიდი, თბილო,
მე ვერ გადაგიხდი ამაგს.
არასოდეს ვიზამ, დედა,
ძმის და ჩემს სამშობლოს ღალატს,
არასდროს ვიკადრებ, დედი,
შენთან სულ პატარა კამათს.
დედა – ყველაფერი ჩემთვის
სულიც მე ხომ მისით დამაქვს,
მუდამ გაგიღიმებ, დედი,
თუ ვერ გადაგიხდი ამაგს.



თორნიკე ბერიძე

***

მოდით გავილეშოთ კვლავაც პოეზიით,
წრფელი სიტყვები კი სტროფში ავამღეროთ,
გული გადავუხსნათ კვლავაც სიყვარულს და
გრძნობით მღელვარე ზღვა უფრო ავაღელვოთ...

ძლიერ გავუფრთხილდეთ ქვეყნად სიყვარულს და,
წრფელი სიყვარული არც კი დავაბეროთ,
ჩავრგოთ სამყაროში ნერგი – სიყვარულის,
ვცადოთ, სისპეტაკე იქნებ გავაბევროთ.

ლექსი ვარ....

ზოგჯერ შეშლილი ლექსი ვარ!
ზოგჯერ უმწეო სნეული,
სტროფებს მიბმული აზრი ვარ,
საკანში გამომწყვდეული.

აცივდა

აცივდა, ირგვლივ სიცივე სუფევს,
ატმის ხის ყლორტებს საბანს ვაფარებ,
სითბომ სიცივე რომ ჩაანაცვლოს,
სამხრეთის ნიავს თხოვნას ვაბარებ.

იასამანსაც წაერთვა ფერი,
გრძნობიდან დაცლილ სხეულს ვადარებ,
ზოგჯერ ნიავი თბილად რომ დაჰქრის,
ზურგაკიდებულ ტალახს ატარებს!

დრო

დრო ყველაფერს დაფარავს და წაშლის,
განა ისევ სისხლი ძარღვში იდენს?!
ცოდვებისგან გადაჭედილ ზეცას,
როგორ მინდა, წვიმა ცოდვებს სცლიდეს.

როგორ მინდა, გახუნებულ ფოთლებს
სიყვარული აცოცხლებდეს, ზრდიდეს,
სიყვარული თარეშობდეს ქვეყნად,
შემოქმედი მასზე სტროფებს ქმნიდეს.

იბადოდენ სიყვარულით ყველგან,
სიბოროტეს სიყვარულით ცვლიდენ,
ყველა ახალ მოვლენილს, ამქვეყნად,
სიყვარულით, უბოროტოდ ზრდიდენ.

ზოგჯერ დარია

ზოგის ცხოვრება ტკბილი წუთია,
ზოგისთვის კიდეც მოთქმა-გოდება,
ბედის ბორბალი, არ ვიცით, როდის,
სად, ვისთან, როგორ, სად მიგორდება...

ერთ დღესაც ვნახავთ, გამოიდარებს,
მეორე დღეს კი ისევ ქარია,
ჩვენი ცხოვრება წვიმას მაგონებს,
როდესაც ზოგჯერ ნიაღვარია.

ყოველი დღე ხომ ერთმანეთს არ ჰგავს?
სულ კი არა წვიმს, ზოგჯერ დარია!
უბედურება მაგონებს წვიმას,
ხოლო, მზე - როცა გამიხარია.

თუკი...

თუკი ტკივილი შემოგეპარა,
ფიქრობ, ცხოვრებამ მახე დაგიგო,
თუკი დარდობ, რომ ცხოვრებაში
ბევრმა გაგრიყა, ცოტამ გაგიგო.

თუკი ოცნების კოშკებს ის გინგრევს,
ვინც რომ ეს კოშკი, თავად აგიგო,
თუკი ცხოვრებამ სავალ ბილიკზე
ვარდის ნაცვლადაც ბარდი დაგირგო.

შენ გაიღიმე და ღმერთს მიენდე,
მოხდება ის,რაც ერთ დროს არ იყო!
სულ!!! თან იყავი მუდამ მართალი,
შეცდომებისთვის სხვა არ გარიყო.

თუმცა გახსოვდეს, არ დაივიწყო
ის, ვინც ლხინში გყავს, ჭირში სად იყო?
ერთი ათასად მას დაუბრუნე,
ვინც შენს გულისთვის მუდამ მზად იყო.

მესხეთით ვიწყებ სამშობლოს

მესხეთით ვიწყებ სამშობლოს!
ათვლის წერტილად მივიჩნევ,
შენ გულში გამოვიზარდე,
პურს და წყალს, შენსას მივირთმევ.

ეს ის მხარეა, სადაც რომ
მარადის სხივი კიაფობს,
ხალხი ერთმანეთს იხუტებს,
ერთმუშტად ტალღებს მიაპობს.

ერთბაშად გრძნობებს აფრქვევენ,
„სიყვარულს თვალები ამბობს“,
მესხეთში ყველა გრძნობაზე
მოუსმენ, მტკვარი გიამბობს.

მესხეთში ასე ამბობენ:
„ეკალი ვარდსა ავარდობს“,
მესხეთი - ეს ის მხარეა,
სადაც გრძნობები ნავარდობს;

სადაც რომ სამართალია,
სადაც ძმა, ძმას არ ღალატობს,
სიკეთე ჩვენთან, მესხეთში,
ბოროტებაზე ძალადობს.

აკვანში, შოთას, აქ სძინავს,
თამარ დედოფალს არწევენ,
გაიზრდებიან შვილები
ამაგს, ქვეყნისთვის, გასწევენ.

თუ კი დასჭირდა სამშობლოს,
კალამსაც, ხმალსაც ასწევენ,
დედები, შენთვის, სამშობლო,
აკვნებსაც კვლავ დაარწევენ.

მე რომ წავალ, რა მოხდება ნეტავ?!

გაზაფხული ნეტავ ისევ მოვა,
ისევ ისე შემოაღებს კარებს?
წვიმიანი დღეები თუ მოვა,
დაუცდიან, ნეტავ ისევ დარებს?

იასამანს თუ შემორჩა სუნი,
მაისობა თბილ ამინდებს არევს,
ვგრძნობ, აპრილი, კვლავ ჩაიცმევს კაბას,
მაისი კი კვლვ გაზაფხულს გალევს.

ნეტავ ისევ სწრაფად გავა წლები,
და ეს წლები კვლავ გააჩენს ღარებს?
ნეტავ ისევ ინავარდებს ცრემლი,
სახეზე კვლავ დააყენებს ღვარებს?

წასვლის შემდეგ რა მოხდება ნეტავ?
დავაკლდები ჩაბნელებულ ღამეს?
ვარსკვლავებით გადაჭედილ ზეცას,
გრძნობით სავსე, განათებულ მთვარეს?

ნეტავ ისევ თუ დაწერენ გრძნობით,
მიუძღვნიან სტროფებს ნათელ თვალებს?
შემორჩება ისტორიას ნეტავ,
ვარსკვლავები, ოდეს ვინც კი თვალეს?...

გალაკტიონი

დღეს ვლაპარაკობ გალაკტიონზე,
არ არის ჩემთვის წერა ადვილი,
იყო ლეგენდა, დარჩა ლეგენდად,
მან ჩვენს გულებში პოვა ადგილი.

ის აღიარეს პოეტთა მეფედ,
სტროფს უსველებდა მტკვარი, რიონი,
პოეტთა მეფე – ერის გვირგვინი,
ჩემთვის გმირია გალაკტიონი.

ერის საუნჯე, ერის მგოსანი,
დაბადებულა დიდ სოფელ ჭყვიშში,
ის ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე
ერს ედგა კალმით ლხინში და ჭირში.

დედამ ასწავლა მას წერა-კითხვა,
თან შეასწავლა პოეტს ლოცვები,
საოცრებაა საუკუნისა,
გავიდა წლები, დღესაც ვვოცდებით.

მეც შემიძლია ლექსის დაწერა!...
მაგრამ ვერასდროს ვერ შეგედრებით!
მიწადმწოლარე, დიდო მგოსანო,
ცოცხლები მძინარს ვერც კი გედრებით!

***

მე რომ დავეცე, დამერწმუნეთ გადამივლიან,
მტრები თითებზე, სამწუხაროდ, ვეღარ დავთვალე,
ერთხელ დავეცი, სწორ ბილიკზე, მაშინ, როდესაც,
ვინც რომ უბრალოდ გამიღიმა, ჩემად ჩავთვალე.

მტრებად ისა მყავს, ვისაც საქმე – ათი ვუქენი
და ერთი საქმე ათასად რომ ვერ დავუბრუნე,
თითქოს სწორ გზასა მიმავალი, როგორც ყაჩაღი,
გზად მე შემოვხვდი და ურემი გადავუბრუნე.

მამა

მამას ვუძღვნი ამ სტრიქონებს, მამას!
ის ოჯახზე ყოველთვის ხომ დარდობს?
მამის თვალზე ცრემლებს ვერ იპოვით,
თავის დარდებს, ხმამაღლა ვერ ამბობს.

წლები, ალბათ, წლებს გაჰყვება ისევ,
წავა, გაჰფრენს, არც კი გაჩერდება,
ასი წლისაც იყოს მამაჩემი,
გულით მაინც არ დამიბერდება.

თმას ჭაღარა შეეპაროს თუნდაც,
მისი გული ახლებურად იძგერს,
მის სიცოცხლეს ძღვენად შვილებს აძლევს,
მისი შვილი ამაყად რომ იდგეს.

თვითონაც კი ამაყია მაშინ,
როცა შვილი დაუძახებს მამას,
ხოლო ცოლი სიყვარულის ნაყოფს
დაუმღერებს ტკბილად "იავნანას".

თუნდ სტკიოდეს, არ გაჩვენებს ტკივილს,
ყველა დარდებს გულში ჩუმად მალავს,
არასოდეს გიღალატებს! არა!
ხოლო შვილს კი გაპატიებს ღალატს.

შვილისათვის ხანჯალიც და ფარიც -
ამ დიდ ბელადს უწოდებენ მამას,
ვენაცვალე ქვეყნად ყველა მოკვდავს,
ვინც რომ მშობელს დაუფასებს ამაგს.

ნუ დამტოვებს მარტოს

სუსხიანი ზამთრის ფონზე
გულში ძლიერ ცივა,
ვუცქერ ზეცას... თითქოს
ფიფქი ცრემლად სცვივა.

ჩამოთოვა ისევ,
როგორც იყო წინათ,
მოათეთრა მთები,
გულს შეეხო თბილად.

მიწამ იგრძნო სითბო,
ზეცაში კი ყინავს,
დამამშვიდა ისე,
დღე არის და მთვლიმავს.

ფანჯარასთან ვზივარ,
ვუცქერ ხეებს, ათოვს,
ვეხვეწები ფიფქებს,
ნუ დამტოვებს მარტოს.

საქართველო მინდა იყოს...

ჩემი ტურფა საქართველო
ვნახო კვლავაც მზიანი!
სამაჩაბლო, სოხუმი,
იყოს კვლავ ერთიანი.
ბრძოლაგავლილ მიწაზე,
ია-ვარდი ხარობდეს,
გაჟღენთილი, გრძნობებით,
ერი ერთურთს ჰყვარობდეს.
შეცდომებზე ნასწავლით,
მტერი ოდეს ნანობდეს,
„ჩიტი სტვენდეს ბუდეში,
შაშვი ისევ გალობდეს".

წინაპართა დიდება
საუკუნეს გასტანდეს,
მტერი ვერას გვაკლებდეს,
იყოს, განა არ გვყავდეს!
ერი კვლავაც ხარობდეს,
„შაშვი ისევ გალობდეს",
გაჟღენთილი, გრძნობებით,
ერი ერთურთს ჰყვარობდეს.
შიდა მტრების თარეშით
აღარ გვქონდეს ზიანი,
საქართველო უნდა იყოს,
ერთიანი! მთლიანი!.

ოჯახი

ყველა პოეტი, სხვა შემოქმედნიც,
მასზედ წერენ და მასზედ მღერიან,
ეს ოჯახია, წმიდათაწმიდა,
ადგილი, სადაც მუდამ გელიან.

სიკეთეს, ათასს, გაგიკეთებენ,
ნაცვლად არაფერს აღარ ელიან,
ადგილი, სადაც ყველა განსაცდელს
ერთურთის ძალით ერთად შველიან.

ტკივილებს, დარდებს, ერთმანეთისას,
აყუჩებენ და არ იღლებიან,
ოღონდ ბედნიერ სახით გხედავდნენ,
ზრუნვით არასდროს დაიღლებიან.

მთლად უანგაროდ გულს გაჩუქებენ,
ბედნიერების ცრემლებსაც გგვრიან,
სიცოცხლესაც არ დაიშურებენ,
თუ საჭიროა, სისხლაც დაღვრიან.

ამ სითბოზე და ამ სიყვარულზე
ყველას ხვადასხვაგვარად ყვებიან,
ჩემთვის ოჯახი სულის საზრდოა,
სადაც ბოლომდე გადაგყვებიან.

ჩემი ოჯახი ჩემთვის მზე არის,
ნათელი სხივი, სადაც მელიან,
სადაც სიკეთეს გამიკეთებენ,
ნაცვლად არაფერს აღარ ელიან.

***

არ მჭირდება ცრუ ღიმილი!
გთხოვთ, ნიღბები გაისწორეთ,
ის ღიმილი, რაც ფარსია,
ისევ თქვენთვის დაიტოვეთ.

არ მჭირდება ლხინში ხვევნა,
გასაჭირში – განზე დგომა,
გამოწვდილი ბინძურ ხელით,
არ მჭირდება წამოდგომა.

სატრფიალო

გინდა, გადავცურო წყნარი ოკეანე?
სიყვარულის დროშა, გინდა, ვაფრიალო?
გინდა, გავათენო შენზედ ფიქრებში და
ჩემი ყველა სტროფი შენზე ვატრფიალო?

გინდა თვალებიდან ისე ციმციმებდე,
რომ თქვა, რა კარგი ხარ გრძნობავ, საამურო?
გინდა, ყოველ ღამით კოცნით გაგაღვიძო,
არ გამიცივდეო, ტანზე დაგახურო.

ძლიერ მიყვარხარო, ყურში წაგჩურჩულო,
სენად, შენი თავი, გინდა, შევიყარო?
გინდა, სიყვარულით ძლიერ ვბარბაცებდე,
როგორც არასოდეს, ისე შეგიყვარო?

გინდა, ყოველ დილით სახე გიღიმოდეს?
სევდა გამქრალიყოს, მზად ხარ, გაიცინო?
ჩემი სიყვარულით, გინდა, ნებივრობდე?
გინდა, ჩემს მკლავებში ტკბილად დაიძინო?

მაშინ აქა ვარ და მზად ვარ გეამბორო,
მზად ვარ, შენი თავი სენად შევიყარო,
მზად ვარ, ჩემი თავი მხოლოდ შენ გაჩუქო,
როგორც არასოდეს ისე შეგიყვარო...

ნინო ზაზაძე – პოეტი

შოთაობაზე თქმული

გაშლილ ტრამალებს, გაშლილ სივრცეს
მზედ მოჰფენია
დიდი რუსთველის მოკაშკაშე აზრთა გენია.
მისი ნათელი გვასულდგმულებს ყველა თობას
და ეგებება მესხეთის ცა დღეს „შოთაობას“,
გამოუღია სტუმრისათვის მასპინძელს კარი,
ო, ამ მიწაზე ვისღა ახსოვს შური და გესლი,
დღითიდღე უფრო მეტად ხარობს და
უფრო ყვავის
ქართულ მიწაში ჩათესილი სიკეთის თესლი.
გაუტანია ქვაშიც ფესვი, მძლავრად, სიყვარულს,
„მრავალჟამიერს“ ბანს აძლევენ მაღალი მთები,
წარმომართულა წარსულიდან და სიამაყით
თავზე დაგვხარის საოცრება - ვარძია, ჩვენი.
გაცოცხლებულა ქვაში თლილი მეფე-ქალაქი,
შორეთიდან კი მაინც ისმის ჩვენი გოდება,
„რაც იყო, იყო!“– აჩრდილები გვლოცავს,
თამარის...
– „წავიდა ის დრო და ნურც ოდეს
განმეორდება!“
აქ არ იმღერო, ლექსი არ თქვა, არ შეიძლება,
აქ ყველა სიტყვა, ყველა ფიქრი ლექსად
გამოსდით
და საუკუნის მწვერვალებზე დგას, უნებურად,
დიდი რუსთველი, უკვდავქმნილი
„ვეფხისტყაოსნით“.

გვირილა

ქუჩის მტვერში მოწყვეტილო,
პაწაწინა გვირილავ,
ოღონდ დარდად ნუ მექცევი,
ნუ მექცევი ტკივილად,
ოღონდ ცრემლი ნუ მოგწყდება
მაგ ნაღვლიან თვალებზე,
მერე რა, რომ მტვერში გნახე,
მაინც მოგიალერსებ!..

***

მე სული მტკივა,
ჩემთან ვინმე რომ იცრემლება...
ვფიქრობ: „მის ნაცვლად
მე რომ ვიყო, რა მეშველება?...”
გაუცნაურდა ეს ცხოვრებაც,
რაღაც ძალიან,
ერთმანეთისთვის სანუგეშოდ,
აღარ გვცალია,
და თუ დღეს შვძლებთ,
ღმერთმა ქნას და ასე, ბოლომდის,
ერთურთს ვეფეროთ ლექსით,
სიტყვით,
სადღეგრძელოთი!!!

მაშინ...

ზოგს სიცოცხლე დარჩენია შუა
        გზაზე ვედრებად,
რა ვქნა, წყალსაც წაუღია
        ჩემი ბედნიერება!...
სხვათა სევდას, სხვათა ტკივილს,
        თუ დავედვე სალბუნად,
გეფიცებით, თავს არ ჩავთვლი
        ობლად და დაკარგულად!...

ბედო, ბედო, რას მემდური, იქით
            დასამდურები...
ლამის გული გამიხეთქო, ამდენ
            საყვედურებით...
თუ ვერაფერს ვერ იმეტებ, ჩემთვის
            გასამეტებელს,
მაშინ მომკალ, ნუ გამიჩენ სხვა
            ახალ სადარდებელს.

ბევრს ჰგონია, ლექსის წერა
        ადვილია ძალიან,
დამიჯერეთ ყველაფერი მწუხარების
            ბრალია,
ლექსში მითქვამს, ლექსში ცოცხლობს
            ყველა ჩემი ფიქრები...
რასაც ხშირად მიამიტად და ბავშვურად
                ვითმენდი.

ბედო, ბედო, რას მემდური, იქით
            დასამდურები...
ლამის გული გამიხეთქო, ამდენ
            საყვედურებით...
თუ ვერაფერს ვერ იმეტებ, ჩემთვის
            გასამეტებელს,
მაშინ მომკალ, ნუ გამიჩენ სხვა
        ახალ სადარდებელს.

???

ჩემს ბოლო სუნთქვას,
ბოლო ბწკარებს ამოვიყოლებ
და ბოლო ლექსის სვეტი, ნათელი,
სულს გამინათებს.

ლექსს ჩემთვის „პური არასოდეს არ უჭმევია“,
ზოგიერთების ამ სიტყვებზე, ისე, ღიმილით.
მე ამ ლექსებით, დღეებს ვჭრიდი, მერე
ვკერავდი
და ჩემს ლექსებზე გადამქონდა მთელი
        ტკივილი.

* * *

ხშირად მემართება და ჩუმად
            მეტირება,
როცა მივდივარ და
ვინმე მიმაცილებს,
გულში მენატრება ლორთქო გაზაფხული,
ჩიტების ჟივჟივი და
სულის სიყმაწვილე...
და ასე მგონია, არასდროს დავბრუნდები,
ვრჩები ცარიელი და ცრემლით ავსებული;
... და მსურს, უსასრულობაში ერთად
        გადავიდეთ
მე და ჩემი წილი – ლორთქო
        გაზაფხული.

ოთხი სტრიქონი

მე ვდუმვარ, როცა ჩემი არ სჯერათ;
... და ეს დუმილი მეპატიება,
რადგან სიმართლის გადასარჩენად
ვერ გადაადნობ ბგერებს ტყვიებად.

...ღამეებს ვუთმობ ფიქრს და ტკივილებს...

უნდა გავუძლო ყველა სატკივარს!
არ ვარ ბალახი, წამლეკოს რეშმა.
მე, სანთელივით, ღმერთს უნდა ვენთო
და სულს არასდროს მივყიდი ეშმაკს...

მე თავად უნდა შევიშრო ცრემლი...
(თუმცა სანთელი როდის არ ტირის?)...
უნდა გავუძლო ამ ღამისთევებს
და სულში ექოდ შემომსკდარ კივილს!...

უნდა გიყუროთ ყველას თვალებში...
მემეტებოდეს თქვენთვის ღიმილი...
თუკი რამ მიჭირს, ჩემთვის მიჭირდეს,
ჩემთვის დამქონდეს ჩემი ტკივილი.

დიახაც, უნდა გავუძლო სევდას,
ლოდინს, რომელსაც ვერ უძლებს ბევრი.
არ ვარ ბალახი, წამლეკოს რეშმა,
ანდაც ვიღაცამ დამადგას ფეხი!!!

***

როგორ ვგავართ ბედისგან
დასჯილ სათამაშოებს,
სიშორე გვაახლოვებს,
სიახლოვე - გვაშორებს,
მაკრთობს სიმარტოვე და
დაზამთრების სითეთრე,
თურმე ადამიანი
რამდენს უნდა ითმენდეს?

***

ნაცნობი ბილიკები მესიზმრება,
ჩემი ბავშვობის გზები...
ნაცნობი სახეები მენატრება,
მომესმის ნაცნობი ხმები...

ლამაზი წარსული მელანდება,
თოვა და დაფიფქული თმები,
ჩემი მომავალი მედარდება,
სიცოცხლე-ცხოვრება ჩემი...

***

შენ ჩემზე ფიქრში,
ჩემზე ლოცვაში,
დაგთენებია, დედი...
ჩემზე დარდში და ჩემზე ტკივილში
გაგთეთრებია თმები...

მე კი არაფრით არ შემიძლია,
შეგიმსუბუქო სევდა,
თუ ცრემლად უნდა დაგბადებოდი,
არ გაგჩენოდი ნეტავ.

დრო სწრაფად გარბის,
ჩემს მომავალში, საიმედოს
ვერ ვხედავ,
შენც მომიხუცდი,
მერე დამტოვებ
სულ მარტოდმარტო, დედა...

მე კი არაფრით არ შემიძლია,
გულს გადვიყარო სევდა,
თუ ცრემლად უნდა დაგბადებოდი,
არ გაგეჩინე ნეტავ...

ჩემი მერცხლები

ვერ შეველიე მე ჩემს ბავშვობას,
მწვანე ფიჭვებით ატეხილ გორებს,
მე საქართველო დამრჩა სახსოვრად,
თქვენ რომ გაფრინდით და მიმატოვეთ...
ვერ შეველიე მე შენს სიყვარულს,
ხასხასა ველებს, სერებს - დათოვლილს;
... და ამ სახსოვარს, ძვირფასზე ძვირფასს,
ვერ მივატოვებ თქვენგან დატოვილს.
მე საქართველო დამრჩა სახსოვრად.
თავის ანბანით და ველ-მინდვრებით,
ო, გევედრებით, ჩემო მერცხლებო,
უცხო მხარეში ნუ გაფრინდებით.
ყველას სიყვარულს დაიტევს გული,
ყველას გვეყოფა ეს საქართველო,

ოღონდ დაბრუნდით, ოღონდ დაბრუნდით,
მშობლიურ ცის ქვეშ, ჩემო მერცხლებო.

სიბერე

ის მოდიოდა ჩუმად, ნელ-ნელა,
სვენებ-სვენებით, ხელჯოხით ხელში,
უკან მოსდევდა თეთრი პეპელა,
ფიფქს მუჭა-მუჭა ურევდა თმებში.

ის მოდიოდა წელში მოხრილი,
მაგრამ ამაყი, როგორც მყინვარი,
წლებს მოარღვევდა ფოლადის მკერდით,
ვით ქარიშხალი და ვით გრიგალი.

ის მოდიოდა, როგორც ნიავი,
არა სჩვეოდა დაღლა, ჩივილი
და თუმცა უკვე იყო გვიანი,
თვალებში მაინც კრთოდა ღიმილი.

ის მოდიოდა, როგორც სიზმარი,
ლამაზ-ლამაზი ზღაპრებით ხელში,
იყო ამაყი და, მყინვარივით,
ჭაღარა ბლომად ერია თმებში.

***

რაღაცის თქმა სურთ შენს ლამაზ
თვალებს,
რაღაცას მალავ მაგ თვალთა მიღმა,
ვხვდები, უთქმელი გრძნობა გაწვალებს,
ლამის წაგლეკოს სევდამ და ფიქრმა...
იქნება მითხრა, რამაც შეგცვალა?
... და მეც შენს ფიქრებს ვუშველო რამე!..
კარგი, ჯანდაბას,
გულს თუ მიმალავ,
თქვი, სად წაიღებ მაგ მეტყველ
თვალებს?

***

რა მოხდა მერე?!.
ხომ უნდა მაინც მიეჩვიოთ
ერთხელ, ოდესღაც,
უ ჩ ე მ ო ბ ა ს და...
ამიტომაც სჯობს, რომ წავიდე!!!
არა, ძალიან არ მინდა წასვლა,
არ მემეტებით დასატოვებლად,
მაგრამ რას ვიზამ,
დავიღალე ყველაფრისგან,
მძულს ყველაფერი: ხელოვნური,
არაფრისმთქმელი, ცოტახნით უნდა
გავიქცე და
გადავიკარგო!
ცოტახნით უნდა დავივიწყო
სულყველაფერი;
თუ ვერ დავბრუნდი, ცრემლს ნუ
გამატანთ...
არ მინდა ცრემლი.
რა მოხდა მერე?!...
მე არ ვიქნები პირველი.
არც უკანასკნელი...

ნინო ლონდარიძე

უჩინარი მხატვარი

მე არ ვიცოდი,
ნაზი სული ჰქონია ყინვას,
უჩინარ ფუნჯით
მოუხატავს ფანჯრის მინები,
ასე ლამაზად ვერ დახატავს
ქვეყნად ვერავინ.
ასე უნაზეს ყვავილებს,
ფოთლებს
დახატავს ის,
ვის სულშიც ანთია ცეცხლი...
გრძნობა მშვენების და სიყვარულის.
სულ არ ველოდი,
ნაზი სული ჰქონია ყინვას.

Memento mori, დატკბი სიცოცხლით

გადაღამებას ნუ დაუცდი,
ჩაჰყევი ბილიკს,
სიფრთხილე გმართებს,
გაიხედე,
წინ დაღმართია,
ლიცლიცა მთვარეს მიაგებე,
ფაქიზი სული,
მრავალი ღამე შენს სარკმელთან
რომ გაათია.
თუ გიხარია რაღაც, სულში,
და არ გასვენებს,
გაანდე შენი სიხარული
ქარაფს, პირღიას,
ნამოსახლართან ჩაიარე,
ხმაა წარსულის...
გადაღამებას ნუ დაუცდი,
წინ დაღმართია.

* * *

ნუ მეკითხები,
რატომ აყვავდა
ზამთარში თეთრი ვარდების ბაღი,
ნუ ეძიები
თეთრ გზა-ბილიკებს -
ფიქრებს,
ბავშვივით თოვაში გაჭრილს...
დაიკარგები,
ვეღარ გაიგნებ
დათოვლილ მთებზე
ვერ ნახავ ბილიკს...
...და თუნდაც ნახო,
არ დაგავიწყებს,
ვეღარ უშველის
წარსულის ტკივილს.

...
სულო ჩემო,
გჩუქნი ქოლგას,
ცივი წვიმის შეხებაზე
ნუღარ კრთები,
მწველი მზეც კი,
დამიჯერე,
ვეღარ შეძლებს,
რომ დაგიწვას
თეთრი ფრთები.

პურის ყანა

შენში ლაღად ცელქობს ტალღა, ცვალებადი,
დაუდეგარი და მალი,
მზისფრად შეგღებია ნაზი წამწამები,
გღლის, გეამბორება ქარი.
ღვთისგან კურთხეულო, მიწისგან დალოცვილო,
გყოლია რამდენი შვილი,
იბიბინე და უკლებლივ მიიღე
ცის წყალი, ნაკურთხი და თბილი.
წმინდა სანთელივით ნაზად ჩამოქნილო,
გულში ურცხვად გიკრავს ქარი,
შენზე ჭორიკნობდა მწყერიც, მოგოგმანე,
ჩემი საყვარელი არის.

ნეტავ

ნეტავ ჩამომღვაროს ზეცამ წყაროდ,
ხეების ლანდებში ვიციაგო,
გადამხმარ ფესვებზე მოვეფერო,
სიცოცხლე ვანაცვალო.
გამომშრალ მიწაში ჩავიღვარო,
ყვავილებს ვემალამო.
ნეტავ ჩამომღვაროს ზეცამ წყაროდ,
სულის მოსათქმელად დავიღვარო.

...
თუმც არ უნდოდა,
მაინც დატოვა
ბილიკზე
წითელი ფოთლების კვალი,
გამოიპარა გაყინულ ხიდან
და უკან გაჰყვა
ქარივით ჩქარი.
ახლა უსულო,
ვითარც კლდე, სალი,
დგას, ელოდება
სულს ნეკერჩხალი.

იწვიმე,

გული დაცალე, ცაო,
ფიჭვის ტყესავით
მუქად ნაფერი,
ათასფრად გღებავს
მკვდრის მზე, წითელი,
მოგხატა ელვის
ცეცხლით ნასერი.
იწვიმე,
სევდა დაღვარე, ცაო,
სულს მიზრობს ირგვლივ
სულ ყველაფერი.
მეც ცრემლებს დავღვრი,
ვიტირებ ისევ,
ვიტირებ ისევ
და... დავილევი.

გაქცევა

საცეცხლე
ამოვსილა ნაცრით,
საქარე
დაგმანულა, ვაგლახ!
წყალი
ამომშრალა დოქში,
სული
ვერ გაძლებს
და...
წავა.

მუხა

ბებერი, უძლური ცახცახებს ბერმუხა,
დრო დადგა სიკვდილის... ყრანტალებს ყვავი,
გამომხმარ ტოტებზე დინჯად დგას, ამაყად,
სიკვდილის აჩრდილი და გაბმით ჩხავის.

ასწლოვან ბერმუხას, გადამსკდარს, დაკოჟრილს,
სამოსლად მოუსხამს ნისლი,
ერთდროს ამ ველზე იდგა თამამად,
ვით ქოხი, ნაფარი ისლით.

ყინვისგან დამზრალი ტოტები ტკაცუნობს
და წელში იხრება მუხა,
გული ეფერფლება, უკვე გრძნობს მომავალს,
უნდა შეუკეთონ ბუხარს.

* * *

როცა ხელს დაგრევს
უიმედობა,
მოვალ საოცრად ლამაზი კაბით,
მთვარით დანთებულ
სანთლის ლიცლიცში
იმედის ვარსკვლავს
ავანთებ ცაზე.
მოვალ,
ნათელ სხივს მოვიყოლებ
ციდან რწმენისას,
მოვალ...
სიზმარში.

პაპას

ჩემს პაპას ყოფნა უყვარდა
მტკვრისპირას, ბაღში.
ახლა შენ აღარ ხარ, პაპა,
წყლის პირას კვნესა ისმის თუთის,
უშენოდ მოიწყინა ბაღმა,
სიცოცხლე ნაფლეთია წუთის.

* * *

გაზაფხულია...
ალუბლების ვუცქერ ხეივანს,
უნაზეს კაბებს დაუფარავს
ხეთა სიშიშვლე,
ქარი წელზე ხვევს ხელებს,
ნაზად ეამბორება
ამ სუსტ დედოფლებს.
ცეკვავენ გზნებით
და შრიალებს სპეტაკი კაბა,
მზის ათინათი მოჰქარგვიათ
სირმებად, ტანზე.
ქარმა ალუბლებს
სიყვარულის ცეცხლი დაუნთო,
დონ-ჟუანივით
ყველა გულში ნაზად ჩაიკრა
და სათითაოდ დაემშვიდობა.

მიტოვებული სახლი

მომტვრეულ მოაჯირს მიმწუხრი ეფინა,
მორყეულ კიბეზე ფშვინავდნენ ფოთლები,
ზღურბლს მიღმა იდუმალ სიბნელეთს ეძინა,
სიჩუმეს არღვევდნენ ჭრიჭინობელები.

* * *

გრძნობაართმეული ლექსივით წუხდი,
მკურნალის აზრებს ნატრობდა იჭვი,
გაუსაძლისდა სუნთქვა სივრცის თუ
გადაგიბრუნდა მტკიცე ნაბიჯი?

დაბნეულობად მოთოვე მთებში,
გვიანობისას იკვირტ-იმარტა,
დროა, ნისლიდან აგართვა ცრემლი,
გულს დავიბნიო მარგალიტებად.

ჩემი ლოცვა

ღმერთო, დამანათლე სიმღერის ნიჭი,
ვუმღერო სიკეთეს, სიყვარულს, მშვენებას,
გმირობას, დედას და სამშობლოს ვუმღერო,
ყველაფერს, ყველაფერს, რაც არის წმინდა.

ღმერთო, დამანათლე ნიჭი პოეტისა,
რასაც გული იგრძნობს, შემეძლოს წერა,
თორემ უთქმელი სიტყვა დაგუბდება,
გული გამისკდება, ვერ გავძლებ, ვერა.

ანდაც დამანათლე მე მხატვრის ნიჭი,
ფერი ავამღერო, ფერთა სიმფონია,
ცაში ავარდნილი ორბი დავხატო და
მტკვარი დავხატო, ხევს რომ ჩაჰკონვია.

ვაშას სამყარო

აუ, რა კარგია მთაში,
ჰოი, რა ქარები იცის,
წვიმის სხვაგვარია თავსხმა,
ფერიც, ჩახვეული ნისლის.

წყარომ ჩემი ენა იცის,
იცის მონატრება გზებმა,
როგორ მენატრება, როგორ,
ყვავილთა სურნელება.

ცაზე მზე სურვილებად იწვის...
წყარო მორაკრაკებს, ურჩი,
მოლი ათასფერად ბზინავს,
მზისკენ ხელებს იწვდის ქუჩი.

აუ, რა კარგია მთაში,
ჰოი, რა ქარები იცის!..

* * *

იისფერ ღრუბლებს მიკონავს ქარი,
მწვანე ცრემლებად ჩამოდნა ჩერო,
იდუმალ ჩრდილებს მოჰგავს ზღაპარი,
წვეთში ეტევა მთელი სამყარო.

ფიქრის ზღვად მექცა პატარა გული
და სიყვარულად ერთი ღიმილი...
ავედევნები ქარად სურვილებს,
რომ მივაწვდინო სულის კივილი.

ფოთოლცვენა

აუმეტყველდა ჭადარს ფოთლები,
ვით დაემალვი ფიქრებს, გიჟიანს,
ლერწმა ტოტიდან აფრინდა სული,
დაირხა ქარი ცივ მელოდიად
და ფოთოლცვენის დღე, უნაპირო,
ვერ მოილოცა სულმა სრულიად,
უმძიმეს ზარად, ჟღარუნა ნოტი,
ხმას დააკვესებს სინანულიანს.

ზღურბლთან

თურმე კარებს მიღმა
აღარაფერია,
არც ხე, არც მთვარე
და არც ვარსკვლავები,
ლურჯი ყვავილებიც
აღარ გვიღიმიან,
აღარც მზე იცინის
დაღლილ-დამაშვრალი.
გარეთ სიცივეა,
გაქრა თანაგრძნობა,
ისევ ბატონობენ
მგლური კანონები,
გული დაცლილია,
წლები წასულია
და ჩვენს წასაყვანად
დგანან ვაგონები.

ხეთა ზეიმზე

თელა ხარხარებს,
მუხა ბუბუნებს,
ძეწნა კანკალით
ცრემლად იღვრება,
ნაძვი კოპწია
კაბას იხდენს და
გირჩი აუსხამს
სამკაულებად.
ჭადარი, ხეპრე,
მხრებაწურული,
სულ ვეღარ ფარავს
მედიდურობას,
ბებერ ნეკერჩხალს
ლალის ფოთლები
გულიდან სცვივა
სისხლის წვეთებად;
... და კვიპაროსი,
ულამაზესი,
მოგვევლინება
კოხტა ქალწულად.
მოვდივარ ტყიდან,
მდინარის შხეფებს
მზე სხივებს აღვრის
დაუნანებლად.
ხეთა ზეიმი –
ბალ-მასკარადი,
ასე გრძელდება
დაუსრულებლად.

* * *

ძოწისფრად ჩასახლდა
ხეებში მარტი,
ნაწვიმარ ხეობას
კვირტობა სწვევია,
ნისლის კვართით დადის
ახლა გაზაფხული,
დედის დღე
დედების ღიმილის ფერია.

* * *

გზაზე ტორები
უწყვია ყინვას,
შენამდე მოსვლას
უსკდება გული,
წერენ უსიტყვო
მელანქოლიას
ზამთრის საღამოს
ქარი და თოვლი.
...

შატბერდი

ქართულ მიწაზე ვდგავარ,
ტიალი,
და, დედინაცვლის, ვუსმენ
ტირადას,
ზეცას შევყურებ,
მზის სხივით ვთბები,
მაგრამ სხვა სითბოს
ვნატრობ
ფიქრადა.

N-ს

ნუ დამაჯერებ,
ბინდის ელფერი
რომ არ დაჰკრავდეს
შენთვის განთიადს
და ღიმილს მიღმა
არ იმალები
მტირალა ბავშვი,
რომლის ცხოვრება
ფერად ფურცლებით
მოატყუეს და გააკეთეს
მოსაწყენი
აპლიკაცია.

* * *

გადაიხვითქა სული იებად,
ნატვრისთვალივით უხვია მზე,
ურჩმა თვალებმა გაგვრითმეს მგონი
და მუზასავით მოცურავს დღე.

...

დრომ თავის აქანდაზზე ახვეტა წლები,
სიბერის ჭირხლმა სახე მოგიხატა:
თვალებში სევდა
და გულში ზამთარი.
ბუხარი – ოდაში,
ჭრაქი და ლამპარი.
ტკარცალებს კუნძი,
იწვის, ინაცრება,
ჩაქრება, ჩერდება დრო,
სწრაფი, გიჟმაჟი.
უსასრულობაში წერტილი ისმება
და ისევ გრძელდება სიცოცხლე, ახალი.

...

ჩვენი ცხოვრება წელიწადის ოთხ დროს ჩამოჰგავს,
უკვე მთავრდება გაზაფხული – ჩვენი ბავშვობა,
დარეკავს ზარი, ბოლო ზარი და სევდიანად
წერტილს დაუსვამს ანცობას ჩვენსას.

წინ უსასრულო, შეუცნობი მოგველის სივრცე,
ხელებს გვიწვდის და სიყვარულით გვიხუტებს გულში,
შევისისხლხორცებთ წინაპართა გამოცდილ სიბრძნეს
სიკეთის სანთელს, წმინდა სანთელს ავინთებთ სულში.

როგორც მცენარეს ასაზრდოებს მადლი, მიწისა,
და მზის სხივები ნორჩ ყლორტებში სითბოს ჩაუღვრის,
ჩვენ ისე გვზრდიდა თქვენი სითბო და სათნოება,
მასწავლებლებო, იდღეგრძელეთ აწ და მარადის.

მადლობა თქვენდა, ჩვენი სულის მოქანდაკენო,
თქვენ გამოძერწეთ ჩვენი სული უფორმო მასით,
თქვენს რუდუნებას დავაფასებთ, გპირდებით, გვჯერა,
გვეცოდინება, არ დავკარგოთ ღირსების ფასი.

ჩვენი ცხოვრება წელიწადის ოთხ დროს ჩამოჰგავს,
უკვე დამთავრდა გაზაფხული – ჩვენი ბავშვობა,
დარეკა ზარმა, ბოლო ზარმა და სევდიანად
დაგვტოვა ზღურბლთან ანაბარად მომავალისა.

ჩემი ქართულის მასწავლებელი

ქართული სიტყვის ხიბლი და ძალა,
ვაჟა-ფშაველას სიტყვა, ანკარა,
მთის წყაროსავით სუფთა და ცელქი
ვინ შეგვასწავლა, ვინ შეგვაყვარა?
შოთა რუსთველის სიბრძნე, დიადი,
ვინ ჩაგვითესა გულში, ვინ მოგვცა,
აკაკის აზრი, ილიას მადლი,
ჩაგვისახლა და შეგვისისხლხორცა.
ბევრჯერ ცრემლები ვღვარეთ საბაზე,
ხელჯოხიანი ელჩი, ქართლისა,
ბევრჯერ დავითის ბედზე ავტირდით:
ბედმა ცხოვრება, მძიმე, აღირსა.
ქალი შუშანიკ, მსგავსი რვალისა,
რამდენს ითმენდა ქრისტეს გულისთვის,
როგორ ეწამა, როგორ იტანჯა,
ძალა ამ ქალის ნეტა გვაღირსა.
სიტკბო, ქართული სიტყვის ლაზათი,
ქართული სიტყვის ხიბლი და ძალა,
მასწავლებელმა, მასწავლებელმა,
მასწავლებელმა ჩვენ შეგვაყვარა.

...

ჟამი საღამოს აზომებს კაბას,
გაწეწილ თმებზე აბნევს ვარსკვლავებს,
გაურითმავი რად დამრჩეს ლექსი,
ასეთი ღამე ვერ შემაკავებს.

დრო ცვლის სამყაროს და ჩემი გული
მშვენიერებას ხალისით ხვდება,
კრძალვით ჩაიკრავს მტრედებად ნანახს
და მერე უფრო ლამაზი ხდება.

მომწონს ეს ღამე, ოღონდ არ ვიცი,
რად მიყვარს, თავი რით შემაყვარა?
გავრითმე ლექსი, ლამაზმა ღამემ
ხელი ხმაურით არ შემიშლა.

სარო

ქვაბთა ხევებში წყალი გადმოსჩქეფს,
ღვთის მადლისავით სუფთა და წმინდა,
მილოცავს ანცი ნიავი დილას,
ღრმა ქარაფიდან რომ ამოფრინდა.

მოკრძალებული ჩემი გრძნობები,
ისევ მწვერვალებს მისდევენ ფრთხილად,
მე დამიმონებს მზის სიდიადე,
ჩემს სიყვარულად რომ ამობრწყინდა.

შორს, ორბის ფრთებზე ჩამოვსხი თვალნი
დასასვენებლად, ცა ნათელს შლიდა,
როგორც სილაღე და სიდიადე
სილურჯე სულში სიცოცხლეს ღვრიდა.

8 მარტი

ქალთა თვე არის, მარტია და მზის ელვარება,
ცას ახმიანებს ანგელოზთა გალობა ტკბილი,
გადაუშალეს გულები ცას ლურჯმა იებმა,
ქარმა წაიღო მშობიარე მიწის ტკივილი.

დედავ, შენა ხარ ამა ქვეყნის ანი და ჰოე,
შენით სულდგმულობს და არსებობს ქვეყნად ყოველი,
შენ სათნოების და სიკეთის ურყევი კლდე ხარ
და დედამიწაც გადარჩენას შენგან მოელის.

ყრმას რძესთან ერთად შენ მიეცი საზრდო სიკეთის,
და სიყვარული ჩაუნერგე გულში საგზალად,
კაცობრიობას გადაარჩენს მხოლოდ სიკეთე
და დედავ-ქალო, შენ ესა გძევს უდიდეს ვალად.

პეტრე ფერაძე

***

მინდა, ცოტა ხანს ვუცქირო
ამ ჩემსა საბაღნაროსა,
დრო მოვა, გამოვაკლდები,
ვით ხარი დიდსა კალოსა.

მოვა მიქაელ, ჩამიქრობს
მნათობთა – მზეს და მთვარესა,
შემამწყვრევს რკინის ღობეში,
გამომიკეტავს კარებსა.

ტყვილა ნუ სტირი, ძმობილო,
ცრემლით ნუ ივსებ თვალებსა,
სულ ყველგან ერთი წესია,
სად წახვალ, რომელ მხარესა.

***

ერთი უბრალო ქოხი მაქვს,
ღვთისაგან ნაბოძებია,
შიგ თუ რაიმე ჩხაკუნობს,
ოფლით მაქვს შენაძენია.

ქონებას არ ვეხარბები,
არც სხვისაზე მაქვს თვალია,
ვეცდები, ისე წავიდე,
სხვისი არ გამყვეს ვალია.

***

შემოვიარე მთა-ბარი,
შემომაღამდა მთებზედა.
რაც ვპოვე, სიკეთედ ვთესე
ქართული მიწის მკერდზედა.

წავალ და ნიშნად დარჩება
მოსაგონებლად ჩემზდა.
თუ კაცი კარგს ვერ აკეთებს,
გლახას ნუ სჩადის სხვებზედა.
წინაპრებს თუ არ მივბაძეთ,
ჩამოვითვლებით ხელზედა.
გავქრებით, გავნადგურდებით,
მტერი იცინებს ჩვენზედა.

***

აქა ვარ და, აბა, მე რა გავიგე?...
იქ წავალ და, შენ სთქვი, თუ რა წავიღე.
წლობით დარდი მხრებზე ტვირთად გავიდე.
ბეწვის ხიდზე ასე როგორ გავიდე?...

ჰა, სიკვდილო, მოდი, სული აიღე,
რაც გერგება, ყველაფერი წაიღე.
ჩემი ხელით გულზე ლოდი დავიდე,
ამ ცხოვრების ვერაფერი გავიგე.

რამ დაგამწუხრა?

რამ დაგამწუხრა? ნუთუ ვერ ხვდები
მარტო რომ არ ხარ?– სულ ყველა ვკვდებით.
ესე ქვეყანა ასე მოსულა და ასეც მიდის.
წამო, იქ მომყე, ვინც ღვინოს ყიდის.
იმან გაყიდოს, ჩვენ კი დავლიოთ;
წუთისოფელი ისედაც მიდის.

***

შენ, ჩემო კარის ვენახო,
რარიგად მოგიწყენია,
გცემენ და გაძაბუნებენ,
ცრემლი არ ჩამოგდენია.

ჩემო ობოლო ვენახო,
მტრისაგან ანაოხრებო,
არ ვიცი, როგორ გიშველო,
ანდა რა წამლით მოგხედო.

ნაჩეხ-ნაწამებ ბებერ ტანს
ვეღარ გიფარავს ფოთლები,
ეგება მოგამჯობინო,
თორემ უშენოდ მოვკვდები.

ქართველი კაცის იმედო,
შენს ფესვებს შემოვევლები.
სიკვდილის მერეც მინდიხარ,
რომ დამაღვარო ცრემლები.

***

როგორც წიქარას ზღაპარში,
ცხრა კარი გამოვამტვრიეთ,
ბავშვებს ვატყუებთ, ვითომდა
სინათლეს გამოვაღწიეთ.

სად ჩაყინულა ეს ტვინი,
დღესაც ვერ გამოვაკვლიეთ.
განვლილი ზღვაში წვეთია,
ძირითადს ვერ მივაღწიეთ.

ამ უთავბოლო ცხოვრებით
ვერაფერს ვერ მივაღწიეთ
და ეს ვარდების ქვეყანა
უფსკრულში გადავამსხვრიეთ.

***

ჩოხა ჩავიცვი, შალისა,
არნახულ ავი თვალისა,
მერმე სურვილი გამიჩნდა:
ნახვა, ნანატრი ქალისა.

ავდექ და გზას გავუდექი,
საღამოს პირას, მთვარისას.
გზად საფიქრალი ის მქონდა –
ნახვა, ლამაზი ქალისა.

არსად არ შევჩერებულვარ,
არც არა ვკითხე არვისა.
სულ ახლოს მეგულვებოდა
სახე, სასურველ ქალისა.

მიველ, ჭიშკართან შევჩერდი,
სულ რაღაც ორი წამითა,
შემომეგებნენ, მომართვეს
შავ ღვინო, თიხის ჯამითა.

დავჯექ და გავესაუბრე,
დარდი კი ვერ ვთქვი მაინცა,
ვზი და ვიგონებ იმ წუთებს,
ტკბილიც იყო და მწარეცა.

***

აქეთ ავადმყოფი წევს,
იქით კიდევ ჯანმრთელი.
ავადმყოფსა არ სძინავს,
ხელთ უპყრია სანთელი.

ალბათ, სანთლის იმედად,
სურს, გზა ჰქონდეს ნათელი,
შორს წასულა ფიქრებში,
დაიგროვა სათქმელი.

ჯანმრთელი სულ სხვას ფიქრობს –
ჰქონდეს საჭმელ-სასმელი.
იქით არ ეჩქარება,
ჯერ არ არის წამსვლელი.

***

მე ჩემს ბუხართან ვიჯდები,
ამ ჩემს უნავლო ნაღველთან,
არ გავაციებ თბილ კერას,
გულში ვინახავ ნაღვერდალს.

მე აქ ვიქნები კაი ხანს,
მტრის გულის გასახეთქადა.
ამ წუთისოფლის ბინდ-ბუნდში
ღამეს გავათევ თეთრადა.

მე ჩემს ბუხართან ვიქნები
ჩამომჯდარ-ჩაფიქრებული.
ღმერთო, რამდენი მტერი გვყავს
ისევ ჩვენგნითვე ქებული!..

რამდენი დაიარება
დამშეულ-გაჭირვებული...
ვისაც რომ ხსნა შეუძლია,
სწორედ იმას აქვს ქვის გული.

მე ჩემს ბუხართან ვიჯდები,
სანამ თავი მაქვს მხრებზედა,
ამ ჩემს ტკბილ-მწარე მიწა-წყალს
არ გავცვლი სამოთხეზედა.

მე კიდევ დიდხანს ვიქნები
ჩემი სამშობლოს ვალებით.
შვილს არ დავუტოვ, გადვიხდი
და მშვიდად მივიცვალები.

ოღონდაც ნეტა, მანამდე
ეს გულის ჯავრიც მეყარა –
ისევ მხნედ ვნახო მტერ-მოყვრით
ნაჯიჯგნი ჩემი ქვეყანა.

ჩემი სოფელი

ეს სოფელი იმ სოფელსა ყოველთვის მირჩევნია.
აქ ფრთებს უფრო ლაღადა ვშლი, იმიტომ რომ ჩემია.

აქეთ გზები აღმართია, იქით - ვაკე შენია.
ეს აღმართი მირჩევნია, იმიტომ რომ ჩემია.

ჩვენს მთას გლერძი შეჰფენია, შენს მთას ვარდი ჰფენია.
გლერძის ცქერა მსიამოვნებს, იმიტომ რომ ჩემია.

აქეთ ხილი ნაკლებია, იქით კიდევ, ბევრია.
მე ეს ცოტა მირჩევნია, იმიტომ რომ ჩემია.

წამოვწვები კაკლის ჩრდილში, შენს დაფნას მირჩევნია.
ეს კაკლის ხე მეტად მიყვარს, იმიტომ რომ ჩემია.

წინაპრების მიწური მაქვს, შენს ოდას მირჩევნია.
ეს მიწური მეტად მიყვარს, იმიტომ რომ ჩემია.

თუ საერთოდ გადავხედავთ, შენია თუ ჩემია –
გასაყოფი ჩვენ არა გვაქვს, ყველაფერი ჩვენია.

***

ჰანგი თუ ლექსის სტრიქონი, საბძელში იძებნებოდა,
სიდანაც გლეხი, გოდრითა, ქერის ბზეს ეზიდებოდა.
აჭმევდა წითელ ხარებსა, მათთვის არ ენანებოდა,
იყო კეთილი გულისა, ღარიბი ებრალებოდა.

თავისი საქმე იცოდა, სხვას არას ეკითხებოდა,
უყვარდა დედულ-მამული, სხვისას არ ეკარებოდა.
სჭამდა ალალსა ნაოფლარს, შიში არ ეპარებოდა,
უზრდიდა მამულს ვაჟკაცებს, მტერი არ მოსძალებოდა.

მის ვაზის ნაფესვარზედა ჭანგა ვერ გავრცელდებოდა,
მტერს ვაჟკაცურად ხვდებოდა, ლაჩრულად არა კვდებოდა,
თუმც დიდი ჯაფა კი ადგა, ერთი ათს უმკლავდებოდა,
ვერ აშინებდა მტრის ურდო, მაინც გმირულად კვდებოდა.

ქართველი კაცის სახელი კიდით კიდემდე სწვდებოდა,
თუნდ გულით, თუნდა მარჯვენით, მტერი ვერ შეედრებოდა.
უყვარდა თავის მამული, სხვისში არ შეიჭრებოდა,
სწამდა, რომ სიტყვა ქართული არასდროს წაიშლებოდა.

***

საერთოდ, კაცნი, ალალნი,
ზეზეურ ჩამოხმებიან,
ციცაბოს ჩაკიდებულნი,
ხმელ ბალახს ეჭიდებიან.

მოკვდება, გააღმერთებენ,
იმქვეყნად გამეფდებიან.
შემოუვლიან გარშემო,
სუყველა გაოცდებიან.

ცოცხალსა პატივს არ სცემენ,
მკვდარნი კი ებრალებიან.
თუ რა მემკვიდრეს კარგავენ
ძალიან გვიან ხვდებიან.

ერთი მეორის ქიშპობით
ბუზივით ამოწყდებიან
და იმათ ლამაზ მთა-ბარში
ყვავ-ყორან გამეფდებიან.

ჩამოუვლიან ფერხულსა,
სულ ყველგან ჩამოსხდებიან.
მერე შესვამენ შავ ღვინოს,
კარგადაც გამოძღებიან.

„ჰარალოს" ნაცვლად უგვანსა
ბაიათს მოგიყვებიან.
მერე იძახე: „გმირები
არასდროს არა კვდებიან."

მხოლოდ ეს, ჩვენნაირები,
მუზეუმს იძებნებიან.

***

ბედო, ბრმავ და მახინჯო,
საიდან ჩამოიარე?
ამდენ კარს ზურგი აქციე,
რაღა მე დამაიარე?

სითაც წაველ და წამოველ,
წინიდან შემომიარე.
ყველგან გლოვის ზარს შემოჰკარ,
ლხინი არ გამიზიარე.

ბევრჯერ გაგექეც, ვილხინე,
ცოტა ხანს დავიგრიალე.
იქაც მოხველ და მომნახე,
იქაც არ დაიგვიანე.

რად ამომიღე მიზანში,
ასე რად გამატიალე?
ჯერ ხომ მშობლები წამართვი,
მემრეც მთლად გამანიავე.

დღემდე ეგ შენი ბორბალი
ჩემს თავს უკუღმა ტრიალებს.
მადლობა კიდევ, მაღალ ღმერთს,
შვილნი არ დამიზიანე.

ერთსა გთხოვ, ცოტა მადროვე
და გვიან გამომიარე.
სიბერეს მაინც მაკმარე
ამ წუთისოფლის სიავე.

***

სიზმრად ნანახო ბალახო,
წამლობა იცი კარგიო.
აგერა, ვიღაც საბრალოს
კიბომ მოჰკიდა ბარგიო.

ღვთის მადლით, სიზმრად ნანახი
შემომხვდი მთებში, ცხადიო.
წამლად დაედე უძლურსა,
მოიღე მისი მადლიო.

რევაზ ზუმბაძე

ადამიანი

ადამიანში არის ტირანი
და ცრემლიანი ქრისტეს წამება,
არის სიცოცხლე, წამით მყვირალი,
არის მუდმივი გარდაცვალება!

ადამიანში არის სიმღერა,
არის ჩხავილი, ყვავი, ყორანი,
ცოდვის მდინარე არის იმხელა,
ვერ გადაივლის მჩატედ ბორანი!

ადამიანში არის მხატვარი,
არის მწერალი, არის მხედარი,
და ზოგჯერ არის სული, დამპალი,
ზოგჯერ ცოცხალი, უფრო ცხედარი!

ადამიანში არის წარსული
არის ტკივილიც, რომ იუარა,
არის ფიქრებიც, ვადაგასული,
დრომ რომ ქვასავით გადაუარა!

არის ძაფები, თმენის სიმები
და მრისხანება არის, შავფერი,
არის სურნელი, ვარდი, იები
და სიყვარული, გულით ნაფერი!

ადამიანი ზოგჯერ მხეცია,
ზოგჯერ ლომია, ფაფარიანი,
ზოგჯერ მის სულში ჯოჯოხეთია,
ზოგჯერ არც კაცობს ადამიანი!

ადამიანში არის გმირობა,
ზოგჯერ სიბრაზე, სამართლიანი,
არის უწყვეტი დედა-შვილობა
და კაცი არის ადამიანი!

* * *

არაფერი. ყველაფერი გამოვა
ყველაფერი, ძმაო, მაინც ნუ გინდა!
ვიღაც წავა, მერე ვიღაც სხვა მოვა,
ააშენე, დაახვედრე თუ გინდა,

თუ არა და, მომხვეჭელი ვინც იყო,
ყველაფერში არაფერი არ დარჩა,
თუ ნათესი, ალესილი ხმლით იყო,
მაინც თესლი მშვიდობისთვის გადარჩა!

არაფერი. ყველაფერი იქნება,
რაც რამ შენი ნაბიჯებით გივლია,
კაცის ხელით სასწაულიც იქმნება,
ნანგრევებიც, სამწუხაროდ, ხშირია!

* * *

გუშინ სიზმარში რა ვნახე იცი?
სულ ლურჯი კაბა და ყელზე – მძივი,
ბალახს არღვევდა პატარა კვიცი,
ეფინებოდა გარშემოს სხივი.

ხორბლის ყანებში დარბოდა ძაღლი,
იმალებოდა გულჩქარი მწყერი,
და იქვე, ახლოს, პატარა სახლი,
და იქვე, ახლოს, ადგილი – ჩვენი.

მდინარის ამბებს უსმენდა ჩიტი,
შაშვი გალობდა, წყალობდა ღმერთი,
ჩამოწვებოდა სანამდის ბინდი,
შენ მე მხატავდი, მე კი შენ გწერდი.

მერე კი ღამის ულევი სევდა,
მერე კი მთვარის სამზეო ნოტი,
შენ როცა სიო წელზე ხელს გხვევდა
მე თითქოს მაშინ ქარივით ვქროდი.

უკრავდა სადღაც, სამყაროს ჰანგი,
ყვიროდა რაღაც სამყაროს ხმებით;
...და მაღლა ცაში ვარსკვლავთა ქარგი
ერთს რომ კარგავდა, ქარგავდა სხვებით.

იბადებოდა ახალი სხივი,
ღვთის უკეთესი რა არის აბა?
ყელზე გეკეთა სიზმარში მძივი,
პირველად გეცვა შენ ლურჯი კაბა!

* * *

ვეცადე ერთხელ, გავთალე ხე და
პატარა ნავით შევცურე ზღვაში,
თან წავიყოლე მე საგზლად სევდა,
უკან ცხოვრება, წინ – თეთრი თმაში.

ანკესი ერთი, პატარა დოქი,
ბარძიმის ღვინო, ხმიადი პური,
ჩავთვალე, თითქოს მიწაზე მოვკვდი,
არ დამწყვეტია ამაზე გული.

აზვირთდა ტალღა, აბრუნა ნავი,
შიში მოვიდა, ჩემ გვერდით დაჯდა,
მითხრა მან: – გინდა გაწირო თავი?
მითხარ, მიწაზე არავინ გყავდა?!

სად გაიქეცი? – ზღვაც, მიწის შვილი,
განა უმიწოდ ზღვას სად აქვს ძალა,
უკან იბრუნე შენ, ძმაო, პირი
და იქეც მიწად, ღმერთმა რაც ბრძანა.

მერე კი ზღვაში სიმშვიდე დადგა,
მზემ პირის ბანვით განდევნა წვიმა,
მაგრამ საგულეს გული ვერ ჩადგა,
უკან მაბრუნა ნიავმა გრილმა.

მიწაზე ფეხი და კაცი, გლეხი,
ხარი გუთანი, ნაჟური ვაზი,
ცხოვრებისათვის – ათასი ხერხი,
სიტყვები თბილი, საოცრად ნაზი.

* * *

ვიმღერებდი, დავუკრავდი გიტარას,
როიალზე ყვითელ ფოთლებს გავფენდი.
„იავნანას" ვასწავლიდი პატარას
და „ჩაკრულოს" კოსმოსს გადავაფრენდი.

ვაშენებდი სვეტიცხოვლის კიდეებს,
ტაო-კლარჯეთს სალოცავად გავხდიდი,
ავივლიდი კაცხის სვეტის კიბეებს,
ვარძიის ქვებს სიბერემდე გავთლიდი.

ვიქნებოდი მე ილიას მეეტლე
და ის სიტყვა, მკვლელებს ბოლოს რომ
უთხრა.
ვიქნებოდი ცხრა ძმას შორის მეექვსე,
ან სამასში, არაგველთ რომ მოუკვდა.

ვიქნებოდი მე აკაკის აკვანი
ან ონისე, ქალის ეშხით წამხდარი.
რუსთაველის ყველა სიტყვა, ნათქვამი,
თექვსმეტი წლის უკვე მეფედ გამხდარი.

ვიქნებოდი უქარქაშო მახვილი,
სისხლი, ყველა შეწირული სხეულის.
ვიქნებოდი ზუსტად ცხრაში აპრილი,
შემჩვეველი, უკვე გადაჩვეულის.

ვიქნებოდი, ქართლის მძიმე ცხოვრება
და კახეთის გადამწვარი ვაზები.
ვიქნებოდი, რაც რამ მოგვეპოვება
საფლავებზე ამოსული ვარდები.

თუნდაც ფრჩხილი, წინაპართა ღაღადის,
პერსონაჟი, თუნდაც რამე ზღაპრულის.
ვიქნებოდი მე ნაგლეჯი, ქაღალდის
თუნდ ერთ ასოდ მორჩენილი ქართულის.

მზე რომ ამოვა

მზე რომ ამოვა, ღამე მთავრდება,
ბნელს გასაფანტად სდევენ სხივები,
ჩრდილები მერე გაიფანტება,
ქურქს გაიხდიან შემოსილები.

ქარი რომ წავა, სიოს დრო მოვა,
ქარიშხალს დარში რა ესაქმება?!
... და სევდის მერე ღიმილის დროა,
მაგრამ ღიმილსაც დაუზამთრდება.

წვიმა რომ წავა, სველ მიწას წვეთი
ისე ტოვებს, რომ არაფერს ითხოვს.
მერე კი ზეცის სულ ყველა ღმერთი
მრისხანე სიტყვას გამოთქვამს თითქოს.

დარდი რომ წავა, ბედნიერ დღეებს
ჩარჩოში ჩასვამ და იტყვი მერე,
რომ შენ გატეხავ მრისხანე კლდეებს
და ეს პირველად მე დაგიწერე!

მზე რომ ამოვა, ღამე მთავრდება,
ბნელს გასაფანტად სდევე სხივები,
ჩრდილები მერე გაიფანტება,
ქურქს გაიხდიან შემოსილები.

* * *

დღეს ძნელია უკვე ყოფა
დღეს ძნელია ბევრად გზები,
მოთმინება არ გეყოფა,
სუფთა მაინც გაისვრები.

დღეს ძნელია სიტყვა მარტო,
გათენება – ყველა ღამის.
დრო მეგობრად გაიხადო?
ბოლოს მაინც მტერი არის!

დღეს ძნელია ომი „თავთან“,
ომი ღმერთთან უფრო არის,
დაჩოქილი თუ ხარ ჯვართან,
ზედ გაგაკრან შენაც ლამის.

დღეს ძნელია მარტო ყოფნა,
სხვასთან ყოფნაც ძნელი არის,
შეგვიძლია განა ცოდნა
და მიხვედრა სწორი მხარის?

ძნელი არის ჩოქვა ჯვართან,
სიყვარული მზის და მთვარის,
დღეს ძნელია ომი "თავთან"
ომი ღმერთთან უფრო არის!

თურმე ყველა თეთრს საკუთარი შავი ატყვია

აღსარებაზე მივაკითხე ერთხელ მამაოს,
თუმც არ ციოდა, მაგრამ თოვდა იმ დღეს ცოტ-ცოტა.
გულში დამალულ თავმართლების აზრებს, ამაოს
როგორც დაღლილ გულს, ბაგაბუგი ისე გაჰქონდა.

მე არც მარხული და არც აზრში „წმინდის მისხალი“,
ცოდვილთა შორის, უფრო მეტი ცოდვა მომესხა!
ჩემ უკან მდგომი „წმინდანები“, რომ შევიცანი,
თავი ავწიე, სიამაყით გულზე მომეშვა!

რა უნდა მეთქვა, იმნაირი ცოდვა რა მქონდა?!
იმათთან უფრო „უცოდველი კრავი ვიყავი“!
წუთისოფელი თითქოს ისე სუფთად გამქონდა,
სირცხვილი იყო, რომ ცოდვებში გავსვრილიყავი.

როცა შევედი, თავნებობით, როგორც ამაყი,
ცოდვებს მოვასხი სამოსელი, „ვითომც აქ არა“!
თურმე წინ მქონდა სირცხვილები გადასალახი
და სიამაყემ სამუდამოდ თავი დახარა!

თურმე ყველა თეთრს საკუთარი შავი ატყვია,
თურმე ისა ხარ, რაც ფიქრებში სხვანნი გგონია!
თურმე წმინდანნიც უცოდველად ვერსად დაჰქრიან,
თურმე რამდენი, „უცოდველი“ ცოდვა გვქონია!

* * *

ჯერ ისევ ეცვა პერანგი ზეცას,
მთვარით მოსილი, შავი ჩრდილები.
არ აპირებდა უფალი შეცვლას,
მაგრამ ცას ცვლიდნენ შეცოდვილები.

წვიმდა, ხან მზე... ... და ზაფხულის მერე
ყვითელ ფოთლებად ხეები ფერდა.
იყინებოდა პატარა ღელე,
ყვითელ ფერს ზამთრის სითეთრე რევდა.

ბუხარის ცეცხლში, ზღაპარი სჩანდა,
თოვლის ქურქს ირმის ნახტომი ხევდა
და თოვლის დნობა სასწაულს ჰგავდა,
რომელიც მასში სიცოცხლეს ტევდა.

ჯერ ისევ ეცვა პერანგი ზეცას,
ყვითელ ფოთლებად ხეები ფერდა,
არ აპირებდა უფალი შეცვლას,
ადამიანი ცვლიდა და რევდა!

მელოდებოდა ტროტუარზე ორი მურია

მელოდებოდა ტროტუარზე ორი მურია,
ერთი – სამფეხა, მეორე კი ძლიერ ბებერი.
მერე დავფიქრდი, უპატრონო რა უძლურია,
სულ მთლად გაქრება „პატრონობა თუ ვერ შეძელი“.

ქუჩის ბილიკზე უამრავი რამის სუნია,
არყის ოხშივარს ვეღარ გრძნობენ მხოლოდ ლოთები.
მესმის, სიფხიზლე დროებაში, როგორ რთულია
მაგრამ არ მესმის რატომ ყრია გზაზე ბოთლები?!

ვერც ის გავიგე, რატომ ბილწობს ქერა გოგონა,
ანდა წითელზე რატომ უნდათ ხოლმე „პიპინი“,
რა საჭიროა გმირობების შენზე მოყოლა?
და რატომ არის სიმართლის თქმა თურმე ტლიკინი!

არ შეიძლება ასე, ძმაო, ვქნათ, რაც კარგია!
განა ძმობის მეტს რას გვიტოვებს ქარი, მტვრიანი?
იცი, ამქვეყნად რამდენი რამ “დასაკარგია“
და ყველაზე მეტს, იცი, კარგავს ადამიანი!

მელოდებოდა ტროტუარზე ორი მურია
ერთი სამფეხა, მეორე კი ძლიერ ბებერი.
მერე დავფიქრდი, უპატრონო რა უძლურია,
სულ მთლად გაქრება „პატრონობა თუ ვერ შეძელი“.

* * *

მესხი ვარ, შოთას რუსთაველიდან,
ზარზმის კედლებში მლოცველი ბერი
და ვით აღმდგარი სარეცელიდან,
მე ლაზარე ვარ, სიკვდილის მტერი!

ფარეზის ძე ვარ, ღმერთმანი, მე ვარ,
საფარის კედლებს ვაფარე ხელი,
ბექა ვარ, სარგის ჯაყელის ძე ვარ,
თვითონ სარგისის ბერული წვერი!

მე ანდრია ვარ, ქრისტეს გზით მოველ,
მე ის ჯვარი ვარ, ქრისტეს გზის მხილველ,
ხელთუქმნელ ხატის მლოცველი ყოველ,
ეპისკოპოსი, აწყურის, პირველ!

მე წმინდა ნინოს კვალი ვარ, ფეხის,
მისი ნაწნავით ნაკონი ვაზი,
გავარდნილი ვარ, ვით როგორც მეხი,
ურჯულოთ ხმლისგან ნატოვი ბრაზი!

მე „ახდილა” ვარ, სოფელი – მთაზე,
გადარჩენილი ცოლ–ქმარი – მე ვარ,
მე ვარძია ვარ, თმარის მკლავზე
მესხის ნათალი უნგრევი კლდე ვარ!

მე ის ტაო ვარ, მაჰმადის ხელში,
მე იშხანი ვარ, გუმბათი მტკივა,
წმინდა გიორგის “საჭე” ვარ ზველში,
და გზა, რომელიც ხანძთამდე მივა!

არტაანი ვარ, ჭანეთი, თორი,
ჭოროხის აუზს გამცდარი ლაზი,
დიაოხი ვარ მე, მესხთა ტომი
და მეომარი, სპერელი ვაჟი!

მესხი ვარ, შოთას რუსთაველიდან,
ზარზმის კედლებში მლოცველი ბერი
და ვით აღმდგარი სარეცელიდან,
მე ლაზარე ვარ, სიკვდილის მტერი!

საქართველო

გუშინდელივით მახსოვს მერანი,
თვალბედით ყორნებს ეომებოდა.
მახსოვს მტირალი, ვინმე მწერალი,
ღმერთის ცრემლს ჰგავდა, გეგონებოდა.

მახსოვს, აღმზრდელი, ძმობის ფიცობა,
ტყვიის გასროლაც მახსოვს, ფლიდური,
მე, თინათინის, მახსოვს მზისობა,
ქაჯეთის ციხის, მახსოვს კლიტური.

მე მახსოვს ქართლი, მახსოვს სვანეთი,
სამასი ვაჟის მახსოვს სიკვდილი.
მახსოვს დედული, მახსოვს მამეთი,
ილიას მკვლელი, ჩვენი სირცხვილი!

მახსოვს მეტეხის ასიათასი,
ხატებზე, ფეხიც მახსოვს, დადგმული.
მახსოვს მეფენი, ქვეყნის კალთაში
მახსოვს მეფენი, ძელზედ გასმულნი.

მახსოვს იორი, მტკვარი, ენგური,
თერგდალეული, მახსოვს თობა.
მახსოვს, ტაძარში მეფედ შესული
და გამოსული არარაობა!

მახსოვს მინდია, ომში დაცდილი,
ბალახისა და ხეთა შვილობა.
მახსოვს „ანთქვრივი“, ხელებგაშლილი,
და განდეგილის განდეგილობა!

მახსოვს ზამთარი, გუდამაყარი,
შვილის მკველობა მახსოვს „მამური“.
მახსოვს, მტერ-მოყვრის გზაგასაყარი
და გაყიდული ჩემი მამული.

მახსოვს მარჯვენა, სვეტიცხოველი,
ვარძია მახსოვს, მეფე - თამარი.
მე ამირანი მახსოვს „ცხოველი“
და კავკასიის ჯაჭვის ქამარი“.

მახსოვს „ლალე” და თავი - მოჭრილი,
ცა - მოწმენდილი, მამა - მტირალი.
მახსოვს დავითი, სხეულმოსვრილი
დედისიმედი - სახემცინარი.

მახსოვს პერანგი, შემორღვეული,
ისარი მახსოვს ისევ ქართველის.
მე კარი მახსოვს, შემონგრეული,
ჩაქრობა მახსოვს ტაძრის სანთელის.

მახსოვს ნაჟური, ღვინის ცრემლები,
მედეას ქორწილს მახსოვს ლხინობა.
მე, იაზონის, მახსოვს გემები,
არტაგის, მახსოვს, რომში გმირობა!

მახსოვს ხახულის დიდი გუმბათი
და დოლისყანა, იმერხევისა.
მახსოვს ხანძთელი, მეფე სუმბატი,
სვანეთში -კვალი, დიდი დევისა.

მახსოვს თეთრწვერა მწყემსი, ჯავახი,
შიშველფეხება, მახსოვს, ქალწული.
მახსოვს ნასროლი შავი ტალახი
და ღმერთის სახლი, იქ აღმართული.

მახსოვს იმერხევს ბევრი ტაძარი,
ინგილოს, მახსოვს, ლოცვა - ბერული,
მახსოვს საყდრებში ხშირი ხანძარი,
ურჯულოთა ხმა შემოჩვეული.

მახსოვს დიდგორი, მახსოვს შამქორი,
მახსოვს ასპინძის გული, მთლიანი.
მახსოვს დაგვსდევდნენ ჩვენი „ჩამქოლნი“,
მაგრამ ღმერთია სამართლიანი!

...და ახლა ლოცვას ვამბობთ ქართულად,
ქართული გენი მათ ვერ დამალეს.
...და ახლა ქრისტეს ვყავართ ნათლულად
და ვთესავთ ძირძველ ქართულ სავანეს.

ღმერთების ომობანა

როცა დამშეული ზეცას შევყურებ,
ღმერთის ანაბარა,
ცარიელ სივრცეს, ვარსკვლავების,
იპყრობენ ქალაქები.
არ მახსოვს თავად ღმერთმა
რამე თუ დამაბარა
და ვცდილობ გავიხსენო
სანამ ქარაფში ჩავვარდები.

დრო მიდის, ზღვა რჩება, წვეთები ბატონობენ,
გემი კი მშვიდ ზღვაშიც რატომღაც იძირება.
სხეულებს, წესია, სულები პატრონობენ
სხეული, უბრალოდ, ნაპირზე იფინება.

მჩვევია, ფიქრებში დღეების გატარება
და როგორც ყალიონი,
ძველ განცდებს გავაბოლებ,
რად გინდა, ჩემო ძმაო, რად გინდა ანგარება?!
საფლავში ვერავის ვერაფერს ჩააყოლებ.

უბრალოდ ოთხ ფიცარს გაიდებს მეგობარი,
წლები კი ბოლო გზის აღმართებს გაგატარებს.
რაც გინდა ის გერქვას, ფლიდი ან მეომარი,
ცოდვებზე ხელს, ძმაო, ვერავინ დაგაფარებს!

დროის სვლა ჩვეული, მიწური პროცესია,
ღმერთების ომობანა, კაცების სიკვდილია
და ახლა უზნეო ღმერთებიც მოგვესია
და რა ვქნათ,
უღმერთოდ ცხოვრებაც სირცხვილია!

სადღაც კი მდუმარედ ბერები ლოცულობენ,
სადღაც კი ცოდვებში გომორი იძირება.
წესია დედანი, დედანნი ორსულობენ,
მამათა საქმეები, ომებში იხილება!

წესია, სამართალი ერთია ქვეყანაზე,
ღვთიური სამართალი, უხილავ მახვილისა,
რაცა ხარ, ისა ხარ, რაც უნდა შელამაზდე,
ნაყოფ ხარ ცოდვისა, წამებად განცდილისა!

ვისია დედამიწა? – ყველასი ყველასია!
ადამ და ევასია, სისხლისფრად წამებული;
... და ასე დამშეული ცამ ფიქრებს შემაჩვია;
... და ასე უსახლკაროს კარი მაქვს გაღებული.

... და ვიღაც მათხოვრები,
ჩემსავით ხელგაწვდილი,
ხურდების რაკარუკით ოცნებებს იშენებენ.
წარსულს კი მომავალის
მელანით გადაშლილი
უღმრთოდ დარჩენილი კაცები იხსენებენ!

რა გქვია? რა გვარი ხარ? ვინაა მამაშენი?
სადაა შენი ტომის პირველი საძირკველი?
თუ გწამდა, გიყვარდა,
მაშ, რაღად გადაშენდი,
მაშ, რაღად შეიცვალე,
მაშ, რაღად გაირყვენი?

პირველი ბოლოა და ხან ბოლო პირველია
და ზოგჯერ მორბენალი, დიახაც, ხეიბარი.
და, ძმაო, იცოდე, ბრმა მეტის მხილველია
და სადაც სიბნელეა, საჭირო მზე იქარის!

დროის სვლა ჩვეული მიწური პროცესია,
ღმერთების ომობანა, კაცების სიკვდილია
და ახლა უზნეო ღმერთებიც მოგვესია
და რა ვქნათ,
უღმერთოდ ცხოვრებაც სირცხვილია!

ნუ მომჭრი მარჯვენას

ნუ მომჭრი მარჯვენას, მინდა რომ ვაშენო,
ილიას ნუ მოკლავ „სიტყვები“ მჭირდება!
ნუ დახევ ფიროსმანს, მინდა, რომ გაჩვენო
ნახატში ძველ თბილისს როგორ აქვს დიდება.

თამარის საფლავსაც ნუ ეძებ, არ გინდა,
მიზეზი დამმალავს, ყოველთვის ქონია,
ნუ მაგდებ, სამშობლოვ, დამტოვე, აქ მინდა,
ჩემს სხვაგან ცხოვრებას აზრი აქვს, გგონია?

ნუ ესვრი შვლის ნუკრს და ნუ თელავ ბალახებს,
ცხოველის გესმოდეს, არ არის გიჟობა!
ნუ უშენ ზღვის ნაპირს ნაგავს და ტალახებს,
აქ შედგა გრძნეული მედეას ნიშნობა.

აქ ქრისტემ დაფერთხა წყალობის კალთები
ღვთისმშობელს აჩუქა ეს მთა და ველები,
აქ ღვინოს დაისხამ, აბა, რა, დათვრები,
„მიდი და ფხიზელი ეშმაკებს შეები“!

ნუ ანგრევ ტაძრებს და ნუ ესვრი სიმართლეს,
სიმართლეს სჩვევია ჰაერში ასხლეტა,
ნანგრევი ტაძარიც სულს აძლევს სინათლეს,
ნაცხრილი სიმართლე კი მაინც გამთელდა!

ნუ განსჯი მოსილს და ნურც შიშველ “მათხოვარს“,
რა იცი, რა გელის, ხვალე ხომ ხვალეა...
ქართველო, რომ გიგებს უფალი სათხოვარს,
იმიტომ დღე დღეა, ღამე კი ღამეა!

ნუ განსჯი ღვთისმსახურ, შავმოსილ წვერიანს,
ოქროს ჯვარს, ურწმუნოვ, მადლი ხომ არა აქვს?
შეეშვი, ნუ ცდილობ, დასცინო შენიანს,
სულით მკვდარს, იცოდე, ქონებად ჩალა აქვს!

ნუ მომჭრი მარჯვენას, მინდა, რომ ვაშენო!
ნურც რწმენას წამართმევ, თან აზრი არა აქვს,
ვინცა ხარ, რაცა ხარ, ის უნდა აჩვენო,
სულით მკვდარს, იცოდე, ცხოვრებად ჩალა აქვს.

ციცო მაისურაძე – პოეტი.

მიწის დუდუნი

ამ საცალფეხო ბილიკებს
ეს მერამდენედ მივყვები,
ჩამესმის შენი ჩუმი ხმა,
ისევ რაღაცას მიყვები.
ლებისი, დარნები დუმს,
სიცოცხლის, ჩამკვდარა კერა,
წაშლილა დარდი, ოცნება,
დროში დაკარგულა ყველა.
ცას აწვდილ სტელას მზე ათბობს,
მუხლებზე მორთხმულან ბანები,
ჩამწვარ კანდელში, სანთელის,
დროს დაუკარგავს ამნთებნი.
ვაიოს ველებზე ქარია,
დუმილით ჩაესვენა მზე,
სიბნელემ ტახტი დაიდო,
უაზროდ დაიკარგა დღე.
აქ ხმაა, დუდუნი მიწის,
უკუნი ყველაფერს იპყრობს.
იქნება სათქმელი დარჩა,
იქნებ მტერია და გვიხმობს.

რა დააოკებს

ხმაურს, ამ ქაოსს,
მთის და ბარისას,
ფიქრსა და ტკივილს
რა დააოკებს?
აჭრილა ზეცას,
რისხვა, სისხლისა,
უდარდელობა
არვის აოცებს.
ბორგავს გუგუნი,
დროის განგების,
ყოფიერებამ
ყოფა მოირგო.
ლაგამაყრილა
ზნე, დაცემული,
კაცთა ღირსება
ფეხქვეშ მოიგდო.
რა დააოკებს
ხმაურს, ამ ქაოსს,
მთის და ბარისას,
ფიქრსა და ტკივილს,
რა დააოკებს?
აჭრილა ზეცას,
რისხვა, სისხლისა,
უდარდელობა
არვის აოცებს.
ბორგავს გუგუნი,
დროის, განგების,
ყოფიერებამ
ყოფა მოირგო.
ლაგამაყრილა,
ზნე, დაცემული,
კაცთა ღირსება
ფეხქვეშ მოიგდო.

იქნებ

ეხლა სიყვარულით დამიარა,
შენი მონატრების ჟრუანტელმა,
ალბათ ელიაზე ნისლი დაწვა,
ტყემ თეთრი ნაბადი გაიშალა.
მტკვარზე მოცურავე თოვლ-ყინული,
იქნებ ყინვისაგან დაიბზარა,
ასკილთან ამოსული გულყვითელა
წელში გასწორდა და გაიშალა.
კაკლის წყაროსთან გადებული,
ხის ღარი გასკდა და დაიშალა,
იქნებ წინაპრების ნაკვალევი,
მივიწყებული, წაიშალა.
გულზე დადებული, მძიმე ლოდი,
იქნებ მიწაში ჩაიმალა,
ან, ობლად დარჩენილი ეკლესიის,
კარი სამუდამოდ ჩაირაზა.
ეხლა ჟრუანტელად დამიარა,
შენი სიყვარულის მონატრებამ,
ჩემი ოცნებების საფიცარმა
გულში დანასავით გაიარა.

ფუღურო

ფუღურო ადიდებულა,
ოხრავს მთები და ბარი,
მოდის, მოაპობს ნაპირებს,
თითქოს აწვალებს ჯავრი.
ქვების ხრიალით, ჭახანით,
მოარღვევს თავის კალთებს,
გაცოფებული, ღმუილით,
ვეღარ იოკებს დარდებს.
ჭალას, ვერხვებს და ტირიფებს
ჩამოულოკა კალთა,
ტყემალს საკინძე შეუხსნა,
კუნელს წაგლიჯა ბაფთა.
ფუღურო მოდის, მოღელავს,
გაავებული ძალით,
ვჩურჩულებ, ღმერთო, დალოცე,
მამული, შენი მადლით.

წუნდის ზარები

მტკვარზე ხიდი აქანავდა,
ბონდის ხიდი, კონწიალა,
წუნდას ზარებმა ჩამოჰკრეს,
ცას აიჭრა ხმა, წკრიალა,
ლაჟვარდ ზეცას მზე სხივებით
ზედა თმოგვში დაეკიდა,
ბერთა ყანას ყორღანებზე
ქორი ისევ მართვეს ზრდიდა.
ცივი ჩქერი, ალპებისა,
მიგრილებდა გულის ფიცარს,
მე სანთელად ვიწვებოდი,
ვეღვრებოდი, მშობელ მიწას.

ღამის სამოსი

ამ მღელვარებამ ვერ გახადა
ღამეს სამოსი,
გაავებული ქარი ლოკავს
ბებერ ქარაფებს.
წარსულ აჩრდილებს მიაცილებს
დრონი ტაატით,
ემშვიდობება ცივი ცრემლით
ბაბოს არაკებს.
კვლავ მეწყერივით მოვარდნილი,
სიცოცხლის ბწკარი,
ააციმციმებს ცის წიაღში
ახალ ნათებას.
დატრიალდება სიყვარულის
ტურფა სურნელად,
ღამის სამოსი ერთიანად
განიძარცვება.

დედულეთში

იქ, დედულეთში, ალვის ხეებმა
ყვითელი ფარჩა ალბათ დაყარეს,
წითლად შემოსილ კოწახურებმა
დაიმორცხვეს და თავი დახარეს.
ათასწლოვანი კაკლის ხეები,
ნუთუ ცივ ზამთარს კვლავაც ხვდებიან,
დროის ათვლაში ეს გიგანტები
ისევ სიცოცხლის დღენით ტკბებიან.
იქნებ გაჰკივის ჭოტი, ღამისა,
მთვლემარე ღამეს ისევ აფხიზლებს,
ჩემს დედულეთში ზამთრის ღამეა,
ჩასძინებიათ ტკბილად აჩრდილებს.
დედას



რამდენჯერ ბალახი
გადახუნდა,
თოვლმა საბანი
წაგახურა,
ია სიყვარულით
გეამბორა,
ცამ ცრემლი ცვარად
დაგასხურა.
თითებით ვეფერები
გულზე მიწას,
სიკვდილმა საბნად რომ
დაგახურა.
აღარ ველოდები
შენგან „შვილოს“,
დროში შენთან ერთად
დაკარგულა.

დაისი

წამომეწია ქვიშრობს დაისი,
ფოთნარებიდან ქარმა დაჰბერა,
კაპნებზე გაწვა ჭიპჭიპა წყალი
და უმოწყალოდ ხევი გათელა.
ცაში აიჭრა ხმა, თავთუხების,
ღამის დადგომას ხარობს დაისი,
ზე წამომდგარა, მაღლით ელია,
რა წარმტაცია შენში მაისი.

გადაიქუხა

გადაიქუხა, გადასერა ელვამ ცის კალთა,
მეხდაცემული დაეჩოქა მიწა ზეციურს.
უკიდეგანოდ გადიშალა ქვათა სვეტები,
ზეცას აჭრილი ხმა შეერწყა ღამეს გოდებით.
დამშვიდებულმა დედამიწამ ჰპოვა საუფლო,
ცრემლის წვეთებმა გააგრილეს, გული,
დამწყდარი.
მოლოდინშია დედამიწა ისევ ქუხილის,
სად დავარდება ნეტავ მეხი, გზაკვალამცდარი.

საოცარ კუთხეს

მშვიდად მიცურავს
არსიანზე ღრუბელის აფრა,
ჯავახეთის ქედს
ქუხილია, ჭიდილი, ზაფრა.
ცას მიბჯენია
ხერთვისის და თმოგვის კედლები,
დაისის სხივმა
შემოხვია ველებს ხელები.
ნისლში გაეხვა
ვაიოს და დამკლის ველები,
ცრიატი დღეა,
შემოდგომის ნაზი ფერების,
გმირთა საუფლო,
მუხლმოყრილი მოგეფერები.

არსენ კარაპეტიანი – პოეტი

სიყვარულს ვფიცავ

ნეტა ვინ იყო ქვეყნად პირველი,
სოფლის ავ-კარგზე ვინც გახსნა თვალი,
ვინც ბოროტებას აუკრა ხელი,
დაჰგმო სიცრუე, იძმო მართალი.
მას შემდეგ ბევრმა გაიფრთხო ძილი,
რომ გაერჩია ცოდო და ბრალი,
რაა ბოროტი, რაა კეთილი,
რაა სიცრუე, რაა მართალი.
ბრძოლით გავიდნენ, წლები, მრავალნი,
საუკუნენი - აზრთა ჭიდილით;
... და დღესაც კიდევ, ახალი ძალით,
იმავე კითხვის, დაძრწის აჩრდილი.
რაა ბოროტი? – კაცია ისიც,
შურიანი და ავისმდომელი.
ის შეწყნარების არ არის ღირსი,
გველივით უნდა მოსწყვიტო წელი,
ბოროტებისგან ძრწოდა ქვეყანა
და ტრიალებდა ცოდო და ბრალი,
სადაც ის მძლავრობს, ლესავენ დანას,
კვნესის კეთილი და სამართალი.
ადამიანო, გაუგე დრო-ჟამს,
უნდა გაერთხას ბოროტი მიწას.
მაღლა აღმართე სიკეთის დროშა,
ძმობას, ერთობას, სიყვარულს ვფიცავ!

ჩემი სამრეკლო

მიყვარს ქვეყანა, მაღალმთიანი,
სადაც ჩანჩქერი, სადაც მდელოა.
ჩემი სამშობლო სომხეთი არის,
ჩემი სამშობლო საქართველოა.
ზოგჯერ ნისლივით მოვიხვევ ფიქრებს,
ღამის ბინდია თუ ალიონი,
მლოცველ მოგვივით ვემხობი პირქვე,
ჩემი კერპია კავკასიონი.
ჩემი სამრეკლო ყაზბეგზე რეკავს,
მასისზეც მესმის გუგუნი, მისი,
ორივეს ძახილს შიმშილით ვკენკავ,
სიტყვები მინდა - ორივეს ღირსი.
ხან თვალს მივლულავ, როგორც ქადაგი
და გალურსული ვიქცევი სმენად,
სიტყვას ვეღარ ვძრავ გამშრალი ბაგით,
დამიმუნჯდება მეტყველი ენა.
გარდასულ დროთა კოშმარებს ვხედავ,
გული მიღელავს და ტანში მზარავს,
შავებში დადის ადგილის დედა,
ოხვრა ბურად დგას მთაში თუ ბარად.
...და უცბად სიო გამაწნავს კალთას,
შევხედავ ზუჩებს, ამაყი მთების,
ჩამესმის ხალხთა გულების ძგერა
და სიხარულით ცად ავფრინდები.

ხალხის ძალა

თუ რომ მტერმა ითავხედა
და სისხლისღვრა კვლავ ინება,
დიდ სამშობლოს დასაცავად
წამოდგება გმირთა კრება.
ცის თაღიდან კიდით-კიდე
შევარდნებით შეიკვრება,
ხალხის ხელით აღმართული
დროშა ძირს არ დაიხრება.
უდაბნოში ამტყდარ სამუმს,
ზღვის გრიგალის აზვირთებას,
მძლე ქარიშხალ-ქარაშოტით,
მხეცთა რისხვას, მეხთა წყვეტას.
შხამის მთხეველ გველთა სისინს,
ზვავის ზავთით დაქანებას,
წელში გასტეხს და მოღუნავს
ხალხთა ძალა, ხალხის ნება.

მე მინდა რომ...

მე რა მინდა?... მე მინდა, რომ,
სამშვიდობო, რეკდეს ზარი,
ლივლივებდეს მთების წყარო,
ღაღადებდეს მთა და ბარი.
მე მინდა, რომ მზე ბრწყინავდეს
აქაც, იქაც, ყველგან, ყველგან,
სიყვარული არ მოთავდეს,
აღმოცენდეს ახალ ნერგად.
მე მინდა, რომ ქვეყნად არვის
წვეთი სისხლი არ სდიოდეს,
არ სციოდეს, არ სტკიოდეს,
ხვედრზე არვინ არ ჩიოდეს.
არსად ობოლს არ შიოდეს,
ცხარე ცრემლი არ სცვიოდეს,
მიწას ორთქლი ასდიოდეს,
მშრომელს სიტყვა გასდიოდეს...

მე ჯავახეთის ქარი მამღერებს

მე ჯავახეთის ქარი მამღერებს,
სარეკის მხრიდან წამოქროლილი.
ლეგა ღრუბლების ღვარი მამღერებს,
აბულის ფერდობს ამოყოლილი.
თეთრი ნისლების გედების ჯელგა,
ადრე აშლილი, ალგეთის მხრიდან.
თავფარავანის ძველი ლეგენდა,
ტურფა ქალწულის ცრემლების, წმინდა.
ტბა, ტაბაწყურის, კამკამა წყალი,
ფირუზისთვალად ჩასმული მთებში,
ურჩი კალმახის ოქროს წინწკალი,
ფერდაწმენდილი ჩანჩქერის თქეშით.
კეკლუც ფუმფულოს ყვავილნარები,
უცხოდ მორთული პატარძალივით,
გრილ გაზაფხულის უცხო დარები,
მზე – გადმომდგარი მთაზე დალივით.
მე ჯავახეთის მთვარე მამღერებს,
ღამით მზესავით განათებული.
ჩემი სამშობლო მხარე მამღერებს,
ყველა პოეტის ლექსში ქებული.
დიდი რუსთველის ლანდი მამღერებს,
მისი ლექსი და მის ქართული,
ჩემს წინაპართა დარდი მაღონებს,
ცხარე ცრემლებით მოსადაფული.
კდემამოსილი ქალი მამღერებს,
ქართლის ველებზე ოფლდანაპკური,
მთების ზურმუხტი, ლალი, მამღერებს,
იქით - გოგჩა და აქ - ტაბაწყური.
ქართულ-სომხური ჰანგი მამღერებს,
სვედათაფლული, კეთილი გულით.
მამღერებს მტკვარი, გაჭრილი ველად,
კავკასიონი - თეთრ მუზარადით,
რაც გულს ახარებს, მამღერებს ყველა
და სასიმღეროდ მიხმობს მარადის!

გულის საუნჯე

ზღვა ყოფილიყო, დავლევდი,
ფსკერს მოვნახავდი, კიდესას,
ვიტყოდი, საქმე დავიწყე
და დავამთავრე კიდევაც.
გულის საუნჯეს რა ვუყო,
რა უთვალავი მდებია.
რაც თავი მახსოვს, ვატარებ,
ჯერ ბეწვიც არ მოჰკლებია.
არ მინდა, დამრჩეს უთქმელი
არცერთი სიტყვა, ფრთიანი,
მინდა, დავცალო ეს გული
თავის საუნჯით, მთლიანით.
მაგრამ კი ვიცი, ვერ შევძლებ
ნიადაგ ღამის მთეველი,
მოვკვდები და თან გამყვება
საუნჯე, დაულეველი.

თუ ქარი არ ჰქრის

თუ ქარი არ ჰქრის, ფაფარაშლილი,
ფრთაშემართული, ამაყი ქარი,
გულისწამღები თუ დგას დუმილი
განურჩეველი, ბატონობს დარი.
არ მიხარია, ცუდი დარია,
მთაზე ნისლები დაძრწიან და სცრის.
ჩემს გულს ნამდვილად არ უხარია,
თუ ქარი არ ჰქრის, თუ ქარი არ ჰქრის!
თუ ქარი არ ჰქრის მინდორში, ველად,
თუ მის ქროლაზე ნარი თავს არ ხრის.
აბა, ვარდისთვის სადღაა შველა,
თუ ქარი არ ჰქრის, თუ ქარი არ ჰქრის!
თუ ქარი არ ჰქრის ქვეყნის მშვენებად,
გამარჩეველად, ავის და კარგის,
მყოფადის უფრო ნათელ შენებად,
თუ ქარი არ ჰქრის, თუ ქარი არ ჰქრის!...

დედის თვალები

სადაც არ ვიყო, დამდევენ შუქად,
ღამენათევი და ნაწვალები,
ყველაზე თბილი, ყველაზე ტკბილი
დედის თვალები.
ჩრდილიან ფიქრებს, ნისლიან ფიქრებს,
შემოღამებას, მზიურ ალებით
ფანტავენ უმალ, სიკეთით სავსე,
დედის თვალები.
მინახავს ქვეყნად ბევრი თვალები,
იისფერები, მაყვლის თვალები
და ყველას ჩრდილავს, შეუდარები,
დედის თვალები...
როგორ იქნება,
შხამით რად მოკვდა სოკრატე, ბრძენი,
რა დარდი ჰქონდა ისეთი ნეტა?
რად მოუსწრაფეს იბნ-სინას დღენი,
როს კაშკაშებდა დიდ ნათლის სვეტად.
რად გადიხვეწა დიდი რუსთველი?
დიდ ილიასაც ესროლეს ტყვია?
რატომ დაფერფლეს ჯორდანო, ქველი?
ვერ გამიგია, ვერ გამიგია!...
ყოველთვის, როცა ახალი ძალით
ფიქრებს ავყვები, ვკითხულობ: რისთვის?
ყურში ჩამესმის ხმა, იდუმალი:
„დიდი აზრისთვის, სიმართლის
თქმისთვის“,
... და გული მტკივა განუკურნელად,
არ ვიცი, ამას მე რა ვუწოდო,
სიბრძნეს უვიცი თუ ჰყავდა მცველად,
ვის მოეკითხოს ბრალი და ცოდო?...
წარსულს განკითხვად ბნელ შუბლზე აზის
სიმართლის დევნა, მხეცობის მჩენი,
როგორ იქნება, ჩააქრო აზრი,
როგორ იქნება მოაშთო ბრძენი?!...

კრემენჩუკიდან მოჰქროდა ცხენი

(მირიან ბატონიშვილს უკრაინიდან საქართველოში მოჰქონდა დავით გურამიშვილის „დავითიანი“)

კრემენჩუკიდან მოჰქროდა ცხენი,
ცხენი, სადავეწამოწყვეტილი,
მხედარს მკერდს ეკრა ნაღვაწი, შენი,
ტრამალებს გლეჯდა კვლავ ქარტეხილი.
ქროდა ქარივით ქერა ქურანი
და ქარს აჩენდა ქათიბ მდელოზე,
მხედარს გარს ერტყა ფიქრთა ბურანი,
ფიქრთა ბურანი, საქართველოზე.
გზებს მოჰკიოდა გულის ძახილით
და გულში გზნებით მღეროდა იგი:
„დარჩა, სამშობლოვ, სიტყვის მახვილი,
ბერი, ბულბული, ტრამალებს იქით.“
ვებხვივით ვუტევ გატყორცნილ მანძილს,
მოვდივარ, აჰა, ცხენთა თქერებით,
გულს მაკერია ძვირფასი განძი
ბრძენი დავითის ტკბილსიმღერებით,
მომაქვს საუნჯე, უკრაინიდან,
ქართული სიტყვის გვირგვინის ფოჩად,
დილის ცვარ-ნამზე კაშკაშა, წმინდა,
შოთას ფესვებზე გაზრდილი ღოჯად.
ბრძოლის რაინდი იყავ, გმირია,
და მარად ბრწყინავს დიდება, მისი,
შენც გიბრძოლია, გმირო, მირიან,
არ დაგივიწყებს ერი და თვისი.
რა იქნებოდა, რა სავალალო,
შავ ბედს რომ სადმე დაერტყა მეხი,
მტერი მჯდარიყო ან, სავალალოდ,
ცხენს რომ ქარაფზე წაერტყა ფეხი.
ეს ფიქრი ახლაც შემძრავს, ხანდახან
და ჟრუანტელი დამივლის ტანში.
მოდი, რაინდო, გიხმობ სადა ხარ,
ლამის მე, მარტო, შემოვკრა ტაში.

არ ვეთანხმები სამანის მომგონს

საქართველოდან სომხეთში მივალ
თუ სომხეთიდან საქართველოში,
მე ორივეგან მკვიდრი მაქვს ბინა,
ორივეს ვეტრფი, არცერთს არ მოვშლი.

ბავრის ხიდთან ვართ და ერთი ამბობს:
„აგერ საზღვარი საქართველოსი“,
მე კი ფიქრებით შორს მივქრი ამ დროს,
მხიბლავს ქათქათი, მწვანე მდელოსი.

ვინ დააწესა ძმათა საზღვარი,
ან აქ საზღვარი მოვნახო, როგორ?
შესტყუპებია ერთურთს მთა-ბარი,
არ ვეთანხმები სამანის მომგონს.

ჩაჰქსოვებია ფერები ფერებს,
სიოც ერთგვარად შლიგინებს ორგან,
გახედავ წარსულს, მწარედ გამღერებს,
ორივე ხალხი ერთ ნაღვლით ბორგავს.

ზვართნოცში თუ ვარ, ან ვარძიაში,
წაღკაძორში, თუ გელათს ან წუნდას,
სასიხარულოდ ფიქრებს ზეაშლილს,
ყველას ამბორი, ნავარდი უნდა.

ანზორ ხუციშვილი – პოეტი

პირველი სიყვარული

შენ როდესაც დაგინახე,
სიყვარული დავისახე.
მომეწონა შენი სახე,
შენში რაღაც კარგი ვნახე.
ქვეყნად ჩემთვის მაშინ გაჩნდი,
უჭკნობ ვარდად გულს დამაჩნდი.
დაიმონე ჩემი გული,
მარტოობით დატანჯული;
...და მეწვია, სანეტარი ,
მე პირველი სიყვარული.
გაახარე ჩემი გული,
ვით მებაღემ – თაიგული.
გაახარე ჩემი გული,
უბედობით დატანჯული.
მე გავხსენი მაშინ გული,
შევინახე სიყვარული.

***

ვიქცევი ზოგჯერ ისე,
რაც რომ სხვისაგან მძულს.
დავეძებ ახალ სიყვარულს,
ვიფორიაქებ სულს.
ვივიწყებ მწარე წარსულს,
გადამწყვეტ წუთებს, რთულს.
მოვნახავ ახალ სიყვარულს,
ამით ვიმხნევებ გულს.

***

გილოცავთ ახალ სიხარულს,
ახალი წელის დადგომას,
გისურვებთ ყველა სიკეთეს,
ყოველი ნატვრის ახდომას.
თავისუფლებას გისურვებთ,
სიკეთის დაბედებასა.
კვლავ გაეზარდოს ერისთვის
მრავალი შვილი დედასა.
ბედნიერებას გისურვებთ
და წინსვლას – ყოველ საქმეში.
აკვნების რიგი მენახოს
ყველა თქვენგანის სახლებში...

დედას

არ იდარდო, საყვარელო დედი,
რას უშველი მწუხარება-სევდით.
მნახველი ვარ რამდენიმე წლების,
არ მინახავს კმაყოფილი, ბედის.
გალოდინე, ოხ, რამდენი, დედი,
ასე იყო, ალბათ, ჩემი ბედი.
ფიქრებისგან გაგითეთრდა თმები,
გზას უყურებ და მე მელოდები.
არ იდარდო, საყვარელო დედი,
ჩემო კარგო, ამას გევედრები.
იქონიე მუდამ იმედები,
შენი შვილი მალე დავბრუნდები.

რამ დაგადარდიანა?

შენმა პირველმა ნახვამა,
ჩემ თავის დამონებამა,
შვიდჯერ მოსულმა წვიმამა,
შვიდჯერ მოსულმა გრიგალმა,
დარდების გაყოლებამა,
ღამეებისა თევამა,
გაზაფხულისა მოსვლამა,
გაფურჩქვნამ, ჯგუფთა იამა,
ფიფქისა მოსვლამ, ციდანა,
შენს უპირობო სიტყვამა.
შვიდჯერ პირს მოსულ სიტყვამა,
შვიდჯერვე ჩაბრუნებამა,
სიზმრადა ყოფნამ შენთანა,
დილით დარდების თელვამა,
ნაწილ - ქარს გაყოლებამა,
ზოგისმაც - შენახვებამა.

***

შემაშრა თვალზე ცრემლი, დაღვრილი,
ვზივარ მე, ახლა ფიქრით დაღლილი.
ღმერთო, დამფარე კალთა მანდილით
და შემისრულე გულის წადილი...
არ მქონდა ქვეყნად მე კარგი ბედი,
განვვლე ბავშობა, ოცნება, სევდით.
მეშვიდე ცაზე ასვლას ვლამობდი,
მომავლის ფრთებით და მით ვხარობდი.
ვარ ისეთივე, მე არ ვიცვლები,
მეოცნებე ვარ, მიყვარს ფიქრები,
მე, მომავალის, მაქვს იმედები,
მეშვიდე ცაზე მალე ვიქნები,
რომ არ მქონოდა შენი იმედი,
ჩაიშლებოდა გულში სიმები.
მე დამიპყრობდა სევდა და დარდი,
საკუთარ ხელით თავს მოვიკლავდი.

მამულს

მამულო, ჩემო, შენი შვილები
ჭირში თუ ლხინში ერთად ვიქნებით;
ჩვენ შენთანა ვართ მუდამ, ფიქრებით,
ყოველთვის გვერდში ამოგიდგებით.
თუ კაცს გაქვს გული, გიყვარს მამული?
შესწირე კიდეც გული და სული;
თუ გაქვს მიზანი და შენი ვალი,
მას ემსახურო, მხოლოდ ის არის.
ასპინძავ, ჩემო აკვნის ადგილო,
ცრემლით ნამულო დედის მანდილო,
იყავი მუდამ შენ სასახელო,
გამრავლებულო, ერო ქართველო!
იყო დრო, როცა ამ მთებს, ამ ველებს
რომ ეხვეოდა მტერი, დუშმანი,
ვინ არ გვესხმოდა ტანჯულ მესხელებს,
აღა-მაჰმადი თუ თურქთა სულთანი.
სამასი წელი გვედგა უღელი,
ჩეხეს ვენახი, ყურძნით მოსხმული,
მაინც არ გატყდა ჩვენი მესხელი,
დარნები იყო მათი მფარველი.
ბებერ კოჩოზე, ხმლით დანასერზე,
სამასმეერთედ გაჩნდა ყლორტები
და კვლავ გამოჩნდა ჩვენს ტერასებზე
ცისკენ მავალი მწვანე ტოტები.
ჩვენ ახლა თავზე არავინ გვესხმის,
ყოველი მხრიდან სიმღერა გვესმის.
მთას უბრუნდება შვილები, მთების,
და მიზანი აქვთ ერის მრავლების.
დედებო, ზარდეთ ბევრი მესხელი,
ვაიოს ველის მხვნელი, მთესველი.
თქვენ აღუზარდეთ მამულს მებრძოლი,
უსამართლობის დამამხობელი.
მენახეთ მუდამ უღრუბლო ცის ქვეშ,
თბილ ოჯახებში, თქვენ-თქვენს ჭერის ქვეშ.
ღმერთმა გაცილოთ დარდი და სევდა,
ერი ამრავლე, ქართველო დედავ!

***

ეს მერამდენედ მჯეროდა,
ოცნება ამიხდებოდა,
თუ არა ის პირობები,
ეს ასე არ მოხდებოდა.
დაგვიანებით მოსული,
ვერ მივხვდი, თუ რას ჩიოდა.
ვერ შევამჩნიე, რომ ხელზე
ბეჭედი გამოსჭვიოდა;
...და ისევ, ისევ სციოდა,
ვიღაცას გული სტკიოდა.
მოვიდა თვალის წვიმა და
ჩემში ოცნება ტიროდა,
ცრემლის წვეთები ფანჯარას
სვეტებად ჩამოსდიოდა.
ვიღაცას გული სტკიოდა,
ჩემში ოცნება ტიროდა!
გულზე დანა რომ დაგეკრათ,
სისხლი არ გამოვიდოდა.
შეუმჩნეველი დუმილით
ლექცია კვლავ მიდიოდა...

კაცს

სიკვდილის დროს გავიხსენებთ,
ან თუ რამე გადახდება.
პირველ რიგში მოვიგონებთ,
მისი ცუდი გვახსენდება.
რა უნდოდა, რა მოსწონდა,
მითქმა-მოთქმა რომ გაჩნდება...
ცუდი-კარგის გადაწონა
კაცს რომ გულზე დააჩნდება.
მოდი, კარგიც გავიხსენოთ,
ამით ნეტავ რა მოხდება?
მოგონება შევუთვალოთ,
აქ არავინ არ დარჩება.

***

გამოანათე ღიმილით,
გამოჩნდი გაზაფხულივით.
აღარა ღირს ალბათ მეტის თმენა,
ლამის ქვებმაც ამოიდგეს ენა,
დავივიწყოთ წარსული და წყენა.
თუ გვწამს რამე, გაგვაჩნია რწმენა.
იყო დრო და იყო აღმაფრენა,
იმ განცდებზე ვერც კი ამბობს ენა.
ყველაფერი დარჩა მოგონებას,
სიხარულიც, გახარებაც, წყენაც.
აღარა ღირს, ალბათ, მეტის თმენა,
მოლოდინით დაიღალა გული,
წარსულს დარჩა სიხარული-წყენა,
რა კარგია, მოდის გაზაფხული.

***

შედეგი ყოველთვის ყველაფერს სჭირდება,
დრო კი თავისას იტყვის.
ხშირად მართალიც ტყუილად ისჯება,
თვითონაც არ იცის რისთვის...
შენ სულ მზადა ხარ, თავი გაწირო,
არაფერს ზოგავ მისთვის.
მათი ღირსება მაღლა ასწიო,
რად ხდება, ასე რისთვის?!
შედეგი ყოველთვის ცუდი არ იქნება,
არსებობს კარგიც და ცუდიც
და ისტორია ასე იქმნება,
ასე იქმნება გუნდიც.
შედეგი ყოველთვის ყველაფერს სჭირდება,
დრო კი უჩვენოდ მიდის.
როცა მართალი ტყუილად ისჯება,
ეს კი ძალიან მიმძიმს.

***

მე მიყვარს კაცი, როცა მას უჭირს,
როცა მოელის სხვისაგან შველას,
როცა კაცს უჭირს, კეთილი არის,
კეთილი კაცი კი უყვარს ყველას.

***

მწყობრის წინაშე ვიდექით ორი,
იყო დუმილი – სამძიმრის სწორი.
ჩვენ გვიყურებდა ათასი თვალი,
მე მედებოდა საქმეში ბრალი.
ვიდექი დიდხანს დადუმებული,
გამწარებული, აზრწართმეული.
მწარე ფიქრებით ამოვსებული,
გახეთქვას იყო მისული გული.
შველის იმედით გაცრუებული,
თავი ვიგრძენი დამცირებული.
იფერფლებოდა ჩემი წარსული,
ნატვრა-ოცნებით გატარებული...

***

ვისაც არ უნახავს
გაჭირვების წლები,
იმან არ სთქვას რომ ჰყავს
ბევრი მეგობრები.
ის იქნება მცდარი,
ვინაც ამჯობინოს
თავის დედმამიშვილს
კარგი მეგობარი.
მიყვარს ახლობლები,
მიყვარს მეგობრები,
მაგრამ ყველას მირჩევნია
მშობლები და ძმები.

***

მთისა და ბარის თავისუფლება
მწუხარებაა კვლავ ყველას გულში...
არ აქვთ ქართველებს ამის უფლება,
მშვიდად მივიდნენ თავის მამულში...
აფხაზეთში და სამაჩაბლოში
სხვა ტომებია გამეფებული.
და ჩვენ კი, აგერ, ჩვენს სამშობლოში,
ერთმანეთით ვართ გაწამებული....

ლეგენდა ხერთვისის ციხეზე

მაღლა აწვდილა ხერთვისი,
ციხეა კლდეზე დამდგარი.
წყალს, ქვიშას, მეგზურად ატანს,
მასაც სურს, ნახოს რომ მტკვარი.
ის გადაჰყურებს ბუნებას,
წყალი აქვს ფარავნისანი,
მისი სვეტები ვით დგანან,
ვეფხვები – მაღალ კლდისანი.
მისსა ჩუქურთმებს, ზღაპრულსა,
ეტყობის ოსტატისანი,
თუ ნახვენ, ლექსსაც იტყვიან
თვალები, მგოსანისანი.
ამბობენ, თურმე შეგირდმა,
წყობა, გათლილი ქვებისა,
ოსტატზე კარგად ისწავლა
ყველა ლოცულობს დღეს მისას.
აშენა, მოაპირკეთა,
ცას, ფიროსმანის ნახატსა,
საყრდენად მისცა სვეტია;
...და რომ უკანა იხედა,
იწყევლა თავის ბედია:
ყველა საფეხო მოჭრილი
იხილა ოსტატისაგან.
როდესაც ხელი მკლავზედ აქვს,
შველას არ ითხოვს სხვისაგან.
კედლის თავს, ფრთებისმაგვარი,
მან გამოთალა შეშითა.
იფიქრა, წყალში ჩავხტები
და ნაპირს გავალ ფეხითა...
ასე სჩვევია ოსტატსა,
ხელეჩოს წელში გარჭობა.
ზურგზე დაცემით, ხელეჩომ,
მაშინ იჩინა თავია,
დააკვნესა და დაბინდა
მას შეუნგრია ძვალია.
ბოლოს შეხედა ხერთვისსა.
გადაეფარა წყალია...

ჩვენს ხიზაბავრას

წელს რომ ჩვენთან,
პირველ კლასში,
აღარ არის არავინ,
დაირღვევა ტრადიცია,
ზარს დარეკავს აბა, ვინ?
სამას ობოლს ვინახავდით
ობოლეთის ბანაკში,
ხალხი აღარ ეტეოდა
სალოცავად ტაძარში.
შვიდ ბრიგადად მუშაობდა,
არ რჩებოდა მტკაველი,
ყველაფერი მივატოვეთ,
ხევ-ღელე და მთა-ველი,
მებრალება შვიდრავანტა,
თუ იცი როგორია?
ის ჭალები, ვენახები,
გომი და ოსკერია...
ელენა ხევს ჩავირბენდით
თამაშით და ქილიკით...
საბანაოდ დავდიოდით
სამოკლეო ბილიკით.
სამწყემსურში თან მიგვქონდა
კალამი და წიგნები,
დრო კი ისე გადიოდა,
რომ ვერაფერს ვიგებდით.
ლომისადგომს, საბურთალებს,
დიდობაში - წვერზე,
ლოდების ქვეშ შევძვრებოდით
ავდარში თუ მზეზე.
მენატრება ყველა წყარო,
ჩვენი მიწის მონაგარი,
კოდის, წვერის, ობოლეთის,
მათი დარი არსად არის.

***

როცა დაბერა ნიავმა,
ღრუბლები არივ-დარია.
მე გამიტაცა მეწყერმა,
როგორც ნაფოტი, კვარია.
გარდამატარა ტიალმა,
გრძნობის მორევში ამრია.
ვარ ჩავარდნილი მორევში,
მიჭირს ნაპირის მიგნება.
მინდა, გავიდე მდორეში,
ხმელეთზე გასვლა მინდება.
არ მაჩერებენ ტალღები,
ქვიშას მაცლიან ფეხითა
და შორს მოსჩანან ძაფები -
ნაქსოვი, სამი ხელითა.

***

არც ვმუშაობ, არცა ვწვალობ,
არ ვაგროვებ ქონებას,
როგორც გული მკარნახობს,
ისე მივდევ ცხოვრებას.
არ ვემდური არაფერს:
მხედველობას, გონებას,
როგორც გული მკარნახობს,
ისე მივდევ ცხოვრებას.
რა ვუწოდოთ ამ ყოფას?
ვკარგავთ ერთიანობას.
ერის ასე დაყოფას
ნაცებად და ქოცებად.
ხალხთა მეტი ნაწილი
ერგებიან ორთავეს,
მწარედ ამათრახებენ
მამულიშვილს, მოდავეს.
ადრე მეუბნებოდნენ,
არ გაქვს გამოცდილება,
ეხლა ასე უბნობენ:
"მოზარდები გვჭირდება".
ვინც რომ ხალხის მტერია,
დღეს ის ბედნიერია,
რა ვქნა მეც არ ვჩერდები,
სიმართლის თქმას ვეცდები.
ღმერთმა უკეთ განსაჯოს,
ვინც რომ დასასჯელია,
ააყვავოს ყოველი,
გაახაროს ერია...

***

მომეწამლება მაშინ გონება,
როცა მეწვევა მე მოგონება,
როცა წარსულში გამახსენდება
ჩემი ყოფა და ჩემი ცხოვრება.
სევდა, როდესაც მე მომაკითხებს,
გულში მოიტანს ახალ საკითხებს,
მე გამახსენებს წითელ ყვავილებს,
ამირდამირევს დაწყობილ ფიქრებს.
მომავლის ფიქრებს მე ვგრეხ ძაფებად,
რომ გაბზარული გული გავკერო,
რომ არ გაიყოს ის ნაწილებად,
იმედით უნდა გამოვაკერო.
ვადგენ მე გეგმებს და ვითვლი თვეებს,
ვეძებ იმედებს და ვებრძვი ჩემს ბედს

გრძნობების მეფე

რაც კი არსებობს ამქვეყნად გრძნობა,
ვაჟკაცობაა თუ მეგობრობა,
არის ყველაზე მათში სრულია
გრძნობების მეფე სიყვარულია.
თანასწორობა და მისწრაფება,
სიხარულები და აღტაცება,
იმედის გრძნობით ვის არ უვლია,
მათში ძლიერი სიყვარულია.
სიკეთის გრძნობას ეთქმის დიდება,
სიმართლის გრძნობას ეთქმის დიდება,
სიმართლის გრძნობა ყველას გვჭირდება,
ის ხომ სიკეთის დასასრულია,
გრძნობების მეფე სიყვარულია!

***

ცოტაც მოითმინე, დასრულდება,
ლამაზი ფიქრები ასრულდება.
მოლოდინით დამეღალა გული,
ისევ იგვიანებს გაზაფხული.
რამდენი ხანი შემისრულდება,
რაც არ მაქვს შენი ნახვის უფლება?
ისევ მგონია, მოვა გაზაფხული,
ძველი კვირტები გაიფურჩქნება.
კვლავ აყვავდება ძველი კვირტები,
მას ვეღარ მოსპობს თოვლის ფიფქები.
უკვე მალე მოვა გაზაფხული,
სიცივემ ვეღარ მომიძრას გული.
დიდი მკურნალი დროა, ყველაფრის,
ყოველგვარ სევდას განკურნავს, გაყრის,
ცრემლებს შეგაშრობს უზომოდ დაღვრილს,
უფრო კარგია დარდები გადის.

ნურვინ გარევთ
ერთმანეთსა,
გესმათ ჩემი ნაუბარი!

მისთვის ჭირი ლხინად
უჩნდეს,მისთვის ცეცხლსა
მოიდებდეს.

ს ა მ ა დ ლ ო ბ ე ლ ი

მადლობა ცოტაა იმ დიდი ღვაწლისა და თავდადებისთვის, რასაც მესხეთის უნივერსიტეტის პროფესორის, ქალბატონ ნატო ყრუაშვილისგან ვხედავთ.

იგი დაუღალავად შრომობს მესხი პოეტების გამოჩენა-წარმოჩენისთვის. ხშირად ამ შესანიშნავი ქართველი ქალის ეტალონისთვის ბოდიში მომიხდია: მაპატიეთ, ქალბატონო ნატო, რომ გაწუხებთ და ამდენად ირჯებით ჩვენი კრებულისთვის. დროს გვითმობთ და აწყობთ თითოეული მესხი თანაავტორის გვერდს.

მან მიპასუხა, – რას ამბობთ, მე არა მარტო ჩემს კუთხეს, ნებისმიერ ქართველს დროს დავუთმობ და მოვეხმარები, რითიც შემიძლია. ჩვენ ხომ ისედაც ცოტა ვართ. გაილია ერი და ვინც დავრჩით, უნდა გვიყვარდეს და ვიღვწოდეთ ერთმანეთის გასახარებლადო...

არადა მეც ვალდებულად ვთვლი თავს, რომ მისდამი მობოდიშება გამოვხატო. ქალბატონი ნატო რამდენიმე ათეული, დიდებული კრებულის ავტირია; ყოველ წელს ქმნის ახალ კრებულს, დაეძებს თავისი კუთხის უძველეს ისტორიას და შედევრებს კრებულების სახით უტოვებს არა მარტო თავისი კუთხის მომავალ თაობებს, არამედ მთელს საქართველოს.

ქალბატონი ნატო გულით კეთილი, სათნო და უნიჭიერესი ადამიანია. ის უამრავი სტუდენტის დედაა; მისი სიყვარულით სავსე გული ნიჭს და ენერგიას არ იშურებს, რომ თავის გამზრდელ კუთხეს, მესხეთს, ბევრი გამორჩეულად ნიჭიერი ადამიანი აღუზარდოს.

დიდი სიყვარულით გიყვება თავისი კუთხის ისტორიას, რუდუნებით იხსენებს მარადიულობაში გადასულ ადამიანებს, რომლებიც მათი კუთხისთვის უკვდავ ადამიანებად მიაჩნია დღემდე და ამბობს, მათი ღვაწლის არდაფასება და დავიწყება არ შეიძლებაო.

დაეძებს დღევანდელ დროში არსებულ ნიჭიერ ადამიანებს და უნდა, რაც შეიძლება მეტი რჩეული პოეტის პოეზია შემოგვთავაზოს და რაც შეიძლება ბევრი ადამიანის გული გაახაროს.

ქალბატონი ნატო უშრეტი სიკეთისა და სიყვარულის მფრქვეველია. ის თავისი კუთხის საპატიო მოქალაქე და საგოგმანებელი ქალბატონია ქართველი ერისთვის. საამაყოა ასეთი ზნეკეთილი და სულით ძლიერი ადამიანების არსებობა.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ასევე მესხეთის ძირძველ მკვიდრს, საამაყო წინაპრების შვილს, ისტორიული სოფლის, ხიზაბავრის მკვიდრს, ბატონ ელგუჯა ველიჯაბაშვილს, სურვილის გამოთქმისთვის, მესხი პოეტების წარმოჩენისთვის, ქალბატონი ნატოს კრებულში წარმოდგენისთვის. ბატონი ელგუჯას და ქალბატონი ნატოს უკვდავი ნაბიჯის გადადგმა ჩვენს კრებულში საამაყო და დასაფასებელია. დიდი მადლობა საამაყო მესხებო, დაუღალავი და უანგარო შრომისთვის!

მანანა სამყურაშვილი

მიბრძანეს მათდა საქებრად
თქმა ლექსებისა ტკბობისა,



გერონტი მესხი – პოეტი

აქ, ამ ლამაზ ქვეყანაში.

სილამაზე აპრილივით მოზღვავდა,
ბუნება ჰგავს მზეთუნახავს, მწოლიარს.
აქ სიცოცხლე ნეტარებას მოჰგავს და
აქ სიკვდილიც უკვდავების სწორია.
აქ ბოროტის ნერგი დიდხანს არ ხარობს.
აქ მტრის რისხვა ქართვლის დედის ხმალია.
ლუციფერი აქ რომ ვეღარ ხარხარებს,
ეს რწმენის და სიყვარულის ბრალია.
ღვთისგან მეტი საჩუქარი რად გინდა:
პირდაპირ დევს ხელისგულზე სამოთხე!...
პირველი ყრმაც აქ იშვა და დაღვინდა,
“იავნანაც” უწინ იმ ყრმის გამო თქვეს.
აქ დღეს ისევ იზრდებიან ბოკვრები...
ბარაქის ხე აქ ქცეულა ვაზადო!...
აქ თუ იშვი, ისე როგორ მოკვდები,
მამულისთვის გმირი რომ არ გაზარდო!...

ლამაზი ქალი

საიდუმლოს, გადანახულს ხვალისთვის,
წამში გასცემს მისი მზერა, ფარული.
სილამაზე სიმდიდრეა ქალისთვის,
მზითევია, სკივრში გადამალული.
ვნების მტვერი მოგაფრქვია თუ ქარმა
და ღიმილი შეგაყინა ბაგეზე,
სილამაზე, იტყვი, შექმნა უფალმა,
ფიქრიც, მზერაც, მის მხარეს რომ გაგექცეს.
და თუ სუნთქვაც აგიჩქარა მშვენებამ,
ჯადოსნური ხელით როა ნაქარგი,
ყველა ქალი შენად მოგეჩვენება,
შეგაშფოთებს შიში, მათი დაკარგვის.
სილამაზე დღე მზეს ჩრდილავს, ღამე – ცას,
გულს, უსისხლოს, გესლით უვსებს შურიანს.
...თვალს, თუ კვლავ სხვა ლამაზისკენ გაგექცა,
ნუ დასძრახავ, წყალი თვალსაც სწყურია!...

სიცოცხლის გაელვება

ხორცი შემასხა მშობელმა მიწამ,
სისხლი ჟუჟუნა წვიმებმა მომცეს.
სული ნიავმა შთამბერა იმ წამს
და “დაბადება” ეწოდა პროცესს.
მოვედი, რათა მცირედი წვლილით
შევალამაზო ქართული სივრცე.
მტერს მტრის მივუზღო, ძმას კი – ძმის წილი
და მიწის ქმნილი კვლავ მიწად ვიქცე.

ზეციური ანდამატი

იმ სადაგ დღესაც ზღვა იყო ლურჯი,
მზე იყო მწველი და ერთადერთი.
მიქელანჯელოს ნაქონი ფუნჯით
მითიურ სურათს ხატავდა ღმერთი.

უსასრულო და უღრუბლო ზეცას
ეჯიბრებოდა ხასხასში მოლი.
ქედებს პალიტრის ქათიბი ეცვათ
და ის ცა ეპყრათ მელოტი ზოლით.

მზეზე კრთებოდა გამა, ფერების...
გზებზე კვდებოდა ჟამი, თარეშით...
ახლოვდებოდა დრო, მოფერების,
ღმერთის ნებართვით თუ მის გარეშე.

ჩამოაძერწა მხატვარმა ტანი,
(იდგა დუმილი მზეჩაღვრილ დღეთა.)
ისე მოარგო ფერი და განი,
ვით ნინოს ჯვარი მოერგო მცხეთას.

მერე ხელ-ფეხი მოხატა დინჯად
და მკერდს შემორჩა ფუნჯი ორ ბორცვად.
ღმერთი იდგა და ქალწული იჯდა,
ჯერ უსახურად და მაინც, მორცხვად.

მერე თვალ-წარბთა ვნება და სახე
გამოიკვეთა მდგარი ხვატიდან.
მერე შთაბერა სული და ვნახე,
როგორ გადმოხტი იმ ნახატიდან.

გარემოსილი იყავი, მქრქალი,
... და მაინც უცხო ფერის სამოსით.
დროს, როცა ცხადგყო უფალმა ქალი,
ვერ აღგვიწერდა ნოსტრადამუსიც.

ბიჯი ლივლივით გადადგი მოლზე,
ისე ფაქიზად, ისე ნარნარად,
რომ მე გავთვალე სამყარო ორზე –
შენ დაფრინავდი, როგორც ფარვანა.

ირგვლივ იწვოდა მუხტი და მკრთალი
ალი სწვდებოდა ბარე ორს კიდევ...
შენ წამიერად წამართვი თვალი,
მერე ის თვალი ვეღარ მოგწყვიტე.

ვნებით გიწენდა სიო დალალებს –
ო, მინდა, წუთით ის დრო დაბრუნდეს:
მე ვთრთოდი, შენ კი ხელი ჩამავლე
და შენს სავალზე შემომაბრუნე.

მზეობდა მზისებრ მზირალი მზერა,
გაკლდა გვირგვინი და ხელში კვერთხი...
მე მაშინ მივხვდი და ახლაც მჯერა,
რომ შენს შექმნაში ერია ღმერთი.

როდის ქრება სილამაზე

კოხტა ქალს ვეტრფი... გრძნეულს...
გამა სდევს მნუსხავ ფერთა.
სახე უმშვენებს სხეულს,
სული – ორივეს ერთად.

მაგრამ თუ ასე მოხდა,–
სულს გაერია წყალი,
გაქრება შენი ,,კოხტა“,
შეგრჩება მხოლოდ ,,ქალი“...

გაზაფხული მოსულა

ღამის ნაშობ განთიადებს სიო ძუძუს აწოვებს,
არემარე გარინდულა უკეთესის ლოდინში.
ნადავლს ეძებს ტყეში ხვადი...
ორთქლი ასდით საძოვრებს,
ნებივრობენ ენძელები მარტის
გაშლილ ლოგინში.
თოლიები ზღვაზე მნათობს უმზადებენ
სარეცელს,
მზე კი ცაზე მოგორავს და ეფერება მიდამოს.
ჯეჯილს სურს, რომ ზამთრის კითხვებს
პასუხები გაეცეს,
ხვალ კი ტალღად აქოჩრილმა
ურჩ ნიავთან იდავოს.
სიცივისგან მობუზული შენც ბეღურას მაგონებ,
ნაზამთრალზე გაიშლები, გადაიგდებ კაეშანს.
გაცრეცილი ნისლებიდან
გამოპარულ მთა-გორებს
სიყვარული აუფრინდათ და
შენს ფერხთით დაეშვა...

განმეორებით...

განმეორებით, შეიძლება, ჩამოდგეს ზავი;
დათვმა დაძებნოს ფუღუროში
თაფლი, ტორებით...
განმეორებით, შეიძლება, ასწიო თავი
და დიდ შემოქმედს თაყვანი სცე განმეორებით.
განმეორებით, შეიძლება, გაჩუქონ კოცნა...
განმეორებით – სახტად დარჩე ნაამბორებით!...
ყოფილმა სატრფომ თუ
ამურის ისრები გტყორცნა,
აგიჩქროლდება სიჭაბუკე განმეორებით.
განმეორებით რწმენით იგრძნობ თუ თავს იობად,
დაგესევიან ურწმუნონი, როგორც ქორები...
...დგას ევას ცოდვით გატანჯული კაცობრიობა
და ცოდვებისგან დამხსნელს ელის განმეორებით...

სიყვარულის ზღაპარი

(სიმღერა)

დროს თითქოს კვალში მისდევს ავაზა,
მთიდან ეშვება ფარდა, ნისლების...
მე შენით ვცოცხლობ ისე ლამაზად,
რომ, ალბათ, აღარც გარდავიცვლები.
ეგ მზერა აზრებს მტაცებს მარტივად,
და სულიც მისი მონა მგონია.
სიყვარულს არ აქვს ალტერნატივა,
ის ხომ ღმერთების მონაგონია.
და თუ შეხებით მხარზე მტრედები
ცად გამიწვევენ გზებით, ფარულით,
მარტოობისთვის არ მემეტები,
ჯერ ხომ ძალუმად ჩქეფს სიყვარული...
ვეტყვი, რომ მე შენ თუ ვეღარ გნახავ,
ღამით სიზმრებად გადავირევი.
შენ ნადირობის ქალღმერთსა ჰგავხარ,
მე ვარ დაჭრილი ნანადირევი.
შენს გულს იმგვარი უნთია, ცეცხლი,
რომ სიშორეზეც მწვავს და ბობოქრობს.
შენ ხარ ურიცხვი უნცია ვერცხლი,
და უფრო მეტი – ბაჯაღლო ოქრო!...
ჩქეფს სიყვარული ისევ და ნაზად
ეხება სულის სათუთ ნაპირებს...
შენ მე მაცოცხლებ ისე ლამაზად,
რომ, მგონი, სიკვდილს აღარც ვაპირებ.
შენგან შექმნილი ტკბილი ზღაპარი
ცაში დამაფრენს უმისამართოდ.
ქატო იქ იყოს, ფქვილი აქ არის,
სიყვარული კი სულში ნავარდობს...

ჩემს სამშობლოს!

შენზე აუგის გამომთქმელს
მეხად დავეცე კინაღამ.
სახოტბოს, რაც შენს გამო თქვეს,
მარგალიტებად ვინახავ.
ნატიფი სულის გამომთლელს
რწმენით მიწრთობდი წინაპარს.
შენ ხარ ღმერთების სამოთხე,
ცისქვეშეთს რომ არ მინახავს.
ღვთისმშობლის წილხვედრ გამოგყვეს,
რჯულ-მრწამსით სხვაზე წინა ხარ!...
...კიდევ გაგიზრდი ცხრა მოყმეს
და ჯავშნად გადაგინახავ!...

სამშობლოვ, ჩემო!

ხარ თავანკარა ენის სავანე,
უხვი, ვით ვაზი, კარდანახული.
სიცოცხლე, გზად რომ ამსხვრევს სამანებს,
მხოლოდ შენთვის მაქვს გადანახული.
ჰოდა, იმასაც მოგართმევ, ფეშქაშ!
ვით ქალს - სისხამზე დაკრეფილ
ვარდებს.
ნატვრა კვლავ სულში ძალუმად ფეთქავს:
„ნიკოფსიიდან დარუბანდამდე!“
ნატვრისთვის კიდევ ჯერ არსად სჯიან...
კვლავ გაბრწყინდება ოლიმპი, შენი.
გიხილავთ მთლიანს და, არც მთლად გვიან,
შარავანდედად „სამება“ გშვენის.
თბილ ეპითეტებს შენთვის ვაქუჩებ,
შენზე ლექსს გასდევს აურა, წმინდა.
ღმერთმა სიცოცხლე შენთვის მაჩუქა,
ინებე იგი, როდესაც გინდა!...

რაა სიცოცხლე უსიყვარულოდ

მგონი მიმიხვდი, მშვენიერო, რარიგ მიყვარხარ!..
დიადმა გრძნობამ ტალღასავით მოვარდნა იცის...
მზე იფხორება ცამაღალზე, როცა იქ არ ხარ,
დაროცა იქ ხარ, გიბღვერს, როგორცსახედნი კვიცი.
შენს კაშკაშებზე ლაჟვარდების ზემო თავანზე
მნათობთა გუნდი სხივთა შენთა მონა მგონია.
ჩემს გულში, როცა ყურმოჭრილ ყმად შემოგთავაზე,
გრძნობა ღვიოდა, რომეოსი მონა გონია.
სერენადები, სულში ვერ და რომ ვერ ჩავტიე,
ვულკანის ფორმით ამოიფრქვა, ლავისმაგვარად.
იადონის ხმით გიგალობდი სოლო პარტიებს,
ფანტელებად რომ ეფინება ახლაც მთა-ბარად.
რავქნა, თუ გრძნობა ბობოქარი, მართლაც მაწუხებს
ხიბლით, რომელმაც ეს უგულო გულიც წამგვარა.
ფიქრში ვემონვიმაგ შენს ნატიფ მკლავთა მარწუხებს
და მთვარესავით ავეკვრები შენს ცას ამგვარად.
ზღვა სიყვარულში იფერფლება როცა აპრილი,
მზისსხივთა თქეშში ნამქერები ფარ-ხმალს დაყრიან.
მარტიცგვიმოწმებს ზამთრის ჩინ-და-მედლებაყრილი:
უსიყვარულო სიცოცხლეში, აბა, რა ყრია!..

სულიკო ჯამალაშვილი
დაბადების ადგილი – საგარეჯო

* ** *

დილას უთენია პროზით ვიწყებ,
სტრიქონს შევალიე ცვარად ბწკარი.
მუზა გავისტუმრე ხევებისკენ,
ბარად დამიტოვა ნიაღვარი.

მარსმა მიწილადა შუქი, დილის,
მერე შეუტია მაღლივ ტატნობს.
წუხელ სტუმრად მყავდა მთვარის ჩრდილი,
ქარსაც ბინა მინდა ვუწილადო.

* ** *

დრო ისევ ცრუობს, ვით ტროას ცხენი,
არ დაუჯერო, ჩემო კესანე!
ეს სტრიქონები, ვიცი, სიონთან,
განრისხებული, ზარებს რეკავენ.

მწუხრმა შემოსა გზა, საწყაული,
გვეყო სამშობლო, რაც გავაჩუქეთ!
გამოხრული მაქვს ძვალთშესალაგი
და წარმავლობას განაჩენს უწერს!

* ** *

ხან ვარსკვლავებსა გადარე
და ხანაც სავსე მთვარესა.
ამიყვავილე მაისი,
სამყოფად ვარდსა მხარესა.
როს სიო წამოუქროლებს
მაგ შენსა დალალ-კავებსა.

ქეთევანივით ვეწამოთ,
ამ ტურფა არემარესა!
ისევ ღალატი, ვინ - ვისთვის,
მარტი თებერვალს შაეკრა.
აპრილი, ატირებული,
მაისსა გულში ჩაეკრა!

* ** *

წერონ, იკითხონ იმათმა,
მოესურვება ვისაც რა.
ხანაც გოლგოთა დავძლიე,
ხანაც გოლგოთამ იძალა.

როს სევდამ დაისადგურა,
ხეებს მოედო ნისლად და
ხედები ავრი-დავრიე,
გრანელი მყავდა სიზმრადა.

მძულს ყოფაქცევა მოშურნის,
ათგზის გახრწნილი მძორი და
მიწავ, რად გამიორგულდი!
ზეცავ, რა ახლო მგონიხარ!

მერიდიანი გავავლე,
ეპოქა მჩემობს, რომელი.
რაღაც ერთი გვაქვს გრანელო,
ერთი და განუზომელი.

* ** *

ხან ვარსკვლავებსა გადარე
და ხანაც სავსე მთვარესა!
ამიყვავილე მაისი,
სამყოფად ვარდსა მხარესა!

როს სიო წამოუქროლებს,
მაგ შენსა დალალ-კავებსა,
ქეთევანივით ვეწამოთ
ამ ტურფა არემარესა!

ისევ ღალატი, ვინ - ვისთვის,
მარტი, თებერვალს შაეკრა!
აპრილი, ატირებული,
მაისსა გულში ჩაეკრა!

* ** *

რადგან ეს გული, ისევ გდარაჯობს,
ვეფხვი, ლომისა, რადგან სწორია!
შენზე ნაკლები რით ვარ, ლამაზო!
მეტი ვარ, ვიდრე შენ ეს გგონია!

* ** *

მე ხომ ისევ ის ქარი ვარ,
ისევ ის ურჩი მდინარე.
ბოლომდე უნდა გამიძლო,
ბოლომდე უნდა გიყვარდე.

წყარო ვარ, მთათა ნაჟური,
ცის ნამს მოვდენი მიწაზე.
მოხუცი, წრიდან გასული,
მაინც ვშაირობ ჯინაზე.

ლექსზე ვაბოდებ, ხანია,
მძიმე წერტილი, რღვეული.
ეს ჩემი ნატერფალია,
შანდლის შუქივით ეული.

* ** *

შანდლის შუქიდან გვესმის შენი ხმა,
მაგრამ რაღა დროს, ხომ გვიანია.
ეს იმას ნიშნავს, მარტო არა ხარ,
ხსოვნად შემოვრჩი მე ადამიანს.

პოეტის ნიშა - დილის მირაჟი,
მეხთა ტეხილი და რია-რია.
ვერდატეული ღამის წყვდიადში,
ვითხოვ სივრცეს და ლექსები მშია!

დახშულ სივრციდან მკვდრეთით აღვდექი,
მსურდა, მუზებზე შური მეძია...
მაშინ ვინანე, როცა დაგნებდი,
როცა ვიწამე შენი მესია!

* ** *

დავალ, ვეძებ სიჭაბუკეს,
არსით ხმა და არსით ჩქამი.
აჩრდილივით თან დამყვება,
გაელვება, ერთი წამის.
შემახსენებს ხან ზმანება,
ხან წვიმა და ხანაც ქარი,
რაც გამაჩნდა მე ამ ქვეყნად,
სანაქებო სანუკვარი!

დამიარა ჟრუანტელმა,
გულში – სევდა, სულში – ქარი.
როგორც ზღვათა მიმოქცევა
და ტალღები, ბობოქარი.
ჟამთასვლისთვის გეცოტავე?
მკეთებელი ახლა მე რის...

სიჭაბუკე ჩავლილია,
ბერბიჭობაც ლაგამსა ღრღნის.
დავალ, ვეძებ სიჭაბუკეს,
არსით ხმა და არსით ჩქამი,
აჩრდილივით თან დამყვება
გაელვება ერთი წამის!

* ** *

რა წყვდიადი ღამეა და
რაოდენი სინაზე.
მთვარე ლამის ყაჩაღივით,
სახლში შემომივარდეს!

სარკმელთან დგას მომღიმარი,
მრავლისმთქმელი, მნახველი,
მე ვარ შენი საქართველო!
თემურ ლენგის ნახმლევი!

გილოცავთ შობას

ისევ იარად მეტყობა
შახის ნასროლი ისარი!
გავხდები კიდევ ოდესმე
მე თქვენი დასაფიცარი!

საუკუნეთა მანძილზე
მე რჯული უბით ვინახე!
ნისლს გავატანე ოცნება
და მთებში გადავინახე!

ყველას გავანდე, უკლებლივ
რაც იყო, ჩემი მიზანი!
უთქვენოდ ჩემი სიცოცხლე
არის სიკვდილის ნიშანი!

იხარეთ, ჩემო შვილებო!
ვერას დაგვაკლებს დრონია!
გაიგოს ყველა მომხდურმა
რა წინაპარიც გყოლიათ!!!

* ** *

სხვა მყუდროებას დამირღვევს, ვინ და
ქარი შეუღრენს ისევ ლიანებს.
ვით შემოდგომა შემოგრჩე, მინდა,
ჩემო მქუხარე მემატიანევ!

ტრამალს შემოვრჩით იმედად, ბოლო,
მომხვიე ხელი, ვით თანასწორი.
ქარაფის პირას უცვლელი სოლო,
ჩემი აბჯარი და შენი თორი,

დღისა და ღამის ცხარე კამათი,
მზე – უნიათო, მთვარე – ეული.
საუკუნე ზის ფერთა გამაში,
ათასწლეულში გამომწყვდეული.

* ** *

დრომ დღეს უგანა გარინდული და დღეც, ეული,
ხან მრევლი ლაღობს ნირწამხდარი, ხანაც ცდუნება.
ნაიარევ ცას ზოგჯერ ფუნჯიც ვეღარ ჩემულობს,
მთვარე მისტიკურ კართაგენებს ესალბუნება...

მოვალ, მოგძებნი ნაიარევს და ისევ მარტო,
ვერც დრო, ვერც ჟამი დაგვაშორებს გულო და სულო!
ხშირად მიახლებს მოგონება წარსულს და აწმყოს,
ისევ ქარია, შემოდგომა, ცა – უსასრულო.

ახლა ვაქვეყნებ, კიდევ ერთი გიძღვენ შედევრი,
ცისარტყელათა მკლავში მეჯდა და ვინახავდი.
ესეც კორიდა, წარუშლელი ხარების დოღი,
დილის თბილისი საათნოვა და ფიროსმანი.

ახ, პოეზიავ, ამ ცასავით უკიდეგანო,
მისაყვედურე თუ ეს რითმა ისე ვერ გმოსავს.
უსასრულობით გარინდულო უდრეკო წამო,
ნოემბერივით როგორ გიყვარს ჩემში შემოსვლა!

* ** *

ისე აენთნენ ვარსკვლავები ცაც ვერ იტევდა,
არის სიცოცხლე არის მითი ზოგჯერ ცდუნება.
იქნებ ამიხსნან სანუგეშო მითხრან რამე და
ეს მერამდენედ ჯვარზე ვაცვით ჭეშმარიტება!

უბადრუკი ხარ ნაწამებო სიცოცხლის წამო,
გამახსენდება ბავშვობა და ფიჭვის ტევრები.
განგმირულ სულზე, უფლის ნებით უნდა ვეწამო,
რომ განვარიდო წუთისოფელს ცეცხლის ენები!

ხმელი ფოთლების კარნავალი; სიშიშვლე, მოლის;
თოვლის ფანტელი, მყინვარები, ქარი – ნაგეში.
გარდუვალია ცათამბჯენი დროთა მიმოსვლის,
კვირტებდამსკდარი ატმის ტოტი და მარტის თქეში.

* ** *

ჩაფიქრებული დავალ, დავდივარ,
არშობილ ლექსებს ჯერაც ვაშიებ,
ამ ქვეყანაზე სიკვდილი კი არ,
დღევანდელობა უფრო მაშინებს.

* ** *

ღმერთმა დაგლოცოს, ღმერთმა
გამყოფოს,
დასაფიცარად მხოლოდ შენ მყავდი.
მე ათი წლისა მახსოვს სამშობლო,
ათეულ წლების ვარ ემიგრანტი.

მე სიხარულის დამეცა ელდა,
ახლა დამაწყეთ თავზე ლოდები!...
შემომანათეს თვალებში მთებმა
სადა ხარ, კაცო, შენ გელოდებით!

* ** *

ცალკე დაგიდგავს შენი კარავი,
არაფერს მოგცემს მწუხრის ძიება.
გაახელ თვალებს – შენ წინ არავინ,
დახუჭავ, ისევ აგეტირება.

ვერ განერიდა ჭაობს და ტალახს,
ფურირემივით ჟამმა დრო წველა.
ნუ ეძიები მოსაცელ ბალახს,
უშენობითაც ჟამი მოცელავს.

* ** *

შური, ღალატი, არვის მდომია
და მაინც გეტყვით გეყოფათ, კმარათ!
მედროვეს მთვარეც მიუზომია,
მწერალს სამარხი მიწაც არა აქვს!

* ** *

ოხრავ და სიზმრებად მოგდენი,
საძვალე არა მთმობს სამიწედ.
საკვირტედ გამყვება ეს დღენი,
როს გული ცისაკენ გაიწევს.

შორი ცა ისეთი თბილია,
ვნატრულობ, გამირბის და მაინც,
თითქოსდა ბაზიერს მივლია,
მსურველი, ნაკურთხი სავანის.

ეჭვი მღრღნის, არ უნდა გაგეშვი!
დაჭრილი კორიდის ხარი და
არც ღამეს არ ენდო დაგეშილს,
არც ამბორს, ქალწულის ბაგიდან!...

მე – ჩემი, ის გზები, სავალი,
შენ კი ეს რითმა შეგაკრთობს.
მთვარის შუქს დაეძებს მრავალი,
ქარაფი – მახლობელ ეშაფოტს.

* ** *

რამდენჯერ მხარი ვიცვალე,
გავიხედავ და წვიმს.
ისევ ისეთი წვიმაა,
ისევ ის ქარი ქრის.

ენძელას ია მოჰყვება,
ვარდიც მოიყრის რტოს.
ბავშვობის ბედი მაღელვებს,
ჩემგან გაფრენილს, შორს.

ზამთარსაც ჩამოვიფერთხავ,
ისევ შეგხვდები ბზით.
სიჭაბუკისგან დაცლილი,
ახლა სიბერე მცდის!

და თუ სიცოცხლე მაჩუქე,
გამიშვი, რაღად მსჯი.
ან ალავერდი მასხურე,
ან ძალა მომეც ჯვრის!

დედოფალს მეფე სჭირდება,
იცემდეს გულზე მჯიღს!
მაშ, გაუმარჯოს სიცოცხლეს,
ცოტახნის მაგრამ ძვირს!

სპარტაკ ბრეგაძე – ელექტრო ინჟინერი;
დაბადების ადგილი – ქუთაისი.

დაიზამთრა უშენოდ

დაიზამთრა უშენოდ... მერამდენედ? არ ვიცი!
მოგონებებს ვიხსენებ ყოველ ღამით სიზმრებად,
უშენობა მტკივა და უშენობას განვიცდი!
იცი, როგორ რთულია, რომ გადმოვცე სიტყვებად?...

ხო, ჩვენს გავლილ ბილიკებს ახლა მარტოდ მივყვები,
შეხვედრის დრო ყოველთვის თანდათან რომ მცირდება!
ყველაფრისგან დაღლილი, ყველაფერზე ვფიქრდები,
ვფიქრდები და, იცი რა, ისევ შენთან მინდება!

კვლავ სუსხი და სიცივე, სიმარტოვე ნოემბრის,
აჰყოლია ბავშვივით მონატრებულ დეკემბერს.
ვერ გავიგე, არ მესმის წელიწადის დროების,
სიყვარულზე რომ ჰქმნიან დაუვიწყარ ლეგენდებს!

დავივიწყო წარსული? – ნუ მთხოვ, ძალზედ რთულია!
ნუ მთხოვ, როცა შეგხვდები, კვლავ დავხუჭო თვალები!
ვინ თქვა, რომ ეს ცხოვრება ძალზედ საამურია,
წარმოდგენა დასრულდა, ჩამოუშვით ფარდები!

იცი, როგორ მწყურია შენთან ერთად სიშორე.
დედამიწას რომ ვუთხრათ საბოლოოდ – "ნახვამდის!"
შენზე ფიქრებს, სურვილებს, თავიდან ვერ ვიშორებ,
ასე, დაუკითხავად, დრო დროზე რომ გადადის!

დაიზამთრა უშენოდ, მერამდენედ –არ ვიცი!
შენზე ფიქრებს ვიხსენებ ყოველ ღამით სიზმრებად.
უშენობა მტკივა და უშენობას განვიცდი,
შევეცადე, ეს გრძნობა გადმომეცა სიტყვებად!

ისე შემიყვარდი, როგორც...

ყოველი დღე და ყოველი საათი,
მზის ამოსვლიდან უკან ჩასვლამდე
მე შეგიყვარე შენ სამუდამოდ,
დედამიწიდან ბოლოს წასვლამდე.

დროც მიდის, გავუშვათ ნუ გავეკიდებით,
გავუშვათ, წავიდეს, იაროს იმდენ ხანს,
რომ მოიხედავს, უკან დარჩენილთ,
ლამის თქმასაც კი ვერ გაგვიბედავს.

თუ კი მიპოვი, გრძნობებით ნასვამს,
გთხოვ, ნუღარ მეტყვი რამეს,
იცი, ვდუმდები, როცა ვუყურებ
შენს ზურმუხტისფერი თვალებს.

მათი ცქერა და მათი ფერება
მე არასოდეს მკმარა.
მე შემიყვარდი სწორედ ისე,
როგორც მოდილიანს ჟანა!

რომელი საათია, იცი?!
თვალზე მონატრების ცრემლი,
უკვე მოთმინებაც კმარა!
შენთვის სათქმელი მაქვს ბევრი.

დაცემულს თუ მიპოვი, ჩემო,
გთხოვ,
გამომიწოდო ხელი!
ისე შემიყვარდი, როგორც
ნასვამ გალაკტიონს მერი!

მე შენ მოგიძღვნი ლექსებს,
ჩვენთვის ავაშენებ სახლ-კარს!
შვილებს კი ძილისპირულს, ამბებს,
მუდამ მოვუყვები მართალს!

გავაცნობ საქართველოს გმირებს
და შევასწავლი დიდოსტატს,
ისე შემიყვარდი, როგორც
ქალი - მარგარიტა ფიროსმანს!...

... და ხანში შესულ გოეთეს -
უმშვენიერესი ულრიკე,
მე შენ მოგიძღვნი სამყაროს -
ეს შემეძლება თუ კი მე!

გზა შენამდე შორია,
გზები არ არს მიუვალი!
მე შენ ისე შემიყვარდი,
როგორც ბოდლერს დიუვალი!

ხო, გიჟი ვარ და შლილი,
ჩემს ფიქრებში დაგხატეო,
ტილოს ფარდას რომ ჩამოხსნი,
მიმამგვანებ ამადეოსს!

ბოლოს გეტყვი, რომ
ჩვენ გვქონდეს ერთმანეთის რწმენა,
მე ხომ ისე შემიყვარდი,
როგორც ადამს ევა!...

მე მაინც ყველგან შენი სახე მელანდებოდა

მათბობდა, როგორც ნაწვიმარ ფოთოლს,
ღრუბლიდან სხივი და ზღვის ტალღები, ჩემს ფიქრებს რომ ეხეთქებოდა...
როგორც თბილ ქვეყნებს მიმავალი ფრინველთა მწკრივი,
ფიქრებში გართულს სიმარტოვემ დაიზამთრა უშენოდ.

ვფრთხილობდი, როგორც ფეხადგმული, პატარა ბავშვი
და, შეშინებულს, სამალავი არსად მხვდებოდა.
როგორც მეზღვაურს ვებერთელა ტალღებით ნავში,
ჰორიზონტიდან სანაპირო არც კი ჩნდებოდა.

ვითხოვდი სითბოს ხელგაწვდილი, როგორც გლახაკი
და გასამრჯელოდ სიძულვილი ლუკმად მრჩებოდა.
ფუნჯებით ტილოს ავტოპორტრეტს ისე ვხატავდი,
სარკიდან უცხო ანარეკლი მაინც მხვდებოდა...

მენატრებოდა, მჭირდებოდა, მაინც რამდენი?
ფანჯრის დარაბებს წვიმის წვეთი ენატრებოდა
და როგორც შეშლილს, შეურაცხადს, ყველგან განდევნილს,
მე მაინც ყველგან შენი სახე მელანდებოდა...

კვლავ დავაბიჯებ დედამიწას

კვლავ დავაბიჯებ დედამიწას, უცხო მგზავრივით
და გასასვლელიც, სამყაროდან, მხოლოდ ერთია.
... და ეპიზოდებს კვლავ ვიხსენებ, განვლილ ცხოვრების,
უკან რაც მრჩება აღარ მადარდებს, ეს სულერთია.

... და ლაბირინთებს, ბილიკებად, გზაზე მოფენილს,
გავდივარ, როგორც უსინათლო, ფრთხილად, დერეფნებს.
კვლავ მიახლებენ ძველ იარებს, თითქმის მორჩენილს,
ვხედავ ჩემ ირგვლივ ყოველივე როგორ იცვლის ფერს.

მთვარიან ღამეს, ჩემს ანარეკლს კვლავ ვერიდები,
ან შენს ტკივილებს, შენ გარდა, თქვი, სხვა ვინ იდარდებს,
... და, უიმედოდ დარჩენილი, ხავსს ვეჭიდები
და იმედი მაქვს, რომ ოდესღაც გამოიდარებს.

კვლავ დავაბიჯებ დედამიწას უცხო მგზავრივით,
ვეძებ და ვპოვებ იმედი მაქვს, ალბათ, დანარჩენს,
ვით მსჯავრდებული, მოლოდინში ფიქრით დაღლილი,
კვლავ უსასრულოდ ველოდები ბედის განაჩენს...

მე, მთვარე და გალაკტიონი.

მოხუცი კაცი გვერდით მიზის,
ცოტა არეული;
... და საუბარში შემოგვეცალა ღვინის ბოთლები!
ორივე თითქოს ღამენათევს ვგავართ,
მთვარეულს!
შემოდგომაა ოცნებებად ცვივა ფოთლები.
კითხულობს საათს,
ღამის სამსაც გადასცდა უკვე,
მიყვება ქალზე, მგონი მერი, თუ სწორად მახსოვს...
მთვარეც მშვიდია,
მორიდებით გვინათებს ღამეს
და ეს სასმელიც,
თეთრ ღამესთან ერთად რომ გვათრობს!
,,უსიყვარულოდ,
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,"-
თქვა და სასმელი,
ჭიქა ღვინო მაღლა ასწია,
ლურჯა ცხენები!...
,,ირგვლივ ყველა კარი დარაზეთ"...
... და, მორიდებით,
მთვარისაკენ მზერით გასწია.
ხშირად ახსენებს მესაფლავეს,
ამბობს, რა იცის,
რჩევად მარიგებს,
რომ მიყვარდეს მთელი სამყარო!
უეცრად
დგება, ხელებს შლის და
ხმამაღლა ყვირის,
რომ პოეზიის შემოქმედი და მეფე ვარო!!!
ვუსმენდი კრძალვით ყველა სიტყვას,
გრძნობით ნაფერებს,
მე გათენების არც კი მქონდა დიდი სურვილი.
კვლავ დაღლილ თვალებს,
მერამდენე ღამენათენებს,
და რამდენ სათქმელს დაიტევდა ჩემი დუმილი.
მონეტას ვაგდებთ,
ძირს ეცემა, კვლავ არიოლი,
შემოგვეპარა ისე ჩუმად თავს ალიონი,
გვესაუბრება მის წარსულზე ბრძენი რიონი!
ვიყავით სამნი: მე, მთვარე და გალაკტიონი!

სიზმარი

ღამე ნისლში გახვეულა, თითქოს წვიმას აპირებს,
სიზმარია თუ ეს ცხადი გარჩევას არ ვაპირებ.
ვუყურებდი, როგორ ქროდა ქარი, უხმოდ, ქუჩებში,
და თუ როგორ ჩერდებოდა წამი ხანგრძლივ წუთებში.

საუბრობდა ყველა აზრი, თურმე გრძნობაც ჰქონიათ,
მათაც სტკივათ, მათაც უყვართ, საგნები რომ გვგონია.
ვუყურებდი, როგორ გრძნობდნენ ქარი, წვიმა ერთმანეთს,
...და ვიჯექი გაოგნებით, ვერ ვხვდებოდი ვერაფერს.

ვუყურებდი ერთ მოხუც კაცს, დიდ ტკივილს რომ მალავდა.
მის სახეზე ნაზი წვიმა ცრემლებს რომ უფარავდა,
ვუყურებდი, რაც აქამდე არ მინახავს არასდროს,
ღმერთო, გთხოვ რომ ეს სიზმარი არ დამთავრდეს, არა, გთხოვ!

ვუყურებდი, ალიონზე რომ დაჰქროდა თოლია,
ასე დიდი, ასე ტკბილი, გრძნობა ჯერ არ მქონია.
ვუყურებდი გალაკტიონს, ჩახუტებულს მერიზე,
მოხდენილად რომ ცეკვავდნენ სამეფოში, მეჯლისზე.

ვუყურებდი ბუნებაში მოსეირნე ფიროსმანს,
დუქნის ნაცვლად მაღალ ცაში რომ ხატავდა მდინარეს.
ამ სიზმარში ერთი რაღაც დამაკლდა,
ამ სიზმარში ერთი რაღაც ვინანე!

ის მოხუცი, დიდ ტკივილს რომ მალავდა,
ის მოხუცი, დიდი გრძნობებით სავსე,
ამ სიზმარში მე ვხედავდი ყველაფერს,
მოხუცი კი ვერსად ვერ დავინახე!

გადავეშვი ოცნებების მორევში,
ვეძებ მოხუცს, რომელიც არ მინახავს!
თქვენს სიზმრებში თუ იპოვით ოდესმე,
მეც მითხარით რომ მას ვკითხო: “ვინა ხარ?”

ღამე მთვარეული

ღამე მთვარეული, ცხოვრებაც არეული,
უკვე არაფერი მაშინებს.
მომავლის იმედიც – ნახევრადწართმეული,
მხოლოდ უშენობა მაშინებს.

ჩემიდან წასულს ისევ სიმარტოვე,
მხოლოდ შენთან ყოფნა მინდება,
კითხვაზე არ მპასუხობ, რატომ მიმატოვე,
უბრალოდ, სიმარტოვე გინდება.

საათზე ვიხედები დრო არის არეული,
წუთებს წამები რომ აჩერებს,
შენ კი მონატრება – თითქოს წართმეული,
მე კი სინანული მახველებს!

ამდენი ტკივილი და ამდენი სიმარტოვე,
კიდევ ბევრი დამრჩა, გავიგო.
ნუთუ ამის მეტი სხვა არ მაწერია,
ბედისწერავ, დაასხი დავლიოთ!

სხეულში დამწყვდეული
მარტო სული ვარ და,
რომელსაც, სადაც უნდა, მატარებს,
ცხოვრებავ, ამის გარდა მეტი რაღა გინდა,
ეს ყოველივე ხომ გახარებს.

რამდენი დღე და რამდენი ღამე,
რამდენი წუთი დამრჩა არ ვიცი.
ისევ ნახევრად ანათებს მთვარე,
მხოლოდ ერთ რაღაცას განვიცდი.

ისევ ყურადღებით მისმენ? უკვე გვიანია,
შენთან თამაშიდან გავედი!
ჩემიდან მომავალი შენ ხომ წაიყვანე,
ახლა მე შენიდან წავედი!

ცხოვრების ნიღბები

იხსნება ცხოვრების შავ-თეთრი ფარდები,
სცენაზე ავდივარ!
ამდენ მსახიობს გული რომ ხედავს, მითხარ,
რასა გრძნობს?
ზოგი ნიღაბი მხიარულია, ზოგიც მტირალი,
მაგრამ ნიღბის უკან ისევ ვიღაცა
ჩუმად თამაშობს!..

გამეფებულა ახლა ჩვენთან ფარისევლობა,
ამპარტავნობა, ტყუილი და გრძნობა – ნაკლები.
აბა, მითხარით, თუ რა არის ჩვენი ცხოვრება,
წუთისოფელი, ეპიზოდი, რაღაც კადრები!

სადაც ვცხოვრობთ, სადაც ვსუნთქავთ,
სადაც დავდივართ,
კულისებს მიღმა ვიმალებით რაღაც წამები.
მრავალ როლს ვირგებთ ამ ცხოვრებაში
ასე მარტივად
და მივუხურეთ რეალობას თვალწინ კარები!

რომ შეიცვალა ყოველივე დრო და ეპოქა,
მორჩა თამაში, სადღაც მინდა მარტო წავიდე!
ნიღბების დასტა, კოლექცია რაც მაქვს, მეყოფა,
ამ თამაშიდან საბოლოოდ მინდა, გავიდე!

მაგრამ რატომღაც მე ამ ხალხმა ნიღბით გამიცნო
და წარსულიდან რეალური თქვენთან მოვედი.
ერთი კითხვა მაქვს, საბოლოოდ მინდა, გავიგო!
მე არ მჭირდება თქვენი გრამპრი, ჩინი, ორდერი!

უბრალოდ კარგად, ყველაფრისთვის
მადლობელი ვარ,
მინდა გამეგო თქვენი აზრი, ხოდა გავიგე!
ჩემი ნიღბები საბოლოოდ წარსულს ჩაჰბარდა,
ხოდა ამიტომ მე ცხოვრებას ახლიდან ვიწყებ.

ჩუმია ღამე

ჩუმია ღამე, ჩუმი, ისე, როგორც არასდროს,
ოთახში ისევ ზის სიბნელე და პოეზია,
ჭიქა სასმელი, არყის ბოთლი, იქვე წაქცეულ,
და ეს წყეული ისევ და ისევ კვლავ მომერია.

აბა, ვინ იცის, როგორ ვებრძვი ჩემში დემონებს!
მე სულ ჩუმად ვარ, ხმას არ ვიღებ რა მარტივია.
უმტკივნეულოდ, ისე მშვიდად ვკარგავ მეგობრებს,
მოგონებებიც კვლავ გაცივდნენ, აღარ ტირიან.

ღამეც ჩუმია, ჩუმი, ისე, როგორც არასდროს.
მთვარის ლანდებში ვემალები ისევ აჩრდილებს,
და როცა მტკივა, ველოდები, მე ვინ გამათბობს,
მაგრამ ტყუილად, რადგან მოსვლას არვინ აპირებს.

ღამეც ჩუმია, ჩუმი, ისე როგორც არასდროს.
და გაურკვევლად ეფინება ფურცელს მელანი.
მე, ვერვინ მიგებს რა საჭიროა, თუნდაც ან რატომ?
ბარათაშვილის, მიმაქროლებს ისევ მერანი!

მე ასე ვფიქრობ, ასე ვხედავ, ასე ვაბოდებ!
მე თვალებს ვხუჭავ და წყენებიც თითქოს არც მახსოვს.
ეს ემოცია ჩემში გრძნობებს ისე აორებს,
ღამეც ჩუმია, ჩუმი, ისე, როგორც არასდროს!

საქართველო

მამა-პაპების დანატოვარი,
ჩვენთვის ყოველთვის სანაქებოა.
ქართული სულის მონაპოვარი
ჩვენი სამშობლო საქართველოა!

სადაც ცხოვრობდნენ დიდი ქართველნი!
სადაც მიწაზე ფეხი დაუდგამთ,
მათი ვაჟკაცი გულის მფარველი,
ზეცას შვილები გულში ჩაუკრავს!

ასე ლამაზი სამშობლოს შვილებს
გული უაბჯროდ, ბევრჯერ დაუცავთ!
... და ვაჟკაცურად დაღუპულ გმირებს
ხმალი ქარქაშში არც კი ჩაუკრავთ!

ქართველი დედის დალოცვილ შვილებს
რწმენა, იმედი გულს უმაგრებდათ.
ძველი ჩონგურის მომღერალ სიმებს
მტერი - ჯაბანი ვერას აკლებდა!

რადგან სიმღერა, ქართველი ხალხის,
არის რწმენა და თავისუფლება,
მათი ხმამაღალ ბგერების ძახილს,
ვერვინ აჩერებს, არ აქვთ უფლება!

ცა და ბუნება ზეცას აორებს,
აერთიანებს უსასრულობას,
რა შეედრება მხატვრულ მთაგორებს,
არწივი გვიწევს ცად მეგზურობას.

მეფე დავითის, თამარის მხარეს,
ლაჟვარდსხივები ამობრწყინდება
და მამაცურად შემოჰკრენ ზარებს,
ხო, იბერია კვლავ გაბრწყინდება!

წმინდა გიორგის მადლით მოსილებს,
გმირად სიკვდილი სანატრელია!
ქართველი დედის მუცლად შობილებს,
მათ გაუმარჯოთ, ვინც ქართველია!

ეს პატივია - იყო ქართველი,
ძარღვში გიჩქეფდეს ქართული სული!
მუდამ ბრძოლაში იყო ჩართული,
რეალობაა, არ არის მითი!

ზოგჯერ ვაჟკაცნი, ქართულ ჯვრით ხელში,
უიარაღოდ ბრძოლას წასულან,
რადგან მამულის სითბო მათ მკერდში
სიცოცხლეზე წინ, რომ გადასულა!

მამა-პაპების დანატოვარი,
ჩვენთვის ყოველთვის სანაქებოა!
ქართული სულის მონაპოვარი
ჩვენი სამშობლო საქართველოა!

მე დედამიწა აღარ მჭირდება

ყოველი საღამო მუსიკა, რადიოს შრიალი ოთახში ირევა,
კვამლი, სიგარის, ლამპიონების შუქი ისევ ოთახს მინათებს.
მძინარე ქალაქის მძინარ ქუჩებში გავლა მინდება,
მაგრამ არავინ უკვე გვერდით აღარ მიკარებს!

ვესაუბრები მხოლოდ ღამეს, ფიქრებში გართულს,
და ჩემს ავტოპორტრერტს ვხატავ სარკიდან ისევ სიტყვებად.
ვერსად ვერ ვხედავ მონდომებას, ნაბიჯს, გადადგმულს,
ხო, ჩემი აზრი, ანდა ლექსები ვის რად სჭირდება!

ვხედავ ვიცვლები, ვეღარ მიგებენ ვერც მეგობრები,
ყველამ სხვა თვალით რომ დამიწყო უკვე ყურება.
ერთგულ მეგობრად ღამე დამრჩა, განვმეორდები,
მხოლოდ მას ესმის ჩემი გრძნობების, ისიც უთქმელად!

მინდა, წავიდე, სადღაც შორს რომ გადავიკარგო,
მინდა, მოვშორდე დედამიწას, აღარ მჭირდება!
... და იქ წასულმა აღარ მინდა, რამე ვიდარდო
ან ეს ცხოვრება რამე უკეთესს ნეტავ გვპირდება?!

კვამლი, სიგარის, დაორთქლილ ფანჯრებს კვლავ აფერადებს,
ყოველი საღამო, მუსიკა, რადიოს შრიალი აღარ ჩერდება!
...და პოეზია? – როგორც ღვინო მიპყრობს, თან ღამენათევს,
მე მინდა, ვწერო, რასაც ვხედავ, არ მომბეზრდება.

მერე იტყვიან, დამცინებენ, გადამივლიან,
და მიმაწერენ ყველა ცოდვას და დანაშაულს,
ვიცი ცუდ გზაზე არასოდეს არ გამივლია,
მაგრამ მათ უნდათ შავ სიაში რომ გამაშავონ...

ყოველი საღამო, უკვე სიჩუმე ოთახის კუთხეში.
ზის სიმარტოვე, ჩამქრალ ლამპიონს ფიქრი უნდება,
კვამლი, სიგარის, დაორთქლილ ფანჯრებს კვლავ აფერადებს,
კარგად, წავედი! მე – დედამიწა?! – აღარ მჭირდება!!!

მარტო ქუჩაში

წვიმიან ამინდს მიდიოდი მარტო ქუჩაში,
წვიმის წვეთები გეცემოდა ტანზე, ლანდებად.
ვიცი, არ ვუნდოდი შენსა გულს მაშინ, მაგრამ,
შენი სახე ყოველ ღამით მე მელანდება.

მარტოდ მიმავალს გზას გიკვლევდა მდუმარე მთვარე,
ფიქრებში გართულს გულზე გაწვა შენ დიდი სევდა.
თავს დაგცქეროდა იდუმალი გრძნობებით ღამე,
ქარი ფოთლებს კი გაუჩერებლივ კვლავ რომ არხევდა.

შენ აგდიოდა ყვავილივით ნაზი სურნელი,
წვიმის წვეთები შენს თვალებზე ცრემლად ქრებოდა.
ქარი შენს სახელს სიყვარულით ისე მღეროდა,
თითქოს შენ გარდა სხვა ქალბატონს აღარ ელოდა.

როგორც აჩრდილი, მე დაგდევდი ცრემლმორეული,
შენი გრძნობებით მოთამაშის ვარ ორეული.
მე ის წვიმა ვარ, შენს თვალებზე ცრემლად რომ ვქრები,
მე ის ქარი ვარ, შენს სახელს რომ ხმამაღლა ვმღერი.

მე ის ღამე ვარ, იდუმალი გრძნობებით სავსე,
მე ის მთვარე ვარ, გზას რომ გიკვლევდა მდუმარე ღამეს.
ეს ყველაფერი შენთვის ვიყავ, ჩემო ლამაზო!
ჩემი სიტყვები, ცრემლმორეული, ვიცი, არ გახსოვს.
გთხოვ, დამელოდო, მომისმინო, მხოლოდ ამას გთხოვ,
მე შეგიყვარე და მეყვარები, როგორც არასდროს!



სოფიო ღლონტი – მსახიობი, ხელოვნებათმცოდნე, გერმანისტი;
დაბადების ადგილი – ოზურგეთი.

*****

ეს მერამდენედ ფათერაკობს ქარი, შრიალა,
შეაკრთობს ხევებს, კვლავ უმიზნო, ურჩი ხეტებით,
სულის ნიმფებმა გამოსტაცეს ბახუსს ფიალა
და მოაჩვენეს უდაბნოს მზეს ლურჯი ხედები...
ეს მერამდენედ აურია აურზაურით,
შრიალ-შრიალით, ზათქა-ზუთქით კედლებს აწყდება,
აღარ მაკვირვებს, აღარ მტანჯავს დღეს ეს ხმაური,
რომ არ იდარებს, არც ამაზე გული არ მწყდება...
აქ, ამ ქაოსში, მე ყინულის ლოდებს ვაგროვებ,
ვათბობ ჩემს მკლავზე, სისხლის არცთუ მკვეთრი დინებით
და ვულკანებად ამოვხეთქავ უკვე ნაგროვებს,
დღეს პოეზიის ცეცხლის წვიმად ჩამოვდინდები...
ო, ეს ქარები, კვლავ იქროლოს რექვიემებად,
თუნდ „ტარანტელა“ წაუცეკვოს წყალთა ბილიკებს,
დღეს მე დავინჩის „ცრუ ღიმილი“ მეიმედება,
ჩუმი მდინარეც ადიდდა და ლაღად ლიკლიკებს...
ეს მერამდენედ ფათერაკობს ქარი, შრიალა,
მუზაც დამიფრთხო სუსხიანი, ცივი ხელებით
და ეს ლექსებიც ფანტელებად ააფრიალა,
მე კი უმიზნოდ, უგზო-უკვლოდ დავეხეტები...
ეს მერამდენედ ფათერაკობს ქარი შრიალა....

*****

დაობლებულა სახლი, ეზო-კარი და ოდა,
უნაფეხურო თოვლზე ფიფქიც ფრთხილობს და
კრთება,
სიოც არ იძვრის ახლა, უწინ რომ ქარად ქროდა,
მზეც ესვენება, სოფლის, თანდათან, ნება-ნება...
საკვამურიდან ღადარს, ღაფავს, ამოსდის სული,
იქვე მეზობლის ძაღლი ისევ აგრძელებს
წკავწკავს,
მისტირის თავის პატრონს, რომელიც
ცხოვრობს ქალაქს
და მოლოდინით დაღლილ მიწას ქექავს და
კაწრავს...
დაობლებულა სახლი, ეზო, კარი და ოდა,
ჰაერიც გაჟღენთილა სურნელით, მარტოობის,
ხავსმოდებული სახლი თითქოს იღიმის ოდნავ,
ვერშესამჩნევი ცრემლით და კაეშანით,
ობლის...
დაუმეგობრდა სევდა მაინც მედიდურ კოლხეთს,
წარბაზიდული უმზერს მთვლემარე სოფლის
შარას,
იქნებ დაბრუნდეს კაცი,
            იქნებ დაბრუნდეს კაცი,
                    იქნებ დაბრუნდეს ჩქარა!...

*****

დამესიზმრა... მეხვეოდა თოლიების გუნდი
და ავყევი ზეცისაკენ ფრინველების წყობას,
ჩემო კარგო, თუ ოდესმე ისევ დამიბრუნდი,
დავივიწყოთ სამუდამოდ სიძულვილი, წყრომა...
დამესიზმრე... ამ სიზმარში გიპოვე და გაქრი,
ავედევნე საძებნელად შენკენ ქარებს, აშარს,
ღამით მთვარემ მომანათა ძველისძველი ჭრაქი,
შენი გზისკენ არაფერი, არაფერი არ ჩანს...

ვდგავარ ენგურთან

როგორ უხდება აისი ამ ცას...
ისე ჩაეშვა მზის სხივი ტბაში,
გავოცდი, როგორ შემოჰკრა კაცმა
ბავშვივით, მიამიტურად ტაში...
როგორ უხდება დაისი ამ ცას...
სხივი, რომელიც ჩაყლაპა რიწამ,
დიოსკურია, ვითარცა ჯვარცმა,
სისხლით მორწყული გოლგოთის მიწა.
ვფიცავ, სამშობლოს დღეს ვეღარ ვიცავ,
წვიმა ცრემლებად ეღვრება კოლხეთს,
ლოდს, მოძახილით გაალღობს „ციცა”,
ძმებში ჩამომდგარ სიცივეს, ოხერს...
ვდგავარ ენგურთან, წინ მიდევს ხიდი,
ამ ბეწვის ხიდზე არ ვშიშობ გავლას,
ო, აფხაზეთო, ოდითგან მჭირდი,
სოხუმო, გალო, გულრიფშო, გაგრა...
მიხმობს ახალი ათონის მღვიმეც,
აბსკრილის მღვიმე, ბედია, დრანდა,
მწამს, სამეგობროდ შემხვდება ვინმე,
თანაც, გზად უკვე შემომაღამდა...
როგორ უხდება აისი ამ ცას...
ისე ჩაეშვა მზის სხივი ტბაში,
გავოცდი, როგორ შემოჰკრა კაცმა
ბავშვივით, მიამიტურად ტაში...
მიდიხარ, ფეხდაფეხ მიგყვები,
ლანდივით დაგდევ და მალულად
ვიჭრები შენს საწოლ ოთახში,
შენს მკლავზე რომ თვალი მივლულო,
შენს სუნთქვას ჩემს სუნთქვად გარდავქმნი,
ჩემს სხეულს შენს სხეულს მოვაცვამ
და თითებს, შენს ხელზე ჩამოქნილს,
შევყურებ ვითარცა ავაზა,
სიმშვიდედაკარგულ თვალებში
ჩინივით მაკლდება სიმორცხვეც,
ჩვენ გვნუსხავს ვნებების თარეშით
მოჯადოებული სიცოცხლე;
მოდიხარ, მე ისევ მოგყვები,
მოვდევ და ვევნები ქარიშხალს,
ვით მნათე, გზამკვლევი მოგვების,
არ გტოვებ, შენთან ვარ, მხარიმხარ!

***

რა ძვირფასია პანტომიმით საუბარი შენთან, ჩარლი,
თვალისჩინი, რომელიც არ გამაჩნია, არ მენაღვლება.
განა მარტო თვალები ხედავს სამყაროს და შენ?
ჩარლი, შენი ხელები, ო, რა ხელები, თბილი და
ცახცახა...
ვხედავ, როგორ განიცდი ჩემ მიმართ დაუოკებელ
სიბრალულს,
ვინ იცის შენსავით, რომ ეს ცხოვრება ჩინია თვალის
და კიდევ რამდენი რამის, ვინ ჩამოთვლის..
მთავარია, ვიცით, რომ წუთისოფელი ჩინ-მედლებითაა
განპირობებული და მე შენში არ ვეძებ მას,
ისე როგორც შენ არ ეძებ ჩემს თვალებში ჩინს.
ხელკავი, შენი მკლავი ყველაზე საიმედო
ყავარჯენია და შემომიდექი, გთხოვ...
ახლა მე ვხედავ ყვავილებს, რომელიც
მხოლოდ სურნელით შემეძლო მეცნო...
როგორი გულწრფელი ხარ, ჩარლი,
მეტირება შენს თანამგრძნობ ღიმილზე,
რომელსაც ხელებით ვხაზავ და ვსწავლობ.
ჩარლი, ჩარლი, ჩარლი, მიყვარს ჩვენი სამყარო,
ბედისწერა თუ თავისუფლება,
რომელსაც მჩუქნი და ნიღაბი,
რომელსაც ხელებით ვგრძნობ,
როცა ღიმილის და ტირილისას
ვხაზავ ისევ ჩემი ხელისცეცებით...
ალბათ, ჩვენთვისაა პანტომიმა, ჩარლი,
ალბათ, ჩემსავით უჩინო და
ზოგიერთივით უებრო თუ შესწვდება მას.
გენიალურია სიჩუმე; გენიალურია,
როდესაც თვალები გაქვს და ვერ ხედავ.
სინამდვილეში ხომ ყველაზე მეტის თქმა
და დანახვაა შესაძლებელი პანტომიმით?
ამიტომ მიყვარხარ, ჩარლი. შენია ეს ყველაფერი...
დაე, მაწანწალა, ბრმა და
ნებისმიერი ეპითეტი შეგვირჩიონ სხვებმა...
გაუმარჯოს დუმილის ხელოვნებას, ჩარლი...
მანამდე მოდი, ხელი ჩამკიდე...

*****

ნამთვრალევი და გალეშილი
წვანან ხეები,
წვიმა კი დარდით ანაცრემლი ქუხს და
აწვიმებს,
მეხი კი ცაზე გაოცებით, განახევები,
ჭექა-ქუხილით აფრთხობს ლაღ და
ამაყ არწივებს.
განაცრისფერდა, მოიქუფრა ზეცა
ნაღველით
და ყველაფერი დაემსგავსა მიწას
სევდიანს,
დღეს ბულბულების გალობასაც
უკვე არ ველი,
დღეს მარტოსულნი კვლავ ირჩევენ
მარტოდ ხეტიალს...
მალე ნაცარი დაეყრება დანთებულ
კოცონს,
ისევ ფაცი-ფუცს მოჰყვებიან მთებზე
ქარები,
ჩემს სულს კი ღელვა, ჩუმი შფოთი
მით უფრო მოსწონს,
ვიდრე სამყაროს საფლავის ქვას
შევეფარები...

****

რაღა მოვუხერხო ზამთრის გულის
ფეთქვას,
თოვლით გადამტვრეულ ტოტებს,
ბებერ, შემოძარცვულ, შიშველ ატმის
ხესთან
უკვე გაზაფხული გოდებს...
რაღა მოვუხერხო ფესვებს, უკვე
გამხმარს,
მობეზრებულსა და დაღლილს?
როს ჩუმად იშუშებს ტკივილებს ახლა
ზამთარგამოვლილი ბაღი...

იუდას მონოლოგი

წაიღეთ ვერცხლი, მომაშორეთ თვალთაგან ახლა!
შემჯავრდა ჩემი უმადური მოდგმა და ჯიში!
ვერ ვუძლებ ტკივილს, რაც იმ ღამის სინანულს ახლავს,
ვწყევლი იმ წუთებს, რომ ამქვეყნად დაცემით ვიშვი!
მე ვგმობ ჩემს ბაგეს, რადგან უფალს შეჰკადრა კოცნა,
იმავე ბაგემ იცრუა და გაჰყიდა მხსნელი,
რატომ არ გასკდა დედამიწა მაშინაც, როცა
ოცდაათ ვერცხლით რომ ავივსე მემრუშე ხელი!
შენდობას ვერა, ვერ შეგკადრებ უფალო, რადგან
ვერც წმინდა ტრაპეზს შევექეცი კრძალვით და კდემით,
არა ვარ ღირსი, წმინდა მიწას მე ფეხს რომ ვადგამ,
დავპატარავდი ერთ ღამეში დავბერდი, ვკვდები...
ვიცი, რომ მერე მატიანეც შემრაცხავს მტრად და
შთამომავლობა გაიხსენებს იუდას კრულვით,
თურმე რამხელა ბოროტების ჩადენა მწადდა,
სისასტიკეა, მკერდში მიცემს უგვანო გული...
წაიღეთ ვერცხლი, მომაშორეთ თვალთაგან ამ წამს,
ასე რომ გაქრა წმინდა სული, ფარფატა მტრედი,
ჩემი სიცოცხლე მსურს მივანდო თოკსა და ბაწარს,
სადმე ხეზე მსურს ჩამოვკიდო ჩემივე ბედი...
წაიღეთ ვერცხლი, წაიღეთ ვერცხლი, წაიღეთ ვერცხლი...

***

ქარი მე შენს სიყვარულში მეცილება,
მე გეკრძალვი, ის კი დაგდევს უკვე წლობით,
იქნებ შენთან მოსვლის შენვე მიეც ნება?....
რომ გაკოცოს, მე უთუოდ შევიშლები...
ვიცი, თმებსაც აგიწეწავს ზოგჯერ იგი,
ვნებიანად დაგიკოცნის სახის ოვალს,
არ მაშინებს მისი ქროლა და ავდარი,
მიყვარხარ და მე შენამდე მაინც მოვალ!
დგას გვიანი შემოდგომა, თუმცა ახლა
თვითონ მე ვარ წვიმა, თქეში, ქროლვა – ქარის,
ჩემს სიყვარულს გახელების ვნება ახლავს,
თუმცა, როგორც თოთო ბავშვი, წმინდა არის...
ქარი მე შენს სიყვარულში მეცილება,
თუმცა ქარი, ჰო... ძვირფასო...თვითონ მე ვარ!

***

რა მომპარე ბოშა ქალო?
იქნებ რამე თილისმა,
მგონი კიდეც შემაჩვენე –
„არ გეღირსოს შინ მისვლა"!
ჯადოქარო, რა მომპარე,
ჩემი ბედის შეგშურდა?
იქნებ ხელზე წაკითხული
ნაბოდვარი შესრულდა...
რა მომპარე, ბოშა ქალო,
მივხვდი, ბედის რჩეული,
შენ იმედით სავსე დარჩი
მე კი ხელჩაქნეული.

***

ნუ გამანადგურებ,
ვერ შემქმნი ახლიდან,
ისედაც ქალური სისუსტით ვბანცალებ,
მეგონა, ადამი ჩემ წინ
თავს დახრიდა,
ახლა კი, გათელილს,
სიკვდილი მაცალეთ...
ქალებს ხომ თან დაგვყვა
ზღაპრებზე ოცნება,
მოგონილ რაინდებს წაექცათ რაშები,
ქალწულის შემქმნელი უფალი ოცდება,
მოგვძახის: „ო, ადამ, შეჩერდი, რას
შვრები?!"
ნუ გამანადგურებ, ამით ხარ ძლიერი,
მე ბევრი არ მინდა, მსურს მხოლოდ ქალობა,
მხოლოდ ჩემს რაინდთან ვიყო ბედნიერი,
ველოდო სამოთხეს, როგორც ღვთის
წყალობას...
ნუ გამანადგურებ, ვერ შემქმნი ახლიდან,
ისედაც ქალური სისუსტით ვბანცალებ,
მეგონა, ადამი ჩემ წინ თავს დახრიდა,
ახლა კი, გათელილს,
სიკვდილი მაცალეთ!

ნუკრი ლობჟანიძე – აგრონომი;
დაბადების ადგილი – საჩხერე სოფ. ჯრია.

* * *

როგორ უნდა დაივიწყო,
მინდორს რომ ვღობავდით ქვებით,
სამწყემსურში წასულ ბავშვებს,
გვეშინოდა დათვის, მგელის...
ჯორსამეთის აღმართს ბევრჯერ,
ავყოლილვართ დღეში ხუთჯერ,
წყაროების მოვაკება,
იყო ჩვენი ჩიტის ბუდე...
ნოშოს კარვებს ავაგებდით,
ყველას თვისი გვქონდა კერა,
ნეტავ იმ დროს, სუფრას მარჯვედ,
კარვების წინ, ვშლიდით ყველა.
ბატი, ღორი, ცხვარი, ძროხა,
სამწყემსური გვქონდა ერთი,
სადილს როცა მოვრჩებოდით,
წიგნი სკოლის გვეწყო გვერდით.
არ ვცდებოდით არც მინდორში,
ვკითხულობდით, ვწერდით ქვაზე,
მზის გადახრა დასავლისკენ,
გვიხაროდა მაშინ ძალზე...
და ვითვლიდით წამებს, წუთებს,
სახლისაკენ გვექნა პირი,
ცოდნითა და შრომით დაღლილთ,
შინ გველოდა ტკბილი ძილი!!!
ნეტავ იმ დროს, დედის ალერსს
ჩახუტება, სითბოც ჰქონდა,
მაშინ ვერც კი ვიფიქრებდი,
თუ დავწერდი მოსაგონარს!!!

* * *

ზოგისი ოქროც არა სჩანს,
ზოგის ფერიც სჩანს ბამბის,
ზოგის უგულო სიცილი,
თვალებში ნაცარს გვაყრის...
ზოგი ტყემლის ხის კვაწარახს,
შემოგვაპარებს ატმად,
აღარც ილორი ადარდებს,
აღარც ლიახვის ჭალა!
ეს რა ცუდ დღეში ჩავვარდით,
მტერს მტრულად ვეღარ ვხედავთ,
ცალ ხელში ხმალი გვეჭირა,
თასი მივართვით ყველას...
აივსო დედათბილისი,
ამერ-იმერის კერა,
თურქი, სელჩუკი, არაბი
შემოგვესია ერთად!
ტაოს და ხახულს კი არა,
რაც შეგვრჩა ვეღარ ვუვლით,
გუშინ გარეჯი წაგვართვეს,
ძაღლ იყოს იმათ სულში!
ვინც მამულისთვის ერთობას
ოცდაათ ვერცხლად ყიდის,
რაც დავუშავეთ ზვიადის,
შედეგსაც, აგერ, ვიმკით...
გადიდკაცება ერისა
არც რო მოგვიტანს შედეგს,
ასეთ ყოფაში არც ვიცით,
თუ რა იქნება შემდეგ!!!

* * *

ვაზი, აჭრილი მტრის ხელით,
ბევრჯერ გაშენდა ახლიდან.
რამდენჯერ ციხეს, დანგრეულს,
ვქმნიდით, ვძერწავდით თავიდან.
ხატს ისე გადავმალავდით,
მტერს რომ არსაით მიეგნო,
ქართული სულის პატრონი
ვზრდიდით გმირებად შვილებს რო,
თავის განწირვაც ვიცოდით,
ვდუღდით, ხმალს ისე ვიქნევდით,
მიტომ გვყავს ბერი თევდორე
და უსახელო გმირებიც!!!
ათასჯერ, ათიათასჯერ,
სისხლი გვიღვრია რამდენი
და, გულდათუთქულს, რამდენჯერ
დედას ჩაუცვამს ძაძები...
ჭრიდნენ, გვინგრევდნენ, გვირბევდნენ
ვქმნიდით, ვიბრძოდით ახლიდან,
თურქი, სელჩუკი, არაბი,
წელში გვწყვიტავდა ხარკისგან.
მაინც ქართულად ვმღეროდით,
ვერ მოგვიშალეს ვერც კერა,
სამი ანბანის პატრონი,
სიტყვას ვამბობდით შვიდფერად!!!
მამულს და დედულს ვლოცავდით,
პირჯვარს ვსახავდუთ ლუკმა-პურს
და მოვაღწიეთ აქამდე,
არ მოვუსპივართ ღვარძლს და შურს.
იხარე, მიწავ, ქართულო,
მოდგმავ, კოლხთა და იბერთა,
იბრწყინე კიდით კიდემდე,
რომ გაგვახარო ისეთად!!!

* * *

ეს რა გვჭირს, რა დღეში ჩავვარდით,
ვის ვთხოვოთ საშველი დღეიდან,
სამართალს არავინ კითხულობს,
ყველა სხვის დაკრულზე ვმღერივართ.
ნელ-ნელა გვაჩვევენ სხვის წესებს,
ქართული გენი და ჯილაგი
უნდათ, რომ ხელიდან წაგვგლიჯონ,
გუშინ სხვა ქართველნი ვიყავით!!!
სხვა სისხლი გვიდუღდა მკერდში და
სხვა სითბოს გაცემა ვიცოდით,
დღეს კი, დღეს რა ჭირი გვეტაკა,
ხალისიც არა გვაქვს სიცოცხლის.
ათასჯერ ხმალ-შუბით ნაომარს,
წინაპრის რიდს ვეღარ ვაფასებთ,
დიდგორის, მარაბდის მეომარს,
თუნდაც დღეს, შინდისის ვაჟკაცებს!
აღარ გვაქვს ის რიდი, ის ჟინი,
წინაპრებს როგორიც სჩვეოდათ,
სასმისიც ვერ შევსვით ისეთი,
ქართულიც ვერ ვქენით დღეობა...
ვაზის და ჭურ-მარნის სამშობლო
უწესოდ, ურწმუნოდ ვაქციეთ,
აღარც დიდოსტატი არა გვყავს,
არც ვდარდობთ ჩვენს ასეთ საქციელს.
ვერ ვქენით დავითის, თამარის,
დროშისქვეშ შეგვექმნა ყიჟინა,
ამიტომ ვმარცხდებით ამ დროსთან,
ამიტომ დავმარცხდით ბირთვისთან!
ჩვენ, ხმალჩაგებულებს ქარქაშში,
სიტყვის უფლებაც კი არ გვაქვს,
ლამის სულ შეგვჭამოს ურჯულომ
და გადამთიელთა პარპაშმა...
მიწის და პურ-ღვინის მოყვარულთ,
მივაგდეთ მიწაც და პურ-ღვინოც,
არავინ კითხულობს, თუ რა გვჭირს,
ყველა თავის გულში ღიღინობს.
გვიშველე, უფალო, გვიხსენი,
გვაცილე დემონი, ამდენი,
გვასწავლე გატანა ერთურთის,
გვაჩვენე სავალი, ნათელი!!!

* * *

გათენებას აღარ უჩანს ბოლო,
გაილია ეს ცხოვრება დარდში,
ის ცხოვრება მენატრება ეხლა,
უდარდელად რომ ვუძღოდი მარხილს.
დავიღალეთ, დავიღალეთ უკვე,
ვეღარ ვიგებთ მტყუნსა და მართალს,
საქართველო არწივების ბუდევ,
რუქაზეც კი ერთი ციდა ჩანხარ!
თუმც დიდი ხარ, თუმც გმირი ხარ მაინც,
როგორ უძლებ ამდენ ვაი პატრონს,
გარე მტერი არ გვყოფნიდა ვითომ,
შიდა მტერი შხამით, გესლით, გათრობს!
მაინც როდის გათენდება ნეტავ,
სამას გმირის, ცოტნეს ერო, ფრთხილად,
ერთმანეთი შევიყვაროთ როდის,
როცა ირგვლივ შავ გველეშაპს ღვიძავს.
აღმოცენდეს იქნებ ნეტავ მალე,
სიყვარულის ვინც ჩაყარა თესლი,
არტანუჯი არ გვყოფნიდა ვითომ,
რაღა გვქონდა დასაკარგი მეტი!
ერთობაში, გმირობაში ნაწრთობს,
დღეს სხვა გზა და სხვა სამყარო გველის,
უნდა გულით შეგიყვაროთ, თორემ
შენს მთაგორებს შეესევა მტერი!!!

* * *

სულში საქართველო მტკივა,
გულში საქართველო მეწვის.
ბევრჯერ გაგვიყიდეს მიწა,
ბევრჯერ მიგვიტოვეს ღმერთი!
ოქროს ველმინდვრების პატრონს,
სხვისი სამადლოო რა გვჭირს,
მაგრამ ვერ ვიქეცით სანდოდ,
ქართლს და საქართველოს გავცდით!
ჩვენი მივატოვეთ მიწა,
ჩვენი წარსული და აწყმო,
სხვისი მონობისთვის ეხლა
გულში ცოდვილ გეგმებს ვაწყობთ.
სოფლის აღარ გვინდა მიწა,
სხვისი უნდა ვკაფოთ ძეძვი,
სხვისას მოვუაროთ, მოხუცს,
ამ დროს მივატოვოთ ჩვენი!!!
ეს რა უპატრონოდ მყოფებს,
არც რა ნათელი გზა გვიჩანს,
ჩვენი ხელითავე ვჭედავთ,
ცოდვილს, ჩვენი კუბოს ფიცარს!!!
ამდენ გამყიდველის ხელში
ყვავთა კივილიღა გვახრჩობს,
თურქი, არაბი და ზანგი
ეხლა ჩვენს მიწაზე სახლობს...
სულში საქართველო მტკივა,
ღმერთო, გაგვიმრავლე ერი,
თორე ამ სამოთხის პატრონს,
გადაშენებაღა გველის!!!

* * *

ჯილდოები ფრიალებენ,
პრემიებიც ფულით მოდის,
პოეტებო, გამოფხიზლდით,
დღეს რაც ხდება, არის სწორი?!
ლექსის წერით პოეტობა
უშურველად ყველას ერგო,
ნუ გგონიათ, ქონი ერქვას,
ნამდვილად კი იყოს ერბო...
რამდენ რამეს ვცოდავთ ერთად.
ხმის გამღები არვინ არის,
უანგაროდ ვინც იღვაწა
მოახმაროს მშვიდობაში!!!
პოეტობა მოდად იქცა,
ამ დროს ლექსის არ აქვს წვდომა,
არ მიწყინოთ, სიმართლისთვის
სამართალიც მალე მოვა!!!

* * *

მოგონება დამჩემდა
ამ ბოლო დროს რატომღაც,
წარსულს ვეტრფი, ვერ ვხვდები,
რა დავტოვო სახსოვრად...
იანვარი მთავრდება,
დღეს დღე მოსდევს, უთოვლო,
ისე ჩუმად ღამდება,
მივეგდები უგონოდ!
ასე ბაცი ფერები
ბავშვობაში არ მახსოვს,
თოვლს ვაკვლევდით წელამდე,
თუმც ველოდით ახალ თოვლს.
სკოლისაკენ მიმავალთ
ფეხზე თბილად არც გვეცვა,
კარს გვიღებდა დარაჯი,
მუდამ მთენი ღამეთა.
შეშის ღუმელს გვინთებდა,
რომ გაგვეთბო ხელები,
მართლაც, როგორ მიყვარდა,
ძველებური მერხები!!!
სკოლის ზარის შემოკვრა,
სამჯერ, ოთხჯერ, გუგუნით,
გვაუწყებდა, რომ უკვე
დროა სწავლის სურვილის!
მახსოვს, რა დამავიწყებს,
ზამთრის სუსხს და სიცივეს,
მაგრამ ყველას გვიყვარდა,
მეგობრობაც, სიგიჟეც.
ნეტავ რამ დამავიწყოს
სკოლის ეზო-გარემო,
შოთა - სკოლის თვალი და
კოლექტივი - საერთო...
მერი - ერთი, არადა
ორიც გვყავდა სკოლაში,
კატო - გმირი დედა და
თავმომწონე გულნაზი,
ლუდა, ვარდენ, ცეზარი,
კაკო, ზაქრო, ვენერა,
რუბენ, მიშა... ვინ მოთვლის,
გზა გვიკვლიეს სულყველამ!
ცოდნის მცირე ნასახი
თუ რამე გვაქვს, მათგან გვაქვს,
მუდამ მოსაგონარი,
მე იმ დროის, თან დამაქვს!!!

* * *

ცაში თუ ფიქრებად აიჭრები,
მიწას მოგანატრებს მერე სევდა,
ასე უხალისო ენკენისთვე,
ასე უხალისო შემოდგომა...
მინდვრად საპოვნელა გადამხმარა,
აღარ მაძებნინა შენი თავი,
ასე უიმედო წუთისოფელს,
მიკვირს, ძლიერ რატომ შეუყვარდი...
წვიმად ჩამოვიდა შენი ცრემლი,
ციდან, კაპარჩხანა ღრუბლებიდან,
ის გზა უფრო კარგად იხედება
კლდეზე გადავარდნილ ურემიდან!!!
თუმცა გაზაფხულის მოლოდინში
ნუკი დამივიწყებ, ზამთრის მაცნე,
ღვინო, საქელეხედ დაწურული,
ოცი წელი მაინც შემინახე...
ცაში თუ ფიქრებად აიჭრები,
მაინც დასიცხული მიწა გიხმობს,
იქნებ იღორძინოს ჩვენს გულებში,
ერთდროს მინავლულმა დიდმა სითბომ!!!

* * *

ამდენი ხნის წარსულში ჩაძირული სამყარო,
ვეღარ უძლებს ცოდვის და სიბოროტის დილემას.
როგორ დიდი გვგონია თურმე ჩვენი სიცოცხლე,
ამ დროს წუთისოფელი, თურმე ცრემლად იღვრება!
როგორ უსარგებლოა და ამავე დროულად,
როგორ ფუჭად გადიან ეს უჟმური დღეები,
თითქოს ასე გვგონია, გვგონია, რომ ვცხოვრობთ და
ამ ჩვენი არსებობით სუყველაფერს ვნებდებით!!!
საცოდავი მიწა და ცას ცოდვების ცრემლი სდის,
ამდენ უმადურობას ანდა როგორ გაუძლოს,
თითქოს ყველა მართალი გვგონია, რომ დავდივართ,
ამ დროს ქოსა-ტყუილით გავსებულა საწუთრო!!!
როდის ნეტავ გათენდეს, როდის ნეტავ ინათოს,
რომ თვალთაგან სინათლის თუნდაც მცირე შევნიშნოთ,
ამდენ უკუნ ღამეში, ამდენ უკუნ ბნელეთში,
ყველას უნდა თავისი სიტყვა მართლად შენიღბოს!
ამდენი ხნის წარსულში ჩაძირული სამყარო
ვეღარ უძლებს შურის და ამდენ ბოღმის დანთხევას,
გაგვინათე, უფალო! გაგვიკვალე, უფალო,
გზა, რომელზეც რომ შევძლოთ
წმინდა სანთლის ანთება!!!

* * *

რიკოთიდან გასულებს,
სიო, დასავლეთური,
ისე მოგვესალბუნა,
როგორც სიტყვა, გლეხური.
იმერული, კოპწია,
ეზო-კარის დანახვა,
ტყის შრიალი, საამო,
წყაროს წყალი, კამკამა...
დასავლეთი სულ სხვაა,
სხვა კილო და კავია,
ნებისმიერ ჭიშკართან
შეისვენო, გწადია...
აქ სტუმრისთვის ღიაა
ყველა სახლის კარები,
იმერეთო, მიყვარხარ,
ყველას გენაცვალებით!
ლიხის აქეთ თქვენ კიდევ,
ნუკი მიწყენთ, მიყვარხართ,
მაგრამ აქ, რიკოთიდან,
რაღაც სულ სხვა სუნთქვაა!.

* * *

როგორ მიყვარს ლურჯი ცა,
როცა დილა თენდება,
გაზაფხულის სურნელი
მთელ გარემოს ედება.
პოეზია, პოეტთა,
შთაგონების წყაროა,
რაც ვინმესთვის შორია,
ჩვენთვის ისიც ახლოა...
მთვარე სხვისთვის მთვარეა,
ჩვენს სულს სხვა რამ სწყურია,
პოეტისთვის, წითური,
ხედავთ?!
ცხენიც ლურჯია...

* * *

მერამდენედ ვშვრებით ასე,
აღმა ხნული დაღმა ვფარცხეთ,
რა გვჭირს ნეტავ რად
ვერ ვხვდებით,
ქვეყნის ჭირი არ გვადარდებს!
ვერც სინდისი, ვერც ნამუსი,
ქართულ ფასად შევინახეთ,
გამყიდველი ბევრი გვყავდა,
ამიტომაც ვერ ვივარგეთ.
ვამჯობინეთ ბარაბას გზა,
ისევ ვერცხლის ჩხრიალს
ვეტრფით,
დავამგვანეთ ეს სამოთხე,
ყვავებისგან ნაკორტნ ხეხილს,
გული არ გვაქვს; ის, ქართული,
ჩვენს წინაპარს ჰქონდა უწინ,
ვერვინ ვნახეთ წინამძღოლი,
წაგვიყვანოს გზაზე, უფლის!!!
იქეთ გარეჯს გვართმევს უცხო,
აქეთ ლიახვს ფერი არ აქვს,
ეხ, რა ხდება ნეტავ ჩვენში,
ფსოუს წყალზე როდის
გავალთ!!!
არ გვადარდებს ქართველობა,
გაიყინა ძარღვში სისხლი,
ეროვნული მოვიცილეთ,
რასაც ვთესავთ, იმას ვიმკით!
ვაზი ვაზად შევიძულეთ,
ძეძვი ვთესეთ, ეკალს ვუვლით,
ღვინის მადლი დავივიწყეთ,
დროშა კიდევ თამარისი!
გამოფხიზლდი, ერო, ჩემო,
გზა, ერთობის, გადაგვარჩენს,
თორემ რაც გვაქვს, იხედებით?
მასაც ვიღაც უცხო გვართმევს!!!

* * *

“რა ლამაზად თენდებაო გურჯისტანში”-
თქვა შაჰმა და ცხენს მოახტა სწრაფად,
აედევნენ მას მისივე მეომარნი,
შეესივნენ მთას, მდელოს და სახნავს.
გათენებაც არ აცალა თათრის ურდომ,
რომ შრომაში მიძინებულ სოფლებს,
არც ფიქრი და გაფრთხილება დაუტოვეს,
ქურდებივით მოიარეს გზა-შარა და ყორე...
ურჯულოთა სიმამაცე როდის თქმულა,
არ ინდობენ არც ვენახს და ყანას,
გარუჯული, აზიური, სისხლისმსმელი,
შაჰ– აბასის მორჩილებაც გვაკლდა.
ვერ მოგართვეს, ვერ გიშველეს, რაც გინდოდა,
იდიდგორა გურჯისტანის ჯარმა,
ვეღარ ითვლის თათრის ურდო ნაიარევს
და აშინებს ჟღარა-ჟღური ხმალთა...
იდავითეს უკუიქცნენ, აი, უკვე,
არც მოხედვა აღარ უნდათ უკან,
გაუმარჯოს ქართულ სულს და ქართულ ღონეს,
ჩაძაღლება მტრის რომ ასე უყვარს!!!

ნოდარ იაგორაშვილი – პოეტი;
დაბადების ადგილი – კალაური (კახეთი).

თურმე სულყველას ადარდებს, თავისი ადგილ-მამული!

(საბავშვო! წაუკითხეთ ბავშვებს!)

ერთხელ, წვიმიან ამინდში, ჩვენი ეთერის ოთახში,
მინდვრის ყვავილი ატირდა, პატარა თიხის ქოთანში.
ჩამოეშალა ფოთლები, სხივი გაუქრათ ყვავილებს,
წყლის მინამულმა წვეთებმა ფერი ვერ გაუმწვანილეს.

– რად მოიწყინე, ყვავილო? – ეჩურჩულება ეთერი, –
ლამაზი კაბა გაგიცვდა, მთლად დაგეკარგა ელფერი.
ყვავილმა ამოიოხრა, ფოთოლს ფოთოლზედ ახლიდა:
– აბა, შენ გამოგასახლონ შენი მშობლების სახლიდან?...

მინდორში გული ხარობდა, დრო საამურად მიმყავდა,
ჭიამაიას ვუყვარდი! ჭიამაია მიყვარდა!...
...
მიუალერსა ეთერმა, წიგნები გვერძე გადადო...
ამოსვა თიხის ქოთნიდან, ისევ მინდორში გადარგო.

ო, როგორ დატკბა, ყვავილი! ტანი აშალა, აღერდა;
მიუალერსა მზის სხივებს, ჩუმი ჩურჩულით ამღერდა.
გალაღდა, გაიხალისა, დილის ცვარ–ნამი დალია!
– ყვავილი დამიბრუნდაო! – მოფრინავს ჭიამაია!
და მიხვდა ჩვენი ეთერი, ცრემლებით თვალდანამული,
თურმე სულყველას ადარდებს თავისი ადგილ–მამული!!!.

ნუ გამამტყუნებთ!...

ნუ გამამტყუნებთ, ნუ დამცინებთ, ჩემო ბიძია,
მე ლექსის წერა სხვანაირად არ შემიძლია!
ვწერ ჩემებურად, უბრალოს და მხოლოდ სიმართლეს,
თქვენ გეფიცებით, სიყვარულს და დილის სინათლეს.

გული მაქვს სუფთა, ვით ნაჟური წყარო, კამკამა,
იმით ვარსებობ, რაც უფალმა ღმერთმა მაკმარა.
არავითარი შური, ბოღმა, არ მატრიალებს,
მივსდევ სიცოცხლეს, სადღაც, ბნელში მიმატიალებს.

სხვა რომ იღიმის, ცეკვავს, მღერის, ლაღობს-ხარხარებს,
ის მახალისებს, ის მატკბობს და მეც ის მახარებს.
თუ სტკივა ვინმეს, ანდა შური-ბოღმა აღორებს,
მაშინ მეც მტკივა, იმ საბრალოს ბედი მაღონებს.

ნუ გამამტყუნებთ, ნუ დამცინებთ, ჩემო ბიძია!
რა ვქნა, სიცოცხლე, სხვანაირად არ შემიძლია!!!

თქვენთვის, ვინც მივტირით სიჭაბუკეს!

სიჭაბუკეს მოემატა, ძმებო, ფასი,
ვერცხლისფერი თმებში ამიკაკანდა,
გუშინ, პირთან მიტანილი ღვინის თასი,
უცაბედად, ხელში ამიკანკალდა!

ეხ, სიბერე რა ვაგლახი რამ ყოფილა!
მკლავში, მუხლში, გულში, დადის, წანწალებს,
წელს - ტკივილი, გულს - კვნესა არ ამყოფინა,
წლითი-წლობით, მაწვალებს და მაწამებს!...

ეს რა უცებ გამიფრინდა სიჭაბუკე,
დამესია გულზე წლების ფითრები,
ადრე ლხინში თუ ვერავინ ვერ მათრობდა,
ეხლა ერთი-ორი ჭიქით ვითვრები!!!

* * *

შენ გენაცვალე, სიკვდილო,
არ დაგიბლაგვდეს „სამკალი",
ერთსა გთხოვ: როცა მეწვევი,
ფეხზემდგომელა მამკალი.
არ გამიხადო სახვეწი,
არ მათქმევინო – ბოდიში,
ფეხზემდგომელა წამიყვა,
ნუ დამაობებ ლოგინში!!!...

* * *

რა ლამაზი ბიჭი ხარ,
შემოგევლოს პაპაო,
ვენაცვალე შენს გამჩენს,
აგრე რომ დაგხატაო.

გაიზარდე, დაღვინდი,
დაიმსხვილე მტკაველი,
შენთვის გადაიფურჩქნოს
საქართველოს მთაველი.

შენ ხარ ქვეყნის იმედი,
ცისკარი და დაისი,
ღმერთმა მკერდში ჩაგიწნას
სიცოცხლე და ხალისი.

მოდი, ხელი ჩამირტყი
და მომეცი პირობა:
რომ, კაცურად ატარო
შენი გვარიშვილობა!

ჭორი

ჭორი ისეთი რამეა, გადაამტერებს დედა-შვილს!
დაანგრევს, გააცამტვერებს, ოჯახს, წვალებით მხრებგაშლილს.
დადის, დაძრწის და წანწალებს, ჭორი უმიზნოდ ნავარდობს,
ზამთარში კოკორს მოიყვანს, ზაფხულში ყინულს დაადნობს.

მუნჯს ენას აადგმევინებს, ბრმას შეაჯავრებს სამყაროს,
ორი დღის დაქორწინებულს ეცდება, ქმარი გაჰყაროს.
ღარიბს ფულებში გაახვევს, მდიდარს აუბნევს გონებას,
ალალი შრომით შეძენილს გაუნიავებს ქონებას.

ჭორი სატანის მახეა, არც მიწისაა, არც ცისა,
ჭორი ბინძური სახეა უნებისყოფო კაცისა.
ვისაც არა აქვს სინდისი, თავთან არიან მარტონნი,
აი, ისინი არიან, ბინძური ჭორის პატრონნი!

ვეძებ კაცობას...

ვეძებ კაცობას, დროსგან ნატაცებს,
ვეძებ ავთანდილს, ვეძებ ტარიელს,
იმ ქალებს ვეძებ და იმ ვაჟკაცებს,
ნამუსით სავსე ზღვა რომ დალიეს.

ვეძებ ღიმილს და ვეძებ სიმღერას,
ადამიანურ სიტყვას, ღარიბულს,
კაცურკაცობის ძარღვის იმ ღელვას
ჩვენ რომ ვეძახდით ადრე ხალიბურს!

მაგრამ, ვაი რომ, უკვე ბებერი
მოსჩანს კაცობის თეთრი პითონი,
კაცი გვყავს ეხლა, სანატრებელი,
თორემ, კაცუნებს ყველგან იპოვნი!!!

ეშმაკმა მითხრა!

(საინტერესო გამომივიდა, ცხოვრებისეულია.)

ეშმაკმა მითხრა, – მოდი ჩემთან, ხელი მომკიდე,
ოქროში ჩაგსვამ, ოღონდ შენი სული მომყიდე.
რასაც ინატრებ, რა სურვილსაც მოისურვებო,
თავს გეფიცები, სულყველაფერს შეგისრულებო.
ტანს დაიხედე, რა ძველმანი, ჯღანი გაცვია,
მე ვინც მომენდო, მდიდარი და სუფთა კაცია.
აგისრულდება საამური ნატვრა-ფიქრები,
სულს თუ მომყიდი, ბედნიერი კაცი იქნები.
აი, შეხედე, აქეთ-იქით რომ მეწევიან,
სულს მოგყიდითო, მუხლისჩოქით მეხვეწებიან,
რაც შექმნა ღმერთმა, ეს ქვეყანა –„ავდარიანი”,
სულ ასე ვაჭრობს, ეშმაკი და ადამიანი.
იმ სახლს ხომ ხედავ, ლამაზ-ლამაზ ქანდაკებიანს?
მე ავუშენე ერთი „დიდი კაცის” ბებიას,
ის „დიდი კაციც” მე გადმოვსვი ჭაკი ვირიდან,
კაცად ვაქციე, „გამოვაძრე” გასაჭირიდან.
ეხლა რომ ნახო, ვეღარ იცნობ, კაცი დამშვენდა,
წელში გასწორდა, გადიდკაცდა, კაცი აშენდა...
ადრე თუ ვირით დადიოდა ქაქან-ქაქანით,
სული მომყიდა და გრიალებს ავტომანქანით.
– იდგა ეშმაკი, თაკარა მზეს ეფიცხებოდა,
კუდის ქიცინით, მთელ ქვეყანას მეფიცებოდა.
ბრაზი მომაწვა, გულში ყველა ძარღვი ჩავწურე
და ეშმაკუნას ყბაში სილა გავულაწუნე!
ვუთხარ: რად მინდა შენი ოქრო, ნაჭერ-ფარჩები,
თუკი ამქვეყნად, უსულგულო კაცად დავრჩები!
რისთვის ვემონო სიმდიდრეს და ზიზილ-პიპილებს,
თუ, უსულგულოს, ქალი-კაცი, ცოცხლად მიტირებს?!
ღარიბი ვიყო, ოღონდ ნაღდი, სულით წმინდანი,
ამით ვიქნები ბედნიერი, სხვებზე მდიდარი!
სულმა დამატკბო, სულმა გულში შვება მომფინა
და ისიც მყოფნის, მამა ღმერთმა რაც მამყოფინა!
ზარის გუგუნი შემომესმა ალავერდიდან
და უცბად გაქრა ჭინკა, ჩემი თვალთახედვიდან.
ღმერთო, ძლიერო, შენ თუ მოხნავ ქვეყნად, აყალოს,
თორემ, ეშმაკი გაგვითელავს ტურფა სამყაროს!

* * *

ძალზე პატარა ვარ, დედას გეფიცებით,
თითზე დაითვლება ჩემი ნაბიჯები,
მე რომ გავიზრდები სიკეთეს ვისწავლი,
ჩემი სამშობლოსთვის გულით გავირჯები.

ჯერ დედაენაც კი უცხო ანბანია,
აი, ლაპარაკიც ახლახანს ვისწავლე.
ხომ პატარა ვარ, და მაინც გჯეროდეთ,
ჩემი ქართველობა, აკვანში ვიწამე.

თვალებს მინამავდა დედის ცრემლები და
,,აღუს" მაძახებდა დედის სიხარული.
ერთად დავიბადეთ, მე და მომავალი,
კარგი ქართველობა, ერის სიყვარული.

* * *

აფსუს!..... რა ბიჭი ვიყავი!
ბრიტვის პირივით ნალესი,
არც ღვინო მაკლდა, არც ფული
და არც ქალების ალერსი.
დავბერდი, გაქრა მშვენება,
მიმრავლდა წამლის რეცეპტი,
არცერთ ქალს აღარ მოვწონვარ,
ვერ მოვიხელთე ვერცერთი.

ჩემს სოფელს, კალაურს და კალაურელებს:

ამ აღმოჩენამ დამატკბო,
გულის ძარღვს ტკბობა მომფინა,
ხალხს რაც ლეგენდა ეგონა,
ის სინამდვილე ყოფილა.
აქ, ჩემს სოფელში შობილა
მოსიყვარულე, ღმერთისა,
აქ გაუთლიათ აკვანი,
თურმე კვირიკე მეფისა.

რომელმან შექმნა, დაძერწა,
ტაძარი, ალავერდისა,
ააბულბულა გალობით,
ლოცვა, იესოს დედისა!
აქ დაიბადა, აქ მოკვდა,
საფლავიც აქვე ეღირსა,
დიდება შენდა, კვირიკევ!...
ლოცვა, კალაურლებისა!!!

კალოობა კალაურში.
(მოგონებები)

სოფლის ორღობე მახსენდება, ნარეკლიანი,
ვიწრო ბილიკზე მიმავალი „ტაჭკის"რიხინი,
ფიწალი, ზვინში ჩაკირული, სამნეკნიანი
და ხორბლის ძნაზე მოსრიალე ცხენის ჭიხვინი.

ო... რა სურნელი ტრიალებდა... რა საამური,
ირგვლივ ნალეწი თავთავების ჩენჩო ეყარა,
ო... რა სურნელად იღვრებოდა ჩემი მამული,
ჩემი ბავშვობის ჯადოსნური ოქრო-მზეყანა!

კევრში შებმული დაშლიგინობს თეთრი მერანი,
კევრზე შემხტარნი გადადიან ყირა-ყირაზე,
ვერა და ვერა ვერ გაჩერდა კევრზედ ვერავინ,
მე თავს ვიმაგრებ... დავსრიალებ სხვების ჯინაზე.

თითქმის მოთავდა... მზემ მოასწრო ხორბლის გაშრობა,
თივის სურნელი დრომ წაიღო, სადღაც... შორს... ცაში,
იმ თავთავივით გაილეწა ჩემი ბავშვობაც...
იმ სურნელივით გაქრა ჩემში პატარა ბავშვი.

ახლაც იქ ვდგევარ, სადაც ადრე ვიდექი - მაშინ,
სულ სხვა ფერებით მეგებება ჩემი სოფელი,
ჭაღარა მღერის, ჩაივერცხლა ფერები თმაში,
და სიჭარმაგე, ბავშვობასთან განუყოფელი.

(ჩემო კალაურელებო, მიყვარხართ ყველა!!!)



თინა ჯანიბეგაშვილი – ფრანგული ენის სპეციალისტი;
დაბადეგის ადგილი: ახმეტა – მატანი.

**

გულო, საგულეს გაჩერდი,
ჯავრო, იყუჩე წამითა,
ჩემო დაღლილო ოცნებავ,
შენ სადღა მიხვალ, რა გზითა?
ცხრაჯერ ჩაშლილო ნაწნავო,
ცხრაჯერ ჩარტყმულო დანაო,
ცხრაჯერ ნაწვეთო ცრემლებო,
იმ ბროლის კოშკიდანაო...
არვინ მოვიდა საშველად,
ტყვე იყავ, დევებისაო,
არც არვინ ამბავი გითხრა
შორით წასული ყმისაო...
კვლავ ვიტყვი: ვინ თქვა მიხვედრა
ქალაის გულისთქმისაო?
ის შენი „თეთრი ყოილიც”
ზვავებმა შთანთქეს მთისაო...
ნისლებმა გადაიყოლეს
ლამაზი სევდა ქალისა,
ლექსებით ნათქომ-ნატირალ,
გულ-ჯავრი ბედ-იღბალისა...
გულო, საგულეს გაჩერდი,
ჯავრო,იყუჩე წამითა,
ჩემო დაღლილო ოცნებავ,
შენ სადღა მიხვალ, რა გზითა?...

ცხოვრების წიგნი

**

ცხოვრების წიგნი მიჭირავს ხელში,
უფალო, შენ წინ თავდახრით ვდგავარ,
ლოცვას მივავლენ უდროოდ წასულთ
და ჩემს თავს ვეტყვი ყველაზე მთავარს:
ასე იყო და ასე იქნება,
სიბნელეს მუდამ მოსდევს ნათება,
ჩამავალი მზეც ისევ ამოდის,
დარდს სიხარული შეენაცვლება...
ვფურცლავ და ვნიშნავ, ვფურცლავ და ვნიშნავ
ჩემი ცხოვრების შავ-თეთრ თარიღებს,
უფლის მადლი კი, მირონცხებული,
იმდენ ბედნიერ დღეებს არიგებს...
ღმერთი განსაცდელს გვიმზადებს ყველას,
უეკლოდ არვინ მოგიწყვეტს ვარდებს,
შეიფრთხიალებს ხის ტოტზე ჩიტი
და ისიც ცისკენ გაინავარდებს...
დედაო, ღვთისავ, გთხოვ,მომიტევო
ყველა სისუსტე მშიშარა დედის,
მადლობელი ვარ ყველა იმ დღისთვის,
შენ რომ მჩუქნი და იმედით ველი...
ისევ რეკავენ შობის ზარები
და უფლის მადლი სანთლებად იწვის,
ცხოვრების წიგნი მიჭირავს ხელში
და ჩემს ბედნიერ თარიღებს ვითვლი...

**

შენელდა ჩემი ცხოვრების მარშიც,
ზეცამ ღრუბლები დღესაც არია,
შემომეხარჯა ხელებში დრო და
ახლა ნიავი ჩემთვის ქარია...
რა უცნაურად წაგვმართავს ჟამი,
უამრავ ცოდვა-მადლის ჩამდენი,
ძველი ზღაპრების იმ გმირებიდან
გამოვასახლე უკვე რამდენი...
და...ვიზოგავდი დღეებს საშენოდ,
ვერასრულებულ გულისწადილით,
ძნელი ყოფილა, იყო ერთგული,
განშორებაა თურმე ადვილი..
გადაიყრება ისევ ღრუბელი,
მზე ჩამოაფენს სხივებს ბრდღვიალას
და ვერშემდგარი შეხვედრის სევდა
შემომეხვევა, როგორც ხვიარა,
ყავლი გასვლია თუმც კი ყველაფერს,
ისე შორია უკვე მანძილი,
ძნელი ყოფილა – იყო ერთგული,
დავიწყებაა თურმე ადვილი...

*

გაზაფხულდება, ფერდობებს
მოედებიან იანი,
ნეტავ გზად შემომხვდებოდე,
ნეტავ არ იყოს გვიანი,
იმ ფერდობებზე, რამდენჯერ,
იებს სინაზე მოვპარე...
მერე... იწვიმა, იქარა,
სხვა გზით წავედით ორთავე,
გაგიმხელ, როგორ დავმალო,
სურვილი - წრფელი, მზიანი,
იმ ფერდობებზე ერთხელაც
მომაკრეფინო იები....

**

ტყემლის ხიდან მოფარფატე ფოთოლს
ფეხაკრეფით აედევნა დარდი,
ვიღაც ისევ სიყვარულზე მღერის,
ვიღაც ისევ სიძულვილით დადის...
თუმც ცხოვრება აღარ იცდის, მიდის,
სინანული ისევ ისე მათოვს,
გაზაფხულზე გამიღიმე, ოღონდ
გაზაფხულზე ნუ დამტოვებ მარტო,
თითქოს ცეცხლი მოსდებიათ ხეებს,
მახსენდება შორეული ვალსი,
ხელისგულზე მზე გვესვენა თითქოს
და სამყარო ჩვენთან იყო ვალში...
ლექსით თრობას არ უჩანდა ბოლო,
ატმებს კვირტი უსკდებოდათ როცა,
ვერის ხიდზეც გაზაფხული იყო,
როცა პოეტს პაემანი ჰქონდა...
ტყემლის ხიდან მოფარფატე ფოთოლს
ფეხაკრეფით გაეკიდა დარდი,
ვიღაც ისევ სიყვარულზე მღერის,
ვიღაც ისევ სიძულვილით დადის...

ანა კალანდაძეს

**

შუაფხოს ნიავს შესტრფოდი,
მთით გადმომავალს, ველადა,
ხან ყვავილებთან იფიხვნე
შენი გულ-ჯავრის მთქმელადა...
რომ არც მთის ყვავილთ სცოდნიათ
მიხვედრა ტრფობის მორევის,
არვინ გიამბო ამბავი
ქსანზე ჩავლილი ფხოველის,
იმ არჯაკელსაც, ხვიარას,
ვითომც არც გაუგია რა,
შენს ცისფერთვალა მიჯნურსა
სულ ახლოს ჩაუვლია და...
შენც სხვათაშორის იკითხე,
სალაპარაკოდ კი არა....

ვალსი

*

ძალიან მინდა,
კიდევ ერთხელ, უკანასკნელად,
მოკრძალებული, შენთან ერთად
ვიცეკვო ვალსი,
... და ეს მოხდება,
რა თქმა უნდა, დიდი ხნის მერე,
როს შემოდგომა კიდევ ერთხელ
მოდგება კარში;
მოჩვენებითი
სიმშვიდით და ყალბი ღიმილით
უფრო მეტს ვიტყვით,
რადგან სიტყვებს გასვლიათ ყავლი,
... და სევდა, როგორც
ასხლეტილი სხივი, საყურის,
დაუკითხავად ჩაუდგება
მუსიკას კვალში;
აღარ მომიტან
აყვავებულ კუნელის ტოტებს,
და წარსულს – ჩემი სულის საგზალს
დავტოვებ კარში,
მუსიკის რიტმზე აყოლოლი
ორიოდ ფრაზა
და გულგრილობა გამოჟონავს
გაბზარულ ხმაში,
ხო, გულგრილობა,
შემზარავი, ვით განაჩენი,
სულის კედლებს რომ ჩააყოლებს
წითელ ნაკაწრებს,
და სიამაყეს,
ქალურობის ყველაზე დიდ ნაკლს,
უმისამართოდ გავაყოლებ
იმ ძველ ბარათებს...
იქნებ ცხოვრება
კიდეც ღირდეს ამ წუთებისთვის,
რომ მიწიერი სილამაზე
ზეცად ნათობდეს,
და სიყვარულიც,
მშვენიერი, როგორც მუსიკა,
აქ ამ დარბაზში დაასრულებს
ბოლო აკორდებს;
რომ არასოდეს
უწერია ახდენა ნატვრას,
ან სად იწყება და მთავრდება
ბედთან თამაში?...
ძალიან მინდა,
კიდევ ერთხელ, უკანასკნელად,
მოკრძალებული, შენთან ერთად
ვიცეკვო ვალსი...

*

რატომ ცახცახებ, ხმელო ფოთოლო,
გადარჩენილო ნოემბრის ქარებს?
მოქუფრულ ცაზე ირევა ნისლი,
რა ხილვა აკრთობს მაგ თვალთა არეს?
დასასრულია ყველაფრის ბოლო,
ფიქრს ვერ ვუხამებ პირქუშ ამინდებს,
თუმცა კი ისევ გაიმზიანებს,
თუმცა კი ისევ გაიაპრილებს...
მალე ჩამოთოვს თეთრი ფანტელი,
ვით მოფარფატე, თეთრი თოლია,
ჩამოადნება ხეებს, ფაქიზად,
თითქოს ფოთლები არცა ჰქონია...
და ასე... მიჰქრის, მიჰქრის ცხოვრება,
ვით ბედაური, ლაგამაყრილი,
გროშის ფასია სამყარო, სადაც
ყოფნა-არყოფნა არის მარტივი,
რატომ ცახცახებ, ხმელო ფოთოლო,
გადარჩენილო ნოემბრის ქარებს?
ვინ მოგიხურა გულის კარები,
რა ხილვა აკრთობს მაგ თვალთა არეს?...

ერთი სიყვარულის ამბავი

*

წყალს გაღმით გჭვრეტდი ნიადაგ,
გამოღმით გული ჯავრობდა,
შენი თმის სხივი მზის დარად
დილით მთის წვერზე ნათობდა,
მთას ვიყავ, მთაში გეძებდი,
ხან ბარად მეგულებოდი,
ასეთი შორი მიყვარდი,
ან რაით მეძულებოდი?
გული ხან ჩანგზე მღეროდა,
ხან უბედობას ჩიოდა,
შენზე დაწერილ სტრიქონებს
შენი სურვილი სტკიოდა,
ვწერე და ვწერე ლექსები,
ვეხეტებოდი ხელადა,
ხან ნუკრის თვალებს გამსგავსე,
ხან იას, მოსულს, ველადა,
ხან ხევ-ხევ ბილიკს ჩავდევდი,
ქარაფთან ბრძოლაც ვიმიზნე,
ერთხელაც ვერ მოგიწყვიტე
აყვავებული პირიმზე,
ხან მთის სალოცავს გავედრე,
დარდი ვაგროვე ყელამდე,
რა გახდა ის გზა, ოხერი,
ვერ მოვაღწიე შენამდე,
მერე... ცხოვრებაც წავიდა,
შენც სხვისას კერას წახველი,
ჩვენ შუა ჩავლილ მდინარემ
წაიღო შენი სახელი...

შეკითხვა

******

მითხარით, წლებო,
სად გარბიხართ ასე გულდაგულ,
რად ჩქარობთ, ნეტავ?
ან შენ, ნიავო,
რა სივრცეებს მიელტვი მუდამ,
სად გიღამდება?
იქნებ შენ მითხრა,
თოვლის ფიფქო, იქნებ შენ მითხრა,
მოდიხარ მშვიდად...
სად გადის ზღვარი
დასაწყისსა და დასასრულს შორის,
შენ რა გაქვს ფიქრად?
მე კი... რა გითხრათ,
გაზაფხულის მზიან დღეებში
პაემანს ველი,
ტყემლის გაუმსკდარ
კვირტებს მინდა ნუგეში ვუთხრა,
შევეხო ხელით...
მერე კი... მერე...
შემოდგომის ნაცრისფერ დღეებს
ვეტყვი მშვიდობას
და სული, ჩემი,
მიეახლება გამოგონილ
მარადისობას...
დახავსებულან,
ყმაწვილქალობის ბილიკებზე
ვეღარვის ვხედავ...
მითხარით, წლებო,
სად გარბიხართ ასე გულდაგულ,
რად ჩქარობთ, ნეტავ?...

* * *

რა გჭირდა, ჩემო გვირილავ,
გუშინ რად ამოიტირე?
რაღაც ისეთი მენიშნა,
ვერ გითხარ, შენი ჭირიმე,
ვერც შენი მოსვლით ვიხარე.
ვერც წასულს გაგეკიდები,
გგონია, ან ჩემი წასვლით
ცას ცრემლად დავედინები?

* * *

ქარს გაყოლილი
ატმის კვირტი ხარ,
დავიწყებული, ჩანხარ აღარა,
გელოდი დიდხანს,
რამდენჯერ ცამაც
დარდები
ფიფქად ჩამომაყარა...
შენ აღარ ჩანდი,
დრო გადიოდა,
როგორ არ ვიყო
ბედის მგმობელი,
ჭიქა ღვინოში
შეპარულ ვნებას
ჰქონდა სურვილი,
დამათრობელი...
დრო გადიოდა...
ჰაი და ჰაი,
და იცვლებოდნენ
სულში გრძნობები,
თუმც ატმის კვირტის
ყვავილობისას
ძველი დღეების
ვიყავ მხმობელი...
იქნებ გაგთელეს,
საოცრად ნაზი...
ყველაფერი ხომ
ნებაა უფლის,
მე შენ დაგკარგე,
ეგაა თორემ,
ვინ საით წავა,
არავინ უწყის...

ოლოლები

*

დღესაც ისე მახსოვს,
ვერ ვივიწყებ, ვჩემობ,
ოლოლების ზღაპარს
გვიამბობდა ბებო,
თბილ ღუმელთან ჩვენთვის
თან ჭრელ წინდებს ქსოვდა,
როგორ გვიხაროდა,
გარეთ თოვდა, თოვდა...
ობოლ და-ძმის მძიმე,
სევდიანი ამბით,
ვტირიოდი და გული
მევსებოდა დარდით...
-„იპოვნიან, ბებო?“
-„ვერა, შვილო, ვერა!“
... და სახეზე ბებოს
ეცვლებოდა მზერა,
ოლოლების ზღაპარს
დღეს მე თვითონ ვყვები,
როცა შვილიშვილებს
გვერდით მივუწვები,
- „იპოვნიან, ბებო?“ -
- მეკითხება ლუკა
და მის ლამაზ თვალზე
ვხედავ ცრემლის კურცხალს,
- „ვერა,ბებო,ვერა!” -
ხმაში სევდა კრთება,
„ოლოლების ბედი
ცაში, ღმერთთან წყდება!”....
დღესაც, უღრან ტყეში,
როცა შეღამდება:
- „თევდორეე!” - ისმის,
- „იპოვნეოო? - ვერა!”...

*

შეჩერდი, ქარო,
დაიოკე სურვილი,
ქროლვის,
საით მიდიხარ,
რა სივრცეებს ელტვი,
ნეტავი,
სად მიაქანებ
ყვითელ ფოთლებს
ასე გულდაგულ?
გგონია,
ფოთლებს მოეწყინათ
ყოფნა ნეტარი?
შეჩერდი, ქარო,
შეხე თრთოლვას,
უმწეო ფოთლის,
ეს ფოთოლია,
ხის კენწეროს
რომ შერჩა ბედად,
მარტოობისთვის
განწირული
ამაოდ ტირის,
წაიღე ისიც,
დე, იხილოს
სიკვდილი ზეცად...
შენ კი იქროლე,
არ შეჩერდე,
იქროლე, ქარო,
სულის ქროლვაში.

დაშემოდგომდა...

*

დაშემოდგომდა... რა მოხდა მერე,
დრო ისევ მიდის, დღე დღეს შორდება,
ახლა ამინდიც ისე მშვიდია,
ვით ფერგასული ჩვენი ცხოვრება...
ვიგონებ იმდროს... იქნებ არც ღირდეს,
ყველაფერი ხომ ისე შორია,
ზეცას დავკიდე ეს ფოთლებიც და
ძველი ოცნების მელანქოლიაც...
„შეშლილი ქარი“*... როგორ მოძველდა...
მე ახლა მცირე ნიავიც მკმარა,
რომ უფრო მეტი სიმძაფრით ვიგრძნო
ვერმორგებული ლამაზი კაბა...
ქარი, რის ქარი, ისე, უბრალოდ,
ოქტომბრის დღეებს ვუთვლი ნაბიჯებს,
და შორეული ტკივილის ექო
გულზე უხეში ფეხით მაბიჯებს...
დაშემოდგომდა... დრო ისევ მიდის,
ვიღაც ვიღაცას მუდამ შორდება,
ახლა ამინდიც ისე მშვიდია,
ვით ფერგასული ჩვენი ცხოვრება...

**

მე მივდიოდი თოვლიან გზაზე,
მაშინ რატომღაც თოვდა...
სულ თოვდა...
... და შენი ლანდი ჩუმად, ბარბაცით,
ჩემ უკან ახალ ტკივილებს ქსოვდა...
მე მივდიოდი... რადგან ვიცოდი,
უკან მოხედვას არ ჰქონდა აზრი,
თუმცა სურვილი ცნობისმოყვარე
გულს მკვეთდა,
როგორც მახვილი, ბასრი...
გულუბრყვილოა ყოველთვის ქალი,
დაუჯერებელს იჯერებს მაინც,
გაურკვევლობის თეთრი ბურუსი
მიმაქანებდა, არ ვიცი, საით...
გამოვიხედე... აღარსად ჩანდი,
... და როგორც ღობის ციცინათელა,
თოვლში ბჟუტავდა ჩემი სურვილი
და მომეჩვენა, თოვლიც გაჩერდა...
მე მივდიოდი თოვლიან გზაზე,
რატომღაც მაშინ თოვდა... სულ თოვდა...

***

და... იყო თოვა... ლამაზი თოვა...
თეთრ მდუმარებას სხვა ჰქონდა ხიბლი,
იდექი თოვლში, ნაზი ქალწული
და სასწაულად გათოვდა ფიფქი...
თითქოს შენ ფერხთით იწვა სამყარო,
(ქალს სისადავე თოვლშიაც ჰშვენის,)
სადღაც შორიდან წიოდა ქარი,
მე მაშინებდა დაკარგვა შენი...
ხო, თოვდა... თოვდა... ლამაზად თოვდა,
ისედაც ვგრძნობდი, ხდებოდი შორი,
შენს მხრებზე ნაზად დნებოდა ფიფქი,
მე კი უშენო დღეებზე ვთრთოდი...

**

მე ახლა განვლილ
ბილიკებს ვტკეპნი
მოჩვენებითი
თავდაჯერებით,
ვერც მინდვრად ჩამქრალ
ყაყაჩოს ველებს
ვერ ჩავუარე
გვერდით ყვედრებით...
ვერც გაუგონარ
დღეთა სიავით
ვერ ავიცილე
რკინის ღვედები,
ვერც ბროწეულის
ყვავილობისას
ვერ გაგიხსენე ძველი
ფერებით...

მე ამოვშანთე
შენი სახელი,
გაუფერული ხსოვნის
წიგნიდან,
საყვარელ კაბის
ნაზი სურნელი
სევდით მიცქერის
ძველი სკივრიდან...
შორი–შორ დავრჩით...
ერთურთის ძებნით
ხელში შემოგვრჩა
ტრფობის ღერები,
ვით გახედნილი
კვიცი, შარაზე,
მიჰქროდნენ ჩვენი
ყრმობის დღეები...

ასე იყო და
ასე იქნება,
ფანტელებს მოაქვთ
სევდა, რამდენი,
რა ადვილია, იყო
ერთგული,
არც დავიწყება
ყოფილა ძნელი...
ნუ გამიხსენებ...
ხომ სულერთია,
წარსულის სევდას
ვერაფრით შევცვლით,
ჩემეულ ფიქრით
გავყვები ფიფქებს,
ერთხელაც გკითხავ:
ნეტავ სად შევცდით?....

*

აყივლდებოდა
მამალი როცა,
აყეფდებოდა
ეზოში ძაღლი,
ღუმელში დედა
აწყობდა შეშებს
და ივსებოდა
სითბოთი სახლი,
შემოანთებდა
რიჟრაჟი ფანჯრებს,
(რა შეედრება
სოფელში ზამთარს),
უნდა საგზალი
ჩაუწყოს დედამ
და სამუშაოდ წავიდეს მამა...
„ოო, რამდენი
თოვლი მოსულა!“

ცოტათი წყრომით
იტყოდა დედა,
„თუ გაინიჟა ამინდმა
წელსაც,
თუ არ მოგვესწრო
დარები ბედად!“
აუ, თოვლიოო!?– ჟივილ-
ხივილით
მივაწყდებოდით
ბავშვები ფანჯრებს,
და ჩვენი ხელით
მორთულ ნაძვისხეს
წვერში ვკიდებდით
ფოჩიან კამფეტს...
და... იწყებოდა,
რაც იწყებოდა,
ღმერთო,

გულს სევდა როგორ
ავყარო!
იმ დიდთოვლობის
მონატრებაში
მე ჩავატიე მთელი
სამყარო...
ჩემი სახლი და
ჩემი ბავშვობა
სულ სხვანაირად
შემორჩა ხსოვნას,
ნელა იწვოდა
ღუმელში შეშა
და უფლის მადლი
მოჰქონდა შობას...

*

ისევ თოვლი....

მე მომეჩვენა,
ამ თოვლობისას
ფიფქებმა ისევ
იცეკვეს ვალსი.... საოცარია,
თითქოს განგებამ
რაღაცით თოვლთან
დამტოვა ვალში...
თოვს... რა თქნა უნდა
უნდა ითოვოს,
ფიფქებს ხომ ციდან
გვიგზავნის ღმერთი,
ათოვს ხეებსაც,
რომლებსაც ქარმა
არ შეარჩინა
ფოთოლი ერთი...
ხო, ჩამოთოვს,
ხვალაც ჩამოთოვს,
ეს ცხოვრებაა,
ნელა რომ მიდის,
თოვას სიჩუმე
მოჰყვება მუდამ,
თუმც უთქმელობაც
ძალიან მიჭირს...
აუ, რამდენი
გასულა წელი,
განცდა ყოველთვის
მეტია ქალში,
სულ სხვა სიწმინდე
მოჰყვება თოვას,
არ თქვა, ცხოვრება
ყოფილა ფარსი...
თოვს, რა თქმა უნდა,
უნდა ითოვოს,
დუმილსაც ახლა
მეტი აქვს ფასი,
და... დავინახე
ძველი სინაზით
ვეღარ იცეკვეს
ფიფქებმა ვალსი...

მეგობარ პოეტს

*

ილტოს პირას მალე ისევ გამაოცებს
კუნელის და შვინდის თეთრი ყვავილობა,
ოღონდ მაშინ, ოღონდ მაშინ დამიძახე,
არ გეგონოს, დაგზარდები, მაინც მოვალ,
რაღაც... ისე გასაოცრად მომენატრა
ჩადუნასთან ფიხვნობა და ჭორაობა,
კოცონივით აალდება რითმში მუზა,
საღამომდე ვერ მოვრჩებით ლექსით თრობას...
რა ვუყოთ, თუ ის ასაკი მოგვეახლა,
როცა ჩვენთან ყვავილები აღარ მოაქვთ,
შენი ერთი ლქსის ხიბლი გადაფარავს,
ჩემი ლექსის უაპრილო მარტოობას...

ხათუნა ჩიტაძე – ხელოვნების პედაგოგი;
დაბადების ადგილი – ხაშური;

სამიზნე

თუ ჩემს გულს ტყვიის სამიზნედ ზვერენ,
ვიტყვი! – ოდესღაც გული მტკიოდა.
მე კი გადავრჩი იმ ტყვიის მერე,
რომელიც დიდხანს გულში წიოდა!
თუ ამაცილეს, – მაინც მესროლეს...
– ესეც იგივე განსაცდელია.
გულში მყავს ჩემი სულის მესია!
ჩემი გზა ისევ ჩემი ლექსია!
თუ ჩემს გულს ტყვიის სამიზნედ ზვერავთ,
აქა ვარ, ჩემი დაბადებიდან!
მოდით!
მესროლეთ!
როგორც გენებოთ!
მაინც გამოვალ განსაცდელიდან!
არ დაივიწყოთ, სიკეთით ვიბრძვი,
უფალი ჩემში სახლობს და მლოცავს!
თუ ტყვიას მესვრით, უკვე ხომ იცით,
– ვერ გამსვრით –
ფარად, წინ მიდგას ლოცვა!
... თუ ჩემს გულს ტყვიის სამიზნედ ზვერავთ,
– სად არის მზერა?!

ჩემი გზა

იყავი თაფლი, –
ზოგს ბალღამი თაფლად ერგება
და თაფლი – შხამად...
იყავი წყარო,
ბინძური ფეხით აგამღვრევენ,
გაგსვრიან სწრაფად...
ან თუ ხარ მდელო –
შეგდგებიან ურცხვი წიხლებით!
თუ კალამს ეტრფი,
არ იციან რაა წიგნები...
თუ მზედ დადიხარ,
ეჩვენები თქორი – წვიმებით...
... და მაინც
მაინც!
მზედ დავდივარ!
თაფლად ვიღვრები!
ვბიბინებ მდელოდ!
თვალჟუჟუნა წვიმად ვიცლები!
წყაროს წყალს გაწვდით,
სათქმელს ვწერ და
ლოცვით ვიღლები.
რადგან ჩემი გზა,
სუფთა არის პაპით – ოდითგან!
და ვიცი, იგი
სამოთხიდან
ჩემთან მოვიდა!

წარმოიდგინე

(თეთრი ლექსების სერიიდან)

დავხუჭე თვალები,
გადავიკარგე ჩვენი სახლიდან...
მერე გონებით გავიარე ყველა ოთახი,
ყველა კუნჭული,
ყველა წერტილი...
სურათი:
– თოკზე შერჩენილა შენი წინდები,
მზისგან დაცლილი,
გადაცლილი უნაბიჯობით!
ეზოში კი შაოსნობს სევდა!
ეზოში კი მკვდარია ქარი...
დგას მარტოობა!

შევაღე კარი:
არც ხმაური,
და არც ქაოსი,
არც ნათურა
და არც კისკისი,
არც საუბარი...
მხოლოდღა უღვთოდ ხმაურობს სივრცე
და ჩართული,
მიგდებული,
მივიწყებული ტელევიზორი!
შენ არ ხარ!
ანდა, არც ჰგავხარ იქ მყოფს!

– უბავშვო სახლი!
– უბავშვებო სახლი!
– უცოლო სახლი!
– უსულო სახლი!
– უდიასახლისო სახლი!
– უსტუმრო სახლი!
– უგულო სახლი!
... განვაგრძო სია?...

...არც სტუმარი ჩანს
და არც ცხელი კერძი მზადდება!
არც იმედი ჩანს,
შერჩენილი რომ იყო კედლებს!
არ დაიძახებს მეზობელი,
ან იშვიათად,
ან და სულაც არ არსებობენ...
გააღებს კარებს
ვინმე
ან რამე,
ან ქუჩის ძაღლი!
კატები,
ასე ნაცნობები და შეჩვეულნი,
გადაკარგულან...
აღარა ჰყავთ თავის პატრონი!
არც ბავშვები, – საჭმლის მიმცემნი!

დაბლა ნაგავი!
ჭერზე ქაოსი!
თვალი ათასი,
...და ქირქილებენ!
და ქირქილებენ!
შენ ხარ მაესტრო
ამ გულსაკლავ სიცარიელის!
მე არ ვნებდები!
მე არ დაგნებდი!
მე კი ზემოდან დავხედე ოჯახს!
ასჯერ გავზომე
და ვერ გავჭერი!
ალბათ, ათასჯერ გავზომავ კიდევ!
...და ვამსხვრევ ყველა წარმოსახვას,
მრუდსა და უვარგისს!
ეშმას, მოთრეულს ჯოჯოხეთიდან!

ეს მხოლოდ ერთი მისხალია საშინელების!
არ ვარ თანახმა ჩემივე აზრის!
ყველაზე ძლიერს –
დედას ვერ გატეხს
ავსული ქაჯი!

დახუჭე თვალი!
გაიაზრე ეს ყოველივე!
მერე გახსენი სულის თვალები
და ღმერთს შეხედე!

მე კი,
შერჩენილს აბლაბუდაში,
ვხსნი კვანძს და მტრისგან
გამოჩხლართულ ძაფის გორგალებს,
ჩემი ხელითვე სწორად ვაწყობ
და არ ვიღლები!
და გზად ვიფენ
აღდგომისათვის!

ჯვარი

გზა, რომელიც ძალზედ
დაემსგავსა თეთრ ლექსს,
უფრო მეტი განცდით
გადაევლო მესერს!
გზა, რომელიც უწინ,
სიყვარულით განვლეთ...
ახლა როგორ გვიჭირს,
ეკალს ვიცლით რამდენს!
გზა, რომელიც წუხელ,
შევაგებე მთვარეს,
შევავედრე ნუგეშს –
უფლის ძირძველ კარედს...
წინ – ბილიკიც არ ჩანს,
წინ – უკუნი ღამე!
მაინც მტკიცედ დავალ,
გულიდან ვჭვრეტ ხავერდს!
... და ნაწრთობი სული,
ლილისფერი, სველი,
მსგავსი გაზაფხულის,
ამ იარებს შველის.
არეკლილი შუქი
ეფინება ჭილობს,
ოჯახს ისე ვუვლი,
ოჯახს ისე ვცილობ,
აქა ვდგავარ მეხად!
მტრის! –
ბოღმა კლავს ჩემი!
აიაზმას შევსვამ,
ისევ უფლის ხელით,
გზა გაწვრილდა, ვფიქრობ,
სად წვრილია, გაწყდეს!
შორს, წყეულო ფიქრო,
მტერს ეს ცოდვა აწვეს!
მე კი მინც ვივლი,
ამოთხრილი თვალით,
გაგლეჯილი გულით,
სულის მწარე გვალვით!
მე კი სულ წინ ვივლი,
თუმცა ძალაც არ მაქვს,
თუმცა გული სადღაც
მოგონებებს დააქვს.
მე კი მაინც მივალ,
დარბეული აზრით,
გაწყვეტილი სიტყვით,
თავსდასხმული თავსხმით.
სად წაიღეს ფიცი?
უფლის ხატთან თქმული.
რას გადაჰყვა სიტყვა –
ხარკად შეწირული?!
... და ამდენი ტვირთით
მაინც მივდევ ბილიკს,
წინ არ კრთება ხიბლი,
არც ღიმილი, თბილი.
მხოლოდ ლოცვით მივალ...
ყველა გრძნობა მოკვდა!
წინ მოისმის წირვა,
უხმობს ყველა მოკვდავს!
მე გასავლელს გავალ...
სული მძიმედ კვნესის,
შენი ტვირთით დავალ,
ტკივილების კემსვით.
შენი გულიც დამაქვს,
შენი ცოდვაც „მესმის“!
მე არ გავტეხ მთავარს
და არც ტყვიას გესვრი!
გზა, რომელიც ძალზედ
დაემსგავსა წყურვილს...
მე გამაკრეს ჯვარზე!
ჩემი რწმენა-რჯულით!
ვინანიებ ცოდვებს,
შენსას! – ვითარც ჩემსას...
მე უფლისა ხელით,
აიაზმას შევსვამ!

* * *

ჭრელა-ჭრულა მზის სხივებში
ლექსსა ვწერ და შენზე ვფიქრობ,
ჩემი ნატვრა ჩემს სოფელში
მოგონებებს უხმობს, ითხოვს...
აქა ვარ და ისევ ჰერი...
სიყვარულის ფერხულია!
ეს ამერი და იმერი,
ღვთივნათელი მზეწნულია.
ზვარის ეზოს კალოს თავზე
შესკუპულან ღიმილები,
ზე აღმართის ეზო-მკლავზე
ლექსში ისევ ვიძირები...
ჭრელა-ჭრულა მზის სხივებში
შენზე ვწერ და შენში ვქრები!

სიყვარული

შენ ჩემს სხეულში დაიბადე
და მიიცვალე...
შენ ჩემთან ერთად დაიბადე
და დაიცალე...
შენ ჩემთან ერთად დაიქადნე
და დაიშალე...
მერე კი ურცხვად გარდაიცვალე!

ჯერ აზრი მოკვდა!
– მერე სხეული!
ჯერ თვალი მოკვდა!
– მერე სხეული!
ჯერ სუნთქვა მოკვდა!
– მერე სხეული!
სხეული მოკვდა სულ ყველაზე ადრე და
ბოლოს!

არ ვიცი, ასე როგორ ხდება
და როგორ ქრება,
საუკუნეებს შეკირული სიტყვა, უფლისა!
არ ვიცი ასე როგორ ქრება
და როგორ ხდება,
ტანჯვად გარდაქმნა სიყვარულისა!
ჩვენ სულ ერთ წამში დავიბადეთ
და ერთად გავჩნდით!
ახლა ხელახლა ვიბადებით,
ოღონდ ცალ-ცალკე!
არადა ჩემთან ერთად გაჩნდი,
თუმც ვერ გადარჩი!
იქნებ როგორმე ხელახლა გშვა,
ცოტა მაცადე!

...შენ ჩემს სულეთში დაიბადე...

ოდესღაც

ათასში ერთხელ ჩავივლი ქუჩას,
სადაც იები ენთო ოდესღაც...
ჩანს,
– არ ჩანს,
თვალი მატყუებს ურჩად,
გაზაფხული და მზეა როდესაც!
რომ მოდიოდი იმედად, მახსოვს,
როგორ მაკლია იმ ქუჩის მტვერი.
ბედი, ორგული, დღესაც კი მასხრობს:
მეგობარია თუ შენი მტერი!
ფეხის ხმა მახსოვს...
საღამოები,

სულ ერთი ციდა ღიმილი, მშვიდი,
მოდიოდი და
მახსოვს, ერთხელაც
ვეღარ მოხვედი...
მერე სულს ვშლიდი...
რომ არ მოხვედი,
იმ გზებსაც ვშლიდი...
ათასში ერთხელ ჩავივლი ქუჩას,
სადაც იები ენთო, ოდესღაც!
დღეს მეჩვენება ის ქუჩა „ლურჯად“,
გაზაფხული და მზეა როდესაც...

ანალიზი

თქვენ ხედავთ მხოლოდ
დაქარგულის წინარე მხარეს...
უკან კი მთელი სამყაროა,
ბორგავს... ტრიალებს...
წყდება... იბმება...

წყდება... იბმება...
როგორ მაწამებს!
თქვენ ხედავთ მხოლოდ დაქარგულის
წინარე მხარეს...

* * *

რით ვეღარ მიხვდით,
ქარიშხლები უფრო მიზიდავს!
გულის ბზარები
მზის სინათლის სხივად მარტყია!
ჰო! ასეთი ვარ,
ამოზრდილი ფერად სიზმრიდან!
და ზეცას ვუჭვრეტ,
ისე, თითქოს სულის სარკეა!
რატომ ვერ ხვდებით,
მედგრად ვდგავარ
და კვლავ ვიდგები!
სადაც უფალმა მისახსოვრა მე დიადემა!
თავთავებისთვის მელოდება
შვილთა მინდვრები,
ცხოვრებას, ჩემსას,
ანგელოზმა ფრთა მიადევნა...
მოვიმკით ნაყოფს,
რაც დავთესეთ
და რაც ვახარეთ!

გარდუვალია, –
ყველა ნახავს
თავის მოწეულს!
არახალია!
ეს ყოველი,
არახალია!
მე ველოდები მზისფერ დისკოს!
მღიმარ ბროწეულს!

რით ვეღარ ხედავთ!
ქარიშხლები ვერას მაკლებენ!
ამ ჩემს ანგელოზს
არ დაეტყო არც დაღლა, სევდა...
ეს გამოწვევა
მე საკუთარ თავში მახედებს...

ასეა!
რაც ვთქვი!
და აქამდეც რომ უნდა მეთქვა!

სოფელს

ახლა სოფელს ზვინის სუნი ასდის,
ცვარმა უკვე გადაბანა ეზო,
აქა-იქ კი გამობრწყინავს მარწყვი –
– ტყის,
სახლ-კარს რომ სამშვენისად ერგო.
გვირილები მიმოიბნენ სულში,
დედაბერას მთა ზურმუხტად ელავს,
იქ ბავშვობა დამემალა გუშინ,
მოგონებებს გულის ფსკერზე ვკერავ...
ჩვენს წყაროსთან მომენატრა ყოფნა,
იქ ყოველი ტვირთი შვებას ითვლის,
ბავშვობაა სანუკვარი ყოფა,
ანარეკლი სამოთხის და სიზმრის.

ახლა ეზოს ის სურნელი ასდის,
მსოფლიოში ერთადერთი, ძველი...
ჩემი სუნთქვაც ორღობეში დადის,
მერამდენედ შემაშველა ხელი!
სიო უკვე გადაევლო სახლებს,
მზე ოდებში იჭვრიტება ჩუმად,
ვხედავ სურათს,
უცვლელსა და სამღერს
და ბავშვობის „ნაჯღაბნ“ დღიურს ვხურავ...
ახლა სოფელს ზვინის სუნი ასდის,
ცვარმა უკვე გადაბანა ეზო,
მოგონებებს გულში ვფურცლავ, რამდენს...
წელს სოფელში ასვლა უნდა შევძლო!

თქვენ

მზეებს ვხატავ,
მზეებს – ცაზე,
მზეებს – გულში,
მზეებს – თვალზე...
მზეებს ვქარგავ,
ვმღერი ქნარზე,
მზეებს გიბამთ
გულის კარზე.
თქვენთვის ვძერწავ,
ვჭრი და ვკემსავ,
მზეს ვადარებ
ყველა კესანს.
მზეებს ვხედავ
ყველა ხმაში,
არ დაგრჩებით
არვის ვალში.
მზეებს გჩუქნით,
მზეებს ვუძღვნი...
მზის ჩუქურთმით
მივალ გზაზე,
მზეებს ვხედავ
შინ და გარეთ,
სათქმელს ვბედავ:
– გენაცვალეთ!
მზეებს ვჭრი და
მზეებს ვკერვ,
ასეთი ვარ –
მიყვარს ყველა!
მზეწნულებით
მზეებს ვქარგავ,
ვაგვირისტებ,
მზეა კართან!
მზეებს ვწერ და
მზეებს ვხატავ,
სიყვარულიც
მზეა რადგან!

* * *

არც არაფერი მინდოდა მეტი,
ადამ-ევადან იყო სურვილი,
ერთი პატარა ქოხი და ბედი –
შენი წყურვილით!
არც არაფერი იყო ოცნება,
გარდა ერთისა, გარდარეულის,
იყავი და კვლავ ხარ საოცრება
ციურ სხეულის!
სიცივისფერი,
ალბათ, ხვედრია,
ღიმილს ვუხვედრებ
დარდს და ფასკუნჯებს,
ამ ჩემს ზღაპრში
სევდა მეტია,
უიმედობა
სურვილს ამუნჯებს.
ასე მივდივარ
სიტყვის ხუნდებით,
ჩემს სასთუმალთან
მეგებებიან!
სულ არ ხუნდები...
შენ არ ხუნდები!
სათქმელს ვერ ვიტევ,
ისე ბევრია!
არ მაქვს უფლება,
არ მაქვს სხვა გზები,
დასკდა ფერადი
სუსტი ბუშტები...
... და ყველაფერი,
ჰო, ყველა ფერი
მაქვს!!!
– და ამიტომ
ისევ ვმუნჯდები...
არცრა მინდოდა ადამ-ევადან
მე ამის მეტი...
მე ამის მეტი!
ერთი მზისფერი ზღაპრის ხელადა
და ის ოცნება, –
სულ ერთი წვეთი...

რებუსი

მთავარი არის, ვხედავდე
ზეცა
ჩემი ვერანდის ვიწრო
ჭრილიდან!
მეტი არც მინდა!
ვეკუთვნი მე ცას!
ნუ მომაბრუნებთ თუნდ გზა-
წვრილიდან!
რომელიც მუცლად
ყოფნისას მერგო,
და საცალფეხო ჩემი ხიდია,
ვერ გაგიყოლებ
ვერაფრით, ჩემო,
რადგან უფალი ჩემი გიდია!
მთავარი არის. ვხატავდე
რწმენას,
დე, სრიალებდეს ველად
ხვიარა...
მე ფრთაფრიალა სიტყვების
მჯერა
და მტკივა თქვენი ყველა
იარა!
მთავარი არის, ხედავდეთ
ზეცას,
თქვენი ვერანდის ვიწრო
ჭრილიდან,
მერე შევიგრძნობ, რომ
ჰგავხართ ჩემს ცას,
ცა კი იწყება ამ გზა-
წვრილიდან!

მე ვარ ქალი!

მე ვარ ქალი!
ამომსკდარი
მიწის ცხელი გულმკერდიდან!
ანდა სულაც
სულის ქნარი,
უზენაესი ფიქრიდან...
მე ვარ ქალი,
ტრფობის დარი,
მზე სისხამზე თმას მიწნის და...
ვარ შლეგი და
თან ვარ წყნარი,
ამოსული ამ მიწიდან!
ისევ ლაღი...
ისევ ვმღერი,
გაზაფხულიც ისევ მეტრფის,
ისევ თალხი!
ისევ ჭრელი,
არც რა მინდა ამის მეტი!
ისევ ცისკრის ვარსკვლავს ვუმზერ,
ისევ მჯერა საოცრების,
ისევ მზის სხივს ღაწვებს ვუშვერ
და ნურასდროს გაოცდებით,
თუ ყვავილებს ლექსს დავუწერ,
თუ იმედებს დავიმღერი,
თუ თვალებით ლოცვას ვუკმევ
მტერს!
– და ამით არ ვიცლები!
...და რამდენი, საოცარი,
იცით, რატომ?
– მე ვარ ქალი!
ცხელ მიწიდან ამომსკდარი,
შავი არა, –
თეთრი ბწკარი!
მე ვარ ქალი...
ანდა სულაც,
ერთი სუსტი ბილილ-ღერო,
იქნებ, გესმა,
ანდა არ გსურს
ეს ზღაპარი დაიჯერო...
...და უბრალოდ,
მე ვარ ქალი...
არც რა მინდა ამის მეტი,
სიყვარული!
საოცარი!
მე სულ თქვენთვის გავიმეტე!

* * *

გაზაფხულდა...
ვარსკვლავს ფერი ეცვალა,
დარდმა მწვერვალს შეაყინა ვარამი,
ცრემლი ისევ სიხარულმა შეცვარა,
გულში ყვავის ძველი იასამანი!
მზეს თვალებში ცისარტყელა უბრწყინავს,
გზაზე მთელი ბაიების რიგია,
მთის მწვერვალი ბნელ აზრს საფრენს
უყინავს,
გულში ლორთქო სიყვარული მიგია!
წვიმას ველი,
შემომიმტვრევს დარაბებს,
მომიხატავს მინას,
ისეც ხატულას!
ეს ცხოვრება გულზე რას არ დამაბნევს,
მეც მზადა ვარ!
ვარ ისევ ის ხათუნა!

* * *

გამოვკეტე სულში ფერი –
მზისგან ამონაჟური,
ლექსი, ჩემით ქარგული და
ვეღართქმული წარსული;
რომ ავხადო ხუფი ტკივილს,
სულ „უფერო“ დავრჩები,
იცით, სიტყვა როგორ ტირის?
საზრდოობას ნაჩვევი.
გულის გულში კვლავ დავიტევ,
ასე ხდება ოდითგან,
რითმა – ჩემი თეთრი შვილი
ასტრალიდან მოვიდა.
ის მზისფერი სასწაული,
ჩაწვა, ჩაწნა სულეთში,
ეს დარდია, საწყაული,
ცოდვის საუკუნეში!
მტკივა გვამი,
მაინც ვერ ვთმობ,
გადავრაზე გრძნეული,
მოდის ღამე,
მთვარის შუქით,
მზისგან გამორჩეული!
დე, ეს ფითრი იყოს ჩემში,
ასე ხდება ოდითგან...
ეს ტვირთი და ლექსის პანო
ასტრალიდან მოვიდა.

შვილებს

მოვილევთ საქმეს,
მოვივლით სოფელს,
ყველა ნივთს თავის ადგილს ვუხვედრებთ,
არ გვავიწყდება, კერძი რომ გვქონდეს,
გასაჭირს გამოსავალს „ვუხერხებთ!“
ავიტანთ რამდენს,
გავიტანთ რამდენს!
ყველა სიძნელეს მკერდით ვასკდებით!
დე, ღმერთი გვწამდეს!
რომ ღმერთი გვწამდეს!
სამყაროს ვუჭვრეტთ
შვილის თვალებით!
ღამეს ვათეთრებთ,
დილას ვაღამებთ,
უქმნელს ვაკეთებთ,
ტირილს ვამთავრებთ,
ზეცას შევღებავთ ცის ფერადებით,
მზეს გულზე ცისკრად გადვეფარებით!
რომ მათ სულებში ცისარტყელებით,
ვნახოთ დილა და წრფელი თვალები!
დე, მარად ეგრძნოთ დედის ხელები!
დედის სითბო და განთიადები!

* * *

ზაფხული თმაში ფერებს იმშვენებს,
სიზმარში, მთებში, იღვრება თქორი,
ყაყაჩომ უკვე დატოვა მოლი,
მიწა კი ელის ციურ სისველეს...
ბარში მდინარეს გვალვა აწამებს,
ხეების ფოთლებს თვალი „უხუჭავთ“,
სახლებს დღეები სტკივათ უჩუმრად,
მზე ეფიცხება კვლავ ჩემს წამწამებს,
ხო, ასეთია ჟღალი სიჩუმე,
აგვისტოს ხრიოკს ვუმზერ წვიმებით.
ფუნჯი, კალამი, მზე – არშიებით, –
ბედთან უტეხი ჩემი სიურჩე!

მირანდა ზაბახიძე – ფილოლოგი;
დაბადების ადგილი – ზესტაფონი.

* * *

ოდნავ დაყუჩდი, გულო ასე რად მეურჩები,
ოდნავ დამინდე, დამიამდი შორეთს სავლელად.
საწუთრო განვვლოთ, ქარიშხალებს თავი ვარიდოთ,
სამშვიდობოსკენ გზა მაჩვენე გარდასავლელად.

გული გულია, აბა ისე რარიგ იქნება,
გული სამყაროს დამტევია, მარადიულის.
აროდეს სცდები, გეურჩები, ბოლოს გიჯერებ,
სასწაული ხარ, ჩუმი ლოცვა, ყველა ღვთიურის.

გაჩენის დღიდან, მიერთგულე ბოლო წამამდე,
ახლად დათვლილნი ყველა დღენი ისევ ჩვენია.
სიცოცხლე მწყურის, არ მიმუხთლო, ბოლომდე გასძელ,
შემოქმედისგან ორგულობა არა გჩვევია.

* * *

ზოგჯერ ვიმოსავ უმეცრების უხეშ სამოსელს,
და თავს ვიტყუებ, მერე რა, თუ ისევ გათოვდა?!
მიწის სიღრმეში ხორცმა იგრძნო ნაცნობი სუნი,
ჩემკენ მრისხანედ მომავალი ლანდი გამოჩნდა.

ისე შემაკრთო, ჯოჯოხეთის გრძნეულს ვამსგავსე,
სულმა დროდადრო დაეჭვება გამაბედინა.
ერთი სხეული თითქოს ორად გარდავიცვალეთ,
ორად გაიყო შეშლილი ცა დასავლეთიდან.

შეშინებული გული სხეულს ვეღარ იტევდა,
სურდა, გასცლოდა წუთისოფლის ბინძურ მარწუხებს.
თავისუფლება სურდა ყველგან გამოევლინა,
არ დარჩენოდათ გასამრჯელო ყალბად „ნამუსებს“.

* * *

ისეთი საქართველო მიყვარს,
გულს რომ აგიძგერებს კრძალვით.
სიტყვა მოხდენილი, ზრდილი,
ქართველი – მადლიანი სალმით.

ვაჟას სამშობლო მიყვარს,
ტატოს „მერანი“, მარდი,
აკაკის „ჩონგური“ მიყვარს,
მუდამ ბედნიერი ჰანგით.

ისეთი ერთობა მიყვარს,
ერთმუშტად შეკრული ხალხით.
მტერს რომ შიშის ზარს სცემდეს
და ქართველობა „ნაღდი“.

ქართული გიჟმაჟური დილა,
მთებში დანისლული ჯანღი.
მთის წვერზე ზარების რეკვა,
ტაძრები – სავსე ხალხით.

ისეთი ქალობა მიყვარს,
მანდილში დაფარული, მალვით.
თვალებით ნათქვამი ნდობა
თავს რომ არ გავიწყებს წამით.

ჰო, ასეთი საქართველო მიყვარს,
რუსთველის დაწერილი ამბით.
მეფე დავითის „გალობანი“,
„შენ ხარ ვენახი“ ვაზით.

* * *

ცოდვად უთვლიან სხვანიარი სიცოცხლის წყურვილს,
სხვაგვარად განცდილს, გაძარცვული სიცოცხლის ვნებას.
ამ არსებობის ყველა სიტყვის აწონვაც მიჭირს,
ან რა აზრი აქვს სულ შემთხვევით დაწერილ ნებას.

სისულელეა ერთი მზერით დაწვა ყოველი
და ამ შეხედვით გავიარო შენს გულში მტერად.
სამარცხვინოა, როცა ყველა განსჯას მოელის
და ამ საგანის განსასჯელი იქმნები მსხვერპლად.

ნაცნობ გრიგალებს ეხეთქება ჩუმი დარდები,
უკვე რომ ვიცი, დაიწყები სიწმინდის მტერად.
დაე, ჩათვალონ, დამივიწყონ, მდევნონ უსიტყვოდ,
გულს ვერ მატკენენ უფალია ჩემივე მცველად.

კიდევ ერთხელ შევბედოთ ძველ ქართულ ფორმებს...

გამელალვოდა საღამო, ვით კუშტი ღამის მისანი
ელვა დაკრთოდა შორეთის, დაუმცხრალ გულისთქმისანი.
სუნთქვა ეკვროდა სიშმაგეს, ვით ბნელეთს – სინათლისანი,
ვერ დამაჯეროთ ვერასდროს ამ ქვეყნის სამართლისანი.

ნუ დაობთ ნურაფერზედა, დრომოჭმულ ბოროტისადმი,
მისი უარსო არსება თქმულია მრავალისანი.
ის უძლურდება მყისიერ სულგრძელი სიკეთისადმი,
ნათლისგან ბნელის დაძლევა, ზეობა დასავლისანი.

მოციქულთ თავნი გვასწავლის, წესია ადამისანი,
ერთურთის ტვირთი ეზიდეთ, ვერა გძლევთ ძალნი, მტრისანი.
თქვენი ბაგენი სიკეთის, იყოს მდინარე, წყლისანი,
უმალვე შთანთქავს ლუციფერს, ჯოჯოხეთს, ბჭენი, კლდისანი.

მაშინ დროება ახლად შობს, ახალ სამყაროს, მზისანი,
უჟამო ჟამი დადგება, ძალნი იმეფებს ღმრთისანი.
ამ თქმულს თუ ყველა გაიგებს, თქვენად ჩამთვალეთ დისანი,
მარად იხარებს სამყარო და სულნი მართალისანი.

* * *

ფართოდ გამიღეთ სიცოცხლის კარი,
გული ვეღარ ძლებს ჩემს სასთუმალთან,
ცივი ნიავი თავის კვალს ტოვებს
სიკვდილ-სიცოცხლის გზა გასაყართან.

ისევ გავყვები ახლად ბილიკებს
გზას, მისასვლელად მართალთა სახლთან,
თუნდაც დავმარცხდე, გულს არ გავიტეხ,
მარად მებრძოლი სამოთხის კართან.

ოქროსფერ ღამეს გადაფურცლავს ღვთის ანგელოზი
და კიდევ ერთხელ შემახსენებს სინანულს თავთან.
ნაწვიმარ გულზე ცრემლს შემიშრობს იმედის სხივი
დილას შევხვდები, ახლად ათვლილ სიცოცხლის წამთან.

* * *

რა ღირს ბატონო, ერთგულება გაცვლილი შურზე
ან რა ფასი აქვს საცოდავად შენიღბულ ნათქვამს,
როცა შენს თვალწინ სიწმინდენი გაამათრახეს
და აღვირს სდებენ მოხერხებით რწმენასთან ნაზავს.

დღესაც ცის ტატნობს შეჰპარვია წითელი ფერი,
მეწამულ ამბად გარდავსახავ ახლა ამ ამბავს.
ჰორიზონტს მიღმა გადავკარგეთ რწმენა, იმედის,
და სხვა მხარეში გადავიტანთ სიკეთის ნაკრძალს.

მიმოდინდება კიდევ ახლად დღენი, მრავალნი,
საკუთარ თავთან საბრძოლველად ჩაგაცმევენ ფოლადის აბჯარს.
ხანაც მალიმალ, ხანაც რისხვით გიკბენენ სულში
და მოგონებად გაგიხდიან ბიბლიურ ამბავს.

სხვა ყველაფერი ჯანდაბას და იმას ვერ დავთმობ,
სიკეთე, ბილწად შერაცხული, მოგიგდონ განსჯად.
ცრუდ ქადაგებენ, ფარისევლებს ტყუილშიც სჯობენ,
აგონიაში ჩავარდნილი თავს ვერ გრძნობ მხდალად.

* * *

ქართულ ქარაგმებს,
მზეგარდასულ
დრო-ჟამში ვეძებ.
და მის ცხელ გულზე,
დღესაც წერენ
ქვეყნის დიდებას.
ძველ ეტრატებზე
სათაყვანო სამშობლო ვძერწე,
ნეტავი იმას, ვინც შენს
ტკივილს, უხმოდ მიხვდება.
ვერ გიერთგულე,
ვერ გეზარდე
შვილი უბეში.
შვილი, რომელიც
საჭირო დროს
გმირად იქცევა.
ახლა რა გითხრა,
ვის მოვთხოვო
შენი ნუგეში.
ეს ნელთბილობა,
მტრის ნაკერპალ
ძღვენად ითვლება..

* * *

(ძველ ქართულში ნართანიანი მრვალობითი
ჩემი საყვარელი ფორმაა,
რადგან ამ გამომსახველობით პროცესში
უფრო ლამაზად ჩანს ქართული ენის ბუნება,
მისი მრავალფეროვნება და მოხდენილობა.

ყველა დროსა და სივრცეში, შესაბამისი
სიტყვათწარმოების მორგების უნარით.
აი, ასეთი ქართული ენა გვაქვს ჩვენ.
მეც ვცადე, მსგავს ფორმას მორგებული
მცდელობა მეჩვენებინა თქვენთვის...)

წარმავალნია აჩრდილნი, ჩვენნი,
მსუბუქ ნისლივით სამშვინველიც გაიფანტება.
მიეცემიან დავიწყებას დიდების დღენნი
და არ იქნება მობრუნება აღსასრულიდან.

...და ამიტომაც ნუ დაიკლებთ ამ სიტკბოებას,
ყველგან დატოვეთ კვალი, თქვენი სიხარულისა.
რადგან ესაა წილი – ჩვენი და ხვედრი – ჩვენი
და ნუ შეგრცხვება ხანდაზმული თმაჭაღარისა.

აღარც სიწმინის საზღაურებთ ველით ამქვეყნად,
და არც უბიწო სულთა ჯილდო გვაჩნია რამედ.
მარადიული სიცოცხლისთვის შექნმეს ადამი,
მაგრამ ეშმაკის ცდუნებებით სიკვდილიც ვნახეთ.

ჩვენი სინდისი,
ცრუ ზრახვების მოწმეებად გადაგვქცევია
და საცდურს ვუგებთ
ყოველ მართალს, რომ არ გვამხილოს.
თუ სასოება უკვდავებით აღავსო ღმერთმა,
უძღებ შვილივით სიყვარულით ისევ დამინდო.

* * *

მთაწმინდის მთვარე ახლაც ანათებს
მგოსანთ საფლავებს ლანდებს, შორეულს.
ისე აწვალებთ სევდა და დარდი,
გული ეწვებათ გრძნობამორეულთ.

დიდი მგოსანი საქართველოსი(ვაჟა),
ისევ აგზავნის ბახტრიონს ლელას.
ისევ თამამად და შეუპოვრად,
მიემართება სამშობლოს მცველად.

აქვე ჯოყოლაც მოშორებით დგას,
გულზედ იხუტებს ერთგულ აღაზას.
ზვიადაურის სტუმრობის ფასი
აუწონია ქალსაც ლამაზად

მტკიცე სიყვარულს ისევ ახსენებს
ვაჟკაცი, ბათუ, მის ნაზიბროლას.
...და საფარბეგიც არ დანებდება,
არ შეასრულებს ბოროტის ნდომას.

კვლავაც იბრძვიან არაგველები,
კრწანისის ველზე ხმალშემართულნი.
მეფე ერეკლეც მას მხარს უმშვენებს,
ცრემლი ჩამოსდის მას, სინანულის.

იქ ვინღა მოსჩანს?! სადღა აცილებს
ქალი, მის ვაჟებს ბრძოლის ველზედა.
ცხრა ძმა დალოცა და გაისტუმრა,
მედროშედ ექცა დედა მეცხრესა.

მთაწმინდის მთვარე ახლაც ანათებს
ჩვენთვის დიდებულ მგოსანთ საფლავებს.
ნეტავ ასეთი გმირების მოდგმას,
რა დაგვემართა, ძლიერ მადარდებს..

* * *

დაუთოვია კავკასიის დიდებულ ქედზე,
შორიდან მოსჩანს სილამაზის იდუმალება.
ჩემი სამშობლო, დამაშვრალი, დამძიმებული,
ყველა სიტყვაში თითქოს შველას მემუდარება.

მე უძლური ვარ, მარტო ალბათ ვერას გავხდები,
მგოსნებო, ახლა თქვენ გადმოგცემთ სიტყვას, თავდებად.
უჭირს სამშობლოს, შევეხიდოთ, უფალს ვავედროთ,
სიტყვა გონს გასჭრის, კაცი, აბა, რად იბადება.

დაფიქრებული სიტყვა თუკი შემოგაგებე,
თუკი შევძელი შენთვის ცოტა ძილის წართმევა.
მხოლოდ სიტყვები რას შეცვლიან თუკი ყოფაში
ისევ არავინ აღგიმართავს დაღლილ მარჯვენას.

მტკივა ყოველი ჯვარცმულობა, მარადიული,
მტკივა, სიცოცხლე უმიზეზოდ რომ იკარგება.
გულგრილობისთვის გაგიმეტეთ, ისევ გაგყიდეთ,
ლეშად ქცეულებს როგორ გვიჭირს შენი ტარება.

გულშიჩაწნილი სუროსავით ეხვევი ფიქრებს
და უძლურება თითქოს ახლა ძარღვებს დახეთქავს.
არ ღირს სიცოცხლე, თუკი შენად ვერ შეითვისე:
კაცად ყოფნა სჯობს, დარჩენა თუ ქვეყნის წამება.

* * *

ფოთლებს ხელისგულზე ვიფენ,
სული შემავედრა ქარმა,
ჩემი ტირიფები თურმე
ისევ იმ სახლის წინ დგანან.

გზაზე მიღიღინებს სევდა,
ქუჩებს ფოთოლცვენა აწვიმს.
მზისფერ შემოდგომის მიღმა
ისევ მარტოდმარტო დავრჩი.

ცაზე გარინდულა მთვარე
თავზე ათინათებს მაყრის,
სული სხეულიდან ძვრება
ვლამობ შეუერთდე ცადქმნილს.

მოვა შემოდგომის წვიმა
ქალაქს მიუსაფარს გახდის.
მერე ჩვენს სარკმელთან მივალთ
სულსაც გადავიცვამთ ზამთრის.

ჩუმი შემოდგომა მიწვევს
სულსაც გადავუცვლი ამინდს.
ფოთლად გარდამსახა ღმერთმა
უკვე საზღვრებს მიღმა დავქრი.

გელა გეგუჩაძე – წამყვანი პედაგოგი, ფილოლოგი, პოეტი.
დაბადების ადგილი – ლანჩხუთი სოფ. ჯაპანა

* * *

ვერ დავაპურე ლექსი ნაკურთხი,
ვეღარ მოგიძღვენ გული საშენო;
ვიცი, განთიადს აღარ დაუცდი,
ამისთვის მაინც არ შემაჩვენო.

გახსოვდეს ცრემლი, კურცხალ და კურცხალ
პეშვით რომ ვკრეფდი იმ შენს წამწამებს,
ალბათ არასდროს დაგავიწყდება,
რაც ჩვენს მომავალს ააკამკამებს.

თუ სიყვარული ოდესმე მაინც
ლურჯი ფრინველის ფრთებით მოფრინდეს
და ამღერებულ სულის წიაღში
იმედის სხივი ტკივილს კოცნიდეს...

მაშინ არასდროს არის გვიანი,
სიყვარულს მაინც არა აქვს ბოლო,
პეშვით აკრეფილ კურცხალს გპირდები
და იმ ჭაბუკურ სიყვარულს მხოლოდ.

მიფრინავს ჩემი ცხოვრების ეტლი,
ვეღარ დავიცდი, არ შემაჩერო...
ვერ დავაპურე ლექსი ნაკურთხი,
ამისთვის მაინც არ შემაჩვენო!

* * *

მე ქართველი ვარ და ისიც ვიცი,
საკუთარ ბედის მე ვარ მძებნელი,
მე იმ ადამის მოდგმის არა ვარ,
ჯვარს რომ გააკრა ნაზარეველი...

მე იმ ადამის მოდგმის არა ვარ,
ოცდაათ ვერცხლად სინდისს რომ ყიდის,
უბრალო სისხლში დაიბანს ხელებს,
მერე გულდინჯად სეირზე მიდის.

მე იმ ადამის მოდგმის არა ვარ,
თუმცა სიკვდილი ბევრჯერ ვინატრე,
ბევრი მყოლია თურმე ბარაბა
და უფრო მეტი, თურმე, პილატე...

მე ამირანის კლდეზე თუ არა,
მიჯაჭვული ვარ კავკასის მკერდზე;
მუხლმოდრეკილი და ქედდახრილი,
მამულო ჩემო, ვლოცულობ შენზე!

ს ე ს ი ლ ი ს

სესოს ბაფთის ბიბინი, თეთრი, თოვლის ფიფქა,
ცისარტყელას ციმციმი, მკერდზე ლოცვით მირქმა...
ხატის მსგავსი ნახატი, ფიანდაზის ფერი;
ღვთიშობელი ნანინას მის საწოლთან მღერის.

დედო ზარი

/წიგნიდან „ვალმოხდილი ვარ შენთან
ქართულო ზეცავ“/

გუგუნებს ზარი, დედო ზარი, ჩვენს საგოდებელს,
ცას წვდება რისხვა, წყევლა-კრულვა, შხამი, სამსალა...
ქართველი არა, არ ყოფილა, რომ სხვას მონებდეს,
თუმცა რბეული,დაქცეული ბევრჯერ გამხდარა.

გუგუნებს ზარი, ახლაც გოდებს მიწა ქართული,
ბორგავს საფლავი, დავითური ძვლები შფოთავენ
და ისმის ლოცვა თამარისა ჯერაც ართქმული,
საფლავის ქვები წინაპართა დღემდე ბორგავენ.

ჰოი, ბიჭებო! დალეწილო ფარო, მახვილო,
გმირო პაატა, გმირო ცოტნე, გმირო ბერდია...
თქვენებრი ხვედრი უნდა ყველამ გავინაწილოთ,
ჩვენი იმედი დაფლეთილი თქვენი მკერდია.

აფხაზეთიდან კვლავ მოისმის ხმა მოშუღარი,
დარწყლულებულა სისხლით, ცრემლით ქართული მიწა,
თავს დაგვდგომია ლოცვა-კურთხვით მამაუფალი,
დამთელი ერი დედაღვთისას ხატის წინ ჰფიცავს:

ხსოვნას ბიჭებო,ნათელ ხსოვნას მრავალი გმირის,
უწმინდეს სისხლის, მამულისთვის უხვად დაღვრილის,
ათასი ცოტნეს, პაატას თუ ჩოლოყაშვილის,
დედის ძუძუს თუ უწმინდესი დედის მანდილის...

გუგუნებს ზარი, დედო ზარი გოდებს და გოდებს,
და მენანება წვეთი სისხლი ქართული გენის,
როცა დავყურებ აბორგებულ საფლავის ლოდებს,
ვერ შემაშინებს, ვეღარ დამძლევს ვერც ერთი მტერი!

ჰეი, ბიჭებო! მობელილო მუხის რტოებო!
ფეხზე დადექით, გაგვინათეთ გზები შავ-ბნელი,
კრწანისელებო, დიდგორელნო, არაგველებო,
თქვენი სინდისით, ვაჟკაცობით, თქვენი სახელით!

გუგუნებს ზარი, დედო ზარი გუგუნებს ისევ,
მტკივა იარა, საფეთქელში გაჩრილი ტყვია,
მაგრამ იმედი გამარჯვების მიფრინავს ცისკენ
და ამას თქვენი დაბრუნების სინათლე ჰქვია!

* * *

თუ ვერ გითხარი სათქმელი,
ან რამე ვერ მოვიფიქრე,
ჩემი დარდი და ტკივილი
ლექსებში ამოიკითხე.
მე აქ ვარ, როგორც ყოველთვის,
შენზე ფიქრით და ნაღველით,
გახსოვდეს, ჯერ არ ჩამქრალა
ტაძარში ჩვენი სანთელი.
თუ არა გჯერა, გაშალე
ყველა პწკარი და სტრიქონი,
თუ სული გინდა იპოვო,
მხოლოდ ლექსებში იპოვი.
აქ არის ჩემი ცხოვრების
ყველა მისხალის სასწორი;
ბედსაც და უბედობასაც
მხოლოდ ლექსები აწონის.
მზეც ჩამიქრება ამქვეყნის,
სადღაც გაწყდება სტრიქონი,
თუ გახსენება მოგინდეს,
ისევ ლექსებში მიპოვი.

* * *

ფიქრი ზეცისკენ გამექცა,
იქ, ალბათ, მაინც შეგხვდები
ჩემი იმედის ხურჯინით
და თაფლაკვერა ლექსებით.
იქაც, იცოდე, არაგვის
ნისლივით შემოგეხვევი;
ლომისის მადლმა, გახსოვდეს,
ნამდვილად, არა შემთხვევით,
დაგიჩოქებ და უფალთან
წილის საყრელად შეგხვდები...
თუ მაინც არ დაიჯერებ,
არც მაშინ შეგეხვეწები.

***

ლაშხეთში

მელეს ხიდიდან გავცურავ ლაშხურს,
გავეკიდები არწივთა მართვეს,
მორელში თითქოს ცეკვავენ ლაშქრულს
და უმღერიან „ლილეოს“ ლაშხეთს.

ისე ხმაურობს ღობშურის ხევი,
ვით გამარჯვების დღესასწაული,
წინ მეგებება გაშლილი ხელით
ქვევით მარგვიში, ზემოთ ნაცული.

თავს მოხვევია ჭითხაროს მწვერვალს
თოვლით მორთული თეთრი ქალწული;
მიწის გულიდან ბინული ფეთქავს,
დევთა ქვაბიდან გამოპარული.

მწვანე ხავერდის სამყურას მდელოს
ააბიბინებს სიო ბიშულის;
ჩასაფრებულა სადღაც როკაპი,
ლატფარში ჩუმად შემოხიზნული.

ახლა ნაცულის ტაძართან ვდგევარ,
გულს კი სვანური სითბო ალაღებს;
მზე ეთხოვება ჭითხაროს მწვერვალს
და უკაცრიელ ღობის სანახებს.

****

კალანდა

დაჩოქილიყვნენ გურულები
ღამით მარანთან,
და ფეხბედნიერ მობრძანებას
თხოვდნენ კალანდას.
წყავის ტოტები
იფარავდა ღამეს მთვარიანს,
გვარიშვილები თასებს სვამდნენ,
ღვინით ცვარიანს.
მერე ხორაგით დატვირთული
ოჯახის მამა
გვარიშვილებთან ერთად დგება
სამზადთან, ძამა!
კარს აკაკუნებს,
მეკვლე არის მოსული კართან,,
შიგნიდან ისმის ნაცნობი ხმა
ქალთა და რძალთა:
– რა მოგვიტანე? –
ღუღუნებენ, როგორც გალობას;
– ხვავი, ბარაქა, სიხარული
და ღვთის წყალობა!
კარიც იღება,
მეკვლე აწვდის სავსე კალათას
და ხვავით მოდის გურიაში,
თურმე, კალანდა!

//...//

უმისამართოდ მიაფრენს ქარი
ალვის ტოტიდან მოწყვეტილ ფოთოლს,
ამაღამ ღიად დატოვე კარი,
უმისამართო ფანტელებს მოთოვს.
მეც შემოვყვები უნაზეს ფიფქებს,
რომ ბაგეებზე ჩუმად დაგადნე;
საწოლს ქარივით მოვარდე იქნებ,
მერე ზეცამდე ფრთებით აგაფრენ.

იქნებ დასრულდეს ხილვა და ბოდვა,
ავყია სიზმრებს დავუსვამ წერტილს;
იქნებ გადავრჩე ბრალსა და ცოდვას
ზღაპრულ ხალიჩას გადავფენ შენთვის...
ახლა გვაწვალებს ფიქრი და ჯავრი
და ვემგვანებით იმ ალვის ფოთოლს...
ამაღამ ღიად დატოვე კარი,
თეთრი სიზმრების ფანტელებს მოთოვს.

მრავალჟამიერ ლანჩხუთს!

ლანჩხუთელს თუ ლანჩხუთლებს,
იმიერს თუ ამიერს,
მრავალ, მრავალ ახალ წელს,
თქვენი მრავალჟამიერ!
ჩოჩხათელს თუ წყალწმინდელს,
გულიანელს, ჩიბათელს,
უფლის მადლი ფარავდეს,
უფლის ხელი სწირავდეს!
ნიგოითელს, ჯაპანელს,
ქვიანელს თუ ჭყონაგვრელს,
შუხუთელს და აცანელს,
ჩოლობარგელს, ორაგველს...
ყველას გულზე ვეკვრები,
ყველას ვეთაყვანები,
ყველგან ღიად დამხვდება
მათი სახლის კარები!
არჩეულელს, სუფსიელს,
ნიგვზიანელს მამათელს,
აკეთელს თუ ჩანჩეთელს,
იმათ სულის ცათამბჯენს...
აბა, მიდით ხორეთში,
მოედანში, კოკათში, –
ყველგან ცად ამაღლდები
საახალწლო ლოცვაში!
ნინოშვილი ხომ არის
მეგობრობის ემბაზი,
მერე ჩამოინაცვლეთ
ეწერსა და ლესაში...
როგორ გაგაკვირვებენ
ჯურუყვეთში, ბაღლეფში,
ჭინათლებს და ყელაელთ
თუ ეწვევით სახლებში!

ჭანჭათი თუ მზე არის,
ხაჯალია მთვარეა,
ლანჩხუთი ხომ საერთოდ
სიყვარულის მხარეა!
ახალსოფლის ნიავი,
ტაბანათის სიო და...
გაგურიდან ორმეთში
მზე-ვარსკვლავა ცვივოდა.
ღრმაღელიდან ომფარეთს,
ხიდმაღალას ყურამდე,
გრიგოლეთის ტალღებში
დელფინივით ცურავდე...
გვიმბალაურიდან რომ
ჯუნეწერში აუხვევ,
ჭალიდან რომ ჯიხეთში
უფალს ლუკმას წაუღებ,_
ეს ხომ სიყვარულია,
გულის სითბოს ნაღები,
მამაპაპურ სასმისით
სადღეგრძელო ნაქები...
ლაშისღელეს, შრომისუბანს,
მაჩხვარეთს და აგარაკს...
მათი სიყვარული მჭირს და
გულში ვეღარ დავმალავ!
მუდამ თქვენთან ვიქნები,
თქვენი ლოცვის მწირველი,
მე ვარ თქვენი მორჩილი,
სულის შემომწირველი.
ჩემი გულის სინათლე,
ჩემს იმიერს, ამიერს,
ყველგან საქართველოა,
ყველგან მრავალჟამიერ!

შ ე ნ

თან დამყვები ორეულის ლანდად,
სულს მინათებს შენი თბილი სახე;
ამას წინათ, ხილვა იყო ალბათ,
ბროწეულის ყვავილებში გნახე.

მერე იყო უცნაური რამე,
ყაყაჩოებს რომ შევავლე თვალი,
ყელს გებნია თითქოს მომღიმარე
ყაყაჩოსთვის მოპარული ხალი.

როგორ მინდა, მოვეფერო ვარდებს,
ბულბულივით სულ ვიმღერო შენზე,
თუნდაც ცრემლად დაგეწვეთო ბაგეს,
მოკრძალებით გეამბორო ხელზე...

თეთრი გედის ამღერება ბოლოს...
ერთი ნატვრა, ერთი თხოვნა დამრჩა –
არ მოვითხოვ უსაშველოს, მხოლოდ
არ დაუშვათ სცენას შავი ფარდა!

მე ვიცი, რომ გაზაფხულზე ისევ
აყვავდება ყაყაჩოთა ველი,
ვერ წავიღებ ბროწეულებს ცისკენ,
რომ შორიდან დაგიქნიო ხელი...

ამ სიყვარულს ვეღარ ვარქმევ სახელს,
ის წააგავს მარადიულ ფრენას:
ან ხატის წინ ჩაუქრობელ სანთელს,
ანდა ტატოს გაჭენებულ მერანს!

ყვავილები, ყვავილები მინდა,
ისევ იქცე ყვავილების ლექსად,
როგორც ჩვენი სიყვარული წმინდა
დღეს რომ ლამის ხილვად გადამექცა.

* * *

აღარ დამიტოვეს არჩევანი,
სულში იმდენი მიქილიკეს,
ლამის ავიბარგო ჩემი ტვირთით
და ისე გავყვე ცის ბილიკებს.
თურმე ვამძიმებდი დედამიწას,
თურმე ვაცივებდი მზის სათბურებს...
ან ამ საგიჟეში გამომწყვდეულ
სულს რა სიყვარული დააპურებს.
ვეღარ ავიტანე უმადური
სულის ჭუჭყიანი გზა-სავალი,
ან კი როგორ უნდა ავიტანო
იგი, რაც არ არის ასატანი...
ჰოდა, თქვენი იყოს ცოდვიანი
თქვენი დედამიწა – საპირწონე;
მე სხვა სამყაროში ვიკარგები,
თქვენ კი თქვენი ცოდვა აიწონეთ...
აღარ გაიგონე, დალოცვილო,
გულზე ნაკაწრით რომ გამისტუმრე;
ყველა ახლოსა ვართ ბოლო ჟამთან,
ნამუსის ქუდი დაიხურე!

გალაკტიონი

როცა მზის სხივი დაეცემა კავკასიონზე
და განთიადი მწვერვალებზე გაახელს თვალებს,
მე ვფიქრობ მაშინ ნისლმორეულ გალაკტიონზე,
როგორ ებრძოდა, როგორ წერდა ის „მე და ღამეს“...

ან კიდევ, როცა დაშლიგინებს ქარი ჭალებში,
როცა მოღელავს ჭყვიშის ველზე შმაგი რიონი...
მისი ხატება მოჩანს მთვარის სიანკარეში,
ან ლურჯა ცხენებს მოაჭენებს გალაკტიონი.

ეფემერები, წამიერი განცდებით სავსე,
ან წამწამებზე მოწყვეტილი ცრემლის ფიორი...
მოხუცი მამა ვენახშია სასხლავით ხელში,
ცვრიან ბალახზე გაშოტილა გალაკტიონი.

* * *

ძეწნის ნაწნავებს წეწავდა ქარი,
აფახულებდა ზესკნელი თვალებს...
სულის შემძვრელად ჭრიალებს კარი,
ალვის ტოტებში ჩამჯდარა მთვარე.
შორიდან მესმის კივილი ჭოტის,
მისი ხმა თითქოს შიშისგან მზარავს,
შემოეხიზნა სულს ავი შფოთი,
ეშმაკი უხმობს ღამეულ წკვარამს.
ამეღამ, ალბათ, ლოდინი დამღლის,
მაგრამ არ ვიცი ვის ველოდები,
ტკივილებს ვებრძვი ფიქრებში გაცრილს,
შენ კი არასდროს მომაგონდები.
ბედუკეთური ჩავრეცხავ იმედს,
უკანასკნელი იელვებს წამი,
ძეწნიდან ქარი ჩამოკრეფს მძივებს,
ზეცაში უცებ ჩაქრება თვალი.
თუ გახსოვს, როდის დამტოვე მარტო,
მას შემდეგ ასე ჭრიალებს კარი,
მაშინაც ჩვენი გულების ახლოს
ძეწნის ნაწნავებს წეწავდა ქარი.

* * *

არაფრიდან ყველაფერი ვნახე,
და რაც უნდა გასაკვირი ჩანდეს,
თუკი სადმე დამიგებდნენ მახეს,
იქვე ფენდნენ იებსა და ვარდებს.
ფარისეველს ვერ ვამჩნევდი თითქოს,
ვერ ვხედავდი სიძულვილს და მტრობას,
ვენდობოდი, რაც არ უნდა იყოს,
შეჩვეული ტკბილი სიტყვით თრობას.
ბარაბასთან გამიტეხავს პური,
სასმისს ვცლიდი პილატესთან ერთად,
ყველას ნებით გავუშალე გული,
ჩემი ღმერთი ვერ ვიცანი ღმერთად...
არაფრისგან ყველაფერი ვნახე,
მერე, წყალმა რომ დატოვა ქვიშა,
აიშალა დაგებული მახე,
ყველაფერი სულ თავიდან იშვა.
ბარაბასგან დამრჩა მძიმე ცოდვა,
მაგრამ ჩემი საზიდარი ვზიდე,
რაც დავთესე მე, ადამის მოდგმამ,
ახლა უნდა იმ მოსავალს ვმკიდე...
უმადურთა ცოდვას ვეღარ ვხედავ,
ყველამ თითქოს დაიბანა ხელი;
ცოდვილები მკრეხელობას ვბედავთ
და უფლისგან პატიებას ველით.

მზეო მარიამ

ლოცვად ვეცემი მუხლზე, მარიამ,
ცრემლით ნალტობი მამშვიდებს ხატი,
შემომწირველი ვარ ჩემი სულის,
თუ აქამომდე მქონია რაც კი...

შენ დაიცავი წილხვედრი შენი,
მზეო მარიამ, გვიშველე ცოდვილთ,
შენ დაგვაფარე კალთა და ხელი
უფლის სახელით, ჯიშით და მოდგმით...

შენ უწყი მხოლოდ, ჰოი მარიამ,
თვალი იმედით მიჭირავს ცისკენ,
მეიმედება რაც კი ძალიან,
დედაო ღვთისავ, მსჯავრისგან გვიხსენ!

ცა გაიხსნება, ალბათ, ღვთიური
ძალა და ნება ჩვენი ფარია...
და სასიკვდილო განაჩენისგან
შენ დაგვიფარე, მზეო მარიამ!

* * *

მე ქართველი ვარ
და ისიც ვიცი,
საკუთარ ბედის
მე ვარ მძებნელი,
მე იმ ადამის
მოდგმის არა ვარ,
ჯვარს რომ გააკრა
ნაზარეველი.
მე იმ ადამის
მოდგმის არა ვარ,
ოცდაათ ვერცხლად
სინდისს რომ ყიდის,
უბრალო სისხლში
დაიბანს ხელებს,
მერე გულდინჯად
სეირზე მიდის...
მე იმ ადამის
მოდგმის არა ვარ,
თუმცა სიკვდილი
ბევრჯერ ვინატრე,
ბევრი მყოლია
თურმე ბარაბა,
და უფრო მეტიც
თურმე პილატე...
მე ამირანის
კლდეზე თუ არა,
მიჯაჭვული ვარ
კავკასის მკერდზე,
მუხლმოდრეკილი
და ქედდახრილი,
მამულო ჩემო,
ვლოცულობ შენზე!

* * *

ოცნებით ვაგებდი ეროსის ტაძარს,
მე სიყვარულის ვიყავ ქვითხურო;
ახლაც კი მინდა, ვანთებდე ხანძარს
და ცეცხლოვანი მზერით გიყურო.
მაგრამ გადაჰყვა წლები ნიაღვარს,
თუმცა წარსული მეჩემგულება;
ცხოვრებამ ისე მწარედ მიავდრა,
ვეღარ ვიწამე ეს ერთგულება.
ფერი ჩაუქრა მწიფე ალუბალს,
ნეკერჩხლის ფოთლებს მოედო ალი,
შენ ვერ იქნები, მადლობა უფალს,
ჩაუქრობელი მზის დედოფალი.
ღალატის თოკზე ჰკიდია მადლი,
სიყვარულისთვის რაც კი გავეცი;
ცხოვრებას ასე შემოვრჩი ლანდი,
ასჯერ წამოვდექ, ასჯერ დავეცი.
მაგრამ ოცნებით კვლავ ვაგებ ტაძარს,
ვიყო ეროსის კერპი ქვითხურო,
მინდა, ბოლომდე ვანთებდე ხანძარს
და ცეცხლოვანი მზერით გიყურო.

* * *

დავცემულვარ და წამოვდექი – ღმერთმა მიშველა,
სიკვდილს ვებრძოდი, ჩემთან იყო ისევ უფალი...
ცისარტყელამ რომ ლურჯი გზები გადამისერა,
მეგებებოდა ღვთაებრივი ჭირისუფალი.
აქამდე, თითქოს, ვერ ვხედავდი ზღაპრულ ქიმერას,
ჩემს სასთუმალთან თავს იყრიდნენ ანგელოზები,
უხილავმა რომ შვიდგზის ლოცვა ჩამოიმღერა,
ჩემთან ცეკვავდნენ ანგელოზთა თეთრი ფრთოსნები.
ლაზარესავით აღმადგინეს, და ისევ დაცხრა
თბილი მუსიკა, რექვიემის ბოლო აკორდი,
ეშმაკეული მოჩვენებაც თვალთაგან გაქრა
და გაიშალა უნაპირო სივრცის წალკოტი.
– მომნატრებიხარ! – მიწის სევდა ამიხმიანდა,
ან რა ვიცოდი, თუ რა იყო ბედის ტრიალი,
მე ჩემი მიწის მოფერება დამაგვიანდა,
მისი თიხა ვარ მე, ცოდვილი ადამიანი.
გადამავიწყდა უსასრულო სევდა-ტკივილი,
ისე მომწყურდი, როგორც ჩემი ქოხი უბრალო...
წუთისოფელზე თუ გავბედე ისევ ჩივილი,
მაშინ მიწასთან დამაბრუნე, გესავ უფალო!

შატილიონი

კალმახივით მივდევ არაგვს,
აღმა-აღმა ჩქერალებს,
მერე მთებში გავშლი კარავს,
სალამს ვეტყვი მწვერვალებს.

ნისლის საბანს წავიხურავ,
სიზმრებს ვნახავ ნისლიანს;
ვაჟამ გვითხრა ვაჟაურად:
ნისლი მთების ფიქრია.

თუ როკაპი შემომხვდება,
შუბს ვაძგერებ ბუნიანს,
არც ყვავ-ყორნებს დავინდობდი,
გულღრძოსა და შურიანს.

ამ კლდეების ნამსხვრევი ვარ,
ვაჟას ქუჩის ნამცვრევი,
მისთვის კრავი შეწირული,
ბეჭზე გადანამტვრევი...

და მივყვები ახლა არაგვს,
აღმა, როგორც კალმახი,
მყინვარივით გულზვიადი,
ამ მთებივით ამაყი.

მაღლა, მთებში გავშლი კარავს,
გარს ღრუბლები მივლიან,
ნისლის ნაბადს წავიხურავ,
სიზმრებს ვნახავ ნისლიანს.

მ ე ს ტ ი ა

თეთრი ნაბადი მოუსხამს თეთნულდს,
უშბაზე ნისლი იკრავდა ღილებს,
სვანურ კოშკებში მზე ჩამდგარიყო
და გუგუნებდა ენგური ლილეს.

უფლის დღესავით ნათელი იდგა,
შხარაზე თითქოს ჩანდა მესია,
შუა ხეობაში ჩაფენილიყო
ხელაპყრობილი ლოცვად მესტია.

მივეშურებით კალას და უშგულს,
უკან ვიტოვებთ ნისლიან მულახს,
ბროლის ჩქერალი სიმღერით მოქუხს
და ეხეთქება ამ კლდოვან დუღაბს.

თითქოს ზეცამდე ამაღლდა სული
და აკაშკაშებს ამაყ მწვერვალებს;
ცისარტყელები გაბმულა მთებზე,
მზე ჭიუხებში ანთებს კელაპტრებს.

რქებით ჰკიდიან მწვერვალს ჯიხვები,
ზღაპრის გმირები ცოცხლდება თითქოს,
ჯადოსნურ ხევში წვება ნისლები,
სვანეთი თავის გულისკენ მიხმობს.

თუ მყავს

გულს ეჭვის მახრა ბურღავს,
სულში მიწივის ქარი, –
არაგველები თუ მყავს,
ან კიდევ – მეფე-ქალი.
გულშეხუთული ვფიქრობ,
ყელში მეკვრება სუნთქვაც,
თუ მყავს თევდორე ბერი,
ანდა დავითი თუ მყავს.
შუბლგახვრეტილი ტყვიით,
დღემდე რომ ასე ვწუხვართ,
ერის მამებო, თუ გსურთ,
ილიას რამე უთხრათ.
ქეთევანივით, თუ გსურთ,
შანთზე ანთებდეთ სანთელს,
სულს უპურებდეთ შორით
იქ ფერეიდნელ ქართველს...
ბოღმა მაწვება ყელში,
გულს ეჭვის მახრა ბურღავს,
ერის მამებო, თქვენში
თავდადებული თუ მყავს.
ანდა რად მინდა მეფე,
აშარიც მყავდა, გულქვაც,
ერთი მითხარით მაინც,
უფლისციხელი თუ მყავს.
უსახელო და მუნჯი,
მამული როგორ უყვარს,
ვაზს რომ იცავდა სისხლით,
გლეხი ნინია თუ მყავს.

შვილებს

ანკარა ცის ნათელში,
მზე რომ ამაცილებს,
ვხედავ მხოლოდ სიმაღლეს,
ვხედავ მხოლოდ შვილებს.

აქ დიდია სამყარო
უსაშველოდ დიდი,
რომ შემეძლოს შვილებო,
მზესაც მოგაწვდიდით.

გზა სავალზე სარბენი
წამი როგორ გარბის,
გმირები ვართ რამდენი,
მოგონილი ზღაპრის.

ო, რამდენი უძილო,
ღამე ვტეხეთ ბნელი;
ხან ზღაპრები მართობდა,
ხან ალერსი თქვენი...

ხან ლექსი და სიმღერა,
გვიმატებდა ხალისს;
როგორ თბილად ვკოცნიდი
თქვენს დანამულ ბალიშს...

ანკარა ცის ნათელში
მზე რომ ამაცილებს,
ვხედავ მხოლოდ სიმაღლეს,
ვხედავ მხოლოდ შვილებს.

ი ს დ ღ ე

დიდი თვალები ჰქონია ლოდინს,
თითქოს სევდიან წარსულს გაგონებს,
უსაგნო განცდას, ვით პირველყოფილს,
შენს ფიქრებს მაინც ვერ გააგონებ.

გინდა, რომ ისე უყივლო სევდას,
დაცალო ბოღმით სავსე ფიალა,
მაგრამ წარსულთან სიყვარულს ხედავს
გულგადახსნილი ძველი იარა.

ის დღე სრულებით არ ჰგავდა ძველებს,
თუმცა კი იყო იგივეს ლანდი,
კაბის კალთაზე ტანჯავდი ხელებს,
ჩანდი და თითქოს აღარც კი ჩანდი...

წარსულის მიღმა ვხედავდით აჩრდილს,
მიეთმოეთებს ვუნთეთ სანთელი,
ვერ ვუკიდებდით ერთმანეთს სახმილს,
თუმცა სხვა იყო, ალბათ, სათქმელი.

ვეღარ გავიგე, სად მივატოვეთ,
ანდა სად დაგვრჩა ბედი ეული,
ჩვენი გული რომ სხვას ვუსახსოვრეთ
უკვე ერთმანეთს გადაჩვეული...

მიმქრალ სანთელთან იმედის სხივი
მარადის, ნეტავ, დარაჯად იდგეს,
სიყვარულის და ცხოვრების მწირის
სიცოცხლე, მართლაც, რაიმედ ღირდეს.

* * *

სიო მეფერება თმებზე,
თითქოს სუნთქვა მესმის შენი,
მზე კი მშვიდად წვება ზღვაზე,
მწიფე მზესუმზირის ფერი.

გულში ტკივილები მკორტნის,
სვავის ნისკარტივით ისე,
თითქოს დამნაშავე ვიყო,
ვეღარ ვიხედები ცისკენ.

თოლიებს გავადევნებ მზერას,
მზისკენ გაწვდილი მაქვს ხელი,
ვნებდები ბედის წერას,
შენ კი ვერაფერს მშველი.

ბინდი იკეცება მთებზე,
ისევ სუნთქვა მესმის შენი,
და მზე ტალღებზე ცურავს,
მწიფე მზესუმზირის ფერი.

მშვიდი სანაპიროს ბაღი
რექვიემს უკრავდა თითქოს...
ნეტავ პატიებას გთხოვდე,
ნეტავ დამნაშავე ვიყო!

* * *

სარკმელთან ელავს მაისის ღამე,
წვიმის წვეთები აწყდება სარკმელს,
ლექსი ღამიდან გაახელს თვალებს,
ეს სტრიქონები თუ გეტყვის რამეს.

მაისის წვიმას შესძახებს ჩხართვი
და მთელი ღამე გალობს და გალობს.
საკუთარ თავთან ძნელია მარცხი,
თუ სიყვარულში ბედი არ გწყალობს.

ყურს ვუგდებ ჩხართვის საამო ძახილს,
ისიც ხომ თავის საყვარელს უხმობს,
მე კი ცრემლებით შევავსებ სასმისს,
უჩვეულოს და ყველასთვის უცხოს.

თუ იყო, ალბათ, ღმერთისაც ნება,
ხელში მაქვს თასი, ცრემლით ავსილი,
როგორც წარსულის ჩამქრალი ვნება,
ჩემგან მიიღე ეს შესაწირი.

* * *

მზე ეშვება, თითქოს უფლის მადლია,
ოქროსფერი მეფინება ბადე,
მაღლა ზეცის ღვთაებრივი თაღია,
თავზე თითქოს უკვდავება მადევს.

სულიც მიხმობს ისე თავდავიწყებით
და ისეთი გატაცებით ვთვრები,
რომ დამჭირდეს ცხრა მთას გადავფრინდები,
მოგიტაცებ არწივული ფრთებით.

მიწა თითქოს ცეცხლის ალში ეხვევა
და მაღლდება ჩემი ლურჯი ზეცა...
შენი მადლი ტანზე ჩუმად მეხვევა
და ეროსის გატაცებას ძერწავს.

სული ებრძვის სიყვარულის ნიაღვარს,
წინ გაშლილი ყვავილების ველია...
შენც გამიშლი მწიფე მკერდის იალაღს,
როცა სულში ბულბულები მღერიან.

ადამის მოთქმა

თიხიდან მძერწე, უსულო ქანდაკს
სული მაჩუქე, ნაწილი შენი,
ედემის ბაღში მიგებდი სახლ-კარს,
სამოთხეს ჰგავდა ლურჯი ცის ფერი.
მადლობა ღმერთო, დიდება შენდა!
სიცოცხლისათვის ვლოცულობ დღემდე,
მეც ვარ ნაწილი პირველქმნილ ფერთა
და განფენილი მიწიდან მზემდე.
დიდება შენდა, მაღალო ღმერთო!
მე ახლა მქვია ადამყოფილი,
შენი მზის მადლი კერაზე მენთო,
ვიდრე არ გავხდი პირველცოდვილი.
ან რას მერჩოდი, ჩემს მარტოობას
შემოაპარე ცხოვრების მსხვრევა,
დაბადებიდან დღემდე რომ მდევნის
ჩემი ნეკნიდან ნაშობი ევა.
აკრძალულ ხილთან ნამყოფიც არ ვარ,
მე შენი ხორცის ნამცეციც მყოფნის;
ახლა კი დევნილ ნახიზნარს ვგავარ
და ჩემი ცოდვა სულს მწარედ მკორტნის.
თიხა კი არა, არ დავრჩი მტვერიც,
ცოდვილს რომ ფანტავს უწყალოდ ქარი;
შემომაშველე, უფალო, ხელი,
შენი წყალობის ვარ მათხოვარი.
არის ბნელი და იქმნენ ნათელი,
ჰყავ წყალობა და მაშორე ცოდვა;
ჩამოიღვენთა, როგორც სანთელი,
ადამყოფილის ზარი და მოთქმა.

ელდარ ჭიჭიაშვილი – ისტორიკოსი, მთარგმნელი, ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ძეგლთა დაცვის მთავარი სპეციალისტი; ავტორი პოეტური კრებულისა „სახლი ავიგე, უფალო!“

გლეხის ბიჭი

გლეხის ბიჭი, გულჯაგარა,
ხორბალ-მტევნის იერით,
მკერდზე მიწა ელანძება,
სავენახე, ფხვიერი,
გული, სანთლის შუქით სავსე,
ღია საყდრის კარები,
ეს ქვეყანა მისით არის
ასეთი ღონიერი!
შემოგცინებს დილის სისხამს
მზეწამწამა, თვალშავა,
არწივის ფრთებს გამოისხამს
თუ მხარ-მკლავი გაშალა!
მისი არის ეს ცა-მიწა,
უნდა? მთვარეს შეყმუვლოს,
უნდა? ციდან ჩამოლალოს
ვარსკვლავთა საკრებულო!

ბახტრიონთან ჩაიმუხლოს,
დაეწაფოს ალაზანს,
მთის ნაჟური ასალბუნოს
მკერდს, კახურით ნალაღარს!
მშობელ მიწას ჩაჰბუბუნოს,
ხარლაღივით გამალდეს,
მყვირალობა უსაყვიროს
საჩინოდან ალავერდს!
სანთლის სხივად შეემატოს
ამდენ მზეშარავანდედს,
მისი გულის სითბო-შუქი
დედამიწას ფარავდეს!
იქნებ ცოტა მოეფონოს
გულზე დადებულ ხუნდებს,
პაპის ძვლებიც ნეტარებით
საფლავში გადაბრუნდეს!

რა მინდოდა?

რა მინდოდა, რად ველტვოდი,
ჯავახეთის სანახებს?
ქვად ქცეულა ყველაფერი,
ქვა მითელავს ბალახებს,
ყველაფერი ქვად მიქცია,
რაც ოცნებით ვალაღე,

შენი გულიც ქვად ქცეულა,
ჩემიც ქვებში დამარხე!
სხვა რა ბადე დაიჭერდა
გულში ნასხლეტ კალმახებს?
რად გინდოდა სხვა მზაკვრობა,
სხვა ბორკილი და მახე?

ცას შევკიდე...

ცას შევკიდე უკვდავებად
ახადი და ციხე ხალდე,
ციხე აბულს ქვის ლაშქარი
თორ-პერანგად შემოვარგე,
ცას შევმზირე სული ჩემი,
მზის გულამდის კიბე ვაგე,
იალბუზის საზარედან
ძლევის ჰიმნი ჩამოვჰანგე!
იბერობის სისხლბორჯღალი
ვაბრწყინე და ცეცხლით ვდაგე,
ჩემი ჯიშის უკვდავება
უფალს ჯვარცმით შევღაღადე,
გაყიდული, ჩემი ბედი
დედაუფლისას მივანდე,
მოვდივარ და მივდევ მამის,
სადაც მიმიძღვება, ანდეს!
მოვსხეპ ჟამთა ეკალ –ბარდებს,
შიგ შევრჩი და გავიბლანდე,
ვიქნევ ხმალს და ბასრ ორლესულს,
მაგრამ გზა ვერ გავიწალდე!
რა ვქნა, თუკი წუთისოფელს
გასათელად არ ვენაბდე,
ანდა ყელზე მოხვეული
ვერ ვიფონე თოკ-სამალდე!
თუკი გულს ვერ გავუნელე
მოჭერილი ცეცხლის სალტე,
თუკი უფალს, ცოდვათათვის,
სინანული ვერ შევმატე!

მიწა ჯავახთა

მიწა ვარ, მიწა, ჯავახთა,
ვეფხვ-მოყმის სისხლით ნაღები,
ქართული ცრემლით ნაკურთხი,
ქართული ძვლებით ნაგები,
ნახანძრალ-ნაავადარი,
ცის ნამით ნასალბუნები
წმინდანთა გზა-საბილიკო,
გულუხვი მზით და ბუნებით,
ქორ-შევარდენთა საფრენი,
არწივთა გადმოსახედი,
შავლეგო ყმათა სავანე,
ლომთა, მოზვერთა სახედნი!
მზეო, მზარდე და დამდაღე,
ჩემო დედავ და მშობელო,
შვიდთა მნათობთა გვირგვინო,
სამყაროს ფერთა მმკობელო!
წმინდა გიორგის ლახვარით,
გველეთის დამამხობელო!
კვლავ, შენგან ნაწყალობევნი
დიდებით შემოგხმობენო!
მიწა ვარ, დაობლებული,
დედამ რომ ჩამომქვითინა,
მამამ მნახა და აცრემლდა,
დაჯდა და ბევრი იტირა!

ხერთვისო

გული რად ჩაგიხვევია
ხერთვისო, ჩემო ხერთვისო,
შენ, ჩემო ბოლო სიმღერავ,
კლდეს გადმომდგარი გედისო,
ისე არ მომკლას გამჩენმა,
(კი ვარ უბედო ბედისო!)
მომწყურდე, მაგრამ შენამდე
მოსვლაც კი აღარ მეღირსოს!
გნახო? ამბორი გაახლო
ალავერდის და მცხეთისო,
შენ კი, გოროზად, ისარი,
გამაპობელი მკერდისო,
მალახვრო, გული გამიპო,
სწორედ, ღირსია ქებისო!
მზე წითლად შემომიღამო
ცით გადმომზირალ ქედისო,
მტკვარს მიმცე ანდა ფარავანს
კერძი გამხადო, თევზისო,
დამკარგო, გიქონ ისარი,
ნაჭედი მესხი მჭედლისო
ცრემლიც კი აღარ მაღირსო
მოხუცებული დედისო.

წყღრუღაშენი

მზესხივმკობილი გვირგვინად მედგა,
ავღერე ყელი – წუღრუღაშენი,
წმინდა გიორგის ლავიწთა ზედა,
კეთილაღნაგი და ანაშენი!
გზისკენ დამაწყდა მზერამიჯნური,
მონატრებული ალვა-ჩინართა,
ვეღარ ვაოკე გოდება სულის,
შენთან ერთად რომ გაუჩინარდა!
მას მერე გულზე შემომეკიდა,
ობოლ ბალღივით, ნატვრის ახდენა,
მთვარის სონატის გიმზერ ზეციდან,
ნეტავ შენს გულშიც ჩამომახედა!
ვდგავარ და ვიცდი, გიმზერ შორიდან,
ყელშემკობილი მარჯან-ფურღულით
გულს მასვენია შენი ლოდინი
და ნაღვლიანი, გვრიტთა ღუღუნი!

შებანგული სოსან-სალბით

შებანგული სოსან-სალბით,
სიო სუნთქვას სიმად ვაბი
და გულისთქმად შემოგყარე
ღიღილოთა წამწამ-წარბი!
სურვილს მასმევს სუსამბარი
მსურნელი და თავმდაბალი:
შევაბნიო პირზე პეშვით
ანგელოზთა პირნაბანი!
დროშის ბუნზე ზანზალაკებს
ვაბუბუნო დედო ზარი,
სიკვდილს ავად შევაყეფო
არაგველთა თორ-აბჯარი!
დამებნიდა გული ბრყვილთა
უბრყვილობით გულს ნაბამი,
დამებინდა ამა სოფლის
სასრული და დასაბამი!

სერაფიტას მონოლოგი

არმაზციხით მცხეთის გორებს,
დარაია ვფინე გლოვის.
იმ სვემოკლე ჟამისაგან
სხვა რა დარჩა მოსაგონი?
სილამაზით მზეთა მჯობმა
მზე ვუშავე პიტიახშებს,
და ამაო სიამენი
მწუხარების. ცრემლში ვახშე,
განვეკრძალე, ერთობ ნორჩი,
ცრუთა სოფლის ეკალ-ქაცვებს,
მას დავჯერდი, რაც ვიკერძე,
წუთისოფელს რაც წარვსტაცე;
მე, სერაფიტ, სერაფიმთა
ფრთაფარფატა დიოფალი,
მზისა მჯობი, მზეჩამქრალი,
უდროდ მიწად დავეფალი!

მაეჭვებს ეგ შენი ღიმილი,

მაეჭვებს ეგ შენი ღიმილი,
ვიცი, რომ შენს გულში ბინდია,
მიქრიან მდუმარე დღეები,
მიდიან, მიდიან, მიდიან!
ტყუილად მისტირი სიშორეს,
თუ გულში ყინულის ლოდია,
ლოდინი უაზრო??? უსაგნო???
სათქმელად ადვილი როდია?
სამყარო მართლაც რომ გაგიჟდა,
ფერებმა დაკარგეს სურნელი,
ვიცდი და კვლავ ველი შენს ღიმილს,
მეც, ერთი გიჟი და სულელი!

კვეტარო

ჩემო ლურჯლეჩაქიანო,
კვართჟრუნო, ჩემო კვეტარო,
გენუკვი, თან წამიყვანო,
ოდეს ამაღლდე მზესთანო,
თუ აქ იქნები, მიწაზე,
გიმზირო, გულს მენეტარო!
შენი ციური ცრემლები
წყლულზე ნუგეშად მეყაროს!

ტაძრად მისულს...

ტაძრად მისულს, მამის გულად
მეფეხთფინა ამბიონი,
მადლად მდინარ დედის ცრემლთა
იორდანე და იორი!
სხივი მთოვა სარკმელთაგან
შემოჭრილმა, მზემთვლემარმა,
თითქოს თაღთა მკრთალ ბინდბუნდში,
დაიკვნესა ქეთევანმა!
ისე, როცა ჯალათებმა
მკერდზე კვართი შემოძარცვეს,
დაატეხეს ანათემა
და ნაღვერდლის ტოგა აცვეს!
გამიჩერდა გულის ფეთქვა,
დამებინდა მზერა თვალთა,
ყური ვაპყარ ჩემივ გულით
გამომდინარ უცხო ხმათა!
ცას შევლეწე მინანქარი,
მზერა ვკიდე ნამსხვრევ ხიმებს,
ვაშკარანი გავხსენ გულის,
იქ იესო ვერ ვიხილე!
მაშ უფალო, რაღად შემქმენ,
შემალეწე ყორე-კედელს,
გულში მყავხარ, მაგრამ ერთხელ
თვალებში ვერ შემოგხედე!

უფალო...

დასაბამიდან შენკენ ვიდოდი
წმინდა გიორგით მხნე და გულადი,
ლარ-საგანძურთა განმბოძებელი,
გულს საზედაშე მტევნად ვწურავდი!
ჯვარი ვაზისა მოვრწყე ცრემლებით,
შემოგღაღადე ქება „მზე შინა“,
საკირის ცეცხლით ვმდუღრე ძვალ-ხორცი,
რომ ღვთაებრივი გადამერჩინა!
და რამდენჯერაც ხელი ხმალს ვიკარ,
თუ შემომიძვრა უბეს იქედნა,
იმდენჯერ, მწედ და გზის მანათობლად,
ჯვარცმის ნათელმა გადმოიხედა!
რამდენჯერ ნახმლევ-ნატყვიარ შუბლით
გადმომსკდა სიბრძნის და სისხლის ტბორი,
ვინც ჯვარზე მაცვა, ის შევიყვარე
და დავემკვიდრე მართალთა შორის!..
შუბლზე დავიდგი ეკლის გვირგვინი,
გოლგოთა სისხლით შევაფერადე,
ღვთისმშობლის კვართი გულში ჩავიკარ,
რომ მოვსულიყავ, ღმერთო, შენამდე!

ხატის კარს...

ხატის კარს მოდგნენ თავდახრით
მკერდშუქიანი ვაჟები,
ხანჯლის ტარს ეღირებიან
ბრძოლით დაღლილი მაჯები:
შენ, ჩემო, ლაღო სიცოცხლევ,
ერთსა გთხოვ, ერთს გეაჯები,
ღვთისმშობლის ნაკურთხ მიწაზე
უქმად ნუ დაიხარჯები

უფლის ჩიტი

ყოველ ღამე, ერთი ჩიტი
როცა ირგვლივ, ყველას სძინავს,
„არ გათათრდე! არ გათათრდე!“
შეჰქვითინებს სარკმლის მინას!
ბნელში ცრემლობს დედოფალი,
განეცხადა უფლის ნება,
გაქრა ხორცი – სულის ცეცხლი
ჯვარცმის ელვით იხანძრება!
– გმადლობ, ჩემო მაცხოვარო,
რომ მომმადლე ჭირთა თმენა,
ყველა ცრემლს და ყველა ტკივილს
ცეცხლის ჯვარცმით გადავთელავ!
ნეტავ ახლა რა სიზმარი
დაჰფოფინებს ქართულ კერას,
ანდა გრემის ნახანძრალზე
რა ატირებს მწიფე მტევანს?
რა ზედაშე ჩააწურა
ქართველობის სისხლის მარანს
და ჩუქურთმად, უფლის ნებით
ტაძრის ბჭეზე, დაივანა!
მზერა შენი, მაცხოვარო,
ცეცხლში მომდევს საჩრდილობლად,
დაიფარე ერი ჩემი
დაშთენილი ასე ობლად!
განუმზადეს ღვთაებრვი
სადედოფლო სარეცელი,
გულს საბანი დაახურეს
ყველა ცეცხლზე უფრო მწველი!
ზეწრად ცეცხლი დაუფინეს,
სცხეს ცეცხლისვე მუშკ-ამბრ-მური,
თავს დაადგეს ცეცხლის ჯიღა,
თავსარქმელი დედოფლური.
რა ხმა ისმის ცის გუმბათით,
რა საყვირთა, ზართა რეკვა,
შირაზული ვარდსურნელი
საკმეველმა ვით წალეკა?
უფლის ჩიტი მოფრენილა,
სულს აბარებს ქეთევანი,
ცაზე სისხლად იწურება
ცეცხლის გვირგვინ– მზემტევანი!
გაფრინდება თვალხატულა,
ფრთებად ისხამს დედის მანდილს
და გოლგოთას აატირებს
ქართულ სულის შარავანდი!
საით მიფრენ, უფლის ჩიტო,
თქვი, ამდენ ხანს რად ვერ გნახე,
რას ჭიკჭიკებ, საყვარელო,
რა ტკივილი დაიმარხე?
-ათი წელი ტყვედ ვიყავი,
ვიგლოვე და ვივაგლახე,
ცეცხლის ცეცხლით დავამსხვრიე,
ბორკილი და ყველა მახე!
სულს მიწრთობდა გოლგოთიდან
მონაბერი ჯვარცმის ექო,
რომ თათრის შანთს ჩემი ჯიშის
გულის ცეცხლი ვერ ჩაექრო.
მელოდება ედემ-ბაღი
თათრის ცეცხლით ნაოხარი,
წინ მიმიძღვის ქალწულის თმით
შემკობილი ვაზის ჯვარი!
გადავლახო ბილიკები,
სამზერები სათათრლეკო,
მსურს, ალავერდს დედო ზარით
უფლის ნება ჩამოვრეკო!
გზად ტყვედქმნილთა ძვლებს ვემთხვიო,
ცრემლმა რიყოს ფლასის ბუჩო,
რომ სისხლიან ნაკალოვრებს
ტკივილები დავუყუჩო!
მომეგებეთ, მომეგებეთ,
ალგეთელო მგლის ლეკვებო,
ნაშანთ დედის მადლი იცხეთ,
რომ სიმტკიცე დაგეკვებოთ!
მომენატრეთ სულმდუღარედ,
საქართველოს წალკოტ-მთანო,
გლახაკს მადლი მიწყალობეთ,
თქვენს წიაღში დავივანო!

* * *

იქნებ არც ღირდა!..
ვერ დავეწიე ზარების გრიგალს,
გულს რომ ბზარავდა გოლგოთის მხრიდან.
ჩადგა და სევდა ჩამომათოვა,
ეს მოლოდინი იქნებ არც ღირდა!
ჩემი სიცოცხლის ტკბილ-მწარე ჰანგებს
ხმა იდუმალი წერდა და შლიდა.
იქ ვერ მივედი, სადაც მელოდნენ,
ამ ქვეყნად მოსვლა იქნებ არც ღირდა!
ბრბო უმადური ფეხით გაგქელავს
და წაგიბილწავს, რაც შეგრჩა წმინდა.
მის გამო, ღმერთო, ეკლის გვირგვინი
და ჯვარზე გაკვრა იქნებ არც ღირდა!

გადაივლის ქარი გორებს,

გადაივლის ქარი გორებს,
მიმიფანტავს გზა-გზა გლოვას,
ისევ სევდით მოიგონებს
წარსულ დღეთა მოსაგონარს.
სად წარუძღვათ ნათლის სხივი
საით გაჰყვნენ დარდის ურემს,
მიუსაფარ ჩიტებივით
რომელ ბუდეს მიაშურეს?
დავდევ ქარს და ჩემს თავს ვკილავ,
ვის დავეძებ ან რა მინდა?
ყველაფერი წალეკილა,
რაც აქამდე მომყვა წმინდა!
რა ცეცხლია, სულს რომ ხანძრავს?
დრო გავა და ყველა თარიღს,
ვით საფლავზე მოხსნილ ძაძას,
გაახუნებს მზე და ქარი!
არაფერი არ გამოვა,
ციდან ხმათა ღაღადს ვუსმენ,
ნაგოლგოთარ უფლის ჯვარზე
თუ გულით არ მიელურსმე!
რაცარუნდა ცეცხლის ალი
შემოივლო გულზე მქისე,
მაინც წავა წარმავალი,
მოსასვლელი მოვა ისევ!

ჩემი ლეგენდა

გვერდს მიზის ჩემი ლეგენდა,
მხარზე ხელგადახვეული,
წმინდა გიორგის ძუძუმტე,
ბეჭბრტყელი, ალვა რხეული!
შუბლს უმკობს მზის ნამცვრევივით
მტრის მოქნეული ნახმლევი
წელს პაპის შვენის ხანჯალი
ბებოს თავშალში ნახვევი,
ტანზე ბექთარი აცვია,
დიდპაპას სისხლით ნაბეჭი,
მინდა, ხელებზე ვემთხვიო
და დავუკცნო მხარ-ბეჭი!

მაცოცხლე

მაცოცხლე, შენს სიახლოვეს,
სუნთქვა მიკმიე შროშანთა,
ცისკრით მიღებე კალთები
საქორწილმაყრო ჩოხანთა!
შენი გულის ხმას ვისმენდე,
გინდაც კლდის ლოდზე მწოლარი,
მადლით მავსებდეს, სხივფერი,
ცით დაშვებული ოლარი,
სიზმრიდან შემომღუღუნებ,
ვით გლოვისფერი მტრედები,
არ ვიცი, ან კი ვინ მეტყვის,
კიდევ სად გამითენდები!
თავის გზით წავა სოფელი,
გულში ჩაქრება მთიები,
აღარც შენ ეტყვი სამდურავს,
აღარც მე გავეტირები!
მოვკვდე და ზეცის თვალთაგან
ჩამოცვარულო, ცრემლთბილო,
შენი ლაჟვარდის მერდინი
პირზე სუდარად მეფინოს!

ქართული სიტყვის მზეცხელით...

(ძღვნად ბატონ პეტრე ქოჩაკიძეს!)

ქართული სიტყვის მზეცხელით
ვახურე არაზანები,
ვაცხე პურ-ნუგბარეული,
ნაკურთხი წმინდა სამებით!
მაშრიყ-მაღრიბით ვაწვიე
სიბრძნისა არმაღანები,
უხვად ვუბოძე უპოვართ
საზრდო, ძოწი და ლალები,
თუცა მადლისა მუქაფად
ცრუთა სათხეველს გავები!
ვიმკე სამკალი თავთავთა,
ქართულ მზით ნაღაღანები,
ვეღარ მოვლიე მადლი თუ
ჭირთამნახველი ყანები,
კლდეს გავჭერ დარიალანი,
დარუბანდს შევხსენ კარები!
მერე ქება ვთქვი ვაზისა,
უფლისა დანაბარები!
ერთ გობად დავსხი კავკასნი:
კოლხნი, ლაზნი და წანარნი,
ჯიქნი და ვაინახელნი,
ლეკნი ორბისებრ ფრთამალნი,
ერთი ბეღლიდან ვაპურე,
ერთი ვუკურთხე მარანი.
ერთი ტაძარი ავუგე,
ერთი ვუწამლე წამალი,
ერთი დედის რძე ვაფიცე,
ერთი ვასურვე სალამი!
ვარბიე ქვეგამხედვარი,
ვმუსრე ციხე და დარანი,
ქარვა-მინანქრით ავავსე
საწნახელი და მარანი,
კოშკეთი ვაგე არღუნზე,
უტეხი ცადამავლი,
უფლისა ბეჭდით ვამოწმე
ჩემი ზღვარი და სამანი!...
მერე... ჩაშრტა და ჩაღველფდა
მადლისა ჩემთა ჩარანი,
უკან მოიქცა სიავით
ბედის ჩარხი და ჯარანი!
ვინ წამიბილწა სავანე?!
ვინ გადამიწვა ყანები?!
ვინ დამიგორა ლოდები,
სისხლ-ოფლითა და წამებით,
საუფლო ტაძრად დათქმული,
გოლგოთას ანატანები?!
თუ იალბუზი დავდრიკე,
ზეცით დარისხდნენ ზარები,
რად დამეგმანა სამოთხის
შეზამბახული კარები?
სად გაქრა ჩემი ბორჯღალი,
ღამეც რომ დღებრ მინათებდა?
ცას შეკიდული ზარდახშა
ნიადაგ მჭევრთა საქებრად!
ვაი, რომ ჩემი წარსული
ხელის გულად ჩანს აქედან!
ვიღაცა ბილწი ღვთის დედას
კვართის საკინძეს ახევდა,
დიდპაპა მკერდით იცავდა,
სისხლს და ცრემლს ერთად ათხევდა!

* * *

წმინდა გიორგივ, ლაშარო...
შენს კარზე მოვალ, ბატონო,
წმინდა გიორგივ, ლაშარო,
გული გაგიხსნა გულთმისანს,
სევდის ღრუბლები ავშალო.
შენ თუ არ, მაშ ვის ვეაჯო,
ცოდვილ-უღირსთა იმედო?
ამდენი დარდი და სევდა
გულს დამწოლია მძიმედო,
ეგების ცოტა მიფონო,
წყალობა რამ დამიბედო.
მეკრძალვის მზერა ვუსწორო
შენს სხივმფინარე მზვარესა
შენს სიახლოვეს მოვიდე,
ფეხით ვთელავდე მწვანესა,
სად ყმათა, პიროფლიანთა
ხმლის ელვა ჰფინეს არესა
და მტრისგან ნახმლევ, ნასხეპი
მხარ-მკლავი დაავანესა.
მოვალ და გეტყვი ჩურჩულით
ძალო, ავძალთა მძლეველო,
კურთხეული ხარ, წმინდა ხარ,
სამსხვერპლოვ, საკურთხეველო,
კარგ ყმათა მზრდელო, ბატონო,
სისხლის ცრემლების მთხეველო,
ღვთისშვილთა დიდო მედროშევ,
წყალობა დაულეველო!
მოვალ და მუხლთა მოდრეკით,
მტრისად ბრძოლაში ნაქებო,
სამთხვევლად დაგეღირებით,
ერთურთზე ლიბოდ ნაგებო,
სრევით დაღლილთა ძვლებო და
დამიწებულო მაჯებო,
ეგებ, პასუხად შეტოკდეთ
და გულის ცეცხლი მაგებოთ!
ან რაღა გითხრა, ბატონო,
აგავსო ცოდვა-ბრალითა,
შენც კარგად იცი, რაცა გვჭირს
საით რას მივიზრახვითა,
ღვთისმშობლის სისხლის ცრემლები
წინ გიდგა სავსე ჯამითა,
შენგან მოელის ქართველთა
დახსნას ხმლითა და ჯვარითა..

* * *

ტაძარი გულის ტკივილთა
ტაძარი გულის ტკივილთა
ცადამავალი ხიდია,
ნასეტყვი გულის ვაება
ცაში უფლის გულს ჰკიდია!
ვინ იცის,კიდევ მხარ-ბეჭში
რამდენი ტყვია გამივლის?!
ვდგავარ და ზეცას შევბღავი
ყელგამოღადრულ ხარივით!
ჯვარცმის გვირგვინად მიყვავის
შუბლს დარქმეული ეკალი,
უფლის გოდებად ჩამესმის
ზეციდან ზართა რეკვანი!
არად ჩავთვლიდი ზღვად მომდგარ
ამდენ ტკივილეთა უხვებას
თუ სისხლი ჩემი, ოდესმე,
კვლავ რისხვით დაიქუხებდა!

თენდება, მე კი ისევ აქა ვარ!

თენდება, მე კი ისევ აქა ვარ!
ისევ ჩამოვრჩი ნისლის ქარავანს,
წამოვეწევი სადმე ხერთვისთან,
იქ სადაც მტკვარი ერთვის ფარავანს!
ჯიღა-გვირგვინებს და შარავანდებს
სისხლნაალაფარს, წავგვრი ქარამანს
ვინც სურნელება იბერიული
მუსრა, მაგრამ ვერ დაასამარა
აუცხადდება ავი სიზმარი
ხიბლში ჩავარდნილ ყანთელ ყარამანს
ვინც უფლის სწორად შერაცხა თავი
მაგრამ სიკვდილს კი ვერ დაემალა
მაგრამ შენ სად ხარ, საით გეძებო,
სად ასხლტი ღრუბლის ნოტო ქარავანს
ყველგან შენ გხედავ,მაგრამ დუმილმა,
შენმა დუმილმა დამასამარა!

ხევსურული საღიღინო

ვიცი, რომ ამიერიდან
გულს აღარ გამომატირებ,
აღარც მე მოგინაკლისებ,
წავალ, ავყვები შატილ ხევს,
მუცოსკენ ავიაღმართებ,
გზად მოვუყვები ქვა-ტინებს,
როგორ უგულო ყოფილხარ
და გული როგორ მატკინე!
მივალ იქ, სადაც ზეციდან
იღვრება ლილა-შუშანი
შენგან დამრჩება ეს გული
ტკივილებმოუშუშავი!

უჩაჩქნოდ, პიროფლიანნი...

(ნოდარ თეთრაშვილსა
და კახა ნამგალაურს)

ო, რა სხივები მომფინეთ,
როცა გულს სევდა მებურა,
უჩაჩქნოდ, პიროფლიანნი
მტერს ეცემოდით მგლებურა!
ერთმანეთს დაუზურგულეთ,
ერთი ბრალია ჭამაშიც,
ისე გიხდებათ მტრის სრევა,
ვით მაყრს ცეკვა-თამაში!
ნახმლევი შუბლის ჯვარიდან
სისხლის და ოფლის ღვარები
მოგჩქეფთ ვით სვეტიცხოვლიდან
დარისხებული ზარები!
არ შეარჩინოთ უწმინდურს
დედა ღვთისმშობლის გინება,
შიშით დაზაფრავს ეგ თქვენი
ხარული შემოკივლება!
გიცქერთ, ლამაზი მხარ-მკლავი
სალ კლდეებად გაქვთ ნაგები,
დადიხართ, მხრებით გიჭირავთ
ქართული ზეცის თაღები!

ვედრება

მოგვხედე, წმინდა გიორგი,
შეიბ მესიის მახვილი,
მოგვფინე სხივი ქარქაშით,
კაშკაშით ამოძახილი!

კერპთა წაბილწეს ტაძარი,
ღვთიური საკურთხეველი,
ღვთისმშობლის კვართის სიწმინდე,
ჩვენთვის სისხლ-ცრემლის მთხეველი.

მზე დაატყვევა ბოროტმა,
მოდის და მძლავრობს ბნელეთი,
მზის დამხსნელ გმირთა სისხლ– ოფლთა
სისხლად და ოფლად შევერთვი!

შენი სიმართლით ნაკურთხმა
ზღვამ ქშენით რიყოს ხმელეთი,
შენმა ლახვარმა გამუსროს
გველეშაპი და გველეთი!

სნეულ-გლახაკთა მფარველო,
ტყვეთა მხსნელო და იმედო,
მწედ ექმენ დედა-ღვთისმშობელს,
გულს სევდა აწევს მძიმედო!

ქრისტეს რჩეულო მხედარო,
ცრუთა მთრგუნავო მზე-მეხო,
მინდა, შენს გვემულ ჭრილობებს
ამ ცოდვილ ბაგით შევეხო!

დღეს უფლის საკურთხეველთან
სანთლად ცრემლობენ სულები,
უფლისთვის, ქართველობისთვის
გოლგოთის ჯვარს გაცმულები!

აანთეთ ბევრი სანთელი
ტაძრიდან გულის კარამდე,
რომ შენი სისხლის ნათელი
მთელ დედამიწას ფარავდეს!

მოვდივარ, ჩემო შატილო

მოვდივარ, ჩემო შატილო,
დაგიგვიანე სალამი,
წინდაწინ შემომაგებე
შენი დეკა და შალანი,
გულში ჩამიკარ, მასმიე
შენი სიცოცხლის წამალი!
გულზე მაპკურე ცვარ-ნამი,
ზეციდან ჩამონალალი
ცეცხლებრ შევმღერდი შატილცას
გადაკარგული ბარადა,
სანამ ცას ალი ვუწიე,
წინ ჩემი სული ავარდა!
ბანზე ყვაოდა ყაყაჩო,
ქარს მოყოლილი ბარიდან,
გულში ნაბადი ღიმილი
ბაგეზე ამიყვავილდა!

ოქროს ციხევ!

ოქროს ციხევ, ოქროს ციხევ,
რად მემტერე, ან რად მიხმე,
ყველა შენი აღთქმა-ფიცი,
თავზე რისხვად ჩამოიმხე!
ოქროცურვილ ორლესულით,
გულის ბჭენი რად განმიხვენ,
თუმც ვერ მოგწვდი, არ მიმთხვიე,
მადლი შენი ვერ მოვიცხე!
შემოგმზერ და ოქროს შუბლზე
შავი ღრუბლის რიდეს იხვევ,
ჰა, ლახვარი, დამკარ გულში,
მკერდზე პერანგს ჩამოვიხევ!

ციხე,ქვადქცეულსულთატრამალი,

ციხე, ქვადქცეულ სულთა ტრამალი,
ამომავალს თნევს მზე ჩამავლი,
ბევრი ვეძიე, ვერსად ვიპოვე
გაქვავებული გულის წამალი!
ვაგდივარ ახლა ამ ქვათა შორის,
გულზე მატყვია ფეხი, ნავალი,
გულსატკენია უგულო კაცის
ნაბიჯი, გულზე გადამავალი!

ციხეს შევები

ციხეს შევები ცადაჭრილს,
თან მახლდა შვიდი მნათობი,
აველ, ავკაფე კლდეკიბე,
ქაჯთაგან ჩამონათოფი,
ბჭე ვმუსრე, მოვსრე ხმალ-ისრით
ავსულთა ავი სამყოფი,
მაგრამ ვერ ვიმკე სისხლისა
გულის ჩემისა სამყოფი,
ვერღა ვიხილე კოშკიდან
ბაგე ძოწ შუქთა მფენელი,
ვერც შიმუნვარნი თავაზნი,
პირზე ღიმილთა მჩენელნი,
სტამბულს წაესხა თურქის ბეგს,
ვერ მისწვდა მდევარ-მშველელი,
უკან დავუყე კლდეკიბეს,
ღაწვზე ცრემლჩამომდინარი,
რაღად მარგია სალაშქროდ
კარზე მომდგარი მყვირალი

იზაბელა-იზა კარიჭაშვილი – ინჟინერ-ეკონომისტი;
დაბადების ადგილი – ქ. გორი.

სერიიდან: სამშობლო საქართველოვ, ქართველების სალოცავო ალაგო!

/გაგრძელება/

შემივსეთ ღვინით სასმისი ძველი!
მსურს ვადღეგრძელო სა-მშობლო ჩემი,
იბერთა ჯიში, სისხლი და გენი,
ღვთით კურთხეული და გონი-ერი.
ჩემი ქვე-ყანა მიყვარს მთლიანად:
რიყის ქვიანად, მდელოიანად,
მხიბლავს ტყიანად, საძოვრიანად,
კლდეზე დაშვებულ ჩანჩქერიანად;
მიყვარს იელის ბუჩქებიანად,
ახოიანად, ვენახიანად,
მიწის ხნულების ოშხივრიანად,
მიყვარს სიმინდის ყანებიანად,
მთებზე შეფენილ ცხვრის ფარიანად,
მთის უბოროტო მწყემსებიანად;
მიყვარს სიმღერით მრავალხმიანით,
დროშით გორგასალ-დავითიანით,
„დიდოუ ნანით“, გულდარდიანით,
მოჭედილი ცით, ვარსკვლავიანით,
ალალი გულის ადამიანით...
გოგებაშვილის „აი ია“-თი,
„კრიმანჭულით“ და „ოდოიათი“,
ლაზარეს ენით, ანბანიანით,
არტეფაქტებით მრავლისთქმიანით,
ძეგლით საყდრისით და გრაკლიანით,
ქართული სიტყვით, სამართლიანით,
ქართულ სამოსით, მანდილიანით,
ქართული ჩოხით, ხმალ-ხანჯლიანით,
ქართულ ტაძრებით, ჩუქურთმიანით,
ქართველ გმირებით, ქუდბედიანით,
ქართული სულის ადამიანით...
ფშავ-ხევსურეთით, ვაჟას ხმიანით,
გუდამაყარით, ჩოხელიანით,
მთა-ჭიუხებით, არაგვიანით,
„შვიდი მაყარით, ცხენოსნიანით“...
მიყვარს თუშეთით, საინგილოთი,
ტკბილი სიმღერით თუშურ კილოთი,
რაჭა-ლეჩხუმით – ზეცის კარებით,
და “წერეთელის დანაბარებით”...
აფხაზეთის ცით ლაჟვარდიანით,
უქართველებოდ გულდარდიანით,
სამაჩაბლოს ხმით „გადამალულით“,
გადარაზული ქართვლის მამულით.
მათბობს სიმღერა ტკბილი და ნაზი,
გულში ჩამწვდომი „იავნანასი“...
მიყვარს გმირებით ტიტანის მსგავსით,
ქრისტეს ერთგული ასი ათასით.

ქართული სული მიყვარს მთლიანად:
ძველი ქვითკირის კოშკებიანად,
პაპის ზედაშის ქვევრებიანად,
მწვანე ჯეჯილის ყანებიანად,
პურის ოქროსფერ თავთავიანად,
მიყვარს თავკვერის მტევნებიანად,
მამის აჭრილი ყურძნის ჩხიანად...
ქართლის მინდვრებით, ჭალებიანად,
„ხიდისთავს შეკრულ პირობიანად,“
ჩემი გვარ-ჯიშის საყდარიანად
და გორის ციხის ცხრა კარიანად.
მიყვარს მკიანად, მიყვარს რთვლიანად,
დიდი ალაზნის ველებიანად,
მიყვარს ქიზიყი-ჰერეთიანად,
ყარაის ველის ქვემოთიანად,
სიღნაღის ციხე გალავნიანად
და ხორნაბუჯის ბურჯებიანად.
გომბორიანად, ყვარლის მთიანად,
შავი და თეთრი დურუჯიანად
და კუდიგორის ვიწრო გზიანად...
ილიას „კაკო ყაჩაღიანად“...
თხოთის მთიანად, მეტეხიანად,
სამთავისით და ურბნისიანად,
ყაზბეგიანად, გერგეთიანად
და თრიალეთის ქედებიანად,
უშბას კლდიანად, ბროლის წყლიანად
და ლამარიას კოშკებიანად,
კავკასიონის მწვერვალიანად;
ხვამლის მთიანად, ფაზისიანად,
დაკარგულ ოქროს საწმისიანად,
ბაგრატიანად, გელათიანად,
ზედაზნიანად, მთაწმინდიანად,
ქაშვეთიანად, სამებიანად,
მიყვარს ჭაღარა თბილისიანად
და ნარიყალას ხედებიანად;
მიყვარს მესხეთის ზეგნებიანად,
მესხურ ბანიან სახლებიანად,
ბანზე გადმომდგარ ბანოვნიანად,
კოლხური ოდა-ბადეიანად,
ძველი გუთნით და სახნისიანად
და ხევსურული კოშკებიანად,
კრწანისიანად, მარაბდიანად,
ასპინძიანად, დიდგორიანად...
არაგველების გმირობიანად,
და წინაპართა საფლავიანად...
მიყვარს ტაძრების ფრესკებიანად,
წმინდა გიორგის საყდრებიანად,
დავით გარეჯის ლავრებიანად,
მიყვარს ბოლნისის სიონიანად,
გორიჯვრიანად, მცხეთის ჯვრიანად,
ნოქალაქევის ნანგრევიანად,
აღმაშენებლის ანდერძიანად
და დარუბანდის კარებიანად...
ოშკის და ზარზმის ძეგლებიანად,
ტაო კლარჯეთის ცრემლებიანად
და ქეთევანის წმინდა ძვლიანად;
ღვთისმშობლის კვართით ნაქარგიანად,
მცხეთაში ქრისტეს პერანგიანად...
და წმინდა ნინოს ვაზის ჯვრიანად...
მიყვარს რუსთველის შედევრიანად,
მიყვარს შუშანიკ დედოფლიანად,
ვაჟა ფშაველას „შვლის ნუკრიანად“,
მიყვარს აკაკის „გამზრდელიანად“,
ჰაჯი-უსუბის სასჯელიანად,
ილიას „მგზავრის წერილიანად“,
მიყვარს ყაზბეგის ხევისბრიანად,
„მწყემსი კეთილით“ ხანძთელიანად
და ფიროსმანის მეთევზიანად...
დედა მდინარით რიონიანად,
ციხე „დაუხვდი“, „დაჰკარიანად“,
ლადოს მუზების ამქარიანად,
ცხენისწყლიანად, ბარდნალიანად...
მიყვარს მტკვრიანად, არაგვიანად,
ბაზალეთის ტბის წალკოტიანად...
მიყვარს ცვრიანად, ბალახიანად,
ჩვილის უმანკო ღიმილიანად,

ობლის ცრემლების ტკივილიანად...
ჩემი ქვე-ყანა მიყვარს მთლიანად:
ჭირთა თმენით და ქორწილიანად..
ფიჭვნარიანად, კორომიანად,
ცის თაღიანად და ლურჯ ზღვიანად;
მიყვარს ბეშუმის წალკოტიანად
და ჩემი ნენეს ლეჩაქიანად...
ზამთრობით თოვლის ქარბუქიანად
და გაზაფხულის წვიმებიანად,
ზაფხულში ცივი წყაროს წყლიანად,
შემოდგომაზე ოქროსფრიანად...
მიყვარს ქართველთა ერთობიანად!!!
ქართულად ლელოს გამტანიანად,
მრავალი ჟამის გამძლებიანად!
წარსულიანად, აწმყოიანად,
ჩვენი შვილების მომავლიანად!
მიყვარს უბისით, მიყვარს ხოვლეთი,
მიყვარს ყინწვისით, მიყვარს მზოვრეთით,
მიყვარს დავითით, მიყვარს ცოტნეთი ...
და სვეტიცხოვლის სვეტით თორმეტით!
მიყვარს მტრიანად და მოყვრიანად...
დაბლა მიწით და მაღლა ციანად,
მიყვარს მტვრიანად, ტალახიანად,
უფლისგან ქმნილი... ადამიანად!!!
მიყვარს ნამდვილი გრძნობებით წრფელით
მოყვასისათვის გაწვდილი ხელით...
სურნელი მიყვარს თონის ხმიადის,
გამთენიისას ცა განთიადის...
...შემივსეთ ღვინით სასმისი ძველი,
მსურს ვადღეგრძელო ქართველი ერი!
ზოგჯერ ტანჯული, თან გულზვიადი,
ხშირად ჯვარცმული...მაინც დიადი!!!

გალას...

ცა იყო თურმე იმ ღამით მშვიდი...
შენ ლურჯა ცხენებს გეზი უცვალე,
ალბათ, იმ ღამეს ვარსკვლავებს თვლიდი
და უკვდავებად გარდაიცვალე...

იმ ღამით თურმე ჭყვიშთან ტიროდა
მუზა, ღმერთებთან მოლაპარაკე,
და ცისფერ ლანდებს ცრემლი სდიოდა...
მეფე-პოეტი ხსნიდა დარაბებს...

ახლა ცის თაღზე სანთლად ანთიხარ,
იქაც მეფურად იპყრობ ქარაფებს,
ტიტანებს შორის გოლიათი ხარ,
მთვარეს უფალთან ალაპარაკებ.

გზები ქარვისფერები

გვიანი შემოდგომის
გზები ქარვისფერები,
ფერდაკარგულ ფოთლების
ნაღვლიანი მზერები,
ფერთა გადახუნება,
ერთ დროს მზით ნაფერების,
ფერი შემოღამების,
სევდა ვერდაჯერების...

ღვთიურ ფერთა პალიტრა,
თრთვილით განაჯერები,
განშორების ფერები –
გზები ქარვისფერები...
გრძნობის სენტიმენტები – სულის შესაბერები,
ფოთოლთცვენის ფერები –
სევდით დანაფერები...

ფიქრი...

შემოდგომის ქარიან დღეს აჰყოლია ფიქრი ქარებს,
დღისით ღრუბლებში ნავარდობს, ღამით მთვარე დაატარებს.
შეშლილ ფიქრებს ქარაშოტი უსასრულოდ დააქანებს,
დააქროლებს ნიავქარი მოგონებებს ტკბილს და მწარეს...

დაჰქრის ფიქრი... ქარიც დაჰქრის, ეხეთქება ზვირთებს ავებს,
წუთისოფლის წ უ თ ი ს სევდას ფიქრი თმენით დაატარებს,
მომცრო თასით შესვამს შარბათს, ვებერთელით დალევს მწარეს,
ხან კი მოგონების ზღვაში ეთხოვება წამებს მტკბარებს...

ზოგჯერ ქარზე უსწრაფესად შემოივლის ფიქრი ველებს,
ზოგჯერ მთაში გაშლის კარავს, ზღაპრულ ქოხში გაათენებს,
თანაგრძნობით ნათქვამ სიტყვით გატეხილ გულს გაამრთელებს,
ზოგჯერ ცრემლით ჩამოირეცხს ქარიშხლისგან მოყრილ მტვერებს...

დაჰქრის ფიქრი...ამ ცხოვრებას ზოგჯერ მირაჟს შეადარებს,
წუთისოფლის უხმო სევდას ფიქრი ქარებს შეაყვარებს.
ლამაზ მოგონებებს ქარი ზღვაში იალქნებად გაშლის,
სევდას ქარიშხალს გაატანს, მერე წვიმა მის კვალს წაშლის...

ნაქერალაზე ნისლია. გზა დამილოცე, ცხრაჯვარო!

მუზების სამფლობელო ხარ, ტყიბულო, ნისლში ჩაფლულო,
ლაჟვარდოვანო ღრუბლებო, მზის ქონგურებთან გართხმულო,
ფიჭვის, ნეკერჩხლის ტყეებო, მთასაყდარს წამომართულო,
მსურს შენს კალთებზე ვილოცო, ოკრიბის მთებო ქართულო!

ზეცაში ღილი შეგხსნია, ალბათ, ღვთიურო ცხრა კარო,
ღრუბლებში ამაღლებულხარ, ნისლიან მთების საყდარო,
უფალთან ლოცვით ასულხარ, ცად ატყორცნილო ცხრა ჯვარო!
ცის კარიბჭესთან მლოცველო, წმინდა გიორგის ტაძარო!

რძისფერ ნისლებში ჩაწნულო ცისფერი მთების ზღაპარო,
ნიკორწმინდისკენ სავალო გზებო, წალკოტის სადარო,
შაორის მწვანე ნაპირო, კორომო, რაჭის მთა-ბარო!
ნაქერალაზე ნისლია, გზა დამილოცე, ცხრა ჯვარო!

ლექსს ისეთს დავწერ...

ვუძღვნი სა-მშობლოს – მრავალ-ჟამი-ერს!

ლექსს ისეთს დავწერ, ლექსად ვიწვიმებ,
ბედნიერების ვიქცევი წვიმად.
მწყურვალისათვის წყალი ვიქნები,
ობოლ ბავშვებთან ნუგეშად მივალ.

როცა ლექსს დავწერ, სიმართლისათვის
ამოღებული ხმალი ვიქნები.
უპოვართათვის ვიქნები საზრდო,
გულში ჩამწვდომი ლექსის რითმებით.

ლექსს ისეთს დავწერ, წვიმად ვიწვიმებ,
უფალს დავხატავ წვიმის წვეთებით...
და ძელზე გაკრულს მივეახლები,
ჭრილობას მოვბან თბილი შხეფებით.

ლექსს ისეთს დავწერ, ცრემლებით წრფელით,
გმირთა საძვალეს მოვეფერები,
ვარდის ფურცლებით შევუმკობ საფლავს,
სანთელს დავუნთებ დედის ხელებით...

ლექსს ისეთს დავწერ, ქათქათა თოვლის
ფიფქით დავხატავ გრძნობას საოცარს,
სუფთა ფურცელთან მუზას მოვუხმობ,
და ძეგლს დავუდგამ „ვეფხისტყაოსანს“.

როცა ლექსს დავწერ, გადავიქცევი
დაუმსხვრეველი ალმასის ქვებად!
გოჯს აღარ დავთმობ ქართული მიწის
და მტერს დავხვდები ელვად და მეხად!

გაუტეხელი სული ვიქნები!
აღვადგენ ხანძთას! ვიბრუნებ ტაოს!
აბობოქრებულ ტალღად ვიქცევი,
ქართული ლელო რომ გავიტანო!

და როცა ლექსს ვწერ, ქართული სულის
სადარაჯოზე ცეცხლად ვინთები,
ოშკსა და ზარზმას, გელათს და ყინწვისს
ქართულ ჩუქურთმას ვუთლი ფიქრებით.

ლექსს ისეთს დავწერ, ლექსის რითმებით
სამაჩაბლოში ოს ძმებთან წავალ...
და შერიგების ხიდი ვიქნები
და აფხაზეთშიც ამ ხიდით ჩავალ!

ისეთ ლექსს დავწერ, არ მივატოვებ
განძს საიმედოს – მეგობარს ძვირფასს,
მხარში ვედგები ჭირშიც და ლხინშიც,
შუაზე გავყოფ იმ ერთ ცალ თხილსაც.

ლექსს ისეთს დავწერ, ვაზს დავუჩოქებ,
ძველ ქართულ ქვევრში ჩავასხამ ღვინოს
და საწნახელთან ვიმღერებ ნანას,
ქართველმა ჩვილმა რომ მოისმინოს!

ლექსს ისეთს დავწერ, ქართველ ქალ-ვაჟის
ცეკვით ვაოცებ სამყაროს მზის ქვეშ
და ხმებში ვმღერი მრავალ-ჟამი-ერს,
ქართულად ვგალობ ქართული ცის ქვეშ.

როცა ლექსს დავწერ, მზეც მინდა ვიყო,
სხივით გავათბო დამზრალი ხნული,
ხნულში სიკეთის ნერგი ვახარო,
შვილებს ვასწავლო ღვთის სიყვარული.

როცა ლექსს დავწერ, ღმერთთან ვიჩივლებ,
შევევედრები თვალცრემლიანი
და უფალს შევთხოვ, გადაარჩინოს
ა დ ა მ ი ა ნ შ ი ა დ ა მ ი ა ნ ი!

და როცა ლექსს ვწერ, მე ვარ ამაყი
ძველი დიდებით! ჩვენი საწყისით!
გულს მიკლავს კოლხი მედეას ხვედრი
და დაკარგული ოქროს საწმისი.

ვიდრე ლექსს დავწერ, პაპის მარანში
ძველისძველ კარებს ჭრიალით ვაღებ,
ძველი სასმისით შევსვამ ძველ ღვინოს,
ზედაშის ქვევრთან სანთელს დავანთებ.

ლექსს ისეთს დავწერ, ქართველ ვაჟკაცებს
ვმოსავ ბექთარით ჯაჭვგაუხდელით
და ქართულ ჩოხას მოვახდენ ვაჟებს,
თავკვერს შევასმევ ღვთიურ სურნელით!

ისეთ ლექსს დავწერ, ქართველი დედა
შვილის აკვანთან „ნანას“ მღეროდეს,
ლექსში ვინატრებ, ქართული გული
უცხო მიწაზე არა კვდებოდეს...

ლექსს ისეთს დავწერ, ხ ა რ ო ბ დ ე ს ე რ ი!
და გუთნისდედა მღეროდეს მთაში!
ვლოცავ სა-მშობლოს! მრავალ-ჟამი-ერს!
გამთლიანებულს და ფართოდ გაშლილს!

ლექსს დავწერ ისეთს, კრძალვით ვემთხვევი
დედაღვთისმშობლის კალთას, საოცარს.
ლექსის წერის დროს ფეხზე ვუდგები
მე ქართველ დედას, ხატს და სალოცავს.

ლექსს დავწერ ისეთს... ქართულ სიტყვებად –
ბედნიერების ელჩად ვიქცევი.
თქვენს გულებამდე მოვალ რითმებად,
მერე მეც ლექსად გადავიქცევი.....

მამას

ისევ მოვა შემოდგომა,
ხვავრიელი, ნაირფერი,
მოყვითალო, ქარვისფერი
გაჩაღდება ისევ რთველი.
ოქტომბერი აღარ მხიბლავს,
აღარც რთველი გამახარებს,
რადგან მამის სუნთქვა შარშან
შემოდგომას გავატანე...
ბავშვობა და სიყმაწვილე
მასთან ტკბილად გავატარე,
მადლობის თქმაც მოვასწარი,
შვილებითაც გავახარე.
შვილის სითბოს არ ვაკლებდი,
გულიც ბევრჯერ მოვურჩინე,
მის დაკოჟრილ ხელზე ხშირად
მალამოდაც დავეფინე.
მაინც გული ვერ ვიჯერე,
სიყვარული ვერ ვაკმარე,
მის მხიარულ სახეს ვნატრობ,
მის ალალ გულს ვენაცვალე!
ლექსი მამამ შემაყვარა,
მზის სინათლეც მამით ვნახე,
ამ ცხოვრების სიავკარგეც
მამის თვალით დავინახე...
უცნაური გრძნობა მიპყრობს,
არ მშორდება მისი სახე,
თავი ობლად შევიგრძენი,
დედის ცრემლი დავინახე...
ოქტომბერს რა დამავიწყებს,
განშორების ცრემლი ვღვარე,
შემოდგომის ერთ მზიან დღეს,
მამა მიწას მივაბარე...

უკანასკნელ გზაზე სევდით,
ზღვა ცრემლებით გავამგზავრე,
მშობლიური ქართლის მიწა,
ჩემი ხელით დავაყარე.
ძველებურად ვერ ვიღიმი,
დარდისაგან შევიცვალე,
მე ხომ გულის ერთი წიბო
მამას საგზლად გავატანე...
მამის ვენახს მივუბრუნდი,
ვაზს პირჯვარი გადავსახე
და ქარვისფერ მტევნებს შორის
მამის სახე დავინახე...
გულში სითბო ჩამეღვარა,
მამა ვაზის ცრემლში ვნახე,
მტევნებს თავზე ევლებოდა,
უბრწყინავდა მთელი სახე.
ვაზის ლერწებს მოვეფერე,
სარეველა შევაცალე,
მამის დაკოჟრილი ხელი
უფრო ძლიერ შევიყვარე.
ძველი ვაზი გამხმარიყო,
ნორჩი ნერგი გავახარე,
პაპის დარგული საჯიშე
შვილიშვილებს შევაყვარე...
მონატრებით ლექსი ვწერე,
მჯერა, მამა გავახარე,
საგზლად დიდი სიყვარული,
ბევრი ცრემლი გავატანე.
მამის განშორების სევდა
მკითხველთანაც ვერ დავმალე,
ოქტომბერში მამის სული,
კრძალვით უფალს ჩავაბარე...

ვაზო ქართულო...

ხიდისთაურმა ატამმა
ვარდისფრად გამოიღვიძა,
„თხამ რომ ვენახი შეჭამა”,
ყურძენი მოისაკლისა...

თავკვერმა თავი იჩინა,
ატენურს უთხრა პირობა,
ქართლური ვაზის ჯიში ვარ,
შემიქეთ გვარიშვილობა.

მუჯურეთულმა იმღერა:
ქვე-რაჭის მადლი ავკრიფე,
ალექსანდროულს ვეძმობი,
ხვანჭკარად დამაჭაშნიკეთ.

ოჯალეშმა და ჭიტაშმა
დიდოუ ნანას ხმა იცნო.
გორული მწვანის ცრემლები,
ჯერ ხარისთვალამ გაიცნო.

მწვანეკახურმა რქაწითელს
ალაზნის ველზე აკოცა.
ციცკამ და ცოლიკაურმა
იმერეთიდან დაგვლოცა.

თითამესხური, თავცეცხლა
მესხეთში იღებს სათავეს.
ქართული ვაზის ჯიშები
ვთვალე და ვეღარ დავთვალე...

უსახელაურს – დასტური,
ლეჩხუმის მთების შვილია;
ჩხავერი, ალადასტური
გურიის გამოზრდილია.

სვანეთი თუ სამეგრელო
ოჯალეში – გამოცანა,
დიდმტევანა, დევისთვალამ
საინგილოს წამიყვანა.

ტყისვაზი და კირწწითელა
აჭარელმა შეიყვარა,
კაჭიჭი და ხუნალიჟი...
აფხაზეთში ვიყავ განა...

მიყვარს ქართულად

მადლობა უფალს, დაუსაბამოს,
უსასრულობის, ალბათ, მტვერი ვარ
და რადგან გავჩნდი ადამიანად,
ქართული გენის მადლიერი ვარ.

მტკივა ქართულად, გულდარდიანად,
მიყვარს ქართულად, გულძარღვიანად,
ვმღერი ქართულად, მრავალხმიანად,
სამშობლოს ვეტრფი ომახიანად...

ქართული ჯიშის აკვნის მრწევი ვარ,
ქართულ ჩუქურთმის ხურო, მთლელი ვარ,
გაზაფხულს ლურჯი იისფერი ვარ,
ვარდობისთვეში ვარდისფერი ვარ.

მკათათვეს ოქროს ხორბლისფერი ვარ,
შემოდგომაზე ყურძნის რთველი ვარ,
მამაპაპური საწნახელი ვარ,
ღვინობისთვეში ყურძნის წვენი ვარ.

ზამთარში თოვლის ფიფქის ფერი ვარ,
სუსხს და სიცივეს ვერას ვშველივარ,
მთებზე დათოვლილ სევდის ფერი ვარ,
დამბადებელის მადლობელი ვარ ...

ყველა მგოსანი ვერ გახდება

ყველა მგოსანი ვერ გახდება, სიტყვით მაშვრალი,
ვერც დაფნის გვირგვინს ვერ დაიდგამს
ყველა რჩეული,
თუმც ვისაც გული სიყვარულით დააქვს გამთბარი,
ღმერთის წყალობა ხვდება წილად, გამორჩეული...

ათასწლეულში ერთხელ ბადებს უფალი შოთას,
(ცის გვირგვინოსნებს ტირილისთვის არა სცალიათ)
და თუ ქართველი სამშობლოსთვის
ტირილით მოთქვამს,
ლექსი არ არის, ცრემლიანი მელნის კვალია...

საქართველოში? პოეტების ვარსკვლავთცვენაა,
ყველას ჩამოთვლას არ ეყოფა ჩემი მელანი.
ქართული სიტყვა პოეტისთვის აღმაფრენაა,
სევდიან სტრიქონს დააჭენებს ტატოს მერანი.

თვით დრო და სივრცე, გალაქტიკაც
არ ჰყოფნის გალას,
ბედი არ სწყალობს სიცოცხლეში თავად ტიციანს,
წვიმის წვეთებში გააცოცხლებს უფალი ვაჟას,
ჩანს, უფლის ენა ქართველებმა ლექსად იციან...

ყველა ვერ იფრენს ლაჟვარდებში
ფრთოსანი რაშით,
ზოგს დაბლა მთაში დაეწევა სიმღერა გედის,
ვისთვის ცხოვრება ბრძოლაა და ვისთვის თამაში,
ვისთვის კი მწარე გაკვეთილი მუხთალი ბედის...

წიგნის სიყვარულს გვიანდერძებს „დავითიანი",
ყვარლის მთებიდან მამასავით
გვმოძღვრავს ილია,
სიმღერად გვესმის აკაკის ხმა, ენაწყლიანი,
გოგებაშვილის „დედა ენა" ღმერთის შვილია.

ლეჩხუმის მთებით ჩამობარდნის ასათიანი,
ჭინჭილით შესვამს სადღეგრძელოს
ფერების მგოსნის,
მუხამბაზის ლექსს აამღერებს ორბელიანი,
არაგვის წყალზე გადაიხდის ჩოხელის ქორწილს...

ყველა ვერ იფრენს სამანებში რაშით ფრთოსანით,
თუმც მართალ სიტყვას შეიყვარებს კაცი უბრალო.
ყველა მელექსე ვერ გახდება გვირგვინოსანი,
გულწრფელ სიტყვებში შეეწიე პოეტს, უფალო!

სევდის სონეტი....

/ორგემაგე/

ზოგი წისქვილი პურის ფქვილსა ფქვავს,
ზოგის დოლაბზე მხოლოდ ქატოა,
ვინ ცის ქვეშეთში ოქროს კოშკსა სდგამს,
თუმც მწყემსის ქოხი უფრო სანდოა.

ვიღაც მუდმივად ქუდბედიანი,
ვიღაც სულ მუდამ უყისმათოა,
ვისთვის ვიწროა გზა ავდრიანი,
ვისთვის ირმების საბალახოა...

ვისთვის წვიმა ცრის ბროლისწყლიანი,
ვის კაცთა სევდამ მხრებზე ათოვა,
ვინ სანთელს ანთებს გულმადლიანი,
ვინ ერთგულია, უღალატოა.

ზოგის წისქვილი პურის ფქვილსა ფქვავს,
ზოგის დოლაბზე სულ მთლად ქატოა,
ვიღაც კვარხცლბეკზე ოქროს ტახტს იდგამს,
ზის იმ ტახტზე და სულით მარტოა...

ვისთვის წვეთია ცრემლი დაღვრილი,
ვისთვის ტკივილის მძიმე კვალია,
ვისთვის სევდაა გულზე დაყრილი,
ვისთვის ჯვარცმა და მძიმე ჯვარია.

ცხოვრების კალოს ვინ ოფლით ლეწავს,
ვინ მოთამაშე ბანქოს კარტია,
ბედნიერებას ვინ ქოხში ხედავს,
ვინ სრა-სასახლის მობინადრეა.

ვინ თასებით სვა შარბათი ბედის,
ზოგმა შხამიც კი პეშვით დალია,
ზოგმა იმღერა სიმღერა გედის,
ზოგს სიმარტოვის შეხვდა არია...

ტრიალებს, ბრუნავს ბედის ბორბალი,
ყველა გზა ღვთისკენ მიმავალია.
მიწაზე რჩება სიკეთის კვალი,
სხვა ყველაფერი წარმავალია....

ზოგი წისქვილი პურის ფქვილსა ფქვავს,
ზოგის დოლაბზე ბევრი ქატოა,
ვინ ეკლის გვირგვინს თავადვე იდგამს,
ვინ ცის და მიწის სათამადოა.

შავი მერანი....

შავმა მერანმა გაარღვია მრუდე ჯებირი,
არაგვის წყალმა მდორე წყალში გაინაპირა,
სიყვარულისთვის აღარ სტირის მეფე – შექსპირი,
და სვავ-ყორნებმა მეფე არწივი მოინადირა.
ჯებირს თან ჩაყვა მგზნებარება, მადლი, სურვილი
და გაზაფხულის მჩქეფარება წარსულს ჩაბარდა,
რამ შეაჩერა დედამიწა? შხამის წყურვილით
კაცობრიობას მზის ქვეშ თითქოს შემოაღამდა...
გაუტანლობამ გადალახა ყველა საზღვარი,
უსამართლობამ, სიმართლეზე „შური იძია,"
ვერც ობლის კვერი ვერ გამოცხვა და სამართალი,
ურმით მავალი, დროის ბილიკს ვერ დაეწია....
რად ჩაიმუხლეს სიყვარულის ლურჯა ცხენებმა?
სად გაიტაცეს ჯადოსნური წმინდა ლამპარი?
ალბათ, მობეზრდათ უმადური მხედრის ჭენება,
უსამართლობის უნაგირი, პირზე ლაგამი....
სად მიგვაჭენებს უგზო-უკვლოდ, ტატოს მერანი?
მრუდე ჯებირის ნანგრევებში არ გვიჩანს ბოლო,
ამაოებას ცხოვრებისას ვხვდებით ვერავინ,
როს საკუთარ „მეს" გავაღმერთებთ მხოლოდ
და მხოლოდ.
ნაჭუჭში ყოფნას შეეგუა სული ობოლი
და მზის სხივებიც ვეღარ ათბობს ვიწრო
სარკმლიდან.
ყინულის ლოდმა ქვად აქცია მოკვდავის გული,
ჭრაქი, მბჟუტავი, ელოდება ხსნას მომავლიდან...
ოქროს აკვანი ელოდება ოქროს გასაღებს,
რომ გაასწოროს ოღროჩოღრო ბილიკი ურმის,
ღვთის სავალი გზა ეწოდება ბილიკს გასავლელს,
თავისუფლება ეწოდება სიმართლის წყურვილს!
სიმართლეს ელის ცოდვა-მადლის ყანის სამკალი,
საღვთო სამართალს – მობიბინე მწვანე ჯეჯილი,
სანთელ-საკმეველს ელოდება კაცი, მართალი,
სიმართლემ უნდა გაასწოროს მრუდე ჯებირი!

ღამის სონეტი

მთვარიან ღამეს, როცა რითმები
მუზებთან ერთად ჩამოიბარდნენ,
ღამე ვათიე შენზე ფიქრებით
და ოცნებებში დავრჩი დილამდე.
ღამის ფიქრებში მზე ცისარტყელას
ხატავდა, ვიდრე შემოაღამდა...
წვიმიან ღამეს ფერით შვიდფერით
ღამით ოცნება მირაჟს ხატავდა...
და ალიონზე თეთრი ნისლები
ჩემს ფიქრებს ცაში ღრუბლად მალავდა,
ღამე ვათენე შენზე ფიქრებით
და ღამე თითქოს დაპატარადა.
გამთენიისას ფიქრები მწველი
ისევ ღამისთვის შემოვინახე,
ლექსებად ვწერე ურჩი ფიქრები
და ღამით ისევ შენ მოგინატრე.
მე მიყვარს ჩემი ფიქრები წრფელი,
სონეტი მთვარის და ლურჯი ღამე,
ცის კაბადონზე ნახტომი ირმის,
ცისკრის ვარსკვლავი, ცა მოკამკამე.
მთვარიან ღამეს, როცა ფიფქები
გათოშილ ველებს ჩამობარდნიან,
ზამთრის სუსხიან ღამის ფიქრები
ლექსით მიქარვებს ამინდს, ავდრიანს.
ღამის ყინვაში, როცა რითმები
მთებზე ღრუბლებად ჩამოირბენენ,
ღამეს გავათევ შენზე ფიქრებით,
გათენებულზეც შენ გაგიხსენებ.
და იმ გრძელ ღამეს, როცა ფიფქები
თმებზე ნისლებად ჩამოწვებიან,
მე ისევ მწველი ვიქნები ფიქრი,
ფიქრით გავათევ ღამეს სევდიანს...
მე მიყვარს ჩემი სიწრფელე ფიქრის,
ღამის სონეტი... ცის სიკამკამე...
ცის კაბადონზე ნახტომი ირმის,
ცისკრის ვარსკვლავი და ლურჯი ღამე!

ველური იები ცეკვავენ ჭალაში...

სიყვარულს ამოყავს მიწიდან ბადახში,
მზის სხივი ტყის გრძნობას
იებად გადაშლის,
ცის ნამი იღვრება გრძნობების თამაშში,
ველური იები ცეკვავენ ჭალაში.
ზამთრის ცივი სუსხი ტაატით მიდის და
მოდის გაზაფხული იისფერ კაბაში,
იებით სიცოცხლე იწყება თავიდან,
იისფრით იწყება მუზებთან თამაში.
მზის სხივი ნებივრობს
მომწვანო ბალახში,
ნაზად გვიღიმიან ლურჯთვალა იები,
მინდვრებს აღვიძებენ,
ნაზამთრალ ჭალაში,
საოცრად ლამაზნი, ციცქნა კოპწიები.
თვალწინ იხატება ტილო საოცრება,
ფერადი მინდორი იღვრება მძივებად,
ბუნება იღვიძებს, ბუნება ცოცხლდება,
სიცოცხლე ნაზდება იისფერ იებად.
ფერი იისფერი, კაბა იისფერი,
გოგო იასავით ნაზი, სიფრიფანა,
წყაროსთან ჩურჩული, ღამე ღვინისფერი,
ვაჟი დაბნეული და მთვარე ნამგალა...
სიყვარულს ამოყავს მიწიდან ბადახში,
მზის სხივი ტყის გრძნობას
იებად გადაშლის,
ცის ნამი იღვრება გრძნობების თამაშში,
ველური იები ცეკვავენ ჭალაში....

ლურჯი აპრილი სევდიან გულს კვლავ აამღერებს

როცა მზის სხივი შიშველ ხეებს
ჩააცვამს კაბას,
თებერვლის სუსხი მთებში უხმოდ გაინაპირებს,
ნაზამთრალ ჭალას გაზაფხული
გადახდის საბანს,
გამთბარ მიწაზე ტყემლის კვირტი
დაყრის ყვავილებს.
როს გაზაფხულის ოშხივარი მიწას გაათბობს
და როცა მარტი ცვალებადი გაიაპრილებს,
იასამანის სურნელება ბაღებს დაათოვს,
ატამი ველურ ვარდისფერში დაიყვავილებს.
ფშატის ყვავილი ფუტკარივით
დამახვევს თავბრუს,
პატარძალივით მოირთვება ძველი ხე ნუშის,
ნამყენ ალუბალს თურმე მამის ღიღინი ახსოვს,
მეც მშობლიური მელოდია მეწვევა სულში.
მერცხლის ჭიკჭიკი გააცოცხლებს
სოფლის ჩეროებს,
გზად სიყვარული ჩამეღვრება იებად გულში,
ეს გაზაფხულიც მონატრებას გამიმეორებს,
ცრემლებს ლექსებად მიმოვფანტავ
ნამიან ხნულში.
თეთრი ღრუბლები დაეშვება ზეციდან ფარდად,
ყოჩივარდების სინარნარე გაათბობს ველებს,
ტყის ენძელები ულამაზესს მოხატავს ფარდაგს,
ლურჯი აპრილი სევდიან გულს
კვლავ აამღერებს...



ლია ჩიქოვანი-გოგრიჭიანი – ბიზნესმენეჯერი.
დაბადების ადგილი – ცაგერი.

ქართული ჩოხა მემოსა

ემიგრანტები ვინახავთ,
გრძნობას სათუთად ნატარებს.
თუ ჩვენი ჩოხა არ გცმია,
ტყუილად იღლი წამწამებს.

სადაც წავედი, ეუროპას,
ქართული ჩოხა მემოსა.
ღვინის და პურის ქართულად
აქ შევისწავლე მე მოსმა.

ხელს ნუ მოგვიშვერ ძვირფასო,
სისხლი ქართული იყივლებს!..
ემიგრანტები სამშობლოს,
არასდროს გადავივიწყებთ!..

სიყვარულს გულით ვატარებთ
და გეფერებით ლექსებით.
ჩვენი მამულის მთას და ველს,
შორიდან ვეალერსებით.

ჩვენ აქაც ვცეკვავთ ქართულად,
აქაც მოისმენ მღერასა.
ემიგრანტების შეხებით
აუტანიხარ წერასა.

როცა მოგივალ დედა

გულს დასტყობია სევდა,
დავდივარ, თვალწინ გხედავ.
სიზმრად სიყვარულს ვბედავ,
ჩემი გულის მზევ, დედავ!

ჩემი ცხოვრების ერთავ,
შენზედ სიმღერას ვბედავ.
მე შენზედ ლექსებს ვწერ და..
შენთან შეხვედრას ვგეგმავ.

მე გული შენსკენ მიწევს და
ჩვენს შორის დროა, დედავ!
დრო კი ყველაფერს ხედავს
ამ დროში კვლავ მოგხედავ.

როცა მოგივალ დედა,
თავი შენს მკერდზე მედვას
და მონატრების სევდას
გულში ჩავაწნავთ ერთად.

აღარ გაივლი კენტად,
შენ ჩემი გულის ერთავ!
სიყვარულს ვაქცევთ ღმერთად,
მერე მოვაფენთ ქვეყნად!

დავიცვათ ძველი ძეგლები

გარეჯი საქართველოა,
მაგრამ წაიღო აზერმა.
გელათში ფრესკა ჩამოდნა,
პატრონი არ ჰყავს ამჯერად.

ფულებს იდებენ ჯიბეში,
ხატვით ტყუილად გარჯილან,
სველ კედლებს ცრემლი ჩამოსდის,
საღებავებით დასვრილან.

უკუღმა ხვნა და ფარცხვაში,
სარეველები გაზრდილა.
ქართველო! წმინდა მარხვაში
სული რა რიგად დასვრილა.

გარეჯი გადავივიწყეთ,
გელათს ტირიან კედლები.
ცხინვალი ცალკე გამოყვეს,
გმირებს აწვნიეს ეკლები.

ნაკუწ_ნაკუწად აქციეს,
ცაში ტირიან ღმერთები.
ვერავინ ვაწყობთ აქციებს,
მონებად გადაგვაქციეს.

ჭირთა გვასწავლეს თმენა,
და დაგვიდუმეს ენა.
ღვთისმშობლის გვწყალობს მზერა,
გველისა გვახსოვს კბენა.

მხარი ავუბათ მხრებთანა,
დავიცვათ ძველი ძეგლები,
მამულს ვიზარდოთ შვილები
და მეომარი მხედრები.

ესროლე ტყვია

შენზე ფიქრებით ბილიკს მივყვები,
ბილიკს,რომელზეც ხშირად გვივლია...
მე მოგონების მწვერვალს ავყვები,
ეს მწვერვალებიც ბევრჯერ მივლია.

გზაზედ მრავალჯერ მჩხვლეტდნენ ეკლები,
სიმწრის მდინარე ჩამომდენია.
რამდენჯერ ტკბილი ვჭამე ეკლერი,
გულს მწარე დარდად შემომრჩენია.

ბილიკს მივყვები დღეს მერამდენედ,
განვლილი ტრფობის გარდასულ დღეთა,
ფიქრები მკლავენ უკვე რამდენჯერ,
ჩვენი ცხოვრების გარდასულ წელთა.

ვიცი, არ მოხვალ, არ დაბრუნდები,
გული წაიღე ვითარცა იამ.
ამ ლამაზ წლებს და ამ ჩვენს სიყვარულს,
შენ,სამუდამოდ ესროლე ტყვია.

დედას ნუ მომიკლავ!

შეჩერდი, დედას ნუ მომიკლავ!
თუნდ იყოს ქუჩის მეძავი.
დედა სიყვარულს მომიტანს,
სხვასაც რომ გამოსდოს ხელკავი.

შეჩერდი, მამიკო ჩამხედე თვალებში!
შიშისგან ვკრთივარ და ვკანკალებ.
ქონებას ნუ გვიყრი ვალებში
და მერე დედას ნუ აწვალებ.

შეჩერდი, გახსოვდეს კაცური ვალი,
ხელი არ შეახო, არ მოკლა ქალი!
თუნდაც რომ შეცოდა – გაუშვი, წადი,
მე, დედა მჭირდება და მამა მყარი!

ეჭვები გაგიჩნდა? არა ხარ კაცი!
შენს თავში ეძებე უხორცო მწვადი.
დედა არ მომიკლა, შენი გზით წადი,
თუ სული გიმძიმს ტაძარში ადი...

ჩვენ დავბუნდებით

რატომ უნდა ვაჯეჯილოთ სხვისი ყანა,
ჩვენმა ველად იბიბინოს უნდა, განა?
ვის გჭირდებათ ქართველების გადაყვანა,
უცხო თესლის ჩვენს მიწაზე შემოტანა?!

უგნურებო რად გვამონებთ ნეტა?
მერე კიდევ ჩვენზე აუგს ბედავთ!..
რად დაგვადგეთ გზაზე ღმერთის ბედად,
მაგრამ ღმერთი? მაინც გადმოგვხედავს!

ვაი, ჩვენო დაუხნავო მიწავ,
ვაი, ჩვენო დაკარგულო რიწავ,
ვაი, ხეო, გაყიდულო წიწვად,
დავბრუნდებით ჩვენ, თქვენს სახელს ვფიცავთ!.

დავბრუნდებით, ხელს ჩავკიდებთ გუთანს,
გავაძევებთ ქართველთ სულთამხუთავს!..
ჯიბეში კი არ გავატანთ ხურდას,
ქართულების მოსპობა რომ უნდათ!..

ქარავანი მიდის

ძაღლი ჰყეფს და ქარავანი მიდის,
მზე ანათებს, ცა კი ისევ ტირის,
და... ტოტები დაუხრია ტირიფს,
სევდისფერი დასდებია ბილიკს.

ზოგი გალობს, ზოგი იწყებს ქილიკს,
ზღვა ღელავს და ტალღა ნაპირს ივლის,
რას გაუგებ ამ არეულ ბილიკს.
მზე ამოვა, გაანათებს ივლისს.

ვინ მღერის და ვინ კი მწარედ ტირის.
ლექსი უყვარს თვით მტირალა ტირიფს.
რაც არ უნდა შოლტი მირტყათ დილით,
ლექსს დავწერ და ნუ დამიწყებთ ჩივილს.

მეც მოვყვები ამ ცხოვრების ტკივილს,
გზებს მივყვები, ნათელსა და ბინდის.
ავამღერებ ნანას ბავშვის – ჩვილის,
ძაღლი ჰყეფს და... ქარანი მიდის.

მე დავბრუნდები

მშვიდობით ჩემო სამშობლოვ,
კარებს ვხურავ და მივდივარ!
ვერ შემინახე უმშობლოდ,
გამიშვი, აღარ გინდივარ.

დავბრუნდი – გულში ჩაგიკარ,
მეგონა არ გამიშვებდი.
ხელბარგი ისევ გამიკარ,
ჯიბე ცარიელს ვინ შველის...

მე შემიკედლა სამშობლომ,
სამშობლომ უცხო ტომისამ.
აქაც დავდივარ უმშობლოდ,
მაგრამ ლეკვი ვარ ლომისა.
შენ შემელიე, მე ვერა,
შენზედ დავიწყე მე წერა –
შენთვის აღმოვჩნდი მე ძერა,
დაჭრილი არწივის მტერად.

შენ მაინც მსტყორცნე მზერა,
იცი მიყვარხარ გჯერა?!
სხვისი სამშობლოს ცქერა,
გულს ვერ ახარებს ვერა!

მე დავბრუნდები მგელად,
ორბების სისხლის მსმელად!
თმებს დავუკოცნი მწვერვალს,
ერთად დავიწყებთ მღერას.

ყველაფერი უბის წიგნში ჩუმად ჩამიწერია

მოზღვავებულ მოგონებებს ავედევნე კვალდაკვალ,
პალერმო და ვენეცია მოვირბინე კარდაკარ.
გადავხედე ბარსელონას, პარიზსა და ვენას,
ბუდაპეშტშიც ჩავირბინე ხიდზე შევხვდი გელას.
ტინტორეტომ გამაოცა ლამის მუხლზე დავეცი,
იქ, და ვინჩი ვინახულე მაგრამ ხმა ვერ გავეცი.
პალერმოს ნავით შევცურე, წყალზე ფეხით გავედი,
მადრიდი მოვინახულე, ტოლედოშიც ავედი.
ნახატების დამნახავმა მეც ხატვაში ჩავები,
ლუვრის რაღა მოგახსენო მოსათხრობად ძნელია.
ვერსალს დიდი ხელოვნების წიგნი დაუწერია,
ყველაფერი უბის წიგნში ჩუმად ჩამიწერია.

ბავშვობის მოგონება

შობის შემოსვლამ გული გამითბო,
ჩემი ბავშვობის წლები ამინთო,
თვალწინ ღვეზელი წამში დამიცხო,
შობის სანთელი დედამ დამინთო.

მამამ მამალი ხელში ჩაიგდო –
თეთრ თოვლზე, წამში, სისხლის ტბა იდო.
ჩვენმა მფარველმა ცაში გაიგო
და შენაწირი სული წაიღო.

მიყვარდა შობა და ლოცვა დედის
და ქვევრის თავზე ბუტბუტი მამის.
თავს მონავლები წითელი მამლის
მწამდა – ანგელოზების ჭიშკართან გავლის.

მიყვარდა შობა, ტაძრის ქვაც შავი,
ბევრს ააცილა ურვა და ავი,
მთავარანგელოზს ვავედრებ წამით,
ახალ_შობილმა მოგვხვიოს მკლავი.

მოგონებად ვიქცევი

როცა აღარ ვიქნები,
ფიფქად გადავიქცევი.
გამიტაცებს ფიქრები,
როგორც ქარებს ფიფქები.

წაიკითხეთ წიგნები,
მოგონებად ვიქცევი.
შვილო ჩემზე ფიქრებში
მოვალ, შენთან ვიქნები.

ყურს მოესმის რითმები,
გულს ათრთოლებს რიტმები.
თვალს ჩაგიკრავ მშვიდდები,
რა უნდა თქვა – მიხვდები.

ჩუმად კარებს გავხურავ,
ისევ ფიფქად ვიქცევი.
თუ კი წვიმა მომისწრებს,
წვეთად გადავიქცევი.

მომინატრებ, კვლავ მოვალ,
როგორც თეთრი ნისლები,
ჩემს საფლავზე ამოხვალ,
ჩემთვის მშვიდად ვიქნები.

ლევან ჩოგოვაძე – ლეო ძაკონე, ექიმი;
დაბადების ადგილი – ქუთაისი

* ** *

ვფიქრობ... და ფიქრში ფიქრებად დამდევს,
შენზე ფიქრები, ფიქრად რჩეულნი.
დავყვები დარდებს, ფიქრიან დარდებს,
შენს რეალობას გადაჩვეული.

შევჰყურებ ამინდს ნისლისფერიანს,
ახალი დილა იფშვნიტავს თვალებს.
მე და შენ ვჰგავდით ოდესღაც ალბათ,
ორუღელიან გუთანში ხარებს.

რეალობისაც შევეშვი აღქმას,
ჩემში თითქოსდა ბანაობს ვნება.
მიწას შეხებულ ფიფქის ამბორით,
მოგონებები ფიქრებში დნება.

მაინც აქა ვარ, ფიქრებში, ფიქრად,
დღეებს ვაყოლებ დარდებს ფიქრიანს.
კვლავ ვუმეორებ ჩემს თავს – გიყვარდა!..
კვლავ ძველებურად ვირქმევ – იღბლიანს!..

* * *

გამუდმებული ვნებათაღელვა,
ორი სტიქიის– წყლისა და მიწის.
ერთმანეთისთვის განგებამ შექმნა,
მათი ტრფობა კი ბუნებამ იცის.

მაშინ როდესაც ერთურთს ერწყმიან,
მიწა ყვავილობს, სიცოცხლე ჰყვავის,
განშორების და გვალვის შედეგად,
დედა-მიწაზე სულს ღაფავს ლამის.

ყველა მცენარე, ყველა ცხოველი,
დასტირის მიწის დამსკდარ ნაპრალებს
და მხოლოდ მაშინ, მიწას წყლისადმი,
გამიჯნურებას არვინ აბრალებს.

და ისიც უხმობს თავის სიყვარულს,
სტიქიას მოსულს ჭექა-ქუხილით,
მათი შეხვედრა ჰაერში ტოვებს,
განსხვავებულ სუნს, მიწის წუხილის...

გამთენიისას იღვიძებს ყველა,
გაცოცხლებული ბუნება ხარობს.
ბედნიერია განგება, როცა
ორი სტიქია ერთმანეთს ყვარობს!..

ალბათ გინახავთ, შეგიმჩნევიათ,
დილით მიწაზე წვეთები ნამის...
თუმცა აქამდე ვის გიფიქრიათ,
რომ ეს მიჯნურის ცრემლები არის?!

* * *

გამოვაღე ქუჩის კარი,
გავდიოდი სახლიდან.
დღეს გუშინდელს გადავხედე
და დავიწყე ახლიდან.

ქუჩის ნაპირს ბებო იჯდა,
შავ ტანსაცმელ-საბურველს~
შეუმოსავს ტანი მისი
და სიყვარულს აშუქებს.

დამჭკნარ ხელებს ჩაუბღუჯავთ,
თაიგული იების,
ახსოვს ბებოს მაშინდელი,
ძველი დანაპირებიც.

ვიდრე შავებს ჩაიცმევდა,
გაზაფხულზე ელოდა –
მას, ვის გამოც შავი ეცვა,
ვისიც მუდამ სჯეროდა.

ახსენდება მოხუცს კვლავაც,
ანდერძი და დალოცვა,
“მე რომ წავალ გაზაფხულის,
არ ეცადო გამოცვლა”.

იებს ახლა თვითონ ჰკრეფდა,
ეკალ-ბარდის ბუჩქნარში~
ზის და იებს, ახალგაზრდებს
კონად აწვდის ქუჩაში.

თითქოს ყველაფერი ვთქვი და
რამდენია სათქმელი...
როგორც კანდელს ალამაზებს,
მოციმციმე სანთელი.

ქუჩის ნაპირს ბებო იჯდა,
თუნდ ღამესაც გაათევს.
ჩამოღვენთილ სანთელივით,
ვიდრე ახალს აანთებს!..

* * *

ჩემო სამშობლოვ, ნატანჯო,
საფერებელო მიწავო,
ქართველი კაცი, ქართულად,
გიცავ და კვლავ დაგიცავო!

ავ-ბედით ვარსკვლავიანო,
ქართველო, ქართლის დედაო!
ვაჟკაცის გულზედ დაღვრილო,
ცრემლებო, თვალის ბნედაო.

შორს მოყიჟინე მომხდურო,
ხმაო ავისა მჟღერავო.
იმედი რად გაქვს მომვარდე,
წამლეკო, გამავერანო.

ერთ ხელში მახვილ აღმართულს,
მეორით მბღუჯავს მიწითო,
მტრის მტრულად, მოყვრის მოყვრულად,
დახვედრა ასე ვიცითო.

დასწყევლოს ღმერთმა დროება,
დღე იყოს თუნდაც ღამეო.
მტრულად მოსული დაგინდო,
მოყვასს დაგაკლო რამეო.

სამშობლოვ, ჩემო მშობელო!
მთა-ბარ-ტყევ ლაზათიანო.
წყურვილს მტრის სისხლით მოგიკლავ,
ისევ რომ გაგამთლიანო!..

* * *

რა სჭირს უმეცრების სასოებას,
ძალუძთ ერთმანეთს არ აპატიონ.
შენგან ამღერებულ სიცხადეს ვგრძნობ,
ჩემო დიდებულო გალაკტიონ!

ვისაც ბეწვის ხიდზე გაუვლია,
ცხოვრების სიმუხთლეც ხომ იციან!
ვერ შეგედავები მეგობარო,
ჩემო დიდებულო ტიციან!

ჟამი ქარტეხილებს დაალეწავს,
მოსრავს სიდიადე დროთა.
შენ კი ვერაფერი შეგეხება,
ჩემო დიდებულო შოთა!

მეტი ვის რა უნდა შეასმინონ,
სხვამხრივ ანდა როგორ უთხრან.
შენ რომ რითმებიდან ამოგითქვამს,
ჩემო დიდებულო მუხრან!

ზღვისფერ დანისლული თვალებიდან,
წუხილს ნიაღვრად რომ აფრქვევ.
ვინ თქვას უფრო დიდი სევდის სიტყვა,
ჩემო დიდებულო გრანელ!

კაცთა სიავკაცის გაცხადების,,
მოთქმა ღმერთებმა რომ ანიშნეს.
ისე არვის ძალუძს როგორც შოთას,
დიდებულ ნიშნიანიძეს!

არა, არ ყოფილა მისი მსგავსი,
სიტყვა მგოსნობის და არაკის.
მამულიშვილური სიამაყის,
გენი დიდებული აკაკის!

შენი გაგება კი საუფლოა,
ხედვა, შენებური განსჯა.
დიდი პოეზიის ბერმუხა ხარ,
ჩემო დიდებულო ვაჟა!

ალბათ საოცრებას თუ მივაწერთ,
შენებრ პოეზია ბარდნო.
სულის სიგიჟეა შენი ლექსი,
ჩემო დიდებულო ლადო!

შენგან სიდიადის ზარები რეკს,
სიტყვა დამსხვრეული ბროლის.
ჭექა-ქუხილი ხარ პოეზიის,
ჩემო დიდებულო მორის!

გული სიამაყით ეცხუნება,
სითბოს შენს სიბრძნეში იძენს.
სიტყვა დაელოცოს ქართველური,
დიდებულ ლებანიძეს!

შენ კი პოეზიის გვირილა ხარ,
სადარს ვინ გიპოვნის განა?
ცაზე მოკაშკაშე მნათობივით,
ჩემო საოცარო ანა!

* * *

მიტოვებული ნასახლარის ბაღი,
და სიმარტოვე ჩუმი კარიდან.
ყოველი ღამით მტანჯავს კოშმარი,
თან ყოველ ღამით ისევ თავიდან...

უცნობ ჩრდილებთან მიწევს შეხვედრა,
მტკიცება– დღეს რომ გაზაფხულია,
რომ სიყვარულის ახურავს ზეცა,
თუ კი სახლს ჭერი არ ახურია.

რომ ეკალ-ბარდით ნაწამებს გზებზე,
ნავლელს ჭაობზე ფეკალიების.
ყველა იმ სტრიქონს, რასაც შენ გიძღვნი.
მძაფრი სურნელი დაჰკრავს იების.

* * *

დაიმსხვრევიან ალბათ მითები,
რადგან დიდია ჩვენში სხვაობა.
სიყვარულისთვის თუ არ ირთვები,
შემოგერთვება არარაობა.

ტოლს არ დაუდებს ამპარტავნობა,
შენში ჩასახულ სიყრმის მანტიას.
მამულიშვილურ სამარხის ნაცვლად,
მიგაბარებენ ერთ-ერთ პარტიას.

შეიცნობ ოდეს რანი ვიყავით,
რით გავუძელით ჟამთა ქარტეხილს.
შეგრცხვება მითხრა ახლა რანი ვართ
და ვერც მიშველი წელგადატეხილს!..

* * *

თუ კი ფერხულს მხარს აუბამ,
ხან იქ ხარ და ხანაც აქა ხარ!
ვისთვის სევდის გამყოფელი,
ვისთვის კიდეც მასხარა ხარ!..
ღარიბი ხარ? იჩაგრები,
დუქნის კუთხის ამარა ხარ!
მდიდარი კი ბევრს უყვარხარ,
დიდი სუფრის თამადა ხარ!..
თუ სამყაროს თვალს შეავლებ,
ნახავ რარიგ პატარა ხარ!
ახლა ხომ ვარ? გაიფიქრებ,
აჰა, უკვე აღარა ხარ!..

* * *

დაამებისა რა გითხრა ძმაო,
სულს განსაცდელი ამჩნევს ნაკვალევს.
ფერგადასული ნახატის ნაცვლად,
ახლის დახატვას რომ დაგავალებს.

თუ მოგონებებს ირჩევ ნაცრისფერს
და სიფერადის არ სცნობ ნათებას.
მაშ რა აზრი აქვს ვიღაცის სიკვდილს,
ანდა ვიღაცის კვლავ დაბადებას!..

* * *

ბევრი ვერ ხედავთ ვიცი,
სიმთვრალის ნატიფ ფერებს.
გულამოგლეჯილ ოხვრას,
ბგერებს რომ შეუფერებს.

ვერ გაგიგიათ ჯერაც,
წონასწორობის დამცველნთ.
სიმთვრალის სიბარბაცე,
გამაღლებთ, კიარ დაგცემთ.

სიყვარულს იტევს ულევს,
ეს ჩემი მთვრალი გული.
თქვენი მარხია სადღაც,
სიფხიზლით დაჩაგრული.

ვიცი რომ იცით, მჯერა,
წაკითხული გაქვთ ბევრი!
თუმცაღა ვინ დაწერა?
ვინ გაანათლა ერი?

დედამიწა რომ ბრუნავს,
ჩემთან მტკიცებას ბედავთ.
თქვენ იცით, მხოლოდ იცით,
მე მთვრალი კარგად ვხედავ!..

* * *

სიმშვიდეს არღვევდა ჩურჩული ჭორების,
რა მიზნით? რის გამო? უბრალოდ სჩვევია.
იმიტომ მტკივა და მაწუხებს ამგვარად,
რომ შენი ჭაობიც, გამოდის ჩემია.

ვიტყვი რათქმაუნდა, რაც არის მართალი,
ან სხვა და სხვაგვარი რა გზა დამრჩენია?
ერთურთის შური და მოყვასის ღალატი,
დღესაც ქართულ მიწას დაღად ამჩნევია!

ყველაფერს ნუ ეტყვი ნურასდროს ნურავის,
შენს გულში იწვოდეს, რაც მხოლოდ შენია.
დღეს ერთი სიტყვა და ნათქვამი ამბავი,
ხვალ ათი ცოდვილის ბრმა განაჩენია!..

* * *

დღეს იყოს ასე, თუნდაც ცხოვრება,
ლაქად დაედოს ნატანჯ სამოსელს.
და ხვალაც, თუკი ისევ დავჭირდი,
კისერში ვერაგ დანის გამომსმელს.

ხელს შევაშველებ, ლაფში ჩავარდნილს,
გავინაწილებ მისას სიმყრალეს.
ოღონდაც სულში მენთოს სანთელი,
უკუნ სიბნელით არ დამიღამდეს.

ოდესმე იქნებ ვპოვო სიმშვიდე,
ეს ჩემი ღელეც იქნებ ადიდდეს.
დღეს იყოს ასე, არ მსურს ცხოვრება,
უმეცრებაში გამიადვილდეს.

* * *

სადღაც შორიდან მოვარდა ქარი,
თითქოს მარტოსულს რომ დაგიგულვებს,
შევყურებ მტვრისგან გაწმენდილ ქალაქს
და მასში მოძრავ ცვილის ფიგურებს.

მე გლეხი კაცი, გლეხური გულით,
განვსხვავებულვარ როგორც ბუ– ხარში.
ვნატრობ მეგობარს, ღვინოს ხელადით
და გახურებულ კეცებს ბუხარში.

შენ რა ხელი გაქვს ღმერთო ამ დროში,
არც რაიმეა დღეს შენი ბრალი.
გთხოვ არ მაქციო ცვილის ფიგურად,
გლეხად მიმიღე, სიცოცხლით მთვრალი!..

* * *

ქარი ზმუოდა კარის ზღურბლიდან,
ვით მგლოვიარე სასტვირის ხმობა.
სურათი იდგა აწ შემოდგომის,
როგორც სიკვდილის ჟამის თანხმობა.

ყვითელ ფოთოლთა ნარნარით ცვენა,
მოჰგავდა ამბორს იმ ბოლო კოცნის.
უმისამართოდ ფარფატი შემდეგ,
ქარს მინდობილი ყველაფრით მოცლილს.

შემოდგომაა, ირთვება დრამა,
ფიქრიც დარდიან ღამეებს უთევს,
ფანჯრის შუშაზე ცრემლად დადენილ,
წვიმისგან ურცხვად მოპარულ წვეთებს!..

* * *

მე სათაურებს არ ვარქმევ ლექსებს,
ლექსის სულისთვის არ მაქვს სახელი.
მყავს მეგობარი, მყავს მოღალატე,
მყავს სასეიროდ ფუჭი მნახველი.

დავლევ და ისევ ჩავიღიღინებ,
ჩემს სიყვარულზე დაწერილ ამბავს,
მიყვარს როდესაც ქალი მიმზერს და
მისი თვალები ვარსკვლავებს აგავს.

მშვიდობით ჩემო ამაოებავ,
რამ აგიძგეროს გული ნახეთქი.
მინდა ვიხილო სახე სიკვდილის,
სიცოცხლის ქიმზე გადანახეთქი!...

* * *

დღეს სიფერადე მიყვარს ნაკლებად,
შავ-თეთრ კადრებად ჩამრჩა წარსული.
აწიოკებულ სულის აკლებად,
მსდევს ქარიშხალი ზღვარსგადასული.

მესმის ბოდვები დემონურ ხმების,
რომ არ იქნება, რაც კი მერეა.
ჩამსჩურჩულებენ აღარ ხარ თითქოს,
ღმერთო, რამხელა სისულელეა!..

* * *

როგორ დამიმძიმდა სიმსუბუქე,
ახლა დიდი გახდა ციდა.
ვიღაც ტანისამოსს იცვამდა და
სულის სიშიშვლეში ცვლიდა.

გადიდკაცებული შეეფერა,
ურჯულოებათა მიზანს.
გადიდგულებული ფიქრებიც აქვს:
ნეტავ, ახლა ვინ რას მიზამს.

ჰგავს გახრიოკებულს, გრძნობაგაცლილს,
როგორც უდაბნო და ქვიშა.
რატომ ავიწყდება მდინარეს რომ
ნაკადულებიდან იშვა!..

* * *

მთელი ღამე ბორგავდა,
ზეცად ღმერთის აჩრდილი.
ღრუბლებისგან დამალა,
მიწა გადანაჩრდილი.

მთელი ღამე თვალებში,
უელავდა ბრაზი და...
მთელი ღამე გრუხუნით,
წარბებს მაღლა აზიდდა.

ჰორიზონტმა ინათა,
ჩაწითლებულ მზერიდან.
უჩვეულო დილაა,
ღამის ამაზრზენიდან.

ყველა წვეთი ლოცვიდან,
ვეფერები უბერებს...
ნაბიჯების მახლობლად,
ნამტირალევ გუბეებს!..

* * *

გარდაიცვალა თურმე პოეტი,
ღარიბთა სია შემცირდა ერთით.
გავრცელდა სიტყვა უღმერთობაზე,
დაბინძურებულ ოთახში დენთით.

ღმერთის სახელით მოასპარეზე,
ჭირისუფალნი ეხვია კუბოს.
სურთ გარდაცვლილმა პოეტმა თითქოს,
მათ უღმერთობის მსჯავრი გაუგოს.

სიტყვაც სთქვეს, რაღაც ზეპირი, ბრძნული,
ხან აბულბულეს, ხანაც აქორეს.
ის კი არავის არ დასცდენია,
პოეტი თავად რომ მიატოვეს!...

* * *

დღეს დამშეული ვარ მე დემონი,
სახის ნაკვთებში ვფარავ სიბილწეს.
მახსოვს დღე, როცა შენ დაგემოვნდი,
აღთქმული ზრახვა გასცდა სიტყვის წესს.

მე გახელებულ ოხვრას და ქშენას,
ვეღარ ვპატიობ ჩემში ანგელოზს.
ვიღაცას ვთხოვდი ვიღაცის შველას,
ბოლოს კი თუნდაც სხვებმა აბეზღოს.

გარდავსახულვარ კაციდან მასში,
აღარ მინდა რომ მეტად ვახსენო.
თუ ღვინო ისევ ჩუხშუხებს თასში,
მსურს რომ ჩემს სულში გადავასვენო.

ყოველი დილა გახდა პირქუში,
აზრი რაღა აქვს უკვე ალიონს?
თუ ჩეკმეული საკმევლის სუნში,
გაურევ ბინძურ მხრჩოლავ ყალიონს.

მე კი ვნებდები, ვიცი ვნებდები,
გასულთა დღეთა მახინჯ ზმანებას.
როცა მოვკვდები, სთქვით რომ მოკვდაო,
ნუ განიხილავთ გარდაცვალებას!..

მეგი მოლოდინი / მედეა გადელია / –
ფილოლოგი;
დაბადების ადგილი – ქ. სოხუმში.

სოხუმის წვიმა

„...აფხაზეთის წვიმა მიყვარს, იცი, რად?
მგოსნის ხმა აქვს, როს ფოთლებზე ხმაურობს...“
/ გალაკტიონი /

სოხუმის წვიმავ, კვლავ ჩემში წვიმობ,
უფლის ჩამოცრილო თაიგულო...
ნაწნავებს იმკობდი ზურმუხტებით,
მანდობდი შენეულ საიდუმლოს...
ლურჯო აკვნის სხივო ზეცის ჩვილის,
ცრემლო მითიური ფასკუნჯების,
ცხუმის ცის წვიმაო, ჩემში ტირი
და წვიმობ, მომიხმობ, გამუდმებით...
ფოთლებს მგოსანივით ეხებოდი,
ღრუბლის, ჩამოგყავდა მგალობეთი,
მახსოვს, მაცეკვებდა სანაპირო
შენი დალალების სამოთხეთი;
ცისკრის ღვინოსავით პეშვით გსვამდი,
ჩემო ზეციურო ხმიანებავ...
შენი საოცარი ზარ-წკრიალის
გალობას ვისმენდი ზიარებად,
ახლა ნოსტალგიით დაღალულის,
ხილვა ხარ წვიმაში, მაგნოლიავ...
წვიმაო, ოღონდაც წამიყვანე
და ზღვიდან ზურმუხტებს ამოვიყვან!..

ამაო სოლო

სიხარული ანაცვლებსო ტკივილს მუდამ,
ასე იყო ოდითგანვე – მან ინება!
სოფლის ცარგვალს შეუყეფა ცელქმა მურამ,
ხვალ ცისკარი მზის რუებად დაიღვრება.

თითქოს ანთებს ღმერთი ცაზე
წვრილ ვარსკვლავებს,
რომ აკვნები გაუნათოს ჩვილ ბულბულებს,
თუთარჩელა დაუმშვიდებს ფიქრს წამწამებს,
როცა მეგრულ „მა სი მიორქს“ იჩურჩულებს.

სიჩუმეა, ცვარი ბზინავს კოინდარზე
და სურნელი მატკბობს მინდვრის, მოთიბულის,
მახსოვს წამი ბალღობიდან, რომ ვინატრე,
გავზრდილიყავ მეოცნებე მგოსნის გულით,

თუმც ჭრიჭინებს ჭრიჭინასი, ერთი სოლო
და ციმციმებს ციცინათლის ოქროს საშვი...
ენგურის ხმა მესმის აქვე, შუკის ბოლოს,
მაინც გალობს სევდიანად ახლოს შაშვი...

ჰო, ტკივილიც ანაცვლებსო – მითხრეს ადრე,-
სიხარულსო, ინებაო ასეც – იმან!
ვესიზმრები ზღვასთან ალბათ ოლეანდრებს,
მეც ამ ღამეს ლექსის ტივით მათთან მივალ...

ბაზალეთელის გოდება

ერთხელ მეც ვიყავ ტაოს მორჩილად
ხანძთის კედლისთვის ვზიდე ლოდებიც,
მომფერებია ვაზი მორჩი და
ფესვი მომყვება მისი, მგოდები.
სულში ნაბზარი ოშკის სამრეკლოც
გულს ჩამრჩენია მწამვლელ ხიწვივით,
ნამწვი სანთლისა, ო, ის საეკლო,
ვით მომაკვდავი ბარტყი მიწივის.
ერთხელ მეც ვახლდი გზაში თევდორეს,
გასატყუებლად უხსენებლისა,
მას მეც აკუწულს, სისხლით ვეტბორე
და ვიტარიგე, უფლის ნებისად.
მაგრამ ერთხელაც, მეც მონანიე
დავჯექ და ვწერე ლექს-გალობანი,
თუმცა დღეკრულმა, ვერ მოვაპნიე
სიყვარულისთვის ძეთა ხმობანი.
ერთხელ მეც ვიყავ გურამიშვილთან
მოწმე ჭირისა – ქართლის დაცემის
და რა ვიხილე, უმალ მიშვილა
უსასოობამ, ძმისგან ნაცემის...
ამ სენმა ცხრილა ქართული გენი
მემატიანის კალმის სამელნედ,
დასაბამიდან მე იგი მდევნის,
მტრებს კი სიამით მუდამ აელმებს.
ამაოდ ვქსოვე მზისგან ფარჩები,
რომ შემენიღბა ჟამთა ჭრილობა –
მაინც გამოჭრა მთვარემ ფლასები,
მიწა დაფარა სისხლის ჭილოფმა.
დასაბამიდან ღრუბლებს მოვყავარ
იმ მოყმის ცრემლად ბაზალეთელის,
მაინც ვერ ვშველი კენტი – მონაგარს,
ამაოდ დავშვრი კახთან წყნეთელი...
ერთხელ მეც ვიყავ ტაოს მორჩილად,
ბედსაც ვემგზავრე ბერის კველთელის...
არვინ მომენდო მტირალს, მომჩივანს –
გესმათ: ზარი ვარ, ბაზალეთელის!

მიმართვა მზეს

დღემდე მოვედი, როგორც სევდა
უკიდეგანო
და სიხარულიც, რომ გადაწნავს
ველის გვირილებს,
შიში, რომელიც მუდამ სდევდა
ინტუიციას,
სახტად დარჩენა მუზისაგან,
მდედრს რომ გივიწყებს.
მე ხომ გული ვარ, უპირველეს ყოვლისა,
ღმერთო,
მერე ნაოჭიც, დაღარული
ფიქრთა ხანჯლებით,
თეთრი ფურცლისგან რომ მაცვია
სამოსის ენდრო
და ლექსის წვეთებს ვეღებები
ციდა პწკარებით...
მე იმედიდაც შემოვედი
შენს ორბიტაზე,
მზეო, დამიგე განჩინება
სხივთა ხელწერით,
ის ერთი ფერი, ცის სარტყლიდან
რომ მოვიტაცე,
აღარ წამართვა, მწვანე დისკოს
როცა ვეწვევი.
მე მოვდიოდი, როგორც სწრაფვა
და მოლოდინი,
ბედი ქალისა, ვით ბოგანო,
ჭერს რომ ისიზმრებს,
დღემდე მოვედი, როგორც სევდა
უკიდეგანო
და სიხარულიც, რომ ჩაიწვენს
ველის გვირილებს...

ვფიქრობ და გამკვირვებია

ვფიქრობ და გამკვირვებია ამ წუთისოფლის არსისა,
ერთნი ვერაფრით მალავენ შურსა და ბოღმას კაცისას,

მავანი ნაცვლად მოყვრისა მტრის ხატს მიიჩნევს თავისად,
ზოგიც ყელმოღერებულა და გადაშლილა „ნარცისად".

ვაზი ისე არ გაისხვლის, თუ არ მიჰყევი თავდახრით,
სანამ აისი დადგება, უნდა გაიწრთო მრავალგზის,

მოჩქარეს უგვიანდესო, წინაპარს უთქვამს სადაგი,
თუ წვით არ გამოიზამთრე, არ დაღვინდება ბადაგი.

სიბრძნე ოდითგან მოგვყვება, ორბელიანი საბასი
და საუკუნეთ ამშვენებს რუსთველის სიტყვის ალმასი,

ხანძთელის რწმენის მირონი ტაოდან ქედებს გადასდის,
მაგრამ უფალო, ქართველი დღემდე უწვრთნელი რად დადის?!..

მიწა აყრია დღეს ლუხუმს გურამიშვილის სამარის,
წილნაყარია მის ხვედრთან ტიციანიც და თამარიც,

ილიას შუბლის ნათელი წიწამურს გვინთებს მარადის,
მაგრამ უფალო, ქართველი დღეს უსამშობლოდ რად დადის?!..

დღეს რად გამხდარა ღირსება ქართველისათვის ნამატი,
თავისუფლება სულისთვის და მამულისთვის ნანატრი,

ძმა ძმას ზვარაკად რად დასდის, მუდამ ტკივილით მდაგავი,
ვფიქრობ და გამკვირვებია ამ წუთისოფლის ამბავი...

ჩემი აკვნის მზე

მე ოდესღაც ჩემი მზე მყავდა...
ციცქნა აკვნის მზე – თვალებფახულა
და თვალჭუტია,
დედის ხელებივით თბილსხივება
და ხალისიანი,
ჩალისფერჭორფლიანი ფერია
ოქროს ნაწნავებით...
სულმხიარული ვიზრდებოდი მისი მეწყვილე,
როს მიღვივებდა ჩუმად ნაკვერჩხლებს,
გულში მოციალეთ,
სიყვარულისთვის პწკართ ასანთებად...
სიზმრიდან გამოსულს, მეგებებოდა
სარკმლის ზღურბლიდან,
შემდეგ კი პალმების ლარნაკებს მიაშურებდა,
აშრიალებულთ,
რათა ყვითლად აყვავილებულიყო
მათ მწვანე ფრთებზე...
მანამ მითბო და მინათა ბალღობა
აკვნის მზემ,
ვიდრე ზღვაში არ ჩაესვენა და
პაწია ნიჟარაში არ ჩაიმალა...
მას მერე ვუცდი ზღვის მოქცევას
ქანცმოლეული,
რომ ამოსხივდეს გამორიყული ნიჟარიდან
დამწყვდეული მზე,
ციცქნა აკვნის მზე – თვალებფახულა და
თვალჭუტია,
ძიძა ჩემი ბალღობისა, მისი გამთბობი და
მანათობელი...
...და უფალს „არ ვთხოვ სხვა ნეტარებას",
თუ არა ჩემი მზის დაბადებას –
კვლავ აღმოცენდეს ზღვიდან ციცქნა მზე,
რომ მაზიარა ერთ დროს მადლიანს,
ჩემი ადგილის დედის
უტკბეს რძეს...

ა ლ ვ ე ბ ი

ალვები დამდგარან ძახილის ნიშნებად!!!
,,ბოროტსა სძლიაო...'' ავანსად მომესმის...
უჩინო ფორტეში მზის კვარი იფშვნება,
წერტილ-მძიმეებად ბრმა ამაოების...

რა მრჯის და ვინა ვარ, გამსვლელი პაიკი?..
თუ პოტენციური, ჰმ, ვითომ პოეტი?..
თუკი ბედისწერას, ვით შამათს, გავყიდი
და უმწიფ ყვავილებს გადავრგავ სონეტში...

ვალებით იჯერებს სიხარბეს დამთვლელი,
მიწა ხომ დახლია ზეცისთვის ერთგვარი,
აწ გარდაცვლილი თუ ჯერ
გარდასაცვლელი,
ვინა ვარ?.. – ვკითხულობ...
მელექსე შემცბარი...

შეცდომებს ვითვლი და ვსასოებ შენდობით,
იქნებ ამ სამყაროს შეცნობით მივიკვლევ,
უფალო, ვიცი, რომ შენ მაინც მენდობი,
მითმინე, სვე სანამ მესამედ იყივლებს...

მრუდეა შენი გზა – ვერლიბრი ღარიბი,
შენ, ვითომ მოყვარევ, თვალთმაქცო,
მაცილო,
ნუ მოხვალ ჩემს ნეშტთან მწუხარე
,,ალიბით'',
კვლავ ერთი,,ზუსტი'' სვლით რომ
არ გამაცილო!

ნახატი ცოცხლდება, თითქოსდა გოგენის,
უჩინო ფორტეში მკვდარი მზე იფშვნება,
მაგრამ არ ითხრება საფლავი ნოტების,
ალვები ჩამდგარან ძახილის ნიშნებად!!!

დიოსკურიას

გადავურბენდი ფეხშიშველი შენს სველ ნამსხვრევებს
და წყლულ-იარებს მოგირჩენდი ასულხმობილი,
მთვარეს გამოხსნილს დავიგებდი ქვის სარეცელზე,
მერე კი მზის ძეც მომაგნებდა, ქარვით შობილი...

მედეას ჩრდილის ცრემლი გალტობს ღაწვთ ფიქალოზე
და ჯვარცმულ ნაპირს გაკრული ხარ, ვით ანდრომედა,
მოგიცურებდი ვით იალქანთ, დილის ტაროსებს,
პოსეიდონის დაკარგული ზღვის სამოთხედან...

საუკუნეებს გამოუსხლტი ციხის ცისკარო,
ძუძუმტეობდი, ყვავილობდი მოძმე – აბელი,
ვინ აგიხვია დღეს თვალები, ტკბილად მსხივარო,
შენი უბიდან მარგალიტებს ქორნი აბნევენ...

სვავნი კორტნიან დაისრული ყელის წარწერებს,
,,სებასტოპოლისს'' რომ განგრევდა არაბ-ოსმალო,
რომაულ შუბებს ეფშვნებოდი ბერძენთ ნაგები,
დღეს კი შენს სევდას ჩრდილოელი ფლიდი,,ქომაგობს''...

მრავლისმომსწრე ხარ, ციხე-მახვშო, კოლხთა მიწაზე,
ფრთებდალეწილი ფასკუნჯივით მზერა დაგღლია,
თუმც მხცოვან სხეულს ოდენ იმ დღის ხსოვნა გიწამებს,
დევნილთა გემი,,რეკვიემით'' ზღვამ რომ არწია...

ტალღის მიქცევას გააყოლე თვალნი გამზრდელის
და მონატრება ცხუმის შვილთა კრთება რიჟრაჟზე,
როცა მაისი აღარ გვაწვიმს ოლეანდრების
და თეთრი კვალიც იკარგება წაშლილ ქვიშაზე...

გადავურბენდი ფეხშიშველი, შენს სველ ნამსხვრევებს
და წყლულ-იარებს მოგირჩენდი ასულხმობილი,
მთვარეს გამოხსნილს დავიგებდი ქვის სარეცელზე,
მერე კი მზის ძეც მომაგნებდა, ქარვით შობილი...

მაპოვნინე

მე ოდესღაც გვირილები დაგირგე
შენი გულის ცვარნამიან ბილიკზე,
ნიჟარებთან დაგიტოვე ნაპირზე
ღამისთვალა მთვარეცა და პირიმზეც...
სახლი ჩემი კიპარისთან ბერდება,
სცივა მარტი უჩემობის საღამოს,
ესიზმრებათ ოლეანდრებს გემები,
მაგნოლიებს დღემდე ბედი არ სწყალობთ...
სად წასულა აიეტის ასული,
რად სტირს ნეტავ მლაშე დიოსკურია?..
გაპარულა, გაუცურავს ბავშვობას,
ზღვის ტალღაზე კოლხის ცრემლი უღვრია
და როდესაც დღე-ღამის გასაყართან,
იქ, ერთ ეზოს როს ვეხვევი ლანდივით,
მამა მთვარის პორტრეტიდან გადმოდის,
მზიდან დედის, მეფერება მანდილი...
რა შორია და რა ახლო შენამდე,
მხოლოდ ერთი საცალფეხო ცის ფთილა,
მაპოვნინე ცხუმო, ჩემო ძიძაო,
შენს გულ-მკერდზე ის დარგული გვირილა,
მაპოვნინე ლურჯი წვიმის წვეთები,
ვით,,მგოსნის ხმა სველ ფოთლებზე'', ციმციმა,
მკრთალ ლაჟვარდებს აკიდივით ვეღვრები,
შენს საძებნად სიზმარეთში მივფრინავ...

უკრაინას

შენი ცრემლის წილ ამეწვა თვალი,
შენი მიწის, დღეს ტირილი მესმა,
უკრაინავ, ვაი მისი ბრალი,
ვინც კი შენთვის ღრუბლის ხანჯლებს ლესავს!

შენთანა ვარ და შენს შვილებს ვლოცავ,
გამაგრდი და არ შემიდრკე წუთით,
სამშობლოა ის, რაც ღმერთმა მოგვცა,
დედით, მამით, ღირსებით და უფლით...

შენს ლაჟვარდებს ვერ შეღებავს კვამლი,
ვერ დაგაკლებს ბილწი ჩექმა ვერას!
დე, კურთხეულ იყოს ძმობის რვალი,
საუკუნოდ მეგობრები გვერქვას!

დედას

წვიმის წვეთებს რომ ჩამოჰყევი
ამ დილის ცრემლით,
მაინც მზის სხივით მაწერინებ,
ძვირფასო, სათქმელს,
ნიავივით რომ გზას მიკვალავ,
ხომ ვიცი, დედი
და ძველებურად აკვნისფერი
რიჟრაჟით მარწევ...
ზღვის მშვიდ ტალღებში მეგულები,
ნათელო, დღესაც,
იღიმები და ვით ჩემს მოძღვნილ
გვირილის ფურცლებს,
წყლის თეთრ მაქმანებს, იფერებ
და ჩაუმქრალ სევდას,
მიტოვებული ნაპირისას, ფერმკთალი
უცქერ...
ვით შევეგუე,,შეგუებას'' მე, უშენობის,
შენი სარეცლის, ცარიელის,
ცივ მდუმარებას,
დედამიწაც კი დაიშანთა ძეთუღმერთობით,
ლამის ცოდვები აღიარონ თვით
ცრუ ვარდებმაც...
და მომიტევე ყველაფერი, გთხოვ, მაპატიე,
თუ ვერ შევძელი შენი ზამთრის
კვლავ გათენება,
რომ გაზაფხული ვერ ვიხსენი
ავი მარტისგან,
წუთისოფლის ხე რომ დანაცრდა
წამგაელვებად...
ზღვის მშვიდ ტალღებში მეგულები,
ნათელო, დღესაც
და შორს ღიმილით სეფექალობ უშრეტ
ყრმობასთან,
ხელს რომ ვერ გიწვდი და ვერ გშველი,
დედილო, ნეტავ
თუ მაპატიებ,,შეგუებას'' უშენობასთან?..

იყვნენ ქართველნი

იყვნენ ქართველნი ღვთის ნაბოძებ ძირძველ მიწაზე,
აწმყო ვინც ათბო არსობისა და შესწვდა მყოფადს,
ვინც დარახტული რაშებივით სუნთქვის მიჯნამდე,
სდევდა და ხმობდა უფლის ნებას, უკმევდა მოყვასს...
~ ~ ~ ~ ~
იყო ფარნავაზ, რჩეულთაგან ქველი და ბრძენი,
საღვთო ანბანით რომ გაკვეთა ზეცისკენ სვრელი...
იყო ანდრია, სულმოგვრილი მაცხოვრის დედის,
კოლხურ კვარცხლბეკზე რომ ააგო ტაძარი რწმენის...
იყო მცხეთაში კოლასელი ქალწული ნინო,
ვაზის ჯვრისგან რომ ასხივებდა ქართლისთვის მირონს...
იყო ქართველი „დიონისე", აზრის მწინდველი,
პეტრე იბერად წოდებული „პალესტინელი",
იყო ვახტანგი – „მგელთავა" და მტკიცე კედელი
გორგასლად მდგარი, შეუვალი, მტრების მკვეთელი...
იყვნენ შუშანიკ და ნეტარი აბო... მარტვილნი,
გოლგოთის ჯვარცმას რომ უერთეს სულის ნაწილნი...
იყვნენ დავით და კონსტანტინე – ქრისტესმიერნი,
„მოწამეთასთან" დაწინდულნი, სისხლით ივერნი...
იყო ხანძთელი – არტანუჯის ნაზარეველი,
მეუდაბნოე, ტაოს მზე და ნათლისმფრქვეველი...
იყო დავითი, დიდგორისთვის ბრძოლით შთენილი
და სინანულის გალობებით, თვისით დევნილი...
იყო რუსთველი, ლალბწკარედის ბრწყინვით მნუსხველი,
წმინდა მიწაზე რომ დაიფლა ტრფობის წყლულებით...
იყო თამარი, სათაყვანო მეფე – ქალღმერთი,
ნესტანისა და თინათინის ალმასთ ნაერთი...
იყო დემეტრე, ქალს ვენახი რომ შეადარა,
წმინდა მარიამს, იესო რომ მუცლით ატარა...
იყო მეორეც, რომ ეახლა მტერს ამღერებით,
საქართველოსთვის გადაეგო თავ – გამეტებით...
იყო ლუარსაბ, მეფე შუქით ვარსკვლავის ტოლი,
თვისი სამეფო რომ უყვარდა, ვით გულის სწორი;
იყო მამაცი და შვილთ მხსნელი მღვდელი თევდორე,
ვინაც მოყვასი არ მიჰყიდა დროის ჰეროდეს;
იყო ქეთევან, წამებული ივერიისთვის...
მკერდდაშანთული და მღიმარი „ზიარების" წინ;
იყო მაია, წყნეთიდან რომ ცრემლით იწვიმა,
ბიჭის ჩოხაში, ბრძოლის ველზე, მან რომ იბრწყინაა?!

~ ~ ~ ~ ~

მას მერეც იყვნენ შვილნი ქართთა, წინაპართ ღირსნი,
ჩრდილოეთიდან როს მოქუფრდა ღრუბელთა ნისლი...
იყვნენ ქართველნი, შეფიცულნი მამულისათვის,
ბაგრატოვანთა ჯვარს გაკრული საუნჯისათვის;
ანდერძად ისმა სამოციანთ ძეთა „შავლეგო"
და საუკუნეს, სისხლით შეშლილს კვარად აენთო...
მას შეეწირა მხცოვანი და სიტყვით მზიანი,
თავად ღირსების და სინდისის ძე – ყიფიანი...
უკუნიც შეძრა ხმამ კაენის საზარელ შუბის
და წიწამურზე გადანათდა ილიას შუბლი!
იყვნენ ქართველნი, მაყაშვილთა დარნი, ასულნი,
ვაჟნი, მაგვარნი ხელაშვილთა, გულთა ნაჟურით...
იყო ამბროსი ხელაია, ივერთ სალოსი...
იყო ქაქუცა, სამშობლოზე შორით ნალოცი,
ერთს – მკერდში გული უფეთქავდა გრიგოლ ხანძთელის,
მეორე – გმირად ჩაიფერფლა ქართულ სამოსში...

~ ~ ~ ~ ~

იყვნენ ქართველნი, იყო ერი, ბერობდა ბერი,
იყო შავთელი, სულხან-საბა და ბანას მრევლი,
ახალციხელნიც, არაგველნიც, ცოტნენი ბევრნი,
იდგა იყალთო და გელათი, აშენდა გრემი...
იყვნენ ქართლელნი, ეგრისელნი, მეგრელნი, სვანნი,
ლეჩხუმელნი და აჭარელნი, კახელნი, ფშავნი,
იმერ-ამერნი, რაჭველნი და აფხაზნი, დვალნი...
თუშები, ხევის ბრძენკაცნი და ხევსურნი, ძმანი...
გეორგიანთა ასულდგმულეს ძარღვი ფენიქსის,
ენის და რწმენის ერთგულებამ სძლია ჟამთ ავდართ,
სუკუნეთა შეკრულ ფესვზე მუხა ძეს იზრდის,
იქნებ და ლუხუმს დაუამოს წლების მარაბდა?!

იყვნენ ქართველნი...
იყვნენ ქართველნი...
არიან დღესაც!..
ახლო წარსულის ზეცის თაღზე
ორი ყმა ელავს!..
იმედით ვღელავთ, იმედი გვჯაბნის...
აღვსდგებით მკვდრეთით!
მხოლოდ ვიწამოთ,
მხოლოდ გვჯეროდეს...
ჩ ვ ე ნ თ ა ნ
ა რ ს
ღ მ ე რ თ ი!

თეიმურაზ კვარაცხელია – იურისტი;
დაბადების ადგილი – თბილისი.

***

მიყვარს ადამიანი,
ტყეში ფოთლის ცვენა,
ვარდი, მზით ნამიანი,
ქალის გულის ფეთქვა...

შემოდგომის ფიქრები
ნაირ-ნაირ ფერთა,
ზამთრის თოვლის ფიფქები,
ცვენა წვიმის წვეთთა...

კალმახ-კალმახუნების,
ჩანჩქერიდან ცვენა,
მისი წითელ წინწკლების,
შედარება სხვებთან...

ცხენთა, ცხენთა სრბოლები,
ღვინის ჭურის ხეხვა,
მიყვარს, უფლის მოვლენილს
რომ მოვიხმობ ჩემთან...

ბადაგს ამოვლებული,
ჩურჩხელების ხვევნა,
სატრფიალო ლექსებით,
ქალის ცრემლთა დენა...

გახურებულ თონეში,
შოთის პურის ჩაკვრა,
ხმალსა ნაცადს ომებში,
მტერს რომ მაგრად დაჰკრავ...

ოცნებების მწვერვალზე,
გრძნობის ფიქრთა ასვლა,
ვაზის ცრემლის დენამდე,
მისი კვირტის გასხვლა...

კალამთ –კალამთ ცეკვები,
ლექსის აფრის გაშლა,
ტაძარს, თეთრი მტრედები
რომ უვლიან გარსა...

მიყვარს ადამიანი,
სიყვარულში სანდო,
მარტო ძმობას კი არა,
მამულსაც რომ ვანდობ!.

***

არის საოცრება – შენ და გაზაფხული,
მთვარის შუქს მიმდგარი სხივი მაგონდება,
სიცოცხლე ნაზი და – შენგან არნახული,
დღისით და ღამით ამას მაბოდებდა..

სინათლის ნათება, სანთლის აალება,
თვალებში სიცოცხლე ზეცად ასახული,
ატმების შრიალი, კვირტები გვიანი,
არის საოცრება – შენ და გაზაფხულის...

ვსვამ შენს სადრეგრძელოს, ვსტუმრობ
და ვმასპინძლობ,
ენაზე მაკერიხართ – შენ და გაზაფხული,
ავად ვარ, მაგრამ, ხედავ რომ არ ვიტყობ,
თვალებში შემომცქერის ქალი არნახული...

იების სინაზე, ვარდების კეკლუცი,
მზე მზეობისა, ბავშვობით დანახული,
რაც შენი არის, მეც იმას ვეკუთვნი,
იმედად თქვენ მყავხართ – შენ და გაზაფხული.

*

There are two miracles – you and spring,
You make me feel a beam of moonlight,
My life, so gentle, embroidered by you,
It has been a fairy dreaming of night.
Light shining, and a candle burning,
Your heavenly eyes' life reflecting,
A rustling of peaches, its late budding,
There is a miracle – yours and of spring.
I drink for you as a host and a guest.
You and spring are my primary sense,
I'm sick, but do you see?
I won't show it,
It's because yet unseen
woman smiles at me.

Violet's tenderness and
rose's flirtation,
Seen by childhood, the sun of blossoming,
And, all that is yours, I, too, belong it,
You are my hope – only you and spring.

***

ავამღერებდი ქარებს მუხებში,
მიმოვივლიდი ოცნების ქუჩებს,
ქალს ვაკოცებდი ყველას ტუჩებში,
შემოჩვეულებს თბილისის უბნებს...

მთვარეს გრძნობებზე გამოვიბამდი,
ღიმილის კუნძულს ვესროდი ლექსებს,
გალაკტიონის ღილს შევიკრავდი,
სამოთხის ნახვას შევთხოვდი მეზვრეს!..

ვინ გავახარო, ან ვის ვაბრალო?
ნაგვიანები გრძნობების ტოკვა,
ოდეს აწმყოსაც მინდა ვახარო,
დავითისა და თამარის მოსვლა...

ისევ მეძახის წარსულის ლირა,
ისევ მიხსნიან სიყვარულს ზვრები,
მე დემეტრე ვარ, თავს როცა ვწირავ,
სამშობლოსათვის როდესაც ვკვდები...

მაგრამ რაც უნდა სახელი მერქვას,
რაც უნდა მტერი მსერავდეს დანით,
მე ქართველი ვარ, იცოდეთ ყველამ,
საშობლოსათვის სისხლს
კვლავაც დავღვრი...

სამშბლოს ჩემსას, ვით გულთა ფეთქვას,
ვით ნაგოლგოთარ აღმართთა კვნესას,
რჯულთა ჭიდილში ვერ ვუღალატებ,
თუნდაც ათასმა ჩამოკრას წელმა...

ისევ მიდგანან რიგში ქარები,
ისევ მიმღერის წარსული ნანას,
მე სხვა სიმღერას არ ვიკადრებდი,
როს გალაქტიკას „ჩაკრულო“ ფარავს!.

**

მზე ჩადიოდა და მზე ზღვას ეტყობოდა,
ტალღებს ეფუსფუსებოდა სიო,
მზე ცალი სხივით მიწას ეყრდნობოდა,
ქრისტე ეჩურჩულებოდა სიონს...

აღმდგარაო,აღმდგარაო – სიკვდილს
დაედოოო ფასი,
ისინი იყვნენო სამნი,
სხივთა მოდარაჯე, როგორც მოსამართლე,
ქვიშას უთვლიდაო ნაპირს...

ზღვის ნოტებს იღებდა წვიმას შეჩვეული,
ნისლად მოფარფატე ტალღა,
სიცოცხლე იყო ბევრჯერ შემჩნეული,
თუმცა სულ არ ჰგავდა ზღაპარს...

მაინც მიდიოდა, მაინც მკითხულობდა,
მაინც ანათებდა ბნელი,
მზე ცას ეტყობოდა, სურვილს ისრულებდა,
მზე ცას ეყრდნობოდა ხელით.

***

ყველა მიყვარს მეგობრებო, საქართველო ვისაც ჰქვია,
სიყვარული ვისაც ქვეყნის, ილიასებრ შეუძლია,
ყველა მიყვარს სიხარულით, ეგებება ვინც ღვთის დილას,
ვისაც ქვეყნის სასიკეთოდ, თუნდ აგური დაუდვია...

ყველა მიყვარს მეგობრებო, საქართველო ვინც ცნო ტაძრად,
სულსაც ვინც არ დაიშურებს, ცის რჯული რომ მისებრ ახსნას,
ადათი და წესი ჩვენი, ვინც სიკეთით დაამიწა,
ვინც წარსულის განსაცდელი, ღმერთის რწმენით დაამარცხა...

მიყვარს ცა და მიყვარს მდელო, მიყვარს მთელი საქართველო,
მოქარგული ლექსი მიყვარს, დროს თუ წვდება მისი სიტყვა,
პოეზია სულჩამწვდომი თუ არ მესმის არ ვარსებობ,
მიტომ არის დედის განცდით, დღემდე რომ ვხსნი ყველა სიზმარს...

მე ქართველი ყველა მიყვარს, სამშობლოზე თუკი ზრუნავს,
ვინც ბეთლემი, ნაზარეთი გაიხადა სულის მცველად,
სვეტიცხოველის ძეგლთა წერით, ვინც წარსულის სულით სუნთქავს,
კვართი ღვთისა ვინც აქცია, ვინც აქცია ერის ძეგლად...

სიდონიას ტოლად მინდა, ერის სული რომ ვცნო ღირსად,
თუნდ ერეკლეს მოქმეულმა ხმალმა მინდა ერი იხსნას,
დედოფლობდეს მინდა სწორი წმინდა მეფის თამარისა,
სიმართლისთვის ვინაც იბრძვის, მინდა ჯვარზე არ გაიკრას...

ვხედავ, ვხედავ ცოტნეც მოდის, საქართველო გზას უნათებს,
მამულისთვის თავდადების სურვილი არ დაკარგვია,
სააკაძის ხმალი მიხმობს, ნუ ინატრებ სხვას ნურაფერს,
ცისაარტყელას რკალი მფარავს, ზედ სამშობლო ახატია...

ყველა მიყვარს მეგობრებო, საქართველოს ვისაც უყვარს,
შეუძლია ვისაც სხვა ერს, ქრისტეს ენა რომ აუხსნას,
დავაშავეთ განა რამე, სისხლის ფასად ჟამს თუ შევრჩით,
ჩემმა ერმა დედამიწას, ჭეშმარიტი თუ აუწყა?...

დამიმიწეთ გეხვეწებით ქართველებო დედის ენა,
გამიბრწყინეთ საქართველო, იქნებ შევძლოთ მისი შველა,
სადღეგრძელო რას გვიშველის, მჭლე სიტყვების რახა-რუხი,
საფრთხეშია როცა ერი, წინსვლა მისი აღარ ხდება...

საქართველო თვითონ მე ვარ, როცა ქრისტე მენატრება,
როცა შოთა რუსთაველით, მსურს თაობა ვზარდო ყველა,
ვახტანგ მეფის სამართლის წიგნს, რომ მოვარგო ერის სული,
გავუტოლო ახლანდელი, დემეტრეს ჰანგს „შენ ხარ ვენახს!“

დავით მეფე მთებს გადმოდგა, ერის სულის მოდარაჯე,
ვხედავ, ვხედავ მისი ქებით, საქართველო არ იღლება,
ღმერთო იქნებ შენი სახით მოგვივლინო მოსამართლე,
სხვანაირად საქართველო, ვეჭვობ რომ ვერ გაბრწყინდება..

ყველა მიყვარს მეგობრებო, საქართველო ვისაც ჰქვია,
ვინც რომ სულზე წმინდა ზეთით ცხებულია ქრისტეს დარად,
ვინც ჯერ კიდევ შემიძლია შევადარო ადამიანს,
ვინც წარბს წამით არ შეიხრის, სამსხვერპლოზე ისე ავა..

როს ვგრძნობ ქვეყნის გულისცემას, მიხარია მას რომ ვგავარ,
ვინც რომ უკან არ დაიხევს, მამულს როცა მტერი ჩაგრავს,
მომიძებნეთ გეხვეწებით სამშობლოში საქართველო,
იქნებ ავცდეთ მეგობრებო, ამდენ ჭირს და ამდენ ვარამს.

***

პოეზიიის უქრობ ცაზე, მუზის კვირტი ამოვლექსე,
ვითარც ვარდი დილის ნამზე, იმდაგვარად ამოვკემსე,-
ამოვკემსე ფიქრისამებრ, აზრად ქმნილი სტროფებს შორის,
დავამიწე ბრძენთა კალმით, მიწას რწმენად დავუწესე...

ლექსთა კერპად გაჩენილ დროს პაემანი დავუნიშნე,
ლექსის თარგი მზეს მოვარგე, სიტყვებს აზრი ავუკინძე,
გზაჯვარედინს მდგარ სტრიქონებს, სულში სიო ჩავბერე და,
აღსავლის კარს მივადექი, სადაც სიბრძნეს ხარკს უხდიდნენ...

ცოტა თოვდა, ცოტაც წვიმდა, ცოტაც ობი ედო სიტყვებს,
ლექსის ტახტი იქ ვაკურთხე, სადაც გული ამდენს იტევს,
დედამიწა მოვაბრუნე, მოვუქსოვე აზრებს ბადე,
ცის საბუდარს ხელით შევწვდი, ერთად-ერთი რამე ვკითხე:

„თუ დამჭირდა, შემიძლია ლექსთა სულით ცაში ვცხონდე,
დავუდგინო ლექსს სიცოცხლე, როცა უკან მუზა მომდევს?
განწირული იქნებ შევძლო, ლექსთამწერი რომ გავხადო,
მარადიულ სამეფოში მადლი ვთხოვო დედა მშობელს?“.

ცის ქუხილით დრო გაიყო, ამედევნა გზაში ნისლად,
მდია, მდია, მდია მანამ, არ მიგულა სანამ ღირსად,
მერე მითხრა დედის ენით, ჩემი სულით მოხიბლულმა:
„ლექსი თუა ცის სადარი, უკვდავი ხარ მერე დიდხანს!“

მივაქროლებ ცისკენ ეტლებს, მასში შებმულ ლექსს ვაჭენებ,
ქართა, ქართა ბილიკები, მას იმედით აღავსებენ,
ტირიფების ლიანდაგი მწვანე ფარდას უხსნის მუზას,
სასხვისსათქმელ სიტყვებს სიბრძნის, სიბრძნის წვეთით ანაცვლებენ...

ნაქსოვ-ნატვიფრ მიზანსწრაფვას, წმინდა წყალით ვუბან ხელებს,
შოთას კალამს ვეუბნები: "განვმეორდე მინდა შენებრ,"
გვირგვინს ვადგამ პოეზიას, ვითარც მეფეს სიყვარულის,
მინდა იმ დროს დავემსგავსო, რომ უგებენ პოეტს ძეგლებს...

პოეზიის უქრობ ცაზე, მუზის კვირტი ამოვლექსე,
მსურდა ლექსის წმინდა ენით, წმინდა დედას ამოვეცნე,
დედამიწას კალმის წვერით, კალმის წვერით დავეყრდენი,
მუზას ფრთები გამოვაბი, მიწაზე რომ არ დაეცეს.

***

ლექსის წვენი მომენატრა, ბადაგ-ბადაგ დაწურული,
მზის სხივებზე გამობმული, მტევან-მტევან ახუნძლული,
ოქროს წესად ნაფერები, საფერ-საფერ საფენებით,
დაორთქლილი გაზაფხულით, ცვარმდინარე ნაკადულით...

ლექსის კაცი მომენატრა, დანაცრული ქართლის ბედით,
დაგროვებულ კაეშანს რომ სადინარებს გადაუხსნის,
სამკვიდრებლად როცა წესის, დაგიდგება უმალ გვერდით,
მტერს მტრობისთვის როცა მისას, არაფერში არ გაუცვლის...

მტერ-მტრობისთვის როდის იყო, კალმის წვერი ირხეოდა,
როდის იყო საქართველო იქეთ-აქეთ ირწეოდა,
როდის იყო ლექსის სტროფი გულსაფიცხად მამულს აჩნდა,
ან კი ხმალი დავითისა, ლაჩრის ხელით იქნეოდა?.

ქარში ერთი ქართაგანი, როდის იყო ლექსს რომ წერდა,
ანდა კაცში კაცთაგანი, სიკეთეს რომ მისით თესდა,
როდის იყო ყურადმღები, ყურს იღებდა არმოსასმენს,
ანდა ბოლო ბოლოთგანი, ჭირს რომ ლხინად გვერდში ედგა?.

წყაროს წყაროდ მორაკრაკებს, ამოსული სიტყვა ღმერთით,
როცა არა ნაცარ-ტუტა, იდეაა ლექსის კერპი,
გვირგვინს იდგამს არა კაცი, შემოსილი დროის ფოთლით,
გვირგვინს იდგამს ფერნაცვალი, ღვთით ნაკურთხი არსი ლექსის...

ლექსის ლექსი მსურს დავლოცო, გამოთქმული წმინდა სულით,
როცა მის არსს შეგიძლია ჩაატანო კაცის გულიც,
მოსარჩელე როცა დროა, განაჩენს რომ გვიდგენს ნიჭი,
ნიჭი უფლის ტახტს რგებული, უფლის ნებას მორგებული...

გამიშალეთ ჩქარა სუფრა, სოფელს მინდა ლექსით ვამცნო,
არ გვჭირდება ლექსთა მანჭვა, როცა აზრი ვეღარ ზამთრობს,
არწივს მინდ ლექსი ჰგავდეს, ფრთებგაშლილად თქმული სიტყვა,
როცა მისი ცის ნავარდი, პოეზიის სივრცეს აპობს...

ფიანდაზად დაგებულ ლექსს, მინდა გემო გავუსინჯო,
სულის მუზის მელოდია, მსურს ვცნო მისი ანარეკლით,
ამ უძარღვო ქვეყანაში, როცა ლექსის კაცმა იკლო,
ლექსის წვენი მომენატრა, ჩაწურული აზარფეშში.

***

სივრცის საზღვარს მუზა ადგას
ციდან, ციდან ჩამოსული,
რაც ამ მიწას მუდამ აკლდა,
რომ მიართვას ღმერთით თქმული...

ჩემი ენის მელოდია,
მოსდებია მთას და მდელოს,
სუყველანი ენდობიან,
როგორც ჭრის და როგორც მსჯელობს...

გადასერავს ზღვებს და მინდორს,
გულს გამიხსნის, როცა ფიქრობს,
იმედს მამულს ჩაუნერგავს,
ვით ნერგავდა რწმენას ნინო..

ჩემი ენა, ღვთის ენაა,
რითაც ერი სათქმელს ისმენს,
ჩემი ენა, ის რწმენაა,
მამული რომ რწმენით იცნეს...

ჩემი ენა ღვთის ნებაა,
მისი კვართი რითაც იხსნეს,
ჩემი ენა, ცით ფრენაა,
რითაც სული რწმენას იხდენს. –

რითაც, მამულს სული უდგას,
თავზე მადლი ადგას უხვად,
რითაც, უფალს ვეტყვი ლოცვას,
ვითარც დედას შვილი უყვარს...

ენა არის ერის სული,
ციდან, ციდან გადმოსული,
ენა არის ღმერთის სიტყვა,
სიტყვა გულით ამოსული...

ენა არის პოეზია,
რითაც ზეცას ლექსს ელიან,
ენა არის აზრის მეფე,
ენა სიბრძნის მფლობელია...

ენა არის, იმის მაცნე,
ქრისტე ჯვარზე რატომ აცვეს,
ენა არის სულის ჰანგი,
მკვდარს რომ ცოცხალს გამოარჩევს...

ენა არის სიხარული,
კაცი რითაც ასე ლაღობს,
ენა არის სიყვარული,
დრომ რომ მისით იამაყოს...

ენა არის პეიზაჟი,
გადაშლილი, ვითარც გული,
ენა არის რწმენის ალი,
ვით უფალი ცად ასული..

ენა ჩემი ღვთის ენაა,
ამიტომაც მუდავ ვნატრობ
თუკი, მამულს რწმენა ახლავს,
რომ არ დარჩეს იგი მარტო...

ღმერთის მადლი როს მაკლდება,
მიწა ზეცის სამოსს იცვამს,
როს ერს უჭირს ჯვრის ტარება,
მამულს ჩემი ენა იცავს...

და როს მამულს ენა იცავს,
ერი მარტო არ დარჩება,
რადგან მისით თქმული სიტყვა,
კაცის სულში ჩასახლდება, –

და იქნება სიტყვა ჩემი,
როგორც პური არსობისა,
ცა მოავლენს ენას ქართულს,
როგორც ნაყოფს სამოთხისას.

***

სიყვარულია, აღმოაჩინო და გაიხადო სიწმინდედ შენად,
სიყვარულია, თუნდ გაელვებით სულით აღიქვა რომ მასში შენც ხარ,
მშვენიერების წალკოტში მოხვდე, თუთარჩელებით აივსო გული,
ცა ვარსკვლავებით რომ იჭედება, მათი ფიქრთა წვა წარმოთქვა ლექსად..
სიყვარულია აფრები ზღვაში, თეთრი და თეთრი, თეთრი ფერები,
არწივის ფრთებით შეგეძლოს ფრენა, შენად იგულო მინდორ-ველები,
სიყვარულია ვედრება ქალის, თუკი სურვილი გრძნობას თან ახლავს,
სიყვარულია როცა გწყურია, წყურვილს რომ იკლავ ქალის ცრემლებით...
ზეციურ ხიდებს თრთოლვით შევყურებ, იალაღებით გავცქერი წარსულს,
ქალი ზოგისთვის არის სიმდიდრე, ზოგისთვის კიდევ, რომ გითხრათ არ მსურს,
თუ გიყვარს, მჯერა უნდა შეგეძლოს, შიშველ ფიქრებსაც ჩააცვა კაბა,
ვნებებს იქამდე უნდა მისდიო, არ მოგცემს სანამ სინდისი დასტურს...
სიყვარულს მზის დრო უნდა მოარგო, როდესაც გრძნობ და როდესაც გიყვარს,
გრძნობის სცენაზე ზღაპრად ასული, ღელვით რომ თრდოდეს ძალიან დიდხანს,
ცის პოდიუმი მოუხდებოდა, ნათაფლ-ნაშაქრალ ღიმილის რხევებს,
სული კაცისა თუკი აღსდგება, ვით ქრისტე ღმერთი მოსული ფიქრად...
ლექსთა ალერსში მსურს იწრთობოდეს, ლტოლვის ქარცეცხლში ნაწრთობი გული,
განაჩენი თუ მოახერხებდა, მარტოდ ყოფნის რომ არ გახდეს მსხვერპლი,
იმედის გუმბათს ცა ერგებოდეს, გამოხატავდეს სიცოცხლის სურვილს,
აი ასეთი მსურს სიყვარული, სავსე გულით და სიმართლის მთქმელი...
პირამიდები, პირამიდები, ლექსით ვერ თქმული სიმაღლის განცდა,
ლტოლვა იმისკენ სიყვარულს რაც კი, სულის სანთლებად მუდამ თან ახლდა,
ცის სიმაღლიდან მსურს ვიგრძნო პულსი, ზღვის სიგანეზე რომ გავდო ხიდი,
აცრემლებული წუთისოფელი, მსურს შევაფარო ღვთისმშობლის კალთას...
ვჭავჭავაძეობ, ვგალაკტიონობ, ფიქრთა ვექტორში ვეძებ ბაირონს,
ნეტავ რამდენი ყანწი მჭირდება, სულის თხოვნით რომ ღვინო დავლიო,
ტერენტის მუზით ვეძებ სიყვარულს, ბარათაშვილის მამშვიდებს ლექსი,
წინანდლის ვარდის წრფელი გრნობები, დღესაც მთაწმინდას უნთებს ლამპიონს...
დაუზოგავად, დაუზოგავად, დაუზოგავად გაიღეთ თავი,
როცა სიყვარულს ჭირდება მსხვერპლი, სულმოკლეობას აპკურეთ წყალი,
უიმედობა, სასოწარკვეთა იქნებ როგორმე გადადოთ გვერდზე,
ემოციების ბარიკადებზე ქრისტეს მხედრობის იშიშვლეთ ხმალი...
სიყვარულია, გრძნობით დარგულ ხეს, სულის გასაღებს თუკი მოარგებ,
ნიავქარებით ატოტილ ვნებებს, ქარსაცავებში თუკი მოაქცევ,
ძარღვიან ღამეს ლექსს თუ შეუთხზავ, პოეზიის ხმას მიაწვდენ მთვარეს,
გრძნობის შრეებში გაჩენილ ნაპრალს, მისივე ცრემლით თუ ამოავსებ.

***

ქარსაცავებში ისეთ ქარს ვეძებ, არც ჩემი იყოს, არც თუნდაც სხვისი,
გამორიყული ცად აწვდილ ქედებს, იმედად ქცეულს ჭირსა და ლხინში...
წვიმის ბორიალს თვალს ვადევნებ და, მხოლოდ იმ ერთის, იმ ერთის მიკვირს,
წვეთად რომ ლამობს წარმოსახვას და მასში რომ ზეცის ფიქრი დევს დიდი...

ცხედრის ფეხებზე დრო ასვენია, დრო მესაფლავეს რომ უთვლის წამებს,
მე კი ასეთ დროს ის დამრჩენია, ვზივარ და ლექსებს ვუკვეთავ აზრებს...
და მაინც თოკზე დაკიდებული, წუთისოფელი გაშრობას ცდილობს,
მაგრამ ვაი, რომ კაცი ყოველი, სხვის დასაკრავ ჰანგს ასრულებს თვითონ...

შოპენი მათოვს, ქვაფენილები, ქვაფენილები მითვლიან ნაბიჯს,
იყო სოფელში მხოლოდ მიზეზი, ასე მგონია ნამდვილად არ ღირს...
ემოციები მიკრავენ სონეტს, ტაში თავისთვის უაზროდ უკრავს,
ვეღარ გავიგე, ვის ვუშლი ქოლგებს, როს წვიმის ნაცვლად ტვინს ქარი ბურღავს...

და მაინც ტუზი ვალეტთან ერთად, თამბაქოს ბოლის გარღვევას ცდილობს,
წარსულს ობობას ქსელი ატყვია, დრო კი ამისგან მხოლოდ თავს ირთობს...
ნიკალას ფუნჯი მეათეს ყიდის, დრომ გამოტყუა დიდ მხატვარს ნიჭი,
გროშში გაცვლილ დროს ვერ ვარქმევ სინდისს, სინდისსაც ეს დრო მიტომაც ყიდის...

ყიდის, რადგანაც ჭუჭრუტანიდან, სანიჭე სივრცე სიბრძნეს ხელს უქნევს,
„ეს რა ფუნჯები დაგიგრეხია," იმ ტილოს ავტორს დრო სასჯელს უდგენს...
და ამიტომაც სადაც მეგულვის, სადაც მეგულვის იქ კი არ ვეძებ,
ცის კიბით მინდა მივეყრდნო ღრუბლებს, იქ მყოფ სულებს რომ როგორმე შევწვდე,–

შევწვდე, რადგანაც ის დრო მეძახის, მემაწვნე როცა დუქნებს სტუმრობდა,
როცა ტივებზე გაშლილ სუფრებზე, მეარღნე მიტო მისებრ ხუმრობდა...
როცა სამშობლოს მტერიც მიქებდა, პირსავსე ქვევრი სტუმარს ელოდა,
სინდისი ძალებს მაშინ იკრებდა, როცა პოეტი მის ლექსს ხვდებოდა...

და მაინც რითმა, პოეტის ნიჭი, გრძნობების ბაღში მუზების ქროლვა,
გაუკვალავზე მელნის წვეთებით, ზეცის კარნახით სიტყვათა სრბოლა, –
ადამიანის გასინდისება, ადამიანის სიმტკიცით წრთობა,
აი კალმებსაც მიტომ ვაწვალებ, მიუწვდომელში რომ შევძლო წვდომა...
ქარსაცავებში ქარის ქარს ვეძებ, გზააბნეულ დროს რომ უთხრას სიტყვა,
წინაპრის ფესვში დაბუდებული, ჩემთვის და შენთვის ბევრჯერ რომ ითქვა.

***

და თუ სიყვარულს შეუხსნი ღილებს,
მკერდს გამოუჩენ, ვით ლამაზ ქალსა,
სულს შევისრუტავ, სულს შენსას, ისე,
თითქოს დიდი ხნის სურვილი ახდა...
და თუ არადა, ეჰ, არ მსურს გითხრა,
ვიცი, იდარდებ უჩემოდ დიდხანს,
მადლად მოსული, თუ წვიმა წავა,
რაღა აზრი აქვს ჩემს სათმელ სიტყვას?.
მადლად მოსული, უჩუმრად წავა,
ვით შემოდგომის ფერმკრთალი მთვარე,
თუ ვერ შეძელი განსაჯო საღად,
უშენოდ მარტო, რომ არ მსურს დავრჩე?..
მე ხომ სამყაროს ცის თვალით ვხედავ,
სამყაროს სულით ლექსის რითმს ვკრიბავ,
ამიტომ არის ამდენს რომ ვბედავ,
ვბედავ, სათქმელი ჩემი რომ გითხრა:
გეძებდი დიდხანს, გიპოვნე მაშინ,
როცა გაზაფხულის ნაპირებს ბანდი,
ბულბულის სტვენა ახშობდა ღამეს,
შენ კი იმ ღამის სურვილებს კლავდი,–
მთვარის ნათება მართმევდა სიზმრებს,
სიზმრებში ციურ დედოფლად ჩანდი,
მე კი ასეთ დროს მივდევდი ფიქრებს,
მსურდა მომერთვა წითელი ვარდი..
მიქროდი ფრთებით, მშფოთვარე ქარის,
გზაჯვარედინებს ტოვებდი უკან,
სხვა სამყაროდან სტუმრობდი აპრილს,
განახლება რომ გრძნობების გსურდა..
ეს შენ შეძელი, გამოანათე,
გამოანათე, ვით სავსე მთვარე,
წარსული შენი, წარსულის ღელვა,
მსხვერპლად გაიღე, უჩუმრად დათმე...
და მე კი მაინც, მაინც ჩემს ვითხოვ,
მსურს შეგიცვალო ძველი დრო ახლით,
იქნებ შენს სულთან ის გრძნობა იხმო,
კითხვას რომ "რატომ" ვერავინ ახსნის...
მინდა რომ შევძლო, დრო ვთვალო შენით,
ციურ სიყვარულს შევუდგე მხრებით,
ნაადრევია, თუმც მაინც გეტყვი:
„თუ შეგიძლია, გიყვარდეს გწამდეს,
მყინვარწვერების სიმაღლეს აწვდე,
დრო, ვით კარნახი სულისა ცვალო,
გაითავისო, ნათქვამი ღმერთის,–
მოვალეობა, ვით წესი შენი,
ცის სიყვარულის სანაცვლოდ დათმო,
დაწყაროს,ვინცკლავსმწყურვალისწყურვილს,
სამარადჟამოდ გაუხსნა გული, –
გინდა რომ გითხრა?.. ჰო, კარგი გეტყვი,
ღირსი ხარ ტახტზე რომ დაგსვა მეფის!"



ქეთი სიმონიშვილი – სამართალმცოდნე;
დაბადების ადგილი – კახეთი – ახმეტა – მატანი;

წუთისოფლური

ვით შაგელიო საწუთროვ
წერა-მწერალო ვარმისა,
სად რა შამიძლავ ოხერო
თრევა ამდენის დარდისა,
ამ სულის ობოლობისა,
ამ ოხერ ფურცელ-კალმისა,
...იქნება ნიავი მიყვარს
იმისად ყოფნა მწადიან
ჩავუნავარდო ბალახებს
ცვრიანასა და შამბიანს,
იქნება მთანი მიყვარან
იმათ თავს წოლა მწადიან,
იქნება კლდეთა გული ვარ
ზედ ხოროები დამდიან,
ხეთა ჩერო ვარ ეგების
ბუნების სუნთქვით ნაგრილი,
იქნებ მთვარე ვარ ბებერი
იქნებ დაჭრილი ნადირი,
ერთი ქვითკირის ლოდი ვარ
ორბი ვარ ან და არწივი,
თოვლი ვარ და მზემ დამლია
შემსვა მიწამან ყანწივით,
ველი ვარ ყაყაჩოების,
მიკიოტი ვარ ღამისა,
ხევივარკლდისძირსმბორგვი
იმასთან წოლა მწადისა,
ან ნედლი მიწის ფეთქვა ვარ
ხეთა შრიალი მაგრილებს
წამომავალი სეტყვა ვარ
დავდევმარტებსდააპრილებს,
იქნებ კაცი ვარ ოხერო!
შენის სავალით დაღლილი
ტყვიანი უნდა მოვხელო
შავიმოკლეო მანძილი,
ვიცი შენ ძლიერებისა
არ გეძნელების ქადილი
მეც ერთი კაცთაგანი ვარ
სანახევრაოდ ჩავლილი,
...მამეწევიან სიკვდილნი
გულს შამიხრავენ ჭიანი,
ჩემს მერეც ბევრი იქნება
ისევ ამოვლენ იანი,
დაიღვრებიან მზის გულზე
ჩამომავალი ჩქერები“,
ვეღარ გავიგებ იმათ ხმას
საფლავში ჩავესვენები,
დამიტირებენ ჯალაბნი
ქებას მეტყვიან მრავალსა
შამიდგებიან მხარ-ბეჭით
ძმანი ბოლო გზის სავალსა,
იქ გათავდება ყველაი,
წერა-მწერალო ვარმისა
შენი წესიც ხო ეგ არის,
კვლა ცუდისაც და კარგისაც,
...განა საყვედურ გითხარი,
არა ვარ გულჯავრიანად,
ისე მამკალი, თუ მამკლავ
ვითქმოდე ადამიანად.

ქისტების ლოცვა მუხებში...

(მიმწუხრის ჟამის ნახატი)

**

საღამო იყო ცას ბინდი,
მხრებზე ჭორფლივით ეყარა,
გაჰკიდებოდა აპრილი,
ტყეებზე სოფელ-ქვეყანას,
სიმშვიდე იდგა სიცოცხლის,
ანადა კვდომისა (რავიცი!)
მოვდიოდი და იცოცხლე!
სულსა სწამლობდა დაისი,
გუთნური იყო თუ სხვაი,
,,დაიგვიანეს" ერქვივნა,
გულის გულიდან ამოსულს,
ჩავიმღეროდი ჩემთვინა,
გზად, სადაც ალავერდი სჩანს,
მთათა აბჯარში მჯდარია,
ახშნის მინდვრებთან, გზისპირ რო,
მწკრივად მუხების ჯარია,
იქ გაკრთა ცხადლივ სურათი,
ნახატი ღმერთისმიერი –
დაჩოქილიყვნენ ბალახზედ,
ქისტები სჩანდნენ იერით,
ლოცვით, შუბლს ხრიდნენ მიწაზე,
თავის,,ალლაჰის" წესითა,
იმათ ღაღადი მუხებში
მზის ჩასვლასავით ეკიდა.
რას რა ამბობდნენ არ ვიცი,
არც ლოცვა ვიცი, ლოცვადა,
მაგრამ, ვფიცავარ ჩემ ღმერთსა,
რაღაც ნათელი მოსავდათ...
გვერდით ქალ იდგა რაიმა,
წელამდი სცემდა თმანია,
შველს მოუგავდა თვალები,
ცის მთვარე იყო მცხრალია,
შამხედნა, სალამი მითხრა,
ქმარს მიაწოდა წყალია...
გამოვცდი ჯვარი ვისახე,
ვა,ღმერთო! ცოდვა ბრალია,
,,ჩვენ ვიტყვით კაცნი ჩვენა ვართ",
,,ვაჟა" მართალი არია!
ღმერთო სადამდე მაცოცხლებ,
სანამდე მიჭრის თვალია,
ქართველ, ქართველად მანახვე,
ვაჟკაცია თუ ქალია,
შენ გაუმარჯვე იმათაც,
ვინაც სხვა რჯულის არიან,
მაჩვენე კავკასიელი,
დედა ცრემლთაგან მშრალია...

მერე მოვიდეს ისიცა,
ვნახოთ რა ბიჭი არია,
ავიკრავ გუდა-ნაბადსა,
გავქრები ვით სიზმარია!

აპრილი

მისდიხარ, უხმოდ მაგტირი,
თავმკვდარი, ისევ შენზედა,
ჩამაესვენა აპრილი
თალხად,პანკისისმხრებზედა,
ავნი შამიჩნდნენ ნაღველნი,
პირქვე ვკიდივარ ხევზედა,
აღარც ლექსები მწადიან,
არც შამღერნება მთებზედა,
ავახმე, ვარსკვლავიანო,
რად ჩამამტირი თმებზედა,
ვა! თუ წაგგვარეს ლამაზი,
გადაიკიდეს ცხენზედა,
შენ ბოღმა როგორ ვიტირო,
თავისი მადგა ყელზედა,
ჩამაესვენა აპრილი,
თალხადპანკისის მხრებზედა!

დაუკარ! თუშის ქალბნელო

*

გასწი, რა ღმერთი გიწყრების,
ლექსის სახადი შემყარე,
ეგებ, სამშობლო გადავდო,
ჩემ თვალებიდან, შენ თვალებს,

გასწიე, სულმა იხაროს,
წოვა თუშისა დაუკარ,
შაიშლებიან ქარები,
უნდა გადავყვე გზათუკან,

დაუკარ, უნდა ჩაშალონ,
მთებმა, დალალად ზვავები,
დაუკარ,იქნებ ავშალოთ,
სამაჩაბლოდან სვავები,

დაუკარ, შენი ჭირიმე,
გასწიე, შაგრჩეს მარჯვენა!
იქნება, მთაზე გადმოდგეს,
თეთრჩოხიანი არსენა,

დასჭექე, ბგერის ნაკვესებს,
სიტყვა შაუწყო ტიალა,
დაუკარ, თორო ხომ ხედავ,
ყოფნაშიც, არა ყრია რა,

განაღა, ეგრე გავქრებით,
ბანს გეტყვიან და ეგარი,
გაღმიდან– თორღვა პანკელი,
გამოღმ-თალაგვას კვეტარი,

ჩვენი ქვევრისა დალიე!
სთქვი, მტერმა რომ ვერ ახვეტა –
აქეთ – ქაქუცას მატანი,
იქით – ბიძინას ახმეტა,

დაუკარ, თუშის ქალბნელო,
ჯანღი აშალე მთებისა,
სთქვი! ქისტეთს გადაპარული,
ზვავის დალეულ ქმრებისა,

ან ალუდასი იუბნე,
ვერ მობრუნებულ თავისა,
ან ჯარჯის საფლავს მიკრული,
თოფის და ჯიხვის რქანისა,

გასწი! რა ღმერთი გიწყრების,
ლექსის სახადი შემყარე,
ეგებ, სამშობლო გადავდო,
ჩემ თვალებიდან შენ თვალებს

* * *

გესაუბრები, ლაჟვარდს გავცქერ, გავცქერ სპეროზას,
ცარგვალს სვეტებად შესდგომიან რქები ჯიხვების,
სულს დამიამებს, ფორიაქი იფნის ჩეროთა,
საქისტოს თავზე მიჯნურებად მწოლი ნისლები,
სამშობლოვ ჩემო, გადაფრენა მხიბლავს წეროთა
შენ გულზე მდნარი გაზაფხული, მკერდზე ნისლები,
მიყვარხარ! ამბავს მოგიტანენ ჩრდილნი ჩეროთა,
თავდავიწყებით შემოგევლე, თავდავიწყებით...

სიკვდილის წინათ

მე მეფიქრება სიკვდილის წინათ,
დამდგარი წუთი,თვალთა ბინდები,
ისევ ჩემებურ სიზმრებით მძინავს,
ისევ დავდივარ, იმ გარინდებით,

დამაქვს სხეული,სხვისი ნივთივით,
ხანდახან, მზისაც არ მწამს მზეობა,
პირჯვრის საწერი სამი თითივით,
მომაგონდება სამი ხეობა,

მომაგონდება სიკვდილის ღამეს,
არაგვის ჩქამი, მათურის ძირას,
იქამდე რეტი– კურატი შავი,
დინჯად მდინარი უფსკრულის პირას,

მერე ხმელგორი, ლაშარის ჯვარი,
ფლოქვების ცემა თეთრი ოირღის,
ფშავლის ბიჭები, ჩოქებზე მდგარი ქართველს,
სწყალობდეს წმინდა გიორგი!

ქართველს სწყალობდეს წმინდა გიორგი!
(იმათ ძახილი,იმათ ღრეობა)
გარმონს ჩაკრული, თითები ქალის,
მერე ეს ჩემი ილტოს ხეობა,
და პაპის სახლი ბექობზე მდგარი...

მომელანდება პანკისის მთებიც,
იმათ გოროზი შუბლების ცქერა,
საჯიხვეები, სპეროზას მკერდი,
საქისტოს თავზე გაშლილი ძერა,

...ბოლოს პატარა ჩემი სოფელი,
პატარძალივით მორთული უფლის,
წინაპრის ციხე,სვეტიცხოველი,
და ქადა-სანთლით მოყრილი მუხლი,

და სიხარული,და მწუხარება,
ყოველი ჩემგან გასული დღენი,
დედის თვალები და მდუმარება
ტირილი მკვდრის და სიამე ლხენის,

დანარჩენ ფიქრებს ჩემთვის ვიტოვებ,
ის სხვა ფიქრია,ფიქრი უბელო,
აბა ლხენაზე ლექსებს ითხოვენ,
აბა ლხენაზე როგორ ვუწერო,

მაინც ჩემებურ სიზმრებით მძინავს,
სამყაროს ბორგვა, ჩემში არ აღწევს,
დღეს ეს დავწერე, არავის მიმართ
ხვალე სხვას დავწერ! თუკი გადავრჩი...

*

ხეები – შიშველი, მეჩხერი, მდინარე –სუსტი და უძალო,
მე გიცნობ, ამ მთებზე შეფენილის, მარტოზე, მარტო ვარ უფალო!

ცის სხვენზე, აენთნენ ნებ-ნება, იმედის, პატარა ნაღმები, გათენდეს!
აღარც რო თენდება, ვწერ,ვიწვი,ვქრები და ვთავდები...

მარტოდენ შენ იცი, ეს მზერა, საფეთქლებს, ლოდინი აცხელებს,
დღეებიც ხალხივით მეცლება, არყოფნის ცრემლები მასველებს

(გათენდეს! აღარც რო თენდება, უმთვარო ღამეებს ვათენებ...)

*

მარტოობა

ტირიან ზამთრის ქარები,
ღამ-ღამით,,დალას " ამბობენ,
ცხრაპირ ნაწნავებს იშლიან,
იჭრიან, გულზე მაწყობენ,
გადაღმა მთანი იცდიან,
სხედან, თეთრონი დევები,
ღონემიხდილი ყინვისგან
მიჩუმებულან ხევები,
ვზივარ, მიმქრალი კერიდან,
დარდის ნაღვერდალს ვაღვივებ,
მოლოდინივით გაწელილ,
ზამთრის ღამეებს ვაღვიძებ,
ფხიზლობენ, ჯერაც არ სძინავთ,
ჩემი ოცნების არწივებს,
სხვაგვარ სიცოცხლეს უცდიან,
სხვარიგს უცდიან აპრილებს...
....და ნანასავით ჩამესმის,
გორით ყმუილი მგლებისა,
იმათი დარდის ამოთქმა,
იმათ შაწყობა ხმებისა,
სძინავთ ქისტების აულებს,
მიჯრით, ღამეულ ძილითა,
თენდება ჩუმი ხმაურით,
სადღაც მამალი ყივისა,
და ნანასავით ჩამესმის...
ქარები,,დალას" ამბობენ,
ცხრაპირ ნაწნავებს იშლიან,
იჭრიან, გულზე მაწყობენ.

* * *

შენ არ გინახავს ის ქვის ტაძარი,
არ დამხობილხარ პირქვე ლოდებთან,
შენ არ გინახავს მთვარე გამტყდარი ალაზნის
თავზე როგორ ცოცხლდება... შენ არ გიგრძვნია
ტყეთა ჩურჩული, არ დაგიგდია ყური გამთბარი,
არ გაგპარვია მზერა ქურდული,
არ გიწამია ყველა ზღაპარი,
შენ არ ჩაგღვრია თითებში სუნთქვა, არ
გილოცნია რქაწითლის ზვრებზე, არა,
არ იცი, მზის არწივები
როგორ ყივიან პანკისის მთებზე... როგორ
ეხვევა ნისლი აშლილი, ყელზე მძივებად ბებერ
გომეწარს, როგორა მღერის ქარის აჩრდილი
ცაზე რომ ღრუბლებს მილეწ-მოლეწავს, არც
ქადა-სანთლით მდგარხარ ჩოქებზე, არც
ფეხშიშველას გივლია მდელო,
მოხვალ უტიფრად, მეტყვი არ ვიცი,
რა გაგიხდაო ეს საქართველო,
რომ სადაც ჰპოვებ სულის სიამეს,

იქა ყოფილა შენი ალაგი,
რომ ტყუის თურმე ყველა სიმაგრე, არ
უბრძოლია შენთვის არავის, რომ დაივიწყე
დედის ზრაპრები, რომ გაგიტაცა სხვათა
მონებამ, რომ საცა უკრავს სხვისა ნაღარა
იქა ყოფილა შენი ცხონება,
...და არ გინახავს მაინც ის მთვარე დაგინახია
და არ გინახავს,
რომ შენთვის მკვდარის ძვლებზე დადიხარ
და იმის ხსოვნას აღარ ინახავ!

* * *

მე ვიცი, ეს დღე არ არის შორი,
როცა ამ ბილიკს ავივლი, უხლებს,
იჯდება მთვრე,ორ სოფელს შორის,
გამოელევათ ძალ-ღონე მუხლებს,

მომეახლები სიცოცხლის ბოლოს,
სიკვდილის შემდეგ-როგორც იტყვიან,
კავკასიონი ინახავს მხოლოდ სათქმელს,
რომელიც ჯერ არ მითქვია...

შენ მოხვალ ჩემთან სიკვდილის მერე,
მკრთალი ხელებით, მომბან ნატყვიარს,
აიშლებიან ღრუბლები სერზე,
და გულზე, ცრემლებს გადმომაყრიან,

დამიღირდება, ვიცი ეს წასვლა
თუ გზა შენამდე, გახდება სწორი,
შეჰყმუვლებს სადმე, ტოტიაც ალბათ,
მთვარეს, ცის თაღზე,
ჩვენს სოფლებს შორის.

*

თვალებს ნაგუბარი წვეთი ჩამოსცდება,
სული შეიძლება, ცრემლში ეტეოდეს,
აი ცათა სხვენზე, მზე რომ გამოჩნდება,
კრძალვით ჩავიუბნებ-ხატ-ღმერთ გვეწეოდეს!
სანთლებს შავციცინებ, ლოდზე მინატირებს,
კენტად ვანაწილებ ქადის ნაოთხალებს,
გეტყვი-სამშობლოდან როცა გამაცილებ,
ჩემთვის, გაღმა გორზე მიწა ამოთხარონ...
მაინც ძნელი არი ეხლა საუბარი,
თვალი, ძერას გასდევს, ცაზე მოტრიალეს, ღმერთო!
სამშობლოზე დარდი ნაგუბარი, სულში დავიტიე,
ისე მოგიტანე, სხვაიც ამოსულა, შენი მომლოცველი,

საკლავ შაუწირე, მკლავი გაუმაგრე,
და თუ წარმართი ვარ, შენგან მომეთხოვოს,
როგორც ღირსი ვიყო – ისე შემინანე,
...თვალებს ნაგუბარი წვეთი ჩამოსცდება,
სული შეიძლება, ცრემლში ეტეოდეს,
ჯვრიან ლოდებს შორის, მზე რომ გამოჩნდება,
კრძალვით ჩავიუბნებ ხატ-ღმერთ გვეწეოდეს!

სატრფიალო

შენ ვერც რუსული ჩაგაცვეს,
ვერც თათრული და სპარსული,
ვახმე, რარიგად გიხდება,
გაშლილ ბეჭებზე ქართული
გადაშოლტილი შავჩოხა,
ხელი, ხანჯარზე გაკრული,
აი ის მამკლავს, თუ მამკლავს-
მზერა თოფივით დაკრული,
ან ჩაღიმება-ცერულა,
სიკვდილისფერი, მზაკვრული,
შენ დედამა თქოს ქალობა,
წამღებო ჩემი თვალ-გულის,

შენ ვერც რუსული ჩაგაცვეს,
ვერც თათრული და სპარსული,
ჩაიმღეროდი „ღამევო"
ტიროდა ჭერმის ფანდური,
წარბებს შაჰყრიდი ქორებულ,
შუბლი გშვენოდა შაკრული,
სისხლისგან იბურცებოდა,
ძარღვი მაგ შუბლზე დაკრული,
შენ ვერც რუსული ჩაგაცვეს,
ვერც თათრული და სპარსული,
ვახმე, რარიგად გიხდება
გაშლილ ბეჭებზე ქართული.

ნასახლარების სევდა

თოვლსა სთოვს, საღამოს ბინდია, მოჰგვანან ნიკალას ნახატებს,
მთვარის ქვეშ– ნიშა და მინდია, წარმართი ხარები სახატე,

მთის ზურგზე, ღრუბლები მიდიან, ანათებს, ძლივს მბოლავ ჩარდახებს,
მთვარე და სოფელი მშვიდია, ვითომ და არც არა ადარდებს.

ცეცხლისპირ მე და მე ვბაასობთ, ტკაცუნობს, გამხმარი წიფელი,
თოვლსა სთოვს, და ასე ტაატით, სახეზე მადნება ფიფქები...

(არ მახსოვს, არც დღე და საათი, არც ისა, საკუთრივ რა მტკივა,)
თავდახრით გიზივართ, ჭირიმე! ვტირივარ, სათქვენო სატკივარს,

თქვენს პარტახ ქვითკირებს ვიტირებ, უკაცო ყანას და სათიბავს,

(გიჟია მავანი იფიქრებს, ქვა-ღორღზე ღელვაში რა ყრია,)

მე ვლანდავ, დაჩეხილ ცხვირ-პირებს, და მაინც ჯიუტად მატირებს,
ღელვა, რომ ამისთვის იბრძოდნენ, ღელვა, რომ ამისთვის გაწირეს...

არ მახსოვს, არც დღე და საათი, არც ისა, საკუთრივ რა მტკივა,
თავდახრით გიზივართ ჭირიმე! ვტირივარ, მაგ ქვათა სატკივარს,

გაშენებთ, ფიქრებში გაშენებთ, თოვლსა სთოვს, ცა ისე მშვიდია,
მოჰგვანან, წარმართულ ღვთაებებს, მთვარის ქვეშ, ნიშა და მინდია.

(სხვა მეტი არა თუ აღელვებს, მავანნი იტყვიან გიჟია...)

მოხუცო

დრო ყველას თავის გზით წაგიყვნთ თავისი სიცოცხლის ბილიკით,
მოხუცმა გვითხრა და გავიდა დავიწყეთ ნათქვამზე ქილიკი,
ღმერთმანი, არც ბევრი გასულა, საით მე, ან საით ისინი,
ვზივარ და სიმწრისგან მორეულ ცრემლებით, მოხუცო,გიცინი!

შენ ასე უნდა გიწერდე...

დარდიც რო დარდით დავღალე, წაუსვლელობით-წავალ,
თვალები ყორღანებია, მკვდარი სიზმრები წვანან,

ცოცხალს,სიცოცხლე მწყურია! გზა ვერ ვუყელე ვარამს,
დღეები, როგორც აროდეს, უბელ თეთრონებს ჰგვანან,

თავში, მხედრულის მხედრები, ისევ პირაღმა დიან,
რო ვეღარც ჩემს თავს ვედრები, ნაცნობი-უცხო მქვიან,

შენა გცნობ –აი ჩემმა მზემ! მინდიასავით მესმის,
შენი ტყეების შრიალის, შენი ხევების ფეთქვის,

დევებივით რომ ჩამსხდარან, მხარბეჭმიყრდნობით მთები,
იმათი ცქერა მახელებს, იმათ გულისთვის ვკვდები,

შენს ბედობაზე ვატირებ, ხატისკარ– თაფლის სანთლებს,
ისევ შენ გამინაპირებ, ისეც დალეულს– დამლევ,

რომ დღენი უბელ იორღებს, როგორც აროდეს გვანან,
რომ თვალთა სამარხეებში, მთვლემარ სიზმრები წვანან,

რომ უნაპირო ფიქრები, არასოდეს არ წავლენ,
რომ ასე უნდა გიწერდე და სიკვდილამდე

ზურაბ ზოიძე – ინჟინერ-მექანიკოსი;
დაბადების ადგილი – შუახევის რაიონი, სოფ. ბრილი.

"უცხოს" ხიბლი

კაცის გული ასეთია, –
მეტად ვეტრფით უცხოს, შორეთს,
სხვისი ხიბლი გვითესია,
სხვას ვუწონებთ მიეთ – მოეთს.

არ ვთაკილობთ უცხოს ქებას,
უცხო ხილი გვირჩევნია...
ოღონდ უცხო ხეზე ებას,
დამპალიც არ გვირჩევია.

ჩვენი ჩანგი გვიძრახია,
სხვის დაკრულზე გვიბუქნია...
უცხო სიტყვა გვიძახია,
ქართულ სულში გვიფურთხია.

რაც ღმერთს კარგი უმადლია,
"საუცხოოდ" გვინათლია,
მე უძველესს რა მაკლია, –
უცხოსი რომ მინატრია?!

ვის მივბაძო, რომელ უცხოს
და მათგან რა გადმოვიღო? –
ვინც ფაშისტებს აკვანს ურწობს,
სად "ბართლომეს ღამე" იყო?!

სულს მიწამლავს სხვისი წესი,
სხვისი ბილწი სივაგლახე,
ჩემისთანა უწმინდესი
ქვეყანაზე ვერვინ ვნახე.

ამისთანა ცა და მიწა
უფლის მადლის ჩქრიალია...
ჩვენმა "ოქრომ" დაიმიწა,
სხვისი "ბამბის" ჩხრიალია!

მრავალ გაზაფხულს!!..

მირკანის ქარი, ვნებააშლილი,
შემოასკდება მთებს და ქარაფებს...
და გაზაფხული, მინდვრად გაშლილი,
ეშხით გააღებს გულის დარაბებს.

სიცოცხლე ისევ აფეთქებულა
და მოხატულა ნაირფერებად...
თითქოს მზეც ახლად დაბადებულა,
მწველი ღიმილით რომ გვეფერება.

გაღვიძებულა კვირტი, მძინარე
და ყვავილებსაც ითოვებს მალე...
ადიდებულა ხევში მდინარე
და ხმაურს მიაქვს – იქ, არემარე.

კლდის გულზე მოსჩქეფს წყარო, ანკარა,
ისმის ჩქრიალი,ჰანგების დარად...
ეს სილამაზე – მარტო, რად კმარა,
რომ სიცოცხლეზე ვილოცო მარად!

ეალერსება ჩიტი განთიადს,
რა გალობაა, – ტკბილი, ზღაპრული!..
სულში განცხრომის ცეცხლი ანთია
და ტრფობის ალი ამ გაზაფხულის.

ატმის ყვავილი – სულსაც აფეთქებს,
სურნელს მოაფრქვევს ვნებააყრილი,
სისხლი რომ ჩქეფს და ძარღვებს ახეთქებს,

ასე „მდულარე“ – მიყვარს აპრილი!

სიცოცხლის ჟინს რომ ასდის ალმური, –
შევხარი ვარდს და ედელვაისებს,
დედოფლის გვირგვინს დაწნავს “ამური...”
რომანტიკულებს – ვეტრფი მაისებს!

რა სილამაზე ჩაღვრილა გულში!! –
ამ პანორამამ მომწყვიტა თვალი...
გაზაფხულს ვლოცავ, ამ ჩემს მამულში, –
მე გაზაფხულის სურნელით მთვრალი.

რამჭირსმესხვაზესავედრებელი?!..

ღმერთო, ნუ მიწყენ, ვფიქრობ მძინარეც, –
ხომ არ გაღმერთდა ქვეყნად სატანა?! –
ამდენი სისხლი, ცრემლის მდინარე...
ცოდვის ტირილის მიჭირს ატანა.

ზეცას, კამკამას, თალხი სწევია,
კაცობრიობის გონს აღარ უჭრის,
დასახმარებლად სიკვდილს სწვევიან,
როცა სიცოცხლეს დღეს ასე უჭირს.

გაუხლეჩიათ ორად პლანეტა,
მარათონია ზალპის – საზარი,
გადააქციეს გრძედი განედად,
მთელ დედამიწას დასცეს თავზარი.

არაფერი სწამს დღეს ადამიანს, –
ჰაერში სუნი ტრიალებს დენთის,
მეც ეს ტალღები თუ გადამიარს,
რაღა აზრი აქვს იმ ყოფნას ჩემთვის?!

ვინ ვიპატრონო ამ გასაჭირში, –
ვერ გავუმეტე ჩემს თავს უფლება,
რომ არ მოვექცე გავლენის ჩრდილში,
რომ არ წამართვას თავისუფლება?!

როცა სიძველეც ბევრს ამბობს ჩემზე,
ვისი კულტურის გავხდე ზიარი? –
არა, არ ავალ არავის გემზე,
თუ ჩემს ადათ – წესს ელის ზიანი.

ისემც ბევრი მაქვს სადარდებელი, –
კარი მიჯახა ერთმა, მეორემ...
რა მჭირს მე სხვაზე სავედრებელი,
ეხ, ბედისწერას რა ვუთხარ, თორემ!!.

რამჭირს მეს ხვაზე სავედრებელი?!..

ღმერთო, ნუ მიწყენ, ვფიქრობ მძინარეც, –
ხომ არ გაღმერთდა ქვეყნად სატანა?! –
ამდენი სისხლი, ცრემლის მდინარე...
ცოდვის ტირილის მიჭირს ატანა.

ზეცას, კამკამას, თალხი სწევია,
კაცობრიობის გონს აღარ უჭრის,
დასახმარებლად სიკვდილს სწვევიან,
როცა სიცოცხლეს დღეს ასე უჭირს.

გაუხლეჩიათ ორად პლანეტა,
მარათონია ზალპის – საზარი,
გადააქციეს გრძედი განედად,
მთელ დედამიწას დასცეს თავზარი.

არაფერი სწამს დღეს ადამიანს, –
ჰაერში სუნი ტრიალებს დენთის,
მეც ეს ტალღები თუ გადამიარს,
რაღა აზრი აქვს იმ ყოფნას ჩემთვის?!

ვინ ვიპატრონო ამ გასაჭირში, –
ვერ გავუმეტე ჩემს თავს უფლება,
რომ არ მოვექცე გავლენის ჩრდილში,
რომ არ წამართვას თავისუფლება?!

როცა სიძველეც ბევრს ამბობს ჩემზე,
ვისი კულტურის გავხდე ზიარი? –
არა, არ ავალ არავის გემზე,
თუ ჩემს ადათ – წესს ელის ზიანი.

ისემც ბევრი მაქვს სადარდებელი, –
კარი მიჯახა ერთმა, მეორემ...
რა მჭირს მე სხვაზე სავედრებელი,
ეხ, ბედისწერას რა ვუთხარ, თორემ!!.

რა მჭირს მე სხვაზე სავედრებელი?!..

ღმერთო, ნუ მიწყენ, ვფიქრობ მძინარეც, –
ხომ არ გაღმერთდა ქვეყნად სატანა?! –
ამდენი სისხლი, ცრემლის მდინარე...
ცოდვის ტირილის მიჭირს ატანა.

ზეცას, კამკამას, თალხი სწევია,
კაცობრიობის გონს აღარ უჭრის,
დასახმარებლად სიკვდილს სწვევიან,
როცა სიცოცხლეს დღეს ასე უჭირს.

გაუხლეჩიათ ორად პლანეტა,
მარათონია ზალპის – საზარი,
გადააქციეს გრძედი განედად,
მთელ დედამიწას დასცეს თავზარი.

არაფერი სწამს დღეს ადამიანს, –
ჰაერში სუნი ტრიალებს დენთის,
მეც ეს ტალღები თუ გადამიარს,
რაღა აზრი აქვს იმ ყოფნას ჩემთვის?!

ვინ ვიპატრონო ამ გასაჭირში, –
ვერ გავუმეტე ჩემს თავს უფლება,
რომ არ მოვექცე გავლენის ჩრდილში,
რომ არ წამართვას თავისუფლება?!

როცა სიძველეც ბევრს ამბობს ჩემზე,
ვისი კულტურის გავხდე ზიარი? –
არა, არ ავალ არავის გემზე,
თუ ჩემს ადათ – წესს ელის ზიანი.

ისემც ბევრი მაქვს სადარდებელი, –
კარი მიჯახა ერთმა, მეორემ...
რა მჭირს მე სხვაზე სავედრებელი,
ეხ, ბედისწერას რა ვუთხარ, თორემ!!.

სამშობლო გვეცლება!!.

სამშობლო გვეცლება – ქალებით, ვაჟებით,
სამშობლო გვეცლება ერთგული შვილებით...
სამშობლო მრავლდება ჩალმით და ჩადრებით,
სამშობლო მრავლდება უცხოთა ვილებით.

რა გვჭირდა ქართველებს, ჩვენ, სხვაზე სახვეწი,
სხვა ქვეყნის მიწაზე მონად რომ ვირჯებით?!.
სადა გვყავს შვილები, ჩვენ, – გადასახვეწი,
როცა ჩვენს ქვეყანას აქ უფრო ვჭირდებით?!

ვინც დარჩა, – გაგვხლიჩეს, ერთმანეთს გაგვყარეს,
საომრად გვიქციეს ეს წუთისოფელი...
მეტოქეს ვახარებთ, ძირს ვუთხრით მოყვარეს,
ტვინს გვირეკს სატანა, – თუ მეფისტოფელი.

რად მინდა,სამშობლო – მე, უქართველებოდ,
აქ როცა უცხოთა ვამრავლეთ ჯეჯილი?..
ზღვა სისხლით მორწყულო მთებო და ველებო,
თქვენს მკერდზე დავდივარ – სინდისით ქენჯნილი.

რად მინდა, სამშობლო – მე, უქართველებო?! –
ჩემს მიწას იზომავს თურქი და არაბი...
რა გითხრათ პასუხად – თქვენ, არაგველებო,
ზვარაკნო დიდგორის, თუ გმირნო მარაბდის?!

სამშობლოს სხეულზე სულს ვბერავ იარებს,
სხვა ჯური მზაკვრულად უძვრება უბეში...
მტრებმა რომ დაგვგლიჯეს და გადაგვიარეს, –
ის მტერი "ჯეჯილობს" აქ, თავის უბნებში.

ქართველი ვაჟკაცნი – დავითის გორისა,
ქართველი ქალები – თამარის მშვენებით,
სამშობლოს სვე-ბედმა რომ დააშორისა,
უცხოში გართულან მოვლით და შენებით.

შენც ყვავილობ...

შენც ყვავილობ, როგორც ლურჯი
აპრილია,
სურნელება მოგსდებია
ყოჩივარდის...
ჩემი ფიქრი მთებზე ჯანღად
აყრილია, –
რომ კაპრიზიც დაგყოლია შლეგი
მარტის.

ეშხიანობ, ვით მაისის
ფურისულა,
შროშანებიც დალალებად
მხრებზე გაზის...
თუმცა ჩემთვის ეგ თვალები
მონისლულა,
სულში მაინც ნადიმია
ცხრათვალა მზის.

მოგსდებია გაზაფხულის
მჩქეფარება,
თითქოს შენში დედოფლობენ
ჰიქინთები...
როცა გული შენს სიყვარულს
ეფერება,
ისე გნატრობ, – დაისივით
ვიბინდები.

მზით დავქარგავ ამ დარდების
სანაპიროს...
და გავისვრი შენი გულის საჭერ
ბადეს...
სხვას, უკეთესს, რას ვიპოვი
სანადიროს,
სანამ შენი სურვილი და ჟინი
მკლავდეს?!

მეც მტკივა თქვენი ყველა იარა!..

შენს ცაზე გორავს შავი ღრუბელი, –
ღმერთის მორკინალს ვხედავ სატანას...
ცუდი ზრახვების გრგვინავს მსურველი,
ცოდვის ტირილის ვერ ვძლევ ატანას.

არ დარჩენილა ერთი მისხალიც, –
მეც მტკივა თქვენი ყველა იარა,
ჩემს გულსაც მოხვდა ეგ ქარიშხალი, –
თქვენ რომ ვაებად გადაგიარათ.

მეც მიგემია ეგ რისხვა,ჭირი,
მაგრამ მე უფრო დავრჩი ჯაბანი, –
მიმომილეწეს სხეული მწირი,
წამართვეს მიწა მამა – პაპანის..

მაგრამ მამხნევებს ჩემი წარსული,
გმირულ ბრძოლებით გალაჯებული...
ბევრჯერ დავეცი იმედწასული,
მაინც წამოვდექ,გამარჯვებული!..

ვინც იწოდება ოდესმე კერპად, –
ყველა დაემხო,აღგავა მიწამ...
ახლა ის დროა,რომ დავდგეთ ერთად, –
ბომონებისგან თავს დღესაც ვიცავთ!..

რა ვერაგობა...რა დღე გაყარეს,
მაგრამ გმირობა თქვენი მსმენია, –
ყველას აოცებს, – მტერს თუ მოყვარეს,
უკრაინელი ხალხის გენია!..

ეს სისასტიკე და უღმერთობა
უფრო გამტკიცებთ, უფრო გამაგრებთ, –
ბოლო ეღება მტრის უკეთობას,
მათ ეს ცოდვები დაასამარებთ!

დებო და ძმებო, ქართველი ხალხის, –
თქვენი თილისმა არის სიმართლე...
ღმერთმა გაკმაროთ გლოვა და თალხი
და გაემარჯვოს ბნელზე სინათლეს!!..

ვის უნდა ვკითხო?!...

ვის უნდა ვკითხო, (,ვის დავემონო),
ვინ დამიშალოს კულტი მამულის...
ბეწვზე კიდული,მკვდრეთით აღმდგარის,
სისხლით და ცრემლით გადანამულის.

ვის უნდა ვკითხო მე ჩემს მიწაზე
სადამდე ვშალო ჩემი "საბანი",
ვინ დამიშალოს დავიცვა ჯვარი,
ჩემი ენა და ჩემი ანბანი

ვინ დამიშალოს ჩემი წინაპრის
რაინდული და ამაყი სული,
ჩვენი გმირების სახელთ დიდება
შარავანდედით ცამდე ასული.

ვინ შემაჯიბროს უძველესობით
ერის კულტურა და ისტორია,
"ოქროს საწმისი" – ჩვენი ზეობის
და ძლიერების მძლე დასტურია!

ვინ შემეჯიბროს,სხვაგან ვინ არის
რუსთველის გენის ძუძუნაწოვი,
ერთიც მეყოფა,სხვა რომ არა ვთქვა-
ყველა "სიმაღლის" ერთად ამწონი.

ვინ შემედავოს,ვისი რა მმართებს,
პატიოსნების გზებით მივლია...
ისიც მაბოდებს,რაც კი წამართვეს
და ახლის კიდევ დიდი "ხიბლი" აქვთ.

ვინ მიფათუროს ბნელი ხელები
ჩემი სინდისის სუფთა აკვანში, –
ქალის და კაცის მცნების აღრევა
და სატანური სხივთა მარმაში.

ვინ შემილახოს ღირებულება
ჩემი წესის და ტრადიციების,
მე ჩემი მიყვარს ღმერთისმიერი
და ვარ ამაყი ამბიციების.

არ დავივიწყოთ ბრძნული ანდერძი,
რასაც გვმოძღვრავდნენ "ქართლის დედანნი",
რომ საფლავიდან რისხვად არ გვეცნენ
ჩვენი გმირნი და ჩვენი წმინდანნი!

ჩემს მასწავლებლებს!..

გადაუღლია ნოსტალგიას ჩემი ფიქრები,
მე იმ ხანაში დაბრუნება მინდა მარადჟამს...
მე იმ წარსულის მოტრფიალე მუდამ ვიქნები,
მასზე უტკბესი ცხოვრებაში სხვა რამ არა მწამს.

ის სანატრელი ოქროს წლები, – ოქროს აკვანი,
ჩემი კლასი და მეგობრები დაუვიწყარი...
ჩემს მასწავლებლებს ჩემი ტაში,ჩემი თაყვანი! –
მე მათ სიყვარულს სულ ვატარებ გულის ფიცარით.

თქვენი მზე დღესაც მეფერება,ისევ კაშკაშა,
ცოდნის ლამპარით გული ჩემი ისევ ანთია,
მე ამ სინათლით გავიკაფე გზები...აშკარად
და თქვენზე ლოცვით ვეგებები ყოველ განთიადს.

რა დამავიწყებს პირველ კლასის პირველ გაკვეთილს,
ჩემი პირველი მასწავლებლის პირველ მოძღვრებას...
მივეფერები მის ხატებას, – სულგრძელს,გულკეთილს,
ჩემი პირველი სამადლობოც მას მიეძღვნება!..

ყველგან თან მახლავს თქვენი სიბრძნე,
თქვენი ალერსი,
მე, თქვენი დიდი სისპეტაკე დამსდევს ზრდილობად,
თქვენი სიმართლე დაუდგება ხმალსაც, ალესილს,
თქვენი სახელი უკვდავებას მოსავს გმირობად!..

საგნებთან ერთად, –
თქვენ შრომაც და ბრძოლაც გვასწავლეთ
და სიყვარული ჩაგვინერგეთ დედულ – მამულის...
ეს სიყვარული სხვა განძებში ჩვენ არ გავცვალეთ,
ამ გრძნობაზე გვაქვს გულის სიმი მუდამ გაბმული.

სანამ ჩვენს დღეებს მზის სხივები ფურცლავენ ჯერაც,
მადლით იბრწყინებს მზისქვეშეთში თქვენი ამაგი,
მარად დამრჩება მოგონებად ის ცოდნის კერა, –
ჩემი ცხოვრების სანუკვარი სულის ალაგი.

თქვენმა ნაღვაწმა, თქვენმა შრომამ სულ ინაყოფა, –
მამულს უზარდეთ ერთგული და ღირსი თაობა...
მეამაყებით!...ღვთის კურთხევით მარად გამყოფათ!..
თქვენს თავდადებას,თქვენს გმირობას – დიდი მადლობა!!..

ამ მიწა – წყალს, ზურმუხტოვანს,
მტერი ბლომად "მოუხმია",
მაგრამ მუმლი მიწყვეტია
და მუხა არ გამიხმია.

ყველა ჭირი წარსულს გაჰყვა,
რუსი ვეღარ მიშორია,
ვეძებმშველელს კეთილს,სანდოს,
მაგრამ ვერსად მიშოვია..

დაპყრობა და აგრესია! –
იმათ გენში სხვა რა ჰყრია?! –
"ვუისაც" – კი შევეყრები,
ამ დიდ "ვაის" – თუ გამყრიან.

"ჩემი თავი მე მეყუდნოს!" –
ჩემი დიდი მიზანია,
სხვარამექნა,ჭირ–კერძქცეულს?–
"ბილწთ" შევკრივარ, მიზავია...

ღმერთო! ღმერთო! შემიბრალე,
შენ მიშველო იქნებ, ვინძლო, –
სანამ ვუძლო "ბიძია სემს",
რუსის რისხვას სანამ ვუძლო?!

სამშობლოს!..

ვერ ვუძლებ,სამშობლოს – გახლეჩილს შუაზე,
ვერ ვიტან შაგრენის მოჭერილ მარწუხებს,
არ მინდა, ვერ ვივლი სულ სხვების ჭკუაზე,
ყოველ წუთს, ყოველ წამს ეს დარდი მაწუხებს!..

ჩვენ, ვაჟკაცობის დიდი გვაქვს წარსული,
იმ დიდი წინაპრის ვიარეთ ანდერძით, –
ენა და ხატები სულ გვქონდა დაცული,
ბრძოლებშიც სამშობლოს ზვარაკად დავეცით.

ახლა კი – დავშლილვართ და ვეღარ ვბევრდებით,
დუშმანსაც ეს უნდა – დავეცეთ სისუსტით...
ალგეთის ლეკვები თანდათან ვბერდებით,
არ ვიცით, საშველად რასა და ვის ვუცდით?!..

ვერ ვითმენ, მტერი რომ პატრონობს ჩემს მიწას,
გულს მიკლავს უმწეო, არაფრის ლოდინი,
ბრაზით ვარ ავსილი,ჩემს თავს რომ ვერ ვიცავ,
სულ რომ ვარ უცხოთა საჯიჯგნი როდინი.

მაოცებს ძლიერ და გულს მიკლავს დარდები, –
სად გაქრა ქართული სისხლი და ფესვები,
სად არის ის ჯიში, ბრძენებს რომ ვბადებდით,
სადღაა ილია, აკაკი...და სხვები?!..

სადაა დავითი...გიორგი...თამარი,
მათ ფეხქვეშ მიწას რომ გაჰქონდა ზანზარი...
ის გული, ის სული ქართული, სად არი,
მომხდურს რომ დაეცეს რისხვა და თავზარი?!..

ვემთხვევი საფლავებს, ქართველთა წმინდანთა,
გელათის ტაძარში და სვეტიცხოველში...
მძიმე ჟამს – ვინც სიბრძნით და ბრძოლით იტანდა,
მხსნელებს და მეოხებს დავეძებ ყოველში.

იქ "ცხელ გულს" ქართველთა – ვაწვნიეთ ტკივილი, –
რომ არ აქვს საზღვარი ჩვენს დაშლას, დაყოფას...
არ გვესმის ამ მიწის, ამ სისხლის ყივილი,
ყოველ დღე ჩხუბში და ღალატში ნამყოფარს.

რა ვუთხარ ქართველ ერს, გახლეჩილს შუაზე,
ერთად რომ არ ებრძვის "მძლეების" მარწუხებს,
არ მინდა ცხოვრება სულ სხვების ჭკუაზე,
ყოველ დღე ცისმარე – ეს დარდი მაწუხებს!..

მე, უძველესს!..

მე უძველესს ვინ მეჯიბროს,
ვინ მაკვირვოს ისტორია?!.
მათი ლანდიც არსად იყო,
როცა ჰქუხდა იბერია.

მე ეტრატზე ანბანს ვწერდი,
ციხე – კოშკი ამიგია,
ფარნავაზის ძლიერებით
ხოტბა დღესაც მომიმკია.

სელს ვქსოვდი და რკინას ვჭედდი,
საწმისს ვფლობდი ოქროსთმიანს,
შორეული მომხდურები
მიჩეხია ხელში ხმლიანს

ვიბრძოდი და ვლოცულობდი,
არასოდეს მისვენია,
მე ღვთისმშობლის წილხვედრი ვარ,
უფლის კვართი მისვენია.

სისხლითა და სატევარით
მატიანე მიწერია,
ვინაც სამტროდ მომეკიდა,
რა შავი დღე მიწევია.

ხვარაზმელებს შევბმულვარ და
სელჩუკებიც "მიწალდია,"
ხან მონღოლი ვიგერიე,
ხან რომი და ბიზანტია

ხან არაბი მათათრებდა,
ხან "ოსმანა" – ხან "ალია",
ვაზი ჩეხა, ცეცხლით მშანთა,
ვერ გამტეხა, ვერ გამლია.

ვეძებოთ უფალი – მშველელი!..

ვერ ვიტან სამყაროს შეშლილს და უღმერთოს,
ღმერთს სად არ დავეძებ,მის ნახვას ვთხოულობ,
ხანდახან,ზოგ – ზოგან ვნახულობ "ნაკვალევს",
თვით უფალს, – ვეძებ და ვეღარსად ვპოულობ...

ქვეყანას არეულს,დაღლილს და და ლეულს
წარსულის მადლი და ღვთის ხელი ატყვია,
ახლა კი, – ვნატრულობ,სანთლებით დავეძებ,
ჩვენს მიერ განდევნილს,ცოდვებით "ნატყვიარს."

და გესლი ყოველმხრივ იფრქვევა უსირცხვოდ,
ეშმაკი ავსა და მოძულეს აქეზებს,
აღარ ჩანს სითბო და გულები ღვთიური,
ღმერთი და ღიმილი გამქრალა სახეზეც

და როცა არ ვკარგავთ იმედებს აისის
და როცა ქვეყანა ღვთის ძალას ლოდინობს, –
კვლავ შუღლის მდინარემ წალეკა ყოველი,
სადაც კი გახედავ, – ეშმაკი ბოგინობს.

ტყუილი მძვინვარებს და იპყრობს ასპარეზს,
ფიცით და მტკიცებით ირჯება სიმართლე,
ერთმანეთს ვხოცავთ და ვერ გაგვირკვევია, –
სად არის ბნელი და სად არის სინათლე.

აღმა ხნავს ზოგი და ფარცხავენ თავდაღმა,
ამ ორომტრიალის კვამლი და ბუღია,
ურემი ბრუნდება,გზა მაინც არა ჩანს,
"ხმა სიბრძნის" ამაზე ვის ამოუღია?!..

ბრძოლებით გართულან ბოტი და ტროლებიც,
ბოღმას, შხამს ანთხევენ დღისით და ღამითაც,
ვინუშლით,"სანგარში"ეშმაკთანჩამსხდარებს,
სულ დავიწყებიათ ღმერთიც და თემიდაც.

იქ,სადაც სინათლე, სითბო და პეწია,
სიყვარულს ამკობენ იებით,ვარდებით, –
სატანა ვერ მიდის ღმერთების საუფლოს,
ღმერთი რომ "აქ იყოს" – არ გადავგვარდებით.

და გავაცამტვერეთ რუსთველის პოემაც, –
მის ქვეყანაში რომ სიყვარულს დავეძებ?!..
დავეძებ დღეს ჭირის არ დამრიდ მოყვარეს,
რომ ვერ მომერიონ და რომ არ დავეცე.

დავეძებ აკაკის სიმების ერთობას,
სულხანის სიბრძნეს და ფშაველას გენიას,
ილიას სიმართლეს და მის გზას დავეძებ, –
ერის და ქვეყნისთვის რაც გადამრჩენია.

და სადაც ერთობას არ უდგას აკვანი,
ეშმაკი პატრონობს თავსაც და ბოლოსაც, –
წავიდეთ,ვეძებოთ უფალი მშველელი,
სად აღარ წამოვალ,ვიპოვოთ ოღონდაც!..

ეთერი გოგეშვილი-ისაკაძე – პედაგოგი;
დაბადების ადგილი: ლანჩხუთი – ნიგოითი;
საცხოვრებელი ადგილი - თბილისი.

მლეთა

შემომეფეთა ალპებში,
ულამაზესი ასული,
იქით ლომისა მოსჩანდა,
გადაგვეშალა წარსული!
ზღვა იყო – უკიდეგანო,
ჰყვაოდა ირგვლივ ყოილი,
ხევის შვილების მომრთველი,
ბარის არ იყო დობილი!
ვეროდეს წარმოვიდგენდი,
გავშრი, გავშეშდი წამიერ,
„არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს“,
მის დამწერს, მრავალჟამიერ!
სალი კლდეები მეფურად,
დგანან არწივის ბუდედა,
იქით გერგეთი მფარველობს,
ვერვინ გახედავს მრუდედა!
აქეთ, ლომისის სალოცავს,
აუუ, რა მადლი ჰქონია,
ამგვარი ძალის მოცემა,
მე არსად გამიგონია!
...გოგო ვიხილე წერწეტი,
კისერზე ჯაჭვი ეხვია,
ღვარად გადმოსდის ცრემლები,
თავადის ქალის სეხნია!
ზოგისთვის მძიმე საოცრად,
ზოგსაც გიშერი ებნია,
იწონებაო ცოდვები,
აქ არა სჭრიდა ხერხია!
რკინის ქალამნებს შევეხე,
ნეტავ რა ხელმა აკეთა,
დრომ ვერაფერი დააკლო,
დარჩა წარსულის სარკეთა!
...გახსენი პირი მიწისა,
იქ წვანან გმირი მამები,
ბორგავენ, ვერ ისვენებენ,
იქაც გვერდით აქვთ აბჯრები!
მათ გულზე ხარობს გვირილა,
ულამაზესი, სპეტაკი,
ვინაც ღალატი გაივლოს,
ეხუროს ქალის ლეჩაქი!
წმინდა მამები დღედაღამ,
დარიანში თუ ავდარში,
ახლოს არიან უფალთან,
ათენ – აღამებს საყდარში!
აი, რამ გადაგვარჩინა,
ვინ მოგვიყვანა აქამდის,
ხევის შვილები მტერს ხმალით,
ფეხით მისდევდა სახლამდის!
... ისმის გალობა მთის წვერზე,
ხან წვიმს, ხან მზე და ნისლია,
ამ საოცრების მხილველი,
გაგვხადოს ღმერთმა ღირსია!

სად არ მატარე ღმერთო

სად არ მატარე ღმერთო,
მიწის ქვევით თუ ცაში,
სალი კლდეები ვლაშქრეთ,
ყვავილებს ვკრეფდი ბარში...
მე მოვილოცე ტაო,
,,ოთხთას''ვისმინე წირვა,
სასომხეთს, საინგილოს,
ჩვენს წინაპართა გმინვა!
კაბადოკიას გახლდით,
რა საოცრება ვნახე?!
სუმელას წმინდა მამებს,
ჰქონდათ ღვთიური სახე!
სვიმონის სვეტი ქვაში,
დღესაც ლოცვით დგას იგი,
ხეობას დედა ვნახეთ,
არსებობს ბევრი მითი!
სვანეთმა სული შესძრა,
ასულს ვეძებდი შატილს,
რა დამავიწყებს მუცოს,
ზუგდიდს, ვლაქერნას სადილს!
წყალტუბოს ქვეშეთს ვიყავ,
მინდა ვათიო ღამე,
ბაგრატის შემდეგ ძმაო,
აბა, მითხარი რამე?!
კაცხის სვეტს ბერი იდგა,
ბერთას კალმახებს ვთვლიდი,
მე მოვილოცე გრემი,
ვარძია დიდზე დიდი!
კლდეთა ნაჟური წყალი,
დიდ ქვაკვეთურში ვნახე,
დავით გარეჯის კომპლექსს,
არ შეედრება რამე!
ხევი მაგიჟებს, მიყვარს,
გერგეთს დავადგი ფეხი,
ლომისამ გადამრია,
დამაწერინა ლექსი!
წმინდა მამების ქალა,
ქარელს, ქოზიფას ვნახე,
ბოდბეში ნინო დამხვდა,
მისი უმანკო სახე!...
სად არ მატარე ღმერთო,
ხელს მაშველებდი წამში,
რომ ვყოფილიყავ შენთან,
იმ საზიარო ჯამში!
ყველგან ღვთის მადლი დამხვდა,
ქვას – ქვაზე ცრემლით სდებდნენ,
წმინდა გიორგის ფრესკებს,
კაბადოკიას წერდნენ!
როგორც წარსულში, დღესაც
შურს და სიძულვილს სთესენ,
ოდითგან ასე იყო,
გვკლავდნენ, გვართმევდნენ,
გ ვ გ ლ ე ჯ დ ნ ე ნ!
სალოცავები დარჩა,
მოსაზღვრეების ხელში,
გვტკივა, ვლოცულობთ, ვიბრძვით,
მოჯადოებულ წრეში!
შენ დაგვიფარე ღმერთო,
დიდი ღვთისმშობლის კვართით,
კვლავაც დაიცავს ქურმუხს,
წმინდა გიორგი რაშით!

ვეფერები ჩემს გურიას!
გულს სიყვარულით გავუთბობ

ჩემს საქართველოს ამშვენებს,
ლამაზი მხარე გურია,
რომელ ჭიშკარსაც შეაღებ,
მზად აქვთ ყველი და პურია!
დღეს ვეფერები ჩემს კუთხეს,
თქვენი სიკეთე მწყურია,
აივსოს ეზო – შუკები,
შემომეგებოს მურია!
ჩვენ არ ვივიწყებთ წარსულს და,
აწმყოსაც არვის დავუთმობთ,
ყველაზე ნამდვილ ლანჩხუთლებს,
გულს სიყვარულით გავუთბობ!
„გადარეული'' გურული,
მფარველობს დღესაც გურიას,
მისი კაცური კაცობა,
ამშვენებს მთელსა დუნიას!
არ გვასვენებდა თურქი და,
გვაწიოკებდა ოსმალო,
გატაცებული ქალ-ვაჟნი...
დღესაც ტრიალებ ბორბალო!
,,თვალ – მარგალიტის სადარი,
სხვა საქართველო სად არის?!"
ყველა კუთხეა სამოთხე,
ყველა სოფელი ზღაპარი!
ლიხს იქით საქართველოა,
ოოო, საოცარი ფერები...
რომელ მხატვარმა მოხატა,
დაგკოცნი, მოგეფერები!
შენ, საქართველო არ იცი,
თუ არ გინახავს თვალითა,
უცხოელები გიჟდება,
დატყვევებული წამითა!...
სადა გვცალია ვიხილოთ,
ჩვენ, ჩვენი ქვეყნის ქედები,...
ჭამენ, კორტნიან, ლანძღავენ,
მსგავსი არ ვიცი, ვბერდები!
გვიქცევენ, ეკრანს მიჯაჭვულთ,
გვატეხენ თავზე მუზარადს,
მტერს კისერს მოუგრიხავდი,
დაამიწებდი მუხანათს!
შენი გაგიხდა მტერად და,
შენმა მოგგლიჯა კიდურნი,
დარჩა ლტოლვილი ქართველნი,
ქვეყანას გამოკიდულნი!...
ღმერთი აროდეს გასწირავს,
ერს, უხსოვარი დროისას,
მუხა ძლიერი ფესვებით,
უამრავ ფოთოლს მოისხამს!
ღვთისმშობლის წილხვედრ
რჩეულ ხალხს,
გაქრობა არ უწერია,
მართალ ილია მფარველობს,
დიდ შოთას აქ უმღერია!...
დღესაც ამშვენებს ლანჩხუთს და,
დღესაც დაიცავს გმირები,
კიდევაც დაიზრდებიან
ქვეყნის ერთგული შვილები!

ჰერეთის კარი

შემორჩენია ჟამთა სვლას აბრა
„ჰერეთის კარი“,
მაგრამ სადღაა ნეტა ჰერეთი?!
მიტაცებული მუსლიმთა მიერ,
მიწა იბერთა გაპოხებული
წინაპართ ძვლებით,
ირგვლივ – ოაზის
თვალწარმტაც მთებით!
კაკლის ხეივანს მიყვები უბრად,
არ არის სიტყვა უფრო ქართული,
რა ვუთხრა იმას, რა ვუთხრა იმას,
ვინაც არა ჰქმნა საქმე კაცური
და, დაუტოვა შთამომავლობას,
„ინგილოები“ ამოშანთული!
მამულიშვილნი ცრემლშეუშრობნი,
საქართველოსთვის ნაცემ-ნაგვემნი,
რომელი მცნებით შესცოდეს უფალს,
რად გაიწირნენ ნაღდი ქართველნი?!
... „არსაიდან ხმა, არსით ძახილი,
მშობელი შობილს არრას ეტყოდა“,
ნეტავ სად არის უნეტარესი,
ან ქართლის დედა
მტერს რომ ებრძოდა?!
თავჩაჩეჩქვილი ვნახე ქურმუხი,
ალაზნის ველი ბორგავს მდუმარედ,
თავს წამომდგარი ვეება ლოდი,
გაშტერებული, მდგომი მწუხარედ!
...დგას მოლოდინში დიდი ტაძარი,
გასცქერის მომსვლელს:
მტერს და მოყვარეს,
ვინ რუდუნებით აუნთებს სანთელს,
ვინ ამოჩიჩქნის კედლებს და კანდელს!
გაუფატრიათ, ამოუცლიათ
თუ სასიცოცხლო რაც რამ ებადა,
ამას ცხოველიც არ ჩაიდენდა,
ადამიანმა როგორ იკადრა?!
ვუვლით გარშემო, ვავედრებთ ჩვენს სულს,
ვგრძნობთ ანგელოზთა დასი გრიალებს,
რამდენს გაუძლო წმინდა გიორგიმ,
რამდენქარტეხილს,შტორმსდაგრიგალებს!
კვლავ ვანთებთ სანთელს უძველეს ქვაზე,
ჩვენს წინაპართა კვალი ატყვია,
ვტოვებ სალოცავს უსიერ ტყეში,
ტაძრის გუმბათზე მერცხლის ბარტყია!
გვიმზერს ტაძარი, გული მიკვდება,
ვტოვებ მრევლის და მამის გარეშე,
მივიხედე და ოო საოცრებავ, მთა მოეფარა
დროა დავეშვე!
...ჩვენ ყველას ვუღებთ გულს და უბის კარს,
რამდენი რჯული შეგვიფარია,
შენ დაიფარე საინგილოში,
ყველა ქართველი – მზეო მარიამ!

ნოსტალგია

ჩემი ბავშვობა და ჩემი სოფელი,
ქვეყნად სიცოცხლე ქუხდა,
კინო, თეატრი, წარმოდგენები,
რაც გინდა, რაიც გსურდა?!
სიმღერით კრაფდნენ ჩაის ფოთოლს,
სახლები სავსე იყო ხალხით,
მოკლე კაბებს ციური გვიკერავდა,
ზოგი დადიოდა თალხით!
იყო ზრდილობა და იყო მორიდება,
მოსწავლე იყო სახლში,

მასწავლებელს არ უნდა ენახე
ეზოდან გამოსული კარში!
სკოლაში იწრთობოდა ჩვენი ბავშვობა,
რაზმი ეწყობოდა მწყობრში,
ვმღეროდით,ვსწავლობდით,ვამხანაგობდით,
ვიყავით მეგობრულ რგოლში!
სპორტი?! ბაღდუ მასწავლებელს,
დავყავდით შეჯიბრზე ლანჩხუთს,
თანრიგი ახლაც მაქვს შენახული,
რაც გეტყვით იმ დროის დასტურს!
რომელი ერთი ჩამოგითვალოთ,
დრო იყო საოცრად კარგი,
ახლა იძახიან არ ვარგოდაო,
მოსპეს იმ დროის თარგი...
მივტირი იმ დროს, იმ ჩემს ბავშვობას,
რომელიც დარჩება ნაღდში,
ტვინში, გონებაში, მოგონებებში,
ვინ წავა საკრეფად ჩაში?
აღარც ივერი იძახის,
აღარც მანქანა მოდის,
გავერანებულ პლანტაციები
წვერით მისწვდება ოდიშს!...
სახლებიც დაბერდა, ზოგი ჩამოინგრა,
შემძრა დანახვამ მისმა,
სოფელი კი არა, ქვეყანა გაასწორა,
მიწასთან ცხოვრების რინგმა!
დრო მიდის, აღარც თავი მომწონს,
თმები დამიმშვენდა თეთრად,
ცხოვრება გრძელდება, ძმები ვაჟკაცობენ,
მამიკო დადის კენტად!...
ისევ ეზრდება ნიგოითს ჩვენი გვარის,
ანდრია, ირაკლი, დავითი, დემე,
ანასტასია დიდრონ ლამაზ თვალებს
როგორ აბრიალებს ვემე?!
ღმერთო გამითენე ქორწილი ჩემს ოჯახში,
მანახვე ტყუპები წყვილად,
გელა გაამრავლე, ეზო აამღერე,
ბავშვები ჩაამწკრივე რიგად!
სოფელს დაუბრუნე მისი სიდიადე,
აავსე შუკები ხალხით,
მოვლილ-დავარცხნილი პლანტაციები,
კოპწია ოდები ბაღჩით...
არვინ ისურვოს წასვლა უცხოეთს,
მიწას მოეფეროს თავის,
ღმერთი მოწყალეა
ჩვენსას გავუფრთხილდეთ,
არვის დავუთმოთ არვის!

ჩემი ლანჩხუთი

უჰ, როგორ მიყვარს ლანჩხუთი,
ჩემი ქალაქი პატარა,
იმ წლების სითბომ, სურნელმა,
მთელი ცხოვრება მატარა...
ვამაყობ დიდად ალაგით
სადაც ავიდგი ფეხია,
იყო შრომა და, კვლავ შრომა,
გული არ გაგვიტეხია...
ვსერავდი ქალაქის ქუჩებს,
გახარებული გულითა,
მოყვასს თვალებში ვუმზერდი,
გაბრწყინებული სულითა...
გავიდა წლები ნანატრი,
დაჰკრა ბუკმა და ნაღარამ,
დრომ ვერაფერი შეცვალა,
თმა დამიმშვენა ჭაღარამ...
დავმკვიდრდი დედაქალაქში,
აქაა ჩემი ოჯახი,
წარსულს ჩაბარდეს დარდი და
სულ სიხარული მყოფადში!

ახალი წელი გურიაში

ახალი წლის დილას
რა სჯობს,
აგუზგუზდა ბუხარი
საჩუქრებით მოდის ბაბუ
რა გსურს დემე – უთხარი!
იკაკუნა ციგას მართავს,
დათუჩელა მარხილებს,
დაეშვება მაღლა მთიდან
„ფრთხილად!“– ბებო აფრთხილებს.
ანდრიას კი თოვლის პაპა
შემოუსვამს კიბეზე,
თავზე სათლი დაახურა,
მოსახვევი კისერზე.
„პეტო“ მორთულ ნაძვის ხესთან
მოკალათდა ლამაზად,
ყელზე მძივი ახვევია
თავზე ბაფთა სარკაზმად!
„ტარზანა“ – კი ყეფით იკლებს
დანავარდობს ფაფუკ თოვლში,
ახსენდება ალბათ მწყერი
აფრენილი მინდორ-ველში!
ლია ბებო დახუნძლულა
ტკბილეულის კალათით,
აქეთ ბაბუ მოაბიჯებს
მოსალოცი ბარათით!
რა სჯობია თოვლს და დილას,
ახალი წლის ღამისას,
ჩაფიქრებას სურვილების
ასრულებას წამისას!
სალის-სურვილს აუსრულებს
სანტა ფანჯრით შემომძვრალი,
საბაც დილით ელის ავტოს
არ მოხუჭა ღამით თვალი!
აგვისრულე სურვილები
სიხარულით გელით ჩქარა,
თოვლის ბაბუ ჩქარა მოდი
დალოდება მგონი კმარა!

ლილი გულბათაშვილი – პროგრამისტი;
დაბადების ადგილი – დუშეთი.

თურმე ძვირფასო ...

ურჩმა ტირიფმა, გამახსენა გავლილი გზები,
მთრთოლვარედ, ტოტებ დახრილი რომ იდგა არაგვთან,
გრიგალი ქრის და მე, წარსულზე ფიქრებით ვთბები,
დიდ ტირიფივით, მეძალება ცრემლი თანდათან.

ახლა სადა ხარ? ნეტავ სად ქრის შენი გონება?
ნუთუ ფიქრები, არ გაგირბის არაგვის წყალზე?
ეს მიდამოა, როცა ჩემთვის მთელი ქონება,
ლექსები მრჩება, ყოფნისა და არ ყოფნის ზღვარზე.

აღარას დავწერ ტკივილებზე, რაღა დროსია,
ან უშენობას ვინ დაუთვლის ცრემლსა და დარდებს,
მე ყველა გრძნობა, რითმად ვკინძო უკეთესია,
ასე ყოველი საწუხარი კვალ და კვალ თან დამდევს.

აღარ მიყვარს თქო, ვეუბნები ჭაღარა ტირიფს,
ცრემლი შააშრა და სიცილი წასკდა გულიდან.
სად გაგონილა წლებს და წყენას ჩაექრო გრძნობა
და აღარც რაი დამრჩალიყო სიყვარულიდან.

მეც გამეღიმა, ჩავუღრმავდი გულის ფიქრებს და
აღმოვაჩინე, თურმე არც კი დამვიწყებიხარ.
ამ სიშორეზე, რომ მეგონა აღარ ვფიქრობდი,
თურმე ძვირფასო, სტრიქონებად დამიწერიხარ .

დაჭრილი მგელი...

მგელი დაეჭრა კაცის ხელთ,
ვერაგად ნასროლს ტყვიასა.
ხმაზედ გამფრთხალი ლეკვები,
ქედს შაჰფარვოდნენ ტყიანსა.

ვერაგი სვავნი შორიდან,
გამაჰყოლიყვნენ ნიავსა,
მის სიკვდილს ელოდებოდნენ,
ჯერ ვერ ბედავდნენ ზიანსა.

ავად აბწკენდნენ თოლებსა,
არ სწყვეტდნენ თავზედ ტრიალსა.
იმეორებდნენ ექოდა
მთები, იმ თოფის გრიალსა.

სისხლი მკერდიდან მავალი,
ქვიშას ადენდა ჩხრიალსა.
სულთ მბრძოლი მგელი გმინავდა,
ვერ ახერხებდა ღრიალსა.

ის იყო ბოლო წუთების,
ათვლას იწყებდა წერაი,
გამაერივა სვავებსა,
ერთი ბებერი ძერაი.

რა ნახა მგლისა, სხეულზე
ნატყვიარ-ნაიარევი,
თოფით მკვდარ, ძმა გაახსენდა,
აუწყლიანდა თვალები.

აუკიაფდა თოლებში,
ველური ნაპერწკალები,
ბრძოლას კი აზრი არ ჰქონდა,
არ ეყოფოდა ძალები.

ფრთები შამაჰკრა ერთურთსა,
გადაიფრინა ქედები,
სულ სათითაოდ დაძებნა,
მომაკვდავი მგლის ლეკვები.

აგულიანა, ამხნევა,
ველური თავგამეტებით,
როგორაც დიდი ბრძოლის წინ,
შვილებს მოძღვრავენ დედები.

გამააღვიძა ლეკვებში,
ძერამ ნამდვილი მგელია.
პირ შაკრეს, ქვეით დაეშვნენ,
ჩამაიარეს სერია.

დაჭრილს, იარა ულოკეს
და დაუბრუნეს ფერია.
სიკვდილს შაჰღრინა დაჭრილმა,
ახლა სიცოცხლის ჯერია.

ფეხზე წამოდგა ნადირი,
იყმუვლა საყმუვლელია.
ლეკვები გულში ჩაიკრა,
არც დაივიწყა მტერია.

ყველას თავისი მიუზღო,
ვისაც რა ჰქონდა საკუთნო,
თავისი მგლური სამართლით,
ჩამაილივა საწუთრო.

ასეა ჩემი ქვეყანაც
ახლა ვერაგად დაჭრილი.
ჩქარ მოა გონზე ქართველი,
ბუდეს იპოვის არწივი.

მტერს ღირსეულად მაიფრთხობს,
ლეკვებს ჩაიკრავს გულშია
და გააგრძელებს სიცოცხლეს,
მოყვარის სიყვარულშია.

მხარ-მხარ გვებრძოლა

გულწრფელი და წმინდა გრძნობისთვი.
ამაგვეძირკვა, სამყაროში სიცრუის ფესვი.
მაგრამ სიმართლე იქ ვეძიე სადაც არ იყო,
დღეს სინანულის ღაღადია ალბათ ეს ლექსი.

დეკიანიდან ლაჟვარდებში აფრინდა ქორი,
მივჩერებივარ როგორ ლაღად შაკრა კამარა.
დამზრალ მთის წვერებს ასდიოდათ რძისფერი ბოლი,
ასე მგონია, დრომ წარსული დაასამარა.

წახვედი ისე, როგორც თოვლი დნება უჩუმრად,
ბილიკს ჩამავალს მაგყვებოდა ცრემლი მდუმარი.
მას შემდეგ აგერ გაირბინეს წელთა რიგებმა
და მხოლოდ შენი ჩრდილი გახდა ჩემი სტუმარი .

რატომღაც მთაში, ჩემთან ერთად ყოფნა არჩივა,
თან არ გამაგყვა და მას შემდეგ , ჩემთან სულ არი.
შენ გაიქეცი, უკან არც კი მაგიხედია,
შენმა ჩრდილმა კი დამიკოცნა თავსასთუმალი.

აღარ მაგელი, რადგან ვიცი მასვლაც აღარ ღირს,
ვეღარ დაგხვდები, ღია კარში გულანთებული.
მე გიღალატე, გადაგცვალე საავდრო ნისლში,
მაგრამ სიზმრები დარჩა ისივ შენი ერთგული .

მზის ამასვლიდან...

მზის ამასვლიდან. მზის ჩასვლამდე მსურდა წანწალი,
ერთად გვენახა მთაში ზეცის შამგლიფერება.
ერთად მაგვევლო ჭიუხები დეკა- გვეკრიფა,
გვესმინა ხევში ნაკადულთა ჩამამღერება.

* * *

სამძიმარს მითვლის მთის ქარი,
ნათლული ქარიშხლებისა.
ბანს ეუბნება ხევები,
კლდეს ქიმი ჩაეშლებისა.

ქუჩი მის მკერდზე მასული,
დაჭკნების დაიშლებისა,
ემ გულში შენზე ფიქრები,
კვლავ ნისლად აიშლებისა.

არწივ დამყეფავს კლდიდანა,
ხმა ექოდ გაიშლებისა.
შენ წასვლას ჩემთან ერთადა,
ჯოგ გლოვობს ირემ-შვლებისა.

სადღაც შაჰყმუვლა მგელმაცა,
ტყეს მძივ გასცვივდა ცვრებისა.
გაარყისფრებულ სერებზედ,
საავდრო ღრუბელ წვებისა.

აღარ გეძახი - დაბრუნდი,
აღარც რამ შაიცვლებისა.
ნუ გგონავ გული უშენოდ,
ჭკუიდან შაიშლებისა.

მაგრამ თუ გზად შამამხვდი,
ცის თაღი შაიხსნებისა.
ტრფიალს არცაით შავიტყობ,
მშვიდ ძილ არ გეღირსებისა.

ქვეყანა ნაქვეყნარსა ჰგავს...

თეთრ ფიფქთა ქურქი მაუცვამს,
ემა ჩემ მთებს და ველებსა.
რაღაც უცნაურ ფერ დაჰკრავს,
ტყეს მწვანედ დანაფერებსა,

მარტი მარტის თვეს არ-რით ჰგავ,
ჩამაჰგავ დეკემბერებსა.
კლდეს ყინულთ ლოლო დაკიდულთ,
ნაკადულ შაუმღერებსა.

შამაჰყინვიათ თათები,
ბეწვ-გაქუცულა მელებსა.
დრო გაყინულა ჭიუხვში,
ყინულ მასდებავ ღელესა.

ჩამოუყრიათ ტოტები,
კვირტებ მაყინულ ტყემლებსა.
ჭირხლი მასდებავ გვიმრებსა,
ზვავ ჩაწოლილა ხევებსა.

გამკრთალი ნაბილიკრები,
ძლივსღა ატყვია სერებსა,
მოვალის კიდა გაზაფხულ?
ლეკვნი ჰკითხვენ მგელებსა?

მოვალის ცოტაც ვითმინოთ,
აიმედებენ ბელებსა,
დათვნი ფერდ-ჩაცვენილები,
ჰგვანან ცხოვრების გერებსა.

მხოლოდ-ღა კაცნი არ ვწუხვართ,
ვაწყობთ ხვალინდელ გეგმებსა,
არა ვკითხულობთ იმ ხვალეს,
ღმერთი თუ გაგვითენებსა.

რამ აგვირივა თავ-გზაი?
ჭკო-გონ-გულ ბოღმით შელესა.
ქვეყანა ნაქვეყნარს გვიგავ,
მარტნი ჰგავ დეკემბერებსა.

* * *

პაპამ მაიმარჯვა ყავარჯენი,
აღარ შამიძლავო დაიჩივლა,
ფრთხილად გამააღო ბაკის კარი,
ბატკანს შაჰხედა და გაიცინა.

ბებომ გუდით საგზალ მიაწოდა,
ლომას გადაუსვა ხელი თავზე,
ცუგავ ემ ბერიკაცს გაუფრთხილდი,
მის მეტ ვინა გვაყო ქვეყანაზე.

ლომამაც მზადყოფნით შაუღრინა,
თითქო იმედ გქონდეს ჩემიაო,
ამ მოხუცს რომ რამე მაუვიდეს
ჩვენც გაგვიცივდება კერიაო.

პაპას ჩვევა ჰქონდა მთის კაცური,
მზის სხივს საძოვარზე შაჰხვედროდა.
მგზავრი დაენახა მიმავალი,
პური-ყველით და არყით დაჰხვდებდა.

შრომას და ჯაფას შაჩვეული,
უხვად არიგებდა მადლის მარცვალს.
ალალი შაური გერჩივნოთო
არამ ათასსა და ათიათასს.

ხშირად იმედი თუ გაგიცრუვდათ,
მაგითამც არც-რაი იჯავროთო.
ადამიანს ვერცით გამაიცნობთ,
მთელი ცხოვრება რომ იწვალოთო.

ასე იწყებოდა ალიონი,
ფუტკრის სკას მოჰგავდა ეზო-კარი.
ფეხზე იყვნენ როგორც იყივლებდა,
მამალი კაკალს ხეზე შამომჯდარი.

ახლა გაფრენილი წლების მერე,
ვხვდები რას ამბობდა პაპა მაშინ.
ღმერთო იმისთანა მთა მაღირსე,
როგორც მაშინ იყო, ბავშობაში.

ურწმუნო სული

უცნაურია ურწმუნო სული,
შარშანდელ წყენას იხსენებ წლეულს.
ვერ გიმშვიდდება ამიტომ გული,
ამით ახარებ სატანას წყეულს.
ქრისტიანი ხარ, ერით და მრწამსით,
მირონი გაცხეს ოდესღაც შუბლზე,
მაგრამ რატომღაც მირონის მადლი,
გადაგიცვლია ბოღმაზე, შურზე.
სანთელს ანთებ და ლოცვად ეცემი,
თუმცა, ვერ სწვდები
ლოცვის აზრს მარტივს.
რომ საკუთარი თავის მაგივრად,
გაჭირვებული ავედრო ხალხი.
აღსარებისთვის ამზადებ სხეულს,
მარხულობ დიდად, ამაყობ ამით.
მაგრამ სულს აძღებ განკითხვის ლეშით
და მსუყე ბოღმით, დღისით თუ ღამით.
ეზიარები, კარგია თითქოს,
უნდა დამშვიდდეს სულიც და ხორციც.
მერე იწყება ისევ თავიდან,
გატოლებები ცოდვის და ლოცვის.
ტაძარში შესულს, გაგირბის თვალი,
არჩევ გრძელ სანთელს სხვაზე ძალიან.
მის ჩაფერფლამდე ბუტბუტებ ლოცვას,
გაუაზრებლად და გიხარია.
რომ სხვაზე ბევრჯერ, ემთხვიე ჯვარზე,
სხვაზე დიდ სანთელს სწირავდი უფალს,
რომ სხვაზე მეტჯერ შეხველ ტაძარში,
სხვას, შენოდენი ლოცვა არ უთქვამს.
ერთი ნაბიჯით ახლოს ხარ ღმერთთან,
გადაასწარი სხვას რადგან ყველას,
ამით ინათებ მანკიერ აზრებს,
მაგრამ შენს სულში კი უფრო ბნელა.
სულ არ წახვიდე ზოგჯერ ისა სჯობს
და არც მოძღვარი აწვალო დიდად,
სულ არ აანთო წმინდა სანთელი,
ჩამოჯდე ტყის პირ იფიქრო მშვიდად.
ვინა ხარ? რა ხარ? მოხვალ საიდან?
საით მიდიხარ? ან სად ხარ ამ წამს?
რა არის რწმენა სინამდვილეში
და გაერკვიო, შენ თვითონ რა გწამს.

რუხი ღამეა...

რუხი ღამეა ეთხოვება მარტი სამყაროს,
ხმალას მთის წვერზე აკვანივით ირწევა მთავრე.
როგორ მოხდება მთის კალთებზედ წერამ დამღალოს,
თუნდაც ერთურთზე გადაებას თორმეტი ღამე.
სამყარო აპრილს, გაუბედავ ნაბიჯებს უთვლის,
მარტს ჩავუბარგე შენზე ფიქრის მოზრდილი გუდა,
უშენო აპრილს, უჩვეულო ნაცრისფერი აქვს,
თითქოს და თავზე დაუფშვნიათ ყინულის გუნდა,
უშენფიქრობის მსურს აპრილის შემობრძანება,
და გაზაფხული მთების გულში აფეთქებული.
მაგრამ აპრილმა იმედები ვერ გამიმართლა,
მაგ თვალებს ურცხვად გაუმართავთ ისევ ფერხული.
რაც არის არის ეს ცხოვრება გადის სევდაში
და შლეიფივით მასდევს უკან შენზე დარდები.
ყველა მცდელობა უშედეგოდ რაკი მთავრდება,
ისევ ჩემი მთის სანახებში გადვიკარგები,
უშენო აპრილს, იერი აქვს უწყლო ჩანჩქერის,
მაგრამ ხვთის მადლმა, უშნეობა აღარ მაშინებს.
ამ სამოთხეში არვინ არი ცოდვის ჩამდენი,
აქ ძველებური გაზაფხული გაიაპრილებს,

მაკლიხარ

ისე მაკლიხარ, როგორც მთაში, პოეტს კალამი.
როგორც მომაკვდავს, აღსარების სათქმელად მღვდელი,
შაგხვდები მაგრამ, იქნებ აღარც გითხრა სალამი,
აღარ გაგიმხელ, თუ შეხვედრას რა გულით ველი.

აღარც რას გეტყვი, როგორ ვდარდობ უშენო წუთებს,
არ გაგრძნობინებ, რარიგ გნატრობს, გული ოხერი.
ჩაცრემლილ თოლით, ჩამონისლულ, მთის წვერებს ვუმზერ,
სასტიკად გრძელი, მეჩვენება წუთისოფელი.

არ უჩანს ბოლო, უშედეგოდ ლოდინ-ძიებას,
ბილიკზე წანწალს, შაეჩვია სული ეულად,
იქნებ საითმე, მონადირეს აუცდეს ტყვია,
უშენოდ ყოფნის, დღენი იქცნენ გამოლეულად.

მავკვდე, გრილი მთის ამაყ გულზე თავისუფალი,
ვით მარტოხელა, შლეგი მგელი, ტყვიით დაჭრილი.
აღარც სამარე, არც დაკრძალვა და არც ვარდები,
ჩავიჩეხები, მაღალ ხრამში, როგორც არწივი.

გავიდღაბნები, სტრიქონებად სუფთა ფურცლებზე,
ვით დანამული, წრფელი ცრემლით ხელნაწერები.
გულზედ, იებად გამებნევა რითმების კონა
და საიქიოს, ბინადრებში ჩავეწერები.

მოვკვდები ისე, როგორც მოვკვდი, შენს გულსა შინა,
მწვანე ფოთლების, თან გამყვების წმინდა სუდარა.
მემრე ინებებ და მომიჩენ მაგ გულში ბინას,
მაგრამ აღარც რას მარგებს შენი მუდარა.

აღარც მიწა მსურს, არც საფლავი, აღარც სამარე,
მირჩევნის ხრამში, ვეგდო მკვდარი, მჯიჯგნონ სვავებმა.
ყველა სტრიქონში, ამქვეყნიურ ტკივილს ჩავშიბავ,
არვინ იდარდოს, ვთხოვო ამ ქვეყნის ჩამოღამება.

გრილ ნაკადულში, ჩაშლილი თმის ბილიკებს დავთვლი,
პირღიმილიანს, მიხილავენ ხიზანნი ტყისა.
ამ მაღალ მთებში, გონებიდან, შენს თოლებს წავშლი.
აღარ მჭირდება, აწ გარდაცვლილს, ტირილი სხვისა

ლამზირა შეყილაძე – პოეტი;
დაბადების ადგილი – დუშეთი.

ღვთიური მგზავრი

(მამა ამირანს)

ხარ დედამიწის ღვთიური მგზავრი,
ცის წიაღიდან მოედინები.
ანთიხარ როგორც სულმნათი კვართი,
ცხოველი მადლით გვესაკმევლები.
ყოველ ცისმარეს სამშობლოს ლოცავ,
ალიონს ხვდები ხელაპყრობილი,
ხარ წარმართების კერპთა მკესავი,
ჟამთა სიავით ვერ დაპყრობილი.
რწმენით მიიკვლევ გოლგოთის აღმართს
და გაძლიერებს წრფელი მიზნები,
მრევლს ანეტარებ, არ იმჩნევ დაღლას,
მამულის გულში სანთლად იწვები.
სიყვარულია შენი გზა-მკვლევი,
ხარ სიკეთის და მადლის მთესავი.
კეთილშობილი მზერით დაეძებ,
რომ არვინ დაგრჩეს დაუმწყემსავი.
ჯიუტად ებრძვი უსამართლობას,
ქრისტეს მცნებების მქადაგებელი.
ვერ იტან შურს და გაუტანლობას,
ხარ სულიერი ტაძრის მგებელი.
ქრისტე შენშია, შენ კი ქრისტეში,
ხართ ერთურთისგან განუყოფელი,
ამაღლებიდან ისე გუგუნებ,
გვიმსუბუქდება წუთისოფელი.
სამოცდათხუთმეტ წელთა სრბოლაში
არ გიძებნია ძვირფასი განძი,
დედამიწაზე დახვალ ჯვარცმული,
ღვთით კურთხეული, ვითარც ღმერთკაცი...

უფლის მადლი შეგეწიოთ!

გარეთ... გაზაფხული მიხმობს,
მე კი ვიწვი დარდის ალში.
ხვალინდელის შიში მიპყრობს,
ჟრუანტელი მივლის ტანში
ხატების წინ, ვდგევარ სანთლად
და მათ სითბოს ვეფიცხები...
გულში ყველა მყავხართ დარდად,
ჩემს სიცოცხლეს გეფიცებით.
წრფელი გულით ყველას გლოცავთ,
უფლის მადლი შეგეწიოთ.
ღვთისმშობლის და ქრისტეს მმოსავს,
გზად წყალობა დაგეწიოთ....

უბრად და ცივად

ბობოქარ ზღვაში მიდგას ბორანი,
მღლის მწუხარება დაუსაბამო...
თვალებში მიმზერს ვითარც ყორანი,
თვალცრემლიანი, ჩუმი საღამო.
დახურულია აღსავლის კარი,
ნისლები წვანან, უბრად და ცივად.
მწარე შარბათით ვარ გადამთვრალი
და გულჩაფუფქულს კურცხლები მცვივა.
აბორგებულს და ჭკუიდან შეშლილს,
პატიმარივით მადევს ხუნდები.
საკუთარ ჯვარცმით გადათქეშილი,
თავქარა დარდის ტკეპნას ვუნდები.
თითქოს ზვარაკად ვარ შეწირული,
დაჭრილ ჩიტივით თრთიან ფიქრები.
არის ცოდვის და მადლის განკითხვა,
დგას, შიშნარევი გრძელი რიგები.
გავუდაბურდი მწარე ლოდინით,
გულს აღარ მიწვავს ალი უქრობი.
ოღრო– ჩოღროში დავალ ლოთივით,
საკუთარ ცრემლის ზღვაში ვიხრჩობი...

აგიშ-მაშეაბა

ჯერ კიდევ გუშინ დაქროდა ქარი
ლამის სამოსი შემომახია
მზემ ალიონზე შემოხსნა კარი
და გაზაფხული შემომაფრქვია.
გავხსენ საკინძე ზე აღტაცებით
გული საგულეს ვეღარ დავტიე
ხომ არ შეგაკრთე ამ აღტაცებით
ეს აღტაცება გთხოვ მაპატიე.
ცად გამიტაცეს ცხელმა კვირტებმა
მზემ დედის მზერით შემომანათა
ამ გაზაფხულის გაცისკროვნებამ
გამახარა და დამაშამათა.
მივაყურადე გულის ჩქერალებს
ფერთა ციალი გულში მადნება
შეშლილ საწუთროს გამიფერადებს
ეს გაზაფხულის აგიჟმაჟება.

სიყვარულისთვის გაკრავენ ჯვარზე

როცა მიხვდები ბრბოთა სიბრმავეს,
თვალხილულს ნაცარს გაყრიან თვალში.
ფეხით თელავენ შენს წილ სიმართლეს,
შენ კი... ტკივილი დაგიდის ტანში.
კარგის მშენებელს მარჯვენას გჭრიან,
ნაჭრილობებში გაყრიან მარილს.
როცა შენს თვალწინ იესოს სჯიან
და შენ კი, მისი შველა არ ძალგიძს.
როცა ცხოვრება გიმეტებს ეულს
და ბარაბები გყიდიან ვერცხლში.
ყვავ-ყორნებივით გჯიჯგნიან სხეულს,
ქეთევანივით გდაგავენ ცეცხლში.
როცა სამშობლოს ხურდაში ცვლიან,
ცრემლები ღვარად ჩამოგდის ღაწვზე.
შენს გამძლეობას სამსჭვალით ცდიან...
და შენ კი მაინც, ლოცულობ მათზე.
როცა მიხვდები, ხარ მარტოდ-მარტო,
შენი ტკივილი არავის ესმის.
დარდი და სევდა გაწვიმს და გათოვს
და სხეულიდან ღრიალი გესმის.
შენი სიცოცხლე არ უღირთ ფასად,
შენი წამებით იხდენენ წადილს,
შენს ირგვლივ მაშინ სიცოცხლის ნაცვლად
გზააბნეული სიკვდილი დადის.
სიყვარულისთვის გაკრავენ ჯვარზე,
ბნელით შეცვალეს დილა მზიანი.
თავის ცოდვები აგკიდეს მხარზე
და მიგატოვეს თვალცრემლიანი.

*

ვერად ვგებულობ, რად უნდა ვენდო?
შენს მოსაზრებას, სიტყვებს და გუმანს...
რატომ გგონია, რომ დედამიწა
მხოლოდ შენთვის და შენს ირგვლივ ბრუნავს...

არ გამეძლება

(ჩემს მოურჩენელ ტკივილს,
ჩემს შვილს ალიკას.)

მწარე ცრემლები მომდის თვალებზე,
სისხლის ტბორები მიდგას უბეში.
არვინ არ არის დედამიწაზე
შენებრ, რო მითხრას შვილო ნუგეში.
ცრემლი ვერ მიკლავს შენს მონატრებას,
გულ განამქრალი საფლავს ვემხობი,
ბნელში მივყავარ დარდ-მწუხარებას,
მორყეულ სხეულს ძლივსღა ვეყრდნობი.
რა ჯოჯოხეთურ ტკივილებს ვითმენ,
ეს რა ცეცხლია შიგნიდან, რომ მწვავს!?
შენს მონატრებას მკვდარ გულში ვიხვევ,
ყოველ ცისმარეს შენს სახეს ვძერწავ.
მზე აღარ მათბობს, მეცივნისლება,
მძაგს რეალობის მწარე სიზმრები...
ყელში დარდები მეჩხირებიან
და სიცოცხლესთან ვეღარ ვრიგდები.
მოგონებათა ფიქრთა ჯავარი,
უმწარეს ტკივილს ვერ მათმენინებს.
შენი არ ყოფნის შესანდობარი
ენას ვერაფრით ვერ ვათქმევინე.
შენ იყავ ჩემი მზე საოცრება,
ვინ სამყოფელი გამიმზიანე,
დედა-შვილობის სიტკბო ჩამშხამდა,
რომელსაც ერთ დროს შენ მაზიარე.
უშეოდ ქვეყნად არ გამეძლება
და იძულებით ვრჩები მიწაზე...
ისე მწადია შენი შეხება,
ტკივილს ავყავარ სახრჩობელაზე...

*

ადამიანი... ჩვენ, რომ გვგონია
იმაზე მეტად ყიფილა მომცრო...
ვინც ძლიერ გიყვარს და შენს სულს ანდობ,
სწორედ ის უნდა გადაამოწმო...

მკლავს უშენობა

მკლავს უშენობის მწარე ლოდინი,
საფლავს გისველებს ცრემლის მდინარე,
ჯერაც... სიცოცხლეს მოწყურებული
ახლა, საფლავში წევხარ მძინარე.
მანდ... აღარ აღწევს ქუჩის ხმაური,
საფლავებს ადევთ მძიმე ლოდები.
თავზარდამცემი აურზაურით
ცივა, ვკანკალებ შენ გელოდები.
ცრემლიან მზერით შევყურებ სურათს,
თვალებში ბინდმა,,ბადე დახლართა“,
გულში ვიგუბებ დარდსა და ურვას...
მინდა, დავლიო სული საფლავთან...
შორიდან მესმის უცხო ხმაური,
მიწაამ და ცამან ფერი იცვალა.
მე, დავინახე ჩემი სხეული
უეცრად როგორ გარდაიცვალა.
მიწაზე ვეგდე უხმოდ, უძრავად,
ირგვლივ მეფობდა სრული ვაკუმი.
თვალს ვერ ვახელდი, მაგრამ ვიგრძენი
სხეულზე შვილის ხელის ფათური.
იდგა, სხეულთან თავდამხობილი,
მწარე ცრემლები გულზე მაწვიმდა.
ვეგდე ბეჩავი ტანჯვით დაღლილი
და შენმა სულმა გამომაფხიზლა.
უნდოდ ვაცეცებ თვალებს უმზეოს
და გამოსავალს ვერსად ვერ ვხედავ.
დავბორიალებ ბნელში უშენოდ,
მძულს არსებობა, ჩემი ამქვეყნად...

*

წუხელი... ღამე მკლავზე მეწვინა,
ქარი ქროდა და ძილს არ აცლიდა.
ვგრძნობდი რიჟრაჟი შემოდიოდა
და მკლავებიდან ღამეს მაცლიდა.

მკლავს უშენობა

ალიკას

მკლავს უშენობის მწარე ლოდინი,
საფლავს გისველებს ცრემლის მდინარე,
ჯერაც... სიცოცხლეს მოწყურებული
ახლა, საფლავში წევხარ მძინარე.
მანდ... აღარ აღწევს ქუჩის ხმაური,
საფლავებს ადევთ მძიმე ლოდები.
თავზარდამცემი აურზაურით
ცივა, ვკანკალებ შენ გელოდები.
ცრემლიან მზერით შევყურებ სურათს,
თვალებში ბინდმა,,ბადე დახლართა“,
გულში ვიგუბებ დარდსა და ურვას...
მინდა, დავლიო სული საფლავთან...
შორიდან მესმის უცხო ხმაური,
მიწაამ და ცამან ფერი იცვალა.
მე, დავინახე ჩემი სხეული
უეცრად როგორ გარდაიცვალა.
მიწაზე ვეგდე უხმოდ, უძრავად,
ირგვლივ მეფობდა სრული ვაკუმი.
თვალს ვერ ვახელდი, მაგრამ ვიგრძენი
სხეულზე შვილის ხელის ფათური.
იდგა, სხეულთან თავდამხობილი,
მწარე ცრემლები გულზე მაწვიმდა.
ვეგდე ბეჩავი ტანჯვით დაღლილი
და შენმა სულმა გამომაფხიზლა.

*

მეგობარს ზურგში რომ დასცემ ლახვარს,
მართალ კაცივით იჩეჩავ ბრიყვ მხრებს...
ბოლოს საკუთარ იდაყვსაც დახრავ,
როცა შენს გულში იპოვნი შენს მტერს...

შენი მადლია

შემოესია სულს ჯალათები,
რწმენა ვერაფრით შეგირყიესო...
მკვდრეთით აღდგომას შენ გვაზიარე,
ჩვენგან ჟვარცმულო მწეო იესო.
ჩვენ ცოდვილთათვის მსხვერპლი გაიღე,
სევდით უცქერდი ეშმაკთ მსახურებს.
შენა ხარ ქრისტე, სიკვდილს რომ სძლიე,
სულს უკვდავება დაუსადგურე...
უფალო მიწყივ შენი მადლია,
დედამიწაზე დავალ ამაყად.
სხვა უკეთესი რა გამაჩნია
და სული ჩემი მომაქვს ზვარაკად...
ყველას გილოცავთ ქრისტეს აღდგომას
და ყველაფერი კარგად იქნება...
გულში აცოცხლეთ უფალი ყველამ!!!

* * *

ყოველ დილით ბეღურები
საკენკისთვის მოდიან.
საკენკს ვუყრი, ვკვებავ მაგრამ,
მაინც არ მენდობიან...
ადამიანს მინდა ჩავწვდე,
სიყალბეში ვეფლობი,
ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე,
კვლავაც ყველას ვენდობი.
გველთან ბრძოლას შეეცადე
მაგრამ მაინც მაცდუნა.
თუკი ცურვა არ ვისწავლე,
ზღვაში როგორ გავცურავ...



ანზორ შერვაშიძე – სამთო გიდი;
დაბადების ადგილი – მესტიის რაიონი სოფ. მულახი.

* * *

წამწამებზე დაკიდებულ ცრემლის წვეთში,
ოკეანე ბობოქრობს და ღელავს.
ასე ხდება როცა გულში ფესვგადგმული,
სიყვარული თვალებიდან ელავს.

აჩქარებულ გულისცემის სიძლიერე,
გულისფიცარს შიგნიდან რომ ხეთქავს,
ასე ხდება მიწისძვრას გავს გულისცემა
როცა გული სიყვარულით ფეთქავს.

და ყოველი ამოსუნთქვა, ამოოხვრა,
ტაიფუნებს და ქარიშხლებს მოჰგავს,
ასე ხდება როცა სულს და სხეულს
სიყვარული ეუფლება, მოსავს.

და როდესაც სანთელივით იწვი
და შენში ცეცხლს ვერაფერი თოკავს,
ასე ხდება როცა ღვთისწყალობით
შენში წმინდა სიყვარული როკავს.

გილოცავთ აღდგომას

ნეტა რას გრძნობდი მაშინ უფალო,
გულს უფრომეტად რა გისერავდა!
ეკლის გვირგვინი, ბეჭებზე ჯვარი
თუ ის რომ ამას დედა ხედავდა?!

სალამით გაგცეს, კოცნით გაგყიდეს,
ოცდაათ ვერცხლად მტრებმა გიყიდეს,
უფალი, მათი სულის მკურნალი
ადამიანადაც კი არ მიგიღეს.

ისე მოგექცნენ, გაგასამართლეს,
რომ თითქოს მათი რამე გემართა.
უფალო, შენ ხომ ისე იცხოვრე,
რომ ამ ჯვრისგარდა არცრა გებადა.

ჯვარზე გაკრული, ნაცემ-ნაგვემი,
წყევლას გითვლიდნენ და შეფურთხებას
ყველა ბედავდა!..
ვიცი უფალო შენ ის გიმძიმდა,
რომ ამ ყველაფერს დედა ხედავდა!..

* * *

ბუნებამ თვალი კვლავ გაახილა,
შემოეპარა მარტი თებერვალს.
ზამთარმა მშვიდად დალია სული,
თითქოს სიცოცხლე მასაც ებევრა.

და გაზაფხული ახალშობილი,
დამშვენებული ყვავილთა შარმით,
ცხოვრებას ახალ ხალისს შემატებს,
გადარეული, შეშლილი მარტი.

სამზადისშია ვით პატარძალი,
აპრილიც მალე მოიხდენს კაბას.
შემობრძანდება ჟუჟუნა წვიმით,
გამოაცოცხლებს ხესა და ბალახს.

აპრილს კი შეცვლის მაისის სიო,
გამქარვებელი ყოველგვარ დარდის.
სმენას დაატკბობს ბულბულთა სტვენა,
მოვა მაისი სურნელით ვარდის.

* * *

ახალგაზრდობა გაივლის,
რომ დაღვინდება მაჭარი.
ცხოვრება გონებას გვმატებს,
ცოდნა გვაქვს ბრძენთა სადარი.

საწყალთა მიმართ წყალობა,
შეგვყრია როგორც სახადი.
ვერ მოიქცევა რაინდი,
ვით სულმდაბალი ვაჭარი.

თუმცა გვაცდუნებს დროება,
საცდურთ გვიგზავნის ფერადებს,
ხშირად ავყვებით მის ნებას,
ცხოვრება, თვითონ წერს სცენარებს.

* * *

გარეთ ქარია მკაცრი, მძვინვარე
და ქარში ხეთა სასტიკი ღელვა.
ო, როგორ ძლიერ მომნატრებია,
შენი თვალების ცისფერი ელვა.
მეც ვუერთდები ფოთოლთა ღელვას,
სახეში მირტყამს წვიმა და ქარი.
შენ ხარ აქამდე რასაც ვეძებდი,
შენახარ ჩემი ოცნების ქალი.

* * *

ბინდმა სუდარა კვლავ დამაფარა,
ისევე დგება ღამე წამების.
დრო გადის ნელა და უკვე ბნელა
და მეხუჭება მე წამწამები.

მე ვეღარ ვხვდები ეს სიზმარია
თუ ცხადში ხდება გამოცხადება.
წამს და წამს შორის ღამეს განდევნის
შენი თვალების გამონათება.

თვალებს გავახელ და ისევ ბნელა,
დაგეძებ ბნელში ვით მთვარეული,
მაგრამ ვერ გხედავ, ოთახში ბნელში,
მხოლოდ მე ვარ და ჩემი რვეული.

სასომიხდილი უხმოდ შევყურებ,
სარკმლიდან შემოჭრილ
მთვარის სხივს ალმაცერს,
მე სარკმელს გავაღებ
ვით გალაქტიონი,
ვფიქრობ მოქმედებას
მიზეზი ამართლებს.

* * *

ჩასძინებიათ მწვერვალებს,
სძინავთ მეფური ძილითა,
სახე აქვთ ჩანისლულები,
შემთვრალან თითქოს ღვინითა.
დილით მზე დაჰფენთ სხივებსა,
მსგავსს დალის ოქროს თმებისა,
ლილეოს წამოვიმღერებ,
ძალი არამაქვს თმენისა.

* * *

დაიჩრდილება ხანდახან გული,
გონება სწვდება სამყაროს წიაღს,
ჩვენი დღეები დროს ისე მიაქვს

ვით შემოდგომის ფოთლები ნიავს.
და გადახედავ როცა გავლილ გზებს,
მკაფიოდ მოჩანს მათი სიმრუდე
და ამჩნევ გზებზე სწორ ნაკვალევებს,
თუმცა გტანჯავდა ბედის სიმუხთლე.
და მერე ფიქრობ რომ ეს რთული გზა
ცხოვრებამ თურმე ჯილდოდ გარგუნა,
რადგან ცხოვრების სუსხმა და ცეცხლმა
სული გაწმინდა, ხორცი დათრგუნა.
ჩვენი აქ ყოფნის აზრი ეს არის
ცხოვრება შეყრის ღრუბლებს საავდროს,
რომ იმიერში სუფთა წავიდეთ
ცხოვრება არის სულის საამქრო.

* * *

დღეა თუ ღამე, წვიმა თუ დარი,
დაგეძებს მუდამ ჩემი თვალები,
ოჰ სიყვარული ცეცხლი ყოფილა
გულს მიბუგავენ მწველი ალები.
მე ხან მთვრალი და ხან ნამთვრალევი,
დავალ ქუჩებში მარტო, ეული,
თოთო ბავშვივით ქვითინებს გულში
ეგ სიყვარული ობლად ქცეული.
შენ წმინდა ხატო შენზე ვლოცულობ,
შენ დამავიწყე ირგვლივ ყოველი,
შენგამო მიყვარს მე შენი მცხეთა,
ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი.

* * *

პეგასს გავხედნი, ზევსს მოვპარავ
თავის ბედაურს,
ორიონივით ავედევნები
მე შენს ნაკვალევს
და არ მადარდებს თუ შემხვდება
სადმე გორგონა
და გამაქვავებს ღამენათევსა და
ნამთვრალევს.
ყველას განვგმირავ, გადამიდგება
ვინც სავალ გზაზე,
სვანთა ტომმა რომც მომკვეთონ
სულაც თემიდან
ან მიმაჯაჭვონ კავკასიონზე
როგორც პრომეთე,
თუ გნებავს სულაც გამასამართლოს
თავად თემიდამ.
მე გაგიტაცებ ვით პერსეფონე
გაიტაცა ოდეს ჰადესმა
და ვერ მომილბობს გაყინულ გულს
დემდტრას ცრემლი,
მე სამყაროში ერთადერთი
მიღელვებს გრძნობას:
შენი ნათელი და ცისფერი
თვალების ეშხი.

წამით გამოსვლა

ნისლი დააწვა ფერდობებს,
არ ისმის ფოთოლთ შრიალი,
ირგვლივ გაყუჩდა ყოველი
წყალმაც შეწყვიტა ჩხრიალი.
დრომ შეაჩერა მსვლელობა,
წამია მარადიული,
არც რა სურვილი მაწუხებს,
განცდა მაქვს რაღაც ღვთიური.
ჩემ სხეულს წამით შევხედე,
ვხედავ მიჯაჭვულს მიწაზე,
ეს არის ჩემი სასჯელი
და ტვირთი დედამიწაზე.
უნდა შევბრუნდე კვლავ მასში,
ის მე უფალმა მატვირთა,
სხეული მიწის ნაწილი
სურვილებისგან დატვირთა.
უნდა ვატარო ამ ქვეყნად,
ვიდრე სამარის კარამდე,
თან ვცადო იმ გზით ვატარო,
რომ უფლის მადლი მფარავდეს.

როგორც იესომ ხის ჯვარი
მხრებით აღმართზე ატარა,
მის ჯვართან ჩემი სხეული
უმნიშვვნელოა, პატარა.
სხეული ჩემთვის მათრახი,
ჯვარი, გვირგვინი ეკლისა,
ჩემივე ნებით მივიღე,
სული სამოთხეს ელისა.

* * *

შენი თვალები
ჩვენი სამშობლოს ზეცას მაგონებს,
მათი სიღრმე და სიცისფრე
ტკბილად მაოცებს.
შენი თმები კი მოჰგავს კლდიდან
გადმოშლილ ჩანჩქერს,
შენი ღიმილი მზეს,
სამყაროს რომ ნათელ სხივს დაჰფენს.
შენი სხეულის მოძრაობა
ნელი გრაცია,
მე შენი ხილვა მიმსუბუქებს
ე მ ი გ რ ა ც ი ა ს.

* * *

ხდება ხოლმე ცხოვრებაში
დაგიდგება წუთი დარდის,
თითქოს სული არეული,
სხეულს ტოვებს, მისგან გარბის.
ფიქრობ: აზრი ცხოვრებისა
ერთიანად არის ფარსი,
ამდროს თითქოს წყურვილი გკლავს,
გსურს დალიო შხამის თასი.
მაგრამ რაღაცა გაკავებს:
მოლოდინი რაღაც ახლის,
რომ სურვილებს დაგიამებს
წაღმა ბრუნვა ბედის ჩარხის.
იმედია ეს რაღაცა
და ის ჩვენში მუდამ ყვავის,
მე ამ განცდას შევადარებ
დილით ადრე სურნელს ყავის.

* * *

შემიყვარდი იციი როგოორ?
შემოდგომის ფერებით,
წყნარად, მშვიდად, ნაზად, თბილად,
გულის გამოდევნებით.
შენახარ ის ვინც გულს მითბობს,
ლხენით მივსებს სამყაროს,
მეყვარები სანამ კვდომამ
იარაღი ამყაროს.
შენთან მინდა რომ ცხოვრების
ქარტეხილებს ვეომო
და ეს გული, გრძნობით სავსე
მუდამ შენ დაგემონოს.

* * *

მე ამ დროებას ვერაფრით ვერ
ავუწყვე ფეხი
და არცა ვეტრფი ამ ცხოვრების
მიეთ – მოეთს.
ნეტავი როდის მოვა ჟამი
გარდაცვალების,
უფალი მასთან როდის მიხმობს
ამ ღარიბ პოეტს.

არა მქონია არასოდეს
რამე ქონება,
ჩემი სიმდიდრე არის მხოლოდ
ჩემი კალამი,
ამ ცხოვრებაში სიმდიდრეა
კეთილი გული
და გრძნობის ქარით მოფრიალე
თეთრი ალამი.

დრო მუდამ გარბის, დრო არ ჩერდება
დრო არ აყოვნებს,

და გაზაფხულებს ისევ შეცვლის
        მუდამ ზამთარი,
უნდა გვახსოვდეს არ აგვცდება
        არცერთ ჩვენთაგანს
ამ ცხოვრების დასასრული,
        კვდომის მათრახი.

და რად აღვიქვამთ ამ ცხოვრებას
        ვით მარადიულს?
რისთვის გავმართეთ ეს ჯიუტი
        დოღი და რბოლა?
ადამიანი აჰყოლია
        ჯუნგლის კანონებს,
ამ ცხოვრების სიცრუესა და
        ჰიპერბოლას.

მე ამ ცხოვრებას ვერაფრით ვერ
        აუწყვე ფეხი,
და არცა ვეტრფი ამ ცხოვრების
        მიეთ – მოეთს,
ნეტავი როდის მოვა ჟამი
        გარდაცვალების
უფალი მასთან როდის მიხმობს
        ამ ღარიბ პოეტს.

* * *

მზე რომ გადმოშლის მთიდან დალალებს,
სამყაროს მოჰფენს მადლიან მზერას,
ფუტკარი ყვავილს მკერდს მოუშიშვლებს,
გლეხი დაიწყებს ღიღინს და მღერას.
ჯიხვები მწვერვალს რომ დალაშქრავენ,
არწივი ზეცას შეუმტვრევს კარებს.
სვანი მთაზე მდგარ საყდართან მივა
და მოწიწებით შემოჰკრავს ზარებს.
როდესაც ჩიტი გაიწყობს ბუდეს,
თავს აწონებენ ქალ-ვაჟი ერთურთს,
გახელებული კალმახი როცა
აღმა აჰყვება მძვინვარე ენგურს.

ქარი ჩემამდე მოიტანს როცა
ნაზ და სევდიან ჭუნირის ჰანგებს,
გული მკერდს ლამის შიგნიდან ანგრევს,
რადგან ვერ უძლებს სიამეს ამდენს.
როგორაც ველზე ყაყაჩო ნაზი,
მიწიდან წითლად ამოფეთქდება,
სწორედ ასევე ჩემი გულიდან,
ლილეო მისით ამომღერდება.
მუხლებზე ლოცვად ვარ დამხობილი,
გულზე საკინძე ჩამოხეული,
ის ჩემში არის, ჩემი სამშობლო
და მე მასში ვარ გამომწყვდეული.

* * *

ვერ გავექეცი ლექსის წერას,
        ვერც დღე, ვერც ღამე.
ასე მგონია ღმერთი მადგას
        თავზე კვერთხით,
ასე მგონია რთული გზა მე
        იმად მერგუნა
სიღრმეში შევყვე ფიქრთა ბილიკს
        რითმათ ამქარით.

ლექსი წერეო – – თითქოს ვიღაც
        ჩამძახის ყურში.
ასე მგონია უძილობა
        იმად დამჩემდა,
რომ მეტი ფიქრით, მეტი განცდით
        ლექსები ვწერო
და როცა წავალ ჩემ სანაცვლოდ
        ლექსი დარჩება.

ასე მგონია რომ ეს არის
        რაღაც მისია,
რომ ჩემი ლექსით ვინმეს იქნებ
        ოდეს რამ ერგოს,
თუ ეს ასეა იყავნ ნება შენი
        უ ფ ა ლ ო,

ჩემი სიცოცხლე ლექსის სანაცვლო
    გახადე ღმერთო.

* * *

მოიწყინა წელიწადმა ძველმა,
არის უკვე წარსულისკენ მავალი,
მან წაეღო ტკივილი და დარდი,
რაც კი გვქონდა ცოტაა თუ მრავალი.

პატარების მოციმციმე თვალებში
ახალი წლის მობრძანება იცნობა,
ბუნებამაც მოგვცა უკვე ნიშანი
თეთრ სხივით მისი მოსვლა იგრძნობა.

მე უსურვებ ყველა ციცქნას სიკეთეს
და რომ ქონდეთ მომავალი ნათელი,
ყოფილიყოს წელიწადი ახალი,
სიკეთის და ოცნებების ამხდენი.

* * *

მორალს მოკლებული ცხოვრება,
ალკოჰოლს მიჩვეული სხეული,
განაწყენებულ ღმერთზე
ფიქრი მარტოსულის, ეულის.
ვერ გამკლავება ცხოვრების,
ამ ლაბირინთულ ხლართის,
ყველა ნაცოდვარზე ფიქრი,
დარდი, უსაშველო დარდი.
ტკივილს მიჩვეული არსების
სულში მობრიალე ალი,
არიდებული თვალები
სათაყვანებელი ქალის.
ხსნად მოლოდინი სიკვდილის,
ცხოვრება წამება მთელი,
იქ რა ელოდება; იმქვეყნად,
იქაც ჯოჯოხეთი ელის?

* * *

ჩემო დედა საქართველო
ჩემო წმინდა სავანე,
შენ ხარ ღვთისგან დალოცვილი
და სიწმინდის სათავე.
როგორ მინდა შენს მიწაზე
ფეხშიშველმა ვიარო,
ფეხებს ნამი მისველებდეს,
ქარმა გადამიაროს.
ღრუბლებმა მზე მოიტაცონ
რა სხივები შემახოს,
ჭექა-ელვამ ცა გაბზაროს,
უცაბედად შემაკრთოს.
დასველებამ, შემცივნებამ
დარდი გადამიყაროს,
ყველა წმინდა სალოცავი
ფეხით შემოვიარო.
შენი მთები, შენი ზღვა,
შენი ცა და მდინარე
შენს ერთ დილადაც კი არ ღირს,
სხვა სადაც მე ვიარე.



ეთერ ლობჟანიძე – პოეტი

* * *

როგორ დავიფარო,
ან სად გადავმალო,
როგორ ავარიდო
დარდსა და ტკივილებს...
დღეს ჩემი სამშობლო
მოუცავს დემონებს,
საზღვარი არა აქვს
მათ მტრობა, ჩივილებს...
რამდენჯერ დაჭრეს და
დაჩეხეს არწივი,
რამდენჯერ ცრემლები
ადინეს თვალებზე,
ამდენი წარმართი,
ბოროტი, უგულო,
ან როგორ მომრავლდა
მის ლამაზ მთა-ველზე...
თავად არ კმარობენ
უძღები შვილები,
მის ირგვლივ სამტეროდ
შეჰყარეს სამყარო,
ღმერთო, გევედრებით
ხელი შეაშველე,
ისევ შენ იხსენი
მამული საბრალო....
პრინციპზე ჯიჯგნიან
წეწავენ, გლეჯავენ,
არ მისცეს სვენება
რომ ფრთები ეშალა,
აკრძალულ გასაღებს
სამყაროს აძლევენ
ცდილობენ როგორმე
არიონ ქვეყანა...
როგორ დავიფარო,
ან სად გადავმალო,
როგორ ავარიდო
დარდსა და ტკივილებს,
ღმერთო, დაიფარე
იხსენი უფალო,
ყურს ნუ აარიდებ
მის სევდა, ჩივილებს!

* * *

ღამემ შემოაღო კარი,
გარეთ ქარი ისევ გმინავს,
ნეტავ ამ უმთვარო ბნელში
ღრუბელს, რა სიზმრებით სძინავს?!
სულში ნისლები რომ ჩაწვა,
ვეღარც მზის სხივი რომ ადნობს,
ნიავს ვნატრობდი და ყველგან
ქარი დამკიოდა მარტოს...
უხმოდ მიკითხავდა ნოტბს,
ფოთლებს ვაყოლებდი მზერას,
რადგან ოცნებებით ვცოცხლობ
ნიავს, ვერ გავატან ვერას!

* * *

ჰაერს ვერ ვპოულობ,
სუნთქვა გამიჭირდა,
გული სევდას აჰყვა,
სადღაც გამიფრინდა...
მკაცრი სინამდვილის
ტკივილს შევეჩვიე,
გაფრენილ ოცნებას
ვერ გადავეჩვიე..
სად არ ვიარე და
რა გზა არ ვერჩიე,
მაინც ვერ შევძელი
ვერ გადაგეჩვიე!

რა ლამაზია შავთვალა

კლდეზე მოსულმა ‘პირიმზემ’,
ფოთლები მზეზე გაშალა,
ყვავილთ ასტეხეს ჩურჩული
რა ლამაზია, შავთვალა...
როგორ ნაზი და ფაქიზი,
ტურფა სახის და ტანისა,
მასთან ვერ მივა სიტურფით
ვერც ერთი ვარდი ბაღისა...
პირიმზის მოსვლა დედამ შვილს,
ყვავილმა, ყვავილს ახარა,
სული განაბა წყარიმაც
და მის წინ თავი დაჰხარა...
მზეს ეტრფის მხოლოდ პირიმზე,
თვალს და პირს იმას აყოლებს,
როცა მზე ჩადის ქვითინებს
სწყინს,ღამესატრფოსაშორებს.....
‘ქუჩო” საბრალო, კლდის შვილი,
გულამოსკვნილი შესტირის,
შეჰყვარებია “პირიმზე”
ის, კი მხოლოდ მზეს შეჰღიმის...
კლდეზე მოსულმა”პირიმზემ’
ფოთლები მზეზე გაშალა,
ყვავილთ ასტეხეს ჩურჩული
რა ლამაზია, შავთვალა!

მიყვარხარტყიან-მთიანად!

მინდა რომ გულში დაგმალო,
მინდა სულ შენზე ვმღეროდე,
შენ, ჩემო ტურფა ბაღნარო
შენგან შორს როგორ ვრჩებოდე?!
შენ ედემი ხარ ნამდვილი,
ცას მოწყვეტილო ვარსკვლავო,
რიონის წყალზე ნაბანო
ოცნებავ გულში ნაფარო!
მთებო, ცის სარეკედ ქცეულნო,
სხივებ დაშლილნო პრიალავ,
ქარაფზე მხტარო “რიონო”
ჩემო რიონო ღრიალავ...
ხევს გაწოლილო ზოვებო,
ზამთარს გაყრილნო ტიალავ,
მაღლა წასულო ნისლებო
შორს გაყოლილნო იალაღს,,,
ფასის მთის წვერზე მყვირალო
ჯიხვ, არჩვ, ქურციკო ხმიანად,
არწივო კლდეზე მფრინავო
შენ მეომარო ფხიანად!
სამყაროს ლოცვად შექმნილო,
მზის ანარეკლო მთლიანად,
მთებზე მოსულნო ყოილნო
ნაირ ფერებში ბზრიალავ....
თავად უფლის ხარ ნახატი,
მისი სახატე მთლიანად,
ფიქრები ნისლად მომყვება
მიყვარხარ ტყიან, მთიანად!

* * *

ეს შემოდგომა, სურათია ჩვენი ცხოვრების,
ეს ქარები კი, შეკვეცილი ფრთების ჰანგია,
თუმცა მზე, ამდროს არ იშურებს ვარვარა სხივებს
მაგრამ ხმელ ფოთლებს, აღრაფრად აღარ არგია....

ფერად ფოთლებში ჩაქარგულა სევდა ულევი,
ეს ოქროსფერი, დროის ათვლის ალბად ბარგია,
დილით მზე იყო, ახლა ქარმა დაჰქროლა უცებ,
ჭრელი ფერები ცას მოჰფინა, ასე დარდიანს!

დროის მსხვერპლია, ამ ქვეყანას რაც კი არსებობს,
ფოთლები ყვითლად და მზე ზოგჯერ ლუჯად ანთია,
იმედის სხივი დარჩენილი ტკივილად ქარში,
კვლავ მოთმინებით ეგებება დილას, განთიადს!

ეკატერინე ბუღაძე – ისტორიის პედაგოგი;
დაბადების ადგილი – ხარაგაულის რაიონი,
სოფ. ციცქიური.

* * *

აქამდე მოვსულვართ, კვლავ საფრთხე დიდია.
საფრთხე იმისა, რომ წაგართვან მეობა.
შენ ჩემო ბედკრულო, ჩემო საქართველო,
დღე და ღამ იბძოდი, არ გაკლდა მხნეობა.
ვინ იყო ისეთი, შენ რომ არ გებრძოდა,
სხეულს გიკორტნიდნენ როგორც რომ ყორანი.
ბევრჯერაც მიწის პირიდან აღგავეს,
მაგრამ არ დაჰკარგე ღირსება მორალი.
უქმად არ ვისხედით, დღე და ღამ ვშრომობდით,
ვჭედდით და ვლესავდით, ბრძოლისთვის იარაღს.
ტაძრებს ვაგებდით და ჩუქურთმას ვკვეთავდით,
ასე ვიშუშებდით მტკივნეულ იარას.
ბევრი ვიბრძოლეთ და ბევრი სისხლი ვღვარეთ,
კრწანისზე, დიდგორზე და კიდევ მარაბდას.
გზები ჩავხერგეთ და ბოლომდე ვიბრძოლეთ,
სწორედ ამით ვძლიეთ, მტერს მღვრიე არაგვთან.
ბევრჯერ წაქცეულხარ და მაინც არ დასთმე,
სწორი გზით მებრძოლი, არ იყავ ჯაბანი.
მახვილი გეჭირა, სისხლით დაიცავი,
ქრისტიანობა და ქართული ანბანი.
ეს ენა ოდითგან ღმერთებს ეკუთვნოდა,
და მინდა იცოდეთ, რომ ძველთა ძველია.
ქართველი რწმენისთვის მოკვდება ბრძოლაში,
მას ენა წაართვა, ძალიან ძნელია.

* * *

კუთხე ასეთი სად არის,
ხარ იმერეთის მშვენება.
არ ვიცი როგორ შეგამკო,
არ დამღლის შენი ფერება.
შენ ციცქიურო ლამაზო!
ჩემო სოფელო პატარა.
იცი დღეს რამდენს უყვარხარ,
რამდენმა გულით გატარა.
ორივე მხრიდან დიდრონი,
გადმოგყურებენ მთებიო.
შუას ჩამოდის ძირულა,
იმის ხმაზეც კი ვტკბებიო.
ჩემს იმერეთში ხალხიც კი
გამორჩეულად თბილია.
წყაროებიც გვაქვს ანკარა,
ხილი კი ძალზე ტკბილია.
შენგან რა სითბოც მიგრძვნია,
დღესაც ატყვია სულსაო.
ამიტომ ჩემო სოფელო!
უყვარხარ ამ ჩემს გულსაო.

* * *

სამივე ერთად შეყრილან,
ვაჟა, აკაკი, ილია.
იმსჯელეს და განიხილეს,
ქვეყნისა გასაჭირია.
ვაჟასა უთქვამს, ნეტავი,
როგორ ვუშველოთ მამულსო.
ქვეყნიერება გარყვნილა,
პატივს არვინ სცემს ნამუსსო.
ეს რა დროება დამდგარა,
ყოველი არის მცდარიო.
ათას ცოცხალსა მართლაც და
სჯობია ერთი მკვდარიო.
ვისაც რომ გულით მივენდეთ,
შედეგი ვნახეთ მწარეო.
ნეტავი რა გეშველება?
ჩემო სამშობლო მხარეო!
რჩეულთ მივანდოთ მამული,
ჯერაც არ არის გვიანი.

შენ ჩემო საქართველო

მიყვარხარ ჩემო მამულო!
ჩემო სამშობლო მხარეო.
ყველასგან განსხვავებულო,
ვერვის ვერ შეგადარეო.
ვის აქვს ასეთი ბუნება,
მთა, გადაშლილი ველები.
ზღვაც გვქონია და დაბლობიც,
გულში ჩამწვდომი ფერებით.
ვინ არ გაქო და გადიდა,
ვაჟამ, აკაკიმ, ილიამ.
ცხრა ძმანი ხერხეულიძეც,
ხომ შენი გამოზრდილია.
სამშობლო თამარისა და,
სამშობლო დავითისაო.
ქრისტიანებად ვშობილვართ,
ჯვარი გვიჭირავს ღვთისაო.
თქვენ რა გგონიათ,სუყველა
კაცია ადამიანი?
გავზარდოთ კარგი თაობა.
კვლავ დავირაზმოთ ერთადო.
ლამაზად შვილის გამზრდელი,
დედა ვაქციოთ ღმერთადო.
ახალიც ბევრი ვასწავლოთ,
არ დავავიწყოთ ძველიცო.
ხათრი და რიდი ჰქონოდეს,
სტუმარსა მასპინძელისო.
აღიზარდენით კაცებად,
რჩევა გჭირდებათ რამდენსო.
იმედი არ გაუცრუოთ,
პატივი ეცით გამზრდელსო.
მრავალ ბრძნულ ფრაზებს, ნათქვამებს,
დავესესხები შოთასო.
მაღალი ღმერთი ფარავდეს,
ჩემს მამულს, ქართველთ მოდგმასო.

დაგბედებოდეს

გარეთ ცივა და სუსხია ზამთრის,
ფინჯანი ყავა ბუხართან თბილად.
დაგბედებოდეთ სიყვარული და
ბედნიერებით აღსავსე დილა.
აგსრულებოდეს ყველა ოცნება,
ყველა კეთილი ჩანაფიქრები.
ვინც სიყვარულის გააღებს სარკმელს,
ყველა მათგანის მეკვლე ვიქნები.
უფალმა მოგცეს ხვავი,ბარაქა,
სახლი აღვსილი ბედნიერებით.
გვერდით შვილები, შვილიშვილები,
თქვენ კი ტკბებოდეთ მათი ფერებით.
სხვა რა გისურვო ამაზე მეტი,
სხვა ყველაფერი წარმავალია.
შენც ჩაიფიქრე, აგისრულდება,
ამაღამ იცი შობის ღამეა.

* * *

მართლაც რომ მეამაყება,
ვერ დაგივიწყებ წარსულსა.
იყო დრო ძალზედ გიჭირდა,
დროშას არ თმობდი ქართულსა.
როგორი პატარა იყავ,
მაგრამ როგორი ძლიერი.
გფარავდეს სვეტიცხოველი,
ხანძთა და ოშკი ხნიერი.
ქვაშიდაც გამოუკვეთავს,
თამარ დედოფალს ვარძია.
შოთას პოება ეხლაც კი,
რა დიდებული განძია.
ჯერ კიდევ როდის დაარსდა,
იყალთოს აკადემია..
მეამაყები მამულო!
რომ ეს სამშობლო ჩემია.
გფარავდეს მადლი ჯვარისა,
ყოველი სული წმინდაო.
ჯავახეთს ზარზმა, საფარა.
რაჭაში ნიყორწმინდაო.
კახეთში ალავერდია,
და იმერეთში გელათი.
რამდენი გმირი გაზარდე,
მართლაც რამდენი ბელადი.
მადლობელი ვარ უფალო!
ვენაცვლე შენსა ძალასო.
საძირკველშივე დავლოცავ,
ჯერ არ აგებულ ბანასო.
რა დიდებული მხარე ხარ,
ამიერ იმიერიო.
გალობაც მინდა შეგიქო,
და მრავალჟამიერიო.
კურთხეულ იყავ მარადჟამ,
და დალოცვილი უფლისგან.
კვლავ შეგეწიოთ ბებერი
და ძველთ ძველიუბისა.
ლიხს იქითა და ლიხსაქეთ,
გაშლილო მთა და ველო.
მაღალი ღმერთი გფარავდეს,
შენ ჩემო საქართველო!

ქვათა ხევი

ქვათა ხევიდან მოსული,
ვფიქრობდი ერთსა რამეზე.
იმ დახოცილთა სულებზე,
და მიმოფანტულ გვამებზე.
ავისა მაუწყებელი,
ჩამოწვა შავი ღრუბელი.
თვით თემურ ლენგი მოსულა,
თავის ბოროთი სულებით.
შემოსევია ხეობას,
დახოცა დიდი, პატარა.
ზოგიც ცხენებზე მიაბა,
და ფორთხვით გზებზე ატარა.
აჰყვა და აჰყვა ხეობას,
ბოლოს მიადგა ტაძარსო.
ახლა მე კი თქვენ გიამბობთ.
მართლაც შემზარავ ამბავსო
ტაძარში იმალებოდნენ,
ჩვილ ბავშვიანი დედები.
დედათა თვალწინ პატარებს
წამებით დასჭრეს ყელები.
გამწარებილი დედები,
იქვე ტაძარში დახოცეს.
ამ ხეობაზე სიცოცხლის,
ნიშან კვალიც კი აჰხოცეს.
ამა ამბავთა მსმენელნი,
გირჩევთ რომ იყოთ მთმენიო.
თურმე მას შემდეგ გაქვავდნენ,
ამ ამბის შემსწრე მთებიო.
და ქვათა ხევი ეწოდა,
ამიტომ თურმე ხეობას.
თვით ღვთისმშობელი შემატებს,
აქ მლოცველთ კეთილდღეობას.

* * *

ერთმა უბრალო მელექსემ,
შექმნა პოემა ქებული.
ნეტავი როგორ გალექსა,
ეს ამოდენა კრებული.

და ეს მიუძღვნა სიყვარულს,
იმ ძლიერ დიად გრძნობასა.
ძლიერ უყვარდა ის ქალი,
ვისაც ასხავდა ხოტბასა.
შოთამ გვიამბო ამბავი,
არაბეთს მყოფი მეფისა.
რომელსაც ჰყავდა ასული,
თვით მზეც თავს უხრის ქებითა.
მან ჩვენ გვაჩვენა ვაჟკაცი,
შემოსილ ვეფხვის ტყავითა.
და მოვიხიბლეთ ჩვენამცა
უცხოსა სანახავითა.
გაგზავნა ერთი მოყმეი,
ვეფხვისტყაოსნის საძებრად.
არ დაიშურა სიტყვები,
იმ ვაჟკაცისა საქებრად.
როცა იხილეს ტარიელ,
მას გულზედ ჰქონდა ალები.
მისთვის არს გადაკეტილი,
ქაჯეთის ციხის კარები.
იქ კი არს გამომწყვდეული,
მზისა სადარი ქალები.
მისთვის სტიროდა ის მოყმე,
რომ ვერ დალეწა კარია.
მტრისაგან ვერ გამოიხსნა,
მან საყვარელი ქალია.
კვლავ საომრად აღიჭურვენ,
და აიღეს ციხის კარნი.
ქაჯებისგან გამოიხსნეს
მათი საყვარელი ქალნი.
ჩვენ აქ ვნახეთ მეგობრობა,
მტკიცე არს და შესადარი.
და ამ გრძნობას ვერ გასჭრიდა
ვერცა ფოლადისა ხმალი.
სიყვარულმა გაიმარჯვა,
იზეიმეს ეს ამბავი.
ვის გულშიდაც გლოვა იყო,
კვლავ დაუდგა ისევ დარი.
ჩვენ კი შოთა რუსთაველმა,
ეს გადმოგვცა, ვრცლად და დიდად.
დაგვარიგა, გქონებოდეთ,
სიყვარული გზად და ხიდად.

იმერეთი

სულ სხვაგვარი ეშხი ადევს,ჩემს იმერეთს,
აქ ცაც თითქოს, უფრო მეტად ცისფერია.
ხალხი კიდევ სხვანაირად თბილი არის,
გულს მალამოდ რომ ედება,იმფერია.
აქ ჰაერიც არის მეტად გამჭირვალე,
წყაროებიც მორაკრაკებს, მთიდან სუფთა.
მასპინძლობაც აქ იციან შესაშური,
გული უნდა მოგიტანონ, ახლოს გულთან.
გულს მიძგერებს, ეს კუთხე და ეს ბუნება,
თავმომწონე, ჩემი ტკბილი იმერეთი.
აქ იციან სულ სხვაგვარი ერდგულება,
მიაჩნიათ, სტუმრის სახით, სტუმრობს ღმერთი.
ქვეყანა რომ მოიარო, ვერსად ნახავ,
არ შეგხვდებათ,სხვაგან არსად კუთხე ერთიც.
მხოლოდ ჩვენთან არის ასე საოცარი,
ასე თბილი, ასე ტკბილი იმერეთი.

რუჰნადინის წერილი თამარს

რა იხილა რუჰნადინმა,
ქართველთ მეფის წარმატება.
წარავლინა მან შიკრიკი,
დაავალა თან სათქმელად.
ვით გაბედე, შენ! დიაცო,
მუსლიმებზე გალაშქრება.
მე მოვდივარ შენს ქვეყანას,
ვიზეიმო გამარჯვება.
მე მოვდივარ, რომ გავხოცო,
შენი ქვეყნის ყველა მამრი.
რა ჰგონიათ შეეწევა,
შენი ლოცვა,ანდა ჯვარი.
ვიცი მოვალ, გავიმარჯვებ,
ამაოა შენი გარჯა.
მხოლოდ მაშინ გაპატიებ,
თუ გახდები ჩემი ხარჭა.
ამ სიტყვებმა ქართველ მეფეს,
გულზედ მოუკიდა ცეცხლი.
მე უფალი შემეწევა,
შენ კი შეაგროვე ვერცხლი.
თამარ მეფემ მოაგროვა,
რაც კი ჰყავდა მას ლაშქარი.
და დალოცა დედის ლოცვით,
ყველას გადასახა ჯვარი.
ბრძოლის ჟინით გულანთებულთ,
აცილებდა მეომართა.
თქვენ! სამშობლოს დასაცავად,
ღმერთი ხელსა მოგიმართავს.
გააცილა ფეხთშიშველმა,
თავად ტაძრად შემობრუნდა.
გამარჯვება ბრძოლის ველზე,
ქვეყნად სხვა რამე არ სურდა.
ღვთისმშობელს სთხოვს, რომ დაიცვას,
წარწყმენდისგან მისი სჯული.
ყოველივე დაივიწყა,
ბრძოლის ბედით უცემს გული.
შემობრუნდნენ გამარჯვებით,
დატვირთულნი სიმდიდრითა.
და ნადავლი ქართველთ მეფემ,
სულ გასცა და დაარიგა.
ყველგან ქუხდა მის სახელი,
მტერი მიჰყავდა დარდამდე.
საქართველო გადაჭიმა,
ნიკოფსით დარუბანდამდე.

* * *

იქნება დამთავრდეს დღენი ავდრიანი
უკვე მერამდენე ღამე გაილია,
მაგრამ შენზედ ფიქრი, მაინც არ მშორდება.
შენი დანახვისას გულში რაღაც იწვის,
დიდი სიყვარული ახლაც მაგონდება.
მთვარე მწოლიარე ღამით ცაზე,
ისევ მარტოდ მარტო იარება.
შენი მონატრება გამიხელდა,
თავი შემახსენეს იარებმა.
გულში შენახული სიყვარული,
თითქოს შესხვაფერდა გაიცვითა.
წლებმა გაიყოლა სიხარული,
სიცოცხლეს დავიწყებ,ისევ აპრილიდან.
იქნებ გათენდეს და ფიქრიც გაიყოლოს,
იქნებ აღარ შევხვდე, დილას დარდიანი.
იქნებცხრათვალამზე,ჩემთვისამობრწყინდეს,
და იქნებ დამთავრდეს, დღენი ავდრიანი.

ზამთარს

არ შერჩენია ხეებს ფოთლები,
ელოდებიან ქათქათა ფიფქებს.
დიდრონი მთები დაღონებულან
და მისცემიან მდუმარედ ფიქრებს.
მუქ მანტიაში დიდრონი მთები,
დგანან ვით მკაცრი ჯარისკაცები.
იებს, ენძელებს, ისევე ვეტრფი,
კვლავ სიყვარულით ავიტაცებდი.
ვერ შეგიყვარა ამ ჩემმა გულმა,
რადგან აქ ჩემთან არა გელიან.

როცა გაზაფხულს უსაზღვროდ ეტრფი,
შენ! შეგიყვაროს ძალზედ ძნელია.
არ მხიბლავს ზამთრის სუსხი,სიცივე,
როს ეუფლება გულს კაეშანი.
ჩემთან ნუ მოხვალ ცივო ზამთარო,
ვისაც უყვარხარ იმასთან წადი.

წყენას გულიდა წავშლი
მძივად ავკინძავ დარდებს,
და ნიავქარში გავშლი.
აღარ დავიტოვ ერთსაც,
გულიდან ყველას წავშლი.
და მიმოვფანტავ შორეთს,
რაც დარდი აწევს ამ გულს.
გულის კუთხეში ჩუმად,
იქ გადავმალავ წარსულს.
დილის მზეს შევეგებები,
და უგალობებ აისს.
უფალს მადლობას შევსწირავ,
ლოცვად დავდგები დაისს.
ვივლი და ყველგან სიხარულს.
მიმოვაქარგავ ირგვლივ.
თვალს ცრემლი აღარ იქნება,
პირს დავიკერებ ღიმილს.
ისევ ოცნებებს დავიწყებ,
და ფრთებს, თამამად გავშლი.
გულს არ დავიტოვ მე წყენას,
გულიდან ყველას წავშლი.

სატრფიალო

ბილიკები მასწავლე,შენს გულისკენ სავალი.
ჩემი იარებისა გოგოვ! შენ ხარ წამალი.
მოდი ამ გულს უწამლე, წყალი დამალევინე,
ეს ცხოვრება ტიალი ტკბილად გამალევინე.
უშენოდ ნუ დამტოვებ, ნუ გამირბი იალაღს,
მსურს რომ გული მოგიძღვნა, შენ გაჩუქო მთლიანად.
თუარა და მოვკვდები, მე უშენოდ იცოდე,
ვერ ვისუნთქებ უშენოდ, ჩემი სუნთქვა გიწოდე.
ჩუმად აგედევნები, როგორც ნიავქარია,
გული შენ გელოდება, ღია დამრჩა კარია,
რავქნა ჩემად გიგულე და გიწოდე წაწალი,
მოდი! ნუ გამიმეტებ, შემიბრალე საწყალი.
გამოვალ და ამ თოვლში, შენს ნაბიჯებს დავითვლი.
წამნი, წუთებს მისდევენ,დრო არადა არ იცდის.
შენს სიყვარულს მიუძღვნა, მე ყოველი დღენია,
შემოგწირო სიცოცხლე, მეტი რა დამრჩენია.

მხოლოდ შენთვის ვწერდე

უსასრულოდ მინდა შენზედ ვწერო,
და ფიქრებში ვიოცნებო შენზე,
მომიტევე! შეყვარებულ ცოდვილს,
უმოწყალოდ ნუ დამაგდებ ცეცხლზე.
თუკი გოგოვ! დასტურს მომცემ მყისვე,
სიხარულით მეცხრე ცაზე ავალ.
ყველა ვარსკვლავს დაგიკრიფავ ცაზე,
თუ დაგჭირდა იმის იქით წავალ.
თუ არა და მზის სხივების დარო,
ვერ ვიცოცხლებ, სიყვარულით მთვრალი.
ისევ შევსვამ უკანასკნელ სასმისს,
ვიტყვი მყავდა, საოცნებო ქალი.
მისთვის ალბათ ჯოჯოხეთშიც წავალ,
მისთვის გესმის, შეუძლებელს შევძლებ.
მის სიყვარულს მე შევწირე თავი,
და უმისოდ ერთი წამიც ვერ ვძლებ.

სამშობლო

გადაგიშლია მთა გორი,
დიდებისა ხარ ღირსიო.
ბევრჯერ გვიმუხთლა ცხოვრებამ,
ბევრჯერ ჩამოწვა ნისლიო.
მაგრამ იბრძოდნენ პაპანი,
ეკვეთებოდნენ მტერსაო.
სიცოცხლის ფასად იცავდნენ,
სამშობლოს ერთადერთსაო.
ვერ დავივიწყეთ ბრძოლები,
და ვერც ოცმალოს თარეში.
მტერო! შენ აქ რას დაეძებ,?
ამ ჩემს მშობლიურ მხარეში.
თამარის დროშა გვიჭირავს,
ისევე აღმართულიო.
მზადყოფნაში ვართ მარადჟამს,
მტერს რომ გაუპოთ გულიო
მტერო! სულ ყურში გესმოდეს
ხმა დავითისა ხმლისაო.
ჩემი სამშობლო იცოდე,
ისევე გმირებს ზრდისაო.
აქ დადის ლანდი თამარის,
აქ დადის ლანდი დავითის.
ერეკლეს ხმალი მოგწვდება,
მტერო ნუთუ ეს არიცი.
შენ ჩემო მჭრელო გორდაო,
ჟანგი ნურც მოგეკიდება.
მტერი ვაშოროთ მამულსა,
ჩვენს წასულ გმირებს დიდება.
მე გულზედ დამეფინება,
თამარის დროშის ნაჭერი.
ბევრჯერაც მე მტერს სამშობლო.
ხელიდან გამოვაჭერი.
ისევ იმისთვის ვიბრძოლებ,
შენამც რომ მყავდე მთლიანი.
ისევე გითენდებოდეს,
დილა უღრუმლო მზიანი.
შენ მტერო! ვერ მომისყიდი,
რად მინდა სავსე ქისა რად.
ჩემო სამშობლო მიყვარხარ,
შენ მყავხარ დასაფიცარად.
სამშობლოსათვის ვიბრძოლებ,
სისხლის სულ ბოლო წვეთამდე.
და ლოცვა თუკი დასჭირდა,
ლოცვას მივაწვდენ ღმერთამდე.

შენი თვალები

შენი თვალები მაგონებს,
ვრცელ და უძირო ზღვას.
მე ჩემად მიგიჩნიე და
ნუ მისთხოვდები სხვას.
თუ არა გოგოვ გავწირავ,
შენი გულისთვის თავს.
რავქნა თუ ასე მიყვარხარ,
შენი სურვილი მკლავს.
თანხმობა მომეც და მოგგვრი,
ბედაურს მბზინავ, შავს.
შემოგისვავ და წაგიყვან,
მაღალ დიდრონსა მთას.
სალოცავადაც გაგიხდი,
ჩემს სათაყვანო ქალს.
შემოგწირავდე სიცოცხლეს,
განაცვალებდე თავს.
შენი თვალები მაგონებს,
ვრცელ და უძირო ზღვას.
ტანჯვისთვის არ გამიმეტო,
არ გაუღიმო სხვას.

პაპის ნაამბობიდან

ყოველი დაღვრილი წვეთი,
მტკივა და ისევ მაწუხებს.
ამ ჩემს პატარა სამშობლოს,
როგორ უჭერდნენ მარწუხებს.
მახსოვს, რომ პაპა გვითხრობდა,
ჩვენ შვილიშვილებს პატარებს.
მის დროსაც ჩვენი სამშობლო,
ქარ ცეცხლში გამოატარეს.
სტიროდა თანაც ჰყვებოდა,
როგორ დახოცა მტერიო.
ყუმბარებისგან ნაცემსა,
მიწას სდიოდა მტვერიო.
ხანდახან ოხვრას იწყებდა,
ამოატანდა გულსაო.
ამ წუთის გახსენებაო,
ყველაზე მეტად მძულსაო.
ჰყვებოდა როგორ მოუკლეს,
მას მეგობარი ბავშვობის.
ამბობდა, მაშინ სიცოცხლეს,
ერთი ნაბიჯით დავშორდი.
ვერას ვშველიდი საბრალოს,
თუმცა ითხოვდა შველასო.
შემდეგ შენდობას ეტყოდა,
თავის მეგობარს ყველასო.
ჰყვებოდა პაპა წარსულს და
ვხედავდი, როგორ უჭირდა.
იქ დაკარგული ძმები კი,
დიდ საგანძურად უღირდა.
ძმაც დაეკარგა ამ ომში,
ოჯახს მის გამო დასცილდა.
მშვიდობის სადღეგრძელოს კი
მახსოვს ბოლომდე დასცლიდა.
მუხლს მოიდრეკდა იტყოდა,
ჩვენი სამშობლოს ქებასო.
უღრუბლო ზეცა გქონოდეთ,
თქვენ! გაგიმარჯოთ ყველასო.

თეთრი და შავი არაგვი

აქ უსაშველოდ ლამაზი
დები ცხოვრობდნენ ალალი.
ერთს თეთრი, მეორეს შავი,
მხრებს უმშვენებდა დალალი.
ორივეს შეჰყვარებია,
ერთი ლამაზი ბიჭიო.
სხვისათვის თავის გაწირვას,
მართლაც სჭირდება ნიჭიო.
ბიჭს თურმე ქერა უყვარდა,
და მხოლოდ იმას ეტრფოდა.
შენ მიყვარხარო მეორეს,
აბა საიდან ეტყოდა.
ესე ამბავი იქნება
თქვენც კი გსმენიათ არაკში.
შავ დალალება გადეშვა,
პირდაპირ თავით არაგვში.
როს შეუტყვია ამბავი,
დის თავგანწირვა რა ესმა.
არ დააყოვნა ქერამაც,
და ისიც წყალში გადეშვა.
მას შემდეგ თურმე არაგვი,
შავი და თეთრი დიოდა.
მათი საბრალო დედა კი
არაგვთან ხშირად სტიროდა.
მანდ ტკბილი ძილით იძინეთ,
თქვენ მანდ იღერებთ ყელსაო.
და მე კი ამ თქვენს ამბავსა,
ქვეყანას მოვდებ მთელსაო.
არაგვთან თურმე ყოველღამ,
ისევ უსმენენ დებსაო.
ერთსა შავს მეორეს თეთრსა,
არაგვი ვარცხნის თმებსაო.

დამიბრუნეთ

ვადღეგრძელებ საქართველოს,
გთხოვთ შემივსეთ ღვინით თასი.
ჩემი მიწა დამიბრუნეთ,
თქვენ რა იცით მისი ფასი.
ამ მიწაზე დავიბადე,
აქ ვისწავლე ანა ბანა.
ვითომ ყველას შეუძლია,
შეიყვაროს ჩემებრ განა.
ისევ მტკივა ის იარა,
მე მტრისაგან მოკვეთილი.
სამაჩაბლო, აფხაზეთი
ამ მიწისა მე ვარ შვილი.
ჩემი მინდა, ჩემსას ვითხოვ,
სხვისი არ მხიბლავს ედემი.
ჩვენ ამ მიწის ერდგულებას,
გვასწავლიდნენ დედები.
დამიბრუნეთ!ჩემი მიწა,
წინაპართა საძვალე.
ამ მიწაზე სიყვარული
და სიცოცხლე მაცადეთ.
მე ეს მიწა გულს მიძგერებს,
და ყველაზე პირველია.
დრო მოვა და გაბრწყინდება,
იზეიმებს ივერია.
დამიბრუნეთ ჩემი მიწა,
ჩემი ამერ იმიერი.
ამ მიწაზე კვლსვ ისმოდეს,
ჩემი მრავალჟამიერი.

* * *

წუხელ თოვდა, მთელი ღამე თოვდა,
გადაფარა თოვლმა მთა და ველი.
ცოტაც კიდევ მოითმინე ცოტაც,
და დადგება ოცნებების წელი.
გამევედი, ამ სითეთრეს ვუმზერ,
დავდივარ და ჩემს ნაბიჯებს ვითვლი.
რა იქნება ამის მერე კიდევ,
დამეუფლა მე უძირო ფიქრი.
ნუთუ შევძლებ ჩემი ტვირთის ზიდვას,
თუ არა და ეს ცხოვრება დამღლის.
არ გამწირო ღმერთო ტკივილისთვის,
ეს ცხოვრება საამისოდ არ ღირს.
შემიწყნარე, შემიწყალე ღმერთო!
შენი კალთა დამაფარე წმინდა.
თუკი ყველგან სიყვარული ვთესე,
კვლავ მოვიმკო სიყვარული მინდა.
ისევისე მარტოდ დავალ თოვლში,
ეს ფიქრები ავაბნიე მძივად.
ღმერთო! ცოდვა მომიტევე ცოდვილს,
თორემ გულში, უსაშველოდ ცივა.

მჯერა გაზაფხული მოვა

თებერვალმა ისევ მოიყვანა თოვა,
მაგრამ მჯერა რომ კვლავ გაზაფხული მოვა.
მოემზადება ასაფეთფებლად კვირტი,
და გათენებას კვლავ უგალობებს ჩიტი.
ისევ შეძლებენ, მერცხლები ცაში ფრენას,
გულიც მოილხენს, დაიწყებს აღმაფრენას.
მოიქარგება ჭრელ ყვავილებით ველი,
მე ხომ გაზაფხულს, ასე ძალიან ველი.
გავალ მინდორში, იას დაგიკრეფ იმდენს,
ძლიერ მიყვარხარ ამიტომ ასე გიმღერ.
გაზაფხულია ბუნებას ასე რომ ცვლის,
გაზაფხულობით კაცს ვერ ნახავდით მოცლილს.
ირგვლივ დათბება, მიწას აუვა სუნი
და გაზაფხულსაც ნათლად შეიგრძნობს გული.
დაგვავიწყდება თოვლი, სუსხი და ყინვა,
ზამთარი არა, მე გაზაფხული მინდა.

ჩემო

მე შენთან ერთად მინდა,
ამ გათენებას შევხვდე.
მე შენგან!ჩემო ტკბილო,
წყენა არ მახსოვს ერთჯერ.
ხელი ჩამკიდე ხელზე
და არ გამიშვა ჩემო.
და ჩვენს სიყვარულს ძლიერს,
არ მიადგება ჩერო.
ამ გაზაფხულზე მინდა
ერთად ვხნათ, ერთად ვთესოთ.
ერთად ავივლით აღმართს,
ერთად დავლაშქრავთ მთებსო.
და ფოთოლცვენის დროსაც,
კვლავ ერთად ვიყოთ ისევ.
მე არსებობა შენი
ამ გულს მთლიანად მივსებს.
ერთად ვუცქიროთ აისს
და მზის ბოლომდე ჩასვლას.
ამ ჩემს გულიდან ჩემო,
ვერსად ვერ შესძლებ წასვლას.
ერთად ვიცხოვროდ დიდხანს,
რადგან ორივეს ეს გვსურს,
განაცვალაბდე თავსაც,
ჩემი ცხოვრების მეგზურს.

მე და მხოლოდ მე

მე ვინმე ერთი მელექსე,
ერთი უბრალო ქალი ვარ.
ზოგჯერ ძალიან ჭკვიანი,
და ბევრჯერ მაინც მცდარი ვარ.
ხანაც მშვიდი ვარ ძალიან,
ვითა მზიანი დარი ვარ.
ხანაც ვბობოქრობ, როგორც რომ,
მთით მოვარდნილი ქარი ვარ.
არც არა სხვისი მწადია,
სუფთა მახურავს მანდილი.
ქართველად დავბადებულვარ,
ჯიშით და სისხლით ნამდვილით.
არ უშინდები ქარტეხილს,
ის ბევრჯერ დამიძლევია.
და სადღეგრძელო მომავლის
ბოლომდე დამილევია.
ვცდილობ ნამუსით ვიცხოვრო,
ეს არის ჩემი წესია.
უსამართლობის მხარესა,
არ ამიღია გეზია.
რაცა მაქვს იმას ვჯერდები,
მაგრამ ნატვრა მაქვს ერთიო.
მარტო არასდროს დამტოვებს,
ჩემი მფარველი ღმერთიო.

დედა

ვხედავ როგორ დამიბარდი დედა,
თავზე გათოვს ლამაზ ფაფუკ ფიფქებს.
თუმცა დიდი გავიზარდე მე და
ვერ ელევი მაინც ჩემზე ფიქრებს.
მე ხომ შენთვის კვლავ ბავშვი ვარ დედა,
მაგ თბილ მკერდზე მიმიკრავ და მათბობ.
უანგარო სიყვარულსაც მჩუქნი,
და სანაცვლოდ არაფერსაც არ მთხოვ.
ჩემო თბილო, ჩემო ტკბილო დედა,
მინდა კიდევ ასი წელი მყავდე.
გულში ისევ ჩამიხუტო თბილად,
დრო გაჩერდეს, არა არ დამთავრდეს.
არ მინდა რომ დამიბერდე დედა!
არ გიხდება ნაღველი და სევდა.
გაიღიმე ხშირად გაიღიმე,
ჩემო ტკბილო სათაყვანო დედა.

ნინო ქანთარია – ფილოლოგი;
საცხოვრებელი ადგილი – წალენჯიხა, ჯვარი.

ამანათი

იასამანით
მორთული ფარჩა,
დღეს ამანათი
რატომღაც არ ჩანს.
შევშინდი ისე,
ჩამქრალა მთვარე,
უსისხლოდ ისევ
რატომღაც მკლავენ.

გიჟი ვარ სულაც
თან არაერთგზის,
ვერ იგრძნო სულმა,
მოვნათლე ლექსი.
განთიადს ვუმზერ,
რაღაცას ველი,
დავიდე გულზე
საფიტრად ხელი.

ვერ შევცვლი მარტო
ვიცი, დუნიას,
გავიგო, ვნატრობ,
რად მემდურიან.
დღე იშვიათი,
ეს დარდიც მორჩა
და ამანათიც
შორიდან მოჩანს.

დედას

როგორ ძალიან მიყვარხარ დედა,
შენ ჩემი ვარდი ხარ მშვენიერი,
ვიცი, რომ ხანდახან ბევრს გიბედავ,
მინდა, რომ სულ მყავდე ბედნიერი.

შენ ყოველთვის იცი თუ რა მტკივა,
ზოგჯერ კი, არის დრო, როცა ვერ ვგრძნობ,
თუმცა შენ უკვე იცი, რომ მცივა
და ალბათ ყველაზე უკეთ მიცნობ.

შენ გამიღრმავე იმედით რწმენა,
მინდა, რომ არ მოგეკაროს სევდა,
შენგან ვისწავლე ბრძოლა და თმენა
და მხოლოდ შენით ვსულდგმულობ დედა.

დედას

რა დამავიწყებს შენს ტკბილ ნანინას
და ზღაპრებს მოყოლილს ყოველ ღამით,
მინდა,რომ ისევ ბავშვი ვიყო და
დაგიბრუნო სიყვარული რამით.

შენი ყველა ნაოჭი საუბრობს
და ყველა ნაოჭში სითბოს ვხედავ,
არ დამიბერდე,ჩემო იმედო,
შენ ხომ, ჩემი სიცხოცხლე ხარ,დედა.

***

არ ვიცი, რატომ,
სხვა სითბოს ვნატრობ,
წვიმაში მარტო
ღიმილიც მათბობს.
გულს უხარია.
ნატვრაა ჩემი,
მხოლოდ სიკეთე
იყოს ნაგემი.
წრფელი ღიმილი
რომ გაქრეს, ჯავრიც
თუნდაც ტკივილით
ვატაროთ ჯვარი.

დარდია ყოფის

მასწავლა ტვირთმა,
ახლა რაც ვიცი,
ხანდახან ვრითმავ,
რასაც განვიცდი.
ახლა კი ვხვდები,
მოკვდავი ვცოდავ,
არ ვუფრთხილდები
ხანდახან ცოდნას.
ჩემს თავს ვეყოფი,
დარდია ყოფის,
უზრუნველყოფილს
ცოტა არ მყოფნის.
რა გამხდის უკეთ,
მაცდენს იუდა,
ვიცი, რომ უკვე
შემცვალოს უნდა.
მე შემწევს ერთი,
კვლავ შევიცოდებ,
რადგან მას ღმერთი
გაურჩევს ცოდვებს.

გავფანტავ ნისლებს

გწამს განა ღმერთი?
იარებს ვერ ვთვლი,
დავდივარ კენტი,
მდინარეს ვერთვი.
სულს არ გავყიდი,
ჩამტყდარა ხიდი
რატომღავ ვთვლიდი,
ვიყავი დიდი.

უბრალოდ, ისე
გავფანტავ ნისლებს
და გეტყვი ისევ,
სიცოცხლეს მივსებ.
მითხარი, რა ვქნა?
ვერ ვუძლებ ქაოსს,
მეც მინდა, რომ ვთქვა,
დამსეტყვე ცაო,

ვაი, რომ ეულს
სულის ქვითინით
დამაქვს სხეული
მძიმე ტვირთივით.
კარგად გითხარი,
მე როგორც მსურდა,
მოწმეა ქარი,
მორჩა, დასრულდა.

მივდივარ არსად

ხანდახან ვმორცხვობ,
ვხედავ სიმართლეს,
სიკეთით ვცოცხლობ,
თავს არ ვიმართლებ.
სულის შემძვრელი
ყოფილა დარდი,
ვიტყვი, შევძელი,
სიკეთეს ვრგავდი.
სადაც კი წავალ,
ვიქნები მარტო,
ვით მაწანწალა,
რთმელიც დარდობს.
არ მინდა ფიცი,
გულში ღმერთია,
ბრძოლა კი ვიცი,
ჩემი ხვედრია.
ფიქრი წყვეტილი,
მივდივარ არსად
ხეს მოწყვეტილი
ფოთლების მსგავსად.

***

არავის ვგავდი,
არავინ მგავდა,
სიყვარულს ვრგავდი
სიკეთის მწამდა.
იცვლება ყველა,
სიცოცხლე მეფობს,
ახლაც კი მჯერა,
რაღაც არსებობს.
ღამე ართმევდა
განთიადს სევდას,
შემომათენდა,
ვერაფერს ვხედავ.
ვაგროვებ წვიმებს,
ერთ ლამაზ დღესაც
მეც გამიღიმებს
უღრუბლო ზეცა.

***

გაოცდა ყველა,
ფიქრი შევმოსე,
დავიწყე წერა
ჩემთვის, გემოზე.
სიმართლეს ვამბობ,
ეს გული დუმდა,
არა, არ ვნანობ,
სულს ფრენა უნდა.
ფიქრს იჭერს ბადე.
სული ღირს გროში
და დავიბადე,
მგონი, სხვა დროში.
რას ვეძებ მაღლა?
სიცოცხლეს მივცემ
იმას, ვინც ახლა
შემიცვლის სივრცეს.

***

ვუყვები მთვარეს
ზეცის ნაამბობს,
მეცვლება არე,
სიმართლეს ვამბობ.
საუბრის ნიჭი
არ მაქვს, ასეა,
დუმილი მიჭირს,
გული სავსეა.
მზეს დილით ვკოცნი,
გულჩვილი გავხდი,
ვიღვიძებ ლოცვით,
არ მინდა ტახტი.
გადაწყდა მაღლა,
გულს აკრავს მინა,
ვნანობ, რომ ახლა
ფხიზელსაც მძინავს.
თურმე რთულია
ყრუ ვარ, არ მესმის,
არეულია,
მარტივით ლექსი.

***

დრო აღარ იცდის,
როგორც გრაცია,
სულიც განიცდის
ემიგრაციას.
ჩატყდა კლავიში,
ატირდა მუზა,
შუა პარიზში
ჩავუშვი ღუზა.
დროება რთული,
სიყვარულს ვერჩი,
როცა გულს გული
არ უდგას გვერდში.
ყოფნიდან ისევ
არყოფნას ვარჩევ,
რთულია ისე,
როცა ბევრს ვამჩნევ.
შეცვლილს მთლიანად,
კვლავ ჩემში ნარჩევს
ადამიანად
მოვსთხოვ, რომ დარჩეს.

* * *

დაჭრილი მტრედი
სული შიშველი,
მრჩება იმედი,
ვინმე მიშველის.
სიცოცხლე ღირდა,
ფიქრებში დავალ,
ბედთან არ მინდა,
არ მინდა დავა.
ჩუმად და სადად
ვუყურებ ღრუბელს,
სიყვარულს ვხატავ
და ვათბობ უბეს.

მარო დვალიშვილს

შენ – სულის დედა,
მე – მუდამ ურჩი,
რა ხდება ნეტა,
ბოლოში ქუჩის?
გავიგოთ,წამო,
ფიქრი არ მინდა,
შეჩერდი წამო,
ცხოვრება ღირდა.
სითბო სულ გახლავს,
მიყვარხარ ძლიერ,
რა გითხრა ახლა,
დარდს შენით ვძლიე.
არავის ვუშლი,
სიყვარულს ვჩემობ,
გიხუტებ გულში,
იხარე ჩემო.
გიპოვე ბედად,
არ მინდა ფიცი,
მზეს შენით ვხედავ,
გამიგებ, ვიცი.
სხვაა სიამე,
ამ სიყვარულის,
შენ დამიამე,
ნატკენი გული.
მერანი მიქრის,
ბედმა იურჩა,
სავსეა ფიქრით,
პოეტის ქუჩა.
გულში გაკოცო,
მერე კი ლოცვით,
მსურს დაგილოცო,
სული და ხორცი.
ასეთს მიცნობდე,
მწამს,ჩვენი გრძნობის,
მინდა იცოდე,
არ ვარ უგრძნობი.
ათბობ სამყაროს,
ვარ უმდიდრესი,
მსურს გაგახარო
უბრალო ლექსით.
გრძნობას არ ვაჩენ,
ჩემად სულ გთვლიდი,
მადლობა გამჩენს,
გული გაქვს დიდი.
დავტოვოთ ლოდი
და რაც გვაწუხებს,
გავექცეთ მოდი,
სევდის მარწუხებს.
შენ – სულის დედა,
მე – მუდამ ურჩი,
რა ხდება ნეტა,
ბოლოში ქუჩის?

***

დარდი სულ მახლავს,
ვფიქრობ, და მგონი,
ბევრში დასახლდა
უკვე დემონი.
წუხილი ქარის.
არ მეთქმის მეტი,
სადაც არ არის
უკვე ტერენტი.
მიკლავენ სურვილს,
ფიქრთა ამალას
ვუმალავ სულის
რჩეულ სამალავს.
სული კვლავ გასცდა
სხეულის სივრცეს,
არ მტოვებს განცდა,
სიცოცხლეს მივსებს.

***

ბევრმა არ იცის,
დღე მწუხარია,
ღამე განიცდის,
არ უხარია.
ტკივილის დროა,
თავს იკლავს ზეცა,
ღრუბლების გროვას
დილამდე კეცავს.
ღიმილს ართმევენ,
გული ვერ გაძლებს,
სანამ ანგრევენ
კვლავ სულში ტაძრებს.
სამეფო ბრწყინავს,
მეფეა მთვარე,
ამშვენებს წვიმას
სიმშვიდის არე.

***

ხანდახან მზე ვარ
უღრუბლო ცაზე,
ლექსების მძევალს
რა მეთქმის სხვაზე?
მართლა არ მიკვირს,
ბავშვი ვარ ჯერაც
ბავშვური ფიქრით
იმედის მჯერა.
ლექსი კვლავ იშვა,
ზღვარზე ვარ შეშლის,
შემიპყრო შაშმა,
სიჩუმე მესმის.
დიდი ხარ მაშინ,
რომ გახსოვს ლოცვა,
წვიმაში, ქარში
არ გიჭირს როცა.

რატომღაც მტკივა

გრანელი კვნესის,
მოცარტი ტირის,
სურნელი ლექსის
განკურნავს ტკივილს.
ვერ ჩადგა ქარი,
თურმე იუდას
გაუმაძღარი
სულსაც მიუტანს.
გაყიდის რწმენას,
საკუთარ მამულს,
შეიცვლის ენას,
გადაცვლის ნამუსს.
რატომღაც შეშლილს
მაქვს უკვე ჩვევად,
მახსოვდეს ჩემში
მცხოვრები ევა.
მაწუხებს ხშირად
ვიცი კი როცა
ყიდიან ძვირად
ტაძარში ლოცვას.
არაფერს ვითხოვ,
ავავსებ ხურჯინს,
ახლა დრო ითხოვს,
რომ ვიყო მუნჯი.

***

ნეტა იცოდე,ამ სულისთვის
რას ნიშნავს გნიასი,
ცრემლებით სავსე,დღესაც
დავმარხე,ცოდვილი თასი,
არ მსურს ვიცოდე,რომ
შენმა სულმა დაკარგა ფასი
და გამიღიმო,თუ ეს ღიმილი იქნება ფარსი.

მაფიქრებს სუსხი

დარდი ბეჭებით
სულ დამაქვს ეულს,
მკლავენ ეჭვები,
ვერ ვუგებ სხეულს.
სულს ვეუბნები,
ნუ გიყვარს მეტად
და შენი ნებით
ნუ აქცევ ღმერთად.
ბევრ რამეს ვამჩნევ,
ბევრი რამ მესმის,
მადლობა გამჩენს,
მაცოცხლებს ლექსი.
მინდოდა ფრენა,
სულ მკლავდნენ ისრით,
ღალატით ენა
სიბილწეს ისვრის.
მაფიქრებს ლექსი,
მაფიქრებს სუსხი,
ვისაც არ ესმის,
არაფერს ვუხსნი
ბევრი მომჩივის,
თუმცა არ ვდარდობ,
ისევ მორჩილი
სიმართლეს ვამბობ.
თავს ძალას ვატან,
ვუღიმი ბოროტს,
სიყვარულს ვხატავ
სიკეთით მხოლოდ.

თამილადვალიშვილს

დღეს ემიგრანტი,
ქართველი დედა,
ებრძვი სხვა განცდებს,
სულ მარტო ბედად.
არაფერს ითხოვ,
ყველა გიყვარს და
არიგებ სითბოს.
ვერ გავჩუმდები,
გიამბო უნდა,
სათნო იერი,
მაოცებს მუდამ.
კვლავ გამიღიმე,
დრო გავა ძნელი,
მანამ გავუძლოთ,
მომეცი ხელი.
მიყვარხარ ძლიერ,
გული ივსება,
შენში ვიხილე,
სულ სხვა ღირსება.
ეცადე თვალებს,
მოცილდეს დარდი,
შენ ჩემი მზე ხარ,
უეკლო ვარდი.

***

ორი სანთელი იწვის და დნება,
ჩემი ნაფიქრალი ბობოქრობს
და მერე სადღაც უკვალოდ ქრება,
ამ წამს ვერაფრით ვერ დავივიწყებ.

***

ვაჩუქოთ ერთმანეთს
ღიმილი და
წარსულში დავტოვოთ
ყველა წყენა,
სიყვარული უნდა შევძლოთ
გულით,
გავამყაროთ ჩვენში ჩვენი
რწმენა.

***

მე ამოვედი
სხვების ჩარჩოდან,
მეგონა ბედი,
ღამე მახრჩობდა.
რაღაც მთავრდება,
გაიგოთ იქნებ,
სევდაც ბარდება
წარსულის ფიქრებს.
მქონდა მსჯელობა,
ვგრძნობდი ადრიან,
რომ უთქმელობა
მეტი დარდია.

***

გრძნობას ვერ აღვწერ,
თითქოს წლებია,
სევდით რატომ წერ?
მეკითხებიან.
არაფერს ველი,
გადაწყდა მაღლა,
მახრჩობს სათქმელი,
ვით გრძნობის ტალღა.
რთულია, ისე
მაჭერენ ქუსლზე,
მე მაინც ისევ
გულის ხმას ვუსმენ.

ჯერ მეტკინება

ლექსებთან ახლოს
დავმალე სული,
სიმშვიდე სახლობს
და სიყვარული.
მიკვირს, თუ რატომ?
ისმის არაკი,
სულია მარტო
სურს ლაპარაკი.
ტვირთსაც ავიტან,
რთული გზით ვივლი,
ვიწყებ თავიდან,
დარდსაც გავივლი.
ჯერ მეტკინება,
მერე ღიმილი
და უფლის ნება,
ქრება ტკივილი.
მიყვარხართ ყველა,
გულს ცოტა უნდა,
ოცნების მჯერა,
არ ახდეს თუნდაც.

***

დარდია გულის,
რომ ცოტას ესმის,
საზრდოა სულის
უბრალო ლექსი,
უნდა გაჟღერდეს
უთქმელი სიტყვა,
მინდა, რომ ვწერდე,
სათქმელი ითქვას.
დიდია ტვირთი,
მომრავლდა ძერა,
დარდებს არ ვითვლი,
სიკეთის მჯერა!

***

დღეს კაცმა დაკარგა
კაცობა,
ქალმა, თავისი ქალობა,
ადამიანი დღეს, რომ
იხილო,
გახდა უკვე იშვიათობა....
დღეს დაიარება ქუჩაში
პიჯაკჩაცმული უცხო ჯამბაზი,
ახლა მოდი, ქართველი თუ
ხარ,
მოითმინე და შეიკავე ბრაზი,
ვაი! საქართველო!..

***

მინდა დახატო ჩემი სული,
სული დახატო...
რომ არ დაეტყოს
სხეულისგან ნარჩენი მანტია,
ჩემო სულიერა და ჩემო
ფიქრების მარტო,
ჩვენი სულის ბაღი
სულიერების ხატია.

***

სულის ბოლო ქუჩაზე მესმის
ჩუმი გოდება
და წამიერი ხილვა გახდა
ცხადი სიზმარი,
გადაკარგული ფიქრების
სკივრი მაგონდება,
ქარის მოტანილს ახლა
წაიღებს ისევ ქარი.

სიმშვიდე მინდა

მესმის გალობა,
დამაწვა გულზე
ის რეალობა,
რასაც დღეს ვუმზერ.
ფიქრებში ცა ვარ,
უღრუბლო თითქოს,
მაცალეთ, წავალ,
არაფერს ვითხოვ.
ღამეა მაცნე.
ღრუბელი მოდის,
მზეს კაბას ვაცმევ,
ვერ ვიტან ლოდინს.
დასვრილი ქოში,
სული კი წმინდა,
ამ სამყაროში,
სიმშვიდე მინდა.
აყვავებული,
იქნება ვარდი,
გათბება გული,
გაქრება დარდი.
წვიმაში მარტო
ვაგროვებ სითბოს,
მიეცეს,ვნატრობ,
იმას,ვინც ითხოვს.

***

ყველა ყვავილი, იცოდე შენია
შეწყვიტე ჩემი წვალება,
გთხოვ შეეგუე და
მიიღე სულო, ფერისცვალება.

***

ამაღამ ფიქრებს ვერ შევიკავებ,
სევდამ შემოსა დაღლილი ღამე,
ვერ მოვიქცევი სურვილისამებრ,
რჩება უთქმელი რამდენი რამე.

ვინატრებ წვიმას

მზე ვენებს იჭრის,
რაღაც,,სხვა იშვა,
გიამბოთ, მიჭირს,
შემიპყრო შიშმა.
სულის ხმას ვისმენ,
ლექსით ვარ ავად,
გავგიჟდი ისევ,
ეს ფიქრიც წავა.
დავეძებ მანდილს
საზმრიდან ხშირად,
სადღაც კი ლანდი
სულს ყიდის ძვირად.
ოდისეიდან
ფიქრს ვჩუქნი უღელს,
ლურჯი ფლეიტა
მიირთმევს ღრუბელს.
ბევრი ყრუდ არი,
ბევრია მუნჯი,
ზეცას მუდარით
შევთხოვე ფუნჯი.
ვინატრებ წვიმას,
დავხატავ სითბოს,
ვაჩუქებ იმას,
ვინც გულით ითხოვს.

***

ვსაუბრობ გულიდან გულამდე გულით,
ჩემი სამყარო მარად არს ლურჯი,
მიყვარს და ვცდილობ,
რომ არასდროს არ დავკარგო ფუნჯი.
სიტყვებს ვეფერები, ვქარგავ
რაც არ უნდა ხდებოდეს,
მე იმედს არასდროს არ ვკარგავ,
გულით სათქმელი რაც მაქვს,
გეტყვით, მე თქვენ მიყვარხართ და,
უბრალოდ, თვალებით გეტრფით.

დარდი

ბოროტი არევს,
კლავიშებს სულში,
გაპატარავებს,
გიძვრება გულში.
ფერთა სინაზე,
ისმის ბღავილი,
სუფთა მიწაზე,
ხარობს ყვავილი.
ძველ კიდობნიდან,
სულის გოდება,
ისევ თავიდან,
მომაგონდება.
უცვლელი ვრჩები,
ვუამბობ ნიავს,
ვიცი,რომ ჩემი,
დარდიც თან მიაქვს.

***

ნუ დააჭკნობ,ნუ დააჭკნობ
გაუფურჩქნავ ვარდს,
მინდა იშვწ ვეჩურჩულო,
ტრფობა ვამცნო ქარს,
მოდი ჩემთან, გამოყევი
რა იქნება დარს,
არ მინდა და ვერ გავუძლებ,
მე უშენოდ დარდს.

***

ვაჩუქოთ ერთმანეთს ღიმილი და
წარსულში დავტოვოთ ყველა წყენა,
სიყვარული უნდა შევძლოთ გულით,
გავამყაროთ ჩვენში ჩვენი რწმენა.

ადამიანო

სული ცრემლს,
მასპინძელივით ჩამოჰყვა,
მერე ტირილი მოერიდა სევდას,
არავინ არ უფრთხილდება,
არავის არ უყვარს ხედავს,
ცრემლნარევი ფიქრები გაფრენას,
ზეცაში ლამობდნენ ძლიერ,
ადამიანო, არ იმალება დანაშაული
ჩადენილი შენ მიერ.
ზეცაში იწერება ყველა ცოდვა,
ახლა სამყაროს მიღმა,
სიცოცხლე, როგორც ბოდვა,
გონებას იპყრობს და
ადამიანისგან სულ მცირედს,
მხოლოდ ადამიანობას ითხოვს.

***

იცი,ალბათ, ყველაფერი ნება არის ცის,
მიმძიმს ვიყო ჩუმად,
მონატრება ცრემლებს ცრის,
გამაღვიძე,სიზმრად სულში
უსასრულოდ წვიმს,
არ დამტოვო,გამიღიმე,
ერთი სიტყვაც მცვლის.

***

როგორ დაგივიწყო,როცა
ეს თავად არ მსურს
და ჯერაც არ ვიცი,
რით ვანუგეშებ ამ სულს,
მოდი,ნუ დამტოვებ,
ნუ დაუჯერებ ავსულს,
ყველაფერს დავივიწყებ,
ჩამოვახრჩობ წარსულს.

***

დღეს ნაპირზე, უშენოდ ვდგავარ და
ვგრძნობ გეხსომება ის ძველი ქუჩა,
მე რომ მიყვარდა,შენც რომ გიყვარდა,
ბოლო წუთამდე უთქმელად,ურჩად.

***

თუ არ გასვენებს სევდა და გეშინია დაკარგო ფერები,
ყველაფერი იქნება კარგად, იცოდე არ ჩამოუშვა ხელები.

***

შემომხედე,გულს არ ვუთმობ,ნუ დავუთმობთ ავს,
ისევ მჯერა,ისევ ვფიქრობ,მოვერევი თავს,
არ გამკიცხო,ნუ გამკიცხავ,დღეს ვუამბე კრავს,
გაზაფხულის თბილი მზერა,შენს მზერას რომ ჰგავს.

თამრო ნიჟარიძე-გენელიძე – პოეტი.

დედას

ვიცინი თუ ვტირივარ,
შენ მახსოვხარ დედა,
ზოგჯერ ძილშიც ვტირივარ,
სიზმარშიდაც გხედავ.
შენი თბილი მოფერება.
მახსენდება დედი.
მზეში გხედავ ცხრა ფერებად
როგორც თეთრი ქედი
სიტყვა ,,ლადელ".
გენაცვალეთ ნიშნავს,
მოგონება ცრემლებს ბადებს,
ისე არა მიშავს,
მე შენს როლებს ვეფერები.
უცხო რჯულის დედებს,
ცისარტყელის ცხრაფერებით,
ფიქრები განა ედემს!

დრო გაჩერდა

თითქოს დრო გაჩერდა
გულშიც ჩამოწვიმა,
საით გავემგზავრო,
სული გამეყინა.
ყვალგან ქაოსია
ღმერთო დაგვეხმარე,
თუნდაც მტერი უყოს,
ისიც გაახარე.
ზოგი მდიდარია,
ზოგი ნაცარს შუშავს,
და ვუნც მაძღარია,
იმას რაღა უშავს.

სიყვარულს დავეძებ

ვხედავ შემომეძარცვა სიყვარული,
ნეტავი საით გაქრა,
რა გზას დავადგე განვიცდი,
ვეძებ ქარისგან ნაქარს ბოღმამ და.
მტრობამ იმატა,
ჟამი დამდგარა წყრომით,
იმედი სულ მთლად გამქრალა,
გახშირდა.
ყველგან ომი.
უფალო შენ გევედრები,
ცოდვები შენ გვაპატიე,
შორს ვარ დარდით ვბერდები,
ტკივილიც აქ დავიტირე.

დედები

დავბრუნდეთ დედებო,
გვეძახის სამშობლო,
სამშობლოს ვაკლივართ,
იმ მთების ნაშობნო.
შვილებს ჩვენ ვჭირდებით,
კედლებიც ინგრევა,
დავბრუნდეთ. სანამდის,
მთაც გადაირევა.
სამშობლოს უჩვენოდ,
აკლია ნუგეში,
დავბრუნდეთ ყველანი.
და მივცეთ ნუგეში.
ფულებით სამშობლო,
ვხედავ რომ ინგრევა.

* * *

ოდესღაც საქართველო, იყო ერთი ოჯახი,
ჩვენ ქართველი ვაჟკაცები არ გვყავს დასაკარგავი,
ყველა ქართველს სტკიოდა სატკივარი ერთის,
დღეს კი საქართველოში ძმა ძმის მკვლელი გახდა,
საქართველოს გარშემო მტერი შემოესია,
ღმერთო არ დაუშვა საქართველოს წაქცევა,
ჩემო ერო ჩემო ბერო, ჩემო ქართველებო,
ვთესოთ სიყვარულის მარცვალი,
თორე სიძულვილით გადაშენდა ერი,
ბევრმა გავიხურეთ საქართველოს კარი,
მაგრამ ჩემო საქართველო,
შენი შესადარი სხვა სამშობლო,
არსად არ არი, საქართველო ერთია,
ერთია და უკვდავი!!!

* * *

უკვე მილოცავენ მე შორიდან შობა-ახალწელს,
მე კი არ ვიცი რა უპასუხო, დარჩენილი ვარ
2005-წელში როცა დავტოვე ჩემი სამშობლო,
ჩემო საქართველო გთხოვ შემახსენე
როგორია შობა-ახალიწელი მომასმენიე
ჟრიამული ქართველი ხალხის,
ახლოდან მინდა მოგილოცოთ შობა-ახალიწელი,
ჩემო საქართველო ემიგრანტი გთხოვ,
ნუ დამტოვებ დახურულ კარში.
ისევ მესტუმრა მონატრება,
ისევ გამიტაცა ფიქრმა გულს დარი შემომაწვა
და სული დაფრინავს თქვენთან.
კარი გამიღე ჩემო საქართველო
იქნებ მოვაღწიო შენთან,
შენზე დარდით გადაღლილი
სხვის მიწას ცრემლით ვნამავ!!!
ჩემო საქართველო ჩემო, ქართველებო,
ჩემო ემიგრანტებო, წელი რომელიც დადგება
იყოს ყველასთვის ბედნიერი♥გილოცავთ!

რამ მოგაწყურა

ქართველო რამ მოგაწყურა,
რომ დაღვარე ძმების სისხლი,
ალბათ იყავ მგელი, ტურა,
მკვლელის სისხლი გადაიხდი.
უცვედცელი ხალხი ნოკალ,
მიგერია სატანა,
შენი ცოდვა ცაშიც მოგკლავს,
ბოღმამ სად არ გაატარა,
თავს შენ არავინ არ წაგიქცევს,
დარჩი შეუნდობელი,
სული ასე სად გაგძარცვეს,
გახდი დაუნდობელი!

ცხოვრება

ყოველთვის ჩვენ ვერ
ვწყვიტავთ ყველაფერს,
ცხოვრება გვიჩვენებს ბილიკებს,
ლექსებსაც თუ დავწერთ შესაფერს,
ვერავინ გაგვაქიკიკებს.
აი, მეც ყკვე ვბერდები,
უკვე თმებშიაც დამთოვა,
ჰოდა, უფალს ვთხოვ ვედრებით,
ნუ გამხდის მიწის მათხოვარს.
არ გამიყიდნონ მიწები,
დაიცვან სისხლის წვეთამდე,
მიყვარხართ თავდავიწყებით,
ფიქრს ვანაწილებ მლეთამდე.
წამოვდექი და დავეცი,
რა ტანჯვა გამოვიარე,
ხმა მომაწვდინეთ გამეცით,
ხმითაც მოვირჩენ იარებს!

როგორ გავაჩუმდე

როცა გართმევენ როფორ გავაჩუმდე,
საკუთარ მიწას რისთვის ყიდიან.
გული მტკივა და როგორ გაუძლო,
ჩემნაირათ, რომ სხვებიც მიდიან.
მე გამიჭირდა ობლების რჩენა,
ნუთუ ყველაა გაჭირვებული,
მამულს სჭირდება, მოვლა და შველა,
ღმერთია მგონი გაკვირვებული.
რას ეტყვით შვილრბს,
მიწას რომ ყიდით,
დაფიქრთით ხალხო,
აქედან ვყვირი.

უფალს მიანდე

უფალს მიანდე ჩემი სიმართლე,
მან იცის უფრო მე რა მჭიდება,
თუ კი მას უნდა რომ გრძნიბით დავთვრე,
ეს არასოდეს გამიჭირდება.
თუმცა სიყვარულს ვეთაყვანები,
დედაშვილურს და მამულიშვილურს,
ადრე გავთოხნე გრძნობის ყანები,
ბედისწერა კი სხვაზე მათხოვებს.
ჰოდა მივყვები ბედის ქარავანს,
ხან აღმა სვლა მაქვს, ხანაც ვმარცხდები,
ხან ასე ვფიქრობ უკვე არავარ,
მაგრამ უფლის მეტს არ ვედაედები.

* * *

დამისხით ღვინო შემივსეთ თასი,
მე საქართველო მინდა დავლოცო,
შენ გაგიმარჯოს ჩემო საქართველო,
თქვენ გაგიმარჯოთ ჩემო ქართველებო!
მე თქვენ გისურვებთ, ჯანის სიმთელეს,
სიყვარულს სიხარულს ბედნიერებას,
ხვავი და ბარაქა არ მოგკლებოდეთ
და სიყვარულით გეცხოვროთ მუდამ❤!
გლოცავთ ემიგრანტი ქალი!!!

ჩვენზეც ილოცეთ

არ დაგავიწყდეთ ემიგრანტი
ჩვენზეც ილოცოთ,
ემიგრანტები გადამრჩენი
ხომა ვართ ერის,
გაბედნიერდით გაფუფუნდით,
მე ხომ დაგლოცეთ,
აღარ ვტირივარ
დღევანდელ დღეს გლოცავთ და მღერით.
დამისხით ღვინო, შემივსეთ ყანწი,
უნდა გადავათრე, უნდა ვიცეკვო,
საქართველოსთვის,
თუმც ქართველებო,
აქ ბევრჯერ მაწვიმის,
დავიხარჯები
თქვენი გულისთვის!

მოლოდინში

დაბრუნების მოლოდინში,
თვალი ცრემლით მევსება,
სული არის კარანტინში,
გული ჩამომესერა.
წლებმა ისე ჩამიქროლა,
ვით მწევარის საკბილომ,
გამკრა კბილი გამიყოლა,
გული რით მოვარჩინო???

* * *

მშვიდობის მტრედო წერილს გაგატან,
გაფრინდი ჩემ სამშობლოში,
კარ და კარ ჩამოარიგე სიყვარული,
მშვიდობა ხვავი ბარაქა,
ყველა ოჯახი დალოცე და გადაეცი სალამი,
გადაეცი, რომ კარგად ვარ მხოლოდ მონატრებით
ვარ დაღლილი, პასუხს მეც დაველოდები
არ დამიგვიანო ძალიან გთხოვ!!!

* * *

მე დავიბადე დიად სვანეთში,
მშრომელი დედმამის ოჯახში,
5-შვილის გამზრდელ მშობლებს
ვერ აშინებდა მკაცრი ზამთარი,
მშრომელი მამა მყავდა
სტუმრის ძალიან მოყვარული,
ჯიხვზე ნადირობა უყვარდა,
ნადავლიც მუდამ ქონდა,
ჩვენ არ გვაკლდა ჯიხვის ხორცი
არც ქათამი გარეული,
გამვლელი და გამომვლელი
იყო ჩვენი სტუმარი,
მამას მეტი რა უნდოდა
უცფად მწვადებს შეწვავდა,
დედა კუბდარ-ხაჭაპურით,
სუფრას დაამშვენებდა,
ამ სუფრას კი ჭუნირზე
მირანგულა შვენოდა,
დედა ჭუნირს დაუკრავდა
მირანგულას მღეროდა
მამა ბანს აძლევდა და
ოიი რა ტბილი ხმა ქონდათ,
5-შვილის გამზრდელ მშობლებს,
სტუმარი უხაროდათ,
მამას 4-გოგოს მერე
მეხუთე ბიჭი უნდოდა.
გაჩნდა ბიჭი დავითი და
გოგოები განზე დაგვსვეს,
გვარის გამგრძელებელია
და ჩვენც გულში ჩავიკარით.
მამას სტუმარი უყვარდა,
თუ სტუმარი არ ყავდა
ფეჩთან მოწყენილი იჯდა,
ხმას არ გვცემდა არავის,
რამდენ რამეს დავწერდი
რამდენ ტკბილ მოგონებას,
მაგრამ მამა ეს იგავი
დარჩენ მოსაგონებლად,
დღეს არც დედა და არც მამა
სახლის კარს არ გამიღებს,
არც დაბრუნებას ვჩქარობ,
სახლის კარიც კრიჭინებს,
მოეფერეთ, გაუფრთხილდით,
სათუთ ცოცხალ მშობლებს.

მირზა ვარძუკაშვილი – მშენებელი;
დაბადების ადგილი – დაბა სტეფანწმინდა˙

ამბორით გასცა...

მძიმდება სული გამცემი კაცის,
მძიმდება მარხვის ეს ბოლო კვირა.
დიდებით შედის ძე ღვთის ქალაქში,
ხალხი უგალობს მაღალთა შინას.

სახლდება ეშმა იუდას ტანში,
ოცდაათ ვერცხლის დაიწევს პინა.
ამბორით გასცა თვისი მოძღვარი,
და იგი ვერცხლიც კი განაბნივნა.

გაჰყვირის ხალხი ჯვარს აცუთ ეგე,
ვინც ღმერთს უფენდა ბაიას წინა.
გოლგოთა გავლილ ქრისტე ჯვარს აცვეს,
ძე ღვთის კი აღსდგა ჩვენს დასახსნელად.

მოდიხარ ახლა...

მოდიხარ ახლა სად იყავ მაშინ,
მტკიოდა გული ნაჭრევი როცა.
მაშინ მომგვარე სიკვდილი სიტყვით,
როცა მინდოდა მე შენთვის კოცნა.

ახლა ნატრული მე სიყვარულის,
ველი ხორციელ სიკვდილის მოსვლას.
შენი მზე მოდის იქ სადაც გულით,
იქ სადაც ჩემი სიცოცლე მორჩა.

რა გითხრა აბა ან შენ რას მეტყვი,
შენ როგორ ფიქრობ გადმირჩა ყოფა?
გულში ჩააქვერ გრძნობის ლამპარი,
მოჰკალი გულში ცოცხალი გრძნობა

მოდიხარ ახლა მომსვლელი მოდი,
მოჰგვარე ცოდვილ სულს ტანჯვით წრთობა.
მოდი დამტოვე თუნდ ლეშით მძორი,
ჯვარცმულ სულს ელის სამოთხით თრობა.

სიყვარულია უკვდავი....

არ გვსურს არავის არ გვესმის,
გულის კლავიშთა არია.
ეს წუთის სოფელი გვეტრფის,
მის ცოდვის გვრიტთა ბრალია.

სულია კაცში ცოცხალი,
ლეში ცოცხალიც მყრალია.

სიყვარულია უკვდავი,
უგრძნობლად ყოფა ბრალია.

მაშ ვაგალობოთ გრძნობებით,
ლეშთ გალიაში შაშვია.
რომ ძვლების ხორცთ დამიწებით,
სულმა იფრინოს ცაშია.

რა ვუყო თვალებს...

მეცხრე აპრილის შევხვდები ბოლოს,
ჩემო რაც უკვე ჩემთან აღარ ხარ.
რა ვუყო თვალებს ცრემლიანს ობოლს,
ან შენგან თავის ცოცხლად დამარხვას?

ისევე ისე მახარებს მე კი,
აპრილი არცერთ თვეს რომ არა ჰგავს.
ისევ ლამაზი ისევე ჭრელი
რა დამავიწყებს აპრილს ლამაზმანს?

აპრილი ო ეს აპრილი ურცხვი,
სიყვარულით რომ დიდად გაგთანგავს.
მაგრამ მე მაინც თანამდევს უტყვი,
სითბო სიცივე ამ თვის თან დამაქვს.

ახლა თუ მაინც ხვდები ნეტავი,
ახლა თუ მაინც იცი სადა ვარ?
სამარიდანაც მომწონს აპრილი,
შენ რომ მიჩინე ა იქიდანაც.

მეცხრე აპრილის მე ვხვდები ბოლოს,
ბრძოლით ხორციელ ვნებებს თავს ვაკლავ.
გზად მაინც შეგხვდე იქნება ჩემო,
ასი წლის მერე ზეცად აღმავალს.

იყიდება იყიდება....

იყიდება იყიდება ყველაფერი,
ფულად მიდის ყველა ქუჩა სახლი ეზო.
ურცხვად სვამენ ვაზის სისხლით გამყიდველნი,
სუფრის თავში მკვდარი დედის სადღეგრძელოს.

ისევ მიდის მდინარება ამა სოფლის,
თვითონვე ვჭრით ხელებს მამულს მთას და მდელოს
ჩვენ რა მტერი მოგვერევა მოსეული,
თვით თუ ვინდობთ ამ მადლიან საქართველოს?

ვაი იმას ვინც მოითბობს ხელს ცხელ გულზე,
ფულად აქცევს მადლიანი სახლის ჩეროს.
დაიფარე სისხლ ნაჭრევნი გაუმრთელე,
ცრემლით შეგთხოვ დაგვიფარე ღვთისმშობელო.

ვაი ღმერთო...

ვაი ღმერთო როგორ მტკივა გული ნეტა,
აღარ ვიცი წუთის სოფლად ვიღას ვენდო.
ვისაც ვენდე დამიტოვა სული კენტად,
ალბათ ჩემზე მასხარობით ისაც ბრძენობს.
ოხ ტიალო ბილიკებო ამა სოფლის,
როგორ მინდა შენ სავალზე დავისვენო.
შენ არა სცნობ უიღბლობას შარად ობლის,
სულ გსურს თვალი მიმავალმა დაისველოს.
ვაი ჩემო როგორ მტკივა გული იცი?
აღარ მინდა სულმა უღვთოდ რომ იღელვოს.
მე რომ გავალ დრო რომ მოვა ამა სოფლით,
გთხოვ სიყვარულს ჩემსას ერთხელ წაუმღერო.

მაშ ჯვარს ვინ აცო...

მე ერთი ვიცი შენ უფალს არ სცნობ,
არც დაიფიცო მიყვარსო ღმერთი.
თუ გიყვარს მითხარ მაშ ჯვარს ვინ აცო,
ეს უკვდავება შენდამი ჩემში.

გაგაუკვდავებ...

არავინ იცის ამ წუთის სოფლად,
ეს ბედ იღბალი ვის რას უმზადებს.
მე ერთი ვიცი დამრჩალო ობლად,
ქალო ჩემს ლექსში გაგაუკვდავებ.

გაგაუკვდავებ...

არავინ იცის ამ წუთის სოფლად,
ეს ბედ იღბალი ვის რას უმზადებს.
მე ერთი ვიცი დამრჩალო ობლად,
ქალო ჩემს ლექსში გაგაუკვდავებ.

მაგრამ მე ღმერთმა....

იყო დრო წლები ვებრძოდი სიკვდილს,
მაგრამ იღბალმა ცოცხლად დამტოვა.
განვიცდი მაინც იმ წარსულ ტკივილს,
ვგონებ რომ ღმერთთან ასე ახლო ვარ.

მქონდა დრო უწინ სულისთვის ტანჯვის,
ქვეყნად სიცოცხლე ღმერთმა მადროვა.
იქნებ კი ჯობდა დაფლვა ამ ტანის,
და ჯვარცმის მერე მკვდრეთით აღდგომა.

იყო დრო იყო ტკივილის რავი,
ახლა ტირილით რაღა გამოვა.
ვიყავი ერთ დროს ღალატით მკვდარი,
და გულწრფელობამ გამამაცოცხლა.

ახლა კი ვიცი სიცოცხლის მრწამსი,
მაგრამ ეს უკვე ახლა აწმყოა.
უსამართლონი მმოსავდნე თალხით,
მაგრამ მე ღმერთმა ცოცხლად დამტოვა.

თუ სინანულის არ გახლავს ცრემლი...

თუ სინანულის არ გახლავს ცრემლი,
და ცოდვით გული არ გიღონდება.
შენს სასიკეთოდ მაშ ნურას ელი,
სული სამეფოდ დაგიობლდება.

ურემი მიაქვს ხარებს უღელით,
მათ მორჩილება თან დაჰყოლია.
ზღვა სიყვარული აქვს გუთნის დედის,
არ აგონდებათ გზა თუ შორი აქვთ.

ტვირთს მიიტანენ ასე ბოლომდე,
მონამკალს შრომით და სიყვარულით.
გადაღლილს გულს კი გამოუნედლებს,
ლოცვა პატრონის სიტყვით ღვთიურით.

ადამის მოდგმის ეს არის სახე,
სინანული და ღვთის მორჩილება.
თუ სიყვარულით გოლგოთა განვლეთ,
მფარველად ღმერთი მოგვევლინება.

ქრისტეს ჯვარმცმელნო...

მე გლახაკი ვარ წუთის სოფლის ვებრძვი სიამეთ,
ნუ შემომხედავთ თუ ქუჩაში უძლური შეგხვდით.
სიყვარულს ვითხოვ ისიც ვიცი ემ სიამაყემ,
ეს საგანძური რომ დათრგუნა სიბნელით ჩვენში.

რომ დამინახოთ წაქცეული ქუჩაში სადმე,
ნუ შემიბრალებთ ამიარეთ თუ გინდათ გვერდი.
მხოლოდ ერთსა გთხოვთ გულს ჩემს გამო ნუ დაიმძიმებთ,
გულში დატოვეთ სიყვარულის ადგილი ღმერთის.

მე გლახაკი ვარ ასე ვცხოვრობ დიდი ხანია,
ა ემ ძონძებში გავატარე ცხოვრების წლები.
ვერ შევიძულე ჯერ ვერავინ ღმერთის ქმნილთაგან,
ქრისტეს ჯვარმცმელნო შემიყვარეთ მეც რაღა ერთი.

წუხელ ფიქრებით ვესაუბრე....

წუხელ ფიქრებით ვესაუბრე ზეცაში მთვარეს,
სამნი ვიყავით მე მთვარე და წინ ჩემი ჩრდილი.
ეგ ვინ მოგდევსო თავად მკითხა შეჭმუხვნით გვერდზე,
ხომ არ გასცემსო ჩვენს საუბარს მზის სხივთან დილით?

ეს ჩემი არის უსხეულო სამარე ვუთხარ,
შებინდებიდან სულ თან დამდევს გათენებამდე.
მიწა უტყვია საიდუმლოს შენახვა უყვარს,
არაფერს იტყვის სულიერად დაბადებამდე.

შენ რატომ სწუხარ ეს მითხარი ერთი ძმობილო,
გასაჭორად ხომ არ მოგსდევენ ბღუჯა ვარსკვლავნი?
არა სადარდო მე სხვა რამ მაქვს საალიონოდ,
მზის ამოსვლამდე რად მზადდება ჩემი საფლავი.

ზეცის სარკესთან...

ზეცის სარკესთან ვით ლამპარი აელვდა მთვარე,
დალალს ისწორებს როგორც ქალი ნისლი მომდგარი.
დგას კლდე ყმაწვილი მამა პაპის წინაშე ბარზე,
მყინვარი მოსჩანს ფიფქ სამოსში როგორც მოძღვარი.

იმატებს შუქი ცის სარკესთან ლამპარ მთვარისა,
ხმიანობს ბალღი დევდორაკი როგორც მედგარი.
ნიავს ფერდები ჭრელა ჭრულა შეჰყვარებია,
დაჰქრის და ჰკოცნის ვით მიკროფონს
ბრმა მომღერალი.

ღრუბელთ ქულები აიშალნენ ყმაწვილ
კლდის მკერდზე,
გადაჩირაღდნდა ცის ვარსკვლავთა ციცინათელა.
მოსჩანს სამება დიდებული გერგეტს მთის მხრებზე,
როგორაც ძელზე შემსჭვალული თვით უკვდავება.

დავანებულა ოაზისი სულიერების,
აქ აღიკვეცა მყინვარწვერი სულ სპეტაკ ბერად.
დგანან ყურო და ქაბარჯინა ვით მორჩილები,
გადაქცეულან სიყვარულის ციურ ლანდებად.

იაც მღერის...

დღეს პირველად აიცრემლა
თვალი მარტმა,
შეიგრძნობა სურნელება
გაზაფხულის.
ღრმა ძილიდან გაიღვიძეს
ენძელებმა,
იყვავილეს გული ზამთრით
დაზაფრული.

ჟღურტულებენ ბეღურები სხვაფერ
ჰანგზე,
მარტი ცეკვავს უკვე როგორც
ხანდაზმული.
იაპრილებს სადაცაა ეს თვე მალე,
იაცა მღერს ქვის ძირს ნორჩად
ამასული.

დღეს პირველად აიცრემლა
თვალი მარტმა,
თავად სულს ლევს
მომავლისთვის სიხარულით.
მხოლოდ მისთვის სურს აპრილის
თვალით ხილვა,
იგრძნო თუ არ მან მარტისგან
სიყვარული.

რომ საქართველო...

ფუტკრისა გვიყვარს ჩვენ მხოლოდ
თაფლი.
მის ნაკბენს მუდამ გულით ვატარებთ.
ბუზის ფრთებისა სულ გვახსოვს ტაში,
და მის როიალს სულ დავთამაშებთ.
ესეა ქვეყნად ცხოვრება კაცის,
ბუზის დაკრული გულს არასა სძენს.
გვიყვარდეს ფუტკრის შრომა და ნიჭი,
რომ საქართველო ჩვენით აყვავდეს.

აღარ მაშინებს...

მძულს წუთის სოფლის ყველა ფლირტი ყველა სიცრუვე,
ჭლექიანივით მივეჯაჭვე ამ მარტოობას.
აღარ მაშინებს უმთვარეო ღამის სიყრუვე,
ნახველ სტროფებით ვებრძვი ქვეყნის ამაოობას.

იმედით ხვალის უკეთესი მომავლისათვის,
ვეწევი თავის სიყვარულით თვით მკურნალობას.
მარცვლებს ვყრი კვალში სულიერი მოსავლისათვის,
რომ მომავალში ჩემმა ლექსმა ღმერთს უგალობას.

სიამტკბილობა სიბოროტე მძულს ამა სოფლის,
ვდგევარ და ვაწყობ სიყვარულზე გულის სტრიქონებს.
წავალ გაჰყვება ლეშს ცოდვები ვითარცა ჭორფლი,
ლექსი გაფრენილ სულს ზეცაში აქ მოიგონებს.

თენებას მისცა...

თენებას მისცა იმ ღამემ თავი,
ქალო ჩემს მკლავზე გეძინა როცა.
ახლა სხვის გულ მკერდს ამშვენებ ღამით,
ღმერთი ამ გულში შენს წილად მოჰკალ.
კლდის თავ ამოვა დღესაც ის მთვარე,
ტრფობის სიყვარულს ჩვენსას რომ გრძნობდა.
შენ კი შემასვი შარბათი მწარე,
კიდეც გაგიჩნდა სულ სხვისი ნდობა.
თენებას მისცა მთვარემ ის ღამე,
არ დაელოდა ცაზე მზის მოსვლას.
ის დრო თუ გახსოვს რომ შეგიყვარე?
ან ამ სიყვარულს რა აზრი ჰქონდა.

* ** *

ბეღურაი ვარ ბეღურა...
ბეღურაი ვარ ბეღურა,
ჩემია მიწა ცა რგვალი.
სულ ერთი ბეწო ღუთისქმნილაი,
ბუდის არ მქმნელი ღალატით.
ერთი ბეწუა ჩიტი ვარ,
არარს ჩემ ბუდე სადარი.
იცოდეთ საქართველოა,
ჩემი ცა მიწა სახლ კარი.
ეჰ ის ვარ გულით რაცა ვარ,
ვჟღურტულებ როგორც საპყარი.
საქართველოა რაც მიყვარს,
ქართველთ საუფლო ცად არის.

* ** *

ბეღურაი ვარ ბეღურა...
ბეღურაი ვარ ბეღურა,
ჩემია მიწა ცა რგვალი.
სულ ერთი ბეწო ღუთისქმნილაი,
ბუდის არ მქმნელი ღალატით.
ერთი ბეწუა ჩიტი ვარ,
არარს ჩემ ბუდე სადარი.
იცოდეთ საქართველოა,
ჩემი ცა მიწა სახლ კარი.
ეჰ ის ვარ გულით რაცა ვარ,
ვჟღურტულებ როგორც საპყარი.
საქართველოა რაც მიყვარს,
ქართველთ საუფლო ცად არის.

ღმერთო მომასწარ....

ღმერთო მომასწარ სამშობლოს ყანებს,
სახნავ სათესით სამკალით მდიდარს.
ხნულებში ორპირ ქართველის ნათესს,
მომკალი მკიდეს სიყვარულს წმინდას.
ჰე ღმერთო ჩემო გთხოვ ამისრულე,
ქართველთა მოდგმა რომ იყოს მშვიდად.
მართალთა სიტყვა გულთან მიჰქონდეს,
და რწმენა ჰქონდეს უკვდავი მინდა.
თუ ამისრულდა ეს სათხოვარი,
ვფიქრობ ამისთვის აქ ყოფა ღირდა.
თუ გინდა ვიყო სულ მათხოვარი,
ქართველთ თუ ვნახავ შეკრულსა ფსკვნილად.

წვიმს ეს მაისი....

წვიმს ეს მაისი გულს იღონებს ისევე მარტო,
ვარდების ფურცლებს ამოასხა ცრემლთ მარგალიტი.
ზეცით ღრუბლები იწურება თვალით საავდრო,
სულ თვალწინ მიდგას იმ ბაღიდან როგორ დამისხლტი.
წვიმს ჩემო კარგო გადაღებას არც კი აპირებს,
ისევ გალობენ ამ ავდარშიც ბაღის შაშვები.
იცი ლამაზო რაც შენ წახვე როგორა ძლებენ?
უსიყვარულოდ დანაცრემლი თეთრი ვარდები.
წვიმს ეს ტიალიც არ გაჩერდა ამინდიც ჯავრობს,
მთლად გალუმპული დედამიწა გიჟივით ცეკვავს.
სული შეიპყრო ნოსტალგიამ სასიყვარულო,
მახარებს ახლაც ის ნაწვიმი ვარდი რომ შენ გგავს.
წვიმს და ეს წვიმაც რა ლამაზად უკრავს როიალს,
მაისის ჰანგებს ამ ღრუბელთა შავ თეთრ კლავიშზე.
ჩემთვის ამ წვიმის ეს მუსიკა გულში მოიცავს,
იმ უკვდავებას სიცოცხლით რომ დაგიკავშირე.

მიედინება...

მიედინება წითის სოფლის დრო ისე სწრაფად,
რჩება ამ ქვეყნად მხოლოდ კვალი ადამის მოდგმის.
ბოლოა კაცის ისევ მშობელ მიწამდე მისვლა,
და მოლოდინი ძე უფლისა მეორედ მოსვლის.
ოჰ ესე ჟამი იკარგება უსიყვარულოდ,
ფასს ვერვინ ხვდება მანამ უქმად არ იკარგება.
იქ სამარესთან ცრემლის დენა არის უკვალო,
თუ ერთმანერთი ცოცხალთ ქვეყნად არ გვეყბარება.
მიედინება ეს ცხოვრება მდინარესავით,
მას არ აშინებს გზად ლოდი არც დიდი პატარა.
რა რჩება სოფლად კაცს საბოლო ღრმა სამარის წინ?
ქვეყნად სახელი სულს ქვესკნელი ანდა აღმასვლა.

ყვირიან ნასახლარები...

ყვირიან ნასახლარები,
ამოგლეჯილი ენითა.
გულმკერდზე ხავსმოდებულნი,
თვალთ დანამული ცრემლითა.

ეზო კარ ერდოს საღენჭელს,
აღარვინ სთელავს ფეხითა.
ობობის ქსელში გაბმულ ჭერს,
გული ევსება სევდითა.

ჩაშლიათ მუხლნი წარსულის,
წელებს ითრევენ ქშენითა.
წვებიან საწოლავები,
დაწნულნი თხილის წნელითა.

შახედავ ჩაგწყდება სული,
მათ სატანჯველის ცქერითა.
აღარცა ფანჯრის გამღები,
ლამაზი ქალის ხელითა.

დაჩლუნგდა ძველი სახსრები,
კირით ნაშენი კედლისა.
აღარცვინ ყალიონს უზის,
ნამუსიანი ხევისა.

სინდისით მედიდურები,
დგანან სპეტაკნი რწმენითა.
დღეს თუ დგას დრო უღმერთობის,
დრო მოვა ღმერთთან ლხენისა.

თეა ბარბაქაძე – ბუღალტერი;
დაბადების ადგილი – ხაშური-ბეკამი.

"შენს ზეცის იქით..."

ფიროსმანივით მარტოსული ქუჩებში დავალ
და ალიონზე, თეთრ დუქანთან ვატირებ არღანს.
ჩემი ფუნჯებით გადავიხდი სიცოცხლის ვალს და
მერე ძველ თბილისს, ძველებურად ვუმღერებ საარს.

ნარიყალადან დაშვებული ნიავი მიყვარს,
მეტეხის თავზე აშვებული თეთრი აფრები.
მე ფიროსმანის მოხატული თბილისი მიყვარს,
ქართლის დედა და ალგეთელი მგლების ნაშენი!

თბილისის სიო, საიდუმლოს მტკვარს რომ გაანდობს,
დასაბამიდან სიყვარულის ბევრის მნახველი.
მიწა,რომელიც ყველა სჯულის გახდა საუფლო
და მადლი ღვთისა ქაშუეთში გადმონადენი.

ცისკრის ვარსკვლავებს მოდარაჯე მთაწმინდის მთვარე.
მამადავითზე დარეკილი ცისკრის ზარები.
შენ სამოთხე ხარ, ღვთისკურთხეულ ზღაპრულ მიწაზე
და ამიტომაც მოგტირიან ემიგრანტები.

კლდე ჭაუხებში ჯიხვები და არჩვები მიყვარს,
კავკასიონზე გაწოლილი ბუმბერაზები.
მყვირალობისას ხარ-ირმების ბღავილი მიყვარს
და ცივ-გომბორზე დათოვლილი იალაღები.

ალაზნის ველზე დაფენილი ნისლები მიყვარს,
ყორღანებიდან აფრენილი გნოლის ბარტყები.
ხოდაბუნებზე თავთუხების შრიალი მიყვარს
და ვეფხის ტყავზე დაფენილი იალაღები.

შენს ზეცის იქით არ არსებობს არც ერთი ზეცა,
შენს მიწის იქით, არსად რეკენ ცისკრის ზარები.
აქ სხვა ფერია ფიროსმანის ნახატი ზეცა,
ზეცა, რომელზეც ოცნებობენ ემიგრანტები.

* * *

ბებოს ნაფურჩქნი ვაზის ნამის მიყვარს ჩურჩული,
ჭიგოს მიბმული ვაზის კავთან ხვევნა, ცელქობა,
ბებოს კალთიდან დასრესილი ვაზის ნაჟური –
ქრისტეს სისხლია, დედამიწას რომ არ ეთმობა...

ჩამოწურული საწნახლიდან, წვეთ-წვეთ ნაკურთხი –
დავით გარეჯის ცრემლებია, ცაც რომ ელოდა.
მამის ნაკალმზე ამომსკდარი ვაზი ქართული,
ღმერთმა მომირწყას, გასახმობად რომ არ მეთმობა.

მოვკვდე, თუ შენი მიწის მტვერი ჩამოვიბერტყო,
თუნდ ყაშა-ყაშა დამსკდარ ტანზე ფეთქდეს ძარღვები,
ათასჯერ ჯვარცმულს, ნეტავ რითი უნდა გამტეხო,
ჩასაფრებულნიც ვერ გამგლეჯენ ხორცის ხამები.

ასომთავრული ნაწნავები ხნულში გაბმული
და მამაჩემის, უფლის მსგავსი – სათნო თვალები...
ღვთისმშობელივით ჭრილობებზე ნადენი ცრემლი
და დედაჩემის დაკოცნილი მუხლისთავები...

ღმერთია მოწმე...

ღმერთია მოწმე – ყველაფერი გავიღე რადგან,
ქვების სროლისგან დამეფარა შენი სხეული.
ვერ გაგიმეტე ჩასაქოლად, დავიტევ განა?
ადუღებულა მელანი და წარღვნა რვეული.

ამოიფრქვევი ლავასავით წითელ რითმებად,
ღმერთია მოწმე – კალამო შენც დამისნეულდი,
როცა ეგ ტანი, ჩემის მსგავსად – სისხლად იცლება,
გულწასულს მაინც შემაშველე შენი რვეული.

დაგუბებული ჩემს კრატერში – შენი საუნჯე,
ჩემი სიცოცხლის საწყისი და შენი რჩეული.
ყოველი სტროფი, მლოცველივით მუნჯი და უნჯი,
ვისთვის ადვილად გასაგები და ვისთვის – რთული.
დუღს ღმერთის გონში, ამოიფრქვეს ჩემიდან ლამობს
და გადაბუგოს რითმებისგან ჩემი რვეული.

* * *

დეკემბერია, წელიწადის ბოლო აკორდი,
ამოაყოლებ ბოლო სუნთქვას სულსაც და მორჩა.
ვერ შემიცვალოს ჟამთა ქროლვამ ჯიში და გენი,
არ მიმამსგავსოს ავყიას და ბუნებით ოჩანს.

ჩამოარიგა დეკემბერმა ამ წლის ვალები,
ცა ნამარხულებ ფოთლებს გაფენს ტაძრის საკიდზე,
შენც სალოსივით ქუჩის კუთხეს მიიმალები –
ხმელო ფოთოლო და ასკეზით ღმერთსაც ანცვიფრებ.

ვით არსაკიძეს არსებობას ერჩია სული
ქვაში ნაკვეთი, ლავიწებზე ჟამთა იარა.
მეც შემიყვარდა უფლის მსგავსად ჩემი ხელქმნილი,
სულში ნაწრთობი ჩემი ხატი, ლექსი კი არა.

მოგიქანდაკე საჭრეთელით შენი ეკვდერი,
ჩემს და შენს შორის ჩამდგარ ღმერთზე ნუღარ საუბრობ,
ნუ მიმაჯაჭვებ ძელზე, ერთ დროს მერქვა შედევრი,
ახლა რატომღაც ერთ ენაზე ვეღარ ვსაუბრობთ.

სანამ წახვალ და ქუჩის კუთხეს მიეფარები,
უშენოდ ალბათ ბოლო ღამეს ვეღარ გავათრევ,
და სალოსივით თუ ჯვარცმაზე ვეღარ ვეტევი,
ჯვარცმას კი არა, მთელ გოლგოთას ზურგით დავათრევ...

* * *

თუ გაპატიეს, შეგნებულად ისევ შესცოდავ,
იუდასავით ჩვევად გექცა რადგან ღალატი.
ხორცის საძღომად ნუ ამატებ ცოდვაზე ცოდვას,
სულს ნუ წაიწყმედ, ნუ დარჩები სულით ღატაკი.

გაუფასურდა ყველა გრძნობა, ღმერთიც გაყიდეს
და მონეტებზე მონასტერის იწყეს შენება.
ურანდავს ნუღარ ეწვალვი და აშალაშინებ,
აზრი არა აქვს უსაძირკვლო სახლის შენებას.

დააკაკუნებ და თვალებში დამიბნელდება,
ლამის მუხლებზე დავეცე და ვიწყო ღაღადი.
ხან შენი მადლი ციდან ისე გამიბევრდება,
ასე მგონია სულში მიდუღს შენი ღადარი.

დედა რომ მყავდეს ახლა გვერდით ასე მეტყოდა,
როგორ შევცდი რომ ჩემს გვერდიდან სხვაგან გაგიშვი.
აზრი არ ჰქონდა იმ ბუდიდან ცაში აფრენას,
ბარემ ჩემს ტანში ვყოფილიყავ გამოკეტილი.

ჩამომალეწა სადარდელმა სუსტი ტოტები,
ეს უშენობაც ამინდივით ისე გახუნდა.
იმ ოლეანდრას, შენ რომ ასე დაჰფოფინებდი,
უშენობისგან ტანი კი არ, ფესვიც გაუხმა.

შენს კალთას მინდა შევეყუჟო, როგორც ღვთის მშობელს,
ცრემლიც აღარ მდის რა ხანია, ისიც გამიშრა,
ერთხელაც არ ვთქვი საყვედური და რადგან მშობე,
მადლიერებით გულისცემა უფრო გახშირდა.

გახშირდა ქარის მოტანილი შენი სურნელიც
და ჩემს ძარღვებში შენი სისხლი ისევ აყივლდა.
ყველა ყალბია, მხოლოდ ღმერთი დარჩა უცვლელი
და გოლგოთაზე ღვთის მშობელი ისევ ატირდა.

* * *

და ერთს კი არა, ათას მთვარეს მინთებ რიჟრაჟთან,
მოდი, ღმერთსავით შემომხვიე შენი ქლამინდი.
თავბრუს მახვევ და ამაცეკვო ცდილობ მირაჟთან,
ცდილობ ღმერთსავით შემიცვალო სულში ამინდი.

ცდილობ ჩამოხსნა ცის თაღიდან მთვარის ნათელი
და სასთუმალთან ლოცვასავით მინთო ჩირაღდნად.
მაშინაც ვიყო შენს მცნებების ცამდე ერთგული,
საკუთარ სხეულს რომ ვტოვებ და გხვდები მირაჟთან.

ჩემი ლოცვა ხარ – ვულკანივით სულში ნადუღი,
ამოფრქვეული, ამომსკდარი ზეცის მიჯნასთან.
ათი მცნება ხარ, ცის კიდიდან წამოღებული,
საღმრთო წიგნი ხარ, გკითხულობ და ვდნები რიჟრაჟთან.

დამხვდი ცის თაღთან მოალერსე ვნების ალმურით
და ერთს კი არა, ათას მთვარეს მინთებ რიჟრაჟთან...
მაშინაც ვიყო შენს მცნებების ცამდე ერთგული,
საკუთარ სხეულს რომ ვტოვებ და გხვდები მირაჟთან.

"აღსარებისთვის ვეახლე უფალს"

უკვე იმდენი დამიგროვდა ერთად, სათქმელი,
თქვენ მიპასუხეთ:– ვის მივმართო,თუ არა უფალს?
მან გაარჩიოს ცოდვა-მადლი,არქვას სახელი,
შემინდოს ცოდვა,აღსარებისთვის ვეახლე უფალს.

ხანდახან ისიც გვავიწყდება,თუ რისთვის ვსუნთქავთ,
რაა ცხოვრება, წუთისოფელში მოგვიყვანს სტუმრად.
ჩვენ კი ვდგევართ და მოწყალებას ვეძახით ხურდას
და უმიზეზოდ მოვუყვებით წუწუნს და ურვას.

მარტო ტაძარში სიარული ვერ შეგვცვლის გულქვას,
იქნებ ჩვენს გულზეც გაიაროს უფალმა სტუმრად.
გვასწავლოს ლოცვა,რაც ოდესღაც ჩვენს მამებს უთქვამთ,
დაგვაახლოვოს ჩვენს დაკარგულ უხილავ სულთან.

უფალო მოდი,დავიღალე იმით,რომ ვსუნთქავ,
კვლავ შემაშველე შენი ხელი დაცემულს,მწუხარს.
გრძნობის სასმისი დამაძალე დამაშვრალს, მწყურვალს,
მომეცი ძალი,შენი გზებით მატარე მუდამ.

სიყვარულია – აქამდე რომ გაგვაძლებინა,
სიყვარულია – ღალატი რომ დაგვათმენინა.
სიყვარულია – ტაძრები რომ აგვაგებინა
და ბილიკებზე ია ვარდი დაგვაგებინა.

ისედაც ვიცით,ყველა გზა რომ ტაძართან მიდის,
მოვედი ღმერთო,მიმიღე შენი უძღები შვილი.
შენ შემოგჩივლებ,ისე მიყვარს,რომ სული მიმდის,
მადლობა შენ,რომ სიყვარულის მომეცი ნიჭი.

რწმენა მომეცი,ვემსახურო სიკეთეს, უფალს,
მიყვარდეს ისე,გაუკვირდეს თავად უფალს.
მომეცი ძალი,დავეხმარო დამაშვრალს,მწყურვალს,
შემინდე ცოდვა,აღსარებისთვის ვეახლე უფალს.

ჩემი ლექსი...

ჩემი ლექსია გულს ცეცხლად რომ
შემოგენთება
დამერამდენედ გაგიტაცებს სულის
ტაძარში.
ჩემი ლექსია ასტრალში რომ
შემოგეფეთა,
რამდენჯერ კვალზე დაგაყენა გზიდან
ამცდარი.

ჩემი ლექსია გულწასულს რომ
შემოგეშველა
და ლოცვასავით დაიარა თიხის
ტაძარი.
ჩემი ლექსია ლაჟვარდზე რომ
წამოგეშველა,
ანგელოზებთან გათამაშაყრმობის
აკვანში.

ჩემი ლექსია პირჯვრიდან რომ
გარდმოესვენა,
ჯვარზეც შენს ნაცვლად ეწამა და
დარჩა მართალი.
ჩემი ლექსია ტაძარში რომ ხატად
ესვენა
და გზას გინათებს სიბნელეში
როგორც ლამპარი.

ჩემი ლექსია მცნებებად რომ
შემოგელექსა,
გაგიიოლაბევრჯერ გზებიღვთისკენ
სავალი.
ბევრჯერ ჯვარს გაცვა და ტკივილი
დაგათმენინა
და მერე ისევ აღგადგინა ცამდე
მართალი.

მეტი წმინდა რა უნდა გითხრა...

მიგზავნი ჩიტებს აივანთან, მიმღერონ დილის საარი,
რომ სიყვარულით გამითენონ რძისფერი დილა.
მერე უშენოდ გათენებულ დღეებს ვითვლი და
მკლავს მონატრება ლოცვასავით წრფელი და წმინდა.

ავაგე შენში ჩემი რწმენის თავშესაფარი,
როგორ ვარ იცი? როგორც ხატებ აყრილი დილა.
გარდამოსული მირონივით – შენი საარი,
სტროფებად წამსკდარ სასწაულად მიღებავს რიჟრაჟს.

დაივლის სულში შენი მრწამსის ყველა აკორდი,
მკლავს მონატრება ლოცვასავით წრფელი და წმინდა.
ისე ახლოა ჩემი სულის ყველა უჯრედი შენს სულის
მრწამსთან მეტი წმინდა რა უნდა გითხრა.

რომ სცნობოდი...

შეიმოსები მლოცველივით თეთრი მანდილით,
ახლოს დამირჩი სანამ ხორცში სული ბინადრობს.
უფლის სიტყვა ვარ, ღმერთში ყოფნის დიდი წადილი,
შენი მირონი ჩემს ძარღვებში დუღს და მინავლობს.

რა სათუთი ხარ, კვირტებს მომსკდარ ვნების რითმებით,
სულშიც ნეტარი ქარი დაჰქრის მარტის საკვირტედ.
ჩამოქნილი ხარ სანთელივით უფლის თითებით,
გადაგღეღია მეძავივით მკერდზე საკინძე.

ამოყრილი გაქვს უფალივით ტერფზე ძარღვები,
დაგიკოცნიდა (რომ სცნობოდი) ალბათ პილატეც,
იყო ჩვენს შორის – ბევრიც მცველი, ბევრიც გამცემი
და ათი მცნება, მაგრამ ერთიც კი არ ვიწამეთ.

ახლაც იუდა ჩასახლებულს მეწვის ძარღვები,
ჯვარზე აყვანილს ნუ დამტოვებ ასე, დილამდე.
ადამიანად მოსულ ღმერთის დამყვა ნაღველი,
მან ჯვარზე მყოფიც დამაბრუნა დადამიწაზე.

ნანა გიგუაშვილი
პოეტი

მეგობარს

ამ გამჭვირვალე გულში გინახავ,
ვით კესანების ვარდისფერ კონას,
რას ვისურვებდი უფრო უკეთესს,
ვიდრე შენფერი მეგობრის ყოლას.

სულში ზეიმით შემომისახლდი
და მისტიური ლოცვა დაფინე,
თანაზიარი ბედის ფარაჯა
ცის სამზეოზე გადმოაფინე.

ჩასაფრებული მიფანტავ დარდებს,
შემომიძარცვე სევდის ფენები,
რა უნდა გითხრა, რომ გაგახარო
საპირწონე და მოსაფერები....

ამ გამჭვირვალე გულში გინახავ,
ვით კესანების ვარდისფერ კონას,
რას ვისურვებდი უფრო უკეთესს,
ვიდრე შენფერი მეგობრის ყოლას.

მოსულია უფლის სიტყვა

აჯანყდა სულში გონება,
ფარდა ეხდება სიმართლეს,
28 წელიწადია გვამცნობს
და ველით სინათლეს.

ქართულო გენო იფხიზლე,
არ იცი ვისგანაც რას ელი,
რწმენაშიც გვემუქრებიან,
კარდაკარ დადის
,,რასელი,,

სავლე თუ პავლედ არ იქცა,
არაა ჩვენი საშენი...
მარტო სამშობლო კი არა
მთლად სამყაროა საშველი!

ნინევეს მსგავსად ცოდვილებს
იქნებ გაგვეხსნას გონება,
მოვინანიოთ ცოდვები,
უფალს ვუჩვენოთ გოდება,
თორემ იქნება გვიანი,
გენი რომ დაიკოდება.

* * *

მთელი სამყარო ხარ მუჭში ჩატეული,
ზღვა სიყვარული და ღამე გათეული,
მასწავლებელი ხარ წლები ათეული,
დედის ჭაღარა ხარ, მამის კვალეული.

ჩემი ბავშვობა ხარ საგზლად აკიდული,
ლამაზ ვარსკვლავებად ცაზე გაკიდული,
ტკბილი მოგონება ლექსად გარითმული,
დიდი მონატრება გულში გარინდული.

ახლა ზეციური ცოდნის მესვეტე ხარ,
ჩემი მონატრება ელდადაცემული,
უფალს ვევედრები ცაში დაგიმკვიდროს
შენი სამყოფელი ჩვენში გაცემული.

ხსოვნა

წინ მომავალია სიცოცხლით აღსავსე
და უკან ცხოვრების შტრიხები მუქდება,
ჩუმდება ყოველი წუთის აღწერილი,
ძვირფასი დღეები ხსოვნაში ჩუქდება.

დრო მიდის უცნაურ მწუხარე ხალისით
და ჩემში ამ დროის სიმღერა ღაღადებს,
სულის სიღრმეში ის, რაც მიხარია,
რისი გულისთვისაც მივყვები აღმართებს.

წინ მომავალია სიცოცხლით აღსავსე
და უკან ცხოვრების შტრიხები მუქდება....
ჩუმდება ყოველი წუთის აღწერილი,
ყოველი სიკეთე ხსოვნაში ჩუქდება.

* * *

აქ ავტირდები...ცას ავტკივდები,
ჰაერი სუნთქვას ხვნეშით დაიწყებს,
სიტყვად მოვალ და გამოვვლინდები,
მუზების რაში საბელს აიწყვეტს.

მოვალ სიმღერად,წვიმად ზაფხულის
გამოვაცოცხლებ ნამით ბალახებს,
გადავიკითხავ ლექსად დაწერილ
სიტყვას, რომელიც წამით მალაღებს.

მთლად მივენდობი მაღალ შემოქმედს,
შემოვინახავ მუზებს კიოდად...
მე ის ლექსი ვარ, რაშიც უფალმა
გამოამწყვდია, რაც კი მტკიოდა.

ჩვენი ცხოვრება ცეცხლის ალია,
თანაცხოვრება ცეცხლის ღადარი,
თუ სიყვარულად აქ არ მოსულხარ
მაშ არსებობის აზრი სად არი?

ადამიანო

წამმზომი ჩართულია,წამია ცხოვრებაც,
დოლაბი ტრიალებს, ნაფქვავი ბევრდება...
მალე სამყაროდან დადგება გასვლის დრო,
შენი არსებობა შემოგაბერდება.

მაშ რისთვის მოხვედი, თუ არ იღვიძილე,
შენი ნამცეცობა მთებად თუ არ ქმენი,
ისე იცხოვრე რომ ღმერთმა შეგიყვაროს,
ყველგან სიკეთე და ყველგან მადლი ქენი!

*

შენს მონატრებას, შენს თვალებს სათნოს
ვუცქერ და სულში სიცოცხლე მაკრთობს,
ამ ბედისწერის შარბათი მათრობს,
შენი სურათის სხივიც კი მათბობს.

მათბობს და მიხმობს სუსხიან ქარში,
შენი ღიმილი ჩასმული დარში,
მე ისევ შენი პატარა ბავშვი,
დავეძებ ნუგეშს დუმილის ხმაში.

მინდა ყველა დედა ძლიერი და მებრძოლი იყოს.

ნუ ჩაკეტილხარ ტკივილში,
ნუ ჩარჩენილხარ ხანში,
გააღე გულის კარები,
მზეს მიესალმე კარში.
გამოიტანე დარდები
გამოერიე ხალხში,
სუყველას შეუღიმილე,
სითბო დაურთე ხმაში.

სამყარო ასე შეგამჩნევს,
ასე მოხვდები თვალში,
ბუმერანგივით უკანვე
შემოგიბრუნებს წამში
და გადიქცევი სიკეთედ
დარდი გაცვდება ქარში,
ცისარტყელებად დაფინე
რაც იმალება ქალში.

ღიმილით შეხვდი ტკივილსაც,
მტრის წინ აფენილ ფარში,
სამშობლოს გადასარჩენად
იყავ მებრძოლი ჯარში!
ქართველი ქალის დედობა
დიდებად ადის ცაში,
გარდაცვალების შემდეგაც
კვლავ იბადება ცვარში.

სანამ ხარ ისევ იბრწყინე,
წვიმის წვეთების ნამში,
სანამ უფალი გვამყოფებს,
ნიჩბებს მოუსვი ნავში,
გაცურე ხალხის გულამდე,
ჩვენი დედების კვალში,
მერე... სამოთხეს იხილავ
შენი შვილების თვალში.

სხვა დროა, სხვა ჟამი...

ისევ ის გოგო ვარ, წრფელი და ხალასი,
გულში სიყვარული დამყვება უფლისა,
წლებიდან მომესმის შრიალი ფოთლების,
ხმაური დიდ სახლში, ტკაცუნი ბუხრისა....

მეც გამოვიარე ბავშვობის სიამე,
მერე სიყვარულის და ჟამი მწუხრისა,
მეცა მაქვს ცხოვრების ტკივილი ნაგემი,
წუხილი მამულის და დედის გულისა.

სხვა დროა, სხვა ჟამი, მეც არ ვარ პატარა,
სიმართლემ შეაღო კარები სულისა,
ვებრძვი არსებობის ჩაკირულ სიმრუდეს,
ერის ჩაძინებამ მთლად გამაგულისა!

სინანულს მოვუხმოთ, თორემ დატრიალდა
შეფუთულ სიბილწის სურნელი ფულისა,
თუ არ შევინანებთ ცოდვებს ქართველებო,
ტოლობა ჩვენს ყოფას ექნება ნულისა.

გაცვდა შემეცნების სქელი თავსაბური,
დრო დადგა ყანებში ახალი ხნულისა,
ვ ი ნ ა ნ ო თ !
ვ ი ლ ო ც ო თ !
რომ დედამიწაზე
დაგვიდგეს დრო მშვიდი და საიხარულისა.

მაღალო ღმერთო

ასი ცის მაღლა,ათას ცის მაღლა,
ათი ათასის, უფრო უშორეს,
თუ სადმე ვარ და მანდედან ვჩანვარ,
ჩენს არსებობას თუკი იწონებ...

სამყაროს ერთი წერტილიც თუ ვარ,
ან დედამიწის ერთი მისხალი,
სათხოვარი მაქვს გული დამიდე,
ხილვა მომეცი, რამე მითხარი.

რამ ჩააძინა ერი ტკივილში,
რატომ არ ისმის სიტყვა ფხიანი,
რამ დაადუმა სიბრძნის სამრეკლო,
მრავალჟამიერ მრავალხმიანი.

ღმერთო გავედრებ მიწას დაკორტნილს,
არწივის გულით გამოვფენ დროშას,
შენ მოგვიტევე და დაგვილოცე
ქართული გენის ყოფნა-არმოშლა.

გულში იმედის მიდუღს ჩანჩქერი,
ჩქამად მოქაფულ ტალღებს ვიზიდავ,
მე ვარ სიცოცხლის მცირე ნამცეცი,
ერთი ციდა ვარ მტვერი მიწისა.

სული მიყივის ქართულ გენიდან,
ქართულ ენიდან მოდის კივილით:
ახლა ჟამია გადარჩენისა,
მოვინანიოთ ერის ტკივილი!

მუზას

ქურდივით ჩუმად მოდიხარ,
შუაღამეა როცაო,
მიფორიაქებ გონებას,
არ შეგიძლია მოცდაო...
ისედაც ღამეს ვათენებ,
მაცალე დილის ლოცვაო,
ფიქრებში გაიხლართები,
მომიწყე მე გამოცდაო.
არადა არ ჩავიჭერი,
არ ვუღალატე შნოსაო,
ისეთი ლექსი გავჩარხე,
ბევრად აჯობებს ჭორსაო.

დავით ძნელაძე – თეატრის რეჟისორი;
დაბადების ადგილი – ქობულეთი.

გული და სიყვარული

გულში ცეცხლი ანთებულა,
იწყება აგონია...
გაუსაძლისი ლოდინი
და ბედის ირონია.

სიყვარული ლოცვა არის,
გულში ჩასაკონია,
სიყვარული ტრფობა არის,
ვნება და ჰარმონია.

მოფერება და ალერსი
არასდროს მომკლებია,
სიყვარული კვლავ გიზგიზებს
ალი გადმომდებია.

გულო, ჩადექ საგულესა,
გულო, ნუ გეშინია,
სიყვარული შენ გეკუთვნის,
სიყვარული შენია.

წითელი ეშმაკუნები

წითელი ხელთათმანებით,
წითელი ქოლგით ხელში,
ტუჩზე წითელი პომადით
ქალი ჩავიგდე ხელში.

წითელი ეშმაკუნები
უხვად მომრავლდა ჩვენში,
წითელი ღვინო დავთმე და
ის ჩავიკარი მკერდში.

წითელი სანთლის შუქზე,
წითელი გრძნობა მჭარბობს,
ველური სულის პატრონს
წითელი ბაგე მართობს...

წითელ ყაყაჩოს ვეტყვი
შავი თვალებით მზირალს,
რომ, მე სხვა მიყვარს, მაგრამ
წითელი ფერიც მიყვარს.

ნატვრის ახდენა

ერუდიცია მაძლევს უფლებას,
რომ შენ გეტრფოდე – წილნაყარს ღმერთთან.
აგერ გიტარა და აგერ დოლი,
მინდა ბოლერო ვიცეკვო შენთან.

... ზოდიაქური სინათლის შუქზე,
(ისე ლამაზად ათოვდა ნუშებს).
ქვემოთ შენ მყავდი, ზემოთ ვესპერი,
მახსოვს ის ღამე, სხვა არაფერი.

* * *

დღესაც ყველაფერი გახსოვს,
ქალო, ამოსულო ზღვიდან,
დღესაც ყველაფერი გჯერა,
ჩვენი სიყვარულის დღიდან.

შენი ანგელოსი მართობს,
შენი ოცნებებით ვმღერი,
ისე შემიყვარდი, ქალო,
როგორც – გალაკტიონს მერი.

ახლა სიახლოვე მათბობს,
ხელში მოქცეული,,თათის“,
თვალთა,,ბუდეები“ მათრობს,
უფრო სიახლოვე მათი.

მიყვარს შენი სულის ღმერთი,
კვლავაც დავიფიცებ, მარი...
სხეულს ციცქნა გული ვანდე,
შენ კი – ჩემი გულის კარი.

* * *

შენ თუ მონატრება გქვია,
შენ თუ სიყვარულზე მღერი,
მითხარ, სად გაფრინდა ოცნება –
ჩემი ჩიტბატონა ჩემი.

თოთო გაზაფხულით ხელში,
გელი... რა ხანია გელი.
ოი, იმ თვალების სითბო,
ოი, იმ თვალების ეშხი.

ნუთუ, იმ შეხვედრის შემდეგ,
გაქრა სიყვარული ჩვენი,
ოი, იმ თვალების სევდა,
ოი, იმ თვალების ფერი.

შენ თუ მოგონება გქვია,
შენ თუ სიყვარულზე მღერი,
მითხარ, სად გაფრინდა ოცნება –
ჩემი ჩიტბატონა ჩემი.

* * *

(მ. კ.-ს)

ხორბლისფერ თვალებს
სიცოცხლით ნათელს,
ნანატრ ფიქრებში ჩაღვენთილ სანთელს –
კვლავ მოვიგონებ...

მუსიკის ჰანგებს,
მშფოთვარე ლანდებს,
მის სიმღერებში ჩაფერფლილ აზრებს –
ვერ დავივიწყებ...

გამოწვდილ ალერსს,
მის ბავშვურ სახეს,
გულის სიღრმეში დაგებულ „მახეს“-
ვერ გამოვეხსენ...

ვარდისფერ ბაგეს,
ცქრიალა სახეს,
სანთელს ავუნთებ მის წმინდა სახელს –
მასზედ ვილოცებ...

მეორე ნახევარი

ჩემი რწმენა და სიხარული ხარ,
ღვთისმშობლის ხატი, შობის სანთელი...
ჩემი მეორე ნახევარი ხარ
და ანგელოზი ჩემი მფარველი.

მშობელიც შენ ხარ, დედმამიშვილიც,
ნათესავიც და ჩემი მოგვარეც,
მეზობელიც ხარ, მეგობარიც ხარ,
ჩემი მტერიც და ჩემი მოყვარეც.

ჩემი ენა ხარ, ჩემი მამული,
ჩემი ბატონი, ჩემი მსახური,
ჩემი ჯიში ხარ, ნაღდი – ქართული,
ადათიც შენ ხარ მამაპაპური.

ჩემი მუზა ხარ, ჩემი სიმღერა,
მუდამ სუფთა ხარ, მუდამ მართალი,
ჩემი მეკვლე ხარ ფეხბედნიერი,
არავინ არ გყავს ქვეყნად ბადალი.

როცა მოვკვდები, მე არ გავქრები,
გადავსახლდები თაფლის სანთელში.
თუ მომიგონებ ავკიაფდები,
რომ ჩემი სული იყოს ნათელში.

თუ დამივიწყებ – დავიტანჯები,
გზას ვერ გავიგნებ, დავიკარგები.
ვერ ვიკაშკაშებ, ვერ ვიგიზგიზებ,
ავტირდები და ბოლოს ჩავქრები.

ჩემი ლექსი ხარ, ჩემი სტრიქონი,
ზეცა, ოცნება, წმინდა სანთელი...
ჩემი მეორე ნახევარი ხარ
და ანგელოზი ჩემი მფარველი.

ბაზალეთი

ერთადერთის, შენი მჯერა,
სიყვარულის ბრალია...
წერილებით დამაპურე,
სანატრელო მარიამ.

ბაზალეთი მახსენდება
ყაყაჩოთა ბრალია,
მარწყვობისთვეს ტუჩი მიკრთის,
შენი ტუჩის ბრალია.

* * *

ცისფერი მიხაკი – სიტურფის ზღვარი,
ცისფერი ოცნება – კოშკები გრაალის,
ცისფერი საყდარი – ყინწვისის დარი,
სუფევს მონატრება ლამაზი ქალის.

ცისფერი მიხაკი, ცისფერი საყდარი,
ცისფერი ოცნება და ისევ ქალი...

ნუგეში

როგორ მიყვარხარ, ძვირფასო,
ამას სულ მალე მიხვდები.
ჩემი სუნთქვა ხარ, ლამაზო,
და რა ვქნა, თუკი მინდები.

რამხელა შემოდგომაა,
ღვინო დადუღდა ჭურებში...
შენს ბაგეს დავეწაფები,
რომ კვლავ ვიპოვო ნუგეში.

არ დამემალო არასდროს
დედაქალაქის ქუჩებში,
თორემ თუ სადმე წაგაწყდი,
ისევ გაკოცებ ტუჩებში.

გურამ თამაზაშვილს

სიყვარულისთვის იგალობებს ბაღში ბულბული,
ხის უხვ ჩრდილიდან ისევ ისტვენს გაგიჟებული...
იმ ხმას მშვენიერს, იმ ხმას გრძნეულს, ისევ მოვისმენთ,
მშვიდ აღმაფრენას ისევ ვიგრძნობთ გაკვირვებული.

რა ვქნათ, რომ მუდამ გვენატრება ზამბახის ფერი,
ზღვა სიფაქიზე, სათნოება, ლამაზ ხმაშია...
მერე რაა თუ ჭრიჭინებენ კვლავ ჭრიჭინები
და სინანული ჩვენი ახლა „ჩუმ მაღნარშია“.

დიდსულოვანო, ჭეშმარიტო მამულიშვილო,
ხელს უმართავდით თქვენ გარშემო, ვისაც უჭირდა...
ასე შესძელით ყველასათვის გულწრფელად გეთქვათ: –
„სიყვარულისთვის ქვეყნად მოსვლა ნამდვილად ღირდა“.

... ის ღვთაებრივი გაზაფხული მოგვნატრებია,
და თეთრი ტილო მოქარგული ჩითის ქარგებით...
თქვენი დაკრული „აჭარული“ მოგვნატრებია,
ჩონგურის ჟღერა, ხმის ტემბრი და სუფთა ჰანგები.

„ალილოს“ ფონზე ვეგებებით ყველა შობა დღეს,
„ქართული ხმების“ ფენომენი გულის ძარღვშია...
რამდენ თაობის აღმზრდელი ხართ ბატონო გურამ,
ამ სილამაზის უკვდავება უკვე ხალხშია.

სამების ცაზე ისევ ბრწყინავს თქვენი ვარსკვლავი,
რადგან სიმღერით გაუსწარით დროსა და სივრცეს...
საქართველოში არ ჩაქრება ის კელაპტარი,
რომელიც ტკბილი მოგონების სიყვარულს იტევს.

შეყვარებული ვარ

მოდი გამახარე,
სანამ ვიწვი ნელა...
სიყვარული მინდა,
ჩემო ცუგრუმელა.

ჩვენი შეხვედრები
დროში გაიწელა...
მინდა მოგეფერო
ჩემო პრანჭიკელა.

სხვისი მუზა ხარ და
ჩემი სიმღერა ხარ,
სხვისი ჰანგი ხარ და
ჩემი გიტარა ხარ.

სხვისი დაისი ხარ,
ჩემი აისი ხარ,
სხვისი ვარდი ხარ და
ჩემი მაისი ხარ.

უკვე, დავიბენი,
ქალო, ეს რა მიყავ...
სხვისი თუ არა და,
ჩემი მაინც იყავ.

შენთან ყოფნა მინდა,
ჩემო ცუგრუმელა,
ჩემთვის მიიცალე,
ჩემო პრანჭიკელა.

უწმინდესი

აღსაყდრებაა უწმინდესის, უნეტარესის,
მრევლის სურვილი მაღლა ცაში აზიდულია...
რეკენ ზარები, ჩურჩულებენ ანგელოზები,
დიდება უფალს!... დიდება და ალილუია!...

ხარობს წილხვედრი საქართველო მარიამისა,
ქრისტიანული სიყვარულის ზეობს უფლება,
ტაძარში ახლა მლოცველების ისმის გალობა
და ზარ-ზეიმობს სულიერი თავისუფლება.

საყოველთაო ნათლობაა საქართველოში,
ყოველ მესამეს და შემდგომ შვილს ნათლავს ილია,
ქართველი ერის გამრავლების ამ დიდ საქმეში
უნეტარესი პატრიარქის დიდი წვლილია.

სულიერების კერებია ბავშვებისათვის,
წმინდა წიგნები იბეჭდება ქართულ ენაზე,
ლოცვით ხვდებიან ყმაწვილები ცისმარე დილას,
,,ავე მარია“ იმღერება ქართულ სცენაზე.

მისი კურთხევით გზა ხსნილი აქვს ქველმოქმედებას,
სულიერების განმტკიცებას რომ მოხმარდება,
ქრისტიანობა უდიდესი სიყვარულია,
უსიყვარულოდ საღვთო საქმე არ მოგვარდება.

მისთვის ჯვარცმის და გოლგოთის გზა საქართველოა,
ღმერთის რჩეული, საუცხოო ქართველთ ალაგი,
წმინდა სამების საკათედრო ტაძარი ბრწყინავს,
ბედისწერაა საყვარელი თბილის ქალაქი.

ცხრა აპრილს, როცა განსაცდელი უზომო იყო,
მომიტინგეებს გვერდით ედგა მებრძოლ მამაოდ,
დაღუპულთათვის აღავლინა წირვა-ლოცვები,
ხოლო დაჭრილებს დაეფინა წყლულზე მალამოდ.

ჩვენთან არს ღმერთი! საუკუნოდ, აწ და მარადის,
მძიმე განსაცდელს გადავურჩით აქამდე მრავალს...

კაი ქალის ლოდინში

ჩაგიცმია მოკლე კაბა,
დადიხარ იპუწკები,
კაი ბიჭის დანახვაზე
უცებ ეიბურხლები.

შუა-შუა გაგხლეჩია
ვარდისფერი ტუჩები,
ამდენ ალერსს როგორ უთევ?...
რეიზა არ იხურჩები.

მუდამ თავს დაგტრიალებენ
სექსი-შმექსი ბიჭები,
,,ლამაზი ქალი სხვისია“,
შენც ამიტომ ირჯები.

ხელისგულზე გატარებენ
ჯუნგლი-ბუნგლი ბიძები,
სანამ ყავლი არ გაგივა
სულ ამ დღეში იქნები.

ოქრო გოგოს აგიჩურჩხლავს:
ვერცხლი, ბიჟუტერია...
დოლარს ვინც არ გიწყალობებს
ყველა შენი მტერია.

ჩასაბურჯღნი არსება ხარ,
საყვარელი ფერია,
შენი ფასი ვინც არ იცის,
ის უბრალოდ შტერია.

უკვე შენზე აფანატებს
აჭარა და გურია,
ყველას შენთან ყოფნა უნდა,
შენი ნახვა სწყურია.

ასეთი რა მაგნიტი გაქვს

აუცილებლად გაბრწყინდება ივერთ ქვეყანა,
რადგან ასეთი პატრიარქი გვიკვალავს სავალს.

დებო და ძმებო, ყური ვუგდოთ უწმინდესს ჩვენსას,
მის ქადაგებას, შეგონებას, გამონათქვამებს,
ღვთის რწმენითა და სიყვარულით, სიკეთით, მადლით,
ვიაროთ ერთად და ჩვენ მტერი ვერ დაგვამარცხებს.

ლექსებად მოვალ

მე ვერ შევძელი გამეწირა თავი გმირივით
და ვერც გონება ჩავამწყვდიე ბოთლში ჯინივით.
ვეძებდი შვებას, მაგრამ ვპოვე ვნება პირიქით,
თეთრმა პეგასმა მომატარა ზეცა ჯირითით.

ბედს არ ვემდური, ვეფერები სტროფებს შვილივით,
სულ მათთანა ვარ, არასდროს ვარ განდეგილივით.
ამ ცხოვრებაში ვერ დავრჩები შავ წერტილივით,
ლექსებად მოვალ, ავფეთქდები მეც აპრილივით.

ყველა მოვკვდებით კანტი-კუნტად ადამის ძენი,
აღესრულება სააქაო ლამაზი დღენი...
და როცა სული დათმობს სხეულს, ნათელი ჩვენი,
წიგნად დარჩება ამ ქვეყანას პოეტის ძღვენი.

ყველა კაცს რომ იზიდავ?...
ბოლოს ვინცხა გადაგყლაპავს
ამიტომაც ჭკვით იყავ!...

მოსვენებას არ გაძლევენ
ეგზომ მრუში კაცები:
მელეხები, ბანკირები,
,,ქოცები“ და,,ნაცები“.

... მექალთანე ცოტა მეც ვარ,
არ გეგონო ნიმუში,
მოფერებას მეც ვახერხებ
და არა ვარ პირქუში.

ჰოდა, სულს ვერ ამოვიძრობ
კაი ქალის ლოდინში...
ევრო-დოლარს მეც გაჩუქებ
შეგიძვრები ლოგინში.

ფოთი

ამდენ ვარამს გადაურჩა
გამძლეობა ყოფნიდა...
ის,,ფაზისის“ მემკვიდრეა
და ჩვენამდე მოვიდა.

ევროპული კარიბჭეა,
ნიკოლაძის კერაა...
სპორტის დიდი ქომაგი და
ქვეყნის აღმაფრენაა.

ფოთის საკათედრო ტაძარს
ანალოგი არა ჰყავს,
ძველ შუქურას, ღამის მეკვლეს,
კვლავ გემები გადაჰყავს.

,,ოქროს ტბას“ და,,პალიასტომს“
აბა, რა შეედრება...
,,კოლხეთის მზე მიცოცხლეო“
მიწა ცას ეედრება.

შემიყვარდა ეს ქალაქი,
მისი სითბო თან გამყვა...
მენატრება,,ნახუტური“,
,,ნაბადა“ და,,მალთაყვა“.

არასოდეს მომწყინდება
მისი მზე და ბუნება...
პარიზული საათის და
ჰორიზონტის ყურება.

მიწიერი საუნჯე

ცოდნით თავი მისკდებოდა
მინდოდა რომ მეღვაწა...
ჩემი ქვეყნის სამსახურში
ბედი მეც რომ მეცადა.

ვისაც ვთხოვე ყველამ ზურგი
შემაქცია მაშინვე.
–,,ჭკვიანები არ გვჭირდება
წადი სხვა შეაშინე".

ჰოდა, რა ვქნა, მეც კაცი ვარ,
ავკაცობა არ მინდა,
მიამიტი პოეტი ვარ,
სხვისი სკამი რად მინდა.

კიდევ კარგი ერთგული ვარ,
ორგულობა არ მინდა,
მოკლედ, ჩემი მონდომებაც
თავისთავად გაფრინდა.

ღმერთო, ვის არ მივაწვდინე
ჩემი ხვეწნა-მუდარა,
მიწიერი საუნჯედან
შემრჩა მხოლოდ სუდარა.

დიდკაცობა

ამ ცხოვრებამ ფინანსურად გამშლიპა,
დროზე ადრე ვერ მოვქაჩე აღვირი...
ფული მქონდა, თავზე ქუდი მეხურა,
დიდკაცობა არ ყოფილა ადვილი.

ყველა ბანკი მე კისერზე მომაჯდა,
პროცენტებმა ამომარტყა პანღური...
საყვარელმაც ჩემგან პირი იბრუნა,
დავჯექი და ავატირე ფანდური.

ზღვა ქონება, ჩემი უძრავ-მოძრავი,
ახლა ბანკის საცავებში აწყვია...
დამიბლოკეს ყველა კრედიტკარტები,
იქნებ მითხრათ, ხალხო, ამას რა ჰქვია.

დროზე უნდა გავანძრიო ხელ-ფეხი
და ავიძრო ზურგზე კანი ცხრაპირი.
ვიცი უნდა დავეწიო ცხოვრებას,
ამიტომაც სულ ვიცინი, არ ვსტირი.

მარტო ვარ

ღმერთო, რა ცხოვრება მქონდა...
რად დამეკარგა.
ჩემი ნაშოვნი ქონება
სად გამეფლანგა?

მოვხუცდი და დავუძლურდი,
აღარ ვარგივარ...
მერე რა რომ სასწაულებს
აღარ ჩავდივარ.

დრომ თავისი გაიტანა
ჩაიხრიგინა...
რაც ოდესმე მიმღერია
ჩაიღიღინა.

დავავიწყდი მტერ-მოყვარეს
აღარ ვახსოვარ,
ოდესღაც საჭირო კაცი
ახლა მარტო ვარ.

სული მტკივა, გული ტირის,
შვება არსად ჩანს...
საყვარელო, არ დამტოვო,
იყავ ცოტა ხანს.

მეგობრებო, გამამხნევეთ,
ნუ მეფანტებით,
თორემ კაცი მარტო ვრჩები,
არ გებრალებით?!...

ღმერთო, ყველას მიეშველე

ვინ მეიგონა ქალი, ბაღვი,
ვინ იყო ის ჩივთალი...
იმიტეხეს ბელა-ყეზა,
გიმიყარეს ფიწალი.

აქეთ, ბაღვი,,პამპერსს“ ითხოვს,
იქით, ქალი,,პედიკურს“...
მე, საიდან მევიტანო,
სად ვიშოვი ამდენ ფულს.

ტელეფონზე ქალი რეკავს:
მევალეა ჩვენთანო,
-,,ფარას დროზე თუ არ მეიტან,
არ დავწვები შენთანო“.

ღმერთო, ყველას მიეშველე
და მათ შორის მეცაო,
რა ვქნა, ფარას ვერ ვშოულობ,
ვინცხაის თვალი მეცაო.

ქალი თურქეთში გამექცა
იქით გადიბარგაო,
მე კი ბაღვი შემაჩეჩა,
ვაიმე თავი გასკდაო.

,,ჩამომიტყდა ლეღვის ტოტი“,
ჩემთვინ არ გათენდაო...
ნენი, შენი დახმარება,
მართლა არ მაწყენდაო.

ჰოიდა ნენი, ნენიო,
ისევ შენ გიმღერიო,
მახსენდება შენთან ერთად,
უდარდელი დღენიო...

ჰოიდა დელი, დელიო,
ფიშმან კი ვარ ნენიო.
გამშლიპეს და გამატყავეს
დავრჩი მარტო ძვლებიო.

შენ რომ ჩემი გახდებოდე

შენ რომ ჩემი გახდებოდე,
ხელის გულზე გატარებ.
სულ მხიარულს გამყოფებდი,
სევდას არ გაგაკარებ.

შენ რომ ჩემი გახდებოდე,
ყველა სურვილს აგიხდენ.
მხოლოდ შენთვის ვიარსებებ,
სასწაულებს ჩავიდენ.

შენ რომ ჩემი გახდებოდე,
გზად ფიანდაზს დაგიგებ...
სადაც მეტყვი, იქ გაცხოვრებ,
ოცნების კოშკს აგიგებ.

შენ რომ ჩემი გახდებოდე,
სამყაროს მოგატარებ...
ჩემი სულის სიმდიდრესაც,
მხოლოდ შენ მოგაბარებ.

P. S.

ჩემი მზე ხარ, ჩემი მთვარე,
ჩემი მუზის ლამპარი...
ოცნება და აღმაფრენა,
სიყვარულის ზღაპარი.

ლექსი ხარ და სიმღერა ხარ,
ამ გულის გასახარი...
ჩემი სულის მალამო ხარ,
თაფლი ხარ და შაქარი.

ქეთევან ბანდუკაშვილი – ფილოლოგი;
დაბადების ადგილი – თბილისი.

* * *

სიჩუმეში გაირინდა ღამე,
სიო თბილად მოეფერა ხეებს,
მე შენს სახლთან ისევ დავაღამე,
აღარ ვითვლი უშენობის დღეებს.

მთვარეც უკვე გამობრწყინდა ცაზე,
მიაშუქაყველა სახლის სარკმელს,
დღეიდან მე უკვე ვფიქტობ კარგზე,
მიმიხვდები მალე გულში ნადებს.

ამ იმედით ვეთხოვები ღამეს,
მწამს, გამიხსნი შენი გულის კარს,
დავუტოვებ წარსულს ამ ჩემს დარდებს
ველოდები მე ხვალინდელ დარს.

* * *

დღეს პოეტობა მეტად ძნელია,
ან რა უნდა თქვა ახალი?
შენ თუ ლექსა წერ, გასაგებია,
რომ შენ სული გაქვს ლამაზი.

არ შეგეშლება სიმართლის გზა და
არც კაცურ კაცის ღირსება წრფელი,
არ აგებნევა ამ ქვეყნად თავგზა,
არ შეგაშინებს შენ ღამე ბნელი.

გაუმკლავდები ბიწიერ ვნებებს,
შენს აჯანყებულ სულსაც გაუძლებ,
მერე მიითვლი წარსულის დღეებს
და კვლავ გაუღებ კარებს ოცნებებს.

* * *

ლექსს მაწერინებს სევდა,
სულის ტკივილი მწარე,
ირგვლივ რასაცა ვხედავ,
ვწერ სიხარულზეც, დარდზეც.

მე მარტოსული ქალი,
დილით ვიღვიძებ ლოცვით,
მაკეთებინე მადლი,
და არ ამავსო ბოღმით

მიყვარს მოყვასი ჩემი,
მისთვის სიკეთე მინდა,
ალალის გვერდით ვრჩები,
ვფიცავ ჩემს სინდისს წმინდას.

მაკმარე ხალხის დარდი,
დალოცე, ღმერთო, ერი,
აგვიყვავილე ვარდი,
შენ დაგვიმარცხე მტერი.

ᲩᲔᲛᲡ ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲔᲚ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲡ

რა ლამაზი დილა იყო მაშინ,
მზის სხივები ნაზად იღიმოდა,
ის დღე ისევ ისე მიდგას თვალწინ,
ყველაფერი თითქოს გუშინ მოხდა.

ის, დღე მართლაც უჩვეულო იყო,
ერთმანეთს რომ შევხვდით, გავეცანით,
მასწავლებლად ჩამოვედი თქვენთან,
და მაშინვე ძლიერ შემიყვარდით.

დღესაც მახსოვს პირველი გაკვეთილი,
სიყვარულით სავსე თბილი მზერა,
მე ვარ მუდამ თქვენი მადლობელი,
თქვენ ხომ გულში ჩამინერგეთ რწმენა.

ახლა მხოლოდ მოგონებით ვცხოვრობთ,
იმედი კი გულში ცოცხლობს ისევ,
რომ არ ვნახოთ აფხაზეთის მიწა,
ვთხოვ უფალს, რომ არ გაგვწიროს ისე.

* * *

მადლობა უფალს,რომ დღე გამითენდა,
ისევ რომ ვიხილე დილის მზის სხივი,
გულში ნადები დარდი გამინელდა
და ამის შემდეგ არაფერს არ ვჩივი.

ახლა ცხოვრებას სხვა თვალით შევხედე,
სული გამითბო უფლის წყალობამ.
მინდა,რომ მომავალს იმედით შევცქერდე,
ვისმენდე სიყვარულზე გალობას.

მსურს გავიხარო სიცოცხლის გამარჯვებით,
გუშინდელს რომ აჯობოს ხვალინდელმა
და აღარა ვთქვა სიტყვა დანანებით,
გმადლობთ, უფო, თვალი რომ ამეხილა.

* * *

დავაბიჯებ ჩემს მშობლიურ მიწაზე,
ვეფერები თითოეულ მტკაველს.
ისევ ვცოვხლობთ ჩვენი მტრების ჯინაზე,
დამარცხება არ სჩვევია ქართველს.

ბევრი მტერი ჰყავდა საქართველოს,
ბევრმა სცადა მისი დამონება,
ბევრჯერ იქცა იგი სათარეშო
და მაინც ვერ შეძლეს დაჩოქება,

ვერასოდეს ვერ მოსპობენ ჩვენს ერს,
რაც არ უნდა ბევრი სცადოს მტერმა,
თავისუფალ საქართველოს ვუმღერ,
ჩვენი ერი უკვდავია, მჯერა.

* * *

სულში როცა მაქვს სევდა,
ჩემს გრძნობებს ვანდობ ქაღალდს,
ფიქრი ამერევა მეტად,
და მიტრიალდება დარდად.

მწარე ქვითინი ახშობს,
სიტყვა რომ მინდა გითხრა,
მაგრამ არა აქვს აზრი,
ამას ვერ მიხვდები დიდხანს,

ყველაფერს დასასრული აქვს,
ეს დრო შენთანაც მოვა,
სიბერე შენც თავს დაგიკრავს
დაგიწყებს სული თოვას.
და ალბათ მაშინ მიხვდები,
თუ რა ტკივილი ახლავს,
როცა სიყვარულს არიგებ,
პასუხად იღებ ღალატს.



ვალია კვაშილავა – პოეტი

პ ო ე ზ ი ა

პოეზია – ზეცის ძალა,
აღმაფრენის,დიდების,
რითმა-რითმა გადმოცემა,
ყველა ჭეშმარიტების!

პოეზია – უჩინარი,
საჩუქარი რჩეულთა,
სათქმელს ცეკვით მოგიყვება,
ნიჭი გამორჩეულთა!

პოეზიავ გეთაყვანე,
ჩემი სულის საკინძე,
წუხელ ღამით გამაღვიძე,
მისხალ-მისხალ აგკინძე!

მერე მუზამ არ მაცალა,
ძილი გათენებამდი,
შენ რომ არა, შენ რომ არა,
აბა რას დავწერავდი?!

პოეზია – წინაპართა,
სულის მძიმე ძახილი,
პოეზია – საგულედან,
მოსრიალე მარხილი!

პოეზიას და სამშობლოს,
ერთი სული უდგია,
ერს ლექსები წყება-წყება,
საძირკვლად ჩაუდვია!

სიმღერები შეუთხზია,
ღიღინ-ღიღინ ფერებით,
პოეზიას და სამშობლოს,
ერთად მოგეფერებით!

შ ე მ ო დ გ ო მ ა

შემოდგომის ფიფქი ცვივა,
იმერეთის ფანტელი,
და ტალახში მკვდარი ყრია,
ხის ფოთლები რამდენი!

დედას მკერდზე ააგლიჯა,
ქარმა ქარიშხლიანმა,
გულზე ფეხი დააბიჯა,
გაქრა,გაიშრიალა!

და ფიფქივით მიმოფანტა,
ხის ფოთლები რამდენი,
ხეებისთვის ქარი გახდა,
ცხარე ცრემლის დამდენი!

გაყვითლებულ ფოთლებს ქარი,
ურცხვად ფანტავს, ქანაობს,
ატირებულ დედის ზარი,
მიაქვს და მიქანაობს!...

ფ ო თ ო ლ ც ვ ე ნ ა

რა საოცრად ჩქარია
ფოთოლცვენის დღეები,
ფიფქის დასადარია,
გაძარცვულან ხეები.

ქარის ქროლვით პატარა,
ვერ დამალა უბეში,
და იმდენი ატარა,
ჩამხრჩვალი ჩანს გუბეში!

ი ლ ი ა ს ხ ს ო ვ ნ ა ს

აქ მოვედი მთამ ნისლები აიკრიფა,
შორს,მწვერვალებს დავატანე თვალი,
საგურამოს, შენი სახლის აივნიდან,
ვიყურები რომ ვიპოვნო კვალი.

შენს ნაფეხურს აქ დავეძებ,აქ მოვედი,
აქ მოვედი ანთებული გზნებით,
ქართველებო,ბოროტება თქვით როდემდე,
უნდა ზიდოთ თქვენ ამაყი მხრებით!?

აქ ვერ ვნახე შენი კვალი, შენიანი,
წიწამურის გზას დავადგი თვალი,
ბილიკ-ბილიკ მივდიოდი ცრემლიანი,
რომ მეპოვნა ბრძენო შენი კვალი!

შენს ნაკვალევს დატყობია ახლაც სისხლი,
შავი ხელით ჩაგისაფრდა ტყვია,
შორს მწვერვალმა აიკრიფა თეთრი ნისლი,
მაგ სიკვდილს ხომ უკვდავება ჰქვია!

ვინ გესროლა? ვინ იკადრა თქვი ამდენი?
შეაჩერა შენი გულის კუნთი,
,,აჩრდილის" და ,,ყვარლის მთების" დამწერი,
საქართველოს სიყვარულში დუღდი!

შენმა ლექსმა ,,მესმის, მესმის" გამაღვიძა,
ბაზალეთის ტბასთან ვდგავარ ფიქრიანი,
ქართველები ლელთ ღუნიამ გააღვიძა,
შორს მწვერვალი იყურება ნისლიანი!

შენი ნატვრა ნატვრად დარჩა, არ გაცალეს,
შეაჩერეს წმინდა გულის ფეთქვა,
ჯალათებმა ცხელი ტყვია დაგახალეს,
არ გაცალეს სიმართლე რომ გეთქვა!

აქ მოვედი, მთამ ნისლები აიკრიფა,
შორს მწვერვალებს დავატანე თვალი,
ცხელი ტყვია აქ ქართველმა გაიმეტა,
აქ ვიპოვნე შეწყვეტილი კვალი!

შ ო მ ა ხ ე თ ი

(ვუძღვნი მშობლიურ სოფელს)

შომახეთო, მიყვარს შენი ველები,
იელები ყვითლად გადაპენტილი,
წყლის პირებზე მხრებგაშლილი თხმელები,
საძოვრებზე ცხვრები რქებჩაგრეხილი.

მიყვარს შენი ყვავილების სურნელი,
ცაცხვის ყვავილს დახვეული ფუტკარი,
ამ გაზაფხულს,ამ სიყვარულს სულ ველი,
რა ძალა აქვს შეძელი და მითხარი.

მოდი ერთი ამიწერო იქნება,
როგორ შევძლო მოგონებით დატკბობა,
გული ძაფებს დაეკიდოს ფიქრებად,
ორღელეში დარჩენილი ბავშვობა!

რკვიანის პირს მობალახე ბოჩოლა,
ადრე დილით გადენილი ნახირი,
ანკესებზე თევზის წამოკიდება,
ჩემი გულის და ბავშვობის ნაწილი!

შომახეთო, იმ ნაფეხურს გიკოცნი,
ჩემი სულის ნატერფალი გაჩნია,
იმ ბავშვობას ვიცი გადამიკოცნი,
ამიტომაც გიძღვნი რაც გამაჩნია!

მ ო მ ი ლ ო ც ა ვ ს

დეკემბერმა გამოუშვა ფიფქი,
ჩამოყარა ისე,ფთილა-ფთილა,
მე ამ დილით სიხარულებს ვითვლი,
ფიფქი ცვივა ციდან ყირა-ყირა!

წელი მოდის ლამაზი და ტკბილი,
ნაჭერ-ნაჭერ მოდის დიდი სითბო,
მიხარია, სხვას არაფერს ვჩივი,
ცას შევყურებ და სულს ისე ვითბობ!

თოვლის ფიფქმა ახლა გული ათბო,
მას სიცივე დაკარგვის თითქოს,
ო, ამ დილამ ყველა დარდი აქრო,
ცას შევყურებ სამშობლოზე ვფიქრობ!

ამ ახალწელს მოეტანოს ტკბილო,
დიდება და სიხარული ბევრი,
მომილოცავს სამშობლო და შვილო,
ბედნიერი ეს ახალი წელი!

დღეს კალენდარს ბოლო ფურცელს მოხევს,
ჩემი ხალხი ამაყი და ბრძენი,
და ახალ წელს სათნო ხელებს მოხვევს,
საქართველო ბევრი რამის მთქმელი!

მომილოცავს! ერთხელ კიდევ გლოცავთ,
ფთილა-ფთილა მოდის ციდან სითბო,
ცას შევყურებ გეფერებით როცა,
ცას შევყურებ და სულს ისე ვითბობ!

პირველი თოვლი

ახლა ,როცა მარტო ვრჩები,
გულს მიღრღნიან ფიქრები,
უკან დამდევს დარდი შენი,
ნეტავ როგორ იქნები?

ნეტავ როგორ გაგითენდა,
დღე პირველი თოვლისა ?
ვის ფიქრებში დაგათენდა
უპირველეს ყოვლისა?

იქნებ ფიფქმა შეგახსენა
ჩვენი ტრფობის დღეები,
ერთი წუთით შეგაჩერა
დარდიან ფიქრს შეები!

იქნებ თოვლმა შეგახსენოს,
ჩვენი ტრფობის წუთები,
მივდივარ და ცრემლიანი,
თოვლის ფიფქებს ვუცქერი!

თოვლით მაინც გამიხსენე,
ფიფქებს როგორ ვითვლიდით,
რა ვიცოდი სიყვარულიც,
დადნებოდა ფიფქივით .....

ღამეს ვიგონებ...

ამ ღამეს ლექსი შენზე დავგეშე
შენ კი არ გიღირს მგონი შაურად
და ლექსის წერას ბროლის ბაგეზე,
დღეს ნუ ჩამითვლი დანაშაულად.

ყავლი გაუდის ტრფობის ყალიონს,
მალე აპრილი ატმებს შემოსავს
და გადანისლულ ვნების ალიონს
შენი ფერმკრთალი ფრესკა შემორჩა.

სანამ დრო არის, სჯობს სიზმარეულ
კოშკებს ემთხვიო ღამე ეგების.
ღამეს ვიგონებ, ღამეს მთვარეულს,
რომ გაგახსენო თოვა დეკემბრის.

დეკემბრის თოვა შენზე დავგეშე,
რითმას ხედნიან ანაკონდები.
ღიმილს ვერ ვლანდავ მაგ შენს ბაგეზე,
ღამენათევსაც არ მაგონდები...

ფ ი რ ო ს მ ა ნ ი ს მ ი წ ა

მე ფიროსმანის მიწას ვკოცნი,შუბლზე ვემთხვევი,
და რუსთაველის ნაბიჯებზე ნაბიჯით დავალ,
მჯერა ამქვეყნად არ მოვსულვარ ისე,შემთხვევით,
მოვედი კრძალვით,მოწიწებით და ისევ წავალ.

წავიდა ყველა ვისაც მოსვლა დაერქვა მართლა,
წავიდა ყველა სააქაოს არავინ რჩება,
უძლიერესი მთაკაციც კი წვეთივით გაქრა,
ჩვენი ცხოვრება სიზმარია, რა უცბად ქრება!

მე საქართველოს მკერდზე ვკოცნი, გულში ვიხუტებ,
წმინდა ილიას ყველა სიტყვა სულში მაჩნია,
თუკი ჩემს მამულს დავჭირდები მეც დავიქუხებ,
და ყველაფერი დამითმია რაც გამაჩნია!

ჩ ე მ ო ქ ა რ თ უ ლ ო

დედაზე ტკბილო ჩემო ქართულო,
ომგადახდილო და ჭირნახულო,
უდედოდ გავძლებ, უშენოდ ვერა,
ჩემო მაღალო, დიადო რწმენავ!

უდედოდ გავძლებ რამეთუ დედა,
მიმავალია იმქვეყნად ყველა,
შენ კი უკვდავი გადგას ნათელი,
შენთვის დავანთე ყველა სანთელი.

მშობლიურ ქართულს,მშობლიურ ენას
წამართმევს ვერვინ, ვფიცავარ რწმენას,
ვფიცავ წინაპრის განვლილ ნაბიჯებს,
უშენოდ ვერსად გადავაბიჯებ.

ჩემი ტკივილის შენ ხარ მალამო,
ჩემი ოცნების შენ ხარ საფარი,
გამარჯვების დიდო ალამო,
შენა ხარ ჩემი თავშესაფარი!

რატომ მგონია...

ისევ და ისევ სტრიქონს შენთვის ვაშალაშინებ,
შენთვის ვაგროვებ ყაყაჩოებს კვლავაც კრწანისის,
რატომ გგონია უკრწანისოდ ბრძოლა მაშინებს
არა, მე მხოლოდ ვეურჩები ფიქრებს წანისვლის

ტრფობის ცეცხლივით მოვარდნილმა
ძლიერმა ქარმა,
გაზაფხულს ტანზე ჭრელი კაბა შემოახია,
ჟამთა დინებამ გულის დარდი ვერ განმიქარვა,
თვალები შენი გვიან მიხვდი: ჩემთვის მახეა,

რა ვქნა სტრიქონს თუ შენთვის
ვეღარ ვაშალაშინებ
და ვერ გიგროვებ ყაყაჩოებს ველზე კრწანისის,
რატომ გგონია მარტოობით რომ შემაშინებ
ბედმა მოძღვარმა მომამზადა მე
ტკბილ-მწარისთვის

მასწავლებელი

მასწავლებელო,ჩემო ბრძენო მასწავლებელო,
კვლავ თავი შენთან მორიდებით უნდა დავხარო ,
ეს შენ იყავი ხნულში თესლი რომ გააღვივე,
გონების თვალით დამანახე მთელი სამყარო .

შენ ჩემი სულის სამჭედლოში დღესაც ტრიალებ,
მე შენი სიტყვა ჰაერივით მუდამ მჭირდება,
ჩემი გულისთვის სიბოროტეს გაატიალებ,
ხმალით დამიცავ,ვიცი თუკი გამიჭირდება.

შენი იმედით ყველა ტკივილს შევეჭიდები,
შენი ღიმილით მემატება ძალა ულევი,
სამშობლოსათვის ბეწვის ხიდზე დავეკიდები,
სულ დამამჩნიე სიყვარული გამოულევი!

მასწავლებელო,ჩემო ბრძენო მასწავლებელო,
ჩემი აზრების შემოქმედო, ჩემო გენიავ,
არ დაიდარდო,მომავალი ისევ შენია,
ჩვენზე ფიქრებში თუ ჭაღარა გამოგერია!

ყველა ტაძარი შენი ხელით ნაშენებია,
შენ,საქართველოს სიძლიერის კოშკის მგებელო,
ჩვენზე ფიქრებში ბევრჯერ თავზე დაგთენებია,
შენ გაგიმარჯოს, ჩვენო ტკბილო მასწავლებელო!

მხნედ და ამაყად წინ იარე,მხრები აზიდე,
შენი აღზრდილნი გეხვევიან ჩუმი ფერებით,
მეც თქვენთანა ვარ და ოდესმე თუკი დაგჭირდე,
მოვალ და კრძალვით, მოწიწებით მოგეფერები!

უშენოდ

ჩემი ცხოვრება ლექსია ერთი ,
ჩემი ცრემლები ლექსის რითმები,
ქარტეხილების შენა ხარ ღმერთი,
შენ იყავი და კვლავაც იქნები.

მე გაზაფხულის რიჟრაჟზე გავჩნდი,
გვირილების და იების თვალწინ,
რაა ცხოვრება,უშენოდ დავრჩი,
უშენოდ მათოვს,უშენოდ მაწვიმს.

ახლა ზამთარმა სული დაღალა,
ფიფქები ცვივა დაუნანებლივ,
მე უშენობამ ისე დამღალა,
კვლავ ერთად ყოფნას დავენატრები!

თოვლის ფიფქებში მომაგონდება,
შენთან შეხვედრა თეთრი გუნდებით,
ფიქრი დამაწვა მძიმე ლოდებად,
თუმცა ვიცი რომ ვერ დაბრუნდები .....

და მაინც რეკავს ზარი ლოდინის,
უნდა ამოგთქვა სტრიქონად ლექსო,
ზარი ოცნების და მოლოდინის,
და სულში კივის წარსულის ექო .!.....

დეკემბერი დადგა

დეკემბერმა შემომიღო კარები,
სადღაც მთებში ჩამოთოვა ალბათა,
ცივმა ქარმა გამიყინა თვალები,
მერე ტანზე და ხელებზე დამყვა თან!

ქარი ცივი, ქარი შარახვეტია,
იმის თავზე ყველაფერი ახია,
მთვარის მიერ მოქსოვილი ბადე რომ,
შურისაგან ტანზე შემომახია!

მთვარევ,ჩემი ცის და მიწის მპყრობელო,
კვლავ მომიქსოვ გამა მოკლე ღამეა,
მოყვასისთვის გულო დაუშრობელო,
შენთვის ქსოვა სულ უბრალო რამეა.

მომიქსოვე ოქროსფერი მანტია,
წამოვისხა და მინდა რომ ვთბებოდე,
დეკემბერში,განა უკვე მარტია,
ღამღამობით ჩემს სარკმელთან გხვდებოდე!

შენ მონაყოლს სარეცელზე დავიტან,
მომიყევი რაც კი ნახე, რა ხდება,
ამ ზამთარსაც შენთან ერთად გავიტან,
ნაწერი კი საუკუნოდ დარჩება!

გიორგი ჯავახიშვილი – თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი;
დაბადების ადგილი: ახმეტა – მაღრაანი.

გიორგი გიგაურს

(21 წლის ასაკში ცეცხლსასროლი იარაღით დაღუპულს).

მე სურათს ვხედავ საფლავის ქვაზე,
ძალიან მიჭირს, მოვიდე აზრზე,
მთვარის შუქია და კარგად ვხედავ,
თუ როგორ ადევს მის ღიმილს სევდა!
ცაზე ვასკვლავები კრიალებს,
მიწაზე სანთლები პრიალებს,
აქ ყველა შევსვამთ ფიალებს
და ვერ ვიშუშებთ იარებს!
სიმწრისგან ეს გული ტირის,
ტოტები დაუხრია ტირიფს,
სადღაც მიკიოტი კივის,
მემგონი მისი სული ტირის!
სადღაც ბატკანი კიკენებს,
გამწარებული რაში ჭიხვინებს,
ღამის წყვიდიადში ქარი გრიალებს,
ტყეში ნადირი სიმწრისგან ღრიალებს,
მინდორში დარდისგან წყალი ჩხრიალებს
და ვერ ვიშუშებ უზუმო იარებს!
ღმერთო, ეს გული აკივლებულა,
ძარღვებში სისიხლი აყივლებულა,
ირგვლივ ბუნება ატირებულა!
სიმწრისგან ჩვენი გული ტირის
ტოტები დაუხრია ტირიფს!

+++

არასდროს მეცინება, არასდროს მელხინება,
მხოლოდ მეღიმება, მხოლოდ მეღიმება,
გულში მეტირება, სისხლიც მეყინება,
მტერი მერკინება აღარ მეძინება!

განა ძილს ჰპოვებ, თუ შენ გყავს მტერი,
თან ბევრი, ძალიან ბევრი?
წვალობს და სისინებს ბოროტი გველი,
ამ დროს კი ელი, ღმერთის მადლს ელი!

განა ძილს ჰპოვებ, თუ არ ჰქმენ მადლი,
არ ჩამოჰკარი წმინდანთა ზარი,
და არ დაქროლე სიკეთის ქარი,
არ მოიხადე სამშობლოს ვალი?!

განა ძილს ჰპოვებ, თუ ნახე ბევრი
მშიერ –მწყურვალი, ტანჯული ერი ,
თუგინდა მღვდელი და თუნდაც ბერი
გაწვდილი რომ აქვთ ღმერთისკენ ხელი!

მთვარეც მეპარება, ღრუბლს ეფარება,
ვასკვლავებს ემალება, ალიონს ესალმება,
ყველა მეყვარება, სულ არ მეზარება,
ღმერთიც მეხმარება, მეტყობა მღელვარება!

რატომ არ მელხინება, რატომ არ მეცინება,
ჩემი იალქნები ფიქრებში მეძირება!!!

+++

ჩემო ბუხარო, რატომ ჩამქრალხარ,
რატომ არ ისმის ტკაცუნი შეშის,
რატომ აღარ დგას სინათლე ცეცხლის,
რატომ არ ისმის ხმაური ხერხის?
არ მოგენატრა? სიმშვიდე კერის
და გაშავება დაბალი ჭერის?
არ მოგაწყინა სიბნელემ მარნის,
შენს თავზე მდგარმა დოქებმა, არყის,
სიცარიელემ ამ დიდი ყანწის,
შენს წინ დამდგარმა ბოცებმა კაკლის?
სიჩუმეს გირღვევს ხმაური თაგვის.
ჩემო ბუხარო რატომ ჩამქრალხარ,
არ გენატრება დუღილი ქოთნის
და შიგ ჩაყრილი მარცვლები ხორბლის?
შენს ნაკვერჩხალზე შიშხინი მწვადის,
ყოველდღე ცხობა პურის და მჭადის,
შენს თბილ კალთაზე სიმძიმე კეცის,
გარეთ ყმუილი ნადირის მხეცის?
ჩემო ბუხარო რატომ ჩამქრალხარ,
არვის უნდიხარ არავინ განთებს?
ნეტავ ვინ კეტავს დიდ მუხის კარებს,
ადგილს ვინ უცვლის სამფეხა სკამებს,
ვინ ამუშავებს შენს ძლიერ ხარებს?

+++

როცა სამშობლო სიკვდილს ლამობდა,
მაშინ ქართველი ღმერთსა სწამობდა,
როცა სამშობლო ბრძოლის ველს ჰგავდა,
მაშინ ქართველი მაინც ნერგს რგავდა,
როცა სამშობლოს ართმევდნენ შვილებს,
მაშინ ქართველნი აჩენდნენ გმირებს,
როცა ანგრევდნენ ციხეებს, ტაძრებს
თეთრი კირისგან ლამაზად ნაგებს,
როცა სამშობლოს მტერი მტერობდა,
მაშინ ქართველი მაინც მღეროდა!

+++

ზიარ ვიყოთ სიყვარულის ტრფობისა!
ზიარ ვიყოთ სიძულვილის გმობისა!
ზიარ ვიყვოთ წინააღმდეგ მტრობისა!
ზიარ ვიყოთ სისხლისა და ხორცისა!
ღირსეულად, უპირველეს ყოვლისა!

+++

წავალ ხევსურეთს და წავალ ფშავში,
წავალ უშორეს, დაკარგულ მთაში
რა დამრჩენია ამ ცოდვილ ბარში,
ვეღარ შესულან სამოთხის კარში!
წავალ დიდ კლდეზე, ვივლი მთის გზებზე,
ფეხს დავაბიჯებ წინაპრის ძვლებზე,
სანთლებს დავანთებ მათ შექმნილ ჯვრებზე,
მუხ მოდრეკილი ვილოცებ თქვენზე
და მკერდშენგრეულ სამშობლოს ბედზე,
მწარედ დატანჯულ ერზე და ბერზე.
თმა შეთეთრებულს ტკივილი წელზე,
დარდებს დაწოლილს ლოდივით, მკერდზე!
რაღა დამრჩება იმ ლამაზ მთებზე?
ლოცვა, კურთხევა, ტაძრების გზებზე,
რომ საქართველო იდგეს სულ ფეხზე.
წავალ ხევსურეთს და წავალ ფშავში,
დაბადებული, გაზრდილი ბარში
ჩემს სიბერეში ჩემს ჭაღარაში
ღმერთმა მაცხოვროს და მომკლას მთაში!

+++

იყო სუფრა და ლამაზი მაისი,
ახალგარზდების დიდი ხალისი,
იყვნენ სტუმრები და შეყვარებულები,
ვეფხვის ტყაოსანს შედარებულები.
დავლიეთ ღვინო და ძველი ვისკი,
მაშინ ესიყო ბევრისთვის რისკი,
ზოგი ვერ იტანს, ძალიან შარობს,
ზოგი ერთობა და კარგად ხარობს,
ზოგიც ცდილობს, რომ თავი იჩინოს
და განსხვავებით ბევრი ილხინოს,
ზოგი თვრება და სუფთა ვირია,
ზოგსაც, რომ ჰკითხო, ქვეყნის გმირია.
დარდი არ არის, დიდი ლხინია,
მტერმაც წაიღოს ჩვენი ჭირია,
ყანწებსა სცლიდა ვიღაც ღვინიანს
თან ამაყობდა, ჩემი სტილია!
თავი ეგონა გმირთა შვილია,
ასეთი ცხოვრება და ასეთი ლხინია....

*

ვიყო მეომარი, მებრძოლი სულით,
ამას ვინატრებდი მე წრფელი გულით
და სრულყოფილი ამქვეყნის მდგმური,
არ მომერიოს ღვარძლი და შური!
ვიყო სამსობლოს უკვდავი გმირი,
ცრემლმორეული, ქართველთა შვილი!
ვიყო მდინარე, თეთრი გედების და
გუნდის წევრი ლამაზი მტრედების,
ტკბილი ნაყოფი ბაღის, ედემის და
მქონდეს მადლი ღმერთთან ვედრების!
ვიყო თავმდაბალი, მტკიცე, მწყალობელი
და სევდიანი ბულბული, მგალობელი!
ვიყო ეკლესია მაღალი გორის და
მიმდევარი კეთილი გონის.
ვიყო ფესვები ქართველთა ერის
და სიძლიერე სამშობლოს რწმენის!

* * *

იყო სუფრა და ლამაზი მაისი,
ახალგარზდების დიდი ხალისი,
იყვნენ სტუმრები და შეყვარებულები,
ვეფხვის ტყაოსანს შედარებულები.
დავლიეთ ღვინო და ძველი ვისკი,
მაშინ ესიყო ბევრისთვის რისკი,
ზოგი ვერ იტანს, ძალიან შარობს,
ზოგი ერთობა და კარგად ხარობს,
ზოგიც ცდილობს, რომ თავი იჩინოს
და განსხვავებით ბევრი ილხინოს,
ზოგი თვრება და სუფთა ვირია,
ზოგსაც, რომ ჰკითხო, ქვეყნის გმირია.
დარდი არ არის, დიდი ლხინია,
მტერმაც წაიღოს ჩვენი ჭირია,
ყანწებსა სცლიდა ვიღაც ღვინიანს
თან ამაყობდა, ჩემი სტილია!
თავი ეგონა გმირთა შვილია,
ასეთი ცხოვრება და ასეთი ლხინია....

+++

კახი ვარ ბოგანო! კახი ვარ ბოგანო!
გლეხის მსგავსი და ცოტა მომგვანო.
მიბრძანეთ ბატონო!
მიბრძანეთ ბატონო!
რამდენი მოვხნა, რამდენი მოვბარო,
სარეველები ძირში მოვთხარო
ურჩი ტოტებიც დაბლა მოვხარო,
მიბრძანეთ ბატონო!
მიბრძანეთ ბატონო!
გლეხის მსგავსი და ცოტაც მომგვანო.

+++

მფარველ ანგელოზს....

ჩემს სიზმარს გეტყვით, წუხელის ვნახე,
პასუხს არ ვიძლევი კითხვაზე,
ჩემი სამოსი მუხლზე გაცვეთილა,
შუბლიც დამიდია მიწაზე.
ჭერიდან წყალი ისევ ჩამოსულა,
ნელა მოდიოდა ღარებზე,
ჩემი ფაფახი წვიმით გაჟღენთილა
წვეთები ჩამომსვლია ღაწვებზე,
ჩემი ქალმანი სულ გაცვეთილა,
წინდებიც დამრჩენია ბაწრებზე,
შიმშილით სული თითქმის ამომსვლია,
ძლივს შემომისწრეს, წამებზე.
რაღაც შემომესმა, არ ვიცი, რა იყო,
თითქოს ხმა მესმოდა კარებზე,
გარეთ ელავდა, ცუდად ანათებდა
შუქიც ირეკლავდა ფანჯრებზე,
ქარიც კი იყო, უხეშად ქროდა,
ცეცხლსაც აქრობდა სანთლებზე,
სიკვდილი გამახსენდა და
ცრემლიც, მომადგა თვალებზე....
.....
უცებ, ვის ვხედავ, ვინ შემოვიდა,
ვეღარ ვიცანი კარზე.
ნათება იყო! სხივები ჰქონდა!
ლამაზად გაშლილ ფრთაზე.
თითქოს მომეჩვენა, თითქოს დავინახე,
ვიღაცა ეჯდა მკლავზე,
თითქოს ვიცანი, თითქოს ვერ ვიცანი,
ჩემს თავს მივამსგავსე ხმაზე,
ღიმილით მითხრა და მიმანიშნა,
ნახე ვინ გაზის მხარზე.
რა დავინახე! რაღაც რკალივით
ზემოდან ედგა თავზე
მე ვატარებდი, ის მხარზე მეჯდა,
მაშ ვინღა ჰყავდა მკლავზე.....

+++

კახთა ლეგენდა, ხევსურთ მოდგმაში,
სიტყვა და წყობა, აზრი დიადი!
ეს ყველა ლექსი სამყაროს იტევს,
სულის კუნჭულში დგება წყვდიადი.
ბრძანებელი ხარ მუზების ჯარის
და გასაღები სამოთხის კარის,
სახლი აუგე უფალს მიწაზე?
არ დაგავიწყდეს შეწირვა ხარის,
ამხელა სახლი? საკვირველია!
ნაშრომ, ნაფიქრი, გენიის თავის,
ყოველ სტრიქონზე ცრემლი მდის ლამის.
ოხ! როგორ მინდა მოქნევა მკლავის,
ახმაურება ზეციურ ზარის
და დაძახება შენი სახელის,
შატილიონი ლეგენდა არის !!!

+++

ასე შევაფასებ საკუთარ თავს...

უსამართლობამ მიწაზე,
 სულ აქეთ იქით მატარა,
არ ვიცი, ვისთან მივიდე,
ვის უყვარს ხალხის გატანა?
მუხლებს მოვიდრეკ ტაძარში,
ყველაზე ლამაზ ხატთანა,
განგება დამაბერძაღლებს,
ბრძოლას მიცხადებს სატანა!
ფრესკებს დავხატავ ზეცაზე,
აღარ მაქვს მეტის ატანა,
სუფთად მიმიღოს, რომ მივალ
სამსჯავროს ვიწრო კართანა,
სწორი ცხოვრების სავალზე
ახლოს ვერ მიველ კვალთანა,
რას ვიტყვი, თავს ვერ ვიმართლებ
უკვე იქ მისულ ხალხთანა.
ტყუილად დამიტანჯია
წასული ბებო პაპანი,
წინაპრის ღვაწლი გავიგე,
დამაწყებინა ბაბანი,
ვერ გავამართლე იმედი,
მიწას ვამძიმებ რახანი,
ალალი არის ჩემზედა,
ბერდენკის ერთი ჭახანი.

+++

ხარბი ვარ, გაუმაძღარი,
ჩემი სამშობლოს ცქერითა,
ძუნწი ვარ, გამოუთქმელი
ქართული სიტყვა -ბგერითა.
გულზე დარდები მაწვება
ციხე-კოშკების ნგრევითა,
თვალები ამდუღებია
შეუშრობელი ცრემლითა.
მზის სხივი მომიჩრდილია
ჩემი მარჯვენა ხელითა,
კლდეები დამინახია
ფართედ გაშლილი ველითა,
გლეხები დამინახია
თავის ნამგლით და ცელითა,
მეფენი დამინახია
თავის ლაშქარის ხლებითა,
დიდი ტბაც დამინახია,
სისხლს მივამსგავსე ფერითა.
ყველა უსჯულო მოსულა,
მოწყურებული ნგრევითა
ტაძრები გადაუწვიათ
მორჩილი წმიდა ბერითა,
ვაზები გაუჩეხნიათ
გაშენებული ხელითა.
ტყვეები წაუყვანიათ
ქალ-ვაჟთა არდაკლებითა.
ჩემი სამშობლოს მტრებითა,
ჩემი სამშობლოს ნგრევითა,
ჩემი სამშობლოს ცრემლითა,
არ გადავშენდით ერითა!



ლია ხმიადაშვილი – მშენებელ-ინჟინერი;
დაბადების ადგილი – ყვარელი.

***

ფიქრებო, წადით, მომშორდით,
ნუ ამატკიეთ თავი,
შვების მომცემი რომ იყოთ,
გეტყოდით- კარგით,დარჩით.
მზაკვრებს, ბოროტებს მიხედეთ,
გამოაფხიზლეთ დარდით,
იმდენ სიავეს სჩადიან,
მათ რიცხვებს ვეღარ დათვლი.
სამტროდ არ გიშვებთ სიკეთის,
სინდისის ალით დაწვით.
მერე მოდით და გისტუმრებთ,
როგორც სიამის ნაწილს.

****

როდესაც არსებობს ის, ვისაც უყვარხარ,
შენც გიყვარს, ცხოვრება გალაღებს მაშინ,
სიმძიმეს წლებისას ვერა გრძნობ,
რადგანაც
მიჯნურ გულს ვერაფრით, ვერაფრით დაღლი.
სიყვარულს სჭირდება სითბო და ალერსი,
სითბო და ალერსით მას საზრდოს ვაწვდით...
გავიწყებს ტრფიალი წარსულის იარებს,
არ უთმობს შენს გულში ტკივილებს, ადგილს.
ბედნიერებაა, ვინც ცდილობს სიცოცხლეს
შემატოს ელფერი ამ გძნობის განცდით,
გიყვარდეს, უყვარდე, ცხოვრების წესია,
ვიცხოვროთ, ვიხაროთ ამ წესის დაცვით.

****

თავს საოცნებო ფიქრებით ვირთობ,
აღარ მსურს, სევდას ათრევდეს გული,
იქნება ვინმემ შესძლოს სიძულვილს,
რომ გადაუხსნას გზა სიყვარულის.
სიავეს თესენ, მათ სიამაყეს
ძარცვით ნაგროვი სიმდიდრე უძღვის,
რისი სინდისი, ეჯიბრებიან,
ვერ წყნარდებიან მოყვასის შუღლით.
რამდენჯერ გინდა დახუჭო თვალი,
რამდენჯერ გინდა დაგეხშოს ყური,
აღარ შეხედო ცოდვის სიმრავლეს,
აღარ ისმენდე კვნესას ჩაგრულის.
ასე უთქმელად სიმწრის ცრემლებით,
ბუნების საფარს დავუწვით ზურგი,
იქნება ვინმემ შესძლოს ქვეყანას
გადაუკეტოს გზა დაზაფრული.
ცივი თვალების უგრძნობი მზერა,
აჰკიდეს ტვირთად ცხოვრებას მუშტით,
მივკივი იმ დროს, სად დაგვეკარგა,
სიკეთე, სითბო და სიყვარული.
მივენდოთ ასე თვალთმაქცურ ღიმილს,
მტრის გასახარად ვემონოთ დუმილს,
აწყობთ, ვათრევდეთ სიჩუმის ფასად
დაპირებებით ავსებულ ხურჯინს.
ვიფიქროთ როდის, თუ როგორ შევძლოთ,
გარდაცვალება ბოროტი გულის,
ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის,
ასე ვაცოცხლოთ გზა სიყვარულის.

****

ძალებს ვიახლებ თუ ვისგან,
გაგიკვირდებათ, ალბათ,
მარტო არასდროს არ მტოვებს
სასოწარკვეთილ თავთან.
იმდენ ნუგეშებს მიგზავნის
სინდისს ვატოლებ ვალთან,
არც არაფერს მთხოვს სანაცვლოდ,
თანამშრომლობის გარდა.
ამაზე ფიქრიც არ მინდა,
ისე ვცემ თაყვანს მდაბლად,
ასეთი ნდობით მიწვევას
ვთვლი დიდ პატივად, მადლად.
დიახ, სამყაროს შემოქმედს
სურს, ვიმეგობროთ მასთან,
იგივე გულმოწყალებით
გვერდში დავუდგეთ სხვასაც.

****

“ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო”,
ოდესმე...და ახლა...ვინ იცავს საზღვრებს?!
ერი ნახევრდება, ერი არ მრავლდება,
ერი დღემდე ეძებს ღირსეულ მმართველს.
კი მაგრამ, ვის უნდა ჩვენი დამცირება,
ვინ გვაყრის ნაცარს და ვინა გვთხრის თვალებს...
ვინ გაძლევთ უფლებას, ასე გაგვიჭირვოთ,
ლუკმისთვის საშოვარ მათხოვრებს ვგავდეთ...
ყველა ვართ დამნაშავე...ვერ გიერთგულეთ,
ჩემო საქართველოვ! -ხარბებს ბრმად განდეთ,
უფრო უარესის ღირსები ვყოფილვართ,
ბოროტს მართლებისგან, რომ ვეღარ ვარჩევთ ...
-დიდი ყოფილაო, თურმე საქართველო,
-მეტი სიყვარული ჰქონდაო, ქართველს...
დღეს, ხელს რა გვიშლის?!... -
ქვეყნისთვის სად გვცალია?!
-შურით და ბოღმებით ერთმანეთს დავსდევთ...

******

სოფლები ცარიელდება,
ყველა ქალაქში გარბის.
რა სიჯანსაღეს ტოვებენ,
კარგავენ უნარს განსჯის.
ქალაქის პარკებს აწყობენ
სამოთხის მსგავსი ბაღით,
სოფლის სიმწვავე სულ სხვაა,
სოფლისას ნურც შევადრით.
მიტოვებული ეზო ჰგავს
ქვრივ ქალს სევდისგან დაცლილს.
ჩამკვდარი სოფლის ყურება
გულისახეთქად არც ღირს.
ჩემი ბავშვობის დროინდელ
ვნატრულობ სოფლის ხალისს.
ქალაქის მოდნი ცხოვრება
არ აკლდა სოფლის ნაწილს.
მიწაზე შრომა არ უნდათ,
არც მიკვირს-თოხით? ბარით?
უფრო პრაქტიკულს ითხოვენ,
ტექნიკა რადგან გარბის.
გლეხიც ბუზღუნებს- მეშველოს
იქნებ, ქალაქში წასვლით.
თავდაჯერებით დაიდგა
სარჩენად ვაჭრის დახლი...
სოფელი რაღას ისოფლებს,
თუ დაიცლება ხალხით.
პირობებს უნდა ვუქმნიდეთ
გლეხებს საამო გარჯის,
თუ გვსურს აივსოს ბეღლები
გლეხის მარჯვენით, ხვავით;
თორემ გვექცევა ქვეყანა-
ობოლი სოფლის ჯავრით.

******

ძნელია? სიკეთე ვუკეთოთ ერთმანეთს,
სიყვარულს და ბოღმას არ ვსდიოთ კარდაკარ,
მიტომაც ამდენი მშიერი ბავშვია,
სიხარბეს რომ ვაძლევთ ნავარდის გასაქანს.
ნუ ვცდილობთ, ერთმანეთს გულები ვატკინოთ,
ცხოვრებამ ისედაც ზედმეტად დაგვღალა,
ბოროტთა თარეშებს რომ ვუმზერთ მოთმენით,
ქვეყანა ქვეყანას მიტომაც არა ჰგავს.
მსოფლიო უარეს დღეებში ვარდება,
ომებმა სისხლისღვრით მიწები დაღარა,
დროულად დავიცვათ თავები მტრობისგან,
სანამდის სატანის ლუკმები გავმხდარვართ.

******

ოჰ, დედამიწავ, რამდენ ტკივილს გათრევინებენ,
მახვილის ქნევით კალთებს სისხლით როგორ გისვრიან,
შესაგონებლად სათქმელსაც არ გათქმევინებენ,
თვალებს ფერების აკრძალვებით ბინდით გითხრიან.
გულმოწყალების, სიყვარულის ცილისწამებით
გულგრილ გრძნობებში ჩაკარგულნი, ცოდვებს იმკიან,
უძლებ სიბრმავეს თუნდაც მიტომ, რომ ვერ ხედავდე,
ურჩი შვილები უღვთო გზებით როგორ მიდიან.

****

მალე განთიადს, ფეხზე მდგარი ცრემლით შევხვდები,
დარდმა არ მომცა ძილის ნება, ფიქრით გადაღლილს,
გული მატკინეს და ტკივილებს ვერ წავუყრუე,
ასე ზედმეტად ავნო შენ თავს, მართლაც, არა ღირს.
ვიცი, ჩაყოლას რაც მოჰყვება, მაგრამ მივნებდი...
ამ უნდობლობას ძალით, მე, გულს როგორ ავაცლი...
საყვედურების თქმას გაბედავ?! აქეთ გლანძღავენ
და არც იფიქრო, სიმართლის თქმას ვინმე დაგაცდის.
დუმდე, თუ არა, თავს აძალებ, თმენდეს დროებით...
მაინც გავბედავ, ღალატის გზას გავცემ ვადამდის,
სიმშვიდის ძებნას ძალაც უნდა, დროის შეწირვაც,
მით უფრო მაშინ, როცა წყენა საზღვრებს გადადის.

****

ავლაპარაკდეთ, იქნებ გასჭრას სიტყვის სიმართლემ,
იქნებ სიცრუეს ჯაჭვის პერანგს ვახევდეთ ხმებით...
უკვე ვისწავლეთ, უმოქმედოდ როგორ გავწირეთ
სინდისის ქეჯნა, დუმილით და მოთმენის გდებით.
როცა გონებას დაუმონებ არასწორ ფიქრებს,
საქმეებს ხედავ გულისზრახვის დასვრილი მზერით.
შენ, შეიძლება, ისიც, მაგრამ რამდენი ვიცი,
რომ სუფთა გულით არც იმგზავრებს მაგ ბილწი გზებით.
დათვალეთ თუნდაც ათასამდე, მილიონამდე,
აუქციონზე გამზეურდით ნაძარცვი წლებით.
ზარ-ზეიმებით სუფრებს შლიდეთ ხალხის ფულებით,
ამაზრზენია...როცა მშიერს ყოველ წამს ვხვდებით.
ჩვენ იცით, ვინ ვართ?! სამართალი, პატიოსნება,
ყველაზე დიდი სიყვარულის მატარებლები.
ჩვენ ისიც გვესმის რომ მოყვასთან,
თუნდათ მტერთანაც,
საქმეს ვერ ვშველით ჩხუბითა და გადამტერებით...
ავლაპარაკდეთ, ოღონ მშვიდად, უფლის წესებით,
ჩვენს შეცოდებებს და შეცდომებს, მიხედავს ღმერთი,
სინდისის ქეჯნით, შერიგებით დავთმოთ სიხარბე,
თუ მართლა გვტკივა, მართლა გვინდა, შენება ქვეყნის.

****

მოგშივდა? აგერ გაგიშალეს ძვირფასი სუფრა,
ჭამამდე უფალს ამ ძღვენისთვის მადლობა ვუთხრათ,
რამდენ დამშეულს ენატრება ნარჩენი ლუკმა,
ნამცეცებისგან შეგროვილი რომ იყოს თუნდაც.
შეგვცივდა? უცებ გავეხვიეთ შალის საფარში,
ბალიშზეც თავი მივაწვინეთ მსუბუქად, სუფთად,
გარეთ მათხოვარს, უსახლკაროს, ქვაზე ჩათვლემილს,
ნახევრად ჩაცმულს, მშიერს, თოშავს დეკემბრის სუნთქვა.
ვერაფერს იზამ, თუკი ბევრის ცხოვრებას მართლა,
ზღაპრული სახლის ფუფუნება მიეგო უხვად,
მაინც მგონია, ღვთის გამოცდის წინაშე ვდგავართ,
მაძღარი გულით თუ ვეცდებით ღარიბზე ზრუნვას.

****

ნუ მოიწყენ, გენაცვალე,
დღე მზის სითბოს გვაფენს.
ამბორებით ამოგიშრობს
თვალებს, სევდით სავსეს.
ერთი ცრემლიც, რომ შემორჩეს
ღამის ნათევ სახეს,
იმდენ ღიმილს მოგაწოდებს,
ბაგეზე ვერ დატევ.
სილამაზეს ნუ დაჩრდილავ,
დარდით სულს ნუ დასცემ,
ლოცვას გული გააყოლე,
ღვთის მადლს შეგასახლებს.
უფლის ხელით, უფლის რწმენით
მთელ სამყაროს აწევ,
გულის ტეხვა, რას მიქვია,
იმდენ ნუგეშს გასცემ.
მოთმინების გზას გავუყვეთ,
ღვთის იმედში დავრჩეთ,
არაფრად ღირს ეს ცხოვრება,
რომ ტკივილებს ავყვეთ.

****

როგორ მენატრები, დედა,
შენს სურათს ტკივილით ვუმზერ,
გული ამომიწვა ცრემლმა,
შრამი დამიჩნია სულზეც.
შენთან საუბარი მინდა,
ვნატრობ მოფერებას ულევს,
“შვილო გენაცვალოს დედა”-ს
შევრჩი დაობლებულს, უთქმელს.
როგორ შეიძლება გრძნობდე
დრო-ჟამს, გული თუ არ უცემს,
დედის გარეშე სიცოცხლე
დაგქონდეს და არა გძულდეს .

******

გული დაიღალა შენზე ფიქრებში,
ღამეს ტკივილში ათენებს თეთრად,
მისტირის დაკარგულ, უფრთო სიყვარულს,
იქნებ, ნუგეშად ჩემთვის რამ გეთქვა.
ქარისგან გაძარცვულ, თავდახრილ ხეებს
შემოსწოლიათ სიცივე, სევდა,
გული უშენობით კვნესის და დარდობს,
შენი ლოდინის ოცნებით ფეთქავს.
მიწას შეშრობია ცრემლი და იმედს,
ცაზე ღრუბლების ცქერაში ხედავს,
დაკარგულ სიყვარულს რას დაიბრუნებ,
იცის და მაინც შენსკენ აქვს მზერა.

******

არავინ შემაქოთ, არ მითხრათ -"კარგი ხარ"...
ახლა კონკია ვარ, ძიებით დავდივარ,
არ ვეძებ უფლისწულს, არც აქ, არც ზღაპრიდან,
აქაურს ვერ ვგუობ, სხვა ქვეყნის მგზავრი ვარ.

ვესწრაფვი სიმთელეს ჯანისას, სულისას,
ღვთიურ საგანძურებს ყველასთვის სანუკვარს,
ისეთ სიცოცხლეს, სიყვარულს დავეძებ ,
ამ ქვეყნიერების სახეს რომ არ უგავს.

***

სხვისი ცრემლებიც ჩემს ცრემლებში შემირევია,
ნიაღვარივით დასტეხია ჩემს გულს გადაღლილს,
ბევრის სათქმელიც ჩემს სათქმელთან მიმიწერია
და შემიგრძნია, რა ფასიც აქვს-ბევრჯერ წანაკითხს....
მეც მჭირდებოდა, დარდებისგან თავის დაღწევა
და მოვიძიე სულის შვება ლექსში გადაზრდით,
სხვისი ტკივილი ჩემს ტკივილთან მიმიჯაჭვია
და მიმსხვრევია მუზის ხელით სევდის მარაზმი.
არ ვიცი... ალბათ, ერთმანეთის დარდის ზიარით
მსურდა, გაგვეძლო ამყოფისთვისამგზისდანახვით...
იქნებ ბევრიდან ერთმა მაინც იგრძნოს სიმშვიდე
და მწუხარებას თუნდ ცოტახნითუთხრას-"ნახვამდის".

****

ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ თავი შეგძულდეს
და შენს ცხოვრებას სამარე ერქვას,
გული ბოროტად გაგიჯიუტდეს
და უნდობლობას ხედავდე ყველგან.

ანდა საკუთარ თავს დასტიროდე,
აღარ იღებდე ნუგეშებს შვებად,
სხვების სიძულვილს ზედ იმატებდე
და ახარებდე ქცევებით ეშმაკს.

მართლაც, ძნელია ამ წუთისოფლის
დევნაც, გაგებაც და მისი ძლევაც...
მაგრამ ნუ იტყვი, სითბო არ მომდის
და სიყვარულსაც ვპოულობ ვერსად...

ეს მაშინ, როცა უმძაფრეს დარდებს
მოწოლილი აქვს გრძნობების ღელვა,
თავს გაგრძნობინებს, თითქოს მარტო ხარ
და თავს კარგავდე, ეს უნდა მტერსაც.

ყოველი დილა ლოცვით დაიწყე,
ნდობით მიხვიდე კარგია ღმერთთან,
რწმენით, იმედით გზებს გაგაყოლებს
და ეს ცხოვრებაც ვერ დაგძლევს, ვერა.

****

მთვარევ, ტკივილების მოწმევ,
მთვარევ, გამგებელო ღამის,
იქნებ მომაცილო სევდა,
ძილის სარეცელთან მდგარი.
ვარსკვლავებს შესძახო იქნებ,
ცვენით არ მოიკლან თავი,
სურვილებს ვაგზავნი დაბლა,
თმენას ჩავუყენებ კვალში...
აღარ შეგაწუხებ ამდენს,
ჩემი გულის-წყენის დარდით,
ღამის გზირს შენიც გეყოფა,
ცოდვების ყურებით დაღლილს.

****

გულს ნუ დაუჯერებ, გული ვერაგია,
შენს სულს ნუ შეუქმნი საფრთხეს,
ზოგჯერ გაცდუნებს და ისე გაგაბრიყვებს,
აღარ დაგიტოვებს სათქმელს.
სჯობს, რომ მოერიო გრძნობებს უმართავს და
თავი აარიდო სასჯელს,
ასჯერ გაზომეო... -თქმულა ბრძენისაგან,
მართლაც, დაფიქრდება გვმართებს.
გულის კარნახით თუ მუდამ ვიმოქმედებთ,
ზრახვებს უკონტროლოდ გავცემთ,
შედეგს ვერ მივიღებთ ისეთ სასიკეთოს,
საქმე წარმატებულს ჰგავდეს.
კარგად დაფიქრდი და გული შეამოწმე,
გული ვერაგია, გწამდეს,
სულსაც დაიცავ და მთელ შენს ცხოვრებასაც,
თუკი ღვთიურ სიბრძნით ავსებ.

****

სუფთა საქაღალდე კალამს ელოდება,
გრძნობების გადაცემას ითხოვს ვედრებით-
-"გული რომ არ გასკდეს, მოდი დაიღვარე,
თავს ნუ დაიძაბავ , ბოღმას ნუ ედრები".
სათქმელი ბევრია... სულის ტკივილია-
ამდენი დარდისგან დამწყდარი ნერვები.
ვახერხებ ლოცვებით სიმშვიდის აღებას,
თუმცა, ისიც მშველის, ქაღალდს რომ ვნებდები.

****

მინდვრად ჭრელ-ჭრელ პეპლებს ვუმზერ,
გვირილებს ფრენენ ფარფატით,
მომინდა მათი მოკრეფა,
მაგრამ მწერებს ვერ წავართვი.

როცა შებინდდა და მინდორს,
ჩამოეძინა გადაღლილს,
ერთი ყვავილი სიფრთხილით,
ჩემი ცირასთვის ავართვი.

ცირამ ფურცლები გაშალა,
ფანტავდა ჰო, თუ, არა-თი,
-ვუყვარვარ!!-შემომაფრინდა,
რომ გვირილითაც გავმართლდი

*****

უსიყვარულოდ ყოფნა ძნელია,
ხალისს გართმევს და მოწყენას გაჩვევს.
სულის ნაყოფებს ისე გიცვეთავს,
სურვილს გიკარგავს, შენს გვერდში დარჩეს.

ღვთისმოსაობის, რწმენის არეალს
სინდისის ქეჯნით არიდებ სახეს,
დასუსტებული ვერ გრძნობ, ცხოვრება
თავბრუს როგორი სიცრუით გახვევს.

გულგრილობის და წყენის ზიანი,
ვხედავთ, რა მძიმე შედეგებს გვაძლევს,
გადავემტეროთ ქვეყნის ცდუნებებს,
უსიყვარულოდ ვერაფერს დავძლევთ.

******

ზღვის თავზე შემომსხდარან ღრუბლები,
დაუბრაწიათ სიცხისგან თავი,
მზის ჩასვლის სილამაზეს ვუცქერი...
ჩემს თავთან, ძლივს რა სიმშვიდით დავრჩი.
ნაპირთან მოტივტივე ნავებზე
ქანაობს სხივი პირშუქი მთვარის,
ქვიშაში მჯდარი ხელს უქნევს სევდას,
კენჭების სროლით ქაფებშიჩაღვრილს.

ჩამოწოლილი ბინდი ზღვის ტალღებს
ჩამოაძინებს, ხმაურით დაღლილს,
ბოლო სხივებსაც ნაზად აკრეფავს,
ზღვაში გარეცხავს მზე, ცრემლით დასვრილს.
თავისუფალი, გალაღებული
აელვარდება დილასვე ცაში,
ყოველ საღამოს დაიმეგობრებს
ჩემსავით რამდენს, დარდისგან დაცლილს.

****

აი, აქ, გულის ერთ სიღრმეში სევდის გუბე დგას,
ნუგეშს ვიძახებ და ძლივს ცდილობს ცრემლის დაშრობას,
მეც მოთმინებით ტკივილების დაცლას შევყურებ,
თუმც, მაინც ვშფოთავ, რომ ვემსგავსე ნდობით ნაცოდვარს.
დამღალე და ვგრძნობ, დაბრუნების პირი არ გიჩანს,
დაჭაობებულ განცდებს უკვე შმორის სუნი აქვთ,
“სადაც არა სჯობს, იქ გაცლა სჯობს”,-ნათქვამს ავყვები
და არასოდეს არ გავხედავ შენს გზას, გულ- ქვიანს...
ნუ გაიკვირვებ, დიახ, მე ვარ, აღარ მიყვარხარ!
აღარ დავრჩები თვალთმაქცური ტრფობის ზიარში,
მოგონებებსაც წავშლი, ჩავთვლი, თითქოს ვიარე,
ფრთებგაუშლელი სიყვარულით ერთ -ერთ სიზმარში.

******

ჩვენც დავბერდებით, ჭირ-ვარამით გზა გამოვლილებს
წლების სიმძიმე მუხლებიდან წაგვართმევს ძალას,
ჭირვეულობა მოგვაკითხავს უსაქმოდ ყოფნის,
დაღლილ გონებას ბავშვის ჭკუის გაგვიხდის, ალბათ.

“ დიდი ბავშვების “ მოვლა შვილებს გაუჭირდებათ,
“ უჰ” და “ოჰ”-ის თქმა შეეჩვევათ ოხვრად და დარდად,
ვერ გაუძლებენ მშობლის წუწუნს, უცხოელივით,
ვაი თუ, მათაც მიგვაბარონ სხვა ჯიშს და სხვა გვარს...

მხოლოდ ერთს ვითხოვ სიბერეში,
ღმერთო, ერთს, ნატვრად,
მანამ მაცოცხლე, შემწევს თავის მიხედვა სანამ,
რომ არ მობეზრდეთ შვილებს ჩემი უუძლურობა,
ცოდვად არ ექცეთ საფიქრალი, “რა ვუყოთ”, “რა ვქნათ”.

განა იმიტომ, რომ მშობლები გადაგვიყვარეს?!
ანდა არა სურთ შეწუხება ამაგის ფასად?!
ვერა გუობენ ჩვენს სისუსტეს, ჩვენს დაბერებას,
ერთდროს ძლიერნი რომ ექცევათ, აღარ ყავთ ფარად.

****

ბულბულმა უთხრა ფარშევანგს,
რა მშვენიერი რამ ხარო,
დადიხარ ყელმოღერებით,
ველის პრინცესას გავხარო.
ყველა ფრინველი გნატრულობს,
ყველას, მიჯნურად ჰყავხარო,
მეც გეტრფი, ვგალობ შენთვის და
მეც მატკბობს, შენი ნახვაო.
ფარშევანგს ესიამოვნა,
ამ ყურადღებით გარჯაო,
თუმც, ბულბულს ცივად მიუგო,
ვერ გაგიყადრებ, თავსაო.
სად შენ და სად მე, ვერ ამჩნევ?!
სიდაბლით არც კი ჩანხარო,
ხმა კი გაქვს საუკეთესო,
მაგრამ საჩემო არ ხარო.
გული ეტკინა მგალობელს,
სულზე დააჩნდა დამღაო,
ჩამოჯდა ვარდის ბუჩქზე და
მოთქვამდა თავის დარდსაო.
ფარშევანგმა კი დაიწყო,
ამაყად კუდის გაშლაო,
ზედმეტად ქებას სცოდნია,
მართლაც რომ, თავში ვარდნაო.

****

კიბეზე ნელა ადიხარ,
ფრთხილობ ფეხი არ დაგიცდეს,
გრძნობ, განსაცდელებს შეხვდები
დაგებულს მარცხის სამიზნედ.
როგორც არ უნდა ვეცადოთ,
საფეხურს დიდად ავცილდეთ,
ერთერთი მაინც ჩატყდება,
თუ სხეულს ცოდვით ვამძიმებთ.
სახიფათოა, დიახაც,
მარცხია ყოველ ნაბიჯზე,
მხოლოდ სიმართლის ტარებით
შევძლებთ უსაფრთხოდ ავიდეთ

******

სიძულვილმა გზა არ მისცა სიყვარულს,
–სად მიდიხარ?!
შენ არავინ მოგელის,
ბოროტებას ყველგან იმდენს შეხვდები,
შენი სიტყვა მათვის არის ბოდვები...
მაინც შეძლო,
ექადაგა შორიდან,
როგორ ვხდებით ზიზღის,
შურის მონები,
უიმისოდ ცუდ შედეგებს რომ ვიმკით,
ვღუპავთ და შვილებსაც,
–ცოდვებით...
წუხდა,
ბევრმა არ ინდომა მინდობა,
არ მიიღო ყურად მისი თთავსაცხოვნები...
მათმა ქცევამ ბევრი კარგი გატანჯა,
გადაღალა ამ ბოროტი ცხოვრებით.

****

არ მეძინება, ფიქრთა ლაშქარი
გრძნობათა ღელვით მიტევს ,
ბრძოლას მიცხადებს ღამის სავალზე
და მეც ფხიზლად ვარ ისევ..
რაც უფრო წლები ასაკს მიმატებს,
ძილთან ჭიდილი მიწევს,
წარსულის გზიდან ვერ გავაღწიე,
ვწვალობ, გავშორდე იმ წლებს...
რამდენი რამე წასაშლელი მაქვს ,
რამდენს ვასწორებ კიდევ...
ნეტავ შემეძლოს დროის დაწევა,
თავიდან ავყვე კიბეს.
ახალგაზრდული წლიდან ბევრ რამეს
დავამგზავრებდი სიბრძნეს,
სადარდებელიც არ ექნებოდა
ამდენი, ღამის ფიქრებს.

****

მარტო არ დარჩე შენ თავთან დიდხანს,
მწარე ფიქრები აგავსებს დარდით,
გულისტკივილი დაგიწყებს ჩივილს
და დაგიკარგავს სიცოცხლის ხალისს.
მერე ყველაფერს უბრად შეხედავ,
წყენის სიმრავლე დაგრთგუნავს, დაგღლის...
ამ წუთისოფლის დროის დახარჯვა
მწუხარებაში ნამდვილად არ ღირს.

****

არ მინდა...ავღელდი სიბრაზით... შემეშვით,
გამორთეთ, არა მსურს მოსმენაც, ყურებაც,
სულ ცუდი ამბების ცქერაში შევწუხდი,
შემძულდა არხები, რაც არის სუყველა.
ფილმებიც სისხლის ღვრის კადრებით
გვზაფრავენ,
რეკლამის სიმრავლით გვირევენ გონებას,
მოდური ტექნიკის ცდუნების აყოლით
ნამდვილი ცხოვრება გვიხდება ოცნებად.
პოზიტივს ვერ ვხედავ, სად არის სილაღე,
სულ ვშფოთავთ, სულ მესმის კვნესა და გოდება,
სიყვარულს, სიმართლეს ვუმრუდებთ სავალებს,
ვურთულებთ, ან ვბლოკავთ– ესაა ცხოვრება?!
ყველაფრის მოსმენით, ყველაფრის დანახვით
ვაგიჟებთ ბავშვების უწყინარ ბუნებას,
გართობა, სიმღერაც ისეთი ვირჩიოთ,
სიამით გვივსებდეს დათრგუნულ გუნებას.
“ეშმაკის ყუთია”, ვიჯერებ, რადგანაც
გრძნობების სიცივეს არა აქვს საზღვარი,
მოკითხვა, სალამი, პირისპირ შეხვედრა
ესაა საძებნი, დრო ისე გადარბის.
შევცვალოთ რაღაცა, დაძაბულ ცხოვრებას
გავექცეთ, თუ არა სულს მალე აგვაცლის,
მორალით გავასწროთ პროგრესულ ტექნიკას
და ვიგრძნოთ, ნამდვილი ცხოვრება რაც არის.

*****

შენ ჩემი გული წაიღე,
არც შემეკითხე ისე,
გაორებასთან შერჩენილს
გზას ვერ ვუკვალავ ფიქრებს.
ისეთ დროს შემომეპარე,
სწორ პასუხს ვერ ვცემ კითხვებს.
გონებას გული კარნახობს,
ესეც ბრმასავით მისდევს.
ღმერთმა ჰქნას, სწორად ავუყვე
ჩემი ცხოვრების კიბეს,
გამიმართლებს კი? პასუხებს
ბოლო საფეხურს ვკიდებ.

****

დაიბენი, როცა შემხვდი
და სიწითლემ გაგცა ხელად...
სიყვარული დამიბრუნე,
მთხოვდა შენი მორცხვი მზერა.
შენს თვალებში მონატრებას,
დაღლილ გულს და სევდას ვხედავ,
არ ვყოფილვარ შენი ღირსი,
რომ გაქციე ტრფობის მსხვერპლად.
შეწყვეტილი სიყვარული
შეგატოვე გულის ტკენად,
ან კი როგორ ამიტანე,
როგორ შესძელ თავის ძლევა...
იმ ლამაზი წლების სათქმელს
დავასრულებ, მორჩა წყენა!
რადგან ასე გაფრთხილებით,
გული, ისევ ჩემთვის ძგერდა...

****

ღამეს ჩამორჩა მთვარე,
დააგვიანდა რისთვის?!
ახლაც ფეხებს ძლივს ითრევს
გართული შენზე ფიქრით.
ხომ ხედავ, როგორ დაგდევს
თვალები ცის და მიწის,
აღარ თქვა, სიმარტოვის,
სევდის ალებით ვიწვი.

****

შვილო, იძინებ ძალიან გვიან,
დილას კი გიჭირს ადგომა ადრე,
ვიცი, მობილურს ჩაშტერებიხარ
და მესიჯობით ღამეებს ათევ.
რა საუკუნის ჭირი გვეწვია,
ვეღარ ვნახულობთ მეგობრებს, და-ძმებს,
ქუჩაში, სახლში თუ სამსახურში,
ისე დავდივართ, არ გვიჩანს სახე.
ცოლ-ქმარს უკარგავს ერთად ყოფნის დროს,
მშობლებს ავიწყებს საკუთარ ბავშვებს,
ბებო შვილიშვილს ვეღარ კითხულობს,
დაკავებაა ყოველთვის ხაზზე.
გამოგვაშორა ყველა ერთმანეთს,
ნამდვილ სიყვარულს წაერთვა ბაგე...
ეს უნდოდა და კიდეც მიერთვა,
ამ წუთისოფლის პატრონს და დამქცევს.

****

ღამემ ჩაიცვა თეთრი სამოსი,
დილას გადაჰყვა სევდა დაისის,
კვლავ თავს მახსენებს ბოლო ამბორი,
გული რასაც გრძნობს, კიდევ არ იცი.
სიშორე სუნთქავს არდავიწყებით,
გარდაცვალების შიში აქვს ღიმილს,
უშენობისგან დაცლილი წლების
სიცოცხლე, იცი რა ტანჯვად მიღირს?! .
მარტოსულობის გრძნობით გატეხილ
წუთებს, მე დღესაც ლოდინში ვითვლი...
ოცნებად დარჩა ისე გვეცხოვრა,
რომ ჩვენს სიყვარულს რქმეოდა მითი.

******

სიბერე ტირანია, გაძულებს არსებობას,
გულმავიწყობას უნებურად წლებისას გაჩვევს,
თვითმართველობის გამძლეობას სხეულს უკარგავს,
თვალებში გიგდებს მათხოვრულად სინათლის ნარჩენს.
გადაღლილ გულთან მიტოვებულ ოცნებებს ფანტავს,
წლების გაცვეთის საზღაურად გიკავებს ძალებს,
დაუძლურებულ, მობუზღუნე ბებერ სხეულთან,
სიკვდილს სტუმრობის და დარჩენის უფლებას აძლევს.

****

მძიმე ნაბიჯით მივყვები აღმართს,
ვარსკვლავთა ცვენა ვერ მითვლის წადილს,
გული ბოლთას სცემს, სევდით ივსება,
სულო დაწყნარდი, ნუ გამიმწარდი.
ქარი ალერსით თმებში მიძვრება,
არ სიამოვნებს დუმილი ღამის,
ფოთლების ჩურჩულს უკან მადევნებს,
წავაო, ცრემლებს წერაში დაღვრის.
მე ჩემს ტკივილებს ვესაუბრები,
ვაწყნარებ, როცა მიკივის გაბმით,
სინამდვილეში დარდს ასეც ვძირავ,
თუ არა, ისე, სულს ამომაცლის.

*****

ვიცი რა დარდებს ატარებ,
გული რად შფოთავს ამდენს,
რომ შენი სახლის გარემოს
ვეღარ ახარჯებ ძალებს.
ყველას ნატრულობ, ემდური
ამ დროს, შვილებს რომ გართმევს,
მიკედლებულხარ ფიქრებით
ღამეებს, ცრემლში ნათევს.
შვილიშვილების შეხება
გინდა, რომ ნამდვილს გავდეს,
ტირი მეუღლეს, საფლავზე
ერთი ვარდიც ვერ დარგე.
წლებმა დაგღალა, ქალობას
ვაჟკაცის როლებს არგებ,
გზა და ხიდი ხარ შვილების,
შენ უშვებ გემზე აფრებს.
რა გითხრა, რით განუგეშო,
დარდი ვერაფერს გვარგებს,
იქნებ გვეღირსოს და ჩვენი
სახლში ყოფნის დროც დადგეს.

დარეჯან მაჭარაშვილი – იჟინერი;
დაბადების ადგილი – საჩხერე.

სიბერე

სიბერევ- მზაკვრულად დამიხვდი
შარაზე, ტყუილად გგონია სუსტი
ვარ, მაშინებ. ვინ იცის, შენამდე
 რამდენი ვეწამე,
რამდენჯერ ვებრძოლე აწყვეტილ ქარიშხლებს.

რამდენი ვითვალე სიავეც,
სიკეთეც ანდა რა გზები მაქვს
შენამდე გავლილი, ან რად
მეშინოდეს, შენი კარიდან ხომ
ღმერთთან მისასვლელი მოკლდება
მანძილი. წლები რას მიქვია, მხოლოდ
ციფრები და

ცოტა, სუულ ცოტა სადღაც ჭაღარები,
ტყუილად ხარხარებ და ტყუილად
გიხარია,
რადგან ამ ჭაღარებს მე ვერცხლებს დავარქმევდი.

სადღაც
ნაოჭები.. ჰოო,
შენ სულ ეგა ხარ,
თუ ხვდები ამ ნაოჭს რომ სიბრძნის კვალი
აქვს, თავგადასავლებით მოვედი
შენამდე,
შენზეც მოვუყვები ამ ღამეს, მთვარიანს.

დამიხვდი სიბერევ, კრიჭა ნუ შეგეკრა,
ტყუილად ნუ ცდილობ ფარ-ხმალი
დავყარო, ვფიქრობ, არც ისეთი უგულო
რამა ხარ, გულშიც არ გაივლო საწუთროს
გამყარო.

ნუ ფიცხობ, ძმობილო, ვიაროთ
მხარდამხარ, შენ ჩემით,მე შენით რომ
ვიყოთ ამაყად.

***

დარდები
უნდობლად
გადამკრავს
მათრახებს, ვეღარ
გასაძლები
გახდება ლოდინი,
გულში

ქარიშხალი
აიწყვეტს
არტახებს, როცა
 მონატრების
სურვილი
მომივლის.
ვარსკვლავებს

დავითვლი ცაში
რომ კიაფობს,
მერე შენს
გულამდე
დავითვლი
ნაბიჯებს,
იმედს

დავიტოვებ-
იქნება მესტუმრო,
მთვარე ა, ემ
ღრუბელს რომ
გადმოაბიჯებს.

მინდა გავიპაროთ მთაში

მინდა გავიპაროთ
მთაში, თუნდაც წვიმასა
და თქორში, ღამეს
ვათენებდეთ ერთად,
ისლით გადახურულ
ქოხში.

ფიჩხის ტკაცა-ტკუცის
ხმაზე რული მერეოდეს
როგორ, არვინ
ჭაჭანებდეს ირგვლივ,
შენ და სიყვარული
მხოლოდ.

დილით ვიმეგობროთ
მზესთან, აღარ გაგვეკაროს
ავი,
ძალას მიმატებდეს მთა და
შენი ვაჟკაცური მკლავი.

ღამით ვარსკვლავები
ვთვალოთ, ვეღარ გვერეოდეს
ძილი,
ჩუმად დავუთვალოთ
ერთურთს მერე-
გულისცემა ხშირი.

ყველა სადარდელი
გაქრეს, გულ-სისხლ
გადაგვექცეს ერთი,
გრძნობას დარაჯობდეს
მთვარე
მაღლით ჯვარს გვსახავდეს ღმერთი.

***

გულო, ჩემო ციცქნა
თანამგზავრო, ჩემი პატარა
გზის მესაჭევ,
ერთად შევებრძოლოთ
ქარტეხილებს, ერთად
გავიმარჯვოთ მე და შენ.

ბევრჯერ ნატკენო და
გაბზარულო, მაინც
უსასრულო საუნჯევ,
ვიცი, ყველა ტკივილს
გადაიტან, ყველა გაჭირვებას
გაუძლებ.

ჩემო უღალატო
მეგობარო, ჩემი
არსებობის სათავე,
შენი თანადგომა
მაძლიერებს, შენი
ერთგულება მახარებს.

ჩემო პაწაწინა
მბრძანებელო, მუჭში
ჩატეულო სამყაროვ,
უნდა მადედოფლო,
ამ ქვეყანას უნდა სახელოვნად გამყარო.

უნდა სატკივარზე
ამტკივდე და ლხინში
სიხარულად დამიდნე, ისე
არ მომექცე, ამ ქვეყანას
ჩვენი არსებობა არ ღირდეს.

ჩვენს მტერს უნდა გობით
შევაგებოთ, მხარში ამოვუდგეთ
მოყვარეს,
ისე გავემგზავროთ, ჩვენი
წასვლა, მეხის გავარდნას რომ
მოჰგავდეს.

***

ჩემი ქვეყნის
სადიდებლად განა
სიტყვა დამელია,
თუმცა მაინც ვერ
ვუთხარი წლები ისე
გამელია.

რაც მტკიოდა, მიხაროდა
ერთმანეთში ამერია,
მზე-მზისფერი, ზღვა-
ზღვისფერი ბინდისფერში
გამერია.

სიხარული სადაც
გაჩნდა იქვე შხამი
გაერია,
იქ, სადღაცა ერთ
წაქცეულს ათი "მხეცი"
დაერია.

კაცმა კაცი რომ შეაქო
ირონია გაერია,
მტერი მოყვრად, მოყვარე
მტრად ვეღარ იცნო, აერია.

ღმერთს იფიცებს, ფრესკას
ჯღაბნის რანაირი ქარველია,
ღმერთო, რწმენა გაგვიმტკიცე
დაგელოცოს სახელია.

ჩემს ქვეყანას
გაუჩინე სიმშვიდე
და საშველია,
მოაშორე
წურბელები რა
ტურა და რა
მელია.

ძმას ძმისა და
მეგობარის
სიძულვილი
გასჩენია, სიყვარულით
შეუცვალე, მეტი
რაღა დაგვრჩენია.

აუმაღლე ჩემს
სამშობლოს, ის ფუძე
და ეს ჭერია.
მის დიდებად გვანთებიე
უთვალავი სანთელია.

ეს სიცოცხლეც მსურდა
ქვეყნის სიყვარულში
გამელია, სადღეგრძელო
თქვენთან ერთად
ვახტანგურად დამელია.

***

ჩემი გზის
სირთულე
დიდად ვერ
მაშინებს,
ღიღინით
მივყვები სავალს.
ვალები არ
მიყვარს,
ცხოვრებას არ
ვერჩი,
სიცოცხლით
ვისტურებ თავანს.
სუსტებთან სუსტი ვარ,
ძლიერთან-
ვძლიერობ, განა
დარდიანი
დავალ?
სადაც ზედმეტი
ვარ, წუთიც არ
ვჩერდები, კარს
გავიხურავ და
წავალ.

*****

ვერ ვიმარჯვეთ და ვერ
მოვიშორეთ, ჩაბუდებული ჩვენში
ჭინკები,
გზაარეული დავეხეტებით,
გეძახით მაშინ, როცა
გვჭირდები.

სიყვარულით და სითბოთი
გვავსებ, მადლი მოფინე ჩვენს ცას
და მიწას დაგგმეთ, გაგყიდეთ და
ჯვარზე გაცვით, მაინც გვპატიობ და
მაინც გვიცავ.

შენ გვმოძღვრავდი და გზას
გვიკაფავდი, ჩვენ ჩვენებურად
ტაძრებს ვძერწავდით,
გადავუხვიეთ ჩვენ სულ სხვა
მხარეს,
მაშინ, როდესაც შენთან გვეძახდი.

შენ სიბნელეში გვაწვდიდი
სანთელს, ჩვენ შეგონება სადღაც
დავტოვეთ,
შენს უღირსსა და ცოდვიან
შვილებს, მჯერა, რომ მაინც არ
მიგვატოვებ.

შენ გვიხმობდი და ჩვენ
გშორდებოდით, როგორ გვითმენ
და გვიტევებ ამდენს, ყოველ
ნაბიჯზე მე ვხვდები მაინც,
შენი წყალობა და მადლი დამდევს.

ვერ მოვახერხე შენი შეცნობა,
ვეღარ ვერევი დაგროვილ დარდებს,

ღმერთო, შემინდე ყველა
შეცდომა უნებურად რომ ამ
მხრებზე მადევს.

*****

არც მდიდარი
ვარ, არც ვარ
ღარიბი,
მადლობა უფალს ესა ვარ, რაც
ვარ, არ შემიკრია მტყუანთან
პირი,
არ ვცდილობ ლაქა რომ მოვცხო მართალს.

ხან ანგელოზმა შემისვა
ფრთებზე, ხან გადამიჭრა
გზა-შარა ეშმამ,
ზოგმა გამიგო,
ზოგმა დამკარგა,
ვერ შევიცვალე რაცა ვარ, ეს ვარ.

ხან ვერევი და ხანაც მერევა,
ფიქრი უტყვი და ზოგჯერ
საჩინო,

სხეულს არ ვჩივი,
სული მაწვალებს,
მთხოვს, რომ დაცემას გადავარჩინო.

ხან მზე მათბობს,
ხან მთვარე მინათებს,
გზებს სიმართლისას ვეძებ
სიყრმიდან, მამის ნაკვალევს არ
ავცილდები,
ვიცი-სამოთხის კართან მიმიყვანს.

.....
ხან სიმღერა ვარ, ხანაც დარდი
ვარ, მამის გაკვალულ გზებზე
დავდივარ.

****

გული კვნესის,
შინაურნო ნეტავ რა გვჭირს?
რა ღვთის რისხვა დაგვატეხეს
თავს? ჩვენს საკუთარს,
უკარგესს არ ვაღიარებთ,
უცხოსა და ნაკლებს ვუკრავთ ტაშს.

მტრის მტრულად და
მოყვრის მოყვრად
დამხვდურები, სიხარულით
უცხოს ვუღებთ კარს.
მშიერსა და უსახლკაროს
გვერდს ავუვლით,
ისე,
არც კი ვახამხამებთ თვალს.

ცრემლად დნება სხვის
მიწაზე ჩვენი მკვიდრი,
ჩვენს მიწაზე
"შინაურობს"
სხვა. წინაპართა
მონაპოვარს არად
ვაგდებთ,
ძმის
გატანა
დაავიწყდა
ძმას.

სიმართლის
მთქმელს ენის
მოჭრის ეშინია,
თქმა უნდა და...
ვეღარ იღებს
ხმას.
არ ვუჯერებ თვალს,
რას ვხედავ-ქალი
კაცობს, აგერ,
კაცი დაემსგავსა ქალს.

სანაქებო ერო,
ეს რა
გვემართება?
შესდექ! გეყო!
ვეუბნევი წამს.
უფლის
კალთით
მადლმოფენილ ამ
მიწაზე, გაიხსენე,
"ვისი გორის ხარ"!

გზები

გზები, გზები და
გზები, ვითვლი-არ
უჩანს ბოლო, ხან
სიხარული ბევრი,
ხან ტკივილია
მხოლოდ. უცებ
დაცემა სადღაც,
ისევ დადგომა
ფეხზე,
ხან მწვერვალებზე
ასვლა, ხან გადაჩეხვა
კლდეზე. გზა
ოცნებების ზღვაა,
გზა-დასაწყისი ყოვლის,
ზოგჯერ ვიღაცის
კარგვის, ზოგჯერ
ვიღაცის პოვნის.
გზები-გვირგვინი
დაფნის, გზები-
მალვა და სორო,
ჩვენი ცხოვრების
თავი, ჩვენი
ცხოვრების ბოლო.

****

გულში, როგორც ხატი,
დამიბრძანდი, ახლა დარდიანი
ვიარები,
შენი ჭრილობები მეტკინა და
მოუშუშებელი იარები.

შენი წიწამური მეტკინა და
მკლავი დიდოსტატის-
მოკვეთილი, მეფის
გადმოხტომა სარკმელიდან,
მერე სისხლიანი ქვაფენილი.

კრწანისი, შამქორი და
ბასიანი, ქართველთა გმირობა
არნახული. მტკივა სასახელო
ქართველები, უცხოდ, სხვის
მიწაში დამარხული.

მტკივა ღალატი და
ორგულობა, ჩვენი სამუდამო
სადარდელი.
კიბის ქვეშ ღამენათენები
ოქროს ფუნჯები და
აკვარელი.

დანაწევრებული შენი
მიწა, შენი ნასოფლარი-
მთიანები,
შენი ემიგრანტი დედები
და... ასე გულნატკენი
ვიარები.

მოდი, ხატებავ და სალოცავო,
ერთად მოვიშუშოთ იარები.
შენი მტრის ჯინაზე გამოვცალოთ,
ქართველთ სადიდებლად
ფიალები.

ვლოცოთ რუსთაველის კალამი და
კოსმოსს რომ გაარღვევს,
სიმღერები, დღე დღევანდელი
ვადღეგრძელოთ, მერე
ხვალინდელი იმედები.

ტატოს მერანივით
გაფრენილი წლები-
ალესილი ალმასები,
ვლოცოთ იაკობის "დედა-
ენით" დაფრთიანებული
ქალ-ვაჟები.

დავლოცოთ ცოტნეს გმირობა
და ხერხეულიძე და
არაგველნი,
ჩვენი მოქარგული მთა და ბარი,
მტრისთვის საოცნებო,
სადარდელი.

მტერო, სიმცირემ არ
გაგაბრიყვოს, ასე იოლად ვერ
მოგვერევი.
იქით გაიხედე-ალგეთისკენ,
კვლავაც იზრდებიან ბოკვერები.

ნუ ესვრი ტალახს

ნუ ესვრი
ტალახს, შენი
მოძმეა,
შენი ჯიშის და რჯულის,
ტოლად მიიღე,
თუკი ქართული
ისევ შემოგრჩა სული.

ნუ ესვრი ტალახს
ადამის მოდგმას,
იქნება ბედი
გცდიდეს,
წყალწაღებული–
(ხომ ხდება)
ხავსსაც რომ
ეჭიდება მცირეს.

დღე
დღევანდელი
ნუ გათამამებს,
ვინ იცის ხვალ რა ხდება,
მდაბიოცა და
წარმატებულიც
დროებითია მცნება.

ნუ ესვრი
ტალახს, შენ
ხომ არ იცი,
გამოიარა რა
გზა.
იქნება მთვარე უშლიდა
ლოგინს, იქნებ,
ქვას ფეხი წაკრა.

ნუ იამაყებ
შენმა
ვარსვლავმა
თუ გაგაჩინა
ბედზე,
კაცი მაშინ ხარ, ხელი მოკიდე
წამოაყენე ფეხზე.

იქნება
მასში
უფალი
ბუდობს,
სითბოს ატარებს
ულევს, ვინ იცის,
იქნებ მდაბიო მკერდში
მთისტოლა გული
უდევს.

ტოლად მიიღე
სულში
ჩახედე, იქნებ
იებად ყვავის,
თუმც
მდაბიოა, მერე
რა მოხდა,
ადამიანი
არის.

ქალია

ქალია, ქალია-სულ ცოტა
სითბო და ალერსი უნდა,
ზღვას შეეჭიდება ბობოქარს,
მთას გვერდზე გადადგავს თუნდაც.

ქალია-ვარდია კოკობი,
სარწყავად სიყვარულს
ითხოვს, ხანდახან
ყინულის ლოლოა, ხან
მზეს დაატოლებს სითბოს.

ქალია-მარტია, იცვლება,
სადარდელს გაგიჩენს
ულევს, ხან იადონივით
ხმატკბილობს, ხან იცის
ყმუილი მგლურებ.

დიდების მწვერვალზე
აგიყვანს, ძირსაც
დაგანარცხოს ვინძლო, უნდა
ხასიათი გაუგო,
უნდა შინაგანად იგრძნო.

ქალია-ნაზია ბუნებით, ცოტა
კეკლუცობაც შვენის,
ხმას არ აუწიო,
ცოდოა ქალია, გული
აქვს შველის.

გრძნობების მორევში
ჩაგითრევს, კოცნით
გადაგიხდის ამაგს, ყველა
გაჭირვებას აიტანს
და არ გაპატიებს ღალატს.

უნდა ხელის გულზე
ატარო, კაცური იხადო ვალი,
დაცემის არ მოგცემს უფლებას,
თუკი მოინდომებს ქალი.

***

გაავდრდება და ჩამოწვება
ღრუბელი სულშიც,
დარდიც უღმერთოდ
შემომიჭერს თავის მარწუხებს,
თავს შემახსენებს
წარსული ვით ცუდი სიზმარი,
შენ კი ვერასდროს ვერ
გაიგებ მე რა მაწუხებს.

ავედევნები მთვარეს, შენს
მსგავსს ცივს და უგულოს,
ლოგინს გავიშლი იქვე, სადაც
დამიღამდება,
მერე გულის დარდს
მოვუყვები ჩამქრალ სტრიქონებს
და გული შენგან დადაგული დამიამდება.

მე რომ მეგობარი მყავს

ბნელში გაგინათებს
გზას, ჭირში შეგაშველებს
მხარს, ლხინში
აიმაღლებს ხმას,
შენთვის შეებმება მთას.
ნდობით გადაგიშლის
გულს, მტკივანს
შეგიბერავს სულს,
თვალს არ მიაკარებს
რულს, თუ შენ გჭირდება
და გსურს. ხელით
მოგიჩრდილავს მზეს,
მღერით გილამაზებს
დღეს, დაღლილს
გაგაცინებს ბევრს, ამბებს
მოგიყვება ძველს.
თვალებს აგიხილავს
ბრმას, ხმაში არ გაიჩენს ბზარს...
მე რომ მეგობარი მწამს,
მე რომ მეგობარი მყავს.

ბედისწერა

ღმერთთან მისასვლელი ბეწვის
ხიდი, ვაგლახ, უღმერთობით
ჩაშლილა, ვიღაცა შორი გზით
დაიღალა,
ვიღაც უგზოობით დაღლილა.

მიდის ბედისწერის
ქარავანი, ფიქრი
ღრუბელივით აშლილა,
ზოგმა გაიარა, კვალი
დარჩა,
ზოგის ნაკვალევი-წაშლილა.

ყველა სიკეთე და
სიხარული ქარში
სიმღერებათ გაშლილა,
რაღაც უკითხავად
დასრულდა და რაღაც
თვითნებურად დაწყილა...

ჩემს გზას ნარ-ეკლიანს
მივუყვები, წლებიც
სიზმარივით გავიდა,
ჩემი კონკის-ძველა
მეფასება, სხვისი ოქრო-
ვერცხლი არ მინდა.

ჩემი სიხარული სათვლელია,
სხვისი სიხარულის ზღვა
მინდა, ჩემი მადლიცა და
სინანულიც, ვატყობ, თავისი
გზით წავიდა.

ბედო, სულ ტყუილად
მეჭიდები, კისერს ვერ
მომიგრეხ ადვილად, კართან
სამართალი მომდგომია, პური
უნდა ვჭამოთ სადილად.

******

დევებივით გადმომდგარი მთები
მიყვარს, დილის ნისლს რომ
მოიხურავს მდუმარი. ამ ბაღნარი
არე-მარეს შესადარი
არ მგონია სხვაგან სადმე თუ არის.

აქ ჩიტებიც სვანაირად ჭიკჭიკებენ,
ნაკადულის ხმაურიც კი
გაგართობს, მძივებივით
მობნეული ყვავილების სინაზე და
სილამაზე დაგათრობს.

ღვთის ბოძებულ სილამაზის
საყურებლად დილით ერთად
გაიღვიძებთ მზე და შენ,
შრომისაგან დაღლილსა და
ღონემიხდილს წამალივით შეგერგება
ზედაშე.

როგორ გინდა მშვიდად გვერდი აუარო,
სიკეთით და მადლით მოცულ სალოცავს,

გზა არეულს თავის კალთას დაგაფარებს,
დარდმორეულს დედაღვთისა
დაგლოცავს.

ბედო ჩემო, ამ ქვეყანას ერთხელ
მოველ ერთხელ წავალ
წუთისოფლის სტუმარი, რაც
მომეცი, ყველაფერი წაიღე და
სიყვარულის დამიტოვე უნარი.

******

ყორანივით ჩამომძახის
წამი, ჰეი, მგონი ლექსებს
ვეღარ წერო,
ვა, თუ მართლა ვერ დავწერე
ლექსი, მაშინ უფალს როგორ
მოვეფერო?

ერთგულება სისხლში უდგას
ქართველს, მკვდარისიც კი
გეშინოდეს მტერო, მაგრამ თუკი
მიღალატა მუზამ,
ჩემს ქართველებს როგორ მოვეფერო?

გზას გვინათებს წინაპართა
ლოცვა, ფარად უდგას ორგულსა
და ავსულს, მე კი, თუკი ვერ
დავწერე ლექსი,
მაშინ როგორ ვეამბორო წარსულს?

დამარცხებას მიჩვეული არ ვართ,
ბევრჯერ უნდა გავიტანოთ ლელო,
ლექსით თუკი ვერ შევავსებ
სასმისს თანადგომა როგორ
ვადღეგრძელო?

ვერ მივაბი თუკი ბწკარი
ბწკარებს, რითმის ძებნას
ვანაცვალე თავი,
სიცოცხლეზე მაშ, უარი
მითქვამს, და სიკვდილთან
დამიდვია ზავი.

*****

ამ ქვეყანაზე
რახან მოსვლის მერგო
პატივი, მინდა
ვებრძოლო ბოროტებას,
სიკეთე ვთესო,
ცხოვრებისოღრო-ჩოღროზეთუწავიბორძიკებ,
ხელს შემაშველებ-
მე ვიცი
ღმერთო. რა
შემიძლია,
მე უსუსურს რა
შემიძლია, შენს
სადიდებლად,
თუნდაც უძლურს, მსურს სანთლად
ვენთო, სიცოცხლე რომ მაქვს,
ისიც შენი
ნაბოძებია, თუ
საჭიროა-
წაიღე
ღმერთო.
არ
მეშინია,
სიკვდილისაც არ
მეშინია, შენი
წყალობის იმედი თუ
მექნება ერთო,
შენგან ნაჩუქარ
ნამუსის ქუდს დავიხურავ
და.... საითაც მეტყვი-
წამოვალ ღმერთო.

რუსუდან ბურჯანაძე – გემოკვების ტექნოლოგი;
დაბადების ადგილი – ჭიათურა’

ჰოდა..
ხანდახან...
და ზოგჯერ...

ხანდახან გაგიმეტებენ..
გულს ხანჯალს გადაგიყრიან..
ზოგჯერ ამბობენ მიყვარხარ..
მაგრამ ფასი არ იციან...

ხანნდახან ცაში გიშვებენ..
ვარსკვლავთა ჩამოსახნელად..
ზოგჯერ გამოცდას გიწყობენ..
გულის და სულის საცდელად...

ხანდახან რწმენას გაძლევენ..
იმედს იმედით ჰკერავენ..
ზოგჯერ კი მიტოვებას და..
უარყოფასაც ბედავენ...

ხანდახან შენი გგონია..
აღმერთებ..შენში ამეფებ..
ზოგჯერ კი მშიერ მგელივით..
მოულოდნელად დაგგლეჯენ...

ხანდახან გულში ძვრებიან..
გრძნობების ალში გაგხვევენ..
ზოგჯერ კი ცოფიან სიტყვას..
ისე უწყალოდ დაგცემენ...

ხანდახან სიტყვას მოგცემენ..
სიტყვის ამარად გტოვებენ..

ზოგჯერ ქმედებას მოითხოვ..
უმოქმედებით მოგცელენ...

ხანდახან შენით ვითომ და..
ამაყობენ და ლაღობენ..
ზოგჯერ ბედს გიკავშირებენ..
თითქოს ცხოვრებას აწყობდნენ...

ხანდახან სმენას გიხშობენ..
თვალსაც უნებურ გიხვევენ..
ზოგჯერ ასეც კი მოხდება..
მიხვალ და უკან იხევენ...

ხანდახან უყურადღებოდ..
ვითომ არასდროს გტოვებენ..
ზოგჯერ ამაყად მიდიან..
თითქოს ვერაფერს ხვდებოდნენ...

ხანდახან ცრემლს გაგიშრობენ..
თითქოს ანაღვლებთ შენი რამ..
ზოგჯერ აზვირთულ ტალღებში..
გახრჩობენ .. შანს გიგებენ თან..

ხანდახან სევდას არ გგვრიან..
ვითომ და მისად გიღებენ..
ზოგჯერ კარებზე მიხვალ და..
კარებს საკეტით გიკეტენ...

ხანდახან სიტყვით გამკობენ..
ვარდი ხარ..ბაღის ბულბული..
ზოგჯერ კი არარაობა..
მხდალი და თან უსუსურიც...

ხანდახან ხატვას იწყებენ..
ფუნჯსა და გუაშს მარჯვობენ..
ზოგჯერ კი ამ ნახატებით..
სულ სხვა და სხვა რას ამბობენ...

ხანდახან ფესვებს გითბობენ..
გულში გრძნობებად დნებიან..
ზოგჯერ თელავენ ყველაფერს..
თავის სიცოცხლეს ეტრფიან..

ჰოდა ხანდახან და ზოგჯერ..
ბევრი ხდება და მოხდება..
საპირისპიროს გიწყობენ..
გულს ჰკლავენ..მართავთ გონება...

მაგრამ ძველი ხის ეს ქოხი არასოდეს ტყდება

სოფლის სახლი..ხის პატარა..
მშობლიური კერა...
ნაომარი ზამთრის სუსხით..
დაღლილი დგას დღესაც..
მაგრამ ახლა გაზაფხული
დგას დარაბებს მიღმა..
გაუშლიათ ნაზ ყვავილებს..
სიყვარული მინდვრად..
დაქრის თბილი..ანცი სიო..
აშრიალებს ხეებს..
ცივი წყაროს სიმღერა კი
ახმიანებს ხევებს...
ხის პატარა ქოხი ხარობს..
ჩქეფს სიცოცხლე ირგვლივ..
მშობლიური სიმღერები
ტკბილ ჰანგებად ისმის..
ხარობს ყველა მზესთან ერთად..
სხივებს ფენენ გულებს..
კიბეს ხავსი დასხებია..
მაგრამ მაინც უძლებს..
ძველისძველი ჭერი ხარობს..
ჟრიამულით ახლა..
და რა მოშლის ამ კერაზე
მდიდარ სუფრის გაშლას..
შესევიან პატარები
მწვანე ტრამალს თელენ..
ჟრიამული მოსდებია
მათი მთებს და ველებს..
ჰკრეფენ მინდვრად ჭრელ ყვავილებს
ახარებენ დედას..
კვლავ ახალი სიცოცხლე და
სიხარული ფეთქავს..
ხის პატარა ძველი სახლი..
გააცოცხლეს ისევ..
ზაფხულია არემარე..
ჭრელ სამოსელს იცმევს...
მალე ისევ მიჩუმდება..
ეს პატარა ეზო..
მოიწყენენ ყვავილები..
მთა..მინდორი..მდელო..
ისევ ისე გამეფდება
სიჩუმე და სევდა..
ზაფხულამდე მოწყენილი..
ლოდინს იწყებს კერა...
გამეფდება მარტოობა..
მოლოდინის ლტოლვა..
და დაიწყებს ცივი ქარი
შემოდგომის ქროლვას..
მერე ცივი..სუსხიანი
თოვლი დადებს საფარს..
და გრძელ ღამეს მოუყვება
სახლი ძველ-ძველ ამბავს..
გადაიტანს მძიმე დღეებს..
თეთრ ღამებს ქოხი..
და ზაფხულის მოლოდინში..
იარსებებს ძრწოლვით..
გაზაფხულზე თვალს გაახელს..
ენძელა და ია..
არასოდეს არ იქნება..
არაფერი გვიან..
თავის დრო აქვს სულ ყველაფერს..
გაზაფხულს და ზამთარს..
არაუშავს თუ დრო და დრო..
ქოხიც იწყენს..რა ქნას..
ესეც მისი ბედი არის..
არ გაურბის არსად..
ელოდება წლიდან წლამდე..
გაზაფხულის მაშვრალს..
რადგან ისევ ახმაურდეს..
ხის პატარა ქოხი..
და ბავშვებმა გააჩაღონ
სიხარულის ომი..
ასე გადის წლები.. რბიან..
დრო თავისას შვრება..
მაგრამ ძველი ხის ეს ქოხი
არასოდეს ტყდება...

ჩამომისხით..

ჩამომისხით..
რომ დავლიო ამა ქვეყნის სადღეგრძელო,
ჩამომისხით..
წარსული და მომავალი ვადღეგრძელო..
ჩამომისხით..
სიყვარული შევსვა ღვინით..
ჩამომისხით იქნებ კარგი დამებედოს...
ჩამომისხით..
რაც რამ ცუდი იყო დავგმო..
ჩამომისხით..
მეც ხომ წუთისოფლით ვხარობ..
ჩამომისხით..
დავუძახო მერე მხატვარს..
და ფუნჯებით ტკივილები გადავხატო..
ჩამომისხით..
ვადღეგრძელო აწმყო თუნდაც..
ჩამომისხით რომ ბოლომდე შევსვა სულაც..
ჩამომისხით რომ დავთვრე და გითხრათ ვინ ვარ..
ჩამომისხით..
სადა ვარ და საით მივალ...
ჩამომისხით..
შავი ღვინო უფლის ქმნილი..
ვადგეგრძელო პატარა და მერე დიდი..
ჩამომისხით..
ერთი არა ორი მინდა..
ჩამომისხით..
სიყვარული აღარ მინდა..
ჩამომისხით..
ვერ დავუთმობ ჭიქას ვერვის..
კარგად არ ვარ მე უღვინოდ, არც რამ მესმის..
ჩამომისხით..
სასწაულად მომწყურდა და
წყურვილი მაქვს მოსაკლავი ერთი წვეთით..
ჩამომისხით..
წუთისოფლის სტუმარი ვარ
და სულ მალე შევაბიჯებ საიქიოს..
ჩამომისხით ..
დავითვრე და ავირიო,
მერე თუნდაც მეც მასავით დავილიო...

ღმერთო მაპატიე....

ღმერთო მაპატიე ყველა ოცნება...
ღმერთო მაპატიე ყველა სურვილი..
ღმერთო ეს სიცოცხლეც მაპატიე..
ზოგჯერ უკვდავების წყურვილიც...
ღმერთო ღიმილებიც მაპატიე..
ჩემი ეს უაზრო ტირილიც..
ღმერთო რომ ვინატრე სიყვარული
სევდაც მაპატიე..ტკივილიც..
ღმერთო ჩემი სუნთქვაც მაპატიე..
ჰაერს რომ ვისუნთქავ ისიც კი..
ყველა შეცოდება მაპატიე
თუ რამ გამაჩნია ჩივილიც....
ღმერთო დაბადებაც მაპატიე...
მერე სამუდამო სიკვდილიც..
ყველა უგუნურება მაპატიე..
რაც კი ჩავიდინე ხიბლისთვის...
ღმერთო მაპატიე ყველა სიტყვა...
რაც კი წარმომითქვამს ძილის წინ..
ყველა წუთი.. წამი მაპატიე..
ჩემი უკუღმართი ფიქრიც კი...
ღმერთო... ყველა ბიჯი მაპატიე..
რაც კი მე დამიდგამს მიწისთვის...
ღმერთო ეს სიკეთეც მაპატიე..
თუკი დამიხარჯავს იმისთვის
რომ დღეს ასეთი ვარ გულუპრყვილო
ცოტა ამაზრზენიც ...ცივიც კი..
ყველა ჩემი ფიქრი მაპატიე..
რაც კი მიფიქრია ძილის წინ...
ღმერთო ყველა ღამე მაპატიე..
ფუჭად ნათენები დილისთვის...
ყველას თავის ცოდვა აპატიე..
ვინც რა გაიმეტა ვისთვის კი....

მესიზმრა წუხელ ვიჯექი და ვკერავდი გულებს

მთელი ცხოვრება სიყვარული ვატარე გულით...
მაგრამ ცხოვრება ულმობელი აღმოჩნდა მართლა...
იმდენი წყენა განვიცადე ამ ხნის მანძილზე..
ვერც ამას ვითვლი ჩემი გული რამდენჯერ გატყდა..

რამდენჯერ დაჭრა სიყვარულმა შხამიან ისრით ..
რამდენჯერ ღამე შემომალია ცრემლმა ნადენმა..
დაჭრილ გულიდან სულ მსდიოდა წვეთები სისხლის..
ღამე სიკვდილიც მინატრია..მაგრამ გათენდა...

მყელი ცხოვრება გულს ვკერავდი ფერად ძაფებით..
მაგრამ ჭრილობა და იარა ვერ მოვარჩინე...
ვერ მოვარჩინე დადებული დიდი იარა..
ვერც უმოწყალო სიყვარული გადავარჩინე...

მესიზმრა წუხელ ვიჯექი და ვკერავდი გულებს..
ღრმად მოხუცებულს ხელში ნემსი...ძაფი მეჭირა...
გვერდით კალათი შემოედგათ გულებით სავსე..
ვერ ვახერხებდი გამწარებულს ცოტა მეტირა...

და ამ სიზმარში სისხლიანი გულები ვკერე..
თითქოს ვადებდი ნაკერებს და არ მთელდებოდა..
ვერ მოვახერხე ერთი გული ჩემთვის ამეღო..
რადგან სულ ყველას ჭრილობიდან სისხლი სდიოდათ...

დიდხანს ვცდილობდი ღონემიხდილს რამე მეღონა..
მაგრამ ამაოდ ...არაფერი არ გამოვიდა....
სასოწარკვეთილს გამეღვიძა და ავქვითინდი...
რადგან სიზმარშიც უბედობა გადამეკიდა...

და ეს სიზმარი იმ სიცხადის იყო სასრული..
რაც სიცოცხლეში სიყვარულში დრო დამელია...
ახლაც გამომყვა იმ გულების თვალში მე ხილვა..
ალბათ სიზმარში კვლავ ვიხილავ და მიმელიან....

ღმერთო მაპატიე....

ღმერთო მაპატიე ყველა ოცნება...
ღმერთო მაპატიე ყველა სურვილი..
ღმერთო ეს სიცოცხლეც მაპატიე..
ზოგჯერ უკვდავების წყურვილიც...
ღმერთო ღიმილებიც მაპატიე..
ჩემი ეს უაზრო ტირილიც..
ღმერთო რომ ვინატრე სიყვარული
სევდაც მაპატიე..ტკივილიც..
ღმერთო ჩემი სუნთქვაც მაპატიე..
ჰაერს რომ ვისუნთქავ ისიც კი..
ყველა შეცოდება მაპატიე
თუ რამ გამაჩნია ჩივილიც....
ღმერთო დაბადებაც მაპატიე...
მერე სამუდამო სიკვდილიც..
ყველა უგუნურება მაპატიე..
რაც კი ჩავიდინე ხიბლისთვის...
ღმერთო მაპატიე ყველა სიტყვა...
რაც კი წარმომითქვამს ძილის წინ..
ყველა წუთი.. წამი მაპატიე..
ჩემი უკუღმართი ფიქრიც კი...
ღმერთო... ყველა ბიჯი მაპატიე..
რაც კი მე დამიდგამს მიწისთვის...
ღმერთო ეს სიკეთეც მაპატიე..
თუკი დამიხარჯავს იმისთვის
რომ დღეს ასეთი ვარ გულუპრყვილო
ცოტა ამაზრზენიც ...ცივიც კი..
ყველა ჩემი ფიქრი მაპატიე..
რაც კი მიფიქრია ძილის წინ...
ღმერთო ყველა ღამე მაპატიე..
ფუჭად ნათენები დილისთვის...
ყველას თავის ცოდვა აპატიე..
ვინც რა გაიმეტა ვისთვის კი....

თქვენი გამოხედვა..
მიყვარს ქალბატონო!....

ვუძღვნი ყველა ქალბატონს...

თქვენი გამოხედვა მომწონს ქალბატონო!-
თქვენი გამოხედვა თვალთა..
როგორ სათუთია..როგორ ლამაზია..
როგორც გამოხედვა ხატთა...

თქვენი გამოხედვა მხიბლავს ქალბატონო! -
თვალში ჩაგდგომიათ სხივი...
დილის მზის სხივივით სუფთა ალალია
სუფთა... უჩვეულო ფიქრით...

თქვენი გამოხედვა მათრობს ქალბატონო! -
თითქოს გავილეშე ღვინით..
ფეხიც ამერია თქვენი შემოხედვით..
თითქოს უცეცხლოდაც ვიწვი....

თქვენი გამოხედვა მიყვარს ქალბატონო! -
ჩემში სახლდები და მთრგუნავ..
თითქოს ვეღარ გიშვებ.. და ვეღარ გელევი..
ვგრძნობ რომ უშენოდ ვერ ვსუნთქავ...

თქვენი გამოხედვა მკარგავს ქალბატონო! -
ამ გონებას მირევს.. მყინავს..
და თუ ვერ შეგიგრძნობ.. მაინც გავგიჟდები...
მაქცევ ზამთრის ფაფუკ ფიფქად...

თქვენი გამოხედვა მაკრთობს ქალბატონო! -
გულში რომ მესობა ხანჯლად...
თითქოს დავიჭერი.. შხამიან ისრებით..
და ვერ ამეფარე ფარად...

თქვენი გამოხედვა მავსებს ქალბატონო!-
თითქოს არსებობ და არც ხარ...
თვალებს შევეჭიდე.. ზღვასავით უძიროს..
შევხვდი გზად უამრავ ძალას...

თქვენი გამოხედვა მიყვარს ქალბატონო! -
გრძნობა აღელვებულს მძალავს...
თითქოს მიზიდავენ..თითქოს არც მიკარებ..
თითქოს არც სათქმელი არ გაქვს...

თქვენი გამოხედვა მათბობს ქალბატონო! -
მათბობს სიყვარული თვალთა..
და რაც კი ცრემლი გაქვს..ყველას ამოგიშრობ..
რაც კი ცხოვრებისგან გაჩნდა...

თქვენი გამოხედვა..ჩემთვის წამალია...
თქვენი გამოხედვით დავალ...
ერთხელ გეამბოროთ..ამის ნება დამრთეთ...
მერე თქვენ თუ გინდათ წავალ!.....

რამდენჯერ?.. რამდენჯერ მასწავლე.. წასვლა და ისევე დარჩენა?..

რამდენჯერ გინატრე ახდენად..
რამდენჯერ შეგფიცე ღიმილით..
რამდენჯერ მომიხდა გაბედვა..
აწეწილ ფიქრების ჭიდილით...

რამდენჯერ გითხარი სათქმელი..
რამდენჯერ ცამ რისხვით დამსეტყვა..
რამდენჯერ კარიდან გავედი..
და ისევ მომიხდა დარჩენა...

რამდენჯერ შევცინე სიცოცხლეს..
რამდენჯერ ვიქროლე ქარებად..
რამდენჯერ მე შენზე ვილოცე..
დავფერფლე გრძნობები სანთლებად..

რამდენჯერ დავლახე ჭიუხი..
რამდენჯერ ეკალმა დამსერა..
რამდენჯერ მეცხრე ცას მივუწვდი..
იმდენჯერ მომიხდა დაცემა...

რამდენჯერ გავთელე ბალახი..
რამდენჯერ ღამე ბნელს ათევდა..
რამდენჯერ გავაბი ბაასი..
სავსე და ნახევარ მთვარესთან...

რამდენჯერ ვათენე ცრემლებით..
რამდენჯერ ისევე გათენდა..
რამდენჯერ მომხვიე ხელები..
და ისევ ეცადე გაშვებას...

რამდენჯერ მიმღერე სიმღერით..
რამდენჯერ ავმაღლდი ჰანგებად..
რამდენჯერ დამპირდი სიტყვებით..
მერე კი სიჩუმე გამეფდა...

რამდენჯერ უსულოდ დამტოვე..
რამდენჯერ ეცადე აღდგენას..
რამდენჯერ უგულო გამოდექ..
ვერ შეძელ ჩემს გულში დარჩენა...

რამდენჯერ ვეცადე ვინ იცის..
შენამდე ამ ფრთებით აფრენას..
რამდენჯერ გამათბე სიცივით
სიცოცხლეს რომ ვწერდი ანდერძად..

რამდენჯერ შეეხე ჩემს ბაგეს..
რამდენჯერ მოყევი ზღაპრებად..
რამდენჯერ.. რამდენჯერ მასწავლე..
წასვლა და ისევე დარჩენა...

მინდა ავურიო ყველაფერი...

მინდა ავურიო ეს სამყარო,
მინდა ავურიო ყველაფერი,
გრძნობა ქარბორბალას დავამსგავსო
ჩემგან არ დავტოვო არაფერი..

მინდა ავურიო ყველა სიტყვა
და ვთქვა სადღეგრძელო მეტად ბევრი,
მერე სასმისები მოვიყუდო
ღვინომ ამირიოს იქნებ ფეხი..

მინდა ავურიო ეს ცხოვრება
მივაბნ_ მოვაბნიო ყველაფერი,
იქნებ ამან მაინც დამამშვიდოს,
მერე რომ ვერ ვიგრძნო ვერაფერი...

მინდა ავურიო წვიმა ქარში
თოვლიც შევურიო თეთრზე თეთრი
მერე ის საბანიც დავიხურო,
რომ გაფარია და თან ვერ თბები..

მინდა, მინდა გულიც ავირიო,
ფიქრშიც ავურიო ყველაფერი..
მერე ის გონება ვერ დავაწყო
დღემდე ვერ გავუგე ვერაფერი...

ეხლა ისე ვარ რომ სახლაც კი ავურევ
ნივთებს მიმოვაბნევ თავისუფლად,
მერე დავჯდები და ავტირდები
სუნთქვას შევიკრავ და არ ვისუნთქავ...

ხოდა ამ არეულს აღარ დავალაგებ,
იყოს ასე მუდამ არეული...
და თუ ოდესმე ვერ დამინახოთ,
ღამე სადმე მნახეთ მთვარეული....

ის ბავშვობა მენატრება...

ბავშვობაში ჩაკარგული წლები როგორ მიყვარს..
როგორ მიყვარს წრფელი გული და ალალი სიტყვა...

როგორ მახსოვს ყოველი დღე.. ყველა ღამე..დილა..
თამაშები ათასსგვარი.. მოძახილი ,,ჭიტა”..

ხან ტყუილი უეცარი.. მაგრამ მაინც წმინდა..
--არ მინდოდა დედა მართლა...
,,დედა შენს თავს ვფიცავ”...

ის ბავშვური ოინები.. ახლაც როგორ მხიბლავს..
უანგარო სიყვარული გაფენილი სხივად...

ცის სიწმინდე.. მწვანე ტყე და.. გალაღება მინდვრად..
ეჰ ..რა ძლიერ მომენატრა.. დაბრუნება მინდა...

გაზაფხულის აფეთქება თეთრი თოვლის ფიფქად..
და ზაფხულის დასვენება სკოლის მერხის მიღმა...

ის ბავშვური ოცნებები დაწოლის წინ ფიქრად..
დედის ნანა და ალერსი ტკბილზე ტკბილი სიტყვა..

მომენატრა დილის სხივი.. მზის ფანჯრებზე თბილად..
და თვალების გაჭყიტება.. უდარდელად..ფრთხილად...

მომენატრა ორღობეში ტალახი და ..წვიმა..
თბილ წვეთებზე ცელქობა და ცეკვა ისევ მინდა...

ყველა ხე და ბუჩქი მიხმობს.. ისევ ისე თბილად..
ჩემს ბავშვობის წლებს დღესაც რომ დასდებია ხიბლად...

შარაგზები მენატრება.. ქვა..ღორღი და მიწა..
მდინარეში ბანაობა.. ფსკერის გრილი ქვიშა...

თამაშის დროს გამომცხვარი ნამცხვრად თეთრი სილა...
ანთებული ბუხარი და მთლად დაცლილი ,,სპიჩკა”...
როგორ მახსოვს საღამოთი დაწეული სიტყვა..
--დედი შალი მოიხურე..არ გაცივდე ცივა!...

ჭრილობები მიღებული ზოგგან ახლაც მიჩანს...
მაგრამ მაინც მაშინდელი ტკივილით არ მტკივა...

იქ ჩემი საქართველოა....

იქ ჩემი საქართველოა
და მშობლიური მხარე..
იქ სულ სხვაგვარი ზეცაა..
სულ სხვანაირი მთვარე..
იქ ჩემი საქართველოა...
სულ პატარა და ციცქნა..
იქ სულ სხვანაირი ღამეა..
ციდან ვარსკვლავნი ცვივა...
იქ ჩემი საქართველოა..
გულში ჩენილი მხარე..
ისე ძლიერად მომინდა
რომ ჩავეხუტო ღამეს...
მთვარესთან ერთად რომ მოვყვე
ემიგრანტების ამბებს
გულში ჩავეკრა სამშობლოს
და შვება მივცე თვალებს...
ისე ძლიერად მომინდა
შევეხო ჩემ თბილ მხარეს..
ყველა ხე..ბუჩქი დავკოცნო..
ვყვებოდე ლამაზ ზღაპრებს...
იქ ჩემი საქართველოა..
ჩემი ნატანჯი მხარე..
და როგორ მომნატრებია
ცრემლები როგორ მასწრებს...
სურვილი ამდევნებია..
ჩემი ზეცის და მიწის..
სულში ძლიერად გაჰკივის..
სულ მონატრება მისი..
არასდროს დამვიწყებია ..
მისი უძირო ზეცა..
ჩემი ლამაზი ქვეყანა..
დღე-ღამ ფიქრში რომ ვხედავ..
სიზმრად რომ გადამქცევია..
ჩემი მიწა-და წყალი..
ნეტავ ოდესმე მეღირსოს..
მეც მოვიხადო ვალი...
ფეხი დავადგა იმ მიწას..
სადაც წინაპართ კვალი
ისევ ამჩნია სამშობლოს..
გამარჯვებულთა მკლავით..
იქ ჩემი საქართველოა...

იხუნჯობა ათასგვარი.. დამსხვრეული მინა..
ჭრა.. კერვა და წინდის ჩხირი.. ბებო ბუხრის პირას...

ჩახუტება.. ბევრი კოცნა.. ლოცვა ..ფიცი წმინდა..
ეჰ.. რა დიდი დრო გავიდა.. როგორ გამიფრინდა..

ის საღამო მახსენდება.. მოწმენდილი ცისა..
ჭრიჭინების ჭრიჭინი და ვარსკვლავთ ცვენა ციდან...

ათასს ამბად მოყოლილი ნაამბობი ძმისა...
გასუსული რომ ვისმენდით დედის.. მამის სიტყვას....

ზამთრის გრძელი ღამეები.. დღე ახალი წლისა..
სამზადისი ათასსგვარი.. თოვლის ფიფქი ციდან...

ტკბილეული უამრავი.. მწვანე ნაძვი ხიბლად..
ეჰ.. რამდენი გავიხსენო? ალალი და წმინდა....

ჩემი ტკბილი მოგონების.. გადაწერა მინდა..
მაგრამ ყველას ვეერც კი ავღწერ.. არ მეყოფა სიტყვა..

ის ბავშვობა მენატრება.. ის ბავშვობა მინდა..
სადაც ყველა ბედნიერად.. ვითენებდით დილას....

ჩემი მშობლები..ხალხი..
ჩემი შვილები ..სახლი და
მონატრებული ბაღი..
ჩემი ლამაზი ქვეყანა
როდის ვიხილო თვალით..
ერთი სული მაქვს აქედან
უცხო ქვეყნიდან წასვლის...
ამ მონატრებას ვერ ვუძლებ..
დავდივარ ცოცხალ-მკვდარი...
ყოველი ღამე ლოცვაა
ჩემი დიადი მწარმსი..
პირჯვარს ვისახავ..უფალს ვთხოვ..
რომ ისევ ვნახო თვალით...
იქ ჩემი საქართველოა..
ვხედავ როგორ ქრის ქარი..
ჰორიზონტს როგორ მინათებს
მკრთალი ნათელი მთვარის..
ვხედავ და გული მიმიწევს..
სულიც იქითკენ გარბის...
ცას და ვარსკვლავებს გავცქერი
მე ღამის თევით მთვრალი....

მე არ ვარ ყველა...

მე არ ვარ ყველა..
ვარ ერთი ევა..
ერთი ადამი..
მოკვდავი სული..
დროებით მოველ..
და ისევ წავალ..
არ შევაწუხებ
ირგლივ არავის...
ვისთვის ვარ კარგი
და ვისთვის ცუდი..
ამას ნუ განვსჯით..
ვის ცოდვა უძღვის..
ვინ თესავს კეთილს..
ვინ ბოროტებას
ამას გადაწყვეტს
უფალი ღმერთი...
მე ყველა არ ვარ..
ვარ მხოლოდ ერთი..
ერთიმოვედიდაწავალერთი..
ჩემი ცოდვებით..
ჩემი სიკეთეთ..
გავჩნდი იმისთვის..
რომ ვზიდო ტვირთი..
ვიარო გზაზე..
ამ ცხოვრებისთვის...
ერთსისთვის ვიყო..
ერთისთვის მოვკვდე..
ათასს კი არა
ერთ გულს რომ ვფლობდე..
ვეწამო ისე..
ვით წამთ მოკვდავებს..
გული რომ ფეთქდეს
და არ შფოთავდეს...
ერთისთვის გავჩნდი..
ერთისთვის დავალ..
ამ ცხოვრებიდან..
მეც ისე წავალ..
როგორც ადამი..
და როგორც ევა..
ერთი ვარ მხოლოდ..
და არა ყველა...

სადაც წახვალ.. სიყვარული მიიტანე...

სადაც წახვალ..სიყვარული მიიტანე..
არ დაუშვა რომ ამ გრძნობას ჰქონდეს ზღვარი..
ყველა წუთი.. სიხარულად მიითვალე..
დედამიწა ცის ქვეშეთში შეიცანი..

სადაც წახვალ..ღიმილები მიიტანე..
და სახეზე შეინახე წრფელი ხედვა..
ნათელ თვალებს... ბრწყინვალება შეუნახე...
გულს კი მუდამ აადევნე გრძნობით ღელვა...

სადაც წახვალ..თუნდ ქვეყანა დაილიოს..
თუნდაც ყველამ მოგაყაროს..რისხვა..წყევლა..
არ შეშინდე თუნდ ქარები აირიოს..
არ შეწყვიტო სიყვარულით სუნთქვა ერთ წამს...

სადაც წახვალ... ნაბიჯი არ გაგიმრუდდეს..
ხელის გულით დაარიგე სიყვარული...
თბილ მზის სხივით.. გაივსე და გაიფურჩქნე..
რადგან უფრო კარგად შეძლო სიარული..

სადაც წახვალ.. გაიფანტე ღვარძლი ..სევდა..
არ აჩვენო ამ სამყაროს გულის მოთქმა..
არაუშავს.. ცხოვრებაში ბევრი ხდება..
მაგრამ მაინც უნდა შეძლო გულის თბობა..

სადაც წახვალ.. სიყვარული მიიტანე..
და გადასდე დედამიწას შენი გრძნობა..
ყველა სიტყვა შენეულად მიითვალე..
არ ელოდო რამ დიდებას და რამ ხოტბას...

სადაც წახვალ... უანგაროდ შეიყვარე..
ეს ცა..მიწა..ზღვა .. ჰაერი მონარნარე..
ყველას გლში სიხარული შეიტანე..
ნუ იქნები ამ სამყაროს მოსამართლე...

სადაც წახვალ... ბოროტება დაივიწყე..
გული ყველას ფიანდაზად გაუშალე..
ეს სამყარო უანგაროდ აითვისე..
და ტკივილი სამუდამო დაუამე...

სადაც წახვალ..სიყვარული მიიტანე..
ერთადერთი ეს გრძნობაა რომ დაგიცავს..
ყოველი დღე ღვთის წყალობად მიითვალე..
უფალია სიყვარულის წმინდა სიტყვა..

ხომ არ გცივა?... დაიღალე?... არა?...

ხომ არ გცივა?..შენზე ვდარდობ ჩემო...
ისევ ისე ძველებურად ვწუხვარ..
მე ხომ ახლაც შენს სიყვარულს ვჩემობ..
მინდა ერთად ვისეირნოთ მუდამ....

დაიღალე?...დავისვენოთ სადმე..
მაგრამ წვიმს და დასველდები კარგო..
ახლა ისე ახალგაზრდა არ ხარ..
თბილმა წვიმამ ისევ ისე გათბოს...

_არ იდარდო..მთავარია აქ ხარ..
ასი წელიც ვერ დამაკლებს რამეს...
შენ ჩემს გვერდით მოაბიჯებ ახლაც..
ამ სიყვარულს წლებიც კი ვერ გატეხს...

ჩვენ რამდენი გავიარეთ გზები..
ხელს გკიდებდი როცა რამე მჭირდა..
შენი ახლოს ყოფნით ისე ვთბები..
რას დამაკლებს მე ქარი და წვიმა...

_გახსოვს მაშინ
როგორ შევხვდით ერთურთს?
გახსოვს?..მაშინ ასე ძლიერ წვიმდა..
მე შენ ქოლგა შეგაშველე კარგო..
მაშინ ცივი ნოემბერი ცრიდა...

თმას გიწეწდა ცივი შმაგი.. ქარი..
მთლად გაყინულს ხელს
იფშვნეტდი სიმწრით..
იმ წამს შენი ჩახუტება ვცადე..
მაგრამ იცი? ვერ გავბედე რიდით...

_მეც ვიგრძენი შენი სითბო მაშინ..
შენ იმ წამის მერე ზიხარ გულში..
ჩემი გულის სიყვარულად გიცან..
ახლაც მახსოვს თითქოს იყო გუშინ...

და რამდენი ქარ_ტეხილი განვლეთ..
და რამდენი გადავლახეთ გზები..
შენ მე მათბე..მე კი გული განდე..
ერთმანეთის ჩვენ ვიყავით მწყემსი...

როგორ მალე გაირბინეს წლებმა..
დრომ ჭაღარა შეგვაპარა თმაში..
მაგრამ ახლაც ამ სიყვარულს ვეტრფით..
ისე როგორც ბავშვობაში მაშინ...

_ხომ არ გცივა? დაიღალე? არა?
არ შეგცივდეს შენზედ დარდი მიპყრობს..
შენს ჭაღარას..შენს ლამაზ გულს ვფიცავ..
დღესაც შენი სიყვარული მიხმობს....

მე დავხატავდი..

მე დავხატავდი ჩემს ოცნებებს ცის კაბადონზე..
მერე რითმებად ავუწყობდი ოქროსფერ სხივებს..
მოვასვენებდი ცის ტატნობზე მუზებს სევდიანს..
და ღამის ნისლებს შევუწყობდი არეულ ფიქრებს...

დილით ალიონს შევუწყობდი ხიბლად ხასიათს..
შევაჯერებდი თეთრ ღრუბლებში მქროლავ ურჩ სიოს...
წრფელ სიმღერებად მოვაფენდი ცაზე განთიადს..
ჩემივე კალმით გადავწერდი ათაჯერ სტრიქონს...

მე დავხატავდი ჩემს მომავალს ცის კაბადონზე..
ყველ ლექსის ბწკარს დავარქმევდი რაღაც სიახლეს..
სალოცავების გუმბათებზე დავწერდი ლოცვას..
და რომ შემეძლოს გავაქრობდი ყველა სიავეს...

მე დავხატავდი სულში ლამაზ მომავლის იმედს..
შეველეოდი გარდასული წლების სიმძიმილს..
მე არასოდეს ვახსენებდი წარსულის ერთ დღეს..
ყველა სტრიქონში მექნებოდა გრძნობა ღიმილის...

ღამის წყვდიადში ცის სილურჯეს გავასხივებდი..
ჩემი ლექსებით ხელს მოვხვევდი მთვარეს..
ვარსკვლავებს..
ყოველი ღამის გარდასახვას განვადიდებდი..
და არ ვიტყოდი მე ჩემს ბედზე ცუდად არაფერს...

მკლავებგაშლილი შევაღებდი კარებს ზეცაში..
ფერებს მხატვრული შემეცნებით
ფრთხილად ვაწყობდი..
და თუ ოდესმე დამელეოდა კალმის მელანი..
მუზებთან ერთად გონებაში ლექსს ავაწყობდი...

მე დავქარგავდი სამყაროში ყველა ფერს ჭრელად..
გადავაფენდი დედამიწას ლამაზ ხალიჩად..
გადავკარგავდი ცაზე ნაფენ შავ-ბნელ ღრუბლებს და..
ღმერთს გავიხდიდი ცხოვრებაში მუდამ საფიცრად..

შენ საჩუქარი იქნები ბედის....

დავხატე სული ..არა სხეული..
შენი ფიქრები თვალებში ვწერე..
ყველა ოცნება შიგ ჩავაქსოვე..
არ დამრჩენია არცერთი ...მენდე...
ყველა ის განცდა დავადე სახეს..
რაც კი ოდესმე გამოგიცდია...
და მე შევქმენი ქალი ღიმილით..
და ვფიქრობ კარგად გამომივიდა...
რადგან რომ ვუცქერ მას რაც დავხატე..
სწორედ ის არის ვისაც მე ვიცნობ...
ახლა სულ ბოლო ხაზი გავავლე..
და ბოლო გრძნობის
დახატვას ვცდილობ...
ეს ის გრძნობაა რაც გონებაში..
და გულში რაც გაქვს..მინდა ვაჩინო..
და შენს სახეზე ფუნჯების მოსმით..
მე სიყვარული გამოვაჩინო...
მგონი შევძელი... გამომივიდა...
მე დავასრულე შენი დახატვა...
და რომ ვუყურებ ასე მგონია..
შენმა გრძნობებმა თვითონ დაგხატა..
მე ის შევქმენი... ვინც გავიცანი..
მე ის დავხატე.. ვინც შთამაგონა...
მე ის გავიგე რაც შენ მითხარი...
მაგ სილამაზემ მე გამაოგნა...
ახლა ვდგევარ და გიყურებ კარგო...
თვალის სიღმეში ვკითხულობ ამბავს..
მე მხატვარი ვარ..სულის მხატვარი...
იცი? მე მხოლოდ ლამაზებს ვხატავ...
შენ ის ქალი ხარ...მე რომ მაოცებს...
შენ ის ხარ ვისაც წლებია ველი...
და თუ ამ ნახატს მიიღებ ჩემგან...
შენ საჩუქარი იქნები ბედის...

ნიკოლოზ იასეშვილი – ბიზნესის მართვის ფაკულტეტი;
დაბადების ადგილი – სიღნაღი.

* * *

რა სევდიანი ყოფილა მთვარე,
ვუთხრობდით ერთურთს ნაღვლიან ამბებს,
როგორ ციოდა ზამთრის იმ ღამეს,
ქარი არღვევდა ცრემლიან ტალღებს...

რამდენ ტკივილს, თუ დარდიან ამბებს
ისმენს მთვარე და თვით იტვირთება,
ამდენი მძიმე მოგონებებით,
სევდის გუნდებით ის იზვირთება...

მთვარეა ზოგჯერ ტრფობის მფარველი,
მიჯნურთ გრძნობების გულთან მიმტანი,
ბედნიერების გამზიარები
და "სიახლოვის" ვერცხლის მისანი...

ბევრჯერ შემსწრეა მათი განცდების,
განშორების და მწარე ცრემლების,
მთვარეა - მოწმე ბევრი ტკივილის
და უამრავი მოგონებების...

თურმე რა დიდი ყოფილა მთვარე,
უამრავ შავი ლაქის მხილველი,
რამდენ იდუმალ ამბის მნახველი,
რაოდენ დიდი და მომხიბვლელი...

რა სევდიანი ხარ ჩემო მთვარე,
კვლავ მოგიყვები, მოგითხრობ ამბებს,
ახლაც ცივია ზამთრის ეს ღამე
და ქარიც ისევ არღვევს ბნელ ტალღებს.

* * *

მენატრები, როგორც ია,
როგორც სულის გაზაფხული,
თავიდანვე შემიყვარდი,
ოცნებით ხარ დახატული...

მენატრები, როგორც სხივი,
როგორც გიტარების სიმი,
მენატრება შენი ბგერა,
ჩვენი სიყვარულის ფიცი.

არ მეგონა დამტოვებდი,
შენგან ამას არ ველოდი,
თავიდანვე შემიყვარდი,
ეს იცოდი, თან გელოდი...

რატომ, რისთვის მიმატოვე,
სული რატომ მომიწამლე?!
სიყვარულზე სიმღერები,
ოცნებები მოგიქარგე.

არ მეგონა, ასე მალე
გაქრებოდა გრძნობა დიდი,
ასე გული რად მატკინე?!
გატეხე გონება, ფიქრი.

მაინც ველი ისევ მომწერ,
ჩუმად მჯერა კვლავაც შენი,
შენს გულახდილ წერილებს
და შენს სიყვარულს ახლაც ველი...

* * *

ჩაფიქრებული მივყვები ბილიკს,
ისევ ვიხსენებ შენს ლამაზ ღიმილს,
წლები გავიდა, ეს გული მხოლოდ
ჩემო საუნჯევ კვლავ შენსკენ ილტვის.

შენი თვალების ცეცხლი ისევ მწვავს,
შენი ტკბილი ხმა კვლავაც ჩამესმის,
ამ დაუვიწყარ გრძნობათა ტყვე ვარ,
შენზე ფიქრების, შენი ალერსის.

ვერ ავღწერ რას ვგრძნობ, ან რას განვიცდი,
შენი სურნელი ახლაც კი მათრობს,
არ მინდა მხოლოდ ოცნებად დარჩე,
სულ მენატრები და ახლაც გნატრობ!

ვერა დააკლო დრომ ჩემს სიყვარულს,
არ ვნანობ არცერთ წუთსა და წამებს,
კვლავაც ლექსსა ვწერ შენზე ფიქრებში,
უკუნეთსა თუ მთვარიან ღამეს...

* * *

ადამიანი, რომელიც მუდამ
გვერდში გიდგას და გზებს გაგინათებს,
ვინც მხოლოდ შენთვის შესთხოვს უფალს და
ბედნიერებით შენით იხარებს...

ადამიანი, ვინც შენზე ზრუნავს,
შენზე ფიქრებში ათენებს თეთრად,
ანგელოზივით მხურვალე ლოცვით
გიქცევს გასაჭირს შვებად და ლხენად...

ადამიანი ვინც გაპატიებს
უპატიებელს, შეგინდობს გულით,
მუდამ გარიგებს, გიხსნის რჩევებით,
გმოძღვრავს, გასწავლის, დაგლოცავს უფლით!

ესაა დიდი ადამიანი,
მშობელი დედა, სანთელი გულის,
ვარსკვლავი გზების გასაშუქებლად,
მარადიული ნათელი სულის...

ღმერთი

ღმერთი არის უკვდავება,
სიყვარული, შთაგონება,
მის ხელშია სიცოცხლე და
სიკვდილიც მას ემონება!..

ღმერთი არის შემოქმედი,
მას არ ჰყავს წინამორბედი,
იგი არის მეფეთმეფე,
ღმერთს დიდება, ჩვენ სიკეთე!..

ღმერთი არის მბრძანებელი,
ჩვენ ვართ მისი "მონა-ყმები",
მაგრამ მუდამ ჩვენზე ზრუნავს,
დიდ არს მისი წყალობები.

ის ერთია, ჩვენ ათასი,
მაგრამ მაინც არის მეტი,
ის არს ძალა სიკეთისა,
თვით სამყარო არის ღმერთი!

იგი არის კაცთმოყვარე,
გულუხვი და მწყალობელი,
მისია ეს არე-მარე,
ქუხს მისი საგალობელი.

თუ სამყაროს " სიკეთით ვრწყავთ",
დაფასდება მაღალ ღმერთთან,
ჩვენი სული ამაღლდება
დიდ უფალთან, ერთადერთთან.

სიკეთით და სიყვარულით
ჩვენ მივდივართ სინათლისკენ,
გზა ხსნილია სამოთხისკენ,
თუ მივილტვით სიმართლისკენ!..

* * *

ერთგულებაში მოდის სიმტკიცე,
ერთობაშია ძალა ამ ქვეყნად,
სადაც მართალი კაცი იმკვიდრებს,
იქაა ერი ფხიზლად და მედგრად!

ერთობაშია ის ძალისხმევა,
რითაც მართალნი მტარვალთ ებრძვიან,
სადაც ბრძოლობენ სამშობლოსათვის,
სანამ გახდიან მთლიანს, ერთიანს!

ერთგულებაა ჯილდო ერისა,
დღეს მოღალატე ჭირის ღირსია,
საქართველოსთვის ოდითგან ვიბრძვით,
იყო, იქნება ჩვენი მისია...

დე, გაუმარჯოს ისეთ ერისკაცს,
ვინც სამშობლოსთვის თავს სწირავს მსხვერპლად,
ვინც მტერს შუბით თუ თოფით განგმირავს,
გაშმაგებული შეხვდება მედგრად...

* * *

ოჯახი არის სანთელი,
ვერ მიატოვებ ვერასდროს,
სადაც არ უნდა წახვიდე,
კვლავ მობრუნდები, ვერ დათმობ!

ჩვენი ფუძე და ჭერია
ჩვენი პირველი სამყარო,
მუდმივად ნუ მიატოვებ,
ბალახი არ გაახარო!..

ოჯახი, როგორც ტაძარი,
გულს რომ სითბოთი აგივსებს,
რა არის მისი სადარი,
სულს აამღერებს, აგინთებს...

წახვედი იმას არ ნიშნავს,
დატოვე ფუძე მარადის,
ჩემო ლამაზო მხარეო,
მშვიდობით არა, ნახვამდის!

* * *

ყოველ აღდგომის დღესაო
ქრისტე ეხება მზესაო,
ანგელოზები ხარობენ,
გარს ეხვევიან ღმერთსაო...

გვირგვინი ადგას დედოფლის
დღეს ქალწულ წმინდა მარიამს,
ღვთის კურთხეულო დედაო,
დიდება შენდა მადლიანს!

დიდება მამა ზეციერს,
სამყაროს შემოქმედსაო,
ღმერთო შენ ყოვლადძლიერო,
დიდება მარად შენდაო!..

ტაძარში მიდის გალობა,
უფლისა სადიდებელი,
დღეს მკვდრეთით აღსდგა იესო,
ხარობს მართლმადიდებელი...

ყოველ აღდგომის დღესაო
ქრისტე ეხება მზესაო,
ანგელოზები გალობენ
და შეჰხარიან ღმერთსაო...

* * *

მომნატრებია შენზე ოცნება,
მომნატრებია შენი თვალები,
შენს ცარიელ გულს, ცივს და თოვლიანს,
მე დაფიფქული არ ვებრალები!
ავანთებ სანთელს, კვლავ შენს ნახვას ვთხოვ,
დანამულ თვალებს, ცრემლი ასველებს,
მე ისევ, ისევ კვლავ მენატრები,
შენზე ფიქრები თეთრად მაბერებს...
ვერ შევეგუე უშენოდ ფერებს,
კვლავ ვეფერები შენს ლამაზ ხელებს,
შენზე ფიქრები ვერ დავაბერე,
დატანჯულ სახეს ცრემლი ასველებს...
მე სიყვარულზე გიწერდი ლექსებს,
კვლავაც ვწერ ისევ ,მზე მიშრობს ცრემლებს,
მთვარიან ღამეს შენზე ოცნება,
კვლავ შენსკენ იშვერს გამოწვდილ ხელებს...

* * *

გაზაფხული შემობრძანდა,
ყვავილების თოვლი მათოვს,
ია-ვარდი აყვავილდა,
სურნელება მათი მათრობს.

აჭიკჭიკდა დღეს მერცხალი,
აგერ ხეზე შაშვი გალობს,
ქარი უსტვენს სალამურზე,
გაზაფხულის მოსვლას ხარობს.

ბულბულები ჰანგებს ღვრიან,
ისმის მღერა და გალობა,
აღუღუნდა ლურჯი მტრედი,
მზემ ხალისი გვიწყალობა.

გადამწვანდა მთა და ბარი,
სიო არხევს ნაზად ფოთლებს,
ბროლისფერი წყაროს წყალი
მთიდან ჩანჩქერებად მოსჩქეფს.

წვიმას მზე ცვლის, ხან მნათობი
შავ ღრუბლებში იმალება,
ამინდია ათასფერი,
ბუნების იდუმალება.

ბრწყინვალება ამ სეზონის
მთელ სამყაროს მოსდებია,
დედამიწას ნაირფერი
ცისარტყელა მოჰფენია.

სიცოცხლე სჩქეფს, სილამაზე,
გაზაფხული მოფრენილა,
გაზაფხული მუდამ ჩვენი
გულის მახარობელია.

დღე ნათელი, ღამე მთვარე,
ოქროსფერი ვარსკვლავები,
აბრდღვიალდა არე-მარე,
შორს ცრემლები და დარდები.

სევდას, ტკივილს ქარს გავატანთ,
სხვა სიცოცხლის საწყისია,
ეს სეზონი მიჯნურთ ტრფობის,
სიყვარულის ნაწილია.

გაზაფხულის სითბო სხვაა,
სულ სხვა მზე კაშკაშებს ცაზე,
დღეს ნიშნად ბედნიერების
მტრედი დამაფრინდა მხარზე.

* * *

ჯვარო უფლისაო შეიწყალე ჩემი სული,
ჯვარო დიადო გვაცხოვნე ჩვენ,
ჯვარო წმინდაო დაგვიფარე ბოროტისგან,
ყოველი ავი გვაშორე შენ!..

ღმერთო მაღალო მოგვეცი დღენათელი,
ყოველი სიწმინდე გვარგუნე ჩვენ,
უფალო ძლიერო გვიხსენი განსაცდელში,
წმინდა სიყვარული გვაჩუქე შენ...

დედაო ღვთისაო გული დახურული,
გაგვისხივოსნე, გაგვიღე დღეს,
წმინდაო მარიამ, ყველას დედაო,
მოგვეცი ძალა, ვებრძოდეთ მტერს!..

* * *

ღმერთო შეგვინდე ცოდვები,
გვიხსენი განსაცდელისგან,
დაგვლოცე და დაგვიფარე
ბოროტის საცდუნებლისგან...

ღმერთო გვიბოძე სიბრძნე
და ცოდნა ცხოვრების დღენისა,
დაგვმოძღვრე, გაგვასხივოსნე,
გული აგვივსე რწმენითა.

გზები გვასწავლე შენამდე
სწორი ცხოვრებით მოსვლისა,
მაცდურზე გამარჯვებისა,
შეცნობის მტრის თუ მოყვრისა.

მოძმეთ მიეცი სიუხვე,
დღეგრძელობა და ნათელი,
წარსულის გმირთა საფლავზე
მარადჟამს ენთოს სანთელი!..

გთხოვ, გაგვინათე სამყარო,
აშუქე ზეცის ცეცხლითა,
მადლით იბრწყინოს ქვეყანამ,
ხარობდეს შემოქმედითა!

* * *

მთვარიან ღამეს მოგეფერები,
გაკოცებ შუბლზე, მოგიწყვეტ ვარსკვლავს,
მთვარიან ღამეს ჩაგეხუტები,
დაგიკრეფ იებს, დაგითვლი წამწამს!

ვერცლოვან მთვარეს, ბადრივით მთვარეს,
შევცქერი მთვარეს, მიამბობს ამბებს,
გაჩუქებ ღამეს, მთვარიან ღამეს,
მოგიძღვნი ლექსად კოცნას და ალერსს!..

მთვარიან ღამეს, შევიგრძნობ სურნელს
შენსას, სუნთქვავ და ჰაერო ზეცის,
ჩავიძირებით ღამის უფსკრულში,
ამ ნათელ ღამის, ზეციურ ცეცხლში...

ამ ლამაზ ღამეს, მთვარიანს, ნათელს,
მე ჩავიფიქრე შენზე ოცნება,
მომნატრებია შენი ალერსი,
ამ ვერცხლის მთვარეს სევდა მოჰყვება...

ფიქრები მოაქვს, მინდა ვილოცო,
მოგიძღვნა ლექსი ლამაზ სიზმრებად,
მინდა ვუმღერო ვარსკვლავებს შენზე,
ეს სიყვარული მოდის ფიქრებად!

* * *

შენით იწყება ქიზიყი,
სოფელო, კალმით ნახატო,
ჩემო პატარა მზის სხივო,
ანაგავ, მთვარის ნაქარგო.

შენს მიწაზე იღვრებოდა
გონაშვილის ჰანგები,
შენთან იშვა ახმეტელი,
უამრავი ტაძრები.

მდიდარი ხარ ვენახებით,
ულამაზესი ხედით,
ჩემო სოფელო ანაგა,
მუდამ ვამაყობ შენით!

მინდა მარად ისმოდეს,
შენს მიწაზე ჟრიამული
და არასრდროს არ მომბეზრდეს,
შენს ქუჩებში სიარული!

სოფელო, კალმით ნახატო,
ვაზი, მარადჟამს ხარობდეს,
შენს აყვავებულ მინდვრებზე,
კვლავ ბულბულები გალობდნენ...

* * *

უფალო იშვი გულებში,
ღმერთო მაღალო, ძლიერო,
კაცობრიობის მხსნელო და
მადლით მოსილო იესო...

შობის საღამოს ნათელი,
ბზინვარებს თოვლის ფანტელი,
ფანჯრის რაფებზე ინთება,
ბრწყინვალე ოქროს სანთელი.

გუნდად მოფრინდნენ შორიდან,
ღუღუნით თეთრი მტრედები,
დღეს ყველა ქალწულ მარიამს
ზეიმით შევეგებებით...

იხარე დედავ ღვთისაო,
ჩვილი იესო შენშია,
დიდება ნათლით შობილსა,
წმინდა უფალი ჩვენშია!

დიდება შენდა უფალო,
დიდება შენდა მადლიანს,
სამყარო შენით არსებობს,
ავდარია თუ დარია...

ღმერთო კვლავ იშვი გულებში,
შენი სითბოთი აგვავსე,
სულში მზის სხივი მზეობდეს,
სიკეთის შუქით აგვანთე...

* * *

ქარი არხევს ოქროს ხეებს,
წვიმის წვეთი მეპკურება,
დამენამა სახე ცვარით,
გულში ცეცხლი მეგულება.

საღამოა ქარიანი,
ღრუბლებს აქეთიქით ფანტავს,
როცა ერთხმად შეჯგუფდება,
წვიმის შადრევანი გვშთანთქავს.

ბეღურები ფანჯარასთან
დასველებულ ფრთებს იშრობენ,
კვლავ იდარებს, შაშვნი დილით
მზის სხივებზე იგალობენ...

ხალისი აქვს დილის მნათობს
და ფრთოსნების ჟივილ-ხივილს,
ყვავილების ფიფქი მათოვს,
კვლავ მოვყვები სიცილ-ყიჟინს...

ღმერთო ჩემო შენ დალოცე,
ეს ბუნება საოცარი,
მზე,მთვარე და ვარსკვლავები,
მიწა-წყარო სანუკვარი!

ბრწყინავს, ბზინავს ალმასისებრ
გული ჩემი, მუდამ მზეობს,
ცის ლაჟვარდით მონუსხული,
სიყვარულით ხარობს, ტყვეობს.

* * *

მე აღარ მჯერა ილუზიების,
ზღაპრები უკვე წარსულს ჩაბარდა,
არ არსებულზე ყალბი ფიქრები,
ფუჭი ოცნება უკვე დამთავრდა!

არ გავიხსენებ ძველ მოგონებებს,
არ მინდა ძველი,წარსულში დარჩეს,
აუღელვებლად გავყვები ბილიკს,
მომავლის იმედს კვლავ ღმერთი მაძლევს.

* * *

ღმერთო განსაჯე მტყუან-მართალი,
შენ აღადგინე კვლავ სამართალი,
დაფასდეს კაცი გულით ალალი,
სუფთა სინდისით, თიხით ნათალი.

შეგვინდე ცოდვა, მოგვეც მშვიდობა,
ხარობდეს ერი, განმტკიცდეს რწმენა,
წმინდაო ღმერთო, გთხოვ შეგვიწყალე,
გვაშორე ავი, გვიბოძე ლხენა!..

კვლავ სიყვარულით აგვენთოს გული,
ციდან იფეთქოს სიმღერით წვიმამ,
დე, აღმოცენდეს ნათელი სული,
სამყარო მართოს სიკეთის სხივმა!...

* * *

ოდესმე ალბათ ისევ შეგხვდები,
თუნდაც შემთხვევით, "გრძნობის გარეშე"
მაგრამ იცოდე, ოცნებავ ჩემო,
ჩამოგორდება ცრემლი თვალებზე.

ერთს შემოგხედავ, ისე ჩაგივლი,
ცივ გამჭოლ მზერას თან გამაპარებ,
გულის ფანცქალით გავყვები ბილიკს,
უკან მოხედვა კვლავ გამახარებს.

ისე გაქრები, წახვალ შენს გზაზე,
ვეღარ ვიხილავ შენს ლამაზ თვალებს,
ნეტავ ფიქრებში რას გაიელვებ,
რომ გაიხსენებ კვლავაც ჩემს სახეს?!

ოდესმე ალბათ ისევ შეგხვდები,
თუნდაც შემთხვევით ჩაგივლი გზაზე,
მე მეყვარები ისევ ნანატრო,
ვერ დაგიმალავ ცრემლებით თვალზე!

* * *

უფალო ღმერთო ვადიდებთ სახელს,
შენს წმინდა სახელს,გთხოვ შეგვიწყალე,
ღმერთო მაღალო,ყოვლადძლიერო,
შენ დაგვიფარე,შენ შეგვიფარე!

გთხოვ დაგვაპურე გაჭირვების ჟამს,
გვაშორე ტანჯვა,ავი, ტკივილი,
გვიხსენ ყოველი განსაცდელისგან,
გვქონდეს სახეზე ნაზი ღიმილი...

გთხოვ გააბრწყინე სამშობლო ჩვენი,
შენ შემოქმედო,სამყაროს ღმერთო,
გთხოვ შეიფარე ქართველი ერი,
დიდო უფალო,შენ ერთადერთო!..

დედაო ღვთისავ,ყოვლადწმიდაო,
გაბარებ ჩემს გულს და სულს სევდიანს,
შენ გაგვინათე გზა და ცხოვრება,
სულში ებრწყინოს კვლავ ეკლესიას!..

* * *

უფალო ღმერთო ვადიდებთ სახელს,
შენს წმინდა სახელს,გთხოვ შეგვიწყალე,
ღმერთო მაღალო,ყოვლადძლიერო,
შენ დაგვიფარე,შენ შეგვიფარე!

გთხოვ დაგვაპურე გაჭირვების ჟამს,
გვაშორე ტანჯვა,ავი, ტკივილი,
გვიხსენ ყოველი განსაცდელისგან,
გვქონდეს სახეზე ნაზი ღიმილი...

გთხოვ გააბრწყინე სამშობლო ჩვენი,
შენ შემოქმედო,სამყაროს ღმერთო,
გთხოვ შეიფარე ქართველი ერი,
დიდო უფალო,შენ ერთადერთო!..

დედაო ღვთისავ,ყოვლადწმიდაო,
გაბარებ ჩემს გულს და სულს სევდიანს,
შენ გაგვინათე გზა და ცხოვრება,
სულში ებრწყინოს კვლავ ეკლესიას!..

* * *

მოდის შობა და იშვას უფალი,
სამყაროს მხსნელი,ჩვილი ძე ღვთისა,
გვიხსენ იესო ქვესკნელისაგან,
დიადო ღმერთო შემდეგ სოფლისა...

უფალო მოგვეც მარად ცხონება,
წუთისოფელში თავისუფლება,
იხაროს ერმა ღვთის მობრძანებით,
ნეტარ არს ღმერთი და მისი ნება...

უფლის განგებას ვემორჩილებით,
დალოცვილ ვიყოთ მუდამ ღვთისაგან,
წმინდაო ღმერთო შენ დაგვიფარე
მაცდურის მავნე ხრიკებისაგან!

კურთხეულ იყავ დედაო ღვთისავ,
გთხოვ შეიფარე ობოლი,ქვრივი,
შენ დააპურე ყველა უძლური,
ბრმებს დაუბრუნე კვლავ თვალის ჩინი...

იხაროს ერმა მარადჟამს,ყველგან,
სანამ მივწვდებით მარადისობას,
სანამ უფალი გაგვიღებს კარებს,
ზეცის მწვერვალში გულს სამოთხისას...

იფეთქოს გულმა მარადიული
უფლის სამეფოს, ედემის ხილვით,
მაგრამ ვერ შევა ზეციურ ბაღში
ბოროტი, წუთისოფლისა ხიბლით!

* * *

უფალო იშვი გულებში,
ღმერთო მაღალო, ძლიერო,
კაცობრიობის მხსნელო და
მადლით მოსილო იესო...

შობის საღამოს ნათელი,
ბზინვარებს თოვლის ფანტელი,
ფანჯრის რაფებზე ინთება,
ბრწყინვალე ოქროს სანთელი.

გუნდად მოფრინდნენ შორიდან,
ღუღუნით თეთრი მტრედები,
დღეს ყველა ქალწულ მარიამს
ზეიმით შევეგებებით...

იხარე დედავ ღვთისაო,
ჩვილი იესო შენშია,
დიდება ნათლით შობილსა,
წმინდა უფალი ჩვენშია!

დიდება შენდა უფალო,
დიდება შენდა მადლიანს,
სამყარო შენით არსებობს,
ავდარია თუ დარია...

ღმერთო კვლავ იშვი გულებში,
შენი სითბოთი აგვავსე,
სულში მზის სხივი მზეობდეს,
სიკეთის შუქით აგვანთე...

ოცნების ხე

ლურჯსა ცაში აჭრილან
ოცნების ხის ტოტები,
ზურმუხტიფრად ბზინვარებს
ჯადოსნური ფოთლები.

ყველა ჩვენი ოცნება
ამ ხის ტოტებს ასხია,
ზურმუხტისფერ ფოთლებად
სურვილები ანთია.

ვერცხლის ტოტებს ამშვენებს
ლალისფერი ვაშლები,
ვარდისფერი, უკვდავი
ოცნებების ამხდენი.

მეც მივირთვი ეს ვაშლი,
ჩავიფიქრე კვლავ ნატვრა,
აღუღუნდა მტრედი და
ნიშნად მხარზე დამაჯდა.

* * *

წამია წუთისოფელი,
წუთები მიდის წამებად,
რა უცებ გადის ცხოვრება,
არ ვიცით როდის ჩაქრება!..

ცხოვრების თეთრი სანთელი
ვისთვის ინთება და ქრება,
ვინ იბადება ყოველ წამს,
ვინ იღვენთება და კვდება...

მივყვეთ ცხოვრების დინებას,
არ ვიცით საითკენ მიდის,
წუთისოფელი ხანმოკლე
წამებზე უსწრაფეს მიქრის.

გამოვიყენოთ დღეები
საკეთილდღეოდ სოფლისა,
სანამ სანთელი ჩაქრება
სიცოცხლის, წუთისოფლისა...

არ შევუშინდეთ ცხოვრებას,
სიკვდილი ნუ შეგვაშინებს,
სამყარო დაუნდობელი
სიყვარულს ვერ შეაშინებს.

სანამ ანთია სანთელი,
ვიდრე სიკვდილი ჩააქრობს,
სიკეთეს შევასხათ ფრთები,
ბოროტის გულსაც გაალღობს!

გავყვეთ ცხოვრების დინებას,
კვალი დავტოვოთ ქვეყნადა,
სახელი რჩება ამ სოფლად,
ეგეც ხომ კმარა შვებადა...

ცხოვრების თეთრი სანთელი,
ვისთვის დიდი და პატარა,
ვინ იბადება და კვდება,
ვინ ახალგაზრდა, ჭაღარა.

წამია წუთისოფელი,
დღეები მიდის წამებად,
რა ხანმოკლეა ცხოვრება,
არ ვიცით ვისთვის ჩაქრება...

* * *

სული არის განძი ღვთისგან,
უკვდავი და განუყრელი,
სხეული კი სამოსელი,
სიკვდილამდე გაუხდელი.

როგორც სხეულს უნდა კვება,
ისე სულს სჭირდება ღმერთი,
უღმერთოდ არ არსებულა
ეს სამყარო ერთადერთი.

სული არის სხივი გულის,
სიყვარულის გამონასკვი,
სიკეთის გამონაშუქი
უკვდავების გადმონაშთი.

სული არის ის სიმღერა,
ბულბულები რომ გალობენ,
წყაროს წყალში – თევზი უტყვი,
მიწაზე ვარდნი ხარობენ...

სული ის ღვთის საუნჯეა,
ზეცის კარებს ვინც შეაღებს,
ანგელოზად გარდაქმნილი
ფრთებით მზესაც რომ შეარხევს .

* * *

ყოველ აღდგომის დღესაო
ქრისტე ეხება მზესაო,
ანგელოზები ხარობენ,
გარს ეხვევიან ღმერთსაო...

გვირგვინი ადგას დედოფლის
დღეს ქალწულ წმინდა მარიამს,
ღვთის კურთხეულო დედაო,
დიდება შენდა მადლიანს!

დიდება მამა ზეციერს,
სამყაროს შემოქმედსაო,
ღმერთო შენ ყოვლადძლიერო,
დიდება მარად შენდაო!..

ტაძარში მიდის გალობა,
უფლისა სადიდებელი,
დღეს მკვდრეთით აღსდგა იესო,
ხარობს მართლმადიდებელი...

ყოველ აღდგომის დღესაო
ქრისტე ეხება მზესაო,
ანგელოზები გალობენ
და შეჰხარიან ღმერთსაო...

* * *

ვერ შევარჩიე წარსულის ფერი,
განვლილი წლები აჩრდილად ჩანდა,
მომავალს ვქარგავ დღეს ჩემი ხელით,
აწმყო მაკვრია გულს იასამნად...

მე არ გავყვები წარსულის ფერებს,
მომავლის იმედს უფალი მაძლევს,
აუღევლებლად მივყვები ბილიკს
და ქარს გავატან ტკივილს თუ განცდებს...

* * *

მეგონა გიყვარდი, მაგრამ ამაოდ,
მეგონა, რომ შენც ფიქრობდი ჩემზე,
რატომ მეგონა რომ შეგიყვარდი?!
არ ვიცი რატომ ვფიქრობდი შენზე...

თავს ვიტყუებდი, რომ აზრი ჰქონდა
ურთიერთობას, ველოდი შედეგს,
რატომ მეგონა, რომ შენც გიყვარდი?!
რისთვის ვეძებდი საფეხურს შემდეგს...

ვერ მივატოვე შენზე ფიქრები,
მიყვარდი, ჩუმად გიწერდი ლექსებს,
რატომ მეგონა რომ შეგიყვარდი?!
ვეღარ ვიკავებ თვალებზე ცრემლებს...

რატომ მიყვარდი ამას განვიცდი
და რატომ ვფიქრობ მე ისევ შენზე,
რომ გამემხილა "გრძნობა ფარული",
მიპასუხებდი?! მაფიქრებს დღემდე!..

მეგონა გიყვარდი, თუმცა ამაოდ,
მეგონა რომ შენც ფიქრობდი ჩემზე,
რატომ მეგონა რომ შემიყვარე
და დღემდე რატომ ვფიქრობ შენზე?!

* * *

ცხოვრების ხაზი ვისთვის ხანმოკლე,
ვისთვის გრძელია დინება მისი,
მე ვერ დავხატავ ძველ მოგონებებს,
წარსულში დარჩეს წარსული ნისლი!..

მე ვერ ავარჩევ წარსულის ფერებს,
მოგონებები ღრუბლებში ქრება,
გავიფერადოთ ხვალ მომავალი,
განვლილი მხოლოდ განვლილად რჩება!



თამუნა გიორგაძე – იურისტი;
დაბადების ადგილი – თბილისი.

ვსახე სამყარო, ზღაპრული თვალით...

ვსახე სამყარო, იმ ზღაპარის მსგავსად,
აღქმის ჟინი რომ არ მოგასვენებთ...
ფრთები შევასხი იმ წარმოსახვას,
რომლის ნახვასაც ყველა ინატრებთ...

ცისფერს ვურიე ტყის ფერთა გამა,
თბილ ზურმუხტისფრად შევფერე ტბები,
ხავს მოჭიდებულს მივეცი ძალა
და მიზნისაკენ ვაშველე ხელი...

უდაბნოს ხვატში მწყურვალედ მავალს,
წამლად ვუჩინე წყლის ერთი წვეთი,
თმენის საზომად ოაზისამდე
გადავუშალე ქვიშის ქვეშეთი...

ღრმად ფესვებ გადგმულ,
ჭირთმძლევ მუხის ხეს,
მუმლი ვაშორე, ვუწმინდე ქერქი,
სიცოცხლის ძალად
დახრილ ტოტებში,
აღმოვუცენე საყრდენად ნერგი...

ქვეყნის ნაღველის
სიმწარის მსმელი,
ქართველი დედა ოჯახის მცველი,
საზღვრების მიღმა
ბევრ ჭირმნახველი,
ვუბრუნე კერას ვედრებით მწველით
და კრძალვით ვუშრე
თვალები სველი...

ცხრა მთის გადაღმა
ნანგრევს ტაძრისას,
მკვდრეთით აღდგომით
ვუცვალე ბედი,
რწმენის ძალით და
მუდმივ ქმედებით
კვლავ მოვუვლინე
მლოცველი მრევლი...

პურის არსობით და
სავსე ქვევრით
კვლავ ნათლით ვმოსე
ქართველთა ველი,
ოქროს ხანით და
ზღაპრების ენით
ვაერთიანე საზღვრები ვრცელი...

თამაშის ხიბლი

დიდი ხნის წინათ, ძველ ინდოეთში,
გონით გამჭრიახ ვინმე დიდ სინმა,
დიდხანს ფიქრის და შრომის შედეგად
თამაში შექმნა იმარჯვა ჟინმა...

ქვეყანას მაშინ რაჯა მართავდა,
თვით ბრწყინვალებით მზის შესადარი ...
ამბიციური გამოგონებით ქმნილება იყო მეფის
სადარი...

ინდურად ერქვა თვით ჩატურანგა,
გონების ბრძოლა,ოთხთა თამაში...
სპარსულ ხალიფატს აღფრთოვანებით
დაურქმევია მისთვის ჩატრანგი...

გავიდა დრო და სპარსულ სამყაროს
დაეპატრონა თვით არაბები...
მოსწონებიათ საბრძოლო სიბრძნე და
საომარი სივრცის დარაჯი,
შეისისხლხორცეს და გადაარქვეს მოიხსენიეს
როგორც შატრანჯი...

პირდაპირი თუ ირიბი ბრალით,
არაბების თუ სტიქიურ ძალით,
ელვის სისწრაფით გავრცელდა ხალხში და
გადაიქცა მსოფლიო ბრენდად,
ჭადრაკად იქცა ახალ სახელით...

თანამედროვე რეალობაში
თამაში იქმნა ორთა ჭიდილად...
დაფაზე მდგომი ყველა ფიგურა ფარული
ცეცხლის ამთებ ფითილად...

საომარ ველად ქცეული დაფა,
ვეღარ აუდის პაიკს შეწირულს...
ქანცგაწყვეტილი ეტლების რბოლა,
ვერ უმკლავდება მხედრებს შეფიცულს...

ვერაფერს შველის დედოფლის ცრემლი ,
ვერაფერს წყვიტავს მეფის ტაქტიკა...
თამაშის ბედს დღეს განაპირობებს
გროსმაისტერის ქიშის პრაქტიკა...

მაგრამ თუ ბედად ომს გადაურჩა,
გარდაისახა არსით პაიკი...
მაშინ ცბიერი მოთამაშეც კი ვერ დაუძვრება,
ხდება ჭანჭიკი...

ჭადრაკის დაფა, შავ-თეთრ ფერებით,
ინ და იანის ძალთა ჭიდილი...
დაუნდობელი თამაშის ფონზე,
ნათელი ფიქრი მწყემსის კეთილის:
გონებრივ სიბრძნით გამარჯვება და
ბოროტის ძლევა არსით კეთილით!!!

მეგობარი

მიღმა, სულის ხვეულებში რომ იგრძენი შენი მსგავსი,
ერთად თანაზიარობდით ყველა ტკივილს, ყველა განცდილს...
გულში როცა გრძნობდი ჩხვლეტას დისტანციურ სიშორეში,
როცა რამე უჭირდა და როცა ბჭობდა ფიქრთ შორეთში...
ორ სხეულში, ორი გონით გაბნეული ერთი არსი,
ბედის მქონე თუ არ მქონე პლანეტაა ,მზე და მარსი...
არ არსებობს მშობლის მერე უანგარო გრძნობა მსგავსი...

ფიქციას და ნამდვილს შორის ზღვარი...

კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა,
ფიქციას და ნამდვილს შორის ზღვარი...
,,მოდერნიზმა" ყველა ზურგზე დასცა,
,,მაღალ სტანდარტს" გაუჩინა ბზარი...
არსებულს და ნაცნობს ,,ნეო "გასცდა,
გარდაქმნილთა წამოვიდა ღვარი...

ნორმის ყველა ფორმა უცებ დაცვდა,
ისტორიამ აიფარა ფარი...
ეპოქათა დაღლილ სულთა განცდა,
წარსულ ზნეთა ჩამოკრული ზარი...
შიშველ ხელთა ზეაპყრობა ცათ და,
შეძწრწუნებულ მიწის კვლავ ზანზარი...

ზნეობა რომ სიყალბესთან შეცდა,
სინდისს მაშინ მიეკეტა კარი...
ქცევის ნორმა ოქროს შუალედს აცდა,
განსაცდელთა მოგვევლინა ჯარი...
გადარჩენის განცდით მღერის ქარი,
ღირსებამ კვლავ აისხა აბჯარი...

ცა გაბაცდა!!! გავიფიქრე კრძალვით,
ყოველთვის აქვს ბრძოლას ნეტავ აზრი?
ფუი, ეშმაკს!!! გამაჟრჟოლა მალვით,
და მეც უცებ გადვისახე ჯვარი!!!
ჯანსაღ ბრძოლას მომავლისთვის კარგო,
მუდამ გწამდეს, ყოველთვის აქვს აზრი!!!

მაშინ იმასაც ნუ დაივიწყებ...

გულში სიმშვიდის დამკვიდრებით
შენში თუ მოხდება გარდატეხა,
მაშინ იმასაც ნუ დაივიწყებ,
ღამემ უძილობა როგორ ტეხა...

ფიქრთა ლაბირინთში გზის გაგნებით,
უცებ თუ მოხდება აღმაფრენა,
მაშინ იმასაც ნუ დაივიწყებ,
დაგჭირდება აზრის წაღმა ფრენა...

ძველი მოგონების გაცოცხლებით,
ახლის თუ მოხდება გარიდება,
მაშინ იმასაც ნუ დაივიწყებ,
ცოდვაა წარსულის განდიდება...

ბრაზის ქარიშხალის ამოვარდნით,
გრძნობის თუ მოხდება აზვირთება,
მაშინ იმასაც ნუ დაივიწყებ
ერთხელაც სინდისი აყვირდება...

ნებით შეცდომათა გადახარშვით,
სული თუ გახდება თბილი კერა,
მაშინ იმასაც ნუ დაივიწყებ,
ჯავშანია რწმენით პირჯვრის წერა...

ნაწრთობი სული

საოცარია ,ნაწრთობი სული,
რა მოხდენილად
იცდენს საცდურებს,
იდუმალება ქცევის კულტურის,
დაბნეულ გულებს გრძნობით
ატყვევებს,
ოქროს ძაფებით ნაქსოვი რიდე,
ნაომარ ფიქრებს
უნთებს საკმეველს...
ნელსაცხებელის სურნელთა გამა,
იის სურნელის
შლეიფს ატარებს...
ადამის ტანჯვა წრფელია ალბათ,
ცოდვის ჩადენის შიში აწამებს...

პატივს ვცემ და ვაფასებ...

პატივს ვცემ და ვაფასებ
ყოველ ნაპრალს, იარას,
რომლის გარდასახვითაც
სულმა დროში იარა...

პატივს ვცემ და ვაფასებ
ყოველ ნაჭდევს, ნაფლეთ დარდს,
რომლის ვერ შეცნობითაც
ალაგებდა გონი ნარდს...

პატივს ვცემ და ვაფასებ
ყოველ ეკალს, იას, ვარდს,
რომლის აღსაქმელადაც
გული ყრიდა იარაღს...

პატივს ვცემ და ვაფასებ
ყოველ ნათმენს, გაცვლილ წამს,
რომლის ვერ შეგრძნებითაც
წამის ისარს ცრემლი წვავს...

პატივს ვცემ და ვაფასებ
ყოველ ნაბიჯს, წაშლილ კვალს,
რომლის ვერ დანახვითაც
მატიანე იხვევს თვალს...

პატივს ვცემ და ვაფასებ
ყოველ ნატეხს, ნაწეპ ბზარს,
ძვირფას ლითონის ლაქით
ნამსხვრევების აღმდგენ არსს...

პატივს ვცემ და ვაფასებ
ჯანსაღ ნაფიქრს, განვლილ გზას,
მომავალში ფესვ გადგმულ
რწმენით ჩარგულ მოვლილ ბზას...

სასწაულია

სასწაულია,
– ყველაფერში იდუმალი უფლის ხელია...

საოცარია,
– გარშემო უთვალავი უცხო ფერია...

გულსატკენია,
– რეალობის აღქმა როცა მწირზე მწირია...

დასანანია,
– როცა კიცხვა ერთმანეთის აზარტულია...

სატირალია,
– ბნელში ყოფნა კომფორტულია...

საფიქრალია,
– ქვეყნის ბედი ბეწვზე კიდია...

საკითხავია,
– მზის სითბო თუ მთვარე ჯობია?

მისახვედრია,
– ღვთის შექმნილი სრულყოფილია...

შესაგნებია,
– გონზე მოსვლა გადამწყვეტია...

შესაცვლელია,
– აზროვნება,ქცევა,ჩვევა შესაცნობია...

გასაბედია,
– მომავლისთვის თავდადება რჩეულთ ხვედრია...

საკვირველია,
– გულწრფელ ლოცვას რაც შეძლებია...

თვალხილულია,
– ქმედებისას შანსი მეტია...

გასაგებია,
– შესაცვლელი ბევრზე ბევრია...

შესაგრძნობია,
– ერის ხვედრი, ერის გენია...

ჩვენი მისია?
– ღირსებაზე უკეთესი არაფერია...

მოგონებად დარჩენილი ნამდვილ გრძნობის რეტრო კადრი...

ძველი სახლის ჩუქურთმა და
ნესტში შერეული სუნი კვამლის...
ბათქაშ ჩამოშლილი კედლებიდან
წითლად მომზირალი აგურების სველი კვალი...
ხის ჭრაჭუნა ცალფა ფიცრის
გაქექილი იატაკი,
კაკლის მრგვალი მაგიდა და
მსხვილფეხება ოთხი სკამი...
წიგნის სიბრძნით სავსე თარო,
კაკლისხისვე კარადა და
ოთახშიდა ორი კარი...
მაღალ ჭერის სამშვენისი
დაშვებული ბროლის ჭაღი...
მოაჯირში შებჯენილი რიკულები,
ქუჩას დაკიდებულ აივანზე
აყოლილი ვენახი და ვარდის ბაღი...
ისტორიას ასე დარჩა,
მოგონებად აღბეჭდილი
ნამდვილ გრძნობის რეტრო კადრი...
ფარდის უკან მომზირალი
მომლოდინე თვალები და
სევდას შეხიზნული დარდი,
შინისაკენ აღმართ-აღმართ
მიმავალი კაცის ლანდი...

გლიცინია

ციდან დაშვებული ტკბილსურნელებად,
იდუმალ იისფერ მტევნებად იღვრები...
სივრცეს ნათვისები ნატიფ კიდურებად,
ვერვის სადარი, უხვად ირთვები...

აპრილს წაართვი თვის უკვდავება,
ზამბახს ფერები ლურჯწითელ გამის,
ნაზ იასამნს ფაქიზი კდემა,
ვარდს კი გვირგვინი დედოფლის ლამის...

შენს არსებობას სიმშვიდეც მოაქვს
და ამავე დროს ზოგჯერ სულსაც ღლი,
წვიმის დროს სევდა შენც გულს გისერავს,
ჩამოყრი ყურებს,
ფურცლებს ცრემლად ღვრი...
მოიბუზები უმწეო ვაზად,
ფერმკრთალდები და იერს უცებ ცვლი...

მაგრამ ჩემსავით მზის ყოველ სხივზე,
შენც მკდრეთით ღდგები კვლავ დაბადებით,
რომ გავუღიმოთ ისევ სამყაროს,
ფერების ფრქვევით, ყვავილბარდებით...

ვისთვის უცნაური და ვისთვის საცნაური

ვისთვის უცნაური და
ვისთვის საცნაური
სხვისი ტკივილის გულით ხედვა...
ვისთვის ჩვეული და
ვისთვის უჩვეულო
სხვისი იარისთვის წამლის ძებნა...
ვისთვის საქილიკო და
ვისთვის საფიქრალი ,
სხვისი პრობლემისთვის ძილის ტეხვა...
ვისთვის უსულო და
ვისთვისსულიერიღირებულებებისსაზრდოდ
ქცევა...
ვისთვის უხერხულობა და
ვისთვის მოხერხება
სხვისი შიშების იუმორად გადაქცევა...
ვისთვის სულერთი და
ვისთვის სულ ერთია -
წესი,
სხვისი თანაგრძნობის ამორჩევა !!!

წუხელ ჭექდა...

წუხელ ჭექდა,
ცა დაბზარა წითლად ელვამ...
წვიმა თქეშდა,
გაამძაფრა გრგვინვით ღელვა ...

მიწა დალბა,
გულს იგრილებს,
მშვიდად ფეთქავს...
სურნელს აფრქვევს იმისთანას
კლდეს გახეთქავს...

დილა იშვა,
ღამე ნათელს დაემალა,
ქვეყნის ჭირმა
თავი ისევ
ვერ დამალა...

ძაღლი ყეფდა,
მამლის ყივილს
უარყოფის ნიშნად თვლიდა...
სინანული თავის სათქმელს
ვერ ითმენდა,დროში ღვრიდა...

ფიქრი ლექსად ამოხეთქილ
ცეცხლის მფრქვეველ ვულკანს მიგავს,
სათქმელი კი ლავასავით
გადაევლო ყოფის იგავს...

პულსაცია

პულსზე თითის დადებით
პულსაციას შევიგრძნობთ...

გულზე ხელის დადებით
ჩვენს სიმართლეს ვამოწმებთ...

სულის სათქმელს თვალებით
თვალებიდან შევიცნობთ...

სიტყვით სითბოს გაცემით
ღრმა ჭრილობებს ვაშუშებთ...

იქ სადაც...

იქ,სადაც ქრისტეს ჯვარზე გაკვრა
ასე ადვილია,
გამარჯვებას ზეიმობს კვლავაც ,,პანდემია"...
იქ, სადაც, ვერცხლი სულზე ასე ძვირფასია,
უფრო ძვირად ფასობს
ფსევდო ,, მასმედია"...
იქ,სადაც სინდისის ძარღვს
ძაფი ჩაწყვეტია,
ერის თანადგომით ბერიც საშველია...
იქ,სადაც ცოდვა ნორმის ფარგლებშია,
სინანულით ცრემლის ღვრა
რაღა სათქმელია?
იქ,სადაც ამდენი ფუჭად ნათქვამია,
დროა გაღვიძების,
წამზომი ჩართულია!!!

ფიქრების ბაღი

მაშინ როდესაც ჩამოვჯექი ფიქრების ბაღში,
და მზემ ოქროსფრად ჩამომიწნა სხივები თმაში,
სულ სხვანაირად შევიგრძენი მე გულით ხედვა –
გარდაქმნილიყო
გაზაფხულად
სამყაროს ფეთქვა,
ტკბილსურნელება, გალობა და
პალიტრა ფერთა,
ნიავის სუნთქვას მოყოლილი
შრიალი ხეთა ,
ჭრელ ხალიჩებად ყვავილების
დაფენა ფეხთან...
ფუსფუსის ხმები,
ჟრიამული,
საკვები დღეთა,
ქმედება დროში და შეხება
ღვთივმოსილ ხელთან...

აპრილი მოდის

აპრილი მოდის, როგორც გრძნეული,
თეთრი იებით, შროშანთა ფერით...
აპრილი მოდის ,ფიქრარეული,
პიონ-ტიტებით და წვიმის თქეშით...

აპრილი მოდის, გრძნობის ხმაურით,
ყვავილთა თოვლის მიწაზე ფენით...
აპრილი მოდის, სუსხის ტრაურით,
იასამანთა სურნელის ფრქვევით...

აპრილი მოდის,
როგორც ცხოვრება,
აღუვსებელი ვით საწყაული...
აპრილი მოდის, როგორც სიცოცხლე,
უფლის აღდგომით, ვით სასწაული...

სამი მთა მოჩანს

გ-ავცქერი სივრცეს, ,,სამი მთა" მოჩანს,
ზ-ეცას ანატყორცნს ვუსმენ გალობას...
ა-რჩევანს ითხოვს ცხოვრება ჩვენგან,
ჯ-ოჯოხეთიდან თავის დაღწევას...
ვ-ივიწყებთ წარსულს, გზას ვურევთ აწმყოს,
ა-რ გვსურს მყოფადისგეზის ცვალება...
რ-ოლებს ვირგებთ და ასვლა გვსურს თაბორს,
ე-რში არ გვინდა ფერის ცვალება...
დ-აღლილი სული გოლგოთის ავლით
ი-ვანებს ადგილს განსაწმენდელად...
ნ-აყოფად რწმენის და ნათელღების,
ი-მედით ვუცქერ მთას ამაღლებად...

თავისუფლება

შინაგან თავისუფლებას როცა არ აძლევ გასაქანს,
მაშინ დათრგუნულ აზრისგან,
ბზარი უჩნდება მთის მყარ ქანს...
არჩევანს თვითონ აკეთებ,
რა ქნა და რა არ უნდა ქნა...

თავისუფლება ქცევის დროს ამჟღავნებს ,,კაცის" ბუნებას,
რამდენად მძლავრობს სინდისი,თუ ეამბორა ცდუნებას...
რამდენად ჭარბობს სინათლე,თუ დაღმა დაყვა ცრუ ნებას...
რამდენად ხარობს ედემი და უძლებს ცეცხლის ცხუნებას...

გინდათ, სიმართლე გაგანდოთ
მზე სანთლად რატომ აენთო?
რატომ გაფანტა სიბნელე და
შეძლო სულის გარდაქმნა?
– უფლის ხატებად რომ დავრჩეთ,
კაცად და ქალად რომ შეგვქმნა!!!

მე გეტყვი სათქმელს

მე გეტყვი სათქმელს პირდაპირ, ნათლად,
სიტყვა აღიქვი დანთებულ სანთლად...

მე გეტყვი სათქმელს გახსნილად,ლაღად
ნათქვამი მინდა აღიქვა საღად...

მე გეტყვი სათქმელს ხმამაღლა,მკაცრად
და გადაგიქცევ ცეცხლს საცრელ ნაცრად...

მე გეტყვი სათქმელს მიმიკის სახვით,
კონტურთა ხაზვით,მიმების ხატვით...

მე გეტყვი სათქმელს ჟესტების ენით,
სიტყვების ნაცვლად თითების ცეკვით...

მე გეტყვი სათქმელს თვალებით, ცქერით,
სულის სარკიდან ნატყორცნი მზერით...

მე გეტყვი სათქმელს სიჩუმით,თმენით,
ფორტეზე ძლიერ პიანოს სმენით...

მე გეტყვი სათქმელს ტაქტით,რითმებით,
ჰანგით, ბგერებით ,ნაფერებ ხმებით...

მე გეტყვი სათქმელს აზრების ძერწვით,
ცრუ რწმენისა და მითების ლეწვით...

მე გეტყვი სათქმელს სტროფების წერით,
სტრიქონად დაღვრილ მომავლის რწმენით...

მე გეტყვი სათქმელს შეფარვით,კრძალვით,
თავმდაბალ ქცევით,ტკივილთა მალვით...

მე გეტყვი სათქმელს,ნაჩერებ წამით,
სამყაროს ფეთქვით,ბობოქარ ღამით...

მე გეტყვი სათქმელს აწ უკვე თქმული
და ჯერ არ თმქული სიტყვათა ჩქამით...

რთული დაგვიდგა ათასწლეული

ადამის მოდგმას უწია ცოდვამ,
რთული დაგვიდგა ათასწლეული...
არავის მოდგამს უნცია ცოდნა
რული დაძლიოს გონარეულის...

ქარიშხლის ბორგვამ წაიღო როკვა,
გული დარდისგან გზააბნეულის...
ქარვასლის ,,ბორდმა" დაიწყო ბოდვა,
დარდუბალასგან ნირწართმეულის...

ურემის ბორბლის ფასდება შველა,
დაგორებისგან გვერდაქცეულის...
უძღები შვილის სახეა ყველა,
ქედმაღლობისგან მონად ქცეულის...

მინდვრების ბოლოს გამოჩნდა რემა,
ფაფარ აყრილი თეთრი ცხენების...
გამოდარების რა გითხრათ,მაგრამ
იმედი კი მაქვს მკვეთრი ფერების...

ეიფორია იპყრობს გარემოს

ს-აშველად იხმობს ზაფხული წვიმას,
ე-თაკილება მწვანის გაძარცვა...
ქ-არი არ იშლის ფოთლების ცვენას,
ტ-ოტებმა რხევით ცადა თავდაცვა...
ე-იფორია იპყრობს გარემოს,
მ-სუყე ფერებმა ნისლი ჯვარსაცვა...
ბ-უნება უთმობს სეზონს სახეცვლას,
ე-ამბორა და პლედი გარსაცვა...
რ-ეალიზმსა და სულის ფერისცვლას,
ი-დიალიზმმა ოქრო ჩააცვა...

დასანანია დროის დენა წყალის სიჩქარით...

დედის უბიდან გაფანტული
კვერცხის გულისფერ წიწილებად
შეფოთლილა მტკვრის სანაპირო,
სპილენძისფერმა ბრინჯაოსფერს ზავი დაუდო...
დასანანია დროის დენა წყალის სიჩქარით,
ეს ფერადი კადრებიც რომ აღარ დაინდო...

თევზის ლოდინით გადაღლილან თოლიები და
მოაჯირებზე ჩამომსხდარან ფეხის მოკეცვით...
მოყვარული მეთევზე კი თავს არ უტყდება,
გულს იმაგრებს ცარიელი ბადის კვლავ კეცვით...

ზამთრის პირველ დღეს ქარი წვიმით შემოდგომას შლის,
სუსხი კი ხეებს შემონახულ პალიტრისგან ცლის...
ამინდთან ბრძოლით ყვავილეთი უკვე შიშით კრთის...
მოსალოდნელი სიცივისგან ჩიტიც ტოტზე თრთის...

სიცოცხლის გაგრძელების აზრი თვალხილული...

ნახევრად ფოთლებ გაძარცვულ ტყემლის ხეს,
შიშველ ტოტებს,რომ უმოსავს ბეღურები,
დარდისგან დაძარცვულს მაგონებს ადამიანს,
ვის ნდობით შემოსვას ცდილობენ მეგობრები...

სახურავს აცდენილი კაკლის ხის კენწერო,
მიწამდე დახრილი ქვედა კიდურებით,
დროში გაჭედილს მაგონებს ადამიანს,
მიწიერს ცისთვის რომ უხსნია ურდულები...

სიხმელე მოჭარბებულ ჭარმაგ ბალის ხეს,
ვაზი აყოლია მტევნებ დახუნძლული...
თითქოს ამით ცდილობს დაანახოს
სიცოცხლის გაგრძელების აზრი თვალხილული...

ქარი

ქ-როლვით
ა-მინდის
რ-ითმა
ი-ცვლება,

შ-ემოეძარცვა
ე-ნძელას კაბა,
მ-იმოეფანტა ფურცლები იას,
ო-რომტრიალში დაეტყო დაღლა...
გ-ული უკრთება ნაზ ყოჩივარდას,
ვ-არდი
ე-კლებით ცდილობს თავდაცვას...
ჩ-იტი ხის ტოტზე თავს
ვ-ერ იმაგრებს,
ი-მედით გალობს,
ი-წყებს ზელოცვას...

ა-დამიანი?-პროგნოზს შესცქერის...
ა-რწივი?
ა-რ კრთის, უძლებს გამოცდას!!!

ვინც...

ვინც კითხულობს შენს თვალებს,
ხედავს სიღრმეს სულისას!!!

ვინც ჩაწვდება შენს ფიქრებს,
ხედავს ძალას გონისას!!!

ვინც აღიქვამს შენს ქცევებს,
ხედავს ძახილს გულისას!!!

ვინც შეიგრძნობს შენს ტკივილს,
ხედავს საზომს არსისას!!!

ვინც გულწრფელად გიყვარებს,
ხედავს ნებას უფლისას!!!

ვაზი

დასაბამიდან კურთხეულ ქართულ მიწაში
წიპწებად ჩაცვენილი,
უფლის მადლით გაღვივებული,
სამარადისოდ ღრმად ფესვგანფენილი...
მადლიანი წიაღით გულუხვად ნასაზრდოები,
მზესმზირალი,
მიწის ზევით ლაღად ამოხეთქილი,
ნორჩი ყლორტებით ზეცისკენ
იმედით მომზირალი...
დილის ცვარნამით უხვად ნაკვები,
ლერწებით ჭიგოს მჭიდროდ შემოკონილი,
ადრე გაზაფხულზე ჭრილობიდან მაკურნებელ
ცრემლად დაღვრილი,
იას ჩაკონებული...
კვირტებ დახეთქილი,
გვიან გაზაფხულზე ყვავილებად აფეთქებული,
მერე კი მტევნად გამონასკვული,
თანდათან ფერშეცვლილილი ისრიმი,
მზის სითბოსგან სიმწიფეში შესული...
ქარვად, ლალისა და ძოწისფრად დაღვრილი,
მწიფე მტევნების ნაჟური,
ზიარების ბარძიმში ქრისტეს სისხლად ჩაღვრილი...
თიხის ქვევრში ჩაწურული სურნელოვან ღვინოდ ქცეული,
ქართული გენის საზომად გადაქცეული,
ვაზი , წმინდა ნინოს თმები ჯვარს შემოხვეული,
ჩვენი რწმენის სიმბოლო,
სულის ხვეული...

იმედის ქონა ნისლსაც ფერს უცვლის

ამ ქვეყნად ყველას თავის როლი აქვს,
ცხოვრების სცენარს წამი უცებ ცვლის...

წვიმიან თქეშებს სევდა თან მოაქვს,
ყვავილებს ფერებს,სუნს, ფურცლებს აცლის...

სუსხიან დღეებს ნაღველი მოაქვს,
ღრუბლიან ამინდს დარი კვლავ შეცვლის...

დროის დინება საათს გვიქოქავს,
ვიღაც დარდისგან სავსე ჭიქას ცლის...

ლექსების კონა გრძნობებით ფეთქავს,
იმედის ქონა ნისლსაც ფერს უცვლის...

ხედვა

ბევრისსულიშემოდგომისფერთა
გამებს ისისხორცებს...

ბევრის გული ნაზამთრალი
სუსხითაა სავსე...

ბევრისხედვაგაზაფხულისწვიმის
წვეთებს აყვავილებს ...

ბევრის ქცევა ზაფხულის ხვატს
მწვანე კონცხად აქცევს...



ნინო ახალაშვილი – ფილოლოგი;
დაბადების ადგილი – დუშეთი.

***

რაღაც სხვა დარდი აწუხებს ზეცას,
ქარიც სხვა ძალით აწვება კარებს.
ბეღურა ჩიტი ზის და ფრთებს კეცავს,
უმარცვლო მიწა კლავს და აწვალებს...

ვეძახი ჩემს თავს, (არ ესმის მგონი) _
ადექი!
გადი!
აჭამე რამე!
გესმის, გაიგე, მოგეცეს გონი,
თორემ ბეღურა მოკვდება მალე...

ფანჯრებზე ჭირხლი გაადნო სითბომ...
გარეთ რამდენი მოგროვდა ჩიტი...
და კაცს კი არა ჩემში ღმერთს ითხოვს
იმ ღმერთს, რომელსაც ყოველდღე ვყიდი...

ვდგები და პურის ნაჭრები გამაქვს...
ხელისგულებით ვათბობ ნამცეცებს...
ჯერ ერიდება ბეღურას ჭამა..
უკვირს, უკვირს და თვალებს აცეცებს...

და როგორც იქნა მოეცათ ძალა,
მოვიდნენ ახლოს, თუმც უკრთით მკერდი...
არ ვიცი ვინ ვარ და ან ვის ვგავარ...
ჩიტებს კი, ამ წამს, ვგონივარ ღმერთი...

მინდა მქონდეს სახლი

მინდა მქონდეს სახლი,
პატარა და თბილი...
ყვავილების ბაღი,
ლამაზი და ხშირი...

ია, ვარდი, ნუში
კონა-კონა იყოს...
და ვაფრქვევდეთ გულში
ჩაბუდებულ სითბოს...

სულ, სულ ენთოს სახლში,
სიყვარულის ცეცხლი...
თმახუჭუჭა ბავშვი
და შენ მყავდე გვერდში...

მინდა მქონდეს სახლი,
ქოხი, ქოხამუხი...
სიყვარულის ძალით
არ ქრებოდეს შუქი...

მინდა ჩვენი სახლი,
ეკლესიას ჰგავდეს
და წაუსვლელ სტუმრად,
სულ უფალი გვყავდეს.

უთქმელი
– "მიყვარხარ"

წავალ და რამდენი დამრჩება სათქმელი...
რამდენი – ძვირფასო... რამდენი – მიყვარხარ...
კი თავი მგონია ხან ბევრის მნახველი
და მაინც სიყვარულს უთქმელად ვინახავ...

გაეცით სითბო და გაეცით ალერსი...
მიყვარხარ! – უთხარით ყოველდღე ერთმანეთს...
ერთმანეთს უყურეთ ყოველდღე თვალებში...
გიყვარდეთ ერთურთი, უბრალოდ გიყვარდეთ...

უთხარით! უთხარით, ტკბილია სიცოცხლე...
რომ ერთად ყველაფერს, ყველაფერს გაუძლებთ...
რომ იბრძვით, რომ გიყვართ სულ ყველამ იცოდეს...
მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს... სამყაროს აუწყეთ...

მადლობდე უფალს და ადიდე გამჩენი...
ყოველი დღე უფლის წყალობად მიიღე...
გიყვარდეს მოყვასი... უბრალოდ გამვლელი..
ეცადე უფალთან მართალი მიხვიდე...

თუ გული გატკინეს, შენდობა ისწავლე...
არასდროს დაკარგო რწმენა და იმედი...
იშრომე... იბრძოლე... ილოცე... იწვალე...
და შენით შექმენი, თუნდაც რომ მცირედი...

გაეცით სითბო და სიკეთე აკეთეთ...
უფალი აცოცხლეთ თქვენში და იარეთ...
ცა და მზე ყოველდღე თვალებში არეკლეთ...
იხარეთ... იმრავლეთ... იადამიანეთ!

არ ვიცი რამდენი კი დამრჩა სიცოცხლე...
არ ვიცი ცხოვრება რამდენ ხანს გრძელდება...
დღეს გეტყვით და მინდა, რომ ყველამ იცოდეთ,
მიყვარხართ! და გრძნობა ჩემში არ ნელდება....

მიყვარხარა

მიყვარხარა ვარ!
დიახ, მთელი სამყარო მიყვარს!
მიყვარს დილის მზის გაღიმება მაყვლის ჩეროდან...
თან განა რამე, სიყვარულის გარდა რა მიგვაქვს?
მაშ რად ვუყურო დედამიწას სადღაც ზემოდან...
მიყვარხარა ვარ!
სიყვარული, სიკეთე, რწმენა...
და გაზაფხულის ყვავილები სულში მჩემობდა...
სხვას რას გამატანს ეს ქვეყანა, წავიღებ მე რას?
თუ არ სიკეთით, სიყვარულით სავსე "ჩემოდანს"
მიყვარხარა ვარ!
შენც მიყვარხარ, ჩემო ჭრელთვალა,
შენც, ჩემო ღიმილგამთბარო და თვალებმზიანო,
შენც, ჩემო ბავშვო, შენც მიყვარხარ, დრომ რომ შეგცვალა...
და შენც უცნობო, თან ნაცნობო... ადამიანო...
მიყვარხარა ვარ!
წარსულიდან ლანდებსაც ვეტრფი...
მიყვარს სამშობლოს შეწირული ჩვენი გმირები...
იმასაც ვფიქრობ _ ჩვენს მომავალს მე კი რას ვეტყვი?!
თუკი დასჭირდა, მეც სამშობლოს შევეწირები...
მიყვარხარა ვარ და სიყვარულს პეშვით ვაგროვებ...
მინდა რომ ყველას დაგირიგოთ ჩემი გულიდან.
ეს ის ძალაა, სამყაროს რომ ძრავს და აგორებს.
უკვდავებაა, დრო და ყავლი არ გაუვიდა....
რა ცოტა დროა სიყვარულის გადასარჩენად,
და რა დიდია დრო, რომელიც მას არ მივეცით...
მიყვარხარა ვარ!
ეს მეყოფა ღმერთთან სათქმელად...
თქვენც შემეწიეთ სიყვარულით, მხოლოდ მცირედით...

***

და თუმცა ყოველდღე ვიღიმი...
ცრემლებსაც ყოველდღე ვიპარავ...
ჩემშია უშენოდ ტკივილი,
დრო მიდის... მე მაინც მიყვარხარ...

ვინ იცის ამ გულში რამდენი:
ტკივილი, სევდა და დარდია...
ვერაფერს გაიგებს გამვლელი,
მას სტკივა, ვის გულზეც დადიან.

გამოიდარებს

გამოიდარებს...
გამოიდარებს...
ნამს შეიშრობენ ტანზე ვერხვები...
ახლა კი შენთან როგორ მინდა მე,
ვგრძნობ, რომ არ იცი...
ვგრძნობ, რომ ვერ ხვდები...
გამოიდარებს...
გამოიდარებს...
ცრემლს მოაშორებს ქარებს მზის სხივი...
შენ კი, ძვირფასო, ვიცი, ინანებ,
რომ ხარ მიზეზი ჩემში სიცივის....
გამოიდარებს... გამოიდარებს...
აპრილს მოიყვანს შენზე ფიქრები...
დღეს, დღეს, ძვირფასო, შენთან მინდა მე...
ხვალ, ღმერთმა იცის, თუ სად ვიქნები..

სიცოცხლეშივე

აჰა, წავიდა...
მერამდენედ ქრება მწერალი...
სამყაროს სუნთქვას, მის მაჯის პულსს
ლექსად რომ წერდა...
ვიღაც დაგვძახებს _ "ეგ პოეტი ჯერ ხომ ვერ არის".
დღეს გაქრა, გუშინ ვინც აქ იყო და გვერდით გვედგა.
სიცოცხლეშივე...
თორემ მერე ვინ რა გაიგოს?
თუგინდ არაგვი თვალებიდან გადმოვიდინოთ...
სიცოცხლეშივე შევიყვაროთ, მიწამ წაიღოს...
და თუგინდ მკვდარი არასოდეს არ დავიტიროთ....
ვიდრე ვარსებობთ, სული გვიდგას, ვიდრემდის ვართ ჩვენ,
მანამ გვიყვარდეს, მანამ მივცეთ ერთმანეთს შვება...
თორემ იქ ღმერთი მოგვხედავს და დარდს გაგვიქარწყლებს,
აქ, ამ დაწყლევლილ სამყაროში კი ასე ხდება...
კვდები და მერე დაგტირიან ცხელი ცრემლებით...
(აჰ, უფრო სწორად, მეც ასე ვარ, რას ვამბობ... ვისზე..)
სიცოცხლეშივე დავაფასოთ, თორემ ცხედრები
რას გაიგებენ, დარჩენილთა წუხილის მიზეზს...
ჩვენ სიკვდილამდე სიყვარული მოგვეთხოვება,
სიცოცხლეშივე დაფასება, უთქმელად?! _არა...
თორემ წასულს ვინ რა სიტყვით დაეთხოვება,
ვერას გაიგებს, ვერც მიხვდება და ისე წავა....

უფლის ხელები

რამდენჯერ, ვფიქრობ, ვერ მიგრძვნია უფლის ხელები,
წამოდგომაში რომ მშველოდა სულით დაცემულს...
ახლა კი ვდგავარ, ჩემს სიმცირეს უხმოდ ვერევი...
მადლობა უფალს, ჩვენგან ასე უღვთოდ გაცემულს.

ჩემში იუდაც მიპოვნია, რამდენჯერ, იცით?!
ვერცხლით ავივსე მერამდენედ, ხელები, კალთა...
მე მიტევება რომ ვითხოვე, უბრალოდ სიტყვით,
მოვიხედე და პატიება უფლისგან დამხვდა...

ასეა, ყველას ჩვენდა წილად იუდა გვქვია.
ასეა, ყველა რაიმე ფასს ვადებთ მაცხოვარს...
ზოგჯერ ვგწყურია უღმერთობა და ზოგჯერ გვშია...
ხორცით არა და.. ვემსგავსებით სულით მათხოვარს...
...
ადამიანში ხშირად ვხედავ ღმერთსაც და მიკვირს,
ყველა სიმართლეს რატომ ვხვდებით ძალიან გვიან...
ვინც ჩვენთანაა, როცა გვტკივა და როცა გვიჭირს,
ისაა ღმერთი და მას ჩვენი მოყვასი ჰქვია...

***

რის მაქნისია გზა, რომელიც უფალთან არა...
უფალთან არა და სრულიად სხვა მხარეს მიდის?!
რის მაქნისია, ის მოყვარე, რომელიც მამას,
სხვისას კი არა! სხვისას არა! – თავისას ჰყიდის...
რის მაქნისია, გაზაფხული, თუკი ყვავილი,
ერთი კი არა, ყველა ერთად ასკდება ფიცარს?!
რის მაქნისია ის სიცოცხლე, თუკი ვეღარ გრძნობ,
მკერდში გულსა და ფეხქვეშ კიდევ მშობლიურ მიწას?!
რის მაქნისია, ის სიცოცხლე, როცა არ იბრძვი?!
მკვდარი თევზივით გადაჰყვები ტალღებს ნელიად...
მერე მოხვალ და "საართქმულო არაკად" იტყვი,
რომ ეს ცა, მიწა, ზღვა, ხმელეთი ისევ შენია...
რის მაქნისია – ფიქრი, აზრი, დუმილი, სიტყვა...
თუ არ გაჟღერდა, არ იქუხა, თუ არცკი ითქვა?!
რის მაქნისია გზა, რომელსაც ღმერთთან კი არა,
კაცი სხვა მხარეს, სულ სხვა გზით და სხვა ფიქრით მიჰყავს?!

შემინდე, მამაო!

შემინდე, მამაო, სული მაქვს დაღლილი...
თვალებში ჩამხედე, ჩამხედე, მამაო!
ვერ ვპოვე მიწაზე, აქ ჩემი ადგილი...
საიდან მოსული მივდივარ სადაო...
მითხარით, რა ვუყო ამ ცოდვის სიამეს?!
რით ჩამოვირეცხო ხელიდან ტალახი?!
ტრიალებს, სამყარო უკუღმა ტრიალებს...
ხან დაღმაც მიჰყვება დინებას კალმახი...
მეც თავქვე დავეშვი, რამდენჯერ, მამაო...
რამდენჯერ წავიქეცი... აქ ფეხიც დამიცდა...
ყოველნი ლოცვანი ყოფილა ამაო...
ხორცს ვზრდიდი, ვკვებავდი და
სული გამიცვდა...
შემხედე, მამაო, ვკვდები და ვიხრწნები...
უშენოდ ჩემს სულშიც – დაღამდა...
დაბინდდა...
მეც ასე – ცხოვრების დინებას მივყვები...
არ ვიცი ვინა ვარ... და არც ის – რა მინდა...
ყოველი ჯვარცმა და ყოველი აღდგომა,
უფალო, ვხედავ რომ წინაზე დიდია...
კვლავ შენთან მოსვლა და
კვლავ შენგან განდგომა...
მოდიან – რომ უჭირთ... ულხინთ და – მიდიან...
მიშველე, მამაო, უშენოდ ვხუნდები..
უშენოდ ჩემს სულშიც დაზამთრდა... დათოვა...
მოვდივარ და თითქოს უკანვე ვბრუნდები...
მგონია ხალხში ვარ და მაინც მარტო ვარ...
შემინდე, მამაო, იმდენჯერ შეგცოდე...
ვერ გნახე კაცში და ვერ გნახე მიწაზე...
დღეს მუხლსულმოყრილი
შენდობას შეგთხოვდე...
ჩვენ, კაცმან, გაგწირეთ... შენ – ჩვენი იწამე..
ყოველ გზას, შესახვევს, სულ ეჭვით გავივლი...
ვაი, თუ სხვა მხარეს ვიარო ამაოდ...
ჩემს ცოდვებს, უფალო,
ვერასდროს დავითვლი...
შემინდე ყოველი, შემინდე, მამაო!

მეგობარო!

როგორ მენატრები, მეგობარო!
მერე რა, თუკი სულ ვერ გხედავ...
რამდენჯერ მიფიქრია – "ჩემო თავო,
რამხელა სიყვარული დაგებედა."

როგორ მეკარგები, მეგობარო...
დრომ, რომ სხვა სივრცეში მოგვამწყვდია...
გხედავ, გული მტკივა, ჩემო კარგო,
წლები, როგორ უცებ მოგპარვია...

ცხოვრებამ ასე იცის, უცაბედად,
გზები დროებითად გადიკვრება...
მერე გაიყრება, ორი ერთად...
ვინ თქვას, თუ ეს ორი, სად იქნება?!

რამდენ ადამიანს გაუვლია,
რამდენი გაივლის ჩვენს ბილიკებს...
მათ რომ ყვავილები დაუყრიათ,
ახლა, იმ ყვავილებს, სული მიკრეფს...

მაგრამ შენს ბილიკებს სხვა ვერ ივლის,
ყველას თავის გზა აქვს გასავლელი;
როგორც დეკემბერს და შუა ივლისს,
თავის დღეები აქვთ დასათვლელი....

ხედავ?! ჩვენი გზები გაყრილია,
ერთ დროს, მხარდამხარ რომ მიდიოდა...
ახლა, არც პირველი აპრილია
და არც შეიძლება მეტის მოცდა...

როგორ მენატრები, მეგობარო,
მერე რა, თუკი სულ ვერ გხედავ...
რამდენჯერ მიფიქრია – "ჩემო თავო,
რამხელა სიყვარული დაგებედა."

ოღონდ სამშობლო მიცოცხლე

ჩემთვის რა გთხოვო, უფალო,
როცა სამშობლოს სჭირდები?!
თითქოს ვარსებობთ უბრალოდ...
არც ქართველობით ვირჯებით...
განა რა უნდა მინდოდეს,
ჩემი სამშობლოს ხსნის გარდა?
მეტად რა უნდა მტკიოდეს
რაზე ვთქვა _ "მეტად მიყვარდა"?
რა ვთქვა... ან რაღა ვინატრო?
ცაზე ვარსკვლავი მიქრება...
ტუჩზე ღიმილებმიხატულს
ხელში სამშობლო მიკვდება.
ჩემთვის რა გთხოვო მითხარი,
ჩემი სამშობლოს ხსნის გარდა?
დღეს საქართველო ის არის,
რაც მიყვარს, მარად მიყვარდა...
ქედდაკორძილი ხარივით,
გადამყვლეფია ფიქრები...
ოღონდ სამშობლო მიცოცხლე,
და მე თუნდ ნუღარ ვიქნები....

ჩამეკარი

ჩამეკარი, გევედრები, ჩამეკარი!
ისე ძლიერ, რომ ბედმა ვერ დაგვაშოროს...
ჩემი სული შეისუნთქე, როგორც ალი...
ჩამეხუტე.... დაე, წლებმა დაგვათოვოს...
თვალებს ვხუჭავ, რომ გხედავდე სულ, სულ ბოლოს
და რომ სითბო არ გაფრინდეს მერცხალივით.
სულ იწვიმოს, ქარი იყოს, თუნდ ითოვოს,
მომეხვიე, იქნებ მზეს ვერ ვხვდები დილის...
ჩამეკარი, ისე ძლიერ, როგორც ბოლოს,
ბოლოს ბოლო ჩახუტება იქნებოდა...
ახლა ვხვდები, საყვარელო, მე თუ როგორ,
უშენობა, მე როგორ არ მიხდებოდა...
ჩამეხუტე, კიდევ ერთხელ, ჩამეხუტე!
დრო გაფუჭდეს, იქნებ წამი გავაჩეროთ...
ჩამეკარი! მერე რა თუ გამებუტე...
ჩამეხუტე, ღამე ასე გავათენოთ...
ჩამეკარი, გევედრები, ჩამეკარი!
ისე ძლიერ, რომ ბედმა ვერ დაგვაშოროს...
ჩემი სული შეისუნთქე, როგორც ალი...
ჩამეხუტე.... დაე, წლებმა დაგვათოვოს...

გიჟი ვარ

-გიჟი ხარ?
- ცოტა გიჟი ვარ...
- ჭკვიანი?!
- ცოტა ჭკვიანიც...
ხან აღმა-აღმა მივფრინავ,
ხან ძირს ვეშვები ბზრიალით...
გიჟი ვარ,
ისევ გიჟი ვარ!
წლებმაც კი ვეღარ შემცვალა.
დაჭკვიანებას ვინ ჩივის,
თანდათან უფრო შემშალა...
ხან ვაფრენ...
განა თვითმფრინავს...
ან მოფარფატე თოლიას...
ვაფრენ ცხოვრების დინებას,
მე რომ ვერ ამიყოლია...
გიჟი ვარ...
და ეს სიგიჟე,
იცოდეთ, ჩემი "ჰობია"...
ხან ამ ცხოვრების ყურება,
გიჟების თვალით სჯობია...

ქართველთ გოლგოთა

(...უსახელო გმირებს...)

შენ არ ყოფილხარ, არც ვახტანგი და არც დავითი,
თუმცა ქართველი იყავი და ომში ელავდი...
შენისთანები იმდენია, ვერცკი დავითვლით...
მიწას გმირულად იცავდი და სისხლით ფერავდი....

შენ უსახელო გმირი გქვია, ქართველი გმირი,
ღმერთო, რამდენი კი გვყოლია ასეთი განა.
სახელი რაა, თუ სამშობლოს ეზრდება შვილი?
ჩვენი ფესვები დღესაც ასეთ გმირებზე დგანან...

ვინ იცის, როგორ აგტკივნია რწმენა, მამული,
ქართველთა რჯული, ეროვნებას თან ახლდა მარად...
შენც ამ ტკივილით იქნებოდი გულგათანგული,
მამულს ედექი ამოწვდილი ხმალად და ფარად...
შენც დაიმარხე დიდგორთან, ან თუნდაც შამქორთან,
სად გაგიხსენო, რომელ მხარეს არა ხარ განა?!
ყოველ კუნჭულში, ყოველ მეტრში, გულშიც სახლობ და...
შენი დიადი მხარ-მკლავები მიწაში წვანან...

და ყოველ ძარღვში დაგელაობს სისხლი ქართული,
სისხლი, რომელიც ვერ დაშრიტეს სპარსელ-მონღოლთა...
მაინც ვიდგებით, მაინც ვივლით წელგამართულნი,
თუმცა მოგვიწყეს, არაერთხელ, ქართველთ გოლგოთა...

შენ არ ყოფილხარ, არც ვახტანგი და არც დავითი,
არ აგიგია არც ბაგრატი და არც გელათი,
თუმცა დღეს შენზე არაფერი თითქმის არ ვიცით,
ჩვენთვის გმირი ხარ, ქართველთ მიწას სისხლით ფერავდი....

ყველა ადამიანს თავისი ცალი ჰყავს

ყველა ადამიანს თავისი ცალი ჰყავს...
თვალებში სული ჩანს, სულში კი _ ის ცალი.
იცოდე, სიცოცხლეს, იმ ცალით, აზრი აქვს!
თუ მასში შენ შენი სამყარო იცანი.
ყველა ადამიანს თავისი ცალი ჰყავს....
ამ ცალის პოვნაა სიცოცხლის მიზანი...
გჯეროდეს ყველაფერს,
ყველაფერს აზრი აქვს,
თუკი დარწმუნდები, რომ ის _ ის არის...
ყველა ადამიანს თავისი ცალი ჰყავს...
სულში რომ ჩახედავ, თვალები გეტყვიან:-
"არ მინდა სხვა ვინმე, ეს გული გახელდა"
თვალები გეტყვიან, თუ როგორ გეტრფიან...
ყველა ადამიანს თავისი ცალი ჰყავს...
ნეტა მას, ვინც უკვე იპოვა ეს ცალი...
მან უნდა იფრინოს, უნდა თქვას:
-"ბედი მაქვს",
თუმც არაერთია ბედისგან შემცდარი...
ყველა ადამიანს თავისი ცალი ჰყავს...
თუ შენსას ვერ ეძებ, ნურც სხვისას იკავებ!
რადგანაც ყველაფერს, ყველაფერს აზრი აქვს,
თუ შენი არ არის, მაინც ვერ იხარებ...
ყველა ადამიანს ცალი ჰყავს თავისი,
ცალ-ცალკე დავდივართ და ვძებთ ერთმანეთს...
ნეტავი სადა ხარ?!- გნახავ კი?! რა ვიცი...
თუ ვნახავთ ოდესმე, ოდესმე ერთმანეთს?!
ყველა ადამიანს თავისი ცალი ჰყავს!
თვალებში სული ჩანს, სულში კი _ ის ცალი.
ვიცი, რომ სიცოცხლეს, ამ ცალით, აზრი აქვს,
თუ მასში შენ შენი სამყარო იცანი.

მობრძანდით, ბატონო!

მობრძანდით, ბატონო, დარჩენას ინებებთ?!
რა გინდათ მოგართვათ, ოღონდ თქვით, ბატონო!
"იხარეთ", "იმრავლეთ", "იღმერთეთ", "იმეფეთ"...
ჩვენს მიწას ქართველნი კი ვეღარ ვპატრონობთ...

მობრძანდით, ბატონო! დაბრძანდით, ბატონო!
რასაც კი ხედავთ და რასაც კი ინებებთ,
სულ ყველას დაგითმობთ, ნუ გვკითხავთ - რატომო..
დღეს ნებსით ვასხვისებთ- ოცნებებს, იმედებს...

და ქართულ მიწაზე სულ ყველა მდიდრდება...
აქ ქართულ ენაზეც არავინ საუბრობს...
უცხო და უჯიშო მოდის და მკვიდრდება.
რა გვიკვირს, თუ თავად ყველაფერს დავუთმობთ...

ფეხქვეშ რად ვეგებით ნეტავი სამყაროს?
თავს ვუხრით, ქედი გვაქვს ბოლომდე დახრილი...
და გვიკვირს, ძაღლებმა ნაქექი გვაყარონ?
გვტკიოდეს, გვრცხვენოდეს დასვრილი მანდილი!

მობრძანდით, ბატონო! დაბრძანდით ბატონო!
როგორი მოგართვათ, ან რამდენს ინებებთ?!
და ქადის ნაჭრებად დაჭრილი სამშობლო,
გასინჯეთ.. აიღეთ.. მიირთვით.. იგემეთ...

მოდიხართ, ბატონო?- ვისწავლეთ ენები.
ქართველნი ქართულად მაინც ვერ ვსაუბრობთ.
გვითხარით ოღონდაც, თავს შემოგევლებით.
რაც გინდათ გვიბრძანეთ, გვიბრძანეთ ბატონო!

საკუთარ მიწაზე ვმათხოვრობთ მგონია...
ხელი გვაქვს ყოველი საზღვრიდან გაწვდილი...
არ წყდება ნაკადი. მოდიან... მოდიან...
ჩვენც პირში შევცქერით, მშიერი ძაღლივით...

და ბოლოს...
და ბოლოს...
და ბოლოს ვნახავთ რომ...
ხიზანნი ჩვენ თავად ვხდებით ჩვენს ალაგზე...
ერთხელაც ვინანებთ, ერთხელაც... გავა დრო
ჩვენ ვცდებით... ჩვენ ვყიდით... სხვა ვისზე
გავბრაზდეთ?

წაიღეთ, ბატონო, მთები და ქედები...
წაიღეთ ეს ვაზიც, სულ ძირში დათხარეთ...
ვერ ხედავთ ქართველნი უომრად გნებდებით.
ჩამოდით და თქვენი წყალობა გვაკმარეთ...

მათხოვრად ქცეულა ნახევრად ქვეყანა...
საკუთრად ჰხედავენ, თავისად ჰყიდიან...

და ვინც არ ვეკრძალვით,
რამეს ვცვლით დღეს განა?
უცხონი მოდიან. ქართველნი მიდიან...

არა ვარ, ღმერთმანი, სხვა ერის მტერი და
არც ფერადკანიანთ არა ვგმობ უფალო...
არ მინდა აიმღვრეს, შეირყეს ერი და
ქართველმან სამშობლო
დავკარგოთ უბრალოდ...
...
სტუმარს გაუმარჯოს! ყველას,
ყველა მხრიდან...
სტუმარ-მასპინძლობა ჩვენ არ შეგვეშლება...
მაგრამ დამრჩენები არა და არ გვინდა!
წამსვლელთ ვუმასპინძლებთ,
როგორც შეგვეძლება...



რამაზ ლორია – კავშირგაბმულობის ინჟინერი;
დაბადების ადგილი – ბათუმი.

* * *

დრო მაინც მომცემს ღიმილის მიზეზს,
ლეგა ღრუბელი დატოვებს ტატნობს,
ბუხრის ნაღვერდალს ავაგიზგიზებ და
მზის ამოსვლა ყინულს გაადნობს.

ნაზი ნიავი შარიშურით, ელაციცება
ფოთლების რხევას,
იქვე ცხენისწყალს არ ერიდება ვეფხვივით ღრენა,
ამის შემყურე გაღიმებული ვაგრძელებ ცქერას
და სიყვარულით ჩემი გული აგრძელებს ძგერას.

ცხენის წყლის პირას მე შევნიშნე შავ-თეთრი რემა,
იქვე შევუდექ გამომერჩია რაშები შლეგად,
ჰრბოლვით დავიწყე კოლხეთის
დაბლობს მე აღმაფრენა,
არცერთი არ ჰგავს ბარათაშვილის მჩქეფარე მერანს.

შემოვირბინე მე მთა და ბარი
ვეახლე ზარზმას,ხვამლის მთას, ბაგრატს და
მეფრქვეოდა ზეციდან მადლი
ყოველ ტაძართან ხარობდა ვარდი.

ტაძარს ამშვენებს ჩაწნული ვაზი,
ბავშვივით თბილი, ლამაზი, ნაზი,
ის მიგვანიშნებს მკვდრეთით აღდგომას,
რომ სასუფეველს აქვს დიდი ფასი.

* * *

მერცხალი ხარ გაზაფხულის,
ზაფხულში კი მზის სხივი,
ფერთა გამა შემოდგომის,
ზამთრის თეთრი ფანტელი.

მე მაღვიძებს შენი სუნთქვა,
მარტის თვეა გაზაფხულის,
თუნდაც თოვდეს შენთან ერთად,
თოვლს გავკვალავ მე თეთნულდის.

ჩემო სულის საბურველო და
გზამკვლევო ასულო,
ჩემი გულის ზანზალაკო,
მესხეთიდან მოსულო.

შენით ვგლეჯ მე სარეველას
და ვახარებ იას,
აისიდან, დაისამდე,
გულს გიტოვებ ღიას.

ცისარტყელა ხიდიაო,
მიწისა და ზეცის,
ცის ცარგვალზე შენ მიპოვნი,
იმ პატარა ნეკნით.

სალბუნი ხარ ჩემი სულის,
გარიჟრაჟი სიყვარულის,
სინათლის, სიბრძნის სანთელო,
სპეტაკი სულის ქართველო.

* * *

შემოდგომა ოქროსფერი ნაწნავებით კეკლუცობს,
ღვინობისთვეს მევენახე საწნახელთან ლოცულობს,
მაცხოვარის დედულეთში ყოველ კუთხეს ვაზი ხარობს,
საკმეველა ჰქვია ერთ ჯიშსს, საქართველომ გაიხაროს!

ცის ცარგვალზე ღამის ებგურს მოდარაჯე მთვარეს,
დედამიწა თვალს ჩაუკრავს, მზეს გაუღებს კარებს,
შემოდგომის ნაზი სიო ულაციცებს ზვარებს,
ქარვისფერი მტევნები ადიადებს ველზე ჭალებს.

დაწურული მაჭარი უფლის თიხის ქვევრებს ავსებს,
ალავერდის მარანში ის აოცებს მნახველს.
წინაპრების ნარუდუნებ ალავერდის ზვარებს,
ზეციური დედოფალი ღვთიურ მირონს აფრქვევს.

* * *

სიკვდილი არის სიცოცხლის აზრი?
კაცის ცხოვრებას მაშინ აქვს ფასი,
როცა იცხოვრებ სახელით ქვემოთ,
ნაკლებად შიშობ განკითხვას ზემოთ.

სიძულვილს ბოღმას, არ აქვს სამანი,
კაცი კაცისთვის იქცა მტარვალი,
ბოროტებაში ნაშობი შვილი
საიქიოშიც იქნება მღილი.

ცოდვას ვერ უძლებს, ჩვენი საწუთრო,
პონტოს ზღვა ღელავს, უფრო და უფრო,
ასე დაირწა წარღვნის აკვანი,
ნოემ ააგო თვით კიდობანი.

ათასწლეული უკან დავტოვეთ,
გამოსავალი მაინც ვერ ვპოვეთ,
სისხლით ვიბანეთ წლებით ხელები,
ღმერთი ჯვარს ვაცვით ამბორ-ფერებით.

ქართველნმა ვიცით ლელოს გატანა,
ბევრმა ვაქციეთ ზურგი სატანას,
უფალს შევსთხოვოთ ისევ შენდობა,
რომ აღვადგინოთ წარსულის ნდობა.

* * *

მრუმე ღამეს დავრჩი გარეთ,
არსად სჩანდა ზეცას მთვარე,
საესავოს ვერსად ვხედავ,
იქნებ გრძნეულს შესწევს რამე.

მივეც ურვას,ვშფოთავ,ვღელავ,
თითქოს ზურგზე ვიგრძენ ბწკენა,
მოვიხედე არვინ სჩანდა,
ისტერიით ვიწყე ფსტვენა.

დამაშვრალმა დავიჩოქე
თვალის ჩინმა იწყო კლება,
ფსტვენის ხმაზე ქართულ ნაგაზს,
განუზრახავს ჩემი შველა.

მოვიხედე მოვეფერე
გამახსენდა სულხან-საბა,
როგორ აღწერს ქართულ ამ ჯიშს,
თართისა და მწევრის ნაჯვარს.

ბეწვი გრძელი,თავი დიდი,
თავად ჯიში არის მშვიდი,
ძლიერი და გაბედული,
პატრონისთვის კი ერთგული.

სამშობლოა მთიულეთი,
სტეფანწმინდა და გერგეთი,
დიდი მესხეთ-ჯავახეთი
ულამაზესი თუშეთი.

* * *

ნუ ემსგავსებით სულით იუდას,
თქვენი კერპია მხოლოდ პილატე,
მამლის ყივილზე გაგხსენდებათ,
უფლის შენდობას მაშინ ინატრებთ.

მხარევ მზიანო

ჩემო სამშობლოვ მხარევ მზიანო,
არ დაჩოქილო ჯიშით ფრთიანო,
მრავალ ღვარცოფში გამოვლილო
და ქართული სულით მაინც მთლიანო.

ანდამატივით მიმზიდველო ჩემო მშვენებავ,
ყოველდღე მინდა თუნდაც სიტყვით შენი ფერება,
ქართველ გმირების სიამაყევ მხარევ ნათელო,
ღმერთმა არა ჰქნას მტარვალმა მტერმა შენ გადაგთელოს.

უმაღლეს გონის,პოეტების სამჭედლო ხარ, ჩემო სამშობლოვ!
მე ასე გხედავ მარგალიტო, სხივო დიადო
ანთებული სანთელი ხარ ჩემო ქვეყანავ,
რა ქართველი ვარ ჩემი ქვეყანა არ ვადიადო.

გელაციცები ალავერდო, ალაზნის ველო,
მეწამულისფრად მოელვარე ვაზის მტევნებო,
ტაძრის საცავში შენახულო, თიხის ქვევრებო,
მირონცხებულო საქართველოს გმირნო მეფენო.

თბილისს აიგო ტატნობს შემყურე დიდი ტაძარი,
ერის სუნთქვა და მაჯისცემა ხარ ჩემო სამებავ,
შენი ნათელით გაბრწყინდება ქართველი ერი,
არ მოიშლება ჩვენს მიწაზე ქართული რთველი.

შენ სიზმრად გნახე ჩემო ბაგრატო,
როკვა მესმოდა შენი ზარების,
ბაგრატ მესამემ ჩვენთვის აგაგო,
სალბუნათ იქეც ნაიარევის.

სვეტიცხოველო მუზარადო ჩვენი ქვეყნისა,
მტკვარს და არაგვს ზედ დაჰყურებ, როგორ ერთვისა,
ჯვრის მონასტერი ამაყია შენი შემყურე,
ერსა ქართველსა ნაკურთხი წყალი მარად გვაპკურე.

* * *

მზის სიმფონია იპყრობს, იბერთ კურთხეულ მიწას,
ჩანჩქერ-მდინარის ტალღები, ქართველ კაცივით
ბრდღვინავს,
მუდამ იბრწყინებს ქართველი, ვაზის შობასთან შობილი,
უმწიკვლო ზნეთა სიწმინდით, ჩვენა ვართ გამორჩეულნი.

ვაზიც მოისხამს ყლორტებსა, მზის სხივი მასში შთენილი,
ლომ-არწივების ქვეყანა იქნება გადარჩენილი.
ქართა ველზე შარიშურობს, არაფრისგან ყველაფერი,
დაიწყება ჟამი ქვეყნის, ოქროცურვილ განახლების.

* * *

დამაშვრალსა ნამქერში, ცრემლი მომდის თვალებში,
მზის სხივები აღარ სჩანს, მგელი ყმუის შორ ხევში.
გახვეულა ხეები თექის თეთრ საბურველში,
სამაყრულოდ ხის ტოტზე სხედან ზამთრის ჩიტები –
მთებზე ნისლი ჩამოწვა სურათია ზღაპრული,
ნეტა მქონდეს დამაშვრალს არაყი გადაკრული.
იქვე ახლო მომესმა მთის ჩანჩქერის ჩხრიალი,
კლდის კედლებს ასკდებოდა დაჭრილ დათვის ღრიალით.
გავაგრძელე გზა მთაში,
წამოვედი დაღმართში,
ციდან ისე ბარდნიდა;
კვალს ჰფარავდა ერთ წამში.
დავაღწიე მთას თავი,
ჩამოვედი მე ბარში
და ჩაკრულო მესმოდა ჩემი უბნის დუქანში.
ვის მთა მოსწონს, ვის ბარი,
გახსნილია ჭიშკარი,
მთავარია გვახსოვდეს წარსულისა წილკანი.

* * *

ათასწლოვანო ზღაპარო,
ქართველტა თანამდევარო,
მზის სხივით გაბრწყინებულო,
ქართული ჯიშის ვენახო.
ზეციდან უფლის ნაბოძოს,
დიდი დავითის თარი ხარ,
სიამაყე ხარ ერის,
ბაგრატოვანთა გენისა.
შენი ღვთიური ნაჟურით,
ეზიარება მრევლიცა,
გალაკტიონი ნუგეშო,
გენიოსების მუზა ხარ,
არც არასოდეს მოკვდები,
უფალს ძალიან უყვარხარ.

* * *

საქართველოა სამშობლო,
შენი ჭალებიც მარდია,
ზვრებჩაქარგულო ზურმუხტო,
მტევნებს ოქროსფრად
შეღებილს,
ცის თაღი გაუნათია.
მთვარიან ღამეს ფირსმანს,
წვერიც კი დაუნამია,
შენი მაჭარი დუღილით,
ქვევრსაც კი დაუმალია.

* * *

ნუთუ დასავლეთს შუძლია თავის ღრენით,
მართლმადიდებელს ლახვარი ჩასცეს სისხლიან ხელით,
მანქურთები ხართ,მეზიზღებით ეშმაკის შვილნი,
არ გეღირსებათ, თქვენ გახდეთ გმირნი.

* * *

სიჩალხე-სიხაფეთანი ერსაც გვაკლია ღმერთმანი,
მრუმე ღრუბელი ჩამოწვა, გვამცნობს ვიოკოთ ვნებანი.
ქიმერა გვიცქერს ზემოდან, როგორა ვცელქობთ ქართველნი,
არმურიც არ დააყოვნებს, დაგვადნობს როგორც სანთელი.

სად გაქრა ჩვენი ერთობა, მუხლი უდრეკი მგელისა,
ბოღმა და ზიზღი გაგვაქრობს, რაც მიზანია მტერისა.
იასპისფერით იცვლება, ცარგვალი ლურჯი ფერისა,
როცა ქართველი ქართველს მტრობს, მწუხრია დედულეთისა.

ზარები როკავს თბილისს სიონის, ბორგავს ბოკვერი კავკასიონის,
ბრდღვინავს, ხმა მესმის, ურჩი რიონის, გაშავებულა ცა პანთეონი.
ღვინით სავსე აზარფაშით, საქართველო დავლოცოთ,
ყოველ გმირ კაცსს გაუმარჯოს, სიყვარულით გვაოცოს.

* * *

ლომ-არწივების ანბანო, ასომთავრულო ქართულო,
მწყობრი და სრულყოფილი ხარ, ქართველ ერისთვის მნათობო.
ჩვენს მარგალიტს, საოცრებას და მზისთვალა ანბანს,
მსოფლიოში არცერთ ერში არ ურწევენ აკვანს,
არც მკვდარი და არც ცოცხალი, ასე მიიჩნიეს,
ძველბერძნულს და ფინიკიურს პირველობა მისცეს.
ქართულ ანბანს ედემისას აკნინებენ მხოლოდ შურით,
უგუნურნი ვერ ხვდებიან თავსაც იჩენს დამარხული.
მტერზე მაღლა დადგა შოთა, დაგვიტოვა წიგნი ღვთისა,
რუსთაველი გენიაა, თვალის ამხელია ბრმისა.
ოქროცურვილო ოცდაჩვიდმეტო ასობგერაო,
უფლის ლაციცით ბრწყინვალება გემატებაო,
ა-დან ჰ-მდე შენით გალობს დიდი პატარა,
ამ რუდუნებით წინაპარმა დღემდე გვატარა.
ჩვენს საოცარ ქართულ ანბანს და მოხატულ ასობგერას,
პატივ დასდო იაკობმა გვისახსოვრა დედა ენა.
ქართულ ანბანს ღვთისგან ნაქარგს, დიდი ისტორია ახლავს,
შოთას ვეფხისტყაოსანი საგანძური წიგნი თან გვაქვს.

* * *

მე ტალღებსაც შევაჩერებ ქაფიანს,
დეკემბერსაც გავხდი შენთვის სასურველს,
სანტაკლაუსს შევაჩერებ საზღვართან,
თოვლის პაპას შევუკვეთავ საჩუქრებს.

თოვლის ფიფქით დამძიმებულ ენძელას,
მე გაჩუქებ დეკემბერში ქოთნით,
ტიტას, ვარდსაც დაგიკრიფავ ზამთარში,
აივანსაც მოგიფანტავ ფოთლით.

მე სიზმარსაც ცხადად გიქცევ,
მე ზაფხულშიც გავათოვებ,
მე წაქცეულ ალუბლასაც
მე ნამყენით გავაცოცხლებ.

მე ნაკადულს დიდ ზღვად ვაქცევ,
მე არასდროს ზურგს არ გაქცევ,
მე ვილოცებ მხოლოდ შენთვის,
სიყვარული არ მწამს ხვეწნით.

* * *

გუშინ მესიზმრა გალაკტიონი,
და თან მესმოდა ბრდღვინვა რიონის,
რიონი იყო ადგილი მისთვის
განმარტოების, ახალზე ფიქრის!
მე შემეშინდა მისვლა რიონთან,
ის იყო ძლიერ ადიდებული,
განივდებოდა, იტოტებოდა
ღრმა კლდეკარს ქმნიდა ტვიშთან რიონი.
თალხ სამოსელში გამოწყობილი,
კუნძულზე იდგა გალაკტიონი.
მიმოვიხედე ირგვლივ არავინ,
წვერს უწეწავდა ქარი არავი,
გაოცებული მას შევყურებდი,
ისევ ისეთი იყო ჭარმაგი.
უეცრად რიონს ეცვალა ფერი,
ის გახდა ლურჯი, თვით ლილისფერი,
გავხედე კუნძულს ის არსად სჩანდა,
მხოლოდ ისმოდა ჭიხვინი ცხენის.
ცარგვალს ავხედე, თხელი ღრუბლები,
იმოსებოდა ფირუზის ფერით, გალაქტიკაში,
გალაკტიონი ღრუბლებს აპობდა ულაყი ცხენით.

* * *

ჩემი ეზოს საოცრება, ვაშლის მეგობარი ვარდი,
დეკემბერშიც ყვავილობს და ზამთრის სუსხის არ აქვს დარდი.
თავის ჩრდილსაც ზედ დასცქერის, ნაზად თავს ხრის და კეკლუცობს,
ჩრდილიც ფიქრობს, განცდებშია ეზო წალკოტად აქციოს.

და უეცრად ვარდმა ვაშლი საცეკვაოდ გაიწვია,
ჩრდილს ყლორტები დაენამა კენტად გვერდზე გაიწია,
ადევნებდა ცეკვას თვალყურს და ცერებზე აიწია,
ვერ გაუძლო იმათ ალერსს, ისტერიით აირია.

მოახლოვდა დაისი, ცარგვალს მთვარე ჰკიდია,
ვარდმა იგრძნო მის ჩრდილთან საქციელიც ფლიდია.
ვარდი ღამით ბორგავდა და ელოდა აისსა
ნეტავ თუ გაუგებდა, ჩრდილი გულის წადილსა?!

* * *

მე არასოდეს არ მისვრია ისარი თქვენთვის,
ყოველთვის ვცდილობ გაპატიოთ ნასროლი გესლით,
საქართველოში დაბადებულნი რადჰგავხართ ვირებს,
ნუთუ არ გინდა დაესგავსოთ ჩევენ ერის გმირებს.

* * *

აუ როგორ მომნატრებიხარ, თითქოს წლებია არ მინახიხარ,
არ დავიღლები გითხრა მიყვარხარ, დღითი დღე სევდა შემომერია.
დაღვენთილა სანთელი, ვარდმა თავი დახარა,
ტატნობს მოსწყდა ვარსკვლავი, უშენობამ დამღალა.
ჩემო ბედნიერებავ და ცხოვრების ზღაპარო,
სახლში მარტოდ დარჩენილს ნაცრად მექცა სამყარო.
ცისარტყელას გადაჭიმულს ცაზე, საცალფეხო ხიდად ვაქცევ წამსვე
და შეგხვდები მონატრებულ ქალსაც , არასოდეს არ გაგიშვებ არსად.
შემოდგომას შენ შეხვდები ჩემთან, ფოთოლთცვენას მე გავატან სევდას
და ვიცხოვრებთ უსამანოდ მშვიდად, საწუთროში შენ დამყვები გიდად.

* * *

დაუთოვია მთებშია,
ხევში ზვირთია ზვავისა,
ზღვაში ქაფშია გაურბის,
თოლიამ ყლაპოს ლამისა.

ბარში თრითინა ნავარდობს,
გაულოკია პირია,
სადაც კი მიწვდა ქათამსა,
ბურდღით გაევსო ცხვირია.

გიშერა ყეფს და განიცდის,
საქათმეს შერჩა ვარია,
როცა სუსტს სძალობს ძლიერი,
დაიცვას მისი ვალია.

ეგრეა კაცთა მოდგმაშიც,
როცა ძალადობს სატანა,
ჯვარი უფლისა დაგიცავს,
რაც წინაპარმა ატარა.

* * *

მზევ გაგვინათე გულიო,
გვაჩუქე სიყვარულიო,
მარად გვაფქვიე მზის სხივი,
გაგვითბე საბურველიო.
მზეო ამოდი ამოდი
გაგვახალისე ქართველნი,
სიცოცხლის საწინდარი ხარ,
წარსულში ბევრის მნახველი.
ბნელს ეშინია შენიო,
გაგირბის ყველა მღრღნელიო,
ვინც გავჩნდით სიყვარულისთვის,
შენა ხარ ჩვენი მხსნელიო.
უსამანოა მზისა ნათება,
ქართულ ოდაში სხივი შთენილა,
მზევაჟკაცობით და მზექალობით,
ფუსტელ რაინდთა სული დიდდება.
მზის შუქი კრთოდა,
ვერცხლის ემბაზში,
როცა სანთელი იღვენთებოდა,
ზეთით ავსებულ ყოველ კანდელში,
წმინდა მირონი ემატებოდა.

* * *

ქვითინებს მიწა, ბობოქრობს ქარი,
გულში ცეცხლია სულს ახრჩობს ალი,
ქართველი კაცი მოიცვა შიშმა,
ზღვამ ღორღი ყლაპა ჩარეცხა ქვიშა.

დაძრწის სატანა შავი აფრებით,
თავს მოგაჩვენებს ოქროს ფარფლებით,
ირყვნება ერი, ბერს არ ჰგავს ბერი,
შემოეჩვია ტაძარსაც მღრნელი.

ადამის მოდგმას თვალს გვკორტნის ყვავი
რამ დაგვავიწყა გუმბათზე ჯვარი,
ნუთუ ამისთვის ეწამა ქრისტე,
დაგვიწყებოდა გოლგოთა მყისვე.

ყინვამ მოიცვა სულიერება,
დაცარიელდა მთელი სამყარო,
სადღაც ისმოდა ჭოტის კივილი,
მეც ღრმად ვიგრძენი გულის ტკივილი.

გულში ნაღველი, სულში გოდება
რატომ დავკარგე მე მოთმინება,
ნისლში გათანგულს მთრგუნავდა სევდა,
შავი ღრუბელი მალულად თვლემდა.

ცრემლმა დასეტყვა სურვილთ ოცნება,
ყოფამ დაკარგა დროის შეცნობა,
ბნელმა ჩაყლაპა მზე და მთვარეო,
ღმერთს გავსძახოდი შემიწყალეო.

სურნელი ვიგრძენ მე ლავანდისა,
ფერით მსგავსია იასამნისა,
სიმშვიდე მოაქვს ლავანდას სულის,
და მკურნალია მთრთოლვარე გულის.

ვიგრძენი სითბო ნათება მზისა,
ლაჟვარდოვნება ლამაზი ცისა,
სურნელოვანი გემო ღვინისა,
და ბრწყინვალება თვით ბარძიმისა.

და ზეცისკენ მიმაქროლებს,
ულამაზეს ფერთა გამა,
სივრცეშია ჰარმონია,
დედა ღვთისას ტკბილი ნანა.

* * *

ცხრა აპრილს ღამით ვიდექით ერთად,
შიშველ ხელებით ვიბრძოდით მტერთან,
ყველას გვეჭირა თითო სანთელი,
წყვდიადი იყო არა ნათელი.

საბჭოთა ჯარი ნიჩბით გვჩეხავდა,
თბილისში იდგა ტარიგთა სისხლი,
ვინც სამშობლოსთვის თავი გასწირა,
ყველა გმირია, ჯვარცმული შვილი.

სწუხდა თბილისი და საქართველო,
ყველა ქართველის გული ტიროდა,
როცა იმ გმირთა კუბოს ფიცართან,
ქართველი დედის ცრემლი სცვიოდა.

საქართველოში დადგა ნათელი,
ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება,
რაინდის სულით დაბადებულებს,
ვფიქრობ არა გვაქვს ჩვენ სხვა უფლება.

* * *

ვიშ როგორ მიყვარს მაისი, მისი ლამაზი აისით,
ბაღი გაკვირტულ ვარდებით,
ნიავიც ლაღობს ხალისით.
ტყე-პარკებში ყვავილობს თეთრი აკაციები.
მინდვრებში კეკლუცობენ კესანე და იები.

ვარჯი გათეთრებულა აკაციის ყვავილით,
შესევია ფუტკრები, ფუსფუსით და ბზუილით.
მაისის თვის წვიმის თქეშს, ვეგებები ქოლგის ქვეშ,
ვარდობისთვე ისე მიყვარს, წვიმაც ვეღარ მაფერხებს.

ვესალბუნები ჩემს მაისს ნუშის კვირტს ელვას შეუხსნის,
და ნაზამთრალსა კვირტებსა, ერთბაშად აღვირს აუხსნის.
ვიშ როგორ მიყვარს მაისი, მისი ლამაზი დაისით,
და მოცურავე მთვარესა, ვუცქერ ქვემოდან ხალისით.

გიორგი ზუბიტაშვილი
პოეტი

***

აღარა ვმღერი დიდი ხანია,
აღარც გზას მივდევ ძველი მინდობით,
გულიც ეჭვ-ბურანს დაუფარია,
ცხოვრების მკაცრი უამინდობით!
ვეღარ ვუსწორებ თვალებს დასათხრელს,
გაზაფხულს ლამაზს, მზისფერს ძალიან,
რადგან დავმარხე აპრილი უკვე –
სილამაზისთვის არა მცალია!
გახუნდა გული, ვით წიგნის ბოლოს
რუსთველის ლექსის ძველი არშია,
საქმე რაშია ბოლოს და ბოლოს?! –
მთელი სამყარო ჩემთან ვალშია,
რომ ვეღარ ვმღერი და რა ხანია
ვეღარც გზას მივდევ ძველი მინდობით,
რომ გულიც ეჭვებს დაუფარია,
ცხოვრების მკაცრი უამინდობით!

***

ადრე ვენახთან ატამი დავრგეთ,
ყვავის ატამი, რომ გაგეტოლოს...
მალ-მალე გავცქერ იმ ალმოსადებს:
თითქოს მელოდე ვენახის ბოლოს.
ეს გაზაფხული ბოლოა მისთვის,
ჯავრი ე, მასზე უნდა ვათიო:
არ ვაპატიო ესე სიტურფე,
შენებრ მშვენება არ ვაპატიო!
და შენ ვით ჩემი მზე ჩაასვენე,
მეც ისე მოვკლავ ცულის საბედოს,
რომ გაზაფხულმა შენი არსების
ჩემთან ხსენებაც აღარ გაბედოს!

***

გზაზე სურნელი მოხშირდა ტყემლის,
აპრილს ჭიშკარი ვერ ჩავურაზე...
ჩემ წინ ბებერი ჩამდგარან მთები,
რაზე ფიქრობენ, ვინ იცის რაზე?!
იქნებ კილავენ ადამთა ყოფას,
იქნებ ჯავრობენ მართლა არაფერს,
არ განიცდიან არც მარტოობას,
არც იმას, რაც ჩვენ გვალაპარაკებს...
არ სჭამთ მტრის ჯავრი, არც – ავბედობა,
არც – სიყვარულის სევდის კრებული?! –
მაშ რა ბედშავი ქალი ყოფილა
ია მთის მკერდზე აფეთქებული...
გზაზე სურნელი მოხშირდა ტყემლის,
აპრილს მოსვლას ვერ ავუკრძალავდი,
მეც ამ მთებივით დიდი ვარ, მაგრამ
სულის ცრემლივით დავპატარავდი!

ეს გაზაფხული

ეს გაზაფხული ასე ლამაზი –
თამარ დედოფლის კაბის საყელო,
ჩემს საქართველოს ისე ამშვენებს,
როგორც დედათა გზა სასახელო!
როგორც სიმღერა უწინ ნათქვამი,
ან და დაისი მწვერვალს დალახულს,
ან ჩანგს და ფანდურს – ლექსი შოთასი,
ატმის ყვავილი – თვითონ გაზაფხულს!..
ლურჯი აპრილი და თეთრი მთები,
ზვრისფერი ზვრები, გულში რომ მენთო,
ეს გაზაფხული, ეს ყველაფერი
არ მომიშალო, ქრისტეო ღმერთო!

***

ნეტავი მწყურვალს, ნანატრო ქალო,
მასმევდე წყაროს ვერცხლის ხელადით,
შენ ჩემი დუშმნის ასული იყო,
მე – შენი მოდგმის მტერთა ბელადი!
ჰგავდე გაზაფხულს კდემით და რიდით,
გშვენოდეს მთების მკაცრი სურათი,
მასმევდე თუნგით სიცოცხლის წყაროს,
ვკვდებოდე, როგორც ჰაჯი-მურატი!
გდიოდეს ცრემლი – ბროლის ჩქერალი,
ხელებმა შენი სახე დაღადროს,
მეშველებოდე პირმოწუხარი,
მეშველებოდე, მაგრამ რაღა დროს!

დაისი საქართველოში

მზისქვეშეთი... ქვიშიანი მინდვრები,
მთვარის შუქში გახვეული ყურღანი...
ამ ცისა ქვეშ დადიოდა: რუსთველი,
ცურტაველი, ბერი საბა-სულხანი!
ამ ცისა ქვეშ თამარს ცრემლი უღვრია,
ეს მდინარე ცრემლი არის თამარის,
მას დავითის გულზე გადაუვლია
მამა-პაპათ საძვალით და სამარით...
ა, ვარძია მზისფერი და მზიანი,
ა, გელათი – გაენათი მრავალთა,
სულთსაბორგე ქვანი ღაღადიანი,
სულთმხუთავი მომხდურთა და მტარვალთა...
ოშკ-ხახულის სვეტი კელაპტრიანი...
მისი ხილვაც არ იქნა და არ ახდა
და მრავალი საუნჯე მისთანანი
უძლურებით ასე გამიპარტახდა!
ბრაზი მახრჩობს საკუთარი თავისა,
მაინც ვმღერი: ო, ლილეოს მწირული,
როცა მესმის ჯანხი დარიალისა
და დიდგორის სუნთქვა თავგანწირული!

* * *

სათიბიგორზე დაიწვა ღამე,
დათოვლილ მთებში ნისლია შავი...
სხვათა ბილიკზე სული ვაწამე
და ჩემს ბილიკებს წავართვი თავი!
სხვათა ბილიკზე ვიბრძოლე მრავლად,
არ დამიზოგავს ღონე და ძალი,
ჩემი კერია ვაქციე ნავლად, –
დაქვრივებული ვით პატარძალი!
არა! დღეიდან მივხედავ მიწას,
მოსწყინდა მამულს დედაჭინჭარი,
ვილოცებ იმ ღმერთს, პაპა რომ ფიცავს,
მეც რომ ერთი მყავს დასაფიცარი!
ქვას ქვაზე დავდებ, ავაგებ ნიშას,
როგორც წინაპრებს უგიათ გრემი,
არ დავხარბდები სამშობლოს სხვისას,
ერთი მტკაველიც მეყოფა ჩემი!

*

აგერ ის თოვლიან-მთანი
შემოვიტოვე ფეხითა,
შენ ნახვას დანატრებული
გზანი მოვლიე კლდიანი.
მედიდებოდა ქარბუქი,
ცა – ელვითა და ჭექითა,
ვაჰ, ბედად თვალი ვერ მოგკარ,
ვერ შევეჩეხეთ ერთმანეთს.
ანაც წამიერ დამლანდე,
დამიფრთხი – ხირიმს ქედანი,
ვერცხლის თუნგივით დამცალე,
დაგკარგე, როგორც თილისმა...
ეტყობა დამაწყევარმა
ჯამი შეავსო შხამითა,
იმით დამლოცა ბედშავი –
გახარებული ჯერ არა.
შენც იმის გუმნით მაოცებ,
განა ჯვარ-ნიშის ძალითა,
თორემ ამ ბეწვის ბილიკზე
შევეყრებოდით ერთმანეთს!..

***

მღერის ფანდური
საამო სამღერს,
მე კიდევ ვჯავრობ
დარდსა და ვარამს...
ის ალბათ უმღერს
დაცვენილ ნამქერს,
მე-კი დავითის
აღმართულ ალამს!
მღერის ფანდური
უამეს ჰანგით
და მე დაჭრილი
ვეფხვივით ვბორგავ -
ვაჰმე, ფარ-ხმალო,
მოსილო ჟანგით,
ვაჰმე, პაპათა ნაქონო
გორდავ!
მღერის ფანდური,
დაე, გაჩუმდეს,
თუ საქართველო
ვერ ამიმღერა,
თუ კი ჩამიქრა
სადიდხნოდ მნათი,
რუსთაველის და
ლუკაჲს კერა!

***

სადაც ატმები ჰყვაოდნენ უწინ,
არ ვიტყუები ალბათ სრულებით,
იმ სამყოფელში ვცხოვრობდი გუშინ,
იმ სამოსახლოს აღვესრულები!..
იქნება მარტი და გაზაფხული,
შეშინდებული მთები, კორდები,
როცა სამზეოს კარს გავიხურავ
და შენ ე, მაგით გაგისწორდები!
ამიცრემლდები, მაშინ-კი, ქალო,
რომ წყლული ჩემი არა განკურნე,
ამოიგმივნებ ჩუმად, უბრალოდ -
ბიჭო, რა ძლიერ მიყვარდი თურმე!

*

ეს ცრემლისფერი
ნისლები,
მთათა შუა
რომ ჩამდგარან
და დარაიის კაბებით
ტყე რომ შრიალებს
იფნების ,
და მტვერფენილი ქარები
სერზე მკვდრეთით რომ
აღმდგარან,
და ზურმუხტისფერ ფერდობზე
ზურმუხტისფერი ისლები,
მოჰგვანან
ჩემს ძველ ოცნებებს,
ძირძველ სურვილებს
მოჰგვანან...
და ქალურ ეფინებიან
მთებს ცრემლისფერი
ნისლები!

***

ეს ორი დღეა
კაეშანს ვებრძვი,
ეს ორი დღეა
ჩავრაზე კარი,
ახლა პოეტი
ბობოქრობს ჩემში,
ვით საზედაშე
ქვევრში მაჭარი.
თუმცა სახეზე
ღიმილს არ ვიქრობ,
რომ არ გავტეხო
მოლაღის ფიცი...
უფალო,
აბა, მეტი რა გითხრა,
სხვა დანარჩენი თავადაც იცი .

***

ალუბლების ყვავილობა... ნელი ქარი,
ქარია თუ, ქალო, შენი სუნთქვა არი?..
შეურყვნელი, მედიდური, მონანავე,
ქარი, ქარი ალმაცერად მოუბარი...
ალუბლების ყვავილობა... წვიმის თქეში,
წვიმაა თუ, ქალო, სტირი ატმის ტყეში?!..
ბულბულის ხმას გამკაცრება მოსდებია,
გულისწყრომა და ქალური სიუხეშე.
ალუბლების ყვავილობა... ყვავილთ თოვა,
ქალო, თითქოს შენმა სატრფომ მიგატოვა,
ოხრადდაგრჩაფარჩისფატათეთრზეთეთრი-
ბედმა ჩემი სატანჯველის ხარჯა გთხოვა.
ალუბლების ყვავილობა... არცა რაი,
მხოლოდ შინდისფერი მზეა მთას მოდგარი,
აწ, ილევა ალუბლების ყვავილობა,
როგორც შენი არსებობის სახსოვარი.

***

სჯობდა დიდოელს ესროლა ტყვია,
დამამიწებდა ვინმე ფირალი,
მაგრამ შენ ჩემი სიკვდილი გქვია,
ქალის თვალებით შემომზირალი!
სჯობდა მოვეკალრაყიფს ან აბრეკს,
ჰრქმეოდა იმას თუნდა რაშიდი,
მაგრამ შენ მისჯი სინდისის სასჯელს -
ქალურ დამსჯი და ქალურ გამყიდი!
ამ ბნედა-კვდომას სჯობდა ციხის წინ
ხმლით აველალე გენუხის აულს,
შემოგრეოდა ცრემლის ხალისი,
მით გადიხდიდი ჩემსა საზღაურს!
თუმცა არ მერგო დუშმანის ტყვია,
არ გამიმტერდა ვინმე ფირალი,
რადგან შენ ჩემი სიკვდილი გქვია,
ქალის თვალებით შემომზირალი!

***

აქ შენს საცქერლად მოვსულვარ, მზეო,
გიცქერ წამიერ, თვალით გხარბდები,
წარმავალი ვარ, ყოვლის მნათობო,
ერთხელ სამუდმოდ დამიღამდები!
იაო, შენი ხილვა მომინდა,
ბილიკს ოხრად რომ დამიხვავდები...
აქ შენს საცქერლად მოვსულვარ, გოგო,
ერთხელ ზედ მკერდზე ამიყვავდები!
მდინარეევ, შენი ჩქერის ჭირიმე,
დალახე არაა თიხის კორდები?..
წარმავალი ვარ, ოდეს, მაშვრალო,
სატრფოს ცრემლივით ამიბორგდები!

გაზაფხულის პეიზაჟი

ეს ზამთარიც მიინავლა, როგორც უწინ,
ვფიქრობ ათასს, თან მივდენი მინდვრად ხარებს,
ეე, სადა ხარ, ჩემო კარგო, ღმერთმა უწყის,
ან და შენი გაღიმება ვის ახარებს...
ფოხალიდან მოჩუხჩუხებს ბროლის წყარო,
მის საკრეფად აღარ დადის ვინმე სურით,
აბა, როგორ გინდა გული გაახარო;
გაზაფხულით, მდინარით და სამწყემსურით.
ეს ზამთარიც მიინავლა, როგორც შარშან,
ეს ზამთარიც ისე უნდა მომკვდარიყო:
შენებრ ჩემი ოცნებებიც წარსულს დარჩა,
ალალ! - ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო!



დიმიტრი ბერიძე – შსს დამსახურებული მუშაკი;
დაბადების ადგილი – შუახევი.

ასეთია გურია

თუ ნამდველი ქართველი ხარ, თუ ხარ ჩვენებურია,
მაშინ ისიც გააკეთე ინახულე გურია
გურულები ინახულე, იუმორს მოუსმინე,
თუ კი გურული გაცხარდა, გაყუჩდი მოუთმინე.
ინახულე გურულები, ფირალებად ნამყოფი,
გულში სიყვარული უდევთ ყველა კაცის სამყოფი.
გურიაში ღირს სტუმრობა,
დამიჯერე მისმინე,
გურულების იუმორი
ერთხელ თუ მოისმინე,
მიხვდები რომ ხალხი არის
სიყვარულით გამთბარი,
უყვართ შრომა თავის ქვეყნის
ველ-მინდორი მთა ბარი,
ნუ იძახი კაცი ვარო,
არაფერიც არ ხარო,
თუ არ შესვი ნაბეღლავი,
თუ არ ნახე ბახმარო,
ზიხარ გურულის სუფრასთან,
დიდხანს ზიხარ გწყურია,
თუ მოხვედი ვეღარ წახვალ, ასეთია გურია.
დარდს და ვარამს დაგავიწყებს კრიმანჭული გურული,
გახსენდება ძველი ფაცხა
ისლით გადახურული
წელიწადის ყოველი დრო
აქ სულ გაზაფხულია,
მობრძანდით და ინახულეთ არნახული გურია.

საქართველოს მიწა-წყალი

საქართველოს სიმდიდრე ჩვენი მიწა-წყალია
მისი დაცვა ყოველი მოქალაქის ვალია.
საქართველოს ყულაბა მიწით და წყლით ივსება,
არავის შეუძლია მიწის, წყლის გასხვისება.
ფეხზე ვინაც დადიხართ, კაცი ხართ თუ ქალია,
დაიცავით გეთაყვა ჩვენი მიწა-წყალია

საქართველოს მტერი ხარ

ვერ გავიგე ჭკვიანი ხარ,
ვერ გავიგე შტერი ხარ
მამა-პაპის მიწას ჰყიდი
ჩვენი ქვეყნის მტერი ხარ.
მასში აღებული ფულით
რესტორანში მღერიხარ.
ქართულ მიწის გამყიდველო
საქართველოს მტერი ხარ!..
სულ ერთია მინისტრი ხარ
ერი ხარ თუ ბერი ხარ,
ქართულ მიწას სხვას მიჰყიდი
საქართველოს მტერი ხარ

აჭარის მაღალ მთებშიო

გოგოვ, მომართვი სადილი,
სულ სავსე იყოს თევშიო,
თუ შეგიყვარე, იცოდე
ჩაგეჭიდები თმებშიო.
ლამაზი ქალი და სუნთქვა
ვიგრძენი გოგოვ შენშიო,
იმ მრავალ გოგონათაგან
შენ მხოლოდ ერთი შემრჩიო.
ამიტომ ჩაგეჭიდები
მაგ მოლივლივე თმებშიო,
წავიდეთ ერთად ვიცხოვროთ
აჭარის მაღალ მთებშიო

ჩემო სამშობლო!

ჩემო სამშობლო, ვიცი გახდები
მალე საზღაპრო და საარაკო
სანამდე ენა მომიბრუნდება
მსურს ლექსის ენით გელაპარაკო,
სანამ ვცოცხლობ მე ამ ქვეყანაზე,
მიწის ნაწილი სანამ გავხდები,
მანამდე მინდა გაგიზიარო
ჩემი ფიქრები, გულის ნადები.
მიყვარს მე შენი ქართველი ხალხი,
შენი ბრწყინვალე ახალგაზრდები,
რაც უნდა მთხოვო, მას შეგისრულებ
არ მეწყინება, არ გავბრაზდები.
მე შენი მწვანე ბუნება მიყვარს
სურნელოვანი შენი ვარდები.
სადაც დაგჭირდეს გთხოვ დამიძახო
დაუფიქრებლად მეც იქ გავჩნდები.

ვერა ვერ წავალ

ვერა, ვერ წავალ სხვა ქვეყანაში
მე ჩემს სამშობლოს ვეღარ მოვწყდები,
ასე მგონია საზღვარს თუ გავცდი,
მე სხვის მიწაზე უმალ მოვკვდები.
ასე მგონია სხვის ქვეყანაში
ვერ გაიხარებს ჩემი ფესვები
და უპატრონოდ დარჩება სადღაც,
ჩემი ნეშტი და ჩემი ლექსები

სახლები გამოკეტილი

ჩამოვიარე სოფელი და გადავავლე თვალია
გამოკეტილმა სახლებმა გული მატკინა ძალიან.
ვეღარ დაითვლი იმდენი სახლია გამოკეტილი,
იმათი რიცხვიც მეტია, ვინც არის გადახვეწილი.
ძია გიორგი მახსოვდა, სად არის კაცი კეთილი,
მოკვდაო და მის ცხოვრებას იმ დღეს დაესვა წერტილი.
შვილი სად არის, ხომ ყავდა ვაჟკაცი ბიჭი ზრდასრული,
თქვეს სამუშაოს საძებნად უცხოეთშია წასული.
სახლი დგას დადუმებული, განელებული კერია,
კიბეზე ყვავის ჭინჭარი, ხარობს ამ კაცის მტერია.
პატრონი არავინა ჰყავთ სახლებს, წინაპარტ საფლავებს,
მიწაშიც უპატრონოა, ვინც მოკვა, დაასაფლავეს.
თითო-ოროლა მოხუცი დაბობღავს ამ სოფელშია
კრიალოსანის მაგიერ თოხი უჭირავთ ხელშია.
ამათ შემყურე გამვლელსაც კი მოუკვდება გულია.
ქალი, კაცი და ბავშვები სოფლიდან გახიზნულია.
დავბრუნდი მე იმ სოფლიდან ძალიან გულდაწყვეტილი,
ვერ დავითვალე იმდენი სახლია გამოკეტილი.

ბავშობის წლები

წლები მიდიან, მიქრიან მიაქვთ თვეები, დღეები.
არასდროს დამავიწყდება ჩემი ბავშვობის წლები.
მიმოკლაკნილი ბილიკით სოფლად რამდენი მივლია,
რამდენჯერ ამიფრენია, სოფლად ქორი და ნიბლია.
რამდენჯერ დამსველებია ჭონჭყო ტალახში ფეხია
რამდენჯერ ოღრო-ჩოღროში კისერი მომიტეხია
რამდენჯერ შემომივლია ბაღ-ვენახები ტყეები,
რამდენჯერ გადამივლია ქარაფები და კლდეები.
რა სჯობს რომ თვალს გააყოლებ
ცაზე აფრენილ წეროებს,
სიმკვირცხლით რომ ჩამოვლი
ნაკადულებს და წყაროებს
ეხლა დავბერდი, დავმძიმდი
ვეღარ მიზიდავს მე თავი,
შემი ბავშობის დღეებსა რა დამავიწყებს ნეტავი?!

ჩემო სამშობლო!

ჩემო სამშობლო, ვიცი გახდები
მალე საზღაპრო და საარაკო
სანამდე ენა მომიბრუნდება
მსურს ლექსის ენით გელაპარაკო,
სანამ ვცოცხლობ მე ამ ქვეყანაზე,
მიწის ნაწილი სანამ გავხდები,
მანამდე მინდა გაგიზიარო
ჩემი ფიქრები, გულის ნადები.
მიყვარს მე შენი ქართველი ხალხი,
შენი ბრწყინვალე ახალგაზრდები,
რაც უნდა მთხოვო, მას შეგისრულებ
არ მეწყინება, არ გავბრაზდები.
მე შენი მწვანე ბუნება მიყვარს
სურნელოვანი შენი ვარდები.
სადაც დაგჭირდეს გთხოვ დამიძახო
დაუფიქრებლად მეც იქ გავჩნდები.

ლექსია ჩემი სიცოცხლე

ლექსია ჩემი სიცოცხლე
წიგნია ჩემი ცხოვრება,
სამშობლო ჩემი გულია,
გონების გაცისკროვნება.
სამშობლო ჩემი დარდია,
ხალხი, ზედარად დართული,
მე მიყვარს ჩემი ქვეყანა
და ჩემი ენა ქართული.
მტკივა მე ჩემი სოფელი,
ასე რომ გამიბარდაგეს,
ისე წავიდნენ სოფლიდან,
ერთი ყვავილიც არ დარგეს.
ღმერთო, მიცოცხლე სამშობლო,
ამიღორძინე სოფელი,
რომ უპატრონოთ არ დარჩეს
საფლავი ჩემი მშობელის

უნდა შეძლო პატიება

ნუთუ გულში გიხარია
ვინმეს ცრემლი, ატირება,
დაგიშავა ვინმემ რამე
უნდა შეძლო პატიება.
ვინმემ რამე გაწყენინა,
ცუდი სიტყვა გაიმეტა,
შენც არ უნდა გაბოროტდე,
სხვამ ცუდი თუ გაგიკეთა.
შენ არ უნდა იტრაბახო,
მე ვარ ჩემი ნაბადიო.
შეეცადე ყველა ბოროტს
ყველაფერი აპატიო.

ნუგზარ გუჯაბიძე – ინჟინერი;
დაბადების ადგილი – ლანჩხუთი.

ქართული ენა

გულში ნადები სიტყვები,
სულ რომ არ მიჭირს სათქმელად
ენაა ჩემი ქართული,
დავბადებულვარ ქართველად.
თითეულ სიტყვას ფუძე აქვს
ასო ბგერებით ნახაზი
და ჩემი სალოცავია
ქართული სიტყვის ანბანი
ყველა სიტყვას რომ გამოთქვამს
უკლებლივ ასო-ბგერებით
ასოც კი არსად აკლია
ნაკლსაც ვერსაით შეხვდებით.
თავი თუ მომწონს ამ ქვეყნათ,
ალბათ ქართული ბგერებით,
მისი რითმული ჟღერით და
უკვდავი ასო-ბგერებით

ღამე

ღამის სიბნელეს სინათლე არღვევს
და სავსე მთვარე ციდან დამცქერის.
მთვარეს ვამსგავსებ ანთებულ სანთელს
დაღონებული ღამეს გავცქერი.
ივსება გული ათასი ფიქრით,
სადღაც ჭრიჭინა მუსიკას უკრავს,
ციმციმებს ცაზე ვარსკვლავთა მწკრივი
მთვარე ღრუბლებში ნავივით ცურავს
და ფოთოლთ შრიალს, საამო შრიალს,
გულს რომ ედება როგორც მალამო,
ფიქრები ნიავს ფოთლებში მიაქვს.
შენ კი წრიპინებ ჩემო კალამო.
მე ვეღარ უძლებ გაცვეთილ აზრებს
თუნდაც სიტყვები რომ არ ვიკმარო,
გული ტკივილებს მკერდში არ იტევს,
თვალები მინდა ცრემლით დავნამო.

ჩამოასხი

ჩამოასხი, ჩამოასხი
მინა დღეს რომ გავბრუვდე
მინდა დავთვრე და სიმთვრალით
ჩემს წარსულში დავბრუნდე.
მინდა კვლავაც შენთან ერთად
დავიარო ქუჩები,
მინდა შენი გულის ცემით
გავიყრუო ყურები
მინდა შენი დაორთქლილი
ვნებიანი ტუჩები,
სქლად პომადით გათხუპნულის
მინდა გემო გავიგო,
არ დავტოვო შენში ვნება,
წაგართვა და წავიღო,
რომ არასდროს დაგავიწყდეს
ეს წუთი და ეს წამი!
როგორ შვენის და მიზიდავს
ცრემლიანი წამწამნი

და როცა ღარ იქნები

თუ კი ოდესმე სანთელად
დაიღვინთები, გაქრები
და მოგონებათ დარჩება
უნეტარესი წამები,
ცეცხლად მოსული კერიის
ფერფლიც რომ აღარ დარჩები,
სითბოს სიცივე რომ შეცვლის,
ჭრიალს დაიწყებს კარები,
აღარც ცრემლები დარჩება
აღარც არავის ალერსი
და სუფრაც არ გაიშლება
ლობიოთი და ადესით
ყველაფერს წარსული დაფარავს,
ტყვილა ნაბრძოლი დღეები
და დილაც არ გათენდება
ჩვენ რომ გვსურს, აი ისეთი.

რომ პოეზია ერთია

სიცოცხლე რომელიც არასდროს,
არასდროს განმეორდება,
უმადურობით ბინდდება
სიკვდილთან თითქმის სწორდება,
დილის ნამი კი ცრემლებს ჰგავს,
უიმედობით ნაბზარი,
ვიღაცის მუქარა ისმის,
ვიღაც გინებას მიგზავნის.
ყველაფერს თურმე დრო წაშლის,
უმადურობის ხელებით.
ისეთ დროს წავიფორხილე
ვეღარაფერს რომ ვერ ვშველი.
ცუდია კაცმა იფიქრო
ხვრილმანზე ყოველდღიურზე
როცა სხვა არის მიზანი.
გსურს, რომ ახვიდე პარნასზე,
რომ პოეზია ერთია,
რომ ეს სიცოცხლე ლექსია,
ეს არის ჩემი ქონება
მეტი მე რა დამრჩენია.

ფიქრებთან ერთად

წვიმის წვეთები ფანჯრის მინაზე,
როგორც ცრემლები იღვრება ისე,
დავბერებულვარ და ამ ცხოვრებას
ასე მგონია თავიდან ვინყებ,
ყველა გაზაფხულს ბავშურ ცელქობით,
და სიხარულით ვხვდებით ალალად
და ვეღარ ვატყობ თმებში თუ როგორ
შემომპარვია ბლომად ჭაღარა.

უპატრონო სახლი

დრო მიდიოდა ქრებოდა
ცრემლები ოხრად ნაღვარი,
ცაზე ღრუბლები ჩნდებოდა,
რაც იყო წვიმის საგზალი.
აღარ ჰყიოდა მამალი,
ობობას ქსელი გაება,
საკვამურს აჩნდა ნახშირი,
დიდი ხნის დანატოვარი,
გზა და ბილიკი არ ჩანდა
წაშლილი სარეველათი,
ჭიშკარი ჟანგს შეეჭამა,
კედელზე ხავსი ხარობდა.
ეზოში მიტოვებული
ძუნკალი ძაღლი დარბოდა.
სახლი კი იყო კი ერქვა,
მაგრამ არავინ სახლობდა
ღონემიხდილი, საწყალი,
ფეხზე დადგომას ლამობდა,
წვიმის წყალი და თოვლ-ჭყაპი
შესეოდა და ალპობდა

დრო გადის

დრო გადის, დრო ულმობელი,
ფერს იცვლის თვითონ ფერია.
თუ დამიჯერებთ, სიცოცხლე
არაფრის არაფერია.
მოდის და თვალებს აჭრელებს
ათასი ოხვრა-წვალებით,
დროს ვერვინ ვერ გააჩერებს
დათვლილი არის წამებით.
ბოლოს რა გრჩება, ეგა თქვი,
ფეხის კანკალით დადიხარ,
არაფრის თავი აღარ გაქვს
და არაფრისთვის ვარგიხარ.
ასე რომ, წამებს ნუ დათვლი,
ნურც ნურვის ნუ შეგშურდება,
მდიდარია თუ ღარიბი
მიწაში უფასურდება

გია ქურიძე – ისტორიკოსი ;
დაბადების ადგილი – ლანჩხუთი.

გადაფარული ზეცა

იმხელა მთვარე ეკიდა ცაზე
რომ თვითონ ზეცა აღარსად ჩანდა
ვინ რას იფიქრებს დარდიან კაცზე,
საკუთარის და ტკივილის გარდა!?
ღამე აფთარი მიპარვას გავდა,
ტურებს კივილი ეფინათ გზაზე
და თვითონ ზეცაც აღარსად ჩანდა
იმხელა მთვარე ეკიდა ცაზე

მარტოობის სიგიჟე

ვზივარ და ღამეს ვაგინებ დედას
ჩემს სიმარტოვეს სიგარეტით ვკლავ,
სანამ ჩრდილები დამმართებს ბნედას
შენზე ოცნებებს მთვარის შუქით ვრთავ.
ღმერთო რა არის ასე ტკბილ-მწარე,
საჩეჩელ დარდათ რომ მომინიშნე,
ვნებების ბანგით დამთვრალი ხვალე,
ანდა სიბერის ბოლო სიგიჟე?!
ცისკართან ერთად ვარსკვლავებსაც ვწვავ,
ჰორიზონტისკენ წასვლას ვაპირებ,
ჩემს სიმარტოვეს სიგარეტით ვკლავ,
ვზივარ და ღამეს დედას ვაგინებ.

გარიგება სიკვდილთან

ცოტაც მადროვე სიკვდილო,
სიცოცხლე ღირდა წამებათ
მინდა რომ გამოვიტირო
ჩემივე გარდაცვალება.
სიკვდილო, ცოტა მადროვე
თვალების გადანისლება,
იქნებ მოვესწრო-მედროვე,
კვლავ ეზიაროს ღირსებას.
ვინძლო სიხარბე ვიხილო
სხვის დარდზე ნაბდათ გამყოლი,
ცოტაც მადროვე სიკვდილო,
ვიდრე ჩემს ცოდვებს ასწონი.
ეგება დალხინებულმაც
ულხინოს, ბედიც იკივლოს,
და შენაც--ახირებულმა,
ცოტაც მადროვო სიკვდილო!
მერე უსიტყვოდ წამოვალ
ჩემივე ქუდნაბდიანდ,
ის მაინც მეცოდინება,
რომ გავჩნდი ადამიანად!

* * * * * *

მერე რაა, რომ ახლა ღამეა,
მერე რაა, რომ წვიმას აპირებს?
შენი სახება გიჟი რამეა
მილეწ-მოლეწავს
ყველა ნაპირებს!
მე სიყვარულის ყარაჩოღლური
ოცნება დამდევს, როგორც ამქარი,
შენს სახელთან ვარ მე ჩამუხლული,
შენი გულია ჩემი საყდარი.
რადგანაც ბედი ასე გვაწყვილებს,
ბედის მწერელი ნარდი რამეა,
მერე რაა რომ წვიმას აპირებს,
მერე რაა, რომ ახლა ღამეა?!

* * * * * * *

ერთხელაც მკითხე ცახცახა რიდით
თუ ამაყობო ნეტავი ჩემით
ცრემლიან თვალებს ქვესკნელში ხრიდი
და ამ ცრემლებით ზედ გულზე მცემდი.
იცოდი- წარსულს ფრჩხილებით ვთხრიდი
კბილებით ვგლეჯდი,
ტყვიას ვესროდი,
შენი შეკითხვა არ იყო ფლიდი
ჰოდა, პასუხსაც შიშით ელოდი...
მეც გამიკვირდა--გავმხდარვარ მშვიდი,
გრძნობა საზრდოობს მარტოღა რწმენით.
რომც დამაცალონ ჭორების მჭიდი,
რატომაც არა, ვამაყოფ შენით!

* * * * * *

სამყარო ადგა და აიჯაგრა,
ყველა კაცუნამ თავისი თქვა,
გულის ძახილი ისევ დაიჩაგრა,
თავად უღირსმაც მესროლა ქვა.
მალე უღირსებს ღირსებიც მიჰყვნენ,
ყალყზე დამიდგა თმა,
გრძნობათა შტორმის ვერარას მიხვდნენ,
დასისინებდა ბოროტის ხმა.
ადამის მოდგმას ახასიათებს
განქიაქება ღრმა,
შენს გადაცდომებს განაზვიადებს
მტერი კი არა -- ძმა...
მე კი არა ვცნობ ზეპირ განხილვას,
თუნდ ჯვარზე მაცვან, სული გამყარონ,
თვითონ ნახავენ,რომ დაბრუნდება
თავის ადგილას
ეს აჯაგრული მთელი სამყარო!

მაგული კვაჭაძე-ქანთარია
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი
კავშირის წევრი.

ნუთუ საქართველო თარაშ ემხვარია.

ენგურს ვინ გავა გაზაფხულზე აპრილის თვეში?
მთვარის ციაგი ირეკლება თარაშის თმებში
და ურჩხულისებრ იგრაგნება მდინარე შმაგი,
ნატრულზე წუხილს გაუფანტავს ჩვეული დარდი.

ოო! ბედისწერის მზაკვრული სასწაული!
ოო! მის გამხმარ ხელისგან თავს ვინ დაიხსნის,
ნაპირზე ვეღარ გავა ემხვარის ჯიში,
მებორნე გადარჩება რაინდს არ იხსნის.

ნუთუ საქართველო ახლა თარაშია,
თუ ეს ყველაფერი ბედის თამაშია?
მტერი ენგურივით ისევ ძლიერია,
ლამის წაულეკავს ქართველი ერია.

ნეტავ რას ფიქრობდა მაშინ კონსტანტინე,
როცა თარაში ენგურს გაატანა?
ხომ არ დაიტირა მაშინ აფხაზეთი?
არც რა დაიბარა... ვაი ნანა! ნანა!

როცა ქვეყანა მეგონა ჩემი.

როცა ქვეყანა მეგონა ჩემი
და მოყვასების მყავდა ლაშქარი,
დავმტკბარიყავი ცის სიკაშკაშით,
ფეხით მომევლო ქვეყნის მთა-ბარი,
მოვფერებოდი ალისფერ ვარდებს,
ცრემლად რომ ადგას დილის ცვარ-ნამი,
თურმე არაფრის ვუოფილვარ მქონე,
თითო-ოროლა მოყვასთაგანიც.
ჩემი ტკივილი რა სათქმელია,
როცა მამულო შენ გჭირს ამგვარი.
გუშინ რომ ძმობას გეფიცებოდა
იმან მოგკერძა ყველა ვარამი,
შენი სხეული დაჩეხილია,
ახლა გულისკენ იწევს მავანი,
ქვეყნის შვილობას ბევრი ჩემულობს,
ლამპრად რომ ენთოს არ ჩანს არავინ,
თითო-ოროლა თუ გაიელვებს,
მოქუფრულ ცაზე როგორც ვარსკვლავი,
ჩვენივე ხელით მას ჩააქრობენ,
გამოიბრძმედა უკვე მტრის მკლავი.
ჩემი ტკივილი რა სათქმელია,
როცა მამულო შენ გჭირს ამგვარი.

საიდან მოდის

საიდან მოდის ეს სიცოცხლე და მერე სად ქრება?
ქვეყნად თუ მოდის ეს სილამაზე, მერე რად ქრება?
გულს ვინ ასწავლა ბრმად სიყვარული, ნეტავ რა ხდება?
ნეტავ რას ფიქრობს მყინვარწვერი, როცა ცას წვდება?

იქნებ ეს არის ღმერთის სავანე,
ღვთიური მადლის გადმოდინება
და როს ეხვევა ის რძისფერ ნისლში,
იქნებ ეს არის ღვთის მობრძანებაც.
ნეტავ სად არის ბედის ვარსკვლავი?
რა ძალა ანთებს, ანდა რად ქრება?
თუ ყველაფერი წარმავალია,
სადღაც იწყება და სადღაც ქრება,
სიცოცხლეც უნდა მოჰგავდეს აპრილს,
იყოს ლამაზი ვით აპრილია,
გაზაფხულივით აფეთქებული,
თავდავიწყება ვით ზაფხულია.

გაზაფხული

გაზაფხული მეუფეა იმედების,
მზის სხივები ეს სიცოცხლის ძაფებია,
შევა ჩემში, იმედების ცეცხლს დაანთებს,
გავიკვირვებ ეს რამდენი მძინებია.

და დავდგები ხელგაშლილი ამ მზის ყურზე,
ჩემს სამყაროს გადავუშლი ცას და მიწას
და ვიყვირებ აირეკლეთ ამ ჩემს გულზე,
სანამ გული, სანამ გული არ დაიწვას.

გაზაფხული მეუფეა იმედების,
მზის სხივები ეს სიცოცხლის ძაფებია,
გაზაფხული, გაზაფხული გადამარჩენს,
ჩქარა მოდი, ჯერ იმედი შემრჩენია.

აღმართი

შევჭიდებულვარ ცხოვრების აღმართს,
უფლის წყალობით ჯერ მაღლა ვიწევ,
თუმც მეღობება ფიქრების ციხე,
გამიჭირდება? – ბავშვობას ვიწვევ.

ჯერ კიდევ ბრწყინავს ლაღ დღეთა სხივი
და გულწრფელობა ბავშვივით სუნთქავს,
ძალას მოვიკრებ იმ დღეებიდან
და აღმართისკენ ასვლას ვთხოვ უფალს.

მსურს, თუნდაც სიმწრით, აღმა ვიარო,
ოღონდ ავცილდე მავანთ ბილწ ხრიკებს,
ვინ იცის ბედი ხვალ რას მიმზადებს,
სად ჩამიკეტავს მქანცველ ბილიკებს.

თუნდ დამეცალოს ძალა მუხლებში
და შემოდგომის შემოკრას ზარმაც,
მე მირჩევნია აღმართზე მოვკვდე,
თავქვე დაშვების ფიქრიც კი მზარავს.

მეფე მისანი

აქატისფერი ქულა ღრუბლების,
ცაზე მოხატავს სამეფო დროშას,
ჯვარს დაადგება დიდი ნათელი,
ქარი დაიწყებს საამო ქროლვას.
და მიმწუხრისას კოლხეთის ცაზე
მანათობელი ნიშანს გვაჩვენებს,
გაირინდება გრძნეული ზღვაზე,
თოროსანთ რბოლას თვალს მიადევნებს.
ბაგრატის ტაძარს იქნება კრება,
დუმილს დაარღვევს ვაზირთ პირველი,
თუ არ მოვიდა მეფე ქართველთა,
აღარ იქნება ქვეყნის საშველი,
გელათში უკვე ჭიხვინებს ქუჯაი,
ქვეყანას ამცნობს პატრონის მოსვლას,
ოცნებას იწყებს მესხეთში გურჯი
და აფხაზეთში საძვალე მოსთქვამს,
აკვანს დაარწევს კოლხეთში ქალი,
დიდედა ეტყვის ყამარის ზღაპარს,
ძველ საიდუმლოს უამბოს ქარი,
ანგელოზთ დასი ასე დამოძღვრავს:
დავითს თუ ედგა სამტროდ კლდეკარი,
თბილისი იყო მისი ხატება,
ოო სამწუხაროდ! ოო სამწუხაროდ!
ახამოსულო ასგზის გექნება,
და ლიპარიტი ასიათასი,
ბევრი მომართავს მოწამლულ ისარს,
ჩვენ დაგიდგებით ვითარცა ფარი,
შენ აღასრულებ ქართველთა მიზანს
და შენ იქნები მეფე მისანი.

ტაძარი

მეგონა ახლოს იყო ტაძარი,
საცაა მივალ, შევაღებ კარებს,
დავტკბები ხილვით მის ბრწყინვალების,
მუხლმოდრეკილი ვიტყვი ჩემს სათქმელს.

თურმე შორსაა ჩემი ტაძარი,
წუხელ სიზმარში მითხრა მისანმა,
შენ რომ იხილე იყო აჩრდილი,
განა ტაძარი, ანდა მისთანა.

გზა ტაძრისაკენ ყოფილა მძიმე,
დასაწყისშივე ურჩხული გმინავს,
ქარი ცბიერი ნავარდობს გზაზე,
მასზედ მიმავალ სიცოცხლეს ყინავს.

გაუტანლობის ეს ცივი ქარი,
თუ არ დაბრუნდი დაგღუპავს უმალ,
შენ რას გაუძლებ უმწეო ქალი,
მითხრა მისანმა შეშინებულმა.

მჯერა მე მაინც მივალ ტაძრამდე,
მთვარე მაჩვენებს სავალ ბილიკებს,
ხმა იდუმალი შემმატებს სიბრძნეს,
ის ამაშორებს მავანთა ხრიკებს.

თუმცა დავკარგავ გზაში ბევრ რამეს,
ქარი დააჭკნობს ჩემს ლამაზ სახეს,
დაკოდილ გულით მივალ ტაძრამდე,
დანაზრულ ხელით შევაღებ კარებს,
მაინც ვიხილავ მის ბრწყინვალებას
და მაინც ვიტყვი ტაძარში სათქმელს.

ჟასმინები

მონაცრისფრო პალატაში,
სიჩუმეა ავის მთქმელი,
ამ ოთახში ღირსეულად,
დედოფლობენ ჟასმინები,

მე, გათანგულს ტკივილისგან ,
ნიშანს მიგებს ყვავილები,
ყველა მისკენ იცქირება,
იხიბლება მნახველები,

ტკივილს სევდა ემატება
და ჟასმინებს ვებუტები,
ჩვენ ორს შორის იმართება
იდუმალი საუბრები:

მე გადავრჩი, ფეხზე ვდგები
და ამ კედლებს გავეცლები,
დავიბრუნებ სილამაზეს,
შენ კი აქვე, აქ დაჭკნები.

ყველაფერი ხანმოკლეა,
სილამაზეც, ტკივილებიც,
შენც დაჭკნები, შენც დაჭკნები....
ჩურჩულებენ ჟასმინები,,,,,,
ნიშნისგებით, ნიშნისგებით.

თეატრი

ვიტყუებთ თავს და ვატყუებთ სხვას,
ცხოვრება დავამსგავსეთ თეატრს,
როლებს ვღებულობთ ახალ- ახალს,
ნიღბებს ვიფარებთ ათასგვარს,
უღირსს ვეუბნებით საქებარს,
უნიჭოს ვაძლევთ გზას,
ბოროტს ვექცევით კრძალვით და
ზურგს ვაქცევთ მართალ კაცს,
თუ ვინმემ გაბედა, აჯობა თავს,
არ მოერიდა შავზე შავის თქმას,
სამაგიეროდ მიიღებს რას?
ბრბოსაგან მოქნეულ ლაფს.

მე მირჩევნია.

სამყაროს ყველა მდიდრულ სალოცავს,
მოჩუქურთმებულს ძვირფასი თვლებით,
მე მირჩევნია გადათელილი,
ჩემი მამულის საყდარი ძველი,
ფრესკის მაცხოვრის გადაღებილით,
იმ ერთმორწმუნე „მოყვასის“ ხელით.
სხვის ცათამბჯენებს მე მირჩევნია
გურული ოდა, ბოკონზე მდგარი,
შეკირწყლულ ბუხრით, ზედ ვაზის ჯვარით,
წნელის ღობით და შიგ ტყემლის ჯარით.
ზღვა მელოდიებს უცხო ქვეყნისა,
თუნდ იფრქვევოდეს „ვარსკვლავთა“ ხმები,
მე „ლილეო“ მირჩევნია ჩემი....
ერთად მღეერიან ხალხი და მთები,
დაიბერტყავენ მხრებს ამ სიმღერით,
გადაიწმენდენ გულზე ხვაშიადს,
მერე დღედაღამ იგუგუნებენ,
ხმები მისწვდება ღმერთსაც განთიადს.
ოქროს ფიალით მორთმეულ შარბათს,
(ქვეუნად რომ არის მოწონებული)
მე მირჩევნია ვაზის ნაჟური,
ჭურის თავიდან მოწოდებული.
თვით დიდებულთა ჭირში დადგომას
და თანაგრძნობით მოპყრობას თვალის,
მამაპაპურად ხმით დატირება,
მე მირჩევნია შავოსან ქალის.



ნინო ჩხაიძე – ბიბლიოთეკათმცოდნე,
ჟურნალისტი;
დაბადების ადგილი – ლანჩხუთი.

* * *

არ თქვა!.. დავიღალე
არ თქვა!.. დავისვენებ
არ თქვა!.. ვეღარ ვხედავ
ჭრელაჭრულა ფერებს
სადმე, არ ჩამოჯდე
მუხლი, არ მოკეცო
თორემ წამოდგომას
მართლა ვეღარ შეძლებ.
ვიცი ეს ბრძოლა
თავად წამოიწყე,
ცხოვრების რთულ წამებს
ჯიბრში ჩაუდექი,
ეხლა, თუ მოგცელავს
აღარ გაიკვირვო,
უკვე მოცელილმაც,
მაგრად დაუდექი.
ჩემი გვერდით ყოფნა
ვიცი არ გჭირდება,
ჩემი შეძახილი
სულაც არ გამშვიდებს,
მაგრამ ერთს გთხოვ კარგო,
როცა წაიფორთხებ
ცრემლი არ მანახო,
ღიმილით მანიშნე

* * *

და მაინც რამდენს
შეეძლო ათვლა
წუთების დათვლა
არაფრის ნახვა
ფუჭი ღიმილი
ლოდინი არვის
იღბლის იმედათ
მცდარი გზის გავლით
შვება ცრემლებით
უფლის ხსენება
ლოცვა ვედრებით
არ დანებება
და მაინც რამდენს
ვითვლი და ვამჩნევ
ვერ გამიგია
ვინ ვის რას ართმევს
უიღბლო იღბალს
ღმერთს უღმერთობას
ჩვენ თავად ვძერწავთ
ვბედავთ შენდობას
იქნებ დავნებდეთ
ბედს უბედობას
და ყველამ ერთად
მოვრჩეთ ყბედობას

* * *

ნაბიჯებს ვაჩქარებდი,
უმიზნოდ ვაღამებდი,
შეცდომებს ვამართლებდი
დიდი დანანებით...
ვერავინ გამამართლა,
განგებამ დამანათლა,
სიმწარე ამეცდინა,
ტკივილზე სულ მეცინა...
ეს არის დიდი განცდა
არასდროს, რომ არ ამცდა
გრძნობების სხვაზე გაცვლა...
თითქოს და არ შემჩნევა
ნატვრაში დაბერება,
გული, რომ არ მრთელდება
ტკივილზე დანებება,
ხელების ჩამოშვება
და ისევ სიარული...
იმედის მკრთალი სხივი,
იქნებ და მაინც შევძლო
კადრების განახლება...

* * *

სოფელს ნეტავ ვინ დაარქვა წუთი?..
თუ ამ წუთში სულის მოთქმა ჭირდა
მრავალ ფერში ავირჩიეთ მუქი
და ეს ფერი მთელ ცხოვრების ფიქრად.
ვფიქრობთ მწარედ, სწრაფად გავა წუთი
ვერ მოვასწრებთ, რომ დავტოვოთ სიტყვა
ვერ გაგვიძლებს, ეს სოფელიც სუსტი
და დავრჩებით წუთისოფლის ხიზნათ.
წუთისოფელს სახელი აქვს მკაცრი,
ეს სიმკაცრე წუთით მისცეს სოფელს,
ამ სოფელში წუთზე მოგვდის ბრაზი,
გვიან ვხვდებით წუთისოფლის ხრიკებს.
ძალზედ სწრაფად მიდის დრო და ვხვდებით,
რომ ეს წუთიც ხანგრძლივია სოფლად
დავფიქრდებით... ჩვენს ცხოვრების წესსზე
აზრი ქონდა ჩვენს ამ სოფლად ყოფნას?...

* * *

უკეთესის მოლოდინში
უარესი შემრჩა ხელში,
ძალზედ დიდხანს ვიდექ რიგში
წყალი ჩადგა დაღლილ ფეხში
უკეთესის მოლოდინში,
სისხლმა იწყო ფეთქვა ტვინში,
ბოღმა ისე გაიბერა,
დავემგვანე ნაცემს ჭინჭრით,
უკეთესის მოლოდინში
გავიარე ლეღმა ტივით,
ნაპირს ისე დამაშორა,
ვერ ვბედავდი შიშით ყვირილს,
უკეთესის მოლოდინში
დამიღამდა მგონი დღისით,
ვერც სიბნელემ ვერ მიშველა
მოიმედე ვიყავ სიზმრის,
უკეთესის მოლოდინში,
ამ ქვეყანას მოველ რისთვის?..
რომ მეყვირა, რომ მეტირა,
რომ მეფიქრა არაფრისთვის?...

* * *

ცხოვრებამ მომცა დიდი გაკვეთილი,
ტკბილიც და მწარეც სხვადასხვა
სურათებით,
არასდროს მქონია შეგრძნება დამარცხების,
ფეხებს მიმშვენებდა სინაზით პუანტები,
ყოფილა ქარი, წვიმა, ტალახი, ბოტები,
ან ხვატი, სიცხე, უაზრო ქოშები,
მე მაინც შეგრძნებებს ქალურს ვატარებდი,
ფეხებს მიმშვენებდა სინაზით პუანტები,
რამდენჯერ ქვა- ღორღზე მტკენია ტერფები,
სიმწრისგან ტკივილით, რამდენჯერ
გამივლია,
მაგრამ ყველას თვალში მაინც ისე ჩანდა,
თითქოს პუანტები არასდროს გამიძვრია...

* * *

ოჰ, ეს ქარი,
თითქოს ცდილობს
გამომგლიჯოს,
წუხანდელი სიტკბოების
ერთი წამი.
გამომგლიჯოს,
ისე რომ არც დაუყვავოს
ის ნიავი,
მოფერების,
მონატრების,
თავზეხელსრომგადაგისმევს,
იმ სიამით.
რასაც იგრძნობ
ჟრუანტელად,
ყოველ სიოს სიტკბოებით
ნიავთან რომ იზიარებ
მოგონებათ...
მაგრამ არა,
ამან ხომ მთლად გაახელა,
გაახელა რაც გარშემო იყო
ჩემთან
უსულგულოდ მოგავა და
მოახვეტა...
ოჰ, ეს ქარი
სულშიხელსრომმიფათურებს
გარეთ გააქვს,
გახელებით ყვება სხვებთან.

არ ჩამდგარა,
არ ჩადგება
სანამ ყველას არ უამბობს
ჩემს შესახებ,
თუ რა ხდება
თუ რაოდენ მიყვარს
წყნარი მელოდია,
თვალს რომ ვხუჭავ,
უსმენ ნებით
ისიც კი შურს
ახშობს ხმებით,
თითქოს ჰანგებსაც აჯიბრებს,
თითქოს გიჟმაჟურადცეკვავს,
თითქოს ყურშიჩამჩურჩულებს
შენ რა გესმის,
დამაკვირდი...
დაშეიგრძნობნამდვილვნებას...
ვნებას მტვერში
ვნებას თმებში
კაბის ფერშიც...
განა რაა, წყნარი სიო
ამას გეტყვის?
გამიღიმე და იცეკვე
მხოლოდ ჩემთვის.

* * *

ჩემი თვეა ნოემბერი
ფოთოლცვენით
ფერად ფერით

ჩემი თვეა...

ნისლიანი მთები
სულ მახსენებს--

,,შენი თვეა
იქნებ ამოხვიდე
ჩემთან,

იქნებ ამოხვიდე,
მე რომ მიყვარს
ლაღად, ნაზად...

ფრენა-ფრენით
იმ სიმღერით
მე რომ მიყვარს,

შემოდგომა
რომ გიწონებს
ყვითელ კაბას,

იმ მოსასხამს,
სიწითლეში რომ
გადადის
სიმორცხვისგან,

მე სველ ქოშებს
დაგახვედრებ
წვიმისაგან სულ
რომ ელავს...

ამ ყველაფერს
რომ მოიხდენ,
ნოემბერი თავს
დაგიკრავს,
მოგინდება
მასთან ცეკვა"...

ჩემი თვეა ნოემბერი...
ის რაც ვერ ვთქვი
გამთქვა მთებმა...

ისიც კი თქვა
სიყვარული რომ
ამიხსნა
ჩემს საყვარელ
ზღმარტლის ხესთან...

* * *

მეტოქედ ავირჩიე, ყოველ დღე ვკამათობთ,
სარკესთან დამდგარი ორეულს ვებრძვი,
ხანდახან ვერ ვცნობ და ხანდახან ვამაყობ,
როდესაც იღიმის ჭაღარა თმებით.
რამდენჯერ წავაწყდი ცრემლიან თვალებსაც,
ვკითხე... თუ რა ტკენდა ძალიან გულს,
რამდენჯერ შევხედე, სამოსი არ ეცვა,
თითქოს ეძებდა დაკარგულ სულს.
აგერ შევამჩნიე ნაოჭი სახეზე,
რომელიც ხაზს უსვამდა მტკივნეულ გზას,
მის მონაყოლზე შევეჭვდი, არ ვენდე,
ვეღარ მისწორებდა ცრემლიან თვალს.
ხანდახან მაშინებს ჩავხედო თვალებში,
ვიცი, რომ შემაკრთობს მრისხანე სახე,
დამღალა ყოველ დღე, უყურო სარკეში,
როგორ დაუნდობლად მიმზადებს მახეს.
მეტოქედ ავირჩიე, ყოველ დღე ვკამათობთ
სარკესთან დამდგარი ორეულს ვებრძვი,
უყურებთ თვალებში, საქციელს არ ვნანობთ,
მიკვირს... რომ სათქმელი ბოლომდე ვერ ვთქვით.

* * *

ვერასოდეს ვერ მომიძღვნი ლექსებს,
ზამთრის თვეში ვერ მოიყვან მერცხლებს,
იქნებ ფიქრობ შეუძლებელს შეძლებ,
მაგრამ კარგო ვერ მაკვირვებ დღემდე
აი ასე... დღემდე ისევ გჯერავს
ბულბულები ზამთრის თვეში გალობს,
ფიქრებს შენთვის იმედებით ძერწავ,
დეკემბერში ვარდის კრეფა გართობს.
მოწყენილი შემოდგომის ფონზე,
რატომ ფიქრობ, იის კონებს შეკრავ,
ან იცეკვებ მგლოვიარე ნოტზე,
შავზე მეტყვი, როგორ მოსჩანს თეთრად.
ისევ ფიქრობ იოლია წერა,
ისევ ფიქრობ შეუძლებელს შეძლებ,
მაგრამ ვფიქრობ, რომ შეგიპყრო სევდამ
და ამ სევდამ მოგიყვანა დღემდე,
როგორ მინდა დავიჯერო შენი,
აღარ ვნახო სევდიანი სახე,
ზამთრის თვეში მერცხლებს ისევ ველი,
მაგიდაზე შენი ლექსიც ვნახე...

* * *

გარე სამყაროს მოწყვეტილი ხილული მზერით,
სადღაც ზემოდან დაჰყურებდა ოქროსფერ ძაფებს,
ყველა ხაფანგი გამოსცადა შიშველი ფეხით,
არანაირად არ უხმობდა მაგიურ ძალებს...

აკრთობდა ჭრელი ხალიჩები უხილავ მტვერით,
იქვე ჭაღებზე აბლაბუდაც ქმნიდა სილუეტს,
იცოდა როგორ მიამგვანეს მხიარულ შეშლილს,
ისიც იცოდა...უტიფარათ როგორ იმრუშეს

ლოგინს, სიბნელეს, ღია სარკმეს, ჭუჭყიან მთვარეს,
კედლის ჩრდილებსაც ის მოუყვა, რაც იყო ადრე...
არ მოუსმინეს რა აზრი აქვს შეშლილის თხრობას
დაავიწყდება, ის რაც მოყვა...რაც იყო ადრე

ნაზი გალოგრე – ინჟინერ-ტექნოლოგი, ლანჩხუთის ლიტერატურულ-შემოქმედებითი გაერთიანება ,,სამება”-ს და საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი; დაბადების ადგილი – ლანჩხუთის რაიონის სოფელი ლესა.

მონატრება

(ვუძღვნი დედის ხსოვნას)

ვარდობისთვე მე შენს ბაღში გავატარე,
ყოველ ვარდთან თვალწინ მედგა შენი სახე
ფერად-ფერად განლაგებულ ყვავილებში
შენი სულის სილამაზე დავინახე.
გული ვულკანს დაემსგავსა შენზე ფიქრით,
სულში ჩაძვრა უმოწყალო კაეშანი,
თანახმა ვარ, მივცე გული ფიქრებს, როგორც
დედა, შენი მონატრების ტახტრევანი.
ხელის გულზე დანთებული ცეცხლის ფასად
ნაბიჯ-ნაბიჯ ნაჯაფარი აქ ბევრია,
მაგრამ რა ვქნა, რომ ყველაფერს ამ მშვენიერს
შენი ერთი შემოხედვა მირჩევნია.

სატრფიალო

მძივად ასხმულა ლაჟვარდებში ვარსკვლავთ ციალი,
ოცნებით ქარგავს მთელ სამყაროს მწველი ზმანება
და სიყვარულის ათინათი უნაზეს ხიბლით,
უკიდეგანო სიცოცხლის მზისკენ მიექანება.

თმებში ჩაწნული, ალმოდებული ყაყაჩოებით
გრძნობის ალმური თმის ჩანჩქერზე კოცონს დაანთებს
და დამორცხვებით მომნუსხველი გზნებით ბარდნილი
ჩუმი ალერსით მოეხვევა შეფაკლულ ღაწვებს.

რა დამავიწყებს

ჩემი წარსული სადაც ყვავილობს,
სადაც ნავარდობს ჩემი ბავშვობა,
როგორც საკრავზე მომწყდარი სიმი,
არა და არა, არ დამეთმობა.

მიტოვებული საფლავი მიხმობს,
მონატრებულ გულს დუმილი კენწლავს,
მშობელი, როგორც ფესვის ღიმილი,
წამოზრდილ ხეთა კვირტებში ფეთქავს.

რა დამავიწყებს, როცა ჭიშკარი
დგას ობლად, მელის გაუღებელი,
ვარდები ხელით შეუხებელი,
ეზოს ბალახი, ფეხდაუდგმელი.

გადარაზული სახლის და ოდის
კედლები მზისსხივჩაუხედველი
ფუძე-კერაზე ფუტი და კვამლი,
ჩამქრალი, ცეცხლის დაუნთებელი.

რამ დამავიწყოს სუნთქვა წარსულის,
თბილი ღადარი, დასაფიცარი,
ნაჯაფ-ნაოფლარ ადგილის დედა,
მეძახის სულის თავშესაფარი.

რა უნდა იყოს უფრო ლამაზი,
როცა ჩაუვლი ატმის ყვავილებს,
მოეფერები ბალახ-ბულახებს
და თუნგით ხელში წყაროს წყალს იღებ.

ან სახლის უკან, დიდი ჭიშკარი,
შოლტის ტყლაშუნი, ურმის ჭრიალი,
საქათმის თავზე მამლის ყივილი,
ორღობის თავში წყაროს ჩხრიალი.

გადახლართული კაკლის ტოტების
ჩამოსაბერტყად ჭოკის ტრიალი,
და დახუნძლული ყურძნის მტევნებით,
ხიდან გიდელის ბზრიალ-ბზრიალი.

რამ დამავიწყოს მე საწნახელში
მაჭრის შუშხუნი, გვიმრის ჩაფენა,
და ფელამუშით ჩუხჩუხა ქვაბში
თითით ჩურჩხელის წყვილად ავლება.

რა დამავიწყებს ჩემს ლამაზ სოფელს,
როცა წარსულში სული ნავარდობს
იქ, სადაც ერთ დროს დუღდა სიცოცხლე,
არ დაბრუნდება ვიცი არასდროს.

ჩემი წარსული სადაც ყვავილობს,
სადაც ნავარდობს ჩემი ბავშვობა,
როგორც საკრავზე მომწყდარი სიმი,
რა ვქნა, რომ არა, არ დამეთმობა.

მრწამსი

დრო-ჟამი გადის და ყველა ჩვენგანს
უსაზღვრო სივრცის ნაპირი გვიცდის,
დაბინდულ ფიქრით გზაგამოვლილი,
ქარის მთესველი ქარიშხალს იმკის.
ქვეცნობიერი გვეძახის ძალა
და სული კვნესის დაუსაბამო,
გვრჩება ცხოვრების გადმოსახედზე
კაცურკაცობა სამარადჟამო.

სისხლის ყივილი

მიწის ბრუნვაში ბარის პირით როცა ვხალისობ,
სადღაც მიმქრალი სიჭარმაგე მესალბუნება.
ნაჯაფ ხელებზე შეუშრობი მიწის სისველე
გულის საწვეთურს წვეთწვეთობით ჩაედინება.

ხელის გულებში თავჩარგულს და თავდაუღწეველს
უიმედობის მძაფრ უღლისგან _ მე მეჩვენება:
ჩემი სიცოცხლე ძველთა ხსოვნის უკვდავებაა
ხოლო სიკვდილი _ ფუძე-კერის გადაშენება.

წელგატეხილი ვიფარფატებ სანამდეც შევძლებ
და გამრუდებულ ხერხემალსაც ვათრევ ჯახირით,
დედის საფლავთან გადმოღვრილი ცრემლის ნაკადი
გულის მალამოდ მეზიდება ანდამატივით.

უიმედობის მძაფრი ბადე უნდა გავგლიჯო,
წინაპართ ხნულში ძველი კვალი გადავარჩინო,
კაეშნით სავსე სიმარტოვეს შევებრძოლები
ჩამქრალ ნაღვერდალს მუხლმოდრეკით ვეამბორები.

***

დავდივარ და თვალწინ მეხატები
ვერავინ და ვერც შენ ვერ დამიშლი ფიქრს
სადღაც გადაგმალე, მაინც მენატრები
მე ხომ შენი სიყვარული მჭირს.
გულდარაზულს სინანული დამრჩა
მოგონება მე სიმშვიდეს მაძლევს,
რომ იყავი, მარტო ეს არ კმარა
მე წარსული აჩრდილივით დამდევს.

მომენატრე და მიყვარხარ

როცა გგონია მოგაკლდა სითბო
როცა რომ ფიქრობ აღარ უყვარხარ,
გეჩოთირება ზოგჯერ სიცილი,
ღიმილიც აღარ შემოგინახავს.

აბორიალებ სულში კაეშანს
თითქოს გადადგა მთელი სამყარო,
და ამ დროს სიტყვა თუ კი ჩაგესმა
მომენატრეო... და მიყვარხარო...

ქრება ფიცხელი დღეთა დინება
ჯავრგადაყრილი ისევ ისა ხარ
დუმილიც ყვირის ამ ორ სიტყვაში
მომენატრე და ძლიერ მიყვარხარ.

ლექსო, რა ძალა გქონია

გული ქაღალდზე გადავიტანე
თან შეუძლებელს ვებრძვი მგონია,
დამუნჯებული რომ ვამბობ სათქმელს
რა საოცარი ძალა გქონია.
სიტყვებს უენოდ რომ ვლაპარაკობ
შენ ნაწვალები სულის შვება ხარ,
მელანში კალმით ამოწებული
ხმალმოქნეული ჩემი ენა ხარ.
შენთან ჭიდილმა გამაფოლადა
არ დავბერდები შენთან მგონია
სიკვდილის შიშიც გადაიკარგა,
მართლა რა დიდი ძალა გქონია

* * *

შენ, მხოლოდ შენ!
(გამზრდელი მამიდის ხსოვნას)

ფიჩხის ტკაცუნი... ფუტი და კვამლი...
კერას მაგიერ ოთხი აგური
და ირგვლივ ჩვენ;

პატარა ქოთნით ლობიო ცხელი
და მჭადის ორთქლი...
გვათბობდა ჩვენ;

ფეხმოკლე სუფრას ნაფოტით ვავსებ,
ჯორკოს ვაცოცებ...
და ვჯდებით ჩვენ;

თუნგის ხელთან რომ იღვრება წყალი,
ბამბით ვავსებ...
და ვსვამთ ჩვენ;

სველი მწვანილი დაფერთხე ხელით
შხეფები მომხვდა...
ვიცინით ჩვენ

ვილუკმები... და გხედავ, თუ როგორ
ნაღვლიან სახით...
მიცქერი შენ;

გინდა სულ მომცე მთელი სიცოცხლე,
გამზრდელო ჩემო,
შენ, მხოლოდ შენ;

ოცნება ერთი

ყველაზე ლამაზ სიჩუმეს ვნატრობ
და თვალებიდან ნათქვამს უსიტყვოდ
მე სულ პატარა ღიმილი მხიბლავს
მე სულ პატარა ალერსი მიხმობს.
წლების სიმრავლემ მე დამიტოვა
სულის ნუგეშად ოცნება ერთი,
მსურს, წმინდა მხედრის მქონდეს წყალობა
და მფარველობა უფალი ღმერთის.

სიცოცხლევ ჩემო

აწყვეტილ ბილიკებს ზეცისკენ მივყავარ
ცხოვრების შუადღეს მე უკვე გადავცდი,
კალამზე მადნება ცინცხალი სტრიქონი
ბოლომდე ჩავიწვა, ვიცი არ დამაცდი.

უსაზღვრო სივრცის მიხმობს მე ნაპირი
შემოუღამდათ ფიქრებს გნიასით,
გულდაგულ ვტკეპნე თეთრი ზამთარი
ბავშვობის გაზაფხულს ბორკილს ვერ ავხსნი.

მორჩილად ვდგევარ უფლის შეგირდი,
არცა ვყოფილვარ, არც ვრჩები მგოსნად
გულს დამეცემა სვეტი ნათელი
ლექსი წამყვება სამოთხის ფრთოსნად.

გულო გამიძელ, მახეტიალე!

გულო, სიცოცხლის მადლით მატარე,
ჩემი ქართული წესით, ადათით,
შენთან აკინძულ ლხენა-ვარამით
მოსულა ბრძენი სამოცდაათიც.

რამდენჯერ ზღუდე გავჭაპნე მარჯვედ
და უსარძიკვლოდ დავდგი კარავი,
სულ მარტოდმარტო ვიხეტიალე
შენით გავკვალე გაუკვალავი.

ტკივილს ვერ იტევს სამყარო ჭრელი,
გიჟი ოცნება აღარ ისვენებს;
მე თუ ვიღაცის იმედით ვხარობ,
ჩემგან ხომ ვიღაც ელის სიმხნევეს.

ვიცი, გაფრენილ დროს უკან დავრჩი
და ალესილი აზრის ნაკვალევს
დრო შემოაგლეჯს სიცოცხლის ფურცლებს
ასე სათუთად ნაზარდ-ნაწვალებს.

ტყუილ-მართალთან ხელდახელ შებმით
დავძლიეთ დროთა უკუღმართობა
კიდევ მატარე, შემაძლებინე,
რომ უფრო გვიან გითხრა მადლობა.

ბევრჯერ დავჯაბნეთ სულის ჩოჩქოლი,
ღამისმთეველო, ჭირმოზიარევ,
გულო, გრიგალში მენთე სანთლებად
კიდევ გამიძელ, მახეტიალე.

წვიმიან ღამეს

წვიმიან ღამეს მარტო ხარ ფიქრთან
და ამ ფიქრებით უვლი სამყაროს,
წარსულს დუმილით ეალერსები,
გულში აწვალებ დარდის ავგაროზს.

წვიმის წვეთები გარინდულ ღამეს
აახმაურებს და წყვდიადს ებრძვის,
ქარჩაქროლილი ფოთლის შრიალი
ომახიანად მოძახილს გესვრის.

ნუ დაეცემი განსაცდელის ჟამს,
იყავ მდევარი მებრძოლი სულის,
არ ჩაიმუხლო, თუგინდ გტკიოდეს
მუდამ გჯეროდეს ხვალინდელი დღის.

ფიქრთან ჭიდილში მალე ღამეს ფერი ეცვლება
წვიმის წვეთები კლავ ხმაურით გეალერსება
ცხოვრების ურვას ნუ შეხვდები ნურასდროს მხდალად
გიხმობს: სიცოცხლეს ლაგამი მიეც მოუთოკავად.

***

გავიდა წლები თითქოს დიდი ვარ
და გხედავ ისევ,
ნაღვლიანს შენ;

ვერ შევძელ შენში გამოდარება,
გამზრდელო ისე,
დამტოვე შენ;

დავფიქრდები... და ვიგონებ წარსულს
და როგორ მიმძიმს,
რომ არ ხარ შენ;

ჩემი ბავშვობის, ტკბილო მეგზურო,
უსაყვარლესო,
შენ, მხოლოდ შენ.

გულში ძეგლად ვიდგამ სოფელს

გულში ძეგლად ვიდგამ სოფელს
ჩემს მშობლიურ ფუძე-კერას,
ყოველი წლის შემოდგომა
ღმერთმა ასე დამაწერა:

წინაპართა ნაფუძარზე
ავაფუტო მე ღადარი,
და ოქტომბრის ოცდარვაში
მაქვს სოფლისგან საჩუქარი...

თუ შეიძლებ, რომ შეიგრძნო
აუწონავ საზღაურით,
დედის დარგულ ცაცხვის ჩრდილში
შენი სულის შარი-შური.

ან ასწლოვან ხეთა რტოებს
რომ შეარხევს ნიავქარი,
და აშხვართულ ვაზის ლერწამს
დამძიმებულს მსხვილმტევანით

ცით დანამულ ვარდის კოკრებს
გასაშლელად მზე უღიმის,
ფოთოლ-ბალახს ფეხს დაადგამ
მიწის სუნთქვა გესმის, ყივის...

წოწინარით ამოღებულ
ჭის წყალით გულს გაიგრილებ,
ჭურის თავზე ორკოპეთი
მოლივლივე ღვინოს დალევ.

სხვას რომ ჩირად ეჩვენება,
ჩემთვის არის სასწაული,
დავსნეულდი, მაგრამ უნდა
ავასრულო განზრახული...

სანამდისაც შევძლებ ამას,
და გამიძლებს ხერხემალი,
მინდა ფუტში, ცეცხლის ალზე
ირწეოდეს ოჯინჯალი.

ჩემს შვილიშვილებს

დაილოცა შენი გაჩენის წამი,
საოცარო, ჩემო ნატვრისთვალაო,
გიცქერი და თვალებს ვეღარ გაშორებ,
ნეტავ ვინ ხარ, გოგო ამისთანაო?!

შენი ციცქნა თითის თბილი სურნელი,
გულში ელავს მოგიზგიზე ლამპარად,
და თვალების ცეცხლოვანი სხივები
ცის კაბადონს გადასწვდება მზის დარად.

რადგან ელვის განათებას დაასწრებს
შემოხედვა მწველი, გასაოცარი
და გატყვევებს შენს მოშვილდულ წარბებ ქვეშ
თვალთა სხივით გატყორცნილი ისარი.

თემურ ფირცხალაიშვილი – პოეტი

* * *

უკვე მოლოდინიც კმარა,
რწმენაც შეცვლილია დიდად...
შენგან შებრლება არა –
მხოლოდ თანადგომა მინდა!
გულმა – დაწყევლილმა მარად:
ჯვარი მოთმინებით ზიდა...
თქვენგან შებრალება არა
მხოლოდ თანადგომა მინდა!
თუმცა მოვარდნილა ღვარად:
ცრემლი – მოგონება წმინდა...
თქვენგან შებრალება არა –
მხოლოდ თანადგომა მინდა!
უკვე მოლოდინიც კმარა,
რწმენაც შეცვლილია დიდად...
თქვენგან შებრალება არა –
მხოლოდ თანადგომა მინდა!

* * *

ბავშვობა – ხის ტოტზე შემჯდარი,
ლამაზი, პატარა ჩიტი –
იმგვარად გაფრინდა ღმერთმანი,
თითქოს ქვა მესროლოს მისთვის.
გაფრინდა უსაზღვრო სივრცეში,
ვითარცა მერნები მზისკენ.
ბავშვობა (სულს ეშმაკს მივცემდი),
რომ დაბრუნდებოდეს ისევ.

* * *

ღამე ყორანივით შავი,
უფრო ნერვიული ხველა.
ყველამ დამანებეთ თავი,
თავი დამანებეთ ყველამ.
ხშირად ვიხედები უკან,
ფიქრი გაწოლილა მთებზე.
ჩემზე ნერვიულობთ ნუღარ
ნუღარ ნერვიულობთ ჩემზე.
დაუნდობელია დრო მთლად,
ბედი ხელუკუღმა მცემდა...
ჩემთან ნუღარავინ მოხვალთ,
მოხვალთ ნუღარავინ ჩემთან.
ღამე ყორანივით შავი,
უფრო ნერვიული ხველა.
ყველამ დამანებეთ თავი,
თავი დამანებეთ ყველამ.

* * *

გამიგებთ? – ესაა თქვენი ნება –
გამწირავთ? – შევრჩები ქარაშოტებს...
არცერთი თქვენგანის წყენინება:
ფიქრადაც მომსვლია არასოდეს!
ნუგეში იმხელა მადლი არი,
ენთები ღვთიური ნეტარებით...
გულიც რომ მატკინოთ დარდიანი:
მიყვარდით! მიყვარხართ! მეყვარებით!

* * *

ეჩვევი უმიზნო ხეტიალს,
უმატე უზომო სმას...
პოეტის სურვილი ერთია:
ტკივილი აშოროს სხვას!
რამდენი უბრალო მოკვდავი
წყლულებზე გიმატებს წყლულს...
არადა გაგება ოდნავი –
ყველასგან გულწრფელად გსურს!
ტირიან დამზრალი კვირტები,
პირქუში ნისლია წინ...
ცოცხალი არავის ჭირდები,
მოკვდები – გახსენებს ვინ?!
ნამდვილი მორწმუნე ზოგია,
მრავალი – ივიწყებს ღმერთს...
პოეტად გაჩენას ჯობია:
ქარიშხალს უშვერდე მკერდს!
ეჩვევი უმიზნო ხეტიალს,
უმატე უზომო სმას...
პოეტის სურვილი ერთია:
ტკივილი აშოროს სხვას!!!

* * *

ხანმოკლე სოფელს შემოვრჩი კენტად:
მძაფრი ტკივილით, მწარე ფიქრებით...
მალე ოთხივე ვიქნებით ერთად,
თანაც მარადჟამს ერთად ვიქნებით!
ტანჯვით გადიან სიცოცხლის დღენი,
აღვესრულები ალბად მეც მალე...
როცა შედგება შეხვედრა ჩვენი,
არც დავშორდებით მერე ერთმანეთს!

* * *

ნიავი გირხევდა კულულებს ქერათმის,
გულისპირს გიხსნიდა მორცხვად.
ღვთისმშობლის ხატებთან იდექი კელაპტრით,
ჩურჩულით ამბობდი ლოცვას.
ანგელოზ-უფალი გიქებდა ქალობას,
ღვთაებრივ დედოფალს ქალთა.
გესმოდა სამოთხის ჩიტების გალობად
გუგუნი ქაშვეთის ზართა.
ნერვივით გითრთოდა სხეული, ვამჩნევდი,
ცრემლებიც შეგნიშნე თვალზე...
იწვოდა გუმბათი ბებერი ქაშვეთის
ვარსკვლავთა კოცონის ალზე.
ფერია მეფონე ჩაცმული შავებშ,
ფერია, ოცნების ბაღის.
ესვენა ღვთისმშობლის თოვლივით მკლავებში:
იესო, პატარა ბალღი.
მუხლებზე დაეცი ფრესკებთან ანაზდად,
ვითარცა ირემი მოლზე.
მადონა ფაზისის ცასავით განაზდა
ფერმკრთალი სანთლების ფონზე.
გარშემო აკლდემის სიჩუმე დამკვიდრდა,
ნელნელა ინათა გარეთ.
ნელნელა ზეცაზე მონასტრის სარკმლიდან
მოჩანდა ნამგალი მთვარე.

იზა შუბითიძე – პოეტი

***

გრიგალი ღელავს და მიაპობს გემი ზღვას,
შორიდან მოისმის ორთქმავლის კივილი,
და როცა ღრუბელი წვიმით ცას შერისხავს,
გაკრთება ტუჩებზე მაცდური ღიმილი.
ბაქნიდან მგზავრები ლიანდაგს კვეთავენ,
თითქოსდა ნაგრილზე სული წევს გოგენის,
ჰორიზონტს გასული ბრუნდება მენავე,
თუმც იცის ნაპირთან არავინ მოელის.

***

რა ვქნა, რომ სიშორეს ვერ ვუძლებ,
ეს გულიც სულ აღარ ხალისობს,
მარტი ისევ მიმღვრევს ოცნებებს,
და აღარც მაისი მაისობს.
ისე უფეროა სამყარო,
როგორც ნაზამთრალი ყვავილი,
მესმის მიმწუხრის ჟამს ფხოვიდან,
ირმის განწირული ბღავილი.
ვითმენ გაზაფხულის ფორიაქს,
და გული ტკივილს თუ გაუძლებს,
ისევ შევხვდები და სულს გზაზე
იის ღერებივით დავუფენ.....

***

*შენ, სულო ჩემო, ცხრაგზის ვნებულო
და უძილობის მოცისფრო ღამევ;
საით მივდივარ, ვერას ვგებულობ,
საით მიგყავარ დაცლილო მხარევ?
დადინჯებულა ღელედ იორი,
ბოლო ფოთოლი ფარფატებს ხეზე,
მთვარე მბჟუტავი, ვით ლამპიონი
და მისი შუქი მეღვრება მხრებზე.
გული დავკრძალე
მაგ თვალთა სხვენში
და ზამთრის სუსხის მედება ფერი.
თვალებს მიღადრავს
გრძნობათა თქეში,
ტალახად ქმნილი მიწა და მტვერი.
წუთის მემკვიდრემ მომიგდე წამი,
ალბათ, მიგონებ მე ბედის ტუსაღს.
დგას ხის სიობლე და თეთრი სკამი
როგორ მიყვარდი ნუ იტყვი ნურსად.
ეს პროცესია და დღეთა მარში,
ჩაივლის უქმად, ვერაფერს შეცვლის.
როგორ ამაოდ გეძახდი მაშინ,
მცირე ნუგეშიც არ დაგცდა ჩემთვის.

***

იმ ღამეს ხილვა ჩვენ დაგვებედა,
მთვარე, მთები და სიო მთიური,
ის ღამე იყო, თუ ღმერთს შევბედავთ,
უფრო სათნო და უფრო ღვთიური.
გიყვარდი ისე, ვით პოეტს ძალუძს,
მიყვარდი ისე, ვით ქალღმერთს შვენის,
ჭადრის ფოთლები მღეროდნენ ,,რანუნს,,
ოცნება ჩვენი, ცეკვავდა შველი.
მე ვამბობ იყო, შენ კი არ დაობ,
რად შევრჩით მარტო იმ ერთ ღამეთი?!
სხვა ყველა ღამე ისე ჰგავს ქაოსს,
როგორც გიჟის და ბრძენის ნაერთი.
მიწით – სიცოცხლე, დაიძრა ია
გულს არ ახარებს, აღარ უნდა რა,
თუ სიყვარული მხოლოდ წამია,
წლებს რაღად ვუკმევთ ფიცს და მუდარას.

***

მახსოვს წვიმა და მაისის ზეცა,
ცაცხვის ხე – ჩვენი გრძნობების ქოლგა,
სხეულზე თეთრი ლაბადა მეცვა,
და სიყვარულის ქარიშხლად ჰქროდა.
დიდი ხანია ჩამდგარა ქარი,
შენი ღიმილი მახსოვს და მნუსხავს,
მე კი – პირველი ტრფობის მძევალი,
შენ გეძებდი და წავაწყდი სულ სხვას.
მახსოვს წვიმდა და მაისის ზეცას,
დააჩნდი მთვარის ვერცხლის გამებად,
ისევ მოთეთრო ლაბადა ეცვა
ჩემს უკანასკნელ შემოღამებას.

***

მთების ამაყო ყვავილო
ცისფერთვალება კესანე,
გზად რად შემომხვდი ,ლამაზო
ამ გვიან, შენი კვნესა მე...
ან აქ რამ ამოგიყვანა,
გაგსვრიან,გადაგთელავენ,
წყარომ ვერსაით გიპოვნა,
ღრუბლებიც შენზე ღელავენ.
იცოდი ვერ გაგიგებდნენ,
იცოდი გეტკინებოდა,
იცოდი დაგივიწყებდნენ,
და.... მაინც გეღიმებოდა.
მოგწყვეტენ,არ დაგინდობენ,
მოგაცილებენ ღეროსა,
ყველას მანამდე უყვარხარ,
სანამ ამშვენებ მდელოსა...

***

ნეტავი არაგვო შენს ტალღებს,
ნაფერებს, მთის მკლავებგამოვლილს.
ვნებადაუმცხრალს და მშფოთვარეს,
ბნელ ხევში ამაყად ჩამოვლილს.
ნეტავი, არაგვო, შენს სავალს,
უნახავ სიზმრებს თან ერთვები,
კალთაზე ემთხვევი გვირილას,
სიცოცხლედ რომ დარჩეს წვეთები.
ნეტავ თქვენ, ჭაღარა ნისლებო,
ფიქრები რომ გესმით მთებისა,
ოცნების ბილიკებს მიჰყვებით,
მგზავრებო არწივის ფრთებისა.
თუკი სიყვარულის არა გწამს,
აბა იმ სიცოცხლეს რა ჰქვია?
ნეტავი , არაგვო, შენს ტალღებს,
უმისოდ არაგვიც არ გქვია...

***..
არ გიჯობს, რომ ჩადგე მშვიდად,
ხორცს რომ სიმწრით ფარავდი,
სულო ჩემო, იქ რა გინდა,
სადაც ღმერთი არ არის.
სადაც მინდორს ტყეს არქმევენ,
და ტყეს მინდვრად იტყვიან,
იქ რა გინდა სულო , სადაც
კარგს სიავედ გითვლიან.
არ გიჯობს, რომ ჩადგე მშვიდად,
სულო, ჩემო ნიბლია...
არა გწამს და მაინც ცოცხლობ,
ეს რა.... ღმერთის ჯიბრია?!

******
სიზმრად გადაქცეულ ძველი ფიქრებიდან,
თვალწინ მეშლებოდნენ ძველი სონეტები,
ნანგრევ – ნამუსრევი წყალსაც გავატანე,
ჩემთვის დავიტოვე ტკბილი მომენტები.
და თუ აღარახარ, მაშ ხომ არსებობდი?
შენეული კოცნით თვალებს მიღამებდი,
მახსოვს გაზაფხულზე ნუშის პატარძლობა,
ხელში ჩაფერფლილი ერთი სიგარეტი.
ხშირად ვხეტიალობ ფიქრთა სამეფოში,
მე მწამს ბედისწერის, მუდმივ აზრთადენის,
და თუ აღარა ხარ, მაშ ხომ არსებობდი,
მაინც შენთან ვპოვე ისევ დასაყრდენი.
ღამის ხეტიალში მთვარე შევიწირე,
ბევრი ვიარე და არც მას ჩაეძინა,
მორცხვი სიყვარულით მზემ რომ გამიღიმა,
მთვარეს ეწყინა და ჩუმად ჩაიძირა.
სიზმრად გადაქცეულ ძველი ფიქრებიდან,
ვეღარ მოვახერხე დაღწევა თავის,
მზეო საყვარელო, დღე ხომ შენი ვარ და,
ღამით კი ვიქნები უძილო მთვარის!

ჩემი ბავშვობის სახლი,
ალუჩები და ღელე,
თხილთან მიდგმული სკამი,
გაზაფხული და მერეე.....
მერე იების გროვა,
ატმის ხეები ბაღში,...
დროს რომ მიჰქონდა დრო....
არ მაღელვებდა მაშინ.
შორეული დღის ეშხი,
ჩარჩა იმ წლების მიღმა,
ის მხიარული ეზო
მენატრება და მინდა...
სახლის სევდიან სიმშვიდეს,
არღვევს გალობა შაშვის,
აქ გაზაფხული დავტოვე,
დამრჩა ღიმილი ბავშვის
დაჰკიდებია ცრემლად
სახლებს ობობის ქსელი,
აღარც ვაზია სადმე,
აღარც მიწაა სველი.
ხელს მიქნევს ჩემი ბავშვობა,
იმ სიყვარულის ნიშნად,
და დგას ის ორი სახლი,
ჩემი ბავშვობის ნიშად.....
.....
აღარც ძველი ორღობე,
აღარც გზა და ტალახი...
როგორ მტკივა კიბეზე
ამოსული ბალახი

***
წვიმით და ფიქრით დამძიმებული
ცას შეჰფენია ფარა ღრუბლების,
ნეტავ გენახათ თოთო ყვავილი
თქვენი დარგული ბროწეულების.
ფოთოლცვენამაც გადაიარა,
დატენილია თოვლით დამბაჩა,
აღარც ზამთარი არ მოუხდება
იმ ეზოს, სადაც ბავშვობა დამრჩა.
ფიქრი ხომ ჩემი ბედისწერაა,
შვებას არა მგვრის ძიება ახლის,
და არ მასვენებს მკაცრი ბრალდება,
მიტოვებული მშობლების სახლის.

******

ვით შევადარო ქვეყნებს შორეულს,
ქვეყანა ჩემი, ათგზის ნაცემი,
ჩემი მამული ტყეს ჰგავს შერეულს,
აქა-იქ ფესვმძლავრ მუხა კაცებით.
ტყეები - ხოხბით მოგიზგიზენი,
საუფლისწულო, ხეთა - ტიტანთა,
გვქონდა დღეები მართლა ისეთი,
მხოლოდ ქართველი რომ აიტანდა.
ტევრი - ალგეთის ლეკვთა საღრენი,
გასადევარი შველთა, ირემთა,
ისევ ამაყი დგანან ბიჭები,
მსგავსი პაპების სულთა სიღრმეთა.
როცა წარსულის ხვატი მთხრის თვალებს,
და საკუთარ ჩრდილს ვეღარ ვერევი,
შერჩნენ მუხები მტერთა სიმრავლეს,
როგორც კრწანისთან არაგველები.

***

უწინდებურად ლაღი აღარ ვარ,
უწინ სხვაგვარად ჰქროდნენ ქარები,
წლებმა გულიდან სისხლი დაღვარა,
შემომაძარცვა რკინის ძალები.
მაშინ? ჰო, მაშინ, დედამიწაზე,
სხვაგვარად რეკდნენ ცისკრის ზარები,
შენ იყავ გული - სურვილით სავსე,
მე - ,,ძოწ-ლალ- ბაგე შემაზარები".
მე ზღვა ვიყავი, სავსე პირთამდი,
ვიყავ მფლობელი უთვალავ განძის,
შენ - სიყვარულის ზღვაში მყვინთავი,
არად აგდებდი ჩემამდე მანძილს.
და ვიღვრებოდით ზეცის ფანჯრიდან,
იასამნისფერ ლამაზ ფიქრებად,
ვიბადებოდით მერე ახლიდან,
ლექსის უზადო მარგალიტებად.
ჩვენ მივდიოდით ცისფერ სილაზე
და გვირილების მიგვქონდა გზები...
მაშინ? ჰო, მაშინ დედამიწაზე,
რაღაც სხვაგვარად ღელავდნენ ზღვები.

***

პასუხს ვეღარ მოსთხოვ დილას
"ნაგრძელღამევს",
ბედი გაწვართული ილტვის თავის გზაზე,
ქალის სიყვარული - ზეცის მაღაროა,
მარად მზის მადანით სავსე.
სიყვარული, ღმერთო, ეს რა დაგვანათლე,
სანუკვარი, მაგრამ თვით სიკვდილზე ძნელი,
ნატვრით ანანთებარს ვუცქერ
ჩამქრალ სანთლებს,
გაციებულ სანთლებს და სიცივე მღერის.
ხელებს იმტვრევს, კვნესის, გმინავს პოეზია,
ბედი სინანულით ილტვის თავის გზაზე,
ქალის სიყვარული - ზეცის მაღაროა,
მარად მზის მადანით სავსე...

*****

ადამის მოდგმავ გეყო ქილიკი,
გულსა და ბაგეს შხამად ნუ ხმარობ.
სისხლად ღვენთვაა კაცის ბილიკი,
ნუ გამშორდები ჩემო უფალო!!!
სიბრძნე არ სუფევს ძვირფას სამოსში,
არც სიდიადე ფასობს უკვალო..
ამ უღმერთობის მდიდრულ ქაოსში,
შენ დამიფარე ჩემო უფალო!!!
ბევრჯერ გვინახავს ნასროლი ტყვია,
და დაფლეთილი გული უბრალო,
იმ ჯოჯოხეთის კარები ღია,
შენ რომ გვარიდებ ჩვენო უფალო!!!

ნათელა კუპრაშვილი – ექიმი - სტომატოლოგი
დაბადების ადგილი – გორი.

* * *

თალხი მოისხა ჩემმა ფიქრებმა,
ვერ მოვიხადე ვალი.
დაპატარავდა ჩემი სამშობლო,
როგორ შაგრენის ტყავი.

გათენებულა დღე ცრემლისფერი,
ისმის ლოცვები მწველი.
გული მოგიკლეს, დაგანაკუწეს
ერთიანი და მთელი.

ხმელ ბალახივით მოვიცელები
წყალს ნუ მომასხავთ პეშვით,
ღმერთო, მიცოცხლე ჩემი ქვეყანა,
თავის ძლიერი ფესვით.

ძალას მიმატებს შენი ჭაღარა,
ვაზს ვეკიდები ცრემლად
ფიალით მიწის სურნელს დავლოცავ,
შეგეწირები მსხვერპლად.

ცრემლებით დამბალ მზის გულს დავლოცავ,
სისხლით ამომწვარ გულ-მკერდს
და შევავედრებ ყველა სალოცავს
ფუძის ანგელოზს შენს გზებს.

****

ქარო, დაბერე, დაჭრილ მკერდს
შემოაცალე ღილები,
შინდისელები ძირს წვანან,
გმირები გარდაცვლილები.
თალხი ჩაიცვა სამშობლომ
გამოიტირა შვილები.
კავკასიონო ამაყო,
ჩამოგეშალა მძივები.
სევდათ ჩაგესმით ქარიშხლის,
ტკივილი, ხმების ჩურჩული,
ერთად ვიმღეროთ, ბიჭებო,
დავაგუგუნოთ ურმული.
თქვენს მამაცობას ვერ ჩაკლავს,
სიკვდილის მძიმე ურდული.
ასეთ მებრძოლთა სამშობლოს
რას დააჩოქებს ურჩხული.
ვაჟკაცნო, მძიმე განსაცდელს,
ვიცი, გესმოდათ ნანინა ,
ბავშვობა, ყმაწვილკაცობა,
ო, რა უეცრად წავიდა.
წითელი ვაზის ნაჟური,
გულზე გაპკურეთ ჯამიდან.
ნეტავი, თქვენი ცხოვრება
დაიწყებოდეს თავიდან.

* * * *

ჩემი სამშობლოს მძიმე გასაჭირს
ვეჩურჩულები ლიახვს.
ქართლის მიწები, ვითომ ,,მოყვარეს"
ფარულად როგორ მიაქვს.

შენზე ფიქრებში წამლეკავს დელგმა
გულზე მადებენ ხუნდებს,
მეძახის ჩემი ადგილის დედა:
-მერცხლებს ართმევენ ბუდეს!

სამაჩაბლოდან წამოსულ ქარბუქს,
ლოცვას გავატან ცამდის,
პატრონს დაეძებს ხარი ბღავილით,
ნატრობს ალესილი მახვილს.

გაფითრებულა დამძრალი კვირტი
მზეც არ ანათებს არსად,
ვარსკვლავნიც სადღაც გადაიკარგნენ,
გაქრნენ- სიცოცხლეს ფასად.

* * * *

გარინდებულმა საზღვრის ნაპირთან
გულზე დავიკარ მჯიღი
თუკი აკვანი არ დაირწევა,
სიცოცხლე რაღად მიღირს.

ზეცისკენ მიდის კვამლი კივილით,
მაჩაბლის მიწა იწვის
განრისხებულა ჩემი ლიახვი
ტალღებს ღრიალით ისვრის.

ვერ დაგვაფასეთ, აგვაწიოკეთ
მგლურად თხოვულობთ ზედმეტს,
წინაპრის ძვლები არ დატოვებენ
ქურთას, კეხვსა თუ ქემერტს.

კვლავ გაიჭრება გუთნით ბელტები
და მოირთვება მდელოც,
იჯეჯილე და სულ იხმიანე
გიჩოქებ საქართველო.

* * * *

ელვამ გააპო ღამე გოდებით
ღრუბლის ქულები მიყავს ცხვარივით
და დასეტყვილი, ხეთა ფოთლები
ჩამოეკიდა ტოტებს მკვდარივით.

ხელით დავგლიჯე გამხმარი ნარი
ნაკაწრებიდან სისხლი მდიოდა
მრევლის ლოდინში დარჩენილ საყდარს,
მადლი ფრესკიდან გადმოდიოდა.

მიწას ეცემა ჩემი ცრემლები,
მარგალიტებად გულზე დამდინა
ერი მიცოცხლე შეგევედრები,
სხვა სათხოვარი მართლა არ მინდა.

რატომ?

სულ ვფიქრობ, ნეტავ რატომ
დაგკარგე,
რატომ დამიდის ფიქრები
ღველფად,
რატომ გამიჩნდა დრო
სადარდელად,
რომელსაც შენი სიცოცხლე
ერქვა....

ცას ჩამოვსხიპე ჩემი
ცრემლები
და დამაქვს ახლა გაყინულ
მუჭით,
გული გაჰკივის -- ნუ დანებდები
შენი სიცოცხლე არ არის ფუჭი!

იცრემლებიან ვერხვის ფოთლები,
ხელზე მაჭკნება ცალფრთა
გვირილა,
ვიცი, არასოდეს დაგავიწყდები--
მე - ის მზე მადგას ისევ
გვირგვინად.....

ფიროსმანი

ცხოვრებისაგან დასეტყვილა დღეს ფიროსმანი
ნაბახუსევზე ჩამომჯდარა მტკვრის პირს
ნიკალა
იქნება ჯობდა დაგეხატა, შენ ნატვრის
თვალი
ფუნჯი დაკარგე? აბა მითხარ ვინ დაგიმალა.

მაინც არაფერად არ ჩააგდე ბედის ტრიალი
სიყვარულისა და სიკეთის იყავ ტრფიალი,
მხატვართა მეფევ ეტლებით, რომ გზავნიდი ვარდებს
ერთი ყვავილიც არ მოგართვეს, გულს
არ დაგადეს.

ისე წახვედი, არვინ იცის შენი
საფლავი
შენი სულისთვის არ დაკლულა არცა
ბატკანი,
ბოლომდე შესვი წუთისოფლის
მწარე ფიალა
სიკვდილის შემდეგ დაგაფასეს
ძალზე გვიანა.

ო, ხელოვანო შემოქმედო
მშვენიერების
რა ხანმოკლეა ეს საწუთრო
ყოფიერების
გადაიღალე და ნაწამებ
სხეულს ასვენებ,
ქართული ზეცა, წმინდა საფლავს
ცრემლით ასველებს.

დაკარგული საფლავები დაკარგულ მიწაზე

ნიავო ფუჭად დაქრიხარ
იყუჩე, ცრემლი დამალე
ვერავის ჩაგეხუტება
ჩამოგვინგრიეს სავანე

მამა-პაპათა საძვლეებს,
წაშლილ საფლავებს გაბარებ.
ნეტავი მაინც ვიცოდე
ხე თუ უჩრდილავს სამარეს.

იქროლე, გამოაფხიზლე
აუფრიალე ფოთლები
რა ვქნათ, თუ ვეღარ მოგხედეთ
მიწა დავტოვეთ გოდებით.

წვეთები ტირის ზეციდან
ერთად შეყრილან ქულები,
ჩვენი ცრემლების სანაცვლოდ
გადაუნამეთ გულები.

დაბერე, გამოიყოლე
დაკარგულ მიწის სურნელი
სიზმარიც მტკივა მამულო
თვალებს ვხუჭავ და მოგელი.

* ** *

მხრებზე მოვიხვევ ღრუბლებს ბედნიერს
თავს ვეურჩები, ჩუმად ვღიმილობ
ვიცი ოცნება არ მიმატოვებს
ფეთქავს,ხალისობს ჩემი ღიღილო.

გულში გავზარდე შენზე ფიქრები
ზედ არ შევხედავ ბილიკს უიღბლოს,
თუკი ყაყაჩოს შვენის წინწკლები,
მეც აღარ მინდა ღამე უსიზმრო.

გზის გაგრძელება შენთან მწადია,
მთის კალმახივით გავცურო წყალი,
ხმელი ბალახის კაბა მაცვია
მზის სხივებისგან ვერ გამომწვარი.

* * *

სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარში
სანთლის ლიცლიცი
მადლით ანთია
და გული ჩემი ფიქრით
დაღლილი
გადაქანცული აქვე მარხია.

იდუმალ ნისლში გატანჯულ
სახით
შეიცან ვიცი უტას შორენა
მოაბიჯებდა ნაწნავ
მოკვეთილ
თავთუხის ყანას ესმა ვედრება.....

მონასტრის ეზოს შემოაბიჯა
უძველეს კედელებს ცრემლით
ეხება.
მიუწვდომელი ეს სიყვარული
დღესაც კი ღვივის ლამპარდ ენთება.

ვერცერთ გაზაფხულს, მის შემოგარენს
ვერ იყვავილოს ია- ენძელამ.
საქართველოს და მცხეთის გარეშე
სიცოცხლეს ჩემსას
ყოფა ეძნელა .....

ზეცა თალხით დაიფარა
მთელი ღამე იწვიმა,
განთიადმა ღრუბლის ქულა
ხელზე გადაიწვინა.

ქარმა გამხმარ ფოთოლივით
სევდა ააფრიალა,
სადღეგრძელო ვერ წარმოსთქვა
ძირს დაამხო ფიალა.

დაგელოდები

ფიქრები ჩემი ,, გაუხედნავი კვიცივით"
დახტის
და ჩემთან ერთად, შეუმჩნევლად
ბერდება ღამე.
ცაზე, რამდენი ვარსკვლავია, ნეტავ
ვინ დათვლის
სწორედ მაგდენი სურვილი მაქვს
ტკბილიც და მწარეც.

ყელს მოვიღერებ, ციფრებია მხოლოდ
ასაკი
მე სიყვარულის დიადემა მადგას
დარაჯად.
თუმც არ მინდოდა, მომეპარა
წლები ბალზაკის
ნუ შეშინდები, იაპრილე გულო
მარადჟამს.

სიცოცხლეს ვეტრფი და მაინც მაქვს
მზერა დაღლილი.
დაგელოდები, თქვი სათქმელი,
მოდი მოგისმენ,
გაზაფხულმაც კი გაიღვიძა
შეიხსნა ღილი
მეც ამ სიყვარულს გაპატიებ,
ალბათ როდისმე.

* ** *

დილით ნისლის სარეცელი
მოხვევია ქარაფებს,
მზე სხივებით გადაავსებს
გულცარიელ კალათებს.

ხელს ჩაგკიდავ ვნებიანად
სულის საყდარს ავავსებ
გულზე ძაფით დაგიკემსავ
და წლებს გავილამაზებ.

სარჩევი

პოეზიის კორიფეები! 5

შორენა (დედოფალი) 6
არსენ იყალთოელი 6
დავით აღმაშენებელი 7
ჩახრუხაძე 8
შოთა რუსთაველი 9
ბესიკი 10
ალექსანდრე ჭავჭავაძე 11
ილია ჭავჭავაძე 12
გიორგი ქუჩიშვილი 13
შიო მღვიმელი 14
ტერენტი გრანელი 15
მორის ფოცხიშვილი 16

ჩვენი დროის ქართული პოეზია ...17

მამა ამირან ამირანაშვილი 18
ბერდიაკონი ნეოფიტე 20
მამა სერაფიმე–ფილია 22
მაყვალა გონაშვილი 32
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 36
ირაკლი ნადარეიშვილი 44
ბაღათერ არაბული 50
ნინო უძილაური 56
თემურ გოგსაძე 62
ეთერ ჭელიძე 66
მანანა სამყურაშვილი 72
თენგიზ ფანცულაია 82
ნელი საგინაძე 92
მანანა შიოშვილი 100
მიხეილ გელაძე 108
თამარ ფიცხელაური 118
ლალი ორმოცაძე 124
ვერიკო პარწიკანაშვილი 134
ეთერ ბერიშვილი 144
ლეილა ვადაჭკორია 150
ზაზა მედულაშვილი 156
ირა სოფრომაძე 166
ნელი გიუნაშვილი 170
მალვინა ჭელიძე 180

ვარ ვინმე მესხი მელექსე 183

მერაბ ბერიძე 186
ბადრი თამაზაშვილი 196
ვაჟა სამსონიძე 206
ელვარდ ზაზაძე 214
ელბერდ ზაზაძე 218
ვასილ კვინცხაძე 220
ციური მესხიშვილი 226
ზურაბ ბერიძე 228
თორნიკე ბერიძე 232
ნინო ზაზაძე 238
ნინო ლონდარიძე 242
პეტრე ფერაძე 250
რევაზ ზუმბაძე 254
ციცო მაისურაძე 262
არსენ კარაპეტიანი 266
ანზორ ხუციშვილი 270

* * *

გერონტი მესხი 280
სულიკო ჯამალაშვილი 284
სპარტაკ ბრეგაძე 290
სოფიო ღლონტი 300
ნუკრი ლობჟანიძე 304
ნოდარ იაგორაშვილი 310
თინა ჯანიბეგაშვილი 316
ხათუნა ჩიტაძე 324
მირანდა ზაბახიძე 332
გელა გეგუჩაძე 338
ელდარ ჭიჭიაშვილი 348
იზაბელა-იზა კარიჭაშვილი 358
ლია ჩიქოვანი-გოგრიჭიანი 368
ლევან ჩოგოვაძე 372
მეგი მოლოდინი 378
თეიმურაზ კვარაცხელია 386
ქეთი სიმონიშვილი 396
ზურაბ ზოიძე 404
ეთერი გოგეშვილი-ისაკაძე 412
ლილი გულბათაშვილი 418
ლამზირა შეყილაძე 424
ანზორ შერვაშიძე 428
ეთერ ლობჟანიძე 434
ეკატერინე ბუღაძე 436
ნინო ქანთარია 446
თამრო ნიჟარაძე-გენელიძე 454
მირზა ვარძუკაშვილი 458
თეა ბარბაქაძე 464
ნანა გიგუაშვილი 470
დავით ძნელაძე 474
ქეთევან ბანდუკაშვილი 482
ვალუდა კვაშილავა 484
გიორგი ჯავახიშვილი 490
ლია ხმიადაშვილი 494
დარეჯან მაჭარაშვილი 504
რუსუდან ბურჯანაძე 514
ნიკოლოზ იასეშვილი 524
თამუნა გიორგაძე 534
ნინო ახალაშვილი 544
რამაზ ლორია 554
გიორგი ზუბიტაშვილი 562
დიმიტრი ბერიძე 566
ნუგზარ გუჯაბიძე 570
გია ქურიძე 572
მაგული კვაჭაძე-ქანთარია 574
ნინო ჩხაიძე 578
ნაზი გალოგრე 582
თემურ ფირცხალაიშვილი 588
იზა შუბითიძე 590
ნათელა კუპრაშვილი 594

დამკაბადონებელი –
ნანა დუმბაძე

კრებულის გარეკანის დიზაინერი –
მანანა სამყურაშვილი

კრებულში განთავსებულ ლექსებში
დაცულია ავტორთა სტილი და შინაარსი.

გამომცემლობა **„უნივერსალი“**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com